ჯოვანი ბოკაჩო

დეკამერონი

ჯოვანი ბოკაჩო

დეკამერონი

იწყება წიგნი, დეკამერონად წოდებული, ანუ, სხვა სახელწოდებით, თავადი გალეოტო, რომელიც შეიცავს ას მოთხრობას, თქმულს შვიდი ქალისა და სამი ჭაბუკი მიერ ათი დღის განმავლობაში.

პირველი დღე

იწყება პირველი დღე დეკამერონისა, სადაც იმის შემდეგ, რაც ავტორი ახსნის, თუ რა მიზეზით შეიყარნენ და გამართეს ერთმანეთში მოლაპარაკება იმათ, ვინც შემდეგში უნდა გამოვიდნენ, იწყებენ ბაასს პამპინეას თავმჯდომარეობით. თითოეული მათგანი იმას ლაპარაკობს, რასაც მოისურვებს.

რამდენჯერაც მომაგონდება, მშვენიერნო, თუ რაზომ გულშემატკივარნი ხართ ბუნებით, ვრწმუნდები, რომ წინამდებარე წიგნის დასაწყისი არ მოგეწონებათ და ცუდ გუნებაზე დაგაყენებთ, რადგან იგი წარსული ჭირიანობის სამწუხარო მოგონებით იწყება. ეს მოგონება განსაკუთრებით სამწუხაროა ყველასთვის, ვინც მომსწრე იყო ამ უბედურებისა, ან ვინც სხვისაგან გაიგო ამ ჭირიანობის ამბავი. მაგრამ ამით სრულებით არ მინდა გული აგიცრუოთ დანარჩენის კითხვაზე და გაფიქრებინოთ, რომ შემდეგშიაც თქვენ მისი კითხვა ცრემლის ღვრითა და ვიშვიშით მოგიხდებათ. ეს საშინელი დასაწყისი დაე იყოს თქვენთვის იმადვე, რაც მოგზაურთათვის იქნება ძნელად ასასვლელი ციცაბო მთა, რომლის გადაღმა გადაშლილია დიდად მშვენიერი და თვალთათვის საამო ველი; და ეს ველი იმდენად უფრო სასიამოვნოდ იქნება მათთვის, რამდენადაც ძნელად ეჩვენებოდათ ამ მთაზე ასვლა და იქიდან ჩასვლა. და როგორც უზომო სიხარულს მწუხარება მოსდევს, ისე მწუხარებასაც მხიარულება შესცვლის ხოლმე. ამ ხანმოკლე სიმწარეს (ხანმოკლე— მეთქი, ვამბობ, რადგან ეს სიმწარე რამდენიმე სიტყვით შეიძლება გამოითქვას) უმალვე მოჰყვება სიტკბოება და სიხარული, რასაც მე წინდაწინვე დაგპირდით და რის იმედი კაცს შეიძლება არც კი ჰქონოდა ასეთი დასაწყისის შემდეგ, წინდაწინვე რომ არ გამეფრთხილებინა. მართალი მოგახსენოთ,

რომ შემძლებოდა, დასახული მიზნისაკენ დიდის სიამოვნებით წავიყვანდით სულ სხვა გზით და არა ამ ციცაბო ბილიკით; მაგრამ, რადგან ამ მოგონების შეუხებლად არ შემიძლია ავხსნა, თუ რად მოხდა ის ამბები, თქვენ რომ მერე წაიკითხავთ, შეიძლება ითქვას, რომ მე გარემოებამ მაიძულა ვწერო ასე და არა სხვაგვარად.

ამგვარად, მოგახსენებთ, რომ ღვთის ძის ნაყოფიერ ხორცშესხმიდან განვლო ათას სამას ორმოცდარვა წელმა, როდესაც სახელგანთქმულ ქალაქ ფლორენციას, იტალიის ქალაქთა შორის ყველაზე ულამაზესს, თავს დაატყდა მომსვრელი ჭირი, ზეციურ მნათობთა გავლენით თუ ჩვენთა ცოდვათათვის ღვთის სამართლიანი რისხვის მიერ ჩვენდა დასასჯელად მოვლენილი. ეს ჭირი ჯერ აღმოსავლეთ ქვეყნებში გაჩნდა და იქ აუარებელი ხალხი იმსხვერპლა, მერე შეუჩერებლივ გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, ბოლოს დასავლეთამდეც მოაღწია და აქ საშინლად მოედო ყველგან. ამის წინააღმდეგ ვერ გასჭრა ვერავითარმა სიბრძნემ და ნახმარმა საშუალებამ; ქალაქს სიბინძურისაგან აწმენდინებდნენ საგანგებოდ ამისთვის მიჩენილ ხალხს, ყველა სნეულს ქალაქში შემოსვლა აკრძალული ჰქონდა; გამოსცეს მრავალი დარიგება სისუფთავის დასაცველად; აღარა შველოდა არცა მხურვალე ლოცვა-ვედრება, რომელსაც მრავალგზის აღავლენდნენ ზეცად ლიტანიობისა თუ სხვა სახით კეთილმსახურნი ადამიანნი; ხსენებული წლის გაზაფხულის დამდეგიდანვე სენმა მუსრი გაავლო ხალხს და თან უცნაურის ნიშნებითა ჩნდებოდა. აქ ისე არ ჩნდებოდა, როგორც აღმოსავლეთში, სადაც კაცს რაკი ცხვირიდან სისხლი წასკდებოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ უეჭველად უნდა მომკვდარიყო; სენის დასაწყისშივე მამაკაცებს და მსგავსადვე ქალებს, საზარდულთან ან იღლიის ქვეშ სიმსივნე რამ გამოუვიდოდათ; ზოგი სიმსივნე ჩვეულებრივი ვაშლისოდენა იყო, ზოგიც კვერცხისა, ზოგი უფრო დიდი და ზოგიც ნაკლები; ხალხი ჭირის სიმსივნეს ეძახდა. ადამიანს ჯერ ამ ორ ალაგას გამოაჩნდებოდა, მერე კი ეს მომაკვდინებელი სიმსივნე სხვა ადგილებზედაც იჩენდა თავს და იზრდებოდა; მერე ეს ნიშანდობლივი სახე ხსენებული სენისა იცვლებოდა და გადაიქცეოდა შავ ან მეწამულ ლაქად, დააყრიდათ ხელებზე, ბარძაყებსა და სხეულის სხვა ნაწილებზე, ზოგს მსხვილად და თხლად, ზოგს კიდევ წვრილად და ხშირად. და როგორც სიმსივნე იყო უეჭველი ნიშანი სიკვდილისა, ისე ეს ლაქებიც, ვისაც დააყრიდა, უეჭველად სიკვდილს უმზადებდა. აშკარა იყო, რომ ამ სენს არც ექიმის რჩევა-დარიგება შველოდა და არცა წამალს რასმე ჰქონდა ძალა, კაცი ვერ იტყოდა, თვით სენის ბრალი იყო ესა, თუ იმათი, ვინც ამ სენისაგან ხალხს არჩენდნენ (ასეთთა რიცხვი მეტისმეტად გაიზარდა, რადგან ნასწავლ მკურნალთა გარდა წამლობას მიჰყვეს ხელი მამაკაცებთან ერთად ქალებმაც, რომელთაც ექიმობა თავის დღეში არ უსწავლიათ), რადგან თავიანთი უვიცობისა გამო სენის გაჩენის მიზეზისათვის ვერ მიეგნოთ და, მაშასადამე, უებარ წამალსაც ვეღარ ხმარობდნენ; ამიტომ ძალიან ცოტანი რჩებოდნენ; თითქმის ყველანი ზემოაღნიშნული ნიშნების გამოჩენის მესამე დღეზე იხოცებოდნენ, ზოგი ცოტა გვიან, ზოგიც ცოტა ადრე, უმეტესობას არც კი აცივებდა, არც სხვა რამ ნიშანი აჩნდებოდა. ჭირი უფრო

იმისაგან გაძლიერდა, რომ კარგადმყოფთაც გადაედებოდა ხოლმე, როცა ავადმყოფებს გაეკარებოდნენ, სწორედ იმნაირადვე, როგორც ანთებული ცეცხლი მოეკიდება ხოლმე ახლომდებარე ხმელ ან ზეთით გაჟღენთილ ნივთებს.

მაგრამ სენი მარტო ამით კი არა ვრცელდებოდა: კარგადმყოფთ არა მარტო ავადმყოფებთან ლაპარაკითა და მათთან დარჩენით გადაედებოდათ ხოლმე სენი და იხოცებოდნენ მათთანვე ერთად, არამედ თუ, მაგალითად, კარგადმყოფი მიეკარებოდა იმ ტანისამოსს ან ნივთს, რომელსაც ავადმყოფი იხმარდა ან შეეხებოდა, საკმარისი იყო, სენი გადასდებოდა. გასაგონადაც საკვირველი გახლავთ, რაც ახლა უნდა მოგახსენოთ: ბევრს სხვასა და მეც ჩვენის თვალით რომ არ გვენახა ესა, არასგზით დავიჯერებდი, არამცთუ დავწერდი, რაც უნდა სანდო კაცს ეთქვა ჩემთვის. მოგახსენებთ, რომ ამ სენს ისეთი ძალა ჰქონდა გადამდებლობისა, რომ არა მარტო კაცისაგან კაცს გადაედებოდა, არამედ ხშირად ყველას თვალწინ ამაზე მეტიცა ხდებოდა: ნივთს, რომელიც სენით დაავადებულს ან გარდაცვლილს ეკუთვნოდა, თუ მიეკარებოდა, კაცი კი არა, თუნდ რომელიმე ცხოველიც, ამ ცხოველს არამცთუ ავად გახდიდა, სულ მოკლე ხანში მოკლავდა კიდეცა. ამაში ჩემის თვალით დავრწმუნდი (როგორც ზემოთაც მოგახსენეთ). ერთს დღეს ასეთი ამბავი მოხდა: ერთი ღარიბი კაცის ძონძები ვიღაცას ქუჩაში გადმოეყარა, ორი ღორი მოვიდა და მათის ჩვეულებისამებრ, ჯერ დინგით დაუწყეს ქექა და მერე კბილებით იქით-აქეთ ათრიეს. ცოტა ხანს უკან ტრიალი დაიწყეს, თითქოს საწამლავი რამ შეჭამესო, და იმავე შავსვიან ძონძებზე დაეცნენ მკვდარნი.

ასეთისა და ბევრი სხვა ამის მსგავსი თუ ამაზე უარესი ხმების წყალობით საშინლად დაშინდნენ ცოცხლად გადარჩენილნი, და თითქმის ყველანი ერთსა და იმასვე ცდილობდნენ: გულქვად იქცეოდნენ, ავადმყოფებს და მათ ნივთებს თავს არიდებდნენ, გაურბოდნენ; ფიქრობდნენ ,თუ ასე მოვიქეცით, სიცოცხლეს შევინარჩუნებთო. იყვნენ ისეთებიცა, ვინც ფიქრობდნენ, რომ თუ ზომიერის ცხოვრებით ვიცხოვრებთ და ყოველსავე ნამეტნაობას მოვერიდებით, სენისაგან თავს დავიფარავთო: ესენი ჯგუფებს ადგენდნენ და სხვებისაგან მორიდებით ცხოვრობდნენ; ისეთ სახლებში მოიყრიდნენ და ჩაიკეტავდნენ თავს, სადაც არავინ იყო ავადმყოფი და გულდამშვიდებით შეეძლოთ ცხოვრება; აქა ჭამდნენ კარგ საჭმელს, სვამდნენ თავანკარა ღვინოებს, მაგრამ ზომიერად, ყოველსავე მოჭარბებულს თავს არიდებდნენ, გარეშეს არავის ელაპარაკებოდნენ, არც არავის ამბავს კითხულობდნენ, თუ ვინ ხდებოდა ავად ან ვინა კვდებოდა, უკრავდნენ საკრავებს და რამდენადაც შეიძლებოდა, სიამოვნებით დროს ატარებდნენ: უნდა ვსვათ, ყველგან ვიაროთ სიმღერითა და ხუმრობით, რაც შეგვიძლია, არაფერი სიამოვნება მოვიკლოთ და რაც ჩვენს გარშემო ხდება, ყველაფერი სასაცილოდ ავიგდოთ, ყველაფერი გავკილოთ, სწორედ ეს იქნება უებარი წამალი ამ საშინელი სენისაო. და სწორედ ისე იქცეოდნენ, როგორც ამბობდნენ; როგორც დღე, ისე ღამე

ერთი სამეიტნოდან მეორეში შედიოდნენ, ღვინოს უზომოდ პირში ისხამდნენ და ამასვე სჩადიოდნენ სხვათა სახლებშიაც, როცა გაიგებდნენ, რომ იქაც შეეძლოთ ქეიფი და დროსტარება. და ყველას მით უფრო ადვილად შეეძლო ასე მოქცეულიყო, რადგან ყველანი (გეგონებოდათ დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ, სულერთია — დიდი დღე არ გვიდევს წინაო) თავიანთ თავსა და ავლადიდებას ღვთის ანაბარა უშვებდნენ: ასე რომ უმეტესობა სახლებისა საზოგადო კუთვნილებად გადაიქცა, და გარეშე კაცი სხვის სახლში შევიდოდა, ისე მოიკალათებდა შიგ, გეგონებოდათ — საკუთარ სახლში შემოსულაო, მაგრამ მიუხედავად მათი მხეცური მიდრეკილებისა, შეძლებისდაკვალად, მაინც თავს არიდებდნენ ავადმყოფებს.

და ჩვენი ქალაქის ასეთი საშინელი უბედურების დროს თითქმის დაეცა ყოველგვარი პატივისცემა და კრძალვა როგორც ღვთიური, ისე კაცობრიული კანონებისა, რადგან ამ კანონების მცველნი და აღმასრულებელნი, სხვათა მსგავსად, ან დახოცილიყვნენ, ან ავად გამხდარიყვნენ, ანდა უხელქვეითოდ დარჩენილიყვნენ, ასე რომ, აღარ შეეძლოთ რაიმე თანამდებობა აღესრულებინათ; ამიტომ ყველას შეეძლო ის ექნა, რაც მოეგუნებებოდა.

ზოგს კიდევ ამ ორ უკვე დასახელებულ ჯურის ადამიანთა შორის საშუალო ალაგი ეჭირა: პირველებივით საჭმელს არ იკლებდნენ და აღარც მეორეებივით დროსტარებას იყვნენ გადაყოლილნი და განუწყვეტლივ არ ლოთობდნენ, ზომიერადა ჭამდნენ იმდენს, რამდენსაც მათი აგებულება მოითხოვდა, არც სახლებში იყვნენ გამოკეტილნი, არამედ ყველგან დადიოდნენ, ხელში ზოგს ყვავილები ეჭირა, ზოგს კეთილსურნელოვანი მცენარენი ან სხვადასხვა ნელსაცხებლები, ამას ხშირ-ხშირად ყნოსავდნენ და ეგონათ, ამნაირი სურნელების შეშვება ტვინში ძალიან მარგებელიაო, რადგან ჰაერი მეტად მძიმე და აყროლებული იყო გახრწნილი გვამებისა, ავადმყოფებისა და წამლებისაგან. ზოგიც მეტად გულქვა აზრისა იყო (თუმცა, შეიძლება მართლებიც ყოფილიყვნენ), სახელდობრ: ყველაზე უკეთესი საშუალება ჭირის წინააღმდეგ ის არის , რომ სრულებით უნდა გაეცალოს კაცი აქაურობასაო. ამათ თავიანთი თავის მეტი სხვისა დარდი არა ჰქონდათ, და ბევრმა ასეთმა კაცმა და ქალმა დაანება თავი თავის ქალაქს, საკუთარ სახლსა და კარ— მიდამოს, მშობლებსა და ქონებას და ხსნას ეძებდნენ სოფლად თავიანთ მამულებში ან ნაცნობებთან, თითქო რისხვა ღვთისა, რომელიც ადამიანებს ამ ჭირითა სჯიდა მათი ბოროტებისათვის, იმ ადგილამდე, სადაც ისინი იყვნენ, ვერ მიაღწევდა, ვითომ უნდა მოვლენოდა მხოლოდ იმათ, ვინც ქალაქის კედლებს შორის დარჩნენ, ანდა თითქოს ეგონათ, რომ ყველანი სულ უკანასკნელამდე უნდა გაწყდნენ და ჩვენი აღსასრულის ჟამიც მოწევნილ არისო.

თუმცა ეს სხვადასხვანაირად მოაზროვნე ხალხი ყველა არ იხოცებოდა, მაგრამ ვერც ყველა გადაურჩა ამ სენს; ბევრი, ვინც ამა თუ იმ აზრისა იყო, ყველგანა ხდებოდა ავად, და რადგან კარგადმყოფობის დროს ავადმყოფებს გაურბოდნენ, ამით მაგალითს აძლევდნენ სხვა კარგადმყოფებს, და ასე, ყველასაგან თავმინებებულნი, იხოცებოდნენ. იმას ნუღარ

ბრძანებთ, რომ ერთი მოქალაქე მეორე მოქალაქეს გაურბოდა, მეზობელს მეზობლის დარდი აღარა ჰქონდა, ნათესავები თავიანთების სანახავად და მოსაკითხავად იშვიათად ან სულაც არ დადიოდნენ, ანდა შორიდან თუ მოიკითხავდნენ ხოლმე. ამ უბედურებამ ისეთი თავზარი დასცა ქალებსა და კაცებს, გული ისე გაუქვავდა ყველას, რომ ძმას ძმისა არ ედარდებოდა, ბიძას — ძმისწულისა, დას — ძმისა და ზოგჯერ თვით ცოლს — ქმრისა. და (რაც უფრო საშინელი და თითქმის დაუჯერებელია) მამებსა და დედებს არ უნდოდათ თავიანთი შვილები ენახათ და მათთვის ყური ეგდოთ, თითქოს მაგათთვის გარეშენი ყოფილიყვნენ. ამ მიზეზით, ვინც ავადა ხდებოდა, როგორც ქალი, ისე კაცი, რომელთა რიცხვი აუარებელი იყო, სრულებით უპატრონოდა რჩებოდა; ამათ გულშემატკივარი მეგობრებიღა თუ მიხედავდნენ (ასეთები კი თითზე ჩამოსათვლელები იყვნენ), ანდა დაქირავებული მომსახურენი, რომლებიც დიდ, ყოველ საზომს გადაცილებულ გასამრჯელოს ხარბდებოდნენ, კისრულობდნენ ავადმყოფების მოვლას, თუმცა ასე დიდ გასამრჯელოსთვისაც ცოტანი კიდებდნენ ხელს ამ საქმეს, და, გარდა ამისა, ეს მოსამსახურენი, ქალები იქნებოდნენ თუ კაცები, მეტად ოგეჩები იყვნენ, ასეთის საქმის უჩვევნი; ესენი იმასღა თუ შეძლებდნენ, რომ მიეწოდებინათ, რასაც ავადმყოფი მოითხოვდა, ანდა ეყურებინათ, ავადმყოფი როდის მოკვდებოდა. ასეთი სამსახურის დროს ფულთან ერთად ხშირად თავის სიცოცხლესაც გამოესალმებოდნენ ხოლმე.

და რაკი ავადმყოფები ამნაირად მიტოვებულნი იყვნენ მეზობლებისა, მშობლებისა და მეგობრებისაგან და მსახურთა შოვნაც ჭირდა, ერთი რამ ჩვეულება შემოვიდა, რაც წინათ თავის დღეში არ გაგონილა, სახელდობრ: როცა ვინმე ლამაზი, კეთილშობილი ოჯახის ქალი ავადა ხდებოდა, არ ერიდებოდა მოსამსახურედ აეყვანა მამაკაცი, სულ ერთი იყო, ახალგაზრდა იქნებოდა თუ მოხუცი, და უსირცხვილოდ უჩვენებდა თავის სხეულის ყოველ ნაწილს სწორედ ისევე, როგორც ამას ქალთან იზამდა, თუკი ეს ავადმყოფობის დროს საჭირო იქნებოდა. და შეიძლება სწორედ ეს იყო მიზეზი ამ სენს გადარჩენილ ქალების ზნეობის დაცემისა ჭირიანობის შემდეგ. გარდა ამისა ბევრნი სრულებით შემთხვევით იხოცებოდნენ: იმათ რომ დროზე დახმარება მისწრებოდათ, უეჭველად ცოცხლები გადარჩებოდნენ. ამრიგად, ზოგი იმიტომ, რომ ჭირიანებს მოვლა არ ჰქონდათ, ზოგიც იმიტომ, რომ სენი საშინლად მძვინვარებდა, დღე და ღამე იმდენი ხალხი იჟლიტებოდა, რომ საშინელი იყო გასაგონად, არამცთუ საყურებლად. ამიტომ, თითქოს საჭიროებამ მოიტანაო, სიკვდილს გადარჩენილ მოქალაქეთა შორის ისეთი ჩვეულებები გაჩნდა, რაც სრულებით არა ჰგავდა მანამდე არსებულ ჩვეულებათ. წინათ ჩვეულებად ჰქონდათ (და ეს ჩვეულება დღემდე დარჩენილია), რომ ნათესავი და მეზობელი ქალები მიცვალებულის სახლში იკრიბებოდნენ და აქ უფრო მახლობელ ნათესავ ქალებთან ერთად ტიროდნენ; გარდა ამისა, მიცვალებულის სახლის წინ ბლომად იკრიბებოდნენ თავიანთი ახლობლებითურთ მეზობლები და მოქალაქენი და, მიცვალებულის ღირსებისდაკვალად, სამღვდელოებაცა. აქედან ესენი

მხარზე გაიდებდნენ კუბოს, წინ მიუძღოდნენ კელაპტრებიანი კაცები და გალობით მიასვენებდნენ იმ ეკლესიაში, რომელიც მიცვალებულს ჯერ ისევ სიცოცხლეში ჰქონდა არჩეული თავის დასამარხად. ეს ჩვეულება, მას შემდეგ, რაც ჭირი გაძლიერდა, ან სრულიად ან ნაწილობრივ მივიწყებულ იქნა, და იმის ალაგს სულ სხვა ჩვეულება დამკვიდრდა: მიცვალებულის გარშემო არათუ არ იკრიბებოდნენ ქალები, ის კი არა, სააქაო ცხოვრებიდან ისე მიდიოდნენ, რომ მოწმეებიც კი არ ესწრებოდნენ: და ისეთები სულ ცოტანი იყვნენ, ვინც თავიანთ ნათესავებს გულწრფელად დაჰნანებოდათ და მათს ცხედარს ამათი ცხარე ცრემლი დასდენოდა; პირიქით, ხშირად გაისმოდა სიცილი, ხუმრობა და საერთო მხიარულება. ქალების უმეტესობამ უკუაგდო ბუნებით თანდატანებული სიბრალული მოყვასთადმი და თავიანთი ჯანმრთელობისათვის დიდი სიხარულით შეითვისა ეს უკანასკნელი ჩვეულება. იშვიათი იყო ისეთი მიცვალებული, რომელსაც ეკლესიამდე ათ, თორმეტ მეზობელზე მეტი გაჰყოლოდა; ესენიც პატივცემულნი და საყვარელნი მოქალაქენი კი არ იყვნენ, არამედ ერთგვარი მესაფლავენი, მდაბიო ხალხისაგან აყვანილნი, რომელნიც თავიანთ თავს ბეკამორტეებს ეძახდნენ და სასყიდელს ღებულობდნენ ამ სამსახურისათვის: დაავლებდნენ ხელს კუბოს და საჩქაროდ მიაძუნძულებდნენ იმ ეკლესიაში კი არა მიცვალებულს სიცოცხლეში არჩეული რომ ჰქონდა დასამარხავად, არამედ უახლოეს ეკლესიაში. წინ მიუძღოდათ უმეტეს შემთხვევაში ოთხი თუ ექვსი მღვდელი, სანთლებიც ძალიან ცოტა ჰქონდათ წამძღვარებული, ზოგჯერ სულაც უსანთლოდ მიასვენებდნენ; მღვდლები თავს არ იწუხებდნენ იმით, რომ ცოტა გრძლად და ზეიმით შეესრულებინათ დასაფლავების წესი და ხსენებული ბეკინოების საშუალებით პირველ შეხვედრილ გაჭრილ საფლავში უშვებდნენ კუბოს. ხელმოკლე ხალხი, და შეიძლება საშუალო შეძლების ხალხის უმეტესობა, უფრო უარეს დღეში იყო, რადგან ზოგს გადარჩენის იმედი და ზოგსაც სიღარიბე აიძულებდათ თავიანთი სახლ-კარისა და მეზობლებისათვის თავი არ დაენებებინათ; ასეთები ყოველდღე ათასობითა ხდებოდნენ ავად, და რადგან დახმარება და მოვლა-პატრონობა არსაიდან ჰქონდათ, თითქმის ყველანი უკლებლივ იხოცებოდნენ. ბევრი დღისითა და ღამით ქუჩაშივე სულსა ლევდა; და ბევრის სიკვდილს სახლში მეზობლები მაშინ გაიგებდნენ, როცა მათი გახრწნილი გვამების სუნი მიედინებოდათ. ასეთნაირად თუ სხვანაირად დახოცილები აუარებელი იყვნენ. ასეთ შემთხვევაში ზოგნი შიშით — ავადმყოფობა არ გადაგვედოსო, ზოგნიც — მიცვალებულთა სიბრალულით ერთსა და იმავე საშუალებასა ხმარობდნენ: თვითონ, ან მებარგულების დახმარებით, როცა კი მოახერხებდნენ ამ მებარგულების პოვნას, მიცვალებულს სახლიდან გამოათრევდნენ და კარის წინ დატოვებდნენ; ყოველ დილას ვინც ადრიანად გაივლიდა, ასეთ მიცვალებულებს აუარებელს დაინახავდა. მოატანინებდნენ საკაცეებსა და როცა საკაცე არ ექნებოდათ, ცხედარს უბრალო ფიცარზე დააკრავდნენ. ზოგს საკაცეზე ორი და სამი მიცვალებული ესვენა. ისეც მოხდებოდა — და ასეთი შემთხვევა ძალიან ხშირი იყო — რომ ერთსა და იმავე საკაცეზე ესვენა ცოლი და ქმარი, ორი ან სამი ძმა, ან მამა და შვილი. ძალიან ხშირად ყოფილა, რომ ერთი მიცვალებულის წინ მიდიოდა

ორი ჯვრიანი მღვდელი, ამ საკაცეს დაეწეოდა და შემოუერთდებოდა სამი თუ ოთხი სხვა საკაცე, და მღვდლებს რომ ეგონათ, ერთ მიცვალებულსა ვმარხავთო, ექვსსა თუ რვას, და ზოგჯერ მეტსაც, ერთად უშვებდნენ სამარეში. ამათთვის აღარც სანთელი იყო სადმე და აღარც უკანასკნელ პატივსაცემად ვინმე მოსული, ამგვარად ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მიცვალებულ ადამიანთ ისე ეპყრობოდნენ, როგორც ჩამხრჩვალ თხებს. და აქ აშკარა შეიქნა ყველასათვის: თუ ჩვეულებრივს გარემოებაში ბრძნებს არ შეუძლიათ მოთმინებით გაუძლონ მცირე და იშვიათ გაჭირვებას, სამაგიეროდ დიდი და საერთო უბედურებანი თვით უბირსაც კეთილგონიერ და უდარდელ ადამიანად გადააქცევენ ხოლმე. ვინაიდან ყოველდღე, თითქმის ყოველ საათს, შეუჩერებლივ მოასვენებდნენ მკვდრებს, ეკლესიები გაივსო მიცვალებულებით, დასასაფლავებლად ნაკურთხი მიწა არა ჰყოფნიდათ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მოინდომებდნენ, ძველი ჩვეულების თანახმად, თითოეულ სამარეში თითო მიცვალებული ჩაეშვათ, ამიტომ ეკლესიებთან მდებარე სასაფლაოებზე უშველებელ სამარეებსა თხრიდნენ და შიგ ერთიმეორეზე უშვებდნენ ასობით მიცვალებულს მაშინვე, როგორც ვაჭრები საქონელს რასმე ჩაალაგებენ ხოლმე ნავებში მჭიდრო წყებებად; როცა ორმო თავამდე ამოივსებოდა, ზევიდან ცოტა მიწას წააყრიდნენ.

და რადგან საჭიროდ არ მიმაჩნია სულ დაწვრილებით აგიწეროთ უბედურება, ჩვენს ქალაქს რომ ეწია, მოგეხსენებათ, რომ მარტო ქალაქს კი არ დასტყდომია ასეთი საშინელება, სენმა არა ნაკლებ დააზარალა ქალაქის შემოგარენი, სადაც (თავი დავანებოთ კოშკებს, რომლებშიც კაცმა რომ თქვას, იგივე ქალაქებია, მხოლოდ პატარა სახისა) მიმოფანტულ სოფლებსა და მინდორ-ველებში საწყალი ღარიბი გლეხები და მათი ოჯახები უექიმოდ და უპატრონოდ იყუჟებოდნენ გზებსა და ყანებში, სახლებში, დღისით და ღამით განურჩევლად, ადამიანებივით კი არა, არამედ როგორც პირუტყვები. ამიტომ ამათაც, მოქალაქეთა მსგავსად, შეერყათ ზნეობა და დარდი აღარა ჰქონდათ არც თავისი საქმეებისა და აღარც თავის ქონებისა; პირიქით, ესენი თითქო ყოველდღე მოელოდნენ სიკვდილსო, არა ცდილობდნენ საქონლის გამრავლებას, არა ჰკრეფდნენ მიწის ნაყოფს, რომელშიაც ოფლი უწვიმებიათ, და ყოველი ღონით ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა, ჩქარა გაექროთ უკვე დაგროვილი დოვლათი, თუ რამ ებადათ. ამას ის მოჰყვა, რომ ხარებს, სახედრებს, ცხვარს, თხებს, ღორებს, ქათმებსა და თვით ძაღლებს — ადამიანის ამ უერთგულეს ცხოველებს — ეზოდან ერეკებოდნენ და ესენიც დაძრწოდნენ ყანებში (სადაც პური ეთესა, რომელიც არამცთუ დაბინავებული არ იყო, ჯერ არც კი მოემკათ) სრულიად თავისუფლად. და უმეტესობა ამ პირუტყვისა, თითქო გონიერი არსებანი არიანო, დღისით კარგად რომ სძოვდნენ, საღამოს, გამაძღრები, თვითონ ბრუნდებოდნენ ხოლმე უმწყემსოდ სახლში.

იმაზე მეტი რაღა ვთქვათ (დავანებოთ თავი სოფლებსა და ისევ ქალაქს დავუბრუნდეთ), რომ ზოგი ღვთის სასტიკი განაჩენით და ზოგიც, შეიძლება, ადამიანთა გულქვაობის

წყალობით, მარტსა და ივლისს შორის, ჭირისა თუ მოუვლელობის გამო, — რადგან კარგადმყოფთ შიშის ზარი დაეცათ, — დანამდვილებით ამბობდნენ, რომ ქალაქ ფლორენციის კედლებში ასი ათას კაცზე მეტი დაიხოცაო, ხოლო ამ მომსვრელ სენამდე, შეიძლება, არავის ეგონა, თუ ამდენი მცხოვრები იყო ქალაქში. ვინ მოთვლის, რამდენი უზარმაზარი სრა-სასახლეები, რამდენი საუცხოო სახლი, რამდენი მშვენიერი სადგომები, წინათ სავსენი მსახურებითა, ბატონებითა და ქალბატონებითა, დღეს ცარიელი იდგა, რადგან შიგ ყველანი ამოწყდნენ უკანასკნელ მსახურამდე. ვინ იცის, რამდენი სახელოვანი გვარი, რამდენი უშველებელი მემკვიდრეობა და სიმდიდრე დარჩა უმემკვიდრეოდ? რამდენი მხნე ვაჟკაცი, რამდენი ლამაზი ბანოვანი, რამდენი მშვენიერი ჭაბუკი, რომელნიც, სხვას კი არა, თვით გალენს, ჰიპოკრატეს, ან ესკულაპუსს შეეძლოთ ეღიარებინათ სრულებით ჯანსაღებად, დილით თავიანთ მშობლებთან, ამხანაგებთან და მეგობრებთან ერთად ისხდნენ სადილად, ხოლო მეორე დღის საღამოს საიქიოში თავიანთ მიცვალებულ წინაპრებს უსხდნენ გვერდით ვახშმად.

მე თვითონ მიმძიმს მოვიგონო ხოლმე ყოველი წვლილი ამ საშინელ უბედურებათა. ამიტომ გამოვაკლებ ყოველსავე იმას, რაც, მე მგონია, არას დააკლებს ჩემს მოთხრობას, და მოგახსენებთ, რომ იმ დროს, როცა ქალაქი იმ დღეში იყო, მცხოვრებთაგან სულ დაცარიელდა, ერთხელ (როგორც ეს შემდეგ ერთი სარწმუნო ადამიანისაგან გავიგონე,) ერთ სამშაბათ დილას, წმინდა ახალი მარიამის (Senta Maria Novella) ყველასაგან თაყვანცემულ ეკლესიაში, იმ დროს, როცა შიგ ჯერ არავინ იყო გარეშე, შვიდმა ახალგაზრდა ქალმა, მძიმე შავებჩაცმულებმა, როგორც ამას მაშინდელი დრო მოითხოვდა, წირვა მოისმინეს. ეს ქალები ან მეგობრობით იყვნენ ერთიმეორესთან დაკავშირებულნი, ან მეზობლობით და ან კიდევ ნათესაობით. არც ერთი მათგანი ოცდარვა წელიწადს არ იყო გადაცილებული, არც თვრამეტი წლისაზე ნაკლები ყოფილა; შვიდნივე ჭკვიანები იყვნენ, კეთილშობილთა შთამომავლობისა, ლამაზები, ზნედაცულნი, ზრდილნი და კდემამოსილნი. ყველას ნამდვილ სახელს ვუწოდებდი, მხოლოდ ერთი პატივსადები მიზეზი მიშლის ამას. ეს მიზეზიც შემდეგი გახლავთ: მე არ მსურს, რომ შემდეგში რომელსამე მათგანს შერცხვეს ქვემომოყვანილი მათ მიერ ნაამბობი ან მონასმენი მოთხრობების, იმიტომ რომ ის სიამოვნება, რომელსაც ზემოხსენებულ მიზეზთა გამო იმ დროს თავისუფლად ანიჭებდნენ თავიანთ თავს არა მარტო მათი ასაკის ხალხი, არამედ უფრო ხნიერებიცა, ახლა, ჩვენს დროში საძრახისად ითვლება; აგრეთვე არ მინდა მივცე საბაბი შურიანებს, რომლებიც მუდამჟამ მზად არიან ჩირქი მოსცხონ სამაგალითო ცხოვრების ადამიანს, და შეეცდებიან ყოვლად პატიოსან მანდილოსნებს თავიანთი უადგილო გაკილვით სახელი გაუტეხონ ხოლმე. და იმისათვის, რომ ეს ქალები ერთიმეორეში არ აერიოს კაცს, როცა ისინი მოთხრობას შეუდგებიან, მეც ავიღებ და თითოეულ მათგანს ისეთ სახელს დავარქმევ, რომელიც მოუხდება ან სავსებით, ან ნაწილობრივ, თითოეულის თანდაყოლილ თვისებას.

პირველ მათგანს, ამ შვიდში ყველაზე უფროსს, დავარქვათ პამპინეა, მეორეს — ფიამეტა, ფილომენა — მესამეს, ხოლო მეოთხეს — ემილია, მერე ლაურეტა დავარქვათ მეხუთეს, მეექვსეს — ნეიფილე, სულ უკანასკნელს, არცთუ უმიზეზოდ, ვუწოდოთ ელიზა. ესენი, წინდაწინ არც-კი მოლაპარაკებულან, ისე, სრულიად შემთხვევით ეკლესიის ერთ კუთხეში ერთად მიდგნენ და წრის მსგავსად ჩამოსხდნენ; ჯერ ამოიხვნეშეს, „მამაო ჩვენოს“ თქმას თავი დაანებეს და ჩამოაგდეს ლაპარაკი ახლანდელი უბედურების, სხვადასხვა ამბებისა და შემთხვევათა შესახებ. ცოტა ხნის შემდეგ, სხვები რომ გაჩუმდნენ, პამპინეამ დაიწყო ლაპარაკი: — ძვირფასო ქალებო! თქვენც, როგორც მე, ალბათ ხშირადა გსმენიათ, ცუდს არავის უშვრება ის, ვინც პატიოსნად ხმარობს ხოლმე თავის უფლებას. ყოველ ადამიანს, ვინც ამქვეყნად იბადება, ბუნებისაგან მიენიჭება ხოლმე უფლება, რამდენადაც შეუძლია, ხელი შეუწყოს, შეინახოს და დაიცვას თავისი სიცოცხლე. ამ უფლებით იმ ზომამდე სარგებლობს ადამიანი, რომ ზოგჯერ მომხდარა, თავის სიცოცხლის შესანარჩუნებლად ადამიანს სრულიად უდანაშაულო ადამიანი მოუკლავს კიდეცა. და თუკი ეს ნებადართულია კანონის მიერ, რომელიც ყველა სიკვდილის შვილის კეთილდღეობისათვის ზრუნავს, ნუთუ მით უფრო ჩვენ და სხვას ყველას არ უნდა გვქონდეს ნება, სხვისთვის ზიანის მიუყენებლად, ჩვენის სიცოცხლის შესანარჩუნებლად ვიხმაროთ ის საშუალება, რომლისთვისაც კი ხელი მიგვიწვდება. როდესაც უფრო კარგად დავუფიქრდები იმას, თუ რა გავაკეთეთ ამ დილას და აგრეთვე წინა დღეებში, როგორც კი მოვიგონებ, თუ რაზე ვლაპარაკობდით, ვრწმუნდები და მსგავსადვე თქვენც დარწმუნდებით, რომ ყოველი ჩვენგანი თავის სიცოცხლისთვის შიშობს. მაგრამ მე ეს სრულებით არ მაკვირვებს, ხოლო ძალზე მაკვირვებს ის, რომ ჩვენ (როგორც ქალები, მგრძნობიარე გულის პატრონნი) არა ვცდილობთ თავი დავაღწიოთ იმ უბედურებას, რისაც ყოველ ჩვენთაგანს უნდა გვეშინოდეს. მე ასე მგონია, თითქოს აქ იმისთვისღა ვცხოვრობდეთ, რომ გვინდოდეს ან ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნდეს დავთვალოთ ხოლმე, რამდენი მიცვალებული წამოასვენეს სასაფლაოზე, ანდა თვალყური ვადევნოთ, აქაური ბერები, რომელთაგან ცოცხალი ძალიან ცოტა დარჩა, დაწესებულ დროზე სწირავენ და ლოცულობენ თუ არა, ან კიდევ გამვლელ-გამომვლელს ჩვენი ტანისამოსის საშუალებით ვუჩვენოთ, თუ რა გვაწუხებს და რაზომ დიდია ეს ჩვენი მწუხარება. აქედან რომ გამოვალთ, დავინახავთ, რომ ყველა მხრიდან ან მიცვალებულს მოასვენებენ; ან ავადმყოფი მოჰყავთ; ვხედავთ აგრეთვე იმათ, ვისაც დანაშაულისათვის სასამართლომ სამშობლოდან განდევნა მიუსაჯა, ახლა ესენი მთელ ქალაქში დაწანწალებენ და ყოველ სისაძაგლეს სჩადიან. თითქო სასამართლოს დასცინიანო, იმიტომ რომ იციან, კანონის აღმასრულებელნი ან დაიხოცნენ, ან ლოგინად ჩავარდნილნი არიან; მსგავსადვე ვხედავთ ჩვენი ქალაქის ნაძირალებს, ესენი თავის თავისთავს ბეკინებს უწოდებენ, ჩვენს სისხლს არიან მოწყურებულნი, დააჭენებენ ცხენებს, ან ქვეითად დარბიან ყველგან ჩვენს საწვალებლად, მღერიან უწმაწურ სიმღერებს და გვაყვედრიან, თითქო ჩვენ ვიყოთ დამნაშავენი, რომ უბედურება გვეწია. საითაც გაიხედავთ, ესღა გვესმის: მავანნი დაიხოცნენ. მავანნი სიკვდილის პირას არიანო. ყველგან ტირილსა და

გოდებას გავიგონებდით, რომ საგირლად ვინმე იყოს დარჩენილი. შინ რომ ვბრუნდები (არ ვიცი, თქვენც ასე გემართებათ თუ არა, როგორც მე), იმ უშველებელი ოჯახისაგან მხოლოდ მოახლე მხვდება და ისეთი შიში ამიტანს, თმა ყალყზე დამიდგება ხოლმე; სადაც უნდა წავიდე, ან სადაც უნდა გავჩერდე, ყველგან მიცვალებულთა აჩრდილები მელანდება, მაგრამ იმ სახით კი არა, რა სახითაც ისინი მინახავს, არამედ სულ სხვა, საზარელი სახით, და გულს მიხეთქავენ, და ვკვირობ, თუ რად მევლინებიან ამგვარად. ამიტომ როგორც აქ, ისე სხვაგან თუ სახლში, ძალიან ცუდადა ვარ ხოლმე; და მით უფრო, რომ, რამდენადაც მე ვიცი, არავინ გადარჩენილა ჩვენს გარდა ისეთი, რომელსაც ჩვენებრ ქალაქგარეთ ჰქონოდა მამული და იქ შესძლებოდა გასვლა. რამდენჯერ მსმენია, რომ თურმე არიან ისეთებიც (ყოველ შემთხვევაში, ამისი რამდენიმე მაგალითიცაა), იმას არ დასდევენ, ცუდსა შვრებიან თუ კარგსა, მხოლოდ თავიანთ გულისთქმას ჰყვებიან, ცალ-ცალკე თუ სხვებთან ერთად, დღისით თუ ღამით, სჩადიან იმას, რაც მათ უაღრეს სიამოვნებასა ჰგვრის ხოლმე. წინათ თუ ამას ყოველგვარი აღთქმისაგან თავისუფალი ადამიანნი შვრებოდნენ, ახლა ამასვე აკეთებენ მონასტრებში დამწყვდეულნიც; ამათ თავიანთი თავი დაარწმუნეს, რომ რასაც სჩადიან სხვები, მათთვისაც საფერია და საძრახისი არ არის, დათრგუნეს მორჩილების აღთქმა და ხორციელ სიამოვნებას დაეწაფნენ; გაიძახიან, ამ გზით სიკვდილს თავს დავაღწევთო და ყოვლად გარყვნილებად და უზნეოებად გადაიქცნენ. და უკეთუ ყოველივე ეს მართლა ასეა (შეგვიძლია საკუთარი თვალით დავრწმუნდეთ, რომ ასეა), ჩვენ აქ რაღა გვინდა? რაღას ვუცდით? რაღასა ვფიქრობთ? სხვა მოქალაქეებზე ნაკლებად და გულგრილად რათა ვზრუნავთ თავის გადარჩენისათვის? ნუთუ სხვებს უფრო ძვირფასად უღირთ თავიანთი სიცოცხლე, ვიდრე ჩვენ? ან იქნებ ვფიქრობდეთ, ვითომც სიცოცხლე ჩვენ უფრო მაგარი ჯაჭვით გვქონდეს მიმაგრებული სხეულზე, ვიდრე სხვებსა, და ამიტომ დარდი არ უნდა გვქონდეს იმისა, რასაც შეუძლია ამ სიცოცხლეს რაიმე ავნოს? ვცდებით, თავს ვიტყუებთ; მერე რა ბრიყვები უნდა ვიყოთ, თუ ასე გვგონია! მოვიგონო, თუ რამდენი და მერე როგორი ჭაბუკები და ნორჩი ქალები შეეწირნენ ამ ულმობელ სენსა, და მაშინ თვალნათლივ დავინახავთ ჩვენი შეცდომის დამამტკიცებელ საბუთსა. ამიტომ ჩვენი ჯიუტობითა და უდარდელობით რომ არ ჩავცვივდეთ იმ უბედურებაში, რასაც ამა თუ იმ გზით თავს დავაღწევდით, თუკი მოვინდომებდით (არ ვიცი, გაიზიარებთ თუ არა თქვენ ჩემს მოსაზრებას), მე საუკეთესოდ მიმაჩნია მოვიქცეთ ისე, როგორც ჩვენამდე იქცეოდნენ სხვები და ახლაც იქცევიან: როგორცა ვართ ისე, ავდგეთ და აქედან გავიდეთ; ვეკრძალოთ, როგორც სიკვდილს, სხვათა უსინდისო მაგალითს; პატიოსნად გავიდეთ სოფლად ჩვენს მამულში, და მამული ხომ ყოველ ჩვენგანს საკმარისად მოგვეპოვება; დავბინავდეთ იქა; ნუ გადავცდებით კეთილგონიერების საზღვარს, ისე კი, რამდენადაც შეგვეძლება, ვილხინოთ, ვიმხიარულოთ, გავერთოთ და შვება მივცეთ ჩვენს თავს. იქ გავიგონებთ ფრინველთა სტვენასა, ვიხილავთ ამწვანებულ გორაკებსა და ვაკეებს, ყანებს, სადაც ზღვასავით ღელავს და ბიბინებს შემოსული პური; დავინახავთ ათასი ჯურის ხეებს და უმეტესად გაშლილ ცას, რომელიც, მართალია, განგვირისხდა მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ გვიმალავს თავის მარადიულ მშვენებას.

ჯობს ყოველივე ამას ვუყუროთ, ვიდრე ჩვენი ქალაქის გაფხეკილ კედლებს. გარდა ამისა, იქ ჰაერიც გაცილებით გრილია და ყველაფერი ის, რაც ახლანდელი დროის შესაფერი ცხოვრებისათვის საჭიროა, ჭარბად მოიპოვება. საწყენიც ნაკლები იქნება, რადგან, თუ იქაც იხოცებიან გლეხები, როგორც აქ მოქალაქენი, ეს ისე დარდიან გუნებაზე არ დააყენებს ადამიანს, იმიტომ რომ სოფლად სახლები და მოსახლეობა უფრო თხლადაა, ვიდრე ქალაქში. და მეორე მხრივ, თუ არა ვცდები, ჩვენ აქ თავს არავის ვანებებთ; მართალი მოგახსენოთ, ისევ ჩვენ თვითონა ვართ თავმინებებულნი, რადგან ჩვენები ან დახოცილან, ან სიკვდილს გაქცევიან და ჩვენ აქ მარტო დავუგდივართ, საშინელ გაჭირვებაში თითქოს მათი არც როდესმე რამე ვყოფილიყოთ. მაშასადამე, ვერავინ გაგვიცხავს, თუ ამ რჩევას დავადგებით. და თუ არ დავადექით, მოგველის მწუხარება და ურვა და შეიძლება სიკვდილიც. ამიტომ, თუ თქვენი ნებაც იქნება, წავიყვანოთ ჩვენი მოსამსახურე გოგოები, რომლებიც საჭირო ნივთებს წამოგვიღებენ, და ჩვენც დღეს ერთ ალაგას გავატაროთ დრო, ხვალ მეორე ალაგას, ვიმხიარულოთ და გავერთოთ იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია ახლანდელ დროში. მე მგონია, ძალიან კარგსაც ვიზამთ, თუ ასე მოვიქცევით, და ასე მანამდე ვიცხოვრებთ (თუ სიკვდილი არ გვეწია), სანამ ზეცა ამ ამბებს ბოლოს მოუღებდეს. გაგახსენებთ, რომ ჯობს აქაურობას პატიოსნად გავეცალოთ, ვიდრე აქ დავრჩეთ და უპატიოსნოდ მოვიქცეთ, როგორც ამასა შვრება აქ დარჩენილთა უმეტესობა.

სხვა ქალებმა, პამპინეას რომ მოუსმინეს, არა მარტო მოუწონეს რჩევა, არამედ სურვილი განაცხადეს მაშინვე აესრულებინათ მისი ნათქვამი და ურთიერთ შორის დაწვრილებით ლაპარაკი დაიწყეს, თითქოს, რომ წამოდგებოდნენ, ხელიხელგაყრილნი კიდეც გზას უნდა გასდგომოდნენ. მაგრამ ფილომენამ, როგორც ყველაზე ჭკვიანმა ქალმა, უთხრა: — ქალებო! თუმცა რაც პამპინეამ გვითხრა, ყველაფერი მეტად ჭკუაში მოსასვლელია, მაგრამ მაინც არც ისე უნდა ავჩქარდეთ, როგორც ეს თქვენ გესწრაფებათ. იცოდეთ, ჩვენ აქ მარტო ქალები ვართ და ჩვენ შორის ისეთი ბალღი არავინაა, არ იცოდეს, რომ მხოლოდ ქალის ჭკუით შორი მანძილის გავლა არ შეიძლება და თუ მამაკაცის გონებაც არ გაერია, ისე საქმეს ვერ მოვაგვარებთ. ქალები დაუდეგარნი ვართ, თავისნათქვამნი, იჭვიანები, სულსწრაფნი და ჯაბანნი: ამიტომ მე ძალიან ვეჭვობ, თუ ხელმძღვანელებად სხვა ვინმე არ ავიყვანეთ, ჩვენი საზოგადოება ვაითუ სულ მალე დაიშალოს, რაც არც სასახელო იქნებოდა ჩვენთვის და აღარც სასურველი. ამიტომ სანამ საქმეს შევუდგებოდეთ, კარგი იქნებოდა წინამძღოლი ვინმე გვეშოვნა.

მაშინ ელიზამ თქვა: — მართალსა ბრძანებთ, მამაკაცი — დედაკაცის თავია, და უმამაკაცოდ ჩვენი დაწყებული საქმე საქებრად იშვიათად ბოლოვდება; მაგრამ თქვენს ლხენას, საიდანღა ვიპოვოთ ასეთი კაცები? ყოველმა ჩვენთაგანმა იცის, რომ ჩვენიანები მეტწილად დაიხოცნენ, ვინც ცოცხლები გადარჩნენ, შეიკრიბნენ ჯგუფ-ჯგუფად და, ვინ იცის,

ზოგი სად წავიდა და ზოგი სად, გაექცნენ იმას, რასაც ახლა ჩვენც გავურბით. ისე კი მართებული არ იქნება ჩვენთვის, უცხოებსა ვთხოვოთ გამოყოლა. თუ ჩვენ ჩვენის სიმრთელისათვის მართლა ვზრუნავთ, უნდა ვიპოვოთ ისეთი საშუალება და ისე მოვეწყოთ, რომ მართლა დავისვენოთ და დრო გავატაროთ და არა უსიამოვნება განვიცადოთ და სხვათა ყბადასაღები გავხდეთ.

სანამ ქალები ამ ლაპარაკში იყვნენ, ეკლესიაში შემოვიდა სამი ახალგაზრდა კაცი. თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ არც ისე ახალგაზრდები იყვნენ, რადგან სულ უმცროსი მათგანი ოცდახუთის წლისა იქნებოდა. ამათ აღარც იმ დროების უბედურებამ, აღარც მეგობრებისა თუ მშობლების სიკვდილმა, აღარც თავიანთი თავის შიშმა სიყვარულის ალი არამცთუ ვერ ჩაუქრო, ოდნავადაც ვერ გაუნელა, ამ ყმაწვილებს ერთს ერქვა პამფილო, მეორეს — ფილოსტრატო, ხოლო უკანასკნელს — დიონეო; სამნივე მხიარულის გუნებისანი და მეტად ზრდილნი იყვნენ; ისინი დადიოდნენ და ამ საერთო უბედურების ჟამს თავისთვის დიდ ბედნიერებათა სთვლიდნენ — ეპოვნათ თავიანთი გულის სატრფო. მათი სამივე სატრფო შემთხვევით სწორედ ზემოხსენებულ შვიდ ქალს შორის იყო, ხოლო დანარჩენთაგან ზოგიერთნი ნათესავად ხვდებოდნენ ზოგ ამ ყმაწვილთაგანს. ერთი თვალი გადაავლეს თუ არა ქალებს, ქალებმაც დაინახეს ყმაწვილები. მაშინ პამპინეამ გაიღიმა და დაიწყო: — ეტყობა, ბედი გვწყალობს და ჩვენს დაწყებულ საქმეს ხელს უწყობს! აჰა, გამოგვიგზავნა ღირსეული და თავმდაბალი ყმაწვილები, რომელნიც სიამოვნებით იკისრებენ ჩვენს წინამძღვრობას და სამსახურს, თუკი ჩვენ არ დავიწუნებთ მათ ამ სამსახურისათვის.

მაშინ ნეიფილე სირცხვილისაგან მთლად წამოჭარხლდა, რადგან ერთ-ერთ ამ ყმაწვილთაგანს უყვარდა და თქვა: — პამპინეა! თუ ღმერთი გწამს, ერთი დაფიქრდი, რას ამბობ. მე ამათ სამივეს კარგად ვიცნობ, არც ერთი მათგანის შესახებ კარგის მეტი არაფერი ითქმის; ჩემი ფიქრით, იმათ ამაზე უფრო დიდი საქმე შეუძლიათ, ვიდრე ჩვენა ვთხოვთ, და მგონია, მათთან ყოფნა ჩვენზე უფრო ლამაზ და ღირსეულ ქალებსაც კი გაეხარდებოდათ და თავისმოსაწონებლად ექნებოდათ. მაგრამ ყველამ იცის, რომ იმათ ზოგი ჩვენთაგანი უყვართ, ამიტომ ესენი რომ მოვიწვიოთ, მეშინია, ვაითუ კუდი რამ გამოაბან და ჭორაობა დაიწყონ, თუმცა არც ჩვენგან ექნებათ მათ ჭორაობის მიზეზი და აღარც ამათგან ჩვენ.

მაშინ ფილომენა ჩაერია ლაპარაკში: — ეგ არაფერია. საცა მე პატიოსნად მიჭირავს თავი, სინდისის ქენჯნა არა მაქვს, ვინც რა უნდა თქვას: ღმერთი და სიმართლე იქნებიან ჩემი მცველები და მფარველები. და ეს ყმაწვილები რომ წამოგვყვებოდნენ, შეგვეძლება, როგორც პამპინეამ, ვთქვათ: ჩვენს მგზავრობას ბედი სწყალობსო.

ასეთი ლაპარაკი რომ გაიგონეს ქალისა, სხვები არამცთუ დამშვიდდნენ, ყველანი უკლებლივ დასთანხმდნენ — დავუძახოთ ყმაწვილებს, ჩვენი განზრახვა ვუთხრათ და

ვთხოვოთ, პატივი გვცენ და გამოგვყვნენო. პამპინეა ხმის ამოუღებლად ზეზე წამოდგა, გაემართა ყმაწვილებისაკენ, რომლებიც გაუნძრევლად იდგნენ და თვალებს არ აშორებდნენ ქალებს, მხიარული სახით მიესალმა, თავისი განზრახვა გაუზიარა და სხვა ქალების მაგივრად სთხოვა წმინდა და და-ძმური გულით გამოჰყოლოდნენ. ყმაწვილებს ჯერ ეგონათ, თუ გვეხუმრებიანო; მერე რომ დაინახეს, ქალი მართალს უნდა ლაპარაკობდესო, დიდის სიამოვნებით უპასუხეს, მზად გახლავართ გეახლოთო, და იქვე, დაუყოვნებლივ, სანამ დაიშლებოდნენ, მოილაპარაკეს, თუ ვის რა უნდა წამოეღო სამგზავროდ.

ქალებმა უბრძანეს, გამოეწყოთ ყველაფერი, რაც საჭირო იყო სამგზავროდ, მერე წინდაწინ შეატყობინეს, სადაც უნდა მისულიყვნენ და მეორე დილას, ესე იგი ოთხშაბათს, გათენებისას, ქალებმა რამდენიმე თავიანთი მოახლე ქალი, ხოლო ყმაწვილებმა თავიანთი მსახურები იახლეს, გავიდნენ ქალაქიდან და გაუდგნენ გზას. ქალაქიდან ორიოდ მილი გაიარეს და მიადგნენ იმ ადგილს, სადაც პირველად უნდა გაჩერებულიყვნენ.

ეს ადგილი ერთ პატარა გორაკზე მდებარეობდა, შორავდა ყველა გზას, ქალაქისაკენ მიმავალს, და დაფარული იყო ნაირ-ნაირი ბუჩქებითა და მცენარეებით, რომელთა ხასხასა მწვანე ფოთლების ყურებით თვალი ვერა ძღებოდა. გორაკის თხემზე წამოდგმული იყო მშვენიერი სასახლე, რომელსაც შუაში საუცხოო და დიდი ეზო ჰქონდა; სასახლეშივე იყო აივნები, დარბაზები, ოთახები, ყველა სანიმუშო, როგორც სათითაოდ, ისე საერთოდ, კედლებს ამშვენებდა თვალწარმტაცი და მხიარული შინაარსის სურათები; გარშემო ბუსნოები და კალმით დახატული ბაღები ერტყა; აქვე იყო ყინულივით ცივი ჭები და მარნები, ძვირფასი ღვინოებით სავსე, რომელთაც ღვინის მსმელები უფრო დააფასებდნენ, ვიდრე ჩვენი პატიოსანი და კდემამოსილი ქალები. მოსულ საზოგადებას აქაურობა დაგვილი დახვდა, ოთახებში მათთვის ლოგინები მოემზადებინათ, ყველგან მოეყარათ ყვავილები, რის შოვნაც კი შეიძლებოდა იმ დროებაში, მოეყარათ აგრეთვე ლერწმის ღეროებიცა. ყველამ ფრიად გაიხარა.

როცა აქ მოვიდნენ და ჩამოსხდნენ, დიონეომ, ყმაწვილებში ყველაზე მეტად მხიარულმა და ყველაზე მეტად ენამოსწრებულმა, ასე მიმართა ქალებს: — ქალებო! თქვენ აქ მოგიძღვით უფრო თქვენი ჭკუა, ვიდრე თქვენი მიხვედრილობა. მე არ ვიცი, თქვენ რა უნდა უყოთ თქვენს ფიქრებს მე კი ჩემი ფიქრები ქალაქის უკან დავტოვე, საიდანაც თქვენთან ერთად ამ ცოტა ხნის წინ გამოვედი. ამიტომ ან მოემზადენით ჩემთან ერთად მხიარულებისა, სიცილისა და სიმღერისათვის (რა თქმა უნდა, რამდენადაც თქვენი ღირსება ამის ნებას მოგცემთ), ან დამითხოვეთ და კვლავ დავუბრუნდები ჩემს ფიქრებს და დავრჩები განაწამებ ქალაქში.

ამაზე პამპინეამ, თითქო იმანაც უკუჰყარა თავისი დარდებიო, მხიარულად უპასუხა: — დიონეო! შენს პირს შაქარი. ვიმხიარულოთ, გეთაყვა. აბა, სხვა რისთვის გამოვექეცით

სიმძიმილსა, თუ არა ამისთვის! მაგრამ რადგან საფუძვლიანად მოუწყობელი საქმის დიდხანს გაგრძელება არ შეიძლება, მე, რომელმაც ვითავე იმ საუბრების მოწყობა, რომელთა წყალობით ეს მშვენიერი საზოგადოება შედგა, მოსურნე გახლავარ დიდხანს გაგრძელდეს ჩვენი მხიარულება და შვება და ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ერთმანეთში მოვილაპარაკოთ: ჩვენში ერთ-ერთი უფროსად ავირჩიოთ, და იმას ყური ვუგდოთ და დავემორჩილოთ, დაე იმან იზრუნოს და მხიარულად გაგვატარებინოს დრო. და რათა ყოველმა ჩვენთაგანმა განიცადოს როგორც სიმძიმე ზრუნვისა, ისე სიამოვნება, რომელსაც უფროსობა მიანიჭებს, მე გირჩევთ უფროსებად რიგ-რიგად ავირჩიოთ ხოლმე ყველა ჩვენთაგანი, რომ ერთიმეორისა არავის შეშურდეს. ესე იგი, ყოველმა ჩვენთაგანმა თითო დღის განმავლობაში ზიდოს ტვირთი ზრუნვათა და ამავე დროს განიცადოს პატივი და სახელიცა; პირველი უფროსი ჩვენ ყველამ ავირჩიოთ, ხოლო სხვები, დასაღამოჟამდება თუ არა, აირჩიოს თვითონ იმ ქალმა თუ კაცმა, რომელსაც უფროსობა ჰქონდა იმ დღეს; და ამ არჩეულმა, სანამ მისი უფროსობის დღე მიიწურება, თავის ნებაზე აირჩიოს ჩვენი სამყოფელი ადგილი და მოაწყოს, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ.

ეს სიტყვები ყველას მოეწონა და პირველი დღისათვის უფროსად ერთხმად პამპინეა აირჩიეს. ხოლო ფილომენას არაერთხელ გაუგონია, რომ დაფნის ტოტები პატივსა ნიშნავდა და სასახელო იყო იმისათვის, ვისაც ღირსეულად თავს დაუმშვენებდა; ამიტომ საჩქაროდ ერთ დაფნის ხესთან მიირბინა, მოსტეხა რამდენიმე ტოტი, შეთხზა ლამაზი და საპატიო გვირგვინი, და თავზე დაადგა პამპინეას. ამის შემდეგ, სანამ მათი ჯგუფი დაიშლებოდა, ეს გვირგვინი ყოველი მათგანისათვის ნიშანი იყო სამეფო ღირსებისა და უფროსობისა.

პამპინეამ, დედოფლად გახდა თუ არა, ყველას უბრძანა გაჩუმებულიყვნენ, მერე დააძახებინა სამი ახალგაზრდა კაცის მსახურებისა და ქალების ოთხი მოახლისთვის, და ყველანი რომ გაჩუმდნენ, ასე დაიწყო: — პირველმა მე მინდა ყველას მაგალითი გაჩვენოთ იმისა, თუ როგორ უნდა ვიზრუნოთ, რომ ჩვენმა ჯგუფმა ყოველი წესი და რიგი დაიცვას და ისე იცხოვროს ყოვლად ურცხვენელად და უყვედრელად და იმდენ ხანს, სანამ მას მოსწყინდებოდეს ერთად ყოფნა. ამიტომ, ყოველთ უწინარეს, დიონეოს მსახურს, პარმენოს, ჩემს სინისკალკოდ ვირჩევ. მისთვის დამიკისრებია ზრუნვა ჩვენი საოჯახო საქმეებისა და საჭმელ-სასმელისათვის. პამფილოს მსახურს, სირისკოს, ჩაბარებული ექნება ჩვენი ფული, ის იქნება ჩვენი ხაზინადარი და რასაც პარმენო ეტყვის, გაუგონოს. ტინდარო უნდა ემსახუროს ფილოსტრატოს და ორ მის ამხანაგს მათს ოთახებში, იმ შემთხვევაში, როცა მათს მოსამსახურეებს, ახალი თანამდებობით გართულთ, მათთვის არ ეცლებათ. ჩემი მოახლე — მიზია და ფილომენასი — ლიჩისკა განუწყვეტლივ სამზარეულოში იტრიალებენ და პარმენოს მოტანილ სურსათისაგან საჭმელებს დაგვიმზადებენ. ლაურეტას მოახლე — კიმერა და ფიამეტასი — სტრატილა ქალების ოთახებს დაალაგებენ და საცა ვიქნებით, იქაურობის

სისუფთავისთვის თვალ-ყურს დაიჭერენ. თითოეულ მსახურთაგანს, თუკი ისინი ჩვენს წყალობას რადმე აგდებენ, ვუცხადებთ ჩვენს სურვილს და ბრძანებას, რომ საცა უნდა წავიდეს, საიდანაც უნდა დაბრუნდეს, რაც უნდა ენახოს და გაეგონოს, არ გაბედოს და მხიარული ამბის მეტი გარედან სხვა არაფერი მოგვიტანოს.

ეს მოკლედ გაცემული ბრძანება ყველამ მოუწონა. მერე მხიარულად ზეზე წამოდგა და უთხრა: — აქა გვაქვს ბაღები, აქა გვაქვს ბუსნარები და ბევრი სხვა სასიამოვნო ადგილები. თქვენ შეგიძლიათ ვისაც საცა გინდათ, მხიარულად დრო გაატაროთ, მაგრამ სამ საათს დაჰკრავს თუ არა, ყოველი თქვენთაგანი აქ უნდა გაჩნდეს, რომ სიგრილეში ვისადილოთ ხოლმე.

მხიარულმა საზოგადოებამ, რაკი დედოფლისაგან ნებართვა მიიღო, ყმაწვილკაცებმა და ქალებმა საამო ლაპარაკ-ბაასით ნელი ნაბიჯით ბაღისაკენ ნელი ნაბიჯით გასწიეს. აქ ტოტებისაგან ნაირ-ნაირი გვირგვინები შეთხზეს და საამო სიმღერებიც შემოსძახეს. იმდენ ხანს დარჩნენ აქ, რამდენის ნებაც დედოფლისაგან ჰქონდათ მოცემული. შინ რომ დაბრუნდნენ, დარწმუნდნენ, როგორი ერთგულებით შესდგომოდა პარმენო თავის თანამდებობის ასრულებას, რადგან ქვედა სართულის ერთ-ერთ დარბაზში რომ შევიდნენ, დაინახეს, რომ მაგიდებისათვის უმტვერო თოვლივით თეთრი სუფრები გადაეფარებინა, ზედ დაედგა ვერცხლივით კრიალა ჭიქები და ყველგან ჯინესტრას ყვავილი მიმოებნია. როცა დედოფლის ბრძანებით წყალი მოიტანეს და ყველამ ხელი დაიბანა, პარმენომ ყველას თავ-თავისი ადგილი უჩვენა დასაჯდომად. მოიტანეს საუცხოოდ დამზადებული საჭმელები, ამას ძვირფასი ღვინოები მოაყოლეს; სუფრაზე აუჩქარებლივ და უფუსფუსოდ სამი ფარეში ემსახურებოდათ. და რადგან ყოველივე თავ— თავის რიგზე და წესიერად იყო მოწყობილი, ყველა ძალზე გამხიარულდა და ხუმრობითა და სიცილით შეექცეოდნენ. სუფრიდან რომ წამოიშალნენ (რადგან როგორც ყმაწვილებმა, ისე ქალებმა, ყველამ იცოდა თამაშობა, ხოლო ზოგიერთი მათგანი უკრავდა და მღეროდა კიდეც), დედოფალმა ბრძანა საკრავი იარაღები მოეტანათ; მისი ბრძანებით დიონეომ ხელში აიღო ჭიანური, ხოლო ფიამეტამ — ვიოლინო და ორივემ მშვენიერი საცეკვაო დაუკრეს. დედოფალმა კი მსახური პურის საჭმელად დაითხოვა და თვითონ სხვა ქალებთან და ორ ყმაწვილთან ერთად მშვენიერ ფერხულში ჩაება ნელი და ნარნარი ნაბიჯითა; ფერხულს რომ მორჩნენ, კარგი და მხიარული სიმღერები იმღერეს და ასეთ ყოფაში მანამდე დარჩნენ, სანამ დედოფალმა არა თქვა — დროა ძილად მისვლისაო. როცა ყველას ნება მისცა დასაძინებლად წასვლისა, სამი ყმაწვილი თავიანთ ოთახში წავიდა, რომლებიც ქალების ოთახებისაგან სრულებით განცალკევებულად იმყოფებოდა. აქ მათ დაუხვდათ მშვენივრად გაშლილი ქვეშსაგები და ყველგან მიმობნეული ყვავილები; მსგავსადვე ქალებიც თავიანთ ოთახებში წავიდნენ, ტანთ გაიხადეს და დასასვენებლად დაწვნენ.

ჯერ ცხრა საათი არ შესრულებულიყო, რომ დედოფალი ადგა, სხვა ქალებიც ააყენა, ააყენებინა აგრეთვე ყმაწვილები და უთხრა: დღისით ბევრი ძილი მაწყინარიაო. აქედან ერთ მაღალ და მწვანე ბალახიან ბუსნოზე გავიდნენ, სადაც მზე არსაიდან უყურებდა; აქ როცა მშვენიერმა ნიავმა დაჰბერა, და დედოფლის სურვილის თანახმად წრე გააკეთეს და ჩამოსხდნენ, დედოფალმა ასეთის სიტყვებით მიმართა: — როგორც ხედავთ, მზე მაღლაა ასული და სიცხეც ძალზე აჭერს, ზეთისხილის ხეებს შორის ჭრიჭინების ხმაღა ისმის. ამიტომ აქედან სხვა ალაგას წასვლა დიდი სიბრიყვე იქნებოდა. აქ გრილა და მშვენივრადა ვართ, გვაქვს ჭადრაკი და ნარდი და ყველას შეუძლია იმით გაერთოს, რაც მოსწონს და მის გულს ეამება. მაგრამ მე რომ დამიჯერებდეთ, არც კი ვითამაშებთ, რადგან თამაშობის დროს ერთ-ერთი მოთამაშე განაწყენებული რჩება ხოლმე, რაც არ ეამება არც სხვა მოთამაშეს და არც თამაშის მაყურებელს. ამიტომ გირჩევდით რამე ამბები გვეამბნა (როცა ერთი მოჰყვება, სხვებს მისი ნაამბობი სასიამოვნოდ რჩება ხოლმე) და დღის ცხელი ნაწილი ასე გაგვეტარებინა. ყოველს თქვენთაგანს თქვენ-თქვენი ამბავი დასრულებული არც კი გექნებათ, რომ მზე გადაიხრება კიდეცა და სიცხე შენელდება, ასე რომ, ყველას შეგვეძლება წავიდეთ იქ, საცა ჩვენს სულსა და გულს ეამება. ამიტომ თუ ჩემი ნათქვამი მოგწონთ (მე კი ამ შემთხვევაში მზად გახლავართ თქვენს სურვილს დავემორჩილო), მოდით, საქმეს შევუდგეთ კიდეცა; ხოლო თუ ეს არ მოგწონთ, ნება თქვენია, წაბრძანდით და საღამომდე ვისაც რა გენებებათ, ისა ჰქენით.

ქალებმა და კაცებმაც მოიწონეს დედოფლის რჩევა და ამბების თხრობა, ამიტომ დედოფალმა უთხრა: რაკი მოგწონთ, პირველ დღეს თითოეულმა ის გვიამბოს, რაც თვითონ მოეგუნებებაო. მერე მიუბრუნდა პამფილოს, რომელიც მარჯვნივ უჯდა, და სთხოვა პირველად იმას დაეწყო და ეამბნა ერთი თავისი ამბავთაგანი. პამფილომ ბრძანება რომ მოისმინა, სხვები ყურის დასაგდებად მოემზადნენ და იმანაც მაშინვე ასე დაიწყო.

ამბავი პირველი. ყაღბი აღსარება

ბატონი ჩაპელეტო აღსარებაზე ერთ წმინდა ბერს ატყუებს და კვდება; სააქაო ცხოვრებაში მეტად საზიზღარი რამ იყო, მაგრამ სიკვდილის შემდეგ მართალთა თანა შერაცხეს და წმინდა ჩაპელეტო უწოდეს.

კაცმა რაც უნდა საქმე დაიწყოს, ჩემო საყვარელო ქალებო, ჰხამს პირველად ახსენოს ყოვლად საკვირველი და წმინდა სახელი იმისი, ვინცა შექმნა არსი ყოველი და (რადგან მე მხვდა წილად პირველად დაწყება ამბისა) განვიზრახე გიამბოთ ერთი მისი სასწაულთაგანი, რათა ამის მოსმენის შემდეგ განმტკიცდეს ჩვენში მისი სასოება, როგორც მტკიცე ზღუდისა, და სახელი მისი ვადიდოთ უკუნითი უკუნისამდე.

ყველამ ვიცით, რომ ამქვეყნად ყოველივე წარმავალი და მოკვდავია, და ყოველივე შიგნით და თვის გარეშე აღსავსეა მწუხარებით, ურვითა და ნაღველით და მოელის აურაცხელი საფრთხე და ჩვენ, ვინც ყოველივე ამის შუაში ვცხოვრობთ და შევადგენთ მის ერთს ნაწილს, ვეღარ შევძლებდით ვერც მის გაძლებას და ვეღარც თავიდან აცილებას, რომ განსაკუთრებულ წყალობას ღვთისას არ მოემადლებინა ჩვენთვის ძალა და არ ჩაეგონებინა წინდახედულობა. ამასთან, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წყალობა გარდმოგვევლინება ზეცით და ჰგიებს ჩვენში არა იმისათვის, რომ დავიმსახურეთ იგი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ღვთის სახიერებით და იმათი ლოცვით, ვინც ჩვენსავით სიკვდილის შვილნი იყვნენ, მაგრამ სიცოცხლეში ასრულებდნენ ნებას ღვთისას და ახლა მასთან მკვიდრ არიან საუკუნონი და ნეტარნი. იმათ, როგორც ჩვენთა მეოხთა, რომელთაც თავიანთი გამოცდილებით იციან ჩვენი სისუსტე, მივმართავთ ლოცვა— ვედრებით, შევჩივლებთ ჩვენს გაჭირვებას (შეიძლება იმიტომაც ვშვრებოდეთ ასე, რომ ვერა ვბედავთ აღვუვლინოთ ვედრება ჩვენი უშუალოდ ისეთს მოსამართლეს). და ჩვენა ვხედავთ, რომ მოწყალება ღვთისა ჩვენდამი მრავალია. ამას ის ამტკიცებს, რომ რადგან ჩვენ არ ძალგვიძს, როგორც სიკვდილის შვილთ, განვჭვრიტოთ საიდუმლო ღვთაებრივი სიბრძნისა, ზოგჯერ ისე ხდება, რომ ფეხის ხმის აყოლით შეცდომილებაში შთავცვივით ხოლმე და მისი დიდების წინაშე ბჭედ ისეთ კაცს ავირჩევთ, რომელიც მის მიერ საუკუნოდ დასჯილია. მიუხედავად ამისა, ზეციერი, რომლისთვისაც არა არს რა დაფარული, უფრო ყურად იღებს მავედრებელის გულწრფელობას, ვიდრე მის უმეცრებას და დასჯას მეოხისას, ვისაც მავედრებელი თავის ბჭედ ირჩევს ხოლმე ღვთისა წინაშე. და აჰა, უფალი ყურად იღებს მისთა ვედრებათა, თითქო იმას, ვისაც მავედრებელმა მიმართა და მეოხება სთხოვა ღვთისა წინაშე, უფლისაგან დამკვიდრებული ჰქონოდა საუკუნო ნეტარება. და ყოველივე ეს ნათლად გამოჩნდება იმ ამბავში, ახლა რომ უნდა გიამბოთ: — ვამბობ, ნათლად-მეთქი, არა ღვთის მიუდგომელ სამსჯავროს შესახებ, არამედ ამით ვგულისხმობ ადამიანთ მიხვედრილობას.

მოგვითხრობენ, როცა მუშიატო ფრანცეზი, უმდიდრესი და სახელგანთქმული ვაჭარი, რაინდად გადაიქცა, ტოსკანაში უნდა გამოჰყოლოდა საფრანგეთის მეფის ძმას კარლო უმიწაწყლოს, რომელიც პაპმა ბონიფაციომ იხმო, და იმანაც აღუთქვა წამოსვლა. ვაჭარი ხედავდა, რომ საქმეები ძალიან აეწენ-დაეწენა, როგორც ეს ემართებათ ხოლმე ვაჭრებს. ამიტომ გადაწყვიტა თავისი საქმეები რამდენიმე კაცისათვის მიენდო. ყველა საქმე მოაწყო, ერთის გარდა, იმიტომ რომ არ იცოდა, სად გამოენახა შესაფერი კაცი, რომელსაც შეეძლებოდა გადაეხდევინებინა ვალები, არა ერთსა და ორ ბურგუნდელს რომ ემართა. ამან საგონებელში ჩააგდო, მით უფრო, რომ ბურგუნდელებზე იძახდნენ: მეშფოთარნი არიან, ჭინჭყლიანნი, უპირულნი და გაუტანელნიო. მუშიატოს არავინ აგონდებოდა ისეთი გაიძვერა კაცი, რომ მისი გამარჯვების იმედი ჰქონოდა, ცბიერ ბურგუნდელთა წინააღმდეგ გამოეყვანა. ამაზე იგი დიდხანს ჰფიქრობდა.

ამ დროს მუშიატოს მოაგონდა ვინმე ბატონი ჩეპარელო პრატოელი, რომელიც მისას პარიზში ხშირად მიდიოდა. და რადგან ჩეპარელო პატარა ტანისა იყო და სუფთადაც იცვამდა, ხოლო ფრანგებმა კი არ იცოდნენ, რას ნიშნავდა სიტყვა ჩეპარელო და ეგონათ, რომ მათებურად, მდაბიურად ეს იგივე იყო, რაც კაპელო ე.ი. გვირგვინი, დაარქვეს კაპელო კი არა, არამედ დაკნინებით — ჩაპელეტო, რადგან, როგორცა ვთქვით, პატარა ტანისა იყო. ასე რომ, ყველანი ისე იცნობდნენ, როგორც ჩაპელეტოს და მხოლოდ ზოგიერთმა იცოდა, რომ ბატონი ჩეპარელო ერქვა.

ჩაპელეტოს ცხოვრება კი ასეთი გახლდათ: ნოტარიუსად იყო და, როგორც ასეთს, დიდ სირცხვილად მიაჩნდა, თუ რომელიმე მის მიერ შედგენილი სიგელი (ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი ქაღალდები მაინცდამაინც ბევრი არ გამოუდიოდა ხელიდან) ყალბი არ გამოდგებოდა; საკმაო იყო გეთხოვათ საბუთის შედგენა, რომ იმასაც უარისუთქმელად მაშინვე შეედგინა და უმეტეს წილად უსასყიდლოდაც, იმ დროს, როცა სხვები ასეთ საბუთებს, დიდი გასამრჯელოც რომ მიგეცათ, მაინც არ შეადგენდნენ. მისთვის უდიდესი ნეტარება იყო, როცა ცრუმოწმედ დაუდგებოდა ვისმე, მაგისათვის სულ ერთი იყო, სთხოვდნენ ცრუ ჩვენების მიცემას თუ არა. და რადგან იმ ხანებში საფრანგეთში ძალიანა სწამდათ ფიცი, ჩეპარელო, რომელსაც ტყუილად ფიცილი არაფრად მიაჩნდა, უპატიოსნო გზით მუდამ მოიგებდა ისეთ საქმეებს, როცა ფიცს ქვეშ მთელი სიმართლე უნდა ეთქვა.

ბატონ ჩაპელეტოს სხვა რამეცა ჰგვრიდა სიამოვნებას. ეს გახლდათ — მეგობრებსა, მშობლებსა და სხვათა, ვინც უნდა ყოფილიყო, შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდება და აყალმაყალის ატეხა. და რაც უფრო მეტს სიავეს დათესავდა, მით უფრო ხარობდა და ტკბებოდა მისი სული და გული. თუ სთხოვდნენ, მოგვეხმარე ამა და ამ კაცის მოკვლაში, ან სხვა რამ ბოროტების ჩადენაშიო, ჩეპარელო უარს თავის დღეში არ ეტყოდა და დიდის სიამოვნებით მიდიოდა განზრახვის შესასრულებლად. რამდენჯერ ყოფილა, რომ საკუთარი ხელით დაეჩეხოს ან მოეკლას ადამიანები!.. საშინელი ფიცხი რამ იყო და გულის მოსვლა ადვილად იცოდა, ისე რომ სულ უბრალო რისთვისმე ღმერთსა და წმინდანებსა ჰგმობდა. ეკლესიაში ქუდი რომ შეგეგდოთ, გამოსატანად არ შევიდოდა; უხამსი სიტყვებით იხსენიებდა საეკლესიო საიდუმლოებათა, როგორც უმნიშვნელო რამეებს; სამაგიეროდ, დიდი ხალისით დადიოდა დროს გასატარებლად სამიკიტნოებსა და ყველა ბინძურ ადგილებში. ქალები ისე უყვარდა, როგორც ძაღლს ჯოხი, სამაგიეროდ მამათმავლობას ისე არც ერთი სხვა ნაძირალა ვინმე არ ეტანებოდა. რასმე რომ მოიპარავდა ან ვისმე რომ გაძარცვავდა, ისევე ჰქონდა სინდისი დამშვიდებული, როგორც ღვთისმოშიშ კაცს მოწყალების გაცემის დროს. საშინელი ღორმუცელა და მსმელი გახლდათ, იმ ზომამდე, რომ ხანდახან ცუდადაც კი ხდებოდა ხოლმე; ენეოდა ყომარბაზობას და ყალბი კამათლებით სხვების მოტყუებას.

მაგრამ ამდენს ნეტავი რადა ვლაპარაკობ ამ კაცზე? რაღა თქმა უნდა, ჩაპელეტოზე

საზიზღარი ადამიანი ჯერ დედამიწაზე არ დაბადებულა! თავისი ავკაცობა ყოველთვის იმიტომ შერჩებოდა, რომ ბატონი მუშიატო საზოგადოებაში თავისი გავლენისა და მდგომარეობის წყალობით ხელს აფარებდა და ჰქომაგობდა, და კერძო პირნიც, ვისაც ჩაპელეტო ზარალსა და ვნებას მიაყენებდა, ან სასამართლოები, რომელთაც არ ზოგავდა და ლანძღავდა, მუშიატოს ხათრითა და რიდით არაფერს ეუბნებოდნენ.

და სწორედ ეს ჩეპარელო მოაგონდა ბატონ მუშიატოს; მის ცხოვრებას კარგად იცნობდა და გადაწყვიტა, თუ ვინმე გამომადგება, აბა ისეთი კაცი გამომადგება გაიძვერა ბურგუნდელების წინააღმდეგო. ამიტომ მუშიატომ იხმო და უთხრა: „ბატონო ჩაპელეტო, როგორც იცი, აქედან, სულ უნდა ავიბარგო და რადგან სხვა საქმეთა გარდა ბურგუნდელებთანაცა მაქვს საქმე გასასწორებელი, ე.ი. ისეთ ხალხთან, რომელიც ყველას ატყუებს, ამიტომ შენზე უკეთეს კაცს ვერ ვიშოვნი, რომ იმათს ოხტში მოვიდეს და ჩემი ფული გადაახდევინოს. რადგან ახლა შენ მაინცდამაინც იმდენი არაფერი საქმე გაქვს, თუ ჩემს საქმეს მოჰკიდებ ხელს, ისე მოვაწყობ, რომ ჯერ ერთი, სასამართლომ შენ მოგკერძოს და მერე რასაც აიღებ, იმ ფულში დაპირებულ წილს დაგიდებ“.

ბატონი ჩაპელეტო ამ ხანებში მართლაც რომ უსაქმოდ იყო და ძალიან უჭირდა ცხოვრება, თანაც ხედავდა, რომ მისი ერთადერთი და დიდი ხნის მწე და მფარველი აქაურობას ეცლებოდა, ძალაუნებურად მაშინვე დაეთანხმა და უთხრა — სიამოვნებით ვკისრულობ ყველაფერსო.

ჯერ მოილაპარაკეს პირობის შესახებ, მერე ბატონმა ჩაპელეტომ მიიღო რწმუნების ქაღალდი და მეფისაგან ფარვის სიგელები და მუშიატოს წასვლის შემდეგ გაემართა ბურგონში, სადაც მას თითქმის არავინ იცნობდა.

აქ ჩაპელეტოს თითქოს დააავიწყდა თავისი ბოროტი ხასიათი. მევალეებს ფულს რომ ახდევინებდა, ყველას ალერსიანად და ტკბილად ეპყრობოდა, აკეთებდა იმ საქმეს, რისთვისაც მოსული იყო, და თითქო სულ უკანასკნელ წუთამდე არ უნდოდა გამოეჩინა თავისი ბოროტება და გულის სიფიცხე. ჩამომხტარი იყო ორ ძმა ფლორენციელებთან, რომელნიც მევახშეობას ეწეოდნენ. ბატონ მუშიატოს პატივცემისათვის ჩაპელეტოსაც პატივსა სცემდნენ. ერთბაშად ჩაპელეტო ავად გახდა. მასპინძლებმა მაშინვე ექიმები დააყენეს, მომვლელი მიუჩინეს და, ერთი სიტყვით, ყოველი ღონე იღონეს მისი მორჩენისათვის. მაგრამ ყოველივე ცდა ამაო გამოდგა, იმიტომ რომ ჩაპელეტო, ჯერ ერთი, მიხრწნილი იყო და მეორეც ისა, რომ მეტად უწესრიგო ცხოვრებას ეწეოდა და, როგორც ექიმები ამბობდნენ, სასიკვდილოდ განწირული კაცივით, დღითიდღე უარესად და უარესად ხდებოდა. ეს ამბავი ორივე ძმას ძალიან აწუხებდა.

ერთ დღეს ოთახში, რომელიც გვერდით იყო იმ ოთახთან, სადაც ავადმყოფი ჩაპელეტო იწვა, ორნივე ძმანი ისხდნენ და ერთმანეთს შორის ასეთი ლაპარაკი გააბეს: „რა ვუყოთ ჩვენს სტუმარს? — ეკითხებოდა ერთი მეორეს, — მაგის წყალობით სწორედ ხათაბალას გადავეკიდეთ: ახლა ავადმყოფი გარეთ რომ გავაგდოთ, ჩვენთვის დიდი სირცხვილი და უჭკუობა იქნება, იმიტომ რომ ყველამ ნახა, რომ ჯერ სახლში შემოვუშვით, მერე გულმოდგინედ ვუექიმეთ და ვუპატრონეთ, და ახლა, როცა არ შეუძლია რამე უსიამოვნება მოგვაყენოს, ასე უცბად სახლიდან რომ გავაგდოთ მომაკვდავი კაცი, ჩვენზე რაღა უნდა სთქვან, ყველას ყბადასაღები გავხდებით!.. მეორე მხრით, ისეთი უკეთური რამ იყო, რომ არ ინდომებს აღსარება თქვას ან ნება მოგვცეს, რომ რამე სხვა საეკლესიო საიდუმლოება შეესრულონ; უაღსარებოდ რომ მოკვდეს, ეკლესიაში აღარსად დამარხავენ მის გვამს, არამედ სადმე ხნარცვში გადააგდებენ ძაღლების საჯიჯგნელად. და აღსარებაც რომ თქვას, იმდენი ცოდვა აწევს სულზე, და მერე ისეთი საშინელებიცა, რომ იგივე დღე მოელის, რადგან ვერც ერთი მღვდელი, გინა ბერი, ვერ შეძლებს შეუნდოს ეს ცოდვები, და რაკი ცოდვები ვერ შეენდობა, მეტი ჩარა არ იქნება, ხნარცვში უნდა გადააგდონ. თუ ეს მოხდა, აქაური ხალხი, რომელსაც ჩვენი ხელობა უსამართლობად მიაჩნია და იმის ლანძღვა-გინების მეტს არაფერს აკეთებს, ეცდება ისარგებლოს შემთხვევით და გაგვძარცვოს; ყველანი ჩვენს წინააღმდეგ აღსდგებიან და მორთავენ ყვირილს: „ამ ძაღლ ლომბარდელებს ეკლესიაც არ ღებულობს და ჩვენ რაღად უნდა დავინდოთო!“ მაშინ მოგვიხტებიან, ჩვენს ქონებას დაიტაცებენ და, შეიძლება, ჩვენც ამოგვხოცონ კიდეცა. როგორც გინდა, თქვი, მაგრამ თუ ეს კაცი მოკვდა, უეჭველი, უბედურება არ აგვცდება!“

ბატონმა ჩაპელეტომ, რომელიც, როგორცა ვთქვით, იმ ოთახის გვერდით იწვა, სადაც მისი მასპინძელი ძმები ლაპარაკობდნენ, მათი ნათქვამი ყველაფერი გაიგონა, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, ავადმყოფებს სმენა უმახვილდებათ ხოლმე. მოიხმო ორივე და უთხრა: „მე არ მინდა ჩემი მიზეზით რაიმე უსიამოვნება მოგადგეთ; ფიქრი ნუ გაქვთ, ხიფათში არ ჩაგაგდებთ. რასაც ჩემზე ლაპარაკობდით, ყველაფერი გავიგონე და სრულებით დარწმუნებული ვარ, საქმე რომ ისე წავიდეს, როგორც თქვენ ამბობთ, ის უნდა მოჰყვეს, რაც თქვენა გგონიათ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ყოველსავე ამას სულ სხვა რამ უნდა მოჰყვეს. მე ჩემს სიცოცხლეში იმდენი შემიცოდეს, რომ ერთის საათით სიკვდილის წინ ერთი ცოდვაც რომ მივუმატო, ამ ჩემს ცოდვებს არც არაფერი მოემატება და აღარც არაფერი დააკლდება. ამიტომ სადმე მიპოვნეთ ვინმე ღვთისმოშიში და წმინდა ცხოვრების ბერი, ყველაზე ღვთისმოშიში, თუკი მოიძებნება სადმე ასეთი; მერე ჩემზე მოაგდეთ ყველაფერი. ფიქრი ნუ გაქვთ, ისე გამოვაწყო, როგორც ჩემი, ისე თქვენი საქმეები, რომ ჩემთვისაც და თქვენთვისაც კარგი იქნეს და კმაყოფილი დარჩეთ!“

ძმებს მაინცდამაინც დიდი იმედი არა ჰქონდათ ჩაპელეტოსი; მაინც წავიდნენ ერთ

მონასტერში და სთხოვეს; ვინმე წმინდა და ჭკვიანი ბერი გამოგვაყოლეთ, ერთ ჩვენთან მყოფ და ლოგინად ჩავარდნილ ლომბარდიელს აღსარება უნდა ათქმევინოსო. იმათაც გამოატანეს ერთი მოხუცი ბერი, წმინდა და უმწიკვლო ცხოვრებისა, დიდად მცოდნე საღმრთო წერილსა, და ყველასაგან დიდად პატივცემული. მოქალაქენი ყველანი მოწიწებით ეპყრობოდნენ. ძმებმაც ეს ბერი წამოიყვანეს, ბერი შემოვიდა ოთახში, სადაც ჩაპელეტო იწვა, ჩამოჯდა ლოგინთან, ჯერ ალერსიანად ნუგეში სცა და მერე ჰკითხა — რამდენი ხანი იქნება, რაც აღსარება არ გითქვამსო? ამაზე ბატონმა ჩაპელეტომ, რომელიც თავის სიცოცხლეში არა ყოფილა აღსარების სათქმელად, უპასუხა: „მამაო, მე კვირაში ერთხელ მაინც ვამბობ აღსარებას, მაგრამ ხშირადაა, რომ კვირაში მეტჯერაც ვთქვა. მაგრამ რაც ავად გავხდი, მას აქეთ, აგერ რვა დღეა, აღსარება არ მითქვამს: ისე შემაწუხა ამ ავადმყოფობამ“. – „შვილო ჩემო, — უთხრა ბერმა, — კარგად გიქნია და კვლავაც აგრე მოიქეცი; მაშასადამე, თუ შენ ასე ხშირად ამბობ აღსარებას, საჭირო არ იქნება ბევრი რამ გამოგკითხო და დიდხანს ყური გიგდო“. — „ამას ნუ ბრძანებთ, მამაო, — უთხრა ბატონმა ჩაპელეტომ, — ყოველთვის, როცა აღსარების სათქმელად მივდიოდი, განზრახვა მქონდა მეღიარებინა ყოველნი შეცოდებანი ჩემნი, რაც კი მახსოვდა, დაბადების დღიდან ჩადენილი ვიდრე აღსარების თქმის ჟამამდე. ამიტომ გთხოვთ, ღირსო მამაო, ყოველივე დაწვრილებით გამომკითხოთ, ვითომ არც კი მეთქვას ოდესმე აღსარება. ჩემს ავადმყოფობას ნუღარ უყურებთ: მირჩევნია დავუმძიმო ჩემს ცოდვილს ხორცს, ვიდრე მას ვულხინო და წავიწყმიდო ჩემი სული, რომელიც ჩემმა მაცხოვარმა გამოიხსნა თავისი ძვირფასი სისხლითა“. ეს სიტყვები ძალიან მოეწონა ბერს და ჩათვალა აღმსარებლის კეთილშობილური სულიერი განწყობილების საბუთად. უქო საქციელი და დაუწყო გამოკითხვა: ქალთან ხომ არ შეგიცოდავს ოდესმეო? ამაზე ბატონმა ჩაპელეტომ ამოოხვრით უპასუხა: „მამაო წმინდაო, რაიცა შეეხება ამ ცოდვას, მრცხვენიან კიდეცა სიმართლის მოხსენება, რადგან მეკრძალვის — ვაითუ ცუდმედიდად მოგაჩვენოთ თავი!“. წმინდა ბერმა ანუგეშა: „ნუ გეშინიან, თამამად თქვი, მართლის თქმა თავის დღეში არ ითვლებოდა ცოდვად არც აღსარების დროს და არც სხვა რამ შემთხვევაში“. – „რაკი ასე მაქეზებთ, — უთხრა ბატონმა ჩაპელეტომ, — უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მხრივ იმნაირადვე უმანკო ვარ, როგორც დედის მუცლიდან გამოვედი. — „გაკურთხოს, შვილო, ღმერთმა! — წამოიძახა ბერმა, — ძალიან კარგად გიქნია! და შენი დამსახურებაც სწორედ ეგ არის. რომ გდომოდა, ამ ცოდვის ჩადენა უფრო ადვილად შეგეძლო, ვიდრე ჩვენ, ბერებს, და სხვას ყველას, ვისაც უბიწოდ დარჩენის აღთქმა გვაქვს მიცემული“. ამის შემდეგ ბერმა ჰკითხა — ღვთის წინაშე ღორმუცელობაში ხომ არ შეგიცოდავსო? ამის გაგონებაზე მწარედ ამოიხვნეშა ბატონმა ჩაპელეტომ და უპასუხა: — „შევცოდე და განა თუ ერთხელა!.. იმიტომ რომ, თუმცა წლის განმავლობაში ყველა მარხვას ვინახავდი კეთილმორწმუნე ხალხის მსგავსად, გარდა ამისა, კვირაში სამ დღეს პირში წყალსა და პურს გარდა არაფერს ვიკარებდი, სამაგიეროდ წყალს ისეთის სიამოვნებითა და ისეთის სიხარბით ვსვამდი, როგორც ამას ღვინის სმის მოყვარულნი შვრებიან ხოლმე, განსაკუთრებით, — როცა ლოცვაზე დიდხანს მომიხდებოდა

დგომა და დავიღლებოდი, ანდა სალოცავად სადმე რომ წავიდოდი; გარდა ამისა, ძალიან მომინდებოდა ხოლმე იმ ბალახებისაგან გაკეთებული ტაბუცუნი, დედაკაცები მინდვრად რომ კრეფენ ხოლმე; ზოგჯერ საჭმელი უფრო გემრიელად მეჩვენებოდა, ვიდრე უნდა ყოფილიყო, მაგრამ საჭმელი გემრიელად არ უნდა ეჩვენებოდეს ისეთ კაცს, ვინც, ჩემს მსგავსად, ღვთისმოშიშობით მარხულობს ხოლმე". ამაზე ბერმა უთხრა: „შვილო ჩემო, ეს ცოდვები ადამიანებისათვის სრულებით ბუნებრივი და თან მსუბუქიცაა, ამიტომ არ მინდა შენს სინდისზე მძიმე ტვირთად გაწვეს. რაც უნდა წმინდა იყოს ადამიანი, დიდი ხნის მარხულობის შემდეგ საჭმელი გემრიელად ეჩვენება და დაღლილობის შემდეგ წყლის სმა ძალზე ეამება". – „სულიერო მამაო, —უთხრა ბატონმა ჩაპელეტომ, — გულის გასაკეთებლად ნუღარ მეუბნებით ასეთს რასმე. კარგად მოგეხსენებათ, როგორც მეც ვიცი, რომ თუ გინდა ღმერთს სათნო ეყო, ყოველივე გულის სიწმინდით უნდა ჰყო, ბიწი რამ გულში არ გაიტარო. ხოლო ვინც ასე არ მოიქცევა, სცოდავს".

ბერი მეტად კმაყოფილი დარჩა და უთხრა: „მოხარული ვარ, რომ ასეთი აზრებისა ყოფილხარ და ძალზე მომწონს შენი პატიოსანი და წმინდა ნამუსი, რომელსაც ასეთი ცოდვები ახლოსაც არ ეკარება. მხოლოდ ეს მითხარი, ცოდვილი ხარ თუ არა ანგარებისმოყვარეობაში? ხომ არ მოგისურვებია იმაზე მეტი გქონოდა, ვიდრე გეკუთვნოდა და ან ხომ არ დაჰპატრონებიხარ იმას, რაც შენ არ გეკუთვნოდა?" ამაზე ბატონმა ჩაპელეტომ ასე უპასუხა: „სულიერო მამაო, აქაო და მევახშეებთან დგასო, არ მინდა ფიქრობდეთ ჩემზე, ვითომც მეც მევახშე ვიყო. მაგათთან საერთო არაფერი მაქვს. პირიქით, აქ იმიტომ მოვედი, რომ ესენი შემერცხვინა, გულისხმაში ჩამეგდო და ჩამეგონებინა, ამ სამარცხვინო ხელობაზე ხელი აეღოთ. დარწმუნებული ვარ, გულისნადებს ავასრულებდი კიდეცა, ღმერთს ავად რომ არ გავეხადე. უნდა მოგახსენოთ, რომ მამამ დიდი ქონება დამიტოვა, უმეტესი წილი ამ ქონებისა მამის სიკვდილის შემდეგ გაჭირვებულთ დავურიგე; მერე საცხოვრებელი რომ მქონოდა და რომ შემძლებოდა ქრისტესმიერ ძმებს დავხმარებოდი, მცირე რამ ვაჭრობას მოვკიდე ხელი, რომ ამით ცოტაოდენი ფული მომეგო. რასაც ვიშოვნიდი, შუაზე ვყოფდი, ნახევარს ღარიბ— გაჭირვებულთ ვაძლევდი და მეორე ნახევარს ჩემს საჭიროებას ვახმარებდი. მამაზეციერი სულ მუდამ მწყალობდა და ხელს მიმართავდა და ჩემი საქმეები სულ უკეთ და უკეთ მიდიოდა". — ძალიან კარგად გიქნია, — უთხრა მოძღვარმა, — იქნება ხშირად განრისხება იცოდი?" — „ამაზე უნდა მოგახსენოთ, — უპასუხა ბატონმა ჩაპელეტომ, — რომ ხშირად განვრისხდებოდი. თქვენს ლხენას, აბა როგორ უნდა მომეთმინა, როცა ყოველდღე იმასა ვხედავდი, რომ ჩემს გარშემო უსამართლოდ იქცეოდნენ, არღვევდნენ ღვთის მცნებებს და მისი სამსჯავროსი არ ეშინოდათ?!. ისეთი დღეებიც გამოერეოდა, რომ ვიტყოდი, ნეტავ სულ არ ვიყო ცოცხალი-მეთქი, რადგან არ მინდოდა მეყურებინა იმ ახალგაზრდებისათვის, ვინც ამ ქვეყნის ამაოებით იყვნენ გატაცებულნი, ვინც ფიცულობდნენ და ფიცსა ტეხდნენ, დაეთრეოდნენ სამიკიტნოებში იმის მაგიერ, რომ ეკლესიაში ევლოთ, ვინც

ემსახურებოდნენ სააქაოს და მის ამაოებას, იმის მაგიერ, რომ ემსახურათ ღვთისათვის“.

მაშინ მოძღვარმა უთხრა: „ჩემო შვილო, შენი გულისწყრომა სრულებით საფუძვლიანია და იმისთვის საკანონოს არ განგიწესებ. მაგრამ ხომ არ განრისხებულხარ როდესმე ისე, რომ კაცი შემოგკვდომოდეს, ან ვინმე გაგელანძღოს ან სხვა რამ შეურაცხყოფა მიგეყენებინოს?“ — „ღმერთო ჩემო, — წამოიძახა ბატონმა ჩაპელეტომ, — ღვთის კაცი მგონიხართ, მამაო, წმინდაო, და ასეთს სიტყვებს როგორღა ბრძანებთ? ერთი წუთითაც რომ გამევლო აზრად იმის შესრულება, რასაც თქვენა ბრძანებთ, ნუთუ ფიქრობთ, რომ ღმერთი ამდენ ხანს ასე მწყალობელი იქნებოდა ჩემი? თქვენ ისა ბრძანეთ, ბოროტ ადამიანებსა და ავაზაკებს გარდა განა სხვა იზამს ასეთ საქმეს? ჰოდა, როგორც კი შემხვდებოდნენ ასეთები, ყოველთვის იმას ვეუბნებოდი: „წადი და ილოცე, იქნებ ღმერთმა გზაზე დაგაყენოს-მეთქი“.

„დაგლოცოს, შვილო, ღმერთმა, — უთხრა მოძღვარმა, — ახლა ის მითხარ, ცუდ მოწმედ ხომ არ დასდგომიხარ ვისმე ან ავად ხომ არ გიხსენებია მოყვასი შენი ან კიდევ სხვისი საკუთრება შენ ხომ არ მიგითვისებია?“ — „ცოდვილი ვარ, მამაო სახიერო, სხვისი ძვირი მითქვამს; ერთი მეზობელი მყავდა, ხშირად სრულებით უმიზეზოდ სცემდა ცოლს. ასე რომ, ერთხელ მისი ძვირი ცოლის მშობლებს ვუთხარი, რადგან შემებრალა ეს საცოდავი ქალი, რომელსაც ქმარი, როცა კი დაითრობოდა, უწყალოდა სცემდა“.

„ახლა აი რა უნდა მითხრა, — მიმართა ბერმა: — შენა სთქვი, ვაჭარი ვიყავიო. ერთი მითხარი, შენს ლხენას, ხომ არავინ მოგიტყუებია, როგორც ამას ვაჭრები შვრებიან ხოლმე?“

— „ცოდვილი ვარ, — უპასუხა ბატონმა ჩაპელეტომ; — ერთი ვინმე მოვატყუე, მხოლოდ არ ვიცი, ვინ იყო, ალბათ ის კაცი იყო, რომელმაც ფული მომიტანა ჩემგან ნისიად მიყიდული მაუდისათვის, მე ავიღე და დაუთვლელად სალაროში შევინახე. ერთი თვის შემდეგ დავინახე, რომ შიგ რამდენიმე წვრილი ფულით იმაზე მეტი იყო, ვიდრე უნდა ყოფილიყო;

რადგან ამას შემდეგ ის კაცი არ შემხვედრია, ამ ფულს მთელი წლის განმავლობაში ვინახავდი მისთვის დასაბრუნებლად, და რომ ვერა ვნახე, მათხოვარს ვაჩუქე“. — „ესეც არ ჩაგეთვლება ცოდვად, — უთხრა ბერმა, — ძალიან კარგად გიქნია, რომ ისა ფული ასე მოგიხმარია“.

ამ ცოდვებს გარდა კიდევ სხვა ცოდვების შესახებ გამოჰკითხა წმინდა მამამ და ბატონი ჩაპელეტო ყველაფერზე ამის მსგავს პასუხს აძლევდა. ბერს მისთვის უკვე შენდობის მიცემა უნდოდა, როცა ბატონმა ჩაპელეტომ უთხრა: სულიერო მამაო, კიდევა მაქვს ცოდვა, შენთვის ჯერ არ მითქვამს, ისეთი. ბერმა ჰკითხა: აბა რომელიო? და ჩაპელეტომაც უთხრა: „მახსოვს, ერთ შაბათს, კვირაძალზე მსახურს სახლი გამოვაგვევინე და, მაშასადამე, კვირას ისეთის

მოწიწებით არ მივგებებივარ, როგორითაც უნდა მივეგებოთ ხოლმე ასეთ წმინდა დღეს“. — „ასე მცირე რისთვისმე ნუ სწუხართ!“ — „არა, იმას ნუღარ ბრძანებთ, მცირე რამ იყოს, — უთხრა ბატონმა ჩაპელეტომ, — იმიტომ რომ სწორედ კვირა დღეს აღდგა მკვდრეთით მაცხოვარი ჩვენი“. მაშინ ბერმა ჰკითხა: „სხვა ცოდვა თუ რამე ჩაგიდენია?“ — როგორ არა, თქვენო მაღალღირსებავ, — უპასუხა ბატონმა ჩაპელეტომ, — ერთხელ გულმავიწყობით ღვთის ტაძარში დავაფურთხე“. ბერს გაეღიმა და უთხრა: „ჩემო შვილო, ნურც ამის დარდი გექნება, რადგან ჩვენ თვითონ ხომ ბერები ვართ და ყოველდღე და ყოველ ჟამს ვაფურთხებთ ტაძარში“. მაშინ ბატონმა ჩაპელეტომ უთხრა:

„ძალიან ცუდსაცა შვრებით, იმიტომ რომ ისე სუფთად არაფერი უნდა შევინახოთ, როგორც წმინდა ტაძარი, სადაც უფლისადმი უსისხლო მსხვერპლი შეიწირების“.

ერთი სიტყვით, ამნაირი ცოდვები ბევრი ჩამოუთვალა ჩაპელეტომ. დაბოლოს, დაიწყო ოხვრა და საშინელი ტირილი აიტეხა, რაიცა მას საშინლად ეხერხებოდა, როცა კი მოინდომებდა. წმინდა მამამ უთხრა: „ჩემო შვილო, რა დაგემართა?“ ჩაპელეტომ უპასუხა:

„ვაი, მე უბედურს, მაღალღირსო მამაო, ერთი ცოდვაც დამრჩა; ეს ცოდვა აღსარების დროს თავის დღეში არ მითქვამს, რადგან ამის გამომჟღავნებისა მრცხვენოდა, და როცა კი მომაგონდება, მაშინვე, როგორც ხედავთ, ტირილი ამივარდება და დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი თავის დღეში არ შემიბრალებს და არ მაპატიებს ამ ცოდვას“. მაშინ წმინდა მამამ უთხრა: „რას ამბობ, რას, ჩემო სულიერო შვილო?! ყველა შეცოდებამ, რაც ჩაუდენიათ ადამიანთ, ან რაც უნდა ჩაიდინონ, სანამ ქვეყნიერება იარსებებს, ერთს კაცში რომ მოიყაროს თავი და თუ ამ კაცმა ისეთის შეწუხებულის და ლმობიერის გულით შეინანოს, როგორც ამას შენა შვრები, უფალი მაშინაც კი დიდითა სახიერებითა და მრავალმოწყალებითა თვისითა სავსებით შეუნდობდა ცოდვილს ცოდვათა მისთა. და ამიტომ, ნუ გეშინია, თამამად აღიარე შეცოდებანი შენნი“. მაშინ ბატონმა ჩაპელეტომ ცრემლების ყლაპვით უთხრა: „ვაგლახ მე, სულიერო მამაო, ჩემი ცოდვა მეტად დიდია და იმედი აღარც კი მაქვს, რომ ღმერთმა როდესმე მაპატიოს, თუ თქვენმა ლოცვა-ვედრებამ არ მიშველა“. ამაზე ბერმა უთხრა: „ნუ გეშინია, თქვი თამამად, და პირობას გაძლევ შენთვის ვილოცო ღვთის წინაშე“. ბატონი ჩაპელეტო ცრემლად იღვრებოდა და არაფერს ამბობდა; ბერი კი ამხნევებდა სათქმელად.

ტირილი არ შეუწყვეტია ჩაპელეტოს და ისე კარგა ხანს ამყოფა ბერი დაძაგრულ მდგომარეობაში. ბოლოს ძალზე ამოიოხრა და უთხრა: „ჩემო სულიერო მამაო, რაკი მპირდები, რომ ღვთის წინაშე ჩემის სულის საოხად ილოცებთ, მოგახსენებთ ჩემს ცოდვას. როცა სულ ბავშვი ვიყავი, ერთხელ დედაჩემს უკმეხი სიტყვები ვკადრე“. ესა თქვა ჩაპელეტომ და ისევ აქვითინდა. მაშინ ბერმა უთხრა: „შვილო ჩემო, ნუთუ ეს დიდ ცოდვად მიგაჩნია?! ადამიანები ყოველდღე ჰგმობენ თვით უფალსა, გარნა როცა ისინი შეინანებენ თავიანთს

ცოდვას, უფალი სულგრძელებით შეუნდობს ხოლმე. შენ რაღადა გგონია, რომ უფალი არ გაპატიებს დედის გინებას? ნუ ტირი, ნუ გეშინია, გარწმუნებ, რომ შენ რომ ერთი იმათგანიც ყოფილიყავ, ვინც უფალი ჯვარზე აცვეს, მაშინაც კი შეგინდობდა მამაზეციერი ყოველსავე შეცოდებას, იმიტომ რომ ვხედავ, თუ ვითარ დიდია სინანული შენი“. ამაზე ბატონმა ჩაპელეტომ მოახსენა: „სულიერო მამაო, რასა ბრძანებთ, განა არ ვიცი, რომ ცუდად მოვიქეცი, როცა ჩემი ტკბილი დედიკო, რომელმაც ცხრა თვეს მუცლით მატარა დღე და ღამე, მერე ასჯერ მეტად ხელით ვუტარებივარ, ვაგინე! არა, რასაკვირველია, სულ დიდი და მძიმე ცოდვა მაქვს ჩადენილი. და თუ თქვენ არ ილოცეთ ჩემის სულის საოხად, არაფერი მეშველება“.

ბერი ხედავდა, ბატონ ჩაპელეტოს მეტი არაფერი ექნება სათქმელიო, შენდობის ლოცვა წაუკითხა და აკურთხა. სავსებით სჯეროდა, რასაც ბატონი ჩაპელეტო ეუბნებოდა და დარწმუნებული იყო — მართალი კაციაო. ან ვინ არ დაიჯერებდა? განა ვინმე იტყოდა, ტყუისო ისეთ კაცზე, რომელიც სამარის კართან იდგა?

მერე როცა აღსარებას მორჩა, ბერმა უთხრა: „ბატონო ჩაპელეტო, იმედია, შეწევნითა ღვთისათა მალე განიკურნო; მაგრამ თუ ვინიცობაა, უფალმა ინება და თქვენი მართალი და წმინდა სული თავისთან იხმო, ხომ არ ინდომებდით თქვენი გვამი ჩვენს მონასტერში დასაფლავებულიყო?“ ამაზე ბატონმა ჩაპელეტომ უპასუხა: „დიახ, მაღალღირსო მამაო; არც კი მინდა სხვაგან დავიმარხო, მით უფრო რომ თქვენ დამპირდით, რომ ჩემის სულის სალხენად ილოცებთ; გარდა ამისა, მარადჟამ მქონდა განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა თქვენის ორდენისა. ამიტომ, როცა მონასტერში დაბრუნდებით, გთხოვთ გამომიგზავნოთ ჭეშმარიტი ხორცი ქრისტესი, რომელიც ამ დილას ტრაპეზზე აკურთხეთ, რადგან სურვილი მაქვს ვეზიარო (თუმცა შეიძლება ღირსიც არ ვიყო), თუ თქვენ ნებას მიბოძებთ, და მერე მინდა ღირს ვიქნე წმინდისა და უკანასკნელის ზეთის კურთხევისა; თუ მთელი ჩემი სიცოცხლე ვიცხოვრე, როგორც ცოდვილმა, მოვკვდე მაინც, როგორც ქრისტიანი.

წმინდანმა ბერმა ძალიან მოუწონა განზრახვა, აქო და დაჰპირდა: განკარგულებას გავცემ, ახლავე მოგიტანონ, რასაც თხოულობთო და მართლაც ასე მოიქცა.

ძმათა ფლორენციელებს, მის მასპინძლებს, ეშინოდათ, ვაითუ ჩაპელეტომ მოგვატყუოსო, მოვიდნენ ძგიდესთან, რომელიც მათს ოთახს ავადმყოფის ოთახისაგან ჰყოფდა, და ყური მიუგდეს. ყველაფერი გაიგონეს, რაც მომაკვდავმა ბერს უთხრა, და მის მიერ ჩადენილი ცოდვების აღსარება რომ ესმოდათ, ისე ეცინებოდათ, თავს ძლივს იკავებდნენ, არ გადაეხარხარათ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ღმერთო, რა ოხერი ვინმე ყოფილა! არც სიბერემ, არც ავადმყოფობამ, აღარც სიკვდილის მოახლოებამ, აღარც ღვთის შიშმა, რომლის სამსჯავროს წინაშე, საცაა, უნდა წარდგეს, ხელი არ ააღებინა თავის უხამს ცხოვრებაზე, არ უკარნახა, იმგვარად არ ამოხდომოდა სული, როგორც თავისი სიცოცხლე გაუტარებიაო!..“

მაგრამ რომ გაიგონეს, ეკლესიაში უნდა დამარხონო, სრულებით დამშვიდდნენ და დარდი სხვა არაფრისა ჰქონდათ.

ცოტა ხნის შემდეგ ბატონი ჩაპელეტო ეზიარა და რაკი უარესად შეიქნა, ზეთი უკურთხეს. შემდეგ იმავე დღის საღამოს, რა დღესაც გულწრფელი აღსარება თქვა, სული განუტევა. განსვენებულის მასპინძლებმა ძმებმა, მისი ანდერძის თანახმად, ყველაფერი გამოაწყვეს მის გასაპატიოსნებლად და მონასტერში შეატყობინეს: მობრძანდით, ჩვეულებრივ ღამე უთიეთ და დილაზე გაასვენეთ, როგორც წესი მოითხოვსო.

იმ წმინდა მამამ, რომელმაც აღსარება ათქმევინა ბატონ ჩაპელეტოს, რომ გაიგო, გარდაიცვალაო, ინახულა მონასტრის წინამძღვარი, მოელაპარაკა, მერე ზარები დაარეკვინა, თავი მოუყარა მონასტრის თაბუნს და გამოუცხადა: ბატონი ჩაპელეტო წმინდანი იყო და ეს აღსარებიდანაც ჩანდაო. მე იმედი მაქვს, ღმერთი მისი საშუალებით გამოგვიჩენს მრავალ სასწაულსაო. დაარწმუნა ბერები: დიდის მოწიწებით და განსაკუთრებულის პატივისცემით უნდა გადმოვასვენოთ მისი ნეშტიო.

წინამძღვარმა და ბერებმა ადვილად ირწმუნეს მისი ნათქვამი და საღამოს წავიდნენ იქ, სადაც ბატონი ჩაპელეტოს ცხედარი ესვენა; დიდი ამბით პანაშვიდი გადაუხადეს და ღამე უთიეს, ხოლო დილას შემოსილები და მანტიაწამოსხმულები წამოვიდნენ გამოსასვენებლად. ხელში ლოცვანები ეჭირათ, წინ ჯვრები მიუძღოდათ და გალობითა და დიდის გამოჩინებით გადმოასვენეს ნეშტი მონასტრის ეკლესიაში. გამოსვენებისას თითქმის ყველა მოქალაქე გაჰყვა, კაცი თუ ქალი.

ჩაპელეტოს ცხედარი ეკლესიაში რომ დაასვენეს, მისი მოძღვარი წმინდა ბერი ამბიონზე შედგა და დაიწყო ქადაგება განსვენებულზე. გასაოცარი რამ მოუთხრო მაყურებელთ მისი ცხოვრებიდან. უამბო, როგორ მარხულობდა, რა უბიწო ცხოვრებას ეწეოდა, ვითარი ალალმართალი, უმანკო და წმინდა იყო. სხვათა შორის უამბო: ნეტარს ერთი ცოდვა უდიდეს ცოდვად მიაჩნდა, გამიმჟღავნა, ტიროდა და ითხოვდა შენდობასაო. მე დიდი შრომა დამჭირდა გამეგებინებინა, რომ ღმერთი გაპატიებს ამ ცოდვას-მეთქი. ამის შემდეგ მსმენელთ ყვედრება დაიწყო: „და თქვენ კი, ღვთის პირისაგან შეჩვენებულებო, ერთი ბეწო ხიწვი რომ მოგხვდებათ ფეხებში, მაშინვე წუწუნს მოჰყვებით და დაიწყებთ ღვთისა, მისი წმინდა დედის და სამოთხის ყოველთა წმინდათა გმობასო! ამას გარდა, ბევრი რამა თქვა განსვენებულის სამაგალითო ცხოვრებისა და სულიერი სიწმინდის შესახებ. ყოველივე მისი ნათქვამი სოფლის ხალხმა სავსებით ირწმუნა. ყველა ისე მტკიცედ დააჯერა, რომ განსვენებული წმინდანი იყო და ყოველივე თაყვანისცემის ღირსიაო, რომ წირვა გამოვიდა თუ არა, ხალხმა იგრიალა და ატყდა საშინელი ჯაჯგური. ყველა მიიწევდა მოხვეოდა მიცვალებულს ხელ-ფეხზე. ტანისამოსი სულ ერთიანად შემოახიეს და ვისაც თუნდ ოდნავი ნახევი ერგებოდა, თავს უნეტარეს

ადამიანად თვლიდა. მთელი დღის განმავლობაში ასე გააჩერეს მიცვალებული, რომ ყველას შეძლებოდა დანახვა და თაყვანისცემა.

რომ დაღამდა, მარმარილოს კუბოში ჩაასვენეს და დიდის პატივით მიაბარეს მიწას ერთ სამლოცველოში. მეორე დღეს გათენდა თუ არა, დაიწყო ხალხმა დენა, მოდიოდნენ, სანთელ უნთებდნენ, ევედრებოდნენ, შეუთქვამდნენ და ცვილისაგან გაკეთებულ სახეებს ჰკიდებდნენ საფლავთან, დაპირების შესაფერად.

დასასრულ, ბატონ ჩაპელეტოს სიწმინდის ქება თანდათან იზრდებოდა, სასოება მისდამი ხალხში იმ ზომამდე ვრცელდებოდა, რომ რაც უნდა გაჭირვებულნი ყოფილიყვნენ, ყველანი მხოლოდ იმას მიმართავდნენ, როგორც მწესა და მეოხსა. ყველანი ეძახდნენ და დღესაც ეძახიან წმინდა ჩაპელეტოს. ამბობენ, რომ ღმერთმა იმის საშუალებით მრავალი სასწაული გამოაჩინაო, და დღესაც აჩენს ყველა იმათთვის, ვინც გულწრფელად შესთხოვს გაჭირვებაში შველასო.

ასე ცხოვრობდა და გარდაიცვალა ბატონი ჩაპელეტო პრატელი, და წმინდანად იქცა, როგორც თქვენც დაინახეთ. და ვინ იცის, იქნებ მართლაც ღირსიქმნა წმინდანად ქცეულიყო ღვთის წინაშე, იმიტომ რომ, თუმცა სიცოცხლეში ბინიერი და უკეთური ადამიანი იყო, მაგრამ სიცოცხლის სწორედ უკანასკნელ ჟამს შეძლო ისე მოენანიებინა შეცოდებანი თვისნი, რომ ღმერთს შებრალებოდა, მოეღო მონყალება და შეეშვა თავის სასუფეველში. მაგრამ, ვინაიდან ყოველივე ეს ჩვენგან დაფარულია, და თუ ანგარიშს გავუწევთ იმას, რასაც ჩვენი თვალითა ვხედავთ, მე მგონია და ვამტკიცებ კიდეცა, რომ მისთვის განმზადებული იყო წარწყმედა, კლანჭებში ჩაუვარდა ეშმაკებს და სამოთხეში არ მოჰყვა.

და უკეთუ ეს ასეა, ვცნათ ჩვენზე გადმოვლინებული დიდი მონყალება ღვთისა, რომელიც ჩვენთა შეცოდებათ კი არ უყურებს, არამედ ჩვენი სარწმუნოების სიწმინდეს; და მაშინაც კი, როცა ჩვენს მეოხად მის წინაშე მისსავე მტერს ვირჩევთ და იმას სათნომყოფლად მივიჩნევთ, ღმერთი მაინც შეისმენს ჩვენს ლოცვა-ვედრებას ისევე, თითქო ჩვენს გაჭირვების ჟამს ჩვენს შუამდგომლად ნამდვილი წმინდანი აგვერჩიოს.

ამიტომ ამ მხიარულ საზოგადოებაში, რომელიც მისი სახელით შედგა და სადაც მისი ულეველი წყალობით მრთელნი და უვნებელნი ვიმყოფებით, ვადიდოთ სახელი მისი და აღვავლინოთ ვედრებანი ჩვენი მისდამი, ვთხოვოთ შეგვიმსუბუქოს სალმობანი და სასოება ვიქონიოთ, რომ შეისმენს ჩვენს ვედრებასა.

— ესა თქვა მოამბემ და გაჩუმდა.

ამბავი მეორე. მონათღული ებრაელი

ებრაელი აბრაამი ჯანოტო დი ჩივინის რჩევით მიდის პაპის სასახლეში, რომს; იქ ეკლესიის მსახურთა გახრწნილებას რომ დაინახავს, ბრუნდება პარიზში და ქრისტიანად მოინათლება.

პამფილოს ნაამბობზე დროდადრო ეცინებოდათ ქალებს და ძალიან მოეწონათ. ყველანი გაფაციცებით უსმენდნენ და რომ გათავდა, დედოფალი პამფილოს გვერდით მჯდომარე ნეიფილეს მოუბრუნდა და უბრძანა, ისიც მოჰყოლოდა ამბავს, რათა იმ გასართობში, რომელიც დროს გასატარებლად გამოიგონეს, ჯერი დაეცვათ. ეს ქალი არა მარტო შემკული იყო სილამაზითა, მეტად თავაზიანიც იყო. დიდის სიამოვნებითაო, თქვა და ასე დაიწყო: — პამფილომ თავის მოთხრობაში გვიჩვენა, რომ უფალი თვისის სახიერებით არ უყურებს ჩვენს შეცოდებათ, ოდეს ესენი წამოდგებიან ჩვენთვის დაფარულ და უხილავ მიზეზთაგან. მე კი, ჩემი მხრით, მინდა გიჩვენოთ, რომ იგივე სახიერება სულგრძელად ითმენდა ბიწიერებათ იმ ადამიანთა, რომელთაც, სიტყვით თუ საქმით უნდა დაემტკიცებინათ ეს სახიერება უფლისა, ისისნი კი, სწორედ წინააღმდეგ იქცევიან, და ამით სახიერება ესე გვაძლევს საბუთს იმისას, რომ იგი არსებობს და გვამხნევებს ჩვენ, რათა უმეტესი სულის სიმტკიცით მივდიოთ მას, რაიცა გვწამს.

ჩემო ტურფანო, ჩემთვის უამბნიათ, თურმე პარიზში ცხოვრობდა ვინმე დიდი ვაჭარი და ჩინებული კაცი, ჯანოტო დი ჩივინი ერქვა. მეტად პატიოსანი და წრფელი იყო და მაუდეულობით დიდი ვაჭრობა გაეჩაღებინა. ჯანოტოს ერთი დიდი მეგობარი კაცი ჰყავდა, ვინმე მდიდარი ებრაელი, აბრაამად წოდებული. ესეც ვაჭარი იყო და მსგავსადვე მეტად პატიოსანი და მართალი.

ჯანოტო ხედავდა აბრაამის პატიოსნებასა და სიმართლეს და საშინლადა წუხდა: ბრალი არ არის, ასეთი ღირსეულის, ბრძენისა და კეთილი ადამიანის სული წაწყმდეს, ვინაიდან მცდარ სარწმუნოებას აღიარებსო. ამიტომ მეგობრულად ქადაგება დაუწყო: ხელი აიღე ებრაული სარწმუნოების შეცდომებზე, აღიარე ქრისტიანებრივი ჭეშმარიტება, რადგან, როგორც შენ თვითონ შეგეძლო დაგენახა, ეს სარწმუნოება ჭეშმარიტი და წმინდაა, უფრო და უფრო ვრცელდება და მიმდევრები უჩნდება; შენი სარწმუნოება კი, პირიქით, კლებულობს და შეიძლება სულაც გაქრესო. ამაზე ებრაელმა უპასუხა: თვინიერ ისრაელთა სარწმუნოებისა სხვა არც ერთია ჭეშმარიტი და კარგიო. მე ამ სარწმუნოებაში დავიბადე, იმაშივე მინდა ვიცოცხლო და მოვკვდეო და ამ ჩემს განზრახვაზე ხელს ვერაფერი ამაღებინებსო.

ჯანოტომ ამით გული არ გაიტეხა და რამდენიმე დღის შემდეგ თავის მეგობარს ისევ განუახლა დარიგება. არწმუნებდა ისე ტლანქად და ისე უხეშად, როგორც ეს ვაჭრების

უმეტესობამ იცის ხოლმე, თუ რატომა სჯობია ქრისტიანული სარწმუნოება ისრაელურსაო. და თუმცა ებრაელი ისრაელთა სჯულის დიდ მცოდნედ ითვლებოდა, მაინც არ ვიცი, იმ მეგობრულის სიყვარულით, რომელსაც ის ჯანოტოსადმი გრძნობდა, თუ იმ სიტყვების წყალობით, ჯანოტო რომ მას ეუბნებოდა, რომელნიც ამ მოტუტუცო კაცს თვით სულმა წმინდამ ჩააგონა, ებრაელს ჯანოტოს რჩევა კი ბოლოს და ბოლოს ძალიან მოეწონა, მაგრამ თავის სარწმუნოებას ძალზე ებღაუჭებოდა და ახალი სჯულის მიღებაზე უარს ამბობდა. ებრაელი რაც უფრო უარზე იდგა, ჯანოტო მით უფრო არ ეშვებოდა და რჩევას არ იშლიდა, ისე რომ, ებრაელი თითქოს სძლიაო ამდენმა ჩიჩინმა და უთხრა მეგობარს:

„ვხედავ, ჯანოტო, რომ ძალიან გულით გინდა, ჩემს რჯულზე ხელი ავიღო და ქრისტიანობა მივიღო; ეგრე იყოს — მზათა ვარ შენს რჩევაზე გავიარო. მაგრამ ჯერ რომს უნდა წავიდე და ვნახო ის, ვისაც შენ სააქაო ღვთის მოადგილეს ეძახი; გავიგებ, რა ცხოვრებას ეწევა, ან რა ზნე-ჩვეულება აქვს, მსგავსადვე გადავხედავ მისთა ძმათა კარდინალთა ცხოვრებას. და თუ ესენი ისეთივე გამოდგნენ, როგორც შენ ამიწერე, და დავრწმუნდი, რომ შენი რჯული ჩემსასა სჯობია, როგორც შენ მიმტკიცებდი, იმას ვიზამ, რასაც დაგპირდი; წინააღმდეგ შემთხვევაში ისევე ისრაელად დავრჩები, როგორც აქამდე ვიყავი“.

ჯანოტომ ეს რომ გაიგონა, ძალზე დაღონდა და თავის თავს უთხრა: „ვაი, რა ტყუილად დავშვერი!.. მეგონა, ჩემმა ქადაგებამ გაჭრა. ეს არის, ღმერთმა მომხედა და უნდა მოინათლოს-მეთქი, და ის კი არა, ვხედავ, ყოველივე ამაო შეიქნა, იმიტომ რომ თუ ეს რომში წავიდა და დაინახა, რა გახრწნილსა და ბიწიერ ცხოვრებას ეწევა სამღვდელოება, არამცთუ ისრაელობას თავს დაანებებს და ქრისტიანად მოინათლება, არამედ ქრისტიანად მონათლულიც რომ იყოს, ისევ ისრაელის სჯულს დაუბრუნდებაო“. ჯანოტო მიუბრუნდა აბრაამს და უთხრა: „ჩემო საყვარელო მეგობარო, რომში რა გინდა, რათ უნდა დაიღალო და ამდენი ხარჯი რათ უნდა გასწიო იქ წასასვლელად? ესეც რომ არ იყოს, რამდენი ზღვა და ხმელი უნდა გაიარო, და შენისთანა მდიდარ კაცს, ვინ იცის, რამდენი ერთი ხიფათი მოგელის! რათა გგონია, რომ არ შეიძლება მოგნათლოს ვინმემ? და უკეთუ რამე ეჭვი გეპარება იმ სარწმუნოებაში, რომელსაც მე გიქადაგებ, სხვაგან სადა ნახავ ამ საქმეში იმდენად განსწავლულ და გამოცდილ ხალხს, როგორც აქ? თუ რამე საკითხავი გაქვს, თავისუფლად შეგიძლია ჰკითხო და აგიხსნიან და განგიმარტავენ ყოველსავე. ჩემის აზრით, შენი იქ გამგზავრება სრულებით ზედმეტია. უნდა იცოდე, იქაური მღვდელმთავრებიც ისეთივენი არიან, როგორებიც აქაური, უკეთესნიც, რადგან უზენაეს მწყემსთან უფრო ახლოს იმყოფებიან. ამიტომ გირჩევ, ეს მგზავრობა იმ დროისთვის გადასდო, როცა შენდობის ქაღალდისათვის მოგიხდება წასვლა; მაშინ, შეიძლება მეც გამოგყვე“.

ამაზე ისრაელმა ასე უპასუხა: „მე მწამს, ჯანოტო, რომ რასაც მეუბნები, ყველაფერი მართალია, მაგრამ ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა, მე გადაწყვეტილი მაქვს უეჭველად წავიდე

(თუ გინდა შევასრულო ის, რაზედაც ამდენი მემუდარე); თუ არ წავედი, გეუბნები, ისე არაფერს ვიზამ“.

რაკი დაინახა ჯანოტომ, ჩემს მეგობარს ვერ გადავათქმევინებო, გზა დაულოცა, და თავის გუნებაში სთქვა: თუ ინახულა პაპის სასახლე რომში, ცხადია, არ მოინათლებაო. მეტი არაფერი უთხრა, რადგან იცოდა, ვერას გააწყობდა, და დაჩუმდა.

ისრაელი ცხენზე შეჯდა და, რაც შეიძლებოდა, ჩქარა გასწია პაპის სახლისკენ. რომში ჩავიდა თუ არა, დიდის პატივით დაუხვდნენ თავისი ერთმორწმუნენი. აქ არავის უთხრა, თუ რისთვის ჩამოვიდა, ჩუმად დაუწყო თვალყურის დევნება, პაპი როგორა ცხოვრობდა, ან კარდინალები და სხვა მღვდელმთავრები და საერთოდ ყველანი, ვინც პაპის სასახლეში იმყოფებოდნენ. როგორც დაკვირვებულმა კაცმა, ბევრი რამ თავის თვალითა ნახა, ზოგიც სხვისგან გაიგონა და დარწმუნდა, რომ როგორც მაღალი, ისე დაბალი ხარისხის სასულიერონი, ყველანი გარყვნილების მორევში ცურავდნენ; არა მარტო ბუნებრივ ცოდვებს ჩადიოდნენ, სოდომურსაც ეწყობოდნენ: არცა რცხვენოდათ, და არც ერიდებოდათ რისამე. ასე რომ, თუ ვისმე რამე საქმის გაკეთება სწადდა, ჯერ უნდა მეძავ ქალებისა და ბიჭების გული უნდა მოეგო და ეთხოვა დახმარება, რადგან ამათ ხელში ძალა ცოტა რამ კი არ იყო!.. გარდა ამისა, აბრაამმა შეამჩნია, რომ ყველა ესენი გაუმაძღარნი და ლოთნი არიან, ცხოველებივით ღორმუცელობის მეტი არაფერი იციან, ავხორცობას აშკარად მისდევენო. უფრო და უფრო რომ დააკვირდა, ებრაელი დარწმუნდა, რომ ყველანი ისე ძუნწები და ვერცხლის მოყვარულნი არიან, რომ ყიდულობენ და ყიდიან ყველაფერს, როგორც ადამიანის სისხლს, თუნდაც ქრისტიანისა იყოს ეს სისხლი, ისე საღმრთო ნივთებს, სულერთია, როგორი იქნება ეს ნივთები: ჰყიდიან ღვთიურ მადლსა და საეკლესიო თანამდებობებს; ყოველივე ამით ისეთივე დიდი ვაჭრობა ჰქონდათ გაჩაღებული და უფრო მეტი აგენტები ჰყავდათ, ვიდრე პარიზის ვაჭრებს, რომლებიც მაუდეულობითა და სხვა საქონლით ვაჭრობენ ხოლმე. და თან სასულიერო თანამდებობით და ნივთებით აშკარა ვაჭრობას ღვთის წინაშე შუამდგომლობას ეძახიან, ხოლო ნაყროვანებას — ძალ-ღონის შემშველებელ საშუალებას, თითქოს ღმერთს არ სცოდნოდა არამცთუ მნიშვნელობა ამ სიტყვებისა, არამედ ამ სულმდაბალი ხალხის განზრახვაცა და თითქოს მისი, მსგავსად ადამიანებისა, მოტყუებაც შესაძლებელი ყოფილიყოს საგნების სახელით. ყოველივე ამან და ბევრმა სხვა რამემ, რომლის შესახებ ჯობს გავჩუმდეთ, ძალზე აუმღვრია გული ებრაელს, როგორც თავმდაბალსა და სმაში ზომიერ ადამიანს. ახლა კი მეყოფა, რაც ვნახეო და გადაწყვიტა პარიზში დაბრუნებულიყო და დაბრუნდა კიდეც.

ჯანოტომ რომ გაიგო, აბრაამი დაბრუნებულიყო, მაშინვე წავიდა მის სანახავად, თუმცა იმედი არა ჰქონდა, მეგობარი რომში ქრისტეს სჯულზე მონათლულიყო. მეტად გაიხარეს ერთმანეთის ნახვითა. დასვენების შემდეგ მეორე-მესამე დღეს ჯანოტომა ჰკითხა: რას იტყვი

წმინდა მამისა, კარდინალებისა და პაპის სხვა კარისკაცების შესახებაო? ამაზე ებრაელმა საჩქაროდ უპასუხა: „ღმერთო, შეგცოდე, და ვინც იქა ვნახე, ყველანი ერთმანეთზე უარესები არიან. თუკი კაცის ცნობა შემიძლია, თამამად უნდა გითხრა, რომ იქ არცერთ სასულიერო პირს არ მოეძევება არც სიწმინდე, არც ღვთისმოშიშება, არც კეთილი რამ საქმე და წასაბაძველი მაგალითი ცხოვრებაში; სამაგიეროდ, გავრცელებულია გარყვნილება, სიძუნწე და ნაყროვანება, და ამაზე უარესი ბიწიერება (თუ შეიძლება ამაზე უარესი სჭირდეს ადამიანს). ასე რომ, იქაურობა საგანის ვერაგობასა და მზაკვრობის ბუდედ უფრო ჩაითვლება, ვიდრე ღვთიური სიწმიდის საცავად. ჩემის აზრით, თქვენი მწყემსი და, მაშასადამე, სხვა დანარჩენებიც დიდის გულმოდგინებით, დიდის მოხერხებითა და გაიძვერობით ცდილობენ დედამიწის პირითგან აღგავონ და მთელს ქვეყნიერებაში ფეხი ამოაკვეთინონ ქრისტეს სჯულს, იმ დროს, როცა ამ სარწმუნოების ბურჯნი და გამავრცელებელნი ესენი უნდა იყვნენ. და რადგან მე ვხედავ, რომ ისინი თავის გულისნადებს ვეღარ ისრულებენ, პირიქით, თქვენი სარწმუნოება ვრცელდება და უფრო და უფრო ბრწყინვალებითა და დიდებით ირჭმება, მე ვრწმუნდები, რომ სული წმინდაა მისი სასო და საძირკველი, როგორც სხვა სარწმუნოებათა შორის ყველაზე ჭეშმარიტი და ყველაზე წმინდა სარწმუნოებისა. ამიტომ, თუმცა აქამდე უარზე ვიდექი, შენს რჩევა— დარიგებას სათანადო ყურადღებას არ ვაქცევდი და არ მინდოდა მოვნათლულიყავ, ახლა გამოტეხილად გეტყვი, რომ არაფერს შეუძლია შემაჩეროს და ქრისტიანობა არ მიმაღებინოს. ასე რომ, წავიდეთ ეკლესიაში და ისე მომნათლე, როგორც ამას თქვენი წმინდა სჯულის წესი მოითხოვდეს“.

ჯანოტო სულ ამის საწინააღმდეგო აზრის მოსმენას მოელოდა აბრაამისაგან, და ამის გაგონებაზე ცათაფრენა შეუდგა სიხარულისაგან.

წავიდნენ ერთად პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში და ჯანოტომ მღვდლებსა სთხოვა აბრაამისათვის საიდუმლო ნათლისღება შეესრულებინათ. მღვდლებმა, რომ გაიგონეს, რასაც ჯანოტო სთხოვდა, მაშინვე შეუსრულეს თხოვნა. მიმრქმელად ჯანოტო დაუდგა და თავის ნათლულს ჯოვანი უწოდა სახელად. მერე პატიოსან და განსწავლულ პირთ ჩააბარა, რომ ჩვენის სჯულის კანონები ესწავლებინათ. ჯოვანიმაც მალე ისწავლა ყველაფერი. შემდეგში ყოვლად ღირსეულ ადამიანად გადაიქცა და სავსებით კეთილმორწმუნე ცხოვრებას ეწეოდა.

ამბავი მესამე. სამგვარი სარწმუნოება

ებრაელი მელქისედეკი სამი ბეჭდის ამბავს მოჰყვება და ამით თავს დააღწევს დაღუპვას, სალადინის ხელიდან რომ მოელოდა.

ნეიფილეს ნაამბობი ყველას მოეწონა. რომ მორჩა თხრობას, გაჩუმდა თანახმად

დედოფლის სურვილისა, ახლა ფილომენამ დაიწყო ლაპარაკი: — ნეიფილეს ნაამბობმა მომაგონა ერთი უსიამოვნო ამბავი, ებრაელს ვისმე რომ დაემართა. რადგან ღმერთზე და ჩვენი სარწმუნოების ჭეშმარიტების შესახებ უკვე მშვენივრად ილაპარაკეს, უხამსი არ იქნება ჩამოვიდეთ ძირს და შევეხოთ ადამიანთა თავგადასავალს და საქმეთ და გიამბოთ ისეთი ამბავი, რომლის შემდეგ თქვენ უფრო ფრთხილად გასცემთ პასუხს, როცა რასმე გკითხავენ. თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, ჩემო საყვარელო ამხანაგებო, რომ როგორც სიბრიყვე კაცს ხშირად ხელიდან გამოაცლის ბედნიერებას და დიდ გასაჭირში ჩააგდებს, ისე ჭკუა ბრძენს იხსნის ხოლმე საშინელ განსაცდელთაგან და მიანიჭებს უდიდეს და უეჭველ მშვიდობას. მრავალია იმის მაგალითი, რომ სიბრიყვეს ბედნიერი კაცი უბედურებამდე მიეყვანოს; ამის შესახებ ახლა აღარას მოგახსენებთ, რადგან ასეთებისა ათასობით ვიცით მაგალითები. მაგრამ ახლა მოკლედ მოგიყვებით, როგორც დაგპირდით, ერთ პატარა ამბავს იმისას, თუ ჭკუა როგორაა ხოლმე ნუგეში ადამიანისა.

სალადინი იმდენად მამაცი იყო, რომ სულ უბრალო კაცისაგან არა მარტო ბაბილონის მეფედ იქცა, არამედ მრავალჯერ გაიმარჯვა სარაცინებისა და ქრისტიანთა მეფეებზე. ამ სხვადასხვა ომების გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ მეტად ფუფუნებით ცხოვრება უყვარდა, მთელი თავისი ხაზინა გაანიავა და როდესაც ერთი საქმისთვის დიდძალი ფული დასჭირდა, არ იცოდა, სად ეშოვნა საჩქაროდ. ამ დროს მოაგონდა ერთი მდიდარი ებრაელი, რომელსაც მელქისედეკს ეძახდნენ და ალექსანდრიაში სარგებლით ფულს ასესხებდა ხოლმე. სალადინმა თქვა, ამდენი ფულის მოცემა არ გაუჭირდება, თუკი მოინდომაო. მაგრამ საქმეც ის გახლდათ, რომ ებრაელი ისეთი ქვაწვია რამ იყო, რომ თავის ნებით ფულს არ გაიმეტებდა, ხოლო მისი ძალდატანება კიდევ სალადინს არ უნდოდა, მაგრამ ძალიან უჭირდა; ვინ იცის, რა და რა საშუალება არ ჩამოთვალა მისთვის ფულის გამოსართმევად. ბოლოს მაინც გადაწყვიტა ძალით გამოერთმია ფული, ოღონდ ამ ძალადობისათვის რამე მოსაბოდიშებელი სახე მიეცა. ბრძანა ებრაელისათვის დაეძახათ. შინაურულად დაუხვდა, გვერდით მოისვა და უთხრა: „პატივცემულო ადამიანო, ბევრისაგან გამიგონია შენი ჭკვიანობის ამბავი და ისიცა, რომ სარწმუნოების საქმეებში ძალიან განსწავლული ხარ. ამიტომ მინდოდა შენგან გამეგო, თუ რომელია ყველაზე მეტად ჭეშმარიტი სჯული — ისრაელური, სარაცინული თუ ქრისტიანული“. ებრაელი, რომელიც მართლა რომ ჭკვიანი კაცი იყო, მაშინვე მიხვდა, რომ სალადინს მისი ლაპარაკში დაჭერა უნდოდა და გადაწყვიტა: არც ერთ სჯულს არ მივცემ უპირატესობას, თორემ სალადინი მაჯობებს და თავის განზრახვას აისრულებსო. ამიტომ როგორც კაცმა, რომელსაც ისეთი პასუხი უნდა მიეცა, იმისი დაჭერა შეუძლებელი ყოფილიყო, თავს ძალა დააატანა, სწრაფად მოიფიქრა, რაც უნდა ეპასუხა, და მოახსენა: „ჩემო მბრძანებელო, თქვენი კითხვა მშვენიერი გახლავთ, და იმისათვის, რომ ჩემი აზრი ამ საგანზე კარგად გაგაგებინოთ, ერთი იგავი მინდა მოგახსენოთ და გთხოვთ ღირს მყოთ და მომისმინოთ. თუ არ ვცდები, ხშირად კი გამიგონია, ოდესღაც ცხოვრობდა ერთი

სახელოვანი და მდიდარი კაცი, რომელსაც თავის ზინეთში, სხვა ძვირფას ნივთთა შორის, ერთი მშვენიერი და იშვიათი ბეჭედი ჰქონდა. იმისთვის, რომ ეს ბეჭედი თავის ძვირფასობისა და სილამაზისათვის განსაკუთრებით გამოერჩია და ისე მოეხერხებინა, რომ გვარში საუკუნოდ შვილისაგან შვილის ხელში გადასულიყო, ანდერძად დააგდო: ჩემს შვილებში ვისაც შეხვდება ეს ბეჭედი, მამის სიკვდილს შემდეგ დატოვებული, მემკვიდრედ უნდა ითვლებოდეს, ხოლო სხვა შვილებმა, როგორც გვარში უფროსს, პატივი უნდა სცენ და დაემორჩილონო; ხოლო ვის ხელშიაც გადავა ეს ბეჭედი, თავის მხრივ, მსგავსადვე უნდა უანდერძოს თავის შთამომავალთ და ისე მოიქცეს, როგორც მოიქცა მისი წინამოადგილეო. ეს ბეჭედი მემკვიდრეების ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლოს ხელში ჩაუვარდა ერთს. ამ კაცს სამი შვილი ჰყავდა, სამივე მშვენიერი, ქველი და მამის მეტად მორჩილი. ამ ღირსებისათვის მამა მათ ერთმანეთში არ არჩევდა. რადგან შვილებმა ბეჭდის ამბავი იცოდნენ, თითოეულ მათგანს საშინლად უნდოდა დანარჩენებისგან პატივცემული და უფროსად აღიარებული ყოფილიყო და რამდენადაც შეეძლო, უკვე მოხუცებულ მამას ეხვეწებოდა, შენი სიკვდილის შემდეგ ბეჭედი მე დამიტოვეო. ღირსმა კაცმა, ყველანი რომ ერთნაირად უყვარდა, აღარ იცოდა, რომლისთვის დაეტოვებინა ბეჭედი და არჩევანში იყო; მერე იფიქრა, რაკი სამსავეს დავპირდი, მოდი სამსავე ასე დავაკმაყოფილებო: ერთ კარგ ოსტატს საიდუმლოდ გააკეთებინა ორიც სხვა, რომლებიც საოცრადა ჰგვანდა პირველს, იმ ზომამდე ჰგვანდა, რომ თვითონ მამას, რომელმაც გააკეთებინა, — უჭირდა გამოეცნო, ნამდვილი რომელი იყო. სიკვდილის წინ თითოეულ შვილს თითო ბეჭედი მისცა საიდუმლოდ. მამის სიკვდილის შემდეგ ყოველ მათგანს უნდოდა მემკვიდრე და პატივმოსილი ყოფილიყო და თან სხვებს ეუბნებოდა, თქვენ არავითარი უფლება გაქვთ ამისიო და დასამტკიცებლად თავისი ნათქვამის სიმართლისა ამოიღებდა ბეჭედს და ძმებს უჩვენებდა. და რადგან ბეჭდები ერთმანეთს ისე ჰგვანდა, რომ ვერ გამოეცნოთ ნამდვილი რომელი იყო, ამიტომ კითხვა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მამის მემკვიდრედ, არც მაშინ გადაწყვეტილა და დღესაც გადაუწყვეტლადაა დარჩენილი. და თქვენც ამასვე მოგახსენებთ, მბრძანებელო ჩემო, იმ სამი სარწმუნოების შესახებ, რომელიც ზეციერმა მამამ სამ ხალხს მისცა და რომელთა შესახებაც თქვენ გინებებიათ მე მკითხოთ: ყოველი ერი ფიქრობს, რომ ის ნამდვილი მემკვიდრეა, ჭეშმარიტი სარწმუნოება აქვს და ამ სარწმუნოების ბრძანებებს ასრულებს, მაგრამ აქაც, როგორც ბეჭდების ამბავში, კითხვა გამოურკვეველია, თუ ვინ არის ჭეშმარიტი სარწმუნოების აღმსარებელი“.

სალადინმა დაინახა, რომ ებრაელმა მოხერხებულად დააძვრინა თავი მის მიერ დაგებულ ხაფანგს, და ამიტომ გადაწყვიტა გამოსტყდომოდა, ეთქვა თავისი გაჭირვება და გაეგო, მიეშველებოდა თუ არა. ასეც მოიქცა: გულწრფელად უთხრა ებრაელს, თუ რა საქმეს უპირებდა, ებრაელს რომ ასე ჭკვიანურად არ ეპასუხა.

ებრაელმა მიართვა სალადინს მთელი თანხა, რაცა სჭიროდა. სალადინმა მერე სავსებით გადაუხადა ვალი და ამას გარდა დიდძალი საბოძარი აჩუქა, მეგობრად გაიხადა და თავის სასახლეში დიდი და საპატიო ადგილიც უბოძა.

ამბავი მეოთხე. აცდენილი სასჯელი

ერთი ბერი მძიმე სასჯელის ღირს ცოდვას ჩაიდენს; ასეთსავე ცოდვას ოსტატურად თავის წინამძღვარს მოახვევს თავზე და ამით სასჯელს თავიდან აიცდენს.

როცა ფილომენამ თავისი ამბავი გაათავა და დაჩუმდა, დიონეომ, მის გვერდით რომ იჯდა, იცოდა, რომ დაწყებული წესის თანახმად ახლა მისის ჯერი იყო თხრობისა, დედოფლის ბრძანებას არც კი დაუცადა დაასე დაიწყო ლაპარაკი: — საყვარელო ქალებო, რამდენადაც გაგებული მაქვს ყველაფერი, ჩვენ აქ იმისთვის ვართ მოსულნი, რომ ერთმანეთს კარგი ამბავი ვუამბოთ, და ერთიმეორე ვასიამოვნოთ. ამიტომ მგონია, რომ ყოველ ჩვენთაგანს ნება აქვს ის ამბავი გვიამბოს, რაც მას უფრო მოსწონს (როგორც ეს წეღან დედოფალმა გვიბრძანა), მხოლოდ იმ პირობით, რომ, ამ დებულების თანახმად, ამ ამბავმა ასიამოვნოს მსმენელნი. ჩვენ გვესმა, რომ ჯანოტო დი ჩივინის კეთილი რჩევა-დარიგებით აბრაამმა სული იცხონა, ხოლო მელქისედეკმა თავისი ჭკუის წყალობით თავი ხაფანგში არ გაიბა და თავისი სიმდიდრე გადაარჩინა; ახლა მე, იმედი მაქვს, თქვენი საყვედური არ დავიმსახურო, ისე მოკლედ გიამბოთ, თუ ეშმაკობით როგორ გადაირჩინა თავი ერთმა ბერმა საშინელი სასჯელისაგან.

ლუნიჯანას მხარეში, რომელიც აქედან მაინცდამაინც არც ისე შორსაა, სიწმინდითა და ბერების რიცხვმრავლობით განთქმული ერთი მონასტერი არსებობდა. თქვენს ლხენას, აბა, დღეს სადა ნახავთ ან ერთსა და ან მეორეს!..

მონასტრის თაბუნში ერთი ახალგაზრდა ბერი ერია, რომელსაც ვერც მღვიძარებამ და ვეღარც მარხულობამ ვერც ღონე დაუცხრო და ვერც ახალგაზრდობა.

ერთხელ, შუადღისას, როცა ბერებს ყველას ეძინათ, ამ ახალგაზრდა ბერმა მონასტრის მეტად განმარტოებით მდგარი ეკლესიის გარშემო მარტოდმარტო სიარული დაიწყო. ამ დროს თვალი მოჰკრა ერთს მეტად ლამაზ გოგოს. გლეხის ქალი იყო და მინდვრად რაღაც ბალახების საკრეფად გამოსულიყო. ქალს თვალი მოჰკრა თუ არა, მთელს მის არსებას მეტად ხორციელი ნდომა დაეუფლა. ამიტომ მიუახლოვდა, გამოელაპარაკა და ისე მოხერხებულადაც გადაუკრა სიტყვა, რომ ქალი დაიყოლია და წამოიყვანა თავის სენაკში ისე, რომ არავის დაუნახავს.

სანამ ბერი, უზომო სურვილით აღტყინებული, ქალთან ჟინს იკლავდა და ყოველივე სიფრთხილე დავიწყებოდა, მონასტრის წინამძღვარი ძილისაგან ამდგარიყო და ფეხაკრეფით ახალგაზრდა ბერის სენაკს რომ ჩაუარა, მოესმა ხმაურობა, ქალსა და ბერს რომ აეტეხათ.

რომ უკეთ გაერჩია ხმები, წინამძღვარი ფრთხილად სენაკის კართან მივიდა ყურის დასაგდებად. მკაფიოდ გაარჩია ქალის ხმა და საშინლად მოუნდა ბერისათვის კარი გაეღებინებინა. მაგრამ მერე იფიქრა, სხვაგვარად მოეგვარებინა საქმე. ამიტომ დაბრუნდა თავის ოთახში და დაუწყო ლოდინი, სანამ ახალგაზრდა ბერი გარეთ გამოვიდოდა.

ბერი, მართალია, აქ ქალთან უზომოდ ნეტარობდა და გულს იხარებდა, მაგრამ თან ეფიქრებოდა, ვაითუ ვინმე მიყურებდესო. და ოდეს დასაძინებელში ფეხის ფრატუნი მოესმა, კარის ერთს ჭუჭრუტანას თვალი მიადო და აშკარად დაინახა, რომ წინამძღვარი ჩუმად ყურს უგდებდა. ცხადად მიხვდა, — უთუოდ შემიტყობს, რომ ეს ქალი სენაკში მყავსო, აბა რა ლარი და ხაზი უნდა, ამის გულისთვის მეტად დავისჯებიო და ძალზე დაღონდა. მაგრამ ქალს თავისი დარდი არ გაუმხილა, გულში უცბად ბევრი რამ ღონისძიება ჩამოთვალა, იქნება როგორმე თავი დავაღწიო უბედურებასაო. ამ დროს თავში გაუელვა ერთმა უცნაურმა ეშმაკობამ, რომელმაც პირდაპირ გაიყვანა ფონს. მერე ქალს ისე მოაჩვენა თავი, — ახლა გვეყოფა, გენაცვალე, ერთად ყოფნაო და უთხრა: წავიდე, ვნახო, აქედან როგორ გაგისტუმრო ისე, რომ არავინ დაგინახოსო; ამიტომ ჩემს დაბრუნებამდე აქ ჩუმად იჯექიო.

ბერი გარეთ გამოვიდა, სენაკი გასაღებით დაკეტა და პირდაპირ წინამძღვრის ოთახისაკენ გაემართა. წინამძღვარს გასაღები გადასცა, როგორც ამასა შვრებოდნენ ხოლმე ბერები მონასტრიდან გასვლისას, და სრულებით დამშვიდებული სახით მოახსენა: მესერე, ამ დილას ვეღარ მოვასწარი მომეტანინებინა ყველა შეშა, რაც დამიჭრევინებია. ამიტომ ლოცვა-კურთხევასა გთხოვთ, ტყეში გეახლოთ და დანარჩენიც მოვაზიდვინოვო.

წინამძღვარს გულში გაეხარდა, რომ ასე მოეწყო საქმე. გადაწყვიტა, უფრო მეტად დარწმუნებულიყო ბერის მიერ ჩადენილ დანაშაულში და თანაც იფიქრა, ეტყობა ვერ მიხვდა, რომ დავინახეო, გასაღები სიხარულით ჩამოართვა და ლოცვა-კურთხევა მისცა.

წინამძღვარმა რომ დაინახა, ბერი წავიდაო, დაიწყო ფიქრი: რა ემჯობინება ჯერა ვქნაო — ბერების თანდასწრებით გავაღო მისი სენაკი და ყველას ვაჩვენო მისი დანაშაული, რომ როცა ბერს დავსჯი, ჩემს წინააღმდეგ ჩივილი არავინ დაიწყოსო; თუ წინასწარ ქალისაგან გავიგო, როგორც იყო საქმეო? მერე იფიქრა: იქნება ეს ქალი ცოლია ან ქალიშვილი ვინმე პატივცემული კაცისა, და ამდენი ბერის წინაშე სირცხვილი როგორ უნდა ვაჭამოვო!.. ამიტომ გადაწყვიტა, ჯერ გაეგო — ვინც იყო ქალი და ამა თუ იმ გზას მერე დასდგომოდა. ჩუმად მიიპარა სენაკთან, გააღო, შიგ შევიდა და კარი გამოიხურა.

ახალგაზრდა ქალმა შემოსული წინამძღვარი რომ დაინახა, თავ-ტანი დაკარგა, შეეშინდა შერცხვენისა და ამოუშვა ტირილი. აბატი რომ დააცქერდა ქალს და დაინახა, რომ ლამაზი და ქორფა იყო, თუმცა თვითონ მოხუცი იყო, მაინც ხორციელი ნდომა თავის ახალგაზრდა ბერზე ნაკლები არ აღძვრია და თავის გულში თქვა: „ერთი კაცმა მკითხოს, რატომ არ უნდა ვიგემო სიამოვნება, როცა კი შემიძლია მოვიპოვო იგი!.. შენ სიამე თქვი, თორემ უსიამოვნება და საწყენი სულ მუდამ მზადაა, ოღონდ კი ინდომო. ლამაზი გოგონაა, სული არ წამიწყდება! თან ძე-ხორციელმა არ იცის, რომ ახლა აქ არის. თუკი როგორმე დავიყოლიე, რატომ არ უნდა გავახარო ჩემი თავი?! მე შენ გეტყვი, ვინმე გამიგებს. სრულებით ვერავინ გაიგებს და ხომ ვიცით, დაფარული ცოდვა სანახევროდ პატიებულიაო. ვინ იცის, ასეთი ბედი კარზე კიდევ როდესმე მომადგება თუ არა, და ამიტომ, ჩემის აზრით, კაცი ბრძენი, ოდეს ღმერთი უფალი წყალობას რასმე უგზავნის, ორივ ხელით უნდა დაებღაუჭოს კარს მომდგარ ბედნიერებას.

ამ ფიქრში სრულებით გამოიცვალა ის განზრახვა, აქ მოსვლამდე რომ ჰქონდა, უფრო მიუახლოვდა ახალგაზრდა ქალს, დაუყვავა და გული გაუკეთა, ნუ ტირიო. დაუწყო ლაპარაკი იქითურ-აქეთურზე, ასე რომ ბოლოს თავისი გულის წადილიც გაუმჟღავნა. ქალი არც რკინისა იყო და აღარც ალმასისა და ძალიან ადვილად დაჰყვა წინამძღვრის სურვილს. წინამძღვარმაც ქალს დაუკოცნა ყველაფერი; მერე საწოლზე ავიდა, ანგარიში გაუწია თავის ღირსების საპატიო სიმძიმეს და ქალის სინორჩეს, ანდა იქნება შეეშინდა, ჩემის მეტისმეტი სიმძიმით არა დავუშავო რაო და თვითონ კი არ დააწვა ქალს გულზე, არამედ ქალი დაიწვინა გულზე და დიდხანს სიამტკბილობდა მასთან.

ბერი ტყეში წასვლის ნაცვლად, დორმიტორიოში დაიმალა და რომ დაინახა, წინამძღვარი ჩემს ოთახში შევიდაო, სრულებით გული დაიმშვიდა და თქვა, ჩემმა დაწყობილმა საქმემ გაჭრაო. ისიც რომ დაინახა, წინამძღვარმა კარი შიგნიდან ჩაიკეტაო, სულ გაეხარდა: ახლა კი სულ მეშველაო. გამოვიდა საფარიდან და მივიდა ერთ ჭუჭრუტანასთან, საიდანაც ყველაფერი დაინახა და გაიგონა, რასაც წინამძღვარი შვრებოდა და ამბობდა.

წინამძღვარმა, ახლა კი მეყოფა ქალთან ყოფნაო, ჩაკეტა ქალი სენაკში და თვითონ თავის ოთახისაკენ გაემართა. ცოტა ხნის შემდეგ მოესმა ბერის ფეხის ხმა და იფიქრა, ალბათ ტყიდან დაბრუნებულაო. გადაწყვიტა, ძალიან დაეტუქსა ბერი და დაემწყვდევინებინა კიდეც, რომ, ამგვარად, ქალი მარტო იმას დარჩენოდა. ბერისათვის დააძახებინა, მკაცრად და მრისხანე სახით გაურისხდა და ბრძანა საკანში დაემწყვდიათ. ბერმა მაშინვე სიტყვა მოუჭრა: „თქვენო მაღალკურთხევავ, მე სულ ცოტახანია, რაც წმ. ბენედიქტეს ორდენს ვეკუთვნი და დრო არა მქონია, ამ ორდენის წესების ყველა მესწავლა; ხოლო თქვენ ჯერ არ გიჩვენებიათ ჩემთვის, თუ როგორ უნდა ამოუწვნენ ქვეშ ქალებს ბერები, ან როგორ იმარხულონ და ღამე

ათიონ ხოლმე. მაგრამ რაკი ახლა მაჩვენეთ, აღვთქვამ, თუკი ამ შეცდომას შემინდობთ, ამ მხრივ მეტად არ შევცოდო, პირიქით, ისე ვიზამ, როგორც თქვენგან დავინახე“.

წინამძღვარი მიხვედრილი კაცი იყო, მყისვე შეიგნო, რომ ბერს, არამც თუ ჩემზე მეტი ესმის ამ საქმისა, არამედ დაუნახავს კიდეცა, რასაც მე ვშვრებოდიო. ამიტომ თვითვე საშინელი ქენჯნა განიცადა სინდისისა საკუთარი დანაშაულისათვის და შერცხვა: ბერი როგორ დავსაჯო იმ სასჯელითა, რის ღირსიც არა მარტო ბერი, არამედ მე თვითონაც ვარო.

წინამძღვარმა ბერს შეუნდო შეცოდება და დაარიგა: რაც ნახე, არავისთან წამოგცდესო. მერე ბერთან ერთად ქალი ფრთხილად გაიყვანა მონასტრიდან, და მერე ორსავე ალბათ არაერთხელ შემოუყვანიათ ხელახლა მონასტერში.

ამბავი მეხუთე. მარკიზას ვარიები

მონფერატოს მარკიზა ვარიებისაგან მომზადებული სადილისა და რამდენიმე მოსწრებული სიტყვის საშუალებით საფრანგეთის მეფეს დაუცხრობს მისდამი აღგზნებულ სიყვარულს.

დიონეოს ნაამბობ ამბავზე ჯერ ცოტათი შერცხვათ მსმენელ ქალებს, რაც მტკიცდებოდა იმით, რომ სახეზე მორცხვობის ალმა გადაჰკრათ, მერე თან ერთიმეორეს აცქერდებოდნენ და თანაც თავს ძლივს იკავებდნენ სიცილისაგან და ფრუტუნებდნენ, ისე ბოლომდე მოისმინეს. მაგრამ დიონეო ბოლომდე რომ ჩავიდა, ქალებმა, თუმცა ალერსიანად, საყვედური უთხრეს და თანაც ეუბნებოდნენ, ასეთი ამბები ქალებთან როდი უნდა გეთქვაო. ამის შემდეგ დედოფალი მის გვერდით მწვანეზე მჯდომ ფიამეტას მიუბრუნდა და უბრძანა, ახლა თქვენი ჯერია ამბის თქმისაო. იმანაც საამო და მხიარული ღიმილით დაიწყო: — აქამდე ჩვენ-ჩვენი ამბებით ვცდილობდით გვეჩვენებინა, თუ რა ძალა აქვს მოსწრებულ და სწრაფ პასუხს, და ეს ჩვენი ცდა მე ძალიან მომწონს. მაგრამ აგრეთვე ისიც ვიფიქრე, რომ თუ მამაკაცისათვის გონივრულ საქმედ ითვლება, შეიყვაროს თავისზე უფრო მაღალი წოდების ქალი, მეორეს მხრივ ქალის დიდი და მიხვედრილი ჭკუის ნიშანია, შეძლოს, დაიცვას თავისი თავი იმ კაცის სიყვარულისაგან, რომელიც მასზე მაღლა დგას საზოგადოებაში. და აჰა, ჩემო მშვენიერებო, უნდა გიჩვენოთ იმ ამბავში, რომელიც ჯერით უნდა გიამბოთ, თუ რა სიტყვებით და რა მოქცევით მოახერხა ერთმა კეთილშობილმა ქალმა თავისი თავი დაეცვა სიყვარულისაგან და კაცისათვისაც ხელი აეღებინებინა სიყვარულზე.

მონფერატოს მარკიზი, კაცი დიდად ღირსეული და ქველი, ქრისტეს ეკლესიის გონფალონიერი ზღვის გაღმა ქვეყნებში წავიდა ჯვაროსნულ ომში მონაწილეობის მისაღებად.

ამ ომში წასასვლელად აგრეთვე ემზადებოდა საფრანგეთის მეფე ფილიპე მრუდეც. როცა ერთხელ მის სასახლეში მარკიზ მონფერატოს ღირსებათა შესახებ ლაპარაკი ჩამოვარდა, ამ დროს ერთმა რაინდმა ასე მოახსენა: ცის ქვეშ მარკიზისა და მისი მეუღლის მსგავსი არავინაო; როგორც მარკიზია ყველა რაინდთა შორის თავისი ახოვანებით განთქმული, ისე მანდილოსანთა შორის ყველაზე ლამაზი და სათნოა მისი მეუღლეო. ეს სიტყვები ისე ჩაეჭრა გულში მეფეს, რომ მარკიზის ცოლისადმი უნახავად აღინთო სიყვარულით და გადაწყვიტა ზღვაში მხოლოდ ვენუის ნავსადგურიდან გასულიყო. ასე რომ, რაკი ხმელეთით ივლიდა, სრულებით ბუნებრივი იქნებოდა, გზად მარკიზის მეუღლესა სწვეოდა და, რადგან თვითონ მარკიზი შინ არ იყო, თავისი გულისნადები ადვილად აესრულებინა.

და მეფე განზრახვის განხორციელებას შეუდგა. ჯარი წინდაწინ გაისტუმრა, თვითონ რამდენიმე აზნაური იახლა და დაადგა გზას. მარკიზის სამფლობელოს რომ მიუახლოვდა, ერთი დღით ადრე კაცი გაუგზავნა და შეუთვალა, ხვალ სადილად თქვენი სტუმარი გახლავართო. მარკიზა ჭკვიანი და შორსგამჭვრეტი ქალი იყო და სიხარულით უპასუხა: დიდად ბედნიერი ვიქნები, თუ თქვენს სტუმრობას ვეღირსებიო. მერე, ცოტა არ იყოს, დაფიქრდა: რას უნდა ნიშნავდეს, რომ ასეთი ძლიერი მეფე ჩემთან მოდის და ისიც იმ დროს, როცა ქმარი შინ არა მყავსო?.. მერე თქვა თავის გულში: ალბათ, ჩემი სიმშვენიერის ქებამ მის ყურამდეც მიაღწია და ეს გახდა მიზეზი მისი აქ მოსვლისაო.

მაგრამ მაინც, როგორც მიხვედრილმა და ჭკვიანმა ქალმა, გადაწყვიტა ღირსეულად დახვედროდა. მოიხმო სასახლეში დარჩენილი კეთილშობილნი, დასახვედრად გასაწევი თადარიგის შესახებ მათთან ითათბირა, მხოლოდ სადილისა და სურსათ-სანოვაგის გამოწყობა თვითონ ითავა. ბრძანება გასცა, რაც ახლომახლო ქათამი იშოვებოდა, ყველა მოეყვანათ და მზარეულებს უბრძანა, მხოლოდ აქ ქათმებისა გააკეთეთ სხვადასხვა კერძი სამეფო სუფრისთვისაო.

დანიშნულ დღეს მეფეც მობრძანდა და მარკიზა დიდის პატივითა და ზეიმით დაუხვდა. მეფეს ქალი უფრო ლამაზად, უფრო მომხიბვლელად და მეტად დახვეწილი ზრდილობის ქალად ეჩვენა, ვიდრე წარმოდგენილი ჰქონდა მისი ვინაობა რაინდის ნათქვამითა. და რაც უფრო რწმუნდებოდა, მარკიზა გაცილებით უფრო მშვენიერი ყოფილა, ვიდრე მე მეგონაო, მით უფრო უძლიერდებოდა მისი გულის მოგების სურვილი.

როცა მეფემ მოისვენა მის შესაფერად მდიდრულად მორთულ ოთახში, სადილობის დროც დადგა. მეფე და მარკიზა ერთ სუფრას მოუსხდნენ ერთად, ხოლო სხვები სხვა სუფრას მოუსვეს მათის ღირსებისდაკვალად. მეფეს ერთიმეორეზე მიართვეს ნაირ-ნაირი საჭმელები და საუკეთესო და თავანკარა ღვინოები. თანაც კალმით დახატულ მარკიზას რომ უყურებდა, უზომოდ იყო გახარებული. რაც უფრო ერთიმეორეს მოსდევდა საჭმელები, მეფე თანდათან

ჰკვირდებოდა: მართალია, საჭმელები ნაირ-ნაირია, მაგრამ ყოველი მათგანი ქათმისაგან არის შემზადებულიო. და რადგან ვიცი, რომ ამ ალაგებში ძალიან ბევრია სხვადასხვა ნადირი, და, გარდა ამისა, რაკი წინდაწინ შევატყობინე მარკიზას ჩემი მოსვლის ამბავი, საკმაო დრო ექნებოდა მონადირეები გაეგზავნა ნადირის დასახოცავადო. ცხადია, ძალიან უკვირდა, რომ სუფრაზე ნადირის ხორცი არ იყო, მაგრამ მაინც არ უნდოდა მასპინძლისათვის ეგრძნობინებინა, რომ ეს შეამჩნია. მაინც ვერ მოითმინა, რამე არ ეთქვა ამ ქათმების შესახებ, მხიარულის ღიმილით მიმართა დიასახლისს და უთხრა: „მარკიზა, ამ მხარეში ვარიები უმამლოდ იზრდებიან, ნეტავი?“

მარკიზა მიხვდა, რაც უნდა ეთქვა ამით მეფეს, და თქვა თავის გულში: თვით ღმერთი მიგზავნის საუცხოვო შემთხვევას, ჩემი განზრახვა ავისრულო და პასუხად შემდეგი სიტყვები მოახსენა თამამად: „არა, მეფეო, მაგრამ აქაური ქალებიც ისევე გახლავთ გაჩენილი, როგორც სხვა ადგილების ქალები, თუმცა მათგან განირჩევიან ტანისამოსითა და საპატიო მდგომარეობით“.

მეფემ ეს პასუხი რომ გაიგონა, მიხვდა, თუ რათ მოჰქონდათ სადილზე მხოლოდ და მხოლოდ ქათმები, ან რა აზრი იყო დაფარული მარკიზას სიტყვებში; დარწმუნდა, რომ ასეთ ქალთან ლაპარაკით კაცი ტყუილად ვერას გახდება და ძალითაც გულისნადებს ვერ აისრულებსო. ამიტომ, მართალია, ჩემის გაუფრთხილებლობით მისდამი სიყვარული აღმენთო, მაგრამ ჩემის მხრით ჭკვიანური იქნება, თუ ჩემის ღირსების დასაცავად უკანონო სიყვარულის ავარდნილ ალს ჩემს გულშივე ჩავიქრობო.

მეფემ ოხუნჯობას თავი დაანება, რადგანაც მარკიზას პასუხებისა ეშინოდა, ხელი აიღო ყოველგვარ იმედზე და ისე განაგრძობდა სუფრაზე ჯდომას. სადილი გაათავა თუ არა, მოუცლელობა მოიმიზეზა და ამით უნდოდა დაეფარა თავის სტუმრობის უპატიოსნო განზრახვა. მარკიზას პატივცემისათვის მადლობა შესწირა. მარკიზამაც გზა დაულოცა და ამის შემდეგ მეფეც გენუაში გაემგზავრა.

ამბავი მეექვსე. „ასწიღან მიილოს“...

ერთი ღირსეული ადამიანი მოსწრებული სიტყვით ამხელს ბერების საზიზღარ თვალთმაქცობას.

როცა ყველამ გული იჯერა ლაპარაკით მარკიზას სათნოებასა და მის მიერვე ასე ოსტატურად საფრანგეთის მეფისათვის ჭკუის სწავლებაზე, და ამის გამო ყველამ აღტაცება გამოთქვა, ფიამეტას გვერდით მჯდომმა ემილიამ, თავისი დედოფლის სურვილის თანახმად,

თამამად ასე დაიწყო: — მეც გიამბობთ აგრეთვე იმაზე, თუ ერთმა პატივცემულმა ერისკაცმა როგორ შეარცხვინა თუმცა სასაცილო, მაგრამ მოსწრებული სიტყვით ერთი ძუნწი ბერი.

მას აქეთ დიდი ხანი არ არის, ძვირფასო ქალებო, ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა მინორიტების ორდენის ძმა, უსჯულოთა მწვალებლობის ინკვიზიტორი. თუმცა ეს ძმა ყველას წმინდა კაცად და ქრისტეს სჯულის ერთგულად აჩვენებდა თავს, ისევე როგორც ამას ყველანი შვრებიან, მაგრამ ამავე დროს არანაკლებ მარჯვე აღმომჩენი იყო, როგორც სჯულის მოღალატეთა, ისე მათი, ვისაც ჯიბე სქელი ჰქონდა.

სჯულისათვის თავგამოდებით მეცადინეობის დროს შემთხვევით წააწყდა ერთ ალალ-მართალ ადამიანს, ფულით საკმაოდ მდიდარს, მაგრამ გონებით ღარიბს.

ერთ დღეს ეს კაცი სხვებთან ერთად ღვინოსა სვამდა. ღვინისაგან შეხურებულს, ან იქნებ ზომაზე მეტად გამხიარულებულს, გაუფრთხილებელი სიტყვა წამოსცდა: სახლში ისეთი ღვინო მაქვს, რომ თვით ქრისტესაც კი მოეწონებოდაო. მაგრამ ამისი თქმა უფრო გულუბრყვილობით მოუვიდა, ვიდრე ურწმუნოებით. მაშინვე ინკვიზიტორთან დააბეზღეს. იმანაც შეიტყო, რომ დამნაშავე დიდი მამულის და ფულის პატრონი იყო, დაუყოვნებლივ cum gladiis et fustibus[1] სასტიკ გამოძიებას შეუდგა. მაგრამ გამოძიებას აზრად ამ კაცის სწორ გზაზე დაყენება კი არა ჰქონდა, არამედ მისი ჯიბიდან ფლორინების ამოლაგება. ეს ინკვიზიტორმა აასრულა კიდეცა. დაიბარა დამნაშავე და ჰკითხა:

მართალია თუ არა, რასაც შენზე ამბობენო? ალალ-მართალმა კაცმა უპასუხა — მართალი გახლავთო, და ყოველივეს მოუყვა, როგორც ყოფილა საქმე. ამაზე უწმინდესმა და წმ. ჯოვანი ოქროპირის[2] წადიერებით მოთაყვანემ უთხრა: „მაშ, შენის აზრით, ქრისტე ლოთი და ძვირფასი ღვინოების მოყვარული ყოფილა, თითქოს ვიღაც ჩინჩილიონე[3] იყოს, ან თქვენი ამფსონი, ან კიდევ იმათგანი, ვინც სამეკიტნოებში დღეს აღამებს და ღამეს ათენებს. და ახლა, ჩემო კარგო, აგიღია და ისე იკატუნებ თავსა და თავმდაბალ კაცად უნდა მომეჩვენო, თითქო რაც ჩაიდინე, უბრალო რამ იყოს. მაგრამ არც ისეა საქმე, როგორც შენა გგონია. თუ ჩვენ სამართლიანად განვსაჯეთ შენი დანაშაული, კოცონზე დაწვის ღირსი იქნები“.

ამასა და სხვა ამგვარ სიტყვებს ისეთი მრისხანე სახით ელაპარაკებოდა დამნაშავეს ინკვიზიტორი, თითქო მის წინაშე ეპიკურელი ვინმე მდგარიყო, რომელიც უარყოფდა სულის უკვდავებასა. მოკლე ხანში ისე შეაშინა საწყალი კაცი, რომ იძულებული იყო შუაკაცების

[1] ხმლითა და ჯოხით (ლათ.). ბიბლია - მათე 26:47, ლუკა 22-52

[2] ე. ი. ოქროს ფულების. მაშინ იტალიურ ოქროს ფულებზე წმ. იოანე ოქროპირის სახე იყო გამოყვანილი და ასეთ ფულს „წმ. ჯოვანი ოქროპირს“ ეძახდნენ.

[3] იმდროინდელი ცნობილი ლოთი.

საშუალებით მოსამართლისათვის ხელებზე ბლომად წაეცხო წმინდა იოანე ოქროპირის მალამო (ეს მალამო სამღვდელოებასა და, განსაკუთრებით, მინორიტების ორდენის ბერებს შორის, რომელნიც თავიანთის ორდენის წესდების ძალით ფულს ხელს ვერ ახლებდნენ, გავრცელებულს გადამდებ სენს — ანგარების მოყვარეობას, როგორც ყველამ იცის, ძალიანა შველის ხოლმე). ასე რომ, ინკვიზიტორი დამნაშავეს უფრო ლმობიერად უნდა მოპყრობოდა. ეს მეტად უებარი მალამო, რომელსაც გალენი[4] თავის საექიმო ნაწერებში იხსენიებს, ისე უხვად წაუსვა, რომ ცეცხლი, რომლითაც ემუქრებოდნენ, ჯვრის სახედ შეუცვალეს[5] და რომ უფრო ლამაზი გამოსულიყო, შავზე ყვითელი ჯვარი ამოუკერეს, თითქო წმინდა ადგილებში წასასვლელად ამზადებენო. გარდა ამისა, რაკი ინკვიზიტორმა ფული მიიღო, რამდენიმე დღეს თავისთან გააჩერა და სასჯელად განუჩინა: ყოველ დილას წმ. ჯვრის ეკლესიაში წირვაზე ევლო, ხოლო სადილის წინ მასთან მოსულიყო და დანარჩენ დროს კი, რაც უნდოდა, ის შეეძლო ეკეთებინა.

ყოველივე ამას გულმოდგინედ ასრულებდა დამნაშავე. ერთ დილას წირვაზე, სახარების კითხვის დროს, მოესმა, რომ ამ სიტყვებსა გალობდნენ: „ასწილად მიიღოს და საუკუნო ცხოვრება დაიმკვიდროს“. ეს სიტყვები კარგად დაიხსომა, მერე ბრძანებისამებრ სადილობის ჟამს ინკვიზიტორთან მივიდა. ინკვიზიტორი იქვე სუფრას უჯდა, ჰკითხა — ამ დილას წირვა ხომ მოისმინეო? დამნაშავემ საჩქაროდ უპასუხა: „გახლდით, მაღალღირსო“. ხოლო ინკვიზიტორმა კიდევა ჰკითხა: „ხომ ისეთი არაფერი გაგიგონია, რომ საეჭვოდ მიგაჩნდეს, ან ახსნა-განმარტება გჭიროდეს? — „არა, მაღალღირსო, რაც გავიგონე, საეჭვოდ არც ერთი არ მიმაჩნია, პირიქით, ყველაფერს ჭეშმარიტებად ვთვლი. მხოლოდ ერთი ისეთი რამ გავიგონე, რომ საშინლად შემებრალეთ, როგორც თქვენ, ისე ძმა ბერები, რადგან საიქიოში ყველას თქვენ ცუდი დღე დაგადგებათ“. მაშინ ინკვიზიტორმა ჰკითხა: „რა სიტყვა იყო ისეთი, რომ ასე შეგაბრალა ჩვენი თავი?“ ამაზე ალალ-მართალმა კაცმა უპასუხა: „მაღალღირსო, ეს გახლდათ სახარების სიტყვა, რომელიც ბრძანებს: ასწილად მიიღოსო“. ინკვიზიტორმა უპასუხა: „ეს მართალია, მაგრამ შენ ამ სიტყვებმა ასე რათ აგიჩვილეს გული?“ — „მაღალღირსო, — უპასუხა ალალ— მართალმა კაცმა, — მოგახსენებთ, რათა: მას აქეთ, რაც აქ გახლავართ, ვუყურებ და ყოველდღე აძლევენ აქ მოსულ ღარიბებს დღეში ერთ უშველებელ ქვაბ წვენს, ხან ორსაც, ზოგს თქვენი ბერების თაბუნის სუფრიდან და ზოგს კიდევ თქვენი სუფრიდან. ასე რომ, თუ თქვენ თითოეული ქვაბი წვენის წილ ასი ქვაბი მოგაგეს, იმდენი წვენი მოგიგროვდებათ, რომ შიგ ჩაიხრჩობით.

თუმცა ვინც ინკვიზიტორთან სუფრას უჯდა, ყველას გაეცინა, მაგრამ თვით ინკვიზიტორი მიხვდა, რომ ეს გესლიანი სიტყვები მიმართული იყო მათი იაფი, თვალთმაქცური

[4] გამოჩენილი ექიმი ბერძნებისა 131-201 წ.წ. ქრისტეს აქეთ.

[5] ამ სასჯელს ინკვიზიცია მცირე დანაშაულის ჩამდენთ მიუსჯიდა: ტანისამოსის ზედაწელზე დიდ ჯვარს დააკერებდნენ.

ქველმოქმედების განსაფასებლად და ამიტომ კოპები შეიკრა. კარგადა გრძნობდა, რომ ამ კაცს უსამართლოდ მოეპყრა და ამისათვის სინდისიც ამხელდა, თორემ ამისთვის ახალ საქმეს აღძრავდა მის წინააღმდეგ, ვინც ასე გესლიანი დაცინვით უკბინა როგორც თვით მას, ისე სხვა პირმოთნეებს.

გულმოსულმა უბრძანა: წადი, საცა გინდა და რაც გინდა, ის ქენი, ოღონდ ამას იქით მე ნუღარ მეჩვენებიო.

ამბავი მეშვიდე. პრიმასოს სამი პური

ბერგამინო თავისი მოთხრობით პრიმასოსა და კლუნის აბატის შესახებ ოსტატურად ამხელს ბატონ კანე დელა სკალას სიძუნწეს.

ემილიას ნაამბობმა გულიანად აცინა როგორც დედოფალი, ისე სხვები, რომელთაც ძალიან მოეწონათ ყალბი ჯვაროსანის სასაცილო საქციელი. მაგრამ მერე, როცა ყველამ გაათავა სიცილი და დამშვიდდნენ, ფილოსტრატომ, რომლის ჯერიც იყო ამბის მოყოლისა, ასე დაიწყო: — პატივცემულო ქალებო! კარგი საქმეა, როცა მსროლელი ისეთ ნიშანში არტყამს, რომელიც უძრავადაა, ერთ ადგილას, მაგრამ ის კი პირდაპირ სასწაულად უნდა ჩაითვალოს, როცა მოახვედრებს ისეთ საგანს, რომელიც მოულოდნელად გამოჩნდა და ნიშანში არც კი ამოუღია. ვისაც კი უნდა, ყველას შეუძლია ილაპარაკოს სამღვდელოების ბინიერი და გარყვნილი ცხოვრების შესახებ, დაგმოს და ჰყვედროს იგი, რადგან ყველას თვალწინ უდგას მისი ზნედაცემულობა; ის ღირსი ადამიანი, რომელმაც ამხილა ინკვიზიტორისა და ძმათა პირმოთნე ქველმოქმედება, რადგან ღარიბებს იმას აძლევდნენ, რაც ღორებისთვის უნდა დაეყარათ, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად მოქცეულა; ხოლო მე მგონია, რომ უმეტესად ღირსია ქებისა ის კაცი, ვინც, ეს-ეს არის, თქმულმა ამბავმა მომაგონა და რომლის შესახებ ახლა მინდა მოგახსენოთ. ეს ამბავი ასეთი გახლავთ: თუკი იტალიაში იმპერატორ ფრედერიგო მეორისაგან მოკიდებული ჩვენს დრომდე ვინმე ყოფილა ცნობილი, როგორც ფრიად სახელოვანი და უხვი მებატონე, ერთი ასეთთაგანი ყოფილა, როგორც საერთოდ ყველანი იძახდნენ, ბატონი კანე დელა სკალაც, რომელსაც ბედი თურმე ბევრ რამეში სწყალობდა. ამ დელა სკალას განუზრახავს ვერონაში გაემართა დიდად მშვენიერი და გასაკვირველი დღეობა; ამ დღეობას უნდა დასწრებოდა აუარებელი ხალხი სხვადასხვა მხრიდან და განსაკუთრებით კი ხუმარა კაცები. მაგრამ უცბად (ვერავის გაეგო, თუ რა მიზეზით) ეს დღეობა სხვა დროისათვის გადადო, ხოლო ვინც უკვე მოსულიყო, ყველანი დაასაჩუქრა და უკანვე გამოისტუმრა.

სხვათა შორის, მოსულიყო ერთი კაცი, სახელად ბერგამინო, რომელიც საუცხოო

მოლაპარაკე მჭევრმეტყველი მთხრობელი იყო ამბებისა. ვისაც არ მოუსმენია მისი ლაპარაკი, ვერც კი წარმოიდგენდა, ასეთი ლაპარაკი ადამიანს შეეძლებოდა. აი ამ ბერგამინოსათვის არც საჩუქარი მიეცათ და აღარც შინ გაესტუმრებინათ. ეს კი დარჩენილა და თან იმედი ჰქონია, ამ დარჩენით რაიმე ხეირს რასმე ვნახავო. მაგრამ ბატონი კანე მხოლოდ იმასა ფიქრობდა, რომ ბერგამინოსათვის რისამე მიცემა ცეცხლში ჩაგდებაზე უარესი იქნებოდა; ამაზე არც თვითონ ეუბნებოდა რასმე და აღარც სხვისი პირით უთვლიდა. ბერგამინომ რამდენიმე დღე უცადა, მაგრამ რომ დაინახა, არც მეძახიან და არც უნდათ დაინახონ ჩემი ხელოვნებაო, და გარდა ამისა, სასტუმროში ჩემის მხლებლებისა და ცხენების შენახვა ძვირად მიჯდებაო, ძალზე დაღონდა. მაინც არ მიდიოდა და ამბობდა, ისევა ჯობია დავუცადოო. თან მოეტანა სამი ხელი მდიდრული და მშვენიერი ტანისამოსი, მისთვის სხვა ბატონებს რომ ეჩუქებინათ, და ამ ტანისამოსით უნდოდა რიგიანად გამოჩენილიყო დღეობაზე. ერთი წყვილი უკვე მისცა სასტუმროს პატრონს დანახარჯში, მერე, რაკი კიდევ მოუხდა დარჩენა და ხარჯის გაწევა, რომ პატრონთან უსიამოვნება არ მოსვლოდა, მეორე ხელიც მისცა; ახლა მესამე ხელს დაუწყო ჭამა, სანამ მეყოფა, მანამდე ვუყურებ და მერე კი წავალო.

სანამ ბერგამინო მესამე ხელ ტანისამოსსა ჭამდა, ერთ დღეს, კანე სადილად რომ იჯდა, იმ დროს მივიდა მასთან მეტად დაღონებული. კანემ რომ ბერგამინო დაინახა, ჰკითხა, უფრო იმისთვის, რომ დაეცინა, ვინემ მისგან სახუმარო პასუხი მოესმინა: — რა დაგმართნია, ბერგამინო, ასე რამ დაგაღონა? ერთი გვიამბე რამე, შენებურად.

მაშინ ბერგამინომ, ბევრი არც კი უფიქრია, თითქო წინდაწინვე ჰქონდა სათქმელი მოფიქრებული, ერთბაშად, თავის მდგომარეობაზე ზედგამოჭრილი ამბავი უამბო: — ჩემო ხელმწიფევ, თქვენ, ალბათ, კარგად მოგეხსენებათ, რომ პრიმასო განთქმული იყო გრამატიკის ცოდნითა; გარდა ამისა, საუკეთესო მოლექსედ ითვლებოდა და ამ მხრივ ბადალი არ ჰყავდა. და ამან ისე შორს მოჰფინა მისი სახელი, რომ თუ ვისმე პირადად არა ჰყავდა ნანახი, ისე არავინ იყო, რომ პრიმასოს ამბავი გაგონილი მაინც არა ჰქონოდა. პრიმასო ერთხელ პარიზში გაჩნდა და ისიც მეტად გაჭირვებულად ცხოვრობდა, რადგან ძლიერნი ამა ქვეყნისანი ნაკლებად აფასებდნენ მის ნიჭს, — ამ დროს ყური მოჰკრა აბატ კლუნის შესახებ ლაპარაკს; კლუნი პაპის შემდეგ ღვთის ტაძრის მსახურ პრელატთა შორის უმდიდრეს პრელატად ითვლებოდა. ამ აბატის სიუხვის შესახებ საკვირველი რამეები უამბეს; სახლი სულ მუდამ სტუმრებითა აქვს სავსეო, და ვინც უნდა მივიდეს მასთან, ყველას აჭმევენ და ასმევენ, თუკი სტუმარი იმ დროს მივა, როცა თვით აბატი უზის სუფრასაო. პრიმასომ ეს ამბები რომ გაიგონა, როგორც სენიორებისა და სახელოვანი ადამიანების ნაცნობობის მოყვარულმა, გადაწყვიტა წასულიყო და თავისი თვალით ენახა გულუხვობა ამ აბატისა და ამიტომ იკითხა, პარიზიდან შორს ხომ არ ცხოვრობსო? აქედან ექვსი მილის მანძილზე თავის მონასტერში ცხოვრობსო, უპასუხეს. თუ დილით ადრე შევუდექი გზას, სადილობის დროისთვის

ჩავუსწრებო, იფიქრა პრიმასომ. გზა გამოიკითხა, და რაკი თანამგზავრი არავინა ჰყავდა, ეშინოდა, ვაითუ გზა ამერიოს და ისეთ ალაგას ჩავვარდე სადმე, რომ საჭმელი ვერ ვიშოვნოო; ამიტომ, თუ ვინიცობაა, ასეთი სამწუხარო ამბავი მეწია და გზაში საჭმელი ვერ ვიშოვნე, თან წავიღებ სამ პურს, წყალს კი (თუმცა მაინცდამაინც ძალიან არ ეწყობოდა ამ სასმელს) ყველგან ვიშოვნიო.

ჩაიდო პურები უბეში და დაადგა გზას. მის ბედზე, აბატის სამყოფელთან სწორედ სადილობამდის მივიდა. სახლში რომ შევიდა და იქით-აქეთ მიმოიხედა, დაინახა, გრძლად სუფრა გაეშალათ, სამზარეულოში ერთ ფაციფუცში იყვნენ და სადილისათვის ემზადებოდნენ. თავის გუნებაში თქვა: ეტყობა, ეს აბატი მართლა გულუხვია, როგორც მასზე ლაპარაკობენო. და სანამ ის შიგნით იყო გაჩერებული და ამაებს უყურებდა, აბატის სინისკალკომ ბრძანა ხელების დასაბანი წყალი მოეტანათ (სადილობის დრო იყო); როცა ყველამ ხელები დაიბანა, სინისკალკომ ყველანი სუფრას მოუსვა. ისე მოხდა, რომ პრიმასო სწორედ იმ ოთახის კარების პირდაპირ დასვეს, საიდანაც აბატი სასადილო დარბაზში უნდა გამოსულიყო. მის სახლში ჩვეულებადა ჰქონდათ, რომ სუფრაზე არც პერი, აღარც სხვა საჭმელ-სასმელი მანამდე არ უნდა მოეტანათ, სანამ თვითონ აბატი არ მოუჯდებოდა სუფრას. რაკი სუფრა გაშალა და ხალხი დასვა, სინისკალკომ აბატს კაცი გაუგზავნა: სუფრა გაშლილი გახლავთ და თუ ინებებთ მობრძანებასაო. აბატმა კარი გააღო, რომ სასადილოში შესულიყო. მომავალმა წინ რომ გაიხედა, შემთხვევით პირველად პრიმასო მოხვდა თვალში. პრიმასოს ცუდად ეცვა ტანთ და აბატს აქამდე არ ენახა; როგორც კი დაინახა, მაშინვე ასეთი ცუდი აზრი გაივლო გულში, რაც მანამდე თავის დღეში არ გაევლო, — და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ვინ იცის, ვინ არ ჭამს პურს ჩვენს სუფრაზეო“. მერე უკანვე გამობრუნდა, ოთახის კარი მოახურვინა და მხლებლებს ჰკითხა:

„ჩემი ოთახის კარის პირდაპირ მჯდარ მაწანწალას ხომ არავინ იცნობთ?“ არ ვიცნობთო, მოახსენა ყველამ. პრიმასოს პური მოშივდა, რადგან ნამგზავრი იყო და მარხულობას არ იყო ჩვეული, ცოტა დაუცადა და რომ დაინახა, აბატი იგვიანებსო, თანწამოღებულ სამ პურთაგან ერთი უბიდან გამოიღო და ჭამას შეუდგა. აბატმა ცოტა ხანს უკან ერთ-ერთ თავის მოსამსახურეს უბრძანა: წადი, ნახე, ეს პრიმასო ხომ არ წასულაო! მოსამსახურემ მოახსენა: არა ბატონო, არამცთუ წასულა, პურსა ჭამს, რომელიც, ეტყობა, თან მოუტანიაო. მაშინ აბატმა თქვა: დე თავისი პური ჭამოს, თუკი აქვს და ჩვენი პურის გემოს კი დღეს ვერა ნახავსო. აბატს უნდოდა, პრიმასო თავის ნებით წასულიყო, რადგან ძალით მისი გაგდება ეთაკილებოდა. პრიმასომ ერთი პური კიდეც გაათავა და რაკი აბატი მაინც არ გამოდიოდა, ეხლა მეორე პურს მიჰყო ხელი. ესეც მოახსენეს აბატს, როცა ამან კაცი გამოგზავნა შესატყობად — პრიმასო წავიდა, თუ აქვე არისო? დაბოლოს, რაკი აბატი აღარ მოდიოდა, პრიმასომ მეორე პურიც გაათავა და ახლა მესამე პურს დაუწყო ჭამა. აბატს ესეც მოახსენეს. აბატი დაფიქრდა

და თავის თავს უთხრა: „ნეტავ ვიცოდე ასეთი უცნაური აზრი დღეს საიდან დამებადა?! ან სად მე და სად ასეთი სიძუნწე! შევიზიზღე და მერე ვინ? ეს რამდენი წელიწადია, ვინ იცის, რამდენი კაცი მოსულა ჩემთან და ყველა გამიძღია და არც კი მიკითხავს კეთილშობილი იყო თუ მდაბიო, ღარიბი თუ მდიდარი, ვაჭარი თუ მეძველძვულე: ჩემის თვალით მინახავს, მაწანწალათა მთელ ხროვას როგორ უჭამია და უსვამს ჩემს სუფრაზე და თავის დღეში არ მომსვლია ის, რაც ამ კაცის დანახვაზე მომივიდა. ცხადია, სიძუნწე არ მომერეოდა, ეს კაცი უბრალო ვინმე რომ ყოფილიყო. ვინც მე მაწანწალად ჩავაგდე, ალბათ დიდი ვინმეა, რაკი გული არ მიმიწევდა — როგორც რიგი იყო, ისე გავმასპინძლებოდი“. ეს რომ გაიფიქრა, მოისურვა გაეგო მისი ვინაობა, და რომ მოახსენეს, პრიმასოა და აქ იმიტომ მოსულა, რომ დარწმუნებულიყო თქვენს სიუხვეში, რომლის შესახებაც ბევრისაგან გაუგონიაო, აბატს შერცხვა, რადგან სხვათა ნათქვამიდან პრიმასოს დიდი ხნიდანვე იცნობდა და ღირსეულ ადამიანად მიაჩნდა. მოინდომა თავისი შეცდომა გამოესწორებინა და არ იცოდა, როგორ ეცა პატივი. სადილს უკან უბრძანა პრიმასო მისი ღირსებისდა შესაფერად შეემოსათ, აჩუქა ფული და ცხენი და ასარჩევად მისცა: გნებავთ — წაბრძანდით, გნებავთ — აქ დარჩითო. გახარებულმა პრიმასომ უზომო მადლობა მოახსენა და პარიზში, საიდანაც ფეხით ჩამოვიდა, უკან ცხენით დაბრუნდა.

ბატონმა კანემ, როგორც მიხვედრილმა ადამიანმა, მშვენივრად გაიგო, თუ ამით რა უნდა ეთქვა ბერგამინოს და ღიმილით უთხრა: „ბერგამინო, შენ ძალიან მკაფიოდ გამოაჩინე შენი წყენა, შენი ნიჭი და ჩემი სიძუნწე, და ის, რაც ჩემგან გინდა. მართალი გითხრა, ეს სიძუნწე ჩემს სიცოცხლეში ერთხელ გამოვიჩინე და ისიც ახლა, შენთან; მაგრამ ამ სიძუნწეს შენგან ნაპოვნი ჯოხით განვაგდებ ჩემგან“.

ეს უთხრა ბატონმა კანემ და ბრძანა, ბერგამინოს დანახარჯი სასტუმროს პატრონისათვის გადაეხადათ, ერთი ხელი საკუთარი ძვირფასი ტანისამოსი ჩაეცმიათ, მიეცათ აგრეთვე ფული და ცხენი და როგორც თვითონა ნებავდა, ისე მოქცეულიყო: უნდოდა — წასულიყო, უნდოდა — დარჩენილიყო.

ამბავი მერვე. გვილელმო ბორსიერე

გვილელმო ბორსიერემ მოსწრებული სიტყვით ამხილა სიძუნწე ბატონ ერმინო დე გრიმალდისა.

ფილოსტრატოს გვერდით მჯდომარე ლაურეტამ მოისმინა, როგორ აქო ყველამ მოხერხება ბერგამინოსი, და რაკი იცოდა, რომ ახლა მისი ჯერი იყო, სანამ ეტყოდნენ რასმე, თვითონ ხალისიანად დაიწყო ლაპარაკი: — უკვე მოსმენილ ამბავზე, ჩემო ძვირფასო

მეგობრებო, მომაგონდა ამბავი ერთი მიხვედრილი კაცისა, რომელმაც მსგავსადვე ამხილა ერთი ფრიად მდიდარი ვაჭარი სიძუნწეში და ამ მხილებამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. და თუმცა ეს ამბავი შინაარსით წინა ამბავს ემსგავსება, მაგრამ, იმედი მაქვს, იმაზე ნაკლებ არ მოგეწონებათ, რადგან ჩემი ამბავი მეტად კარგად თავდება.

მას აქეთ კარგა ხანია, გენუაში ცხოვრობდა ერთი კეთილშობილი კაცი, ბატონი ერმინო დე გრიმალდი, რომელსაც (როგორც ეს ყველას ეგონა) იმდენი მამული და ფული ჰქონდა, რომ გაცილებით აღემატებოდა მაშინდელ იტალიაში მცხოვრებ ყველა მდიდარ მოქალაქეთა სიმდიდრეს. მაგრამ თუ სიმდიდრით ყველა იტალიელ მდიდრებსა სჯობნიდა, მეორე მხრით, თავისი სიძუნწითა და სიბილწით მთელი ქვეყნიერების ძუნწებს გადააჭარბებდა და არათუ სხვის დასახმარებლად არა ხსნიდა ხოლმე თავის ქისას, არამედ, მიუხედავათ გენუელთა ჩვეულებისა, რომელნიც ცდილობდნენ მდიდრული ტანისამოსი ჩაეცვათ ხოლმე ტანზე და ისე ევლოთ, სულ ღარიბულად იცვამდა, ფული არ დამეხარჯოსო, და ისევე იქცეოდა ჭამა-სმაშიაც. ამის გამო, — და ახიც იყო მაგაზე, — თავისი ნამდვილი სახელის, დე გრიმალდის მაგიერ, უბრალოდ მესერ ერმინო ავარიციას (ძუნწს) ეძახდნენ.

იმ დროს, როცა იგი გენუაში ცხოვრობდა, არაფერსა ხარჯავდა, პირიქით, სულ უმატებდა თავის სიმდიდრეს, გენუაში მოვიდა ერთი სასახლის კარის კაცი, პატივცემული, ზრდილი და კარგი მოლაპარაკე, რომელსაც გვილელმო ბორსიერე ერქვა. ეს კაცი სრულებით არა ჰგავდა იმათ, ვისაც ჩვენ დღესა ვხედავთ, რომელნიც გარყვნილი და ყოვლად საზიზღარი ზნეჩვეულებისანი არიან და მაინც უნდათ კეთილშობილებად და სენიორებად ითვლებოდნენ. იმათ უფრო შეეფერებათ კაცმა სახედრები უწოდოს, რადგან ესენი აღზრდილები არიან მეტად ზნედაცემულ და ბიწიერ ადამიანთა შორის და არა სასახლის კარს ნამყოფები. წინანდელ დროში მათი ხელობა იყო მშვიდობის ჩამოგდების შესახებ მოლაპარაკების გამართვა, თუ სენიორებს შორის უთანხმოება ან უსიამოვნება რამ ატყდებოდა, შუაკაცობის გაწევა ქორწინების მოსაწყობად და ნათესაური და მეგობრული კავშირის ჩამოსაგდებად, ხუმრობით და მოსწრებული სიტყვებით გართობა დაღონებულთა, გაცინება სენიორებისა, დაგმობა ავკაცობისა და მხილება ბიწიერებათა, და ყოველივე ამისათვის მეტად მცირე სასყიდელს სჯერდებოდნენ; დღეს კი დროს იმაში ატარებენ, რომ ენატანიაობას ეწევიან, ერთმანეთში შურსა და ღვარძლსა თესავენ, სიმყრალესა და სიბინძურეს, და რაც ყველაზე უარესია, ერთიმეორეს სამარცხვინო და საზიზღარ ნამოქმედარს წამოსძახებენ ხოლმე ისე, რომ სხვებისა არც კი რცხვენიათ. მართალსა თუ მოგონილს არც კი დასდევენ, აცდენენ კეთილშობილ ხალხს და ყოვლად საზიზღარ ბოროტებას ჩაადენინებენ ხოლმე; ხოლო ამ საცოდავი, უზნეო სენიორებისათვის საყვარელი უფრო ის არის, ვინც ყველაზე გულისამრევ სიტყვებს ამბობს და ამ სიტყვების თანახმადვე იქცევა; ასეთ კაცს ყოველთვის მეტ პატივსა სცემენ და დიდადაც ასაჩუქრებენ ხოლმე. ჩვენი დროის სამარცხვინოდ და

თავლაფდასასხმელად, ყოველივე ეს აშკარა დამამტკიცებელია იმისა, რომ კაიკაცობამ ხელი აიღო კაცობრიობაზე და ბინიერთა მორევში დატოვა იგი ჩაფლული.

მაგრამ დავუბრუნდეთ დაწყებულ ამბავს, რომელსაც სრულებით სამართლიანმა გულისწყრომამ, რომ ვფიქრობდი, იმაზე ცოტა მეტად ჩამომაშორა. უნდა მოგახსენოთ, რომ ხსენებულ გვილელმოს გენუაში ყველანი პატივისცემით დახვდნენ და გენუის ცნობილ ოჯახებში ყველგანა პატიჟებდნენ. ამ ქალაქში რამდენიმე დღეს დარჩა. ბორსიერეს ბევრი რამ ესმა ბატონ ერმინოს სიძუნწისა და საძაგლობის შესახებ და მოინდომა მისი ნახვა. ერმინოს გაგონილი ჰქონდა გვილელმო ბორსიერეს ღირსეულობის ამბავი, და, თუმცა ძუნწი იყო, მაგრამ კეთილშობილების ნაპერწკალი კიდევ შერჩენოდა, და სტუმართმოყვარულად და ალერსიანი ღიმილით დახვდა, გამართა მასთან ბაასი, ვინ იცის, რაზე არ ელაპარაკა, და ამ ბაასით მასთან ერთად მოსულ სხვა გენუელებთან ერთად წაიყვანა, რომ ეჩვენებინა თავისი ახალი, მეტად ლამაზად გაშენებული სახლი. როცა დაწვრილებით დაათვალიერებინა, უთხრა: „მესერ გვილელმო, თქვენ ბევრი რამ გინახავთ და გაგიგონიათ, იქნებ მირჩიოთ ისეთი რამ, რაც ადამიანს არსად ენახოს, რომ ჩემი სახლის დარბაზში დავახატვინო“.

ასეთ უცნაურ თხოვნაზე გვილელმომ უპასუხა: — ჯერ რომ არავის ენახოს, ისეთს ვერაფერს მოგახსენებთ. ცხვირის დაცემინება, ან სხვა რამ მისი მსგავსი თუღა იქნება ისეთი, რომ კაცს არ ენახოს. მაგრამ თუ გნებავთ ერთ რასმე მოგახსენებთ, რაც, დარწმუნებული გახლავართ, თავის დღეში არ გენახვებათ.

— გეთაყვათ, მიბრძანეთ, რა არის! — უთხრა მესერ ერმინომ, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, თუ რას უპასუხებდა სტუმარი.

ამაზე გვილელმომ საჩქაროდ უპასუხა: — დაახატვინეთ სიუხვე.

მესერ ერმინომ ეს სიტყვა რომ გაიგონა, თავის თავისა იმ ზომამდე შერცხვა, რომ თითქმის სრულებით გამოიცვალა და უკვე ის ერმინო აღარ იყო.

— მესერ გვილელმო, — თქვა მან, — მე ისე დავახატვინებ ამას, რომ მერე ვერც თქვენა და ვერც სხვა ვინმემ ვეღარ მითხრათ, ეს მე თითქო არც როდესმე მცოდნოდეს და აღარც მენახოს.

ამ დღიდან მოკიდებული (ისე გაჭრა გვილელმოს ნათქვამმა) ერმინოსავით უხვი და უზომოდ გულითადი აზნაური გენუაში სხვა არავინ ყოფილა და სახლში იმდენი სტუმარი, როგორც აქაური, ისე გარედან მოსულები, არვისა ჰყოლია, რამდენიც ერმინოსა ჰყავდა.

ამბავი მეცხრე. კვიპროსის მეფე

კვიპროსის მეფე ერთმა გასკონელმა ქალმა შეარცხვინა, სიმხდალეზე ხელი ააღებინა და მამაცად გადააქცია.

სულ უკანასკნელად დედოფალს ელიზასათვის უნდა ებრძანებინა ამბის მბობა. იმას ბრძანებისათვის არც კი დაუცდია და მხიარულად დაიწყო: — ქალებო, ხშირად მომხდარა, რომ მრავალ საყვედურს და ბევრგვარ სასჯელს კაცი გულისხმაში ვერ ჩაუგდია და ზოგჯერ ერთ სიტყვას, ისიც სრულებით უგანზრახვოდ ნათქვამს, ჭკუაზე მოუყვანია იგივე კაცი. ეს ცხადად ჩანს ლაურეტას ნათქვამი ამბიდან და მეც ერთი პატარა ამბით მინდა იგივე დაგიმტკიცოთ, რადგან კარგი ამბავი სულ მუდამ მარგებელია და ყოველთვის გულისყურით უნდა მოვისმინოთ, სულერთია ვინც უნდა იყოს მისი მთხრობელი.

მოგახსენებთ, რომ კვიპროსის პირველი მეფის მეფობის დროს, იმის შემდეგ, რაც წმინდა ადგილები გოტფრიდ ბულიონელმა დაიპყრო, ერთი გასკონელი კეთილშობილი მანდილოსანი მაცხოვრის საფლავზე სალოცავად გაემართა, იქიდან დაბრუნებულმა გამოიარა კვიპროსში, სადაც ვიღაც ნაძირალებმა აღმაშფოთებელი შეურაცხყოფა მიაყენეს. მანდილოსანმა ბევრი ივიშვიშა და ყველას შესტირა თავისი მდგომარეობა, მაგრამ ნუგეში ვერავისაგან მიიღო. ბოლოს იფიქრა, მეფესთან წასულიყო და იმისთვის შეეჩივლა, მაგრამ ზოგიერთმა უთხრა, ტყუილად შეწუხდებით, არაფერი გამოგივათო, რადგან თვით მეფე სუსტი ნებისყოფისა და მშიშარაა, და არათუ კანონის ძალით არა სჯის დამნაშავეს შეურაცხყოფისათვის, თავისი სიმხდალის წყალობით თავის პირად შეურაცხმყოფელთათვისაც კი ვერ მოუთხოვია პასუხი; ასე რომ, ვისაც კი რამე ანგარიში გასასწორებელი აქვს ვისთანმე, ჯავრს თვით მეფეზე იყრის ხოლმე, თავზე ლაფს ასხამს და მიწასთან ასწორებსო. მანდილოსანმა ეს რომ გაიგონა, ყოველივე იმედი დაეკარგა იმისა, რომ როგორმე შეძლებდა დაესჯევინებინა თავისი შეურაცხმყოფელები, ამიტომ გადაწყვიტა მეფისათვის ეყვედრებინა მისი სულმოკლეობა და ამით, ცოტათიც არი, გულზე მოჰფონებოდა. და აი, ატირებული ქალი მივიდა მეფესთან და მოახსენა: — ჩემო ხელმწიფევ, შენს წინაშე იმიტომ კი არ წარმოვდექი, რომ გთხოვო დასაჯო ჩემი შეურაცხმყოფელები; ამ დაკმაყოფილების მაგიერ მე გენუკვი მასწავლო, როგორ მოვითმინო შენსავით ის შეურაცხყოფანი, რომელთაც, როგორც მითხრეს, ხშირად მოგაყენებენ ხოლმე. რომ მასწავლიდე, მაშინ, შეიძლება სულგრძელობით მომეთმინა ჩემი საკუთარი გალანძღვა, რომელსაც, მაღალი ღმერთია მოწამე, დიდი სიამოვნებით დაგითმობდი, თუკი შევძლებდი, რადგან ესდენ სულგრძელი და მომთმენი ბრძანებულხარ.

მეფემ, რომელიც აქამდე ზარმაცი და გაუბედავი იყო, ახლა თითქო ძილისაგან გამოერკვაო, ჯერ იმით დაიწყო, რომ სასტიკად დაასჯევინა მანდილოსნის შეურაცხმყოფელნი, მერე კი შეუბრალებლად სჯიდა ყველას, ვინც ისეთ რასმე ჩაიდენდა, რაც მისი გვირგვინის

სახელის დამამცირებელი იქნებოდა.

ამგავი მეათე. პრასის თავი

მაესტრო ალბერტო ბოლონიელმა ოსტატურად შეარცხვინა ერთი მანდილოსანი, რომელსაც ალბერტო უნდა შეერცხვინა მისი სიყვარულისათვის.

ელიზა რომ გაჩუმდა, სულ უკანასკნელი ჯერი თვით დედოფლისა იყო. იმანაც წმინდა ქალური სიკეკლუცით ასე დაიწყო: — ჩემო ახალგაზრდა და ღირსეულო ამხანაგებო! როგორც მონწმენდილ ცას ვარსკვლავები ამშვენებენ ხოლმე, ხოლო გაზაფხულის მწვანე მინდვრებს — ყვავილები, ისე მოსწრებული სიტყვები სამკაულია კარგი ყოფაქცევისა და მხიარული ბაასისა. ეს სიტყვები თავიანთი სიმოკლით უფრო შეეფერებათ ქალებს, ვიდრე კაცებს: ბევრისა და დიდხანს ლაპარაკი, როცა უამისობაც შეიძლებოდა, უფრო მამაკაცს შეშვენის, ვიდრე ქალს, თუმცა ძალიან ცოტაა ან სულ არაა ისეთი ქალები, რომელთაც შეუძლიათ მოსწრებული სიტყვის გაგება, ან, თუ გაიგებენ, შეეძლოთ შესაფერი პასუხი გასცენ, და ამისა არა მარტო ჩვენ უნდა გვრცხვენოდეს, არამედ, რაც ქვეყანაზე ქალია, ყველას. და ეს იმიტომ ხდება, რომ წინანდელი ქალები იმისთვისა ზრუნავდნენ, რომ თავიანთი გონება შეემკოთ, ხოლო დღევანდელი ქალები ამის მაგივრად თავიანთი სხეულის დამშვენებას არიან გადაყოლილნი; და იმ ქალს, ვისაც უფრო ჭრელჭრული, საკეკლუცო და ზიზია ტანისამოსი აცვია, ისე წარმოუდგენია, ვითომ სხვებსა სჯობდეს და სხვებზე მეტი პატივი შვენოდეს, და იმას კი არა ფიქრობს ის დალოცვილი, რომ ვინმე გამოჩნდეს და ეს ტანისამოსი ან ჩააცვას და ან ზურგზე მოჰკიდოს სახედარს, ეს სახედარი კიდევ მეტსაც აიკიდებდა, — მაგრამ სახედარი მაინც სახედრად დარჩებოდა. ამის თქმისა მრცხვენია, იმიტომ რომ არ შემიძლია სხვას ის ვუზრახო, რასაც ჩემ თავს ვერ ვუძრახავ; ეს მრავალფერად შემოსილნი, ფერუმარილწაგლესილნი, ჭრელჭრულკაბებიანი ქალები მარმარილოს ქანდაკებებივით დგანან, უსიტყვონი და უგრძნობელნი, და თუ რამე ჰკითხეთ, ისეთნაირად გიპასუხებენ, რომ ათასწილ ემჯობინებოდა, სულაც არ ამოეღოთ ხმა; თავიანთ თავს კი არწმუნებენ, რომ თუ ქალებთან ან ჭკვიან მამაკაცებთან ლაპარაკი უჭირთ, იმიტომ უჭირთ, რომ სული და გული უმწიკვლო აქვთ; თავიანთ უჭკუობას კდემამოსილებას ეძახიან, თითქო, მათ რომ კაცმა ჰკითხოს, მარტო ის ქალია პატიოსანი, ვინც მხოლოდ თავის მოახლესთან ან მოსარეცხესთან და მეპურესთან ლაპარაკობს ხოლმე. ეს ქალები ყველას არწმუნებენ, ბუნებამ შეგვქმნა აგეთებიო, ხოლო ბუნებას რომ მოენდომებინა, სულ სხვანაირად დაუმოკლებდა იმ მოქალაქეს ენას. ისიც მართალია, რომ ამ საქმეში, როგორც ყველა სხვა საქმეშიაც, უნდა ვიკითხოთ, თუ როდის, სად ან ვისთან ვლაპარაკობთ. თორემ ისიც მოხდება ხოლმე, რომ გვგონია მოსწრებული სიტყვით ვინმე შევარცხვინოთ, ის კი არა, ვეღარ გამოგვიზომია ჩვენი ღონე თანამოსაუბრის ღონესთან შედარებით და იმის მაგიერ, რომ ის გავაწითლოთ, იმისაგან

ისეთი პასუხი გვესმის, რომ ჩვენ თვითონა ვწითლდებით. და იმისთვის, რომ თქვენ ფრთხილად იყოთ და, გარდა ამისა, თქვენზე არ გამართლდეს ის ანდაზა, რომელიც ყველას პირზე აკერია, ესე იგი, რომ ქალებს სულ მუდამ ცუდი რამ უნდა შეხვდესო, უნდა გაგაფრთხილოთ ამ ამბით, რომელსაც დღეს გიამბობთ ჩემის მხრით და რომელიც უკანასკნელი იქნება, რადგან როგორც თქვენი სულის კეთილშობილებით განირჩევით თქვენ სხვა ქალებისაგან, ისე თქვენი ყოფაქცევითაც უნდა სჯობნიდეთ კიდეც ამ ქალებს.

მას აქეთ დიდი ხანი არ არის, რაც ბოლონიაში ცხოვრობდა ერთი გამოჩენილი ექიმი. თითქმის მთელ ქვეყნიერებაში ჰქონდა სახელი განთქმული. მაესტრო ალბერტოს ეძახდნენ. ასე, სამოცდაათ წელს იყო მიტანებული. თუმცა სხეულში ბუნებრივი ალი ვნებათა ჩაჰქრობოდა, მაგრამ ჯერ ისევ მხნედ იყო სულიერად, ჯერ კიდევ არ დაჰკარგვოდა სიყვარულით აღტყინების გრძნობა. ერთხელ დღეობაში იყო და ერთი მშვენიერი ქვრივი დაინახა, რომელსაც, როგორც ზოგიერთნი ამბობდნენ, მალგერიდა გიზოლიერი ერქვა. გეგონებოდათ, ახალგაზრდა კაციაო, ისე საშინლად მოეწონა ექიმს და მასზე გული შეუვარდა. რა დღესაც ამ მშვენიერი ქალის კალმით დახატულ და ნაზ სახეს ვერ დაინახავდა, იმ ღამეს მოსვენებით აღარ დაეძინებოდა. ამიტომაც ამ მანდილოსნის სახლს აუვლიდა და ჩამოუვლიდა ხან ცხენით და ხანაც ქვეითად, როგორც მოეგუნებებოდა. ეს ქალი და ბევრი სხვა ქალიც მიუხვდნენ ამ სიარულის მიზეზს; და არაერთხელ შეკრებილან ერთად და დაუცინიათ ამ წლოვანებით ხნიერისა და გონებრივად დამწიფებული ადამიანისთვის, რომელსაც ქალი შეჰყვარებოდა; ყველანი ისე ფიქრობდნენ, თითქოს სიყვარულის ამ უნეტარეს გრძნობას მხოლოდ შმაგი ახალგაზრდის გულში შეეძლო შესულიყო და დაესადგურებინა, და არა სხვათა გულში.

იმ დროს, როცა მაესტრო ალბერტო ასე განაგრძობდა თავის სეირნობას, ერთ უქმე დღეს ხსენებული მანდილოსანი, სხვა ქალებთან ერთად, თავისი სახლის კარწინ იჯდა. ქალებმა შორიდან რომ დაინახეს მაესტრო ალბერტო მათკენ მომავალი, გადაწყვიტეს სახლში შეეწვიათ და პატივი ეცათ, მერე კი გაემასხარავებინათ მისი სიყვარული. ასეც მოიქცნენ. როცა დაუპირდაპირდა, ყველანი ზეზე წამოუდგნენ, ერთ გრილ ეზოში შეიწვიეს და მოართვეს საუცხოო ღვინოები და ტკბილეულობა. ბოლოს ხუმრობითა და ოსტატურადა ჰკითხეს: როგორ მოხდა, რომ ეს მშვენიერი ქალი შეგყვარებიათ, როცა იცოდით, რომ იმას მრავალი ახალგაზრდა, კეთილშობილი და ლამაზი ყმაწვილი ევლება თავსაო? მაესტრო მიუხვდა დაცინვას, მაგრამ ვითომ აქ არაფერიაო, მხიარული სახით უპასუხა:

„ქალბატონო, კეთილგონიერ კაცს ვის გაუკვირდება, რომ ქალი შემიყვარდა, და ისიც თქვენ, რომელიც ესდენ ღირსი ბრძანდებით ამისა. მართალი გახლავთ, მოხუცებს აკლიათ ხოლმე ის ღონე და ძალა, რაც საჭიროა სიყვარულით დატკბობისათვის, სამაგიეროდ შეყვარების სურვილი კი აქვთ შერჩენილი და ახალგაზრდებზე გაცილებით უკეთესად იციან,

თუ რასა ნიშნავს ქალის სიყვარული, რადგან ახალგაზრდებზე მეტად გონიერნი არიან. იმედი, რამაც წამაქეზა შემყვარებოდით თქვენ, რომელსაც მრავალი ყმაწვილკაცობა გეთაყვანებათ, აი რაზე გახლავთ დამყარებული: რამდენჯერ მინახავს, რომ ქალები ვახშამზე ხანჯალასა და პრასას ჭამენ; საერთოდ პრასა ბევრი არაფერი შვილი გახლავთ საჭმელად, თუ რამე იჭმება მისი, ისევ ძირი, ქალებს კი ძირი ხელში დაგიჭერიათ და ფოთლებს შეექცევით, რაც, არათუ არაფრად ვარგა, მეტად ცუდი გემოსიც არის. აბა, ვინ იცის, ქალბატონო, იქნებ თქვენი საგრფოების არჩევაშიაც ასე იქცევით ხოლმე. და თუ მართლა ასე იქცევით, მაშინ მე არჩეული ვიქნებოდი და სხვები კი თავიდან მოშორებულნი“.

ამის გაგონებაზე ქვრივსა და მის სტუმრებს, ცოტა არ იყოს, შერცხვათ. ქალმა ასე უპასუხა:

„მაესტრო, ჩვენ გვინდოდა დაგვეცინა თქვენთვის, მაგრამ თქვენ მიგვიხვდით და მეტად ოსტატურად და ზრდილობიანად ჭკუა გვასწავლეთ; ყოველ შემთხვევაში თქვენი ჩემდამი სიყვარული ჩემთვის ძვირფასი გახლავთ, როგორც სიყვარული ბრძენისა და ყველასაგან პატივცემული ადამიანისა; ამიტომ მზად გახლავართ, მოვიქცე ისე, როგორც თქვენა გნებავდეთ, ოღონდ კი ჩემი ნამუსი არ იქნეს შელახული“.

მაესტრო ზეზე წამოდგა და დიასახლისს მადლი მოახსენა; მერე სიცილით გამოეთხოვა და თავის მხლებლებთან ერთად წამოვიდა. ამნაირად, ამ ქალმა კარგად არ იკითხა, თუ ვისი გამასხარავება უნდოდა, ეგონა დავამარცხებო და თვითონ კი გამოვიდა დამარცხებული, და თუ ჭკვიანად მოიქცევით, ასეთ დამარცხებას ყოველთვის აიცდენთ თავიდან.

***

უკვე დასავალს იყო მზე და სიცხემაც ძალიან იკლო, როცა ახალგაზრდა ქალებმა და ყმაწვილებმა ამბების თხრობა გაათავეს. მაშინ დედოფალმა ხუმრობის კილოთი თქვა; — ახლა, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ჩემი სადედოფლო გასაკეთებელი დღეს არაფერი მრჩება, გარდა იმისა, რომ აგირჩიოთ ახალი დედოფალი, რომელმაც ხვალინდელი დღისათვის განკარგულება მოახდინოს და, როგორც ჭკუამ გაუჭრას, ისე დაამყაროს წესი და რიგი, რომლითაც უნდა გავატაროთ დრო პატიოსნად და მხიარულად. და თუმცა დაღამებამდე ჯერ კიდევ შორსაა, მაინც ვინც დროით არ შეუდგება ზრუნვას, თავის მომავალს კარგად ვერ მოაწყობს. გარდა ამისა, რათა დროზე შევიძლოთ გავაკეთოთ ის, რის შესრულებასაც ახალი დედოფალი გვიბრძანებს შემდეგი დღისათვის, დავადგენ, რომ შემდეგი დღეები ამ საათიდან იწყებოდეს. ამიტომ სადიდებლად იმისა, ვინც ყოველ არსებას იფარავს, და ჩვენდა სანუგეშებლად, შემდეგ დღეს ჩვენს დედოფლად იყოს და წარმართოს ჩვენი ნორჩი სამეფო ახალგაზრდამ და გონიერმა ფილომენამ.

ეს რომა თქვა, ზეზე წამოდგა, თავიდან გვირგვინი მოიხადა და მოწიწებით ფილომენას თავზე დაადგა; მერე პირველად თვითონ და შემდეგ სხვა ქალებმა და აგრეთვე ყმაწვილებმა თაყვანი სცეს, როგორც დედოფალს, და ყველამ სიამოვნებით მორჩილება გამოუცხადა მის მეუფებას.

ფილომენამ რომ დაინახა, დედოფლის გვირგვინი დამადგესო, ჯერ შერცხვა, მაგრამ მერე მოაგონდა პამპინეას სიტყვები, შეეცადა უჭკუოდ არ გამოჩენილიყო, გამბედაობა მოიკრიბა და ყოველთ უწინარეს, ვინც პამპინეამ დააყენა სამსახურისათვის, ყველას დასტური დასცა, უთხრა, თუ რა უნდა გაეკეთებინათ მეორე დილისათვის და ამ დღის ვახშმისათვის, რაც აქვე უნდა გაეწყოთ. დასასრულ, ასე დაიწყო ლაპარაკი: — ძვირფასო ამხანაგებო! მართალია, პამპინეამ თქვენს დედოფლად გამომაცხადა, მაგრამ ეს იმან უფრო თავის გულკეთილობითა ჰქნა, ვიდრე ჩემი ღირსების წყალობით. მიუხედავად ამისა, მე განზრახვა არა მაქვს ჩვენი ცხოვრების მოწესრიგებისათვის მხოლოდ ჩემს ჭკუას დავემყარო, მინდა თქვენც ამოგიყენოთ მხარში და დაგეკითხოთ ხოლმე. და იმისათვის, რომ იცოდეთ, თუ მე რას ვაპირებ და თქვენც შეგეძლოთ თქვენი აზრი ჩაურთოთ და ან მოაკლოთ, ან მიუმატოთ რამე ჩემს ნათქვამს, თქვენი სურვილის თანახმად, მინდა მოკლედ მოგახსენოთ, რაც მინდა. რამდენადაც ვაკვირდები დღეს პამპინეას მიერ გაცემულ განკარგულებათ, ყველანი ქების ღირსნი არიან და ჩვენდა სასიამოვნოდ იყვნენ მიმართულნი. ამიტომ ეს დადგენილი წესი, სანამ არ მოგვეწყინება თავისი ერთფეროვნებით ან სხვა რამ მიზეზით, დაე, ასეთივედ დარჩეს და ნუღარ გამოვცვლით. მაშასადამე, რაკი განკარგულება გავეცით იმისა, რასაც უკვე შევუდექით, ახლა ავდგეთ და ცოტა გავისეირნოთ, და როცა მზე დასავალზე იქნება, სიგრილით ვივახშმოთ, მერე რამდენიმე ლექსი ვიმღეროთ ან სხვა რითიმე გავერთოთ და ამასობაში დაძინების დროც მოვა. ხვალ დილას ადრიანად ავდგეთ და ისევ წავიდეთ სადმე სასეირნოდ; იქ ვისაც რა მოეგუნებება, ის გააკეთოს; იქიდან დღევანდელსავით, თავის დროზე პურის საჭმელად დავბრუნდეთ, ცოტა ვითამაშოთ, მერე თვალი მოვატყუოთ, და შემდეგ, როგორც დღეს, აქ მოვიდეთ და დავიწყოთ ამბების თხრობა, რაც, ჩემის აზრით, სასიამოვნოცაა და აგრეთვე სასარგებლოც იქნება. და რაც პამპინეამ ვერ მოასწრო, რადგან გვიან ჩაიბარა მართვა— გამგეობა, იმის შესრულება მე განვიზრახე: სახელდობრ, ჩვენი მოთხრობებისათვის ერთგვარი წესი შევიმუშაოთ, რასაც წინდაწინ გამოვაცხადებთ, რომ ყოველმა ჩვენთაგანმა კარგად შეძლოს მოცემულ თემაზე კარგი მოთხრობის მოფიქრება. ეს თემა, თუ თქვენც მოგეწონებათ, ასეთი იქნება: რადგან ქვეყნის გაჩენიდან ადამიანებმა ათასნაირი ცვალება განიცადეს ბედისა, და ეს ასე იქნება უკუნითი უკუნისამდე, ყოველმა ჩვენგანმა გვიამბოს იმ ადამიანებზე, რომელთაც, ბედის მრავალგვარი ცვალებადობის შემდეგ, ყოველი მოლოდინის გარეშე, სასურველ მიზანს მიაღწიეს.

ქალებმა და აგრეთვე ყმაწვილებმა მოიწონეს ეს დადგენილება და პირობა დადეს

აესრულებინათ. ყველანი რომ გაჩუმდნენ, დიონეომ თქვა: — მადონა, რაც სხვებმა თქვეს, მეც იმასვე მოგახსენებთ: თქვენს მიერ დადგენილი წესი ძალიან მომწონს და სავსებით ვემორჩილები; მხოლოდ განსაკუთრებულ წყალობასა გთხოვთ, რასაც, იმედი მაქვს, მომანიჭებთ მთელი იმ დროის განმავლობაში, რა ხანსაც ჩვენი წრე იარსებებს. ეს თხოვნა შემდეგი გახლავთ: მე ნუღარ მაიძულებთ ამ წესს დავემორჩილო ხოლმე და, თუ მოვისურვე, მაინცდამაინც მოცემულ თემაზე ნუ მაამბობინებთ ამბავს, არამედ ნება მქონდეს გიამბოთ ის, რაც მე მომეწონება. ხოლო იმისთვის, რომ არავინ იფიქროს, თითქო ამ წყალობას იმიტომ გთხოვდეთ, რომ არაფერი მაქვს საამბობელი, მე ყოველთვის სულ ბოლოს მათქმევინეთ ხოლმე.

დედოფალი, რომელიც დიონეოს მხიარულ და მეტისმეტ ხუმარა კაცად იცნობდა, ძალიან კარგად მიხვდა, რომ დიონეომ ეს მხოლოდ იმ აზრით ითხოვა, რომ, თუ საზოგადოება ნირშეუცვლელი ამბების მოსმენით დაიღლებოდა, რაიმე სასაცილო ამბით გაემხიარულებინა. დედოფალი მოელაპარაკა სხვებს, ისინიც დაეთანხმნენ და ნათხოვნი წყალობა უბოძა.

მერე ყველანი ზეზე წამოდგნენ და ნელ-ნელა გაემართნენ ერთ პატარა, კამკამა ნაკადისაკენ, რომელიც გორაკიდან ჩამოდიოდა და ქვებსა და მწვანე ბალახს შორის ხეების ჩრდილით დაფარულ ვაკეზე მიემართებოდა. აქ სახელოები გადაიწიეს და შიშველი ხელებით ქალებმა ჭყუმპალაობა დაიწყეს წყალში. ამასობაში ვახშმობამაც მოატანა. დაბრუნდნენ სასახლეში და მადიანად შეექცნენ ვახშამს. ნავახშმევს მოატანინეს საკრავები და დედოფალმა უბრძანა ეცეკვათ. ცეკვისთვის ლაურეტას უნდა ეხელმძღვანელა, დიონეოს ფანდურზე დაეკრა, ხოლო ემილიას დაემღერნა.

უბრძანეს თუ არა, ლაურეტა მაშინვე თამაშობას შეუდგა და სხვებიც აიყოლია, ხოლო ემილია ეშხით შემდეგ ლექსსა მღეროდა: ესდენ მახარებს სიტურფე ჩემი, რომ აღარა მსურს სხვა სიხარული, არც მაქვს რაიმე ნატვრა ფარული.

სარკეში ჩემივ მშვენების მჭვრეტელს, ბედნიერებით მევსება გული, არცერთგვარ ნაღველს, სიამის მშრეტელს, არ ძალუძს ტკბილი გამიკრთოს რული, რომ მაგრძნობინოს ეს სიხარული, ანდა აღმიძრას ნატვრა ფარული.

ეს სიკეთე ხომ ჩემია მარად, და მუდამ ძალმიძს იმისი მზერა; ოღონდ ვინდომო — მოდგება კარად, გულში გამივლის ისეთი ჟღერა, რომ იგი სიტყვით გამოვთქვა ვერა, ვინაც არ იცის ეს სიხარული, მას არ ჰქონია ნატვრა ფარული.

რომ ვაკვირდები მას მეტი ხანი, მისდამი ტრფობა უფრო მაქვს მწველი, მთელი

სიცოცხლე და მთელი ტანი მიჩანს ისე, ვით იმისი მცველი.

წინასწარ ვიცი, თუ რასაც ველი: მომელის მისგან ზღვა სიხარული, და სხვა არცა მაქვს ნატვრა ფარული.[6]

სანამ გაათავებდნენ ამ სათამაშო სიმღერას, რასაც ყველანი მხიარულად ბანს აძლევდნენ, თუმცა ზოგიერთნი ამ სიმღერის სიტყვებმა დააფიქრა კიდეცა, და სანამ რამდენიმე ფერხულს კიდევ ჩააბამდნენ, მოკლე ღამის ერთი ნაწილი გავიდა და დედოფალმა ინება და გამოაცხადა — პირველი დღე დასრულებულიაო; მერე ჟინჟღილებისთვის მოაკიდებინა და უბრძანა ყველას, მეორე დილამდე დასასვენებლად წასულიყვნენ. ყველანი დაემორჩილნენ და თითოეული მათგანი თავ-თავიანთ ოთახში წავიდა.

მეორე დღე

გათავდა პირველი დღე დეკამერონისა, იწყება მეორე დღე, რომელშიაც ფილომენას ხელმძღვანელობით, მოჰყვებიან იმათ ამბავს, ვისაც ბედმა ჯერ ბევრი სიმწარე უჩვენა, მაგრამ ბოლოს მოულოდნელად გაუღიმა.

მზემ, თავისი სხივებით უკვე ამცნო სამყაროს — ახალი დღე დგებაო. და იმასვე ატყობინებდნენ ფრინველნი, მწვანე ტოტებზე შემომსხდარნი, თვისის მხიარულის ჭიკჭიკითა, როცა ქალები და ვაჟები წამოიშალნენ და ბაღისაკენ გამოსწიეს. ნამიან ბალახზე ნელა მიაბიჯებდნენ, ხან ერთ მხარეს გაემართებოდნენ და ხან მეორე მხარეს, თანაც ლამაზ გვირგვინებსა წნავდნენ და ასე კარგა ხანს სეირნობდნენ. დღესაც გუშინდელსავით მოიქცნენ: სიგრილეში ისადილეს, ცოტა იცეკვეს და მერე მოსასვენებლად წავიდნენ. ამის შემდეგ მეცხრე საათზე ადგნენ და დედოფლის სურვილის თანახმად ერთ ბუსნოზე თავი მოიყარეს და გარს შემოუსხდნენ. მშვენიერი და მიმზიდველი დედოფალი, თავზე გვირგვინდადგმული, ერთხანს შედგა, მერე თვალი მიმოავლო თავის მხლებლებს და ნეიფილეს უბრძანა — აბა, შენი ამბით საძირკველი ჩაუყარე მომავალ ამბებსაო, იმასაც, მეტი თქმა არ დასჭირებია, ისე დაიწყო შემდეგი ამბავი.

[6] როგორც ეს, ისე დანარჩენი ქვემოთ მოთავსებული სიმღერები გადმოთარგმნილია კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ.

ამბავი პირველი. ნეცარი არიგო და ხუმარა

მარტელინომ ჯერ მოიგონა — კუტი ვარო და შემდეგ თავი ისე მოაჩვენა ყველას, თითქოს წმ. არიგოს სხეულის შეხებისაგან განვიკურნეო. მაგრამ გაუგეს ეშმაკობა, სცემეს და სატუსაღოში ჩააგდეს. ჩამოხრჩობაც მოელოდა, მაგრამ, როგორც იქნა, თავი დააღწია განსაცდელს.

ხშირად მოხდება, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, რომის, ვისაც უნდა, სხვას დასცინოს და, განსაკუთრებით, როცა უნდა მასხარად აიგდოს პატივისცემის ღირსი საგნები, ამათ გამასხარავებას ვეღარ ახერხებს და თვითონ ვარდება განსაცდელში. იმისთვის, რომ დედოფლის ბრძანება ავასრულო და მოცემული შინაარსის მოთხრობებს ჩემი მოთხრობით საძირკველი ჩავუყარო, განვიზრახე გიამბოთ, თუ რა დაემართა ერთს ჩვენი ქალაქის მცხოვრებს, და თქვენ დაინახავთ, რომ ჯერ ცუდად წაუვიდა საქმე, მაგრამ მერე, სრულებით მოულოდნელად, მეტად გაუღიმა ბედმა.

მას აქეთ დიდი ხანი არ არის, ტრევიჯიში ერთი გერმანელი ცხოვრობდა, არიგო ერქვა. მეტად ღარიბი ვინმე იყო და ლუკმაპურის საშოვნელად ვისაც დასჭირდებოდა, ზურგით ტვირთს უზიდავდა და ამით ცოტაოდენ ფულსა შოულობდა. ამასთან ერთად, არიგო ყველას წმინდანად და სამაგალითო ცხოვრების ადამიანად მიაჩნდა. როცა გარდაიცვალა, როგორც ტრევიჯიელები ამტკიცებენ, — ეს მართალია თუ არა, რა მოგახსენოთ, — საკათედრო ტაძრის ზარებს თურმე თავისით დაუწყიათ რეკვა. და რაკი ეს სასწაულად მიუჩნევიათ, ყველანი თურმე იძახდნენ — არიგო წმინდანიაო, ქალაქის მცხოვრებნი კისრისტეხით მოაწყდნენ თურმე იმ სახლს, სადაც მიცვალებული ესვენა და აქედან, თითქო უხრწნელი გვამია რომლისამე წმინდანისაო, საკათედრო ტაძარში გადაასვენეს. მერე აქ მოჰყავდათ საპყარნი, ხეიბარნი, უსინათლონი და, საზოგადოდ, ყველანი, ვისაც კი რამე ავადმყოფობა ან სხეულის მანკი რამ ჰქონდათ, და ამბობდნენ, შეეხებიან წმინდანის სხეულს თუ არა, უეჭველად განიკურნებიანო.

აუარებელი ხალხი აწყდებოდა იქაურობას და საშინელი ჯაჯგური, თავპირის მტვრევა და ზედახოცა იყო. ამ დროს ტრევიჯიში შემთხვევით მოვიდნენ სამნი ჩვენი მოქალაქენი: ერთს ერქვა სტეკი, მეორეს — მარტელინო და მესამეს — მარკეზე. ესენი სენიორების სასახლეებში დადიოდნენ და მაყურებელს აცინებდნენ იმით, რომ ვისმე მეტისმეტი მოხერხებით აჯავრებდნენ. ამ ალაგას თავის დღეში არა ყოფილან და რომ დაინახეს ხალხის ასეთი გაცხარებული ფუსფუსი, საშინლად გაუკვირდათ და მათს რბენის მიზეზიც რომ გაიგეს, თვითონაც მოინდომეს ამ სასწაულის ნახვა. თავიანთი ბარგი სასტუმროში დატოვეს.

მარკეზემა თქვა: წავიდეთ ამ წმინდანის სანახავად, მხოლოდ არ ვიცი, ამდენ ხალხში

როგორ გავატანთ, რადგან ამბობენ, მთელი მოედანი სავსეა გერმანელებითა და სხვა შეიარაღებული ხალხითა, რომელნიც ამ ქალაქის ბატონს დაუყენებია წესიერების დასაცავადო. გარდა ამისა, თვით ეკლესიაც ისეა თურმე სავსე ხალხითა, შიგ შესვლა ყოვლად შეუძლებელიაო. მაშინ მარტელინომ, რომელსაც ამ ამბის ნახვა ძალიან უნდოდა, თქვა: თქვენ ამის ფიქრი ნუ გაქვთ; ოღონდ მიმიშვით და წმინდანის გვამთან უეჭველად მივალო. მაშინ მარკეზემა ჰკითხა, — როგორაო? მარტელინომ უპასუხა: „აი როგორ. მე ვითომ საპყარი ვარ, შენ ცალ მხარეს შემომიდგები და მეორე მხარეს — სტეკი, თითქო მე თვითონ არ შემეძლოს სიარული და ასე წამიყვანთ. ყველას ისე მოაჩვენებთ თავს, თითქო ჩემი შეყვანა გინდოდეთ ეკლესიაში, რათა წმინდანმა განმკურნოს. აბა ვინ იქნება ისეთი, რომ არ ჩამოგვეცალოს და გზა არ გვიტიოს“.

მარკეზეს და სტეიკს ძალიან მოეწონათ მარტელინოს მოგონებული ხერხი. გადაწყვიტეს, მაშინვე შესდგომოდნენ საქმეს. გავიდნენ სასტუმროდან და ერთ მიყრუებულ ალაგას ჩაუსხდნენ. აქ მარტელინომ ისე მოიგრიხა მკლავები, თითები, მხრები და ფეხები და იმ ზომამდე მოიქცია პირი, დაიბრიცა თვალები და საზოგადოდ მთელი სახე, რომ კაცს გულს შეჰზარავდა მისი შეხედვა; ვინც კი შეხედავდა, ყველა იტყოდა — ეს კაცი საპყარი და დაღუპული ვინმეაო.

ამნაირად დამახინჯებულ მარტელინოს აქით-იქეთ მხარში შეუდგნენ მარკეზე და სტეკი და გაემართნენ ტაძრისაკენ. ორივეს სიბრალული ეხატებოდა სახეზე და თავმდაბლობით ყველასა სთხოვდნენ, ვინც წინ მიდიოდა: ღვთის გულისთვის, გზა გვიტიეთო. აბა, რა თქმა უნდა, ყველანი გზას უტევდნენ. და რადგან ყველას ყურადღება მიიპყრეს და ყველა იძახდა — გზა უტიეთ, გზა უტიეთო, იმათაც მიაღწიეს იმ ადგილამდე, სადაც წმ. არიგოს გვამი დაესვენებინათ. აქ ზოგი კეთილშობილი ხალხი წმინდანის კუბოს გარს შემოხვეოდა. მარტელინო რომ დაინახეს, მაშინვე აიყვანეს ხელში და წმინდანს ზევიდან დააწვინეს, რომ ღირს ქმნილიყო განკურნებისა.

ყველანი მარტელინოს დიდის ყურადღებით შესცქეროდნენ და ელოდნენ, აბა რა მოხდებაო. ამან ცოტა აცალა, და მერე დაიწყო მოკრუნჩხული ხელების სწორება, რის კეთებაც მან ასე საუცხოოდ იცოდა: ჯერ გაისწორა ერთ-ერთი თითი, მერე მაჯის ქვემო ნაწილი, მერე მთელი ხელიცა, და ბოლოს მთელის ტანით გასწორდა. ხალხმა ეს რომ დაინახა, ისეთი ჩოჩქოლი ატეხა და ისე მაღალი ხმით დაუწყო დიდება წმინდანსა, რომ, ქუხილიც რომ ატეხილიყო იმ დროს, იმასაც კი ვერ გაიგონებდა კაცი.

შემთხვევით კუბოს ახლო ერთი ფლორენციელიც იდგა. ეს კაცი მარტელინოს ძალიან კარგად იცნობდა, მაგრამ მარტელინო ისე იყო გამოცვლილი, როცა პირველად შემოიყვანეს, რომ ვერ იცნო. მხოლოდ როცა ხელფეხი გაისწორა და ისიც დააკვირდა, იცნო და ერთბაშად

სიცილი აიტეხა და წამოიძახა: „აი დასწყევლოს ღმერთმა! როცა მოყავდათ, აბა ვინ იფიქრებდა, თუ საპყარი არ იყო?“ მისი სიტყვები ზოგიერთმა ტრევიჯიელმა გაიგონა და მაშინვე ჰკითხეს: „როგორ! განა საპყარი არ იყო?“ ამაზე ფლორენციელმა უპასუხა: „რის საპყარი, რა საპყარი! ისევე სწორად დადიოდა, როგორც თითოეული ჩვენთაგანი. მხოლოდ რა გინდათ, რომ იმან არ იხუმროს! როგორც დაინახეთ, ისე გამოიცვლის ხოლმე სახეს, რომ ვერც კი იცნოს კაცმა!“

ამის გაგონება სრულებით საკმაო იყო, რომ ხალხს ეგრიალნა და დაეწყო ყვირილი:

„დაიჭირეთ ეს ავაზაკი და ღვთისა და მის წმინდანთა მგმობელი! საპყარი არ ყოფილა, ჩვენი წმინდანისა და ჩვენი გამასხარავება სდომებია და იმიტომ მოსულა აქ საპყარის სახით“. ამ ყვირილში დაავლეს ხელი, ჩამოათრიეს ქვევით იმ ადგილიდან, საცა იყო ასული, დაქოჩრეს, შემოახიეს ტანს მთელი ტანისამოსი, მოურთეს მჯიღი და ჩაწიხლეს; ყველას, ვისაც თავის თავი კაცად მიაჩნდა, მიდიოდა და სცემდა.

მარტელინო ყვიროდა: ღვთის გულისათვის, მაპატიეთო, და რაც შეეძლო, თავსა შველოდა; მაგრამ ვერას გამხდარიყო, რადგან ხალხს უფრო და უფრო ემატებოდა. სტეკიმა და მარკეზემ რომ დაინახეს, თქვეს, ცუდადაა საქმეო, მაგრამ ვერა ბედავდნენ მიშველებოდნენ, რადგან ეშინოდათ, ვაითუ ჩვენც მარტელინოს დღე დაგვაყენონო. პირიქით, სხვებთან ერთად ესენიც ყვიროდნენ: მოკალით, ცოცხალი არ გაუშვათო. თუმცა იმავე დროს ფიქრობდნენ, როგორ მოეხერხებინათ და ხალხის ხელიდან როგორ გამოეგლიჯათ გაჭირვებაში ჩავარდნილი ამხანაგი. მარტელინო ხალხს ცოცხალი ვერ გადაურჩებოდა, რომ მარკეზეს ერთი ეშმაკობა არ ეხმარა: რადგან სენიორიის დარაჯნი გარედან სულ ეკლესიაში შემოსულიყვნენ, მარკეზე საჩქარო მივიდა ერთთან, რომელიც აქ პოდესტას მაგივრად იყო, და მოახსენა: „თუ ღმერთი გწამთ, მიშველეთ, ვიღაც ღვთის პირისაგან შეჩვენებულმა ქისა შემაჭრა და ასი ფლორინი მომპარა. იქნებ დაიჭიროთ, რომ ჩემი ფული დავიბრუნო როგორმეო“. ეს სიტყვები რომ გაიგონეს, თორმეტი თუ ცოტა მეტი წესიერების მცველი სასწრაფოდ გამოექანენ იქითკენ, სადაც საცოდავ მარტელინოს უსულღმერთოდა სცემდნენ; რის წვალებით გაარღვიეს წრე, გაალმასებულ ხალხს ხელიდან გამოგლიჯეს ცემით მთლად დალებილი და ფეხებით დაოსებული და წაიყვანეს სენიორიაში. აქ დაედევნენ, ვინც მისგან თავს შეურაცხყოფილადა სთვლიდა. რომ გაიგეს, ჯიბის შეჭრის გამო დაუჭერიათო, თქვეს, ამაზე უკეთესი შემთხვევა არ გვექნება, შური ვიძიოთ მაგისიო და თითოეულმა მათგანმა განაცხადა — მეც შემაჭრა ქისა მარტელინომაო. მოსამართლემ ესენი რომ გაიგონა, როგორც მეტად მკაცრმა კაცმა, განზე გაიყვანა მარტელინო და ჩვენების ჩამორთმევას შეუდგა. მაგრამ მარტელინომ ხუმრობა დაუწყო, თითქოს ამ დაჭერას არაფრად აგდებდა. ამან საშინლად გააბრაზა მოსამართლე და უბრძანა: ანწუხზე დაკიდეთ და რამდენჯერმე კარგად შებერტყეთ. ყველაფერი აღიაროს, რასაც ეს ხალხი აბრალებს და მერე, თუკი იტყვის, დამნაშავე ვარო,

ჩამოახრჩონ. მაგრამ როცა ძირს დაუშვეს და მოსამართლემა ჰკითხა, მართალია თუ არა, რასაც გაბრალებენო, მარტელინომ იფიქრა, უარის თქმა არ გამივაო და მოახსენა მოსამართლეს: „ჩემო ბატონო, მე მზად გახლავართ მთელი სიმართლე მოგახსენოთ, მხოლოდ ვინც მე მაბრალებს, ქისა შემაჭრაო, ყველას სათითაოდა ჰკითხეთ, სად და როდის შევაჭერი, და მაშინ მეც მოგახსენებთ, რა ჩავიდინე და რა არა“. — კარგიო, თქვა მოსამართლემ და დაუძახა რამდენიმე მომჩივანს გამოსაკითხავად. ერთმა თქვა — ამ ერთი კვირის წინათ შემაჭრა ქისაო, მეორემ — ექვსი დღის წინათო, მესამემ ოთხი დღე თქვა და ზოგთ კიდევ ისა თქვეს — სწორედ დღეს დაგვაჭრა ქისებიო. მარტელინომ მათი ნათქვამი რომ გაიგონა, უთხრა: „ბატონო მოსამართლევ, ყველა ესენი უსინდისოდა ტყუიან; ხოლო მე რომ სიმართლეს მოგახსენებთ, იმით შემიძლიან დაგიმტკიცოთ, რომ აქ, ამ ქალაქში, მე ჩემს სიცოცხლეში არა ვყოფილვარ და მოვედი მხოლოდ ამ რამდენიმე საათის წინ; ქალაქში შემოვედი თუ არა, ჩემდა საუბედუროდ, მაშინვე ამ წმინდანის ნაწილების სანახავად გეახელით, სადაც, როგორც თქვენის ბედნიერის თვალებით შეგიძლიათ დაინახოთ, საშინლად დამბეჟეს. რომ მე მართალს მოგახსენებთ, ამას დამიმოწმებს ჯერ ერთი — სინიორიის მოხელე, რომელმაც მისვლის უმალვე წიგნში ჩამწერა და მერე ჩემი სასტუმროს პატრონი. თუ, რასაც მოგახსენებთ, ყველაფერი სწორი გამოდგა, გთხოვთ მოწყალება მოიღოთ და უსინდისო ხალხის ნათქვამით ნუ მტანჯავთ და სასიკვდილოდ ნუღარ გამიმეტებთ“.

ამასობაში მარკეზემა და სტეკიმ რომ გაიგონეს, მოსამართლემ მეტად მკაცრად მოჰკიდა ხელი მარტელინოს საქმის გამოძიებას და უკვე ბრძანებაც გასცა ანწუხზე ჩამოეკონწიალებინათ, ძალზე შეეშინდათ და თქვეს: ცუდი საქმე დაგვემართაო; საწყალი კაცი საოხრედან ვიხსენით და საგიალოში გადავაგდეთო. ამიტომ დატრიალდნენ, რომ ეპოვნათ თავისი მასპინძელი. იპოვნეს თუ არა, ყველაფერი უამბეს, როგორც იყო. მასპინძელმა ბევრი იცინა მათს ნათქვამზე და ვინმე სანდრო აგოლანტისთან მიიყვანა. ეს სანდრო ტრევიჯიში ცხოვრობდა და ბატონი ძალიან სწყალობდა. სასტუმროს პატრონმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო და მათთან ერთად სთხოვა, მარტელინოს გამოჰქომაგებოდა. სანდრომაც ბევრი იცინა, მერე წავიდა ბატონთან და დიდის თხოვნითა სთხოვა — კაცი გაეგზავნა და მარტელინო მოეყვანინებინა. და ამანაც კაცები გაგზავნა კიდეცა. გაგზავნილები მივიდნენ და დაინახეს, რომ მარტელინო პერანგის ამარა მოსამართლის წინაშე იდგა; საწყალი კაცი ძალზე უსასოო და შეშინებული იყო, რადგან მოსამართლეს არ უნდოდა რამე შეეშვა ყურში, რაც მარტელინოს სასარგებლო იქნებოდა; პირიქით, გადაეწყვიტა უეჭველად ჩამოეხრჩო, რადგან ფლორენციელები რაღაცაზე ათვალწუნებული ჰყავდა, არაფრის გულისათვის არ უნდოდა ბატონთან გაეგზავნა. ბოლოს, კი ბარემ არ უნდოდა, მაგრამ მაინც გაუგზავნა.

მარტელინო წარუდგა ბატონს. ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა და სთხოვა: მოიღეთ უდიდესი წყალობა და აქედან გასვლის ნება გვიბოძეთ, იმიტომ, რომ სანამ ფლორენციაში არ ვიქნები, ასე მეგონება, თოკის მარყუჟი ყელში მაქვს წაჭერილი და, საცაა, დამახრჩობენ-მეთქი.

ბატონმა უზომოდ იცინა ამ თავგადასავალზე და თითოეულ მათგანს თითო ხელი ტანისამოსი აჩუქა. ამგვარად, სამივე, სრულიად მოულოდნელად, განსაცდელს გადაურჩნენ და საღ-სალამათნი თავიანთს სახლებში დაბრუნდნენ.

ამბავი მეორე. ლოცვა წმ. ჯულიანოსი

რინალდო დ'ასტი, ყაჩაღების მიერ გაძარცული, გვილელმოს კოშკში მოდის; აქ ერთი ქვრივი ღამეს გაათევინებს. ზარალს რომ აინაზღაურებს, მშვიდობით ბრუნდება სახლში.

მარტელინოს თავგადასავალზე ქალები განუწყვეტლად იცინოდნენ და ვაჟებში კი განსაკუთრებით ბევრი იცინა ფილოსტრატომ, რომელსაც რადგან ნეიფილეს გვერდით იჯდა, დედოფალმა უბრძანა: — აბა, შენა თქვი ახლა ამბავიო. ფილოსტრატომაც დაუყოვნებლივ ასე დაიწყო: — მშვენიერებო! ახლა ენაზე მადგას ერთი ამბავი სასულიერო პირთა შესახებ. მასთანავე ნაწილობრივ დაკავშირებულია სხვადასხვა უბედურებანი და საარშიყო თავგადასავალი; ამ ამბის მოსმენა ზედმეტი არ იქნება თქვენთვის და, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც სიყვარულის სხვადასხვა ხიფათ-განსაცდელით სავსე ქვეყნებში მოგზაურობს, სადაც იმ მოგზაურს, რომელიც წმ. ჯულიანოს ლოცვას არ წაიკითხავს, საწოლიც რომ კარგი ჰქონდეს, მასპინძლობა მაინც ცუდი ექნება.

მარკიზ აცო ფერარელის დროს ერთი ვაჭარი, რინალდო დ'ასტი, თავისი საგაჭრო საქმეებისათვის ბოლონიაში ჩავიდა. რომ მოისაქმიანა და იქიდან უკან ბრუნდებოდა, ფერარიდან გამოსული ვერონაში მიმავალ გზაზე ცხენოსნებს წამოეწია. რინალდოს ვაჭრები ეგონა და თურმე, ნუ ბრძანებთ, ყაჩაღები და საზიზღრები კი გამოდგნენ. რინალდო მოურიდებლად გამოელაპარაკა და მათთან ერთად განაგრძო გზა.

ყაჩაღებმა რომ დაინახეს, ვაჭარიაო, თქვეს — ალბათ ფული ექნება, მოდი, სადმე მარჯვე ადგილას მოვიხელოთ და ჯიბეები დავუცარიელოთო. რომ, ოდნავადაც არის, არ შეშინებოდა რინალდოს მათი, სიტყვა ჩამოუგდეს პატიოსნებასა და ზნეობაზე, თანაც რამდენადაც შეეძლოთ, ცდილობდნენ, მეტად თავაზიანად და ზრდილობიანად მოპყრობოდნენ.

რინალდო ბედსა ლოცავდა, რომ ასეთ კარგ ხალხს გადაეყარა, მით უფრო, რომ თვითონ ერთადერთი ცხენოსანი მსახური ახლდა. მიდიოდნენ და, როგორც ლაპარაკის

დროს მოხდება ხშირად, იქითურ-აქეთურზე ჩამოაგდეს სიტყვა. მერე ერთბაშად იმას შეეხნენ, თუ ვინ რა ლოცვებით ევედრებოდა ღმერთს. ყაჩაღები სამნი იყვნენ. ერთი მათგანი რინალდოს მიუბრუნდა და ჰკითხა: „თქვენა, პატივცემულო ბატონო, თქვენ რა ლოცვასა ბრძანებთ ხოლმე მგზავრობის დროს?“ ამაზე რინალდომ ასე უპასუხა: „მართალი მოგახსენოთ, ასეთ საქმეებში მარტივი და უბირი ვინმე გახლავართ. ლოცვები ძალიან ცოტა ვიცი, ძველებურ ცხოვრებას ვეწევი, ორი სოლდო ოცდაოთხი დინარი მგონია. მაინც ჩვეულებადა მქონდა მოგზაურობისას, დილაობით, როცა სასტუმროდან გამოვიდოდი, მეთქვა „მამაო ჩვენო“ და ღვთისმშობლის ლოცვა წმ. ჯულიანოს დედ-მამის სულის საოხად, მერე ღვთისა და წმ. ჯულიანოსთვის მეთხოვნა, — თქვენს მადლსა, შემდეგ ღამეს კარგი გასათევი ადგილი მიწყალობეთ-მეთქი. ჩემ სიცოცხლეში მოგზაურობის დროს ხშირად ვყოფილვარ დიდ განსაცდელში, მაგრამ ამ განსაცდელისათვის თავი დამიღწევია, გავიხედავდი და ღამით კარგ ადგილას ამოვყოფდი თავს და კარგი თავშესაფარიც გამომიჩნდებოდა. ამიტომ მე, დარწმუნებული ვარ, წმ. ჯულიანო, ვენაცვალე მის მადლსა, მეოხ მეყო უფლის წინაშე და ასეთი წყალობა იმან გამოითხოვა ჩემთვის უფლისაგან. ასე მგონია, რომ გზაში ფათერაკი რამ შემემთხვევა და ღამითაც ცუდი თავშესაფარი მექნება, თუ დილით ეს ლოცვა არა ვთქვი-მეთქი“. მაშინ იმ ყაჩაღმა, ვინც პირველად გამოელაპარაკა, ჰკითხა: „ამ დილას ხომ თქვით ეს ლოცვა?“ — ამაზე რინალდომ უპასუხა: „ვთქვი, მაშ!“ მაშინ ყაჩაღმა, რომელმაც იცოდა, როგორც უნდა დატრიალებულიყო საქმე, თავის გულში თქვა: — „ჩემო კარგო, კიდევ დაგჭირდება იმის თქმა, იმიტომ რომ, თუ ჩვენ ხელი არ მოგვეცარა, ჩემის ფიქრით, ამაღამ უბინაოდ უნდა დარჩე“. მერე უთხრა: „მეც დიდი ნავალი კაცი გახლავართ და ერთხელ არ მახსოვს, ის ლოცვა მეთქვას, თუმცა ბევრისაგან გამიგონია მისი ქება, და მაინც თავის დღეში არ მომხდარა, რომ ცუდი ღამისგასათევი შემხვედროდეს და ამ საღამოს, შეიძლება, თვითონვე დარწმუნდეთ, ჩვენთაგანს ვის უფრო უკეთესი ღამისგასათევი ექნება: შენ, რომელმაც ლოცვა თქვი თუ მე, რომელსაც ის ლოცვა არ მითქვამს. ისიც უნდა გითხრა, რომ მე ამ ლოცვების მაგიერ სხვა ლოცვებს ვამბობ. ეს ლოცვებია: „Dirupisti“ ან „Int emerata“, ან კიდევ — „De profundis“. ბებიაჩემი მეტყოდა ხოლმე, შვილო, ეს ლოცვები ძალიან შველიან კაცსაო“.

ასე იმ მთისა და ამ მთაზე ლაპარაკ-ლაპარაკით კარგა მანძილი გაიარეს მგზავრებმა. ავაზაკები კი სულ იმის ფიქრში იყვნენ, სადმე კარგი ადგილი მოეხელებინათ და თავიანთი მსხვერპლი გაეძარცვათ. გვილელმოს კოშკს გასცდნენ. ერთ ტრიალ და უდაბურ მინდორზე პატარა მდინარეს მიადგნენ. ფონს უნდა გასულიყვნენ. მაგრამ სანამ გადავიდოდნენ, შეჩერდნენ, ცხენებს წყალი უნდა დავალევინოთო. ამ დროს მივარდნენ რინალდოს: ჯერ წაართვეს ცხენი და მერე ტანისამოსი, თვითონ კი უცხენოდ და პერანგის ამარა დასტოვეს. განშორებისას ასე უთხრეს: „აბა, თუ შენმა წმ. ჯულიანომ კარგი ბინა მოგცა ამაღამ! ჩვენი ბინა კი, როგორც ხედავ, კარგი უნდა იქნეს“. ამ ალერსიან სიტყვებს შემდეგ მდინარეზე

გადავიდნენ და განაგრძეს თავიანთი გზა.

რინალდოს მოსამსახურემ რომ დაინახა, ჩემს ბატონს თავს დაესხნენო, იმის მაგივრად, რომ მიშველებოდა, შეეშინდა, ლაჩრულად მაშინვე ცხენი მოაბრუნა და ჭენებით გამოსწია ისევ გვილელმოს კოშკისაკენ, სადაც უკვე კარგა დაღამებულზე მოვიდა. ღამის გასათევად მონახა კარგი სასტუმრო და არც კი დარდობდა, თუ რა მოუვიდა მის ბატონს.

დარჩა რინალდო პერანგის ამარა და ფეხშიშველა. საშინლად ციოდა, გადაუღებლივ თოვდა. აღარ იცოდა, რა ექნა. უკვე კარგად დაღამდა. კბილს კბილზე აცემინებდა. გარშემო მიიხედ-მოიხედა. იქნება სადმე სახლი რამე დავინახო და ღამე გამათევინონო (ეს მხარე ამ ცოტა ხანს წინად ომისაგან აეოხრებინათ, და ყველაფერი ცეცხლისაგან იყო გადაბუგული). მაგრამ რინალდომ ვერც სახლს მოჰკრა სადმე თვალი და ვეღარც ქოხსა. სიცივისაგან აქ გაფიჩხებას არჩია, ისევ უკან დაბრუნებულიყო და წამოსულიყო გვილელმოს კოშკისაკენ; აბა იმას რას მოიფიქრებდა, რომ მის მსახურსაც აქ ან სადმე მეზობლად ექნებოდა თავი შეფარებული. იმედი ჰქონდა: თუ როგორმე შევედი კოშკში, ზეცა სულ უნუგეშოდ არ დამტოვებს და ვინმე მომეშველებაო.

მაგრამ კოშკამდე ერთი მილი დარჩენოდა გასავლელი, რომ ბნელმა ღამემ უსწრო, ამიტომ იქ ისე გვიან მივიდა, რომ ალაყაფის კარები უკვე დაკეტილი იყო. ხიდები აეღოთ, ასე რომ კოშკში შესვლა შეუძლებელი იყო. სასოწარკვეთილი, დაძმარებული ვაჭარი იქით მისდგა, იქნებ სადმე ისეთი კუთხე ვიპოვნო, რომ თავი შევაფარო და თოვლი, იქაურობას რომ ჰფარავდა, თავზე არ დამეყაროსო. ამასობაში თვალი მოჰკრა ერთ სახლს, ქიმივით ცოტათი გამონეული იყო წინ კოშკის კედლიდან. გადაწყვიტა ამ ქიმს ქვეშ დარჩენილიყო გათენებამდე. მივიდა ქიმთან და მის ქვეშ დაინახა ერთი კარი. კარი დაკეტილი იყო, მაგრამ მის ძირში მოაგროვა ცოტაოდენი ნამჯა და, დაღონებული და მწუხარე, ზედ დაწვა, თან განუწყვეტლივ უყვიროდა წმ. ჯულიანოს — სულ შენა გლოცულობ, შენის იმედითა ვარ ხოლმე და განა ამას მოველოდი, შე დალოცვილო, შენგანაო!.. მაგრამ წმ. ჯულიანო მისთვის ზრუნავდა და მალე კარგი ღამის გასათევი ბინაც გაუმზადა.

ამ კოშკში ერთი ქვრივი მანდილოსანი ცხოვრობდა, მეტად იშვიათი სილამაზისა. მარკიზ აცოს თავს ერჩივნა ეს ქალი და აქ თავის სიამოვნებისთვისა ჰყავდა. ქალი იმ სახლში ცხოვრობდა. რომლის ქიმს ქვეშ რინალდომ თავი შეაფარა. ისე მოხდა, რომ მარკიზი სწორედ ამაღამ უნდა მოსულიყო ქალთან დროის გასატარებლად. ქვრივმა, მაშასადამე, მოუმზადა აბანო და მშვენიერი ვახშამი. ყველანი მზად იყვნენ მის დასახვედრად. მარკიზმა კი ამაღამ ვეღარ მოვალო: შიკრიკმა წერილი მომიტანა და იძულებული ვარ დაუყოვნებლივ ფერარაში წავიდეო. ქალს საშინლად ეწყინა, რომ ამდენმა მზადებამ ფუჭად ჩაუარა. მოდი, მისთვის მომზადებულ აბანოში მე მაინც დავიბან ტანსა, მერე ვივახშმებ და დავწვებიო. ეს

აბანო იმ კარს ახლოს იყო, სადაც ჰგორავდა საწყალი გაძარცული ვაჭარი. სწორედ ამ დროს გამოვიდა ქალი საბანაოდ, როცა რინალდო უკვე დაწოლილიყო აქ. ქალს მოესმა კრუსუნი და კბილების კაწკაწი, თითქო ყანჩა თავის ნისკარტით აკაკუნებსო. მაშინვე თავისს გოგოს უთხრა: „ერთი მიდი, ნახე, მანდ რა ამბავია?“ გოგო ავიდა, ფანჯრიდან გადაიხედა და ნახევრად ბნელაში დაინახა ერთი კაცი, პერანგა, კარის ზღურბლზე იწვა. ჰკითხა, აქ რა გინდაო? რინალდოს უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ კბილების ცემინებამ ერთბაშად ვერ შეაძლებინა სიტყვები ცალ-ცალკე გამოეთქვა. რის წვალებით როდის-როდის გააგებინა, ვინც იყო და რამდენიმე სიტყვით უამბო თავის უბედურების ამბავი. მერე დიდის თხოვნით სთხოვა, თუ შესაძლებელია, სადმე ღამე გამათევინეთ, თორემ აქ ამაღამვე სიცივე გამაფიჩხებსო.

გოგო მისი საცოდაობით დაიწვა. ქალბატონთან გაიქცა და ყველაფერი მოახსენა და თანაც სთხოვა: თქვენი ჭირიმეთ, შეიბრალეთ საცოდავიო. არც ქალბატონი იყო გოგოზე ნაკლები გულკეთილი; მოაგონდა, რომ ამ კარით შემოდიოდა ხოლმე მარკიზი, როცა უნდოდა არავის დაენახა. და გასაღებიც ქალსვე ჰქონდა. გოგოს დაუძახა: „გაიქე, გაუღე კარი და შემოიყვანე. მადლობა ღმერთს, ბინაც გვაქვს და ვახშამიც, რომ ვჭამოთ“. გოგომ აქო ქალბატონის გულკეთილობა და გაიქცა კარის გასაღებად.

სიცივისაგან თითქმის გაფიჩხებული კაცი რომ დაინახა, მაშინვე შემოიყვანა და უთხრა: აი, აბანო ჯერ ისევ ცხელია. ჩადი და იბანავეო. აბა, რა თქმა უნდა, გოგოს ბევრი ხვეწნა არ დასჭირებია. საწყალი თბილს წყალში ჩაწვა თუ არა, ასე ეგონა, მკვდრეთით აღვსდექიო. სანამ ის გონებას და ძალღონეს მოიკრეფდა, ღვთისნიერმა ქალმა გოგოს თავის გარდაცვლილი ქმრის ტანისამოსთა შორის მოაძებნინა ერთი ხელი ტანისამოსი და შეუგზავნა. ეს ტანისამოსი ისე კარგად მოუვიდა, რომ იტყოდით, სწორედ მის ტანზე იყო გამოჭრილიო. რომ დაინახა, რომ ტანთ რიგიანად ეცვა და ქალბატონიც ასე ზრუნავდა მისთვის, ღმერთსა და წმ. ჯულიანოს მადლობა შესწირა, რომ ორთავე ასე მოულოდნელად მიეშველნენ და ასეთი კარგი ბინაც უშოვეს ღამის გასათევად.

ქალბატონმა ცოტა მოისვენა და მერე ქვედა-სართულის ზალაში ჩამოვიდა. ბუხარში დიდი ცეცხლი დაანთებინა და ვაჭრის ამბავი იკითხა. გოგომ მოახსენა: „ტანთ ჩაიცვა, ლამაზი ვინმეა და ეტყობა, მეტად ზრდილი ადამიანიც უნდა იყოს“. — „აქ შემოიყვანე, — ისევ უთხრა ქალბატონმა, — გათბება და მერე ჩემთან ერთად ივახშმებს, თორემ, რა საჭიროა, ძალიან ეშივება“. შემოვიდა რინალდო, დიასახლისს ქება უძღვნა, როგორც ეს შეჰფერის ცოტათი თუ ბევრით ზრდილს ადამიანს; ეცადა, როგორც კი შეეძლო, მადლობა გადაეხადა ამდენი პატივცემისა და სიკეთისათვის. ქალის სიმშვენიერემ რინალდო მოხიბლა. ამ მშვენიერებამ მისი გულკეთილობა რინალდოს თვალში უფრო გააძლიერა, უფრო ძვირფასად გახადა. სტუმარი თვალებს ვერ აშორებდა მის ხატებას და უკვირდა — ეს რა მშვენიერება მიდგას წინაო! ქვრივი რომ უყურებდა მის გარეგნობას და მის ზრდილობიან ლაპარაკს, დაადასტურა

გოგოს ნათქვამი, — მართლა ისეთი ყოფილაო, მოუალერსა, ცეცხლა-პირას თავის გვერდით მოისვა და სთხოვა: გეთაყვათ, გვიამბეთ, როგორ დაგემართათ ეს უბედურებაო.

რინალდო დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს. ქვრივმა მისი ნაამბობი ყველაფერი დაიჯერა; მით უფრო, რომ მისი მოსამსახურე კოშკში მოვიდა, თუ არა, ყველას უთხრა — ჩემი ბატონი გზაში გაძარცვეს ყაჩაღებმა, შეიძლება მოჰკლეს კიდეცაო. ამ ამბავმა ქალბატონის ყურებამდეც მიაღწია, ასე რომ რინალდოს ამან უამბო მსახურის მისვლა; ხვალ დილას შეგეძლებათ კიდეცა ნახოთ თქვენი მხლებელიო.

სანამ ისინი ბაასობდნენ, გოგომ სუფრა გაშალა და ვახშამი შემოიტანა. ქვრივმა სთხოვა რინალდოს — დაბრძანდითო. რინალდომ ხელები დაიბანა და მასთან ერთად ვახშამს მიუჯდა. რინალდო მაღალი ტანისა იყო, ლამაზი, სასიამოვნო სახე ჰქონდა, ზრდილი იყო, ნატიფი ყოფაქცევისა, ასე, შუახნისა იქნებოდა. დიასახლისმა რამდენჯერმე მიმოავლო თვალი და ძალიან მოეწონა, — და რადგან მარკიზი უნდა მოსულიყო მასთან დასაწოლად და ამ მოლოდინმა ხორციელი ნდომა აღუძრა, გულში გაიფიქრა, მოდი, ეს კაცი მოვიწვინო მარკიზის მაგიერო.

ნავახშმევს, სუფრა რომ აალაგეს, ქალბატონმა მოახლეს რჩევა ჰკითხა: რას მეტყვი, რაც მარკიზმა მომატყუა, მას შემდეგ ახი არ იქნება მაგაზე, ხელიდან არ გავუშვა წყალობა, რასაც ბედი წინ მიდგამსო. მოახლე მიხვდა, რაც ენება მის ქალბატონს, და როგორც იცოდა და შეეძლო, ურჩია, შეისრულეთ სურვილიო.

ქვრივი ისევ მოუჯდა ცეცხლს, სადაც რინალდო დასტოვა. ვაჭარი მიხვდა, რასაც უპირებდნენ და გულში უხაროდა, რომ იმ დღეს ლოცვის თქმა არ დაავიწყდა. ქალი სწორედ მის პირდაპირ დაჯდა, სიყვარულით სავსე თვალები რამდენჯერმე გაუყარა თვალებში და უთხრა: „რათა ხართ ასე დაფიქრებული? ნუთუ თქვენი ცხენისა და ტანისამოსის დაკარგვამ ამ ზომამდე დაგაღონათ? ფიქრი ნუ გაქვთ, კარგ სახლში ხართ და მე ისე მიგულეთ, როგორც თქვენი ნამდვილი მეგობარი. გარდა ამისა, იცით, რა გითხრათ: თქვენ რომ ტანისამოსი გაცვიათ და ასე რომ გიხდებათ, ჩემი ცხონებული ქმრისეულია და ასე მგონია, თვით ჩემს ქმარს ვუყურებ-მეთქი. ისიც უნდა იცოდეთ, ქმრის სახე რომ თვალწინ წამომიდგა, ერთხელ კი არა, ოცჯერ მომინდა, ავმდგარიყავი, მოგხვეოდით და სულ ბევრჯელ მეკოცნა თქვენთვის. უნდა გამოგიტყდეთ, რომ კიდევაც ვიზამდი ამას, მაგრამ მეშინოდა, ვაითუ ეწყინოს-მეთქი“.

ეს სიტყვები მღელვარე გრძნობის კილოთი იყო წარმოთქმული ქალის მიერ. რინალდოს ესმოდა ყველაფერი და თან უყურებდა ქალის გაბრწყინებულ თვალებს. ხამი არ იყო, ვერ მიმხვდარიყო მათს მნიშვნელობას. მიუახლოვდა ქვრივს, ხელები ზეცად აღაპყრო და უთხრა: „ქალბატონო, მართლა რომ უმადური უნდა ვიყო მე, რომელსაც სიცოცხლე

შემარჩინეთ, თუ ცუდად მივიჩნიე ის, რაც თქვენ გესიამოვნებათ! აისრულეთ გულის წადილი, მომეხვიეთ, მაკოცეთ, რამდენჯერაც გნებავდეთ; გარწმუნებთ, დიდად ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, თუკი მეღირსება თქვენი ალერსი. გარწმუნებთ, მეც წმიდის გულით გიპასუხებთ“.

მეტი ლაპარაკი არ დასჭირვებიათ. ვნებისაგან ატაცებული ქალი მაშინვე მოეხვია კისერზე და გაშმაგებით დაუწყო კოცნა; რინალდოც სარგებლიანად უბრუნებდა ამ კოცნა-ალერსს. ერთხანს ასე იყვნენ ერთმანეთს გადაჭდობილნი, მერე საწოლ ოთახში შევიდნენ და ლოგინში ჩაწვნენ. გათენებამდე, ვინ იცის, რამდენჯერ ისიამტკბილეს!..

ინათა. ქვრივი შეუდგა ვაჭრის გასტუმრების თადარიგს. სახლიდან გამოსვლის დროს, ვისმე ეჭვი რომ არ აეღო იმღამინდელ ამბავზე, ქალმა ძველი და დახეული ტანისამოსი მისცა, თან გულს არ დააკლდესო, და ერთი ფულით კარგად გატენილი ქისაც გააყოლა. დაარიგა საიდუმლოს შენახვა. მერე ასწავლა გზა, რომლითაც უნდა შესულიყო კოშკში, სადაც თავის მოსამსახურეს იპოვნიდა, და გაუშვა იმ პატარა კარებიდან, რომელიც სიმაგრის გარეთ გადიოდა.

როცა კარგად გათენდა და ციხის კარები გააღეს, რინალდო შორის გზიდან მომავალ კაცივით შევიდა გვილელმოს კოშკში, მონახა ის სასტუმრო, სადაც მისი მსახური იყო ჩამომხტარი და ჩაიცვა ხურჯინში შენახული სხვა ახალი ტანისამოსი. შეჯდა თავის მოსამსახურის ცხენზე და, ის იყო, უნდა წამოსულიყო, რომ უთხრეს, მისი გამძარცველი სამი ავაზაკი სულ სხვა ბოროტმოქმედებისათვის დაუჭერიათ და ციხის სატუსაღოში მოჰყავთო.

რინალდოც მოსამართლესთან წავიდა. ქურდები ყველაფერში გამოტყდნენ და მასაც დაუბრუნეს მისი ცხენი, ტანისამოსი და ფული. ასე რომ მას, როგორც ისტორია გადმოგვცემს, არაფერი დაჰკარგვია ერთ წყვილ ტოლაღებს გარდა, რომლებიც ქურდებს სადღაც დაჰვარდნოდათ.

რინალდომ უფალსა და წმინდა ჯულიანოს მადლი შესწირა, შეჯდა ცხენზე და ცოცხალი და უვნებელი, თავის სახლში დაბრუნდა.

ავაზაკები კი სამივე მეორე დღეს ჩამოახრჩვეს.

ამგავი მესამე. ინგლისის მეფის ასული

სამმა ყმაწვილმა კაცმა თავიანთი ქონება გაფლანგა; სამნივე უკიდურეს სიღარიბეში ჩაცვივდნენ; მათმა ძმისწულმა, სასოწარკვეთილი რომ ბრუნდებოდა შინ, ერთი აბატი გაიცნო; ეს აბატი ინგლისის მეფის ასული გამოდგა. ქალი ყმაწვილს მისთხოვდება, მის ბიძებს ზარალს

აუნაზღაურებს და წინანდელ ყოფას დაუბრუნებს.

ქალებმა გაკვირვებით მოისმინეს რინალდო დ'ასტის თავგადასავალი, შეაქეს მისი ღვთისმოშიშობა, მადლი შესწირეს ყველას და წმ. ჯულიანოს, რომელთაც გაჭირვების ჟამს ესდენი შველა აღმოუჩინეს. მაგრამ ამასთანავე დაასკვნეს (თუმცა ამას ერთიმეორეში ჩურჩულით ამბობდნენ), რომ არც ქალი ყოფილა უჭკუო, რომელმაც მოახერხა და გამორჩა იმ წყალობას, ზეციერმა კარზე რომ მოაყენაო და სანამ ქალები ღიმილით ლაპარაკობდნენ ამ ქალის მიერ ტკბილად გატარებული ღამის შესახებ, პამპინეამ, რომელიც ფილოსტრატოს უჯდა გვერდით, რომ დაინახა, ახლა ჩემი ჯერია ამბის მოყოლისაო, დაფიქრდა და შეეცადა მოეგონებინა სათქმელი. შემდეგ, დედოფალმა უბრძანა თუ არა, თამამად და მხიარულად დაიწყო: — პატივცემულო ქალებო! რაც უფრო მეტს ილაპარაკებენ ბედის უკუღმართობაზე, იმდენად უფრო მეტი შეუძლია თქვას იმაზე ყველამ, ვინც მონდომებით დაუკვირდება ამ ბედის ყოველგვარ ტრიალს; და ეს არავის არ უნდა გაუკვირდეს, თუკი თავმდაბლობით იფიქრებს, რომ ყოველივე, რასაც ჩვენ, ჩვენის უმეცრებით, ჩვენადა ვთვლით, ამ ბედის ხელთაა, და მაშასადამე, მისი საიდუმლო განგებით განუწყვეტლივ რიგ-რიგად გადაეცემა ხოლმე ერთისაგან მეორეს და წინაუკმო, და ეს ისეთი წესითა ხდება, რომ ჩვენ ვერაფერს გავუგებთ ხოლმე. თუმცა ეს აშკარადა ჩანს ყველაფერში, ყოველდღე და ყოველ ჟამს მტკიცდება და, გარდა ამისა, ეგევე დავინახეთ ზოგ ზემოთქმულ ამბებში, მაგრამ, რადგან ჩვენს დედოფალსა ნებავს, რომ ჩვენ სწორედ ამ საგანზე ვილაპარაკოთ, ბატონი ბრძანდებით, უკვე ნათქვამ ამბებს დავძენ, — და შეიძლება მაყურებლების სასარგებლოდაც იყოს, — ჩემს ამბავსაც, რომელიც, იმედი მაქვს მოგეწონებათ.

ჩვენს ქალაქში ძველად ცხოვრობდა ერთი სახელოვანი რაინდი, სახელად ტედალდო. ზოგნი ამბობდნენ, ლამბერტოს გვარისა იყოო, ზოგი კი ამტკიცებდა — აგოლანტების გვარისაო, და ამის საბუთად, შეიძლება, უმთავრესად ისა ჰქონდათ, რომ შემდეგში მისი შვილები მისდევდნენ იმ ხელობას, რასაც ადგნენ და დღესაც ადგანან აგოლანტები (აგოლანტე — თერძი, მენემსე). მაგრამ თავი დავანებოთ იმის ძიებას, თუ ამ ორ გვარში, რომელი იყო მისი. ახლა მოგახსენებთ, რომ ეს რაინდი თავის დროზე მეტად მდიდარი ვინმე გახლდათ. ჰყავდა სამი შვილი: უფროსს ერქვა ლამბერტო, საშუალოს ტედალდო და მესამეს აგოლანტე. სამივე მშვენიერი და ტანადი ახალგაზრდა ყმაწვილი იყო. უფროსი ჯერ თვრამეტის წლისა არ შესრულებულიყო, როცა მდიდარი მესერ ტედალდო გარდაიცვალა და შვილებს, როგორც თავის კანონიერ მემკვიდრეებს, მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება დაუტოვა. ამათ რომ დაინახეს, ფულად და მამულით ამდენი სიმდიდრე დაგვრჩაო, მიჰყვეს ხელი ქეიფს, ფულს დაუზოგველად და უანგარიშოდ დაუწყეს ფანტვა, აუარებელი მოსამსახურეები დაიჭირეს, გაიჩინეს ქორ-მეძებრები, მშვენიერი ცხენები, მათი სახლის კარები ყველასათვის ღია იყო, ყველას საჩუქრებს ურიგებდნენ, ყველასა პატიჟებდნენ, ასპარეზობასა

მართავდნენ და შვრებოდნენ არა მარტო იმას, რაც კეთილშობილს შეეფერებოდა, არამედ იმასაც, რაც მათ, როგორც ახალგაზრდებს, მოექეიფებოდათ. ასეთმა ცხოვრებამ დიდხანს არ გასტანა, მამის დატოვებულმა ქონებამ იკლო, და რადგან შემოსავალი ხარჯებისათვის ვერა ჰყოფნიდათ, მისდგნენ მამულებს და ზოგსა ჰყიდდნენ და ზოგსაც აგირავებდნენ; დღეს ერთს გაუშვებდნენ ხელიდან, ხვალ კიდევ მეორეს.

ბოლოს ძმებმა დაინახეს, რომ სრულებით ცარიელები დარჩნენ, და სიღარიბემ თვალები აუხილათ, სიმდიდრისაგან დახუჭული რომ ჰქონდათ. ამიტომ ერთხელ ლამბერტომ დაუძახა თავის ორ ძმას და უთხრა: ხომ იცით, მამაჩვენი რა პატივცემული იყო ყველასაგან და დღეს ჩვენ კი რას ვგევართ. ისიც იცით, რა ქონება დაგვრჩა და დღეს კი ჩვენი უთავბოლობით და ბედასლობით ყველაფერი ნიავქარს მივეცითო. მერე, რამდენიც შეეძლო ურჩია — სანამ უარეს სიღარიბეში ჩავცვივდებოდეთ, ერთი ბეწო რაღაც რომ დაგვრჩენია, ბარემ ისიც გავყიდოთ და აქედან სადმე გადავიხვეწოთო. და ასეც მოიქცნენ.

არავის გამოსთხოვებიან და არც ვისთვისმე შეუტყობინებიათ მათი წასვლის ამბავი, ფლორენციიდან ისე გავიდნენ და გზაში შეუფერხებლად ინგლისში ჩავიდნენ. აქ დაიჭირეს ერთი პატარა სახლი, თავიანთ თავზე ძალიან ცოტასა ხარჯავდნენ, დიდი სარგებლით ფულის გასესხება დაიწყეს და ბედმაც ისე მოუმართა ხელი, რომ რამდენიმე წელიწადში დიდი ფულის პატრონები გახდნენ. ამის შემდეგ დაბრუნდნენ ფლორენციაში, თავიანთი მამულების უმეტესი წილი უკვე შეისყიდეს, და ამათ გარდა, სხვების მამულებიც შეიძინეს და დაცოლიანდნენ კიდეცა. მაგრამ რადგან ინგლისში სარგებლით ფულის გასესხებას განაგრძობდნენ, იქ საქმეების გასაძღოლად თავიანთი ძმისწული გაგზავნეს, რომელსაც ალესანდრო ერქვა, თვითონ კი ფლორენციაში დარჩნენ და სრულებით დაივიწყეს, თუ ერთ დროს რა დღეში ჩავარდნენ მეტისმეტი ხელგაშლილობით, და მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი ცოლშვილიანი იყო, წინანდელზე უარესად დაიწყეს ფულის ფანტვა, მით უფრო, რომ ვაჭრებში დიდი ნდობა ჰქონდათ და შეეძლოთ იმდენი გამოერთმიათ, რამდენიც უნდოდათ. ასეთი ხარჯების გაწევა მათ შეეძლოთ იმ ფულის წყალობით, რომელსაც ალესანდრო უგზავნიდათ; ალესანდრო ფულს ბარონებს ასესხებდა და ვალში მათს კოშკებსა და სხვა შემოსავლიან მამულებს იგირავებდა, რაც დიდ მოგებას აძლევდა.

ამგვარად, სამნი ძმანი ხელგაშლილ ცხოვრებაზე ხელს არ იღებდნენ, და როცა ფული აკლდათ, ვალებს იღებდნენ, რადგან ინგლისიდან ფულის მოშველების იმედი ჰქონდათ, ამასობაში სრულიად მოულოდნელად, ინგლისის მეფესა და მის შვილს შორის ჩხუბი ატყდა და ამის გამო მთელი კუნძული ორად ორ ბანაკად გაიყო: ზოგს მეფის მხარე ეჭირა და ზოგს კიდევ — მისი შვილისა. ამიტომ, რაც ბარონების კოშკები ჰქონდა ალესანდროს დაგირავებული, სულ ერთიანად ჩამოართვეს და დაგირავებულ მამულებსაც არავითარი სარგებელი არ შემოჰქონდა. მაგრამ რადგან ყველა იმედოვნებდა — მამასა და შვილს შუა

ომი დღეს არა, ხვალ გათავდებაო და მაშასადამე, ალესანდროსაც ყველაფერი დაუბრუნდებოდა — თავნიცა და სარგებელიცა, ალესანდროც კუნძულს თავს არ ანებებდა, ხოლო სამნი ძმანი, ფლორენციაში რომ ცხოვრობდნენ, არც კი ფიქრობდნენ თავიანთი ხარჯები შეემცირებინათ და დღითიდღე უარესად ვალებში ეფლობოდნენ; მაგრამ რადგან რამდენიმე წელიწადმა განვლო და ომს მაინც ბოლო აღარ უჩანდა, სამ ძმას არამცთუ არავინ ანდობდა ფულს, მოვალეებმა მათთვის ვალის გადახდევინება მოითხოვეს და ერთბაშად ციხეში ჩაასმევინეს; რადგან მოვალეებს მათი მამულები ვერ აუვიდა, სამივე ციხეში დარჩა, ხოლო მათი ცოლები და პატარა ბავშვები ზოგი სოფლისაკენ წავიდა და ზოგიც სად, ღარიბულად ჩაცმულ-დახურულები; ამათ იცოდნენ, რომ საუკუნო სიღარიბეში იყვნენ ჩაცვივნულნი და იქიდან ამოსვლა არ ეწერათ.

ალესანდრო ზავის ჩამოგდებას მოელოდა და ამასობაში რამდენიმე წელიწადი დაჰყო ინგლისში; რომ დაინახა, შერიგებას არ აპირებენო, თქვა — ჩემი აქ დარჩენა არამცთუ უსარგებლოა, საშიშიც არისო, გადაწყვიტა იტალიაში დაბრუნება და მარტოდმარტო გზას დაადგა. ბრუჯიადან რომ გამოვიდა, შემთხვევით დაინახა, იმავ ქალაქიდან გამოსული ერთი ბენედიქტელი აბატი, რომელსაც მრავალი ბერი ახლდა; წინ მოუძღოდნენ მრავალრიცხოვანი მსახურები, ბარგი-ბარხანით დატვირთულნი, ამათ მოსდევდა ორი მოხუცი რაინდი, რომელნიც ინგლისის მეფეს ნათესავად მოხვდებოდნენ. როგორც ნაცნობებს, ალესანდრო თამამად მიუახლოვდა და იმათაც სიამოვნებით ჩაიყენეს თავიანთ შორის. ასე ამგვარად, მათთან ერთად რომ მიდიოდა, ალესანდრომ იკითხა ვინაობა და საითმიმავლობა იმ ბერებისა, ამდენი მოსამსახურეების თანხლებით წინ რომ მიდიოდნენ. ამაზე ერთმა რაინდთაგანმა ასე უპასუხა: „ვინც სულ წინ მიდის, ერთი ჩვენი ახალგაზრდა ნათესავია, ახლახან აირჩიეს ინგლისის დიდ სააბატოს აბატად; მაგრამ, რადგან მეტად ახალგაზრდაა და საეკლესიო წესდება ნებას არ აძლევს ასეთი ხარისხი შეიმოსოს, ამიტომ რომში მივყვებით წმინდა მამასთან, რომ ახალგაზრდობისათვის წუნი არ დასდოს ამ თანამდებობის მისაღებად და დაამტკიცოს აბატად. ეს ასე გახლავთ, მაგრამ რაც გიამბეთ, საიდუმლოდ შეინახეთ, გეთაყვათ“.

ახლადარჩეული აბატი წინ მიუძღოდა თავის ამალას და ხანაც უკან მოექცეოდა ისე, როგორც ეს სინიორებმა იციან ხოლმე და რასაც ჩვენ ყოველდღე ვხედავთ; შემთხვევით გვერდით ჩაუარა და დაინახა ალესანდრო. ყმაწვილი შესახედავად ახალგაზრდა იყო, მოყვანილი, ლამაზი სახისა და ისეთი ზრდილი, რომ მის მსგავსს სხვას ძნელად იპოვიდა კაცი. აბატს დანახვისთანავე ისე შეუვარდა გული, რომ მის მსგავსად თავის დღეში არავინ მოსწონებია, ახლოს მოიხმო და მხიარულად დაუწყო ლაპარაკი. გამოჰკითხა ვინაობა, საიდანმომავლობა, სადმიმავლობა. ალესანდრომ მისი ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა და გულწრფელად უამბო თავისი თავგადასავალი და მოახსენა — ჩემი სუსტი

ძალღონისდაკვალად მზად გახლავართ გემსახუროთ. აბატი უსმენდა მის ნატიფსა და დალაგებულ ლაპარაკს და განსაკუთრებით მოხიბლა მისმა თავაზიანობამ, გულში იფიქრა — მართალია, ხელობა მდაბიო კაცისა აქვს, მაგრამ თვითონ კეთილშობილის ჩამომავლობისა უნდა იყოსო და უმეტესად აენთო მისი თანაგრძნობით. მერე ამდენი დავიდარაბაგამოვლილი ალესანდრო ძალზე შეეცოდა და მეგობრული ნუგეში სცა და გაამხნევა: გული არ გაიტეხო, ვაჟკაცურად დაუდექი გაჭირვებასო; მართალია ბედმა ძირს დაგწია, მაგრამ ღმერთი მაღალია, ისევ დაგაყენებს ფეხზე და უფრო აგამაღლებს, ვიდრე იყავიო. და რომ გაიგო აბატმა, რომ ალესანდროც ტოსკანაში მიდიოდა, უთხრა: მეც ტოსკანაში მივდივარ, და თუ გნებავთ, ჩვენთან ერთად იარეთო. ალესანდრომ ნუგეშისათვის მადლი შესწირა და მოახსენა, მზად გახლავართ ყოველი თქვენი ბრძანება ავასრულოო.

აბატი თან მიდიოდა და თან მის გულში ახალ-ახალი გრძნობა ისადგურებდა ალესანდროს ნახვის შემდეგ. რამდენიმე დღის შემდეგ ერთ სოფელში შემოვიდნენ, სადაც მაინცდამაინც ბევრი სასტუმრო არ იყო. რადგან აბატმა გადაწყვიტა ღამე აქ გაეთია, ალესანდრომ ერთი ნაცნობი კაცის სახლში შეიყვანა და მასპინძელსა სთხოვა მისთვის სულ მყუდრო ადგილას მიეცა ოთახი. ალესანდრომ აბატის თითქმის მსახურთუხუცესად გადაიქცა და, როგორც გამოცდილმა კაცმა, აბატის მხლებელთ, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ყველას მიუჩინა საწოლი, ვის სადა და ვის სად. როცა აბატმა ივახშმა, უკვე ღამე კარგად იყო გადასული. ყველანი დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ. ალესანდრომ მასპინძელსა ჰკითხა, მე სადღა დავიძინოო? ამაზე მასპინძელმა ასე უპასუხა: „ღმერთმანი, არ ვიცი, რა გიყო. შენცა ხედავ, რომ ყველგან დაჭერილია დასაწოლი ადგილი. ხომ უყურებ, მე და ჩემი ცოლ-შვილი ხმელა ფიცრებზე უნდა დავწვეთ. მართლა, აბატის ოთახში გრძელი ზანდუკები დგას ტახტის მაგვარი, გაჩვენებ, ზედ რასმე გაგიშლი და, თუ გინდა, იმაზე ამაღამ როგორც იქნება დაწექი“. ამაზე ალესანდრომ უთხრა: „აბატის ოთახში როგორ შევიდე? ხომ იცი, რა პატარაა და ამ სიპატარავის გამო მასთან ვერც ერთი ბერი ვერ დაგვიწვენია. ფარდების ჩამოკიდების დროს ეს აზრად რომ მომსვლოდა, ამ ზანდუკებზე ბერებს დავაწვენდით და მე კი იქ წავიდოდი, სადაც ბერებსა სძინავთ“. ამაზე მასპინძელმა ასე უპასუხა: „ახლა რაღა ეშველება, ჩემო კარგო; დამიჯერე, აქ მშვენივრად მოეწყობი: აბატსა სძინავს და ფარდაც ჩამოშვებულია, ერთ პატარა ლეიბს მოგიტან როგორმე და შენც არხეინად დაიძინე“. ალესანდრომ იფიქრა, მართლაც სრულებით არ შევაწუხებ აბატსაო, დაეთანხმა მასპინძელს და ფეხაკრეფით შევიდა მის ოთახში და ჩუმად დაწვა.

აბატი მისმა ახალმა ფიქრებმა არ დააძინა. ალესანდროს და მასპინძლის ნალაპარაკევი არაფერი გამოჰპარვია და ისიც დაინახა, საცა დაწვა ალესანდრო. გახარებულმა გული— გულში ასე უთხრა თავის თავს: „ღმერთმა ხელი მომიმართა და საუკეთესო შემთხვევას მაძლევს ჩემი საწადელი ავისრულო: თუ ახლა არ ვისარგებლე, ვინ იცის, კვლავ როდესმე

მომეცემა ასეთი შემთხვევა თუ არა!“ გადაწყვიტა, ხელიდან არ გაეშვა შემთხვევა და როცა დაინახა, ახლა კი ყველას ეძინება სახლშიო, ალესანდროს ჩუმად დაუძახა: მოდი, ჩემთან დაწექიო. ალესანდრო დიდხანს იდგა უარზე, მაგრამ ბოლოს დასთანხმდა, ტანთ გაიხადა და მოუწვა. აბატმა ხელი გულზე დაადო და დაუწყო ცაცუნი ისე, როგორც ამას შეყვარებული ქალები თავიანთს საყვარლებს უშვრებიან ხოლმე. ამან ალესანდრო საშინლად გააოცა და იფიქრა, შეიძლება აბატი სასირცხვილო სიყვარულის გრძნობამ აიტანა და ის აიძულებს ასე მომექცესო. აბატი მაშინვე მიუხვდა, ისე სხვანაირად იმიტომ შეიშმუშნა და ჩემი ხელის მოსმა იმიტომ იუცხოვა, რომ, ალბათ, რამე ეჭვი გაიტარა გულშიო, და გაეღიმა; მერე საჩქაროდ გული გადაიღეღა, აიღო ალესანდროს ხელი და გულზე დაიდო და თანაც უთხრა: „ალესანდრო, უკუაგდე შენი ბრიყვული აზრი, ხელი მომიცაცუნე აქ და გაიგე შენი საიდუმლოება“. ალესანდრომ აბატს გულზე ხელი დაადო და ხელში მოხვდა ორი ძუძუ, ჩამრგვალებული, მკვრივი და თან ნაზი, თითქო სპილოს ძვლისაგან არიან გამოხარატებულნიო. ესენი რომ დაინახა, ალესანდრო მიხვდა, რომ ქალი იყო და სანამ ეს კიდევ რასმე ეტყოდა, ხელი მოხვია და უნდოდა ეკოცნა. ამ დროს ქალმა უთხრა: „სანამ უფრო დამიახლოვდებოდე, ყური დამიგდე, რა გითხრა. როგორცა ხედავ, მე ქალი ვარ და არა მამაკაცი; მამაჩემის სახლიდან ქალწულად ვარ წამოსული და მივდივარ პაპთან, იმან საქმრო უნდა გამირიგოს. და აჰა, შენს ბედად, თუ ჩემდა საუბედუროდ, დაგინახე თუ არა, ისე აღვინთე შენდამი სიყვარულით, რომ ქალს არა მგონია კაცი ასე როდესმე შეჰყვარებოდეს; ამიტომ გადავწყვიტე, სხვა უშენო ღმერთმა ნუ ქნას ჩემს ქმრადა-მეთქი, და თუ ჩემი ცოლობა არ გინდა, ახლავე ადექი და ისევ შენს ლოგინში ჩაწექი“ ალესანდრო, მართალია, თვითონ ქალს პირადად არ იცნობდა, მაგრამ ამალაზე ატყობდა, კეთილშობილი და მდიდარი უნდა იყოსო, და თან პირისახით მშვენიერი ვინმეაო; ამიტომ დიდხანს არც კი დაფიქრებულა და უპასუხა: თუკი თქვენც თანახმა ბრძანდებით, მე ამაზე უკეთესი ბედი რაღა მინდაო! მაშინ ქალი ლოგინზე წამოჯდა, ერთი ხატის პირდაპირ, რომელზედაც ჩვენი მაცხოვრის სახე იყო გამოყვანილი, თითზე ბეჭედი გაუკეთა და დანიშნა. მერე ერთმანეთს მოეხვივნენ და ღამისა რაც ხანი დარჩენოდათ, ერთიმეორის გულის გასახარად, ისიამტკბილეს. როდესაც მოილაპარაკეს, თუ როგორ მოქცეულიყვნენ და ან როგორ დაეჭირათ თავი, ალესანდრო ადგა და ოთახიდან ისევე ჩუმად გამოვიდა, როგორადაც შიგ შევიდა და არც არავის გაუგია, თუ სად ეძინა.

უზომოდ გახარებული ალესანდრო ბატონთან და მის ამალასთან ერთად მგზავრობას გაუდგა და კარგა ხნის მგზავრობის შემდეგ რომს ჩავიდნენ. აქ ჯერ რამდენიმე დღე მოისვენეს, მერე აბატმა ორი რაინდი და ალესანდრო იახლა, მეტი არავინ, და მივიდა პაპთან, თაყვანი სცა და ასე დაიწყო.

„თქვენო უწმინდესობავ! თქვენ ყველაზე უკეთ უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ვისაცა სურს

კარგად და პატიოსნად იცხოვროს, რამდენადაც შეუძლია, უნდა ერიდოს ყოველ ისეთ ცდუნებას, რომელსაც შეუძლია იგი ცუდ გზაზე შეაყენოს. და აი, მეც, რაკი პატიოსნად მინდოდა ცხოვრება, რომ ჩემს სურვილს სავსებით ვწეოდი, შევიმოსე ის სამოსი, რომელშიაც ახლა მხედავთ, ჩუმად გამოვიპარე და თანაც წამოვიღე მამიჩემის — ინგლისის მეფის, ზინეთის კარგა მოზრდილი ნაწილი. გამოვიპარე იმიტომ, რომ მამაჩემს უნდოდა მე, ჯერ ახალგაზრდა ქალი, შოტლანდიის მეფისთვის, უძლურ მოხუცისათვის, ცოლად მივეთხოვებინე. აქ იმისათვის გეახელით, რომ თქვენმა უწმინდესობამ კეთილინებოს, ქმარი მიშოვოს და გზაზე დამაყენოს. იმდენად შოტლანდიის მეფის მოხუცებულობას არ გამოვქცევივარ, რამდენადაც იმის შიშს, იმას რომ მიმათხოვონ, ვაითუ ჩემი ახალგაზრდული სისუსტის წყალობით ისეთი რამ ჩავიდინო, რაც წინააღმდეგი იქნეს ღვთიური კანონისა და თან ჩემი მამის სამეფო სახელს ჩირქი მოსცხოს-მეთქი. და როცა ასეთი განზრახვით აქეთ მოვდიოდი, უფალმა, რომელმაც იცის, თუ რა სჭირია ყოველ ჩვენთაგანს, თვისის მრავალმოწყალებით თვალწინ დამიყენა ის, ვინც მას ენება ჩემი ქმარი გამხდარიყო; და ეს გახლავთ სწორედ ეს ახალგაზრდა (და უჩვენა ალესანდრო), რომელსაც ჩემს გვერდით უყურებთ; ისეთი კეთილშობილური ქცევითა და მაღალი ღირსებითაა შემკული, რომ შეეფერება რომელიც ვნებავს სახელოვან ოჯახის ქალს, თუმცა, შეიძლება, მისი სისხლი ისე კეთილშობილური არ იყოს, როგორც სამეფო სისხლია. ასე რომ, ამ ყმაწვილს მივთხოვდები და ესა მსურს ქმრად; სხვას არავის წავყვები, მამაჩემმა, გინა სხვებმა, რაც უნდა თქვან ჩემს უმთავრეს გულისწადილს, რისთვისაც აქეთ წამოვსულვარ, მივაღწიე; მაგრამ მაინც მინდოდა ჩემი მოგზაურობა ღირსეულად დამემთავრებინა: მენახა და თაყვანი მეცა წმინდა ადგილებისა და წმინდანებისათვის, რომელნიც ეგზომ მრავლადაა ამ ქალაქში, მენახეთ თქვენი უწმინდესობაც და გეკურთხებინათ ჩემი ჯვრისწერა ალესანდროზე, რაც მხოლოდ ღვთის პირის წინაშე შევასრულე, ახლა მინდა საყოველთაოდ საცნაურ ჰყოთ. ამიტომ უმდაბლესადა გთხოვთ, რომ ის, რაც ნებაა უფლისა და მეცა მსურს, თქვენ არ დაიწუნოთ და თქვენი ლოცვა—კურთხევა მიწყალობოთ, რათა, რაკი თქვენი ლოცვა-კურთხევა გვექნება, ჩვენ უმეტესად დავრწმუნდეთ, რომ ჩაგვიდენია სათნო საქმე იმისა, ვისი მოადგილეც თქვენი უწმინდესობა ბრძანდება სააქაოში, და შეგვეძლოს სადიდებლად ღვთისა და თქვენი სახელისა, ერთად ვიცხოვროთ და ბოლოს მოვკვდეთ“.

ალესანდრო ფრიად გაოცდა, როცა გაიგო, რომ მისი საცოლე ინგლისის მეფის ასული ყოფილა, და გული იდუმალი სიხარულით აევსო; მაგრამ უმეტესად განცვიფრდნენ ქალის მხლებელი რაინდები და აღშფოთდნენ; სხვაგან სადმე რომ ყოფილიყვნენ და არა პაპის წინაშე, ალესანდროს, და შეიძლება ქალსაც, ცუდს რასმე შეამთხვევდნენ. მეორე მხრით, პაპს მეტად გაუკვირდა ქალის ჩაცმულობა და მისი არჩევანი. მაგრამ რაკი ხედავდა, რომ უკან დახევა არ შეიძლებოდა, ქალს თხოვნა აუსრულა. უწინარეს ყოვლისა, დაამშვიდა რაინდები, რომლებიც გამწყრალებივით ეჩვენა და ორივე შეარიგა ქალთან და ალესანდროსთან, მერე

უბრძანა, რაც საჭირო იყო, ყველაფერი მოემზადებინათ ჯვრისწერის დღისათვის.

პაპის მიერ დანიშნული დღე რომ დადგა, და მათ მიერ გამართულ დღესასწაულობაზე მოწვეული კარდინალები და ბევრი სხვა ღირსეული ხალხი რომ მოგროვდნენ, პაპის ბრძანებით მოიყვანეს დედოფლურად მორთული ქალი: ისე შვენოდა, რომ მართლაც საქებარს, ყველანი აქებდნენ; მასთან ერთად მოვიდა ალესანდრო საუცხოოდ ჩაცმული; მის გარეგნობაზე და ყოფაქცევაზე ვერავინ იტყოდა, თუ ის ახალგაზრდა კაცი როდესმე მევახშეობას ეწეოდა, პირიქით — კაცი იფიქრებდა, რომ ეს ვინმე ბატონიშვილიაო. ორივე რაინდი დიდი პატივისცემით მიეგება. აქ პაპმა დიდის ამბით ნიშანი უკურთხა, ამის შემდეგ დიდი გამოჩინებითა და ზეიმით ჯვარი გადასწერა, აკურთხა და გამოისტუმრა.

რომიდან წამოსულ ალესანდროსა და მის მეუღლეს მოუნდათ ფლორენციაში გამოვლა, სადაც უკვე ყველას გაეგო მათი ჯვრისწერის ამბავი. აქ მოქალაქენი დიდის ამბით და პატივით დაუხვდნენ; ქალმა ალესანდროს სამივე ბიძა ციხიდან გაათავისუფლებინა, მათი ვალი ყველა გადაიხადა, მერე მათ ცოლებს თავიანთი წინანდელი ქონება ყველაფერი გამოუხსნა.

როცა ყველა მოიმადლიერეს, ალესანდრომ და მისმა მეუღლემ თან წამოიყვანეს აგოლანტე და ფლორენციიდან წამოვიდნენ. პარიზში რომ ჩავიდნენ, იქ დიდის პატივით დაუხვდა იქაური მეფე. აქედან ორი რაინდი ინგლისში წავიდა და მეფესა სთხოვეს თავისი ქალისათვის ეპატიებინა. მანაც აიღო და აპატია. მერე დიდის ამბით დაუხვდა თავის ქალსა და სიძეს, რომელსაც ცოტა ხანს უკან რაინდობა მისცა და კორნუელის გრაფობა უბოძა. ალესანდრომ იმდენი იმარჯვა და ისე მოახერხა, რომ მამა და შვილი შეარიგა, რასაც მთელი კუნძულისათვის დიდი სიკეთე და ბედნიერება მოჰყვა შედეგად. ამიტომ მეფის სიძემ მთელი ხალხის გული მოიგო და მადლობა დაიმსახურა. აგოლანტემ სრულიად დაიბრუნა, რაც კი გაესესხებინა ფული, და მეტად მდიდარი დაბრუნდა ფლორენციაში იმის შემდეგ, რაც ალესანდრომ რაინდობა მისცა.

გრაფი ალესანდრო მერე თავის მეუღლესთან ერთად სახელითა და დიდებით მორჭმული ცხოვრობდა. ბოლოს, როგორც ზოგნი ამბობენ, თავის ჭკუისა და ვაჟკაცობის წყალობით და აგრეთვე თავისი სიმამრის დახმარებით, დაიპყრო შოტლანდია და იქაურ მეფედ ეკურთხა.

ამბავი მეოთხე. მეკობრე ვაჭარი

ლანდოლფო რუფოლო გაღარიბდა და მეკობრედ იქცა; გენუელებმა დაიჭირეს, მაგრამ ზღვაში ჩავარდა; აქ ერთ თვალმარგალიტით სავსე ყუთს დაებღაუჭა და თავი გადაირჩინა. კორფუში ერთ დედაკაცთან იპოვა თავშესაფარი; მერე გამდიდრებული შინ დაბრუნდა.

ლაურეტა პამპინეას გვერდით იჯდა. რომ დაინახა, რა საუცხოოდ გათავდა მისი მოთხრობა, ვისიმე მოგონება არ დასჭირებია, ასე დაიწყო ამბავი: — ჩემო მშვენიერნო! ჩემის აზრით, ბედისწერის არც ერთი ნამოქმედარის ნახვა ისე მკაფიოდ არ შეიძლება, როგორც ეს დავინახეთ პამპინეას მოთხრობაში, სადაც მოთხრობის გმირი ალესანდრო ბედმა, ჯერ უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილი, ბოლოს მეფის ტახტზე დასვა. და რადგან ყოველმა ჩვენთაგანმა დღეიდან ასეთი ხასიათის მოთხრობები უნდა გვიამბოს და მის ფარგლებს არ გასცდეს, ნება მიბოძეთ, მეც გიამბოთ ერთი ამბავი, რომელიც, მართალია, სავსეა უარესი სამწუხარო ამბებით, მაგრამ ისე საუცხოოდ არა თავდება, როგორც პამპინეას ამბავი. მე კარგად ვიცი, რომ რაკი წინათ მოთხრობილი ამბავი გეხსომებათ, ჩემს ამბავს უფრო ნაკლები ყურმახვილობით მოისმენთ; მაგრამ, რადგან სხვა ამბავი არ ვიცი, თქვენც, იმედი მაქვს, მაპატიებთ.

ზღვის ნაპირი რეჯიოსა და გაეტას შორის იტალიაში ულამაზეს ადგილად ითვლება. აქ, სალერნოს მახლობლად ერთი მომაღლო ნაპირია. ეს ნაპირი ზღვას დასცქერის და აქაურები ამალფის ნაპირს ეძახიან. აქაურობა მოფენილია პატარ-პატარა ქალაქებით, ბაღებითა და მოჩუხჩუხე ნაკადულებით; აქავე ცხოვრობენ მდიდრები, რომელნიც ვაჭრობას მისდევენ. და ვაჭრობაც ისე არსადაა ხელსაყრელი, როგორც აქ. ამ ქალაქებს შორის არის ერთი ქალაქი, რომელსაც რაველო ჰქვია, სადაც დღესაც ცხოვრობენ მდიდრები და მაშინაც ცხოვრობდა ერთი ძალზე მდიდარი, რომელსაც ლანდოლფო რუფოლო ერქვა. რუფოლო არა სჯერდებოდა თავის სიმდიდრეს და მოინდომა ერთი-ორად გამდიდრება, მაგრამ რაცა ჰქონდა, ისიც წაგო და კინაღამ თვითონაც არ დაიღუპა.

და აი, ამ რუფოლომ წინდაწინვე გამოიანგარიშა ყველაფერი, როგორც ამას ვაჭრები შვრებიან ხოლმე, შეიძინა უზარმაზარი გემი, ნაღდ ფულზე საქონელი იყიდა, გემში ჩაალაგა და კვიპროსში გაემგზავრა. რუფოლომ დაინახა, რომ აქვე რამდენიმე სხვა ხომალდი იდგა იმგვარივე საქონლით დატვირთული, როგორიც თვითონ ჩამოიტანა. ამიტომ თუ თავისი ჩამოტანილი საქონლის გასაღებას მოინდომებდა, არამცთუ იაფად უნდა გაეყიდა, თითქმის მუქთად უნდა გადაეყარა; ასე რომ, კინაღამ არ გაკოტრდა. ვაჭარი ძალიან დააღონა ამ გარემოებამ და არ იცოდა, რა ექნა. უმდიდრესი კაცი მოკლე ხანში თითქმის ღატაკად იქცა. ამისთანა ყოფნას სიკვდილი მირჩევნიაო, ანდა ყაჩაღობას უნდა მივყო ხელი, რომ იქ, საიდანაც მდიდარი წამოვსულვარ, ღარიბი არ დავბრუნდეო. თავისი დიდი გემი ვიღაცას

მიჰყიდა; აქედან აღებული ფული იმ ფულს მიუმატა, რაც გაყიდული საქონლისაგან აიღო და იყიდა მსუბუქი სამეკობრო ნავი, დანიშნულებისამებრ შეაიარაღა და საუკეთესოდ გამოაწყო, მერე შეუდგა ხალხის ძარცვას, განსაკუთრებით, ოსმალებისა. ბედი ამ ხელობაში უფრო სწყალობდა, ვიდრე ვაჭრობაში.

რუფოლომ ერთის წლის განმავლობაში იმდენი გემი მოიპარა და წაართვა ოსმალებს, რომ არამცთუ აინაზღაურა, რაც ვაჭრობაში იზარალა, არამედ ორი იმდენი ქონება შეიძინა. და რადგან პირველმა ზარალმა ჭკუა ასწავლა და იცოდა, რომ უკვე საკმაოდ შეიძინა ქონება, თავისი თავი დააჯერა: რაც შევიძინე, მეყოფა და საჭირო არ არის, მეტს გამოვეკიდო, თორემ ვინ იცის, იქნებ მეორეჯერაც განვიცადო ასეთი მწუხარება. ამიტომ გადაწყვიტა, ამ ნაძარცვით შინ დაბრუნებულიყო. მაგრამ რაკი ვაჭრობისაგან გული ჰქონდა გატეხილი, თავისი გული რაიმე საქონლის შეძენას არ მოახმარა, არამედ იმავე ნავით, რომლის შემწეობით ეს ფული მოიგო, გამოსწია შინისაკენ.

მეკობრე უკვე არქიპელაგში იყო, ამ დროს ამოვარდა ქარი სიროკო, რომელიც არამცთუ ხელს უშლიდა მგზავრობას, არამედ ზღვაც საშინლად ააღელვა. და რადგან ამ ღელვას მისი პაწაწკინა ნავი ვერ გაუძლებდა, გამოდარებამდე თავი შეაფარა ერთი პატარა კუნძულის უბეს, რომელსაც ქარი არა ხვდებოდა. ცოტა ხანს უკან ამავე უბეში ღელვისაგან თავის შესაფარებლად დიდის გაჭირვებით შემოვიდა ორი დიდი გემი გენუელებისა, სტამბოლიდან მომავალი. მენავეებმა პატარა ნავი რომ დაინახეს, უკან გამოსავალი გზა შეუკრეს და როცა გაიგეს სახელი და გვარი ნავის პატრონისა, რომელიც მდიდრად იყო ცნობილი, როგორც ბუნებით მტაცებელთ და ფულის ხარბთ, გადაწყვიტეს ამ ნავს დაჰპატრონებოდენ. ერთი ნაწილი მშვილდ-ისრიან და კარგად შეიარაღებულ მენავეთა ხმელეთზე გადასხეს და ისე გაამწკრივეს, რომ ნავიდან არავის შესძლებოდა გადმოსვლა, თუ სიკვდილი არ უნდოდა. თვითონ პატარა ნავებში ჩასხდნენ, გამოიყენეს ზღვის მდინარება და ლანდოლფოს ნავს ამოუდგნენ გვერდით. მერე სულ ადვილად და სულ მოკლე ხანში ნავი და შიგ მყოფი მენავენი უკანასკნელ კაცამდე შეიპყრეს. ლანდოლფო ერთ-ერთ თავიანთ გემზე გადმოიყვანეს, ნავში რაც იყო, წამოიღეს, თვით ნავი ზღვაში ჩაძირეს, ხოლო მისი პატრონი ერთი საცოდავი ჯუბის ამარა დატოვეს.

მეორე დღეს ქარი გამოიცვალა, სანდლებმა იალქნები გაშალეს, დასავლეთისაკენ პირი იბრუნეს და მთელი ეს დღე მშვიდობით მოგზაურობდნენ. მაგრამ საღამო ხანზე საშინელი გრიგალი ამოვარდა, უშველებელი ტალღები ერთიმეორეზე გადადიოდა და სანდლები ერთიმეორეს დააშორა. ცოტა ხნის შემდეგ ქარი მოაწვა სწორედ იმ სანდალს, სადაც საბრალო ლანდოლფო იჯდა და დააჯახა წყალქვეშა კლდეს კუნძულ კეფალონის ზემოთ, და თითქოს შუშა კედელს მოხვდაო, ნაფოტებად დაიმსხვრა. ზღვაზე ატივტივდა ათასგვარი საქონელი, ფიცრები, როგორც ყოველთვისაა ხოლმე ასეთ შემთხვევაში, და თუმცა ბნელი

ღამე იყო და ზღვაც გურგურებდა და უზარმაზარ ტალღებს ჰაერში ბურთივით ათამაშებდა, საცოდავთაგან, ვინც ამ სანდალზე იყვნენ, და ვინც ცურვა იცოდა, როცა წყალში ჩაცვივდნენ, ცდილობდნენ დაბღაუჭებოდნენ იმ ნივთებს, რაც მათ ახლოს ტივტივებდა. ამათ შორის იყო უბედურ დღეზე გაჩენილი ლანდოლფო, რომელიც წინადღეს განუწყვეტლივ სიკვდილს უხმობდა, რადგან სახლში ასე ღარიბად დაბრუნებას ზღვაში დახრჩობა ათასწილ ერჩივნა. მაგრამ ახლა თვალი რომ გაუსწორა სიკვდილს, გული შეჰზარა. და როცა, როგორც სხვებს, ხელში მოხვდა ერთი მაგიდა, დაებღაუჭა და იფიქრა, თუ ცოტა ხანს წყალზევით გავჩერდი და არ დავიხრჩე, ვინ იცის, იქნებ ღმერთიც, ვენაცვალე მის სახელს, მომეშველოს და მიხსნას დახრჩობისაგანო. როგორც კი შეეძლო, მოხერხებულად ზევიდან ცხენსავით მოაჯდა მაგიდას, თანაც გრძნობდა, რომ ზღვა და ქარი ხან აქეთ გასტყორცნიდა და ხან იქით. ამნაირად გასძლო გათენებამდე. რომ გათენდა, გარშემო მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ღრუბლებისა, ზღვისა და კიდევ ერთი ყუთის მეტი ვერაფერი დაინახა. ყუთი ტალღებს ზემოდან ისეთნაირად ტივტივებდა, რომ თანდათან უახლოვდებოდა და ამას გული უსკდებოდა, — ვაითუ დამეჯახოს, მაგიდიდან გადმომაგდოს და დავიხრჩვეო. და როგორც კი მიუახლოვდებოდა ყუთი, მიუხედავად დასუსტებისა, ხელით მოიშორებდა ხოლმე. ერთ ხანს ასე გრძელდებოდა. მერე უცბად წამოუქროლა საშინელმა ქარმა, ზღვა ყირაზე დაყენა და ტალღა ისე ეხეთქა ყუთს, რომ ყუთი თავის მხრივ მიეჯახუნა მაგიდას, რომელზედაც იჯდა ლანდოლფო და გადმოაბრუნა. ლანდოლფო ტალღას ქვეშ მოექცა და მერე ცურაობით ზევით რომ ამოიყურყუმელავა უფრო შიშით, ვიდრე ფიზიკური ღონის წყალობით, დაინახა, რომ მაგიდა შორს ნაეღო წყალს. შეეშინდა, მაგიდასთან ვერ მივაღწევო და ისევ ყუთისაკენ გასწია, რომელიც მასზე ახლოს იყო. მერე ყუთის სარქველს პირქვე დაანწვა და ხელით ცდილობდა სწორად გაეჩერებინა. კარგა ხანს იყო ასეთს მდგომარეობაში. ზღვა იქით-აქეთ აგდებდა, უჭმელი იყო, რადგან საჭმელი არაფერი ჰქონდა, სმით კი, რაც უნდოდა, იმაზე მეტს სვამდა. არ იცოდა, სად იყო, თვინიერ ზღვისა ვერასა ხედავდა და ასე გაატარა მთელი დღე და ღამე.

მეორე დღეს ღრუბელივით გაჟღენთილი წყლითა, მაგრად ჩაბღაუჭებოდა ორსავე ხელით ყუთის კიდურებს, როგორც ეს იციან ხოლმე დასახრჩობად განწირულთ, როცა ხელში რამე უჭირავთ. ღვთის ნებით იყო, თუ ზღვამ გარეკა, ლანდოლფო და მისი ყუთი მიადგნენ კუნძულ კორფუს ნაპირს. აქ სწორედ ამ დროს ერთი ღარიბი დედაკაცი ჯამ— ჭურჭელს ქვიშითა ხეხავდა და მლაშე წყლითა რეცხავდა. რომ დაინახა, ზღვას რაღაც მოჰქონდა, ქალმა ვერ გაიგო, თუ რა იყო, შეეშინდა და კივილით უკან დაიხია. ლანდოლფო არაქათგამოცლილი იყო, ვერც ლაპარაკობდა და ვერც თვალით იხედებოდა, ამიტომ დედაკაცს ვერა უთხრა რა. მაგრამ როცა ზღვამ ნაპირას გარიყა, ქალმა ყუთი გაარჩია, მერე კარგად დააკვირდა და დაინახა ყუთზე შემოვლებული ხელები, ბოლოს ადამიანის სახეც დაინახა და მიხვდა, რაც უნდა ყოფილიყო. დედაკაცს შეებრალა და უკვე დამშვიდებულ ზღვაში შესტოპა, ლანდოლფოს დაავლო თმაში ხელი და ყუთიანად ნაპირზე გამოათრია; აქ

ძალით გამოჰგლიჯა ხელებიდან ყუთი, მასთან მყოფ თავის პატარა ქალს თავზე დააადგა, ლანდოლფო კი პატარა ბავშვივით აიყვანა და სოფელში წამოიყვანა. აქ ცხელი წყლით სავსე გეჯაზე დასვა, მერე ცხელივე წყლით ბანა და ხეხვა დაუწყო, სანამ არ გაათბო და ცოტა ძალ-ღონე არ დაუბრუნა. როცა ქალმა სთქვა, ახლა კი ეყოფა თბილ წყალში ჯდომაო, ამოიყვანა, კარგი ღვინო ასვა, ცოტა ორცხობილა აჭამა და მოასულიერა. ასე რამდენიმე დღეს გააჩერა თავის სახლში და, როგორადაც შეეძლო, მოვლას არ აკლებდა.

როცა ლანდოლფოს ძალ-ღონე დაუბრუნდა, მიხვდა, სადაც იყო, მაშინ კეთილმა დედაკაცმა მოუტანა ყუთი, რომელიც შეუნახა და უთხრა: — ახლა კი თქვენს თავს თქვენვე უპატრონეთო, და ასეცა ჰქმნა ქალმა. ლანდოლფოს ყუთი აღარც კი ახსოვდა, მაგრამ როცა დედაკაცმა მოუტანა, მაინც გამოართვა და თქვა: მართალია, ბევრი არაფერი ეღირება, მაგრამ რაც უნდა ცოტა ეღიროს, რომ გავყიდი, აღებული ფული რამდენიმე დღეს მეყოფაო. მაგრამ ხელში რომ აიღო, მეტად ემსუბუქა და მის იმედებს, ცოტა არ იყოს, კბილები მოეჭრა. მაინც, როცა დედაკაცი სახლიდან გავიდა, ყუთს თავი აჰხადა, რომ ენახა, შიგ რა იყო. შიგ აღმოჩნდა აუარებელი თვალ-მარგალიტი და ქვა პატიოსანი, ზოგი გაწყობილი, ზოგიც ისე, გაუწყობელი; ამ ქვების ცნობა ასე თუ ისე იცოდა. რომ დაინახა, თუ რა ძვირფასი განძი ედო წინ, ზენაარს მადლი შესწირა, რომ მასზე სრულებით არ აიღო ხელი, და გული მოეცა. მაგრამ ამასთანავე ისიც იცოდა, თუ მოკლე ხანში ორჯერ რა დღე დააყენა მწარე ბედმა. ახლა ეშინოდა, მესამეჯერაც რამე არ გამომიტყვრესო, და იფიქრა, დიდი სიფრთხილე მმართებს, სანამ ამ განძს სახლამდე მივიტანდეო. ამიტომ ძალიან ფრთხილად გაახვია ჩვრებში. დედაკაცს კი უთხრა: ყუთი აღარა მჭირია, იქნება ტომარა რამე მიშოვნოთ და ეს ყუთი კი თქვენი იყოსო. დედაკაცმა მაშინვე მიუტანა. ლანდოლფომ მადლობა გადაუხადა სიკეთისა და პატივისცემისათვის, ტომარა მხარზე გაიდო და გამოემშვიდობა.

ვაჭარი ნავში ჩაჯდა და გამოვიდა ბრინდიზში. აქედან სულ ნაპირ-ნაპირ იარა და ბოლოს, როგორც იყო, ჩამოვიდა ტრანში. აქ შეხვდნენ თავისი სოფლელები, რომლებიც აქ მაუდეულობასა ჰყიდდნენ. ლანდოლფომ თავისი თავგადასავალი უამბო, მხოლოდ ყუთის ამბავი დაუმალა. ვაჭრებს მათხოვარს დამსგავსებული კაცი შეებრალათ და ტანთ ჩააცვეს, გარდა ამისა, ათხოვეს ცხენი და კაციც გააყოლეს რაველომდე, სადაც, როგორც თვითონა თქვა, უნდა ჩასულიყო.

რაველოში რომ ჩამოვიდა, ლანდოლფომ, ახლა კი არაფერი მიჭირსო, და მადლი შესწირა უფალს, რომელმაც აქ მოიყვანა. მერე გახსნა თავისი ტომსიკა, თვლები წინანდელზე უფრო გულდასმით გასინჯა და დაინახა, რომ იმდენი მქონია და ისეთი ძვირფასებიცაა, რომ არამცთუ თავის ფასად, არამედ უფრო ნაკლებადაც რომ გავყიდო, იმაზე ორჯერ მეტად მდიდარი ვიქნები, ვიდრე სახლიდან გასვლის დროს ვიყავიო. როცა თავისი თვლები გაყიდა, კაიძალი ფული კორფუში გაუგზავნა სიკეთისთვის საჩუქრად დედაკაცს, რომელმაც

დახრჩობას გადაარჩინა და ზღვიდან ამოყვანა. არ დაივიწყა და დაასაჩუქრა ისინიც, ვინც ტრანში შიშველს ტანთ ჩააცვეს. დანარჩენი ფული თავისთვის შეინახა, იმიტომ რომ ხელახლა ვაჭრობის დაწყებისა ეშინოდა, და სახელოვნად იცხოვრა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ამბავი მეხუთე. მთავარეპისკოპოსის ბეჭედი

ანდრეუჩიო პერუჯიელი ნეაპოლში ცხენების საყიდლად წავიდა. ერთსა და იმავე ღამეს სამი დიდი ხიფათი დაატყდა თავს, მაგრამ სამსავე თავი დააღწია და შინაც ერთი ლალი მოიტანა.

ლანდოლფოს ნაპოვნმა თვალ-მარგალიტმა, — დაიწყო ფიამეტამ, რომლის ჯერიც იყო ახლა ამბის მოყოლისა, — გამახსენა ერთი ამბავი, რომელშიაც იმაზე ნაკლები ხიფათი კი არ არის, რაც ლაურეტას ნაამბობში დავინახეთ, მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ მისი ამბავი წლების განმავლობაში ხდებოდა, ხოლო ჩემი ამბავი, როგორც ახლავე მოისმენთ, სულ ერთ ღამეში მოხდა.

როგორც ჩემთვის უამბნიათ, პერუჯიაში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ერქვა ანდრეუჩიო დი პიეტრო, ცხენების ვაჭარი იყო. გაეგონა, ნეაპოლის ბაზრობაზე კარგი ცხენების ყიდვა შეიძლებაო, ამიტომ ქისაში ხუთასი ფლორინი ოქრო ჩაიდო და, რადგან ჯერ თავის სახლს არ გასცილებოდა, სხვა ვაჭრებთან ერთად გაუდგა გზას. ნეაპოლში კვირას ჩავიდა, დაღამებულზე. აქ სასტუმროს პატრონმა ყოველგვარი ცნობა მისცა და ისიც მეორე დილას ბაზარზე გამოვიდა, სადაც ცხენებსა ჰყიდდნენ. ცხენები ბევრი ნახა და ზოგი მათგანი ძალიან მოეწონა: ხან ერთს შეევაჭრებოდა და ხან მეორეს, მაგრამ ფასში ვეღარა რიგდებოდნენ, და აქაო და ნამდვილი მყიდველი ვარო, ანდრეუჩიომ, როგორც გამოუცდელმა და გაუფრთხილებელმა კაცმა, გამვლელ-გამომვლელის წინაშე რამდენჯერმე ამოიღო ჯიბიდან ფლორინებით გატენილი ქისა ყველას დასანახად.

იმ დროს, როცა ანდრეუჩიო ხან ერთსა და ხან მეორე ცხენს ევაჭრებოდა და ქისა ჯიბიდან არაერთხელ ამოიღო, მას გვერდით ჩაუარა ერთმა სიცილიელმა ქალმა, ახალგაზრდამ და მეტად ლამაზმა, რომელიც ცოტაოდენი სასყიდლისთვის მზად იყო, ყოველთვის ალერსით გამასპინძლებოდა ყველას, ვინც უნდა ყოფილიყო. ანდრეუჩიოს ეს ქალი არც კი დაუნახავს, ქალმა კი თვალი მოჰკრა მის ქისას და გულში გაიფიქრა: ეს ფული რომ ჩემი იყოს, ჩემზე ბედნიერი სხვა არავინ იქნებაო, და თავისი გზა განაგრძო.

ამ ახალგაზრდა ქალს ერთი მოხუცი დედაკაცი მიჰყვებოდა, ისიც სიცილიელი. ამან ანდრეუჩიო რომ დაინახა, ქალი წინ გაუშვა, თითონ კი ალერსიანად მიჰვარდა ანდრეუჩიოს

საკოცნელად. ახალგაზრდა ქალმა ეს რომ დაინახა, ხმის ამოუღებლად განზე გაჩერდა და ლოდინი დაუწყო, ვნახოთ, რა იქნებაო. ანდრეუჩიო მოხუც დედაკაცს რომ მიუბრუნდა, იცნო და დიდად გაეხარდა მისი ნახვა. დედაკაცი დაჰპირდა — სასტუმროში გინახულებო, აქ მეტი არაფერი უთხრა და თავის გზაზე წავიდა. ანდრეუჩიო კი ისევ სავაჭროდ წამოვიდა, მაგრამ იმ დილას ვერაფერი იყიდა.

ახალგაზრდა ქალმა, რომელმაც ჯერ ანდრეუჩიოს ქისა დაინახა და მერე ის, რომ ჩემს დედაბერს ანდრეუჩიო სცნობიაო, დაიწყო იმის ფიქრი, როგორ ჩავიგდო ხელში მისი ფულები ან სრულიად, ან ნაწილი მაინცო. ამიტომ ფრთხილად გამოჰკითხა დედაბერს ამ კაცის ვინაობა და სადაურობა, ან რა საქმისათვის მოსულაო, ან შენ საიდან იცნობდიო? დედაბერმა დაწვრილებით უამბო იმისი ამბავი ისევე, როგორც თვითონ ანდრეუჩიო შეიძლებდა თავის ამბის მბობას, რადგან მის მამასთან დიდხანს ეცხოვრა სიცილიაში და შემდეგ პერუჯიაშიც: უამბო ისიცა, თუ სად ჩამოხტა და აქ რისთვის მოსულიყო.

ახალგაზრდა ქალმა ყველაფერი გაიგო, თუ ვინ იყვნენ მისი მშობლები ან რა ერქვა სახელად და შეეცადა მზაკვრულად ამ ცნობებზე აეშენებინა თავისი გეგმა, რომ თავისი სიხარბე დაეკმაყოფილებინა. შინ დაბრუნებისას დედაბერს მთელი დღის საქმე გაუჩინა, რომ ანდრეუჩიოსთან წასვლის დრო არა ჰქონოდა; თვითონ კი დაუძახა თავის მოსამსახურე გოგოს, რომელიც გაწვრთნილი ჰყავდა ასეთ დავალებათათვის, და დაბინდებისას სასტუმროში გაგზავნა, სადაც ანდრეუჩიო იყო ჩამომხტარი. გოგო მივიდა სასტუმროში, შემთხვევით, თვით ანდრეუჩიო, და ისიც მარტო, დაუხვდა კართან და მასვე ჰკითხა ანდრეუჩიოს შესახებ. ანდრეუჩიომ უპასუხა — მე თვითონა ვარო. მაშინ გოგომ განზე გაიხმო და მოახსენა: „ბატონო, ერთ აქაურ კეთილშობილ ქალს თქვენთან სათქმელი აქვს რამე და როდის ინებებთ, მოგელაპარაკოსთ?“ ანდრეუჩიომ ეს რომ გაიგონა, წარმოიდგინა, ბიჭად-ბიჭი კარგი უნდა ვიყოო და იფიქრა, ალბათ ამ ქალს მოვეწონე (თითქოს იმ დროს ნეაპოლში იმის გარდა სხვა არავინ ყოფილიყოს ლამაზი), და ხელად უპასუხა — მე მზადა ვარ, მაგრამ ქალს სად ან როდის ნებავს მოველაპარაკოვო? ამაზე გოგომ ასე მოახსენა: „ბატონო, როცა თქვენ გენებებათ, თავის სახლში მოგელოდებათო“. ანდრეუჩიომ არც კი დაუბარა რამე სასტუმროში, თუ სად მიდიოდა, და საჩქაროდ მოახლეს უთხრა: შენ წინ წადი მე უკან გამოგყვებიო.

მოახლემ ანდრეუჩიო მიიყვანა ქალის სახლში. იმ უბანს, საცა ეს ქალი ცხოვრობდა, მალპეტრუჯიო (ბიწიერი ხვრელი) ერქვა და მარტო სახელი ამტკიცებს, თუ რამდენად პატიოსანი იყო ეს უბანი. მაგრამ ანდრეუჩიომ არც არა იცოდა რა და არც ეჭვი ჰქონდა რისამე, ეგონა, მეტად რიგიან ადგილას და პატიოსან ქალთან მივდივარო და წინ მიმავალ მოახლეს თამამად შეჰყვა ქალის სახლში. კიბეზე რომ ადიოდა, მოახლემ თავის ქალბატონს დაუძახა: „აი, ანდრეუჩიო!“ ანდრეუჩიომაც დაინახა, რომ ქალი კიბის თავზე გადმომდგარიყო

და მოელოდებოდა. ქალი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მაღალი და სახითაც მეტად მშვენიერი, რიგიანად ჩაცმული და შემკობილი. როცა ანდრეუჩიო მიუახლოვდა, ქალმა სამი საფეხური ჩამოიარა და ხელებგაშლილი ჩამოეგება, მერე ხელები კისერზე შემოაჭდო და ერთხანს ასე იდგა, ხმისამოუღებლად, თითქო გრძნობათა ნამეტნაობამ სული შეუგუბაო; მერე ცრემლმორეულმა, შუბლზე აკოცა და ნაწყვეტ— ნაწყვეტი სიტყვებით ასე დაიწყო ლაპარაკი: „შენ გენაცვალე, ჩემო ანდრეუჩიო!“ ანდრეუჩიო ძალზე გააოცა ქალის ამ ალერსიანმა დახვედრამ, სახტად დარჩენილმა, ასე უპასუხა: „დიდად მოხარული გახლავართ თქვენი გაცნობისა“. ქალმა ხელი დაუჭირა და მაღლა თავის ზალაში შეიყვანა, ხოლო იქიდან, ხმის ამოუღებლად, თავის ოთახში შეუძღვა, სადაც ვარდებისა, ნარინჯის ყვავილებისა და სხვათა სურნელება იდგა; აქვე იყო ფარდის უკან მშვენიერი საწოლი, ნაირ-ნაირი კაბები, იმ დროის ჩვეულების მიხედვით, ხარიხებზე ჩამოკიდებული, და სხვა მშვენიერი და ძვირფასი ნივთები; ამაებს რომ ყურებდა, ანდრეუჩიომ, როგორც ხამმა კაცმა, იფიქრა, უეჭველად დიდი ვინმე ჩინებული ქალბატონი უნდა იყოსო. მერე თავის გვერდით მოისვა ერთ ზანდუკზე, საწოლის ფეხთით რომ იდგა, და ასე დაუწყო ლაპარაკი: „ჩემო ანდრეუჩიო, დარწმუნებული ვარ, რომ ძალზე გაგაოცებს როგორც ჩემი ალერსი, ისე ჩემი ცრემლები, რადგან არ მიცნობ და, მგონი არც რამე გაგიგონია ჩემს შესახებ. მაგრამ შენი გაოცება აბა მაშინ იკითხე, როცა გეტყვი, რომ შენი დაი ვარ. ამასაც გეტყვი, რომ ღმერთმა იმდენი მოწყალება მოიღო ჩემზე, რომ სიკვდილამდე მოვესწარ ერთ-ერთი ჩემი ძმის ნახვას (ღმერთო, როგორ მენატრება ყველას ნახვა!), ასე რომ, ახლა კიდეც რომ მოვკვდე, საფლავში დარდად არ ჩამყვება; რასაც ახლა გეტყვი, შეიძლება, არც გაგეგონოს და ამიტომ კარგად მომისმინე. პიეტრო, ჩემი და შენი მამა, როგორც, ჩემის აზრით, შენც უნდა იცოდე, დიდხანს ცხოვრობდა პალერმოში და თავისი გულკეთილობისა და თავაზიანობისათვის ყველას ძალიან უყვარდა, ვინც კი იცნობდა და დღესაც არიან ისეთები, ვისაც ის ჰყვარებია; მაგრამ მის მოყვარულთა შორის, ყველაზე მეტად ჰყვარებია დედაჩემს, კეთილშობილი ოჯახის ქალს, მაშინ დაქვრივებულს; ისე ძლიერადაც ჰყვარებია, რომ არ შეშინებია არც მამისა და აღარც ძმებისა, აღარც სირცხვილ-ნამუსი ჩაეგდო რადმე, დაახლოებია და დავბადებულვარ მე, როგორსაც ახლა მხედავ. მერე პიეტროს პალერმოდან წასვლა და პერუჯიაშივე დაბრუნება მოუხდა, მე კი სულ პატარა დამტოვა დედაჩემთან ერთად, ამის შემდეგ, რამდენადაც სხვებისაგან გამიგონია, აღარც მე მოვგონებივარ და აღარც დედაჩემი. ამისთვის დიდ საყვედურსაც ვეტყოდი, ჩემი მამა რომ არ ყოფილიყო, რადგან ისე უმადურად მოეპყრა დედაჩემს, რომელმაც, რაკი გულწრფელი სიყვარულით უყვარდა, ხელში ჩაუგდო, რაც რამ ებადა და აგრეთვე თავისი თავიცა (ნუღარას ვიტყვით თუნდაც იმაზე, რომ მე, როგორც თავისი ქალი, რომელიც გაუჩნდა არა რომელიმე მოსამსახურისა ან გარყვნილი ქალისაგან, უნდა ვყვარებოდი), მაგრამ რაღას იზამ?! როცა კაცი სიავეს ჩაიდენს და მას შემდეგ დიდი დროცაა გასული, მოგეხსენებათ, გაკიცხვა უფრო ადვილია, ვიდრე გამოსწორება გაფუჭებული საქმისა. ეს საქმე სწორედ ასე იყო. მამამ პატარა გოგო დამტოვა პალერმოში და ამოდენა გავიზარდე, როგორსაც მიყურებთ. დედაჩემმა,

რომელსაც დიდი სიმდიდრე ჰქონდა, ერთ ჯერჯენტელ კაცს მიმათხოვა, აზნაური იყო და კარგი ვინმე. დედაჩემისა და ჩემი სიყვარულისთვის ჩემი ქმარი პალერმოში გადმოსახლდა; რაკი თავგამოდებული გველფი იყო, ჩვენს მეფე კარლოსს მიემხრო, მაგრამ ჯერ ვერაფრის გაკეთება მოესწრო, ისე ეს ამბავი იმპერატორმა ფრიდრიხმა გაუგო, ამიტომ იძულებული ვიყავით სიცილიიდან გავქცეულიყავით სწორედ იმ დროს, როცა იმედი მქონდა ისეთ გამოჩინებულ ქალბატონად გავმხდარიყავ, რომ მსგავსი ამ კუნძულზე არასოდეს ენახოთ. ასე რომ, ბევრის წამოღება ვერ შევძელით, ცოტა რამ წამოვიღეთ (ცოტა-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენს აუარებელ ქონებასთან შედარებით მართლა რომ მოსახსენებელიც არ იყო), თავი გავანებეთ სრა-სასახლეებს და ადგილ-მამულს და ამ ქალაქში გამოვიქეცით. აქ მეფე კარლოსმა დაგვიფასა ერთგულება და, რაც ზარალი მოგვივიდა, ნაწილობრივ აგვინაზღაურა, მამულებიც გვაჩუქა და სახლებიცა. და, როგორც დაინახავ შემდეგში, ახლაც ასაჩუქრებს ხოლმე ჩემს ქმარსა და შენს სიძეს. და აი ამგვარად მოვხვდი ამ ქალაქში, სადაც ღვთისა და არა შენის წყალობით, ჩემო საყვარელო ძამიკო, შენც დაგინახე“.

ანდრეუჩიო ყურს უგდებდა ამ ოსტატურად დალაგებულ ზღაპარს. ქალს ლაპარაკის დროს ერთი არ წაუბორძიკნია, ერთხელ არ დაბმია ენა; ანდრეუჩიომ მოიგონა, რომ მამამისი ერთ დროს მართლა ცხოვრებულა პალერმოში, თავის თავზე გამოუცდია და იცოდა ახალგაზრდობის ამბავი, რომ თავიანთ ხანში ქალების შეყვარების მეტს არას აკეთებენ; გარდა ამისა, ხედავდა მის ნაზ ცრემლებს, ხვევნა-ალერსს და უმანკო კოცნას. და ყოველი მისი ნათქვამი პიტალო ოქროდ მიითვალა. როცა ქალი დაჩუმდა, ანდრეუჩიომ ასე უპასუხა: — მადონა! გაგიკვირდებათ ჩემი სახტად დარჩენა, რადგან, მართალი მოგახსენოთ, მამაჩემს, არ ვიცი, რა მიზეზით, თავის დღეში არ უხსენებიხართ არც თქვენ და არც დედათქვენი, შეიძლება ვისთანმე წამოსცდა კიდეც რამე, მაგრამ ჩემს ყურამდე არ მოსულა მისი ნათქვამი; თქვენ სრულებით არ გიცნობდით, თითქო არც კი არსებულიყავით ქვეყანაზედაო, და მით უფრო მიხარია აქ ჩემი დის პოვნა, რომ აქ სრულებით მარტო ვიყავ და ყველაფერს ვფიქრობდი, მაგრამ დის პოვნას კი ვერა. და ისიც მართალი უნდა მოგახსენოთ, ისეთი წარჩინებული ადამიანი არავინ მეგულება, რომ თქვენ არ მოეწონოთ, არამცთუ მე, ერთ უბრალო ვაჭარს, მხოლოდ გეთაყვათ, ერთი რამ გამაგებინეთ: ჩემი აქ მოსვლა ვინ შეგატყობინათ?

ამაზე ქალმა ასე უპასუხა: — ეს ამბავი ერთმა საწყალმა დედაკაცმა მითხრა, რომელიც ჩემთან ხშირად დადის სახლში, რადგან მამაჩემთან დიდხანს უცხოვრია პალერმოსა (როგორც თვითონ ამბობს ხოლმე) და პერუჯიაში; ვიფიქრე, რომ აჯობებდა ისევ შენ მოსულიყავ ჩემთან, ვიდრე მე მენახე სხვის სახლში, თორემ, მერწმუნე, აქამდე რა გამაჩერებდა, შენთან არ გამოვქცეულიყავ!

ამ სიტყვების შემდეგ ქალმა თითო-თითოდ გამოჰკითხა თავიანთი ნათესავების ამბავი,

ანდრეუჩიომაც ყველას ამბავი უამბო. ამით უფრო ირწმუნა ის, რაც ყველაზე ნაკლებ უნდა დაეჯერებინა.

მაგრამ რაკი მათი ლაპარაკი დიდხანს არ გაგრძელდა და თან ძალზედაც ცხელოდა, ქალმა ბერძნული ღვინო და ტკბილეულობა მოატანინა და ანდრეუჩიოს დაალევინა. ამის შემდეგ ანდრეუჩიომ წასვლა მოინდომა, რადგან ვახშმობა მოახლოებულიყო, მაგრამ ქალი არასგზით არ უშვებდა, და თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ძალიან სწყინდა ანდრეუჩიოს წასასვლელად გამზადება, ამიტომ მოეხვია დაუთხრა; — ვაი ჩემს შავ დღეს, ახლა კი ნათლად ვხედავ, რომ სრულებით არ გყვარებივარ. აბა ვინ იტყვის, შენ ლხენას, რომ შენ დასთან ხარ, რომელიც თავის დღეში არ გინახავს, მისსავე სახლში, სადაც, აქ მოხვედი თუ არა, მაშინვე უნდა ჩამოვმხტარიყავ, და ის კი არა, აქედან გინდა წახვიდე და სასტუმროში გინდა ივახშმო. არა, შენ უეჭველად ჩემთან უნდა ივახშმო, მართალია, ჩემი ქმარი შინ არა მყავს და ამას ძალიან ვწუხვარ, მაგრამ, როგორც დიასახლისი, მაინც ვეცდები გაგიმასპინძლდე.

ანდრეუჩიომ არ იცოდა, ამაზე რა ეპასუხა და ასე უთხრა: — მე იმდენად მიყვარხარ, რამდენადაც კაცს თავისი დაი უნდა უყვარდეს, მაგრამ თუ ამაღამ ვახშმად არ წავედი, სხვებს ვალოდინებ და ამას უზრდელობაში ჩამომართმევენ.

მაშინ ქალმა ასე უთხრა: — მადლობა ღმერთს, რომ შინა მყავს ისეთი ვინმე, რომ გავგზავნო და შევუთვალო, შენ ნუღარ მოგელოდებიან; თუმცა შენის მხრით არამც თუ ზრდილობა, არამედ მოვალეობაცაა შეუთვალო შენს ამხანაგებს ყველანი აქ მოვიდნენ ვახშმად და მერე თუ მაინდამაინც არ დაიშლიდი და წასვლას ინებებდი, სხვებთან ერთად წახვიდოდი.

ანდრეუჩიომ უპასუხა, ამაღამ შემიძლია ჩემი ამხანაგები არა ვნახო, ასე რომ, რაც გენებოთ, ის მიყავითო. მაშინ ქალმა ისე აჩვენა თავი, ვითომ შეუთვალა სასტუმროში — ვახშმად ნუ მელოდებითო, მერე კარგა ხანს ილაპარაკეს და სუფრას მოუსხდნენ. ზედ ელაგა საუცხოო და ნაირ-ნაირი საჭმელები, და ვახშამიც ქალმა, რაკი ეშმაკობა ედო გულში, კარგა დაღამებამდე გააჭიანურა. სუფრა რომ აალაგეს, ანდრეუჩიომ წასვლა მოინდომა. მასპინძელმა თავი მოიკლა — შენი გაშვება არასგზით არ შემიძლიაო, რადგან ნეაპოლი ისეთი ქალაქი არ არის, რომ შიგ კაცს ღამით გავლა შეეძლოს უშიშრად და ისიც სხვა ადგილიდან მოსულსაო! და ვითომც როგორც ვახშმისათვის შეუთვალა ანდრეუჩიოს მაგივრად, ნუღარ მიცდითო, ისე ახლაც შეუთვალა სასტუმროში — დასაწოლადაც არ მოვალო. ანდრეუჩიო ენდო ქალსა და რადგან ქალთან ყოფნაც ეამებოდა (ქალი კარგ ვინმედა ჰყავდა წარმოდგენილი, მაგრამ სცდებოდა), დარჩა.

ნავახშმევს აქეთურ-იქითურზე ილაპარაკეს და კარგა ხანსაც გასტანა ბაასმა. არცთუ

უმიზეზოდ შეიქცია ქალმა სტუმარი. კარგა დრო გასულიყო, როცა ქალმა ანდრეუჩიოს თავისი ოთახი დაუთმო მოსასვენებლად და თან ერთი პატარა ბიჭი მიუჩინა, რომელსაც ანდრეუჩიოს თუ რამე დასჭირდებოდა, უნდა ეჩვენებინა, თვითონ კი თავის მოახლეებთან ერთად სხვა ოთახში შევიდა.

ძალიან ცხელოდა. ამიტომ ანდრეუჩიო მარტო აღმოჩნდა თუ არა, ხელად ტანისამოსი გაიხადა და პერანგის ამარაღა დარჩა; შარვალი გაიძრო და თავთ დაიდო. და რადგან აღეძრა ბუნებრივი მოთხოვნილება, შეემსუბუქებინა გადამეტებული სიმძიმე მუცლისა, ბიჭსა ჰკითხა, სად შეიძლება ეს საქმეო. ბიჭმა ოთახის ერთ-ერთ კუთხეში კარი უჩვენა და უთხრა: აი, აქ შებრძანდითო. ანდრეუჩიო შიგ თამამად შევიდა, მაგრამ აქ მარცხად ერთ ფიცარს დაადგა ფეხი, რომელსაც მოპირდაპირე მხრიდან თავი ჩამოშორებული ჰქონდა საყრდენი კოჭიდან, და მასთან ერთად სადღაც ჩავარდა. ღმერთმა შეიბრალა და არაფერი სტკენია, თუმცა დიდი სიმაღლიდან დაეშვა; სამაგიეროდ მთლად ამოისვარა სიბინძურითა, რომლითაც ეს ადგილი სავსე იყო.

რომ უფრო კარგად გაიგოთ ნათქვამი და ისიცა, რაც ამას მოჰყვა, მოგახსენებთ, როგორ იყო ეს ადგილი მოწყობილი. ერთ შუკაზე (როგორც ხშირად ორ სახლს შუა გვხდება) სახლებს შორის გადებულ კოჭებზე დაწყობილია რამდენიმე ფიცარი და ზედაც საჯდომია გამართული; ერთი ამ ფიცართაგანი იყო, რომელთან ერთად ძირს ჩავარდა ანდრეუჩიო. ორმოში ჩავარდნილი რომ დაინახა თავისი თავი ანდრეუჩიომ, სასოწარკვეთილმა — ეს რა ოინი მომივიდაო, ბიჭს ძახილი დაუწყო; მაგრამ ბიჭმა როგორც გაიგონა, ანდრეუჩიო ჩავარდაო, მაშინვე ქალბატონთან გაიქცა და შეატყობინა. ქალი კისრის მტვრევით მის ოთახში შემოვარდა და საჩქაროდ ძებნა დაუწყო შარვალს, — ხომ აქ დარჩაო; ნახა შარვალიცა და ფულიცა, რომელსაც ანდრეუჩიო არავის ანდობდა, და ბრიყვულად სულ თან დაჰქონდა. ქალი დაეპატრონა ფულს, რომლის გულისათვის თვითონ პალერმოელი ქალი პერუჯიელის დად იქცა და დაუგო მას ასეთი ხათანგი. ქალს ორმოში ჩავარდნილ ანდრეუჩიოს ხსნისათვის არც კი უფიქრია, საჩქაროდ წავიდა და მიხურა ის კარი, სადაც ანდრეუჩიო შევიდა, სანამ ჩავარდებოდა.

რაკი ბიჭისაგან პასუხი ვერაფერი გაიგონა, ანდრეუჩიომ უფრო ხმამაღლა დაიწყო ყვირილი; მაგრამ მაინც არავინ გასცა ხმა. ანდრეუჩიოს ეჭვი შეეპარა, და თუმცა გვიან, მაინც მიხვდა, ეგ არის, მიღალატესო. აბობღდა ერთ კედელზე, რომელიც ამ შუკას ქუჩისაგან ჰყოფდა, და იქიდან ქუჩაზე გამოვიდა და მიადგა სახლის შესავალს, რომელიც კარგადა ჰქონდა მინიშნებული; აქ დიდხანს იძახა, მაგრამ ხმის გამცემი არავინ იყო. მერე კარს ჯაჯგური დაუწყო და ზედ რახუნი აუტეხა. რომ დარწმუნდა, თუ რა უბედურება დაატყდა თავს, დაიწყო ტირილი და მოთქმა: „ვაი ჩემს გაჩენის დღეს! ეგ რა მომივიდა, თქვენი ჭირიმეთ... ასე უცბად ფულიც დამეკარგა და დაცა!“ ბევრი ივიშვიშა და მერე ისევ თავიდან აუტეხა ბრახუნი კარებს

და ყვიროდა; მანამდე არ შეწყვიტა ყვირილი და ხმაურობა, სანამ გარშემო მეზობლებს ამ ყვირილზე გამოეღვიძებოდათ, და რაკი დაძინება აღარ შეეძლოთ, ზეზე წამოდგნენ; ქალბატონის ერთმა მოახლეთაგანმა მთლად ნამძინარევი თავი ფანჯარაში გამოჰყო და გულმოსულად ჩამოსძახა: „ვინ არის მანდ, კარს რომ არახუნებს?“ – „ვერ მიცანი? — უთხრა ანდრეუჩიომ, — ანდრეუჩიო ვარ, ქალბატონ ფიორდალიზოს ძმა“. ამაზე მოახლემ უპასუხა: „ვიღაცა ხარ, ჩემო ძმაო, თუ მეტის დალევა მოგსვლია, წადი, გამოიძინე და ხვალ დილას მოდი. არც ანდრეუჩიო ვიცი, ვინ არის და არც ის მესმის, რაებს მიჰქარავ. წადი, შენი გზა ნახე, და გეთაყვა, ძილს ნუ მიფრთხობ!“ – „როგორ! — წამოიძახა ანდრეუჩიომ, — ვითომ არ იცი, ვინცა ვარ?! როგორ არა, იცი, მაგრამ რაკი ეგეთი ყოფილა სიცილიური ნათესაობა, რომ ასე მალე ავიწყდებათ, ყოველ შემთხვევაში, ჩემი ტანისამოსი მაინც დამიბრუნეთ, იქ რომ დამრჩა, და მეც ჩემთვის წავალ“. ამაზე ქალმა დაცინვით უთხრა: „ჩემო კეთილო, მგონია, გაბოდებს!“ და ამის თქმა, უკან მოტრიალება და კარების მიხურვა ერთი იყო.

ანდრეუჩიო ახლა კი დარწმუნდა, რომ მართლა ხელი უნდა დაებანა ყველაფერზე და დარდისაგან კინაღამ გაგიჟდა, რისხვა სიცოფედ გადაექცა და გადაწყვიტა, ძალით წაერთმია ის, რის დაბრუნება სიტყვით ვერ მოახერხა. ამიტომ დაავლო ხელი ერთ უშველებელ ქვას და წინანდელზე უარესად აუტეხა კარებს ბრაგუნი. უკვე გამოღვიძებულ და ლოგინიდან წამომდგარ მეზობლებს ეგონათ, ალბათ, სალახანას ვისმე პატიოსანი ქალის გაბიაბრუება სწადიაო, და თან მის მიერ ატეხილი ბრახუნისაგან აბეზარს მოსულნი, ფანჯრებიდან გადმოდგნენ და, თითქო ერთი ქუჩის ძაღლებმა სხვა ქუჩის ძაღლს ყეფა აუტეხესო, ყველამ ერთხმად დაუწყო ყვირილი: „ოხერი ყოფილხარ, ვიღაცა ხარ, რომ ასე გვიან პატიოსან ქალს სახლში მიადგე და საშინელი რაღაც როშო!.. წადი, შენი გზა ნახე, ვიღაცა ხარ, თავი ნუ წაიღე და ძილს ნუღარ გვიფრთხობ, თუ ღმერთი გწამს; თუ იმასთან საქმე რამ გაქვს, ხვალ მოდი და ამაღამ კი მოგვასვენე!..“

ამ დროს ვიღაც კაცმა, ამ ქალის საყვარელმა, რომელიც ამ სახლში ყოფილიყო (ანდრეუჩიოს ეს კაცი არ ენახა და აღარც გაეგონა რამე მისი) და რომელიც, ეტყობოდა, ამ სიტყვებს გაეთამამებინა, ფანჯარაში თავი გამოჰყო და ტლანქი, მხეცური და მრისხანე ხმით დაიღრიალა: — ე ვინ ოხერია მანდა?..

ანდრეუჩიომ ამ ღრიალზე თავი მაღლა აიღო და დაინახა ერთი კაცი, რომელიც, რამდენადაც შეეძლო მისი დანახვა, დიდ ვინმედ მოეჩვენა: შავი წვერი ჰქონდა და, როგორც ლოგინიდან წამომდგარი, ან გულისძილისაგან გამოღვიძებული კაცი, ამთქნარებდა და თვალებს იფშვნეტდა. ცოტა არ იყოს შეშინებულმა ანდრეუჩიომ უპასუხა:

„მე ძმა გახლავართ შიგნით ქალი რომაა, იმისი“. ფანჯარაში თავგამოყოფილმა კაცმა ანდრეუჩიოს სიტყვის გათავება არც კი დააცალა, და წინანდელზე უფრო მრისხანედ

ჩამოსძახა: — „შენზე ახი იქნება, ერთი ჩამოვიდე ძირს და მანამ გცემო ჯოხით, სანამ თავიდან მოგვწყდებოდე, შე ვირო, შენა! თავი ნუ წაიღე. გეტყობა მთვრალი ხარ, ვიღაცა ოხერი ხარ, ამაღამ რომ აღარ გვაძინებ!“ — ეს უთხრა, მოტრიალდა და ფანჯრები გაიხურა.

ზოგიერთმა მეზობელთაგანმა, ვინც უკეთესად იცოდა, თუ რა კაცი იყო ეს კაცი, ანდრეუჩიოს დაყვავებით ურჩია: — თუ ღმერთი გწამს, აქაურობას გაეცალე, ძმაო, თუ არ გინდა ხელში შემოაკვდე ამაღამვე; გირჩევნია თავს უშველო.

ამ კაცის ხმითა და სახით ძალზე შეშინებულ ანდრეუჩიოს ჭკუაში დაუჯდა რჩევა-დარიგება იმათი, ვისაც, როგორც მას ეგონა, ის შეებრალათ და ამიტომ ურჩევდნენ ასე; და თან იმდენად დადარდიანებული, რამდენადაც კი შეიძლებოდა ყოფილიყო ამდენი ფულის დამკარგველი კაცი, გაემართა იქითკენ, სადაც დღისით მომსახურე ქალს მოსდევდა და, თვითონაც არ იცოდა, საით, დაადგა გზას. იმედი ჰქონდა, როგორმე სასტუმრომდე მიატანდა. რადგან ისეთი სუნი ასდიოდა, რომ თავისი თავი თვითონვე ეზიზღებოდა, გადაწყვიტა ზღვისკენ წასულიყო და ტანი დაებანა, ამიტომ მარცხნივ გადაუხვია და დაადგა იმ ქუჩას , რომელსაც კატალანის ქუჩა ერქვა.

ანდრეუჩიო ქალაქის ზემო ნაწილისაკენ რომ მიდიოდა, დაინახა მისკენ მომავალი ორი კაცი, რომელთაც ხელში ფარანი ეჭირათ. ანდრეუჩიოს შეეშინდა, ეგონა, ან დამნაშავეთა მეძებრები უნდა იყვნენ, ანდა ბოროტგანმზრახველნი ვინმეო, და რომ ამათ არ შეხვედროდა, ჩუმად დაიმალა ერთ ძველ ნასახლარში, მახლობლად რომ იდგა ცარიელი. მაგრამ ესენიც, თითქო ვინმემ განგებ აქ გამოაგზავნაო, სწორედ ამ ნასახლარში შემოვიდნენ; აქ ერთმა მათგანმა ძირს დაყარა რაღაც რკინის იარაღები, ზურგით რომ მოეზიდნა, მეორესთან ერთად სინჯვა დაუწყო ამ ნივთებს და თითოეულმა მათგანმა თავისი აზრი გამოთქვა. სანამ ლაპარაკში იყვნენ, ისევ ერთმა წამოიძახა: „ნეტავ ვიცოდე, რა ამბავია? ისეთი სუნი მომედინა, რომ მსგავსი ჩემს დღეში არ მიყნოსია“. ეს რომ თქვა, ცოტა მაღლა ასწია ფარანი და დაინახეს შეშინებული ანდრეუჩიო და გაოცებულებმა ჰკითხეს — ვინა ხარ მანდაო? ანდრეუჩიო გაიტრუნა. მაგრამ იმათ სინათლე ახლოს მიიტანეს და ჰკითხეს — ასეთი დასვრილი აქ რას აკეთებო? მაშინ ანდრეუჩიომ, რაც თავს გადახდა, ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ამათ იფიქრეს, თუ სად შეიძლებოდა დამართნოდა ეს ამბავი ამ კაცსაო და ბოლოს თავიანთთვისა თქვეს: ალბათ, სკარაბონე ბუტაფუოკოს (თხუნია ცეცხლის ნთხევა) სახლში დაემართებოდაო. მერე ერთ-ერთი ანდრეუჩიოს მიუბრუნდა და უთხრა: — ჩემო მეგობარო, მართალია, ფული დაგკარგვია, მაგრამ ზენაარს მაინც მადლობა უნდა შესწირო, რომ იქ ჩავარდნილხარ და სახლში უკან ამოსვლა ვერ მოგიხერხებია; რომ არ ჩავარდნილიყავ, დაგეძინებოდა თუ არა, მოგკლავდნენ და ფულს სიცოცხლესაც მიაყოლებდი. მაგრამ ახლა გაფუჭებულ საქმეს ტირილით ვერას უშველი. როგორც ციდან ვარსკვლავს ვერ მოწყვეტ, ისე ტირილით ერთ მანყულსაც ვერ დაიბრუნებ. მაგრამ უეჭველია

ცოცხალს არ გაგიშვებს, თუ ღმერთი გაგიწყრა და ვისთანმე წამოგცდა და იმის ყურებამდე მიაღწია შენმა ნათქვამმა.

ეს რომა თქვეს, ერთიმეორეში ითათბირეს და ანდრეუჩიოს უთხრეს: — ძმობამ, ძალიან გვებრალები, ამიტომ, თუ დაგვეხმარები ერთ საქმეში, რომლის გასაკეთებლად ჩვენ ახლა მივდივართ, დარწმუნებული ვართ, შენს წილად გაცილებით იმაზე მეტი გხვდება, ვიდრე დაგიკარგავს. — უზომოდ სასოწარკვეთილმა ანდრეუჩიომ თავისი თანხმობა განუცხადა.

იმ დღეს ერთი ნეაპოლელი მთავარეპისკოპოსი, მესერ ფილიპო მინუტოლო, დაემარხათ, საფლავში აუარებელი ძვირფასი სამკაული ჩაეტანებინათ და ხელზედაც ისეთი ლალი სჯდომია, რომელიც ხუთას ოქროს ფლორინზე მეტად ღირებულა. აი ამის ამოსათხრელად აპირებდნენ ესენი წასვლას. და ანდრეუჩიოსაც გაუზიარეს თავისი განზრახვა. ანდრეუჩიოც უფრო სიხარბეს აჰყვა, ვიდრე გონებასა და მათთან ერთად გზას დაადგა.

საკრებულო ტაძრისაკენ მიდიოდნენ და ანდრეუჩიოს ისეთი სუნი აედინა, რომ ერთმა თქვა: „ამ კაცს ეს სიბინძურე, ცოტათიც არის, უნდა მოვაშოროთ, თორემ ისე ყარს, რომ სული შეგვიგუბდებაო“. ამაზე მეორემ უთხრა: „აქვე ახლოს უნდა იყოს ერთი ჭა, სადაც თოკი და სათილი ყოველთვისაა; მივიდეთ და საჩქაროდ დავბანოთ“. ამ ჭასთან მივიდნენ, მაგრამ თოკი დახვდათ, სათილი კი ვიღაცას აუცლია; ითათბირეს ორთავემ და გადაწყვიტეს, თოკის წვერი ანდრეუჩიოსათვის მოებათ, ჭაში ჩაეშვათ, რომ შიგ ამობანილიყო, და დაბანას რომ მორჩებოდა, თოკს შეანძრევდა და ესენიც მაღლა ამოიყვანდნენ. ასეც მოიქცნენ. ის იყო, ანდრეუჩიო ჭაში ჩაუშვეს, ამ დროს ამავე ჭისკენ წამოვიდა რამდენიმე მსახური სენიორიისა. ესენი ვიღაც ავაზაკს გამოსდევნებოდნენ, თანაც ცხელებულა, მოსწყურებიათ და წყლის დასალევად ამ ჭისაკენ წამოსულან. ანდრეუჩიოს ორმა ამხანაგმა ესენი რომ დაინახეს, მაშინვე გაიქცნენ ისე, რომ სენიორის მსახურთ, წყლის დასალევად რომ მოდიოდნენ, არც კი დაუნახავთ. ანდრეუჩიომ ჭაში ტანი რომ დაიბანა თოკს ქაჩვა დაუწყო. წყურვილისაგან პირგამშრალმა მსახურებმა ძირს დააწყვეს თავიანთი ფარები, იარაღი და არდაგები და დაუწყეს თოკს ამოზიდვა, რადგან დარწმუნებულები იყვნენ, თოკს წყლით სავსე სათილი ექნება მობმულიო. ანდრეუჩიომ რომ დაინახა, ჭის თავთან მოვედიო, თოკს ხელები უშვა და ნაპირს დაებღაუჭა, მსახურებმა ეს რომ დაინახეს, უცბად შეეშინდათ, ხმის ამოუღებლად თოკს ხელი უშვეს და, რაც ძალი და ღონე ერჩოდათ, გაიქცნენ. ანდრეუჩიო სახტად დარჩა, ხელები რომ მაგრად არა ჰკიდებოდა ჭის ნაპირებისათვის, უეჭველად შიგ ჩავარდებოდა და ან ძალზე დაშავდებოდა, ან შეიძლება მომკვდარიყო კიდეცა. ჭიდან რომ ამოვიდა, იარაღი დაინახა, იცოდა, რომ ეს იარაღი მისი ამხანაგებისეული არ იყო და ამან სულ უარესად გააკვირვა. კარგა ხანს იყოყმანა და ვერ გაეგო, თუ ეს იარაღი აქ საიდან გაჩენილიყო. ერთხანს ივალალა თავის უბედო ბედზე და გადაწყვიტა, ხელი არაფრისათვის ეხლო, ისე წასულიყო, საითკენაც მოხვდებოდა.

მიმავალ ანდრეუჩიოს თავისი ამხანაგები შემოხვდნენ, რომლებიც ჭისკენ მიდიოდნენ მის ამოსაყვანად. რომ დაინახეს, მეტად გაოცებულთ ჰკითხეს — ჭიდან ვიღამ ამოგიყვანაო? ანდრეუჩიომ უპასუხა, არაფერი ვიციო. და დაწვრილებით მოუყვა, როგორ მოხდა და ჭის გარეთ რა იპოვნა. ესენი მიხვდნენ, როგორც ყოფილა საქმე, სიცილით აუხსნეს, თუ რისთვის გაიქცნენ და ან ვინ იყვნენ ისინი, ვინც ანდრეუჩიო ჭიდან მაღლა ამოათრიეს.

რაკი უკვე შუაღამე იყო, ხმისამოუღებლად გასწიეს საკათედრო ტაძრისკენ, შიგ ადვილად შევიდნენ, მერე აკლდამას მიადგნენ. მაგრამ აკლდამა მარმარილოსი იყო და თან უზარმაზარი. თავიანთი რკინის ჯოხით მძიმე სარქველი იმდენად ასწიეს, რომ ერთ კაცს შიგ ჩასვლა შესძლებოდა და ასე შეუყენეს კეტი. ამას რომ მორჩნენ, ერთმა იკითხა: აბა, რომელი ჩავა შიგაო. მეორემ უპასუხა: მე ვერ ჩავალო. ვერც მე ჩავალო, პირველმა უთხრა. — იქნებ შენ ჩახვიდე, ანდრეუჩიო, — უთხრა პირველმა ანდრეუჩიოს. მაგრამ ამანაც უარი განაცხადა. იმ ორს ამაზე გული მოუვიდათ და შეუტიეს ანდრეუჩიოს: ვითომდა, რატომ არ უნდა ჩახვიდე? ღმერთსა ვფიცავ, თუ არ ჩასულხარ, ამ რკინის ჯოხს იმდენს გირტყამთ თავში, სანამ სულს გაგაფრთხობინებთო!.. შეშინებული ანდრეუჩიო ჩავიდა და თანაც თავის გულში გაივლო: ესენი აქ ჩამიყვანენ და მერე უნდა მომატყუონო. რადგან, როცა ყველაფერს აკლდამიდან ამოვალაგებ და ამათ მივცემ, სანამ მე წვალებით ამოვიდოდე აკლდამიდან, ესენი გაიქცევიან კიდეცა და მე კი პირჩალაგამოვლებულს დამტოვებენო. ამიტომ გადაწყვიტა, მოდი, ჩემს წილს წინდაწინვე გადავდებ განზედაო. მოაგონდა, იმათ ძვირფასი ბეჭდის ამბავი რომ უთხრეს და შიგ შევიდა თუ არა, მთავარეპისკოპოსს თითიდან წააძრო ბეჭედი და თვითონ გაიკეთა თითზე, ამათ კი გადმოსცა კვერთხი, მიტრა და ხელთათმანები, შემდეგ შესამოსელი გახადა და პერანგისამარა დატოვა, ყველაფერი ამათ გადმოსცა და თან უთხრა — მეტი არაფერიაო. ამათ უთხრეს, ბეჭედი უნდა იყოს კიდევ მანდა და კარგად მოძებნეო. მაგრამ ანდრეუჩიო მაინც თავისას იძახდა, არაფერიაო, თუმცა თავს ისე აჩვენებდა, ვითომ ეძებდა, ასე რომ, ერთხანს აცდევინა ორივეს. მართალია ანდრეუჩიო ეშმაკი იყო, მაგრამ არც ისინი ჩამორჩებოდნენ, კიდევ უთხრეს ეძებეო და ამასობაში დრო იხელთეს, აკლდამის სარქველს შეყენებული ლომი გამოაძრეს, თვითონ თავს უშველეს და ის კი აკლდამაში ჩაკეტილი დატოვეს.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა დღეში იქნებოდა ანდრეუჩიო, როცა იგრძნო ჩავუკეტივარო. რამდენჯერმე სცადა ხან თავით, ხან მხრებით სარქველი აეწია, მაგრამ ცდა ტყუილად შერჩა. ამ საშინელი უბედურებისაგან მეხდატეხილს გონება დაეკარგა და ზედ მთავარეპისკოპოსის გვამზე გაიშხლართა. ამ დროს ვისმე რომ დაენახა, გაუჭირდებოდა გამოცნობა, თუ ვინ იყო მიცვალებული: მთავარეპისკოპოსი თუ ანდრეუჩიო. მერე, როცა გონს მოვიდა, მწარედ აქვითინდა. ნათლივ წარმოიდგინა, რომ ორში ერთი უნდა დამართნოდა: ან, რაკი აქ არავინ მოვიდოდა და აკლდამას სარქველს არ ახდიდა, შიმშილისა და

აყროლებული სუნისაგან უნდა მომკვდარიყო მიცვალებულის სხეულს დახვეულ მატლებს შორის, ან, თუ ვინმე მოვიდოდა და შიგ დაინახავდა, ჩამოხრჩობა არ ასცდებოდა, როგორც ქურდსა და ავაზაკს.

ამ ფიქრებში იყო გართული და მწარედ ნაღვლობდა, რომ მოესმა, ეკლესიაში ვიღაცეები მიდი-მოდიოდნენ და ერთმანეთს რაღაცას ელაპარაკებოდნენ. რამდენადაც შეეძლო მიხვედრილიყო, ამათაც ის უნდა ექნათ, რაც ქნეს თვითონ იმან და მისმა ამხანაგებმა. და ამაზე შიშმა უარესად აიტანა. მაგრამ როცა ახალმოსულებმა აკლდამას სარქველი ახადეს და ჯოხი შეუყენეს, იმაზე შეექმნათ დავა, თუ პირველი ვინ უნდა ჩასულიყო შიგ. ჩასვლა კი არავის უნდოდა. კარგა ხნის ცილობის შემდეგ ერთმა მღვდელმა თქვა: „რისა გეშინიათ, რომ არ ვიცი? ხომ არ შეგჭამთ? მიცვალებულთ ადამიანის ჭამა არ შეუძლიათ! აბა მიყურეთ, თუ არ ჩავიდე!“ — ესა თქვა მღვდელმა, გულით დააწვა აკლდამის ნაპირს, თავი გარეთ გამოაჩინა, ფეხები კი ძირს ჩაუშვა და ამნაირად მოინდომა ჩასვლა. ანდრეუჩიომ ეს რომ დაინახა, ზეზე წამოდგა, მღვდელს ცალ ფეხში ხელი დაავლო და აგრძნობინა, თითქოს უნდოდა თავისკენ მიეზიდნა. მღვდელმა ეს რომ იგრძნო, საშინლად დაიღრიალა და სწრაფად ამოხტა აკლდამიდან. ამან სხვებსაც თავზარი დასცა, აკლდამა თავახდილი დააგდეს და ისე გაიქცნენ, თითქოს ათასი ეშმაკი უკან დაედევნათო.

ანდრეუჩიომ ეს რომ დაინახა, უზომოდ გაიხარა მოულოდნელი სიხარულით, უცბად აკლდამიდან ამოხტა და იმ გზით, რა გზითაც შემოვიდა ეკლესიაში, უკანვე გაბრუნდა.

უკვე ინათა. ანდრეუჩიოს ხელზე ბეჭედი ჰქონდა გაკეთებული და ალალბედზე მირბოდა საითკენღაც. ამასობაში ზღვისპირად გავიდა და იქიდან კიდევ თავის სასტუმროს მიადგა, სადაც მისი ამხანაგები და მათთან ერთად სასტუმროს პატრონიც მთელი ღამე თურმე მის უამბობასა სწუხდნენ. როცა ამან თავისი თავგადასავალი ყველაფერი უამბო, სასტუმროს პატრონმა ურჩია — დაუყოვნებლივ მოშორდით ნეაპოლსაო. ანდრეუჩიომაც მაშინვე აასრულა მისი რჩევა და პერუჯიაში დაბრუნდა, ბეჭედი ფულად აქცია და ცხენების საყიდლად წავიდა.

ამგავი მეექვსე. მადონა ბერიტოლას თავგადასავალი

მადონა ბერიტოლა ერთ კუნძულზე იპოვეს ორ შვლის ნუკრთან ერთად. ორი ვაჟის დაკარგვის შემდეგ ლუნიჯიანაში მიდის. აქ ერთი მისი ვაჟი ამ მხარის სენიორის სამსახურში შედის, ამ სენიორის ქალს შეიყვარებს და ცოლად ამწყვდევენ. სიცილიელები მეფე კარლოსის წინააღმდეგ აღდგებიან, დედა თავის შვილს იცნობს და ესეც სენიორის ქალზე ჯვარს დაიწერს. მერე მის ძმასაც აღმოაჩენენ და ორნივე თავიანთ წინანდელ წარჩინებულ

მდგომარეობას დაიბრუნებენ.

ქალებმა და აგრეთვე ვაჟებმა ბევრი იცინეს ანდრეუჩიოს ამბავზე, ფიამეტამ რომ უამბოთ. ემილიამ რომ დაინახა, ამბავი გათავდაო, დედოფლის ბრძანებით ასე დაიწყო: — ბედის დაუდგრომლობის ამბავი, დიდი თუ სამწუხარო თავგადასავალნი, საინტერესონი არიან იმ მხრივ, რომ როცა კი ამათ შესახებ დავიწყებთ ლაპარაკს, იღვიძებს ჩვენი გონება და ივივე გონება ადვილად იძინებს, როდესაც, ნანას ეუბნება და ულოლიავებს ბედი; ამიტომ, ჩემის აზრით, უსარგებლო არ იქნება მოისმინონ ხოლმე ეს ამბები როგორც ბედისაგან განებივრებულებმა, ისე ბედისაგან გამწარებულებმაც: პირველთათვის ეს ჭკუის სასწავლებელი იქნება, ხოლო მეორეთ ნუგეშს მიჰმადლებს. და თუმცა ამ საგნის შესახებ უკვე ბევრი რამ თქმულა, მაგრამ მაინც მინდა ერთი ამბავი გიამბოთ. რაც ახლა უნდა გიამბოთ, იმდენადვე მართალია, რამდენადაც გულის გასაგმირალი და თუმცა მხიარულად თავდება, მაგრამ მწუხარება იმდენად ძლიერი და ხანგრძლივი იყო, რომ ძნელად დასაჯერებელია, როდესმე შესაძლებელი ყოფილიყო ამ მწუხარების შეცვლა სიხარულად.

თქვენ უნდა იცოდეთ, საყვარელო ქალებო, რომ იმპერატორ ფრედერიგო მეორის სიკვდილის შემდეგ სიცილიის მეფედ ეკურთხა მანფრედი, რომელთანაც დიდი ადგილი ეჭირა ერთ ნეაპოლელ აზნაურს არიგეტო კაპეჩეს. ამას ცოლად ჰყავდა ერთი მშვენიერი და დიდებული გვარის ქალი, მადონა ბერიტოლა კარაჩიოლა, ივიც ნეაპოლელი. ამ არიგეტოს, რომლის ხელშიაც იყო მართვა-გამგეობა მთელი კუნძულისა, ამბავი მოუვიდა, მეფე კარლოს პირველმა ბენევენტოში საშინლად დაამარცხა და ბოლოს მოკლა კიდეც მანფრედი და მთელი მისი სამეფო კარლოსის ხელში გადავიდაო. არიგეტომ კარგად იცოდა, რომ კაცი ვეღარ ენდობოდა ორგულ სიცილიელებს და, გარდა ამისა, არ უნდოდა თავისი მეფის მტრის ქვეშევრდომად გამხდარიყო და ამიტომ გასაქცევად განემზადა. მაგრამ სიცილიელებმა გაუგეს და ერთბაშად ისა და მრავალი სხვა ერთგული და მოსამსახურე ხალხი მანფრედისა შეპყრობილები გადასცეს მეფე კარლოსს, და მასვე ჩააბარეს მთელი კუნძულის ბატონ-პატრონობაცა.

მადონა ბერიტოლას ამდენ არეულობაში ვერ გეგო, რა დაემართა არიგეტოს. ეშინოდა უკვე მომხდარი ამბებისა და აგრეთვე სირცხვილისა. ყველაფერს თავი მიანება, წამოიყვანა თავისი რვა წლის ვაჟი ჯუსფრედი, ორსული და გასაწყლებული, ერთ ნავში ჩაჯდა და ლიპარიში გაიქცა. აქ მეორე ვაჟი ეყოლა, რომელსაც სკარჩატო (განდევნილი) დაარქვა. ახალდაბადებულისათვის ძიძა აიყვანა, ყველანი ერთ პატარა ხომალდში ჩაისხა და ნეაპოლისაკენ წამოვიდა, თავის მშობლებთან.

მაგრამ საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა, ვიდრე მადონა ბერიტოლას უნდოდა: ქარმა დაჰბერა და იმის მაგივრად, რომ ნეაპოლში გასულიყო ხომალდი, კუნძულ

პონცოსაკენ გაიტაცა. აქ ზღვის ერთ უბეში შევიდნენ და გამოდარებას დაუწყეს ლოდინი, რომ მერე განეგრძოთ გზა. ქალბატონი ბერიტოლა სხვებთან ერთად კუნძულზე გამოვიდა. აქ ერთი განმარტოებული და უდაბური ადგილი ამოირჩია, შიგ მარტოდმარტო დარჩა, რომ ეტირნა თავის არიგეტოზე. ყოველდღე მოდიოდა აქ და ტიროდა. ერთხელ ის რომ ცრემლად იღვრებოდა, ნაპირს მოადგა მეკობრეთა კატარღა ისე, რომ არავის, არც მეხომალდეს და არც მისიანს, არ შეუმჩნევია, ხომალდი შიგმყოფებიანად თავიანთ კატარღას მოაბეს მეკობრეებმა და ნაპირს მოშორდნენ.

ქალბატონი ბერიტოლა, ტირილით რომ გული იჯერა, ნაპირზე დაბრუნდა, რომ ჩვეულებისამებრ თავისი შვილები ენახა, მაგრამ არავინ დაუხვდა; ჯერ ძალიან გაიკვირვა, მერე ერთბაშად, თითქოს გულმა უგრძნო, რაც უნდა მომხდარიყო, თვალები ზღვას მოავლო და დაინახა, რომ, არც ისე შორს კატარღას მისი ხომალდი უკან გამოება და მიჰყავდა. მიხვდა, რომ ქმრის დამკარგავს, ახლა შვილებიც გამოაცალეს ხელიდან. გასაცოდავებული, მარტოდმარტო, ყველასაგან თავმინებებული იდგა და იმედი არა ჰქონდა როდესმე ეპოვნა რომელიმე თავისიანთაგანი, მოუწოდებდა თავის ქმარს, მოუწოდებდა შვილებს. ამასობაში გულიც წაუვიდა და უგრძნობლად დაეცა. ძეხორციელი არავინ იყო, რომ ცივი წყალი მიეწოდებინა ან სხვა საშუალებით მოებრუნებინა. ამიტომ დიდხანს იყო ქალი გულწასული და მისი სული, ვინ იცის, სად არ იარებოდა უგზო-უკვლოდ. როცა საცოდავ სხეულს დაკარგული ძალ-ღონე ისევ დაუბრუნდა და შეიძლო ცრემლები სდენოდა და ეტირნა, დიდხანს უძახა შვილებს და გამოქვაბულები სათითაოდ დაიარა მათს ძებნაში. ბოლოს, როცა დაინახა, რომ შრომამ ტყუილად ჩაუარა და თანაც ღამდებოდა, რაღაც გაურკვეველი იმედით დაიწყო თავისი თავისთვის ზრუნვა: მოშორდა ნაპირს და წამოვიდა იმ გამოქვაბულისაკენ, სადაც სულმუდამ ტიროდა და ნაღვლობდა. და როცა ღამემ საშინელ შიშში და გამოუთქმელ მწუხარებაში განვლო და მეორე დღე დადგა, ქალს, რომელსაც ჯერ კიდევ წინა დღით არაფერი ევახშმნა, მოშივდა და ბალახის ჭამას მიჰყო ხელი. რამდენიც შეეძლო, ჭამა ბალახი, თან ტიროდა და ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში, ვინ იცის, რა მომელისო.

ბერიტოლა ასეთ ფიქრებში რომ იყო გართული, უცებ დაინახა, რომ მოვიდა შველი და იქვე მახლობელ გამოქვაბულში შევიდა. ცოტა ხანს უკან გამოქვაბულიდან ისევ გამოვიდა და ტყეში მიიმალა. ქალი ადგა და შევიდა სწორედ იქ, საიდანაც შველი გამოვიდა. შიგ დაინახა ორი ნუკრი, რომლებიც იმ დღის დაბადებულნი უნდა ყოფილიყვნენ. ორივე ქალს მეტად მშვენიერ და საყვარელ ქმნილებად ეჩვენა; და რადგან ახალშობიარობის შემდეგ ძუძუებში რძე კიდევ დარჩენოდა, ორივე აიყვანა და გულზე მიისვა. ნუკრებმა არ იუცხოვეს და ისე დაუწყეს წოვა, თითქო მათი საკუთარი დედა ყოფილიყო. და მას შემდეგ ღვიძლ დედისა და ამ ქალის ძუძუებს ერთმანეთში ვერ არჩევდნენ. რაკი ამ უდაბურ ალაგას ქალმა სულიერი არსებანი იპოვნა, ვისთანაც შეეძლო ეცხოვრა, იკვებებოდა ბალახით და სვამდა

წყალს, და როცა კი ქმარ-შვილი და თავისი წარსული ცხოვრება მოაგონდებოდა, ტირილს მოჰყვებოდა. შველსაც ისევე დაუშინაურდა, როგორც მის ნუკრებს და გადაწყვიტა, აქ ეცხოვრა და აქვე მომკვდარიყო.

ამნაირი ცხოვრებისაგან ეს კეთილშობილი ქალი სრულებით გაგარეულდა, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ იმავე ადგილს, სადაც ქარმა ბერიტოლას ხომალდი პირველად მიაყენა, მიადგა პიზელ მენავეთა ხომალდი და აქ რამდენიმე დღეს გაჩერდა. ამ ხომალდზე ერთი კეთილშობილი კაცი იყო, მალესპინის მარკიზების ჩამომავალი, კურადო ერქვა. მას თანა ჰყავდა მეტად ღირსეული და ღვთის მოშიში ცოლი; აპულიის სამეფოში რაც წმინდა ადგილები იყო, მოევლოთ და მოელოცნათ და ახლა შინ ბრუნდებოდნენ. ერთ დღეს კურადომ დარდის განსაქარვებლად წამოიყვანა ცოლი, რამდენიმე მსახური და ძაღლები და კუნძულზე გაასეირნა იმის მახლობლად, სადაც მადონა ბერიტოლას ბინა ჰქონდა, კურადოს ძაღლები გამოეკიდნენ ორ შვლის ნუკრს, რომლებიც უკვე მოზრდილები იყვნენ და აქა სძოვდნენ. ძაღლებისაგან ლტოლვილმა ნუკრებმა პირდაპირ იმ გამოქვაბულს მიაშურეს, სადაც მადონა ბერიტოლა ცხოვრობდა. ქალმა ეს რომ დაინახა, აიღო ჯოხი და ძაღლებს გამოუდგა. ამ დროს კურადო და მისი მეუღლე, რომლებიც ძაღლებს მოსდევდნენ კვალდაკვალ, მოუახლოვდნენ და საშინლად გაოცდნენ, როცა დაინახეს გამხდარი, გაშავებული და თმაგაზრდილი ქალი. თვით ქალსაც მეტისმეტად გაუკვირდა მათი ნახვა.

როცა ბერიტოლას თხოვნით კურადო ძაღლებს გაუჯავრდა და გააჩერა, ცოლ-ქმარმა ხვეწნა დაუწყეს — გვითხარ, ვინა ხარ ან აქ რა გინდაო. ქალი გულახდით მოუყვა, ვინც იყო, რაც თავს გადახდა და გაუმხილა, თუ რა საშინელი რამ ჰქონდა გადაწყვეტილი. კურადო არიგეტო კაპეჩეს კარგად იცნობდა თურმე და ქალის ნაამბობი რომ გაიგონა, მისდამი სიბრალულით აღევსო გული და იტირა. შეეცადა ხელი აეღებინებინა თავის საშინელ განზრახვაზე, დაჰპირდა სახლში წაგიყვან, ანდა ჩემთან გიყოლიებ, პატივისცემას არ მოგაკლებ, როგორც ღვიძლ დას, ისე მოგივლი, მანამდე, სანამ მონყალე ღმერთი უკეთეს ბედს არ გწევსო. მაგრამ რაკი ქალი არ დასთანხმდა წაყოლას, კურადომ თავისი მეუღლე მასთან დატოვა და უთხრა საჭმელი მოეტანინებინა, მთლად ტანისამოსშემოხეულისათვის თავისი რამე ჩაეცმია და იმდენს ცდილიყო, რომ წამოყოლაზე დაეთანხმებინა.

მასთან დარჩენილმა კეთილშობილმა ქალმა ბერიტოლასთან ერთად ბევრი იტირა მისი უბედურების გამო. მერე მოატანინა საჭმელი და ტანისამოსი და რის წვალებით დაიყოლია ტანთ ჩაეცვა და საჭმელი ეჭამა. ბოლოს, რაკი ბერიტოლას არ უნდოდა წასულიყო იქ, სადაც მას იცნობდნენ, ქალმა დიდი ხვეწნის შემდეგ დააჯერა, წამოჰყოლოდა ლუნიჯიანაში და თან წამოეყვანა თავისი ორი ნუკრი და მათი დედა შველიცა, რომელიც ამასობაში დაბრუნდა და ბერიტოლას წინ დაიწყო ხტუნვა და ალერსი, რამაც კურადოს მეუღლე უზომოდ გააოცა.

და როცა გამოიდარა, მადონა ბერიტოლა კურადოსა და მის მეუღლესთან ერთად ხომალდში ჩასხდნენ, თავისთან ერთად ჩაისვეს შველი და ორი მისი ნუკრი (რომელთა მიხედვით, რადგან ბერიტოლას სახელი ყველამ არ იცოდა, დაარქვეს მას კავრიუოლა, ე. ი. შველი). დაჰბერა მშვენიერმა ზურგის ქარმა და გაიყვანა მგზავრები იქ, სადაც მდინარე მარგა ზღვას ერთვის, აქ ნაპირას გამოვიდნენ და კურადოს კოშკისაკენ გაემართნენ.

კურადოს კოშკში მადონა ბერიტოლა ქვრივულად გამოწყობილი, კურადოს მეუღლის სეფექალივით ცხოვრობდა თავმდაბლად, მშვიდად და მორჩილებით. თავისი შვლები წინანდებურად უყვარდა და ზრუნავდა, საკვები არ დაჰკლებოდათ.

მეკობრეთ კუნძულ პონცოზე ხომალდი რომ მოიტაცეს, რომლითაც აქ მადონა ბერიტოლა მოვიდა, გარდა ბერიტოლასი, რომელიც არ უნახავთ, ყველანი წამოიყვანეს და გენუაში წამოვიდნენ. აქ კატარღას პატრონებს შორის დაარიგეს ნადავლი და, შემთხვევით, ვინმე გასპარინო დ'ორიას, სხვა ნივთთა შორის, ერგო მადონა ბერიტოლას ძიძა და მასთან ერთად მისივე ორი შვილი. გასპარინო დ'ორიამ ძიძა და ბავშვები შინ გაგზავნა, რომ მერე მოსამსახურეებად გაეხადა. ძიძა საშინლად ნაღვლობდა თავისი ქალბატონის დაკარგვას და იმ შავ დღეს, რომელშიაც ჩაცვივდნენ როგორც თვითონ, ისე ორი ბავშვი და ცხარე ცრემლით დიდხანსა ტიროდა. მაგრამ რომ დახედა, ტირილით არაფერი გამოვა და ბავშვებთან ერთად მონად ჩავვარდიო, როგორც ჭკვიანმა და მიხვედრილმა ქალმა ჯერ, რაც შეიძლებოდა, მეტი მხნეობა მოიკრიბა და რომ დააკვირდა, თუ სად იყვნენ მოსულნი, მოისაზრა, თუ გაიგეს, ეს ბავშვები ვისები არიან, შეიძლება ადვილად ჩაცვივდნენ საფრთხეშიო. იმედი კი ჰქონდა, რომ ოდესმე გარემოება გამოიცვლება, ბედი გაუღიმებთ და თუ ცოცხლები დარჩნენ, დაკარგულ მდგომარეობას დაიბრუნებენო. ამიტომ გადაწყვიტა თავის დრომდე, ჯერხნობით, მათი ვინაობა არავისთვის გაემხილა, თუ ვინმე ჰკითხავდა, ყველას იმას ეუბნებოდა, — ჩემი შვილებიაო. უფროსს ჯუსფრედის მაგივრად ჯანოტო დაარქვა, უმცროსის სახელის გამოცვლისათვის არც კი უფიქრია; ძალიან ბევრს ეცადა, ჯუსფრედისათვის გაეგებინებინა, თუ რისთვის გამოუცვალა სახელი და ისიც აეხსნა, თუ გაიგეს ვინაობა, იცოდე ცუდი დღე დაგადგებაო და რადგან ბავშვი ჭკვიანი იყო, თავისი ძიძის დარიგებას ზედმიწევნით ასრულებდა. ტანთჩაუცმელი და ფეხშიშველა ბავშვები ყოველგვარ სამუშაოს აკეთებდნენ, ძიძასთან ერთად რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდნენ და ითმენდნენ ყველაფერს მესერ გასპარინოს სახლში.

მაგრამ ჯანოტო უკვე თექვსმეტი წლისა შესრულდა, გულში კეთილშობილების გრძნობა უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე ეს უბრალო მონას აქვს ხოლმე, ეზიზღებოდა და ვეღარ შერიგებოდა მონურ მდგომარეობას და თავის დამცირებას, ამიტომ გასპარინოსთან სამსახურს თავი დაანება, ჩაჯდა ალექსანდრიაში მიმავალ ერთ-ერთ ხომალდში, რამდენიმე ადგილას იყო, მაგრამ დაწინაურება და თავის გამოჩენა ვერსად შეძლო.

გასპარინოსაგან წამოსვლის შემდეგ სამმა თუ ოთხმა წელიწადმა განვლო. ჯანოტო ლამაზი და ტანმაღალი ყმაწვილი კაცი დადგა. ამ დროს ვიღაცამ უთხრა, რომ მამა, რომელიც მას დიდი ხნის მკვდარი ეგონა, ისევ ცოცხალიაო. მხოლოდ ეს არის, რომ ტყვედ ჰყოლია ციხეში მეფე კარლოსსო. თითქმის სასოწარკვეთილმა შვილმა, ვინ იცის, სად არ იარა და ბოლოს დიდი წვალებით ლუნიჯიანამდე მოაღწია. აქ, შემთხვევით, მოსამსახურედ დაუდგა კურადო მალესპინას და ერთგულად და მარჯვედაც ემსახურებოდა. თავის დედას, კურადოს მეუღლესთან მყოფს, თუმცა იშვიათად ხედავდა, მაგრამ ერთხელაც ვერ იცნო, და ვეღარც დედამ იცნო თავისი ვაჟი. მას შემდეგ, რაც ერთმანეთს გაშორდნენ, დიდმა ხანმა განვლო და ერთიცა და მეორეც საშინლად იყვნენ გამოცვლილნი.

ჯანოტო კურადოსთან რომ მსახურობდა, კურადოს ერთი ქალი, სპინა, ვინმე ნიკოლო გრინიანელზე გათხოვილი, დაქვრივდა და მამის სახლში დაბრუნდა. ქვრივი, ასე თექვსმეტის წლისა თუ იქნებოდა, მეტად ლამაზი და ეშხიანი იყო. ქალ-ვაჟს ერთმანეთი თვალში მოუვიდათ და ბოლოს მათში ძლიერმა სიყვარულმა იფეთქა. ეს სიყვარული უნაყოფოდ დიდხანს არ დარჩენილა; მათი კავშირი რამდენიმე თვეს გრძელდებოდა ისე, რომ არავის გაუგია. ამიტომ ძალიან გათამამდნენ და ასეთ საქმეს რომ სჭიროდა, იმდენ სიფრთხილეს აღარ იჩენდნენ. ერთ დღეს ერთ მშვენიერ და ხეების ჩრდილით დაფარულ ტყეში მიდიოდნენ ქალი და ჯანოტო, სხვები უკან ჩამორჩნენ და ესენი კი დაწინაურდნენ. თქვეს, ახლა კი საკმაოდ დაგვშორდნენ სხვებიო, ერთ მწვანითა და ყვავილებით შემკულ, გარშემო ხეებით დაფარულ ლამაზ ადგილას ჩამოსხდნენ და ალერსი და სიამტკბილობა დაიწყეს. და რადგან კარგა ხანმა განვლო, რაც ერთად იყვნენ, თუმცა მათ ისე ეჩვენებოდათ, — ეს-ეს არის, დავიწყეთ სიამოვნებაო, ჯერ ახალგაზრდა ქალის დედამ და მერე თვით კურადომ ზედ მოატანეს ორსავე.

უზომო მწუხარებით გული გაევსო კურადოს, ეს ამბავი რომ დაინახა. მაშინვე თავის სამ მსახურს ორივენი დააჭერინა, თქმით კი არ უთქვამს, თუ რისთვის გასცა ასეთი ბრძანება, და გათოკილნი თავის კოშკში წააყვანინა, ხოლო თვითონ ბრაზისა და გაბოროტებისაგან აკანკალებული წავიდა და გადაწყვიტა სამარცხვინო სიკვდილით დაესაჯა ერთიცა და მეორეცა.

ქალის დედა, თუმცა ძალზე იყო აღშფოთებული და ქალი თავისი დანაშაულისათვის მეტად სასტიკი სასჯელის ღირსად მიაჩნდა, ქმრის ნათქვამ თითო-ოროლა სიტყვით მიხვდა, თუ რასაც უპირებდა დამნაშავეთ. დედის გული ვერ გაუძლებდა ასეთ საცოდაობას, ისწრაფა დასწეოდა განრისხებულ ქმარს და დაუწყო ხვეწნა: ნუ აჰყვები გულისწყრომას, მოხუცებულობის ჟამს ნუ ინებებ შენი ასულის სიკვდილს და შენი მონის სისხლში ხელს ნუ გაისვრიო. შენი რისხვის გასანელებლად შეგიძლია სხვა სასჯელი მიაყენო, აი თუნდა, დაამწყვდიო, ყველაფერს გამოსწირო და თავიანთი ჩადენილი ცოდვისა გამო, დაე, იტირონ

და ივიშვიშონო. ღვთისნიერმა ქალმა კიდევ ბევრი უთხრა ასეთი სიტყვები თავის ქმარს და ქალ-ვაჟის დახოცვის განზრახვაზე ხელი ააღებინა. და აი, კურადომ ბრძანება გასცა, რომ ესენი ცალ-ცალკე დაემწყვდიათ, კარგად ყური ეგდოთ, საჭმელ-სასმელი ცოტა მიეცათ, ხოლო მრავალი შევიწროება განეცდევინებინათ, და ასე ემყოფებინათ მანამდე, სანამ სხვა ახალ განკარგულებას გასცემდა მათ შესახებ. მისი ბრძანება ასრულებულ იქნა.

ყველას შეუძლია წარმოიდგინოს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მათი სიცოცხლე, მარხულობასა და განუწყვეტელ ცრემლის დენაში გატარებული, რომელსაც დასასრული აღარ უჩანდა.

უკვე წელიწადი გავიდა, რაც ჯანოტო და სპინა ასეთ ტანჯვა-წამებაში იყვნენ. კურადოს კიდეც დაავიწყდა მათი თავი. ამასობაში რაონას მეფემ, პიერომ, მესერ ჯიან პროჩიდელთან ერთად კუნძული სიცილია აუჯანყა და წაართვა მეფე კარლოსს. ამან კურადო, როგორც გიბელინი, ძალიან გაახარა. ჯანოტომაც გაიგო ეს ამბავი ერთი დარაჯისაგან, მწარედ ამოიოხრა და თქვა: „ვაი ჩემს შავ დღესა! უკვე თოთხმეტი წელიწადია, რაც დავწანწალებ ქვეყნიერების სხვადასხვა ადგილებში და ისე არაფერს მოველოდი, როგორც ამ ამბავს, რომელიც თითქო განგებ მომხდარა ახლა, როცა მე არაფერი სიკეთის იმედი არ უნდა მქონოდა, რადგან სატუსაღოში ვიმყოფები, საიდანაც, თუ არ მკვდარი, ცოცხალი ვერ გავალ“. – „როგორ? — ჰკითხა დარაჯმა, — დიდ მეფეებთან შენ რა გესაქმება? სიცილიაში რა გინდოდა?“ ამაზე ჯანოტომ უპასუხა: „ასე მგონია, გული მისკდება-მეთქი, როცა მომაგონდება, თუ რა თანამდებობა ეკავა იქ მამაჩემს... როცა იქიდან გამოვიქეცით, მე სულ პატარა ვიყავ, მაგრამ მახსოვს, რომ მეფე მანფრედის დროს მამაჩემი ბატონი იყო იქაურობის“. დარაჯი არ მოეშვა და კიდევ ჰკითხა: — მერე მამაშენი ვიღა იყო?“ – „მამაჩემი, — უთხრა ჯანოტომ, — ახლა კი შემიძლია უშიშრად გავამხილო, ვინც იყო, იმიტომ რომ, სულ ერთია, მაინც არ ამცდა განსაცდელი, რომელშიაც ჩავვარდებოდი, მისი სახელი რომ გამომემჟღავნებინა. მამაჩემს ეძახდნენ ან ეძახიან, თუკი ცოცხალია, არიგეტო კაპეჩეს, ხოლო მე ჯანოტო კი არა მქვიან, არამედ ჩემი სახელია ჯუსფრედი; და ახლა აქედან გარეთ რომ ვიყო გასული, სიცილიაში დავბრუნდები თუ არა, ეჭვი არა მაქვს, დიდ თანამდებობას მომცემენ“. დარაჯს ლაპარაკი არ განუგრძია ჯანოტოსთან და დრო იხელთა თუ არა, ყოველივე კურადოს მოახსენა.

კურადო, თუმცა მაგისთვის თითქო სულ ერთი იყო ჯანოტოს ნალაპარაკევი, მაინც მივიდა მადონა ბერიტოლასთან და ალერსიანად ჰკითხა — არიგეტოსაგან ვაჟი ხომ არ გყოლიათ, რომ სახელად ჯუსფრედი რქმეოდაო? ქალმა ტირილით უპასუხა: ჩემს ორ შვილში უფროსი ახლა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ეს ერქმეოდა სახელადა და ოცდაორი წლისა იქნებოდაო. კურადომ ეს რომ გაიგონა, იფიქრა, ჯანოტო სწორედ ეს ყმაწვილი უნდა იყოსო და თუ მართლაც ასეა, ერთსა და იმავე დროს შემიძლია დიდი მოწყალების საქმე

შევასრულო და თან ჩემი და ჩემი ქალის სირცხვილი მოვირეცხო იმით, რომ ჯანოტოს მივათხოვოო. ამიტომ ჩუმად მოაყვანინა ჯანოტო და დაწვრილებით გამოჰკითხა თავისი წარსული ცხოვრება და როცა ენიშნა, რომ ჯანოტო მართლა ჯუსფრედი იყო, არიგეტო კაპეჩეს შვილი, უთხრა: „ჯანოტო, შენ ძალიან კარგად უნდა იცოდე, თუ რა დიდი შეურაცხყოფა მომაყენე ჩემს ქალთან საქმის დაჭერით. მე კი სულ მუდამ კარგად და ალერსიანად გეპყრობოდი, და შენ, როგორც მსახურს, ჩემი სახელისა და ქონებისათვის უნდა გეზრუნა. ყველანი, ვისაც კი უზამდი ამას, რაც მე მიყავი, სასირცხვილო სიკვდილით მოაკვლევინებდნენ შენს თავს. მაგრამ მე კაცთმოყვარეობა ამის ნებას არ მაძლევს. ახლა კი, როგორც შენ ამბობ, თუ მართლა შენ ამ კეთილშობილი დედ-მამის შვილი ხარ, მინდა ბოლო მოვუღო შენს მწუხარებას, თუ შენც თანახმა იქნები ამისა, გაგათავისუფლო ტყვეობისა და ტანჯვა-წვალებისაგან, რომელშიაც ახლა იმყოფები, და ერთსა და იმავე დროს როგორც შენი, ისე ჩემი შერცხვენილი სახელი აღვადგინო. შენც იცი, რომ სპინა, რომელიც შენ შეგიყვარდა შენთვისაც და მისთვისაც უხამსი სიყვარულით, ქვრივია და დიდი და მშვენიერი მზითევი აქვს. მისი ზნე-ხასიათის ამბავი იცი. იცი აგრეთვე დედ-მამა ვინა ჰყავს. შენი ახლანდელი მდგომარეობის შესახებ აბა რა უნდა გითხრა. ამიტომ, როცა ინებებ, მე თანახმა ვარ, იმის მაგივრად, რომ ჩემმა ქალმა უნამუსოდ კავშირი დაიჭიროს შენთან, — პატიოსნად შენი ცოლი გახდეს. და აქ, ჩემი ღვიძლი შვილიშვილის მსგავსად, შეგიძლია ჩემს სახლში მასთან ერთად იმდენ ხანს იცხოვრო, სანამ შენი ნება და სურვილი იქნება“.

სატუსაღოში, მართალია ძალიან გახდა ჯანოტო, მაგრამ სულის კეთილშობილება, მშობლებისაგან გადმოცემული, ოდნავადაც არ შესუსტებოდა და აგრეთვე სავსებით შერჩენოდა სიძლიერე იმ სიყვარულისა, თავის საგრფოსადმი გულში რომ აგარებდა. თუმცა ძალიან გულითა სწადდა, რაც კურადომ შესთავაზა, და ამასთანავე მშვენივრად იცოდა, რომ მისი სული კურადოს ხელთ იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთ წუთსაც არ დაოჩნებულა მისთვის ეთქვა ის, რასაც თავისი სულის კეთილშობილება უკარნახებდა, და პატიოსნად ასე მოახსენა: — არც ბატონობის წყურვილს, არც ვერცხლმოყვარეობას და აღარც სხვა მიზეზს არ წავუქეზებივარ და მოღალატესავით გულში არ გამიტარებია დაპატრონება შენი ქონებისა, ან შენის სიცოცხლის მოსპობა. შენი ქალი კი მიყვარდა, მიყვარს და მეყვარება, რადგან ჩემი სიყვარულის ღირსადა ვთვლი. და უკეთუ მე იმათი აზრით, ვისაც სიყვარულის საქმეში არაფერი გაეგებათ, ქალთან ცოტა უპატიოსნოდ მოვიქეცი, ვიტყვი, რომ მე მხოლოდ ჩავიდინე ის ცოდვა, რომელიც ახალგაზრდობაში სრულებით ბუნებრივია; თუ გვინდა ეს ცოდვა ძირიან-ფესვიანად აღმოვფხვრათ, უნდა აღმოვფხვრათ თვით ახალგაზრდობა. მოხუცები რომ მოიგონებდნენ, რომ ერთ დროს თვითონაც ახალგაზრდები ყოფილან და სხვათა დანაშაულს თავიანთ საკუთარს დაუტოლებდნენ, მაშინ ამ ცოდვას მძიმე ცოდვათ არ ჩასთვლიდნენ, როგორც ამას სჩადიხართ შენა და ბევრიც სხვა; მე ეს ცოდვა ჩავიდინე არა როგორც შენმა მტერმა, არამედ როგორც მოყვარემ. რის შესრულებასაც ახლა შენ მე მიბრძანებ, ეს მე დიდი

ხანია გულში მედო და თუ მცოდნოდა, რომ სურვილს ამისრულებდი, დიდი ხნითვე გთხოვდი; ხოლო ახლა მით უფრო ძვირფასი იქნება ჩემთვის ამ ნატვრის ახდომა, რადგან ამის იმედი სრულებით არა მქონია. თუ მართლა გულში სხვა გიდევს და სიტყვით სულ სხვას მეუბნები, ტყუილი იმედით საღერღელს ნუღარ ამიშლი; დამაბრუნე ისევ საპატიმროში და იქ, რამდენი ხანიც გენებოს, მტანჯონ და მგვემონ, რადგან, სანამ სპინა მეყვარება, მანამ რაც უნდა მიყო, მისი სიყვარულით მეყვარები და შენი პატივისცემა მექნება.

ჯანოტოს ასეთი ლაპარაკი რომ მოისმინა, კურადო საშინლად გაოცდა და დიდად მიითვალა მისი სულგრძელობა; დარწმუნდა, ჩემი ქალი გულწრფელად ჰყვარებიაო და ამიტომ უმეტესად საყვარელი შეიქმნა მისთვის. წამოდგა, მოეხვია და აკოცა, თან ბრძანება გასცა და დაუყოვნებლივ აქვე ჩუმად მოაყვანინა სპინაც. ქალი სატუსაღოში მეტად გამხდარიყო, გაყვითლებულიყო და დაუძლურებულიყო, და სულ სხვა ქალის გამომეტყველება ჰქონდა, ისევე, როგორც ჯანოტო სულ სხვა კაცსა ჰგავდა. კურადოს თანდასწრებით და ურთიერთთანხმობით შეასრულეს ჯვრისწერის წესი ჩვენებური ჩვეულების თანახმად.

ამის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში კურადოს ბრძანებით ამათთვის მოჰქონდათ ყველაფერი, რაცა სჭიროდათ ან რაც ესიამოვნებოდათ, თუმცა ჯერ არავინ არ იცოდა უკვე მომხდარი ამბისა. ბოლოს კურადომა თქვა, ახლა კი დროა ამათი დედები გავახაროო, ამიტომ დაუძახა თავის მეუღლესა და კავრიუოლას და უკანასკნელს შემდეგი სიტყვებით მიმართა: — რას იტყოდით, მადონა, მე რომ თქვენთვის თქვენი უფროსი ვაჟი მეჩვენებინა და ისიც ერთ-ერთ ჩემ ქალზე ჯვარდაწერილი?

ამაზე კავრიუოლამ უპასუხა: — მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია მოგახსენოთ: შეუძლებელია უფრო მეტად იყოს დავალიანებული ადამიანი ადამიანისაგან, როგორც მე ვარ თქვენგან. მაგრამ ახლა უმეტესად დამავალებთ, თუ მართლა დამიბრუნებთ იმას, რაც ჩემს თავს მირჩევნია; და თანაც თუ ისეთად დამიბრუნებთ, როგორც ბრძანეთ, თქვენ კვლავ აღმიდგენთ ერთ-ერთ იმედს, რომელზედაც, დიდი ხანია, ხელი ამიღია. — ესა თქვა და აცრემლებული გაჩუმდა.

მაშინ კურადომ თავის ცოლს უთხრა: — შენ რაღას იტყოდი, ქალო, შენთვის ასეთი რამე რომ მეჩვენებინა?

ამაზე ცოლმა უპასუხა: — კეთილშობილი კი არა, სულ მდაბიოც რომ იყოს, რაკი შენ მოგეწონა, მეც არ დავიწუნებ.

მაშინ კურადომ უთხრა; — იმედი მაქვს ამ რამდენიმე დღეში გაჩვენოთ ის, რაც ქალებს

ასე გიხარიათ ხოლმე.

კურადომ რომ დაინახა, ახალგაზრდებმა მოიკეთეს და წინანდელი ფერი და ხორცი დაუბრუნდათო, შესაფერისი ტანისამოსი ჩააცმევინა და ჯუსფრედისა ჰკითხა: „ხომ გაიხარებდი, იმ სიხარულის გარდა, რაც ახლა განიცადე, დედაშენიც გენახა?“ ამაზე ჯუსფრედიმ მოახსენა: „მე არა მგონია ცოცხალი გადარჩენილიყო, რადგან ეგრე მწარედ ნაღვლობდა თავის უბედურებას; მაგრამ ეს რომ ასე მოხდეს, უზომოდ გამეხარდება და, გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, მისი რჩევა-დარიგება საკმაოდ გამომადგებოდა, რომ სიცილიაში ჩემი წინანდელი მდგომარეობა დამებრუნებინა“.

მაშინ კურადომ ორივე ქალი იხმო. ორივენი მიეალერსნენ და თავს შემოევლენ პატარძალს და თან საშინლად ჰკვირობდნენ — როგორ მოხდა და რამ გამოაჩენინა კურადოს ასეთი გულკეთილობა, რომ თავისი ქალისათვის ჯანოტოზე დაეწერინებინა ჯვარიო...

ამასობაში მადონა ბერიტოლამ, რომელსაც კურადოს ნათქვამი ახსოვდა, დაუწყო სინჯვა ვაჟს და როცა რაღაც იდუმალი ძალის გავლენით მის ხსოვნაში გაცოცხლდა თავისი შვილის ბავშვობის დროის სახის ნაკვთები, მეტი დამოწმება არც კი დასჭირებია, გაშლილი ხელებით ყელზე შემოეჭდო, სიყვარულისა და დედობრივი სიხარულის ნამეტნავობისაგან ხმა ვერ ამოეღო; ამ მღელვარების გამო ვერასა გრძნობდა, რაც მის გარშემო ხდებოდა და შვილს ცოცხალ-მკვდარი გულზე მიესვენა. თუმცა ყმაწვილი მეტად იყო განცვიფრებული და იგონებდა — რამდენჯერ მინახავს სწორედ ამ კოშკის წინ და ერთხელაც ვერ ვიცანიო, ახლა მაშინვე ალღოთი იცნო თავისი დედა, თავის თავს კი აყვედრიდა დედისადმი უყურადღებობისათვის, ხელები მოჰხვია და აცრემლებულმა ნაზად კოცნა დაუწყო.

როცა მადონა ბერიტოლა კურადოს ცოლმა და ქალმა წყლითა და ყოველგვარი საშუალებით, რაც კი იცოდნენ, მოასულიერეს, მან ისევ დაუწყო კოცნა შვილს, თან ცრემლად იღვრებოდა და თან თავზე ევლებოდა. დედობრივი გრძნობით აღვსებული უზომოდ ჰკოცნიდა, ხოლო შვილი მოწიწებით თვითონაც ეფერებოდა.

ეს წმიდა სიხარულით გამსჭვალული მისალმება რომ სამჯერ-ოთხჯერ განმეორდა, ერთიმეორეს თავიანთი თავგადასავალი უამბეს, რამაც დამსწრენი მეტად გაახარა. კურადომ ყველას გასახარად, თავის მეგობრებს გამოუცხადა სიძედ მოკიდება ჯუსფრედისა, რომელმაც თავის სიმამრს მოახსენა:

— კურადო, ჩემო ბატონო! თქვენ მე ბევრგვარი სიხარული მომმადლეთ და დედაჩემს დიდხანს არ დაჰკლებია თქვენი პატივისცემა. ახლა თუ გნებავთ რომ დააგვირგვინოთ, რაც

სიკეთე დაგვდევით, გთხოვთ უფრო გაგვახაროთ დედაჩემი და მე იმით, რომ ბრძანება გასცეთ და აქ მოაყვანინოთ ჩემი ძმა, ყმად რომ ჰყავს თავის სახლში გასპარინო დ'ორიას, რომელმაც, როგორც მოგახსენეთ, დარბევის დროს ორივე ერთად წაგვიყვანა. შემდეგ უმორჩილესად გთხოვთ ვინმე გაგზავნოთ სიცილიაში, რომ დაწვრილებით გაიგოს, რა პირობებსა და რა მდგომარეობაშია ეს მხარე და იქნება ისიც გაიგოს როგორმე, მამაჩემი არიგეტო ცოცხალია თუ მკვდარი, და თუ ცოცხალია, რა ყოფაშია:

როცა ყველაფერი ზედმიწევნით გაიგოს აქვე დაბრუნდეს.

კურადოს ძალიან მოეწონა ჯუსფრედის თხოვნა და სანდო კაცები გაგზავნა როგორც გენუაში, ისე სიცილიაში. გენუაში გაგზავნილმა კაცმა გასპარინო მონახა და კურადოს მხრით დიდის თხოვნითა სთხოვა კურადოსათვის გამოეგზავნა სკაჩატო და მისი ძიძა და თანაც უამბო, თუ რა ამაგი დასდო კურადომ ჯუსფრედისა და დედამისს. მესერ გასპარინოს საშინლად გაუკვირდა, ეს ამბავი რომ მოისმინა და უთხრა: — აბა, რა თქმა უნდა, კურადოს როგორ გავაცუდებ და იმისათვის ყველაფერს ვიზამ, რაც შემიძლია და რაც მასა ნებავს. მართალია, უკვე თოთხმეტი წელიწადია, რაც სახლში მყავს ყმაწვილი, რომელსაც შენა მთხოვ, და მისი დედა, ორივეს სიამოვნებით გავუგზავნი: მხოლოდ ჩემ მაგივრად მოახსენე, რომ ნურც მაგრე, ან სულაც ნუ ენდობა ჯანოტოს, ახლა ჯუსფრედის რომ ირქმევს, და იმის ნათქვამ ზღაპრებს, იმიტომ რომ კურადომ არც კი იცის, თუ რა გაიძვერა ვინმეა.

ამის შემდეგა ბრძანა, გამოგზავნილ კაცს შესაფერისად გამასპინძლებოდნენ, თვითონ კი ჩუმად ძიძისათვის დააძახებინა და საიდუმლოდ გამოჰკითხა ყოველივე. ძიძამ რომ შეიტყო, სიცილიაში ამბოხებაოო და გაიგო — არიგეტო ცოცხალიაო, თავისი წინანდელი შიში დაივიწყა და, გათამამებულმა, ყოველივე უამბო და აუხსნა, თუ რატომ მოიქცა ამნაირად. მესერ გასპარინომ რომ დაინახა, ძიძისა და კურადოს ნათქვამი ერთმანეთს უდგებაო, მათი ნალაპარაკევი დაიჯერა, მაგრამ როგორც მეტად გამოქნილმა კაცმა, ეს საქმე ყოვლის მხრით გამოიძია და რაკი ისეთი საბუთები აღმოაჩინა, რომელიც არწმუნებდა, რომ ეს საქმე ნამდვილად ასე იყო, თვითონვე შერცხვა, რომ ბიჭს ცუდად ეპყრობოდა, და რომ მის წინაშე თავის დანაშაული გამოესყიდნა, რადგან იცოდა, თუ ვინ იყო არიგეტო, ბიჭს მიათხოვა თავისი ერთი ლამაზი გოგო, თერთმეტი წლისა, და დიდი მზითევიც გაატანა. გასპარინომ ამის გამო დიდის ამბით გადაიხადა ქორწილი და მერე ახალგაზრდა ბიჭი, თავისი ქალი, კურადოს გამოგზავნილი მოციქული და ძიძა კარგად აღჭურვილ კატარღაში ჩაისვა და მივიდა ლერიჩიში; აქ მიეგება კურადო და ყველა თავისიანებთან ერთად გაემართა მის ერთ-ერთ კოშკში, რის მახლობლადაც მათთვის ნადიმი იყო გამართული.

სიტყვებით ვერ გამოვთქვამ, თუ რა სიხარული შეუდგათ დედას — შვილის ნახვაზე, ძმას — ძმის ნახვაზე, ან სამთავეემ როგორ გაიხარეს, თავიანთი საყვარელი ძიძა რომ დაინახეს,

ან როგორ დახვდნენ ყველანი გასპარინოს და მის ქალს, როგორ ალერსიანად ეპყრობოდა ყველას ეს უკანასკნელი და როგორ ეკიდებოდნენ ყველანი კურადოს, მის მეუღლეს, შვილებსა და მეგობრებს, და ამიტომ, ძვირფასო ქალებო, ყოველივე ეს თქვენ თვითონ გაითვალისწინეთ.

მაგრამ სიხარული მართლა რომ სრული გამოსულიყო, მამაზეციერს, ყოველი სიკეთის უხვ მწყალობელს, ენება ამეებისათვის დაემატებინა არიგეტო კაპეჩეს სიცოცხლისა და კარგად ყოფნის სასიხარულო ამბავიც. საუცხოო ნადიმის დროს, როცა სუფრას უსხდნენ და ჯერ ისევ პირველ თავ საჭმელს შეექცეოდნენ, დაბრუნდა სიცილიაში გაგზავნილი კაცი და, სხვათა შორის, არიგეტოზე თქვა, რომ ის კარლოსს ჰყოლია დამწყვდეული, მაგრამ ამ მხარეში მეფის წინააღმდეგ აჯანყებულან, გამხეცებული ხალხი სატუსაღოს ძგერებია, მცველები დაუხოცნიათ, არიგეტო გაუთავისუფლებიათ და, როგორც უმთავრესი მტერი მეფე კარლოსისა, თავის მეთაურად დაუყენებიათ, მისი ხელმძღვანელობით გამოჰკიდებიან ფრანგებს და მათი ხოცვა დაუწყიათ. ამიტომ არიგეტოს მაშინვე დიდ მწყალობლად გადაექცა მეფე პიეტრო, რომელმაც ყველა მისი წართმეული მამული დაუბრუნა და აღუდგინა ყოველი ღირსება, რაც მანამდე ჰქონია. მაშასადამე ახლა მაღალი და საპატიო ადგილი უკავიაო. ამას ისიც დასძინა მოსულმა, რომ მე დიდის პატივით დამიხვდაო, და უზომოდ გაიხარა, როცა ცოლ-შვილის ამბავი ვუამბეო. რაც დაუჭერიათ, მას აქეთ იმათი ამბავი არაფერი გაუგიაო. გარდა ამისა, მათ წამოსაყვანად ერთი მომცრო ხომალდით რამდენიმე აზნაურსა გზავნის, და ესენი, საცაა, მოვლენო.

მახარობელს დიდი სიხარულით დაუხვდნენ და მოუსმინეს. კურადომ სწრაფად რამდენიმე მეგობარი იახლა და მადონა ბერიტოლასა და ჯუსფრედის წასაყვანად წამოსული კაცების დასახვედრად გასწია; გულმხიარული მიეგება და წამოიყვანა ნადიმზე, სადაც ჯერ კიდევ შუა ქეიფამდე არ იყვნენ მისულნი. აქ მადონა ბერიტოლა, ჯუსფრედი და ყველა დანარჩენი მოსულთ ისეთი სიხარულით დაუხვდნენ, რომ მსგავსი მხიარულება გაგონებითაც კი არ გაგონილა. გამოგზავნილები, სანამ სუფრას მოუსხდებოდნენ, არიგეტოს მხრით მიესალმნენ და, როგორც შეეძლოთ, მადლობა გადაუხადეს კურადოსა და მის მეუღლეს იმ პატივისათვის, რომელიც უციათ მისი მეუღლისა და შვილისათვის; თან დასძინეს — არიგეტო მზად გახლავთ, რაც გენებებათ, ყველაფერი გააკეთოს, იმის ცდაშიღაა, ოღონდ კი გაამოთ როგორმეო. მერე მიმართეს მესერ გასპარინოს, რომლის სიკეთის ამბავი, ის-ის იყო, გაიგეს და მოახსენეს: არიგეტო რომ გაიგებს, თუ რა სიკეთე უყავით სკაჩატოს, დარწმუნებული გახლავართ, თქვენც ამნაირადვე გადაგიხდით მადლობას, თუ მეტად არაო. ამის შემდეგ კარგად მოილხინეს ახლად ჯვარდაწერილების პატივსაცემად გამართულ ქორწილში.

კურადომ მარტო ამ დღეს როდი გაუმართა ლხინი თავის სიძესა და სხვა ნათესავებსა და მეგობრებს, არამედ მრავალჯერ გადაიხადა ასეთი ლხინი.

ლხინი რომ გათავდა, მადონა ბერიტოლამ, ჯუსფრედიმ და სხვებმა თქვეს, ახლა კი წასვლის დროაო. ჩასხდნენ ხომალდში, შიგ ჩაისვეს სპინაცა და წამოვიდნენ. გამოთხოვებისას კურადომ, მისმა მეუღლემ და გასპარინომ ბევრი ცრემლი ღვარეს. რადგან ზურგქარი დაუდგათ, სიცილიაში მალე მოვიდნენ. არიგეტო პალერმოში დაუხვდა როგორც ვაჟებსა, ისე ქალებს ეგზომ გახარებული, რომ იმის გამოთქმა ენით შეუძლებელია.

ამბობენ, რომ ესენი დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ და, როგორც მადლიერნი მათზე გარდმოვლენილ წყალობისათვის, მარადჟამ იგონებდნენ მამაზეციერსაო.

ამგავი მეშვიდე. გარბოს მეფის საცოლე

ბაბილონის სულთანმა გარბოს (პორტუგალიაში) მეფეს საცოლედ გაუგზავნა ერთი თავისი ასულთაგანი, მაგრამ სხვადასხვა შემთხვევათა გამო, ოთხის წლის განმავლობაში ქალი სხვადასხვა ადგილებში ცხრა კაცის ხელში გაივლის; ბოლოს მამას ვითომ ისევ ქალწულად უბრუნდება; აქედან გარბოს მეფესთან გაემგზავრება, როგორც წინათ ჰქონდა განზრახული, რომ ცოლად მისთხოვდეს.

ემილიას მოთხრობა ცოტა კიდევ რომ გაგრძელებულიყო, მადონა ბერიტოლას და მის მწუხარებათა სიბრალული და თანაგრძნობა ახალგაზრდა ქალებს თავს ვერ შეაკავებინებდა და ცრემლებს აღვრევინებდა. მოთხრობა რომ დასრულდა, დედოფალს ენება შემდეგი მოთხრობა პამფილოს ეთქვა; პამფილო სულ მუდამ მორჩილი და აღმასრულებელი იყო მისი ბრძანებისა, და ამიტომ ასე დაიწყო: — მშვენიერო ქალებო! ჩვენთვის ძნელია იმისი ცოდნა, თუ რა არის ბედნიერებისათვის საჭირო, რადგან, როგორც ეს ხშირად ხდება, ზოგნი ფიქრობდნენ, რომ თუკი როგორმე გავმდიდრდით, უდარდელად და უშიშრად შეგვიძლია ცხოვრებაო, და ამიტომ არამც თუ ლოცვით შესთხოვდნენ ამას უფალსა, არამედ არავითარ გაჭირვებასა და განსაცდელს არ ერიდებოდნენ და შეუპოვრად ცდილობდნენ, შეეძინათ ქონება; და თუმცა თავიანთს საწადელს ეწეოდნენ, მაგრამ მერე გამოჩნდებოდნენ ისეთები, რომელნიც განიზრახავდნენ ასეთი დიდი მემკვიდრეობის დაპატრონებას და ამიტომ ხოცავდნენ ამ ქონების პატრონებს. წინათ კი, სანამ გამდიდრდებოდნენ, ამათ უყვარდათ ესენი და მათი სიცოცხლისთვის ზრუნავდნენ. იყვნენ დაბალი წოდებისანიც, რომელნიც მრავალ, განსაცდელით აღსავსე ბრძოლათა წყალობით, რომლის დროსაც იღვრებოდა სისხლი მათი ძმებისა და მეგობრებისა, მიაღწევდნენ სამეფო ტახტის სიმაღლეს და ეს მიაჩნდათ უმაღლეს ბედნიერებად. მაგრამ მერე დაინახავდნენ და დარწმუნდებოდნენ, რომ ასეთი ცხოვრება სავსე იყო ათასგვარ ზრუნვითა და გულისხეთქებით, და სიკვდილი მიახვედრებდათ, რომ სამეფო სუფრაზე ზოგჯერ ოქროს ფიალით საწამლავის დალევას მოუხდებოდათ ხოლმე. ბევრნი ყოფილან ასეთნი, რომელნიც ხორციელ ღონესა და სილამაზესა ნატრობდნენ, ზოგნი კიდევ

სხვადასხვა გარეგნულ სამკაულზე იყვნენ გადაგებულნი, მაგრამ ესენი მხოლოდ მაშინ დარწმუნდებოდნენ, რომ მათი ნატვრა უგუნურება იყო, როდესაც ეს ხდებოდა ხოლმე მათი სიკვდილის ან გამწარებული სიცოცხლის მიზეზად. აბა, სად ჩამოგითვალოთ ყველაფერი ,რასაც კი ადამიანის გული ნატრობს ხოლმე, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ არ არის ისეთი წადილი, რომ აირჩიოს სიკვდილის შვილმა და თან სრულიად დარწმუნებული იყოს, რომ ამ ნატვრას თან არა სდევდეს ბედის უკუღმართობაც. ამიტომ თუ გვსურს ჭკვიანად მოვიქცეთ, უნდა მზად ვიყოთ ყოველივე იმის მისაღებად და დასაუფლებლად, რასაც მოგვანიჭებს ის, ვინც იცის, თუ რა გვჭირია და შეუძლია, ეს ჩვენ მოგვმადლოს.

მაგრამ თუ მამაკაცები სცოდავენ იმით, რომ სხვადასხვა სიკეთეს ნატრობენ, თქვენ, მშვენიერებო, სცოდავთ ერთ რაშიმე, სახელდობრ: ნატრობთ სილამაზეს და იმ ზომამდეც, რომ არა სჯერდებით იმ სიმშვენიერეს, ბუნებამ რომ მოგანიჭათ და გასაოცარი ოსტატობით ცდილობთ გაამრავლოთ ეს სიმშვენიერე. ამიტომ, მე მსურს გიამბოთ, თუ მისდა საუბედუროდ, რაზომ მშვენიერი იყო ერთი სარაცინელი ქალი, რომელმაც თავისი სილამაზის გამო ოთხი წლის განმავლობაში ცხრაჯერ გადაიხადა ახალ-ახალი ქორწილი.

ძველად ბაბილონში ცხოვრობდა ერთი სულთანი, ბემინედაბი, რომელსაც თავისი დღენი ტკბილად გაეტარებინა. ამ სულთანს ბევრი ესვა შვილი, როგორც ქალი, ისე ვაჟი. მათს შორის ერთი ქალი ჰყავდა, რომელსაც ალატიელი ერქვა. ვინც ნახავდა, ყველა ამას გაიძახოდა — ასეთი ლამაზი ქალი ჯერ დედის მუცელს არ უშობიაო. ერთხელ სულთანს არაბები შემოესივნენ და იმანაც მტრის ურიცხვი ჯარი საშინლად დაამარცხა. ამ ბრძოლაში სულთანს დიდი დახმარება გაუწია გარბოს მეფემ, რომელმაც სთხოვა როგორც განსაკუთრებული წყალობა, მისთვის თავისი ლამაზი ქალი მიეთხოვებინა. სულთანმაც აღუთქვა. ერთს დღეს თავის ქალს გააყოლა მოახლენი და მსახურნი, მზითვად მისცა მრავალი ძვირფასი ნივთი, ჩასვა კარგად შეჭურვილ და გამოწყობილ ხომალდში. გზა დაულოცა და გაისტუმრა სასიძოსაკენ.

მენავეთ, რომ დაინახეს, დარი დაგვიდგაო, გაშალეს იალქნები და ალექსანდრიის ნავსადგურიდან გავიდნენ. რამდენიმე დღეს მშვიდობიანად მოგზაურობდნენ. გასცდნენ სარდინიას და რომ ამბობდნენ, საცაა, გავლევთ გზასაო, ამ დროს ერთბაშად ამოვარდა საშინელი პირქარი, ხომალდს, სადაც სულთანის ქალი და მეზღვაურნი ისხდნენ, ნაფოტსავით იქით-აქეთ ისროდა, ასე რომ მოგზაურთ რამდენჯერმე სთქვეს — დავიღუპეთო. მაგრამ მეზღვაურებმა, როგორც მამაცმა ხალხმა, ყოველი ღონე და ყოველი ცოდნა იხმარეს აბობოქრებულ ბრძოლაში, და ორი დღის განმავლობაში გაუძლეს. მაგრამ მესამე დღეს ქარიშხალმა არამცთუ არ იყუჩა, პირიქით უფრო და უფრო იმძლავრა. მგზავრთ არ იცოდნენ, რა ადგილას იმყოფებოდნენ, რადგან ეს ვერ გაიგეს ვერც საზღვაო გაზომვით, ვერც

თვალებით, რადგან ცა მოგრაგნილი იყო შავი ღრუბლებით და ღამეც ბნელი. და ჰა, რომ დაინახეს, მაიოლიკას კუნძულს ცოტათი გავცდითო, შეამჩნიეს, ხომალდში წყალი შედიოდა. გადარჩენის ყოველი საშუალება რომ მოესპოთ, ყველამ თავის თავისათვის დაიწყო ზრუნვა. ზღვაში ნავი ჩაუშვეს და შიგაც ხომალდის პატრონები ჩასხდნენ, რადგან იმედი ჰქონდათ, თუ გადარჩენაა, ნავში უფრო გადავრჩებით, ვიდრე ძირგახვრეტილ ხომალდშიო. ხომალდში დარჩენილებმა თითო— თითოდ მოინდომეს ნავში გადასვლა, მაგრამ ადრე ჩასულებმა ხელში დანები დაიჭირეს და იმით დაიწყეს მათი მოგერიება. მაგრამ საცა ეგონათ, სიკვდილს გადავრჩითო, სწორედ იქ გაეთხარათ სამარე. ზღვის ღელვის გამო ნავმა ვერ გაუძლო ამდენი ხალხის სიმძიმეს, გადაბრუნდა და მასთან ერთად ეს ამოდენა ხალხიც დაიღუპა. ხომალდი კი, რომელსაც ქარიშხალი ჩქარა მიერეკებოდა, თუმცა დაზიანებული იყო და თითქმის გაივსო წყლითა (შიგ ჩარჩნენ მხოლოდ პატარძალი და მისი მოახლეები, რომელნიც შიშისგან და ზღვისაგან ნაწყენები მკვდრებივით ეყარნენ ერდოზე), გაქანებული დაეჯახა კუნძულ მაიოლიკას ნაპირს. ისეთის სიძლიერითაც დაეჯახა, რომ მთლიანად შეიჭრა ქვიშაში და ისე ახლოც იყო ნაპირთან, რომ გასროლილ ქვას მიუწვდენდა კაცი, თუმცა მთელი ღამე ეხეთქებოდა ზედ ზღვის ტალღები, მაგრამ ქარმა ადგილიდან ძვრაც ვერ უყო.

მეორე დღეს მშვენიერი დღე გამოვიდა და ღელვაც ცოტათი დამშვიდდა. ცოცხალმკვდარმა პატარძალმა თავი წამოწია და მიკნავლებული ხმით დაუწყო ძახილი ხან ერთ მოახლესა და ხან მეორეს. მაგრამ ამაოდ ეძახდა, ისინი ძალიან შორს იყვნენ. და რადგან მათგან ვერავისა ჰხედავდა და აღარც ხმა ესმოდა მაგათი, ჯერ საშინლად გაუკვირდა და მერე შიშმა შეიპყრო. დიდი გაჭირვებით ზეზე წამოდგა და დაინახა, რომ მისი მოახლენი და სხვა ქალები სულ ხომალდის ერდოზე ეყარნენ უძრავად. ბევრი ძახილის შემდეგ ხან ერთთან მივიდა და ხან მეორესთან და ხელით შეანძრია, მაგრამ გრძნობა თითქმის არავისა ჰქონდა, რადგან ზღვის წყენისა და შიშისაგან ყველანი დახოცილიყვნენ. ამან უფრო თავზარი დასცა ქალსა. მაგრამ მაინც, რადგან აქ მარტოდ-მარტოდ დარჩენილს უნდოდა ვისთვისმე რჩევა ეკითხნა და გაეგო, თუ სად იყო და სად არა, ცოცხლად თუ ვინმე იყო დარჩენილი, იმდენი ანჯღრია, რომ ზეზე წამოაყენა; კითხვით კი ჰკითხა, თუ რა იქნენ კაცებიო, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არა იცოდა რა; რომ დაინახა, ხომალდი ნაპირად გამოუგდია ზღვასა და წყლით გავსებულაო, სხვებთან ერთად მწარედ აქვითინდა.

უკვე დილის ცხრა საათი იქნებოდა, მაგრამ ვერც ნაპირად ხედავდნენ ვისმე და ვეღარც სხვაგან, რომ მიშველებოდნენ და გაჭირვებისაგან დაეხსნათ; მეათე საათზე შემთხვევით გამოიარა ერთმა აზნაურმა, რომელიც თავის მამულიდან ბრუნდებოდა. მისი სახელი და გვარი იყო პერიკონ და ვიზალგო. მასვე მიჰყვებოდენ ცხენოსანი შინაყმები. პერიკონმა ხომალდი რომ დაინახა, მაშინვე მიხვდა, თუ რა ამბავიც უნდა მომხდარიყო და ერთ მსახურთაგანს უბრძანა — უეჭველად ადი ხომალდზე, გაიგე ყველაფერი, რაც მომხდარა და

მერე მომახსენეო. მსახურს ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მაინც აბობღდა გემის ერდოზე და დაინახა ახალგაზრდა ლამაზი ქალი, და მასთან რამოდენიმე მოახლე; ყველანი შეშინებულნი გემის ცხვირთან მიყუჟულიყვნენ. ამათ მსახური რომ დაინახეს, ტირილი დაიწყეს და შველა სთხოვეს; მაგრამ რომ დაინახეს, რომ ერთი-მეორის ენა არ ესმოდათ, შეეცადნენ ნიშნებით გაეგებინებინათ, თუ რა უბედურება გადახდათ თავსა.

მსახურმა, რამდენადაც შეიძლებოდა, კარგად დაათვალიერა იქაურობა და ნანახი პერიკონს უამბო. პერიკონმა მაშინვე ძირს ჩამოასხმევინა ქალები და ხომალდზე თუ რა ძვირფასი ნივთებიც მოიძებნებოდა ან რის პოვნაც კი შეიძლებოდა, ჩამოატანინა და ქალებთან ერთად თავის კოშკში გაისტუმრა. აქ ქალები კარგად დაასვენეს, კარგად ასვეს და აჭამეს. მასპინძელი მიხვდა, რომ ამ ძვირფასი ნივთების პატრონი ვინმე დიდი კაცის ქალი უნდა იყოსო. ეს იქიდანაც სჩანდა, რომ სხვა ქალები მარტო ამას სცემდნენ განსაკუთრებულ პატივს. თუმცა ზღვის წყენისაგან ფერი დაჰკარგვოდა ქალსა და ტანისამოსიც ჩამოშლოდა, მაგრამ მაინც მისი პირისახის ნაკვთებზე ეტყობოდა, რომ მშვენიერი ვინმე უნდა ყოფილიყო. ამიტომ პერიკონემ გულში იფიქრა: თუ გასათხოვარია, უეჭველად შევირთავ ცოლადო; თუ ცოლად ვერ შევირთავ, საყვარლად მაინც მეყოლებაო.

პერიკონემ მამაცი სახის გამომეტყველებისა და მეტად ღონიერი იყო. მისი ბრძანებით რამდენიმე ხნის ძალიან მოუარეს ქალს. ისიც ამის წყალობით სავსებით მოკეთდა და ვაჟმა დაინახა, რომ ქალი მეტად მშვენიერი იყო. მხოლოდ იმასა სწუხდა, რომ ვერც იმას გაეგებინებინა რამ ქალისათვის, და ვეღარც ქალს მისთვის. არ იცოდა, როგორ გაეგო, თუ ვინ ან სადაური იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, მისმა სილამაზემ გულში უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა გაუღვივა და შეეცადა მოხდენილი და ალერსიანი ქცევით ქალი დაეყოლიებინა, მისი ნებით აესრულებინა თავისი სურვილი, მაგრამ ვერას გახდა: ქალი მის არშიყობას არაფრად აგდებდა. ამით უფრო მოიყვანა ჟინზე პერიკონე.

ალატიელი ერთის მხრით ამას ამჩნევდა, და რადგან უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც ამ კოშკში ცხოვრობდა, შეამჩნია, რომ ქრისტიანთა შორის იმყოფებოდა და ისიც ისეთ ადგილას, სადაც თავისი ვინაობის გამჟღავნება მისთვის გამოსადეგი არ იქნებოდა, თუნდაც რომ შესძლებოდა ამის გამჟღავნება. ალატიელმა კარგად გაითვალისწინა, რომ ადრე იქნებოდა თუ გვიან, ძალით იქნებოდა თუ სურვილით, მაინც მომიხდება პერიკონეს სიყვარულის დაკმაყოფილებაო. და ამიტომ გადაწყვიტა სულგრძელებით დაეძლია ყოველი განსაცდელი, რასაც უბედო ბედი უგზავნიდა. და თავის მოახლეთ, რომელთაგან სამი-ღა შერჩა, უბრძანა, ვინც უნდა გკითხოთ, არავის უთხრათ თქვენი სადაურობაო. თქვენი ვინაობა მხოლოდ მაშინ გამოამჟღავნეთ, თუ ისეთ ადგილას მოხვდებით, სადაც მართლაც რომ გვიშველიან და თავისუფლებას მოგვანიჭებენო. თანაც დაარიგა, უეჭველად დაიცავით ქალწულობაო და არწმუნებდა — მე თვითონ ჩემი სიქალწულით მხოლოდ ჩემს ქმარს დავატკბობ და სხვას

არავისო. მოახლეებმა ძალიან აქეს ალატიელი ამისათვის და დაჰპირდნენ — რაც შეგვიძლია, ვეცდებით, თქვენი ბრძანება ავასრულოთო.

პერიკონეს სიყვარულის ალი მით უფრო ედებოდა, რაც ახლო უყურებდა თავის სურვილის საგანს და რაც უფრო უარზე იდგა ქალი მის თხოვნაზე და რომ ნახა, ჩემი ალერსით ფონს ვერ გავალო, მიმართა ხერხს და ეშმაკობას; ძალადობას-კი მაშინ-ღა მივმართავ, თუ გამიჭირდა და იმის იქით გზა არ მექნაო. არაერთხელ შეუმჩნევია, რომ ქალს ღვინის სმა ესიამოვნებოდა, თუმცა ამას ჩვეული არ იყო, რადგან მისი სარწმუნოება უკრძალავდა სმას. ამიტომ პერიკონემ გადაწყვიტა, ალატიელი დაემორჩილებინა ღვინითა, როგორც ღვთაება ვენერას პირველი თანაშემწითა.

პერიკონემ თავი ისე დაიჭირა, ვითომ ყურადღებასაც არ აქცევდა იმას, ქალს ღვინო ეჯავრებოდა თუ არა. ერთ საღამოს რაღაც დიდი დღეობა მოიმიზეზა და მშვენიერი ვახშამი დაამზადებინა და ამ ვახშამზე ალატიელიც მოიწვია. ვახშამი მეტად მხიარულად მიდიოდა. პერიკონემ ქალისათვის მიჩენილ მსახურს უბრძანა — ერთმანეთში არეული სხვადასხვა ღვინო ასვიო. მსახურმაც ზედმიწევნით აასრულა ბატონის ბრძანება. ალატიელმა ეს ვერ შეამჩნია, ხოლო ნარევი სასმელი ძალიან ეტკბილა, დაეწაფა და იმდენი სვა, რომ მის სათნოებას უკვე არ შეეფერებოდა. ამასობაში სრულებით გადაავიწყდა განვლილი გაჭირვება და გამხიარულდა. რომ დაინახა, ზოგიერთი აქ დამსწრე ქალი ისე ცეკვავდა, როგორც მაიოლიკის კუნძულზე ცეკვავენ ხოლმე ქალებიო, იმანაც ისე იცეკვა, როგორც ალექსანდრიაში იციან ქალებმა ცეკვა. პერიკონე ამას რომ უყურებდა, გულში თქვა: ღმერთმა მომხედა და, საცაა, ვეწევი საწადელსაო. მისი ბრძანებით უფრო უმატეს საჭმელებსა და სასმელსა, ასე რომ ვახშამი გაჭიანურდა და უკვე შუაღამეს კარგად იყო გადასული.

დასასრულ, სტუმრები რომ დაიშალნენ, პერიკონე ალატიელთან ოთახში შევიდა. ქალი ისე იყო გაბრუებული ღვინისაგან, რომ დაავიწყდა სირცხვილ-ნამუსი, პერიკონეს წინაშე ტანთ გაიხადა მოურიდებლად, თითქო მისი მსახური ქალი ვინმე ყოფილიყოს, და ქვეშაგებში შეცურდა. პერიკონეს ყოყმანი არ დაუწყია, რომ მისთვის მიებაძნა: ჩააქრო სანთელი და ისწრაფა გვერდით ამოსწოლოდა. გულში ჩაიხუტა და, ქალი სრულებით არც-კი გასძალიანებია, ისე დაეწაფა ნეტარებას. ქალმა რაკი ერთი გაიღო გემო და გაიგო, თუ კაცები როგორის რქებით ირქინებიან, დანანდა: რა სულელი ვყოფილვარ, რომ პერიკონეს ალერსზე უარს ვეუბნებოდიო! მერე თვითონ აღარც კი უცდიდა ასეთსავე ტკბილ საღამოებზე დაპატიჟებას, ხშირად თვითონვე პატიჟებდა თავის თავს და რაკი აქაურთა ენა არ იცოდა, ნიშნებით ანიშნებდა თავის სურვილს. მართალია, პერიკონე და ალატიელი ასე ტკბილად ატარებდნენ დროებას, მაგრამ უბედო ბედი იმას არ დასჯერდა, რომ მეფის მეუღლე მეფის რაინდის საყვარლად აქცია, არამედ საწინაოდ კიდევ უარესად მოწამლული სიყვარული დაუმზადა.

პერიკონეს ჰყავდა ახალგაზრდა, ოცდახუთი წლის ძმა, სახელად მარატო ერქვა. ლამაზი და ქორფა იყო, როგორც ვარდი. ამ ყმაწვილმა ალატიელი დაინახა თუ არა, მაშინვე ძალიან მოეწონა და რამდენადაც შესძლო მიხვედრილიყო ქალის ქცევას, მოეჩვენა, იმასაც უნდა მოვწონდეო. და თანაც ფიქრობდა: ჩემი ძმა პერიკონე ასე ერთგულად რომ არა სდარაჯობდეს, არაფერი შემიშლიდა ხელს საწადელს მივწეოდი და ქალს დავპატრონებოდიო. ამიტომ გულში საზარელი აზრი ჩაესახა და ამ აზრის ჩასახვას დაუყოვნებლივ მოჰყვა თვით შემაძრწუნებელი მოქმედებაც.

ამ დროს ქალაქის ნავსადგურში შემთხვევით იდგა ერთი ხომალდი, საქონლით დატვირთული, და რომანიაში კიარენცას წასასვლელად ემზადებოდა. ამ გემის პატრონები იყვნენ ახალგაზრდა გენუელები. იალქნები გაშალეს და ზურგქარის ამოსვლასღა უცდიდნენ, რომ გზას დასდგომოდნენ. მარატო მოელაპარაკა გენუელებს: ხვალღამ ქალს მოვიყვან და ორივენი უნდა წაგვიყვანოთო. ამათგან რომ წამოვიდა, მოიფიქრა, თუ რაც უნდა ექნა. როცა დაღამდა, წავიდა პერიკონესთან, რომელსაც მისი შიში გულშიაც არ გაევლო, თან იახლა ერთგული ამხანაგები, რომელთაც ამ საქმეში დახმარება სთხოვა, და ჩუმად კოშკში შეიპარნენ. თვითონ კიდე, ამხანაგებთან დადებული პირობის თანახმად, შიგნით დაიმალა. მერე, როცა ღამის კაი ძალი დრო გავიდა, ამხანაგებს კარი გაუღო და გაემართა იმ ოთახისაკენ, სადაც პერიკონე ალატიელთან ერთად იწვა. გააღეს კარი და მძინარე პერიკონე მოჰკლეს. გამოღვიძებულ და ატირებულ ქალს დაემუქრნენ, თუ ხმა-კრინტი დაგიძრავს, ცოცხალი არ გადაგვირჩებიო და წამოიყვანეს. გაიტაცეს აგრეთვე პერიკონეს ძვირფასი ნივთები, ასე რომ არავის არ გაუგია, და საჩქაროთ გასწიეს ნაპირისაკენ. აქ მარტო დაუყოვნებლივ ავიდა ხომალდზე დაქალიც ზედ აიყვანა, მისი ამხანაგები კი უკან დაბრუნდნენ.

მეზღვაურებმა, რაკი მაგარი ზურგქარი დაუდგათ, გაშალეს იალქნები და გაუდგნენ გზას. ალატიელი, როგორც თავის პირველ უბედურებას, ისე ამ მეორესაც მწარედ გლოვობდა, მაგრამ მარატომ ისე კარგად და მოხერხებულად ანუგეშა, რომ ქალი დაუმეგობრდა და სრულებით გადაავიწყდა პერიკონე. და ქალს ეგონა, ახლა კი ყველაფერი კარგად მიდისო, მაგრამ უბედო ბედმა ახალი მწუხარება დაატეხა თავზე, თითქო რაც გადახდა, არ ეყოვო.

როგორც არაერთხელ გვითქვამს, ქალი მეტად ლამაზი იყო და ქცევაც და ზრდილობაც ნატიფი ჰქონდა, ასე რომ ხომალდის ახალგაზრდა პატრონთ ორსავე ისე შეუყვარდათ, რომ სხვა ყველაფერი დაავიწყდათ და იმასღა ფიქრობდნენ, როგორ ემსახურნათ ან როგორ ეამებინათ ალატიელისათვის, თუმცა ამავე დროს ცდილობდნენ, მარატოს ვერ შეემჩნია, თუ რისთვის იყვნენ ასე თავაზიანად ქალთან. ხომალდის პატრონებმა შეამჩნიეს, რომ ალატიელი ერთსაც უყვარდა და მეორესაც და ამიტომ ერთად საიდუმლოდ ითათბირეს: დავეპატრონოთ ამ ქალსა და მერე ორივემ ერთად ვიყოლიოთ საყვარლადო; ალბათ, როგორც ვაჭრებს,

ეგონათ — თითქო სიყვარული საქონელი ან მონაგები ფულივითაა და იმის გაყოფაც შეიძლებაო. თანაც ხედავდნენ, რომ მარატო ძალიან უფრთხილდებოდა ქალს და ეს გარემოება ხელს უშლიდა მათი განზრახვის ასრულებას.

ერთ დღეს მთელი თავისი სისწრაფით მიექანებოდა ხომალდი, მარატო ბოლოში დამდგარიყო და ზღვას გადასცქეროდა, გემის პატრონების შიში არცკი ჰქონდა. ამათ კი ერთმანეთში მოილაპარაკეს, უკანიდან მიეპარნენ, თვალის დახამხამებაზე ხელები სტაცეს და ზღვაში გადაუძახეს. უკვე მთელი მილის მანძილი ჰქონდათ გავლილი, სანამ გაიგებდნენ ზღვაში მარატოს ჩავარდნას. ალატიელმა ეს რომ გაიგო და რაკი არ შეიძლებოდა მისი გადარჩენა, ხომალდს გადაეყუდა და მწარედ აქვითინდა.

ორივე შეყვარებული მაშინვე ქალთან გაჩნდა ნუგეშისსაცემლად და შეეცადნენ ტკბილი სიტყვებით და დაპირებებით დაემშვიდებინათ ქალი, რომელსაც მათი ნათქვამი არცკი ესმოდა და დასტიროდა იმდენად დაღუპულს ქმარს კი არა, არამედ თავის მწარე ხვედრს და უბედო ბედს.

მიუსამძიმრეს, ბევრი სანუგეშო სიტყვები უთხრეს, დიდხანს ელაპარაკნენ და როცა სთქვეს, ახლა კი ვანუგეშეთ და დავამშვიდეთ, ერთმანეთთან დაიწყეს თათბირი — ჩვენში პირველად რომელმა უნდა წაიყვანოს ქალი, რომ გვერდით მოუწვესო. თითოეული მათგანი იძახდა — არა, მე უნდა მოვუწვე პირველად, არა მეო; შეჰყვნენ ლაპარაკს, ერთიმეორეს მკვახე-მკვახე სიტყვებიც აკადრეს, მერე განრისხდნენ და მოიმარჯვეს დანები, გამძვინვარებულნი ეკვეთნენ ერთმანეთს და მრავალ ალაგას დასჭრეს (გემზე მყოფთ ვერ გააშველეს). მეორე, თუმცა ბევრი ალაგას იყო დაჭრილი, მაგრამ მაინც ცოცხალი გადარჩა.

ეს ამბავი ძალიან ეწყინა ალატიელს, რადგან გემზე ხელახლა უპატრონოდ დარჩა და რჩევის მიცემა არავის შეეძლო. ძალიან ეშინოდა, ვაითუ ამ ხომალდის პატრონების ნათესავებმა და მეგობრებმა ჩემზე იყარონ ჯავრიო, მაგრამ დაჭრილმა ხვეწნა-მუდარა დაუწყო და თან მალე კიარენცაშიაც მივიდნენ და ყოველმავე ამან ქალი სიკვდილისაგან იხსნა. ქალი და დაჭრილი ნაპირად გავიდნენ და სასტუმროში ჩამოხტნენ.

მთელს ქალაქს უცბად მოედო ალატიელის სიმშვენიერის ამბავი. ამ ამბავმა მიაღწია მორეის მთავრის ყურამდეც, რომელიც იმ ხანებში კიარენცაში იმყოფებოდა. მთავარმა ალატიელის ნახვა მოინდომა. რომ ნახა, როგორც აქებდნენ, იმაზე მეტად მოეწონა და ერთბაშად ისე ძლიერად შეეყვარდა, რომ თვინიერ იმის სხვა არაფერზე ჰფიქრობდა. გამოიკითხა, აქ რამ მოიყვანაო, და რომ გაიგო ყველაფერი, თქვა, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა დავეპატრონოო. მისი დაპატრონების საშუალებას რომ ეძებდა, დაჭრილის მშობლებმა გაიგეს მისი სურვილი და დაუყოვნებლივ მიართვეს ქალი. მთავარს ძალიან ეამა ესა; ქალსაც

გაეხარდა, იმიტომ რომ იფიქრა, დიდს ხიფათს თავი დავაღწიეო.

მთავარმა რომ დაინახა, ალატიელი არა მარტო მშვენიერია, არამედ დედოფლურადაც უჭირავს თავიო, რაკი სხვაფრივ მისი ვინაობის გაგება არ შეეძლო, სთქვა, ცხადია, ვინმე კეთილშობილი ქალიაო და ამიტომ მისდამი სიყვარული უფრო გაუორკეცდა; მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობოდა და ექცეოდა ისე კი არა, როგორც საყვარელს, არამედ როგორც კანონიერ მეუღლეს. ამიტომ ალატიელმა განვლილი დარდი და მწუხარება სრულებით დაივიწყა და რადგან კარგი პატივი ჰქონდა, გამხიარულდა და მისი სილამაზე ისე გაიფურჩქნა, რომ მთელს რომანიაში, მგონი, მხოლოდ ესღა ჰქონდათ სალაპარაკო.

ალატიელის სილამაზის ამბავი ახალგაზრდა, მშვენიერმა და მამაცმა ათენის დუკამაც გაიგო. დუკა მეგობარი და ნათესავი იყო მორეის მთავრისა და მოიწადინა ენახა ლამაზი ქალი, ვითომ მთავრის სანახავად წამოვიდაო, რაც არაერთხელ უქნია, ბრწყინვალე და საპატიო ამალა იახლა და მოვიდა კიარენცაში, სადაც დიდი ზეიმითა და პატივისცემით დაუხვდნენ. რამდენიმე დღეს უკან ლაპარაკი ჩამოვარდა დუკასა და მთავარს შორის ამ ქალის სილამაზეზე. დუკამ ჰკითხა: მართლა ისეთი მშვენიერია, როგორც ამბობენო? ამაზე მთავარმა უპასუხა: „უფრო მეტიცაა; მაგრამ მინდა ამაში ჩემმა სიტყვებმა კი არა, შენმა თალებმა დაგარწმუნოს“. დუკამა სთხოვა ქალის ჩვენება და ორივე ერთად გაემართნენ იქითკენ, სადაც ალატიელი იყო. ქალმა წინდაწინვე იცოდა, რომ მის სანახავად მოდიოდნენ და მეტად ალერსიანად და მხიარულად დაუხვდა. ქალი შუაში ჩაისვეს, მაგრამ მასთან ბაასით ვერ ისიამოვნეს, რადგან ამათი ენა ძალიან ცოტა ან, უკეთ რომ ვთქვათ, სულ არ ესმოდა. ამიტომ ყოველი მათგანი ქალს ისე უყურებდა, როგორც საოცრებას რასმე, განსაკუთრებით დუკა, რომელსაც ვერცკი დაეჯერებინა თავისი თავი, თუ მის წინაშე მიწიერი არსება იყო. იმან ისიც კი ვერ შეამჩნია, რომ ქალის ყურებაში თვალებით ეწაფებოდა სიყვარულის შხამს. დუკა ფიქრობდა, რომ მისი ცქერით მხოლოდ სიამოვნებას ვანიჭებ ჩემ თავსაო, მაგრამ ამ ცქერამ ამაოდ არ ჩაუარა: გაგიჟებით შეუყვარდა ქალი.

მერე ქალს გამოეთხოვნენ და დუკა და მთავარი წამოვიდნენ. დუკა მარტო რომ დარჩა, თავის გულში ამბობდა: მთავრისთანა ბედნიერი ცათა ქვეშე არავინაა, რადგან ასეთი მშვენიერის არსების პატრონიაო. ბევრი იფიქრა, ბევრი თავი იმტვრია, თავისი გაშმაგებული სიყვარული პატიოსნებაზე უფრო მაღლა დააყენა და გადაწყვიტა: რაც უნდა დამემართოს, მთავარს უნდა გამოვწირო ეს ბედნიერება და მე უნდა დავეპატრონოო. რადგან ფიქრობდა, რომ აჩქარებაა საჭიროო, ყური არ ათხოვა, რასაც გონება ეუბნებოდა ან სამართლიანობა უკარნახებდა და მთელი თავისი აზრი იქითკენ მიმართა, რომ მოტყუებით გასულიყო ფონს.

და, აჰა, ერთ დღეს, მის მიერ შემუშავებული ბოროტი გეგმის თანახმად, დუკამ მოიმხრო მთავრის გულით მისანდო მსახური, რომელსაც ჩურიაჩი ერქვა, მას შეუთანხმდა და ჩუმად

ბრძანება გასცა, მისი ცხენები შეეკაზმათ და ბარგი შეეკრათ, რომ წასასვლელად მზად ყოფილიყვნენ. შუაღამისას ხსენებულმა ჩურიაჩიმ დუკა და ერთი მისი ამხანაგი, ორივე შეიარაღებული, ჩუმად შეუშვა მთავრის ოთახში. ქალს ეძინა, თითონ მთავარი კი, რაკი დიდი სიცხე იდგა, ფანჯარასთან დამდგარიყო, ზღვის ნაპირს გადაჰყურებდა და თავი იქიდან მომავალ ნიავისათვის შეეშვირა. დუკას მისი ამხანაგი წინდაწინვე განზრახული ჰყავდა, თუ რა უნდა ექნა, ფეხაკრეფით გაიარა ოთახი, უკანიდან მიეპარა თავადს, წელში ჩასცა დანა და მეორე მხარეს გაუტარა. მერე უცბად ხელი დაავლო და ფანჯრიდან გადაუძახა. სასახლე ზღვას გადასცქეროდა და ძალიან მაღალი იყო. ხოლო ის ფანჯარა, საიდანაც იცქირებოდა მთავარი, ზოგიერთ ქოხს დაჰყურებდა. ეს ქოხები ზღვის ტალღებს ქვეშიდან გამოერეცხა. ადამიანი ამ ქოხებისაკენ იშვიათად ან სულ არ შემოივლიდა, ამიტომ თითქო წინდაწინ ჰქონდა დუკას გათვალისწინებული, რომ მთავრის ჩამოგდებას ვერავინ დაინახავდა ან ვერ შესძლებდა დაენახა. დუკას ამხანაგმა რომ დაინახა, ერთ საქმეს მოვრჩითო, მარდად გადმოიღო მის მიერვე მიტანილი თოკი, თითქო ჩურიაჩის ეალერსებაო, კისერზე გადაუგდო და ისე ნაუჭირა, რომ ჩურიაჩიმ კრინტიც ვერ დასძრა; ამასობაში დუკაც მიეშველა, ორივემ ერთად წაახრჩვეს და მთავრის სხეულს ესეც დააყოლეს. ამას რომ მორჩნენ და დარწმუნდნენ, რომ რაც მოხდა, არც ალატიელს უგრძვნია და არც სხვა ვისმეო, დუკამ ხელში აიღო სანთელი და მიიტანა ლოგინთან და ფრთხილად საბანი გადახადა ქალს, რომელსაც გულისძილით ეძინა; კარგად რომ დააკვირდა, უსაზღვრო ნეტარება იგრძნო. თუ ეს ქალი ჩაცმული ასე მოსწონდა, ჩაუცმელმა და შიშველმა უმეტესად მოსჭრა თვალები. ამიტომ უსაზღვრო ვნებამ შეიპყრო. არც კი ეშინოდა მის მიერ, ეს-ეს არის, ჩადენილი ბოროტებისა და, ჯერ ისევ ხელებგასისხლიანებული, გვერდით მოუწვა. ქალი ისევ ძილში იყო და ეგონა, — გვერდით მთავარი მომიწვაო. ერთხანს ასე ტკბილად დაჰყო ქალთან, მერე წამოდგა, შემოიხმო რამდენიმე თავისი თანამგზავრი და უბრძანა — ქალი ისე აიყვანეთ, რომ ხმაურობა არავითარი ატეხოთო. იმათაც ქალი იმ საიდუმლო კარით გაიყვანეს, რომელშიაც დუკა შემოვიდა და შესვეს ცხენზე. მაშინ დუკამ, რაც შეიძლებოდა ჩუმად, გაიყოლა ამალა, დაადგა გზას და ათენში დაბრუნდა.

მაგრამ რადგან აქ ცოლი ჰყავდა, ათენში კი არ წაიყვანა დუკამ ალატიელი, არამედ ერთ თავის მშვენიერ მამულში დააბინავა, რომელიც ქალაქგარეთა ჰქონდა, ზღვის ნაპირას. უსაზომოთდ დაძმარებული ქალი ჩუმადა ჰყავდა შენახული, მიუჩინა მოსამსახურენი და უბრძანა, პატივი ეცათ და რაც დასჭირდებოდა, ყველაფერი მიერთმიათ.

შემდეგ დილას ცხრა საათამდე ელოდნენ კარისკაცნი მთავრის ადგომას, მაგრამ რაკი არავინა ჩანდა, ოთახის კარს, რომელიც მხოლოდ მიხურული იყო, მიაწვნენ და შეაღეს. მაგრამ შიგ ვერავინ იპოვეს. იფიქრეს, ალბათ მთავარი სადმე წავიდა, რომ ტკბილად გაატაროს რამდენიმე დღე თავის მშვენიერ ქალთანო, ამიტომ იმაზე ფიქრს თავი დაანებეს.

ამასობაში მეორე დღეს ერთი სულელი შესულა შემთხვევით ნანგრევებში, სადაც მკვდარი მთავარი და ჩურიაჩი ეყარნენ. თოკს ხელი მოჰკიდა, გამოათრია ჩურიაჩი და ასე თრევით წამოვიდა. ჩურიაჩის გვამი ბევრმა იცნო და საშინლად გაიოცეს. მოეფერნენ სულელს და სთხოვეს, ეჩვენებინა ის ადგილი, საიდანაც გვამი გამოათრია. რომ მივიდნენ, დაინახეს მთავრის გვამიც. მთელ ქალაქს უზომო გლოვა შეექმნა და მთავარი შესაფერისი პატივით მიაბარეს მიწას. როცა შეუდგნენ დამნაშავეთა ძიებას, დაინახეს, რომ ათენის დუკა იქ არ იყო, ჩუმად გაპარულიყო და დაასკვნეს ის, როგორც უნდა მომხდარიყო, ე. ი. ეს საქმე დუკას ჩადენილია და ქალიც მისი მოტაცებულიაო.

ამიტომ გარდაცვალებული მთავრის ალაგას მისი ძმა დასვეს და უთხრეს, აბა თქვენ იცით, თუ ძმის სისხლს არ შეარჩენთ მტერსაო. ახალი მთავარი კიდევ სხვა საბუთების ძალითაც დარწმუნდა, რომ საქმე მართლა ისე მომხდარა, როგორც ჰფიქრობდა: ამიტომ სხვადასხვა მხრიდან იხმო მეგობრები, ნათესავები და ყმები, ხელად შეადგინა დიდი და ძლიერი ჯარი და ათენის დუკას წინააღმდეგ გაილაშქრა.

დუკამ რომ გაიგო, თავის მხრივ მთელი თავისი ძალა დასახვედრად მოამზადა; მთავრებიც ბევრნი წამოვიდნენ მისაშველებლად. მათ შორის იყვნენ კონსტანტინეპოლის იმპერატორის გამოგზავნილებიც, უფლისწული კონსტანტინე და იმპერატორის ძმისწული მანუელი, დიდი და მშვენიერი ჯარით. ახალმოსულებს დუკა დიდი პატივით დაუხვდა, ასევე დაუხვდა დუკას მეუღლეც, რომელიც მათი ნათესავი იყო.

ომის გამოცხადებას დღითიდღე ელოდნენ. მეუღლემ დრო შეარჩია, ორივე ნათესავი ოთახში შეიყვანა, აქ მათთან ტირილი და წუწუნი დაიწყო და მთელ ამბავს მოუყვა, თუ ომი რამ გამოიწვია ან დუკამ ერთი ქალის გამო რა შეურაცხყოფა მიაყენა მას. ეს ქალი დამალული ჰყავს სადღაცაო. შესჩივლა თავის ნათესავებს თავისი მდგომარეობა და სთხოვა, თქვენ იცით, რასაც იზამთ ისე, რომ დუკას სახელს ჩირქი არ მოეცხოს და მეც ნუგეშცემული ვიქნეო.

ყმაწვილკაცებმა ეს ამბავი ყველაფერი იცოდნენ, ამიტომ მეტი არაფერი უკითხავთ დუკას ცოლისთვის და როგორც შეეძლოთ, ნუგეში სცეს: საქმეს ისე მოვაწყობთ, რომ გაგიხარდესო. მხოლოდ, გამოჰკითხეს, სად უნდა იყოს ის ქალი დამალულიო, და მოშორდნენ. და რადგან ამ ქალის გასაგიჟებელ სილამაზის ამბავი ხშირად სმენოდათ, დუკას სთხოვეს მისი ჩვენება. დუკას სრულებით დაავიწყდა ისა, თუ რა მოუვიდა მორეას მთავარს იმისთვის, რომ დუკას ეს ქალი აჩვენა, და ჩვენებას დაჰპირდა. მერე ერთ მშვენიერ ბაღში (იმ მამულში, საცა ეს ქალი ჰყავდა დამალული) სადილი მოამზადებინა და თავის ცოლის ნათესავები და რამდენიმე მათი ამხანაგი მოიწვია.

კონსტანტინე გვერდით მოუჯდა დუკას და გაოცებით დაუწყო ყურება ქალს და თავის გულში ამბობდა — ასეთი ლამაზი ქალის მნახველი ჯერ არა ვარო და დუკას, თუ სხვა ვინმე იქნებოდა, ასეთი ქალის შოვნისათვის ღალატი თუ სხვა რამ უპატიოსნება ყველაფერი უნდა ეპატიოსო; ქალს რაც უფრო აცქერდებოდა, მით უფრო ეჭრებოდა გულში მისი სიყვარული და იმასაც ის დაემართა, რაც დუკას. ქალს უზომოდ შეყვარებული გაშორდა, ომი სრულებით გადაავიწყდა და იმასღა ჰფიქრობდა, როგორ წავართვა ეს ქალი დუკასო. თანაც ცდილობდა, არავისათვის გაემხილა თავისი სიყვარულის ამბავი.

მაგრამ სანამ კონსტანტინეს ეს ცეცხლი ეკიდებოდა, მოახლოვდა დრო მორეას მთავრის საწინააღმდეგოდ გალაშქრებისა, ამიტომ დუკა, კონსტანტინე და სხვები, გაცემული ბრძანების თანახმად, ათენიდან გავიდნენ და საზღვართან დასახვედრად ჩავიდნენ, რომ მთავარს წინ წამოწევა არ შესძლებოდა. აქ რამდენიმე დღეს დარჩა კონსტანტინე. თქვა თავის გულში, რომ რაკი დუკა თავის საგრეთოს დაშორებულია, თუ შემიძლია, ახლა შემიძლია გულის წადილით ავისრულოვო. ამიტომ იმისთვის, რომ ათენში დაბრუნების მიზეზი ჰქონოდა, თავი ძალზე მოიავადმყოფა. მერე დუკას თანხმობით მთელი თავისი ძალა-უფლება მანუელს გადასცა და ათენში დაბრუნდა დასთან. აქ რამდენიმე დღეს დარჩა და დას ჩამოუგდო ლაპარაკი: დუკა ცუდად მოგექცა ამ ქალისათვის, რომელიც საყვარლად ჰყავს, თუ გინდა, დაგეხმარები ამ საქმეშიო, ე. ი. საყვარელს, საცა არის, იმ ადგილიდან მოვიტაცებ და შორს გადავკარგავო. დუკას მეუღლეს მართალი ეგონა, რომ კონსტანტინე ამას ჩემი სიყვარულით შვრებაო და არა ჩემი ქმრის ხასისთვისაო, ამიტომ უთხრა: ძალიან დაგიმადლებ, თუ ყველაფერს ისე იზამ, რომ ქმარმა ვერ გაიგოს, რომ შენ ჩემი თანხმობაცა გქონდაო. კონსტანტინეც დაჰპირდა. მაშინ დუკას მეუღლემ უთხრა: რაც გინდა, ის ჰქენი, მე ყაბულსა ვარო.

კონსტანტინემ ბრძანა გამოეწყოთ ერთი მსუბუქი ნავი. შიგ მყოფ ხალხს უბრძანა, რა უნდა ექნათ, და ნავი ერთ ღამეს მოაყენებინა იმ ბაღს ახლო, სადაც დუკას ხასა ცხოვრობდა. მერე რამდენიმე კაცი იახლა და წავიდა სასახლისაკენ, სადაც ალატიელი იმყოფებოდა. აქ ქალი და მისნი მსახურნი მხიარულად დაუხვდნენ კონსტანტინეს. მერე კონსტანტინეს სურვილით ქალი ბაღში ჩამოვიდა და თან ჩამოჰყვნენ მსახურნი და კონსტანტინეს მხლებელნი. დუკამ თქვენთან სათქმელი რამ დამაბარაო და ქალსა სთხოვა განზე გაჰყოლოდა. ქალიც გამოჰყვა და გამოემართნენ იმ კარისაკენ, რომელიც ზედ ზღვას დასცქეროდა. ეს კარი მხლებლებს უკვე გაეღოთ. აქედან ნავს დაუძახა, ქალი ციმციმ ააყვანინა და შიგ ჩაასმევინა, მერე მიუბრუნდა მოახლეებს და უთხრა: „ღმერთი არ გაგიწყრეთ და ხმა-კრინტი არ დასძრათ, თორემ აქვე გაგათავებთ; არ გეგონოთ, რომ დუკასთვის საყვარლის მოტაცება მინდოდეს, არა, მე მინდა ის სირცხვილი მოვბანო ჩემ დას, რომელიც ქმარმა აჭამაო“. ამაზე საწინააღმდეგოს თქმა ვერავინ გაუბედა კონსტანტინეს. კონსტანტინე

და მისნი მხლებელნი ნავში ჩასხდნენ. კონსტანტინე ატირებულ ქალს გვერდით მოუჯდა, მერე უბრძანა, ხოპები მოისვით წყალსო, და გაუდგნენ გზას.

მენავენი კი არ მიცურავდნენ, მიფრინავდნენ, ასე რომ, მეორე დღეს განთიადისას უკვე ეგინაში ჩავიდნენ. აქ ხმელეთზე გავიდნენ და დაისვენეს. კონსტანტინემ აქ ქალთან, რომელიც თავის შავსვიან სილამაზეს დასტიროდა, საკმაოდ ილაღობა. მერე ისევ ნავში ჩასხდნენ და რამდენიმე დღის შემდეგ კუნძულ ხიოსზე გავიდნენ. კონსტანტინეს ეშინოდა, მამა არ გამიჯავრდეს და მოტაცებული ქალი არ წამართვანო, და არჩია ამ კუნძულზე, როგორც უშიშარ ადგილზე, დარჩენა. აქ ქალი რამდენიმე დღეს დასტიროდა თავის უბედურ ხვედრს, მაგრამ მერე კონსტანტინესაგან ნუგეშცემულ იქნა და, როგორც წინათ არაერთხელ დამართვნია, სასიამოვნოდ ეჩვენა ის, რაც ბედმა არგუნა.

სანამ ეს ამბები ხდებოდა, მაშინდელი სულთანი ოსმალების, უზბეკი, რომელიც განუწყვეტლივ ეომებოდა კონსტანტინეპოლის იმპერატორს, შემთხვევით სმირნაში ჩამოვიდა. აქ უამბეს, რომ კონსტანტინეს ერთი ქალი მოუტაცნია და მასთან ხიოსის კუნძულზე ავხორცულ ცხოვრებას ეწევა და არც ვისიმე ერიდებაო. უზბეკმა ეს რომ გაიგონა, აღჭურვა რამდენიმე მცირე ნავი და ერთ ღამეს გაემგზავრა ხიოსისაკენ და ჩუმად თავის კაცებიანად ხმელეთად გავიდა. ბევრი ჯერ ისევ ლოგინშივე შეიპყრო, სანამ ესენი მტრის თავდასხმას გაიგებდნენ, და, დასასრულ, ვინც გამოიღვიძა და იარაღს წაავლო ხელი, დაუხოცველი არავინ გაუშვა; აქაურობა სულ იავარჰყვეს. მერე ნავები ნადავლით და ტყვეებით დატვირთეს და სმირნაშივე დაბრუნდნენ. აქ რომ ჩამოვიდნენ, უზბეკმა, რომელიც ჯერ ისევ ახალგაზრდა იყო, გასინჯა ნადავლი და წამოიყვანა ტყვეები, და ამ უკანასკნელთა შორის დაინახა ერთი ლამაზი ქალი; უზბეკმა იცოდა, რომ ეს სწორედ ის ქალი იყო, რომელიც კონსტანტინეს ეწვა ლოგინში და მასთან ერთად მძინარე მოიტაცეს. ამ ამბავმა უსაზღვროდ გაახარა. მაშინვე ცოლად შეირთო, მშვენიერი ქორწილი გადაიხდა და რამდენიმე თვის განმავლობაში მასთან წოლით ნეტარობდა.

ამ ხანებშივე კონსტანტინეპოლის იმპერატორს კაპადოკიის მეფე ბაზანოსთან მოლაპარაკება ჰქონდა: ერთი მხრიდან თავის ჯარებით კაპადოკიის მეფე უნდა დასხმოდა თავს უზბეკს, ხოლო მეორე მხრიდან თავის ჯარებით იმპერატორს შეეტია. მაგრამ ამ პირობის დადება ვერ მოხერხდა, რადგან ბაზანო ისეთს რასმე თხოულობდა, რომლის შესრულება იმპერატორს ემძიმებოდა და თავისთვის შეუფერებლად მიაჩნდა. მაგრამ როცა გაიგო, რაც დაემართა მის შვილს, საშინლად შეწუხდა, კაპადოკიის მეფეს მოთხოვნილება დაუყოვნებლივ აუსრულა და შეუთვალა, რაც შეიძლება ჩქარა უნდა დაესხათ უზბეკსაო. თვითონაც მეორე მხრიდან შესატევად მზადებას შეუდგა.

უზბეკმა ეს რომ გაიგო, თავის ჯარებს ერთად მოუყარა თავი და სანამ ორი ძლიერი

ხელმწიფე ერთიმეორეს ხელი-ხელს მისცემდა, გაილაშქრა კაპადოკიის მეფის წინააღმდეგ. სმირნაში თავისი მზეთუნახავი ცოლი ერთ ერთგულსა და მისანდო მსახურს და მეგობარს ჩააბარა. რამდენიმე ხნის შემდეგ შეხვდა პირისპირ კაპადოკიის მეფეს და შეებრძოლა, მაგრამ ამ ბრძოლაში მოკვდა, ხოლო მისი ჯარი ოტებულ იქნა და იქით-აქეთ დაიფანტა. გამარჯვებული მეფე კაპადოკიისა თავისუფლად წამოვიდა სმირნისაკენ და გზაში, როგორც გამარჯვებულს, ხალხი მორჩილებას უცხადებდა. უზბეკის მსახური, რომელსაც ანტიოკო ერქვა და ჩაბარებული ჰყავდა ლამაზი ქალი, თუმცა ხანშიშესული იყო, მაგრამ ქალის მშვენიერებას რომ უყურებდა, დაავიწყდა თავის მეგობრისა და ბატონის ნდობა, უღალატა და ქალის სიყვარული გულში ჩაუვარდა. ამანვე იცოდა ქალის ენა (თვითონ ქალს ძალიან გაეხარდა ესა, იმიტომ რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ყრუ-მუნჯივით ცხოვრობდა, რადგან არც სხვისი ნათქვამი ესმოდა და აღარც მისი ნათქვამი ესმოდა ვისმე) და სიყვარულისაგან გათამამებულმა ისე შინაურულად დაუწყო მოპყრობა ქალს, რომ მოკლე ხანში, დაავიწყდათ თავიანთი ბატონი, რომელიც ომში იყო და მტერს ებრძოდა, და მათ შორის არამცთუ მეგობრული კავშირი დამყარდა, არამედ ზეწარქვეშ მოქცეულები ერთი-მეორეს საუცხოვო სიამოვნებას ანიჭებდნენ. როცა საყვარლებმა გაიგეს, უზბეკი მტერს დაუმარცხებიაო და მომკვდარაო, ხოლო ბაზანო მოდის და გზა-გზა ყველაფერს ანადგურებსო, გადაწყვიტეს — ბაზანოს მოსვლას ნუღარ დავუცდითო, უზბეკის ძვირფასი ნივთების უმეტესი წილი გაიტაცეს და ჩუმად ორნივე კუნძულ როდოსზე გაიპარნენ.

აქ დიდხანს არ უცხოვრიათ ისე, ანტიოკო ავად გახდა და სიკვდილის პირას იყო მისული. ამ დროს შემთხვევით მასთან მოვიდა ერთი კვიპრელი ვაჭარი, მისი დიდად საყვარელი და ერთგული მეგობარი. სიკვდილის მოახლოვება რომ იგრძნო, ანტიოკომ გადაწყვიტა — თავისი ქონება და თავისი ძვირფასი ქალი მისთვის დაეტოვებინა. რომ შეატყო, სული სხეულს უნდა გაშორდესო, იხმო ორივე და ასე უთხრა: „ვხედავ, საცაა, უნდა მოვკვდე. ეს ძალიან მაღონებს, რადგან სიცოცხლით ისე ჩემს დღეში არ დავმტკბარვარ, როგორც ახლა. უნდა გითხრათ, ხომ ვკვდები, მაგრამ ერთი რამ ძალიან მახარებს, სახელდობრ: სულ ერთია, უნდა მომკვდარიყავი, სამაგიეროდ ვკვდები ორი ადამიანის ხელში, რომლებიც მთელს ქვეყანაზე ყველაზე მეტად შევიყვარე. მართალია, იმის შემდეგ, რაც გავიცანი, საკუთარ თავზე მეტად მიყვარდა, ე. ი. შენს ხელში, ძვირფასო მეგობარო, და ამ ქალისაში, რომელიც, იმის შემდეგ, რაც გავიცანი, საკუთარ თავზე მეტად შევიყვარე. მართალია, ძალიან მიმძიმს ჩემი სიკვდილის შემდეგ მისი უპატრონოდ და უნუგეშოდ დატოვება უცხო მხარეში, მაგრამ უფრო დარდი ჩამყვებოდა სამარეში, შენ რომ არ შემსწრებოდი. მე იმედი მაქვს, ჩემი სიყვარულისთვის ამ ქალს ისე მოუვლი და უპატრონებ, თითქო მე ვიყო მის ალაგას. ამიტომ დიდის თხოვნით გთხოვ, თუ მოვკვდე, ჩემი ქონება და ეს ქალი ორივე შენთვის ჩამიბარებია და ერთსაც და მეორესაც ის უყავი, რაც შენის აზრით, ანუგეშებს და ულხენს ჩემ სულს. შენ კი, ჩემო ძვირფასო ცოლო, გთხოვ ჩემი სიკვდილს შემდეგ არ დამივიწყო, რათა საიქიოში

შემეძლოს დავიკვეხო: სააქაოს ისეთ მშვენიერ ქალს ვუყვარდი, რომლის მსგავსი ჯერ ბუნებას არ გაუჩენია-მეთქი. თუ თქვენ ორივე ამ ორი საგნის შესახებ სრულ იმედს მომცემთ, მაშინ უეჭველია, გულდამშვიდებული წავალ საიქიოს“.

მეგობარმა ვაჭარმა და აგრეთვე ცოლმა ეს სიტყვები რომ გაიგონეს, ტირილი დაიწყეს. ანტიოკომ ლაპარაკი რომ გაათავა, ანუგეშეს და შეჰფიცეს: თუ ღმერთი გაწყრა და რამე მოგივიდა, ისე მოვიქცევით, როგორცა გვთხოვდიო. ანტიოკო ვერ მორჩა და გარდაიცვალა. ქალმა და ვაჭარმა შესაფერისი პატივით გაასვენეს და დაასაფლავეს.

რამდენიმე დღის შემდეგ როდოსზე ყოველი თავისი საქმე მოისაქმიანა ვაჭარმა და გადაწყვიტა კვიპროსში დაბრუნებულიყო ერთი კატალანური გემით, რომელიც ნავსადგურში იდგა. ლამაზსა ჰკითხა: მე კვიპროსზე უნდა დავბრუნდე და შენ რაღას აპირებო? ქალმა უპასუხა: „თუ თქვენ გინდათ, სიამოვნებით გამოგყვებით და იმედი მაქვს, როგორც ანტიოკოს საყვარელი მეგობარი, ისე მომეკიდებით, როგორც დასა“. ვაჭარს ძალიან გაეხარდა ქალის პასუხი და უთხრა: „სანამ კვიპროსში ჩავალთ, გზაში იმის ნებას არავის მივცემ, ცუდი რამ გაკადრონ, ყველას ასე ვეტყვი, ჩემი ცოლია-მეთქი“.

ორნივე ჩასხდნენ ხომალდში და გაემგზავრნენ. ხომალდის ბოლოშივე ერთი სულ პატარა ოთახი მისცეს. ტყუილში რომ არავის დაეჭირა ვაჭარი და არ წამოეძახებინა — შენი ცოლი არ არისო, ერთ პატარა საწოლზე ქალთან ერთად იწვა. ამიტომ მოხდა ის, რაც როდოსიდან გასვლის დროს არც ერთსა და არც მეორეს ფიქრადაც არ მოსვლია, სახელდობრ: სიბნელეში, მოხერხებულმა და თბილმა ლოგინმა, რაიცა ადამიანზე ძალიან მოქმედობს (დაავიწყდათ გარდაცვლილ ანტიოკოს მეგობრობა და სიყვარული) ორსავე თანაბარი მადა აღუძრა და ერთი-მეორე წააქეზებინა და ბაფაში ჩასვლამდე, სადაურიც იყო ვაჭარი, უკვე ერთმანეთს დაუმოყვრდნენ. ბაფაში რომ ჩავიდნენ, ქალი კარგახანს განაგრძობდა ვაჭართან ცხოვრებას.

ბაფაში შემთხვევით რაღაც საქმისთვის ერთი აზნაური მოვიდა, რომელსაც სახელად ანტიგონო ერქვა. ხნიერი და მეტად ჭკვიანი იყო, მაგრამ ქონება ნაკლებად ებადა, რადგან როცა კვიპროსის მეფესთან იყო სამსახურში, ბედი არა სწყალობდა და საქმეები უკუღმართად მისდიოდა. ერთხელ ანტიგონომ გაიარა იმ სახლის წინ, სადაც ლამაზი ქალი იდგა. კვიპროსელი ვაჭარი კი სომხეთში იყო და წასული თავისი საქონლის გასასაღებლად. შემთხვევით ანტიგონომ ფანჯარასთან მდგარ ქალს თვალი მოჰკრა. მისი სწორუპოვარი სილამაზე ძალიან მოეწონა და დაშტერებით დაუწყო ცქერა. მერე მოინდომა მოეგონებინა, თუ სად ენახა ეს ქალი, მაგრამ ვერასგზით მოიგონა. მშვენიერი ქალი, რომელსაც ბუნება ამდენი ხნის განმავლობაში ბურთსავით ათამაშებდა, ახლა უნდა მოსწრებოდა იმ დროს, როცა მის ტანჯვა-წვალებას ბოლო უნდა მოღებოდა. ანტიგონო რომ დაინახა, მოაგონდა: ეს

კაცი ოდესღაც მამაჩემთან მსახურობდა ალექსანდრიაში და პატარა ადგილიც არა სჭერიაო. ერთბაშად იმედი ჩაესახა გულში — იქნება ამან მიშველოს და დამიბრუნოს ჩემი წინანდელი სამეფო მდგომარეობაო, და რადგან ვაჭარიც შინ არ იყო, უბრძანა, რაც შეიძლება, ჩქარა დაეძახნათ ანტიგონოსათვის.

ანტიგონო რომ მოვიდა, ქალმა მორცხვად ჰკითხა: „თუ არ ვცდები, თქვენ ანტიგონო ფამაგოსტელი უნდა ბრძანდებოდეთ“. ანტიგონომ ნათქვამი დაუმოწმა და უთხრა:

„ქალბატონო, მეცნობით, მაგრამ ვერასგზით მომიგონებია, სად გაგიცანით, ამიტომ გთხოვთ, თუ თქვენთვის სამძიმო არ იქნება, მომაგონოთ, ვინა ბრძანდებით“. ქალმა რომ გაიგონა, მართლა ანტიგონო არისო, აქვითინდა, მივარდა, ხელები ყელზე შემოურკალა და ცოტა ხნის შემდეგ საშინლად გაოცებულ ანტიგონოსა ჰკითხა: „დავიჯერო, არ გახსოვს ჩემი თავი ალექსანდრიაში? ეს რომ გაიგონა ანტიგონომ, მაშინვე მოაგონდა: სულთანის ქალი ალატიელი უნდა იყოს, ყველას ზღვაში დამხრჩვალი რომ ეგონაო. უნდოდა შესაფერი პატივი ეცა, მაგრამ ქალმა ამის ნება არ მისცა და სთხოვა, ცოტა ხანს ჩემთან დაჯექიო. ანტიგონო რომ მიუჯდა, ქალს მოწიწებით ჰკითხა: „აქ როგორ, როდის ან საიდან გაჩნდით, რადგან მთელს ეგვიპტეში ყველანი დანამდვილებით გაიძახიან: ალატიელი ეს რამდენიმე წელიწადია, ზღვაში დაიხრჩოვო“. ამაზე ქალმა უპასუხა: „აი, ნეტავ, მართლა დამხრჩვალიყავი, ის ათასწილ მერჩივნა, ისეთ დღეში ჩავარდნას, რა დღეშიც მე ჩავვარდი. და დარწმუნებული ვარ, მამაჩემიც იმასვე მინატრებდა, თუ როდესმე გაიგებდა ჩემს ამბავს“. ესა თქვა და დაიწყო გულამოსკვნილი ტირილი. ანტიგონომ ანუგეშა:

„ქალბატონო, ნაადრევად გულს ნუ გაიტეხთ. თუ შეიძლება, მიამბეთ, რაც თავს გადაგხდათ ან რა დღეში ჩავარდით. ვინ იცის, იქნებ ღმერთმა ხელი მოგვიმართოს და საქმე ისე დატრიალდეს, რომ განვლილი მწუხარება სიხარულად შეგეცვალოთ“. — „ანტიგონო, — უთხრა მშვენიერმა, — შენ რომ დაგინახე, ასე მგონია, მამაჩემს ვუყურებ-მეთქი, და იმ სიყვარულისა და ნაზი გრძნობისა გამო, რომელსაც მისდამი უნდა ვგრძნობდე, გაგიმხილე, ვინც ვიყავი, თუმცა შემეძლო დამემალნა. დამიჯერე, ქვეყანაზე არავის ნახვა გამეხარდებოდა ისე, როგორც შენი ნახვა გამიხარდა. ამიტომ შენ ისე, როგორც ჩემს მშობელ მამას, გაგიმჟღავნებ იმას, რაც უბედურმა ბედმა თავს დამატეხა და რასაც ყველას მუდამ ვუმალავდი. როცა ყველაფერს გიამბობ, თუ დაატყობ, რომ შეგიძლია როგორმე წინანდელი მდგომარეობა დამიბრუნო, გთხოვ, თავი არ დაზოგო და ცდა არ დააკლო;

ხოლო თუ არ შეგიძლია, გეხვეწები არავის უთხრა, რომ შემხვდი ანდა ჩემგან რამე რომ გაიგონე“.

ეს რომ თქვა ქალმა, ცრემლების ყლაპვით უამბო ანტიგონოს ყველაფერი, რაც გადახდა

იმ დღიდან მოკიდებული, რაც მაიოლიკაში გააგდო ხომალდმა, ვიდრე აქ მოვიდოდა. ეს რომ მოისმინა, ანტიგონოს ქალი შეებრალა და ტირილი დაიწყო. ცოტა ხანს დაფიქრდა და უთხრა: „ჩემო დედოფალო, რაკი იმ ხნის განმავლობაში, რაც ესდენი უბედურება გადაგხდენიათ, ვერავის გაუგია თქვენი ვინაობა, სიტყვას გაძლევთ, მამათქვენთან დაგაბრუნოთ და მამას უფრო ეყვარებით, ვიდრე წინათ უყვარდით. და მერე გარბოს მეფეს მივუყვან თქვენს თავს, როგორც ცოლს“. როცა ქალმა ჰკითხა, როგორ იზამთ ამასაო, დაწვრილებით მოუყვა, რაც უნდა ექნა. და რომ არ მომხდარიყო რამე ისეთი, რომ, ვინიცობაა, საქმე გაჭიანურებულიყო, ხელი არ შეეშალნა, ანტიგონო დაუყოვნებლივ დაბრუნდა ფამაგოსტაში, წარუდგა მეფეს და მოახსენა: „ჩემო ხელმწიფეო, თუკი თქვენი ნება იქნება, შეგიძლიათ თქვენთვისაც სასახელო საქმე გააკეთოთ და მეც, თქვენის წყალობით გაღატაკებულს, დიდი წყალობა მიყოთ ისე, რომ თქვენ არაფერი დაგიჯდეთ“.

— როგორაო, ჰკითხა მეფემ. მაშინ ანტიგონომ უპასუხა: „ამჟამად ბაფაში იმყოფება ახალგაზრდა ლამაზი ქალი სულთანისა, რომელიც, დიდი ხანია, ზღვაში დაღუპული ეგონათ; თავისი პატიოსნებისა და ნამუსის შესანარჩუნებლად, ვინ იცის, რა უბედურება არ გადახდენია თავს. ახლა საცოდავ მდგომარეობაში იმყოფება და სურს როგორმე მამასთან დაბრუნდეს. თუ ინებებთ და აქედან ჩემს თავს გააყოლებთ, თქვენთვის დიდი სახელი იქნება და ჩემთვის — მეტად ხელსაყრელი; დარწმუნებული გახლავართ, სულთანი თქვენს ასეთ პატივისცემას თავის დღეში არ დაივიწყებს“. მეფემ წმინდა მეფური სულგრძელობა იხმარა და უთხრა, რომ ვიზამ, რასაცა მთხოვო. გაგზავნა საპატიო ხალხი და ალატიელი ფამაგოსტაში ჩამოაყვანინა. აქ მეფე და დედოფალი დიდის ამბით დაუხვდნენ ქალს და ყოველგვარი პატივი მიაგეს. როცა მეფემა და დედოფალმა სთხოვეს, თქვენი თავგადასავალი გვიამბეთო, ალატიელიც მოუყვა და ყველაფერი უამბო, როგორც ანტიგონომ დაარიგა. რამდენიმე დღის შემდეგ ალატიელმა სთხოვა მეფეს, ახლა კი გამიშვითო, და იმანაც აახლა საპატიო ამალა ქალებისა და კაცებისაგან შემდგარი ანტიგონოს მეთაურობით და გაისტუმრა სულთანთან.

ყველა მიხვდება, თუ რა ამბით დაუხვდნენ ალატიელს მამის სასახლეში ან რა პატივით მიეგებნენ ანტიგონოსა და ამალას! ქალმა ცოტათი რომ მოისვენა, სულთანმა ჰკითხა: როგორ გადარჩი, შვილო ცოცხალი ან აქამდე ისეთ ადგილას სადღა იყავ, რომ შენი ამბავი ვერაფერი შეგვატყობინეო? ქალს მშვენივრად ახსოვდა ანტიგონოს დარიგება, მიუახლოვდა მამას და ასე მოუყვა: „ჩემო ძვირფასო მამა, ასე მეოცე დღე იქნებოდა, რაც აქედან გავედით, საშინელი ღელვა ატყდა, ხომალდი დაზიანდა და შიგ წყალმა დენა იწყო; მერე ღამით ტალღებმა ერთ ნაპირს მიახეთქა, დასავლეთში, იმ ადგილს ახლო, რომელსაც აკვამორტა ჰქვია. ხალხს, ჩვენს ხომალდზე რომ იყო, რა მოუვიდა, არ ვიცი და ვერც მერე გავიგე. ესღა მახსოვს, რომ გათენდა, მე თითქო მკვდრეთით აღვსდექი. დამსხვრეული ხომალდი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაინახეს და ყველა მხრიდან რბენა იწყეს მის გასაძარცვავად. მე და ჩემი

ორი მოახლე ნაპირად რომ გაგვიყვანეს, ვიღაც ორმა ახალგაზრდამ მოიტაცეს მოახლენი და ერთი ერთ მხარეს გაიქცა და მეორე — მეორე მხარეს. ვერც ის გავიგე, ამ ქალებს რა მოუვიდათ: მერე ორი ყმაწვილი მომწვდა და თუმცა გავუძალიანდი, მაინც თმით დამითრიეს. მე საშინლად ვტიროდი. ერთ ტყისაკენ მიმათრევდნენ. სწორედ ამ დროს ტყიდან გამოვიდა ოთხი ცხენოსანი. ჩემ მომტაცებელთ რომ ესენი დაინახეს, შეეშინდათ, მე თავი დამანებეს და თვითონ მოჰკურცხლეს. ეს ოთხი კაცი, რამდენადაც შევატყვე, უფროსი კაცები უნდა ყოფილიყვნენ. ეს ამბავი რომ დაინახეს, ჩემსკენ გამოექანნენ და დამიწყეს გამოკითხვა ამბისა. მეც ბევრი რამ ვუამბე. მაგრამ ვერც იმათ ვერ გამაგებინეს რამე და ვერც მე გავაგებინე რამე. მერე ჯერ ერთხანს ითათბირეს და შემდეგ ერთ-ერთ თავიანთ ცხენზე შემსვეს და მიმიყვანეს ერთ-ერთ დედათა მონასტერში, რომელიც მათის სარწმუნოების წესისამებრ იყო გამართული. აქ მათი ნათქვამი არ მესმოდა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მეტად ალერსიანად დამიხვდნენ და მუდამ პატივისცემით მეკიდებოდნენ. შემდეგ მათთან ერთად დიდის მოწიწებით თაყვანსა ვცემდი წმ. კრესცის ღრმა ღელეში, რომელიც იქაურ ქალებს მეტისმეტადა სწამთ. ასე კარგა ხანს ვცხოვრობდი მათთან. მათი ენაც ცოტაოდნად რომ ვისწავლე, დამიწყეს გამოკითხვა — ვინ და ან სადაური ვიყავი. რაკი ვიცოდი, სადაურიც ვიყავი, მეშინოდა, მართალი რომ ვუთხრა, ვაითუ, როგორც მათი სარწმუნოების მტერი, აქედან გამაგდონ-მეთქი, და ამიტომ ამაზე ასე ვუპასუხე: ერთი კვიპროსელი დიდკაცის ქალი ვარ, მამამ კრეტაზე გამგზავნა, რომ იქ ქმარს გავყოლოდი, მაგრამ ზღვის ღელვამ აქეთ წამოგვიღო და ჩვენი ხომალდი დაიმსხვრა-მეთქი. და ძალიან ხშირად და ბევრ შემთხვევაში იმის შიშით, ვაითუ არამც თუ აქედან გამაძეონ, არამედ რამე უარესი დღე არ დამაყენონ-მეთქი, და მათს ჩვეულებასა ვბაძავდი. ერთხელ ამ ქალების უფროსმა, რომელსაც აბატესას ეძახდნენ, მკითხა: კვიპროსზე ხომ არ გინდა დაბრუნებაო? იქ დაბრუნების ღირსად რა გამხდის-მეთქი, ვუპასუხე. მაგრამ ამ ქალების უფროსს ეშინოდა, ჩემს პატიოსნებას ჩირქი რომ არ მოსცხებოდა და კვიპროსზე წამსვლელთ ჩემს თავს ისე ვაგლახად არავის ანდობდა. ამ ორის თვის წინად აქ საფრანგეთიდან მოვიდა რამდენიმე პატიოსანი კაცი თავიანთ ცოლებიანად, ერთი მათგანი ამ აბატესას ნათესავიც კი იყო. ესენი, როგორც თვითონა თქვეს, იერუსალიმში მიდიოდნენ წმიდა საფლავის სანახავად, სადაც მარხია ის, ვინც მათ ღმერთად მიაჩნდათ და რომელიც ურიებს მოუკლავთ. აბატესამ ჩემი თავი ამათ ჩააბარა და სთხოვა, კვიპროსზე რომ გახვიდეთ, ეს ქალი თავის მამას მიჰგვარეთო. შორს წამიყვანდა იმის მბობა, თუ რა პატივი მცეს ამ პატიოსანმა ადამიანებმა ან რა სიყვარულით მეკიდებოდნენ მათი ცოლები, ხომალდში ჩავსხედით და რამდენიმე დღის შემდეგ ბაფაში მოვედით. მოსვლით კი მოვედით, მაგრამ მერე არ ვიცოდი, რა მექნა, რადგან აქ ნაცნობები არავინა მყავდა და არც ვიცოდი, თუ რა უნდა მეთქვა ამ პატიოსანი ხალხისათვის, რომელსაც მამაჩემთან უნდა მივეყვანე, როგორც ეს პატივცემულმა ქალმა სთხოვა ჩემს შესახებ. მაგრამ ამ დროს, ღმერთმა მომხედა და ნაპირად ანტიგონო სწორედ მაშინ დამახვედრა, როცა ჩვენ, ის იყო, ხომალდიდან ნაპირად უნდა გამოვსულიყავით. მაშინვე დავუძახე და ჩვენს ენაზე გამოველაპარაკე: ისე მომეგებე,

ვითომ შენი ქალი ვიყო-მეთქი. თან არ მინდოდა, ჩემი ნათქვამი არც ამ პატიოსან კაცებს გაეგოთ და აღარც მათს ცოლებს. ანტიგონომ მაშინვე გაიგო ჩემი ნათქვამი. ძალიანაც გაეხარდა. ამ კეთილშობილ კაცებს და ქალებს, თავის შეძლებისდაკვალად, საჩუქარი უძღვნა და მე კიდევ კვიპროსის მეფესთან მიმიყვანა. მეფემ ისეთი პატივი მცა და ისეთის დიდებით გამომისტუმრა შენთან, რომ ენით ვეღარ გამოვთქვამ მის სიკეთეს. თუ კიდევ რამ დამრჩა სათქმელი, ანტიგონო, რომელსაც არაერთხელ მოუსმენია ჩემი თავგადასავალი, გიამბობს“.

მაშინ ანტიგონო მიუბრუნდა სულთანს და მოახსენა: „ჩემო ხელმწიფეო, თქვენმა ასულმა სწორედ ისე მოგახსენათ ყველაფერი, როგორც ჩემთვის თვითონ მრავალჯერ უამბნია და აგრეთვე როგორც ამას კეთილშობილი ადამიანნი და მათი ცოლები მომიყვნენ. მხოლოდ ერთი რამ გამორჩა უთქმელი. ესეც იმიტომ ჰქნა, რომ მორცხვობს და მისთვის უხერხულია ამის თქმა. დაგიმალათ ისა, რაც ამ ღირსეულმა ადამიანებმა, ვისთანაც ის ჩამოვიდა აქ, ილაპარაკეს იმ პატიოსანი ცხოვრების შესახებ, რომელსაც ალატიელი მოლოზნებთან ერთად ეწეოდა მონასტერში; ვერა თქვა თავის სიქველისა და თავის საქები ზნედაცულობის ამბავი; ვერ გიამბოთ, თუ რამდენი ივიშვიშეს და რამდენი ცრემლი ღვარეს იმ ქალებმა და კაცებმა, როცა ალატიელი მე ჩამაბარეს და გამოემშვიდობნენ. ყოველსავე ამის შესახებ სრულად რომ მოგიყოთ, არამც თუ დღევანდელი დღე, ღამეც არ მეყოფოდა საამბობლად. მაგრამ ისიც საკმარისი გახლავთ, რაც მოგახსენეთ (რამდენად შეიძლებოდა გამეგო ან მათი ნათქვამიდან ან ჩემის თვალით ნანახიდან): ჭეშმარიტად ბედნიერი ბრძანდებით, და შეგიძლიათ იამაყოთ, რომ თქვენისთანა მშვენიერი, სათნო და ღირსი ქალი არც ერთ დღევანდელ გვირგვინოსანს არა ჰყავს“.

ყოველივე ამან სულთანი უზომოდ გაახარა და ღმერთსა სთხოვდა: მომეც ძალა და შეძლება ღირსეულად მივაგო ყველას, ვინც ჩემ ქალს უშველა და პატივი სცაო; განსაკუთრებით შემაძლებინე სამაგიერო გადავუხადო კვიპროსის მეფეს, რომელმაც ჩემი ქალი ასეთი პატივისცემით დამიბრუნაო.

რამდენიმე დღის შემდეგ ანტიგონოსათვის ძვირფასი საჩუქრები დაამზადებინა და გაისტუმრა კვიპროსზე, ხოლო მეფეს წერილებითა და საგანგებო დესპანების პირით უზომო მადლობა შეუთვალა ყოველივე იმისათვის, რაც მისი ქალისათვის პატივი ეცა.

ბოლოს სულთანმა მოისურვა დასრულება იმ საქმისა, რომელიც დაიწყო, ე. ი. მისი ქალი გარბოს მეფის ცოლად რომ გამხდარიყო. ამიტომ მეფემ ყველაფერი აუხსნა და, გარდა ამისა, ისიც მისწერა, — თუ გნებავთ ჩემის ქალის შერთვა, კაცები გამოაგზავნეთ და წააყვანინეთო.

გარბოს მეფეს ძალიან გაეხარდა ეს ამბავი, საპატიო დესპანები გამოგზავნა ქალის

წამოსაყვანად და დიდის აღტაცებითაც დაუხვდა. ხოლო ალატიელი, რომელმაც ცხრა მამაკაცთან, შეიძლება, ათიათასჯერ მეტად იგემა სიტკბოება, მეფეს გვერდით მოუწვა, როგორც თანამეცხედრე და უბიწო და დაჯერა კიდეცა, ასეთი ვიყავიო.

ხალხი ტყუილად კი არ ამბობს ამ ანდაზას: „ეოცნისაგან ბაგენი კი არ იკუმშებიან, არამედ მთვარისებრ განახლდებიან ხოლმე“.

ამბავი მერვე. უდანაშაულოს გამართლება

ანჟერის კონტს ტყუილად ცილი დასწამეს და სამშობლოდან განდევნეს. თავისი ორი შვილი სხვადასხვა ადგილას დააბინავა ინგლისში. მერე შვილების სანახავად რომ მივიდა, შვილებმა ვერ იცნეს. გული დაიმშვიდა, რომ ორივე კარგად ცხოვრობდა. შემდეგ საფრანგეთის მეფის ჯარში მეჯინიბედ შევიდა. ბოლოს, უდანაშაულოდ იცნეს და დაუბრუნეს თავისი წინანდელი მდგომარეობა.

ლამაზი ქალის სხვადასხვა თავგადასავლის გაგონებაზე ქალები ხშირად ოხრავდნენ, მაგრამ, ვინ იცის, რა იყო მიზეზი მათი ოხვრა-ხვნეშისა? ვინ იცის, იქნებ მათ შორის ისეთებიც ერივნენ, რომლებიც ამ ქალის სიბრალულით კი არა ხვნეშოდნენ, არამედ იმიტომ, რომ ნატრობდნენ, რა იქნებოდა, რომ იმ დალოცვილ ღმერთს ჩვენთვისაც მოეცა იმდენი ქმრებიო! თავი დავანებოთ ამ კითხვის გამოძიებას. როდესაც ქალებმა იცინეს პამფილოს ამბის საბოლოო სიტყვებზე და დედოფალმა დაინახა ამბავი დასრულებულაო, მიუბრუნდა ელიზას და უბრძანა, ახლა იმას ეთქვა რამე. ამან სიამოვნებით აასრულა იმის ბრძანება და ასე დაიწყო: — დღეს ჩვენ ისეთ ვრცელ მინდორზე დავდივართ, არავინ მეგულება ისეთი, რომ ამ მინდორზე ერთი კი არა, მთელი ათი გზა არ გააკეთოს სრულებით თავისუფლად. ბედმა ეს ველი მოჰფინა მრავალი საკვირველი და თვისი შედეგებით მძიმე შემთხვევით; და ამიტომ ამ აურაცხელ შემთხვევათა შორის ამოვირჩევ ერთს და მოგახსენებთ.

იმ ხანებში, როცა რომზე ბატონობის უფლება ფრანგების ხელიდან გერმანელთა ხელში გადავიდა, ამ ორ ერს შორის დიდი შუღლი და მტრობა ჩამოვარდა, ატყდა საშინელი და ხანგრძლივი ომი. ამ ომის გამო, როგორც თავის ქვეყნის დასაცავად, ისე მტრის ქვეყანაში შესასვლელად საფრანგეთის მეფემ და მისმა შვილმა თავიანთი ქვეყნის ჯარებს თავი მოუყარეს, ამათ მიუმატეს ჯარები თავიანთი მეგობრებისა და ნათესავებისა, ვისაც კი მათი დახმარება შეეძლოთ. ასე რომ, უშველებელი ჯარი შეადგინეს და გადაწყვიტეს ამ ჯარით გამოსულიყვნენ მტრის წინააღმდეგ. მაგრამ სანამ გაილაშქრებდნენ, ვინმე უნდა დაეტოვებინათ ქვეყნის მომვლელად და პატრონად. ანჟერის კონტი გვალტიერი ცნობილი იყო, როგორც კეთილშობილი და ბრძენი, მათი ერთგული მეგობარი და მოსამსახურე. ისიც

იცოდნენ, რომ გვალტიერი, მართალია, გამოცდილი იყო ომის საქმეებში, მაგრამ მათი აზრით, მშვიდობიანი ცხოვრებისათვის უფრო გამოდგებოდა, ვიდრე ბრძოლის ველის გაჭირვებისათვის. და აჰა, თავიანთ მაგიერ, სამეფოს მოვლა— პატრონობა გვალტიერის ჩააბარეს და თვითონ კი სალაშქროდ გზას გაუდგნენ.

გვალტიერი შეუდგა მასზე დაკისრებული თანამდებობის ასრულებას წესიერად და ჭკვიანურად: ყოველთვის და ყველაფერზე ჯერ დედოფალსა და მის რძალთან თათბირობდა. მართალია, ორივე ქალი მისი მფარველობისა და უფლების ქვეშ იყვნენ დატოვებულნი, მაგრამ ის მაინც ისე ექცეოდა, როგორც თავის დედოფლებს და უფროსებს. გვალტიერი საუცხოო ტანადი და თვალადი იყო. ხნით ასე ორმოცი წლისა იქნებოდა, და იმდენად ზრდილი და თავაზიანი გახლდათ, რამდენადაც შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი სხვა რომელიმე კეთილშობილი; ყოველივე ამის გარდა, ისეთი მომხიბლავი და საუცხოვო რაინდი იყო, რომ იმ ხანებში სხვა მაგის მსგავსი არავინ მოიძებნებოდა, მისი ტანისამოსი და სამკაული ხომ ყველასა შურდა.

სანამ საფრანგეთის მეფე და მისი შვილი ხსენებულ ბრძოლაში იყვნენ, გვალტიერის მეუღლე გარდაეცვალა, რომლისაგან პატარა ქალ-ვაჟი დარჩა. გვალტიერი ხშირად იყო სასახლეში დედამთილ-რძალთან და მათთან ერთად თათბირობდა ქვეყნის გასაჭირის შესახებ. ამასობაში მეფის რძალს მასზე თვალი დარჩა, მეტად მოსწონდა მისი გარეგნობა და მისი ქცევა-ზრდილობა. გულში იდუმალი სიყვარული აღენთო მისდამი. ქალმა იცოდა, ახალგაზრდა და ლამაზი ვარო, გვალტიერი კიდევ უცოლოდაა დარჩენილიო, ამიტომ იფიქრა, სირცხვილის გარდა არაფერმა უნდა დამიშალოს გულის ნადები ავისრულოო, მოდი ამ სირცხვილსაც გადავლახავ და ყველაფერში გამოვუტყდებიო. ერთხელ რძალი მარტო იყო და თქვა: ნამდვილი დროა, ვითომ საქმისათვის მჭიროდეს , ვიხმობო და კაცი გაუგზავნა. კონტის აზრი მეტად შორავდა ქალის აზრს და დაუყოვნებლივ წამოვიდა. გვალტიერი, ქალის თხოვნით, მასთან ერთად ჩამოჯდა ტახტზე ოთახში, სადაც მარტო ისინი იყვნენ, და ორჯერ ჰკითხა ქალს — რისთვის მიბრძანეთ, გხლებოდითო. ქალი ჯერ ხმას არ იღებდა, მერე სიყვარულისაგან წაქეზებულმა, თითქმის ატირებულმა და აკანკალებულმა სირცხვილისაგან დამწვარმა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ასე უთხრა: „ძვირფასო და ტკბილო მეგობარო და ბატონო ჩემო! თქვენ, როგორც ჭკვიან კაცს, გეცოდინებათ სისუსტე როგორც კაცებისა, ისე ქალებისა, და ან ისა, თუ რამდენად ძლიერია ეს სისუსტე ქალებში, ან რამდენად ნაკლებია კაცებში. ამიტომ თუ მოსამართლე მართლა სამართლიანია, ერთისა და იმავე დანაშაულისათვის სულ სხვადასხვა დანაშაულისათვის სულ სხვადასხვა სასჯელს მიუსჯის, თუ ეს დანაშაული ჩადენილია სულ სხვადასხვა მდგომარეობის ადამიანთა მიერ. ისეთი ვინ იქნება, არა თქვას, ღარიბი კაცი და ქალი, რომელნიც წვითა და დაგვით შოულობენ ყოველსავე, რაც ცხოვრებისათვის საჭიროა, უფრო ღირსნი იყვნენ გაკიცხვისა იმ შემთხვევაში, თუ ესენი

სიყვარულმა გაიტაცა და მის ხმას აჰყვნენ, ვიდრე მდიდარი და უსაქმური ქალი, რომელსაც თავისი ნატვრა ყოველთვის უსრულდება? არა მგონია, ვინმე იყოს ასეთი. ამიტომ მეცა ვფიქრობ, ზემოხსენებული გარემოება, ცოტა არ იყოს, ამართლებს იმ ქალს, რომელიც ასეთს გარემოებაში იმყოფება, იმ შემთხვევაში, თუ სიყვარულს თავი გაატაცებინა; და ამ შემთხვევაში შეყვარებულ ქალს ისღა დარჩენია, აირჩიოს ჭკვიანი და ღირსეული საყვარელი და ეს გარემოება საბოდიშოდ ეყოფა. მე მგონია, ჩემში ორივე ეს პირობა არის, გარდა ამ ორი პირობისა, სიყვარულისათვის მაქვზებენ ჩემი ახალგაზრდობა და ქმრის შორს ყოფნა; ამიტომ დაე ეს გარემოება იყოს შუამდგომელი თქვენს წინაშე და ჩემის თქვენდამი მხურვალე სიყვარულის ქომაგი და მფარველი; და თუ ჩემი სიტყვები, როგორც ბრძენ კაცს, საფუძვლიანად გეჩვენებათ, გეხვეწებით მირჩიოთ რამე და დამეხმაროთ იმაში, რასაცა გთხოვთ. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი ქმრის სიშორის გამო, ვეღარ ვეურჩე ხორციელ ვნებას და ვერც სიყვარულის ძალას: ხოლო ერთიცა და მეორეც ყოვლად ძლიერნი არიან, კვლავაც დაუმონებიათ და იმონებენ დღესაც არამც თუ სუსტ ქალებს. არამედ ძლიერ მამაკაცებსაც. რაკი არაფერი მაკლდა და უსაქმურად ვცხოვრობდი, როგორც ამას თქვენ თვითონ ხედავთ, სიყვარულის სიამეს დავემონე და სიყვარულს გავეტაცვინე. განა არ ვიცი, რომ ასეთი საქმე თუ გამომჟღავნდა, უეჭველად უზნეობაში ჩამოერთმევა მის ჩამდენს; მაგრამ თუ დამალულად დარჩა, უზნეობად არ ჩაითვლება; ამასთან, ამური ჩემი ისეთი მწყალობელი შეიქმნა, რომ არამცთუ მომმადლა გონება, რომელიც ესდენ საჭიროა საყვარლის არჩევის დროს, არამედ ხელი შემიწყო და თქვენზე მიმითითა, როგორც ისეთ კაცზე, რომელიც ღირსია ისეთი ქალის საყვარლობისა, როგორიც მე ვარ. მე მგონია, არა ვცდები, როცა თქვენ მიმაჩნიხართ ყველაზე ლამაზ, სასიამოვნო, ზრდილ და ჭკვიან რაინდად მთელ საფრანგეთის სამეფოში, და ისევ, როგორც მე შემიძლია ვთქვა — უსაქმურად ვარ-მეთქი, თქვენც შეგიძლიათ სთქვათ — ცოლი არა მყავსო. ამიტომ ჩემი თქვენდამი მხურვალე სიყვარულისათვის, გთხოვთ, უარი არ მითხრათ თქვენს სიყვარულში; შეიბრალეთ ჩემი ახალგაზრდობა, რომელიც ისევე, როგორც ყინული ცეცხლისაგან, ჩემი თქვენდამი სიყვარულისაგან დნება“. ამის თქმაზე ქალს ნაკადულივით წასკდა ცრემლები. უნდოდა კიდევ ეთქვა რამე და შეხვეწნოდა, მაგრამ ცრემლებმა ხმა ჩაუწყვიტა; სახე დახარა ღონემიხდილი ადამიანის მსგავსად და თავით კონტის გულს მიეყრდნო.

კონტმა, როგორც უყვედრელი პატიოსნების რაინდმა, მკაცრად გაჰკიცხა მისი გიჟური სიყვარული, და ქალი რომელსაც უნდოდა კისერზე მოხვეოდა, თავიდან მოიშორა. თან დაიფიცა: უმალ ჩემს სხეულს ნაკუწ-ნაკუწად დავაგლეჯინებ, სანამ ჩემი ხელმწიფის პატიოსანი სახელის გალანძღვას ან მე გავბედავ ან სხვას გავაბედვინებდეო.

ქალმა ეს სიტყვები რომ გაიგონა, უცბად დაავიწყდა სიყვარული და სიბრაზისაგან გაშმაგებულმა ასე უთხრა: „მაშ, უღირსო რაინდო, გინდათ ჩემი სურვილი სამასხარაოდ

აიღოთ? თუ ჩემი სიკვდილი გნებავთ, უფალსა სთხოვეთ, მე გადამირჩეთ მოუკლავი ან ამ ქვეყნიდან აღუგვეული“. ესა თქვა ქალმა თუ არა, თმაში წაივლო ხელები, საშინლად აიჩეჩა, მერე გულზე ტანისამოსი შემოიხია და ხმამაღლა კივილი მორთო: „მიშველეთ, მიშველეთ, ანჟერის კონტს უნდა გამაუპატიუროს“. კონტმა ეს რომ დაინახა, შეძრწუნდა, მართალია საუგო არა ჩამიდენია რა და სინდისი სუფთა მაქვს, მაგრამ სასახლის ხალხის შურიანობის ამბავი რომ ვიცი, ქალის ბოროტ ცილისწამებასა და შარს უფრო დაუჯერებენ და ჩემს ალალ-მართლობას კი გააქარწყლებენო. ამიტომ სწრაფად წამოხტა, ოთახიდან და სასახლიდან საჩქაროდ გამოვიდა და თავის სახლისაკენ გამოიქცა. აქ ბევრი არ უფიქრია, ისე ორივე ბავშვი ცხენზე შესვა, თვითონაც მოაჯდა მათთან ერთად და მოჰქუსლა კალესაკენ.

დედოფლის ყვირილზე მოირბინა სასახლის ხალხმა და ქალი რომ ასეთ ყოფაში დაინახა და შეიტყო მისი ყვირილის მიზეზი, არამცთუ ქალის ნათქვამს დაუჯერეს, ისიც დასძინეს, რომ კონტი იმიტომ იცვამდა კოხტა ტანისამოსს და თავაზიანი ქცევა იმიტომ ჰქონდა, რომ, დიდი ხანია, თვალი ეჭირა დედოფალზე და უნდოდა მისი დაპატრონება. გაცოფებულნი მაშინვე კონტის სახლებისაკენ გაექანენ მის დასაჭერად. რაკი შინ არ დახვდათ, ჯერ აიკლეს აქაურობა და მერე მიწასთან გაასწორეს ყველაფერი.

ამ ამბავმა მეტად გაზვიადებულის სახით ომში მყოფი მეფისა და მისი შვილის ყურამდეც მიაღწია. ესენი საშინლად გაბრაზდნენ და საფრანგეთიდან საუკუნოდ განდევნეს როგორც კონტი, ისე მისი ჩამომავალნი; თანაც დიდ საჩუქარს დაჰპირდნენ იმას, ვინც კონტს ან ცოცხალს მოუყვანდა ან მკვდარს.

კონტი ძალიან დარდობდა, — მართალია, უდანაშაულო ვიყავი, მაგრამ რაკი გამოვიქეცი, ყველა იტყვის — ალბათ დამნაშავე იყოო. კალეში ისე ჩამოვიდა შვილებიანად, არც ვისმე გამომცნაურებია და არც ვისმე უცვნია. აქედან საჩქაროდ გადავიდა ინგლისში და ღარიბულად ჩაცმული ლონდონისაკენ გაემართა. სანამ ლონდონში შევიდოდა, თავის ორ პატარა შვილს დარიგება მისცა, განსაკუთრებით ორი რამ გახსოვდეთო: პირველი ისა, რომ ყველაფერი მოითმინეთ და გაუძელით ღარიბულ ცხოვრებას, რომელშიაც ბედმა უდანაშაულოდ ჩემთან ერთად ჩაგაგდოთო; გარდა ამისა, ათასი ქისა მარჩილისთვისაც არავის უთხრათ, სადაური ხართ ან ვისი შვილები ხართ, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებენო.

ვაჟი, რომელსაც ლუიჯი ერქვა, ცხრა წლისა იყო, ხოლო ქალი, რომელსაც ვიოლანტეს ეძახდნენ, შვიდისა თუღა იქნებოდა. რამდენადაც შეეფერებოდა მათს ჩვილ ასაკს, გულში ჩაიბეჭდეს მამის დარიგება და ეს საქმითაც დაამტკიცეს. რომ უკეთესად მიეღწია მიზნისათვის, მამამ იფიქრა, მოდი სახელებსაც გამოუცვლი შვილებსო და ასეც მოიქცა: ვაჟს პეროტო დაარქვა და ქალს — ჯანეტა.

ღარიბულად ჩაცმული მამა-შვილები ლონდონში შემოვიდნენ და დაიწყეს მათხოვრობა, როგორც ეს ფრანგმა მათხოვრებმა იცოდნენ ხოლმე. და აჰა, ერთ დილას ეკლესიის შესასვლელთან რომ იდგნენ და მოწყალებას თხოულობდნენ, გამოიარა ერთმა დიდკაცის, სახელდობრ, ინგლისის მეფის ერთ-ერთი მარშლის, ცოლმა და დაინახა კონტი და მისი ორი პატარა ბავშვი, მოწყალებას რომ თხოულობდნენ. ქალმა კონტს სადაურობა ჰკითხა და ან ეს ბავშვები შენი შვილები ხომ არ არიანო. ამაზე მამამ ასე უპასუხა: პიკარდიიდან გახლავართ. უფროსი ვაჟი ყაჩაღი გამოდგა, ერთი ისეთი საშინელი ავკაცობა ჩაიდინა, რომ მე სამშობლოში არ მედგომებოდა, და ეს ჩემი ორი შვილი წამოვიყვანე. ქალი მეტად გულშემატკივარი ადამიანი იყო, დააცქერდა პატარა გოგოს და საშინლად მოეწონა, რადგან მშვენიერი იყო და მეტად მოხდენილად და ტურფად ეჭირა თავი. მამას უთხრა: ჩემო კეთილო, ყური დამიგდე, რა გითხრა: შენი გოგონა ძალიან მომეწონა, თუ თანახმა იქნები და დამიტოვებ, დიდი სიამოვნებით ავიყვანდი; თუ კარგი ქალი დადგება, თავის დროზე შესაფერ კაცს მივათხოვებ და ბედსა ვწევო“. კონტს ძალიან გაეხარდა ქალის ნათქვამი და მაშინვე დაეთანხმა. თვალებზე ცრემლმორეულმა გადასცა გოგონა და სთხოვა, თქვენ იცით და თქვენმა ღმერთმა, როგორც უპატრონებთო.

რაკი ქალიშვილი დააბინავა და ისიც იცოდა, ვისთან ტოვებდა, გადაწყვიტა აქ აღარ დარჩენილიყო. თხოვა-თხოვით კუნძულის მეორე თავამდე იარა. აქ შვილთან ერთად მოვიდა ვალისში. გზაში ძალიან დაიღალა, რადგან ქვეითად სიარულს უჩვევი იყო. აქ კიდევ მეფის მეორე მარშალი ცხოვრობდა. მარშალი მდიდრულად ცხოვრობდა და აუარებელი მსახური ჰყავდა. ამის სასახლის ეზოში კონტი შვილიანად ხშირად შედიოდა, რადგან საჭმელ-სასმელს აძლევდნენ და ესენიც ძალ-ღონეს იკრებდნენ. ამ ეზოში ზოგი შვილი მარშლისა და ზოგიც სხვა კარისკაცთა ბავშვები თამაშობდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სირბილსა და გადახტომაში. პეროტოც მათ გაერეოდა ხოლმე და ისე მარჯვედაც ხტოდა, რომ ყველასა სჯობნიდა. მარშალიც ზოგჯერ უყურებდა ბავშვების თამაშს, ძალიან მოსწონდა კონტის შვილის სიკისკასე და იკითხა მისი ვინაობა. მოახსენეს — ერთი ღარიბი კაცის შვილია და ეს კაცი ზოგჯერ აქ შემოდის მოწყალების სათხოვნელადო. მარშალმა ბრძანა, ერთი ჰკითხეთ, თავის შვილს ხომ არ დამითმობსო? კონტი იმასღა ეხვეწებოდა უფალს, ამის პატრონადაც ვინმე აღმომიჩინეო, და სიხარულით მოახსენა — მიირთვით, ჩემო ხელმწიფეო, თუმცა შვილის მოშორება ძალიან უმძიმდა და არ ემეტებოდა.

ამნაირად, რაკი ქალ-ვაჟი დააბინავა, იფიქრა, არა ღირს ჩემი დარჩენა ინგლისშიო. რის წვალებით გადავიდა ირლანდიაში. იქ ქალაქ სტენფორდში მოჯამაგირედ დაუდგა ერთი ადგილობრივი კონტის რაინდს და ასრულებდა ყველაფერს, რაც კი მეჯინიბეს ან უბრალო მოსამსახურეს უნდა გაეკეთებინა. აქ მის ვინაობაზე ეჭვიც კი არავის აუღია, ისე დიდხანს ცხოვრობდა და მძიმე მუშაობასა და ჯაფას ეწეოდა.

ვიოლანტე, რომელსაც ახლა ჯანეტა ერქვა, და რომელიც მარშლის მეუღლესა ჰყავდა აყვანილი ლონდონში, დიდი გაიზარდა და მეტად დამშვენდა. უზომოდ უყვარდა ქალსაც და მის ქმარსაც, შინაურებსაც და საერთოდ ყველას, ვინც კი იცნობდა. მისი ყურება ყველასა ჰხიბლავდა. ვინც კი დააკვირდებოდა მის ქცევასა და მის სიტყვა-პასუხს, იტყოდა: ეს ქალი ღირსია ყოველგვარი პატივისა და სიკეთისაო. ამიტომ რაკი კეთილშობილმა ქალმა, რომელმაც ჯანეტა მამას გამოართვა, ვერაფერი გაიგო თავისი აღზრდილის ჩამომავლობისა იმის მეტი, რაც მამამ უთხრა, გადაწყვიტა ისეთი კაცისათვის მიეთხოვებინა, როგორიც მისი აზრით, შეეფერებოდა ქალის მდგომარეობას. მაგრამ უფალმა, სამართლიანმა მოსამართლემ, რომელმაც უწყის ადამიანთა იდუმალი განზრახვანი, უწყოდა, რომ ჯანეტა კეთილშობილი დედ-მამის ასული იყო და უდანაშაულოდ ისჯებოდა სხვათა მიერ ჩადენილი ცოდვისათვის, ამიტომ სხვაფრივ განსაჯა, და უნდა ვიფიქროთ, რომ კეთილშობილი დედ-მამის ქალს დაბალი ჩამომავლობის კაცი რომ არ შეხვედროდა ქმრად, იმისთვის მოაწყო, თვისის მოწყალებით, შემდეგი შემთხვევა.

კეთილშობილ ქალბატონს, ვისთანაც ჯანეტა გაიზარდა, ერთადერთი ვაჟი ჰყავდა. როგორც დედას, ისე მამას, შვილი გაგიჟებით უყვარდათ. და მარტო შვილობით კი არ უყვარდათ, არამედ უყვარდათ იმისათვისაც, რომ სათნო იყო და ბევრი რამ კარგი თვისება ჰქონდა. ყმაწვილი სხვებს ყველას აღემატებოდა თავისი ზნეობითა, სიმამაცითა, გულადობითა და ლამაზი გარეგნობით. ჯანეტაზე შეიძლება ექვსის წლით ყოფილიყო დიდი. თანაშეზრდილ ქალის სილამაზესა და სიკეკლუცეს რომ უყურებდა, იმ ზომამდე შეუყვარდა, რომ მის სახეს გულში ხატად ატარებდა. და რაკი ეგონა, ქალი მდაბიო ჩამომავლობისა უნდა იყოსო, არამც თუ ვერ უბედავდა დედ-მამას ჯანეტას ცოლობას, ვაითუ საყვედური მითხრან ასეთი ქალის შეყვარებისათვისაო, — თავის სიყვარულსაც მალავდა. და ფარული სიყვარული კი უფრო მეტად სტანჯავდა, ვიდრე გამოცხადებული. და მოხდა ისა, რომ მეტისმეტი დარდისაგან ავად გახდა და მძიმედაც.

ვაჟის მოსარჩენად მთელი ქვეყნის ექიმები მოღალეს; ბევრი უტრიალეს, მაგრამ ავადმყოფობას მიზეზი ვერ გაუგეს და მისი მორჩენის იმედი არავისა ჰქონდა. ასე რომ, ავადმყოფის დედ-მამას ისეთი დარდი და მწუხარება შეუდგათ, რომ მეტს ვერც კი გაუძლებდნენ, რამდენჯერ ხვეწნა-მუდარებით სთხოვეს: გვითხარ, შვილო, შენი ავადმყოფობის მიზეზიო. ისიც პასუხად მხოლოდ ისე ამოიხვნეშებდა, თითქოს გულიც თან ამოაყოლაო, ანდა იტყოდა — ჩემი დღენი დათვლილიაო...

ერთ დღეს ავადმყოფს ერთი ახალგაზრდა, მაგრამ დიდად განსწავლული ექიმი ეჯდა და ხელი ეკიდა მისი ხელისათვის სწორედ იმ ალაგას, სადაც ექიმები ავადმყოფებს მაჯას უსინჯავენ ხოლმე. ამ დროს ოთახში სადაც ყმაწვილი იწვა, რიღაცისათვის შემოვიდა ჯანეტა, რომელიც დედის პატივისცემით შვილს მეტად გულმოდგინედ ემსახურებოდა. ქალის

დანახვაზე ყმაწვილ კაცს არც ხმა ამოუღია და აღარც განძრეულა, მაგრამ სიყვარულის ცეცხლი გულში უარესად აენთო და ამის გამო მაჯამ ჩვეულებრივზე უფრო ძლიერად დაუწყო ცემა. ექიმმა მაშინვე იგრძნო ესა და გაოცებულმა ხმის ამოუღებლივ ლოდინი დაუწყო, აბა რამდენ ხანს გასტანს ასეთი გახშირებული მაჯის ცემაო. ჯანეტა ოთახიდან გავიდა თუ არა, მაჯის ცემა ისევ დაუწყნარდა. ამიტომ ექიმმა იფიქრა, ახალგაზრდა კაცის ავადმყოფობის მიზეზი თუ სულ არა, ნაწილობრივ მაინც ეს ქალი უნდა იყოსო. ერთხანს ისევ ასე იყო გაჩერებული და მერე ვითომ ჯანეტასათვის რამე უნდა ეკითხაო, ოთახში დააძახებინა. ქალი დაუყოვნებლივ მოვიდა; ოთახში კარგად არც-კი შემოსულიყო, ყმაწვილ კაცს ისევ დაუწყო გახშირებული მაჯისცემა. ქალი გავიდა თუ არა, ისიც შეჩერდა. ამიტომ ექიმი საბოლოოდ დარწმუნდა საქმის ვითარებაში, წამოდგა, განზე გაიყვანა ყმაწვილის დედ-მამა და უთხრა: „თქვენი შვილის მორჩენა ექიმებს არ შეუძლიათ, არამედ მისი მორჩენა ჯანეტას ხელთაა; უტყუარი საბუთები მაქვს იმისა, რომ ყმაწვილს ქალი გაგიჟებით უყვარს, ხოლო ქალი კი, ჩემის აზრით, ამას ვერ მიმხვდარა. მაშასადამე, უნდა იცოდეთ, რაც უნდა ჰქნათ, თუკი გნებავთ, რომ ყმაწვილს სიცოცხლე შერჩეს“.

მამამ და დედამ ეს რომ გაიგონეს, ძალიან გაიხარეს, რომ რამე წამალი მაინც აღმოჩნდა მათი შვილის მოსარჩენად, თუმცა იმავე დროს სწყინდათ, რომ ეს წამალი ისეთი იყო, როგორსაც ერიდებოდნენ, სახელდობრ, იძულებული უნდა გამხდარიყვნენ, — ჯანეტა შეერთოთ შვილისათვის. და აჰა, ექიმი რომ წავიდა, მივიდნენ ავადმყოფთან და დედამ ასე უთხრა: „შენ გენაცვალე, შვილო, ჩემს დღეში არ ვიფიქრებდი, თუ დამიმალავდი რომელიმე შენს სურვილს და, განსაკუთრებით, როცა ამ სურვილის აუსრულებლობამ (იმ დღეს ღმერთმა კი ნუ მომასწროს) თან უნდა გადაგიტანოს. ამიტომ შენ კარგად უნდა გცოდნოდა და დღესაც უნდა იცოდე, რომ შენთვის, როგორც ჩემი საკუთარი თავისთვის, თავი არ მეზოგება და ცათა ქვეშე არაფერია ისეთი, რომ არ ჩავიდინო, ოღონდ შენ ამით გაამო და გისაშველო რამე. იცოდე, ჩემო შვილო, რომ, ცოტა არ იყოს, საძრახ საქმის ჩადენასაც არ დავერიდები. მაგრამ თუმცა შენ სწორედ ისე მოიქეცი, როგორც არ უნდა მოქცეულიყავი, მაინც უფალმა უფრო შეგიბრალა, ვიდრე შენს თავს შენ თვითონ შეიბრალებდი, უფალმა გამომიცხადა მიზეზი შენი სენისა და ეს მიზეზია მხურვალე სიყვარული ერთი ქალისა, ის კი სულ ერთია, ვინც უნდა იყოს ეს ქალი. სიყვარულის გამომჟღავნებისა როდი უნდა შეგრცხვენოდა, რადგან შენს ასაკში უსიყვარულობა არ შეიძლება და რომ ვინმე არ შეგყვარებოდა, სწორე გითხრა, მეწყინებოდა კიდეც. მაშასადამე, ჩემო შვილო, ჩემი ნუ გეშინია, თამამად გადამიშალე შენი გული და ნუ დამიმალავ, რა გინდა; გულიდან გადაიყარე დარდი და ნაღველი, რომელთაგან გაგიჩნდა ეს ავადმყოფობა, გამხნევდი, და დარწმუნებული იყავი, რომ ქვეყანაზე რაც უნდა სასიამოვნო რამ იყოს შენთვის, თუ მთხოვ, ყველაფერს აგისრულებ, რადგან ჩემს სულს მირჩევნიხარ და მზადა ვარ შენს სანაცვლოდ წავიდე. ნუ გრცხვენია, ნურც გეშინია და მითხარი, რითი შემიძლია ვუწამლო შენს სიყვარულს. და თუ შენ დაინახავ, რომ მე არ

ვეცდები შენთვის და ბედს ვერა გწევ, ასე მითხარი — შენისთანა ცუდი დედა ჯერ არ ჰყოლია შვილსა დედამიწის ზურგზედა-თქო“.

ყმაწვილმა დედის სიტყვები რომ მოისმინა, პირველად შერცხვა, მაგრამ მერე იფიქრა — აბა, დედაჩემივით ასე სხვა ვინ ამისრულებს ჩემს გულის წადილსაო, გათამამდა და უთხრა: „დედიკო, გეტყვი, თუ რა იყო მიზეზი, რომ ჩემს სიყვარულს ვმალავდი. ბევრ ადამიანს დავკვირვებივარ და შემიმჩნევია, ადამიანი ხანში რომ შედის, როდი სურს მოიგონოს, რომ ერთ დროს ისიც ახალგაზრდა იყო. რაკი ჩემს საქციელს არ მიზრახავთ, გეტყვით არა მარტო იმას, რასაც, როგორც ამბობთ, მიმიხვდით, არამედ ყველაფერში გულწრფელად გამოგიტყდებით იმ პირობით კი, რომ თქვენ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, თქვენს პირობას აასრულებთ და ამნაირად სატკივარისაგან მომარჩენთ“.

ამაზე დედამ (რომელსაც დიდი იმედი ჰქონდა თავის მიერ მოფიქრებული გეგმისა და ცოტა არ მოსწონდა, რომ ისე არ მოხდა საქმე, როგორც თვითონ უნდოდა) დაურიდებლად უთხრა: — ნურაფრისა გეშინია, შვილო, ისე გული გადამიშალე და მეც ჩემის მხრით, დაუყოვნებლივ გავაკეთებ საქმეს ისე, როგორც შენ გინდაო.

„დედაჩემო, — უთხრა მაშინ ყმაწვილმა, — ჩვენი ჯანეტას უებრო სილამაზემ და მისმა ნატიფმა მოქცევამ თავბრუ დამახვია. საქმე უფრო იმან გამიჭირა, რომ არამცთუ არ შემეძლო მისი თანაგრძნობა გამომეწვია, არამედ ისიც კი ვერ მოვახერხე, მისთვის მეგრძნობინებინა ჩემი მისდამი სიყვარული; გარდა ამისა, მეშინოდა ეს ჩემი გრძნობა ვისთვისმე გამემჟღავნებინა. და აი, ყოველმა ამან იმ დღემდე მიმიყვანა, რა დღეშიაც მხედავთ; და თუ რასაც დამპირდით, ასე იქნება თუ ისე, არ ამისრულებთ, იცოდეთ ჩემი დღენი დათვლილია“. დედა ხედავდა, რომ შვილს ახლა საყვედური კი არა, გამხნევება სჭირდებოდა და ამიტომ ღიმილით უთხრა: „შენ შემოგევლოს ჩემი თავი, შვილო, განა ამან გაგხადა ავად? ნუ გეშინია, ჩემს კისერზე იყოს ყველაფერი, — როცა მორჩები, ყველაფერს გაგირიგებ, ჰო, შენმა გახარებამ!“

ყმაწვილ კაცს გული იმედებით აღევსო და სულ მოკლე ხანში შესამჩნევად მოკეთდა, რამაც დედა ძალზე გაახარა და გადაწყვიტა, ეცადა დაპირებულის ასრულება. ერთ დღეს მოიხმო ჯანეტა და ვითომ ხუმრობით, ალერსიანად ჰკითხა, — ხომ არავინ გიყვარსო? ჯანეტა მთლად აენთო ქალბატონის სიტყვებზე და უპასუხა: „ქალბატონო, ჩემისთანა გოგოს, სახლიდან გამოძევებულს და სხვათა კარზე მოსამსახურედ მდგომს, არ შეჰფერის და სირცხვილიცაა სიყვარულზე იფიქროს“. ამაზე ქალბატონმა უთხრა: „და თუ საყვარელი არა გყავს, ჩვენ გიშოვნით, მხიარულად იცხოვრებ მასთან და შენის სილამაზით უმეტესად დატკბები; იმიტომ რომ, სად გაგონილა, ისეთი ლამაზი გოგო, როგორიც შენა ხარ, უსიყვარულოდ გაჩერდეს!“ ამაზე ჯანეტამ უპასუხა: „ქალბატონო, მე მათხოვარი გახლდით და

ამიტომ მოვალე ვარ, ყოველი თქვენი სურვილი ავასრულო, მხოლოდ ამას კი ვერ ვიზამ და მგონი, კარგადაც მოვიქცევი. თუ გამათხოვებთ, ჩემს ქმარს შევიყვარებ, სხვას კი ვერა. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემმა წინაპრებმა მემკვიდრეობად მხოლოდ ნამუსი და პატიოსნება დამიტოვეს და სანამ პირში სული მიდგას, ამას დავიცავ და არ ვუღალატებ". ეს სიტყვები ძალიან ეწყინა ქალბატონს: ჯანეტა სულ სხვას ამბობდა და იმას კიდევ სულ სხვა უნდოდა მისგან, რომ შეესრულებინა, რასაც შვილს დაპირდა. თუმცა როგორც ჭკვიან ქალს, გულში მოსწონდა გოგოს ნათქვამი, მაგრამ მაინც უთხრა: „როგორ, ჯანეტა, თვით მეფეს, ახალგაზრდა რაინდს რომ ენებებინა შენისთანა მშვენიერი გოგოს სიყვარულით დამტკბარიყო, დავიჯერო, უარს ეტყოდი?" — ამაზე ჯანეტამ მყისვე უპასუხა: „მეფეს ძალით შეუძლია უსინდისო საქმე ჩამადენინოს, მაგრამ თუ საქმეს ჩემს ნებაზე მიაგდებს, ეს ყოვლად შეუძლებელი იქნება".

დედა მიხვდა ქალის სულიერ განწყობილებას და მეტი ლაპარაკი აღარ დაუწყო. გადაწყვიტა გამოეცადა და შვილს უთხრა: შენთან ერთად ერთ ოთახში დავტოვებ და მერე შენ იცი შენი სურვილის დაკმაყოფილებაო, თორემ მე, დედას, არ შემფერის მაჭანკლობა გავწიო და ვთხოვო მოსამსახურე გოგოს — ჩემ შვილს დანებდი-მეთქი. ამაზე ყმაწვილი არაფრის გზით არ დაეთანხმა და ერთბაშად უარესად გახდა. დედამ ეს რომ დაინახა, ჯანეტას გამოუტყდა ყველაფერში, მაგრამ რაკი დაინახა, ქალი წინანდელზე უარესად გაჯიქდაო, ყველაფერი, რაც გააკეთა, ქმარს უამბო. ერთად მოილაპარაკეს, თუ რა უნდა ექნათ. ძალიან უმძიმდათ, მაგრამ გადაწყვიტეს გოგო შვილისათვის მიეთხოვებინათ, რადგან ის ერჩივნათ, შვილს თუნდაც თავისი წოდების შეუფერებელი ქალი შეერთო ცოლად, ოღონდ ცოცხალი კი გადარჩენილიყო, ვიდრე სრულებით უცოლოდ მომკვდარიყო. ბევრი რჩევა-თათბირს შემდეგ ასეც მოიქცნენ. ჯანეტას ეს ძალიან უხაროდა და გულსავსებით მადლობასა სწირავდა უფალს, რომ არ დაივიწყა. მაგრამ, მიუხედავად დიდკაცის ცოლობისა, თავის თავს მაინც პიკარდიელი კაცის ქალადა თვლიდა. ყმაწვილი მორჩა. ისეთი ქორწილი გადაიხადა, რომ ღმერთმა სხვას ყველას გადაახდევინოს იმისი მსგავსი ქორწილი. ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ბედნიერებას ყველა შენაგროდა.

პეროტოც, რომელიც ინგლისის მეფის მარშალთან იყო დატოვებული ვალისში, გაიზარდა და თავის ბატონის საყვარელი კაცი გახდა. მთელს კუნძულზე მაგის მსგავსი ყმაწვილი არავინ იყო არც სილამაზითა და აღარც სიმამაცითა. ამ მხარეში ვერავინ შეედრებოდა ასპარეზობაში, ცხენის ჭენებაში და ან სხვა რომელიმე სამხედრო ვარჯიშობაში; ამიტომ სახელი გაითქვა ყველგან და ვინ იქნებოდა ისეთი, არ გაეგონოს პეროტო პიკარდიელის სახელი!

და რომელმა უფალმაც მისი დაი არ დაივიწყა, იმავე უფალმა დაამტკიცა, რომ ისიც ახსოვდა; რადგან როცა ამ მხარეში შავი ჭირი გაჩნდა, მოსახლეობა თითქმის სანახევროდ

ამოწყდა, ხოლო ვინც გადარჩა, ისინიც შიშით სხვა მხარეში გადაიხვეწნენ. ასე რომ, იტყოდით, მთელი მხარე დაცარიელდაო. ჭირმა იმსხვერპლა აგრეთვე მარშალი, პეროტოს ბატონი, მისი ცოლი, შვილი, ძმები, ძმისწულები და ნათესავები. გადარჩნენ მხოლოდ ერთი გასათხოვარი ქალი მარშლისა, რამდენიმე მსახური და თვით პეროტო. ჭირიანობა რომ გათავდა, ქალმა თითო-ოროლა გადარჩენილ მეზობელს რჩევა ჰკითხა და სიამოვნებით მისთხოვდა პეროტოს, როგორც ჭკვიანსა და ღირსეულ კაცს, და რაც მემკვიდრეობა დარჩა, სულერთიანად ქმარს გადასცა.

ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ინგლისის მეფემ თავისი მარშლის სიკვდილი გაიგო. გაგებული ჰქონდა აგრეთვე პეროტო პიკარდიელის ვაჟკაცობის ამბავი და მიცვალებულის მსგავსად თავის მარშლად დანიშნა. აი, მოკლე ხანში რა ბედს ეწივნენ ანჟერის კონტის ორი უდანაშაულო შვილი, რომელთა სადმყოფობა მამას თითქმის დაავიწყდა კიდეც.

თვრამეტი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ანჟერის კონტი პარიზიდან გამოიქცა და ირლანდიაში დაბინავდა. აქ ბევრი გაჭირვება გამოიარა. უკვე მოხუცდა. თქვა, მოდი, ვცდი, იქნება გავიგო, რა დაემართა ჩემს შვილებსაო. ამიტომ რადგან კარგად იცოდა, რომ გარეგნობა სულ გამოცვლილი ჰქონდა და ისეთი არ იყო, როგორიც წინათ იყო და რადგან, ამასთანავე, მუდმივად ფიზიკურად მუშაობისაგან უფრო ღონიერი გახდა, ვიდრე ახალგაზრდობაში იყო, როცა ნებიერად ცხოვრობდა, დაანება თავი ბატონს, რომელსაც იმდენ ხანს ემსახურებოდა და ღარიბულტანისამოსიანი გადმოვიდა ინგლისში და გასწია იქითკენ, სადაც პეროტო დასტოვა. აქ დაინახა, რომ მისი შვილი მარშლად და დიდ კაცად გამხდარა. მშვენიერი, ღონიერი და სიმრთელოვანი ვაჟკაცის ნახვამ გული სიხარულით გაუვსო, მაგრამ მაინც არ გამოეცნაურა, ჯერ ჯანეტას ამბავს გავიგებო.

კონტი ისევ დაადგა გზას და სანამ ლონდონში არ ჩავიდა, არსად გაჩერებულა. აქ ჩუმად იკითხა იმ ქალბატონის ამბავი, ვისაც ჯანეტა დაუტოვა, იკითხა აგრეთვე თავის ქალის როგორმყოფობის ამბავი. გაიგო, რომ ჯანეტა ქალბატონის რძალი გამხდარა. ამან ძალზე გაახარა. რაკი გაიგო, ბავშვები ცოცხლები არიან და ცხოვრებაშიც ბედი გაღიმნიათო, თავისი განვლილი ტანჯვა-წამება სულ გადაავიწყდა, და რადგან თავისი ქალის ნახვა მოუნდა, მათხოვრის მსგავსად მისი სახლს გარშემო ტრიალი დაიწყო.

ერთ დღეს კონტი ჯაკეტო ლამიენსმა (ასე ეძახდნენ ჯანეტას ქმარს) დაინახა. საწყალი და მოხუცი კაცი შეებრალა და ერთ-ერთ მოსამსახურეს უბრძანა — სახლში შეიყვანეთ და ღვთის გულისათვის პური აჭამეთო. მოსამსახურემ ბატონის ბრძანება სიამოვნებით აასრულა. ჯანეტას ჯაკეტოსაგან უკვე რამდენიმე შვილი ჰყავდა. სულ უფროსი რვა წლისა იქნებოდა. მაგათთანა ლამაზსა და საუცხოო ბავშვებს ადამიანის თვალი იშვიათად ნახავდა. კონტი

ჭამად მჯდარი რომ დაინახეს ბავშვებმა, შემოეხვივნენ და ჟივილ-ხივილი ასტეხეს, თითქო წინასწარ იგრძნეს, რომ ეს კაცი მათი პაპა იყოო. მოხუცმა თავისი შვილიშვილები იცნო და დაუწყო ალერსი და მოფერება. ბავშვებიც ისე შეეჩვივნენ, რომ აღარ შორდებოდნენ, თუმცა მათი გამზრდელი უძახოდა, გეყოფათ, წამოდითო. ჯანეტამ გაიგონა ეს ამბავი, ოთახიდან გამოვიდა და მივიდა, საცა მოხუცი იჯდა და ბავშვებს დაემუქრა: თქვენთვის კარგა ვაცემინებ, თუ გამზრდელს არ დაუჯერებთო, რასაც გეუბნებიანო. ბავშვებმა ტირილი მორთეს: ჩვენ ამ მოხუცთან ყოფნა გვირჩევნია, რადგან გამზრდელზე მეტად ვუყვარვართო. ამაზე დედასა და კონტს გაეცინათ. კონტი ჯანეტას წამოუდგა და მძიმედ თაყვანი სცა არა როგორც მამამ, არამედ როგორც მათხოვრებმა იციან ხოლმე ქალბატონთან ვისთანმე, და მის ნახვაზე უსაზომო ბედნიერება იგრძნო გულში. მაგრამ ქალმა ვერც მაშინ იცნო და ვეღარც მერე, რადგან ისე იყო გამოცვლილი, რომ წინანდელ კონტს სრულებით არა ჰგავდა: მოხუცებულიყო, წვერი მოშვებოდა, გამხდარიყო და მზე მოჰკიდებოდა, ასე რომ, სულ სხვა კაცი გეგონებოდათ. დედა კი ხედავდა, რომ ბავშვებს მოშორება არ უნდოდათ და როცა ძალით მოუნდომებდნენ მოშორებას, ტიროდნენ, გამზრდელს უთხრა — კარგი, ცოტა ხანს კიდევ დარჩნენ მოხუცთანაო.

ბავშვები მოხუცთან რომ იყვნენ, შემოვიდა ჯაკეტოს მამა და გამზრდელმა ყველაფერი უამბო. მამამთილი ცუდად იყო განწყობილი რძლისადმი და გამზრდელს უთხრა: „თავი დაანებე, ღმერთმა დასწყევლოს მაგათი თავი, ან მათგან რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ?! პირწავარდნილი დედა არიან. დედით მაწანწალას შვილები არიან და აბა რა გასაკვირველია, მაწანწალას ეტანებოდნენ“. კონტმა ეს სიტყვები საშინლად იწყინა, მაგრამ მხოლოდ მხრები შეიშმუშნა და ეს შეურაცხყოფაც გადაყლაპა ისევე, როგორც სხვა მრავალი გადაუყლაპავს. ჯაკეტო ხედავდა, როგორ მიიყვავილა მოხუცმა, ე. ი. კონტმა, ბავშვები. ეს ბარემ არ მოსწონდა, მაგრამ ბავშვები იმდენად უყვარდა, რომ აგირებულების ყურებას არჩია ბრძანება გაეცა: თუ მოხუცს რისამე გაკეთება სურს სასახლეში, უარს ნუ ეტყვით და მიიღეთო. მოხუცმა უპასუხა: დიდი მადლობელი გახლდებით, თუ დამტოვებთ თქვენთან, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ცხენების მოვლაღა შემიძლია, რადგან იმავ თავითვე მეჯინიბეობის მეტი სხვა ხელობა არა მქონიაო. ჩააბარეს მოსავლელად ერთი ცხენი და როცა მოცლით იყო, ბავშვებს ართობდა.

სანამ ბედი ანჟერის კონტსა და მის შვილებს ზემოაღწერილი გზით აგარებდა, საფრანგეთის მეფე, რომელმაც გერმანელებთან რამდენიმე ზავო დადო, გარდაიცვალა. (სწორედ ამის ცოლისთვის იყო, რომ კონტი საფრანგეთიდან გააძევეს). მის მაგიერ ტახტზე ავიდა მისი შვილი. ახალმა მეფემ, გერმანელებთან დადებული ზავის ვადა გავიდა თუ არა, ცხარე ომი განაახლა მათთან. ინგლისის მეფემ, როგორც ნათესავმა, საფრანგეთის მეფეს ომში მოსახმარებლად ჯარი გამოუგზავნა თავისი მარშლის პეროტოს და მეორე მარშლის

შვილის ჯაკეტო ლამიენსის მეთაურობით. ამ უკანასკნელს გამოჰყვა მოხუციც, ე. ი. კონტიც, რომელმაც კარგა ხანი დაჰყო ბრძოლის ველზე მეჯინიბედ ისე, რომ ვერავის უცნია. აქ, როგორც გამოცდილი კაცი, სიტყვით თუ საქმით ისე გამოადგა ყველას, რომ იმისთანა უბრალო კაცისაგან არავინ მოელოდა.

სანამ ბრძოლა იყო გაცხარებული, საფრანგეთის დედოფალი მძიმე ავად გახდა. თვითონვე იგრძნო სიკვდილის მოახლოება, შეინანია ყველა ცოდვა და აღსარება უთხრა რუენის არქიეპისკოპოსს, რომელიც ცნობილი იყო, როგორც წმიდა და სათნო კაცი. სხვა ცოდვათა შორის ისიც აღიარა, თუ როგორ დაისაჯა მისი წყალობით ანჟერის კონტი. და ეს არა მარტო მოძღვარს უთხრა, არამედ სხვა ღირსეულ პირებსაც უამბო ყველაფერი, როგორც იყო, და სთხოვა ყველას: იშუამდგომლეთ მეფესთან, კონტი თუ ცოცხალია, დაუბრუნოს თავისი ახდილი ღირსება, და თუ მკვდარია, ერთ-ერთ მის შვილზე მაინც გადმოვიდეს ეს ღირსებაო. დედოფალს ამის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია და, როცა გარდაიცვალა, დიდის პატივით დაასაფლავეს.

დედოფლის აღსარებას ამბავი მეფეს უამბეს. მეფე უზომოდ შეწუხდა, რომ გაიგო ასეთი ღირსეული ადამიანის უდანაშაულოდ დასჯის ამბავი და ჯარში და სხვაგანაც გამოაცხადებინა: ვინც ანჟერის კონტის ან მისი შვილების ამბავს მაინც მომიტანს, თითოეულისათვის მეტად დავასაჩუქრებო, რადგან დედოფლის აღსარებამ დამარწმუნა, რომ კონტი უდანაშაულოდ იქნა სამშობლოდან გაძევებული და ახლა მინდა არამცთუ ძველი უფლებები აღვუდგინო, უფრო დიდი უფლება-უპირატესობა მივანიჭოო.

მეფის ეს განცხადება მეჯინიბე კონტმაც გაიგო და რაკი იცოდა, რომ ყოველივე მართალი იყო, მაშინვე წავიდა ჯაკეტოსთან და უთხრა, ერთად მივიდეთ პეროტოსთან და გაჩვენებთ, რასაც მეფე დაეძებსო. სამნივე ერთად რომ შეიყარნენ, კონტმა გაუმჟღავნა პეროტოს ის, რის თქმაც უნდოდა: „პეროტო! ჯაკეტომ, რომელიც აქ არის, შენი დაი შეირთო ცოლად, მაგრამ მზითვად არაფერი წაუღია; და რადგან არ მინდა, შენი დაი უმზითვოდ დარჩეს, განზრახვა მაქვს, ის დიდი საჩუქარი, რომელიც მეფეს შენთვისა აქვს გადადებული, შენს სიძეს ერგოს და არა სხვა ვისმე; იმან უნდა გამოაცხადოს, რომ შენ ანჟერის კონტის შვილი ხარ და ცოლად შენი დაი ვიოლანტე ჰყავს, ხოლო ჩემზე თქვას, რომ მე ვარ თქვენი მამა, ანჟერის კონტი“.

პეროტომ ეს რომ გაიგონა, დააკვირდა ძალიან და იცნო. დაიწყო ტირილი, ფეხებზე მოეხვია, თან ჰკოცნიდა და თანაც ეუბნებოდა: „მამა, მამა, რა მიხარია, რომ დაბრუნებულსა გხედავთ!“ ჯაკეტო ჯერ ყურს უგდებდა, რასაც კონტი ამბობდა, მერე პეროტოს საქციელს შეხედა და ისე გაუკვირდა და თან ისე გაეხარდა, რომ არ იცოდა, რა ექნა. მაგრამ რაკი დარწმუნებული იყო, ყველაფერი ეს მართალიაო, სირცხვილეულს მოაგონდა, თუ რა

სალანძღავი სიტყვები უკადრებია ზოგჯერ კონტ-მეჯინიბისათვის, თვალცრემლიანი ფეხებზე მოეხვია და სთხოვა, მაპატიეთ, თუ როდესმე შეურაცხყოფა მომიყენებია თქვენთვისო. კონტმა ალერსიანად ზეზე წამოაყენა და უთხრა: ყველაფერი მიპატიებიაო.

სამთავე ერთად დიდხანს ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რა გადახდა თითოეულ მათგანს; ბევრი ცრემლი ღვარეს, ბევრი სიხარული გაუზიარეს ერთიმეორეს. ჯაკეტოსა და პეროტოს უნდოდათ კონტი კარგად გამოეწყოთ, მაგრამ ამან თავი მოიკლა და ნება არ მისცა ტანისამოსი ჩაეცმიათ. ჯაკეტოს უთხრა — წადი და წინდაწინ დარწმუნდი, რომ მეფისაგან დაპირებულ საჩუქარს უეჭველად მიიღებ, მერე მოდი და როგორცა ვარ, მეჯინიბის სახით — მეფესთან წარმადგინე, რომ უფრო შერცხვეს თავისი საქციელისაო.

და ჯაკეტო, რომელსაც თან ახლდა კონტი და უკან მისდევდა პეროტო, მეფეს წარუდგა და მოახსენა: კონტსა და მის შვილებს გაახლებთ, თუ დაპირებულ საჩუქარს მიწყალობებთო. მეფემ მაშინვე მოატანინა დაპირებული საჩუქარი კონტისა და მისი შვილების პოვნისათვის. იმდენი იყო ეს საჩუქარი, რომ ჯაკეტო თავის თვალებს არ უჯერებდა. მეფემ უთხრა: აი, ეს საჩუქარი შენი იქნება, თუ კონტსა და მის შვილებს, პირობისამებრ, მომიყვანო. მაშინ ჯაკეტო უკან მოტრიალდა, წინ წამოიყვანა კონტი, თავისი მეჯინიბე, და პეროტო და მოახსენა: „ჩემო ხელმწიფევ, აი მამა და აი მისი შვილიცა; მისი ქალი ჩემი მეუღლეა და ამჟამად აქ არ გახლავთ, მაგრამ ღვთის შეწევნით მალე იხილავთ“.

მეფემ ყოველივე ეს მოისმინა, მერე შეხედა კონტს და, მიუხედავად იმისა, რომ წინანდელთან შედარებით ძალიან იყო გამოცვლილი, დიდი დაკვირვების შემდეგ მაინც იცნო, და თითქმის თვალცრემლიანმა ზეზე წამოაყენა დაჩოქილი მოხუცი, გადაეხვია და ამბორი უყო. პეროტოსაც მიეალერსა და ბრძანება გასცა დაუყოვნებლივ მოერთმიათ კონტისათვის იმდენი ტანისამოსი, მოსამსახურენი, ცხენები და მათი მოსართავი, რამდენიც მის კეთილშობილებას შეეფერებოდა. მეფის ბრძანება, რა თქმა უნდა, წამსვე იქნა შესრულებული. გარდა ამისა, დიდი ყურადღება მიაპყრო მეფემ ჯაკეტოს და მოისურვა მისი წარსული დაწვრილებით გაეგო. და როდესაც ჯაკეტომ მიიღო უმაღლესი საბოძვარი კონტისა და მისი შვილების ამბის მოტანისათვის, კონტი მიუბრუნდა და უთხრა:

„აიღე ეს საჩუქარი, როგორც ჩვენი ბატონი მეფის უხვი წყალობა და არ დაივიწყო მამაშენს უთხრა, რომ შენი შვილები და ჩემი და მისი შვილიშვილები დედითგან მაწანწალას შვილები არ გახლავან-თქო“.

ჯაკეტომ აიღო საბოძვარი და პარიზში დაიბარა თავისი მეუღლე და დედა. იქვე ჩამოვიდა პეროტოს მეუღლე. და ყველამ კონტთან ერთად დიდი ლხინი გამართეს. კონტს მეფემ თავისი ქონება ყველაფერი დაუბრუნა და ისეთი ადგილიც მისცა, როგორიც წინათ

თავის დღეში არა სჭერია.

მერე ყველას ნება მისცა თავ-თავიანთსა დაბრუნებულიყვნენ. თვითონ კი სიკვდილის უკანასკნელ წამამდე პარიზში ცხოვრობდა, ყოვლად დიდებითა და პატივისცემით მორჭმული.

ამბავი მეცხრე. დასჯილი მაცყუარა ანუ გამარჯვებული ცოლი

ბერნაბო გენუელი, ამბროჯუოლოს მიერ მოტყუებული, სანაძლეოს წააგებს და მოსამსახურეს თავისი უდანაშაულო ცოლის მოკვლას უბრძანებს. ცოლი გაიპარება და, კაცურად ჩაცმული, სულთანთან მოსამსახურედ დადგება; აქ შეხვდება მომტყუებელს. ბერნაბოს ალექსანდრიაში დაიბარებს. მატყუარა დაისჯება. ქალი ისევ ქალურად ჩაიცვამს და ორივე ცოლ-ქმარი, გამდიდრებული, გენუაში ბრუნდება.

ელიზამ თავისი გულის ამაჩუყებელი მოთხრობა რომ გაათავა და ამით თავისი მოვალეობა მოიხადა, დედოფალმა ფილომენამ, რომელიც მეტად წარმოსადეგი და ლამაზი იყო და სხვებისაგან თავისი საამო და ტკბილი სახით განირჩეოდა, რომელზედაც ერთთავად მხიარული ღიმი უკრთოდა, მცირე ხნის დაფიქრების შემდეგ ესა თქვა: „ჩვენ უნდა ავასრულოთ ჩვენი პირობა, დიონეოსთან დადებული, და რადგან იმისა და ჩემს მეტი არავინ დარჩენილა, რომ ამბავი არ ეთქვას, ჯერ მე ვიტყვი ჩემს მოთხრობას, ხოლო დიონეო უკანასკნელად იტყვის, რადგან ამის ნება იმან, როგორც წყალობა რამ, გამოგვთხოვა“. ეს რომა თქვა, ასე დაიწყო: — მდაბიონი ხშირადა ხმარობენ ასეთ ანდაზას: მომტყუებელი მოტყუებულს, ერთხელაც იქნება, ფეხქვეშ ჩაუვარდებაო. ამ ანდაზის სიმართლის დამტკიცება ოღონდაც რომ ძნელი იქნებოდა, მის შესამოწმებლად ფაქტები რომ არ არსებობდეს. და რაკი მოცემულ თემაზე მოგახსენებთ მოთხრობას, ამასთანავე, ჩემო ძვირფასნო, ჩემს მოთხრობაში უნდა გიჩვენოთ, რომ ხალხის ნათქვამი სრული ჭეშმარიტებაა; ამიტომ თქვენთვის ზედმეტი არ იქნება მისი მოსმენა, რათა მომტყუებელთ გაუფრთხილდეთ.

პარიზის ერთ-ერთ სასტუმროში ჩამომხტარიყო რამდენიმე მეტად მდიდარი იტალიელი ვაჭარი. როგორც ეს ვაჭრებს ჩვეულებადა აქვთ ხოლმე, აქ, ამ ქალაქში ზოგი რისთვის ჩამოსულიყო და ზოგი რისთვის. ერთს საღამოს ერთად მხიარულად ივახშმეს და იქეთურ—აქეთურზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. ზოგმა რა თქვა და ზოგმა რა, დაბოლოს, თავიანთ სახლებში დატოვებული ცოლები ახსენეს. ერთმა ხუმრობის კილოთი სთქვა: „მე არ ვიცი, ჩემი ცოლი მანდ რას აკეთებს, მხოლოდ ის კი კარგად ვიცი, რომ როცა ვინმე ახალგაზრდა ქალი მომეწონება და ხელში ჩამივარდება, ჩემი ცოლის სიყვარულს განზე გადავდებ და ამ ქალისაგან რაც რამ სიამოვნების აღება კი შემიძლია, არ დავერიდები და დავეწაფები ხოლმე“. მეორემა სთქვა: „მეც ასე ვშვრები, რადგან ვიფიქრებ, თუ არ ვიფიქრებ — ჩემი

ცოლი მღალატობს-მეთქი, სულ ერთია, ის მაინც მღალატობს; ამიტომ გიჟი კი არა ვარ, მეც ისევე არ მოვიქცე: „როგორც დამიკრავ ფანდურსა, მეც ისე დაგიროკდები!“ მესამემაც იგივე აზრი გამოსთქვა. ერთი სიტყვით, ყველანი თითქოს ერთმანეთს დაეთანხმნენ: ცხადია, ჩვენს მიერ სახლში დატოვებული ცოლები ტყუილად არ მოცდებიანო! მხოლოდ ერთმა გენუელმა, რომელსაც ბერნაბო ლომელინი ერქვა, სულ წინააღმდეგი ილაპარაკა. მსმენელთ არწმუნებდა: ღმერთმა ისეთი ცოლი მიწყალობა, რომელიც შემკულია ყველა ღირსებით, რაც უნდა ჰქონდეს არამარტო ქალს, არამედ რომელსამე რაინდს ან საჭურვლის მტვირთველსო. მაგისი სადარი ქალი მთელს იტალიაში, მგონია, მეორეც არ მოიძებნოსო. ამიტომ რომ, ჯერ ეს ერთი, ლამაზია, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ღონიერი და მარჯვეა, თანაც მაგისთანა ვერავინ მოვა ხელსაქმეში. მაგ. აბრეშუმის ძაფით ამოკერვაში ან სხვა რამე საქალო საქმეში. გარდა ამისაო, — განაგრძობდა ვაჭარი, — ვერცერთი საჭურვლის მტვირთველი ან მოსამსახურე ვერ ემსახურებოდა ისე მარდად ბატონს სუფრაზე, როგორც ჩემი ცოლი, რადგან მეტად ზრდილი, ჭკვიანი და მიხვედრილი ქალიაო. ყოველივე ამასთან აქო, როგორც საუკეთესო ცხენოსანი, ქორ-მიმინოს მარჯვედ დამჭერი, თან, რომელიც გინდა ვაჭარს არ ჩამოუვარდება წერა-კითხვისა თუ ანგარიშის ცოდნაშიო. ერთის სიტყვით, ბევრგვარად აქო ვაჭარმა თავისი თანამეცხედრე, ბოლოს იმ საგანს შეეხო, რაზედაც ლაპარაკი ჩამოუგდეს და იფიცა: დედამიწაზე მსგავსი პატიოსანი და ნამუსიანი ქალი არ მოიძებნებაო. ამიტომ ათ წელიწადსაც რომ ვიყო სახლს მოშორებული, დარწმუნებული ვარ, ჩემი ცოლი გულშიაც კი არ გაივლებს სხვა კაცთან კავშირის დაჭერასაო.

ასე მოლაპარაკე ვაჭრებს ერთი ახალგაზრდა ვაჭარი ერია — ამბროჯუოლო და პიაჩენცა. ბერნაბოსაგან თავის ცოლის ქება რომ გაიგონა, ერთი საშინელი ხარხარი აიტეხა და დაცინვით ჰკითხა: ნეტავი ვიცოდე, იმპერატორმა სხვებზე მეტი უპირატესობა თქვენ რაღად მოგანიჭათო? ბერნაბომ, ცოტა არ იყოს, იწყინა ეს სიტყვები და უთხრა: იმპერატორმა კი არა, თვით ღმერთმა მოიღო ეს წყალობა ჩემზედა და ღმერთს, მგონი, ცოტა მეტი შეუძლია, ვიდრე იმპერატორსაო. მაშინ ამბროჯუოლომ უთხრა: ბერნაბო, მე იჭვიც კი არა მაქვს, რომ შენ შენი ნათქვამი გჯერა; მაგრამ ჩემის ფიქრით, ცოტა არ იყოს, ზერელედ უყურებ საქმეს; შენ რომ ყველაფერს კარგად უსინჯავდე კბილებს, რა თქმა უნდა, როგორც ჭკვიანი კაცი, ბევრს ისეთ რასმე დაინახავდი, რაც დაგაფიქრებდა და ასეთ საგანზე უფრო მეტი წინდახედულობით ილაპარაკებდი. არ იფიქრო, ვითომ ჩვენ, აქაო და დაწვრილებით ვილაპარაკეთ ჩვენს ცოლებზე, სულ სხვანაირი ცოლები გვყავდეს, ვიდრე შენა. უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ასე ვლაპარაკობდით, როგორც ადამიანები, რომელთაც გვესმის ბუნების კანონი, და ამიტომაც მინდა ცოტა რამ გითხრა ამ საგნის შესახებ. მე სულმუდამ ასე გამიგონია: ღვთის მიერ გაჩენილ მომაკვდავთა შორის ყველაზე კეთილშობილი ცხოველი ჯერ მამაკაცია და მერე დედაკაცი; მაგრამ მამაკაცი, როგორც საზოგადოდ ჰგონია ყველას და საქმითაც ჩანს, უფრო სრული არსებაა, ვიდრე დედაკაცი; და რაკი მეტი სისრულე აქვს, უეჭველად მეტი სიმტკიცე

და მხნეობაც უნდა ჰქონდეს, რადგან მთელ მსოფლიოში ქალები უფრო დაუდგრომელნი არიან, რაიცა შეგვეძლო დაგვემტკიცებინა მრავალი ბუნებრივი მიზეზებითა, რომელთა შესახებ აქ არ მინდა ბევრი ვილაპარაკო. და თუ, მაშასადამე, მამაკაცს, რომელსაც ხასიათით დიდი სიმტკიცე აქვს, არამც თუ არ შეუძლია არ დაჰყვეს იმ ქალის ნებას, რომელიც თვითონა სთხოვს დაახლოვებას, არამედ არ შეუძლია სძლიოს სურვილი იმ ქალის დაპატრონებისა, რომელიც მას თვითონ მოსწონს და რაც კი რამ შეუძლია, ყველაფერს შვრება, ოღონდ კი ამ ქალს დაუახლოვდეს, და თუ ასეთი ამბავი ხდება თვეში ერთხელ კი არა, არამედ დღეში ათასჯერ, — როგორ შეგიძლია შენ იმედი გქონდეს, რომ ქალმა, ბუნებით დაუდგრომელმა არსებამ, გაუძლოს ხვეწნას, პირში ქებას, საჩუქრებს და სხვა ათასგვარ საშუალებას, რომელთაც მიმართავს ხოლმე კაცი ჭკვიანი, რომელსაც ეს ქალი უყვარს? ნუთუ გგონია, ქალი ამას გაუძლებს? შენ რაც უნდა დამიმტკიცო, ეს მართალიაო, მე მაინც მგონია, რომ შენ თვითონ არა გჯერა შენის ნათქვამისა. შენ თვითონ ამბობ, რომ შენი ცოლი ქალია და ისიც ისევე ხორცისა და ძვლისაგან არის შექმნილი, როგორც სხვა ქალი. თუ ასეა, შე კაი კაცო, შენს ცოლსაც იგივე ნდომა-სურვილი უნდა ჰქონდეს, რაც სხვებსა და მასაც იგივე ძალ-ღონე უნდა ჰქონდეს ამ ბუნებრივ სურვილ-ვნებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც სხვებსა აქვთ. ამიტომ, რაც უნდა მაღალი ზნეობისა იყოს შენი ცოლი, შეუძლებელია, ის არა ჰქნას, რასაც სხვები შვრებიან. სრულებით საწინააღმდეგოს მტკიცება და ისიც ასეთის სიფიცხითა, როგორითაც შენა შვრები, შეუძლებელია.

ამაზე ბერნაბომ უპასუხა: „მე ვაჭარი ვარ და არა ფილოსოფოსი, და მაშასადამე, გიპასუხებ, როგორც ვაჭარი. მე იმას ვამბობ, რაც ვიცი. რასაც შენ ამბობ, შესაძლებელია დაემართოთ მხოლოდ სულელ ქალებს, რომელთაც სირცხვილ-ნამუსისა არაფერი იციან; მაგრამ ვინც ჭკვიანები არიან, ცდილობენ თავიანთი ნამუსი დაიცვან, მამაკაცებზე მეტად იჩენენ ხოლმე ხასიათის სიმტკიცეს, კაცებს კი ამ ნამუსთან ბევრი არაფერი ესაქმებათ. — და ჩემი ცოლიც სწორედ ასეთი ჯურის ქალებს ეკუთვნის“.

ამბროჯუოლომ უპასუხა: „ჩემო კარგო, იცი, რა გითხრა, ქალებს ყოველთვის, როცა ასეთი საქმეს ჩაიდენენ, შუბლზე რქა რომ ამოსდიოდეთ და ეს რქა მათის მოქმედების დამამტკიცებელი საბუთი იყოს, მერწმუნე, ძალიან ცოტა გაბედავდა ამ საქმეს; ის კი არა, ვინც უფრო ჭკვიანია, არამცთუ რქა არ ამოსდის, კვალიც კი არავითარი აჩნდებათ. შერცხვენასა და ნამუსახდილობას მაშინღა აქვს ადგილი, როცა საქმე აღარ დაიმალება და გამომჟღავნდება. ამიტომ როცა ჩუმად შეუძლიათ საქმის გაკეთება, აკეთებენ, და მხოლოდ სულელებიღა არ მისდევენ ასეთ საქმეს. დარწმუნებული იყავ, რომ მხოლოდ ის ქალია ნამუსიანი, რომლისთვის სიყვარული არავის უთხოვნია, ან რომელსაც თვითონ უძებნია მამაკაცი, მაგრამ მისთვის ზედაც არავის შეუხედნია. და თუმცა მე კარგად ვიცი, რომ ყოველივე ეს ასე უნდა იყოს ბუნებრივი და ნამდვილი მიზეზის გამო, მაინც ასე დარწმუნებით

არ ვილაპარაკებდი ამ საგანზე, ძალიან ბევრი ქალი რომ არ გამომეცადნა. იცოდე, შენს ვითომ წმინდა ცოლთან მე რომ დამსვას კაცმა, სულ მოკლე ხანში ჩავიგდებდი ხელში ისევე, როგორც სხვა არა ერთი და ორი ქალი ჩამიგდია“.

ბერნაბომ გულმოსულმა უთხრა: „ცარიელა ლაპარაკს რომ გავყვეთ, შორს წაგვიყვანს; შენ რომ შენსას მეტყვი, მეც სამაგიეროს გეტყვი და მაინც არაფერი გამოგვივა. მაგრამ რადგან შენ, ჩემო კარგო, ამტკიცებ, ვითომ ქალები ყველანი ასე ადვილად დასამორჩილებლები იყვნენ და იკვეხები, რომ იცი, როგორც უნდა მოეპყრა მათ, მინდა დაგიმტკიცო ჩემის ცოლის ერთგულება და ამისათვის მზადა ვარ, თავი მოსაჭრელად დავდო, თუ მას შენ როდესმე შენს ნებაზე დაიყოლიებ; და თუ შენ ეს ვერ შესძელი, ყაბულსა ვარ, მხოლოდ ათასი ფლორინი დაჰკარგო, მეტი არაფერი“. — ამბროჯუოლო ამ ლაპარაკში გაცხარდა და ასე უთხრა: „ბერნაბო, მართალი გითხრა, არ ვიცი, რა ვუყო შენს მოჭრილ თავს, თუ გაჯობე; მხოლოდ, თუ მართლა გინდა დაინახო იმის დამამტკიცებელი საბუთი, რის შესახებაც გელაპარაკე, შენის მხრით დადევი ხუთი ათასი ფლორინი ოქროთი და ჩემის მხრივ დავდებ ათას ფლორინს. და რადგან შენ ვადას არაფერსა სდებ, მე მოვალედა ვთვლი ჩემს თავს, ჩავიდე გენუაში, და იმ დღიდან, რა დღესაც აქედან გავალ, სამის თვის განმავლობაში შენს ცოლთან ჩემი სურვილი ავისრულო, და ამის დასამტკიცებლად ჩამოვიტან ზოგიერთ მისთვის ძვირფას ნივთს და ჩამოგითვლი მის ისეთს ნიშნებს, რომელსაც შენ თვითონ დაამოწმებ; მხოლოდ შენ უნდა პატიოსანი სიტყვა მომცე, რომ ამ ხნის განმავლობაში არც გენუაში ჩახვიდე და არც წერილი მისწერო შენს ცოლს ამ საგნის შესახებ“. — თანახმა ვარო, — უთხრა ბერნაბომ და თუმცა სხვა ვაჭრები ბევრს ეცადნენ, საქმე როგორმე ჩაშლილიყო, რადგან იცოდნენ, ეს შეიძლება ძალიან ცუდად გათავდესო, მაგრამ ორი მონიძლავე ვაჭარი იმ ზომამდე გაცხარდნენ, რომ სხვათა რჩევას ყური არ ათხოვეს და ერთიმეორეს წერილობითი პირობა მისცეს, საკუთარი ხელით დაწერილი.

ამ პირობის დადების შემდეგ ბერნაბო პარიზში დარჩა ხოლო ამბროჯუოლო დაუყოვნებლივ გაუდგა გენუის გზას. გენუაში რამდენიმე დღე დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში ჩუმად გაიგო, სადაც ცხოვრობდა ქალი და ან რა ყოფაქცევისა იყო. მის შესახებ აქაც ივივე უთხრეს, რაც ბერნაბოსაგან გაეგონა და უფრო მეტიცა, და ვაჭარმა თავის გულში თქვა — დიდად შევცდი, რომ ასეთ საქმეში გავებიო. ამასობაში ერთი ღარიბი დედაკაცი გაიცნო, რომელიც ხშირად დადიოდა ბერნაბოს სახლში და რომელსაც ბერნაბოს ცოლი ძალიან შველოდა. სხვაფრივ რაკი ვერ დაიყოლია, ფულით მოისყიდა, თავის გეგმით გაკეთებულ ზანდუკში ჩაჯდა და ეს ზანდუკი ამ დედაკაცს შეატანინა არა მარტო სახლში, არამედ თვით ქალის საწოლ ოთახშიაც. როგორც ამბროჯუოლომ ასწავლა, ისე დედაკაცმა სთხოვა ბერნაბოს ცოლს: სხვაგან გეახლებით და ეს ზანდუკი რამდენიმე დღით აქ გებარებოდესო.

ამგვარად, ზანდუკი ოთახში დარჩა. ღამემ რომ მოიტანა და ამბროჯუოლომა თქვა —

ახლა კი დაიძინებდა ქალიო, მორგებულის იარაღებით ზანდუკი გააღო და ჩუმად ოთახში ამოვიდა, სადაც სანთლები ენთო, ასე რომ, მას შეეძლო კარგად დაეთვალიერებინა ოთახის მდებარეობა, კედლების მხატვრობა და სხვა თუ რამ ყურადსაღები იყო, და კარგად დაემახსოვრებინა. მერე მიუახლოვდა საწოლს. დაინახა, ქალსა და მის პატარა გოგოს, ქალთან რომ იყო, გულისძილით ეძინათ, ნელ-ნელა საბანი გადახადა და დაინახა, რომ ქალი შიშველიც ისევე ლამაზი ყოფილა, როგორც ჩაცმული. ტანზე ნიშანი ვერაფერი დაუნახა, გარდა ერთისა, მარცხენა ძუძუს ქვემოთ; ეს იყო ხალი, რომლის გარშემო ამოსული იყო რამდენიმე ოქროსფერი ბუსუსი. ეს რომ დაინახა, ჩუმადვე ისევ დაჰხურა საბანი. მისი მშვენიერების მნახველს საშინლად აეშალა საღერღელი გვერდით მოსწოლოდა, თუმცა იცოდა, რომ ამით თავის თავს მეტისმეტ ხიფათში ჩააგდებდა, და რადგან გაგონილი ჰქონდა, რომ ასეთ საქმეში ქალი მეტად მკაცრი და მიუკარებელი იყო, ვერაფერი გაუბედა. და რადგან ღამის უმეტეს ხანს ოთახი მის განკარგულებაში იყო, რაც უნდოდა, იმას აკეთებდა; ქალის უჯრიდან ამოიღო ქისა, წელზე წამოსასხამი, რამდენიმე ბეჭედი და ქამარი; ყველაფერი თავის ზანდუკში ჩაწყო და მერე თვითონაც შიგ ჩავიდა და იმნაირადვე დაკეტა, როგორც წინათ იყო. ამნაირად გაატარა ორი ღამე ისე, რომ ქალს არაფერი გაუგია. მესამე დღეს, მოლაპარაკების თანახმად, დედაკაცმა ზანდუკი წამოიღო და ისევ თავის ალაგას მოიტანა. ამბროჯუოლო ამოვიდა ზანდუკიდან, დედაკაცს, რასაც დაჰპირდა, მისცა და ბერნაბოს ცოლის ოთახიდან წამოღებულ ნივთებიანად დაუყოვნებლივ პარიზში გაჩნდა დანიშნულ ვადაზე ადრე.

პარიზში ჩამოსულმა ამბროჯუოლომ დაუძახა იმ ვაჭრებს, რომელნიც დაესწრნენ მის დანიძლავებას ბერნაბოსთან, და თვითონ ბერნაბოს თანდასწრებითა თქვა: სანაძლეო მოვუგე ბერნაბოს, რადგან რაც დავიკვეხე, შევასრულეო. ნათქვამის დასამტკიცებლად ჯერ აღწერა თვით ოთახის მდებარეობა, მისი კედლის მხატვრობა, მერე უჩვენა ქალის ოთახიდან წამოღებული ნივთები და არწმუნებდა მსმენელთ — ქალმა მომცაო. ბერნაბომ დაუმოწმა: ოთახი მართლა ისეთია და ეს ნივთებიც ჩემი ცოლისეულებიაო. მაგრამო, — თქვა ბერნაბომ, — ოთახის აღწერილობა შეიძლება ჩვენი ოჯახის რომელიმე მოსამსახურისაგან გაიგო და იმავე მოსამსახურის საშუალებით იშოვნა ეს ნივთებიო, ამიტომ მარტო ამით წაგებულად არ ჩავითვლებიო. მაშინ ამბროჯუოლომ უთხრა: „ჩემის აზრით, ესეც საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაკი გინდა, უფრო მეტი გითხრა, ბატონი ხარ, ამასაც გეტყვი: შენს ცოლს, ძინევრას, მარცხენა ძუძუს ქვემოთ კარგა მოდიდო ხალი აქვს, რომლის გარშემო ამოსულია ექვსი ოქროსფერი ბუსუსი.“ — ბერნაბომ ეს რომ გაიგონა, თითქო გულში დანა გაუტარა ვინმემო, — ისე ესიკვდილა ამბროჯუოლოს სიტყვები, სახეზე მკვდრის ფერმა გადაჰკრა, პირში ნერწყვი გაუშრა და ხმა ვერ ამოიღო. მაგრამ ისედაც აშკარა იყო, რომ ამბროჯუოლო მართალს ამბობდა, და, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, თქვა: „ბატონებო, რასაც ამბროჯუოლო ამბობს, ყველაფერი მართალია, ამიტომ რადგან მომიგო სანაძლეო, როცა ნებავდეს, მობრძანდეს და

რასაც დავპირდი, მივართმევ. მეორე დღეს ამბროჯუოლო მივიდა და იმანაც დაუთვალა დაპირებული ფული.

ამის შემდეგ ბერნაბო პარიზიდან წამოვიდა და ცოლზე გაბოროტებული გენუაში გამოემართა. გენუას რომ დაუახლოვდა, შიგ ქალაქში შესვლა არ ინდომა, არამედ ოცი კილომეტრის მოშორებით ერთ თავის მამულში გაჩერდა. აქ ერთ თავის მისანდო მოსამსახურეს ორი ცხენი და წერილი გამოატანა თავის ცოლთან გენუაში. ცოლს თავის ჩამოსვლას ატყობინებდა და უთვლიდა, ამ მსახურს წამოჰყევიო. მოსამსახურე კი დაარიგა: როცა წამოიყვან, სადმე უშიშარ ადგილას არც კი შეიბრალო, ისე მოჰკალი, და მერე ჩემთან დაბრუნდიო.

მოსამსახურე გენუაში ჩამოვიდა თუ არა, ქალბატონს წერილი მიართვა და ბატონის შემონათვალიც მოახსენა. ქალს ძალიან გაეხარდა მისი მოსვლა და მეორე დილას მოსამსახურესთან ერთად ცხენზე შეჯდა და თავის მამულში წამოვიდა. გზაში იქითურ-აქეთურზე ლაპარაკობდნენ ერთად, ისე წაადგნენ ერთ მეტად ღრმა და მივარდნილ ხრამს, რომელსაც გარშემორიგებული ჰქონდა ციცაბო კლდეები და ხეები. მოსამსახურემა თქვა, — აბა სწორედ ესაა ისეთი ადგილი, სადაც ბატონის ბრძანების ასრულება უშიშრად შეიძლებაო, იშიშვლა დანა, ქალს მკლავზე ხელი მოჰკიდა და უთხრა: „მადონა, თქვენი სული ღმერთს ჩააბარეთ, რადგან ამას იქით ერთი ნაბიჯიც კი არ უნდა გადასდგათ, ისე აქვე უნდა განუტევოთ სული“. ქალმა დანა რომ დაინახა და მსახურის სიტყვები რომ გაიგონა, თავზარდაცემულმა უთხრა: „ღვთის გულისთვის, შემიბრალე! სანამ მომკლავდე, ის მაინც მითხარი, თუ რა დაგიშავე, რისთვისა მკლავ?“ — „მადონა, — უთხრა მსახურმა, — ჩემთვის არაფერი დაგიშავებიათ; არ ვიცი, რა დაუშავეთ თქვენს ქმარს, მხოლოდ ის კია, რომ მიბრძანა, არ შეგიბრალოთ, ისე ამ გზაზე სადმე მოგკლათ; თან დამემუქრა, თუ არ მოგიკლავს, ანწუხზე წამოგაგებო. თქვენ თვითონ მოგეხსენებათ, თუ რა ერთგული გახლავართ თქვენი ქმრისა და აბა როგორ შემიძლია არ ავასრულო მისი ნაბრძანები. ღმერთმა იცოდეს, ძალიან მებრალებით, მაგრამ რა ვქნა, რომ სხვაფრივ არ შემიძლია“. — ამაზე ქალმა ტირილით უთხრა: „აქაო და სხვას უნდა ვაამოვო, რად უნდა მომკლა საწყალი ქალი, რომელსაც შენთვის თავის დღეში არა უწყენინებია რა. უფალმა, რომელმაც უწყის ყოველივე, უწყის ისიც, რომ ჩემი ქმრისათვის ისეთი არა დამიშავებია, რომ ასეთი სასჯელის ღირსი ვიყო. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მე ის მინდა გითხრა, რომ, თუკი მოინდომებ, შენ ერთსა და იმავე დროს შეგიძლია ღმერთსაც აამო, შენს ბატონსაც და მეც. და იმასაც გეტყვი, როგორ: შენ წაიღე ჩემი ტანისამოსი და სამაგიეროდ მომეცი მხოლოდ შენი ჯუბა და წამოსასხამი, ესენი წაუღე შენსა და ჩემს ბატონს და უთხარი, მოვკალი-თქო; მე კი გეფიცები იმ სიცოცხლეს, რომელსაც შენ შემინარჩუნებ, რომ აქ ერთ წუთსაც არ გავჩერდები, ისეთ ალაგას გადავიკარგები, რომ ვერც ქმარმა, ვერც შენ და ვერც სხვამ ამ სოფელში ჩემი ამბავი

თავის დღეში ვერ გაიგონოს“. — მოსამსახურეს, რომელსაც მისი მოკვლა მაინცდამაინც არ უნდოდა, ხელად მოულბა გული. ამიტომ გამოართვა კაბა და სამაგიეროდ მისცა თავისი ჯუბა და წამოსასხამი; თუ ფული რამ ჰქონდა ზედ, ისიც დაუტოვა და სთხოვა, გეთაყვა, აქედან სადმე სხვაგან წადიო. ეს უთხრა და ქალი ამ ხრამში ჩატოვა, თვითონ კი ბატონთან დაბრუნდა და მოახსენა: არამცთუ თქვენი ბრძანება შევასრულე, არამედ მკვდარი მგლების ხროვას გადავუგდე დასაგლეჯადაო.

ბერნაბო რამდენიმე ხნის უკან გენუაში დაბრუნდა და როცა ხალხმა გაიგო, რაც მოხდა, ყველამ ლანძღვა დაუწყო.

ქალი მარტოდმარტო დარჩა, ძალზე დანაღვლიანებული. რომ დაღამდა, გარეგნობა გამოიცვალა და ერთ მახლობელ სოფელში გადავიდა და იქ ერთ დედაბერთან იშოვა, რაც უნდოდა. ჯუბა თავის ტანზე გადააკეთა და დაამოკლა, მერე თავის პერანგისაგან ერთი წყვილი შარვალი შეიკერა, თმები შეიკრიჭა და, ჩაცმულობით მეზღვაურს დამსგავსებული, ზღვისკენ გაემართა.

ზღვის პირას ძინევრას შეხვდა ერთი კატალანელი აზნაური, რომელსაც სენიორ ენკარარკი ერქვა. წყაროსთან წყლის დასალევად გადმომხტარიყო თავისი ხომალდიდან, რომელიც აქედან ცოტა მოშორებით, ელბაზე იყო დაბმული. ამ კაცს გამოელაპარაკა ძინერვა და ბოლოს მოსამსახურედაც დაუდგა. ხომალდში რომ ჩაჯდა, სახელად სიკურანო და ფინალე დაირქვა. აზნაურმა უკეთესი ტანისამოსი ჩააცვა. სიკურანო ისე კარგად და ისე მარჯვედ ემსახურებოდა, რომ პატრონი მეტისმეტად ემადლიერებოდა.

გამოხდა ხანი და ამ კატალანელმა საქონლით დატვირთული ხომალდი ალექსანდრიას მიაყენა, თან მოიყვანა რამდენიმე მონადირე შავარდენი და სულთანს ძღვნად მიართვა. სულთანი ხანდახან საღილად ჰპატიჟობდა კატალანელს, რომელსაც თან მოჰყვებოდა ხოლმე სიკურანო. სულთანს ძალიან მოეწონა სიკურანოს სიმარჯვე და კატალანელსა სთხოვა, დამითმეო. პატრონს ბარემ ვერ ემეტებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც დაუთმო.

სიკურანომ მოკლე ხანში თავის ერთგული სამსახურით ისეთივე წყალობა და სიყვარული დაიმსახურა სულთანისა, როგორიც კატალანელისაგან ჰქონდა დამსახურებული. იმ დროს, წელიწადში ერთხელ დანიშნულ დროს ბაზრობა იმართებოდა ქალაქ აკრაში, რომელიც სულთანის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა, და აქ იყრიდნენ თავს, როგორც ქრისტიანი, ისე სარაცინელი ვაჭრები. ვაჭრებისა და მათი საქონლის უზრუნველსაყოფად სულთანი გზავნიდა ხოლმე, სხვა მოხელეებს გარდა, ერთ-ერთ თავის დიდებულს, რომელსაც დამცველი რაზმი მიჰყვებოდა. ამის დრო რომ დადგა, სულთანმა გადაწყვიტა, ამ საქმისათვის გაეგზავნა სიკურანო, რომელმაც ადგილობრივი ენა უკვე კარგად იცოდა; და ასე მოიქცა

კიდეც.

სიკურანო აკრაში ჩამოვიდა, როგორც უფროსი და მეთაური ვაჭრებისა და საქონლის მცველი რაზმისა. აქ პირნათლად და ერთგულად ასრულებდა დაკისრებულ თანამდებობას, ყველგან მიდიოდა და ყველაფერს თვალყურს ადევნებდა. ამასობაში ხვდებოდა სიცილიელ, პიზელ, გენუელ, ვენეციელ და იტალიის სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ ვაჭრებს, თავის სამშობლოს იგონებდა და ამათაც სიამოვნებით გაეცნობოდა ხოლმე. ერთხელ ვენეციელ ვაჭართა ერთ საფართლო დუქანთან ჩამოხდა ცხენიდან. აქ სხვა ძვირფას ნივთთა შორის თვალი მოჰკრა ერთ ქისასა და ქამარს. მაშინვე იცნო, როგორც მისეულები და საშინლად გაუკვირდა. მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ არცკი იცოდა, ვისები იყო და თავაზიანად იკითხა: ვინ არის ამ ნივთების პატრონი და ხომ არა ჰყიდისო? იქვე იყო ერთი ვენეციელთა ხომალდით მოსული ამბროჯუოლო და პიაჩენცა და თან მოეტანა აუარებელი საქონელი. რომ გაიგონა, რაზმის უფროსი ჩემი ნივთების ამბავს კითხულობსო, წინ წამოდგა და სიცილით უპასუხა: „ბატონო ჩემო, ეს ნივთები ჩემები გახლავთ და არცა ვყიდი, მაგრამ თუ მოგწონთ, ფეშქაშ!“ — სიკურანო ვაჭარს გაცინებულს რომ უყურებდა, ეჭვი აიღო, იქნება როგორმე მიცნოო; მაგრამ ერთი ბეწო შეშფოთებაც კი არ დაიმჩნია სახეზე და უთხრა: „იმიტომ თუ გეცინება, რომ სამხედრო კაცი საქალო ნივთების მოყიდვასა გთხოვ?“ — ამაზე ამბროჯუოლომ უპასუხა: „არა, ბატონო, ამიტომ კი არ მეცინება; რომ იცოდეთ, როგორა მაქვს ნაშოვნი, თქვენც გაგეცინებოდათ“. — მაშინ სიკურანომა ჰკითხა: „ისემც ღმერთი გადღეგრძელებს, თუ დასაფარავი არაფერია, ერთი მიამბე, როგორ ჩაგივარდა ხელში“. — “ბატონო ჩემო, — უთხრა ამბროჯუოლომ, —ესენი ერთი კეთილშობილი გენუელი ქალის ნაჩუქრებია. იმ ქალს ძინერვა ერქვა და ვინმე ბერნაბო ლომელინის ცოლი იყო. ერთ ღამეს მასთან წოლით ვისურვილე და მაშინ მომცა და მთხოვა — ჩემი სიყვარულის სახსოვრად ატარეო. ახლა მისი ქმრის, ბერნაბოს, სისულელეზე მეცინება. მითხრა, ჩემს ცოლს შენს ნებაზე ვერ დაიყოლიებო. დავნიძლავდით: თუ მე წავაგებდი — ათასი ფლორინი უნდა მიმეცა, და თუ ის წააგებდა — ჩემთვის ხუთი ათასი ფლორინი უნდა მოეცა. მე მისი ცოლი ჩავიგდე ხელში და სანაძლეოც მივიღე. იმას, იმის მაგივრად რომ თავისი ყეყეჩობისათვის თავისი თავი დაესაჯნა, მოუნდომნია ცოლი დაესაჯნა იმისათვის, რასაც ყველა ქალები შვრებიან. ამისთვის პარიზიდან გენუაში ჩამოსულა და, როგორც ამბობენ, მოუკვლევინებია საწყალი ქალი.

სიკურანომ ეს რომ გაიგონა, მაშინვე მიხვდა, თუ რათ გაუწყრა მას ბერნაბო და ცხადად დაინახა ისიცა, ვინც გააუბედურა, და გულში გადაწყვიტა: დაუსჯელად ხელიდან არ გაეშვა.

სიკურანომ თავი ისე მოაჩვენა, ვითომ მეტად სასაცილოდ ჩათვალა ეს ამბავი და განგებ ოსტატურად ისე დაუმეგობრდა, რომ ამბროჯუოლომ არჩია ბაზრობის გათავების შემდეგ, თავის საქონლიანად ალექსანდრიაში გადაბარგებულიყო, სადაც სიკურანომ დუქანი გაუღო

და საკუთარ ფულსაც აძლევდა საგრიალებლად. ამბროჯუოლოც ალექსანდრიაში დიდი ხალისით განაგრძობდა ყოფნას, რადგან ეს მისთვის სახეირო იყო.

სიკურანო ფიქრობდა ბერნაბოსათვის თვალები აეხილებინა და დაენახვებინა თავისი სიმართლე, და მანამდე ვერ მოისვენა, სანამ რაღაც მიზეზი არ გამოიგონა და ალექსანდრიაში მყოფ გენუელ ვაჭრებს ალექსანდრიაში არ დააბარებინა ბერნაბო. და რადგან ბერნაბო ძალიან ღარიბად იყო, სიკურანომ ერთ-ერთ თავის მეგობარს ჩუმადა სთხოვა — შენთან დააყენე, სანამ დრო არ იქნება გავაკეთო ის, რაც უნდა გამეკეთებინაო.

სიკურანომ უკვე სულთანისათვის აამბობინა თავისი ამბავი ამბროჯუოლოს და სულთანსაც სასაცილოდ ეჩვენა. მაგრამ რადგან ბერნაბოც უკვე აქ იყო, სიკურანომ თქვა — დროა, საქმეს დაუყოვნებლივ შევუდგეო. მარჯვე წუთი შეურჩია და სულთანს სთხოვა: ამბროჯუოლო და ბერნაბო ორივე დაიბარეთ და ამბროჯუოლოს ბერნაბოს თანდასწრებით ყველაფერი ათქმევინეთ, როგორ ინვა ბერნაბოს ცოლთან, როგორც კვეხულობდა, და თუ ნებით არა სთქვას, ძალით ათქმევინეთო.

ამბროჯუოლო და ბერნაბო რომ წარუდგნენ, სულთანმა, მრავალი ხალხის თანდასწრებით, მრისხანე სახით უბრძანა: მართალი სთქვი, როგორც იყო საქმე, ან ბერნაბოს ხუთი ათასი ფლორინი ოქრო როგორ მოუგეო? აქვე იყო სიკურანო, რომლის დიდი იმედი ჰქონდა ამბროჯუოლოს — გაჭირვების დროს დამეხმარებაო. მაგრამ ამას უარესად ჰქონდა სახე განრისხებული და სულთანზე უარესად ემუქრებოდა: თუ მართალი არ გითქვამს, შავ დღეს დაგაყენებო. ამბროჯუოლოს, მართალია, შეეშინდა როგორც ერთისა, ისე მეორისაც და ბერნაბოს და სხვათა თანდასწრებით ბარემ ერიდებოდა ლაპარაკისა, მაგრამ იფიქრა: დიამც იყოს, უკანვე დამაბრუნებინონ ხუთი ათასი ოქრო და ქალის ნივთებიო. ისიც ადგა და გულახდილად უამბო ყველაფერი, როგორც იყო.

ამბროჯუოლომ ლაპარაკი რომ გაათავა, სიკურანომ, როგორც სულთანის ნების აღმასრულებელმა, მიმართა ბერნაბოს და ჰკითხა: „შენ რაღა უყავ შენს ცოლს, როცა ეს ტყუილი გაიგონე?“ — ბერნაბომ ამაზე ასე უპასუხა: „ერთის მხრით ამდენი ფულის წაგებამ საშინლად გამაბრაზა და მეორეს მხრით ჩემის ცოლის ღალატმა სირცხვილით დამწვა და ვეღარ მოვითმინე და მოსამსახურეს მოვაკვლევინე და იმავე მოსამსახურემ მითხრა — მკვდარს მგლების ხროვა დაესია და თვალის დახამხამებაში დაგლიჯესო“.

სულთანმა, რომლის წინაშე ითქვა ყოველივე ესე და რომელმაც ყველაფერი მოისმინა და გაიგო, არ იცოდა, თუ სიკურანომ რისთვის მოაყვანინა ეს ხალხი და ან ეს დავიდარაბა რისთვის აატეხინა და რა ჰქონდა აზრად.

სიკურანომ სულთანს მიჰმართა და მოახსენა: „ჩემო ხელმწიფეო, თქვენის ბედნიერის თვალით ნათლად ჰხედავთ, თუ რამდენად უბედური ყოფილა ქალი როგორც საყვარლისა, ისე ქმრისაგან: საყვარელმა პატიოსნება აჰყარა, ტყუილები მოუგონა და საქვეყნოდ თავზე ლაფი დაასხა, ხოლო ქმარი გაუნადგურა და დაუგლახავა; ქმარმა გარეშე კაცის ნათქვამ ტყუილებს უფრო დაუჯერა, ვიდრე ქალის სიმართლეს, რომელიც, ვის-ვის, მაგრამ იმას მაინც კარგად უნდა სცნობოდა, რადგან იმდენი ხნის განმავლობაში მასთან ცხოვრობდა, და მოაკვლევინა და მგლებს შეაჭმევინა. და გარდა ამისა, საყვარელსაც და ქმარსაც ეს ქალი იმ ზომამდე ჰყვარებიათ, რომ თუმცა მათ მასთან დიდხანს უცხოვრიათ, მაინც ვერცერთი მათგანი სცნობს. მაგრამ მე მინდა, თქვენ უკეთესად მიხვდეთ, თუ რა სახელის ღირსია თითოეული მათგანი; მინდა აგრეთვე წყალობა მიყოთ და ტყუილის მთქმელი დასაჯოთ, ხოლო მოტყუებულს აპატიოთ, ამიტომ ამ ქალს აქ მოვიყვან და თქვენსა და მის წინაშე დავაყენებ“ სულთანს უნდოდა ამ საქმეში ყოველი სურვილი სიკურანოსი აესრულებინა და უბრძანა, მოიყვანეო.

ბერნაბოს საშინლად უკვირდა ეს ამბავი, რადგან თავისი ცოლი დიდი ხნის მკვდარი ეგონა. ხოლო ამბროჯუოლომ იგრძნო, რაც მოელოდა. ფულის მიცემას ვინა ჩივის, ოღონდ უარესი არ დამემართოსო; თვითონაც არ იცოდა, რისა უნდა შინებოდა ან რის იმედით უნდა ყოფილიყო, როცა ეს ქალი მოვიდოდა, და მოუთმენლად მოელოდა მის გამოჩენას.

და როცა სულთანმა უბრძანა, ქალი მოიყვანეო, სიკურანო ცრემლმორეული მუხლებზე დაეცა სულთანის წინაშე და რადგან მეტად არ უნდოდა მამაკაცი ჰგონებოდა ვისმე, მამაკაცის ხმით ლაპარაკს თავი ანება და სულთანს მოახსენა: „ჩემო ხელმწიფეო, მე თავად გახლავართ საცოდავი, უბედური ძინევრა! ექვსი წელიწადია, ქვეყნად დავეხეტები მამაკაცურად ჩაცმული. აი, ამ ავაზაკმა აბროჯუოლომ უსამართლოდ სახელი გამიტეხა და საქვეყნოდ თავი მომჭრა, ხოლო ულმობელმა და უსამართლო ადამიანმა მოსაკლავად და მგლების შესაჭმელად გამიმეტა“. — ესა თქვა და გადაიღეღა გული, სულთანსა და იქ დამსწრეთ უჩვენა ძუძუები, რომ დაემტკიცებინა, რომ მართლა ქალი იყო. მერე მიუბრუნდა ამბროჯუოლოს და შეტევით ჰკითხა: „რომ იკვეხნიდი, ვაჟბატონო, ერთი სთქვი, როდის იყო, რომ ჩემთან იწექიო... ამბროჯუოლომ იცნო ქალი, სირცხვილისაგან პირკატა ეცა და ვერაფერი უპასუხა.

სულთანს სიკურანო სულ მუდამ მამაკაცად მიაჩნდა და ეს ამბავი რომ დაინახა და გაიგონა, ისე გაუკვირდა, რომ რასაცა ხედავდა ან ესმოდა, უფრო სიზმარი ეგონა, ვიდრე ცხადი. მაგრამ როცა გაოცებამ გადაუარა და სინამდვილე დაინახა, დიდად აქო ყოფაქცევა, ხასიათის სიმტკიცე, ზნეობა და სათნო საქმენი ძინევრასი, რომელიც აქამდე სიკურანოს ირქმევდა. მაშინვე უბრძანა მდიდრული საქალო ტანისამოსი მოეტანათ და ქალებიც მისცა მოახლეებად. ქალის თხოვნით სულთანმა ბერნაბოს სიკვდილი აპატია, თუმცა ღირსი იყო სიკვდილისა. ბერნაბომ რომ იცნო თავისი ცოლი, ფეხებზე მოეხვია, დაიწყო ტირილი და

პატიება სთხოვა. და თუმცა ქმარი პატიების ღირსი არ იყო, მაგრამ ცოლმა სულგრძელობით აპატია, ზეზე წამოაყენა და, როგორც თავის ქმარს, ტკბილად აკოცა.

ამის შემდეგ სულთანმა ბრძანა: ამბროჯუოლო დაუყოვნებლივ წაეყვანათ სადმე ქალაქის მომაღლო ადგილას, იქ ბოძზე მიებათ მზის გულზე, ტანზე თაფლი წაეცხოთ და აქედან მანამდე არ მოეხსნათ, სანამ თვითონ არ წაიქცეოდა. ამის შემდეგ ბრძანება გასცა: რაც რამ ქონება ჰქონდა ამბროჯუოლოს, ყველაფერი ძინევრას მიეცითო. მისი ქონება კი, სულ უკანასკნელი, ათი ათასი ფლორინის მეტისა იყო. მერე სანაქებო ნადიმი გაუმართა ბერნაბოს, როგორც ძინევრას ქმარს, და ქალბატონ ძინევრას, როგორც ღირსეულ და სამაგალითო ქალს. მერე ძინევრას იმდენი ძვირფასი ნივთი, ოქროსი და ვერცხლის ჭურჭელი და ფული აჩუქა, რომ მეორე ათი ათას ფლორინად ესენი ღირდა. ლხინის შემდეგ ცოლ-ქმრისათვის ხომალდი მოამზადებინა და ნება მისცა, თუ უნდოდათ გენუაში დაბრუნებულიყვნენ.

ცოლ-ქმარი გენუაში დაბრუნდნენ გამდიდრებულები და გახარებულები. აქ დიდის პატივით დაუხვდნენ, განსაკუთრებით ძინევრას, რომელიც ყველას მკვდარი ეგონა, და თავის საუცხოვო სათნოებისათვის მთელი თავისი სიცოცხლე ყველანი პატივსა სცემდნენ.

ამბროჯუოლო იმავ დღეს თავით ძელს მიაკრეს, შიშველ ტანზე თაფლი წასცხეს. დაეხვია ბუზი, კრაზანა და ბუზანკალი, რომლებიც ამ ქვეყანაში აუარებელი იცის ხოლმე, და არამცთუ დიდადა ჰგვემეს და ისე ამოჰხადეს სული, არამედ ხორცი შეუჭმელი არ გადარჩენიათ და ძვლებიღა დარჩა მისი. აქ დიდხანს ეკიდა მისი თეთრი ძვლები, ერთიმეორეს ძარღვებითღა მიმაგრებული, და გამვლელს მოაგონებდა ხოლმე მის ბოროტებასა და ავკაცობას. და ამგვარად, მომტყუებელი მოტყუებულის ფეხთ ქვეშ გაერთხო.

ამგავი მეათე. მოხუცებუღეგის კაღენდარი

პაგანინო მონაკოელმა რიჩიარდო კვინციკას ცოლი მოსტაცა. რიჩიარდომ რომ გაიგო, სად იმყოფებოდა მისი ცოლი, წავიდა, დაუმეგობრდა პაგანინოს და ცოლის დაბრუნება სთხოვა. პაგანინო დასთანხმდა, თუ ცოლის სურვილიც იქნებაო. ცოლი არ გამოჰყვა და, რიჩიარდო რომ გარდაიცვალა, პაგანინოს მისთხოვდა.

მთელმა პატიოსანმა შეკრებილობამ ერთხმად მოიწონა დედოფლის მიერ ნაამბობი მშვენიერი მოთხრობა, განსაკუთრებით აქო დიონეომ; ახლა მარტო ამას დარჩენოდა ამბის მბობა ამ დღისათვის. ამანაც ჯერ დიდად შეაქო უკვე თქმული მოთხრობა და მერე თქვა: — მშვენიერნო ასულნო, დედოფლის მოთხრობის ერთმა ნაწილმა შემაცვლევინა განზრახვა და

აღარ გიამბობთ იმას, რაც მომაგონდა. იმის მაგიერ მსურს სხვა ამბავი გიამბოთ. მე მინდა გაჩვენოთ სიყეყეჩე ბერნაბოსი — თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სიყეყეჩემ იგი ბედსა სწია — და ყველა იმ მამაკაცებისა, რომელთაც წარმოუდგენიათ ივივე, რაც, როგორც მერე გამოირკვა, ბერნაბოსაც წარმოედგინა, სახელდობრ ისა, რომ იმ დროს, როცა ესენი ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეს დაბრძანდებიან და ხან ერთ ქალთან და ხან მეორესთან დროს ატარებენ, შინ დარჩენილი მათი ცოლები ვითომც გულხელდაკრეფილნი ისხდნენ, თითქო ჩვენ, მათ შორის დაბადებულთ და აღზრდილთ, არ ვიცოდეთ, თუ რას უფრო ეწყობიან. მე მინდა ჩემს მოთხრობაში დაგანახოთ, რომ თუ ამნაირი ხალხის სიყეყეჩე ეგზომ დიდია, მით უმეტესია სიყეყეჩე იმათი, ვინცა ფიქრობს, რომ ისინი თვით ბუნებაზედაც ღონივრები არიან და ცდილობენ, თავიანთი თავი დაარწმუნონ სხვადასხვა შეუსაბამო საბუთებით, რომ შეუძლიათ იმაზე მეტის გაკეთება, რისი მართლა შესრულების ძალა შესწევთ, თან ცდილობენ თავი გაუყადრონ იმათ, ვინც, თავისი ბუნებით, სრულებით მაგათ არა ჰგვანან.

ქალაქ პიზაში მოსამართლე ვინმე ცხოვრობდა. ფიზიკურად ჩია ვინმე იყო, სამაგიეროდ, ჭკუა მიეცა მისთვის ღმერთს. სახელად რიჩიარდო და კვინციკა ერქვა. ამ მოსამართლეს ალბათ ეგონა, რომ ცოლსაც იმნაირივე საქმიანობა და იმნაირივე მწიგნობრობა დააკმაყოფილებდა, როგორითაც თვითონ იყო კმაყოფილი, და, ამასთან, რაკი მდიდარიც იყო, დაიწყო ლამაზისა და ახალგაზრდა საცოლეს ძებნა. ამისათვის ცოტა შრომა კი არ დასჭირვებია!.. იმას რომ შესძლებოდა თავისთვის მიეცა ის რჩევა— დარიგებამ რასაც სხვებს აძლევდა, მაშინ უნდა მორიდებოდა ქალის როგორც სილამაზესა, ისე ახალგაზრდობას. ბოლოს, მისი ცოლის შერთვის საქმე მოეწყო, იმიტომ რომ ბატონმა ლოტო გვალანდიმ მიათხოვა თავისი ქალი, რომელსაც ბარტოლომეა ერქვა. ასეთი ლამაზი და ეშხიანი ქალი მეორე არ იყო მთელ ქალაქ პიზაში, სადაც ყველა ქალი, ზოგიერთ გამონაკლისს გარდა, ხვლიკივით დატანტალებს.

ცოლის მოყვანაზე მოსამართლემ დიდი ქორწილი გადაიხადა. მერე პირველ ღამეს დაწვა ცოლთან და უნდოდა მოესურვილებინა, მაგრამ კინაღამ პირველადვე უღალატა ღონემ, და რადგან სუსტი იყო, გამხდარი, მუცელი წელზე ჰქონდა მიკრული, მეორე დილას ძლივს მოსულიერდა წითელი ღვინით, ყუათზე მომყვანი სხვადასხვა საშუალებებითა და ბალახბულახით.

ახლა, როცა ბატონმა მოსამართლემ თავის ძალღონეს წინანდელზე მეტად დაუწყო დაფასება, ცოლს მიუჯდა და უთხრა — კალენდარი უნდა გასწავლოო. მერე დალოცვილს ისეთი კალენდარი უნდა ესწავლებინა, რომელიც ანბანის მოსწავლე ბავშვებისათვის თუღა გამოდგებოდა და ალბათ რავენაში იყო შედგენილი. მისი სიტყვებისათვის რომ ყური ეგდო კაცს, ყოველ დღეში უქმეს თითოს კი არა, რამდენიმეს აღმოაჩენდა; ქმარი განუმარტავდა ხოლმე, რომ ამ დღესასწაულებს პატივი უნდა ვცეთ და ამიტომ ცოლ— ქმარმა სხვადასხვა

მიზეზების გამო თავი უნდა შეიკავონ კავშირისაგანო; ამას უნდა დამატებულიყო მარხვები, წინა-დღეები შობისა და ნათლიღებისა, ღამისთევები წმ. მოციქულთა და ათას სხვა წმინდანთა, პარასკევები, შაბათები, კვირეები, მთელი დიდმარხვა, მთვარის მოქცევის ესა თუ ის დღეები და მრავალი სხვა გამონაკლისი; ალბათ ისა ჰფიქრობდა, რომ ასეთი ჯანჯლობა, როგორიც მასა ჩვეოდა სამოქალაქო საქმეების წარმოების დროს, შესაძლებელი ყოფილიყო ცოლქმრულ სარეცელზედაც. და ამნაირად თავი ეჭირა მოსამართლეს (რაზედაც ქალი ძალიან სწუხდა, რადგან თვეში ერთხელ თუ აღირსებდა ძაღლუმადურად ალერსს და იმასაც ყოველთვის არა.) კარგა ხნის განმავლობაში და თან თვალ-ყურს ადევნებდა, ვისმე არ ესწავლებინა მისი ცოლისათვის სამუშაო დღეთა გამოცნობა, ამნაირადვე, როგორც იმან ისწავლა უქმეების შენახვა.

ერთხელ ძალიან ჩამოცხა და ბატონ რიჩიარდოს აზრად მოუვიდა რამდენიმე დღით საჰაეროდ წასულიყო თავის სოფლის მამულში, მონტე ნეროს ახლო, და თან თავისი ლამაზი ცოლიც წაეყვანა. აქ ცოლი გასართობად სათევზაოდ წაიყვანა. თვითონ იმ ნავში ჩაჯდა, სადაც მეთევზენი ისხდნენ, ხოლო ცოლი მეორე ნავში ჩასვა სხვა ქალებთან ერთად და წავიდნენ საყურებლად. თევზაობის ყურებაში ისე გაერთვნენ და შეუმჩნევლად რამდენიმე კილომეტრი ისე გაიარეს, რომ პირდაპირ ზღვაში შეცურდნენ. და სანამ ესენი თევზის ჭერას უყურებდნენ, უცბად საიდანღაციდან გაჩნდა იმ დროს ცნობილი მეკობრის — პაგანინო და მარეს ხომალდი. ნავები რომ დაინახა, პირდაპირ მათკენ გამოემართა. ნავები გამოიქცნენ, მაგრამ პაგანინო დაეწია და დააცხრა იმ ნავს, სადაც ქალები ისხდნენ. შიგ ლამაზი ქალი რომ დაინახა, სხვა არაფერი ნადავლი მოინდომა, უკვე ნაპირად გასულ ბატონ რიჩიარდოს თვალწინ მისი ცოლი თავის გალერაში ჩაისვა და გასწია.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა თავშიცემა შეექნა მოსამართლეს, ცოლის მოტაცებას რომ უყურებდა! მერე მაგისთანა ეჭვიანი კაცი, რომელსაც ჰაერისაც კი ეშინოდა და არ აკარებდა თავის ცოლს! იჩივლა პიზაში და სხვაგანაც მეკობრეთა ავაზაკობაზე, მაგრამ არაფერი გამოვიდა, რადგან არ იცოდა, ვინ მოსტაცა ქალი ან სად წაიყვანეს.

პაგანინომ კი რომ დაინახა, ქალი კალმით დახატულიაო, ძალიან კმაყოფილი დარჩა; და რაკი ცოლი არა ჰყავდა, გადაწყვიტა სულ თანა ჰყოლოდა და გულამოსკვნით ატირებულ ქალს ტკბილად ნუგეშისცემა დაუწყო. დაღამებისას, რაკი დაატყო, დღისით ცარიელი სიტყვებით ვერ ვანუგეშეო, გადაწყვიტა საქმით ეცა ნუგეში. რაც შეეხება კალენდარს, ქამრიდან ჩამოუვარდა და ყველა უქმე და დღესასწაულის დღეები დაავიწყდა. და მართლაც ისე კარგადაც გაუხარა გული ქალს, რომ სანამ მონაკოში ჩავიდოდნენ, მოსამართლე და მისი კანონები სრულებით გადაავიწყა. ამნაირად ქალმა პაგანინოსთან მეტად ტკბილად და მხიარულად დაიწყო ცხოვრება.

პაგანინომ ქალი მონაკოში რომ მიიყვანა, გარდა იმ ნუგეშისა, რომელსაც დღისით თუ ღამით არ აცდენდა, ისეთსავე პატივისცემით ეპყრობოდა, როგორც სჯულიერ ცოლს.

გამოხდა ხანი და რიჩიარდოს ყურებამდე მოაღწია ცოლის სადმყოფობის ამბავმა. ფიცხლავ მოინდომა მისი უკან წამოყვანა. ჩემებრ ამ საქმეს სხვა ვერავინ იზამსო და გადაწყვიტა თვითონ წასულიყო მის წამოსაყვანად. ქალის გამოსასყიდი ფული არ ეზოგებოდა. ჩაჯდა ხომალდში და გაემართა მონაკოში. აქ ცოლ-ქმარმა ერთმანეთი დაინახეს. საღამოს პაგანინო რომ დაბრუნდა, ქალმა ამბავი დაახვედრა და თან უთხრა, თვითონაც რას აპირებდა.

მეორე დილას ბატონი რიჩიარდო პაგანინოს შეხვდა. რამდენიმე საათის განმავლობაში ძალიან დაუახლოვდა და დაუმეგობრდა. პაგანინომ კი თავი ისე მოაჩვენა, თითქო არც კი გაუგონია მისი სახელი და დაუწყო ლოდინი, აბა, რა ქნასო. ბატონმა რიჩიარდომ დრო შეურჩია, და მოხერხებული და ალერსიანი სიტყვებით გამოუტყდა, თუ რისთვის იყო მოსული, და უთხრა: ფული, რამდენიც გნებავდეთ, მიირთვით, ოღონდ ჩემი ცოლი დამიბრუნეთო. პაგანინომ მხიარული სახით უთხრა: „ჩემო ბატონო და ხელმწიფეო, კეთილი იყოს თქვენი აქ მობრძანება! რაიცა შეეხება თქვენს თხოვნას, მოკლედ რომ მოვჭრათ, აი რა უნდა მოგახსენოთ: მართალია, სახლში ერთი ახალგაზრდა ქალი მყავს. მაგრამ არკი ვიცი, თქვენი ცოლია თუ სხვისი ვისიმე. რადგან თქვენ არ გიცნობთ, და ქალსაც მას აქეთ ვიცნობ, რაც ჩემს სახლში დაბინავდა. თუ თქვენ მართლა მისი ქმარი ბრძანდებით, რადგან თქვენ თავაზიანი და პატივცემული ვინმე სჩანხართ, მიგიყვანთ ქალთან და დარწმუნებული გახლავართ, მაშინვე გიცნობთ. თუ ქალმაც იგივე სთქვა, რასაც თქვენ ბრძანებთ, და მოინდომებს თქვენს გამოყოლას, მზად გახლავართ თქვენი მოსიყვარულე გულისათვის პატივი გცეთ და თქვენი ცოლის დასახსნელად რასაც თქვენ თვითონ გვიბოძებთ, იმას დაგჯერდეთ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ქალმა თქვენს ქმრობაზე უარი განაცხადა, მაშინ უნდა პირდაპირ მოგახსენოთ, რომ თქვენ აქ ქალის წასართმევად და ჩემს გასალანძღავად ყოფილხართ მოსული — ეს კი თქვენის მხრივ დიდი უპატიოსნება იქნება, რადგან მე ახალგაზრდა კაცი გახლავართ და უფლება მაქვს, როგორც სხვას, ცოლი ვიყოლიო და მით უფრო ესა, რომლის მსგავსი ალერსიანი და სრული ყოვლითა სიკეთითა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს“. ამაზე ბატონმა რიჩიარდომ ასე უთხრა: „ამას რა ლაპარაკი უნდა, ჩემი მეუღლეაო და ოღონდ შენ იმასთან მიმიყვანე და ყელზე შემომეხვევაო. ამიტომ ისა ჰქენი, რაც შენ გიფიქრია“. — მაშ, კარგი, წავიდეთ, — უთხრა პაგანინომ.

ორნივე პაგანინოს სახლში გამოემართნენ. ერთს ოთახში რომ შევიდენ, პაგანინომ დააძახებინა ბარტოლომეასთვის და ისიც მორთული და მოპრანჭული მეორე ოთახიდან გამოვიდა და იქ მივიდა, საცა პაგანინო და რიჩიარდო ერთად იყვნენ. რიჩიარდოსთვის ხმაც არ გაუცია და თავი ისე დაიჭირა, თითქო პაგანინოს ვინმე უცხო და მისთვის უცნობი კაცი

მოეყვანოს სახლშიო. მოსამართლეს ეგონა, ჩემი ცოლი რომ დამინახავს, სიხარულით ცათაფრენა შეუდგებაო, და ქალის ასეთი მოქცევა რომ დაინახა, იფიქრა: ალბათ დარდმა და ნაღველმა, მის დაკარგვის შემდეგ რომ მაწუხებდა, ისე გამომცვალა, რომ საცოდავმა ვერც კი მიცნოო. ამიტომ რიჩიარდომ ასე უთხრა: „შენი კვნესამე, ძვირად დამიჯდა შენი სათევზაოდ წაყვანა. არა მგონია, ვისმე სიცოცხლეში ისე ედარდოს, როგორც ვიდარდე შენი დაკარგვის გამო. შენ კი თითქო აღარც კი მიცნობდე, ისე გულგრილად მეპყრობი!.. გენაცვა, ნუთუ ვეღარა ცნობ შენს რიჩიარდოს! აქ, ამ კეთილშობილი კაცის სახლში იმისთვის მოვსულვარ, რომ მივცე ის, რასაცა მთხოვს, ოღონდ შენი თავი დამიბრუნოს და შინ წაგიყვანო. და ის კი იმას მყაბულდება, რამდენსაც მე გადავუწყვეტავ“. ქალი მიუბრუნდა და ღიმილით უთხრა: „ბატონო ჩემო, ნუთუ ამას მე მელაპარაკებით? ალბათ სხვა ვინმე გგონივართ. მე კი პირველად გხედავთ და არ გიცნობთ, ვინა ბრძანდებით“. — „ქალო, ერთი კარგად დაფიქრდი, რას ამბობ! — უთხრა რიჩიარდომ, — შენ რომ გინდოდეს კარგად მოიგონო, დაინახავდი, რომ შენი რიჩიარდო და კვინციკა ვარ“. — ამაზე ქალმა უთხრა: „უკაცრავად, შეიძლება არც ისე პატიოსნური იყოს, როგორც ეს თქვენა გგონიათ, თქვენი ყურება, მაინც იმდენი დაგაცქერდით, რომ დავრწმუნდი — ჩემს სიცოცხლეში დღეის აქამომდე არსად მინახავხართ-მეთქი“. ბატონმა რიჩიარდომ იფიქრა, შეიძლება ქალი პაგანინოს შიშითა შვრებოდეს ასეო, და მისი თანდასწრებით არ უნდოდეს, გამოტყდეს, რომ მიცნობსო. ამიტომ, ცოტა ხნის შემდეგ დიდის თავაზითა სთხოვა პაგანინოს — შენს ლხენას, სადმე ოთახში მარტო მალაპარაკე ქალთანაო. პაგანინომ, — სიამოვნებითაო, მხოლოდ პირობა უნდა მომცეთ, რომ ქალს ძალათი არ აკოცებთო. ამის შემდეგ ქალს უთხრა: სტუმართან ცალკე ოთახში დარჩი, მოუსმინე ყველაფერი, რაც გითხრას და როგორც იმას ესიამოვნოს, ისე უპასუხეო.

ქალი და რიჩიარდო ერთს ოთახში ერთად შევიდნენ და დასხდნენ თუ არა, რიჩიარდომ ასე დაიწყო ლაპარაკი: — ჰოი, სულისდგმავ, ჩემო ტკბილო, ჩემო ყველავ, ჩემო სასოებავ, ნუთუ ვერ იცანი შენი რიჩიარდო, რომელსაც თავის თავს ურჩევნიხარ? ნუთუ ეს შესაძლებელია? ან ნუთუ ისე გამოვიცვალე? ჰოი, ჩემო თვალის სინათლევ! ცოტა კარგად მომაპყარ თვალი.“ — ქალმა სიცილი აიტეხა, მეტის თქმა აღარ აცალა და უთხრა: — „იცოდეთ, მახსოვრობა არც ისე დამკარგვია, რომ არ ვიცოდე, რომ ჩემი ქმარი რიჩიარდო და კვინციკა ხართ; მაგრამ სანამ მე თქვენთან ვიყავი, სრულებით არ გეტყობოდათ, რომ მე მიცნობდით, რადგან თქვენ რომ მართლა ჭკვიანი კაცი ყოფილიყავით, როგორადაც ყველას გინდათ მოაჩვენოთ თავი, იმდენი მიხვედრილობა გექნებოდათ, რომ დაგენახათ, რომ მე ვიყავი ახალგაზრდა, ქორფა და ჯან-ღონით სავსე და, მაშასადამე, გეცოდინებათ, რომ ახალგაზრდა ქალებს ჩაცმა-დახურვისა და საჭმელ-სასმელს გარდა კიდევ სხვა რამეც სჭირიათ, სხვა რამ მოთხოვნილებაც აქვთ, რასაც კდემამოსილებით ვეღარ ამხელენ; და თქვენ თვითონ კარგად მოგეხსენებათ, ამ მოთხოვნილებას როგორ მიკმაყოფილებდით.... და

თუ თქვენთვის უფრო სასიამოვნო იყო კანონების შესწავლა, ვიდრე ცოლთან ცხოვრება, მაშინ, თქვე დალოცვილო, არც უნდა გეთხოვათ ცოლი! ასე რომ, მე არა მგონია, თქვენ მართლა მოსამართლე იყოთ, პირიქით მე მგონია, თქვენ უფრო რაღაც კალენდარი ხართ, რომელიც კაცს აჩვენებს სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულებს და უქმეებს; ესენი თქვენ კარგად იცოდით ისევე, როგორც იცოდით, როდის რა მარხვა და უქმეების ღამისთევები იყო. და თქვენ რომ თქვენს მამულში მომუშავე გლეხებს იმდენი აუქმებინოთ, რამდენსაც აუქმებინებდით იმას, ვისაც ჩემი პატარა ბოსტანი ჰქონდა დასამუშავებელი, გარწმუნებთ, თქვენს ბეღელში ერთ მარცვალ ხორბალსაც ვერ შეყრიდით. და აჰა, ღმერთმა მოხედა ჩემს ახალგაზრდობას და გადამკიდა ამ კაცსა და მასთან ერთად ამ ოთახში ვცხოვრობ; დღესასწაულები ჩვენთვის არ არსებობს (მე მოგახსენებ იმ დღესასწაულებზე, რომლებსაც თქვენ, როგორც გულმოდგინე მსახური ღვთისა, ვიდრე ქალისა, ასე თავგამოდებით უქმობთ ხოლმე.) ამ კარებში თავის დღეში არ შემოდის არც შაბათი, არც პარასკევი, არც შობა-ნათლიღების წინადღე, აღარც ოთხი მარხვა, არც დიდი მარხვა, რომელიც ასე გრძელია, პირიქით აქ დღე და ღამე მუშაობენ მატყლის მპენტავები; და წუხელ ცისკარზე რო დარეკეს, ჩვენ საქმეს შევუდექით და ყველაფერი თავისთავად წავიდა ერთბაშად. და ამიტომ მასთან მინდა დავრჩე და ვიმუშაო, სანამ ახალგაზრდა ვარ. მარხულობას, დღესასწაულებს, მიტევების დღეებს მოხუცებულებაშიაც მოვასწრებ. თქვენ კი ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, წაბრძანდით სახლში და იქ უჩემოდ იმდენი იმარხულეთ და იდღესასწაულეთ, სანამ მოგეწყინებოდეთ“.

ბატონ რიჩიარდოს ამ სიტყვების მოსმენამ თავზარი დასცა და, ქალი რომ დადუმდა, უთხრა: „ჩემო ტკბილო, ე რა სიტყვებს მეუბნები? რაღას ეუბნები ან შენის მშობლების და ან შენს პატიოსან სახელს?!.. ნუთუ აქ ამ კაცის ხასობა და წაწყმედის გზაზე დგომა გირჩევნია ჩემს ცოლობას პიზაში? ამ კაცს როცა მობეზრდები, შერცხვენილს გარეთ გაგიძახებს. მე კი მთელი ჩემი სიცოცხლე მეყვარები და ჩემს სახლში მხოლოდ ჩემი ნებით კი არა, კანონითაც დიასახლისი იქნები. ნუთუ ამ აღვირახსნილ და უპატიოსნო ვნებისათვის ხელს აიღებ როგორც შენს პატიოსნებაზე, ისე ჩემზე, რომელსაც თავს ურჩევნიხარ?!. თავს შემოგევლე, ასე ნუღარ ლაპარაკობ, წამოდი ჩემთან სახლში; რაკი ახლა ვიცი, რაც გინდა, ყოველ ღონეს ვიღონებ, სურვილი დაგიკმაყოფილო. ამიტომ, ჩემო სულისდგმავ, შენი განზრახვა გამოიცვალე და წამომყევი, რადგან რაც შენი თავი წამართვეს, მას აქეთ სიხარული ჩემს გულს არ გაჰკარებია“.

ამაზე ქალმა ასე უპასუხა: „ჩემის პატიოსნებისა და ნამუსის დარდი ნურავის ექნება, ამისათვის მე თვითონ ვიზრუნებ; რომ კიდეც ვინმემ იზრუნოს, ახლა გვიანღაა; როცა ჩემმა მშობლებმა ჩემი თავი შენ მოგათხოვეს, ცხადია, არ უფიქრიათ ჩემი ნამუსისათვის, მაშასადამე, არც მე ვიდარდებ მათი სახელის გატეხისათვის და თუ მე ახლა მომაკვდინებელ ცოდვას ჩავდივარ, დაე, განვაგრძო ასეთ ცოდვაში ყოფნა, თუნდაც პასუხი მაგებინონ ამისათვის, და

თქვენ კი, გეთაყვათ, ჩემთვის თუ სწუხართ, ამასაც გეტყვით, რომ მე აქ ჩემს თავს პაგანინოს ნამდვილ ცოლადა ვთვლი, პიზაში კი თქვენს ხასად მიმაჩნდა თავი, იმიტომ რომ მაგონდება — ჩვენი ურთიერთთან შეყრა პლანეტებისა და მთვარის მიმოქცევაზე და რაღაც გეომეტრიულ გამოანგარიშებაზე იყო დამოკიდებული. აქ კი პაგანინოს მთელი ღამე ხელები აქვს მოხვეული ჩემთვის, გულში ჩამიკრავს ხოლმე და მკბენს. ერთი სიტყვით, თუ როგორ მიალერსებს, ერთი ღმერთი გეტყვის ჩემს მაგიერ. გარდა ამისა, თქვენ ამბობთ, ვეცდებიო. მერე როგორღა უნდა ეცადოთ? მე ვიცი, როგორც ეცდებით: სამჯერ უნდა მოითქვათ ხოლმე სული, სანამ ჯოხს თავს მაღლა წამოაწევინებდეთ. ისიც ვიცი, რომ რაც მე დაგშორდით, მარჯვედ და კისკასად გისწავლიათ ცხენის ჭენება. თავიდან მომწყდით, გეთაყვა, და ეცადეთ, ისწავლოთ, როგორ უნდა ცხოვრება ამქვეყნად; მიკვირს, ან აქამდე როგორ გაძელით ასეთმა დაჩიავებულმა და ღანღალაგამოლეულმა!.. მეტსაც გეტყვით; თუ პაგანინომ თავი დამანება (სანამ მე თვითონ მენდომება მასთან დარჩენა, არა მგონია, ეს მოინდომოს), თქვენ მაინც არ დაგიბრუნდებით, იმიტომ რომ, კაცმა მთლად რომ გამოგწუროთ, ერთი ლამბაქი წვენიც კი არ გამოგედინებათ. მე ისიც მეყოფა, რომ ჩემდა ჭირად და საზიანოდ ერთხელ ვიყავი თქვენთან და ამიტომ ახლა სხვაგან ვეძებ, რაც ჩემთვის სახეირო და სანუკვარი იქნება. გიმეორებთ, რომ აქ არც უქმეა და აღარც ღამის თევა; მაშასადამე, გადაწყვეტილი მაქვს აქ დავრჩე. თქვენთვის კი გზა დამილოცნია და, რაც შეიძლება, მალე მომწყდით თავიდან, თორემ, ეს არი, დავიყვირე, უნდა გამაუპატიუროს-მეთქი“.

ბატონმა რიჩიარდომ დაინახა, რომ არაფერი გამოვიდოდა. მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რა დიდი სისულელე ჩაიდინა, როცა უძლურმა ახალგაზრდა ქალი შეირთო. დაღონებული და დაძმარებული გამოვიდა ოთახიდან და პაგანინოს ბევრი ელაპარაკა, თუმცა ამ ლაპარაკისაგან სრულებით არაფერი გამოვიდა. ერთის სიტყვით, ვერას გახდა, ცოლი აქ დატოვა და თვითონ კი პიზაში დაბრუნდა. და დარდისაგან აქ ისე გამოჩერჩეტდა, რომ როცა ვინმე სალამს მისცემდა ან რასმე ჰკითხავდა, ყველას ასე ეუბნებოდა: „გაგისკდეს მიწა, ხვრელო, დღესასწაული რამ დაგავიწყა?!“ ცოტა ხნის შემდეგ თქვენი ჭირი წაიღო კიდეც.

პაგანინომ რიჩიარდოს სიკვდილი რომ გაიგო, რაკი იცოდა, თუ რარიგ უყვარდა ბარტოლომეას, იმაზე ჯვარი დაიწერა და კანონიერ ცოლად გაიხადა. მათთვის არც უქმეები იყო, აღარც მარხვა და სანამ ზეზე დგომა შეეძლოთ, ჯაფას ეწეოდნენ და მეტად მხიარულადაც ცხოვრობდნენ.

ამიტომ, ჩემო ძვირფასო ქალბატონებო, მე მგონია, როცა ბერნაბო ამბროჯუოლოს ენიძლავებოდა, თხაზე მჯდომარე ციცაბო კლდიდან ეშვებოდა ძირს და თავის თავს საფრთხეში აგდებდა.

***

ამ ამბავზე იმდენი იცინა მთელმა შეკრებილობამ, რომ ყველას ყბები მოექცა. ქალებმა ერთხმად აღიარეს, დიონეო მართალს ამბობს, ბერნაბო კი ყეყეჩი ვინმე ყოფილაო. ამბავი რომ გათავდა და სიცილი შეწყვიტეს, დედოფალმაც დაინახა, უკვე ჟამი გადასულა და თან ყველამა თქვა თავ-თავის სათქმელიო, ჩემი დედოფლობის ვადაც გათავდაო, უკვე დადგენილი წესის თანახმად, თავიდან გვირგვინი მოიხადა, ნეიფილეს თავზე დაადგა და მხიარულის სახით უთხრა: „ამიერიდან, ჩემო ძვირფასო ამხანაგო, ამ მცირე ხალხის გამგედ შენ იყავ“. — ესა თქვა და დაჯდა.

ნეიფილეს ამ პატივის მიღებაზე, ცოტა არ იყოს, შერცხვა და მისი სახე დაემსგავსა ქორფა ვარდს, აპრილსა და მაისის თვეში განთიადისას რომ გადაიშლება ხოლმე. მეოცნებე და ცისკრის ვარსკვლავივით ბრწყინვალე თვალები ძირს დაეხარა, მაგრამ როცა დამსწრეთა მიერ წარმოთქმული ქათინაურების გუგუნი შეწყდა, როცა ყველამ სიხარულით გამოხატა თავისი გრძნობა სიყვარულისა დედოფლისადმი, ეს უკანასკნელი დამშვიდდა, უკვე აღარა ღელავდა, გასწორდა წელში და უთხრა დამსწრეთ: — „რადგან მე გავხდი თქვენს დედოფლად, ჩემს წინამოადგილეთაგან დადგენილ წესებს მე არ შევცვლი. წინანდელ წეს-წყობილებას თქვენ ემორჩილებოდით ერთგულად და მოგწონდათ კიდეცა. ახლა რამდენიმე სიტყვით ჩემს აზრს მოგახსენებთ, და თუ მოგეწონებათ, იმისდა თანახმად მოვიქცეთ. როგორც მოგეხსენებათ, ხვალ პარასკევი გახლავთ, შემდეგი დღე შაბათია, ერთიცა და მეორეც ბევრს არ უყვარს იმ საჭმელებისა გამო, რომელთაც ამ დღეებში ხმარობენ ხოლმე, თუმცა უნდა მოგახსენოთ, რომ პარასკევს პატივს უნდა ვცემდეთ, რადგან ამ დღეს ივნო ის, ვინც მოკვდა ჩვენი სულის ცხონებისათვის; ამიტომ, ჩემის აზრით, უფრო შესაფერი იქნებოდა, ეს დღე ლოცვაში გავატაროთ სადიდებლად ღვთისა და არა მოთხრობების თქმაში. შაბათობით ქალებს ჩვეულებადა აქვთ თავი დაიბანონ ხოლმე და მოიშორონ ყოველგვარი მტვერი და ჭუჭყი, მთელი კვირის განმავლობაში მუშაობისაგან რომ დაედებათ; არიან აგრეთვე ისეთებიც, ვინც ამ დღეს მარხულობენ სადიდებლად ყოვლადწმინდა ქალწულისა, და აგრეთვე, რათა წინა დღიდანვე მიეგებონ მომავალ კვირადღეს, ყოველგვარი საქმისაგან ისვენებენ; და რადგან ამ დღეს არ ძალგვიძს ზედმიწევნით შევასრულოთ ჩვენს მიერ დადგენილი წესი ცხოვრებისა, ჩემი აზრით, კარგად ვიქთ, თუ ამ დღეს მოთხრობების მოყოლას თავს დავანებებთ. მერე რადგან უკვე ოთხი დღეა, რაც ჩვენ აქა ვართ, და თუ გვინდა, რომ ახალი ვინმე არ შემოგვიერთდეს, ჯობია აქაურობას გავეცალოთ და სხვაგან სადმე წავიდეთ, ხოლო იმისათვის, თუ სად წავიდეთ — მე უკვე ვიფიქრე და ვიზრუნე კიდეცა. როცა იქ კვირას ნაშუადღევს მოსვენების შემდეგ შევიკრიბებით, ყოველი ჩვენთაგანი უკვე მოასწრებს მოიფიქროს, თუ რა უნდა გვიამბოს, — დღეს კი საკმაოდ ვრცელი ასპარეზი გვქონდა საამბობლად და მოსაზრებათა გამოსათქმელად, — და ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა, უფრო განვსაზღვრავდეთ მოთხრობათა შინაარსის არჩევანს და ვილაპარაკებდეთ ბედის მხოლოდ ერთ-ერთ რომელისამე მოქმედების შესახებ. მე კიდეც მოვიფიქრე, თუ რაზე უნდა

ვილაპარაკო. ჩემი ლაპარაკის საგანი იქნება თავგადასავალი იმათი, ვინც თავისი ჭკუის გამჭრიახობის წყალობით მოიპოვეს ის, რაც გულით ეწადათ, ანდა დაკარგული დაიბრუნეს. და ყოველმა ჩვენთაგანმა, დიონეოს გარდა, რომელსაც ყოველთვის დავუტოვებთ მის შეღავათს, ამ თემაზე რამე ამბავი მოიგონოს საამბობლად, რომელიც მსმენელთათვის, თუ გამოსადეგი არა, სასიამოვნო მაინც იქნება“.

დედოფლის ნათქვამი და გეგმა ყველამ მოიწონა და დაადგინეს მისი ასრულება. ამის შემდეგ დედოფალმა იხმო თავისი მსახურთუხუცესი და აუხსნა, თუ სად უნდა გაეშალა სუფრა ვახშმად და რა უნდა გაეკეთებინა მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ის დედოფლად იქნებოდა.

ეს განკარგულება რომ გასცა, წამოდგა, მას სხვებიც აჰყვნენ და თითოეულს ნება დართო, რაც სურდა, ის გაეკეთებინა. ქალებმა და კაცებმა ყველამ ერთად პირდაპირ ერთი პატარა ბაღისაკენ გასწიეს და სანამ იქ სეირნობდნენ, ვახშმობაც შეიქნა და ისინიც მხიარულად და მადიანად შეექცნენ ვახშამს. როცა სუფრიდან წამოიშალნენ, დედოფლის სურვილის თანახმად, ემილიამ ფერხული ჩაობა, პამპინეამ კიდევ იმღერა და სხვებმა ბანი მისცეს. აი რა სიმღერა იყო:

თუ არა მე, ვინ იმღერებს, რომელი

მისრულდება, რისიცა ვარ მდომელი.

მოდი ჩემთან, სიყვარულო ნანატრო,

შენგან არის იმედი და სიამე.

მო, ვიმღეროთ ერთად სამღერალები.

უნდა ლხენით, არ თუ ტანჯვით დამათრო,

გულის წყლული სიტკბოთი დამიამე.

შემომინთე მწველი ცეცხლის ალები,

რომ დამწვარმაც შენ მოგაპყრა თვალები

და გაღმერთო, როგორც მიუწვდომელი.

სიყვარულო, შენ მანახე თვალითა

იმ დღეს, ოდეს მე შენს ცეცხლში შეველი,

ის ჭაბუკი, მსგავსი მზიან დარისა,

რომლის მჯობის მხნეობით და ძალითა,

ან სიტურფით, მე არა ვარ მცნეველი,

არც აგრეთვე მისი თანაბარისა

ის წყაროა ჩემთვის ლხინთა ღვარისა

და ვიმღერი მისთვის შუქთა მკრთომელი.

მაქვს იმაში ნეტარება ნახული,

რომ იმასაც უჩანს მონაზიდობა,

სიყვარულო, ჩემსკენ შენის წყალობით

და მიწაზე ვით ამიხდა ზრახული,

ისე ცაში მეღირსება მშვიდობა

იმისადმი ჩემის ღრმა ტრფიალობით.

გთხოვ, უფალო, ლოცვითა და გალობით,

ჩვენთვის იყო სასუფევლის მხვდომელი.

ამ სიმღერას სხვა სიმღერებიც მიაყოლეს, რამდენიმე საცეკვაო იცეკვეს და დაუკრეს სხვადასხვა საკრავებზე. მერე დედოფალმა ბრძანა, ახლა კი დროა დასვენებისაო, და თითოეულმა მაშხალა წაიმძღვარა და თავის ოთახს მიაშურა. ორი შემდეგი დღე იმ საქმეს მოანდომეს, რის შესახებაც დედოფალმა უთხრა, და მოუთმენლად მოელოდნენ კვირის გათენებას.

მესამე დღე

გათავდა მეორე დღე დეკამერონისა, იწყება მესამე, რომელშიც, ნეიფილეს ხელმძღვანელობით, ლაპარაკობენ იმათზე, ვინც თავისი ჭკუის გამჭრიახობის წყალობით სანადელს ეწია ან დაკარგული დაიბრუნა.

მზის ამოსვლა უკვე მოახლოებულიყო და ცისკარს, ჯერ ვარდისფერს, ახლა ოქროსფერი გადაჰკრავდა. კვირა თენდებოდა. დედოფალი აბრძანდა და მთელი თავისი კრებულიც ფეხზე დააყენა. სინისკალკომ იმ ადგილას, სადაც ეს საზოგადოება უნდა მოსულიყო, ადრევე გაგზავნა ყველაფერი და კაცებიც გააყოლა, რომელთაც უნდა დაემზადებინათ, რაც საჭირო იყო: რომ დაინახა, დედოფალი უკვე გზას დაადგაო, ბრძანა, რაც შეიძლებოდა ჩქარა წაეღოთ სხვა დანარჩენიც, — და ეს ყოველივე ბანაკის ერთი ადგილიდან მოხსნასა და სხვაგან გადასვლასა ჰგავდა, — თვითონ კი ბარგთან და დარჩენილ მსახურებთან ერთად წავიდა. დედოფალი აუჩქარებლივ მიბრძანდებოდა წინ. უკან მისდევდნენ მისი მეგობარი ქალები და სამი ყმაწვილი კაცი. ოციოდ ბულბულისა და სხვა ჩიტების სტვენა ყურთასმენას უტკბობდათ; დედოფალი დასავლეთისაკენ მიდიოდა ერთი ბილიკით; ბილიკს მწვანე ბალახი და ყვავილები მორეოდა და ძლივსღა მოჩანდა. მზის გამოჩენაზე ყვავილებმა გულის გადაშლა იწყეს ბაასით, ხუმრობითა და სიცილით; ერთობოდა დედოფალი თავის თანამგზავრებთან ერთად, ჯერ ორი ათასი ნაბიჯის მანძილი არც კი გაევლო და მესამე საათის ნახევარიც არ იყო, რომ დედოფალმა ქვეშევრდომნი მიაყენა ერთ მეტად მშვენიერ, მდიდრულ სასახლეს, გორაკზე რომ იყო წამოდგმული და ველს დასცქეროდა. სასახლეში შევიდნენ, ყველგან დაათვალიერეს, და რომ დაინახეს ვრცელი დარბაზები, დასუფთავებული და მდიდრულად მორთული საწოლი ოთახები, ყველაფრით სავსენი, რაც კი საჭიროა ხოლმე საწოლი ოთახისათვის, მეტად აქეს როგორც თვით სასახლე, ისე მისი პატრონი, რომელსაც ეტყობოდა, ფუფუნებით ცხოვრება ჰყვარებოდა. მერე, ძირს რომ ჩამოვიდნენ, დაინახეს ფართო და მხიარული ეზო, მარნები, თავანკარა ღვინოებით სავსე, ყინულივით ცივი წყალი, ბლომად რომ ამოჩუხჩუხებდა წყაროებიდან, და ახლა უმეტესად შეაქეს აქაურობა. მერე დასასვენებლად ბანზე ჩამოსხდომა მოინდომეს; ეს ბანი თავს დასცქეროდა მთელ ეზოს, რომელიც მოფენილი იყო ნაირ-ნაირი ყვავილებით, როგორიც კი შეიძლება ყოფილიყო ამ დროს, ხის ტოტებიც უხვად იყო. ამ დროს გამოჩნდა სინისკალკო და მოართვა ძვირფასი ტკბილეულობა და საუცხოო ღვინოები. ამის შემდეგ გააღებინა კარი სასახლის გვერდით მდებარე ბაღისა, გარშემო ქვითკირის კედელი რომ ჰქონდა შემოვლებული, და შიგ შევიდნენ. ბაღში ფეხი შედგეს თუ არა, მისმა მშვენიერებამ ყველას თვალები მოსჭრა და ყოველ კუთხეს დაწვრილებით დაუწყეს სინჯვა. გარშემო და შუაში გარდიგარდმო სხვადასხვა მიმართულებით მიდიოდა განიერი და ლარივით სწორი

ბილიკები, ჩამობურულები ვაზის ტალავერებითა, რომელსაც ამ წელიწადს კარგად ესხა და კარგი რთველიც იყო მოსალოდნელი. ყურძენი მაშინ ჰყვაოდა და მთელ ბაღში საუცხოო სუნს მიმოჰფენდა. ეს სუნი სხვა სურნელოვან მცენარეთა სუნს უერთდებოდა და იქ მყოფთ მოაგონებდა აღმოსავლეთის საუკეთესო სურნელებას. ამ ტალავრებს გვერდებზე ხშირად ჩარგული ჰქონდა თეთრი და წითელი ვარდების ბუჩქები და იასამნები. ამიტომ არა მარტო დილით, არამედ მაშინაც, როცა მზე მაღლა ამოიწეოდა, შეიძლებოდა ამ ხეივნებში გესეირნათ, საამო სუნით დამტკბარიყავით და თან ჩრდილში ყოფილიყავით, რადგან ხეივნებში მზე ვეღარ ატანდა. ძალიან შორს წაგვიყვანდა იმის ჩამოთვლა, თუ რამდენი და რა ნაირ-ნაირი მცენარე იყო ამ ბაღში და ან რა რიგზე იყო დარგული! რომელი იშვიათი მცენარე გნებავთ, რომელიც კი ჩვენს ჰავას ეგუება, სულ ბლომად აქ ყოფილიყო!.. ბაღის შუაგულში (რაც არამცთუ ნაკლები, შეიძლება უფრო შესანიშნავიც იყო, ვიდრე სხვა ყველაფერი, რაც იქ იყო) ერთი პატარა კორდი იყო, დაბალი ბალახით დაფარული, და ისეთი მწვანე, რომ მუქად მოჩანდა; ეს კორდი აჭრელებული იყო მრავალფერი ყვავილებითა, გარშემო კიდევ შემორიგებული ჰქონდა ღია მწვანე და ხშირტოტებიანი ფორთოხლისა და ლიმონის ხეები, რომელთაც ესხათ ერთსა და იმავე დროს როგორც დამწიფებული და მკუხე ნაყოფი, ისე ყვავილებიცა; ამ ხეებს თვალთათვის სასიამოვნო ჩრდილიც ჰქონდა და გარემოს კეთილსურნელებასა ჰფენდა. კორდის შუა თვალისმომჭრელი სისპეტაკის მარმარილოს შადრევანი იდგა, საუცხოო ჩუქურთმებიანი. შადრევნის აუზის შუაგულში სვეტი იყო ამოყვანილი და სვეტზე იდგა ქანდაკება, რომელიც ისროდა, არ ვიცი, ბუნებრივსა თუ ხელოვნურად გამოყვანილ ბროლივით წმინდა წყალის ნაკადსა. ნაკადი სულ მაღლა ადიოდა ცაში და მერე სასიამოვნო ჩქრიალით აუზშივე ეშვებოდა და იმდენიც, რომ წისქვილის თვალს ააბრუნებდა. მერე ეს წყალი (მე იმაზე ვამბობ, რაც ზედმეტი იყო და აუზს ნაპირიდან გადმოსდიოდა) კორდიდან მიწის ქვეშ თხრილით გამოყვანილი იყო და გარეთ გამოდიოდა და მეტად ლამაზად და ოსტატურად გაკეთებულ პატარა რუებით კორდს გარშემო უვლიდა; ბოლოს ერთ ალაგას თავს იყრიდა, გამოდიოდა ამ ლამაზ ბაღიდან და ქვევით ვაკეზე მიედინებოდა ანკარა ნაკადულად. და ეს ნაკადული ისე მძლავრი იყო, რომ ვაკეზე გამოსვლამდე ორ წისქვილს აბრუნებდა და მემამულეს, ცოტა არ იყოს, სარგებლობას აძლევდა.

რომ უყურებდნენ ამ ბაღს, მშვენივრად მოვლილს, რომ უყურებდნენ მცენარეებსა და შადრევანს, აქედან გამომდინარე ნაკადულებს, ისე მოეწონათ აქაურობა თითოეულ ქალსა და სამ ყმაწვილ კაცს, რომ ამტკიცებდნენ, — სამოთხის მოწყობა დედამიწაზე შესაძლებელი რომ იყოს, ასევე უნდა მოეწყოს, როგორც ეს ბაღია მოწყობილიო. და ვერ მოეგონებინათ, თუ ამ სამოთხისათვის კიდევ რა მშვენიერების მიმატება იქნებოდა შესაძლებელი! მეტად აღტაცებულნი დასეირნობდნენ ამ ბაღში, სხვადასხვა ხეების ტოტებისაგან მშვენიერ გვირგვინებსა წნავდნენ, სხვადასხვა ჯიშის ფრინველთა გალობას უსმენდნენ, რომელნიც

თითქო ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გალობაში. კიდევ ყურადღება მიაქციეს ბაღის ერთ გულის წარმტაც მშვენებას, რომელიც, სხვა რითიმე გართულთ, აქამდე არ შეუმჩნევიათ; დაინახეს, რომ ბაღი სავსე იყო ლამაზი ცხოველებით; ასამდე სხვადასხვა ჯიშისანი იქნებოდნენ. ერთმანეთს უჩვენებდნენ: როგორ გამორბოდნენ ერთგან ბაჭიები, მეორე მხრიდან კურდღლები. ზოგან ფურირმები ინვნენ და ცოტა იქით კიდევ ირმის ნუკრები ბალახსა სძოვდნენ. ამათ გარდა აქვე სხვა მრავალი ცხოველები იყვნენ, სრულებით უწყინარნი, თავის ნებაზე დადიოდნენ, თითქმის მოშინაურებული, სხვა მრავალ სიამოვნებათა შორის ამ ცხოველების ყურებაც ნაკლებ სასიამოვნო არ იყო.

რომ გაძღნენ სეირნობითა და დატკბნენ ყველაფრის ყურებით, ლამაზი შადრევნის გარშემო სუფრა გააშლევინეს. ჯერ ექვსიოდ სიმღერა იმღერეს და რამდენჯერმე ითამაშეს, რადგან ასე ენება დედოფალს, და მერე სუფრას მოუსხდნენ; და რადგან კერძები მეტად წესიერად, აუჩქარებლივ და შნოიანად მოჰქონდათ, და თან კერძებიც მეტად რჩეული და საუცხოოდ მომზადებული იყო, ესენი უფრო გამხიარულდნენ, და სუფრიდან რომ წამოიშალნენ, ხელახლა დაიწყეს საკრავების დაკვრა, სიმღერა და თამაშობა, სანამ დედოფალმა არ უბრძანა — რადგან დაცხა, ვისაც ნებავს, შეუძლია დასაძინებლად წავიდესო. ზოგი მართლა წავიდა, ზოგმა , ამ ადგილის სიმშვენიერით მოხიბლულმა, წასვლა არ ინდომა, აქ დარჩა და, სანამ სხვებს ეძინათ, ან რომანების კითხვა დაიწყო, ან ჭადრაკისა და ნარდის თამაში.

ცხრა საათი რომ გავიდა, წამოიშალნენ, პირისახე ცივი წყლით გაიგრილეს და დედოფლის ბრძანებით კორდთან მივიდნენ, შადრევნის ახლო. აქ ჩვეულებრივი წესით დასხდნენ და დაუწყეს ლოდინი დედოფლის მიერ ნაკარნახევ თემაზე მოთხრობების დაწყებას. დედოფალმა პირველად მოთხრობის მოყოლა დაავალა ფილოსტრატოს და მანაც თავისი ამბავი ასე დაიწყო.

ამბავი პირველი. მონასტრის მეგალე

ლაპორეკიოს მცხოვრები გლეხი მაზეტო თავს მოიმუნჯიანებს და მებაღედ დადგება ერთ დედათა მონასტერში, სადაც მოლოზნები ცდილობენ ერთიმეორეს დაასწრონ მასთან დაწოლა.

ჩემო მზეთუნახავებო! ვინ იცის, ქვეყანაზე რამდენი ჭკუამოკლე ქალი და კაცია, რომლებიც ძალზე დარწმუნებულები არიან, რომ თუ რომელსამე ახალგაზრდა ქალს თავზე თეთრი თავსახურავი მოვახვიეთ და ტანზედაც შავი ანაფორა ჩავაცვით, მორჩა, ის უკვე ქალი აღარ არის და ესპობა ყოველგვარი ნდომა, რაცა სჩვევია ხოლმე ქალს, თითქო, რაკი

მოლოზანი გახდა, ქვად იქცაო; და თუ ყური მოჰკრეს ისეთ რასმე, რაც ეწინააღმდეგება მათს შეხედულებას, საშინლად გაცხარდებიან, თითქო ვინმემ ავაზაკობა, სიბოროტე, ბუნების საწინააღმდეგო რამ ჩაიდინაო; ამ დალოცვილთ არ უნდათ, ცოტათი დაფიქრდნენ და თავიანთი თავი მოიგონონ, — თვითონ ხომ არ შეუძლიათ თავისი თავი დაიკმაყოფილონ, თუმცა სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული, — ისა ჰქნან, რაცა ნებავთ, და ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, თუ რა ძლიერი ზეგავლენა აქვს ადამიანზე უსაქმურობასა და მარტოობას. და მსგავსადვე ბევრნი არიან ისეთებიც, ვინც სრულიად დარწმუნებულნი არიან, რომ ბარი, ნიჩაბი, უბრალო საჭმელი-სასმელი, შრომა და სიმწარე ცხოვრებისა თითქო გლეხს უხშობდეს ყოველგვარ სქესობრივ გულისთქმას და უჩლუნგებდეს გონებასა და მიხვედრილობასო. მაგრამ მე დედოფლის მიერ ნაკარნახევ თემას არ გადავუხვევ, მის ბრძანებას სავსებით ვემორჩილები და ერთი პატარა მოთხრობით დაგიმტკიცებთ, რა მწარედა სცდება, ვინც ასე ფიქრობს.

ჩვენს მხარეში წინად არსებობდა და დღესაც არსებობს ერთი დედათა მონასტერი. ეს მონასტერი ქებული იყო იქ დავანებულ მოლოზნების წმიდა ცხოვრებით (არ დავასახელებ, რომელია, რომ ამით არ დავამცირო მისი სახელი). ამ ცოტა ხნის წინად, როცა შიგ რვა, სულ ახალგაზრდა მოლოზანი და ახალგაზრდავე იღუმენია მოღვაწეობდა, მათს მშვენიერ ბაღში მებაღედ იდგა ერთი ალალ-მართალი გლეხი. ერთ მშვენიერ დილას მებაღემ — ჯამაგირი ცოტა მაქვსო და გადაწყვიტა, თავი დაენებებინა მონასტრისათვის. მივიდა მოურავთან და სთხოვა, ანგარიში გამისწორეო. ანგარიში რომ მიიღო, თავის სამშობლო ლაპორეკიოში დაბრუნდა.

სოფელში მეზობელი გლეხები შემოეხვივნენ ნამებაღარს და მისი ნახვა ყველას მეტად გაეხარდა. სხვათა შორის მასთან მივიდა ერთი ახალგაზრდა, ღონიერი, ჯანსაღი და, გლეხის კვალობაზე ლამაზი მაზეტო. მეგობარმა მოიკითხა და ჰკითხა, ამდენი ხანია სადა ყოფილხარო? ნამებაღარმა, რომელსაც სახელად ნუტო ერქვა, მაზეტოს უამბო — მონაზვნებთან ვიყავი მონასტერშიო. მერე და მონასტერში რაღას აკეთებდიო, — ჰკითხა მაზეტომ. ნუტომ ამაზე ეს უპასუხა: „მონასტრის ბაღში ვმუშაობდი. თითონ ბაღი მეტად დიდი და მშვენიერი რამ იყო, ხანდისხან ტყეშიაც მივდიოდი ხოლმე შეშაზე, ჭიდან წყალი ამომქონდა და ზოგი რამ სხვა საქმესაც ვაკეთებდი. მხოლოდ ეს იყო, მოლოზნები ჯამაგირს მეტად ცოტას მაძლევდნენ, ისე ცოტას, რომ რაც მანდ წაღებსა ვცვეთავდი, იმის საყიდლადაც არა მყოფნიდა. ჯამაგირს ჯანიც გავარდნოდა, უბედურება ის იყო, რომ ყველა ახალგაზრდას იქ მოეყარა თავი. ღმერთო, შეგცოდე და, თითქოს მუცელში ეშმაკები ჰყავდათ ჩამძვრალიო, ვერაფრით აამებდა კაცი! მათ გადამკიდეს თავ-ტანი მეკარგებოდა და ისიც მეტყოდა: „აქ ეს კი არა, ეს დარგეო“; ახლა მეორე მოირბენდა და ისიც მეტყოდა: „აქ ეს კი არა, აი ეს დარგეო“; ამ დროს საიდანღაც მესამე გამოტყვრებოდა, მომვარდებოდა, ხელიდან ბარს გამომტაცებდა

და დამიყვირებდა:

„არა, ასე არ ვარგაო!...“ და იქამდე წაიღებდნენ თავის ტვინს, რომ მეც გული მომივიდოდა, ყველაფერს თავს დავანებებდი და სულაც გავიდოდი ბაღიდან. რა ბევრი გავაგრძელო, თავი მომაბეზრა მათმა ჭიჭყინმა, თანაც ჯამაგირს ცოტას მაძლევდნენ და გადავწყვიტე — სულაც გავცლოდი იქაურობას. იმათაც ანგარიში გამისწორეს და დავუბრუნდი ისევ ჩემს სახლ-კარს. რომ მოვდიოდი, მათმა მოურავმა დამიბარა, თუ ვინმე შეგხვდეს აქაურობისათვის გამოსადეგი, შენს მაგივრად გამომიგზავნეო. მეც დავპირდი, კარგი— მეთქი, მაგრამ მანამ გვერდები ნუ ასდგომია, სანამ მე იმას არავინ გავუგზავნო.

ამ სიტყვებს რომ უსმენდა მაზეტო, ისე საშინლად მოუნდა ამ მოლოზნებთან მებაღეობა, რომ სულ პირში ნერწყვი მოსდიოდა. ჯამაგირი ოხრადაც დარჩენილა, სანუკვარი მანდ სულ სხვაა, — იძახდა თავის გულში მაზეტო, — ერთი თუ მოვექეცი ნუტოს ალაგას, ადვილად ავისრულებ ნატვრასაო. მაგრამ თანაც დაფიქრდა: ნუტოს რომ ვუთხრა, ასე მინდა-მეთქი, ვაითუ არ მომიწონოს განზრახვა ან სულაც არაფერი მითხრასო, და უქო საქციელი:

„ძალიან კარგად გიქნია, რომ თავი დაგინებებია მაგათთვის. მამაკაცს, აბა, სად შეუძლია დედაკაცებს გაუძლოს! ქაჯებთან ცხოვრება ასწილ სჯობია დედაკაცებთან ცხოვრებასა. შვიდ დედაკაცში ექვსმა თვითონაც არ იცის, რა უნდა“.

მაგრამ მერე, მათი ლაპარაკი რომ გათავდა, მაზეტომ დაიწყო ფიქრი, თუ როგორ უნდა შეეყო თავი მონასტერში. იცოდა, რომ იმ საქმეაოს, რაც ნუტომ ჩამოუთვალა, ყველაფერს ადვილად გაართმევდა თავს, — მაშასადამე, ამის დარდი არ უნდა მქონდესო. მაგრამ ეშინოდა, ვაითუ დამიწუნონო, რადგან ახალგაზრდა და ლამაზი ბიჭი იყო. დაჯდა და ჩამოთვალა ყველა ფონსგასასვლელი საშუალება და აი, რა გზას დაადგა: „მონასტერი აქედან ძალიან შორსაა, — ფიქრობდა მაზეტო, — იქ არავინ მიცნობს; მოდი, თავს მოვიმუნჯიანებ და მაშინ კი უეჭველად მიმიღებენო“. გადაწყვიტა, ასეც მოქცეულიყო. მხარზე ცული გაიდო, არავის არ უთხრა, თუ სად მიდიოდა, და მათხოვარას დამსგავსებული მონასტრის გზას გაუდგა.

მაზეტო მონასტერში რომ მივიდა, ბედად, თვით მოურავი დაუხვდა და ნიშნებითა სთხოვა ისე, როგორც ამას მუნჯები შვრებიან ხოლმე: ღვთის გულისათვის მაჭამეთ რამეო, და თანაც აჩვენა, — სამაგიეროდ შეშას დაგიჭრით ჩემის ცულითა ან სხვას რასმეს გავაკეთებო. მოურავმა სიამოვნებით შეუსრულა თხოვნა: აჭამეს პური და მერე უჩვენა ის დიდი კუნძები, ნუტო რომ ვერ მორეოდა. ძალზე ღონიერმა მუნჯმა თვალის დახამხამებაში ყველა დახეთქა. მოურავი ტყეში წასულიყო, თან მუნჯიც წაეყვანა და შეშას მიუყენა საჭრელად. მერე სახედარი მოუყვანა და ხელებით ანიშნა — ეს შეშა მონასტერში წაიღეო. ბიჭმა

ყველაფერი ზედმიწევნილად შეუსრულა. მოურავმა კიდევ დასაქმა და სხვა საქმეთა გასაკეთებლად მაზეტო მონასტერში რამდენიმე დღით გააჩერა.

და აჰა, ერთ დღეს, როცა მაზეტო რაღაცას აკეთებდა, იღუმენიამ დაინახა და მოურავსა ჰკითხა — ეს ვინ კაცი მოგიყვანია მონასტერშიო? — „დედაო იღუმენია, — უპასუხა მოურავმა, — ერთი ყრუ-მუნჯია; ამ დღეებში მოგვადგა და მოწყალება გვთხოვა, მეც გავაძღე და მერე ზოგი რამ ჩვენთვის საჭირო საქმე გავაკეთებინე. ბაღში მუშაობა რომ იცოდეს და ჩვენთან დარჩენას მოინდომებდეს, ჩემის აზრით, ამაზე უკეთესს მუშას ვერავის ვიშოვნიდით; თქვენც მოგეხსენებათ, მუშა გვჭირია; ეს კი ღონიერი ბიჭია და რაც-კი გვინდა, ყველაფერს გაგვიკეთებს. გარდა ამისა, თქვენც გულარხეინად შეგიძლიათ ბრძანდებოდეთ: თქვენს ახალგაზრდა მოლოზნებთან ბღლარძუნისა და ლაზღანდარობის თავიც არა აქვს... ჰო, თქვენმა მადლმა!..

ამაზე იღუმენიამ უპასუხა: „იცი, მართალს უნდა ამბობდე; გამოსცადე, შეუძლია, თუ არა ბაღში მუშაობა, და თუ შეუძლია, ნუღარ გაუშვებ; მანამდე ნახმარი ფეხსაცმელი გექნება სადმე., მიეცი, ან კიდევ ძველი წამოსასხამი თუ სადმეა, ჩააცვი, ალერსიანად მოეპყარი და კარგად გააძღე“.

როგორც გვიბრძნებთ, ყველაფერს ისე ვიზამო, უპასუხა მოურავმა. მაზეტო კი ამ დროს შორიახლო იდგა. თავი მოიკატუნა, თითქოს ეზოს ჰგვიდა და თან ცალი ყური მათკენ ეჭირა. გახარებულმა თავის თავს უთხრა: „ოღონდ კი აქ დამაყენონ და ისე დავუმშვენო ბაღი, რომ სხვების ნამუშევარი ჩემ ნამუშევართან ერთად სახსენებელიც არ იყოს, ვაი არა აქვს მაზეტოს!“

მოურავმა ბაღში შეიყვანა მაზეტო და სამუშაო მიუჩინა. რომ გადახედა მის მუშაობას, დარწმუნდა, მუნჯს ყველაფერის გაკეთება შესძლებიაო და ნიშნებით ჰკითხა — ხომ არ გინდა ჩვენთან დარჩენაო? ბიჭმა ნიშნებითვე უპასუხა — რასაც მიბრძანებთ, ყველაფერს გავაკეთებო. მოურავმა მაზეტო მონასტერში მიიღო, უბრძანა ემუშავნა და თანაც უჩვენა, როგორ უნდა გაეკეთებინა. თვითონ კი მარტო დატოვა.

ახალი მებაღის ამბავი მალე მოლოზნებმაც გაიგეს. და, აჰა, როცა მაზეტომ რამდენიმე დღეს იმუშავა, მონაზვნები მიდიოდნენ და თავს აბეზრებდნენ, თანაც დასცინოდნენ ისე, როგორც ამას მუნჯებს უშვრებიან ხოლმე; ეჭვიც არ ჰქონდათ, რომ ყრუ-მუნჯ მებაღეს მათი ნათქვამის გაგონება შეეძლო, და საშინლად უწმაწურ სიტყვებს ეუბნებოდნენ, რადგან ეგონათ: რაკი ენა არა აქვს, არც სხვა რასმე შნო ექნებაო. მაზეტომ მშვენივრად ითამაშა თავისი როლი, ყველას სულელად მოაჩვენა თავი და შემთხვევასღა ეძებდა, ეჩვენებინა: არც მაგრე სულელი გახლავართ, როგორც თქვენ გგონიათო. ეს შემთხვევაც მიეცა.

ერთხელ მუშაობით ძალზე დაღლილი მაზეტო მწვანეზე მიწვა დასასვენებლად. იმ ადგილას, საცა იწვა, ხელად ორი ახალგაზრდა მოლოზანი გაჩნდა. მოლოზნები ბაღში დადიოდნენ და რადგან მაზეტომ თავი მოიმძინარა, ორივენი გაჩერდნენ და ყურება დაუწყეს. ერთ-ერთმა მოლოზანმა, რომელიც უფრო თამამი და ყაჩაღანა იყო, მეორეს უთხრა: „რომ ვიცოდე, არ გამცემ, გეტყოდი, თუ რა აზრს გაუვლია არაერთხელ ჩემს თავში: ეს შენთვისაც სასარგებლო იქნებოდა“. — „სთქვი, ქალო, ნუ გეშინია, — უპასუხა მეორემ, — რა შვილი ვეტყვი ვისმე!“... მაშინ ყაჩაღანა მოლოზანმა უთხრა: „არ ვიცი, თუ როდესმე გიფიქრია იმაზე, რომ აქ მეტად სასტიკად გვეპყრობიან: მამაკაცი რომ ჰქვია, ისეთს არავის გააჭაჭანებენ ხოლმე ჩვენს სანახავად ამ მოხუცებული მოურავისა და კიდევ ამ მუნჯს გარდა. მე კი ჩვენს მონასტერში სალოცავად მომსვლელი ქალებისაგან ბევრისაგან გამიგონია, რომ ცის ქვეშეთში არცერთი სიამოვნება შეედრება თურმე იმ სიამოვნებას, ქალი რომ მამაკაცისგან განიცდისო. ამიტომ, ვინ იცის, რამდენჯერ გამიელვა თავში აზრმა: მოდი, რადგან სხვა მამაკაცი აქ არავინაა, იმ მუნჯზე ვცადო, მართალს მეუბნებიან, თუ არა-მეთქი. ეს კი საჩვენოა, რადგან გულითაც რომ მოენდომებინა, მაინც ვერავის ეტყოდა ამაზე. გარდა ამისა, ზედვე ეტყობა, რომ ეს ბიჭი ნამდვილი სულელია, თანაც ახალგაზრდაა, კარგი ტანი აქვს და იმდენად ღონიერია, რომ ორივეს გაგვიძლებს. ახლა მინდა გავიგო, შენ რას იტყვი ამაზე?“

— „უფალო, შეგვინდევ, — უთხრა მეორემ, — დაო, ეგ რა სთქვი? ნუთუ დაგავიწყდა, რომ ღმერთს აღთქმა მივეცით ქალწულობისა?“ — „ნეტავი შენა! — უთხრა პირველმა, — ვინ იცის, დღეში რამდენს რასმე დაჰპირებიან ღმერთს, მაგრამ იმის შესრულების თავი აბა ვისა აქვს, შენს გახარებასა?!. თუ ჩვენ ასეთი აღთქმა დავდევით, ამდენ მოლოზნებში ერთი როგორ არ გამოერევა, რომ აასრულოს!?“.

— „კარგი და, რომ დავორსულდეთ, მაშინ რა წყალში უნდა ჩავცვივდეთ, ქალო?“ — ჰკითხა ამხანაგმა. —“უბედურება ჯერ არ მოგვდგომია კარსა და შენ კიდევაც წუწუნებ, — უპასუხა პირველმა: — უბედურება როცა მართლა მოგვადგება, აი მაშინ ვიფიქროთ, რა ვქნათ, რა ვუსაშველოთ; ქალო, ათასნაირი საშუალება გვაქვს, საქმე სურვილისამებრ მოვაგვაროთ და ძე-ხორციელმაც ვერ გაიგოს, თუ ღმერთი არ გაგვიწყრა და ჩვენ თვითონ არ წამოგვცდა“. ეს სიტყვები რომ გაიგონა მეორემ, რომელსაც პირველზე მეტად უნდოდა ეგემნა, თუ რა ცხოველი იყო მამაკაცი, უთხრა: „კარგი და როგორღა მოვიქცეთ, რომ არავინ დაგვინახოს?“ — ამაზე პირველმა უპასუხა: „იცი, რა გითხრა, ჩემო კარგო, ახლა შუადღე იქნება და ალბათ ყველასა სძინავს, ჩვენ ორს გარდა; ჯერ დავათვალიეროთ, ბაღში ხომ არავინაა; თუ არავინაა, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, — მოვკიდოთ ხელი და წავიყვანოთ იმ ქოხთან, სადაც წვიმაში თავს შეაფარებს ხოლმე. ერთი ჩვენთაგანი შიგ შეჰყვება, ხოლო მეორე კართან დადგება და უდარაჯებს. თუ გამოუცდელია, მე ვკისრულობ ვასწავლო, როგორც უნდა ქნას.

მაზეტოს ყველაფერი ეყურადებოდა, პირში ნერწყვი მოსდიოდა და მზად იყო ყველაფერში დაჰყოლოდა მოლოზნებს. იმასღა ელოდებოდა, აბა რომელი მომკიდებს წასაყვანად ხელსაო.

მოლოზნებმა ჯერ გარშემო მიიხედ-მოიხედეს და რომ დარწმუნდნენ, არავინ გვიყურებსო, ამ ლაპარაკის დამწყები მოლოზანი მიუახლოვდა მაზეტოს და გააღვიძა. ისიც ფიცხლად წამოხტა. მოლოზანმა ხელი მოჰკიდა, თან უალერსებდა და თან პირდაპირ ქოხისაკენ მიჰყავდა. თვითონ მაზეტო გზა-გზა ნამდვილი სულელივით ხარხარებდა. ქოხში მაზეტოს თხოვნა არც კი დასჭირებია და შეასრულა ისა, რაც მონაზონსა სწადდა. როცა გულის წადილი შეისრულა მოლოზანმა, როგორც ერთგულმა მეგობარმა, ადგილი მეორეს დაუთმო. ხოლო მაზეტომ მეორესთანაც მშვენივრად შეასრულა თავისი როლი. და რადგან სულელისა არცა რცხვენოდათ და აღარც ერიდებოდათ, ამიტომ სანამ მოშორდებოდნენ, თითოეულმა კიდევ მოინდომა გამოეცადნა, თუ როგორი კავალერი იყო მუნჯი. ამასთანავე დარწმუნდნენ, რომ მუნჯი ისეთი ყოფილა, როგორიც მათ უნდოდათ. ამის შემდეგ ერთმანეთთან ამაზედღა ლაპარაკობდნენ ეს მოლოზნები და ამბობდნენ: თურმე მართალს გვეუბნებოდნენ და სასიამოვნო ყოფილა მამაკაცთან ჩახუტებაო. როგორც კი იხელთებდნენ დროს, მაშინვე გაექანებოდნენ მუნჯთან დროის გასატარებლად.

ერთხელ ისე მოხდა, რომ როცა მოლოზნები სიამტკბილობდნენ, ფანჯრიდან ერთმა მათმა ამხანაგმა ყველაფერი დაინახა და ორ სხვას უჩვენა — მოდით, ნახეთ, რა ამბავიაო. ჯერ უნდოდათ დედა-იღუმენიასთან დაებეზღებინათ დამნაშავენი, მაგრამ მერე გადაიფიქრეს; ამჯობინეს დამნაშავეებთან პირი შეეკრათ და თვითონაც დაეწყოთ მაზეტოსთან დროსტარება. მათ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოებისა გამო შემოუერთდნენ სამნიც.

ბოლოს, თვით იღუმენია, რომელიც ამას ვერაფერს ხედავდა, ერთხელ ბაღში დასეირნობდა მარტოდმარტო. ცხელოდა და ამ დროს დაინახა მაზეტო (რომელიც ღამე დროსტარებით იქანცებოდა და ვეღარ მუშაობდა), ნუშის ხის ქვეშ გაშხლართულიყო და ეძინა; ქარს სამოსელი წინიდან უკან გადაეწია და ყველაფერი უჩანდა. ამის დანახვაზე, და რაკი იცოდა, რომ იმის მეტი სხვა არავინ უყურებდა მებაღეს, იღუმენიას ისეთივე ხორციელი წადილი აღეძრა, როგორც მის მოლოზნებს, და აჰა, გააღვიძა მაზეტო და თავის განსასვენებელ ოთახში შეიყვანა. ღმერთო, როგორ ისიამოვნა იღუმენიამ!.. რამდენიმე დღე გარეთ არ გამოუშვია მებაღე, თუმცა მოლოზნები ჩიოდნენ, — ეგ სადაურია, მაზეტომ ჩვენს ბაღში მუშაობაზე სრულებით აიღო ხელიო!.. კარგად აჭამა, კარგად ასვა, კარგადაც ამუშავა და მერე გამოუშვა. მაგრამ მალე ისევ შეიხმო ოთახში. იღუმენიას ძალიან გაუტკბა მუნჯთან დროსტარება. იმას კი არა ფიქრობდა დალოცვილი, რომ სხვებს ლუკმას აცლიდა პირიდან, რადგან, მართალია, მაზეტო ღონიერი ბიჭი იყო, მაგრამ რაც უნდა ღონიერი ყოფილიყო, ამდენს ერთად ვერ გასწვდებოდა მისი ღონე. მაზეტო დაფიქრდა, — თუ ასე განვაგრძე,

გადავყვები კიდეც თანაო. ერთ ღამეს დედა— იღუმენიასთან რომ იწვა, ამან იმაზე მეტი მოსთხოვა, ვიდრე მაზეტოს შეეძლო. მაზეტომ ერთბაშად ენა ამოიდგა: „დედა იღუმენია, — მდაბლად მოახსენა მებაღემ, — გამიგონია, ერთი მამალი ათ დედალს გაუძლებსო, მაგრამ ათი მამაკაცი რის ვაივაგლახით დააკმაყოფილებს ერთ დედაკაცსაო. მე კი, როგორც თქვენი ბედნიერი თვალები ხედავს, ერთი გახლავართ და ცხრა ქალს უნდა გემსახუროთ და ეს კი არასგზით შემიძლია; ჯერ ახლაც, რაც აქამდე ჩამიდენია, იმის გამო ძალზე დავუძლურდი. ამიტომ გთხოვთ, ან სულ დამითხოვოთ აქედან ან ისე მოაწყოთ საქმე, რომ მეც პირნათლად შევიძლო ყველას სამსახური“.

იღუმენიამ რომ გაიგონა, ამ ბიჭმა, რომელიც მას მუნჯი ეგონა, ენა ამოიდგაო, სახტად დარჩა და უთხრა: „ღვთისმშობელო დედაო, ეს რასა ვხედავ? მე კი მეგონა, მუნჯი იყავი“!...

— „დედაო იღუმენიავ, — უთხრა მაზეტომ, — მართალს ბრძანებთ, მუნჯი გახლდით, მაგრამ დაბადებიდან თანდაყოლილი არ მქონდა სიმუნჯე, არა, ავად გავხდი და მაშინ წამერთვა ენა. და მხოლოდ წუხელის ვიგრძენი, რომ მეტყველება დამიბრუნდა, რისთვისაც უფალს, შეძლებისდაკვალად, მადლობასა ვწირავ“. იღუმენიამ დაუჯერა და ჰკითხა: „რას ნიშნავს შენი ნათქვამი — ცხრას უნდა ვემსახუროვო“? მაზეტომაც აიღო და ყველაფერი უამბო. რომ მოუსმინა იღუმენიამ, მიხვდა — ჩემს მოლოზნებზე უჭკუო მე ვყოფილვარო. ალბათ იციან მაზეტოსთან ჩემი კავშირის ამბავი, ან თუ არ იციან, გაიგებენო. მაგრამ როგორც, ფრთხილმა დედაკაცმა, გადაწყვიტა — სანამ მაზეტოს დავითხოვდე, მოდი, ჩემს მოლოზნებს დავეკითხები, რას მეტყვიან; საქმე ისე უნდა მოვაწყო, რომ მაზეტომ ჩემს მონასტერს სახელი არ გაუტეხოსო.

ამასობაში მათი მოურავი გარდაიცვალა. მოლოზნები და იღუმენია ერთმანეთს, რაც იმ ხანებში ჩაიდინეს, ყველაფერში გამოუტყდნენ. საერთო თანხმობით და აგრეთვე, მაზეტოს თანხმობითაც ისე მოაწყვეს საქმე, რომ ახლომახლო მცხოვრებმა ხალხმა ყველამ დაიჯერა, ვითომც მათი ლოცვა-ვედრებითა და იმ წმინდანის მეოხებითა, რომლის სახელობაზედაც ეს მონასტერი აგებულია, მაზეტოს, დიდი ხნის განმავლობაში მუნჯად დარჩენილს, მეტყველების ნიჭი კვლავ დაუბრუნდა და თვითონ მაზეტო მოურავად გავხადეთო. მოლოზნებმა მაზეტოს საქმეაო ისე გაუნაწილეს, რომ ახლა მის ძალ-ღონეს შეეძლო გაეძლო. მართალია, ამ მუშაობით მაზეტომ ამქვეყნად მრავალი მოლოზანუკები გააჩინა, მაგრამ საქმეს ისე ფრთხილად აკეთებდნენ, რომ ამ ამბისა სხვებმა მხოლოდ მაშინ გაიგეს, როცა დედა-იღუმენია გარდაიცვალა და როცა თვით მაზეტო, უკვე მოხუცებული და გამდიდრებული, თავის სოფელს დაუბრუნდა. ამ ამბის გახმიანებამ მაზეტოს ყველაფრით ხელი მოუმართა.

ამგვარად, მოხუცებული მაზეტო, შვილების მამა და მდიდარი, იძულებული არ იყო, არც შვილების გამოზრდისთვის ეზრუნა, არც მათთვის ხარჯი გაეწია და თავის მიხვედრილობის

წყალობით თავისი ახალგაზრდობა ჭკვიანად გამოიყენა. სოფლიდან რომ ჩამოვიდა, მხარზე ერთი ცულიღა ჰქონდა შემოდებული და ახლა იმავე სოფელში გამდიდრებული დაბრუნდა. ამგვარად დაამტკიცა ის ჭეშმარიტება, რომ ვისაც ქრისტე— ღმერთი სწყალობს, სიუხვის კალთას სავსებით ზედ დააბერტყავსო.

ამბავი მეორე. მეფის მეჯინიბე

მეფე აჯილულფის მეჯინიბე მის ცოლს მოუწვება; მეფე გაუგებს, ჩუმად მონახავს და თმას შეაკრეჭს ნიშნის დასადებად. თმაშეკრეჭილი მეჯინიბე, თავის მხრივ, ყველა მეჯინიბეს შეაკრეჭს თმას და ამნაირად უბედურებას თავს დააღწევს.

ფილოსტრატოს მოთხრობის მოსმენაზე ქალები ხან წითლდებოდნენ, ხანაც იცინოდნენ. რომ გაათავა, დედოფალმა ინება, ახლა პამპინეას მოეყოლა. იმანაც მოცინარე სახით ასე დაიწყო: — არიან ხოლმე ისეთი მოუსაზრებელი ადამიანები, რომელნიც ცდილობენ გვაჩვენონ, რომ იმათ იციან და დაინახავენ ხოლმე იმას, რაც სრულებით არ უნდა იცოდნენ, და ზოგჯერ სხვებს აყვედრიან იმას, რაც დაინახეს და ამით ფიქრობენ, თავიანთი შერცხვენა შეამცირონ. ის კი არა, უფრო ადიდებენ ამ შერცხვენას. და ეს რომ მართლა ასეა, ჩემო კარგო მეგობრებო, მინდა დაგიმტკიცოთ ჩემი ნაამბობით, სადაც გაჩვენებთ ერთი სახელოვანი მეფის კეთილგონიერებას და ეშმაკობას ერთი კაცისას, რომელიც, შეიძლება, იმდენად მოხერხებული ჭკუისა არ ყოფილა, როგორისაც იყო მაზეტო.

ლომბარდიის მეფემ აჯილულფმა, როგორც მისმა წინა მოადგილეებმა, ლომბარდიის ქალაქი პავია თავის სამეფოს დედაქალაქად გამოაცხადა. ცოლად შეირთო თეუდელინგა, ლომბარდიისავე მეფის, აუტარის, ქვრივი. დედოფალი კალმით დახატული იყო, ჭკვიანი და მეტად ზნედაცული, მხოლოდ საყვარლის შოვნის საქმეში იღბალი არა ჰქონდა.

აჯილულფის მხნეობისა და ჭკუის წყალობით ლომბარდიის სამეფოში ყველაფერი წარმატებული იყო და მშვიდობა სუფევდა. ამ დროს დედოფალს, სხვათა შორის, ერთი მეჯინიბე ჰყავდა, კაცი სულ დაბალის შთამომავლობისა, მაგრამ სხვაფრივ ვერ იტყოდით, თუ იგი ასეთის უკადრისი ხელობისაო. შესახედავად ლამაზი და მეფე აჯილულფისებრ მაღალი იყო. გაშმაგებით შეუყვარდა დედოფალი. მართალია, დაბალის ჩამომავლობისა იყო, მაგრამ ჭკუა იმდენად შესწევდა, რომ იცოდა ასეთ სიყვარულს ყველა დაუძრახავდა და, როგორც ჭკვიანი კაცი, არც არავის უმხელდა თავის გრძნობას და ვერც ის გაებედნა — დედოფლისათვის შეყვარებულის კაცის თვალებით შეეხედა. და თუმცა სრულიად არ ჰქონდა იმედი, დედოფალს როდესმე თავს შეაყვარებდა, მაგრამ გულისგულში მაინც ამაყობდა და თავი მოსწონდა იმით, რომ ასე დიდებული ადამიანი შეუყვარდა. და რადგან გულში მთელი

კოცონი ენთო სიყვარულისა, სხვა თავის ამხანაგებზე უფრო გულმოდგინედ აკეთებდა ყოველსავე, რითაც, მისის აზრით, შეეძლო დედოფლისათვის ეამებინა. დედოფალიც, როცა სასეირნოდ ინებებდა წაბრძანებას, ყოველთვის შესაჯდომად მხოლოდ ამ მეჯინიბისთვის ჩაბარებულ ცხენს არჩევდა, ვიდრე სხვისას. და ყოველთვის, როცა ეს მოხდებოდა, დედოფლის მხრივ დიდ წყალობად მიაჩნდა: არ შორდებოდა უზანგს და თავის თავს უბედნიერეს კაცად სთვლიდა, თუ დედოფლის ტანისამოსი თუნდა ოდნავ მოხვდებოდა.

მაგრამ, როგორც ჩვენ ხშირადა ვხედავთ, როცა იმედი კლებულობს, სიყვარული უფრო ღვივდება, უფრო მატულობს. ამ საცოდავ მეჯინიბესაც ასე დაემართა: გაუჭირდა საშინლად, თავზევით ძალა აღარა ჰქონდა გაეძლო ამ ვნებისათვის, აღარც იმედის ნასახი გააჩნდა და რადგან სიყვარულზედაც ხელი ვერ აეღო, რამდენჯერ უთქვამს, თავი უნდა მოვიკლაო. ბევრი იფიქრა, როგორ უნდა მოეკლა თავი და ბოლოს გადაწყვიტა, ისე მომკვდარიყო, რომ ყველას გაეგო: ამ კაცმა თავი დედოფლის სიყვარულისათვის გაიმეტაო. და სანამ მოკვდებოდა, ბედი ეცადნა — ან სავსებით ან ნაწილობრივ დაეკმაყოფილებინა თავისი გულის წადილი. იცოდა, რომ ამაო იქნებოდა — ან სიტყვებით ან წერილობით გაეგებინებინა დედოფლისათვის თავისი სიყვარული, ამიტომ ისევ ეშმაკობით უნდა გავიდე ფონს და დედოფალს ჩუმად უნდა ამოვუწვე გვერდითო.

ერთადერთი გზა და საშუალება ის იქნებოდა, რომ მეფის მაგივრად, რომელიც, როგორც მეჯინიბემ იცოდა, ყოველღამე არა წვებოდა დედოფალთან, მოეხერხებინა და შეპარულიყო დედოფლის ოთახში. სახლის ერთ დიდ დარბაზში, რომელიც მეფისა და დედოფლის ოთახებს შუა იყო, რამდენიმე ღამეს ჩასაფრებული უდარაჯებდა. ერთ ღამეს დაინახა, რომ მეფე თავის ოთახიდან გამოვიდა, დიდი წამოსასხამი ესხა, ცალ ხელში მოკიდებული ჩირაღდანი ეჭირა, ხოლო მეორეში პატარა წკეპლა, მივიდა დედოფლის ოთახის კართან და ხმის ამოუღებლად ამ წკეპლით ერთხელ თუ ორჯერ დააკაკუნა. დაუყოვნებლივ კარი გაიღო და იმანაც ხელი უშვა ჩირაღდანს. მეჯინიბემ ეს რომ დაინახა, მეფის დაბრუნებასაც უყურა და გულში სთქვა: აი, მეც ასე უნდა მოვიქცეო.

მეჯინიბემ იშოვა ასეთივე წამოსასხამი, როგორიც მეფესა ჰქონდა წამოსხმული, იშოვა აგრეთვე ჩირაღდანი და წკეპლა. ყოველთ უწინარეს, ცხელის წყლით კარგად დაიბანა ტანი, რომ ნეხვის სუნი არა სცემოდა დედოფალს და არ მიმხვდარიყო, რომ მოტყუებას უპირებდნენ. და ასე გამოწყობილი დაიმალა დიდ დარბაზში. სთქვა, ახლა კი ყველას ეძინებაო და უკვე დრო არისო: ან გულის წადილი ავისრულო ან სიცოცხლე მოვისწრაფო, რაც, ამდენ ხანია, ასე მენატრებაო. ტალკვესით ცეცხლი დააკვესა, მოუკიდა თავისს ჩირაღდანს, მოსასხამწამოსხმული მივიდა ოთახის კართან და წკეპლით ორჯერ დაუკაკუნა. გაიღო კარი და გამოეგება ერთი ნახევრად მძინარე პირფარეში ქალი, რომელმაც ჩირაღდანი გამოართვა და გააქრო. მეჯინიბე ხმისამოუღებლად მივიდა, ფარდას მოსწია,

მოიხსნა წამოსასხმელი და დედოფალს გვერდით მოუწვა. სიყვარულით მოჰხვია ხელები, მაგრამ თავი ისე აჩვენა, ვითომ გუნებაზე არ იყო (მეჯინიბემ იცოდა მეფის ჩვეულება: როცა რითიმე ნაწყენი იყო, არც თითონ იღებდა ხმას და აღარც სხვას უსმენდა). არც დედოფალს უთხრა რამე, აღარც დედოფლისაგან მოუსმენია, ისე რამდენჯერმე დაიკმაყოფილა სურვილი. მერე ძალიან ემძიმებოდა წასვლა, მაგრამ მეტ ხანს რომ დავრჩე, ვაითუ ჩამმწარდეს, რაც ვისიამოვნეო, და ამიტომ ადგა, მოისხა მოსასხამი, ხელში დაიჭირა ჩირაღდანი, ხმის ამოუღებლადვე გავიდა და საჩქაროზე თავის ლოგინისაკენ გაექანა.

მეჯინიბე, ის იყო გავიდა, როცა თვითონ მეფე მოადგა დედოფლის ოთახს. დედოფალს ძალზე გაუკვირდა მეფის შემოსვლა. მეფე მხიარულად მიესალმა და მოუწვა. ხოლო დედოფალმა ქმარი ასე ალერსიანად რომ დაინახა, გათამამდა და უთხრა: „ჩემო ბატონო, რასა ნიშნავს ამაღამის ამბავი? ის იყო, არაჩვეულებრივად ისიამოვნეთ ჩემთან და გახვედით, და გასული არც კი მეგონეთ, ისევ უკანვე ბრუნდებით?! არ იტყვით, რასა შვრებით?“ მეფემ ეს რომ გაიგონა ცოლისაგან, მაშინვე იფიქრა: ალბათ ვიღაცამ ისეთმა მოატყუა დედოფალი, ვინც ტანისამოსით და ქცევით ძალიან მგვანდაო. მაგრამ, როგორც ჭკვიანი კაცი, მაშინვე მიხვდა, რომ ეს მოტყუება არც დედოფალს გაუგია და არც სხვას ვისმეო და ამიტომ დედოფალს არ უთხრა — ვიღაცას მოუტყუებიხარო. მის ადგილას სხვა მოტუტუცო ვინმე რომ ყოფილიყო, ვეღარ მოითმენდა და ასე ეტყოდა: „მე აქ არა ვყოფილვარ, ქალო, ვინ, ვინ მოსულა? როგორ მოხდა? ვინ შემოსულა?!“ ამას ბევრი უსიამოვნება მოჰყვებოდა, ცოლს ტყუილად დააღონებდა და შეიძლება საბუთი მიეცა მეორეჯერაც მონატრებოდა ის, რაც უკვე ერთხელ განიცადა. თუ გაჩუმდებოდა, სასირცხვილო არაფერი ექნებოდა, ხოლო თუ ალაპარაკდებოდა, სირცხვილით თავი მოეჭრებოდა. საშინლად აღელდა, მაგრამ ეს მღელვარება არც ლაპარაკის კილოზე დაიმჩნია და აღარც სახეზე და უპასუხა: „ჩემო კარგო, ნუთუ ისეთ კაცად არ მიგაჩნივარ, რომელიც, მართალია, ერთხელ უკვე ყოფილა შენთან, მაგრამ მეორეჯერაც შეუძლია შემოგიბრუნდეს და ამოგიწვეს გვერდით?“ ამაზე ცოლმა უპასუხა: „როგორ არა, ჩემო ხელმწიფევ, მაგრამ მაინც გთხოვთ, თქვენი ძალ-ღონე და სიმართლე გამოიზოგოთ ხოლმე“. მაშინ მეფემ უთხრა: „მომწონს შენი რჩევა და ისე მოვიქცევი, როგორც მეუბნები; ამჯერად არას მოგთხოვ, ისე დავბრუნდები“.

მისდამი მიყენებული შეურაცხყოფით საშინლად აღშფოთებულმა, გაბოროტებულმა, აიღო თავისი წამოსასხამი, გამოვიდა ოთახიდან და იფიქრა, — ჩუმად ეპოვნა თავისი ლაფისდამსხმელი; თანაც ფიქრობდა — უეჭველად ვინმე შინაური უნდა იყოსო, და ვინც უნდა იყოს, აქედან ჯერ ვერსად გავიდოდაო. დაიჭირა პატარა ფარანი, შიგ პატარა სანთელს მოუკიდა და წავიდა იმ გრძელ შენობისაკენ, რომელის მის სასახლეში თავლებს ზემოდან იყო დადგმული. თითქმის ყველა მისნი მოსამსახურენი იქ იწვნენ თავთავიანთ ლოგინში. თავის გულში სთქვა: რაც ცოლმა მიამბო, იმის მოქმედს მაჯა და გულისცემა იმ მღელვარებას

შემდეგ ჯერ არ ექნება დაწყნარებულიო. დარბაზის ერთი თავიდან მოჰყვა, სათითაოდ ჩუმად ყველას დაუარა და გაუსინჯა გული, რომ გაეგო, თუ ვის როგორ უცემდა. ყველას გულის ძილით ეძინა, იმას კი, ვინც დედოფალთან წოლილა, ჯერ ისევ ეღვიძა. რომ დაინახა, მეფე მოვიდა და ყველას გული უნდა გაუსინჯოსო, ისე შეშინდა, რომ რაც დაღლილობისაგან გულისცემა ჰქონდა, ამას შიშისაგან უარესად მოემატა. გადაწყვიტა, თუ მეფემ დამინახა, რა საჭიროა, ცოცხალს არ გამიშვებსო. იმის ფიქრში იყო, თუ როგორ ეშველნა თავისთვის. ამ დროს დაინახა, რომ მეფეს არავითარი იარაღი ჰქონდა ზედ; გადაწყვიტა — თავს მოვიმძინარებ და დავიცდი, რას იზამს მეფეო. მეფემ ბევრს გაუსინჯა გული, მაგრამ როგორსაც ეძებდა, ისეთი ვერავის უნახა. ბოლოს მიადგა დამნაშავე მეჯინიბეს. რომ დაინახა, რომ გული საშინლად უცემდა, თავის გულში სთქვა: აჰა, მივაგენი, ვინც მინდოდაო. მაგრამ რაკი უნდოდა, რომ მისი განზრახვა არავის გაეგო, თან წამოღებულის მაკრატლით ერთ მხარეზე შეაკრიჭა თმა, რომელსაც მაშინ ძალიან გრძელს იყენებდნენ, რომ ამ ნიშნით მეორე დილას გამოეცნო. ეს რომ ჰქნა, წამოვიდა იქიდან და თავის საწოლ ოთახში შებრუნდა. მეჯინიბემ კარგად დაინახა, რაცა ჰქნა მეფემ. როგორც ეშმაკი კაცი, მიხვდა, თუ რისთვისაც გაუკეთეს ნიშანი. ამიტომ დაუყოვნებლივ წამოდგა, აიღო ერთი იმ მაკრატელთაგანი, აქ ცხენების საკრეჭად რომ ჰქონდათ ხოლმე, და ნელა დაუარა ყველას, ვინც ამ შენობაში იწვა და ყველას, თავის მსგავსად, ყურებს ზევით თმები მოაჭრა; ამას რომ მორჩა, არავის გაუგია ისე, თავის ლოგინსავე დაუბრუნდა და დაიძინა.

მეორე დილას მეფე აბრძანდა თუ არა, ბრძანა: სანამ სასახლის ალაყაფის კარები გაიღებოდეს, მსახურები ყველანი უკლებლივ უნდა გამომეცხადნენო. მისი ბრძანება მყისვე აასრულეს. ყველანი თავშიშველნი რომ წარმოუდგნენ, ყველას სინჯვა დაუწყო, რომ ეცნო, ვისაც თმა შეაკრიჭა. რომ დაინახა, რომ თითქმის ყველას თანაგოლად ჰქონდათ თმა შეკრეჭილი, საშინლად გაუკვირდა და თავის გულში სთქვა: „ვისაც მე ვეძებ, რაც უნდა დაბალი წოდებისა იყოს, ეტყობა, ძალიან მაღალი ჭკუის ვინმეა“. რომ შეატყო, უაყალმაყალოდ არ შეეძლო დამნაშავის მოძებნა, ამჯობინა ხელი აეღო პატარა შურისძიებაზე, რომ ამით დიდი სირცხვილი აეცდინა თავიდან. გადაწყვიტა, მარტო სიტყვებით დაეშინებინა დამნაშავე და თან ეჩვენებინა მისთვის, რომ მან ყველაფერი იცოდა. და ამიტომ მეფე ყველას მიუბრუნდა და უთხრა: „ვინც ესა ჰქნა, მეორეჯერ არ გაბედოს. ახლა კი წადით!“.

სხვა მის ალაგას ყველას აწამებდა, დასტანჯავდა, გამოჰკითხავდა და გამოამჟღავნებდა იმას, რაც ყოველმა ადამიანმა უნდა დამალოს. და როცა დამნაშავეს აღმოაჩენდა, შურს იძიებდა, მაგრამ ამით თავის სირცხვილს მაინც ვერ მორეცხავდა. პირიქით, უარესად შეირცხვენდა თავსა და, გარდა ამისა, ცოლის სახელსაც ჩირქს მოსცხებდა.

ვინც კი გაიგო მეფის ნათქვამი, ყველას საშინლად გაუკვირდა და დიდხანს ბჭობდნენ, — რა უნდა ეთქვა მეფეს ამ სიტყვებითაო?... მაგრამ ამ სიტყვების გასაგისი ვერავინ დაიგო.

გაიგო მხოლოდ იმან, ვისაც ესენი ეხებოდა. ხოლო მეჯინიბე, როგორც ჭკვიანი კაცი, მეფის სიცოცხლეში არავის ეუბნებოდა და არც როდესმე გაუბედნია კვლავ ჩაედინა ასეთი საქმე და ბეწვზე დაეკიდებინა თავისი სიცოცხლე.

ამბავი მესამე. შეყვარებული ქალი და აღსარება

ერთ ქალს ერთი ახალგაზრდა კაცი უყვარდა. აღსარების საშუალებით ერთი ტუტუცი და გონებით ბეცი ბერი დაარწმუნა — სინდისი წმინდა მაქვსო და ამით საშუალება მიეცა, გულის წადილი აესრულებინა.

პამპინეა რომ გაჩუმდა, ყველამ შეაქო მეჯინიბის გამბედაობა და მოხერხებულება და აგრეთვე მეფის კეთილგონიერება; მერე დედოფალი მიუბრუნდა ფილომენას და უბრძანა განეგრძო ამბის მოყოლა. და კისკასმა ფილომენამაც ასე დაიწყო: — მე განზრახვა მაქვს გიამბოთ, თუ როგორ გაეხუმრა ერთი ლამაზი ქალი ერთ გამოთაყვანებულ ბერს. ეს ხუმრობა მით უფრო მოეწონებათ ერისკაცთ, რომ ბერები, რომლებიც უმეტეს ნაწილად მეტად სულელები არიან და ხან რაღაც უცნაური ზნე-ჩვეულება აქვთ, ფიქრობენ, ვითომც ისინი ყველასა სჯობდნენ და უფრო მეტიც გაეგებოდეთ ყველაფერ საქმეში, იმ დროს, როცა ესენი გაცილებით დაბლა დგანან სხვებზე, რადგან თავიანთი გონების სიჩლუნგით ვერ ახერხებენ თავი დააძვრინონ გაჭირვებას, როგორც ამას სხვები შვრებიან ხოლმე, და, ღორების მსგავსად მხოლოდ ერთსღა ფიქრობენ: ისეთ ადგილას მოექცნენ, სადაც შეეძლოთ მუცლის ამოყორვა. აი, სწორედ ამის შესახებ მოგახსენებთ, ჩემო ტკბილო მეგობრებო, არა მხოლოდ იმისთვის, რომ დედოფალმა მიბრძანა ამბის თხრობა, არამედ იმ აზრითაც, რომ დაგანახოთ, რომ მოტყუება ბერებისა, რომელთაც ჩვენ, ქალები, ეს მეტად ადვილად დამჯერებელი ხალხი, ყველაფერში ვენდობით ხოლმე, შეუძლიათ არა მარტო მამაკაცებს, არამედ ზოგიერთ დედაკაცსაც.

ერთ ქალაქში, სადაც ადამიანის მოტყუება უფრო ხშირია, ვიდრე სიყვარული და ერთგულება, ერთი კეთილშობილი ქალი ცხოვრობდა. ქალები ძალიან ცოტა მოიძებნებოდა ბუნებისაგან მისებრ დაჯილდოვებული სილამაზით, ზრდილობით, კეთილშობილებით და მიხვედრილობით. თუმცა ამ ქალის სახელი ვიცი ისევე, როგორც ვიცი ამ მოთხრობის სხვა მოქმედ პირთა სახელებიცა, მაგრამ არ ვიტყვი მათ სახელს, რადგან ჯერ კიდევ ცოცხლები არიან ისეთები, ვისაც ეს ამბავი შეიძლება აღსაშფოთებლად ეჩვენოთ, თუმცა შიგ სასაცილოს მეტი არაფერია. ქალმა იცოდა, რომ თვითონ კეთილშობილთა გვარისა იყო და ცოლად კი ერთ უბრალო ხელოსანს — მატყლის ქსოვილების ფეიქარს გაჰყვა, და ამიტომ გულიდან ვერ ამოეღო ზიზღი თავის ხელოსანი ქმრისადმი. ასე ფიქრობდა: დაბალი წოდების კაცი რაც უნდა მდიდარი იყოს, არ არის ღირსი კეთილშობილი ცოლისაო. და, გარდა ამისა, ხედავდა,

რომ თუმცა მდიდარი იყო მისი ქმარი, მაგრამ მხოლოდ იცოდა ნართის დაშლა, მაქოს გაგდება ან რომელიმე დამრთველ ქალთან იმაზე დავა, რომ ეს ძაფი ცუდად დაგირთავსო. ამიტომ გადაწყვიტა, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, თავი აერიდებინა მისი ხვევნა— ალერსისათვის, ხოლო თავის საკუთარ სიამოვნებისათვის მოეძებნა ისეთი კაცი, რომელიც, მისი აზრით, უბრალო ფეიქარზე უფრო ღირსი იქნებოდა მისი სიყვარულისა.

და აჰა, შეიყვარა ქალმა ერთი კარგი შუახნის კაცი, მერე ისე ძალზეც შეუყვარდა, რომ რა დღესაც თვალს ვერ მოჰკრავდა, მთელი ღამე დარდით არ ეძინა. ხოლო ეს პატივცემული ადამიანი ვერაფერს ამჩნევდა და მისთვის არც კი უფიქრია. ქალი კი, როგორც ფრთხილი ადამიანი, ერიდებოდა კაცისათვის ეცნობებინა თავისი გრძნობა ან მომსახურის საშუალებით, ანდა წერილით, რადგან ეშინოდა, ვაითუ ამას უსიამოვნება რამ მოჰყვესო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალის საყვარელი ძალიან კარგად იცნობდა ერთ ბერს, რომელიც თუმცა ერთი უჭკუო და ხეპრე ვინმე იყო, მაგრამ მაინც ყველას პატივცემა ჰქონდა დამსახურებული, რადგან ყველანი ამბობდნენ იმაზე — წმინდანივით ცხოვრობსო. ქალმაც იფიქრა, ამაზე უკეთესი შუაკაცი ჩემსა და ჩემს საყვარელს შორის ღმერთმა შეარცხვინოსო!.. კარგად აიღო და დაიღო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო და გაემართა თავის დროზე ეკლესიაში, რომლის ეზოშიაც ცხოვრობდა ეს ბერი, გამოიხმო და მოახსენა: აღსარება უნდა გითხრათ, თუკი დრო გექნებათ ამისთვისო. ბერს მისული კეთილშობილ ქალად ეჩვენა და მაშინვე მოუსმინა აღსარება. აღსარების შემდეგ ქალმა უთხრა: — „მამაო, მინდა რჩევა გკითხოთ და ერთს საქმეში უნდა დამეხმაროთ. იმასაც ახლავე მოგახსენებთ, თუ რისთვის უნდა შეგაწუხოთ. ახლა თქვენ ჩემგან მოგეხსენებათ, თუ ვინ არიან ჩემი მშობლები და ჩემი ქმარი, რომელსაც თავის სიცოცხლეს ვურჩევნივარ; საკმარისია რამე მოვინდომო, რომ როგორც მდიდარმა და შეძლებულმა კაცმა, ამისრულოს წადილი და მეც ყოველივე ამისათვის თავს მირჩევნია; მე რომ არამც თუ ჩავიდინო რამე მისი პატიოსნებისა და სურვილის წინააღმდეგ, არამედ გულშიაც რომ გავივლო, ღირსი ვიქნები მაშინვე კაცმა კოცონზე დამწვას, როგორც დამნაშავე და ავაზაკი. მაგრამ ეშმაკად ერთი კაცი, რომლის სახელი, მართალი მოგახსენოთ, არცკი ვიცი, მაგრამ ეტყობა კი, შეძლებული უნდა იყოს და, თუ არა ვცდები, თქვენც უნდა გიცნობდეთ, სახით ლამაზი, მაღალი ტანისა, სულმუდამ კარგად ჩაცმული — ნაცრისფერი ტანისამოსი აცვია — ალბათ ცდება და არ იცის ჩემი განზრახვა, — ამეკვიატა და მოსვენებას არ მაძლევს, ასე რომ, არ შემიძლია ან კარში გამოვყო თავი, ან ფანჯარაში გამოვიხედო, არც ქუჩაში გამოსვლა შემიძლია, რადგან ყველგან წინ ამეტუზება ხოლმე. მიკვირს, ახლა არსად გამოჩნდა! ეს ძალიან მადარდებს, რადგან ასეთი საქციელი მამაკაცისა პატიოსან ქალებს სრულიად უმიზეზოდ სახელს უტეხავს ხოლმე. რამდენჯერ განვიზრახე ძმების პირით შემეთვალა მისთვის — თავი დამანებე-მეთქი; მაგრამ მერე ვიფიქრე, მამაკაცები ზოგჯერ დავალებას ისე უხერხულად ასრულებენ, რომ პასუხად უკმეხ

სიტყვას აკადრებენ ხოლმე, ამას მოჰყვება ლანძღვა-გინება და კიდევ ცემა-ტყეპით თავდება ხოლმე-მეთქი, და აჰა, ყოველგვარ უსიამოვნებას და სკანდალს თავი რომ დავაღწიო, ისევ თქვენ გამოგიტყდით, ვიდრე სხვა ვისმე, ამიტომ რომ, ჯერ ერთი, თქვენ მისი მეგობარი ბრძანდებით, და მეორეც იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევებში საყვედური ვინ უნდა უთხრას, თუ არა თქვენ, არა მარტო მეგობრებს, არამედ სრულიად გარეშეთაც. ამიტომ თუ ღმერთი გწამთ, ჩააგონეთ, ხელი აიღოს თავის საქციელზე და თავი დამანებოს. დალოცვილი რაღა მე ჩამომეკიდა! ქალების მეტი რა არის, ვისაც ასეთი საქმე ემარჯვება. ასეთ ქალებს გაეხარდებათ კიდეც, ამ კაცმა მათ დაუწყოს ყურება და გაუარშიყდეს. მე კი სრულებით არა მაქვს ამის გული და საშინლადაც მომაბეზრა თავი. — ეს რომ თქვა, ქალმა თავი დაღუნა, თითქო უნდა იტიროსო.

წმინდა მამა მაშინვე მიხვდა, ვისზედ ლაპარაკობდა ქალი და მოუწონა პატიოსნება. დარწმუნებული იყო, ქალი სრულ ჭეშმარიტებას მეუბნებაო. დაჰპირდა — ისე დავარიგებ ამ კაცს, რომ კვლავ თავი არ მოგაბეზროსო. ისიც იცოდა ბერმა, რომ ეს ქალი მდიდარი იყო და ამიტომ მერე ქველმოქმედებაზე ჩამოუგდო ლაპარაკი, მოყვასი უნდა გავიკითხოთო, თანაც თავისი გაჭირვებაც უხსენა. ამაზე ქალმა უპასუხა: „ღმერთს გაფიცებთ, იმან თუ გითხრათ — ამის მსგავსი არაფერი მიქნიაო, უბრძანეთ, რომ მე თვითონ გითხარით ყველაფერი და შემოგჩივლეთ მაგის საქციელზე“.

აღსარების შემდეგ ცოდვათა შენდობა მიიღო ქალმა. მერე მოაგონდა ბერის რჩევა მოყვასთა განკითხვის შესახებ და ბერს ჩუმად ხელში ფული ჩაუდო და სთხოვა — ჩემი მიცვალებული მშობლების სულის მოსახსენებლად რამდენჯერმე მიწირეთო. ამის შემდეგ ზეზე წამოდგა და შინ წავიდა.

ამ ამბავს შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, ისე, თავის ჩვეულებისამებრ, სულიერ მამასთან მივიდა ის ღირსეული კაცი, რომელზედაც ქალი ელაპარაკებოდა. ბერი ჯერ იქეთურ— აქეთურზე ელაპარაკა, მერე განზე გაიხმო და ტკბილის სიტყვებით უსაყვედურა: — თურმე ამ ქალს ეარშიყებით და თვალს არ აშორებთ (როგორც მე ვფიქრობ), ეს თვითონ იმ ქალმა მიამბოვო. სტუმარი სახტად დარჩა, რადგან ამ ქალის არშიყობა აზრადაც არ მოსვლია და იმის სახლთანაც ათასში ერთხელ თუ გაუვლია. თავის გასამართლებლად რამე უნდა ეთქვა, მაგრამ ბერმა აღარ დააცალა და განაგრძო: — „გეთაყვა, თავს ნუ იკატუნებ და ტყუილ-უბრალოდ სიტყვებს ნურასა ხარჯავ, რადგან ამის უარს ვეღარ იტყვი: ეს ამბავი მე მის მეზობლებისგანა კი არ გამიგია, თვითონ ქალმა მიამბო ყველაფერი და ძალზედაც გიჩიოდა. უნდა გითხრა, ჩემო კარგო, რომ ასეთი სიცრუე არ გეკადრება, და, გარდა ამისა, იმ ქალზე უნდა გითხრა, რომ ქვეყანაზე თუ ვინმე ქალია, ვისაც ასეთი სისულელე ეჯავრება, ასეთი ქალი სწორედ ესაა. ამიტომ თუ გინდა, შენს პატიოსნებას ჩირქი რამე არ მოეცხოს და ის ქალიც დამშვიდდეს, ყველაფერს თავი დაანებე და მოასვენე ისიცა“.

ღირსეული კაცი ბერზე უფრო მიხვედრილი გამოდგა, — მაშინვე მიუხვდა ქალის ეშმაკობას, ვითომ შერცხვა კიდეცაო, თავი ისე მოაჩვენა ბერს, და დაჰპირდა, თქვენმა მადლმა, კვლავ აღარ ვიზამო. გამოეთხოვა ბერს თუ არა, პირდაპირ იმ ქალის სახლისაკენ გასწია. ქალი სულ მუდამ პატარა სარკმელთან იდგა და სდარაჯობდა, — ის კაცი ხომ არ გამოივლის ქუჩაზე, რომ თვალი მაინც მოვკრაო. რომ დაინახა, მოდისო, ფანჯარაში თავი ისეთი მხიარული და ალერსიანი სახით გამოჰყო, რომ კაცს თვითონ შეეძლო დარწმუნებულიყო, თუ რა სისწორით გაიგო ბერის ნათქვამი.

ამ დღიდან როგორც თავის სასიამოვნოდ, ისე ქალის სანუგეშოდ და გასახარელად, კაცმა მოუხშირა ამ ქუჩით სიარულს, თანაც ფრთხილობდა და თავი ისე ეჭირა, თითქო სულ სხვა რამე იზიდავს მას აქეთკენო.

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ რაკი ქალმა შეამჩნია, რომ კაცსაც ისევე მოვწონვარ, როგორც მე ის მომწონს, მოინადინა უარესად ჩაეთრია და დაერწმუნებინა, თუ რარიგ ინვებოდა სიყვარულით.

ამიტომ მარჯვე დრო შეურჩია და ისევ წავიდა წმინდა მამასთან ეკლესიაში. დაიჩოქა მის წინ და ქვითინი მორთო. ბერს შეეცოდა და ჰკითხა: რა მოგსვლია, შვილო? ამაზე ქალმა უპასუხა: — „სულიერო მამაო, სხვა რაღა საქმე მექნება, თუ არ იმ ღვთის პირისაგან შეჩვენებულის, თქვენის მეგობრის საქმე, ამ სამი დღის წინათ რომ შემოგჩივლეთ. ასე მგონია, ეს კაცი იმისთვის გაჩენილა ამქვეყნად, რომ შემაცდინოს, გამაკეთებინოს ის, რაც წამართმევს სულიერს სიმშვიდეს და თქვენს ფეხებში ჩავარდნის უღირსად გამხდის“. — „როგორ, ნუთუ კიდევ არ დაგანებათ თავი“? — „რა თქმა უნდა, არა, — უპასუხა ქალმა, — ის კი არა, მას შემდეგ რაც თქვენთან ვიჩივლე მისი ამბავი, ეტყობა, გაწყრა ჩემზე, რათ იჩივლაო; თითქო განგებაო, ჩემს სახლს უფრო ხშირ-ხშირად უვლის და ჩამოუვლის, — წინათ ერთხელ აუვლიდა და ახლა კი, ალბათ, შვიდჯერ მაინც რომ ჩამოუაროს, თუნდ ერთი იყოს. მხოლოდ რომ დადიოდეს და იყურებოდეს, კაცი კიდევ არაფერს იტყოდა, მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ ისე კადნიერი და უტიფარი გახდა, რომ გუშინ ჯერ ვიღაც ქალის პირით მოკითხვა შემომითვალა და მერე კიდეც ქისა და სარტყელი გამომიგზავნა, თითქოს ქისებისა და სარტყელების უნახავი ვიყო! მისი სარტყელი გუშინ ისე შეურაცხმყოფელად მომეჩვენა და ახლაც მეჩვენება ასეთად, რომ ცოდვისა რომ არ მეშინოდეს და თქვენი რიდი და პატივცემა რომ არ მაჩერებდეს, ღმერთმანი, არ ვიცი, რას ვიზამდი!.. მაგრამ თავი მაინც შევიკავე და გადავწყვიტე — ამაზე არავისთვის არ მეთქვა და არცა რა მექნა მანამდე, სანამ თქვენ არ გაგაგებინებდით. ქისა და სარტყელი ჯერ უკანვე მივეცი მათ მომტანს ქალს და ვუთხარი — ვინც მოგცა, იმასვე დაუბრუნე-მეთქი და თანაც კარგად გამოვლანძღე და გავაგდე. მაგრამ რომ დავფიქრდი, შემეშინდა, ვაითუ ქალმა თვითონ დაიტოვოს და კაცს კი უთხრას, ვითომ მე ჩავიბარე ყველაფერიო — გამიგონია, რომ ამგვარი ქალები ბევრჯერ ასე შვრებიან —

ამიტომ ქალი მოვაბრუნე, აღშფოთებულმა ხელიდან გამოვგლიჯე ეს ნივთები და აქ მოგიტანეთ. და გთხოვთ გადასცეთ პატრონს და უბრძანოთ, რომ, მადლობა ღმერთს, იმდენი ქისა და სარტყელი მაქვს ჩემი საკუთარი რომ, ის ვაჟბატონი ვერცკი დაითლის. და თუ ამას შემდეგაც არ მომასვენებს, მაშინ როგორც სულიერ მამას, ისე მოგახსენებთ, და ნურც თქვენ განმირისხდებით: ყველაფერს ვეტყვი ქმარს და ძმებს და მაშინ რაც მოხდება, ჩემი ბრალი არ იყოს. დეე, ისინი გაუსწორდნენ იმას თავისებურად, რაკი ეს ასე უნდა მოხდეს, ოღონდ მე შერცხვენას გადავრჩე, — ხომ ასეა, სულიერო მამაო?“ — ამას რომ ამბობდა, თან მდუღარე ცრემლები ჩამოუგორდა ლოყებზე და თანაც თავისი გრძელი კაბის ქვეშიდან გამოიღო მშვენიერი და ძვირფასი ქისა და მასთან ერთად მშვენიერი და ძვირფასივე სარტყელი და ბერის ფეხებთან დაჰყარა.

ბერმა საკვლებით დაიჯერა ქალის ყოველი ნათქვამი, ძალიან შეწუხდა, აიღო ნივთები და ქალს უთხრა: — „ჩემო ასულო, სრულებითაც არ მიკვირს, რომ ასე სწუხარ და ვიშვიშებ, და არამცთუ არ გემდური, პირიქით გაქებ კიდეცა, რომ ამ შემთხვევაში ისე მოიქეცი, როგორც მე დაგარიგებ. ამ სამს დღეს წინათ საყვედური ვუთხარი და სიტყვა მომცა, არ ვიზამო. ეტყობა, პირობა არ შეასრულა. ამიტომ როგორც წინანდელისა, ისე ახლანდელ ჩადენილისათვის ისე გავუწყრე, რომ კვლავ აღარ გაბედოს შენი შეწუხება. შენ კი — ღმერთმა-კი დაგიფაროს! — გულისწყრომას ნუ აჰყვები და შენიანებს ნურაფერს ეტყვი, თორემ, ვინ იცის, რა საცოდაობა დაატრიალონ! შენ შერცხვენისა ნუ გეშინია, იმიტომ რომ, როგორც ღვთისა, ისე ხალხის წინაშე შენის პატიოსნების და ნამუსიანობის მოწმედ გეყოფი“.

ქალმა თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ამან ცოტათი ანუგეშა და ამაზე ლაპარაკი შეწყვიტა. იცოდა ბერების ანგარებისმოყვარეობის ამბავი და, მათ შორის, ამ ბერისაც, და უთხრა: — „პატიოსანო მამაო, ამ უკანასკნელ ღამეებში სიზმრად სულ ჩემს მიცვალებულ ნათესავებსა ვხედავ; მე მგონი, საშინლად იტანჯებიან საცოდავები და მთხოვენ გაჭირვებულთა გაკითხვას, განსაკუთრებით დედაჩემი ისე დაღონებულად და უბედურად მეჩვენება, რომ მისი საცოდაობით გული დამეფუფქა. ალბად ძალიან სწუხს დედა, როცა მიყურებს, თუ როგორ ვიტანჯები ამ ღვთის მტრის ხელისაგან, და ამიტომ მინდა მათი სულის საოხად წმ. გრიგოლს ორმოცი წირვა უწიროთ და თქვენც შეევედროთ უფალს, მათი სული ჯოჯოხეთისაგან იხსნას“. ამ სიტყვებთან ერთად წმინდა მამას ხელში ერთი ფლორინი ჩაუდო. ბერმა სიხარულით გამოართვა ფული და შეეცადა კეთილი სიტყვებით და მრავალი მაგალითებით გაემხნევებინა და განემტკიცებინა მასში სათნოება, კეთილმსახურება. მერე დალოცა და გაუშვა სახლში.

ბერი კიდევ ვერ ატყობდა, როგორ ასულელებდნენ! და ქალი წავიდა თუ არა, თავისი მეგობარი დაიბარა. მეგობარი მოვიდა და გაალმასებული ბერი რომ დაინახა, მაშინვე მიხვდა, ალბათ რამე ამბავი დასტოვა ქალმაო, და, აბა, ბერი რას მეტყვისო. ბერმა ისევ გაიმეორა წინად ნათქვამი სიტყვები და ისევ დაუწყო ლანძღვა და საყვედური ქალის ნათქვამისა და

მისი ცუდი საქციელის გამო. ამ ღირსეულ კაცს ესმოდა, თუ რას ნიშნავდა ბერის ნათქვამი სიტყვები და თუმცა უარს ამბობდა — ქისა და სარტყელი არ გამიგზავნიაო, მაგრამ ამ უარს საკმაოდ სუსტად ამბობდა, რადგან არ უნდოდა ქალის ნათქვამს ბერის თვალში ძალა და ნდობა დაჰკარგოდა იმ შემთხვევაში, თუ ქალი კიდევ რასმე ეტყოდა. მაგრამ ბერს მოთმინების ფიალა აევსო და უთხრა: — „ამაზე უარს როგორღა ამბობ, შე შეჩვენებულო? აი, ეს ნივთები ატირებულმა ქალმა თვითონ თავის ხელით მოიტანა. ერთი დახედე, ნუთუ არ გეცნობა?“ — მეგობარმა კაცმა, ვითომ ძალიან დარცხვენილმა, უთხრა: — „მართალია, ვიცნობ ამ ნივთებს, ვაღიარებ, რომ ცუდად მოვიქეცი, და რაკი გავიგე, თუ რა პატიოსანი ქალია, გეფიცებით ჩემზე ცუდი ერთი სიტყვაც არ გაიგონოთ. — და კიდევ დიდხანს სტუქსავდა ბერი, ცხვარივით გამოყეყეჩებული, მაგრამ ბოლოს მისცა ქისა და სარტყელი, ბევრიც ეხვეწა და ურჩია — ასეთ საქმეს ნუ ჩაიდენო. ამის სიტყვაც ჩამოართვა და გაუშვა.

კაცი ძალიან გახარებული იყო, ჯერ ერთი იმით, რომ დარწმუნდა — ქალს ვუყვარვარო და მეორეც — ასეთი მშვენიერი საჩუქრის შოვნითა. ბერს თავი დააღწია თუ არა, წავიდა, მოფარებული ადგილი მონახა და იქიდან ქალს ფრთხილად უჩვენა — ორივე ნივთი მე მაქვსო. ქალი ძალიან კმაყოფილი დარჩა ამით და უფრო კიდევ იმით, რომ მისი მოგონილი ხერხი უფრო და უფრო მიზანს აღწევდა. ახლა მხოლოდ იმასღა ელოდა — მისი ქმარი სადმე წასულიყო და მაშინ მისი ცდა უეჭველად სასიკეთოდ დაგვირგვინდებოდა.

მართლაც, ამ ამბის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, ისე, ქალის ქმარს რაღაც საქმისათვის გენუაში დასჭირდა წასვლა. ქმარი დილას ცხენზე შეჯდა და გაემგზავრა თუ არა, ცოლი დაუყოვნებლივ წმიდა მამისაკენ გამოქანდა, შესჩივლა თავის გაჭირვება და თვალცრემლიანი ასე მოუყვა: „სულიერო მამაო, ახლა კი გამოტეხილს მოგახსენებთ, რომ მეტის მოთმენა აღარ შემიძლია; მაგრამ რადგან ამ სამი დღის წინ დაგპირდით — უთქვენოთ არაფერს ვიზამ-მეთქი, მეც მოვედი, რომ თქვენს წინაშე თავი ვიმართლო და რომ დაიჯეროთ, თუ რა მიყო თქვენმა მეგობარმა, ჯოჯოხეთის ამ ნამდვილმა ეშმაკმა, დღეს დილას, სწორედ ცისკრისას. ჩემის ცოდვით სავსეს, არ ვიცი, ვინ გააგებინა, რომ გუშინ დილას ჩემი ქმარი გენუაში წამივიდა. დღეს დილას, სწორედ იმ საათზე, როგორც გითხარით, ჩემს ბაღში ამოუყვია თავი, მერე ხეს ამოჰყოლია და ჩემი საწოლი ოთახის ფანჯრამდე, რომელიც ბაღს გასცქერის, ფანჯარა გაეღო კიდეც და, ის იყო, ოთახში უნდა შემომძვრალიყო, ამასობაში მეც უცბად გამომეღვიძა, ლოგინიდან წამოვიჭერი და კივილი მოვრთე. და ვინ იცის, ასე რამდენ ხანს მეყვირნა, რომ ჯერ კიდევ ფანჯარაში გაჩერებულს ხვეწნა არ დაეწყო — ღვთისა და თქვენის პატივისცემის გულისათვის მეპატიებინა და თანაც არ მეთქვა, ვინც იყო. თქვენი სახელი რომ გავიგონე, თქვენი სიყვარულის გულისათვის ხმა ჩავიწყვიტე და დედიშობილა მივირბინე ფანჯარასთან და მის ცხვირწინ მივაჯახუნე. თვითონ კი წავიდა და ეტყობა, სამუდამოდაც, რადგან მერე აღარ მინახავს. ახლა თვითონ თქვენ განსაჯეთ, ეს მოსაწონია თქვენგან თუ

არა, ანდა მე როგორღა უნდა მოვითმინო?! არ შემიძლია ეს ვაპატიო, თქვენი ხათრით ისედაც ბევრი მიპატიებია მისთვის.

ეს რომ გაიგონა, ბერმა სიბრაზით სულ ცოფები ჰყარა და არ იცოდა, ქალისათვის რა ეთქვა, და რამდენჯერმე ესღა ჰკითხა: ხომ ნამდვილად ის კაცი იყო და ან ხომ არ შეგცდა, იქნება სხვა ვინმე იყოო? ამაზე ქალმა უპასუხა: „დიდება შენდა, ღმერთო! ნუთუ იმას სხვებში ვერ გავარჩევ?! გარწმუნებთ, ის იყო, სწორედ ის იყო; ხოლო თუ დაიწყო ლაპარაკი, მე არ ვიყავიო, სტყუის, არ დაუჯეროთ“. — „ჩემო ასულო, — უთხრა ამაზე ბერმა, —რაკი ასეა, სათქმელი იმის მეტი არაფერი მაქვს, რომ ეს საშინელი და უტიფრობა და მეტად საზიზღარი საქციელია და შენ ძალიან კარგად გიქნია, რომ გაგიგდია. მაგრამ რაკი ღმერთმა შერცხვენისაგან დაგიფარა, ერთხელ კიდევ გთხოვ, ჩემ რჩევაზე გაიარო ისევე, როგორც წინათ ორჯერ გაიარე; შენიანებს არავის უთხრა ეს ამბავი, ყველაფერი მე მომანდე. ვეცდები, ეს ჯაჭვიდან აწყვეტილი ეშმაკი, აქამდე წმინდანად რომ ვთვლიდი, როგორმე ავლაგმო; თუ მოვახერხე და თავის პირუტყვულ მიდრეკილებაზედ ხელი ავაღებინე, ხო რა კარგი, თუ ვერა და, ჩემს ლოცვა-კურთხევასთან ერთად ნებას გაძლევ ისე მოიქცე, როგორც შენმა ჭკუა-გონებამ გაგიჭრას“. — „კარგი, — უთხრა ქალმა, — ამჯერად არ მინდა ჩემი ურჩობით გაწყენინოთ. თუ იმდენს მოახერხებთ, რომ ამიერიდან აღარ შემანუხოს ამ კაცმა, პირობას გაძლევთ, თქვენთან აღარ მოვიდე ამ საქმეში რჩევა-დარიგებისათვის“. — ქალს ამის მეტი არაფერი უთქვამს და გულმოსულივით მოშორდა ბერს.

ქალი ეკლესიიდან გამოვიდა თუ არა, შიგ შევიდა ის კაცი, ვისზედაც ლაპარაკი ჰქონდათ ბერსა და ქალს. ბერმა მოიხმო, განზე გაიყვანა და ისეთი უშვერის სიტყვებით გალანძღა, რომ ადამიანის ყურებს იშვიათად თუ მოუსმენია. ვინ იცის, რა არ დაუძახა: ა, შე უსინდისო, შე ფიცის გამტეხო, შე მოღალატეო... ბერის მეგობარს უკვე ორჯერა ჰქონდა მოსმენილი მისი ლანძღვა-გინება და იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეს გინება; გულდასმით უსმენდა, ორჭოფული პასუხებით ცდილობდა გამოეთქმევინებინა ყოველივე სათქმელი და ყოველთ უწინარეს ასეთი სიტყვები უთხრა: „მაღალღირსო მამაო, რად განმირისხდით ამ ზომაზე? თითქო ქრისტეს ჯვარმცმელი მე ვიყო?“ — ამაზე ბერმა უპასუხა: „ერთი ყური დაუგდეთ, რაებს ამბობს! ისე ლაპარაკობს, თითქოს მას აქეთ ერთი-ორი წელიწადია გასული და ხანგრძლივობის გამო თითქო დაავიწყდა, რა სისულელე და უსინდისობა ჩაიდინაო!.. ნუთუ დღევანდელი დღის ცისკარს აქეთ დაგავიწყდა, რომ მოყვასი შეურაცხჰყავ? ამ დილას განთიადისას სადა ბრძანდებოდი, ვაჟბატონო?“ — ამის პასუხად მეგობარმა ასე უთხრა: „არ ვიცი, სად ვიყავი; მაგრამ ამბავი კი ძალიან ჩქარა მოურბენინებიათ თქვენამდე.“ —“დიახ, ჩქარა მომირბენინეს, — უპასუხა ბერმა, — შენ ალბათ იფიქრე, რაკი ქმარი სახლში არ არის, პატიოსანი ქალი ერთბაშად ჩამეხუტება გულშიო? შენს ლხენას, ერთი ეს მიბრძანე, პატიოსანი კაცის სახელის მატარებელო, როგორ იყო, რომ ღამე ხეტიალი დაგიწყია, სხვათა ბაღში შებრძანებულხარ

და ხეებზედაც აბობღებულხარ?! ნუთუ იმასა ჰფიქრობ, რომ შენი უტიფრობით დათრგუნავ ამ ქალის ნამუსიანობას და ამიტომაც მიბობღავ ხეებზე, რომ იქიდან მის ფანჯარაში შეძვრე? შენებრ ამ ქალს არავინ ეზიზღება და შენ მაინც აგიღერია თავი და მასთან მიძვრები!.. ჯერ თვით ქალმა რამდენჯერ გაგრძნობინა, რომ სძულხარ, მეც რამდენი დარიგება მოგეცი, მაგრამ შენს გამოსწორებას არაფერი ეშველა! ახლა, აი რა უნდა გითხრა, ჩემო კარგო: დღემდე შენი საქციელის გამო ქალი თუ ხმას არ იღებდა, ხმას არ იღებდა იმიტომ კი არა, რომ შენ ებრალებოდი, არამედ იმიტომ, რომ ვეხვეწე და ჭირი მოვჭამე; მაგრამ ახლა კი ეყოფა, მეტი გაჩუმება აღარ შეუძლია და მეც ნება მივეცი, ისე მოიქცეს, როგორც საჭიროდ დაინახავს, თუ შენ კიდევ გაგიბედნია და რამე გიწყენინებია. მაშინ რაღას იზამ, ძმებთან რომ დაგაბეზღოს?

მეგობარმა ამ სიტყვებიდან, რაც უნდოდა, ყველაფერი კარგად გაიგო; მერე როგორც იცოდა და შეეძლო, დაამშვიდა ბერი, შეჰფიცა, კარგად მოვიქცევიო და მოშორდა.

მეორე ღამეს, გათენებისას ეს კაცი შევიდა ბაღში, იქიდან ავიდა ხეზე და ღია ფანჯარა რომ დაინახა, შევიდა ოთახში და სულ მოკლე ხანში მშვენიერ ქალს გულში ჩაეხუტა კიდეცა. ქალი სული-სულზე ელოდებოდა. რომ დაინახა, წამოიძახა: „უზომო მადლობა მომიხსენებია პატიოსანი მამისათვის, რომ ასე კარგად მოუსწავლებია ჩემსკენ!“

მერე ამათ არაერთხელ მიჰმადლეს ურთიერთს სიამოვნება, და სიცილით ამბობდნენ, რამდენად სულელი იყო ეს ბერი, სასაცილოდ იგდებდნენ მასრას, მაქოს, სავარცხელს, საჩეჩს და ლაზღანდარობით თავს ირთობდნენ. თავიანთი საქმე ისე მოაწყვეს, რომ წმინდა მამის შეაკაცობა აღარ სჭიროდათ, სხვა მრავალი ღამეც ამნაირადვე მხიარულად გაატარეს.

უფალსა ღმერთსა ვთხოვ, მოიღოს თავისი მოწყალება და მოგვმადლოს ასეთი ტკბილი ღამეების გატარება მეცა და ყველა ქრისტიანთა, ვისაც კი ეს ენატრება.

ამბავი მეოთხე. მომნანიებელი ქმარი ანუ სამოთხის გზა

დონ ფელიჩე ასწავლის ძმა პუჩოს, როგორ უნდა გახდეს წმინდანი. ამისთვის იძულებულსა ხდის, ცოდვები მოინანიოს. ამასობაში კი დონ ფელიჩე ძმა პუჩოს ცოლთან ნებივრობს.

ფილომენამ მოთხრობა რომ გაათავა, გაჩუმდა, ხოლო დიონეომ ხუმრობის კილოთი შეაქო ქალის ჭკუის გამჭრიახობა და აგრეთვე ის უკანასკნელი სიტყვები, რომლების საშუალებით ფილომენამ აღავლინა ზეცად თავისი ლოცვა-ვედრება. მერე დედოფალი სიცილით მიუბრუნდა პამფილოს და უთხრა: აბა, პამფილო, შენ იცი, თუ რამე სასიამოვნო

ანბით გაგვართობ! პამფილომ სწრაფად უპასუხა, ბატონი ბრძანდებითო, და დაიწყო: — ბევრი გახლავთ ისეთები, რომელნიც ყოველ ღონეს ღონობენ, როგორმე სამოთხეში მოხვდნენ, და ის კი არა, ვერც კი აჰხნევენ, რომ თავის მაგივრად სამოთხეში სხვა შეჰყავთ, რაც ამას წინათ, როგორც ახლა გაიგონებთ, ერთ ჩვენს მეზობელ ქალს დაემართა.

როგორც გამიგონია, სან ბრანკაციოს მახლობლად ცხოვრობდა ერთი მოსულელო, მაგრამ მდიდარი კაცი, სახელად პუჩო დი რინიერი ერქვა. დრომა და ჟამმა რომ განვლო, პუჩომ მხოლოდ საიქიო ცხოვრებისათვის დაიწყო ზრუნვა, და ამიტომ ფრანცისკანელ ბერების ორდენში ჩაეწერა. აქ მესამე ხარისხის ძმობა მისცეს და ამიერიდან იწოდებოდა ძმად პუჩოდ. როგორც დიდად მორწმუნემ, ხშირად დაიწყო ეკლესიაში სიარული, იმიტომ რომ მისი ოჯახი შესდგებოდა ცოლისა და მოსამსახურე ქალისაგან და თვითონ იძულებული არ იყო რაიმე საქმე გულმოდგინედ ეკეთებინა ოჯახის წევრების სარჩენად. გონებაჩლუნგი და გაუთლელი პუჩო ზეპირად იმეორებდა თავის ლოცვებს, დადიოდა ქადაგების ყურისსაგდებად, ისმენდა წირვას, ერისკაცთა სასულიერო გალობას თავისდღეში არ დააკლდებოდა, მარხვას სულმუდამ ინახავდა და თავს იმათრახებდა; ამბობდნენ კიდეცა, თავისთავის გამმათრახებელთა სექტას ეკუთვნისო.

პუჩოს ცოლს იზაბეტა ერქვა. ახალგაზრდა ქალი იყო, ასე ოცდარვა-ოცდაათი წლისა, ლამაზი, კვერცხივით ჩამრგვალებული. ქმრის კეთილმსახურებისა, ან, შეიძლება, მისი მოხუცებულობის გამოც, ცოლს ხშირად უხდებოდა უფრო ხანგრძლივი მარხულობა, ვიდრე თვითონ უნდოდა, და როცა ქმართან წოლა, ან შეიძლება, მასთან გახუმრებაც მოუნდებოდა, პუჩო ქრისტეს ცხოვრებას, ან ძმა ნასტანჯიოს ქადაგების შინაარსს, ან კიდევ მაგდალინას გოდებისა და მის მსგავს ამბებს მოუყვებოდა.

ამ დროს პარიზიდან დაბრუნდა ერთი ბერი, დონ ფელიჩე, სან ბრანკაციოს მონასტერში დავანებული. დონ ფელიჩე ჯერ ისევ ახალგაზრდა იყო, ლამაზი, მეტად ჭკვიანი და დიდად განსწავლული. ძმაო პუჩო მეტად დაუმეგობრდა იმ ბერს და რადგან ბერი მაშინვე განუმარტავდა ხოლმე ყოველ საეჭვო კითხვას და ამასთან რაკი იცოდა პუჩოს ღვთისმოშიშობის ამბავი, ცდილობდა პუჩოსათვის თავი ისე მოეჩვენებინა, ვითომც მეტად წმიდა ცხოვრების კაცი იყო. ამიტომ ძმა პუჩო ზოგჯერ სახლშიაც ჰპატიჟობდა ხან სადილად და ხანაც ვახშმად, როგორც მოხვდებოდა. პუჩოს ცოლი ცდილობდა ქმრისათვის ეამებინა და ამიტომ მის სტუმარს მეგობრულად ეკიდებოდა და გულუხვად უმასპინძლდებოდა. ბერი რაკი ხედავდა, რომ პუჩოს ასეთი ახალგაზრდა და ფუნჩულა ცოლი ჰყავდა, მიხვდა, თუ რა უნდა ჰკლებოდა ქალს და განიზრახა ძმა პუჩო გაეთავისუფლებინა მისი ძალ-ღონისათვის მძიმე ტვირთისაგან და თვითონ ეკისრა ამ ტვირთის ზიდვა. ხშირად ქვეშ-ქვეშიდან უყურებდა ქალს და იმდენი ჰქნა, რომ ქალსაც გაუღვიძა ის სურვილი, როგორიც თვითონ ჰქონდა. ბერმა ეს რომ შენიშნა, დრო იხელთა და მოელაპარაკა ქალს იმაზე, რაც მას ასე გულით

უნდოდა. ქალი თუმცა მზად იყო საქმე ბოლომდე მიეყვანა, მაგრამ შეუძლებელი იყო ამის მოხერხება, რადგან უარზე იდგა სადმე სხვაგან გაჰყოლოდა ბერს, თუ არ საკუთარ სახლში. სახლში კი ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგან ძმა პუჩო ქალაქიდან არსად გადიოდა. ამ გარემოებამ ბერი ძალიან დააძარა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ბერმა მაინც მოახერხა მოეგონებინა საშუალება: დაახლოვებოდა პუჩოს ცოლს მისსავე სახლში ისე, რომ კაცს ეჭვი არ აეღო, თუნდაც პუჩოც ამ დროს სახლში ყოფილიყო.

და აი, ერთხელ, როცა ძმა პუჩო დონ ფელიჩესთან სენაკში შევიდა, შემდეგი უთხრა ბერმა:

„დიდი ხანია, გამჩნევ, ძმაო პუჩო, რომ შენ ერთს რასმეღა ნატრობ: წმიდანი გახდე. მაგრამ მე მგონი, შენ მეტად შორი გზა გაქვს არჩეული ამისთვის. თუ მკითხავ, სხვა გზაც არის და უმოკლესიც — ამ გზას იცნობენ და ამით დადიან პაპი და ყველა სხვა მისი უმაღლესი სასულიერო პირნი, მხოლოდ სხვას არავის ეუბნებიან, იმიტომ რომ მაშინ სასულიერო წოდება, რომელიც ნებაყოფლობითი შემოწირულობითა სცხოვრობს, სულ დაიღუპებოდა, რადგან ხალხი ხელს აიღებდა შემოწირულობათა ან სხვა რისამე ძლევაზე. მაგრამ რადგან შენ ჩემი მეგობარი ხარ და ყოველთვის გულსავსედ მიმასპინძლდებოდი, გასწავლიდი ამ გზას, თუ მართლა აპირებ ამ გზით სიარულს და სხვას არავის ასწავლი“.

ძმა პუჩოს საშინლად მოუნდა ამ გზის გაცნობა. წამდაუწუმ სთხოვდა ბერს, მასწავლეო. მერე ეფიცებოდა, არავის გავუმჟღავნებ საიდუმლოებას, და თუ გავუმჟღავნე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შენგან მექნება ამის ნებართვაო, და თანაც არწმუნებდა — თუ შევიძელი ამ გზით სიარული, დაუყოვნებლივ დავადგებიო. „რაკი პირობას მაძლევ, — უთხრა ბერმა, — კარგი, გაჩვენებ ამ გზას: როგორც, ალბათ, გეცოდინება, წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ვისაცა სურს მოიპოვოს ნეტარება, უნდა შეინანიოს ცოდვები, ხოლო იმას, თუ როგორი უნდა იყოს ეს სინანული, ახლავე გეტყვი. მხოლოდ კარგად გაიგე ჩემი ნათქვამი. მე იმას კი არ გეუბნები, რომ სინანულის შემდეგ ისეთივე ცოდვილი აღარ იქნები-მეთქი, როგორიც ახლა ხარ. მხოლოდ აი, რა დაგემართება: შენ განიწმინდები იმ ცოდვათაგან, რომელიც ჩაგიდენია სინანულამდე, და ამ სინანულის ძალით ეს ცოდვები გეპატიება; ხოლო ის ცოდვები, რომელთაც შენ შემდეგში ჩაიდენ, აღარ მოგეკითხება, არამედ მოგებანება აიაზმის წყლით ისე, როგორც ახლა განგვებანება ხოლმე მისატევებელი ცოდვები. სინანულის სულ დასაწყისში აღსარება უნდა თქვა, ერთი ცოდვაც კი არ უნდა გამოგრჩეს; შემდეგ უნდა იმარხულო და ორმოცი დღის განმავლობაში სასტიკად უნდა შეიკავო თავი ყველაფრისაგან; იმ დღეებში შენ არ უნდა გაეკარო არამც თუ გარეშე ქალს, არამედ შენს საკუთარ ცოლსაც კი. გარდა ამისა, შენს სახლში ერთი ისეთი განსაკუთრებული კუთხე უნდა აირჩიო, საიდანაც ღამღამობით ცის ყურება შეგეძლოს და ამ ადგილას უნდა გაჩერდე მწუხრის დროს; გარდა ამისა, საჭიროა, რომ ამ ადგილას დაიდგა ერთი ძალზე ფართო მაგიდა, ისეთი, რომ როცა

მასთან იდგები, შეგეძლოს წელით მიეყუდო მის ნაპირს და ფეხებით იატაკს დაებჯინო, მერე გადაიზნიქო და ჯვარცმულივით ხელები გაშალო; თუ გინდა, შეგიძლია ხელები ლურსმნებს რასმე დაავლო; ასე გაუნძრევლად უნდა გაჩერდე ცისკრამდე და უყურო ზეცას. კითხვა არ იცი, თორემ ამ დროს უნდა გეკითხნა განსაკუთრებული ლოცვები, რომლის მოცემა მე შემეძლო. მაგრამ რაკი კითხვა არ იცი, უნდა თქვა სამასჯერ „მამაო ჩვენო“ და სამასჯერ „ღვთისმშობლის ლოცვა“ წმ. სამების სადიდებლად, თვალები ზეცად უნდა აღაპყრო და განუწყვეტლივ ივონებდე ღმერთსა, ცათა და ქვეყნის შემოქმედსა, წამებათა ქრისტესთა და იმყოფებოდე იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც იყო ქრისტე, ჯვარზე გართხმული. მერე, ცისკარზე რომ დარეკავენ ზარებს, თუ გინდა, შეგიძლია მოშორდე ამ ადგილს, ლოგინში ჩაწვე გაუხდელად და დაიძინო. დილით ეკლესიაში უნდა წახვიდე, მოისმინო, სულ უკანასკნელი, სამი წირვა, ორმოცდაათჯერ „მამაო ჩვენო“ თქვა და იმდენჯერვე „ღვთისმშობლის“ ლოცვა; ამას შემდეგ წმიდის გულით მოისაქმო ზოგიერთი საქმე, თუკი გექნება ასეთი, შემდეგ ისადილო, სადილთ უკან ისევ წახვიდე ეკლესიაში საღამოს ლოცვაზე და წაიკითხო განსაკუთრებული ლოცვები, რომლებსაც გადმოგინერ და ურომლისოდაც არ შეიძლება. მერე რაკი მწუხრი დადგება, ისევ ისე დაიწყე, როგორც გასწავლე. თუ შენ ყოველსავე ამას ისევე აასრულებ, როგორც მე ვასრულებდი ოდესღაც, იმედი მაქვს სინანულის დასასრულამდე უკვე განიცდი საუკუნო ნეტარების საუცხოო გრძნობას, თუ, რა თქმა უნდა, სინანული მონიწებით გექნება შესრულებული.

ამაზე ძმა პუჩომ უთხრა: — ეს საქმე არც ძალიან ძნელია და აღარც ხანგრძლივი, და მგონია, ძალა შემწევდეს მის ასრულებად. ამიტომ მინდა, სადიდებლად ღვთისა, კვირიდანვე შევუდგე.

პუჩო მოშორდა ბერს და შინ რომ მოვიდა, ყველაფერი დალაგებით უამბო თავის ცოლს, — რა თქმა უნდა, ბერის ნებართვით. ქალი მშვენივრად მიხვდა, თუ რას ნიშნავდა ცისკრამდე უმოძრაოდ დგომა, როგორც ეს ბევრს ურჩევია. ქალს ძალიან მოეწონა ეს საშუალება. ქმარს უთხრა: მე ძალიან მომწონს როგორც ესა, ისე ყოველივე კეთილი საქმე, რომელსაც შეასრულებ შენის სულის საოხად. იმისათვის, რომ ღმერთმა მიგვითვალოს ეს სინანული, მარხულობით მეც ვიმარხულებ შენთან ერთად, მხოლოდ რაც მარხულობის გარეშეა, იმას კი ვერ შევასრულებო. ასე გადაწყვიტეს — შესდგომოდნენ საქმეს.

კვირა რომ დადგა, ძმა პუჩო შეუდგა მონანიებას. ხოლო ბერი წინასწარ მოელაპარაკა ცოლს და ვახშმად თითქმის ყოველ ღამე ისეთ დროს მოდიოდა, როცა არავის შეეძლო დაენახა. თან მოჰქონდა სხვადასხვა საჭმელი და ღვინო. კარგად რომ ჭამდა და დალევდა, მოუწვებოდა პუჩოს ცოლს და განცხრომაში იყო მწუხრამდე. მწუხრზე ადგებოდა და თავისას მიდიოდა. ხოლო პუჩო ამ დროს შემოდიოდა სახლში და თავის ლოგინში ჩაწვებოდა. ის ადგილი, რომელიც პუჩომ აირჩია თავისი სინანულისათვის, ცოლის საწოლი ოთახის

გვერდით იყო და სულ სიფრიფანა კედლით იყო გადატიხრული.

ერთხელ, როცა ბერი მეტად გაუფრთხილებლად ეალერსებოდა პუჩოს ცოლს, პუჩოს მოეჩვენა, თითქოს იატაკი ზანზარებსო. პუჩოს უკვე ასჯერ ჰქონდა ლოცვა წაკითხული, შედგა, გაუნძრევლად გაჩერდა და ცოლს დაუძახა: ქალო, მანდ რას აკეთებო? ცოლმა, რომელიც საშინელი ხუმარა იყო და რომელიც ამ დროს შეიძლება წმ. ბენედიქტეს ან წმ. იოანე გვალბერტის ცხენს აჭენებდა, უპასუხა: „ჩემო კარგო, ლოგინში ვტრიალებ და გვერდს ვიცვლი“. — „როგორ თუ ტრიალებ?“ — ჰკითხა ისევ ძმა პუჩომ, — მერე არ იტყვი, რა გატრიალებს, ქალო?“ ცოლი ყოჩაღი და მიხვედრილი ქალი იყო და გულიანი სიცილით უპასუხა (იქნება მიზეზიც ჰქონდა, ასე გაეცინა): „განა არ იცი, რა არის ამის მიზეზი? განა შენ თვითონ რამდენჯერ გითქვამს: ვინც უვახშმოდ წვება, მთელი ღამე იტრიალებს ლოგინშიო“. ძმა პუჩომ იფიქრა, რომ ქალს არ ეძინება იმიტომ, რომ მარხულობს და ლოგინშიაც ასე იმიტომ ტოკავსო. სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ცოლი მართალს ეუბნებოდა და უთხრა: „ქალო, რამდენჯერ მითქვამს შენთვის, ნუ იმარხულებ-მეთქი, და შენ მაინც შენი არ მოიშალე. ახლა ნურაფერზე იფიქრებ და ეცადე დაიძინო; ისე ტრიალებ ლოგინში, რომ მთელი სახლი ზანზარებს“. მაშინ პასუხად ცოლმა უთხრა: „ჩემი დარდი ნუ გაქვს: მე ვიცი, რასაც ვაკეთებ. შენ შენი საქმე შეასრულე კარგად და მე კიდევ ჩემსას გავაკეთებ“.

ამის შემდეგ პუჩო გაჩუმდა და ისევ შეუდგა თავის ლოცვებს, ხოლო მისმა ცოლმა ამ ღამის შემდეგ საწოლი სხვა ოთახში გადაატანინა და ბერთან საუცხოოდ ატარებდა დროს მანამდე, სანამ ძმა პუჩოს სინანული გათავდებოდა. როცა ბერი წავიდოდა, ისევ შემოტრიალდებოდა საწოლ ოთახში და ჩაწვებოდა თავის ლოგინში, რომელშიაც წვებოდა აგრეთვე სინანულიდან დაბრუნებული პუჩო.

და ეს ამბავი ასე გრძელდებოდა: ძმა პუჩო სინანულის საქმეში იყო გართული, ამ დროს მისი ცოლი კი ბერთან გორაობით ტკბებოდა და ხუმრობით არაერთხელ უთქვამს მისთვის: — შენ პუჩო სინანულის საქმეს შეუყენე და ჩვენ კი იმის წყალობით სამოთხეში ამოვყავით თავიო. ცოლს ისე გაუტკბა ესა და ისე შეეჩვია ბერულ საჭმელ-სასმელსა — უნდა ისიცა ვთქვათ, რომ სინანულის გათავების შემდეგაც კიდევ დიდხანს ამარხულებდა ქმარი — რომ იმდენი ქნა, სანამ ბერთან სხვაგანაც მოახერხებდა სუფრის დამშვენებას და რაკი ფრთხილად იქცეოდა, დიდხანს ტკბებოდა ამ მასპინძლობითა.

უკანასკნელი სიტყვები მოთხრობისა უნდა ეთანხმებოდეს პირველთ და ამიტომაც ისე გამოვიდა, რომ იმ დროს, როცა პუჩო ცოდვებს ინანიებდა და თან ფიქრობდა, სამოთხეში შევალო, ამ სამოთხეში თავის მაგივრად მოაყოლა ბერი (რომელმაც სულის საცხონებლად მოკლე გზა ასწავლა) და თავისი ცოლი, რომელიც მასთან ცხოვრობდა, მაგრამ ძალიან აკლდა ის, რასაც ბერი, როგორც ყველა გაჭირვებულის შემბრალებელი და გამკითხველი

ადამიანი, უხვად აძლევდა.

ამბავი მეხუთე. პეწენიკი

ძიმა თავის საფერხე ცხენს აჩუქებს ფრანჩესკო ვერჯელეზის და ამისთვის, მისი ნებართვით, მის ცოლს ელაპარაკება. მაგრამ ქალი დუმს; მაშინ ძიმა თვითონ უპასუხებს ქალის მაგიერ და ყველაფერი მისი პასუხის თანახმად თავდება.

პამფილომ, ის იყო, გაათავა თავისი მოთხრობა და ქალებიც ბევრი აცინა. ამ დროს დედოფალმა წმინდა ქალური სინარნარით ელიზას მიმართა და უბრძანა, მოთხრობა იმას ეთქვა. ელიზამ ოდნავ დამცინავი კილოთი, რაც მისი სიბოროტით კი არ იყო გამოწვეული, არამედ ძველი ჩვეულებით, დაიწყო ლაპარაკი: — ბევრი კაცია, თვითონ ძალიან ბევრი რამ იციან, და ჰგონიათ, რომ სხვებს სრულებით არაფერი გაეგებათ, და ამიტომ ხშირად ფიქრობენ, რომ სხვებს აბრიყვებენ, ნამდვილად კი თვითონ ხდებიან სხვების მიერ გაბრიყვებულნი და ამას მაშინღა ამჩნევენ, როცა საქმე უკვე მორჩომილია. ამიტომ დიდ ბრიყვად მიმაჩნია ის კაცი, ვინც საჭიროების გარეშე ცდილობს, გამოცადოს სხვა კაცის ჭკუის ძალ-ღონე. მაგრამ რადგან შეიძლება ყველანი არ დაეთანხმონ ჩემს აზრსა, მეც, შემოღებული წესის თანახმად (რაკი ჩემი ჯერია ლაპარაკისა) გიამბობთ, თუ რა დაემართა ერთ პისტოიელ აზნაურს.

ქალაქ პისტოიაში ცხოვრობდა ერთი ვერჯელეზის გვარის აზნაური. ფრანჩესკო ერქვა. მეტად მდიდარი, ჭკვიანი და ყველაფერში წინდახედულ ადამიანად ითვლებოდა, მაგრამ ამასთან ქვაწვია ვინმე იყო. ფრანჩესკო მილანში უნდა წასულიყო, რადგან აქ ქალაქის თავად იყო დანიშნული. იქ წასასვლელად მოიმზადა ყველაფერი, რაც შეეფერებოდა მის თანამდებობას და ხარისხს. აკლდა მხოლოდ მისთვის საჭირო ლამაზი შესაჯდომი ცხენი. ბევრი ეძება, მაგრამ თავისი გემოს ცხენი ვერსად იშოვა და ამან, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩააგდო.

ამ დროს პისტოიაშივე ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც რიჩიარდო ერქვა. მართალია, დაბალი წოდებისა იყო, სამაგიეროდ, დიდი შეძლების პატრონად ითვლებოდა, და ისე კოხტად და მოხდენილად იცვამდა, რომ ყველანი ძიმას (პეწენიკას) ეძახდნენ. ძიმა დიდი ხანია უნუგეშოდ ეარშიყებოდა და თავს ევლებოდა ბატონ ფრანჩესკოს მეუღლეს, მეტად მშვენიერსა და მაღალზნეობის ადამიანს. ამ ყმაწვილ კაცსავე ისეთი მშვენიერი ცხენი ჰყავდა და პატრონიც ძალიან აფასებდა ამ ცხენს მისი სილამაზისათვის. და რადგან ყველამ იცოდა, რომ ძიმა გახელებული იყო ფრანჩესკოს ცოლის სიყვარულითა, ერთი ვინმე გამოჩნდა, მივიდა ფრანჩესკოსთან და პირდაპირ უთხრა: თუ ძიმას ცხენსა სთხოვ,

არ დაგიჭერს შენი ცოლის სიყვარულისათვისო.

ბატონ ფრანჩესკოს სიძუნწემ სძლია, დაიბარა ძიმა და ცხენი მომყიდეო. ეგონა, რაკი ვთხოვ, მიფეშქაშებსო. ძიმამ ეს რომ გაიგონა, ძალიან გაეხარდა და მოახსენა ფრანჩესკოს: „ჩემო ბატონო, რაც რამ გაბადიათ, ყველაფერი რომ მომცეთ, მოყიდვით მაინც არ მოგყიდით ჩემს ცხენს, ჩუქებით კი, ბატონი ბრძანდებით. როცა გენებოთ, მაშინ გაჩუქებთ, მხოლოდ ერთი პირობით: სანამ ცხენს წაიყვანდეთ, თქვენი ნებართვითა და თქვენი თანდასწრებით ორიოდე სიტყვა მათქმევინეთ თქვენი მეუღლისათვის, მაგრამ ყველასაგან ისე დაშორებით უნდა მოხდეს ესა, რომ ქალის მეტმა ვერავინ გაიგონოს ჩემი ნათქვამი“.

ფრანჩესკოს სიძუნწემ უარესადა სძლია, იმედი ჰქონდა, ძიმას მოვატყუებო და უთხრა — ბატონი ბრძანდები, რამდენიც გენებოს, იმდენხანს ელაპარაკეო.

ეს უთხრა ფრანჩესკომ და ძიმა სახლის დარბაზში დასტოვე, თვითონ კი ცოლის ოთახში გავიდა და უთხრა: აი, შეიძლება, ცხენი ასე მუქთად ჩავიგდო და შენ წადი, მოუსმინე ძიმასაო; მხოლოდ, იცოდე, მის ნათქვამზე პასუხი სრულებით არაფერი გასცეო. ცოლი ჯერ ძალიან გაწყრა ამაზე, მაგრამ რადგან ქმრის ნებას უნდა დამორჩილებოდა, თანხმობა განუცხადა და ქმარს ოთახში შეჰყვა ძიმას სათქმელის მოსასმენად. ძიმა საბოლოოდ შეუთანხმდა ფრანჩესკოს და ქალთან ერთად ყველასაგან მოშორებით ერთ კუთხეში დაჯდა, სადაც მათი ნალაპარაკევის გაგონება არავის შეეძლო, და ასე დაუწყო ლაპარაკი:

„დიდად პატივცემულო ქალბატონო! მე დარწმუნებული გახლავართ, რომ თქვენის ჭკვიანობის წყალობით თქვენ, დიდი ხანია, შეგეძლოთ დაგენახათ, თუ რაზომ გამიღვივა გულში თქვენდამი სიყვარული თქვენმა სილამაზემ. რაღა მეთქმის თქვენი ნატიფი ზრდილობისა და საქებარი ზნეობისა, რომელიც ტყვედ ქმნის ყოველ აღმატებული სულის პატრონ ადამიანს!.. და ამიტომ სრულებით ზედმეტია სიტყვებით მტკიცება იმისა, რომ მიყვარხართ უძლიერესი და მხურვალე სიყვარულით; ასეთი სიყვარულით ჯერ არც ერთ მამაკაცს არ ჰყვარებია ქალი. და ასევე მეყვარებით მანამდე, სანამ ჩემს საცოდავ სხეულის ნაწილებში სიცოცხლის თუნდ ნატამალი დარჩება, და უფრო მეტ ხანსაც, რადგან თუ საიქიოსაც ისე უყვართ ხოლმე, როგორც სააქაოში, მაშინ უკუნითი უკუნისამდე მეყვარებით. ამიტომ თქვენ დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ ყველაზე მეტად (სულერთია, როგორიც უნდა იყოს ეს რამე — ძვირფასი თუ სულ უმნიშვნელო), თქვენს საკუთრებად შეგიძლიათ ჩემი თავი მიიჩნიოთ. შეგიძლიათ სავსებით დამენდოთ, — იმას მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორი ვარ მე; გარდა ამისა, შეგიძლიათ თქვენად მიიჩნიოთ ყველაფერი, რაც მე მეკუთვნის. და იმისათვის, რომ უფრო დაგარწმუნოთ იმაში, რასაც მოგახსენებთ, გთხოვთ მოწყალება მოიღოთ და დამავალოთ რისამე შესრულება, — რაც თქვენ გენებოთ; ამას უფრო მეტად მივიჩნევ, ვიდრე იმას, რომ მბრძანებელი ვიყო და მთელი მსოფლიო მე

მემორჩილებოდეს. მაშასადამე, თუ მე თქვენ იმ ზომამდე გეკუთვნით, როგორც მოისმინეთ, უფლება მაქვს უფრორე გავკადნიერდე და აღვავლინო ვედრებანი ჩემნი თქვენდამი, მიუწვდომელ სიმაღლეზე მბრძანებელო; თქვენ მხოლოდ შეგიძლიათ მომმადლოთ სულიერი სიმშვიდე, ყოველი სიკეთე და ხსნა, და არა სხვას ვისმე. ამიტომ თქვენს ფერხთა მტვერს ემაგიეროს ჩემი თავი, თქვენი ყურმოჭრილი მონა გთხოვთ, ჩემო ფასდაუდებელო საუნჯევ და ჩემი სულის ერთადერთო საესავო, მიხედეთ ჩემს გულს, სიყვარულის ალით რომ იწვის და თქვენი იმედითღა რომ სულდგმულობს, გამოიჩინეთ გულკეთილობა და შეარბილეთ თქვენი წინანდელი ჩემდამი გულქვაობა. იცოდეთ, რომ მე ვარ ის კაცი, რომელიც სავსებით თქვენ გეკუთვნით, — და რომლის საბელი ბედისა თქვენს ხელთაა. მე მინდა შემიბრალოთ და ნუგეში მცეთ, რომ მერე შემეძლოს ვთქვა: თუ ამ ქალის სილამაზემ გულში სიყვარულის ცეცხლი დამინთო, სამაგიეროდ მისმა ლმობიერებამ სიცოცხლე შემინარჩუნა-მეთქი. და ეს სიცოცხლე უეჭველად გაქრება, თუ ყურად არ იღეთ ვედრება ჩემი: განვეშორები სააქაოს და ჩემს მკვლელად ყველა თქვენ ჩაგთვლით. თავი დავანებოთ იმას, რომ ჩემი სიკვდილი თქვენ სრულებით არ გეხალისებათ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ხანდახან სინდისის ქენჯნას იგრძნობთ, ეს რათა ვქენიო, და ზოგჯერაც, როცა უფრო კარგ გუნებაზე იქნებით, თქვენს თავს დააყვედრით: „ოჰ, რა ცუდად მოვიქეცი, რომ ჩემი ძიმა არ შევიბრალეო!“ და რადგან ეს ნაგვიანევი სინანული იქნება, ძალიან დაგწყდებათ გული. ამიტომ, თუ გნებავთ, ეს არ მოხდეს, ეგრემც მტლეედ დაგედებით, ახლავე შემიბრალეთ, როცა ჯერ კიდევ შეგიძლიათ დამეხმაროთ, მოიღეთ მოწყალება და ნუღარ მომკლავთ, რადგან მხოლოდ და მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ გამაბედნიეროთ და თქვენვე შეგიძლიათ ისე გამაუბედუროთ, რომ ჩემზე საცოდავი ქვეყანაზე არ იყოს. ვიცი თქვენი გულკეთილობის ამბავი და იმედი მაქვს ჩემი ასეთი უსაზღვრო სიყვარულის სანუფქოდ არ მომკლავთ, არამედ სიხარულითა და წყალობით აღსავსე პასუხით განამხნევებთ ჩემს სულს, რომელიც თქვენ რომ გიყურებთ, შიშისაგან კრთის“.

ესა თქვა ძიმამ და გაჩუმდა. რამდენჯერმე ღრმად ამოიოხრა და თვალებზედაც ცრემლები წამოასხდა. მერე დაუწყო ლოდინი, აბა კეთილშობილი ქალი რას მეტყვისო. ქალმა იცოდა, რომ ძიმა, დიდი ხანია, მას ეარშიყებოდა, მისთვისვე ფარიკაობდა რაინდებთან, მასვე უთენია უმღეროდა სამიჯნურო სიმღერებსა და ყოველგვარ ამას და ამის მსგავს საქმეს მისი სიყვარულისათვის ჩადიოდა, მაგრამ აქამდე ქალის გული არ ატოკებულა. ახლა კი მის გულს მოხვდა აღფრთოვანებული თაყვანისმცემლის სიტყვები და იგრძნო, რაც აქამდე არ უგრძვნია: იგრძნო, თუ რა ყოფილა სიყვარული. და თუმცა, როგორც ქმარმა უბრძანა, ხმას არ იღებდა, მაინც ვერ მოითმინა და მსუბუქი და თავშეკავებული ამოოხვრით გამოამჟღავნა ის, რასაც ეტყოდა ძიმას, მაგისთანა ლაპარაკის ნება რომ ჰქონოდა. ძიმამ ცოტა ხანს დაუცადა და რომ დაინახა, არავითარ პასუხს არ მაძლევსო, ძალიან გაუკვირდა, მაგრამ მერე კი მიხვდა, ალბათ ფრანჩესკომ იეშმაკა რამეო. შემდეგს ქალის სახეს დააცქერდა. დაინახა,

რომ მისკენ მიშტერებული თვალები ქალისა საშინელი ცეცხლით ენთებოდა, გარდა ამისა, აშკარად გაიგონა ამოოხვრა, ქალი რომ ცდილობდა გულში ჩაეკლა. ყოველივე ამან იმედის შუქი ჩაუშუქა გულში და იმ იმედით აღფრთოვანებულმა გადაწყვიტა სულ სხვანაირად წაეყვანა საქმე და საყვარელ ქალისავე თანდასწრებით, ისე რომ ქალი ყურს უგდებდა, მის მაგივრად თავის თავს ამნაირი პასუხის ძლევა დაუწყო: „ჩემო ძიმა, რა თქმა უნდა, მე დიდი ხანია შეგამჩნიე, რომ გულში ჩემდამი უსაზღვრო და აღტაცებულ სიყვარულს ატარებ და ახლა შენმა სიტყვებმა, ჩემთვის სასიამოვნო მოსასმენმა, უმეტესად დამარწმუნა ამაში. თუ მე აქამომდე შენ პირქუშ და სასტიკ ქალად გეჩვენებოდი, ახლა მაინც არ მინდა ფიქრობდე, ვითომც გულშიაც იგივე მქონდეს, რასაც ჩემი სახე გაჩვენებდა. პირიქით, შენ სულმუდამ მიყვარდი და ქვეყანაზე ყველას მერჩივნე, მაგრამ ასე აქამდე იმიტომ მეჭირა თავი, რომ სხვებისა მერიდებოდა და სახელის გახიახებისაც მეკრძალებოდა. მაგრამ ახლოვდება ის წამი, ოდეს პირდაპირ შემიძლია გაჩვენო, რომ მიყვარხარ და სამაგიერო მოგაგო იმ სიყვარულისათვის, რომელსაც შენ ჩემდამი ატარებდი და ატარებ. ამიტომ ნუ გეშინია და იმედიანად იყავი. ჩემი ქმარი ამ დღეებში მილანში მიდის, სადაც პოდესტად არის დანიშნული, ეს შენც იცი, რადგან ჩემი სიყვარულისათვის მისთვის მშვენიერი ცხენი გიჩუქებია. ის წავა თუ არა, პატიოსან სიტყვას გაძლევ და გეფიცები იმ წმინდა სიყვარულს, რომელიც ჩემდამი გულში გიღვივის, რამდენიმე დღეც არ გაივლის, რომ შენ უეჭველად ჩემთან იქნები, ერთმანეთის სიახლოვით გავიხარებთ და ჩვენს ნებას სრულვყოფთ. და იმისთვის, რომ კიდევ არ დამჭირდეს ამ საგანზე შენთან ლაპარაკი მანამდე, სანამ დადგებოდეს ჩვენი ნეტარების დღე, იცოდე, რომ იმ დღეს, რა დღესაც შენ დაინახავ ორ პირსახოცს, გადაკიდულს ჩემი საწოლი ოთახის ფანჯარაზე, რომელიც ჩვენს ბაღს გასცქერის, ღამით არავინ დაგინახოს ისე, შეეცადე ბაღის შემოსავალ კარებთან ჩემთან მოხვიდე; დამინახავ, რომ გელოდები და მთელ ღამეს ერთად ვისიამტკბილებთ ისე, როგორც ეს ორივეს გვენატრება“.

მას შემდეგ, რაც ძიმამ ქალის მაგივრად ილაპარაკა, ახლა თავის მაგივრად დაიწყო ლაპარაკი და ასე უპასუხა: ჩემო ძვირფასო, თქვენს ფეხთა მტვერს ემაგიეროს ჩემი თავი! ის სიხარული, რომელიც მომმადლა თქვენმა მოწყალე და ალერსიანმა პასუხმა, ეგზომ დიდია, რომ სული მეხუთება და ისიც კი არ შემიძლია, ისეთი მადლობა მოგახსენოთ, როგორისაც ღირსი ბრძანდებით. და კიდეც რომ შემძლებოდა ლაპარაკი ისე, როგორც მე მინდოდა, რაც უნდა ბევრი მელაპარაკნა, მაინც ვერ გადაგიხდიდით მადლობას საკმაოდ ისე, როგორც მე მინდა და როგორც საჭირო იყო გადამეხადნა. ამიტომ, დაე, თქვენი გამჭვრეტი გონება მიხვდეს იმას, რაც მინდოდა გამომეთქვა სიტყვებით და ვერკი გამოვთქვი. მხოლოდ ერთ რასმე მოგახსენებთ: როგორც მიბრძანეთ, უეჭველად ისე ვეცდები მოვიქცე: და მაშინ, რაკი თქვენგან მიღებული მექნება თქვენს მიერ აღთქმული საბოძვარი, შეიძლება დავმშვიდდე და შევიძლო მადლობა გადაგიხადოთ შეძლებისადაკვალად. ჯერჯერობით თქვენთვის მეტი არაფერი დამრჩენია სათქმელი, ამიტომ, ჩემო სასოებავ, ღმერთმა მოგმადლოს ის სიხარული

და ის სიკეთე, რასაც მას შესთხოვდე, და უფალს შევავედრებ თქვენს თავსა“.

ყოველივე ამაზე ქალს ხმა-კრინტი არ დაუძრავს. მერე ძიმა წამოდგა და ფრანჩესკოსაკენ იბრუნა პირი. ამან რომ დაინახა, ჩემკენ მოდისო, თვითონვე მიეგება და სიცილით ჰკითხა:

„აბა, როგორ გგონია? ხომ კარგად აგისრულე დაპირება?“ — „არა, ჩემო ბატონო, თქვენ დამპირდით, ქალთან დაგალაპარაკებთო, და ის კი არა, მარმარილოს ქანდაკება დამიყენეთ წინ და ელაპარაკეო!..

ძიმას ნათქვამი ძალიან მოეწონა ფრანჩესკოს. თავის ცოლზე ისედაც კარგი აზრისა იყო და ახლა მით უფრო დააფასა, და ჰკითხა: „ახლა შენი ცხენი ხომ მე მეკუთვნის?“ ამაზე ძიმამ უპასუხა: „თქვენი გახლავთ, ბატონო! მაგრამ რომ მცოდნოდა, თქვენს მოწყალებას სრულებით არაფერს ჩამოვრჩებოდი, უთქვენმოწყალებოდაც მოგართმევდით ცხენსო“. ამაზე ფრანჩესკოს გაეცინა და რაკი ცხენი ხელთ იგდო, რამდენიმე დღეში მილანისაკენ გაემგზავრა, სადა პოდესტას თანამდებობა უნდა ჩაებარებინა.

სახლში მარტოდ დარჩენილი ქალი იგონებდა ძიმას ნათქვამს, იგონებდა, თუ რარიგ არის შეყვარებული ეს ყმაწვილიო, ან კიდევ ცხენს, რომელიც ჩემი სიყვარულისათვის აჩუქა ჩემს ქმარსაო. და ამასთან, რაკი ხედავდა, რომ ყმაწვილი ხშირად უტრიალებდა მის სახლს, თავის თავს ეკითხებოდა: „ერთი, კაცმა მკითხოს, რასა ვშვრები?! რათა ვღუპავ ტყუილ— უბრალოდ ჩემს ახალგაზრდობას? ჩემი ქმარი მილანში წავიდა და უკან ექვს თვეზე ადრე აღარ დაბრუნდება. მერე ამ ექვსი თვის დანაკარგი როდისღა უნდა ამინაზღაუროს? როცა დავბერდები? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როდისღა ვიპოვნი ასეთ მშვენიერ საყვარელს, როგორიც ძიმაა! ახლა სულ მარტო ვარ, არც ვისიმე მეშინია: არ ვიცი, რად არ უნდა გავიხარო გული, სანამ ეს შემიძლია! სხვა დროს, შეიძლება, არც კი მექნეს ასეთი შემთხვევა. ამ ამბავს ვერასდროს, შემიტყობს ვინმე, მაგრამ კიდევაც რომ გახიახდეს, სჯობია შევცოდო და მერე ვინანო, ვიდრე არც შევცოდო და მაინც ვინანო“.

ამნაირად, კარგა ხანს იფიქრა და მერე ორი პირსახოცი იმ ფანჯარაზე გამოჰკიდა, ბაღს რომ გასცქეროდა, როგორც ძიმამ უთხრა. ეს რომ ძიმამ დაინახა, ცის კარი გაეხსნა. რომ დაღამდა, მოვიდა, ჩუმად მიიპარა ქალის ბაღის კართან, რომელიც გაღებული დახვდა. აქედან იმ კარისაკენ გაემართა, რომელიც სახლში შედიოდა. აქ დაინახა საგრეფო, რომელიც მას ელოდებოდა.

ქალმა რომ დაინახა ძიმა, მსწრაფლ ზეზე წამოიჭრა და მხიარულად მიეგება. გადაკოცნეს ერთიმეორე და ქალი კიბეზე ამოუძღვა. მერე ხელად ჩაწვნენ ლოგინში და

დაეწაფნენ სიყვარულის სიტკბოებას.

ეს პირველი იყო, მაგრამ არც უკანასკნელი, იმიტომ რომ ძიმა აქ მრავალჯერ მოსულა სალაციცოდ და ორივეს გულის გასახარებლად, როგორც მაშინ, როცა ფრანჩესკო მილანში იყო, ისე მისი იქიდან დაბრუნების შემდეგაც.

ამბავი მეექვსე. საყვარლის ეშმაკობა

რიჩიარდო მინუტოლოს უყვარს ფილიპელო ფიგინოლფის ცოლი; რიჩიარდომ იცოდა ამ ქალის იჭვიანობის ამბავი და უთხრა: შენმა ქმარმა ფილიპელომ ჩემს ცოლს დაუნიშნა პაემანი აბანოშიო. ფილიპელოს ცოლი აბანოში წავიდა; დარწმუნებული იყო, იქ ქმარი დახვდებოდა, და ქმრის მაგიერ რიჩიარდო კი დახვდა.

ელიზას მეტი არაფერი დარჩენოდა სათქმელი. დედოფალმა შეაქო გამგებიანობა და შორსმჭვრეტელობა ძიმასი და ფიამეტას უბრძანა, აბა, ახლა შენ დაიწყეო. ფიამეტამაც სიცილით მოახსენა, მადონა, სიამოვნებითაო, და ასე დაიწყო: — ახლა ცოტახნობით უნდა გავიდეთ ჩვენი ქალაქიდან, სადაც ყოველივე თავსაყრელია, და მათ შორის, ყოველგვარი მოთხრობის მაგალითებიცა და, როგორც ელიზამა ქნა, მოგიყვებით ისეთ ამბავს, რომელიც სხვა მხარეში მოხდა. ამიტომ გადავალ ნეაპოლში და გიამბობთ, თუ ერთი იმ ვითომ წმიდა ქალთაგანი, რომლებიც თავს ისე მოაჩვენებენ ხოლმე ყველას, თითქოს მოუდრეკელნი იყვნენ სიყვარულის საქმეში, როგორ გახდა იძულებული, თავისი თაყვანისმცემლის ეშმაკობის წყალობით, სიყვარულის ნაყოფი მანამდე ეგემნა, სანამ სიყვარულის ყვავილს იხილავდა; ეს თქვენთვის მომავალში გაფრთხილებაც იქნება და თან გაგაცინებთ იმაზე, რაც უკვე მოხდა.

ნეაპოლში, ამ უძველეს და იმნაირადვე, და შეიძლება უფრო მეტადაც, მშვენიერ ქალაქში, როგორებიცაა იტალიის სხვა ქალაქები, ოდესღაც ცხოვრობდა ერთი კეთილშობილი ყმაწვილი კაცი, რომელიც ცნობილი იყო თავისი სახელოვანი წინაპრებითა და სიმდიდრით. რიჩიარდო მინუტოლო ერქვა. თუმცა რიჩიარდოს ერთი მეტად მშვენიერი ახალგაზრდა და კეკლუცი ცოლი ჰყავდა, მაინც შეუყვარდა სხვა ქალი, რომელსაც, როგორც ყველა ამბობდა, თავის სიმშვენიერით ტოლი და ბადალი არა ჰყავდა ნეაპოლელ ქალებში. ამ ქალს კატელა ერქვა. მისი ქმარი ფილიპელო ფიგინოლფო, ახალგაზრდა აზნაურივე იყო. ქალი მეტად ზნედაცული იყო და თავისი ქმარი თავს ერჩივნა.

რაკი კატელა უყვარდა, რიჩიარდო მონუტოლო რას არა შვრებოდა, ოღონდ მისი გული მოეგო, მაგრამ მაინც ვერაფერს გამხდარიყო და, ლამის იყო, სასო წარკვეთოდა. არც იცოდა და არც შეეძლო ამ სიყვარულზე ხელი აეღო და ამიტომ ვერც თავის მოკვლა გადაეწყვიტა

და სიცოცხლეც აღარ ეტკბილებოდა. ამ მდგომარეობაში მყოფს ნათესავმა ქალებმა ურჩიეს: ხელი აიღე კატელას სიყვარულზედაო, ტყუილად ნუ გადაჰყოლიხარ, ვინაიდან ამ ქალისათვის თვინიერ ქმრისა სხვა მამაკაცი არ არსებობსო და, ამასთან, ისეთი ეჭვიანიცაა, რომ ჰაერში ჩიტები რომ დაფრინავენ, იმათიც კი ეშინია — ქმარი არ მომტაცონო.

რიჩიარდომ კატელას იჭვიანობის ამბავი რომ გაიგონა, მაშინვე იფიქრა, ახლა კი მოვალ მაგის ოხტშიო და თავი ისე მოაჩვენა, ვითომ კატელას სიყვარული გულიდან ამოირეცხა და ვითომ ახლა სხვა კეთილშობილ ქალს დაუწყო ტრფობა. და ამ ახალი სატრფოს სიყვარულისათვის დაიწყო ფარიკაობა, შუბების მტვრევა, ერთის სიტყვით, ყველა ის საგმირო საქმე, რასაც კატელას გულისთვის შვრებოდა.

სულ მოკლე ხანში თითქმის მთელი ნეაპოლის მცხოვრებთ, და მათ შორის კატელამაც, გაიგეს, რომ რიჩიარდომ ახლა კატელა დაივიწყა, მის მაგიერ გული შეუვარდა სხვა ქალზე და უსაზღვროთაც შეუყვარდა. და რიჩიარდოს იმდენად მტკიცედ ეჭირა თავი, რომ კატელა, წინათ რომ გულგრილად ეკიდებოდა მის მიერ სიყვარულის გამოცხადებას, ახლა გამოიცვალა, თავის გულგრილობაზე ხელს იღებდა და როცა კი შეხვდებოდა სადმე, სხვებთან ერთად მასაც სალამს აძლევდა, როგორც მეზობელს.

ჩამოცხა. სიცხეების დროს ნეაპოლელთ ჩვეულებად ჰქონდათ ხოლმე ქალი და კაცი ერთად შეყრილიყო და ზღვის ნაპირად წასულიყო, სადაც სადილობდნენ და ვახშმობდნენ კიდეცა. რიჩიარდომ გაიგო, რომ ამხანაგებთან ერთად კატელაც წასულიყო ზღვის პირად. ამანაც თავის ამხანაგებთან ერთად გასწია და შეუერთდა კატელას წრეს, რომელიც ქალებისაგან შესდგებოდა. ჯერ წინდაწინ ბევრი ახვეწნინა ქალებს, თითქოს თვითონ სულითა და გულით არ ყოფილიყო მონდომებული, რომ ამ წრეში მოხვედრილიყო. ამ ქალებმა, და მათთან ერთად კატელამაც, ოხუნჯობა დაიწყეს მისი ახალი ტრფიალების შესახებ. რიჩიარდო რაც უფრო შეყვარებულად აჩვენებდა თავს, ქალებს მით უფრო მეტი საბუთი ეძლეოდათ ლაპარაკისა და გაჰქონდათ და გამოჰქონდათ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქალები იქით-აქეთ წავიდ-წამოვიდნენ, როგორც ესა ხდება ხოლმე ასეთ ადგილებში; კატელა და რამდენიმე მისი ამხანაგი იქ დარჩნენ, საცა რიჩიარდო იყო. რიჩიარდომ კატელას სიტყვა გადაუკრა მისი ქმრის ფილიპელოს მიერ ვიღაც ქალის გაარშიყების შესახებ. ქალს ერთბაშად იჭვიანობის ცეცხლი მოეკიდა და საშინლად მოუნდა გაეგო, თუ ვისზე ლაპარაკობდა რიჩიარდო. პირველად თავი შეიკავა და არაფერი ჰკითხა, მაგრამ მერე ვეღარ მოითმინა და რიჩიარდოს დააფიცა ის ქალი, ვინც ახლა ყველაზე მეტად უყვარდა, და სთხოვა: გეთაყვათ, უფრო გარკვევით მითხარით ფილიპელოს ამბავიო.

რიჩიარდომაც ასე უთხრა: „თქვენ ისეთი ადამიანი დამაფიცეთ, რომ ვერა ვბედავ

თხოვნაზე უარი გითხრათ. ამიტომ მზად გახლავართ გითხრათ, მხოლო სიტყვა უნდა მომცეთ, რომ რასაც გიამბობთ, ნურც თქვენს ქმარს და ნუღარც სხვას ვისმე ეტყვით, სანამ თქვენი თვალით არ დარწმუნდებით, რომ ყოველივე მართალია; როცა გნებავდეთ, მიბრძანეთ და გასწავლით, როგორ გაბათ ხაფანგში ქმარი. ქალი ამან უფრო დაარწმუნა, რომ ქმარი ღალატობდა და დაიფიცა, არავისთვის ეთქვა.

რიჩიარდომ განზე გაიყვანა ქალი, რომ სხვებს არ გაეგონათ, და ასე უთხრა: „ქალბატონო, მე რომ თქვენ ძველებურად მიყვარდეთ, ვერ გავკადნიერდებოდი თქვენთვის მეთქვა ის, რაც, ჩემის აზრით, თქვენ ძალიან გეწყინებოდათ; მაგრამ რადგან ეს სიყვარული გულიდან ამოვირეცხე, მაინცდამაინც აღარ მედარდება სიმართლე გითხრათ. მე არ ვიცი, ფილიპელო თავისთვის შეურაცხყოფადა სთვლიდა იმას, რომ მე თქვენ მიყვარდით, ანდა თუ იცოდა, თქვენ გულგრილად მეპყრობოდით თუ არა; მაგრამ იმას ეჭვი რამე ჰქონდა, თუ არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არაფერი დაუნახვებია. ახლა, ეტყობა, ისეთი დრო შეურჩევია, როცა, მისი აზრით, მე არავითარი ეჭვის აღება შემიძლია, და ამიტომ, ცხადია, მე იგივე უნდა მიყოს, რასაც ჩემგან მოელოდა, ე.ი. ჩემს ცოლთან მოისურვილოს. მე უკვე გავიგე, რომ მაჭანკლების საშუალებით ჩუმად ცდილობდა დაეყოლიებინა ჩემი ცოლი. მისი შემონათვალი ყველაფერი ჩემი ცოლისაგან გავიგე. მეც ავიღე და ცოლს ვასწავლე, თუ რა პასუხი შეეთვალა. ჯერ ისევ ამ დილას, სანამ აქეთ წამოვიდოდი, ჩემს სახლში ცოლთან ერთი დედაკაცი იჯდა და რაღაცას ეჩურჩულებოდა. დავინახე თუ არა, მივხვდი, რა სულიერიც უნდა ბრძანებულიყო. ამიტომ ცოლს დავუძახე და ვკითხე, — ამ დედაკაცს შენთან რა ესაქმება-მეთქი. ცოლმა მიპასუხა: „ფილიპელოა, რომ აღარ მეშვება და ეს კი სულ შენ მომახვიე კისერზე, იმიტომ რომ მაიძულე მისთვის მეპასუხა და დამეიმედებინა; მთხოვს უეჭველად შევუთვალო, რას ვაპირებ. მითვლის — თუ გინდა, ისე მოვახერხებ, რომ ჩუმად ქალაქის აბანოში სადმე შევხვდეთ ერთმანეთსო. და აი ამასაა, რომ მთხოვს და თავს მაბეზრებს, შენ რომ ჩემთვის, — ერთმა ღმერთმა იცის, რისთვის, — ძალა არ დაგეტანებინა და მასთან ჩემთვის ეს მოლაპარაკება არ გაგემართვინებინა, ვინ იცის, მისთვის ისეთი ოინი მექნა, რომ საცა მე ვიქნებოდი, იმ მხარეს ვერც კი მოეხედა“. ჩემმა ცოლმა ეს რომ მითხრა, ჩემს გულში ვთქვი, ახლა კი ძალიან შორს შესტოპა და უნდა შევაჩერო-მეთქი. ამიტომ გადავწყვიტე, თქვენთვის ყველაფერი მეთქვა და გამეგებინებინა, თუ როგორ გიმაგიერებთ თქვენი უსაზღვრო ერთგულებისათვის, რისთვისაც მე კინაღამ თავი გავიფუჭე. და იმისთვის, რომ თქვენ ჩემი ნათქვამი ლიტონი სიტყვები და მოჭორილი ამბები არ გეგონოთ, არამედ შეგეძლოთ, როცა გენებებათ, თქვენი საკუთარი თვალებით დაინახოთ ყველაფერი და დარწმუნდეთ, ჩემს ცოლს მისი მომლოდინე მოციქული დედაკაცის პირით ფილიპელოსათვის ასე შევათვლევინე: ხვალ საათის ცხრაზე აბანოში მოვალ, როცა ყველას ეძინებაო. მოციქული ასეთი პასუხის შემდეგ მხიარული გაბრუნდა. ახლა არა მგონია, თქვენ დაიჯეროთ, რომ იქ ჩემი ცოლის გაგზავნას ვაპირებდე, მაგრამ მე რომ თქვენს ალაგას ვიყო, ისე ვიზამდი, რომ

თქვენს ქმარს იმის მაგივრად, ვისაც მოელოდა, მე დავხვედროდი. ცოტა ხნის შემდეგ, გავუმხელდი, ვინც ვიყავი და როგორც ეკადრებოდა, ისეც მოვექცეოდი; თქვენ რომ ამას იზამდეთ, მე მგონი, სირცხვილით დაიწვება და თქვენ კი ერთსა და იმავე დროს შურსაც იძიებდით იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მოგვაყენა, როგორც თქვენ, ისე მე“.

კატელა ამ ლაპარაკს ყურს რომ უგდებდა, არც კი იფიქრა, ვინ ელაპარაკებოდა ამას, აღარც ის იფიქრა, რომ ამის მთქმელი შეიძლება ცბიერი კაცი ყოფილიყო, და ამიტომ, როგორც ყველა ეჭვიანებს სჩვევიათ ხოლმე, მაშინვე დაუჯერა და მოინდომა ამ ნათქვამის დადასტურება ზოგიერთი ამბებით, რომელიც მას წინათ შეენიშნა. სიბრაზისაგან გაალმასებულმა რიჩიარდოს უთხრა: ამას ვიქ უეჭველად, მით უფრო, რომ არაფერი სამძიმოაო. თუ მართლა ღმერთი გაწყრა და მოვიდა, ისე შევარცხვენ, თავზე ლაფს დავასხამ და ისე გავუხდი საქმეს, რომ მერე ყველა ქალის დანახვაზე აგონდებოდეს და თვალწინ ედგეს თავისი საქციელიო.

რიჩიარდოს ეს ძალიან გაეხარდა და რაკი დაატყო, ჩემმა მოგონებულმა ხერხმა გასჭრა და ყველაფერი სასურველად მიდისო, შეეცადა სხვა მრავალი სიტყვებით უფრო გამოედებინებინა თავი ქალისათვის. ხატსა და ჯვარს ეფიცებოდა: ყოველივე ეს მართალია, მხოლოდ, გეთაყვა, არავის უთხრა, რომ ჩემგან გაიგონეთო. კატელამ შეჰფიცა, არავის ვეტყვიო.

მეორე დილას რიჩიარდო მივიდა, კატელას რომ დაუსახელა, იმ აბანოში და აბანოს პატრონ ქალს გაანდო თავისი განზრახვა და, რაც შეიძლებოდა, დახმარება სთხოვა. ეს ქალი რიჩიარდოსაგან დიდად იყო დავალებული და ამიტომ დაჰპირდა, დიდის სიამოვნებით ვიზამ ყველაფერსო და შეუთანხმდა, თუ რა უნდა ექნა ან ეთქვა. იმ სახლში, საცა აბანო იყო, ამ ქალს ერთი ბნელი ოთახი ჰქონდა და რადგან ეს ოთახი უფანჯრო იყო, სინათლე ვერსაიდან შემოდიოდა. ეს ოთახი ქალმა, როგორც რიჩიარდომ დაარიგა, ისე მოაწყო: შიგ დადგა, რამდენადაც შეიძლებოდა, კარგი საწოლი, რომელზედაც ნასადილევს რიჩიარდო დაწვა და კატელას დაუწყო ლოდინი.

ქალმა რიჩიარდოს სიტყვები რომ მოისმინა, ყველაფერს იმაზე მეტად დაუჯერა, ვიდრე, შეიძლება, საჭირო ყოფილიყო, და საშინლად გაბოროტებული საღამოს შინ დაბრუნდა. შინვე დაბრუნდა ფილიპელოც. ეს რაღაცაზე დაფიქრებული იყო და ქალისთვის ისე არ მიუალერსებია, როგორც ჩვეულებადა ჰქონდა ხოლმე. ეს რომ შენიშნა ქალმა, ეჭვი უარესად გაუცხოველდა და იფიქრა: აშკარად ეტყობა, რომ ამის ფიქრი იმ ქალს დასტრიალებს, ხვალ რომ უნდა ნახოს და რომელთანაც უნდა ისიამტკბილოს და ინეტაროს, მაგრამ ვერ მივართვი, მაშ ქალი არა ვყოფილვარ, თუ ნაცარში არ ჩავუგდო კოვზიო. სულ ეს აზრი უტრიალებდა თავში და თანაც ფიქრობდა, ხვალ, როცა მასთან ვიქნები, რა სიტყვებით უნდა

გავუმასპინძლდეო. და თითქმის მთელი ღამე ასე გაატარა.

მერე რაღა მოხდა? მეცხრე საათი რომ დაიწყო, კატელამ იახლა მოსამსახურე ქალი და თავისი გადაწყვეტილება არ გამოუცვლია ისე, გასწია იმ აბანოსაკენ, რიჩიარდომ რომ დაუსახელა. აქ აბანოს პატრონ ქალსა ჰკითხა: აქ დღეს ფილიპელო ხომ არ მოსულაო? ამაზე რიჩიარდოს მიერ დარიგებულმა ქალმა ასე ჰკითხა: „თქვენ ის ქალი ხომ არ ბრძანდებით, ფილიპელოსთან სალაპარაკოდ რომ უნდა მოსულიყავით?“ კატელამ უპასუხა: „დიახ, მე გახლავართ“. — „მაშ კარგი, — უთხრა დედაკაცმა, — წამობრძანდით მასთან“.

კატელა გაჰყვა იმ კაცის სანახავად, რომლის ნახვა არც კი უნდოდა, და შეჰყვა იმ ოთახში, სადაც რიჩიარდო ელოდებოდა. თავზე რაღაც მოეხვია, რომ არავის ეცნო და ოთახში შევიდა თუ არა, კარი შიგნიდან გადაჰკეტა. რიჩიარდომ რომ დაინახა, მოდისო, მხიარულად ზეზე წამოუდგა, ხელები მოხვია და ჩურჩულით უთხრა: „მშვიდობა შენს მოსვლას, ჩემო სულიკო“. კატელას უნდოდა ეჩვენებინა: სწორედ ის ქალი ვარ, რომელსაც მოელოდებიო, და ამიტომ გადაეხვია და აკოცა, და თავი ისე მოაჩვენა, ვითომც ძალიან უხაროდა. თან ხმას არ იღებდა, ეშინოდა: თუ ვილაპარაკე, ვაითუ ხმაზე მიცნოსო, ვინცა ვარო. ოთახში უკუნი ბნელი იდგა, ასე რომ ერთსაც და მეორესაც უხაროდათ; რაც უნდა დიდხანს დარჩენილიყო კაცი შიგა, მაინც ვერაფერს გაარჩევდა. რიჩიარდომ ლოგინზე მიიყვანა. არც ერთი იღებდა ხმას და აღარც მეორე, — ერთიმეორისა ეშინოდათ, ხმაზე არ მიცნოსო. ასე ხმის ამოუღებლივ კარგა ხანს ილაღობეს და ილაციცეს; სიამოვნებასა და ნუგეშს ერთი მხარე უფრო მეტად ღებულობდა, ვიდრე მეორე.

მაგრამ კატელამ იფიქრა, ახლა კი დროა ჩემი ბრაზი გადმოვანთხიოო და სიშმაგისაგან სულიყელშიმობჯენილმა ასე დაუწყო ლაპარაკი: „ვაი, რა უბედურები არიან ქალები და რა ტყუილად ეკარგება ხოლმე ზოგიერთ მათგანს თავისი სიყვარული და ერთგულება ქმრისათვის!.. ვაი მე, შავის დღის გაჩენილს! რვა წელიწადია, თავს გევლები და მზე და მთვარე შენზე ამომდის, და შენ კი, როგორცა ვხედავ, სრულებით გაუგიჟებიხარ ვიღაც სხვა კაცის ცოლის სიყვარულს, შე შეჩვენებულო, შე ავაზაკო, შენა!.. ახლა როგორა გგონია, ვისთან იბოზკურავე? სწორედ იმასთან, ვინც ტყუილი ალერსით ამდენი ხნის განმავლობაში ატყუე. ვითომ მისას კაკანებდი და კვერცხსაც კი თურმე სხვაგანა სდებდი!.. მე კატელა ვარ, რიჩიარდოს ცოლი კი არ გეგონო, შე უნამუსო მოღალატევ! აბა, ყური დამიგდე, თუ ჩემი ხმა არ იცნო! და შეგარცხვინო, ჰო, მოჰკვდი, მე ვარ, მე!.. სული-სულზე მოველოდები გათენებას, რომ ისე გაგთათხო როგორისაც ღირსი ხარ, შე საზიზღარო ძაღლო, შენა! ვუი, დამიდგეს თვალები! თურმე ვინა მყვარებია ასეთი ძლიერი სიყვარულით ამდენი წლის განმავლობაში?!. ვინა და საზიზღარი ქოფაკი, რომელსაც ალბათ ეგონა ჩახუტებული ჰყავდა სხვისი ცოლი და ამიტომ იმდენი ალერსი და სიამე მომმადლა ამ მოკლე ხანში, რაც იმასთანა ვცხოვრობდი, არ გაუმეტებია ჩემთვის. დღეს აქ ასე იყოჩაღე და იმარჯვე, შე შეჩვენებულო ძაღლო, და შინ

კი გამჩენი გიწყრება და უძლურებისა და საპყარობის მეტი ხელიდან არაფერი გამოგდის... მაგრამ იდიდოს სახელი უფლისა, რომ სხვის ყანაში არ მოგიხდა მუშაობა, როგორცა ფიქრობდი, არამედ შენსაში ჩაღვარე ოფლი. კი არ მიკვირს, რომ წუხელ ახლოსაც არ გამკარებიხარ!.. ცხადია, მოკრეფილი ძალ-ღონე სხვისთვის გინდოდა შეგელივნა და ბრძოლის ველზე დასვენებული ცხენოსანი გასულიყავ. მაგრამ ვენაცვალე ღვთის სახელს და ჩემს წინდახედულობას, წყალმა იქითკენ იდინა, საითკენაც უნდა დენილიყო! რატომ არას მიპასუხებ, შე ავაზაკო? სათქმელი პირი არა გაქვს, განა? დამუნჯდი განა, მე რომ ყურს მიგდებ? ღმერთმანი, არ ვიცოდე, რა მაჩერებს, რატომ არ მოგვარდები და ხელებით არ ამოგაჩიჩქნი მაგ დასამიწებელ თვალებს! მაგრამ მადლობა ღმერთს, თუ ორმა იცის, ღორმაც იცისო. ძალიან გინდოდა, გულის წადილი აგესრულებინა, მაგრამ დაგიდგეს თვალები, კოვზი ნაცარში ჩაგივარდა; აბა რას იფიქრებდი, რომ ჩემი კარგი მეძებრები კუდში გდევდნენ და ვეღარსად წაუხვიდოდი!“

რიჩიარდოს გული-გულში ძალიან უხაროდა ამ სიტყვების მოსმენა. პასუხის მაგივრად ის უფრო გულში იკრავდა და ჰკოცნიდა ქალს და წინანდელზე უფრო მომეტებულად ეალერსებოდა, და ამიტომ ქალმა ისევ დაუწყო ყვედრება: „ალბათ, შენა გგონია, რომ შენი თვალთმაქცური ალერსით ჩემი გული მოიგე, შე შეჩვენებულო, შენა, დამამშვიდო და ნუგეში მცე?! მაგრამ სცდები. მე მანამდის არ დავშშვიდდები, სანამ ჩვენი ყველა ნათესავების და მეგობარ-მეზობლების თანდასწრებით არ გაგთათხავ და საქვეყნოდ ლაფს არ დაგასხამ! არა, შე ღმერთგამწყრალო, ნუთუ რიჩიარდოს ცოლი მჯობია სილამაზითა? ნუთუ მეც ისეთისავე კეთილშობილი გვარისა არა ვარ? რატომ არას მაპასუხებ, შე წუწკო ძაღლო? იმას ჩემზე მეტი რაღა აქვს? მომწყდი თავიდან, ხელი არ მახლო. დღეს მეტისმეტად გამოიდევი თავი, მე ვიცი, რომ ახლა, რაკი გაიგე ვინცა ვარ, რომ არ გინდოდეს, მაინც თავს ძალას დააკან ჩემთან სალაციცოდ. მაგრამ, უკაცრავად! თუ ღმერთი შემეწია, კარგა ხანს გამარხულებ. არ ვიცი, ღმერთმანი, რად არ უნდა ვიხმო რიჩიარდო, რომელსაც თავის თავს ვერჩიე და, მიუხედავად იმისა, ისიც კი არ შეეძლო დაეტრაბახნა, რომ როდესმე შემეხედოს მისთვის. და კიდეც რომ მექნა ესა, ვითომ რა დანაშაული იქნებოდა ჩემის მხრით? შენ გეგონა, აქ მისი ცოლი მოგივიდოდა და ისე გააკარე დრო, ვითომც ისა გწოლოდა გვერდით და გული გაიხარე. მაშასადამე, მე რომ რიჩიარდოსთან ვყოფილიყავ, შენ საბუთი არ გექნებოდა, მე დამმდურებოდი“.

ამის შემდეგაც ბევრი რამ უთხრა ქალმა და თავის ბედს დასტიროდა, მაგრამ ბოლოს რიჩიარდომ იფიქრა: თუ ქალი ისე მომშორდება, რომ ეგონება თავის ქმართან იყოო, ამას, შეიძლება, დიდი უსიამოვნება რამ მოჰყვესო და გადაწყვიტა გულახდილად გამოლაპარაკებოდა ქალს და გაეგებინებინა, რომ სცდებოდა. ამიტომ ხელები მაგრად მოჰხვია, ისე რომ ქალს გაქცევა არ შესძლებოდა და უთხრა: „ჩემო სიცოცხლე, ჩემო

ძვირფასო! თქვენი ჭირიმეთ, ნუ გამიწყრებით! ხომ იცით, მიყვარდით და ის, რაც თქვენგან უზაკველად ვერ მივიღე, ამურმა მასწავლა — ხერხითა და ეშმაკობით მოიპოვეო, და აი თქვენს წინაშე თქვენი რიჩიარდო გახლავთ!“ ეს რომ კატელამ გაიგონა და რიჩიარდოს ხმა იცნო, მოინდომა უცბად ლოგინიდან ჩამომხტარიყო, მაგრამ ვერ შეძლო; უნდოდა დაეყვირა, მაგრამ რიჩიარდომ პირზე ხელი მიაფარა და უთხრა: „მადონა, თქვენი მთელი სიცოცხლე რომ იყვიროთ, რაც მოხდა მოხდა, არ შეგვიძლია ისე მოეწყოს საქმე, რომ უკვე მომხდარი — არ მომხდარიყო; და თუ თქვენ მაინც იყვირებთ ან ისე იზამთ, რომ ეს ვინმემ გაიგოს, ორი რამ მოჰყვება: ჯერ ეს ერთი (და ამას თქვენთვის დიდი მნიშვნელობა ექნება), რომ თქვენი პატიოსნება და სახელი ძალიან შეიბღალება, რადგან როგორც კი იტყვით, რომ ვითომც აქ მე შემოგიტყუეთ, მე ვიტყვი — ეს ტყუილია-მეთქი, პირიქით, ვიტყვი, რომ თქვენ აქ მოგიტყუეთ ფულით და საჩუქრებით, რომელთაც მე დაგპირდით და რადგან რამდენსაც დაგპირდით, იმდენი არ მოგეცით, გული მოგივიდათ, მე ლანძღვა დამიწყეთ და ეს აურზაური იმიტომ ასტეხეთ-მეთქი. და ხომ იცით, ხალხი ცუდს უფრო დაუჯერებს, ვინემ კარგს და ამიტომ მე უფრო დამიჯერებენ, ვიდრე თქვენ. ამას კიდევ შედეგად ის მოჰყვება, რომ მე და თქვენი ქმარი ერთმანეთს მოსისხლე მტრებად გადავეკიდებით და, ადვილად შესაძლებელია, ან მე მოვკლა და ან იმან მე მომკლას, ამის გამო სიხარულს და შვებას სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოთ. ამიტომ, ჩემო ტკბილო, იმას ნუ იზამთ, რომ ერთსა და იმავე დროს, თქვენი თავი შეირცხვინოთ და მეცა და თქვენი ქმარიც ხიფათში ჩაგვაგდოთ. ქალებში, რომელთაც მამაკაცები ატყუებენ, თქვენ არც პირველი ხართ და აღარც უკანასკნელი იქნებით, და მეც იმიტომ კი არ მომიტყუებიხართ, რომ თქვენთვის რამე წამერთმია, არამედ იმიტომ, რომ უსაზღვროდ მიყვარდით და მუდამაც მეყვარებით და თქვენი ყურმოჭრილი მონა-მოსამსახურე ვიქნები. უკვე დიდი ხანია, რაც მე თვითონ, ჩემი ქონება, ჩემი გავლენა და მდგომარეობა საზოგადოებაში — ყველაფერი თქვენ გეკუთვნით და ყველაფრის პატრონი თქვენა ხართ, და ახლა კი მინდა ყოველივე ეს სამუდამოდ თქვენს სრულ განკარგულებაში იყოს. თქვენ ჭკვიან და გამჭრიახ ქალად გთვლით და იმედი მაქვს ამ შემთხვევაშიც გამოიჩენთ სათანადო ჭკუას“.

სანამ რიჩიარდო ამას ამბობდა, ფილიპელოს ცოლი ცრემლად იღვრებოდა. და თუმცა ძალზე განრისხებული იყო და მეტად დარდობდა, მაინც რიჩიარდოს სიტყვები ჭკუაში დაუჯდა და იფიქრა: ადვილად შესაძლებელია, როგორც რიჩიარდო ამბობს, ისე მოხდეს ყველაფერიო, და ამიტომ უთხრა: „არ ვიცი, ღმერთი შემაძლებინებს თუ არა გავუძლო შენს მიერ გალანძღვასა და მოტყუებას; არ მინდა გამოვდგე და ვიყვირო აქ, სადაც ჩემმა მეტისმეტმა გულუბრყვილობამ და უსაზომო იჭვიანობამ მომიყვანა; მაგრამ დარწმუნებული იყავ, რომ მე მანამდე ვერ გადავიყრი გულიდან დარდს, სანამ, ასე იქნება, თუ ისე, არ გიმაგიერებ შენს მიერ მოყენებულ შეურაცხყოფისათვის, ამიტომ გამიშვი, ნუ დამიჭერ. შენ ხომ საწადელს ეწიე და ჩემგან იმდენი მიიღე, რამდენიც გწადია, ახლა კი დროა, გამიშვა; შენი ჭირიმე, გამიშვი“.

რიჩიარდო ხედავდა, რომ ქალი ჯერ კიდევ ძალზე აღელვებული იყო და გადაწყვიტა, მანამდე არ გაეშვა, სანამ არ დამშვიდდებოდა და არ შეურიგდებოდა. ამიტომ იმდენი ტკბილი და საალერსო სიტყვები უთხრა, იმდენი ეხვეწა და ჭირი მოსჭამა, რომ ქალი, ბოლოს დათმობის გზას დადგა და შეურიგდა. ამის შემდეგ ურთიერთის თანხმობით კიდევ დიდხანს დარჩნენ იქ და უსაზღვროდ ინეტარეს.

კატელამ მაშინღა გაიგო, რომ საყვარლის კოცნა ქმრისაზე უამესი ყოფილა და თავისი წყრომა რიჩიარდოსადმი უუნაზეს სიყვარულად შეცვალა. ამ დღიდან გული აევსო რიჩიარდოსადმი უუტკბილესი გრძნობით, ამიტომაც ორივენი დიდი სიფრთხილით იქცეოდნენ და ხშირადა ტკბებოდნენ სიყვარულით.

ღმერთო, შენ შეგვეწიე და მოგვეც საშუალება, ჩვენც ასევე დავტკბეთ ჩვენი სიყვარულითა.

ამგავი მეშვიდე. მწირი

ტედალდო თავის სატრფოს შემოსწყრა და ფლორენციიდან გაიქცა. რამდენიმე ხნის შემდეგ მწირის სახით დაბრუნდა; მივიდა ქალთან, გამოელაპარაკა და ქალიც გამოუტყდა, შენთან ვტყუოდიო. მერე ტედალდო სიკვდილისაგან დაიხსნის მის ქმარს, რომელსაც ვითომ მისი, ე.ი. ტედალდოს მოკვლა ბრალდებოდა, და შეარიგებს თავის ძმებთან. მერე ფრთხილად ამ ქალთან სიამტკბილობს.

ფიამეტა უკვე გაჩუმდა. ყველამ ქება შეასხა კარგი ამბისათვის. ამასობაში დედოფალმა, დრო არ დავკარგოო, და საჩქაროდ ემილიას უბრძანა, აბა, დაიწყე შენი სათქმელიო. იმანაც დაიწყო: — მე მინდა დავუბრუნდე ჩვენს ქალაქს, საიდანაც ორი ჩემი წინამოადგილე გავიდა, და გაჩვენოთ, ერთმა ჩვენმა თანამოქალაქემ როგორ დაიბრუნა უკან თავისი დაკარგული სატრფო.

ფლორენციაში ერთი კეთილშობილი ახალგაზრდა კაცი ცხოვრობდა. ტედალდო დელი ელიზეი ერქვა. გაგიჟებით უყვარდა ერთი ქალი, ერმელინა, ვინმე ალდობრანდინო პალერმინის ცოლი. ყმაწვილი მეტად საქებარი თვისებებით იყო შემკული, ასე რომ, ღირსი იყო ყოველგვარი ნატვრა შესრულებოდა. მაგრამ ბედმა, ამ ბედნიერთა მტერმა, ხელი შეუშალა მის სიხარულსა და ნეტარებას. რადგან ქალი თუმცა ერთ დროს სწყალობდა, ახლა კი, რაღაც მიზეზით, გული აიყარა მაზე, ასე რომ არამცთუ მის შემონათვალს არ უგდებდა ყურს, არამედ თვალის დასანახავადაც შეიჯავრა.

ვაჟი ძალიან დადარდიანდა. მაგრამ ქალის სიყვარულს გულში ისე იმარხავდა, რომ

არავინ იცოდა მისი კაეშნის მიზეზი. ბევრი უტრიალა, რომ როგორმე მოელბო გული ქალისათვის და დაებრუნებინა მისი წინანდელი სიყვარული და განწყობილება. დარწმუნებული იყო, ქალმა სრულებით უდანაშაულოდ გამწირა და აიღო ჩემზე ხელიო.

მაგრამ რაკი ყოველმა ლამუნმა ფუჭად ჩაუარა, სთქვა, სხვა გზა არ არის, ამ ქვეყანას უნდა განვშორდე ისე, რომ იმ ქალმა, ვინც ეს დაუშრეტელი ცეცხლი მომიკიდა, ჩემს განწირულებას ვეღარ უყუროს და ვერ გაიხაროსო. რამდენის შოვნაც კი მოახერხა, ფული წაიღო და საიდუმლოდ გაიპარა ისე, რომ არც მშობლებისათვის უთქვამს რამე და აღარც მეგობრებისათვის. მაგისი ამბავი მხოლოდ ერთმა ამხანაგმა იცოდა და იმას კი გაანდო. აქედან წამოსული ჩავიდა ანკონაში და ფილიპო და სანდოლეჩიო დაირქვა. აქ ერთ მდიდარ ვაჭარს შეხვდა, იმას მოსამსახურედ დაუდგა, ჩაუჯდა ხომალდში და იმასთან ერთად კუნძულ კვიპროსზე ამოჰყო თავი.

ფილიპოს ხასიათი და ყოფაქცევა იმ ზომამდე მოეწონა ვაჭარს, რომ არამცთუ კარგი ჯამაგირი გაუჩინა. არამედ წილიც დაუდო მოგებაში და, გარდა ამისა, თავისი ზოგიერთი საქმეც მიანდო. მინდობილ საქმეს ისე კარგად და ისე წადიერებით ასრულებდა, რომ ორიოდე წელიწადში მდიდარ და სახელგანთქმულ ვაჭრად იქცა.

ამ ვაჭრობისა და საქმიანობის დროს თუმცა ძალიან ხშირად აგონდებოდა თავისი გულქვა ნასაყვარლარი ქალი, თუმცა გულში საშინელ ლახვრად ესობოდა საყვარლის მოგონება და ძალზედაც მოუნდებოდა ხოლმე მისი ნახვა, მაგრამ იმდენი სიმტკიცე გამოიჩინა ხასიათისა, რომ მთელი შვიდის წლის განმავლობაში ამ სულიერ ბრძოლაში იყო.

ერთხელ ფილიპომ კვიპროსზე ყური მოჰკრა ერთ მის მიერ გამოგონილ სიმღერას, რომელშიაც გამოთქმული იყო მისი და მისი სატრფოს ურთიერთსიყვარულის ამბავი, აგრეთვე ის სიამე, რომელსაც იგი ამ სიყვარულისაგან განიცდიდა. ამის გაგონებაზე გულში თქვა: ყოვლად შეუძლებელია, ქალს დავიწყებული ვყავდეო და ისე მოუნდა ქალის ნახვა, რომ მეტის მოთმენა ვეღარ შეძლო და ფლორენციაში დაბრუნება გადაწყვიტა.

ფილიპომ თავისი საქმეები მიაწყ-მოაწყო და ანკონაში მხოლოდ ერთი მოსამსახურე გამოიყოლა. აქ თავისი ბარგი რომ ჩამოუვიდა, თავისი ანკონელი ამხანაგის მეგობარს გაუგზავნა ფლორენციაში, თვითონ კი მერე საიდუმლოდ ქრისტეს საფლავთან მოსალოცავად წასულ ადამიანივით ჩაცმული თავის მოსამსახურესთან ერთად ფლორენციაშივე ჩამოვიდა. აქ ერთ პატარა სასტუმროში ჩამოხტა, რომელიც ორ ძმას ეჭირა და რომელიც მისი სატრფოს სახლთან ახლო იყო.

ფილიპომ ყოველთ უწინარეს ქალის სახლს მიაშურა, იქნება, თვალი მოვკრა

როგორმეო, მაგრამ კარ-ფანჯრები და ყველაფერი გამოკეტილი დახვდა. ეს რომ დაინახა, იფიქრა, ვაითუ მოკვდა ან სრულებით აიბარგა აქედანაო. ძალზე დაფიქრებული თავისი ძმების სახლისაკენ გაემართა. დაინახა, რომ სახლის წინ იდგა მისი ოთხი ძმა და ოთხივეს შავები ეცვა. ამან საშინლად გააოცა და რაკი იცოდა, რომ მეტად იყო გამოცვლილი როგორც ტანისამოსით, ისე სახით და სრულებით არა ჰგავდა იმ ტედალდოს, რომელიც ოდესღაც აქედან წავიდა, იფიქრა, ადვილად ვერავინ მიცნობსო და თამამად მივიდა ერთ მეწაღესთან და ჰკითხა: ამათ შავები რათ აცვიათო? ამაზე მეწაღემ უპასუხა: „შავები იმიტომ აცვიათ, რომ ამ ორი კვირის წინათ მაგათი ძმა, რომელსაც ტედალდო ერქვა და რომელიც დიდი ხანია აქედან წასული იყო, ვიღაცამ მოჰკლა. როგორც მითხრეს, ძმებმა სასამართლოში დაამტკიცეს, რომ ვინმე ალდობრანდინო პალერმინიმ მოჰკლა ჩვენი ძმაო. ეს პალერმინი ახლა ამის გამო დაჭერილია. ტედალდოს მისი ცოლი ჰყვარებია და ჩუმად იმიტომ დაბრუნებულა, რომ საყვარელი ენახაო“.

ტედალდოს ძალიან გაუკვირდა, რომ ვიღაცა მისთვის ასე მიემსგავსებინათ; თანაც ძალიან ეწყინა ალდობრანდინოს უბედურება. უზომოდ გაიხარა, რომ გაიგო, ჩემი საგრფო ისევ ცოცხალი და კარგად ყოფილაო. უკვე ღამდებოდა და ისიც, ათასი სხვადასხვა ფიქრით აღსავსე, სასტუმროში დაბრუნდა. მერე თავის მოსამსახურესთან ერთად ივახშმა. ნავახშმევს დასაწოლად სახლის ჩარდახზე აიყვანეს. აქ ზოგი ფიქრისაგან, ზოგიც დანჯღრეული ტახტის გამო და ზოგიც ცუდი ვახშმის მიზეზით ტედალდოს ძილი არ ეკარებოდა. შუაღამე გადასულიყო. ამ დროს მოესმა, რომ სახლის სახურავიდან ვიღაცები სახლში ძვრებოდნენ და, კარის ჭუჭრუტანიდან სანთლის შუქი დაინახა. მივიდა ჭუჭრუტანასთან და ფრთხილად ყური დაუგდო, რა უნდა იყოსო. დაინახა, რომ ერთ ლამაზ ახალგაზრდა ქალს სანთელი ეჭირა და მისკენ მოდიოდა სახურავიდან ჩამომძვრალი სამი კაცი. ერთმანეთს მიესალმნენ და მერე ერთმა მათგანმა ახალგაზრდა ქალს უთხრა:

„მადლობა ღმერთს, დღეის ამას იქით შიში არაფრისა უნდა გქონდეს, რადგან დარწმუნებით ვიცით, რომ ტედალდო ელიზეის ძმებმა მისი სიკვდილი ალდობრანდინო პალერმინის დააბრალეს, ამანაც აღიარა თავისი დანაშაული და განაჩენიც დაწერილია. მაგრამ მაინც სიფრთხილეს თავი არა სტკივა, ხმა-კრინტი არ უნდა წამოგცდეს სადმე, თორემ თუ გაგვიგეს, რომ ეს საქმე ჩვენ ჩავიდინეთ, იმავ დღეში ჩავცვივით, რა დღეშიც ალდობრანდინო ჩავარდა“. ეს უთხრეს და გამოეთხოვნენ ქალს, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, ძალიან გაეხარდა მათი ნაამბობი, და დასაძინებლად წავიდნენ.

ტედალდომ ეს რომ გაიგონა, იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ როგორი და რამდენი შეცდომის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ადამიანიო. პირველად წარმოუდგა ძმები, რომელთაც მის მაგივრად ვიღაც უცხო ადამიანი უტირიათ და დაუსაფლავებიათ, მერე უდანაშაულო კაცი უსაფუძვლო ეჭვებით დამნაშავედ გამოუყვანიათ და ცრუ მოწმეებს სიკვდილის კარებამდე

მიუყვანიათ. შემდეგ მისი ფიქრი გადავიდა კანონისა და მოსამართლეთა ბრმა ულმობელობაზე, რომელნიც ძალიან ხშირად, ვითომ და სიმართლის გამოსააშკარავებლად, დამნაშავეთ აწვალებენ და იძულებულ ჰყოფენ სიყალბე აჩვენონ, და რომელნიც ღვთისა და მართლმსაჯულების მოსამსახურეებადა სთვლიან თავს და, ის კი არა, უსამართლობისა და ეშმაკის ნების აღმსრულებელნი არიან. ბოლოს, გადაწყვიტა, ალდობრანდინო როგორმე ეხსნა სიკვდილისაგან და იფიქრა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო.

დილა რომ გათენდა, ტედალდომ ცოტა დაიცადა, მერე თავისი მოსამსახურე აქ დატოვა და თვითონ კი ქალის სახლისაკენ გაემართა: შემთხვევით ჭიშკარი ღია დაუხვდა, შევიდა სახლში და დაინახა, რომ მისი სატრფო ქვედა სართულის ერთ პატარა დარბაზში ზის და ცრემლად იღვრება. ქალი ისე შეეცოდა, რომ თვითონაც კინაღამ არ იტირა. მერე მიუახლოვდა და უთხრა: „მადონა, ნუ დარდობთ: მწუხარება მალე მხიარულებად შეგეცვლებათ'. ქალმა ეს რომ გაიგონა, თავი მაღლა ასწია და ტირილითვე უპასუხა: „შენ კი გაიხარე! გეტყობა, უცხო ქვეყნიდან მოსული მწირი ხარ! საიდან იცი ან ჩემი სიხარულისა და ან მწუხარების ამბავი?" მაშინ მწირმა უთხრა: „მადონა, მე კონსტანტინოპოლელი გახლავართ და აქ, ეს-ეს არის, ჩამოვედი; ღმერთმა გამომგზავნა, რომ ტირილი სიცილად შეგიცვალოთ და თქვენი ქმარი სიკვდილს პირიდან გამოვგლიჯო". — „როგორ, — ჰკითხა ქალმა, — თუ მართლა კონსტანტინოპოლელი ხარ და აქაც ახლახან ჩამოხვედი — რა იცი, ვინა ვართ ან ჩემი ქმარი და ან მე?" — მწირი თავიდან მოუყვა ყველაფერს და უამბო მთელი მწუხარება ალდობრანდინოსი; მერე ქალს მისი ვინაობა უთხრა, თუ რამდენი ხანია, რაც გათხოვილია და ბევრი რამ დაწვრილებითი ამბავი მისი ცხოვრებიდან, რაც კაცმა კარგად იცოდა. ქალს საშინლად გაუკვირდა; გადაწყვიტა, წინასწარმეტყველი უნდა იყოსო და მის წინ დაიჩოქა და სთხოვა: თუ მართლა ჩემი ქმრის ალდობრანდინოს დასახსნელად მოსულხართ, თუ ღმერთი გწამთ, აჩქარდით, რადგან მეტად ცოტა დარჩა განაჩენის სისრულეში მოყვანამდეო.

მწირმა მეტად წმინდა კაცად მოაჩვენა თავი და უთხრა ქალს: „მადონა, ადექით, ნუღარა სტირით და ყური დამიგდეთ, რაც გითხარით. იცოდეთ, რასაც გეტყვი, არავისთან წამოგცდეთ. ღმერთმა გამომიცხადა, რომ ეს მწუხარება თქვენ მოგვევლინათ თქვენს მიერ ოდესღაც ჩადენილი ცოდვისათვის. და ახლა ღმერთსა სურს, რომ ეს ცოდვა ნაწილობრივ ამ ურვით გამოგასყიდინოთ; მაგრამ ღმერთსავე უნდა, ეს ცოდვა სავსებით შეინანიოთ და თუ ეს არა ჰქენით, უარეს დღეში ჩავარდებით".

მაშინ ქალმა უთხრა: „მამაო წმინდაო, ცოდვები ბევრი მაქვს ჩადენილი, და ახლა არ ვიცი, უფრო რომელი ცოდვა სურს უფალს, რომ შევინანიო. ამიტომ თუ თქვენ იცით, მითხარით და მოსანანიებლად, რაც შემეძლება, ყველაფერს ვიზამ.

— „მადონა, — უთხრა მაშინ მწირმა, — ვიცი, რა ცოდვაცა გაქვთ, და თუ გეკითხებით,

იმიტომ კი არ გეკითხებით, რომ უკეთესად გავიგო მისი სიმძიმილი. მე მინდა თქვენ თვითონა ბრძანოთ და ცოდვის დასახელების დროს უფრო მეტად შეგაწუხოთ სინდისმა. მაგრამ მოდი, პირდაპირ საქმეს შევუდგეთ. მითხარით: ხომ არ გაგონდებათ, როდესმე საყვარელი ხომ არ გყოლიათ?“.

ქალმა ეს რომ გაიგონა, დიდად ამოიხვნეშა ძალზე გაოცებულმა, რადგან აბა რას წარმოიდგენდა, თუ ძე-ხორციელს ეცოდინებოდა როდესმე მისი საიდუმლოება, თუმცა მას შემდეგ, რაც მოჰკლეს და დაასაფლავეს ის კაცი, ვინც ტედალდო ეგონათ, საქმე, ცოტა არ იყოს, გახიახდა, რადგან ერთ ტედალდოს მეგობარს, რომელსაც სცოდნია მათი სიყვარულის ამბავი, გაუფრთხილებლად წამოსცდენოდა ზოგი რამ.

ამიტომ ქალმა ასე უპასუხა მწირს: „ვხედავ, რომ ღმერთმა წინ გადაგიშალათ ადამიანთა ყველა საიდუმლოებანი, ამიტომ მზად გახლავართ ჩემი საიდუმლოებანიც გადაგიშალოთ. მართალია, ჩემს ახალგაზრდობაში ძალიან მიყვარდა ერთი უბედური ახალგაზრდა კაცი, რომლის მოკვლა ჩემს ქმარს დაბრალდა. მის სიკვდილზე ისე ვიტირე, როგორც დიდი უბედურების დროს ტირის ხოლმე ადამიანი. იმიტომ რომ, თუმცა მისი წასვლის წინ მეტად გულქვად და უხეშად მოვექეცი, მაგრამ ვერც მისმა მოშორებამ, ვერც მისმა დიდხანს უნახაობამ, ვეღარც მისმა საბრალო სიკვდილმა გულიდან ვერ ამომგლიჯეს მისი ხსოვნა და სიყვარული“.

ამაზე მწირმა უთხრა: „საცოდავ ახალგაზრდა კაცს, აქ რომ მოუკლავთ, თქვენ თავის დღეში არა ჰყვარებიხართ, მაგრამ ტედალდო ელიზეის კი უყვარდით. მაგრამ ეს იქით იყოს. ერთი ეს მითხარით, რა მიზეზით შემოსწყერით ტედალდოს? თვითონ იმას როდესმე ხომ არ უწყენინებია რაიმე თქვენთვის?“.

ამაზე ქალმა ასე უპასუხა: „მართალია, იმას ჩემთვის თავის დღეში არაფერი დაუშავებია, მაგრამ ერთ შეჩვენებულ ბერს აღსარება ვუთხარი და ამ ბერის სიტყვები გამიხდა მასთან შემოწყრომის მიზეზად. რადგან როცა ბერს გავუმხილე, თუ რარიგ მიყვარდა ეს ახალგაზრდა და როგორ დაშინაურებული ვიყავი მასთან, ბერმა ისე დამიყვირა, რომ მაშინდელი შეშინებული ახლაც ვერ მოვსულვარ გონს. ასე დამემუქრა: თუ ამ სიყვარულზე ხელი არ აგიღია, ჯოჯოხეთის ჯურღმულში პირდაპირ ეშმაკს ჩაუვარდები ხახაში და გენია— ცეცხლში დაიხრუკებიო. და ისე გამიხეთქა გული, რომ გადავწყვიტე ამ ყმაწვილთან კავშირი გამეწყვიტა და რომ ჩემი გადაწყვეტილება მისთვის მეგრძნობინებინა, არც წერილს ვღებულობდი მისგან და აღარც შემონათვალს რასმე ვისმენდი. მაგრამ ესეც კია, რომ ის რომ არ გაკერპებულიყო და, როგორც ვფიქრობდი, სასოწარკვეთილი აქედან არ წასულიყო და, რაკი დავინახავდი, რომ საწყალი კაცი ისე დნებოდა, როგორც თოვლი მზეზე, გული მომილბებოდა, რადგან მისებრ ქვეყანაზე არავინ მყვარებია“.

ამაზე მწირმა უთხრა: „მადონა, აი სწორედ ეს ერთი ცოდვაა, თქვენ რომ გაწუხებთ ახლა. მე დანამდვილებით ვიცი, რომ ტედალდოს თქვენთვის არავითარი ძალა არ დაუტანებია: როცა თქვენ ის შეგიყვარდათ, შეგიყვარდათ თქვენი სურვილითა და თქვენი ნებით, რადგან ის მოგწონდათ; და რადგან თქვენ — თვითონ გსურდათ, ისიც თქვენთან მოდიოდა და დაგიშინაურდათ; თქვენც სიტყვითა თუ საქმით ისე ეალერსებოდით, რომ თუ პირველად იმას შეუყვარდით, მერე თქვენ თქვენი ქცევით ათასჯერ მეტად განუმტკიცეთ ეს სიყვარული. და თუ ეს ასე იყო (ვიცი კი, რომ სწორედ ასე იყო), ერთი ეს მითხარით: რამ გაიძულათ თავიდან ასე გულქვად მოგეშორებინათ თქვენი საყვარელი? ამ საგნის შესახებ წინდაწინვე უნდა გეფიქრათ და როცა დაინახავდით, რომ თქვენი საქციელი სანანურად გაგიხდებოდათ და იტყოდით, ასეთი ცუდი საქმე რათ ჩავიდინეო, თავი უნდა შეგეკავებინათ. ამგვარად, თუ ის თქვენად იქცა, ისევე თქვენც მისად იქეცით. თქვენ შეგეძლოთ, მას არ დაჰპატრონებოდით, ეს თქვენი ნება იქნებოდა და უფლება გექნებოდათ მოპყრობოდით ისე, როგორც თქვენს საკუთრებას; მაგრამ სრულებით არა გქონდათ უფლება მის უნებურად წაგერთმიათ მისთვის თქვენი თავი, ე.ი. ქალი, რომელიც მას ეკუთვნოდა, — თქვენს მხრით ეს იყო კაცის გაძარცვა და ასეთი საქციელი დიაღაც გასაკიცხავია.

„ახლა თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ბერი ვარ, ამიტომ ბერების ზნე-ჩვეულებას ძალიან კარგად ვიცნობ. და თუ მე თქვენთვისავე სიკეთისათვის მათ შესახებ თამამად ვილაპარაკებ, ამის უფლება ჩემებრ სხვას არავისა აქვს. ახლა მინდა მათ ამბავს მოგიყოთ, რომ შემდეგისთვის მათ იმაზე უკეთესად იცნობდეთ, ვიდრე აქამდე იცნობდით.

„ძველად ბერები, მართალია, წმინდასა და ღირსეულ ცხოვრებას ეწეოდნენ, მაგრამ ისინი, ვინც დღეს თავიანთ თავს ბერებს უწოდებენ და უნდათ, რომ სხვებსაც ასეთებად მიაჩნდეთ, ბერობისა არაფერი სცხიათ, თვინიერ ანაფორისა, და ისიც, კაცმა რომ თქვას, ბერული სრულებით არ არის, რადგან ვინც პირველად ბერობა შემოიღო, ბერულ ტანისამოსად დააწესა ღარიბული ანაფორა და ამით ის უნდა ეჩვენებინათ, რომ სულს ყოველი მიწიერი სძულდა, რაკი ხორცი ასეთ მათხოვრულ სამოსელს შეიმოსავდა. დღევანდელი ბერები კი განიერ ანაფორას იკერავენ, სარჩულდადებულს, მბზინავ და წმინდა საქონლისას, იმნაირადვე ლამაზად გამოჭრილსა და შეკერილს, როგორც მწყემსმთავრებს აქვთ ხოლმე; და თითქო ბოლოგაშლილი ფარშავანგები არიანო, არ ეთაკილებათ იკოხტაონ ეკლესიებში და მოედნებზე იმნაირადვე, როგორც კოხტაობენ თავიანთი ჩაცმულობით ერისკაცნი. და მებადურის მსგავსად, რომელიც ლამობს ბადეში ერთი სროლით რაც შეიძლება მეტი თევზი მოაყოლოს, ისე ესენი, თავიანთი ანაფორების ფართო ნაოჭებში გახვეულები, მოხერხებულად მოაყოლებენ ხოლმე შიგ აუარებელ ფარისევლებს, ქვრივებს და მრავალ სხვა უჭკუო ქალებსა და მამაკაცებს, — ეს არის მათი მთავარი საზრუნავი. ამიტომ იმისათვის, რომ უფრო ზედმიწევნით დაგისურათოთ, უნდა გითხრათ, რომ ამათ ანაფორა კი

არ აცვიათ, არამედ ანაფორის ფერი სამოსი.

„თუ ძველად ბერები ადამიანთა ცხოვრებისათვის ზრუნავდნენ, ახლანდელი ბერები ქალებისა და ქონების შეძენისათვისღა ზრუნავენ. მთელი მათი გულისყური იქითკენაა მიმართული, რომ სულელები შეაშინონ მქუხარე სიტყვებითა და საშინელებათა აღწერით და დაარწმუნონ ესენი, რომ ცოდვები მიეტევებათ მოწყალების გაღებითა და წირვების შეკვეთით, რათა ამათ, რომელთაც მონასტერს თავი შეაფარეს და ბერებად გახდენ ღვთისმოშიშობით კი არა, არამედ სულის სიმდაბლითა და თავიდან მუშაობის აცდენის სურვილით. ამათ ერთმა პური უნდა მოუტანოს, მეორემ ღვინო გამოუგზავნოს და ზოგმა კიდევ ფული აძლიოს გადაცვლილი მშობლების სულის მოსახსენებლად. მართალია, ადამიანს ცოდვები მოწყალებითა და ლოცვებით მიეტევება ხოლმე, მაგრამ ისინი, ვინც ამ მოწყალებას იძლევიან, ხომ ხედავენ, თუ ვის აძლევენ მოწყალებას, ან რომ იცნობდნენ ამათ, ამ მოწყალებას უფრო თავისთვის შეინახავდნენ ანდა ღორებს გადაუყრიდნენ.

„ბერებმა იციან, რომ რამდენადაც ნაკლებია დიდ-დიდი ქონების პატრონთა რიცხვი, მათ პირადად მით უფრო განცხრომით შეუძლიათ იცხოვრონ, და ამიტომ თითოეული მათგანი ცდილობს მქუხარე სიტყვებითა და საშინელებათა წარმოდგენით ხელი ააღებინოს სხვას იმაზე, რასაც თვითონ უნდა მარტოდმარტო დაეპატრონოს ხოლმე.

„მამაკაცებს ბერები გარყვნილებას უძრახავენ, იმიტომ რომ, როცა საძრახველნი გარყვნილებაზე ხელს აიღებენ, ქალები თვითონ მძრახველთ დარჩეთ. ბერები ჰკიცხავენ მევახშეობას და უკანონო საშოვარს იმიტომ, რომ ყოველივე ეს მათ დარჩეთ და მერე უფრო განიერი ანაფორები შეიკერონ, ეპარქიების უფროსებად გახდენ და სხვა უმაღლესი თანამდებობანი იშოვნონ იმავე ფულით, რასაც, მათი თქმით, მათი პატრონები წაწყმედისაკენ მიჰყავს. ზოგჯერ მათ ჰყვედრიან ასეთი და სხვა მრავალი უხამსი საქციელისათვის, მაგრამ ესენი ასე უპასუხებენ ხოლმე: „ჰქენით ისა, რასაც ჩვენ გეუბნებით და არა ისა, რასაც ჩვენა ვშვრებით“. და ჰგონიათ, რომ ამით შეიძლება ულხინონ ყოველი მძიმე შეცოდებისათვის, თითქო უფრო ცხოვართ ძალედვათ ფოლადივით ურყეველნი და მტკიცენი იყვნენ, ვიდრე მწყემსთ.

„ბერების უმეტესობამ იცის, რომ ბევრნი არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთაც მათი ასეთი პასუხი სრულებით ისე არ ესმით, როგორც თვითონ ბერები ამბობენ ამას. დღევანდელ ბერებს სურთ: თქვენ გააკეთოთ ის, რასაც ისინი გეუბნებიან, ე. ი. ქისა თეთრით გაუვსოთ, გაანდოთ ხოლმე თქვენი საიდუმლოებანი, იყოთ უბიწონი, მომთმენნი, თუ ვინმემ შეურაცხგყოთ, აპატიოთ, ავად არავინ ახსენოთ; ყოველივე ეს კარგია, პატიოსანია, წმიდანი კაცის შესაფერი. მაგრამ რიღასთვის გეუბნებიან ამას? რისთვის და მისთვის, რომ ბერებმა შეიძლონ იმის გაკეთება, რასაც თუ ერისკაცნიც იზამენ, მაშინ მაგათ აღარაფერი

დარჩებოდათ გასაკეთებელი. აბა, ვინ არ იცის, რომ უფულოდ შეუძლებელია მუქთახორობა და უდებობა. თუ შენ შენის სიამოვნებისათვის ფულს დახარჯავ, ბერს არ შეუძლია მონასტერში მუქთახორულად იცხოვროს; თუ ქალებს შენ დაუწყებ არშიყობას, ბერს ქალთან ვინ მიასუნინებს; თუ შენ შეურაცხყოფას არ აპატიებ და არ მოუთმენ სხვას, ბერი ვერ გაჰბედავს შენს სახლში მოსვლას შენი ოჯახის შესარცხვენად. მე ყველაფერში რათ უნდა მივბაძო იმათ? ყოველთვის ისინი თავის თავს თვითონვე ამტყუნებენ, როცა უნდათ თავი იმართლონ ხოლმე ისეთების წინაშე, რომელთაც მათი ამბავი იციან.

„კარგი და თუ გრძნობენ, რომ არ შეუძლიათ თავი შეიკავონ ყოველი განსაცდელისაგან და წმინდანის ცხოვრებით იცხოვრონ, მონასტერში წასვლის მაგიერ რატომ შინ არა რჩებიან? და თუ მართლა უნდათ წმინდა ცხოვრებით იცხოვრონ, რატომ არ ასრულებენ სახარების ამ წმინდა სიტყვებსაც: „ამიერითგან იწყო იესო ქადაგებად და სიტყვად“ ჯერ თვითონა ჰქმნან და მერე სხვებს ასწავლონ, ასე ჰქენითო!.

„ჩემს სიცოცხლეში ათასობით ბერი მინახავს ქალთა მთნეველნი და მოყვარულნი, რომელნიც დადიოდნენ არა მარტო ერისკაცთა ქალებთან, არამედ მონაზვნებთანაც, და ასეთ ბერებს შორის ისეთებიც იყვნენ, რომელნიც ამბიონებიდან ყველაზე მეტად გაჰკიოდნენ ხმამაღლა. ნუთუ ასეთ სულიერებს უნდა მივდიოთ უკან? ვისაც უნდა მათ ჭკუაზე გავლა, გაიაროს, ნება მისია, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, ჭკვიანურად იქცევა თუ არა ასეთი ადამიანი!..

„მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ თქვენი დამტუქსველი ბერი მართალი იყო, ე. ი. რომ ცოლქმრული ღალატი საშინელი ცოდვაა, მაგრამ უარესი ცოდვა არ არის ადამიანი გაძარცვო, ან მოჰკლა, ან კიდევ იძულებულ ჰყო თავისი საშშობლოდან გადაიხვეწოს და უცხო მხარეში უთვისტომოდ იხეტიალოს? აბა, ვინ იტყვის, რომ ეს დიდი ცოდვაა! თუ ვინმე მამაკაცი ქალს დაუახლოვდა — ეს ბუნებრივი ცოდვაა, ხოლო მისი მოკვლა, გაძარცვა ან საშშობლოდან გაძევება — სიბოროტის შედეგი იქნება. რომ თქვენ ტედალდო გაძარცვეთ, ეს ხომ ზემოთაცა ვთქვით: თქვენ მას თქვენი თავი წაართვით, თუმცა თქვენ იმის საკუთრება თქვენისავე ნებით გახდით. შემდეგ უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ, რამდენადაც ეს თქვენზე იყო დამოკიდებული, მოჰკალით კიდეც ის კაცი, იმიტომ რომ, რაც უფრო სიმკაცრეს იჩენდით მის მიმართ, თქვენ თითქო იმის ცდაში იყავითო, რომ საწყალ კაცს თავი მოეკლა; ხოლო კანონი ამბობს, რომ ვინც მიზეზია ჩადენილი დანაშაულისა, იმდენადვე არც იმის უარისთქმა შეიძლება, თქვენი ბრალი არ იყო ისა, რომ საშშობლოდან გადაიკარგა და შვიდის წლის განმავლობაში უცხოეთში უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა. ასე რომ, თითოეული ამ სამი დანაშაულის ჩადენით თქვენ უფრო მეტი შესცოდეთ, ვიდრე მასთან დაახლოებით და კავშირით.

„ახლა ის ვიკითხოთ: იქნებ ტედალდომ დაიმსახურა ყოველივე ეს? რა თქმა უნდა, არა,

რადგან ეს თქვენ თვითონ აღიარეთ და მეც ხომ ვიცი, რომ თქვენ თავის თავს ერჩიეთ. ქალთაგან არავისა სცემდა ისეთ პატივს, როგორც თქვენ. ისე არავინ უქია და შეუმკია, როგორც თქვენ. როცა სადმე თქვენზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს, ისე მოწიწებით, რომ ეჭვი არავის შეუვიდოდა, თუ თქვენ შორის რა განწყობილება იყო. მთელი თავისი სარჩო—საბადებელი, მთელი თავისი პატიოსნება, თავისი თავისუფლება თქვენ ხელში გადმოგცათ. კეთილშობილი ახალგაზრდა არ იყო? თავის თანამოქალაქეთა შორის სილამაზითა სჯობდა ვინმე? ან, შვრებოდა ისეთ რასმე, რაც ახალგაზრდას არ შეეფერებოდა? ან იქნება, ყველასი საყვარელი და სათაყვანებელი არ იყო? განა ყველას არ ენატრებოდა მისი ნახვა? ვერც ამაზე იტყვით უარს. მაშასადამე, როგორ ენდეთ ვიღაც გამოთაყვანებულ ბერის, ვიღაც პირუტყვისა და შურიანი ადამიანის სიტყვებს და ასე ულმობლად გაიმეტეთ საყვარელი?!

მე არ მესმის, ქალები როგორ უნდა გაურბოდნენ მამაკაცებს და არაფრად აგდებდნენ მათ?! ჩემი აზრით, მეტად სცდებიან ამ შემთხვევაში. ისინი უნდა დაფიქრდნენ, თუ რანი არიან თვითონ და ან რამდენად დიდია კეთილშობილება, უფალს მამაკაცისათვის რომ მიუნიჭებია! ქალმა უნდა იცოდეს, რომ ცხოველზე მაღლა დაუყენებია. და ამიტომ ქალს თავი უნდა მოსწონდეს, როცა ვინმე მამაკაცს უყვარს, მეტად უნდა აფასებდეს ამ ყურადღებას და ყოვლის ღონისძიებით სცდილობდეს აამოს, რათა მამაკაცს მუდამ უყვარდეს. ხოლო თქვენ თვითონ იცით, თუ რა ჰქენით, როცა ყური დაუგდეთ ვიღაც ბერის სიტყვებს, რომელიც, ალბათ, მუქთახორა ვინმე იყო, მზა-მზარეულის მოყვარული; ან შეიძლება უნდოდა წამოსკუპებულიყო იმ ადგილზე, საიდანაც სხვის ჩამოგდებას ჰლამობდა.

მაშასდამე, ეს ის ცოდვაა, რომელიც ღვთაებრივ მართლმსაჯულებას, რომელიც თავისს სწორ სასწორზე სწონავს ხოლმე ყოველ თავის მოქმედებას, არ უნდოდა დაუსჯელად დაეტოვებინა. და ამგვარად, როგორც თქვენ უსაფუძვლოდ მოახერხეთ თქვენი თავი ტედალდოსათვის გამოგეწირნათ, ისე თქვენი ქმარი იმავე ტედალდოს გამო სრულებით უდანაშაულოთ ჩავარდა განსაცდელში და დღესაც თავი ვერ უხსნია, და თქვენ კიდევ დარდი და თავშისაცემი საქმე გაგიჩნდათ. თუკი გინდათ, ამ დარდსა და მწუხარებას თავი დააღწიოთ, თქვენ პირობა უნდა მომცეთ და უეჭველადაც აასრულოთ შემდეგი: თუ ოდესმე ტედალდო თავის ხანგრძლივ განდევნის შემდეგ აქ დაბრუნდება, თქვენ უნდა დაუბრუნოთ თქვენი ალერსი, თქვენი სიყვარული, თქვენი კეთილი გული, განაახლოთ მასთან კავშირი და ხელახლა იმავე მდგომარეობაში ჩააყენოთ, როგორშიაც იყო მანამდე, სანამ თქვენის უჭკუობით უტვინო ბერის ნაჩურჩუტევს დაუჯერებდით“.

მწირმა თავის სათქმელი გაათავა. ქალი მეტად გულმოდგინედ უგდებდა ყურს, რადგან მისი მოსაზრებანი ყველა საფუძვლიანად ეჩვენებოდა; დარწმუნდა, სწორედ იმ ცოდვებისთვისა მსჯის ღმერთიო და ასე უთხრა: „ღვთის კაცო! დარწმუნებული გახლავართ, რაცა ბრძანეთ, ყოველივე ჭეშმარიტებაა, და განსაკუთრებით თქვენის ნათქვამიდან გავიგე,

რაც შვილები ბრძანებულან ბერები. აქამდე კი მეგონა, რომ ყველანი წმინდანები იყვნენ. და რა თქმა უნდა, აღვიარებ, რომ ძალიან ცუდად მოვიქეცი, როცა ტედალდოს ისე მოვეპყარი. რომ შემეძლოს, დიდის სიამოვნებით გამოვასწორებდი ჩემს შეცდომას ისე, როგორც თქვენ მირჩევთ, მაგრამ ნეტავ ვიცოდე, ეს როგორ შეიძლება? ტედალდო თავის დღეში ვეღარ დაბრუნდება, რადგან მკვდარია, და რის ასრულებაც არ შეიძლება, არ ვიცი, რისთვის უნდა დაგპირდეთ?“.

ამაზე მწირმა უპასუხა: „მადონა, ტედალდო სრულებითაც არ არის მკვდარი, როგორც ეს უფალმა გამომიჩინა. პირიქით, ცოცხალია და კარგადაც არის, და ბედნიერიც იქნებოდა, თქვენ რომ თქვენს სიყვარულს დაუბრუნებდეთ“. — მაშინ ქალმა უპასუხა: „აბა, რასა ბრძანებთ! მე თვითონ ჩემის თვალით ვხედავდი ჩემს სახლს წინ მკვდარსა, დანისაგან რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა ტანზე; ხელები მოვხვიე და ცრემლებით დავუსველე გაცივებული პირისახე; და, მე ვფიქრობ, სწორედ ეს ცრემლები შეიქმნა იმის მიზეზი, რომ ჩემს შესახებ ასეთი ცუდი ხმა დაჰყარეს“. — მაშინ მწირმა უპასუხა: „მადონა, თქვენ რაც უნდა ბრძანოთ, მე მაინც დაგარწმუნებთ, რომ ტედალდო ცოცხალია; და თუ თქვენ რასაც დამპირდით, უეჭველად აასრულებთ, იმედი მაქვს, მალე დაინახავთ“. ამაზე ქალმა უპასუხა:

„პატიოსან სიტყვას გაძლევთ და ჩემს ნათქვამს კიდეც ავასრულებ; თუ მართლა ჩემი ქმარი განთავისუფლებული დავინახე და ტედალდოც ცოცხალი, ჩემზე ბედნიერი ცათა ქვეშე ადამიანი არ იქნება“.

ტედალდომ თავის გულში სთქვა: ახლა კი დროა გამოვუტყდე და ქმრის დახსნის შესახებ მტკიცე იმედი მივცეო და უთხრა: „მადონა, იმისათვის, რომ დარწმუნებული იყო, რომ თქვენს ქმარს ეშველება, ერთი საიდუმლოება უნდა გაგიმჟღავნოთ. და პირობა უნდა მომცეთ, რომ თქვენს სიცოცხლეში არავის ეტყვით“.

ორნივე სახლის განმარტოებულს ოთახში ისხდნენ მარტოდმარტონი და თან ქალიც საკვლევით ენდობოდა მწირს, რომელიც წმინდანად მიაჩნდა. ამიტომ ტედალდომ ჯიბიდან ამოიღო ბეჭედი, რომელსაც იგი მეტად გულმოდგინედ ინახავდა და რომელიც ქალისაგან ჰქონდა მიცემული მასთან გატარებულ უკანასკნელ ღამეს. აჩვენა ბეჭედი ერმელინას და უთხრა: — „მადონა, ამას ხომ იცნობთ?“ — ქალმა ბეჭედი დაინახა თუ არა, მაშინვე იცნო, როგორც თავისეული და უთხრა: „ჰაი, ჰაი, რომ ვიცნობ, მაღალღირსო, ოდესღაც ტედალდოს ვაჩუქე“.

მაშინ მწირი ზეზე წამოდგა, საჩქაროდ გაიხადა მწირული ტანისამოსი, ხოლო თავიდან გადიძრო ქუდი და ფლორენციული კილოთი უთხრა: „მე ხომ არ გეცნობები“?

ქალმა ტედალდო რომ დაინახა, იცნო და თითქო თავზარი დაეცაო, გაქვავდა; შეეშინდა ტედალდოსი ისე, თითქო მკვდარი გაცოცხლდაო და იმას უყურებსო; იმის მაგიერ, რომ კვიპროსიდან მოსულ ტედალდოს გადახვეოდა, შეეშინდა და ისე დაუწყო ყურება, როგორც საფლავიდან წამომდგარ და აქ მოსულ ტედალდოს.

ამ დროს ტედალდომ უთხრა: „მადონა, ნუ გეშინიათ, თქვენი ტედალდო ვარ, ცოცხალი და კარგად მყოფი; არც არასდროს მოვმკვდარვარ და არც ვისმე მოვუკლავარ, როგორც თქვენა და ჩემი ძმები ფიქრობთ“.

ერმელინა ცოტათი გონს მოვიდა, თუმცა მისი ხმა ისევ აშინებდა. უფრო კარგად დააკვირდა და თავის გულში თქვა: ცხადია, ტედალდო არისო; ტირილით კისერზე მოეხვია, დაუწყო კოცნა და უთხრა: „ტედალდო, ჩემო ტკბილო, მშვიდობა შენს დაბრუნებას“. ტედალდო მოეხვია, აკოცა და უთხრა: „მადონა, ახლა დრო არ არის ალერსისა და ტკბილად ერთმანეთის მოკითხვისა: მინდა ალდობრანდინო გავათავისუფლებინო და აქ მოგგვაროთ, მე იმედი მაქვს ხვალ საღამომდე გაიგებთ გულის გასახარელ ამბებს; თუ მართლა, როგორც იმედი მაქვს, მის შესახებ სანუგეშო ამბები გავიგე, ამაღამვე გეახლებით და გიამბობთ ყოველსავე უფრო აუჩქარებლივ, რადგან მაშინ უფრო მეტი დრო მექნება, ვიდრე ახლა“.

ტედალდომ მწირული წამოსასხამი ისევ მოისხა, თავზე ქუდი დაიხურა, ერმელინას ხელმეორედ აკოცა, კიდევ ანუგეშა და გამოეთხოვა. აქედან პირდაპირ იმ ციხისაკენ გაემართა, სადაც იჯდა ალდობრანდინო, რომელიც თავზარდაცემული ელოდა მომავალ სიკვდილს. განთავისუფლების იმედი, აბა, საიდან ექნებოდა!..

ციხეში მივიდა თუ არა, დარაჯების ნებართვით, როგორც ნუგეშისმცემელი, შევიდა ალდობრანდინოსთან, მასთან ერთად ჩამოჯდა და ლაპარაკი დაუწყო: „ალდობრანდინო, მე შენი მოკეთე ვარ და ღმერთმა გამომგზავნა შენდა სახსნელად. ღმერთმა იცოდა შენი სიალალმართლე და შეგიბრალა, ამიტომ თუ მისი კეთილკრძალულებით ერთ მცირე სამსახურს, მე რომ გთხოვ, გამიწევ, პირობას გაძლევ ხვალ საღამომდე, როცა სიკვდილის განაჩენის გამოცხადებას მოელი, შენი გამართლების ამბავი გაიგონო“. ამაზე ალდობრანდინომ უპასუხა: — „ღირსო მამაო, რადგან ჩემს განთავისუფლებასა სცდილობ, თუმცა სრულებით არ გიცნობ და არც მაგონდები, რომ სადმე მენახო, მართლადაც, როგორც ამბობ, ჩემი მეგობარი უნდა იყო. მართლაც, ის დანაშაული, რომელსაც მე მაბრალებენ და რომლისთვის სიკვდილი უნდა მომისაჯონ, ჩემს სიცოცხლეში არ ჩამიდენია; წინათ კი სხვა ცოდვები ჩამიდენია და ალბათ ამ ცოდვებმა მიწიეს და ამ უბედურებამდე მომიყვანეს. მაგრამ შენთან ისე ვამბობ, როგორც ღმერთთან; თუ ახლა მომხედა და შემიბრალა უფალმა, პირობას გაძლევ, რასაც მეტყვი, თუნდ დიდს, არამც თუ მცირე რასმე, დიდი სიამოვნებით ავასრულებ და არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც. ამიტომ რაც გენებოს, მიბრძანე და

თუ აქაურობას თავი დავაღწიე, უეჭველად უკლებლივ შეგისრულებ“.

მაშინ მწირმა უთხრა: „ჩემი სათხოვარი ისღაა, რომ აპატიო ტედალდოს ოთხ ძმას, რომელთაც აქ ჩაგაგდეს, რადგან თავიანთი ძმის მკვლელად გთვლიდნენ, და ოთხნივე იგულე შენს ძმებად და მეგობრებად, თუკი ისინიც მოგთხოვენ შენდობას და პატიებას“.

ამაზე ალდობრანდინომ უპასუხა: — „თუ რამდენად ტკბილია შურისძიება ან რა ძლიერად უნდა ეს კაცს, ეს მხოლოდ იცის იმან, ვინც რითიმე შეურაცხყოფილია; მაინც, რაკი უფალს ჩემი ხსნა სურს, დიდი სიამოვნებით ვაპატიებ მათ და მიპატიებია კიდეცა. და თუ აქედან ცოცხალი გავედი, ყველაფერს ისე ვიზამ, როგორც შენ გენებება“.

მწირს მოეწონა ალდობრანდინოს ნათქვამი, მეტი არაფერი უთხრა, მხოლოდ ძალიან სთხოვა: მხნედ იყავი და ნურაფრისა გეშინია: ხვალ დაღამებამდე გაიგონებ შენი განთავისუფლების ამბავსო.

მწირი გამოეთხოვა ალდობრანდინოს და აქედან პირდაპირ სინიორიაში შევიდა. აქ მოხელეს, რომელიც ამ დროს იქ თავმჯდომარეობდა, საიდუმლოდ უთხრა: — „ბატონო ჩემო, ყოველი ჩვენგანი მოვალეა შეწუხებას არ დაერიდოს, ოღონდ სიმართლე აღმოაჩინოს; განსაკუთრებით ისეთებს ანევთ ეს ვალად, ვისაც თქვენისთანა თანამდებობა უჭირავთ. დიაღ, იმას მოგახსენებთ, თქვენ მოვალენი ბრძანდებით ფრთხილად იყოთ და არ დაისაჯნენ უდანაშაულონი, ხოლო ნამდვილ დამნაშავეთ უეჭველად სასჯელს ვერ დააღწიონ თავი. და ახლა იმისთვის, რომ ეს ასე მოხდეს, თქვენდა დასახმარებლად და დასასჯელად იმისა, ვინც ეს სასჯელი დაიმსახურა, გეახელით თქვენთან. როგორც მოგეხსენებათ, მეტად მკაცრად ეპყრობით ალდობრანდინო პალერმინის, გგონიათ, რომ სწორედ იმან მოჰკლა ტედალდო ელიზეი და ამიტომ სიკვდილი უნდა მიუსაჯოთ. მოგახსენებთ, რომ ეს მართალი არ გახლავთ, და მე იმედი მაქვს, შუაღამემდე დაგიმტკიცებთ ამას იმით, რომ ხელში მოგცემთ იმ ყმაწვილის მკვლელებს“.

პატივცემულმა ადამიანმა, რომელსაც ძალიან ებრალებოდა ალდობრანდინო, დიდი გულისყურით მოუსმინა მწირს. როდესაც მწირმა კიდევ ბევრი რამე უამბო ამ საქმის შესახებ, მისი რჩევით მოსამართლემ დააჭერინა ორი ძმა მესასტუმროვე და მათი მოსამსახურე ისე, რომ ამათ წინააღმდეგობა არცკი გაუწევიათ. ხოლო როცა უნდა საწამებლად წაეყვანა სამივენი, რომ ყოველივე ეთქმევინებინა, ამათ შეეშინდათ და ჯერ თითოეულმა ცალ-ცალკე და მერე სამივემ ერთად საჯაროდ აღიარეს — ტედალდო ელიზეი ჩვენ მოვკალით, თუმცა არცკი ვიცნობდითო. როცა ჰკითხეს: კარგი და რაღად მოჰკალით ეს კაცი, ამათ ასე უპასუხეს: როცა ჩვენ სასტუმროდან სხვაგან ვიყავით წასულები, ეს ყმაწვილი ერთ-ერთი ჩვენგანის ცოლს გაჰკიდებია და ძალით მოუნდომებია თავისი სურვილის დაკმაყოფილებაო.

მწირმა ეს რომ გაიგონა, სენიორის ნებართვით სენიორიიდან წავიდა და ჩუმად მადონა ერმელინას სახლში მივიდა. აქ ქალი სულ მარტოდმარტო დაუხვდა, რადგან სახლში ყველას ეძინა. ქალი ელოდებოდა — კარგ ამბებს მომიტანს ტედალდო და საბოლოოდ შევურიგდებიო.

ტედალდო მხიარულად მივიდა ქალთან და უთხრა: „ჩემო ყველავ, გაიხარე, ხვალ მრთელი და უვნებელი მოგივა შენი ალდობრანდინო“. და რომ სავსებით დაეჯერებინა ქალი, დაწვრილებით უამბო, რაც გააკეთა.

ერმელინამ მეტად გაიხარა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ცოცხალი დაინახა თავისი ტედალდო, რომელიც მკვდარი ეგონა და გამოტირებული ჰყავდა, მეორე იმიტომ, რომ ქმარი ალდობრანდინო, რომელსაც სიკვდილი მოელოდა და რამდენიმე დღეში ისიც უნდა ეტირა, განსაცდელისაგან უნდა განთავისუფლებულიყო. ამიტომ დაუკოცნელი არაფერი შეუნარჩუნა თავის ტედალდოს. მერე ლოგინს მიაშურეს, ერთმანეთს წმინდა გულით შეურიგდნენ და ერთმანეთთან უსაზღვროდ ისიამტკბილეს.

მეორე დღეს უთენია ტედალდო ადგა, ქალს გაანდო, თუ რის გაკეთება ედო გულში და კიდევაც სთხოვა, ყველაფერი საიდუმლოდ შეენახა; მერე ისევ ჩაიცვა მწირის ტანისამოსი, გამოვიდა სახლიდან, რომ, როცა მოსახერხებელი იქნებოდა, ალდობრანდინოს განთავისუფლებისათვის ეშუამდგომლა.

მეორე დღეს სენიორიამ, ამ საქმის შესახებ მთელი მასალა რომ შეკრიბა, ალდობრანდინო დაუყოვნებლივ გაანთავისუფლა. ამის ცოლმა და მეგობარ-ნათესავებმა დიდად გაიხარეს. რაკი ყველამ კარგად იცოდა, რომ ალდობრანდინოს განთავისუფლება მწირის წყალობით მოხდა, ცოლ-ქმარმა სახლში მიიწვიეს და სთხოვეს, სანამ ამ ქალაქში იქნებით, ჩვენი სტუმარი ბრძანდებოდეთო. მათ აღარ იცოდნენ, როგორ მოფერებოდნენ და როგორ ეცათ პატივი; განსაკუთრებით გულმოდგინეობდა ცოლი, რომელმაც კარგად იცოდა, თუ ვისა პატიჟობდა.

რამდენიმე ხანმა რომ გაიარა, ტედალდომ იფიქრა — ახლა კი დროა ალდობრანდინო და ჩემი ძმები შევარიგო, თორემ ამათ არამც თუ სწყინთ ალდობრანდინოს განთავისუფლება, არამედ ეშინიათ კიდეცა მისი და შეიარაღებულნი დადიანო, და ამიტომ ალდობრანდინოს პირობის ასრულება სთხოვა. ამან მაშინვე უპასუხა, — დიდი სიამოვნებითაო.

მეორე დღისთვის მწირმა ალდობრანდინოს სთხოვა კარგი სადილის გამართვა. ამ სადილზე თქვენმა ნათესავებმა თავიანთი ოჯახობითურთ უნდა მოიწვიონ ჩემი ოთხი ძმა და ჩემი რძლებიო, და დასძინა — მათ დასაპატიჟებლად მე თვითონ წავალ და სადილზე მათთან

უნდა შეგარიგოთო. და რადგან ალდობრანდინო იმასღა ცდილობდა, როგორ ვაამო მწირსაო, ესეც მაშინვე წავიდა ძმების დასაპატიჟებლად. ამათ ჯერ დიდხანს ელაპარაკა, რადგან საგნის სიმძიმე ამას მოითხოვდა, მერე დიდი გულმოდგინებით დააჯერა — პატიება სთხოვეთ და შეურიგდით ალდობრანდინოს და ისევ მეგობრებად დარჩითო. ამაზე რომ დაიყოლია, მეორე დღისთვის სადილად ცოლებიანად ალდობრანდინოსთან დაპატიჟა. ძმები დაენდნენ მწირის პატიოსან სიტყვას და სიამოვნებით დაჰყაბულდნენ სადილად წამოსვლაზე.

სადილობისას ალდობრანდინოს სახლში ჯერ მარტო ტედალდოს ძმები მოვიდნენ, უცოლებოდ. ალდობრანდინო მათ ელოდებოდა. ოთხივეს შავები ეცვათ და რამდენიმე მეგობარი ახლდათ. აქ, ალდობრანდინოს მიერ სხვა, მათთვის საგანგებოდ მოწვეულ სტუმრების წინაშე, ძმებმა თავიანთი იარაღი ძირს დაყარეს, ალდობრანდინოს ხელებში ჩაუვარდნენ და პატიება სთხოვეს მის წინააღმდეგ ჩადენილი საქმისათვის. ალდობრანდინომ, აცრემლებულმა, ყველანი ალერსიანად მიიღო, ყველას პირზე აკოცა, და მოკლედ უთხრა — რაც შეურაცხყოფა მომაყენეთ, ყველაფერი მიპატიებიაო. მამაკაცებს შემდეგ მოვიდნენ მათი დები და ცოლები. იმათაც თალხი ემოსათ ტანზე. ამათ ქალბატონი ერმელინა და სხვა ქალები ალერსიანად მიეგებნენ.

ლხინი სანაქებო იყო. როგორც კაცებს, ისე ქალებს საუცხოოდ გაუმასპინძლდნენ. წუნი არაფერს დაედებოდა, მხოლოდ ერთი რამ ჩრდილავდა ამ სადილს, სახელდობრ ისა, რომ სტუმრები ჩუმად იყვნენ, რადგან ტედალდოს ნათესავთა სამგლოვიარო ტანისამოსი მოწმე იყო ამას წინათ მომხდარი უბედურებისა (ამიტომ ზოგნი გმობდნენ კიდეცა მწირის საქციელს: გლოვის დროს რა ელხინებაო! და ეს თვით მწირმაც შენიშნა).

ბოლოს, ტედალდომ თავის გულში სთქვა: ახლა კი დროა, ეს სიჩუმე დავარღვიოო. წამოდგა ზეზე იმ დროს, როცა სტუმრები ნასადილევს ხილს შეექცეოდნენ და თქვა: „ამ ლხინს არაფერი აკლდა, რომ სტუმრებს მხიარულად გაეტარებინათ დრო, გარდა ერთისა: — აკლდა ტედალდო, რომელიც თუმცა სულ თქვენთან იყო, მაგრამ ვერ იცანით, და ამიტომ მინდა ახლა გაჩვენოთ“. ესა თქვა და ტანიდან გაიძრო მწირის სამოსი და შერჩა აბრეშუმის მწვანე ჯუბა. ყველანი საშინლად გაოცებულნი უყურებდნენ და დიდხანს აცქერდებოდნენ, სანამ ვინმე გაბედავდა ეთქვა; ჰო, სწორედ ტედალდო უნდა იყოსო. ტედალდომ ეს რომ დაინახა, მოუყვა თავისი ნათესავების ამბავს, ან რა მოუვიდათ მათ, მერე თვითონ მას რა გადახდა.

მაშინ ძმებს და სხვა მამაკაცებს სიხარულის ცრემლები წასკდათ თვალთაგან, მივარდნენ და დაუწყეს კოცნა. ავრევე მოიქცნენ ქალებიც, როგორც ნათესავები, ისე გარეშენიც, თვინიერ ქალბატონ ერმელინასი. ეს რომ ალდობრანდინომ დაინახა, უთხრა: „ეს რა ამბავია, ერმელინა? სხვა ქალებივით რატომ შენც არ მიულოცე ტედალდოს?“ ქალმა ეს რომ მოისმინა, ყველას გასაგონად უპასუხა: „აქ დამსწრე ქალებში არავინაა ისეთი, რომ ჩემსავით

სიხარულით უნდოდეს მიულოცოს ტედალდოს, მე ხომ ყველაზე მეტადა ვარ მისგან დავალებული, რადგან იმის წყალობითაა, რომ შენი თავი ცოცხალი შემრჩა. მაგრამ თავი შევიკავე იმიტომ, რომ იმ დღეებში, როცა ჩვენ იმ კაცსა ვტიროდით, ვინც ტედალდო გვეგონა, ათასი ცუდი რამ ხმა გაავრცელეს". ამაზე ალდობრანდინომ უპასუხა:

„რაებს ამბობ! ნუთუ გგონია, რომ ჭორიკანების ნათქვამს ყურს ვუგდებ? ამ კაცმა რაკი ჩემის ხსნისათვის იმეცადინა, ამით აშკარად დაამტკიცა, რომ ყოველივე ჭორი იყო და, გარდა ამისა, მე თავის დღეში არ დამიჯერებია ჭორები. ამიტომ ჩქარა ადექი და აკოცე". ქალსაც აბა სწორედ ეს უნდოდა, და მაშინვე დაემორჩილა ქმარს, ადგა და სხვა ქალებივით გადაეხვია და მიულოცა.

ეს სულგრძელობა ალდობრანდინოს მხრით მეტად მოეწონათ როგორც ტედალდოს ძმებს, ისე თითოეულ ქალსა და კაცს, ვინც კი იყო, და თუკი რომელსამე მათგანს გულში რაიმე ცუდმა აზრმა გაუარა, ამ სიტყვებმა სრულებით გაუქარწყლა. როცა ყველამ მიულოცა და თავისი სიხარული გამოუცხადა ტედალდოს, ამან თავისი ხელით შემოახია ძმებს შავები, ხოლო დებსა და რძლებს — თალხი სამოსი და ბრძანება გასცა, აქ მათთვის სხვა, სამხიარულო, ტანისამოსი მოეტანათ. როცა სხვა ტანისამოსი ჩაიცვეს, გაიმართა სიმღერა, თამაშობა და მრავალი სხვა გასართობი; ამიტომ თუ ლხინს ჩუმი დასაწყისი ჰქონდა, ბოლოს ყველანი გამხიარულდნენ და ძალზე ახმაურდნენ.

აქედან სტუმარ-მასპინძელნი, ყველანი, როგორც იყვნენ, მეტად მხიარულნი, ტედალდოს სახლში გაემართნენ და ვახშმად მისას დარჩნენ. ამ ლხინმა და თავშექცევამ რამდენიმე დღეს გასტანა. ფლორენციელები ტედალდოს ისე უყურებდნენ, როგორც მკვდრეთით აღდგომილსა და საკვირველ რასმე. ბევრთ, და მათთან ერთად ძმებსაც, გულში თითქო კიდევა ჰქონდათ ეჭვი და კარგად არ იცოდნენ, ეს კაცი მართლა ტედალდო იყო თუ არა, და შეიძლება ამაში დიდხანსაც არ დარწმუნებულიყვნენ, რომ არ მომხდარიყო ერთი ამბავი, რომელმაც ნათლად დაანახვა მათ, თუ ვინ მოუკლავთ, ან რა ხელობისა იყო მოკლული.

ერთ დღეს მათი სახლის წინ ლუნიჯიანელმა ქვეითმა ჯარისკაცებმა გაიარეს. ტედალდო რომ დაინახეს, მიუახლოვდნენ და უთხრეს: „გამარჯობა შენი, ფაციუოლო!" ამაზე ტედალდომ, ძმების თანდასწრებით, უპასუხა: „სხვა ვინმე თუ გგონივართ?" ამათ რომ ტედალდოს პასუხი გაიგონეს, შერცხვათ, ბოდიში მოიხადეს და უთხრეს: „უნდა მოგახსენოთ, რომ საშინლად ჰგავხართ ჩვენს პონტრემოლელ ამხანაგს, რომელსაც ფაციუოლო ერქვა. ჩვენს დღეში არ გვინახავს, რომ კაცი კაცს ასე ჰგვანებოდა. ასე, ორი კვირა იქნება, რაც აქეთკენ წამოვიდა და მას აქეთ ვერ გაგვიგია, რა დაემართა. თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, ცოტა არ იყოს, გაგვიკვირდა, როცა სხვაგვარად ჩაცმული დაგინახეთ, იმიტომ რომ იმასაც, ჩვენსავით ჯარისკაცურად ეცვა". ტედალდოს უფროსმა ძმამ, ეს რომ გაიგონა, წინ წამოიწია და ჰკითხა:

რა ეცვა იმ ფიციუოლოსაო? იმათ აუწერეს და, მართლაც, მიცვალებულს სწორედ ისე სცმოდა, როგორც ამათ უთხრეს. ესე იგი, ამითა და სხვა ნიშნებით გამოირკვა, რომ მოკლული ყოფილა ფაციუოლო და არა ტედალდო. ამგვარად, ძმებსა და ან სხვებს თუ რამ იჭვი კიდევა ჰქონდათ, ამ გარემოებამ ყველას გაუფანტა.

ტედალდო გამდიდრებული დაბრუნდა თავის სამშობლოში და თავის საგრფოს ერთგულობდა. და რადგან ახლა ერთიმეორესთან სადავო არაფერიღა ჰქონდათ, მეტისმეტი სიფრთხილით იქცეოდნენ და სულ დიდხანს ტკბებოდნენ ურთიერთის სიყვარულით.

ნეტავი, უფალმა ჩვენმა მოგვმადლოს და ასე დაგვატკბოს ჩვენი სიყვარულით!

ამბავი მერვე. მკვდრეთით აღდგომილი

ფერონდოს რაღაც ფხვნილს დაალევინებენ და დამარხავენ, როგორც მიცვალებულს. წინამძღვარი, მის ცოლს რომ ყვარობდა, საფლავიდან ამოიყვანს და საპატიმროში ჩასვამს; ფერონდო კი დააჯერეს — განსაწმენდელში ხარო. მკვდრეთით აღდგომილი ზრდის ბავშვს, მის ცოლს წინამძღვრისაგან რომ მიეცა, და თავის საკუთარ შვილადა თვლის.

ემილიას მოთხრობა, მართალია, გრძელი იყო, მაგრამ მაინც ყველას მოეწონა. რაკი შიგ ბევრი სხვადასხვა შემთხვევა იყო მოთხრობილი, ყველას ისე მოეჩვენა, ემილიამ კიდეც შეამოკლა და ისე გვიამბოო. ბოლოს დედოფალმა მხოლოდ ანიშნა ლაურეტას თავისი სურვილი და იმანაც ასე დაიწყო: — ჩემო ძვირფასო ქალებო! ერთი ნამდვილად მომხდარი ამბავი მომაგონდა და უნდა გიამბოთ; ეს ამბავი მოგონილს უფრო ჰგავს, ვიდრე ნამდვილს. და ეს იმაზე მომაგონდა, როცა გავიგონე, რომ ერთი კაცი სხვის მაგივრად უტირიათ და დაუსაფლავებიათ. მე კი გიამბობთ, ცოცხალი როგორ იყო დამარხული მიცვალებულის მაგიერ, მერე საფლავიდან კი არ გამოსულა, არამედ მკვდრეთით აღდგა, როგორც ეს მას თვითონ და სხვებსაც ეგონათ, მერე ამისთვის როგორ შერაცხეს წმიდანად ის, ვინც, როგორც დამნაშავე, უნდა დასჯილიყო.

ტოსკანაში ძველად ერთი მონასტერი იყო. იგი დღესაც არსებობს. როგორც ბევრი სხვა მონასტერი, კარგა მიყრუებულ ადგილას გაეშენებინათ. წინამძღვრად შიგ ეყენათ ერთი ბერი, ყველა მხრივ წმინდა ცხოვრების ადამიანი; ერთი ნაკლიღა ჰქონდა — ქალების მუსუსი იყო. თავის საქმე ამ მხრივ ისე მიჰყავდა, რომ არამც თუ არავინ იცოდა, არამედ ეჭვიც არავისა ჰქონდა, რომ ეს ასეთ საქმეში გაერეოდა. ამიტომ ყველას წმინდა და მართალ კაცად მიაჩნდა.

შემთხვევამ მოიტანა და წინამძღვარი დაუმეგობრდა ერთ შეძლებულ გლეხს. გლეხს სახელად ფერონდო ერქვა. სრულებით განუვითარებელი და ბუნებით უზომოთ სულელი რამ

იყო (წინამძღვარს იმის მეგობრობა მხოლოდ იმით უხაროდა, რომ ერთობოდა, რადგან ზოგჯერ სულელობისათვის დასცინოდა და ამასხარავებდა). მალე ფერონდოს კალმით დახატული ცოლიც გაიცნო წინამძღვარმა, და ისე ძლიერადაც შეუყვარდა, რომ დღე და ღამე თვალწინ ედგა. თუმცა ფერონდო სხვა ყველაფერში გაგრია და ალალ— მართალი იყო, მაგრამ თავისი ცოლი მაინც ძალიან უყვარდა და უფრთხილდებოდა. წინამძღვარმა ეს რომ შენიშნა, თითქმის ყველა იმედი დაეკარგა გამარჯვებისა. მაინც, როგორც მიხვედრილმა კაცმა, იმდენი მოახერხა, რომ ფერონდომ ხანდისხან სიარული დაიწყო მონასტერში თავის ცოლთან ერთად მონასტრის ბაღში სასეირნოდ. აქ წინამძღვარი თავმდაბლურად ბაასს გაუბავდა საუკუნო ცხოვრების ნეტარებაზე, მოუყვებოდა ბევრ უკვე საუკუნო ცხოვრებაში გადასული ცოლ-ქმრის წმინდა საქმეთა შესახებ. ასე რომ, ცოლს სურვილი აღეძრა წინამძღვრისათვის აღსარება ეთქვა, ფერონდოს ნებართვა სთხოვა და ისიც დაეთანხმა.

ამგვარად, ქალი აღსარების სათქმელად წინამძღვართან მივიდა. თვითონ წინამძღვარი მეტად კმაყოფილი დარჩა ამით. ქალმა წინამძღვრის წინ დაიჩოქა და პირდაპირ ასე დაუწყო ლაპარაკი: „თქვენო მაღალღირსებავ, ჩემთვის რომ ღმერთს ნამდვილი ქმარი ეწყალობებინა, ან სულაც რომ არ ეწყალობებინა, მაშინ შეიძლება დავდგომოდი იმ გზას, რომელსაც, როგორც თქვენ ბრძანებთ, კაცი საუკუნო ცხოვრებისაკენ მიჰყავს. მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, თუ რა კაცია ფერონდო და ან რა ზომამდე სულელია, მე, თუმცა ქმრიანად ვითვლები, ჩემს თავს მაინც ქვრივად ვთვლი, რადგან სანამ ის ცოცხალია, მეორე ქმარზე გათხოვების ნება არა მაქვს. ფერონდო, არამც თუ გამოჩერჩეტებულია, საშინელი ეჭვიანიცაა, თუმცა ამისათვის ჩემის მხრით არავითარი საბუთი არ ეძლევა. ასე რომ, მის ხელში უსიამოვნება და მწუხარებაღა ვიცი, მეტი არაფერი. ამიტომ სანამ ცოდვების მონანიების შევუდგებოდე, უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალება მოიღოთ და რაიმე რჩევა მომცეთ, თორემ თუ ჩემი ცხოვრება ცოტა ადამიანურად არ მოვაწყვე, ვერც აღსარება მიშველის რასმე და ვეღარც სხვა კეთილი რჩევა-დარიგება“.

წინამძღვარს ცის კარი გაეხსნა ქალის იმ სიტყვებისაგან, მოეჩვენა: თვით ბედს მივყავარ იქითკენ, საითკენაც ასე მოწადინებულად მივისწრაფვიო. „ჩემო ასულო, — უთხრა წინამძღვარმა ქალს, — ოღონდაც რომ ძნელია იმისთანა მშვენიერ და ნაზ ქალს, როგორიც თქვენ ხართ, გამოთაყვანებული ქმარი ჰყავდეს. მაგრამ მგონია უმეტესად მძიმე, როცა ასეთი ქმარი ეჭვიანიცაა, მჯერა თქვენი ნათქვამი, თუ რაზომ გაწვალებულიც იქნებით. უნდა მოგახსენოთ მოკლედ და გარკვევით, რომ აქ ვერავითარ რჩევას მოგცემთ და აღარც ის ვიცი, რა წამალი დაედება თქვენს გაჭირვებას. ჩემის აზრით, ერთადერთი წამალი ის იქნება, რომ ფერონდო ეჭვიანობისაგან განვკურნოთ. მე შემიძლია მის მოსარჩენად წამალი მოვამზადო, მაგრამ იმ პირობით, თუ თქვენ სიმტკიცეს გამოიჩენთ და რასაც გეტყვით, საიდუმლოდ შეინახავთ“. — ქალმა ამაზე უპასუხა: „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩემო

მამაო; მე უმალ თავს მოვიკლავ, ვიდრე სხვას ვისმე ვეტყოდე იმას, რისი თქმაც თქვენს მიერ აკრძალული მექნება. მერე ისეთი რა წამალი იქნება, ნეტავი?!“ წინამძღვარმა უპასუხა: — „თუ გვინდა, რომ მორჩეს, უსათუოდ განსაწმენდელში უნდა გავგზავნოთ“. — „განა ცოცხალს შეუძლია იქ მოხვდეს?“ — ჰკითხა ქალმა. — „ამისათვის საჭიროა, რომ გარდაიცვალოს, — უპასუხა წინამძღვარმა, — აი, მაშინ მოხვდება განსაწმენდელში და როცა იმდენ ტანჯვას განიცდის, რომ განიკურნოს ეჭვიანობისაგან, მაშინ განსაკუთრებული ლოცვებით ღმერთს შევთხოვთ, დაუბრუნოს სიცოცხლე და ისიც გაცოცხლდება“. — „კარგი და სანამ ის გაცოცხლდებოდეს, ქვრივად უნდა დავრჩე? ხომ მეორეჯერ გათხოვება არ შემეძლება?“ — ჰკითხა ქალმა. „მართალია, — უპასუხა წინამძღვარმა, დაქვრივდებით, მაგრამ ცოტა ხნით, და სხვაზე არ უნდა გათხოვდეთ, რადგან შეიძლება ამით ღმერთი განარისხოთ, და როცა სააქაოს ისევ დაუბრუნდება ფერონდო, თქვენს მეორე ქმარს უნდა მოშორდეთ და ეს კი წინანდელზე უარესად გააეჭვიანებს“. ქალმა ამაზე უთხრა: „ოღონდ კი ამ საშინელი სენისაგან განიკურნოს, ჩემს ჯოჯოხეთურ ტანჯვას ბოლო მოეღოს, და მე ყველაფერზე თანახმა ვარ: რაც გნებავდეთ, ის უყავით“. — „ვუწამლებ, მაგრამ ამ სამსახურისათვის თქვენგან რაღა სასყიდელს მივიღებ?“ — „რასაც მთხოვთ, ყველაფერს მოგართმევთ, თქვენო მაღალღირსებავ, — უპასუხა ქალმა, — მხოლოდ ისეთი რამ უნდა მთხოვოთ, რის მოცემაც შემეძლება. მაგრამ ჩემისთანა საცოდავმა ქალმა, აბა, რა უნდა მიართვას შესაფერი იმისთანა მაღალღირსეულს გვამს, როგორიც თქვენა ბრძანდებით?“. ამაზე წინამძღვარმა უპასუხა:

„როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, ამის თქმა! თქვენ რის მოცემაც შეგიძლიათ, ჩემ მიერ გასაწევ სამსახურზე ნაკლები კი არ იქნება. ამიტომ მე მზად გახლავართ ავასრულო ის, რაც სიკეთეს მოგმადლებთ და განუგეშებთ, სამაგიეროდ თქვენც შეგიძლიათ მიყოთ ისეთი რამ, რაც გაახარებს ჩემს სულსა და ხორცსა“.

— „რაკი ეგრეა, — უთხრა მაშინ ქალმა, — მე მზად გახლავართ“. — მაშ, — უთხრა წინამძღვარმა, — უნდა მაჩუქოთ თქვენი სიყვარული და ნება მომცეთ, დავტკბე თქვენი ხვევნა-ალერსითა, რაც ასე მწვავს და მდაგავს და სულსწრაფად მენატრება“. — ასეთი სიტყვები რომ გაიგონა ქალმა, შეეშინდა და უთხრა: — „ოჰ, მამაო, როგორ გეკადრებათ ასეთი რამის თხოვნა? მე მეგონა, წმიდა კაცი ბრძანდებოდით. განა წმიდა კაცებს შეეფერებათ, მათთან რჩევა-დარიგებისათვის მისულ ქალებს ასეთი რამე სთხოვონ?“ — ამაზე წინამძღვარმა ასე უპასუხა: „ნუ გიკვირთ, ჩემო ტკბილო, რადგან ამით ადამიანის სიწმიდეს არაფერი აკლდება; ვინაიდან სიწმიდე სულიერია, ხოლო რასაც მე გთხოვთ, ხორციელი ცოდვაა, მაგრამ ასეა, თუ ისე, თქვენმა უებრო მშვენიერებამ ისე შემბოჭა, რომ სიყვარული ძალას მატანს ასე მოვიქცე, და არა სხვანაირად. იმასაც გეტყვით, რომ თქვენ ყველაზე მეტად შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი სილამაზით, ვინაიდან ეს თქვენი სილამაზე მოსწონთ თვით წმიდანებსაც, რომელნიც დაჩვეულნი არიან განჭვრიტონ ხოლმე მშვენიერება ზეციური. გარდა ამისა,

მართალია, წინამძღვარი კი ვარ, მაგრამ მეც იმნაირივე ხორცშესხმული ადამიანი ვარ, როგორც ყველა სხვა, და თქვენ თვითონა ხედავთ, ჯერ კიდევ მოხუცად ვერ ჩამაგდებთ. ეს თქვენ არ გაგიჭირდებათ; პირიქით, თქვენ უნდა ნატრობდეთ ამის გაკეთებას, რადგან იმ დროს, როცა ფერონდო განსაწმენდელში იქნება, მე ღამე თქვენთან მოვალ და იმნაირსავე ნუგეშსა გცემთ, როგორიც იმას უნდა ეცა თქვენთვის. გარდა ამისა, ამას ვერავინ შეამჩნევს და ყველა იმავე აზრისანი იქნებიან ჩემზე, როგორისაც თქვენ იყავით, და უფრო მეტისაც. ამიტომ ნუ უარყოფთ ღვთის ბოძებულ წყალობას; ვინ იცის, რამდენია ისეთი, ვისაც ენატრება ის, რის მიღებაც თქვენ შეგიძლიათ და მიიღებთ კიდეც, თუ ჭკუით მოიქცევით და ჩემს რჩევა-დარიგებას შეისმენთ. ამასთან, ბევრი რამ მშვენიერი და ძვირფასი ნივთი მომეპოვება და განზრახვა მაქვს სხვა უთქვენოს არავის მივცე. ასე, ჩემო უტკბილესო სასოებავ, მიყავით მე ის, რასაც თქვენთვის მე დიდი სიამოვნებით ვიზამ“. ქალმა ძირს დახარა თავი და არ იცოდა, როგორ ეთქვა უარი, მაგრამ ამავე დროს, ეგონა, რომ თუ დავთანხმდი, ვაითუ ცუდად გამომივიდეს საქმეო.

წინამძღვარი ხედავდა, რომ ქალმა მოუსმინა ნათქვამი, მაგრამ პასუხის მიცემას ყოყმანობდა, და ამიტომ იფიქრა, ნახევრად დავაჯერეო. ამ ნათქვამს კიდევ ბევრი რამ სხვა დასძინა. ჯერ სათქმელი სულ არ გაეთავებინა, ქალი კი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ეს კარგი საქმე იქნებოდა. ბოლოს დარცხვენით უთხრა წინამძღვარს: — მზად გახლავართ, თქვენს ბრძანებას ყველაფერს დავემორჩილო, მაგრამ მანამდის არა, სანამ ფერონდო არ წავა განსაწმედელშიო. ქალის ნათქვამმა წინამძღვარი გაახარა და უთხრა: „ჩვენ ისე მოვახერხებთ, რომ ფერონდო ფიცხლავ წავიდეს განსაწმედელში: მხოლოდ ისე მოაწყეთ, რომ ხვალ ან ზეგ მოვიდეს და ცოტა მეტს ხანს დარჩეს ჩემთან“. — ეს უთხრა ქალს, ხელში ჩუმად ჩაუდო საუცხოო ბეჭედი და გაუშვა. ქალს მეტად გაეხარდა საჩუქრის მიღება და თან იმედოვნებდა — მაგისთანებს კიდევ მივიღებო. მერე მივიდა მასთან ერთად აქ მოსულ მეგობარ ქალებთან, ვინ იცის, რამდენი რამ უამბო წინამძღვრის სიწმიდეზე და მათთან ერთად დაბრუნდა სახლში.

რამდენიმე დღის შემდეგ მონასტერში მოვიდა ფერონდოც. წინამძღვარმა რომ დაინახა, მაშინვე გადაწყვიტა მისი გაგზავნა განსაწმედელში. მოძებნა ერთი საოცარი თვისების ფხვნილი. ეს ფხვნილი წინამძღვარს აღმოსავლეთის ერთმა ძლიერმა ხელმწიფემ აჩუქა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ამ ფხვნილს ხმარობს მთის მოხუცი, როცა ძილში ვინმეს გაგზავნა უნდა სამოთხეში ან იქიდან უკან დაბრუნებაო. ამ წამლის ზომაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს ეძინება საიქიოს გასაგზავნ კაცს და სანამ წამლის ძალა მოქმედებს, ძნელი იქნება იმის თქმა — იმისი მიმღები ცოცხალია თუ მკვდარი.

წინამძღვარმა ეს ფხვნილი იმდენი აიღო, რომ სამი დღის განმავლობაში დასაძინებლად ეყოფოდა, ჩაყარა ჯერ კიდევ დაუდუღებელი ღვინით სავსე ჭიქაში და თავის სენაკში

ფერონდოს მისცა დასალევად. ფერონდომ დალია და ვერაფერი შეატყო. ამას შემდეგ ჩამოატარა მონასტერში და სხვა ბერებთან ერთად მის სისულელეებზე კარგა ხანს იცინოდა. მაგრამ ეს გართობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან წამალმა გაჭრა: ფერონდოს გონება დაუბნელდა და ისეთი ძილი მოერია, რომ ზეზეურად დაეძინა და დაეცა. წინამძღვარმა თავი მოიკატუნა, ვითომ შეეშინდა ამ შემთხვევისა, უბრძანა ფერონდოსათვის ქამარი შემოეხსნათ, ცივი წყალი მოეტანათ და სახეზე ესხურებინათ. ამას გარდა ბევრი სხვა საშუალებაც იხმარა ვითომ მის მოსასულიერებლად და გონს მოსაყვანად. თანაც იძახოდა: გული ალბათ იმიტომ წაუვიდა, რომ კუჭში გაზები დაუგროვდა ან რამე სტანჯავდა და ამის მიზეზითააო.

როცა წინამძღვარმა და ბერებმა დაინახეს, რომ მიუხედავად ყოველივე ამისა, ფერონდო მაინც ვერ მოდიოდა გონს და მაჯაც რომ გაუსინჯეს, დაინახეს, რომ მაჯა აღარ უცემდა,

დარწმუნდნენ — მოკვდაო. მაშინვე ცოლსა და ნათესავებს შეატყობინეს და ისინიც დაუყოვნებლივ გაჩნდნენ მონასტერში. როცა ცოლმა და ნათესავებმა ცოტათი გამოიტირეს მიცვალებული, წინამძღვარმა ბრძანა თავის ტანისამოსიანად აკლდამაში ჩაესვენებინათ.

ცოლი შინ დაბრუნდა და თქვა: ჩემს ვაჟს, ფერონდოსგან რომ მყავს, არაფრის გულისათვის არ მოვიშორებო. ასე და ამგვარად, სახლში მარტო დარჩა, დაუწყო შვილს ზრდა და განაგებდა ფერონდოსაგან დატოვებულ ოჯახს.

თვითონ წინამძღვარი და მასთან ერთად ერთი ბოლონიელი ბერი, რომელსაც წინამძღვარი ძალიან ენდობოდა და რომელიც სწორედ ამ დღეს მოვიდა მონასტერში ბოლონიიდან, ადგნენ, საიდუმლოდ ამოიღეს ფერონდო აკლდამიდან და გადაიტანეს მეორე, სრულიად ბნელ აკლდამაში; ამ აკლდამაში დამნაშავე ბერებს ამწყვდევდნენ. აქ ფერონდოს გახადეს მისი ტანისამოსი, შემოსეს ბერულად, ჩალის კონაზე დააწვინეს და დატოვეს ასე მანამდე, სანამ თვით არ მოვიდოდა გრძნობაზე. ბოლონიელი ბერი, რომლის გარდა სხვამ არავინ იცოდა ამ ამბისა, წინამძღვარმა დაარიგა, რაც უნდა ექნა, და იმანაც დაუწყო ლოდინი, როდის მოსულიერდებოდა ფერონდო.

მეორე დღეს წინამძღვარი რამდენიმე ბერთან ერთად წავიდა ფერონდოს ცოლთან, ვითომ მის სანახავად და მოსაკითხავად. ქალი მძიმე შავებში დაუხვდა, მეტად მგლოვიარე. ნუგეში სცა და იმავე დროს ჩუმად ჩაუფუჩუნა ყურში — პირობაზე როგორა ხარო? ქალი ხედავდა, რომ ახლა თავისუფალი იყო და ხელს არ შეუშლიდა არც ფერონდო და აღარც სხვა ვინმე; თანაც წინამძღვარს თითზე წამოცმული სხვა ლამაზი ბეჭედი დაუნახა და უთხრა: მზად გახლავართ, თუნდ ამაღამვე გელითო.

რომ დაღამდა, წინამძღვარმა ჩაიცვა ფერონდოს ტანისამოსი და გაიყოლია თავისი ერთგული ბერი ამ ქალთან. ცისკრამდე არ მოშორებია, გული სიამოვნებით იჯერა და მერე მონასტერში დაბრუნდა. წინამძღვარმა ხშირ-ხშირად იწყო ქალთან სიარული ამავე საქმისათვის. ზოგჯერ როცა ქვრივთან მიდიოდა ან მისგან ბრუნდებოდა, ზოგი ვინმე შეხვდებოდა კიდეც, მაგრამ ყველას ისე ეგონა, ეს ფერონდოს სულია, იქეთ-აქით რომ დაძრწის და ცოდვებს ინანიებსო. მერე ყრუ და გონებადაბნეულ სოფლელთ შორის ამის შესახებ ათასნაირი მითქმა-მოთქმა აგყდა; ქვრივსაც არაერთხელ გააგონეს, ასეა საქმეო, თუმცა იმან მშვენივრად იცოდა, რა ამბავიც იყო.

როცა ფერონდო გამოეხიზლდა, ვერასგზით ვერ მიხვედრილიყო, თუ სად იყო. ამ დროს შემოვიდა ბოლონიელი ბერი, რომელსაც ხელში სახრეები ეჭირა; შეუტია საშინელი ხმით, მივარდა და სახრით სულ აუჭრელა ზურგი. ფერონდო, რაც ხმა ერჩოდა, ყვიროდა, ტიროდა და სულ იმას კითხულობდა: „ღმერთო ჩემო, სადა ვარ?“ — ამაზე ბერმა უპასუხა: — „განსაწმედელში“. — „როგორ!“ — წამოიძახა ფერონდომ, — მაშ მკვდარი ვარ?“ — „მაშ!“ — უპასუხა ბერმა.

ეს რომ გაიგონა, ფერონდომ გამოიტირა თავისი თავი, თავისი ცოლი და თავისი ბავშვიცა და თვითონაც არ იცოდა, რასა ბოდავდა. ამის შემდგ ბერმა ცოტა საჭმელ-სასმელი მიუტანა. ეს რომ დაინახა, ფერონდომ ჰკითხა: „ეს რა ამბავია, მკვდრები ნუთუ საჭმელსა სჭამენ?: — „დიახ,“ — უთხრა ბერმა, — რაც ახლა მოგიტანე, ამ დილას შენმა ნაცოლარმა გაგზავნა ეკლესიაში, რომ შენი სულის საოხად გვეწირა, და უფალმა ღმერთმა ინება, რომ ეს შენთვის მოგვეტანა“ — „ღმერთმა დიდი დღე მისცეს საცოდავს! — თქვა ფერონდომ: — მეც ძალიან მიყვარდა სიცოცხლეში, მთელი ღამე ხელები მქონდა მოხვეული წელზე და ვკოცნიდი და, თუ გუნებაზედაც ვიქნებოდი, სხვას რამესაც ვუზამდი“. მერე საჭმელ— სასმელს ეძგერა, რადგან ძალზე იყო დაყმედილი. ღვინო არ მოეწონა და თქვა: „ღმერთმა მოჰკითხოს, რომ მღვდლისათვის იმ კასრის ღვინო არ გამოუგზავნია, კედელთან რომ დგას“. — როცა დანაყრდა, ბერმა ისევ წაავლო ხელი და იგივე სახრე გადუჭირა და გადუჭირა.

ყვირილით რომ მოიქანცა, ფერონდომ ბერსა ჰკითხა: „ერთი მითხარი, რათა მცემ?“ — „რათა და მათა, რომ ღმერთმა გვიბრძანა, დღეში ორჯერა გცემოთ“. — მერედა რისთვის?“

— იკითხა ფერონდომ. — რისთვისა და იმისთვისა, რომ შენს ცოლზე ეჭვიანობდი, თუმცა შენს ცოლზე უკეთესი ცოლი შენს სოფელში არავისა ჰყოლია. — „ვაი ჩემს შავს დღეს! —

წამოიძახა ფერონდომ. — „მართალს ამბობ, იმისთანა ტკბილი ადამიანი ღმერთს სხვა ვინმე არ გაუჩენია. თაფლზე უტკბესი იყო, მაგრამ მე თვალდამდგარმა რა ვიცოდი, თუ ღმერთი წყრება ხოლმე, როცა ქმარი ეჭვიანია, და მე კი ეჭვიანი ვიყავი, მე უბედურის დღის

გაჩენილი“ — „სანამ მიწაზე იყავი, მანამდე უნდა გეფიქრა ესა და გამოსწორებულიყავი, — უთხრა ბერმა, — და თუ ვინიცობაა, ისევ მოგიხდეს დედამიწაზე დაბრუნება, გახსოვდეს, რასაც ახლა გიშვრები; ღმერთი არ გაგიწყრეს და კვლავ არ დაიწყო ეჭვიანობა“. — „განა ვინც ერთხელ მოკვდება, კიდევ შეიძლება დაბრუნდეს დედამიწაზე?“ — ჰკითხა ფერონდომ. — „ჰო, თუ ამაზე უფლის ნება იქნება“, — უპასუხა ბერმა, — „ოღონდ კი — თქვა ფერონდომ, — დავბრუნდე დედამიწაზე და მგონია, ჩემზე უკეთესი ქმარი არ იქნეს: არც როდესმე ვცემ, აღარც გავუჯავრდები, მარტო იმაზე გავუჯავრდები ცოტათი, რომ დღეს ცუდი ღვინო გამომიგზავნა, აგრეთვე იმისათვისაც, რომ სანთელი არ გამომიგზავნა და იძულებული ვიყავი ბნელაში მეჯამნა“. — „როგორ არა, გამოგზავნით კი გამოგიგზავნა, მაგრამ ყველა სანთელი წირვაზე ენთო და დაიწვა“. — „ჰო, — თქვა ფერონდომ, — მართალია, დაიწვოდა. რაც იყო, იყო, ოღონდ კი როგორმე დავბრუნდე მიწაზე, გეფიცები, სრულ თავისუფლებას მივანიჭებ ჩემს ცოლს — რაც უნდა, ისა ჰქნას. მაგრამ ერთი ეს მითხარი, შენ ვინღა ხარ, რომ ასე მექცევი?“ — „შენისთანა მიცვალებული ვარ, — უთხრა ბერმა, — მე თვითონ სარდინიელი ვარ. იმისათვის, რომ ჩემს ბატონს ეჭვიანობას ვუქებდი, უფალმა ეს სასჯელი მომისაჯა, ესე იგი, შენ უნდა გასვა, გაჭამო და სახრითა გცემო ხოლმე მანამდე, სანამ ღმერთს არ მოენებება — შენცა და მეც სხვანაირად მოგვექცეს“. — „კარგი და, აქ ჩვენს ორს გარდა სხვა არავინაა?“ — ჰკითხა ფრონდომ. — „როგორ არა, არიან, — უპასუხა ბერმა, — ათასობით არიან, მხოლოდ მათ ვერც დაინახავ, და ვერც რას გაიგონებ მათსა, ისევე, როგორც იმათ არ შეუძლიათ შენი ნახვა“. მაშინ ფერონდომ ჰკითხა: „ჩვენი ქვეყნიდან ძალიან შორსა ვართ?

— „ო-ო—ო, ძალზე შორსა ვართ, — უპასუხა ბერმა, — უქვეყნობის ადგილს იქითა ვართ“. — „მართლა რომ შორსა ვყოფილვართ, — თქვა ფერონდომ, — მგონი სამყარო უკან დაგვრჩენია, — ძალიან შორს კი წამოვსულვართ, მე და ჩემმა ღმერთმა“.

ამნაირ და სხვა ამის მსგავსი ამბებით, ჭამა-სმითა და ცემით გაატარებინეს ფერონდოს ათი თვე. ამ ხნის განმავლობაში ბერი ძალიან ხშირად და სრულებით დაუბრკოლებლად დადიოდა ლამაზ ქალთან, რომელთანაც მეტად სასიამოვნოდ ატარებდა დროს. მაგრამ, ეშმაკად, ქალი დაორსულდა და შეამჩნია თუ არა, წინამძღვარს უთხრა. ორისავ აზრით, ახლა კი დრო იყო განსაწმედელიდან ფერონდოს დაბრუნებისა და გაცოცხლებისა; ფერონდო ცოლს დაუბრუნდებოდა და ცოლიც ეტყოდა, შენგან ვარ ორსულადო.

ამიტომ წინამძღვარმა ბერს უბრძანა, მეორე ღამეს ხმა გამოეცვალა, დაეძახნა ფერონდოსათვის და ეთქვა: „ფერონდო, გაიხარე: ღვთის ნებით ქვეყნად უნდა დაბრუნდე. როცა დაბრუნდები, შენს ცოლს შენგან ვაჟი მიეცემა, რომელსაც სახელად უწოდებ ბენედიქტს, იმიტომ, რომ უფალმა ეს გიწყალობა ლოცვითა შენის წმიდა წინამძღვრისა, შენის ცოლისა და წმ. ბენედიქტეს მეოხებითა და სათნოყოფითა“. ფერონდომ ეს რომ გაიგონა, ფრიად გაიხარა და თქვა: „ოჰ, რა კარგია! ღმერთო, შენ მიეც შენი წყალობა და დღეგრძელობა

წინამძღვარსაც, წმ. ბენედიქტესაც და ჩემს ტკბილ, თაფლის სადარ ცოლსაც!“

წინამძღვარმა ბერს უთხრა, ღვინოში გაერია იმდენი ფხვნილი, რომ ოთხი საათის განმავლობაში დაეძინებინა და ამ ძილში უნდა ჩაეცმიათ საკუთარი ტანისამოსი. მერე წინამძღვარმა თავისი ერთგული ბერის დახმარებით ისევ იმ საფლავში ჩააწვინა, სადაც პირველად იყო დამარხული.

ფერონდოს მეორე დღეს განთიადისას გამოეღვიძა და დაინახა სინათლე, რომელიც აკლდამაში რაღაც ჭუჭრუტანიდან ჩამოდიოდა და რომელიც თითქმის ცხრა თვის განმავლობაში არ უნახავს. იფიქრა, ცოცხალი უნდა ვიყოვო და რაც ძალი და ღონე ერჩოდა, ყვირილი მორთო: „გამიღეთ, გამიღეთ!“ და თან ისე ღონივრად მიაწვა თავით აკლდამის სახურავს, რომ ადგილიდან დაძრა; რადგან მისი დაძვრა ადვილი იყო, სულ გადასწია გვერდზე. ცისკრის ლოცვაზე მდგარმა ბერებმა მოირბინეს და რომ დაინახეს, ფერონდო აკლდამიდან უნდა გამოძვრესო, იმ ზომამდე შეშინდნენ, რომ ოთხანაღებ გაიქცნენ და მიირბინეს წინამძღვართან. იმან თავი ისე აჩვენა ბერებს, თითქოს, ეს-ეს არის, გავათავე ლოცვაო, და უთხრა: „ჩემო შვილებო, ნუ გეშინიათ, აიღეთ ჯვარი და აიაზმა და გამომყევით უკან. ვნახოთ, რა სასწაული უნდა გამოგვიჩინოს ღვთის ყოვლადძლიერებამ“. ასეც მოიქცა.

ამასობაში ფერონდო აკლდამიდან გამოძვრა, საშინლად გაყვითლებული, როგორც ადამიანი, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში დღის სინათლე არ უნახავს. წინამძღვარი დაინახა თუ არა, მაშინვე ფეხებზე მოეხვია და უთხრა: „მე გამომეცხადა, რომ თქვენი ლოცვითა, აგრეთვე წმ. ბენედიქტესითა განთავისუფლებული ვიქნები განსაწმედელის ტანჯვა-წვალებისაგან და დავუბრუნდები ისევ სიცოცხლეს. ამიტომ მამაზეციერსა ვთხოვ ბედნიერი წელიწადი გაგითენოთ დაა ბედნიერად გაცოცხლოთ აწ და მარადის“. ამაზე წინამძღვარმა უთხრა: — „კურთხეულ და დიდებულ იყავნ ყოვლად ძლიერება უფლისა! რადგან უფალმა ისევ დაგაბრუნა მიწაზე, წადი, ჩემო შვილო, და ანუგეშე შენი ცოლი, რომელსაც თვალებზე ცრემლი არ შეშრობია მას აქეთ, რაც შენ სააქაო ცხოვრება განუტევე და ამიერიდან იყავ ერთგული მსახური უფლისა“. — „თქვენო მაღალღირსებავ, — მოახსენა ფერონდომ, — ეს უკვე იქ მითხრეს. თქვენ დარდი ნუ გაქვთ, ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, — როგორც კი დავინახავ ჩემს ცოლს, მაშინვე კოცნას დავუწყებ, რომ იცოდეთ, რარიგ მიყვარს!“

წინამძღვარი მარტო დარჩა თავის ბერებთან, თავი ისე მოაჩვენა, ვითომ საშინლად უკვირდა ასეთი სასწაული და უბრძანა, „უფალო, შეგვიწყალენ“ ეგალობათ.

ფერონდო დაბრუნდა თავის სოფელში. ვინც კი დაინახავდა, ყველა გაურბოდა, როგორც საშინელ რასმე; ის კი ყველას იხმობდა და არწმუნებდა, მკვდრეთით აღვდექიო. ცოლს-კი საშინლად შეეშინდა, მაგრამ მერე, როცა ხალხი ცოტ-ცოტათი შეეჩვია და ყველამ

დაინახა, რომ ფერონდო ცოცხალი იყო, დაუწყეს გამოკითხვა ზოგი რაზე, ზოგი რაზე. ფერონდო კი, თითქო დაჭკვიანდაო, ყველას უპასუხებდა მოცემულ კითხვებზე, მათი ნათესავების სულების ამბავს ეუბნებოდა; თვითონ თავის მხრივ საოცარი ტყუილი შეთხზა — განსაწმედელში ესა და ეს ხდებაო. მერე მთელ ხალხს უთხრა, მთავარანგელოზი გაბრიელი გამომეცხადა მკვდრეთით აღდგომის წინაო...

დაბრუნდა შინ ფერონდო თავის ცოლთან, ისევ დაეპატრონა თავის ქონებას და, როგორც ეგონა, გახდა ცოლის დაორსულების მიზეზად. და ცოლსაც დანიშნულ ვადაზე, თანახმად სულელი ადამიანებისა, რომელთაც ჰგონიათ, რომ ქალი ბავშვს მუცლით ცხრა თვეს ატარებს, ეყოლა ვაჟი, რომელსაც სახელად დაარქვეს ბენედეტო ფერონდო.

საიქიოდან დაბრუნებულ ფერონდოს ნალაპარაკევს ყურს რომ უგდებდნენ, თითქმის ყველამ დაიჯერა, რომ ფერონდო მართლა აღდგა მკვდრეთით. ამ გარემოების წყალობით წინამძღვრის სიწმიდის სახელი უფრო გაიზარდა. ხოლო ფერონდო, თანახმად ქალისადმი წინამძღვრის მიერ მიცემული პირობისა, სრულიად განიკურნა იჭვნეულობისაგან. ქალსაც ეს ძალიან უხაროდა და განაგრძობდა ქმართან პატიოსნად ცხოვრებას, მხოლოდ ისე კი, როცა ოსტატურად მოახერხებდა, სიამოვნებით ატარებდა დროს წმიდა წინამძღვართან, რომელიც მეტად კარგად და გულმოდგინედ უსრულებდა იმას, რაც ქალს ყველაზე მეტად უნდოდა.

ამბავი მეცხრე. ჯილეტა ნერბონელი

ჯილეტა ნერბონელი საფრანგეთის მეფეს მუწუკს მოურჩენს და სთხოვს ქმრად შერთოს ბელტრამოდი როსილიონე; ეს უკანასკნელი თავისი სურვილის წინააღმდეგ შეირთავს ქალს. დადარდიანებული ფლორენციაში მიდის. აქ ერთ ახალგაზრდა ქალს ეარშიყება. ეგონა, ამასთან ვწევარო, თურმე ჯილეტა კი ყოფილა და მასთან ტყუპი შვილი ეყოლება. მერე ღირსეულად დააფასებს და დაიტოვებს, როგორც კანონიერ ცოლს.

ლაურეტა რომ მორჩა ამბავს, რაკი არავის უნდოდა დიონეოს უპირატესობას შეხებოდა, სათქმელი რჩებოდა მხოლოდ დედოფალს. ამიტომ არც კი დაუცდია, რომ თავისიანებს ეთხოვნათ ამის შესახებ, და აღელვებულმა ასე დაიწყო ლაპარაკი: — აბა, ვის შეუძლია თქვას ისეთი ამბავი, რომ ლაურეტას ნათქვამის შემდეგ ხალხს მოეწონოს? კიდევ კარგი, რომ პირველად ეს არ იყო თქმული, თორემ იმის შემდეგ ძალიან ცოტა მოეწონებოდათ მსმენელთ და, მე მგონი, იგივე დღე დაადგება იმ ამბებსაც, რომელიც დღეისათვის დარჩა სათქმელად. მაგრამ, როგორიც უნდა იყოს ჩემი მოთხრობა, მაინც გიამბობთ, რადგან მოცემულ თემას მიუდგება.

საფრანგეთის სამეფოში ერთი კეთილშობილი ცხოვრობდა. სახელად ერქვა ისნარდო და იყო კონტი როსილიონელი. რადგან ხშირად ავადმყოფობდა, სულ თან ჰყავდა ექიმი, რომელსაც მაესტრო ჯერარდო ნერბონელი ერქვა. ხსენებულ კონტს ერთი სულ პატარა ბავშვი ჰყავდა, სახელად ბელტრამოს ეძახდნენ. მეტად მშვენიერი და თავაზიანი რამ იყო და თავის ხნის ბავშვებთან ერთად იზრდებოდა. ამ ბავშვებს შორის ამ ექიმის პატარა ქალი ჯილეტაც ერია. ჯილეტას ისე ძლიერად შეუყვარდა ბელტრამო, რომ მის ჩვილ ასაკს არც კი შეშვენოდა. კონტი რომ გარდაიცვალა, ბავშვი მეფის საზრუნავი გახდა და პარიზში მოუხდა წასვლა. ამან ძალიან დააღონა ქალი, რომელიც უსასოო შეიქნა. ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ ქალის მამაც გარდაიცვალა და რამე საპატიო მიზეზი რომ გამოსჩენოდა, დიდი სიამოვნებით წავიდოდა პარიზში ბელტრამოს სანახავად. მაგრამ, რადგან ქალი მდიდარი იყო და მარტოდმარტო დარჩენილი, თვალყურს ძალიან ადევნებდნენ და თვითონ კი იქ წასასვლელად საპატიო მიზეზს ვეღარ პოულობდა.

ქალი უკვე გასათხოვარი გახდა. ბელტრამოს სიყვარული მაინც გულში ჩარჩენოდა და ვეღარ ივიწყებდა. ამიტომ ბევრს, ვისაც კი თავისიანები საქმროდ ურიგებდნენ, უარი უთხრა ცოლობაზე, თუმცა უარის მიზეზს არავის ეუბნებოდა. ჯილეტას ესმოდა, ბელტრამო მეტად ლამაზი ყმაწვილი კაცი დადგაო, და ეს უფრო უღვივებდა მისდამი სიყვარულს. ამასობაში ამბავი მოვიდა, რომ საფრანგეთის მეფეს გულზე მუწუკი რამ გასჩენია, კარგად ვერ მოურჩენიათ, გამიზეზებია და საშინლადა სტანჯავს და აწუხებსო. ქვეყნის ექიმები მოღლილან და ერთი არავინ გამოჩენილა ისეთი, რომ მეფის მორჩენა შესძლებოდა, პირიქით, უფრო გაუმწვავებიათ საკვივარი. ამიტომ სასოწარკვეთილ მეფეს არც დახმარება ვისიმე უნდოდა თურმე და აღარც რჩევა-დარიგება.

ჯილეტას ძალზე გაეხარდა ეს ამბავი. აბა, ბედს თუ ვეწევი, ახლა ვეწევიო. არამცთუ საბაბი მექნება პარიზში წასვლისა, არამედ, თუ ის საკვივარია, რასაც მე ვფიქრობო, ბელტრამოზე ჯვრის დაწერას სულ ადვილად მოვახერხებო. რადგან მამისაგან ბევრგვარი წამლის კეთება ჰქონდა ნასწავლი, დანაყა სხვადასხვა მარგებელი ბალახები, რომელიც, მისი აზრით, ამ საკვივარს წამლად უნდა დასდებოდა, შეჯდა ცხენზე და გაემართა პარიზისაკენ.

ყოველთ უწინარეს, ჯილეტამ ბელტრამოს ნახვა მოახერხა, მერე წარუდგა მეფესა და სთხოვა, მონყალება მოეღო და ენებებინა, რათა ეჩვენებინა მისთვის, თუ სადა სტკიოდა. მეფემ რომ დაინახა ლამაზი და მომხიბვლელი ახალგაზრდა ქალი, მისი გაცუდება ვერ მოახერხა და უჩვენა. ქალმა იარა რომ დაინახა, მაშინვე დარწმუნდა, რომ მოარჩენდა, და ჰკადრა: „ჩემო ხელმწიფევ, თუ თქვენი ნებაც იქნება, ღვთის შეწევნით, უმტკივნეულოდ და თქვენს შეუწუხებლად ერთ კვირაზე მოგირჩენთ საკვივარს“. მეფეს ქალის ნათქვამზე გულში გაეცინა და უთხრა: „რას ამბობ, ქალო?! რაც მთელი ქვეყნის საუკეთესო ექიმებმა ვერ გაიგეს და ვერ მოარჩინეს, თქვენისთანა ახალგაზრდა ქალმა როგორღა უნდა მოარჩინოს?“ მერე მაინც

მადლობა უბრძანა მისი კეთილი სურვილისათვის და უთხრა — გადაწყვეტილი მაქვს ექიმების ნათქვამს ამიერიდან ყური აღარ ვათხოვოო. ამაზე ახალგაზრდა ქალმა ასე მოახსენა: „ხელმწიფეო, თქვენ ტყუილად გინებებიათ ჩემი ცოდნის დაწუნება, აქაო და ახალგაზრდაა და ისიც ქალიო. ვკადნიერდები და მოგახსენებთ, რომ მე ჩემებურად კი არა ვწამლობ, არამედ ღვთის შეწევნით და იმ ხერხით, რა ხერხიც მასწავლა მაესტრო ჯერარდო ნერბონელმა, რომელიც მამაჩემი გახლდათ და სიცოცხლეში განთქმულ ექიმადაც ითვლებოდა.

მეფემ იფიქრა: იქნებ თვით ღმერთმა გამომიგზავნა ეს ქალიო. ან რატომ არ უნდა ვნახო ამ ქალის ცოდნაცა, მით უფრო, რომ უმტკივნეულოდ სულ მოკლე ხანში მორჩენას მპირდებაო!.. გადაწყვიტა, ეცადა მისი წამლობა და უთხრა: ქალო, „თუ ჩემი გადაწყვეტილება დამარღვევინეთ და ვერ მომარჩინეთ, მაშინ რა გიყოთ?“ – „ჩემო ხელმწიფეო, დარაჯები მომიჩინეთ, და თუ ერთ კვირაზე ვერ მოგარჩინეთ, ცეცხლში დააწვევინეთ ჩემი თავი. მაგრამ თუ მოგარჩინეთ, რა წყალობას მოიღებთ ჩემზე?“ — ამაზე მეფემ უპასუხა: „მე მგონი, ჯერ გასათხოვარი უნდა იყოთ, თუ მომარჩინეთ, დიდებულ კაცს მიგათხოვებთ“. ამაზე ქალმა მოახსენა: ჩემო ხელმწიფევ, ძალიან მოხარული გახლავართ, რომ გათხოვებას მპირდებით, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ქმრად ის მინდა, ვისაც მე თვითონ გთხოვთ, ამასთან ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ქმრად არც რომელსამე თქვენს წულსა გთხოვთ და არც ვისმე სამეფო გვარისას“. მეფე დაპირდა, აგისრულებ, რასაცა მთხოვო.

ქალმა ხელი დაადო ავადმყოფ მეფეს და სულ მოკლე ხანში, დაპირებულ ვადამდეც, მოარჩინა. მეფემ თავისი თავი მორჩენილი რომ დაინახა, ქალს უთხრა: ჩემო კარგო, მართლა ღირსი ხარ ქმრისაო. ამაზე ჯილეტამ მოახსენა: „მაშასადამე, ჩემო ხელმწიფევ, დამიმსახურებია ქმრობა ბელტრამო როსილიონელისა, რომელიც ჩემს პატარაობაში შემიყვარდა და მერე მისი სიყვარული განუწყვეტლივ გულში მიტარებია“. მეფეს მეტად ემძიმებოდა ქალისათვის ასეთი საჩუქარი, მაგრამ რაკი პირობა მისცა, არ უნდოდა პირი გაეტეხა, დააძახებინა ყმაწვილისათვის და უბრძანა: „ბელტრამო, თქვენ უკვე დიდი ხართ და სწავლაც გაათავეთ: ჩვენი ნებაა, ახლა თქვენს მხარეში დაბრუნდეთ და თანაც წაიყვანოთ ერთი ქალი, რომელიც ჩვენ თქვენთვის ცოლად მოგვიცია“. ბელტრამომ შეჰკადრა: „მერედა ვინ გახლავთ ჩემი საცოლე, ჩემო ხელმწიფევ?“ ამაზე მეფემ უპასუხა: ეს ის ქალია, ვინც მიწამლა და განმკურნაო. ბელტრამოს ქალი უნახავს და იცნობდა, და თუმცა მეტად ლამაზად ეჩვენებოდა, თავისი წოდების საფერად მაინც არა თვლიდა და მთლად გულამღვრეულმა მოახსენა: „ჩემო ხელმწიფევ, მაშ თქვენა გნებავთ ექიმი ქალი შევირთო ცოლად? ღმერთმა დამიფაროს ასეთ ქალს როდესმე ვირთავდე!...“ ახლა მეფემ უთხრა: „მაშ, თქვენა გნებავთ გავტეხო ის პირობა, სენისაგან ჩემს განსაკურნებლად რომ მიმიცია ამ ქალისათვის, რომელმაც გასამრჯელოდ თქვენი ქმრობა მთხოვა?“ – „დიდებულო, — მოახსენა ბელტრამომ,

— თქვენ უფლება გაქვთ წამართვათ, რაც მაბადია, და როგორც თქვენი ყმა, ვისაცა გნებავთ, იმას გაუბოძოთ ჩემი თავი; მხოლოდ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ცოლის ამგვარად შერთვის გამო ჩემი დღენი გაუხარებელი დავრჩები“. – „არა, — უთხრა მეფემ, — უეჭველად იქნები გახარებული, რადგან ეს ქალი მეტად ლამაზი და ჭკვიანია და ძალიანაც უყვარხართ: ამიტომ მე იმედი მაქვს, რომ ამასთან უფრო ბედნიერი იქნებით, ვიდრე სხვა რომელიმე დიდი გვარის ქალთან“. ბელტრამო გაჩუმდა, ხოლო მეფემ ბრძანა სანაქებო ქორწილის გადასახდელად სამზადისს შესდგომოდნენ.

დადგა ჯვრისწერისათვის დანიშნული დღე. ბელტრამოს თუმცა არ უნდოდა, მაგრამ მაინც მეფის წინაშე შეირთო ქალი, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა. რადგან წინდაწინვე მოიფიქრა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, ჯვარის წერის წესის შესრულების შემდეგ თქვა: ჩემს საკონტოში უნდა წავიდე, ცოლთან ერთად იქ მინდა ვიცხოვროო, და მეფეს წასვლის ნებართვა სთხოვა. მერე შეჯდა ცხენზე და იმის მაგიერ, რომ საკონტოში წასულიყო, ტოსკანაში ამოყო თავი. გაიგო, რომ ფლორენციელები ქალაქ სიენას მცხოვრებთ ეომებოდნენ და ფლორენციელებს მიემხრო. ამათ ძალიან გაეხარდათ მისი მიმხრობა, დიდის პატივით დაუხვდნენ და ერთი რაზმის უფროსობა შესთავაზეს; აქ ამათგან კარგ ჯამაგირს ღებულობდა და დიდხანსაც დარჩა.

ახალ ჯვარდაწერილ ქალს ეს მეტად საწყენად დაურჩა, მაგრამ მაინც იმედი ჰქონდა, — საკონტოში ხელს გამოვიღებ, ყველაფერს მოვაწესრიგებ, ჩემს ქმარს გუნებას გამოვუცვლი და როსილიონში დავაბრუნებო. ამიტომ როსილიონში წამოვიდა. აქ ყველანი ისე დაუხვდნენ, როგორც თავიანთ ქალბატონს.

როსილიონში რაკი კონტი დიდხანს არა ყოფილა, ყველაფერი აწეწილ-დაწეწილი დახვდა, მაგრამ როგორც ჭკვიანმა ქალმა დიდი გულმოდგინებით და მზრუნველობით ყველაფერი მოაწესრიგა; ქვეშევრდომები ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ, ქალბატონი მეტად შეუყვარდათ და იმის ჭირს არ აგდებდნენ, კონტს კი ჰყვედრიდნენ, რომ ასეთ ცოლს არ ეკარებოდა.

როცა ჯილეტამ მამულში ყველაფერი დააწყო, კონტს ორი რაინდი გაუგზავნა და შეუთვალა: თუ ჩემი გულისთვის არ მოდიხართ თქვენს მამულში, შემატყობინეთ და ოღონდ თქვენ გეამოთ და მე დაუყოვნებლივ წავალ აქედანაო. მოციქულებს კონტმა უკმეხად უთხრა: როგორც ენებოს, ისე მოიქცეს; მე კი მაშინღა დავბრუნდები და მასთან მაშინღა ვიცხოვრებ, როცა თითზე ეს ბეჭედი ექნება და ხელშიც ჩემგან მოცემული ბავშვი ეჭირებაო. ერთი ბეჭედი ჰქონდა, რომელსაც არ ელეოდა და ერთთავად ხელზე ეკეთა, იმიტომ რომ გაგონილი ჰქონდა, ამ ბეჭედს თილისმის ძალა აქვსო. რაინდები მიხვდნენ, თუ რა მძიმე პირობა დაუდო ცოლს კონტმა და თითქმის რა შეუძლებელი იყო ამ პირობაში მოთავსებული ორი მუხლის

შესრულება; ხედავდნენ აგრეთვე, რომ ისინი ვერ შესძლებდნენ თავისი სიტყვა გადაეთქმევინებინათ, დაბრუნდნენ ქალბატონთან და მეუღლის შემონათვალი მოახსენეს.

ქალი მეტად შეწუხდა. მერე დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა — როგორმე ეცადნა და მოეხერხებინა ამ ორი პირობის ასრულება და მაშასადამე, ქმარიც სახლში დაებრუნებინა. როცა გაითვალისწინა, თუ რა უნდა ექნა, იხმო რამდენიმე თავიანი და საუკეთესო კაცი თავის საკონტოსი, გულამაჩუყებელი სიტყვებით წვრილად უამბო ყველაფერი, რაც ჩაედინა კონტის სიყვარულისათვის და ისიც, თუ შედეგად რა მოჰყვა ყოველსავე ამას; ბოლოს უთხრა: მე აქ იმ განზრახვით კი არ მოვსულვარ, რომ აქ დავრჩე და კონტი კი, სამშობლოდან საუკუნოდ გადახვეწილი, სხვაგან ცხოვრობდეს, პირიქით, ჩემი განზრახვაა — დანარჩენი დღენი ჩემი სიცოცხლისა შევწირო წმიდა ადგილების მოვლასა და სულის საცხონებელ საქმეთა კეთებასო, ამიტომ გთხოვთ უპატრონოთ და მოუაროთ საკონტოს, ხოლო კონტს შეატყობინოთ, დაეპატრონოს ჩემს მიერ თავმინებებულ მამულს, საიდანაც იმ აზრით მივდივარ, რომ როსილიონში ჩემს დღეში აღარ დავბრუნდეო. ქალი რომ ამ სიტყვებს ლაპარაკობდა, გულკეთილი მაყურებლები სულ ცრემლად იღვრებოდნენ და დიდის თხოვნითა სთხოვეს, თავის გადაწყვეტილებაზე ხელი აეღო და დარჩენილიყო; მაგრამ ნათქვამი ვერასგზით ვერ გადაათქმევინეს. ქალმა ყველანი დალოცა, თვითონ კი გაიყოლა თავისი ბიძაშვილი და მოახლე, ყველამ სალოცავად წამსვლელთა ტანისამოსი ჩაიცვა, წამოიღეს საგზაოდ ფული და ძვირფასი განძეულობა; ქალს არავისთვის უთქვამს, თუ სად მიდიოდა, დაადგა გზას, არსად შეჩერებულა, ისე ფლორენციაში ჩავიდა.

ფლორენციაში ქალი შემთხვევით ჩამოხტა ერთ პატარა სასტუმროში, რომელიც ერთ ქვრივ დედაკაცს ეჭირა. აქ ჩუმად ცხოვრობდა, როგორც სალოცავად მიმავალი ვინმე და თან ყური მახვილად ეჭირა, იქნებ ჩემი ქმრის ამბავი გავიგო რამეო. მეორე დღეს მისი სასტუმროს წინ შემთხვევით გაიარა ბელტრამომ ცხენით თავის რაზმითურთ. თუმცა ქალმა ძალიან კარგად იცნო, მაგრამ კეთილ დედაკაცს მაინცა ჰკითხა — ეს კაცი ვინ არისო? ამაზე სასტუმროს პატრონმა უპასუხა: „ეს ერთი უცხოელი აზნაურია, რომელსაც კონტ ბელტრამოს ეძახიან, მეტად თავაზიანი და ზრდილი ვინმეა და ამ ქალაქში ყველას ძალიან უყვარს. გარდა ამისა, უყვარს ერთი ჩვენი მეზობელი, რომელიც, მართალია, კეთილშობილია, მაგრამ ღარიბია, მეტად პატიოსანი ყოფაქცევის ახალგაზრდა ქალია. მხოლოდ სიღარიბისა გამო ვერ გათხოვილა და ცხოვრობს თავის მეტად ჭკვიან და კეთილ დედასთან ერთად; ასეთი დედა რომ არ ჰყოლოდა გვერდით, აქამდე, შესაძლებელია, კონტის ნებას დაჰყოლოდა“. კონტესამ ეს სიტყვები რომ გაიგონა, კარგად დაიხსომა; მერე გულდასმით გამოჰკითხა ყოველი წვლილი, ყოველივე, როგორც საჭირო იყო, მოისაზრა და მოქმედების გეგმა შეადგინა.

კონტესამ კარგად გაიგო, სადა ცხოვრობდა კონტის საყვარელი ქალი და მისი დედა,

და ერთი მლოცველი ქალივით გამოწყობილი კარზე მიადგა. დედა და ქალი, რომელნიც მეტად ღარიბულად ცხოვრობდნენ, შინ დაუხვდნენ. ქალი მიესალმა, და მერე დედას უთხრა, — თუ შეიძლებოდეს, თქვენთან სათქმელი მაქვს რამეო. პატიოსანი ქალი წამოდგა და მოახსენა, — აბა, რას გვიბრძანებთ, მზად გახლავართ მოგისმინოთო. როდესაც ორივე ცალკე ოთახში შევიდნენ და დასხდნენ, კონტესამ ასე დაიწყო ლაპარაკი: „მადონა, როგორც ვატყობ, თქვენც ჩემსავით ბედისაგან მოძულებული ბრძანდებით, მაგრამ თქვენ რომ მოინდომებდეთ, მე მგონი, შეიძლოთ თქვენი თავიც ინუგეშოთ და მეც მანუგეშოთ“.

დედაკაცმა ასე უპასუხა: „ისე არაფერი მენატრება, როგორც ნუგეში, ოღონდ ეს ნუგეში პატიოსანი გზით მომენიჭოს“. ახლა კონტესამ უთხრა: „მე მინდა შემომფიცოთ, მაგრამ თუ მე გენდეთ და თქვენ კი მომატყუეთ, თქვენს საქმესაც გააფუჭებთ და ჩემსასაც“. – „შეგიძლიათ მენდოთ, — უთხრა კეთილმა ქალმა, — და როცა გნებავდეთ, გამანდოთ და გეფიცებით, არ გიღალატოთ“. მაშინ კონტესა მოუყვა თავის პირველად შეყვარების ამბავს, უთხრა თავისი ვინაობა და რაც დაემართა სულ უკანასკნელ დრომდე და ყოველივე ეს ისე ოსტატურად უამბო, რომ კეთილმა ქალმა მის ნათქვამს დაუჯერა, მით უფრო, რომ ცოტა რამ სხვებისაგანაც ჰქონდა გაგონილი ამის შესახებ და მისდამი სიბრალული აღეძრა, ხოლო კონტესამ თავისი თავგადასავალი ყოველივე რომ უამბო, დასძინა: „მაშასადამე, თქვენ მოისმინეთ, სხვა ჩემს მწუხარებათა შორის, რომ ჩემთვის ორი რამაა საჭირო, რაც უეჭველად უნდა ვიშოვნო, თუ მინდა ჩემი ქმარი დავიბრუნო. და ამ რასმე, თუ არ თქვენ, სხვა ვერავინ მაშოვნინებს, თუ მართალია ის, რაც მე მითხრეს, სახელდობრ: რომ კონტს, ჩემს ქმარს, გაგიჟებით უყვარს თქვენი ქალი“. ამაზე კეთილმა ქალმა ასე უპასუხა: „რა მოგახსენოთ, კონტს ჩემი ქალი უყვარს თუ არა, მხოლოდ ის ვიცი, რომ ძალიან ცდილობს კი თავი შეყვარებულად მოაჩვენოს, მაგრამ თქვენ რომ გნებავთ, იმ საქმეში მე რა დახმარება შემიძლია?“ – „მადონა, — უპასუხა კონტესამ, — ახლავე მოგახსენებთ. მხოლოდ ჯერ მინდა აგიხსნათ, თუ რა ხეირსა ნახავთ იმ შემთხვევაში, თუ დამეხმარებით. მე ვხედავ რომ თქვენი ქალი ლამაზია, უკვე მოწიფული და გასათხოვარია, მაგრამ, რამდენადაც მე მესმის და მგონია, არცა ვცდები, უმზითვობის გამო აქამდე ვერ მოგიხერხებიათ გათხოვება და შინა გყავთ. თუ დამეხმარებით, მე მზადა ვარ თქვენს გასამრჯელოდ ჩემი ფულიდან მოგცეთ იმდენი, რამდენსაც თქვენ საჭიროდ დაინახავთ იმისათვის, რომ შესაფერ კაცს მიათხოვოთ“. ქალს, როგორც ხელმოკლეს, ძალიან გაეხარდა კონტესას წინადადება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, როგორც კეთილი გულის ადამიანმა, უთხრა: — „მადონა, მიბრძანეთ, რა სამსახური შემიძლია გაგიწიოთ, და უკეთუ სააუგო რამ არ იქნება, დიდის სიამოვნებით გემსახურებით და მერე თქვენ იცით, რასაც ინებებთ“. ამაზე კონტესამ ასე უთხრა: „თქვენ ჩემს ქმარს, კონტს, ვინმე ისეთი კაცი მიუგზავნეთ, ვისაც ძალიან ენდობით და შეუთვალეთ, რომ ვითომ თქვენი ქალი მზადაა ყოველი სურვილი აუსრულოს კონტს, თუ დარწმუნდება, რომ კონტს ისევე უყვარს, როგორც თავს მოაჩვენებს ხოლმე; და რომ ქალი მანამ არ ირწმუნებს კონტის სიყვარულს,

სანამ ის არ გამოუგზავნის იმ ბეჭედს, სულ მუდამ ხელზე რომ აგარებს, რომელიც, როგორც ქალისათვის უთქვამთ, მეტად ძვირფასია თურმე კონტისთვის-თქო. ამ ბეჭედს როცა კონტი გამოგზავნის, მე მომცემთ. ამის შემდეგ კიდევ შეატყობინებთ — ჩემი ქალი მზადაა თქვენ დაგყვეს-თქო. მერე საიდუმლოდ მოიხმობთ სახლში და ლოგინში ჩუმად თქვენი ქალის მაგიერ მე ჩამაწვენთ: იქნებ ღმერთმა მომხედოს და თავისი წყალობის კალთა გადმომაფაროს და დავორსულდე. ამგვარად, რაკი თითზე მისი ბეჭედი მექნება გაკეთებული და ხელშიაც მასთან შეძენილი ბავშვი მეჭირება, დავიბრუნებ და მასთან ვიცხოვრებ ისე, როგორც ცოლი უნდა ცხოვრობდეს ქმართან; ყოველივე ეს კი თქვენის წყალობით იქნება“.

მეტად ემძიმებოდა კეთილშობილ ქალს ამის ასრულება, ეკრძალებოდა, ვაითუ სახელი გაუტყდეს ჩემს ქალსაო. მაგრამ თანაც იმასა ფიქრობდა, რომ ყველა მომიწონებს, ხელი თუ მოვუმართე საბრალო ქალს ქმრის დაბრუნების საქმეშიო. და ამიტომ თავის გულში გადაწყვიტა — თუ ამ საქმეს ხელს მოვკიდებ, პატიოსანი განზრახვით მოვკიდებო, თანაც ენდო კონტესას პატიოსანსა და წმიდა სიყვარულს და არამცთუ დაპირდა — გავაკეთებო, არამედ რამდენიმე დღეში დიდი სიფრთხილით და კონტესას დარიგების თანახმად ხელში ჩაიგდო ბეჭედი (თუმცა მისი მოშორება კონტს პირდაპირ ესიკვდილებოდა) და თავისი ქალის მაგიერ ოსტატურად კონტესა ჩააწვინა ლოგინში.

პირველ დაახლოებისთანავე, რასაც ასე ესწრაფოდა კონტი, კონტესას ღვთის ნებით ტყუპი ვაჟი ჩაესახა, როგორც ეს თავის დროზე მშობიარობის დროს გამოჩნდა. და ღვთისნიერმა დედაკაცმა მარტო ერთხელ კი არ დაატკბო კონტესა თავის ქმრის ხვევნა— ალერსით, არამედ მრავალჯერ და თან ისე ფარულად ახერხებდა ყველაფერს, რომ ძე— ხორციელს არაფერი გაუგია; კონტს კიდევ ეგონა — ჩემს საყვარელ ქალთან ვსიამტკბილობო. აბა, რას მოიფიქრებდა, რომ ცოლს უწვა გვერდით! და ამ ვითომ თავის საყვარელ ქალს კონტი გათენებისას მრავალ ძვირფას და ლამაზ განძეულობას აჩუქებდა, ქალიც ყოველივე ამას ფრთხილად ინახავდა.

კონტესამ რომ იგრძნო, ორსულადა ვარო, თქვა: ახლა კი მეყოფა ღვთისნიერი ადამიანის შეწუხებაო და უთხრა: „ჯერ ღვთისა და მერე თქვენი შეწევნით მე უკვე მოვიხვეჭე, რასაც ვნატრობდი. ახლა დროა მეც გავაკეთო ის, რაც თქვენ გეამებათ და მერე აქედან წავიდე“. ღვთისნიერმა ქალმა უპასუხა: თუ თქვენს წადილს ეწიეთ, ეს ძალიან მიხარიანო, მაგრამ სიკეთე თუ რამე მიქნია, რამე სასყიდელის იმედით კი არ მიქნია, არამედ იმიტომ, რომ დარწმუნებული ვიყავი, ეს კეთილი საქმეა და ესეც უნდა მოვიქცე-მეთქი. ამაზე კონტესამ უთხრა: „მადონა, თქვენი ნათქვამი ყოვლად მოსაწონია და, მეორე მხრივ, მე განზრახვა მაქვს მოგართვათ ის, რასაცა მთხოვთ, მხოლოდ თქვენი პატივისცემის სასყიდლად კი არა, არამედ იმიტომ, რომ ეს სიკეთედ მიმაჩნია და ვფიქრობ, ასეც უნდა მოვიქცე კიდეც“. მაშინ კეთილმა ქალმა, მეტად გაჭირვებულ დღეში მყოფმა, სირცხვილისაგან მთლად დამწვარმა, უზომო

ბოდიშებითა სთხოვა ასი ლირა თავისი ქალის მზითვად. კონტესამ იცოდა მისი მორიდების ამბავი და რომ დაინახა, სირცხვილით ვერა მთხოვს მეტსაო, აიღო და ხუთასი ლირა აჩუქა. ამას გარდა მისცა მრავალი ძვირფასი თვალ-მარგალიტი, რაც, სულ უკანასკნელი, ამდენისავე ღირებულებისა იქნებოდა. ამან კეთილი ქალი უსაზღვროდ გაახარა, უდიდესი მადლობა მოახსენა კონტესას, ესეც გამოემშვიდობა და თავის სასტუმროში დაბრუნდა.

კეთილი ქალი იმისათვის, რომ ბელტრამოსათვის წაერთმია საბაბი, ან კაცი გამოეგზავნა ქალის სახლში და ან თვითონ მოსულიყო, სოფლად წავიდა თავის ქალთან ერთად ნათესავებში. ბელტრამოს კიდევ თავისმა ქვეშევრდომებმა შინ მოსვლა სთხოვეს. და რაკი გაიგო, ჩემი ცოლი იქიდან წასულაო, აიღო და ისიც დაბრუნდა შინ. კონტესამ რომ გაიგო, კონტი ფლორენციიდან გავიდა და თავის საკონტოში დაბრუნდაო, ძალიან გაეხარდა. ამის შედეგად ფლორენციაში მანამდე დაიცადა, სანამ არ მოილოგინა. ეყოლა ტყუპი ვაჟები, რომელნიც პირწავარდნილი მამა იყვნენ, და შეუდგა მათს აღზრდას. როცა თქვა, ახლა კი დროა შინ დავბრუნდეო, დაადგა გზას და მონპელიეში ისე ჩავიდა, რომ არავის უცნია. აქ რამდენიმე დღეს დაისვენა, იკითხა კონტის ამბავი, და რომ გაიგო, ყველა— წმიდათა დღეობისათვის დიდი წვეულება აქვს გამართული და მოპატიჟებული ჰყავს ქალები და რაინდებიო, მწირულად ჩაცმული, რა ტანისამოსსაც კარგა ხანია ატარებდა, მისკენ გაემართა.

სასახლეში რომ მივიდა კონტესა, დაინახა, რომ ქალები და კავალრები სასახლეში თავს იყრიდნენ და სადილად სუფრას უნდა მოსხდომოდნენ. კონტესას თავისი ტანისამოსი არც კი გამოეცვალა, ორივე ჩვილი ბავშვი ხელში აიყვანა, კიბეზე ავიდა და პირდაპირ დარბაზში შევიდა. მერე გაემართა იმ ადგილისაკენ, სადაც კონტი იჯდა, მუხლებზე მოეხვია და ტირილით მოახსენა: „ჩემო ხელმწიფევ, მე შენი უბედური ცოლი ვარ, რომელმაც იმისათვის, რომ შენ სახლში დამებრუნებინე და აქ გეცხოვრა, დიდხანს ვიწანწალე სხვადასხვა მხარეს. ახლა გაფიცებ ზენაარს, ის პირობა ორი ჩემს მიერ გაგზავნილი რაინდის პირით რომ შემომითვალე, ამისრულო: აი, ხელში ერთის მაგივრად ორი შვილი მიჭირავს, შენგან მოცემული, და აჰა, აგრეთვე, შენი ბეჭედიცა. მაშასადამე, უკვე დროა, შენი პირობის თანახმად, ცოლად ვიქნე მიღებული შენს მიერ“.

კონტმა ეს რომ გაიგონა, სრულებით დაიბნა: იცნო თავისი ბეჭედი და აგრეთვე შვილები, რომლებიც ძალიან ჰგვანდნენ. მაინც წამოიძახა: „ნეტავ ვიცოდე, როგორ მოხდა ეს?“ მაშინ კონტესამ კონტს და იქ დამსწრეთ დალაგებით უამბო, რაც და როგორ მოხდა, რამაც საშინლად გააოცა როგორც კონტი, ისე მისი სტუმრები. კონტი დარწმუნებული იყო, რომ ქალი სიმართლეს ამბობდა, ღირსეულად დააფასა მისი ჭკუა და ხასიათის სიმტკიცე, თანაც თვალს ვერ აშორებდა ორ მალხაზ ბავშვს; თან ხათრი დაიჭირა დამსწრეთა, რომელნიც სთხოვდნენ მიეღო კონტესა, როგორც თავისი სჯულიერი მეუღლე და საფერი პატივი ეცა, და გადაწყვიტა თავისი პირობა აესრულებინა, თავის ჯიუტურ სიმკაცრეზე ხელი აეღო; კონტესა

ზეზე წამოაყენა, ხელი მოხვია, აკოცა და აღიარა თავის სჯულიერ მეუღლედ, ხოლო ბავშვები — შვილებად. მერე ბრძანა მისი ღირსების საფერი ტანისამოსი ჩაეცმიათ, და იქ დამსწრეთა და აგრეთვე სხვა ვასალების, ვინც გაიგონა ეს ამბავი, სასიხარულოდ, არა მარტო იმ დღეს, რამდენიმე დღის განმავლობაში გაბმით ეშალათ სუფრა, და ქეიფობდნენ. და ამ დღიდან მოკიდებული კონტი სულ მუდამ პატივისცემით ეპყრობოდა, როგორც თავის სჯულიერ მეუღლეს, უყვარდა და ღირსეულადაც აფასებდა.

ამბავი მეათე. ეშმაკი ჯოჯოხეთში

ქალი ალიბეკი მეუდაბნოე გახდება; ბერი რუსტიკო ჯოჯოხეთში ეშმაკის ჩაგდებას ასწავლის; შემდეგ უდაბნოდან წამოიყვანენ და ნეერბალს მიათხოვებენ.

დიონეო დედოფლის მოთხრობას გულმოდგინედ უგდებდა ყურს და რომ დაინახა, თავდებაო და ახლა ჩემი ჯერია ამბის თქმისაო, არც კი დაუცადა ბრძანებას, ღიმილით დაიწყო ლაპარაკი: — კოპწია ქალებო, თქვენ შეიძლება არც კი გაგიგონიათ, თუ როგორ აგდებენ ეშმაკს ჯოჯოხეთში, ამიტომ ეს ამბავი უნდა გიამბოთ ისე, რომ რაც დღეს ილაპარაკეთ ამბები, იმათს საზოგადო თემას არ დავშორდე; შეიძლება ამით მოიპოვოთ კიდევ სული თქვენი და ამავე დროს ისიც გაიგოთ, რომ თუმცა ამური მხიარულ სასახლეებში და მდიდრულად მორთულ განსასვენებლ ოთახებში უფრო ხალისითა ცხოვრობს, ვიდრე ღარიბულ ქოხებში, მაგრამ ზოგჯერ ტავის ზალას აგრეთვე გვაგრძნობინებს ხოლმე უღრან ტყეებში, მთა ადგილებში და უდაბნოთა მღვიმეებში. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ძალსა მისსა ემონება ყოველივე.

მაშ, ლაპარაკის საგანზე გადავალ და ვიტყვი, რომ აფრიკაში, ბერბერების ქალაქ კაპსაში, ოდესღაც ცხოვრობდა ერთი დიაღ მდიდარი კაცი. ამ მდიდარს კაცს სხვა შვილებს შორის ერთი მეტად ლამაზი და კეთილი ქალი ჰყავდა. სახელად ალიბეკი ერქვა. ქალი ქრისტიანი არ იყო, მაგრამ ამ ქალაქში მცხოვრებ ქრისტიანთაგან გაეგონა ქრისტიანული სარწმუნოების ქება და აგრეთვე ისიცა, რომ ღმერთს უნდა ემსახუროს კაციო.

ამიტომ ქალმა ერთ-ერთ მათგანსა ჰკითხა: როგორ შეიძლება კაცი ღმერთს გაუჭირვებლად ემსახუროსო? ქრისტიანმა უთხრა: ყველაზე უკეთესად ღმერთს ისინი ემსახურებიან, ვინც ამქვეყნიურ სიამეს ყველაფერს დათმობენ. მაგ. ისინი, ვინც ფივაიდის უდაბნოში დაბინავდნენ და იქ განმარტოებულადა ცხოვრობენო.

ქალი ასე თოთხმეტი წლისა თუ იქნებოდა და მეტად გულუბრყვილო რამ იყო; ამ შემთხვევაში რაიმე შეგნებული სურვილი კი არ ამოქმედებდა, არამედ წმინდა ბავშვური

ქეიფი, და ისიც მეორე დილას ჩუმად ისე გაიპარა მარტოდმარტო ფივაიდის უდაბნოში, რომ არავისთვის არ უთქვამს. რადგან მეუდაბნოედ გახდომის ხალისი ჯერ კიდევ არ დაჰკარგვოდა, რამდენიმე დღის განმავლობაში მიაღწია კიდეც იმ უდაბნო ადგილებს, თუმცა ძალიან ეწვალა გზაში. უდაბნოში შორს პატარა ქოხს მოჰკრა თვალი და ისიც იქითკენ გაემართა. სახლის შესავალ კარებთან ვიღაც წმინდა მამა იდგა. მეუდაბნოეს ძალიან გაუკვირდა, აქ რომ ქალი დაინახა და ჰკითხა, ვის ეძებო? ქალმა უპასუხა: ღმერთმა ჩამაგონა ვეძებო ისეთი საშუალება, რომ მას, რაც შეიძლება, უკეთესად ვემსახურო, აგრეთვე ვეძებო ისეთი კაცი, რომ შეეძლოს მასწავლოს, თუ როგორ ვემსახურო ღმერთსაო. ღირს მამაკაცს, ამ ახალგაზრდა და ლამაზ ასულს რომ უყურებდა, შეეშინდა: ჩემთან რომ გავაჩერო, ვაითუ ეშმაკმა სული წამაწყმედინოსო. ისე კი ქალს უქო კეთილი განზრახვა, აჭამა სხვადასხვა ბალახის ძირები, მაჟალო და ინდის ხურმა, დაალევინა წყალი და უთხრა: „ჩემო ასულო, აქედან ცოტა მოშორებით ერთი წმიდა კაცი ცხოვრობს, რასაც ეძებ, ყველაფერს ჩემზე უკეთესად გასწავლის და ამიტომ გირჩევ იმასთან წახვიდე“. — ეს უთხრა მეუდაბნოემ და თანაც ასწავლა, რა გზით უნდა წასულიყო იმ კაცთან. ქალი მივიდა წმიდა კაცთან, მაგრამ იმანაც ივივე უთხრა, რაც პირველმა მეუდაბნოემ.

გასწია ქალმა და მიადგა ერთი ახალგაზრდა დაყუდებულის სენაკს. ეს მეუდაბნოე მეტად კეთილმსახური და გულკეთილი ვინმე იყო. ქალმა მასაც ივივე სთხოვა, რაც სხვებს. დაყუდებულმა განიზრახა თავის სიმტკიცე გამოეცადნა, ამიტომ ქალი სხვებივით არ მოიშორა, არამედ სენაკში შემოიყვანა. ხოლო რომ დაღამდა, პალმის ტოტებისაგან ლოგინი გაუკეთა და უთხრა, ამაზე დაწოლილიყო. და აჰა, როცა ესა ჰქნა, განსაცდელი მოერია: დაინახა, თუ რა დიდ ხანს ატყუებდა თავის თავს — ძლიერი ვარ, ბევრი რამ შემიძლიაო. ამიტომ თავი დაანება განსაცდელთან ბრძოლას და თავის თავი დამარცხებულად სცნო. თავიდან სულ გამოეცალა კეთილმსახური განზრახვანი, ლოცვები და თავისი თავის წვალება, თვალწინ ედგა მხოლოდ სილამაზე და ახალგაზრდობა ამ ქალისა. და თანაც ფიქრობდა: თავი ისე როგორ დავიჭირო, რომ არ შემატყოს, ვითომ გარყვნილი ვიყო და მასთან მხოლოდ ხორციელი სურვილის დაკმაყოფილება მინდოდესო. ზოგი რამ გამოჰკითხა, რომ გამოეცადნა, და დარწმუნდა, რომ მამაკაცისა არაფერი იცოდა. მოეჩვენა, მეტად უბრალო და გულუბრყვილო უნდა იყოსო. ამიტომ იფიქრა, მოდი, დავარწმუნო — დამნებდეს და ჩავაგონო, რომ ეს მისთვის სულის საცხონებელი იქნებაო.

მეუდაბნოე ჯერ დიდხანს ელაპარაკა და აუხსნა, ეშმაკი მტერია უფლისაო. ამის შემდეგ გააგებინა, ღმერთს ყველაზე მეტად იმით აამებს კაცი, თუ ეშმაკს ჯოჯოხეთში ჩააგდებს, სადაც ეშმაკი ღვთის სამსჯავროს ძალით უნდა იმყოფებოდესო. — ქალმა ჰკითხა მეუდაბნოეს: მერე როგორ შეიძლება ეს საქმეო? „ახლავე დაინახავ, — უპასუხა რუსტიკომ, — შენ მხოლოდ ისა ჰქენი, რასაც მე ახლა გავაკეთებ“. — ამ სიტყვების თქმა იყო და რაც უფარავდა სიშიშვლეს,

ხელად მოიძრო და მთლად დედიშობილა გახდა. ქალიც ისევე მოიქცა. რუსტიკომ დაიჩოქა, თითქოს სალოცავად ემზადებაო და ქალიც თავის პირდაპირ დააყენა. და როცა ესენი ასე ერთიმეორის პირდაპირ იდგნენ და კაცმა დაინახა, თუ რა მშვენიერი იყო ქალი, მასში ახალი სიძლიერით იფეთქა საშინელმა სურვილმა. ალიბეკმა გაოცებით შეხედა და ჰკითხა: „ეს რა გაქვს, რუსტიკო, წინ გამოშვერილი, ან მე რატომ არა მაქვს?“ — „ჩემო ასულო, — უპასუხა რუსტიკომ, — აბა, სწორედ ეს არის ის ეშმაკი, რომელზედაც გელაპარაკებოდი; იმ ზომამდე მტანჯავს, რომ მოთმენა აღარ შემიძლია“. — „მადლობა ღმერთსა, — უთხრა ქალმა, — მაშასადამე, ჩემი საქმე შენსაზე უკეთ ყოფილა, რადგან ეს ეშმაკი მე არა მყავს“. — „მართალს ამბობ, — უთხრა რუსტიკომ, — მაგრამ ამის ნაცვლად შენ სხვა გაქვს, რაც მე არა მაქვს“. — „მერე რაა ისეთი?“ — ჰკითხა ალიბეკმა. ამაზე რუსტიკომ უპასუხა: „შენ გაქვს ჯოჯოხეთი, და, ჩემი აზრით, შენ აქ ჩემი სულის საცხონებლად ხარ გამოგზავნილი; და თუ ამ ეშმაკმა არ მოიშალა და ასე მაწვალა, იმედი მაქვს, შემიბრალებ და ნებას მომცემ ჯოჯოხეთში ჩავაგდო; ამით უზომოდ მანუგეშებ და სულის საცხონებელ საქმესაც ჩაიდენ, თუ მართლა შენ, როგორც ამბობდი, ამ მხარეში იმისათვის მოხვედი“. — „მამაო, — უპასუხა გულუბრყვილოდ ქალმა, — თუ მართლა ჯოჯოხეთი მაქვს, ისე მოიქეცით, როგორც თქვენ გსურდეთ“. — „ღმერთმა გაკურთხოს, ჩემო ასულო“, — უთხრა რუსტიკომ, — მაშ წავიდეთ და ჩავაგდოთ ეშმაკი ჯოჯოხეთში, იქნებ მომასვენოს როგორმე“.

ეს უთხრა რუსტიკომ ქალს თუ არა, მიიყვანა საწოლთან და უჩვენა, როგორ უნდა ჩაეგდო ჯურღმულში ეს ადამის ძეთა მტერი. ქალს ამას მეტად ჯერ არასდროს შეხვედრია ეშმაკის ჩაგდება ჯოჯოხეთში. ჯერ თითქო ცოტათი ეშნვავაო და რუსტიკოს უთხრა: „მამაო, ეს ეშმაკი მართლა რომ შეჩვენებული რამ და მტერი ყოფილა უფლისა, რადგან ჯოჯოხეთსაც კი სტკივა, როცა შიგ ერეკებიან“. — „დაიცა, ჩემო ასულო, — უთხრა რუსტიკომ, — სულ მუდამ ასე არ იქნება“. — და რომ გაადვილებულიყო საქმე, ერთი ექვსჯერ მაინც შეაგდო ეშმაკი ჯოჯოხეთში, ასე რომ ეშმაკის ქედმაღლობა მოსდრიკა და დააცხრო. მაგრამ როცა შემდეგ დღეებში ეშმაკს თავისი ქედმაღლობა ისევ უბრუნდებოდა — ხოლო მორჩილი ქალი ერთთავად მზად იყო ჩაეგდო თავის ჯოჯოხეთში — ბოლოს და ბოლოს ეს თამაშობა ძალიან გაუტკბა და რუსტიკოს უთხრა: „ახლა მე თვითონ ვხედავ, რომ კაპსაში კეთილი ხალხი თურმე მართალს ამბობდა — მოღვაწეობისთანა ტკბილი ქვეყანაზე არაფერიაო. ჩემდათავად, ჩემს სიცოცხლეში ასეთი ტკბილი და სასიამოვნო არაფერი მიგრძვნია, როგორც ჯოჯოხეთში ეშმაკის ჩაგდება ყოფილა. ჩემის აზრით, დიდი ბრიყვი უნდა იყოს ის ადამიანი, ვინც სხვა რაზედმე ჰკარგავს დროს და ამისთანა მოღვაწეობას კი არ ეწევა“. — ამიტომ ქალი ხშირად მიადგებოდა რუსტიკოს და ეტყოდა: „მამაო წმინდაო, მე აქ უსაქმოდ დროს გასატარებლად კი არ მოვსულვარ, არამედ სამოღვაწეოდ, მოდი, ერთად ჩავაგდოთ ეშმაკი ჯოჯოხეთში“. თან მოღვაწეობდა და თანაც ხანდისხან ასე ეუბნებოდა ქალი: „რუსტიკო, პირდაპირ მიკვირს, ეს ეშმაკი რათ გამორბის ჯოჯოხეთიდან! ის რომ ჯოჯოხეთში ისეთივე ხალისით რჩებოდეს,

როგორითაც მას უხვდება და შიგ ინახავს ჯოჯოხეთი, იქიდან თავის დღეში არ გამოვიდოდა“. — ქალი ამგვარად ხშირად ელაპარაკებოდა რუსტიკოს და სამოღვაწეოდ ძალას აცანდა.

ახალგაზრდა მოღვაწემ ისე გახადა რუსტიკო, რომ თითქო მის თბილ ტანისამოსს დაბამბული სარჩული გამოაცალაო და სიცივისაგან აჟრჟოლებდა იმ დროს, როცა სხვას უმაგისოს ოფლში გაწურავდა. ამიტომ ქალს ურჩევდა: ეშმაკი მაშინ უნდა დავსაჯოთ და ჯოჯოხეთში მაშინ უნდა ჩავაგდოთ, როცა ქედმაღლობას დაიწყებს და თავს მაღლა წამოწევსო; ჩვენ კი, მადლობა ღმერთს, ისე მოვტეხეთ კისერი, რომ ამასღა გვთხოვს, თქვენი ჭირიმე, თავი დამანებეთო. ამგვარად, რუსტიკომ ქალი ერთხანს გააჩუმა. ალიბეკმა რო დაინახა, რუსტიკო აღარ მთხოვს ეშმაკის ჩაგდებას ჯოჯოხეთშიო, ერთხელ ასე უთხრა: „თუ შენი ეშმაკი ალაგმულია და შენ მეტად აღარ გაწუხებს, მე კი ჩემი ჯოჯოხეთი არ მასვენებს. რომ იცოდე, რა კარგს იზამდი, დამეხმარებოდე და შენი ეშმაკის საშუალებით ჩემს გაგიჟებულს ჯოჯოხეთს დამამშვიდებინებდე ისევე, როგორც მე ჩემი ჯოჯოხეთის საშუალებით მოგატეხინე შენი ეშმაკის ქედმაღლობაო“.

რუსტიკო მხოლოდ ბალახების ძირებითა და წყლით იკვებებოდა და ამიტომ არ შეეძლო სავსებით დაეკმაყოფილებინა ქალის მოთხოვნილება და უთხრა: ჯოჯოხეთის დასამშვიდებლად ძალიან ბევრი ეშმაკია საჭირო, მე კი იმის გაკეთებაღა შემიძლია, რასაც ჩემი ძალღონე უძლებსო. ხანდისხან აკმაყოფილებდა კიდეც ქალს, მაგრამ ეს ძალიან იშვიათი იყო და იმასა ჰგავდა, თითქო ლომის ხახაში მუხუდოს ერთი მარცვალი ჩააგდესო; ქალი დრტვინავდა, რადგან ეგონა, ძალიან ცოტას ვმოღვაწეობო.

მაგრამ ამ დროს, როცა რუსტიკოს ეშმაკსა და ალიბეკის ჯოჯოხეთს შორის, ერთის მხრით უზომო სურვილისა და მეორეს მხრით დასუსტების გამო, უთანხმოება ჩამოვარდა, კაპსაში ცეცხლი გაჩნდა, და ამ ცეცხლის დროს თავის საკუთარ სახლში გამოიწვა ალიბეკის მამა დედა-ბუდიანად. ასე რომ, მამის სიკვდილის შემდეგ ალიბეკი მთელი მისი ქონების მემკვიდრედ იქცა. ამ დროს ერთმა ახალგაზრდა კაცმა, ნეერბალმა, რომელმაც თავის ბედასლობის წყალობით მთელი თავისი ქონება გაანიორწყლა, ყური მოჰკრა, ალიბეკი ისევ ცოცხალიაო და მის ძებნას შეუდგა. სანამ ხაზინა მიცვალებულის ქონებას დაეპატრონებოდა, როგორც უშვილოდ გადაშენებული კაცისას, ყმაწვილმა ალიბეკი აღმოაჩინა. რუსტიკოს ძალიან გაეხარდა. თვითონ ქალს კი არ უნდოდა, მაგრამ ყმაწვილმა მაინც წაიყვანა ქალი კაპსაში, ჯვარი დაიწერა და უთვალავი ქონების მემკვიდრედაც გადაიქცა.

როცა იქაურმა ქალებმა ჯვრისწერამდე ჰკითხეს — სულის საცხონებელ საქმეს რას სჩადიოდი უდაბნოშიო, ალიბეკმა უპასუხა — ჯოჯოხეთში ეშმაკს ვაგდებდი და ნეერბალმა დიდი ცოდვა ჩაიდინა, რომ ასეთ მოღვაწეობაზე ხელი ამაღებინაო. როცა ქალებმა ჰკითხეს, ეშმაკს როგორ აგდებდი ჯოჯოხეთშიო, იმან ეს ზოგი სიტყვათა და ზოგი მიხვრა— მოხვრით

აუხსნა. ამის გაგონებაზე ქალებმა ისეთი სიცილი აგეხეს, რომ დღესაც კი იცინიან, და უთხრეს ქალს: „ნუ დარდობ, გოგონა, ნუ დარდობ. აქაც კარგად იციან ეს საქმე, და ნეერბალიც შეასრულებს შენთან ერთად ასეთ სამოღვაწეო საქმეს“.

მერე, ერთი ქალის პირიდან მეორის პირში გადადიოდა ეს ამბავი და მთელ ქალაქს მოედო. ბოლოს ჯოჯოხეთში ეშმაკის ჩაგდება ანდაზად გადაიქცა, როგორც უდიდესი ღვაწლი: ეს ანდაზა, ცხრა მთას იქიდან შემოსული, დღემდე შენახულია ჩვენში. ამიტომ, ახალგაზრდა ქალებო, რომელთაც ღვთის წყალობა გჭირიათ, ისწავლეთ ჯოჯოხეთში ეშმაკის შეგდება, რადგან ეს უკეთილმსახურესი ღვაწლია, რომელიც ეამება ღმერთსა და ეამება ორსავ მხარესაც და რომლისაგან ბევრი სიკეთე რამ წარმოიშვება.

***

დიონეოს მოთხრობამ გულიანად აცინა ღირსეული ქალები, იმდენად სასაცილოდ ეჩვენებოდათ მისი ნათქვამი. მოთხრობა რომ გათავდა, დედოფალმა, რაკი იცოდა, რომ მისი დედოფლობის ვადაც სრულდებოდა, თავიდან გვირგვინი მოიხადა, მოხდენილად ფილოსტრატოს თავზე დაადგა და უთხრა: „ჩვენ მალე დავინახავთ, მგელი იმაზე უკეთ უძღვება ცხვრებს, ვიდრე ცხვრები მგლებს უძღვებოდნენ“. ფილოსტრატომ ეს რომ გაიგონა, სიცილითა თქვა: „თუ მე დამიჯერებთ, მგლები ცხვრებს ჯოჯოხეთში ეშმაკის ჩაგდებას იმაზე ნაკლებ არ ასწავლიან, ვიდრე ეს რუსტიკომ ალიბეკს ასწავლა, და რაკი თქვენ ცხვრები არა ბრძანდებით, ნურც ჩვენ მოგვნათლავთ მგლებად; ყოველივე შემთხვევაში, რაკი მე ჩამბარდა მეფობა, ვეცდები გავუძღვე ჩემს სამეფოს“. ამაზე ნეიფილემ ასე უპასუხა: „ყური გვიგდეთ, ფილოსტრატო! რაკი ჩვენი სწავლება განგიზრახავთ, ჯერ უნდა თავად გესწავლათ ჭკუა ისევე, როგორც ისწავლა მოლოზნებთან მაზეტო ლაპორეკიოელმა, და ლაპარაკი მაშინღა დაგეწყოთ, როცა ძალზე გახდებოდით ისე, რომ თქვენი ნეკნების დათვლა შესაძლებელი ყოფილიყო“. — ფილოსტრატომ დაინახა, რომ აქ ნამგლები იმაზე ნაკლები არა ჰქონიათ, ვიდრე მე ისრები მქონიაო, ხუმრობას თავი დაანება და შეუდგა მისდამი რწმუნებული სამეფოს მართვა-გამგეობას. მერე იხმო სინისკალკო, გამოჰკითხა ყოველივე საქმის მდგომარეობა და გონივრულად უბრძანა, თუ რა უნდა გაეკეთებინა მთელი მისი მეფობის დროს და რის გაკეთებაც, მისი აზრით, კარგი იქნებოდა და ესიამოვნებოდა საზოგადოებას. შემდეგ მიუბრუნდა ქალებს და მოახსენა: „სასურველნო, ჩემდა საუბედუროდ, სწორედ იმ დროიდანვე, რაც ცუდისაგან კარგის გარჩევა ვისწავლე, ერთ-ერთი თქვენი სილამაზის წყალობით, ნიადაგ ამურის ბრძანების ქვეშ ვიმყოფებოდი; და თუმცა მისი მორჩილი და გამგონე ვიყავ, თუმცა ყოველ მის ჩვეულებას, ჩემ მიერ ზედმიწევნით შეთვისებულს, უკლებლივ ვასრულებდი, მე მაინც სულ მუდამ სხვაზე მცვლიდნენ და ჩემი საქმე დღითიდღე სულ უარ და უარ მიდიოდა და, ალბათ, ასე იქნება სამარის კარამდე. ამიტომ მე მინდა მხოლოდ იმაზე ვილაპარაკოთ, რაც ყველაზე მეტად იქნება ჩემი მდგომარეობის საფერი, ე.ი.

უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, ვისი სიყვარულიც უბედურად დასრულებულა, რადგან ყოველივე ეს თუ ასე გაგრძელდა შემდეგშიაც, თქვენს მტერს, რაც ჩემს სიყვარულს დღე დაადგეს! თვით ის სახელი, რომელსაც მე თქვენ მეძახით, ალბათ იმიტომ დამარქვა მან, ვინც წინდაწინ იცოდა, რომ მე სწორედ ასე მომიხდებოდა შემდეგში ლაპარაკი და არა სხვაფრივ". ეს რომ თქვა ფილოსტრატომ, წამოდგა და ვახშმობამდე მთელს საზოგადოებას თავისუფლება მიანიჭა.

ბაღი ისეთი მშვენიერი იყო, რომ შიგ ყოფნას არაფერი სჯობდა და არავის უნდოდა იქიდან გასულიყო და სხვაგან ეძებნა მეტი სიამოვნება. რაკი მზე ახლა ისე აღარ აცხუნებდა, ყველას შეეძლო გამოჰკიდებოდა ირმებსა, ბაჭიებსა და სხვა ცხოველებს, რომლებითაც აქაურობა სავსე იყო და რომლებიც მწვანეზე წამომსხდარ ხალხს გადაახტებოდნენ და თავს აბეზრებდნენ ხოლმე; ზოგი ქალი გამოუდგა კიდეც ამ ცხოველებს. დიონეომ და ფიამეტამ ლექსი უმღერეს მესერ გვილელმოსა და ქალს დელ ვერჯიუს; ფილომენამ და პამფილომ ჭადრაკის თამაშობას მიჰყვეს ხელი; ზოგმა რის კეთება დაიწყო და ზოგმა რის. ამასობაში დრო შეუმჩნევლად მიიპარებოდა და მოულოდნელად ვახშმის დროც დადგა. მშვენიერი შადრევნის გარშემო სუფრა გაშალეს და ყველამ დიდი სიამოვნებით ივახშმა.

ფილოსტრატომ, რომ არ დაერღვია ის წესი, რომელსაც დედოფლები, მისი წინამოადგილენი, ადგნენ, სუფრა ააღებინა თუ არა, ლაურეტასა სთხოვა თამაშობა დაეწყო და რამე სიმღერა ემღერა. – „ჩემო ბატონო, სხვანი რასაც მღერიან, ის სიმღერები მე არ ვიცი; ხოლო რაც ვიცი, იმ სიმღერებიდან ისეთი არაფერი მაგონდება, რომ ამ მხიარული საზოგადოების საფერი იყოს. ერთ-ერთ მათგანს, თუ ინებებთ ყური დაუგდოთ, დიდი სიამოვნებით გიმღერებთ". ამაზე მეფემ უპასუხა: „შენ რაც გამოგივა ხელიდან, ყველაფერი კარგი და ყველას მოსაწონი იქნება, ამიტომ რა სიმღერაც იცოდე, ის გვიმღერე". მაშინ ლაურეტამ მეტად საამური, თუმცა, ცოტა არ იყოს, მოწყენილი კილოთი დაიწყო შემდეგი ლექსი და სხვები კიდევ ბანს ეუბნებოდნენ: ქვეყანაზე დარდისაგან ვნებული არ იქნება ქალი კიდევ ჩემსავით... უიმედოდ ვარ მე შეყვარებული!

ზეცასა და ვარსკვლავებს ვინც განაგებს, მე მსახავდა იგი თავმოწონებით, თვით მისგანვე უტურფესად ანაგებს, მათთვის, ვინცა მაღალია გონებით, როგორაც იმ სილამაზის მსგავსებას, მარად რომ არს წყარო მისი შვებისა.

მაგრამ კაცსა, ვით უსულო არსებას, არ აქვს ძალი ჩემის დაფასებისა: არ მოვწონვარ, ვყავარ დაწუნებული.

იყო კაცი ტრფობით შენამსჭვალები, სურდა, მის მკერდს მარად ჩემი მიჰკროდა. ალში ხვევდა იმას ჩემი თვალები და დროს, ასე მსუბუქად რომ მიჰქროდა, ჩემს ჭვრეტაში ატარებდა

სულ ისა: და მეც, მუდამ ტრფობისთვის რომ მეცალა, ვცან ის ღირსად ჩემი სიყვარულისა, მაგრამ იგი ან ხელთ გამომეცალა; უნუგეშოდ დავრჩი ატირებული.

მე სხვა ჭაბუკს შევხვდი შემდეგ ხანადა: გულზვიადი, სიამაყის მთესავი, თავს არ სთვლიდა სხვათა დასაგვანადა, — მონად დამსვა და ვუპყრივარ ტყვესავით. თან გულს მიკლავს ყალბ ეჭვების ჩენითა.

თავი მიჩანს ბედკრულთ დასადარებლად, რადგან მჯერა მე ნამდვილის რწმენითა: ქვეყნად გავჩნდი ბევრის გასახარებლად.

ერთი კია ჩემზე დაუფლებული.

მარად იყოს წუთი იგი წყეული, კაბის შეცვლა როს გავივლე აზრადა. ჩემს ღარიბულ მორთულობას ჩვეული.

ვჩანდი მასში ლამაზად და მწყაზრადა.

ამაში კი სიცოცხლე ვით ვინებო?

თითქო ჩემს მზეს დაბნელება სდომოდა...

შავბედითო საქორწილო ლხინებო, ნეტავ უმალ სული ამომხდომოდა, ვიდრე გავხდი მე თქვენს მიერ შვებული.

სატრფოვ ჩემო, ვინც პირველ გამახარე, ვით სხვა ქალი შენ არ გიხარებია, უკვე თავი შენ უფლის წინ დახარე, სული შენი ზეცას შეჰფარებია.

შემიბრალე მარად შენი მგონები, შემახედე, გევედრები გულითა, რომ კვლავ ნათობს შენი სხივთა კონები, დანაფრქვევი ჩემი სიყვარულითა.

მსურს მეც შენებრ გავხდე სულმიღებული.

ამით გაათავა ლაურეტამ თავისი სიმღერა, რომელსაც ყველანი გულმოდგინედ უსმენდნენ, თუმცა თითოეულმა მათგანმა თავისებურად გაიგო მისი შინაარსი. იყვნენ ისეთები, რომელთაც ეს მილანოელებივით გაიგეს და ამბობდნენ, რომ კარგი ღორი სჯობია მშვენიერ გოგოსაო. ხოლო სხვებმა ამ მოთხრობის შინაარსი უფრო კეთილშობილური და ამაღლებული მხრით გაიგეს, მაგრამ ახლა დრო არ არის ამაზე ვიმსჯელოთ.

მეფემ ამის შემდეგ მაშხალებისათვის მოაკიდებინა და უბრძანა მწვანეზე და ყვავილთ

შორის ემღერათ მანამდე, სანამ ცაზე ვარსკვლავები აციმციმდებოდნენ. მაშინ კი დაასკვნა — დროა ძილად მისვლისაო, მთელს საზოგადოებას ძილი ნებისა უსურვა და უბრძანა — თქვენ-თქვენ ოთახებში წაბრძანდით და მოისვენეთო.

მეოთხე დღე

დასრულდა მესამე დღე დეკამერონისა და დაიწყო მეოთხე, რომელშიაც, ფილოსტრატოს მეფობაში, ლაპარაკობენ იმათზე, რომელთა სიყვარულს ბოლო უბედური ჰქონდა.

ჩემო ძვირფასო ქალებო, რაც ბევრი ჭკვიანი ხალხისაგან გამიგონია, ან რაც მე არაერთხელ მსმენია და წიგნებში წამიკითხავს, ასე მეგონა, — მგლეჯელი და მწველი ქარი შურისა ხვდებოდა მხოლოდ მაღალ კოშკებს ან სულ მაღალი ხეების მწვერვალებს-მეთქი, მაგრამ თურმე ძალიანა ვცდებოდი, რადგან როცა ვცდილობდი ყოველი ღონე მეღონა და თავი დამეფარა ამ სასტიკი გრიგალისაგან, არა მარტო ველ-ველ ვეფარებოდი ყველაფერს, არამედ ძალზე ღრმა ღელეებშიაც. ეს ცხადი იქნება ყველასათვის, ვინც წინამდებარე პატარა მოთხრობებს დააკვირდება, რომლებიც მე არა მარტო ფლორენციული მდაბიო ენითა მაქვს დაწერილი, პროზითა და უსათაურებოდ, არამედ რაც შეიძლებოდა, მარტივი და მოკრძალებული სტილითა. მიუხედავად ყოველივე ამისა, მე თავი ვერ დამიღწევია ამ საშინელი გრიგალისათვის, რამაც ძლიერად შემარყია, კინაღამ ხისებრ ძირიანად ამომთხარა, — მთლად დაშაშრული ვარ შურის შხამიანი ჩხვლეტისაგან. და ამიტომ ახლა ძალიან კარგად მესმის, რასაც სულ მუდამ ამბობს ბრძენი ხალხი, სახელდობრ, ისა, რომ მხოლოდ და მხოლოდ უბადრუკობამ არ იცის შური რა არის.

აღმოჩნდნენ, ჩემო ჭკვიანო ქალებო, ისეთები, ვინც, ჩემი ეს პატარა მოთხრობები რომ წაიკითხეს, მითხრეს, ვითომც მე თქვენ ძალზე მიყვარდეთ, და ვითომც ჩემთვის სააუგო იყოს, რომ ვცდილობ გაამოთ და გაგართოთ; — სხვებმა უარესიცა თქვეს, — საყვედური მითხრეს იმისთვისაც, რომ გაქებთ ხოლმე. ზოგთ, ვითომდა დამჯდარი ჭკუისანი ვართო, მიკიჟინეს — თქვენი ხნის ადამიანს არ შეშვენის ასეთ რამეებს გაეტაცვინოსო, ესე იგი ქალებზე ილაპარაკოს და ცდილობდეს მათი გული მოიგოსო! ბევრია ისეთებიც, ვინც ჩემი სახელისა და დიდებისათვის ვითომდა ძალიანა ზრუნავენ და ამბობენ, — ჩემთვის უკეთესი იქნებოდა მუზებთან დავრჩენილიყავი პარნასზე, ვიდრე ცუდ-უბრალოდ მელაყბა თქვენთან. ისეთებიც გამოჩნდნენ, ვინც იმდენად თავიანთი გონიერება კი არ გამოიჩინეს, რამდენად ზიზღი ჩემდამი, — ასეთებმა ჩემზედა თქვეს: უკეთესს იზამდი, ლუკმა-პურისათვის გეზრუნა, ვიდრე ასეთ სისულელეებს გაეტაცვინო იმ დროს, როცა ცხოვრების სახსარი არა გაგაჩნია რო! არიან

ისეთებიცა, ვინცა ცდილობენ, ფასი დაუკარგონ ჩემს ნაშრომს და ყოველ ღონესა ღონობენ დაამტკიცონ, ვითომ რასაც მე გიამბობთ, სულ ტყუილი და ჩმახი იყოს.

ამნაირად, ღირსეულო ქალებო, იმ დროს, როცა თქვენთვის ვიბრძვი და თქვენა გმსახურებთ, სწორედ ამ დროს გამიტაცებს შურის გესლიანი სულთქმა, რომელიც ყოველი მხრიდან მოედინება ხოლმე, მისი ულმობელი, გალესილი კბილები მჯგვლემენ და გულს მისერავენ. ყოველივე ამას, ღმერთმა იცოდეს, გულდამშვიდებით ვისმენ ხოლმე; და თუმცა ასეთ საქმეში, საცა სამართალია, თქვენგან მოველი გამოქომაგებას, მე მაინც ჩემს ძალ—ღონესაც აღარ დავზოგავ; მაგრამ იმის მაგიერ, რომ შესაფერისად ვრცლად ვუპასუხო ჩემს მტრებს, მოკლე პასუხით დავაჩუმებ და ამას ნამდვილად ვიზამ. რადგან ჯერ ახლავე, როცა ჩემი შრომის მესამედიც არ დამისრულებია, მტრები ისე მომიმრავლდნენ და თან ისე გაკადნიერებულნი არიან, მე მგონია, სანამ ბოლომდე ჩავათავებდე, თუ მათ მარჯვედ არ დავუხვდი, იმ ზომამდე გამრავლდებიან, რომ ადვილად შეძლებენ ჩემს დამხობას, და მაშინ თქვენი ძალ-ღონე, რაც უნდა იყოს იგი, ვერ შეძლებს ჩემს მტრებს გაუძალიანდეს.

მაგრამ სანამ რომელიმე მათგანს ვუპასუხებდე, მინდა ჩემი თავის გასამართლებლად მოგითხროთ მთელი ამბავი კი არა, — რათა არავის ეგონოს, ვითომ მე მსურდეს მივუმატო ჩემი საკუთარი ამბებიც იმ პატივცემული საზოგადოების მოთხრობებს, რომელიც თქვენ წარმოგიდგინეთ, — არამედ ერთი ნაწილი მოთხრობისა იმისთვის, რათა ამ ამბის ნაკლმა დაარწმუნოს მსმენელი, რომ ეს მოთხრობა უკვე ზემოთ ხსენებულ მოთხრობებს არ ეკუთვნის; ახლა კი მივუბრუნდები ჩემს მოწინააღმდეგეებს და ვეტყვი შემდეგს: მას აქეთ დიდი ხანია, ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა ერთი კაცი, ფილიპო ბალდუჩის ეძახდნენ. სულ დაბალი წოდებისა იყო, მაგრამ მდიდარი და კარგად აღზრდილი და გამოცდილი თავისი ხელობის საქმეებში. ცოლიანი იყო. ცოლ-ქმარს ერთმანეთის სიყვარულში ამოსდიოდა სული, მშვიდად და უწყინრად ცხოვრობდნენ და იმასღა ნატრობდნენ, ერთმანეთისათვის ეამებინათ. და აჰა, მოხდა ის, რაც მოსავალია ხოლმე ყველასათვის: საბრალო ქალი სააქაო ცხოვრებას განეშორა და ფილიპოს დაუტოვა მისგან შეძენილი ასე ორი წლის ვაჟი.

ცოლის სიკვდილმა ისე დაანაღვლიანა ფილიპო, რომ ასე იშვიათად თუ სხვა ვინმე ინაღვლებდა საყვარელი არსების დაკარგვას. რომ დაინახა, თავზე სარჩე ადამიანის შემდეგ მარტო დავრჩიო, გადაწყვიტა, ჩემი სიცოცხლე ამქვეყნად არა ღირსო. ისევა ჯობია ღვთის სამსახურს შევწირო ჩემნი დღენიო და თავისი პატარა შვილიც ამ გზაზე დააყენა. ქონება, რაც რამ ებადა, სულ ღარიბებსა და ქვრივ-ობლებს დაურიგა და დაუყოვნებლივ აზინაიოს მთაზე წავიდა. აქ, თავის შვილთან ერთად, ერთ პატარა სენაკში დადგა, ცხოვრობდა იმით, რასაც მოწყალების სახით მოუტანდნენ და დროს ლოცვასა და მარხულობაში ატარებდა. აქ მამა გაურბოდა ხორციელ რაზედმე ლაპარაკი ჩამოეგდო შვილთან ან ისეთი რამე ეჩვენებინა, რაც მას ღვთის მსახურებაზე ხელს ააღებინებდა, სულ მუდამ მოუთხრობდა საუკუნო

სანეტარო ცხოვრების ამბავს, უყვებოდა ღმერთზე, მის წმინდანებზე და ბავშვს ლოცვის მეტს არაფერს ასწავლიდა.

ამნაირად ფილიპომ ბევრი ხანი იცხოვრა შვილთან. ნებას არ აძლევდა, როდესმე სენაკიდან გასულიყო და მის მეტი სხვა ვინმე ენახა. ამ ღირსეულ კაცს ზოგჯერ ფლორენციაში მოუხდებოდა ჩამოსვლა, ღვთისნიერი ხალხი გაიკითხავდა და მერე ისევ დაუბრუნდებოდა თავის სენაკს.

ვაჟი უკვე თვრამეტი წლისა გახდა, ფილიპო კი მოხუცდა. ერთ დღეს ვაჟმა ჰკითხა — სადაა, მამილო, რომ დადიხართ ხოლმეო? ფილიპომ უთხრა, საცა დადიოდა. ამაზე შვილმა ასე უთხრა: „მამაჩემო, თქვენ უკვე მოხუცი ბრძანდებით და დაღალვას ვეღარ გაუძლებთ! მიკვირს, რატომ ერთხელ მეც არ წამიყვანთ ფლორენციაში და არ გამაცნობთ თქვენს მეგობრებს, ამ ღვთისნიერ და ღვთისმოშიშ ხალხს! მე ახალგაზრდა გახლავართ და დაღალვას თქვენზე უფრო ადვილად გავუძლებ. მერე შემიძლია ჩავიდე ფლორენციაში, როცა კი მოგინდებათ, თუ რამე დაგვჭირდება, და თქვენ კი აქ დარჩებით“. ღირსმა კაცმა ასე იფიქრა თავის გულში: ჩემი შვილი უკვე დიდია და იმდენად შეჩვეულია ღვთის სამსახურს, რომ სააქაო ამაოებას ისე ადვილად არ გაეტაცვინებაო; მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობსო. ამიტომ, როცა დასჭირდა წასვლა, შვილიც თან წაიყვანა.

ფლორენციაში ჩასულმა ახალგაზრდამ რომ დაინახა სრა-სასახლეები, სახლები, ეკლესია-ტაძრები და სხვა მრავალი რამ, რითაც ქალაქი სავსე იყო და რომლებიც, რაც თავი შეესწავლა, არ ახსოვდა, რომ სადმე ენახოს, საშინლად გაუკვირდა, და მამას ერთთავად ეკითხებოდა, — ეს რა არის, ამას რაღა ჰქვიანო? მამაც ეუბნებოდა. ერთ კითხვაზე რომ უპასუხებდა, შვილი კმაყოფილი რჩებოდა და ახლა სხვა რასმე ჰკითხავდა. ამგვარად, სანამ მამა-შვილი კითხვა-პასუხის მიცემაში იყვნენ, შემთხვევით შემოხვდნენ ლამაზ და კოხტად ჩაცმული ქალების მთელ ჯგუფს, რომელიც ქორწილიდან ბრუნდებოდა. ვაჟმა რომ დაინახა ესენი, ჰკითხა — ეს რა არისო? მამამ უპასუხა: თვალები ძირს დახარე, ნუღარ უყურებ, უკეთური არსებებიაო!.. შვილი ისევ შეეკითხა: „სახელი რა ჰქვიათ?“ მამას ეშინოდა, შვილს რამე ხორციელმა სურვილმა არ გაუჩუჩუნოს და სულის წასაწყმედი რამ ნდომა არ დაებადოსო, და ქალებს თავისი ნამდვილი სახელი არ დაუძახა, არამედ უთხრა: დედალი ბატებიაო: პირდაპირ საკვირველი საქმე იყო! იმას, ვისაც ქალი თავის დღეში არ ენახა, იმდენი ყურადღება არ მიუქცევია არც სასახლეებისათვის, არც ხარისა, არც ცხენისა, არც საყდრისა, არც ფულისათვის, ერთი სიტყვით, არაფრისათვის, რასაც პირველადა ხედავდა, აქ კი მაშინვე თქვა: მამილო, შენი ჭირიმე, ერთი ამ დედალ ბატთაგანი როგორმე მაშოვნინეო. „ჩუმად-მეთქი, შვილო, — უთხრა მამამ, — აკი გითხარ, უკეთური არსებანი არიან-მეთქი“. ამაზე შვილმა ისევა ჰკითხა:

„მაშ, უკეთური არსებანი ასეთები არიან?“ „ჰო, შვილო, ასეთები არიან!“ — უპასუხა მამამ. მაშინ შვილმა უთხრა: „მე არ მესმის, რას ამბობთ ამას და ესენი უკეთური არსებანი რათ უნდა იყვნენ; მე კი უნდა მოგახსენოთ, რომ ამათზე მშვენიერი და სასიამოვნო ჩემს დღეში არაფერი მინახავს!.. თქვენ ხშირად გიჩვენებიათ ჩემთვის დახატული ანგელოზები, იმათაც კი სჯობიან! მამილო, გეთაყვანე, მოდი, ერთი ეს ბატი თან წავიყვანოთ მთაზე, — სულ მე მოვუვლი, ვაჭმევ“. –„არა, არ მინდა: შენ არ იცი რა უნდა აჭამოს ამათ კაცმა,“ — უთხრა მამამ და მიხვდა, რომ ბუნებას თავისი გაჰქონდა და მის მიერ ნახმარი ხერხი აღზრდისა უძლური გამოდგა, თან ნანობდა: ეს რა ღმერთი გამიწყრა და ფლორენციაში რათ ჩამოვიყვანეო!..

მე კი ამ მოთხრობიდან საკმაოდ ბევრი ვთქვი და ახლა ისევ მივუბრუნდები იმათ, ვისთვისაც ამ ამბავს მოვყევი.

ამგვარად, ზოგიერთნი ჩემი ძვირის მთქმელნი გაიძახიან, რომ მე ვითომც ცუდსა ვშვრებოდე, ჩემო ცუგრუმელებო, რაკი ძალიან მონდომებული ვარ თქვენი გული მოვიგო და რომ თქვენ ძალზე მომწონხართ. ამას მე აშკარად ვაღიარებ, ესე იგი მე თქვენ მომწონხართ, და ვცდილობ, თქვენც მოგაწონოთ ჩემი თავი. და ახლა ერთი უნდა ვკითხო ამ ვაჟბატონებს: ასე რად უკვირთ, თუკი თვითონაც განუცდიათ თუნდაც ხვევნა-კოცნის სიტკბოება და ის ნეტარება, რომელსაც მოგვმადლებს ხოლმე თქვენთან საქორწინო დაახლოება, თაფლზე უტკბილესო ქალებო! რად უკვირთ ყოველივე ესა, როცა თვით იმან, რომელიც გამოზრდილა გარეულ მთიან ადგილებში, უდაბნოში, პატარა სენაკის ვიწრო კედლებს შორის და რომელსაც, როგორც თქვენც ისმინეთ, ძეხორციელი არ უნახავს თავის მამის გარდა, ასეთმა კაცმა მხოლოდ თქვენ გინდომათ და სიყვარულით სავსე თვალები გაგაყოლათ? და ასეთებს განა ძალუძთ გამკიცხონ, ჩემი ძვირი თქვან, მათრიონ იმისთვის, რომ მიყვარხართ როგორც ადამიანს, რომლის სხეული ზენაარმა ისე შექმნა, რომ მიდრეკილია თქვენდა სიყვარულად, ხოლო სული ჩემი სიყრმიდანვე თქვენსკენ მოისწრაფოდა, განიცდიდა თქვენი თვალების ბრწყინვალების ძალას, სიტკბოს თქვენი დაშაქრული ენისას და შეიგრძნობდა ალს, გულში რომ ფეთქავდა თქვენი სულთქმა-ამოოხვრისაგან; განა ამათ შეუძლიათ დამგმონ იმისათვის, რომ თქვენ მომწონხართ და მეცა, რაც შემიძლია, ვცდილობ თავი მოგაწონოთ იმ დროს, როცა ყველაზე მეტად მოეწონეთ ახალგაზრდა მწირს, ჭაბუკს, რომელსაც არაფრის წარმოდგენა არა აქვს და ტყის ცხოველი უფრო დაერქმის, ვიდრე ადამიანი? რა თქმა უნდა, მე დამგმობს მხოლოდ ის კაცი, ვისაც თქვენ არ უყვარხართ და არცა ცდილობს თავი შეგაყვაროთ; ისეთი კაცი, ვისაც თავის დღეში არ სცნობია და არ განუცდია ბუნებრივი მიდრეკილების ძალა და არ უგემნია ამ მიდრეკილებისაგან სიტკბოება; მაგრამ ასეთების აზრი ჩემთვის ანგარიშში ჩასაგდები არ არის. ხოლო იმათ, ვისაც ნიშანში ჩემი წლოვანება ამოუღიათ, ალბათ, არ იციან, რომ პრასას თუ ძირი თეთრი აქვს, სამაგიეროდ მისი ფოთლები მწვანეა. ამ უკანასკნელთ, ხუმრობა იქით იყოს და, მოვახსენებ, რომ სამარის კარამდე ჩემთვის

სირცხვილად არ მივიჩნევ ვაამო იმ არსებათ, რომელნიც მოხუცებულობის ჟამსაც მოსწონდათ გვიდო კავალკანტის, დანტე ალიგიერის, აგრეთვე მოხუცებულობისაგან მთლიანად მიხრწნილ მესერ ჩინო პისტოიელსა და სასიქადულოდაც მიაჩნდათ მათი პატივისცემა. მე რომ მომენდომებინა და გადამეხვია იმ წესისათვის, რომელიც ლაპარაკისათვის არსებობს ხოლმე, ისტორიიდან მრავალ მაგალითს მოვიტანდი იმის დასამტკიცებლად, რომ წარსულ საუკუნეებში ბევრი სახელოვანი კაცი, უკვე სიბერეში შესული, ყოველ ღონესა ხმარობდა, ოღონდ როგორმე ეამებინა ქალებისათვის; და თუ ჩემმა ძვირისმყოფელებმა ეს არ იციან, წაბრძანდნენ და გაიგონ. მეუბნებიან — შენ პარნასზე უნდა ცხოვრობდე მუზებთანაო! უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მეტად კარგი რჩევა გახლავთ; მაგრამ, თქვენს ლხენას, აბა, სად შეგვიძლია სულ მუდამ მათთან ვიყოთ ისევე, როგორც იმათ არ შეუძლიათ ჩვენთან დარჩნენ, ხოლო უკეთუ ვინმემ მუზებს თავი დაანება და სიამოვნებას განიცდის იმით, რომ ამ მუზების მსგავს არსებათ შეჰხარის, ამისათვის როდი უნდა გავკიცხოთ... მუზები ივივე ქალები არიან და თუმცა ქალები არ არიან შემკულნი მუზების ყველა ღირსებითა, მაგრამ ერთი შეხედვით ძალიან მოგვაგონებენ მუზებს, ასე რომ, თუ ქალები სხვა რითიმე არ მომეწონებოდნენ, ამ ერთი რითიმე მაინც უნდა მომწონებოდნენ; ზედმეტად მიმაჩნია იმაზე ლაპარაკი, რომ ქალების წყალობით მრავალი ლექსი დამიწერია, იმ დროს როცა მუზებს, ერთი რა არის, ერთი ლექსის დაწერაც კი არ ჩაუგონებიათ! რა თქმა უნდა, მუზები მშველოდნენ და მასწავლიდნენ ხოლმე, თუ როგორ მეწერა ეს ლექსები; და როცა ამ უბრალო მოთხრობებსა ვწერდი, მუზები, შეიძლება, მოდიოდნენ და რჩებოდნენ ჩემთან, რომ მომშველებოდნენ და ამას იმიტომა შვრებოდნენ, რომ ქალებთან მსგავსება ჰქონდათ; ამიტომ ჩემი მოთხრობების მოგონების დროს, მე სრულებითაც არა ვშორდებოდი, როგორც ეს ბევრსა ჰგონია ხოლმე, არც პარნასის მთასა და აღარც მუზებსა. მაგრამ რაღა უნდა ვთქვათ იმაზე, ვინც ჩემი დიდებისათვის ესდენ ზრუნავენ, რომ მირჩევენ, ვეცადო მოვიპოვო პური ჩემი არსობისა. სწორედ მოგახსენოთ, მეც არ ვიცი, რა ვთქვა: მხოლოდ წარმოვიდგინოთ, რომ მართლა მიჭირს ლუკმაპურის შოვნა და მივმართე იმათ და ვთხოვე. მე დარწმუნებული გახლავართ, ასეთ პასუხს მომცემდნენ: წადი, შენს არაკებში მოიკითხე შენი პურიო! მაგრამ ის ხომ ვიცით, რომ პოეტები თავიანთ იგავ-არაკებში უფრო მეტსა პოულობდნენ, ვიდრე მდიდრები თავიანთ განძეულობათა შორის; ბევრ მათგანს თავისი ფანტაზიისათვის ფრთები გაუშლევინებია და უსახელებია ის საუკუნე, რომელშიაც ცხოვრობდა, ხოლო ბევრი მათგანი, ვინც სიხარბეს გამოჰკიდებია და რაცა სჭიროდა, იმაზე მეტ სარჩო-საბადებელს ეძებდა, სიჭაბუკეშივე დაღუპულა. მეტი რა ვთქვა? ჩემი მოწინააღმდეგენი დაე გამომეკიდონ, თუ მე მათთან მივედი, ხელი გავუშვირე და პური ვთხოვე, მაგრამ ახლა კი, ღვთის მოწყალებით, ეს არა მჭირია; და კიდეც რომ გამიჭირდეს, მე ვიცი მოციქულის მოძღვრებისა არ იყოს, დალხინებასაც შევიფერებ და გაჭირვებასაც გავუძლებ; ამიტომ თავს ნურავინ შეიწუხებს და ჩემთვის იმაზე მეტად ნუ იზრუნებს, ვიდრე მე ვზრუნავ ჩემი თავისთვის. ხოლო ისინი, ვინც გაიძახიან, რომ ვითომც ჩემი ნათქვამი ისე არ

მომხდარიყოს, როგორც მე მაქვს აღწერილი, კარგს ინებებდნენ, წარმოადგენდნენ ნამდვილ მოთხრობას და თუ ესენი და ჩემს მიერ დაწერილი მოთხრობები ერთი და იგივე არ გამოდგება, პირველი მე ვიტყვი, ისინი მართლები არიან-მეთქი და ვეცდები ჩემი თავი მევე გავამტყუნო; მაგრამ სანამ ლიტონი სიტყვების გარეშე არაფერსა ვხედავ, დაე ისინი თავიანთის აზრისანი იყვნენ, მე კიდევ ჩემის აზრისა ვიქნები და იმასვე ვილაპარაკებ, რასაც ისინი ჩემზე ლაპარაკობენ.

მე მგონია, ამხელად საკმაოდ ვუპასუხე და ვიტყვი მხოლოდ, რომ აღვიჭურვები მოთმინებით და ღვთისა და თქვენი შეწევნით, ცათა სწორნო, ამით დაიმედებული გავწევ წინ. ხოლო ქარს ზურგს შევაქცევ და დაე იმდენი იქროლოს, სანამ მოეწყინებოდეს; რადგან არა მგონია, იმაზე უარესი რამ დამემართოს, რაც ემართება ხოლმე გრიგალის დროს წმინდა მტვერს: გრიგალი ამ მტვერს ან სულ არ აიტაცებს მიწიდან, ან თუ აიტაცებს, სულ მაღლა აიტაცებს და ხშირად ეს მტვერი რჩება ადამიანების თავებზე, მეფეთა და იმპერატორთა გვირგვინებზე, ზოგჯერ კიდევ მაღალ სრა-სასახლეთა და კოშკთა სახურავებზე; და თუ აქედან მტვერი ჩამოცვივდა, ყოველ შემთხვევაში, იმაზე დაბლა მაინც არ დაეცემა, საიდანაც აღტაცებული იყო გრიგალის მიერ. და თუ წინათაც ყოველ ღონესა ვღონობდი, რომ თქვენთვის როგორმე მეამებინა, ახლა რომ ვარ ამის გუნებაზე, ისე ჩემს დღეში არა ვყოფილვარ, რადგან ყოველ გონიერ ადამიანს შეუძლია ერთი რამ თქვას: როგორც სხვები, ისე მეც, ვისაც თქვენი თავი გვიყვარს, ვიქცევით თანახმად ბუნების კანონებისა. ხოლო იმისთვის, რომ წინ აღვუდგეთ ბუნების კანონებს, საჭიროა სულ დიდი ძალ-ღონე, რაც ხშირად არა მარტო ამაოდ ჩაივლის, არამედ დიდად აზარალებს ხოლმე ადამიანს, რომელიც შეეცდება ეს ძალ-ღონე გამოიყენოს. გამოგიტყდებით და ვიტყვი, რომ ასეთი ძალ-ღონე არა მაქვს, და არც მინდა მქონდეს; და რომ კიდეც მქონოდა, უმალ სხვას ვისმე დავუთმობდი, ვიდრე თვითონ გამოვიყენებდი. ამიტომ ჯობია, ჩემი გამქირდველნი დადუმდნენ. უკეთუ არ ძალუძთ აღენთონ, დაე სიცივისაგან გაიფიჩხონ და დასჯერდნენ თავიანთ სიამოვნებას, ან ბუნების საწინააღმდეგო სურვილები იკმარონ, ხოლო მე თავი დამანებონ და შემაძლებინონ მოსვენებით გავატარო ჩემი, ყველა ადამიანისათვის დაწესებული, ხანმოკლე სიცოცხლე.

მაგრამ ჩვენ ჩვენი მოთხრობის საგანს ძალიან ავუხვიეთ გზა, ჩემო მშვენიერო ქალებო, ახლა დროა დავუბრუნდეთ იქაურობას, საიდანაც გამოვედით, და შემოღებულ წესრიგს მივდიოთ.

მზემ ცაზე უკვე განაბნია ვარსკვლავები, ხოლო მიწას მოაშორა ღამის სველი ჩრდილი, როცა ფილოსტრატო თვითონაც ადგა და თავის მხლებლებიც ყველანი ააყენა; მთელი საზოგადოება მშვენიერ წალკოტში შევიდა და დაიწყო შიგ სეირნობა. საღილობის დრო რომ დადგა, იქვე გაშალეს სუფრა, საცა წინა ღამეს ივახშმეს. სანამ მზე მაღლა იდგა, ისვენებდნენ; მერე წამოდგნენ და, ჩვეულებისამებრ, ლამაზ შადრევანს გარს შემოუსხდნენ. აქ

ფილოსტრატომ ფიამეტას უბრძანა მოთხრობა დაეწყო. იმანაც აღარ დააცადა ბრძანების განმეორება და მისებური მოხდენილობით ასე დაიწყო.

ამბავი პირველი. სალერნოელი საყვარლები

სალერნოს პრინცი ტანკრედი თავისი ასულის საყვარელსა კლავს და იმის გულს, ოქროს თასში ჩადებულს, თავის ქალს უგზავნის. ქალი ზევიდან საწამლავიან წყალს მოასხამს, ამ წყალს დალევს და კვდება.

დღევანდელი დღისთვის ჩვენმა მეფემ მეტად ნაღვლიანი საგანი დაგვისახა სალაპარაკოდ. თუმცა აქ სამხიარულოდ მოვსულვართ, მაგრამ ჩვენ სხვათა ცრემლების შესახებ მოგვიხდება ლაპარაკი, ხოლო ასეთი ამბები უეჭველად გულში სიბრალულს აღუძრავს როგორც მომთხრობს, ისე მის ყურისმგდებელს. შეიძლება მეფემ ეს იმიტომაცა ქნა, რომ ცოტათი დაეცხრო ჩვენი წინა დღეების მხიარულება. მაგრამ როგორიც უნდა იყოს მიზეზი, რამაც აიძულა იგი ასეთი რამ გადაეწყვიტა, მე მისი სურვილის შეცვლა არ შემიძლია. ამიტომ მოგითხრობთ ერთ გულისდამწყვეტ, სამწუხაროსა და თქვენი სიბრალულის ღირს ამბავს .

სალერნოს პრინც ტანკრედს საკმაოდ კეთილისა და კაცთმოყვარე ბატონის სახელი ჰქონდა (სიბერის ჟამს ხელები შეყვარებულთა სისხლში რომ არ გაესვარა). მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ ერთი ქალი ესვა და უფრო ბედნიერიც იქნებოდა, ეს ქალი სულაც რომ არ გასჩენოდა. არც ერთ მამას არ ჰყვარებია თავისი ქალი ისე ნაზად, როგორც ტანკრედს თავისი ქალი უყვარდა; და ალბათ ასეთი სიყვარულის გამო მამა გვერდიდან ვერ იშორებდა და არ ათხოვებდა ქალს, თუმცა, დიდი ხანია, გასათხოვარი იყო. ბოლოს, როგორც იქნა, კაპუას მთავრის ვაჟს მიათხოვა. მაგრამ დიდ ხანს არ გაუვლია, ისე დაქვრივდა და ისევ მამას დაუბრუნდა. თავადის ასული მეტად ლამაზი სახისა და ტანადი იყო, ამ მხრივ მაგის მსგავსი ქალი არც კი დაბადებულა. ამასთან ახალგაზრდა, ჯანსაღი და ჭკვიანიც იყო. და ჭკუა შეიძლება უფრო მეტიცა ჰქონდა, ვიდრე ეს საზოგადოდ ქალს შეეფერებოდა. ცხოვრობდა მოსიყვარულე მამასთან, როგორც ქალბატონი, მდიდრულადა და ფუფუნებაში. თან ხედავდა, რომ მამა იმ სიყვარულის გამო, რომელსაც მისდამი გრძნობდა, არც კი ფიქრობდა მის ხელმეორედ გათხოვებას. თვითონ კი სირცხვილად მიაჩნდა მამისათვის ეთხოვნა. გამათხოვეო, და ამიტომ იფიქრა, მოდი, თუ შესაძლებელი იქნება, ჩუმად შესაფერ საყვარელს გავიჩენო.

მამის სასახლეში აუარებელი ხალხი ირეოდა, როგორც კეთილშობილი, ისე არაკეთილშობილი, როგორც ეს ყოველთვისაა მეფეთა სასახლეებში. მუშტრის თვალით

დაუწყო ქვრივმა თვალიერება მათს ზრდილობასა და ქცევას და მათს შორის თვალში მოუვიდა ერთი ახალგაზრდა მსახური მამისა. სახელად გვისკარდო ერქვა. დაბალი ჩამომავლობისა იყო, მაგრამ ისე ღირსეულად ეჭირა თავი და ისეთი ყოფაქცევა ჰქონდა, რომ ყველასა სჯობდა. რადგან ამ ყმაწვილს ხშირადა ხედავდა ქალი, მალულად აღინთო მისი სიყვარულით და მისი ქცევა უფრო და უფრო მოსწონდა. ყმაწვილიც სულ ხამი არ იყო და მიხვდა: ქალს ჩემზე თვალი უჭირავსო და შეიყვარა მთელი თავისი არსებით. ახლა მის გულში ქალის სიყვარულის მეტს სხვა გრძნობას ადგილი არა ჰქონდა.

ამგვარად, ერთმანეთი იდუმლად უყვარდათ. ქალი იმასღა ნატრობდა, როდის შემეძლება, მე და ის მარტო ვიყოთო; თანაც არ უნდოდა სხვა გარეშე ვინმე ჩაერია ამ სიყვარულის საქმეში. ამიტომ ერთგვარ ეშმაკობას მიმართა, რომ ყმაწვილისათვის გაეგებინებინა თავისი გულის წადილი. დაწერა წერილი, რომლითაც სატრფოს ატყობინებდა, თუ რა უნდა ექნა მეორე დღეს, რომ ქალი მარტო ენახა; მერე ეს წერილი ქალმა ლერწმის გულში ჩასდო, სიცილით გადასცა გვისკარდოს და უთხრა: „დღეს საღამოს შენს მოსამსახურე ქალს მიეცი და საბერველად გამოადგება ცეცხლის გაჩაღების დროს“.

გვისკარდომ ჯოხი ჩამოართვა ქალს და იფიქრა, უმიზეზოდ არ მომცემდა ამ ლერწმის ჯოხსაო და არც ასეთ სიტყვებს დააატანდაო. სასახლიდან წამოსული ჯოხიანად თავის სახლში დაბრუნდა. აქ დაუწყო თვალიერება ჯოხს და რომ დაინახა. გაბზარულიაო, მაშინვე გახსნა. დაინახა ქალის წერილი და წაიკითხა. მიხვდა, რაც უნდა ექნა. იმაზე ბედნიერი კაცი ქვეყნის გაჩენიდან არ დაბადებულა. დაიწყო იმის ფიქრი, თუ როგორ შეხვედროდა ქალს ისე, როგორც ამას თვით ქალი ასწავლიდა.

თავადის სასახლის გვერდით ერთი გამოქვაბული იყო, კლდეში უხსოვარი დროიდან გაკეთებული. ამ გამოქვაბულში ოდნავი სინათლე ჩამოდიოდა კლდეში გაკეთებული სასულე ნახვრეტიდან. და რადგან ეს გამოქვაბული ადამიანის მიერ მიტოვებული იყო, ეს სასულე თითქმის დაეფარა მის გარშემო ამოსულ ბუჩქებსა და ეკლებს. ამ გამოქვაბულში გამოდიოდა ერთი საიდუმლო კიბე, რომელიც იყო სასახლის ქვედა სართულის ერთ-ერთ ოთახში, სადაც ინვა თავადის ასული. და გამოქვაბულში შესვლა კი შეიძლებოდა ერთი კარითა, რომელიც მაგრად იყო დაკეტილი. ეს კიბე ყველას დავიწყებული ჰქონდა, იმიტომ რომ, ვინ იცის, რამდენი ხანია, არავის დასჭირებია. მაგრამ სიყვარულმა, რომლის თვალებისათვის არაფერია დაფარული, შეყვარებულ ქალს მოაგონა ამ კიბის არსებობა. თავადის ქალი, სხვას არავის გაუგია ისე, რამდენიმე დღის განმავლობაში, რაც ხელთა ჰქონდა, იმ იარაღით მანამდე ეწვალა, სანამ კარის გაღებას მოახერხებდა. ბოლოს, კარი რომ გააღო და გამოქვაბულში ჩავიდა, დაინახა სასულე. მაშინ გვისკარდოს შეუთვალა, როგორმე იმ სასულეთი უნდა ჩამოხვიდეო, თანაც აუწერა, რა სიმაღლეზე იქნებოდა მიწიდან ეს სასულე.

ეს რომ გაიგო, გვისკარდომ, იმისათვის, რომ უფრო ადვილად აესრულებინა განზრახვა, საჩქაროდ იშოვა მარყუჟებიანი და ნასკვებიანი თოკი, რომ შესძლებოდა ჩასვლა და ამოსვლა, მერე ჩაიცვა ტყავის ტანისამოსი, რომ ეკლები არ შერჭობოდა. არავის რა გააგებინა, ისე მეორე დღეს სასულესკენ გასწია. აქ თოკის ერთი წვერი სასულეს ტუჩთან ამოსულ ხის ტოტს მოაბა და მერე ჩაეშვა თოკის კიბით გამოქვაბულში და საგრფოს ლოდინი დაუწყო.

თავადის ქალმა მეორე დღეს ძილი მოიმიზეზა და მოახლეები ყველა გარეთ გაისტუმრა და კარები შიგნიდან ჩაკეტა. მერე გასასვლელი საიდუმლო კარი გააღო და ჩავიდა გამოქვაბულში. აქ დახვდა გვისკარდო და ორივემ უაზროდ გაიხარეს. აქედან ქალის ოთახში ავიდნენ და დიდი სიამოვნებით გააგარეს ამ დღის უმეტესი ნაწილი და რადგან გადაწყვიტეს თავიანთი სიყვარული საიდუმლოდ შეენახათ, ვაჟი ისევ ქვაბში შევიდა, ქალმა კი საიდუმლო გასავალი მიხურა და ოთახიდან თავის მოახლეებთან გამოვიდა. გვისკარდო კი, რომ დაღამდა, თავის თოკით ავიდა და სასულედან, საიდანაც ჩამოვიდა, გარეთ გავიდა და შინ დაბრუნდა. რაკი ერთი გზა ისწავლა, შემდეგ არაერთხელ დაბრუნებულა საგრფოსთან.

მაგრამ ბედს შეშურდა ასე ხანგრძლივი და ასე სამოთხისებური ნეტარება შეყვარებულთა და ერთ სამწუხარო შემთხვევის წყალობით ორი შეყვარებულის ნეტარება ტირილად გადააქცია. ტანკრედს ჩვეულებად ჰქონდა ხოლმე ზოგჯერ მარტოდმარტო შემოსულიყო თავის ქალის ოთახში, მასთან ერთხანს ილაპარაკებდა და მერე ისევ გავიდოდა ხოლმე.

ერთ დღეს თავიდან ნასადილევს შევიდა ქალის ოთახში. ქალი კი, რომელსაც გისმონდა ერქვა, თავის მოახლეებთან ერთად ბაღში იყო. ოთახში მისი შესვლა არც არავის უნახავს და არც არავის გაუგონია. თავადს არ უნდოდა ქალისათვის სიამოვნება შეეწყვეტინებინა და თან რაკი ოთახის ფანჯრები მიხურული დაუხვდა და საწოლის ფარდაც ჩამოშვებული იყო, მივიდა და კუთხეში ლოგინთან მდგარ პატარა სკამზე ჩამოჯდა. თავით საწოლს მიეყრდნო და ფარდა მოიფარა, თითქო აქ დამალვა უნდოდა. და ჩაეძინა. სანამ თავადს ასე ეძინა, გისმონდამ, რომელმაც ეშმაკად სწორედ იმ დღეს დაიბარა გვისკარდო, თავი მიანება თავის მოახლეებს ბაღში, ფეხაკრეფით შემოვიდა ოთახში და კარი ჩაკეტა. აბა რას მოიფიქრებდა, თუ ვინმე იყო მის მეტი ოთახში. მერე გვისკარდოს, რომელიც უკვე ელოდებოდა, საიდუმლო შემოსავალი გაუღო და ორივე, ჩვეულებისამებრ, ლოგინში ჩაწვნენ.

სანამ საყვარლები ლაღობდნენ და ხუმრობდნენ, ტანკრედს გამოეღვიძა, გაიგო და დაინახა, რასაც მისი ქალი და გვისკარდო შვრებოდნენ. საშინლად აღშფოთდა და ჯერ უნდოდა დაეყვირნა, მაგრამ მერე თქვა: ჯობია, დავჩუმდე და ვეცადო არ ვეჩვენო, რომ მერე უფრო ფრთხილად და თავშეურცხვენელად ავასრულო გულისნადებიო.

საყვარლები დიდხანს სიამტკბილობდნენ ერთად, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდათ ხოლმე და ტანკრედი არც კი შეუმჩნევიათ. როცა სთქვეს, გვეყოფა და დროა ერთმანეთს გავშორდეთო, ჩამოვიდნენ საწოლიდან, გვისკარდო გამოქვაბულში შევიდა, ხოლო თავადის ასული ოთახიდან გარეთ გამოვიდა. ტანკრედი კი, მიუხედავად სიბერისა, ერთი ფანჯრიდან ბაღში გადახტა და შეუმჩნევლად, ბრაზისაგან ცოცხალ-მკვდარი, თავის ოთახში შევიდა.

იმ ღამეს, თავადის ბრძანების თანახმად, გვირაბის სასულეესთან ორი კაცი დადგა სადარაჯოდ, და გვისკარდო, ტყავის ტანისამოსიანი, მაღლა ამოვიდა თუ არა, ხელი სტაცეს და ჩუმად ტანკრედს მიჰგვარეს. თავის ქალის საყვარელი რომ დაინახა თავადმა, თითქმის ატირებულმა უთხრა: „შენც იცი, რა კარგად გექცეოდი. სამაგიერო ასე რათ გადამიხადე? ნუთუ ღირსი ვიყავი იმ შეურაცხყოფისა, რაც შენ მომაყენე და სირცხვილისა, რაც აჭამე ჩემს ოჯახს? ყოველივე ჩემი საკუთარი თვალებით ვნახე დღეს“. ამაზე გვისკარდომ ესღა უპასუხა: „სიყვარული თქვენზედაც ძლიერი გახლავთ და ჩემზედაც“. მაშინ ტანკრედმა ბრძანა — სასახლის ერთ-ერთ ოთახში დაემწყვდიათ და ყარაული დაეყენებინათ. მისი ბრძანება მყისვე აასრულეს.

მეორე დღეს გისმონდამ ჯერ არაფერი იცოდა, რაც მოხდა; ტანკრედმა ბევრი იფიქრა, თუ რა გზას უნდა დადგომოდა. ნასადილევს, ჩვეულებისამებრ, შევიდა თავის ოთახში, ქალისათვის დააძახებინა, ოთახი შიგნიდან გადაკეტა და თითქმის ატირებული ხმით დაუწყო ლაპარაკი: „გისმონდა, შვილო, ისეთი იმედი მქონდა შენი პატიოსნებისა და სირცხვილ-ნამუსიანობისა, რომ თავის დღეში აზრად არ მომივიდოდა, ვისაც უნდა ეთქვა ჩემთვის, რომ ჩემი საკუთარი თვალებით არ მენახა, და დამეჯერებინა, რომ შენ არამც თუ საყვარლად გაუხდებოდი ვისმე, თუ არ სჯულიერ ქმარს, არამედ გულშიაც კი არ გაივლებდი ასეთ რასმე. ჩემის მოხუცებულობისა გამო რაც დღეები დამრჩენია, სულ შენი საქციელი მედგება თვალწინ და ამან უნდა მომიშხამოს ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი დღენი. მაგრამ თუკი ღვთის ნება იყო, რომ ასეთი სირცხვილი უნდა მეჭამა, ისეთი კაცი მაინც აგერჩია, თავისი ჩამომავლობით შენი ღირსი და შესაფერი ყოფილიყო. მაგრამ ჩემს სასახლეში მყოფ მამაკაცთაგან შენ აირჩიე გვისკარდო, მდაბალი ჩამომავლობის ყმაწვილი, რომელიც სულ პატარა მოიყვანეს ჩემს სასახლეში, სამადლოდ გავზარდეთ და დღემდე ვინახავდით. ამით შენ საშინლად დამიკოდე გული და არ ვიცი, ღმერთმანი, რა გიყო. გვისკარდო წუხელ გვირაბის სასულედან გამოსვლის დროს დავაჭერინე და დავამწყვდევინე; უკვე გადაწყვეტილი მაქვს, რაც უნდა ვუყო. მაგრამ, შენ რაღა გიყო, ღმერთმა უწყის, არ ვიცოდე. ერთის მხრივ, ჩემს გულში იბრძვის სიყვარული, და ხომ იცი, ისე მიყვარდი, რომ არცერთ მამას არ ყვარებია ასე თავის ქალი; ეს სიყვარული მეუბნება, ლმობიერად მოგექცე და გაპატიო; მეორეს მხრით, ჩემში იბრძვის სრულებით სამართლიანი გულისწყრომა, რომელიც გამოიწვია შენმა შეუნდობარმა სისულელემ, და ეს გულისწყრომა მიკარნახებს, რომ ჩემი ბუნების წინააღმდეგ წავიდე და

ულმობლად მოგეპყრა. მაგრამ სანამ ამა თუ იმ გზას დავადგებოდე, მსურს გავიგონო შენი პირიდან, ამაზე რას იტყოდი“ ეს რომ თქვა, თავი ჩაქინდრა და ქვითინი ამოუშვა, თითქო ძალზე ნაცემი ბავშვიაო.

გისმონდამ, მამას რომ ყურს უგდებდა, გაიგო, რომ არამც თუ ჩემი საიდუმლო სიყვარული გამომჟღავნებულა, არამედ გვისკარდოც დაჭერილიაო. ისეთი მწუხარებით აევსო გული, რომ კინაღამ იტირა და ცრემლები გადმოაფრქვია ამ მწუხარების გამოსათქმელად, როგორც ამას ქალები უმეტეს შემთხვევაში შვრებიან ხოლმე. მაგრამ მისმა ამაყმა სულმა სძლია ამ სისუსტეს, საშინელი ძალა დაატანა თავის თავს, რომ სახე სრულებით დამშვიდებული ჰქონდა და სანამ პატიებას სთხოვდა, გადაწყვიტა სიცოცხლეს გამოსალმებოდა, რადგან ფიქრობდა, ჩემი საყვარელი გვისკარდო ალბათ უკვე ცოცხალი აღარ არისო. ამიტომ გისმონდამ არა როგორც მწუხარე ქალმა, არამედ ვაჟკაცურმა, უცრემლო თვალი გაუსწორა მამას და აუღელვებლად ასე უთხრა: „მამაჩემო, არც უარვყოფ ჩემს დანაშაულს და არც პატიებასა გთხოვ, რადგან რომ ვიუარო, სულ ერთია, არაფერი გამოვა, და პატიება კიდევ მე თვითონ არ მინდა; გარდა ამისა, უნდა გითხრა, რომ მე სრულებით არა მსურს ჩემზე გული მოიბრუნო და წინანდებურად გიყვარდე; მხოლოდ ვეცდები მთელი სიმართლე გითხრა, საბუთიანად დავიცვა ჩემი პატიოსნება და მერე დაგიმტკიცო საქმითაც, რომ მე სულმოკლე არა ვარ. მართალია, გვისკარდო მიყვარდა და მეყვარება სიკვდილამდეც, რომელიც, შეიძლება, ახლოსაც იყოს; თუ სიყვარული სიკვდილის შემდეგაც იქნება, გვისკარდო მაშინაც მეყვარება. ამ სიყვარულის მიზეზი იმდენად ჩემი ქალური სისუსტე არ იყო, რამდენადაც ის, რომ ჩემი მეორედ გათხოვება არ გინდოდა და აგრეთვე იყო მისი პირადი ღირსებაც. ტანკრედ, შენ უნდა გცოდნოდა, რომ რაკი შენ ხორცისა და სისხლისაგან იყავ შექმნილი, ქალსაც ხორცისა და სისხლისაგან გააჩენდი და არა ქვისა და რკინისაგან. და თუმცა შენ ახლა დაბერებული ხარ, მაგრამ მაინც უნდა გახსოვდეს, რა სიძლიერით მოქმედებს ბუნების კანონები ახალგაზრდობაში ან როგორებია ეს კანონები. მართალია, შენ, როგორც მამაკაცს, შენი სიცოცხლის საუკეთესო ხანა ომში გაგიტარებია, მაგრამ მაინც უნდა იცოდე, თუ რა გავლენა აქვს უქმსა და ფუფუნებით ცხოვრებას არა მარტო მოხუცებზე, არამედ ახალგაზრდებზედაც. მაშასადამე, როგორც შენგან გაჩენილი, ხორცშესხმული ადამიანი ვარ, ცხოვრებითაც ცოტა მიცხოვრია, ამიტომ ჯერ ისევ ახალგაზრდა ვარ; როგორც ერთი, ისე მეორე მიზეზით ჩემში ხორციელი ნდომა მეტად ძლიერია და ეს ნდომა უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც გავთხოვდი და ვიგემე სიამოვნება, რომელიც მოსდევს ამ ნდომის ასრულებას. ამ ძალას ვერ ვეურჩე, წინ ვერ აღვუდექი, არამედ დავემორჩილე და იძულებული შევიქენ იქით მევლო, საითაც ის მიმითითებდა. ასე რომ, როგორც ახალგაზრდამ და ქალმა, მამაკაცი შევიყვარე. რა თქმა უნდა, ძალიან ვცდილობდი ამ ცოდვის საწინააღმდეგოდ, რომლის ჩასადენად ბუნების კანონები მაქეზებდა, მეხმარა მთელი ჩემი სათნოება და ისე გამომეყვანა, რომ არც შენს და არც ჩემს სახელს ჩირქი არ

მოსცხებოდა. და შემბრალებელმა ამურმა და მწყალობელმა ბედმა მაპოვნინეს და მაჩვენეს ის იდუმალი გზა, რომლის საშუალებით გულის წადილს ვისრულებდი ისე, რომ არავის გაუგია ეს.

„არც ვიცი, შენ ეს გაუწყა ვინმემ თუ სხვა რამ გზით გაიგე, მხოლოდ უნდა გითხრა, რომ არ უარვყოფ, რაც ჩავიდინე. გვისკარდო უცაბედად კი არ ამირჩევია, როგორც ამას ბევრი სხვა ქალი შვრება ხოლმე, არამედ წინასწარ კარგად ავიღე და დავიღე და ისე ამოვარჩიე სხვებში. წინასწარ კარგად ავწონ-დავწონე, რასაც ვშვრებოდი და ისე შემოვიყვანე, და რადგან ორნივე მტკიცე ხასიათისანი და პირიანი ვიყავით, დიდხანსა ვტკბებოდი და სურვილს ვიკმაყოფილებდი. მე მგონია, შენ უფრო ხალხს უგდებ ყურს, სამართლიანად მოქცევას იმდენად არა ცდილობ, იმდენად სიყვარულისთვის არა მძრახავ და ეს სიყვარული იმდენად დანაშაულად არ მიგაჩნია, რამდენადაც იმისთვის, რომ მე დაბალი წოდების კაცს გადავეკიდე (თითქო მაშინ კი არ უნდა გამწყრომოდი, აზნაური რომ მეშოვნა საყვარლად!..) მაგრამ, ამასთან ერთად, შენ თვითონ ვერ ამჩნევ, რომ ძრახავ ჩემს ჩადენილ ცოდვას კი არა, არამედ შეცდომას ბედისას, რომელიც ძალიან ხშირად უღირსთ მაღლა ასწევს და ღირსეულებს კი დაბლა ტოვებს.

„მაგრამ ახლა ამას თავი დავანებოთ და ჩაუკვირდი საგანს არსებითად: დაინახავ, რომ ჩვენი ყველას სხეული ერთისა და იმავე ნივთიერებისაა, ყველა ადამიანთა ერთმა შემოქმედმა ჩაჰბერა სული, ერთნაირი ძალღონისა, ერთნაირი ნიჭისა და ღირსებისა. მხოლოდ ღირსებითა და სათნოებით შეგვიძლია ვიყოთ ერთიმეორისაგან განსხვავებულნი; ვისაც მეტი სათნოება ჰქონდა და ამ სათნოებას საქმით ახორციელებდა, კეთილშობილი უწოდეს, ყველა დანარჩენნი კი არაკეთილშობილად დარჩნენ და თუმცა ამ კანონს შემდეგში სრულებით მოწინააღმდეგე ჩვეულება გადაეღობა წინ, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გაუქმებული და არ ეწინააღმდეგება არც ზნეობას და არც საღ გონებას; და ამიტომ ვინცა სათნოებით იქცევა, ცხადად ჩნდება მისი კეთილშობილება, და თუ ასეთ ადამიანს სხვა სახელს უწოდებ, ეს ადამიანი არაფერ შუაშია, დამნაშავენი ისინი არიან, ვინც მას ამ სხვა სახელს უწოდებენ. აბა, შეხედე შენს კეთილშობილ კარისკაცთ და დააკვირდი მათ სათნოებას, მათ ზნე-ჩვეულებას და ქცევას და, მეორეს მხრივ, გვისკარდოსაც დააკვირდი; და შენ რომ მტრულად არ იყო განწყობილი გვისკარდოსთან, იტყოდი: ყველაზე უკეთილშობილესი ეს არისო და ჩემნი კარისკაცნი კი ყველანი უღირსნი არიან და კეთილშობილებისა არა სცხიათ რაო.

„რაიცა შეეხება გვისკარდოს სათნოების და ღირსების დაფასებას, ამ შემთხვევაში მე სხვის ნათქვამს არაფრად ვაგდებ, არამედ ვემყარები მხოლოდ შენს ნათქვამს, და იმას, რასაც ჩემი საკუთარი თვალები მეუბნებოდა. ჩემზე მეტად ვინ აქებდა მას ყველა იმ საქებ ქცევისათვის, რისთვისაც ყოველი ღირსეული კაცი ადამიანმა უნდა აქოს და ადიდოს? და ცხადია, რომ შენ უსაბუთოდ არ გიქნია, რადგან თუ ჩემი თვალები არ მატყუებენ, ვხედავდი,

რომ იმან გაამართლა შენი ქება სავსებით და იმაზე მეტიცა ჰქნა, ვიდრე შენ სიტყვებით შეგეძლო გამოგეთქვა; და თუ მეტყვი, მოტყუებულხარო, აბა სწორედ შენი წყალობით ვიქნები მოტყუებული.

„ამიტომ თუ მეტყვი, დაბალი წოდების ადამიანთან დაგიჭერია საქმეო, ამის თქმა ხომ ტყუილი გამოგივა. მაგრამ თუ შემთხვევით იტყვი: რატომ არ იცოდი, რომ ეს კაცი ღარიბი იყოო, შეიძლება დაგეთანხმო, თუმცა ეს შენთვისვეა სასირცხვილო, რადგან შენი ერთგული მოსამსახურე ისე ვერ მოაწყვე, რომ არაფერი ჰკლებოდა. მაგრამ ესეც უნდა გითხრა, რომ ადამიანს სიღარიბე კი არ ართმევს კეთილშობილებას, არამედ სიმდიდრე. ბევრნი მეფენი თუ თავადნი წინათ ღარიბნი ყოფილან და ბევრნი მათგანნი, ვინც მიწას სთხრიან და ცხვარსა მწყსიან, შეიძლება მდიდრებად გადაიქცნენ და ვიცნობ კიდეცა ასეთებს.

„დასასრულ, შევეხოთ იმ ყოყმანს, თუ რა უნდა მიყო მე. გირჩევ ხელი აიღო ამ ყოყმანზე. როცა ცალი ფეხი სამარეში გიდგას, გინდა ისე მოიქცე, როგორც ახალგაზრდობაში არ მოქცეულხარ, ე.ი. ულმობელობა გამოიჩინო. იცოდე, არ მოგმართავ და პატიებას არა გთხოვ, არამედ გთხოვ ეს ულმობელობა და რისხვა მე დამატეხო თავზე, როგორც ამ ცოდვის მთავარ ჩამდენს, თუკი ამ საქციელს ცოდვა დაერქმის.

„გარწმუნებ, მამაჩემო, რომ თუ მეც ის არ მიყავი, რაც უყავი ან უზამ გვისკარდოს, ჩემი საკუთარი ხელით ვუზამ ჩემს თავს. მაშ, წადი და ქალებთან ერთად დაღვარე ცრემლები და მერე გაბოროტებულმა მეცა და გვისკარდოსაც ერთისა და იმავე დაკვრით ბოლო მოგვიღე, თუკი ფიქრობ, რომ დავიმსახურეთ ასეთი სასჯელი“.

თავადმა დაინახა თავისი ქალის სიმამაცე, მაგრამ მაინც არა სჯეროდა, რომ ქალს რაც უნდა მტკიცედ ეთქვა, ღონე შესწევდა ნათქვამი აესრულებინა. ქალს რომ მოშორდა, ხელი აიღო მის სასტიკად დასჯაზე და იფიქრა, საყვარელი რომ მოუკვდება, მგზნებარე სიყვარულიც გულიდან გადაუვლისო. და ორ მსახურს, გვისკარდოს რომ სდარაჯობდნენ, უბრძანა: ამავ ღამეს ჩუმად წაახრჩეთ, გული მოაცილეთ და აქ მომიტანეთო. მსახურთაც ბრძანება აასრულეს.

მეორე დღეს თავადმა მოატანინა ერთი დიდი და მშვენიერი ოქროს თასი, შიგ ჩადო გვისკარდოს გული და ერთი ყველაზე მეტად მისანდობარი მსახურის ხელით ქალს გაუგზავნა, თანაც დააბარა: როცა გადასცე, ასე უთხარი: „ეს მამაშენმა გამოგიგზავნა, რომ სანუგეშოდ და მოსაგონებლადა გქონდეს იმისა, ვინც ყველაზე მეტად გიყვარდა, ისევე, როგორც შენ ეცი მას ნუგეში იმითი, რაც მას ყველაზე მეტად უყვარდა ამ ქვეყნად-თქო“.

გისმონდამ გადაწყვიტა, აესრულებინა თავისი ამაყური განზრახვა: მამა რომ მოშორდა,

მოატანინა შხამიანი ბალახები და ბალახის ძირები, გაწურა და მერე წყალში გახსნა, რომ ხელთ ჰქონოდა, თუ მოხდებოდა ის, რისაც ეშინოდა. ქალთან მოვიდა მსახური, მოუტანა ძღვენი და მამის შემონათვალი მოახსენა. გისმონდამ გულადად ჩამოართვა თასი, მოხადა თავი და რომ დაინახა გული და თან მამის სიტყვებიც გაიგონა, იჭვიც არ შესვლია, რომ ეს გვისკარდოს გული იყო. მიუბრუნდა მსახურს და უთხრა: „ასეთ ძვირფას გულს სწორედ ოქროს საფლავი შეეფერებოდა და არა სხვაგვარი რამ: მამაჩემი სწორედ რომ გონივრულად მოქცეულა ამ შემთხვევაში“. ეს რომ თქვა, ტუჩთან მიიტანა, აკოცა და მერე ასე წამოიძახა: „მამაჩემს ყოველთვის და ყველაფერში ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე მეტად ნაზად ვუყვარდი, მაგრამ თავისი სიყვარულის დამამტკიცებელი საბუთი როგორც ახლა, ისე თავის დღეში არ მოუცია; ამიტომ ასეთი დიდი ძღვენისთვის უკანასკნელად ეტყვი მადლობას, რადგან ამის მეტად თავის დღეში ვერ ვეტყვი“.

ეს რომ სთქვა, ისევ მიუბრუნდა თასს, მაგრად რომ ეჭირა ხელში, დააცქერდა გულს და თქვა: „ყველა ჩემი სიყვარულის უტკბილესო თავშესაფარო! წყეულ იყოს ულმობელობა იმისი, ვინც შენი თავი ჩემ ხორციელ თვალებს აჩვენა! მე ისიც მეყოფოდა, რომ შენთვის გონების თვალებით მემზირნა მუდამ ჟამს. შენი სააქაო სავლელი გზა განვლე, და აღასრულე ყოველივე, რაც ბედისგან გეწერა, მიაღწიე იმ მიზანს, რასაც ყოველი ადამიანი ესწრაფვის; შენ დაუტევე ურვანი და საშიშროებანი ამა ქვეყნისა და თვით შენის მტრისაგან მიიღე სწორედ ისეთი კუბო, როგორიც შეეფერებოდა შენისთანა ვაჟკაცს. შენს დასაფლავებას ერთიღა აკლდა — ცრემლები იმ ქალისა, რომელიც შენს სიცოცხლეში ასე უსაზღვროდ გიყვარდა. მაგრამ იმისათვის, რომ ეს ცრემლებიც არ დაგკლებოდა, ღმერთმა ჩემს ულმობელ მამას ჩააგონა შენი თავი ჩემთვის გამოეგზავნა. და აჰა, ცრემლებსაც დაგაფრქვევ, თუმცა განზრახვა მქონდა ისე მოვმკვდარიყავ, რომ ჩემს თვალებზე ცრემლები არავის დაენახა და სახეზედაც შიში რამ არ გამომხატვოდა; რომ დაგიტირებ, შენი საშუალებით ჩემს სულს შევუერთებ იმ სულს, რომელსაც ასეთი სიყვარულით უვლიდი და ჰპატრონობდი. თუ არ იმასთან, სხვა ვისთან შევიძლებდი უცხო მხარეში წასვლას გულარხეინად და თამამად? დარწმუნებული ვარ, რომ მისი სული ჯერ ისევ აქ არის და ათვალიერებს იმ ადგილებს, სადაც მე და იმას იმდენი ტკბილი წუთები გაგვიტარებია; აგრეთვე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი საყვარელი სულ ელოდება ჩემს სულს, რომელიც მას ყველაზე მეტად უყვარს“.

ეს რომ თქვა გისმონდამ, დაიხარა თასზე და მკვდარ გულს უსაზღვროდ კოცნა დაუწყო. ტიროდა, მაგრამ არცა ჰგოდებდა და აღარც კვნესოდა, როგორც ამას ჩვეულებრივ ქალები შვრებიან ხოლმე. თვალთაგან კი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი, იტყოდით, თითქო თავში წყარო აქვს მოთავსებულიო. და საკვირველი იყო, საიდან მოსდიოდა ამდენი ცრემლი! მოახლეთ, გისმონდას გარშემო რომ იდგნენ, არ იცოდნენ, თუ თასში გული იყო, არც ის იცოდნენ, თუ რა სიტყვებს ამბობდა ქალი, მაგრამ მისი საცოდაობით ინვოდნენ და ისინიცა

ტიროდნენ. ეკითხებოდნენ თანაგრძნობით მისი ტირილის მიზეზს, მაგრამ ყოველივე ამაო იყო: ქალი პასუხს არ იძლეოდა. მოახლენი ცდილობდნენ, როგორც შეეძლოთ, ნუგეში ეცათ და გული გაემაგრებინათ.

გისმონდამ ტირილით რომ გული იჯერა, თავი მაღლა ასწია, თვალები მოიწმინდა და თქვა: „ჩემო ძვირფასო გულო, მე ავასრულე ჩემი მოვალეობა შენს მიმართ; ახლა ერთიღა დამრჩენია: ჩემი სული შენს სულს შევუერთო“ ესა თქვა და მოატანინა შუშა, რომელშიაც ედგა წინადღით დამზადებული საწამლავი. ეს საწამლავი დაასხა თასზე, სადაც ესვენა მისი ცრემლებით განბანილი გული, მერე თასი უშიშრად ტუჩთან მიიტანა, და რაც შიგ იყო, სულ შესვა. სმა რომ გაათავა, თასიანად თავის ლოგინზე დაწვა, ტანისამოსი გაისწორა, მიცვალებული საყვარლის გული გულზე მიიხუტა და ხმის ამოუღებლად სიკვდილს დაუწყო ლოდინი.

მოახლეთ ყველაფერი დაინახეს და გაიგონეს, მაგრამ არ იცოდნენ, თუ რა წყალი იყო, გისმონდამ რომ დალია, და ამიტომ ტანკრედს ყველაფერი შეატყობინეს. ტანკრედს ეშინოდა, უბედურება რამ არ დატრიალდესო და მაშინვე ჩამოვიდა ქალის საწოლ ოთახში. მაგრამ ქალი უკვე ლოგინზე იყო დაწოლილი. მამამ ალერსიანი სიტყვებით დაუწყო ნუგეშისცემა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. რომ დაინახა, რა დღეშიაც იყო ქალი, მამა მწარედ ატირდა.

ამაზე გისმონდამ უთხრა: „ეს ცრემლები სხვა დროისთვის გამოიზოგე, იმიტომ რომ მე თვითონ ავირჩიე ასეთი ხვედრი. ჩემთვის ნუ ტირი, ტირილი არაა საჭირო. შენს მეტი თუ ვინმე ნახულა როდესმე, რომ ეტიროს იმაზე, რაც თვითონ უნდოდა? მაგრამ თუ შენში კიდევ დარჩენილა ნატამალი ჩემდამი სიყვარულისა, ეს უკანასკნელი წყალობა მიყავი: თუ შენ არ მოგწონდა, რომ დაფარულად და იდუმალად მქონოდა კავშირი გვისკარდოსთან, ახლა გამოცხადებულად დამარხონ ჩემი გვამი იმის გვამთან ერთად იმ ადგილას, საცა ის გადააგდებინე“.

თავადი ისე ღრიალებდა, რომ ქალს პასუხად ვერაფერი უთხრა. ახალგაზრდა ქალმა სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, მკვდარი გული გულში ჩაიკრა და წამოიძახა:

„ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, მე კი მივდივარ“. მერე თვალთ დაუბნელდა, ყოველივე ცნობიერება დაეკარგა და განეშორა სააქაო მწუხარებით სავსე ცხოვრებას.

ასე სამწუხაროდ დასრულდა გვისკარდოს და გისმონდას სიყვარული, როგორც ეს თქვენც გექნებათ გაგონილი. ტანკრედმა ბევრი იტირა ორივესთვის. მერე ბევრიც ინანა თავის გულქვაობის გამო. სალერნოს მცხოვრებთაც საშინლად გული სწყდებოდათ.

ტანკრედმა დიდის პატივით ორივე ერთ საფლავში დაამარხვინა.

ამბავი მეორე. გაბრიელ მთავარანგელოზი

ბერი ალბერტო ერთ ქალს არწმუნებს — ანგელოზს უყვარხარო და ამ ანგელოზის სახით ეს ბერი რამდენჯერმე წვება ქალთან; მერე მისი ნათესავების შიშით ფანჯრიდან გადახტება და დაიმალება ერთ ღარიბ კაცთან, რომელმაც მეორე დღეს ველური კაცის მსგავსად გამოაწყო და მოედანზე გაიყვანა. აქ ბერებმა იცნეს და დაატუსაღეს.

ფიამეტას ნაამბობმა მის ამხანაგებს ბევრჯერ ადინა თვალთაგან ცრემლები. როცა გათავდა, მეფემ კოპებშეკრული სახითა თქვა: „მზადა ვარ, ჩემი სიცოცხლე გავწირო, ოღონდ მაგემა ნახევარი იმ სიტკბოებისა, რაც გისმონდამ გვისკარდოსთან განიცადა, და არც ერთ თქვენთაგანს ეს ჩემგან არც უნდა გაუკვირდეს, იმიტომ რომ ამქვეყნად ყოველ საათს შეიძლება ათასზე მეტ სიკვდილს განვიცდიდე და ამის სანუფქვოდ ჩემს ბედს ჩემთვის ერთი კნინი სიამოვნება არ მოენიჭებინოს. მაგრამ თავი დავანებოთ ჩემს ბედ— იღბალს, რომელსაც ახლა, აბა, რა თქმა უნდა, ვერ შევცვლით; ისევ პამპინეამ გვიამბოს რამე დამაღონებელი ამბავი, ჩემი თავგადასავლის მსგავსი, და თუ იმან ფიამეტას მიერ გაკვალული გზით იარა, მე უეჭველად ვიგრძნობ, რომ ჩემს გულში დაგიზგიზებულ ცეცხლზე ერთი-ორი წვეთი დაეცა ცვრისა-მეთქი.

პამპინეამ ეს მისდამი მომართული ბრძანება რომ გაიგონა, თავისი ამხანაგი ქალების სურვილს მიხვდა უფრო მათდამი კარგი განწყობილებით, ვიდრე მეფის სურვილს მის მიერ ნაბრძანები სიტყვებითა, ამიტომ არჩია, უფრო გაერთო თავისი ამხანაგები, ვიდრე აესრულებინა მეფის ბრძანება და ის ეთქვა, რაც მას ეამებოდა. ასე რომ, გადაწყვიტა, ეამბნა ამხანაგებისათვის სასაცილო რამ ისე, რომ მოთხრობების სათქმელად ნაჩვენები გზისათვის არ გადაეხვია, და ასე დაიწყო: ხალხში ასეთი ანდაზაა დარჩენილი: თუ ავი კაცი კარგ კაცად არის მიჩნეული, ცუდიც რომ ჩაიდინოს, არ დაიჯერებენო. ეს ანდაზა უხვ მასალას მაძლევს ჩემი მოთხრობისათვის, რათა გაჩვენოთ, თუ რაზომ თვალთმაქცები არიან ბერები: ამათ აცვიათ განიერი და გრძელი ტანისამოსი, სახე ხელოვნურად ფერმკრთალად აქვთ გაკეთებული; როცა სხვებს რასმე სთხოვენ, ხმას თავმდაბლურად და ჩუმად იღებენ, ხოლო ოდეს სხვებს აყვედრიან იმ ცოდვებს, რომელთაც თვითონ ჩაიდენენ ხოლმე, მაშინ მათი ხმა ჰქუხს და მსმენელს შიშის ზარსა სცემს; ისინი ამტკიცებენ, რომ თუ ჩვენ ავიღებთ, ხოლო სხვები მოგვცემენ, მომცემთა სულები მით სასუფეველს დაიმკვიდრებენო; იმათ თავი სრულებით ისე არ უჭირავთ, როგორც ყველა ჩვენთაგანს გვიჭირავს, ე. ი. ვცდილობთ ღირს ვიქნეთ სასუფევლისა; იმათ თავიანთი თავი ამ სამოთხის ბატონ-პატრონებად მიაჩნიათ და განაგებენ მას ისე, როგორც თვითონ მოეგუნებებათ. ყოველ მომაკვდავს, მათთვის დატოვებული ფულის რაოდენობის მიხედვით, სამოთხეში ამა თუ იმ ალაგს უნიშნავენ, ზოგს მდარეს და ზოგსაც უკეთესს, და ცდილობენ მოატყუონ ჯერ თავიანთი თავი, თუკი სჯერათ

ამისი, და მერე ყველა ისინი, ვინც მათს ნათქვამს ერწმუნებიან. და მე რომ ნება მქონდეს, რაც მათს შესახებ ვიცი, ყველაფერი ვთქვა, საცოდავ, გულუბრყვილო ხალხს დავანახვებდი, თუ რა აქვთ ბერებს მალული თავიანთ განიერ ანაფორებს ქვეშ. ნეტავი ღმერთი ინებებდეს და თავიანთი ტყუილებისათვის ამათაც ის დაემართებოდეთ, რაც დაემართა ერთ მინორიტების ორდენის ბერს. ეს ბერი არცთუ ახალგაზრდა იყო და ვენეციაში ერთ უდიდეს მცოდნედ ითვლებოდა სარწმუნოების საქმეში. და აი სწორედ იმის ამბავი უნდა გიამბოთ, რომ გაგაცინოთ და, ცოტათიც არი, გულიდან გადაგყაროთ ის ნაღველი, გისმონდას სიკვდილმა რომ გაგიჩინათ.

და აჰა, ჩემო სასურველო მეგობრებო, იმოლაში ცხოვრობდა ერთი გარყვნილი და მეტად გაფუჭებული კაცი. ბერტო დელა მასა ერქვა. ყველამ ისე კარგად იცოდა მისი საზიზღარი ოინები, რომ არავინ უჯერებდა არა მარტო მაშინ, როცა ტყუოდა, არამედ მაშინაც, როცა ათასში ერთხელ სიმართლე წამოსცდებოდა. ამიტომ, რაკი ხედავდა, ჩემი საკბილო აქ არავინ დამრჩენიაო, სასოწარკვეთილი გადასახლდა ვენეციაში, ე. ი. იმ ქალაქში, სადაც მილეთის ნაძირალა ხალხი თავს იყრის ხოლმე. იმის ფიქრს შეუდგა: გამოეგონებინა ისეთი რამ ახალი საშუალება, რომლითაც შეიძლებოდა აქ ისეთი სიოხრე მოემოქმედნა, როგორიც ჯერ სხვაგან არ ჩაედინა.

ამ ქალაქში თავი ყველას ისე მოაჩვენა, ვითომც ნანობდა თავის წინანდელ ბიწიერ ცხოვრებას და ვითომც ახლა მეტად თავმდაბალი და ღვთისმოშიში გახდა. ბერტო ძმათა—მინორიტთა ორდენში ჩაეწერა და ახლა სახელად დაირქვა ძმა ალბერტო იმოლელი. ჩაიცვა ბერული ანაფორა და ყველას ისე აჩვენებდა თავს, ვითომც მეტად წმინდა ცხოვრებას ეწეოდა, ქადაგობდა ყოველთ უწინარეს სინანულსა და მოთმინებას, ხორცს არ ეკარებოდა და არა სვამდა ღვინოს, როცა მისი გემოს ღვინო არ იქნებოდა. ვერავინაც შეამჩნია, რომ ბერტო, ეს ავაზაკი, მაჭანკალი, ყალბი დოკუმენტების მკეთებელი და კაციკალია ერთბაშად გამოჩინებულ მქადაგებლად იქცა, თუმცა თავის წინანდელ ბიწიერებაზე ხელს არ იღებდა და ამას საიდუმლოდ სჩადიოდა, როცა კი მოახერხებდა. გარდა ამისა, რაკი მღვდლად ეკურთხა, წირვის დროს საკურთხეველში რომ იდგა, როგორც კი დაინახავდა, მიყურებენო, მაშინვე ქრისტეს ვნებანი ტირილს დააწყებინებდნენ, რადგან ცრემლები ხელით დაჰქონდა.

სულ მოკლე ხანში ალბერტომ თავისი ქადაგებითა და ცრემლებით ისე მოიზიდა ვენეციელნი, რომ თითქმის ყველა, ვინც ანდერძსა სტოვებდა, ანდერძის ამსრულებლად ალბერტოს ამოირჩევდა და თვით ამ ანდერძსაც მასვე მიაბარებდა ხოლმე, რადგან სანდო კაცად მიაჩნდათ; ზოგი ფულს მიაბარებდა ხოლმე შესანახად; ბევრ ქალსა და კაცს სულიერ მოძღვრად და მრჩევლადაც ჰყავდათ. ამნაირი ქცევის წყალობით წინანდელი მგელი ალბერტო ახლა მოძღვრად იქცა და ამ არე-მარეში ისეთი წმიდა კაცის სახელი გაითქვა, რომ თვით წმ. ფრანცისკო ასიზელზე გაცილებით მეტად ახსენებდნენ.

ერთხელ როგორღაც ერთი ახალგაზრდა, მეტად ტუტუცი ქალი ლიზეტა, კვირინის გვარისა, მდიდარი ვაჭრის ცოლი, რომლის ქმარი თავისი ნავებით ფლანდრიაში იყო წასული, სხვა ქალებთან ერთად აღსარების სათქმელად მივიდა ამ წმინდა ბერთან. ქალმა მის წინ დაიჩოქა და უამბო, როგოც ვენეციელმა ქალმა (ყველა ვენეციელი ქალი ენაჭარტალაა) ზოგი რამ თავისი საქმე. ამის შემდეგ ძმა ალბერტომ ჰკითხა: საყვარელი ხომ არა გყავსო? — „ეჰ, პატიოსანო მოძღვარო, — უპასუხა ქალმა წყენით, — თვალები რა უყავით? განა ჩემი სილამაზე და სხვა ქალებისა ერთია? რომ მინდოდეს, დათვლასაც ვერ შევძლებდი, იმდენი საყვარელი მეყოლებოდა, მაგრამ ჩემი სიყვარული იმ ხასიათისა არ არის, რომ, ვისაც არა მგონია, ნება მივცე შემიყვაროს. ჩემისთანა ლამაზს ქალებში ორს ვერ იპოვნით, — სამოთხეშიაც კი ლამაზი ვიქნებოდი“, — და კიდევ იმდენი იყბედა თავისი სილამაზის შესახებ, რომ მისი ყურისგდება ბოლოსა და ბოლოს, მოსაწყენიც კი იყო.

ძმა ალბერტომ მაშინვე კოჭებში შეატყო, რომ ლიზეტა ცოტა მოსულელო იყო. იფიქრა, კარგი საქმის მოგვარება შეიძლება და ხელიდან არ უნდა გავუშვა ასეთი ლუკმაო. და ერთბაშად განიმსჭვალა მისი სიყვარულით, მაგრამ მაშინვე არ მოინდომა მისი შეცდენა, სხვა უფრო მარჯვე დროისათვის იყოსო. გადაწყვიტა ქალისათვის წმიდანად მოეჩვენებინა თავი და დაუწყო გაკიცხვა, — შენი საქციელი ცუდმედიდობაა. ქალმა კი პასუხად უთხრა — ბრიყვი ყოფილხარ, თუ ყველა სილამაზე ერთნაირი გგონიაო! ამიტომ ძმა ალბერტომ, ქალი არ გავაბრაზოო და მალე გაათავა აღსარების თქმევინება და სხვებთან ერთად გაისტუმრა.

რამდენიმე დღის შემდეგ ალბერტომ გაიყოლია ერთი ერთგული მეგობარი და წავიდა ქალბატონ ლიზეტას სახლში. მასთან ცალკე ოთახში შევიდა ისე, რომ მისი ნახვა არავის შეეძლო, დაიჩოქა მის წინ და უთხრა: „ქალბატონო, თუ ღმერთი გწამთ, მაპატიეთ, იმ დღეს თქვენი სილამაზის შესახებ რომ გაწყენინეთ. იმ ღამესვე ისე უბედურად მცემეს, რომ მას აქეთ დღევანდლამდე ლოგინიდან ვეღარ ავმდგარვარ“. — „მერედა, ვინა გცემათ? —ჰკითხა ქალბატონმა ლიზეტა გამოტვინებულმა. — „აი, ახლავე გიამბობთ, ვინცა მცემა, — უპასუხა ძმა ალბერტომ. — იმავე ღამეს, ჩვეულებისამებრ, ლოცვად რომ დავდექი, ერთბაშად ჩემი სენაკი რაღაც არაჩვეულებრივი სიცხოვლის ნათლით გაშუქდა; მინდოდა გამეგო, საიდან მოდიოდა ეს სინათლე, მაგრამ უკან მოხედვა ვერც კი მოვასწარი, ისე დავინახე, რომ თავს წამომდგომოდა მშვენიერი ახალგაზრდა კაცი, ხელში კიდევ მსხვილი ჯოხი ეჭირა, კაპიუშონზე ხელი წამავლო, წამაქცია და დამირთო ჯოხი. ისე მცემა, ისე, რომ კინაღამ სულ ჩამილეწა ნეკნები. რომ ვკითხე, რას მემართლები-მეთქი, ასე მიპასუხა: — „იმისათვის გცემ, რომ შენ დღეს გაბედე და გაკიცხე ზეციური სილამაზე ქალბატონ ლიზეტასი, რომელიც, ღმერთის შემდეგ ყველაზე მეტად მიყვარს“. — მაშინ მე ვკითხე: — „თქვენ ვინა ბრძანდებით?“ — მე გაბრიელ მთავარანგელოზი ვარ“, — მიპასუხა ამაზე. — „ჩემო ბატონო, — ვუთხარი მე, — გევედრებით, მაპატიეთ“. — მაშინ იმან მითხრა: — „გაპატიებ, მხოლოდ ერთის პირობით: —

როგორც კი მოიკვეთებ, მაშინვე უნდა მიხვიდე მასთან და პატიება სთხოვო; თუ არ გაპატია, მე ისევ დავბრუნდები და ისე მოგთელო, რომ შენს სიცოცხლეში კაცად არ გამოდგე". — რაც ამას შემდეგ მითხრა, იმის გამეორებას ვერ გაგიბედავთ მანამდე, სანამ არ მაპატიებთ". — ბატისტვინა ქალმა რომელსაც ჭკუის ნატამალიც არ მოეძებოდა, ასეთი სიტყვები რომ გაიგონა, სიხარულისაგან ცათაფრენა შეუდგა, რადგან ბერის ნათქვამი მართალი ეგონა და, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, უთხრა: — „აკი გეუბნებოდით, ძმაო ალბერტო, ჩემი სილამაზე უბრალო სილამაზე კი არაა, არამედ ზეციურია-მეთქი. მაგრამ, ჩემმა მზემ, ძალიან მებრალებით, არ მინდა ასეთი ამბავი კიდევ მოგვიდეთ და ამიტომ მიპატიებია, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ანგელოზის ნათქვამი ყველაფერი მიამბოთ". — „ქალბატონო, — უთხრა ალბერტომ, რადგან მაპატიებთ, მეც დიდი სიამოვნებით მოგიყვებით მის ნათქვამს, მხოლოდ გახსოვდეთ კია, რომ ძე-ხორციელს არ უნდა უთხრათ, რასაც მე გეტყვით, თუ არ გინდათ თქვენ — ქალს, რომლის მსგავსი ბედნიერი ცათა ქვეშე არ არის — რაიმე ჩირქი მოგეცხოთ. ანგელოსმა მთხოვა გითხრათ: რომ ძალიან მოსწონხართ, რამდენჯერ სდომებია ღამით მოფრენილიყო თქვენთან, მხოლოდ შინებია, ვაითუ დავაფრთხოვო. ახლა დამავალა შეგატყობინოთ, რომ როდესმე ღამით მოფრინდება და ცოტა ხანს დარჩება თქვენთან; მაგრამ ის ხომ ანგელოზია და თუ ანგელოზის სახით მოფრინდა, თქვენ მის შეხებას ვერ მოახერხებთ. ამიტომაო, თქვა, რადგან მინდა ვასიამოვნო, ადამიანის სახით გამოვეცხადებიო. ის ახლავე გამოგეცხადებათ და მაშინ თქვენ სრული უფლება გექნებათ მთელი ქვეყნის ქალებს შორის უნეტარეს ქალად ჩათვალოთ თქვენი თავი".

ქარაფშუტა ქალბატონმა ამაზე უთხრა: დიდად მოხარული ვარ, რომ ანგელოზსა ვყვარებივარ. მეც ძალიან მიყვარს ანგელოზი და ყოველთვის, როცა კი მის ხატს დავინახავ. გული ვერ მომითმენს, მაშინვე ერთი მატაპანიანი თაფლის სანთელი უნდა დავუნთო; დიდის სიხარულით დავხვდები, როცა ნებავდეს, მაშინ მობრძანდეს, საწოლ ოთახში მარტო ვიქნები, რა სახითაც თვითონ ნებავდეს, იმ სახით მობრძანდეს, მხოლოდ არ შემაშინოს კიო. — „ქალბატონო, — უთხრა მაშინ ძმა ალბერტომ, — თქვენ მეტად ჭკვიანურად ლაპარაკობთ და რაც მიბრძანეთ, ყველაფერს მოვახსენებ. მაგრამ ამ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ ერთი წყალობა მიყოთ და ეს წყალობა კი თქვენთვის სულ ადვილი საქმე იქნება. აი, რასა გთხოვთ: ანგელოზს ნება მიეცით ჩემი სახით გამოგეცხადოთ. ახლა მოგახსენებთ, თუ რად იქნება თქვენის მხრით ეს წყალობა: ანგელოზი, როგორც მოგეხსენებათ, ჩემი სხეულიდან ამოიყვანს სულს და სამოთხეში გაგზავნის, ხოლო თვითონ ჩემს ხრწნად გვამში შებრძანდება, და სანამ ანგელოზი თქვენთან იქნება, ჩემი სული სამოთხეში იფრენს". — ტუტრუცანა ქალბატონმა ამაზე ასე უთხრა: — „თანახმა გახლავართ, იმიტომ რომ რაკი იმან ჩემი გულისათვის გცემათ, მინდა სამაგიერო მოგაგოთ". — მაშინ ძმა ალბერტომ უთხრა: „მაშ, იზრუნეთ იმისათვის, რომ ამაღამ თქვენი სახლის კარი ღია დაუხვდეს და შიგ შემოსვლა შეეძლოს: რადგან ადამიანის სახით გამოგეცხადებათ, სხვაფრივ არ შეუძლია შემოსვლა, თუ არ კარიდან". ყველაფერი

იქნებაო, — უთხრა ქალმა.

ძმა ალბერტო მოშორდა ლიზეტას. ლიზეტა კი მარტო რომ დარჩა, სიხარულით არ იცოდა, რა ექნა, და ანგელოზის მოლოდინში გასული დრო მთელ საუკუნედ მოეჩვენა. ძმა ალბერტო რომ დაფიქრდა, ამაღამ ანგელოზი კი არა, მხედარი უნდა ვიყოო, შეუდგა ძალ—ღონის მოკრებას სხვადასხვა ტკბილეულობით და კარგი საჭმელებით, რომ მისი ჩამოგდება ცხენიდან ადვილი საქმე არ ყოფილიყო. მონასტერში შვებულება ითხოვა და დაღამებისას გაიყოლია ამხანაგი და წავიდა ერთ თავის მეგობარ ქალთან, საიდანაც მიდიოდა ყოველთვის, როცა ჭაკვებს უნდა დარეოდა. როცა დაინახა, ახლა კი დროაო, თავის ტანისამოსის მაგივრად თეთრი სამოსელი ჩაიცვა და ლიზეტას სახლისაკენ გაემართა. რომ შევიდა, სხვადასხვა თანწამოღებული ნივთების საშუალებით ანგელოზად ფერი იცვალა, აჰყვა მაღლა კიბეს და ახალგაზრდა ქალის საწოლ ოთახში ამოყო თავი.

ქალმა რაღაცა თეთრი რომ დაინახა, მის წინ მუხლები მოიყარა. ანგელოზმა აკურთხა, ზეზე ააყენა და თითით ანიშნა, ლოგინისაკენ წადიო; ქალი სიამოვნებით დაემორჩილა და დაუყოვნებლივ აასრულა მისი ბრძანება; ბოლოს თვით ანგელოზიც ამოუწვა გვერდით თავის თაყვანისმცემელს. ძმა ალბერტო მშვენიერი ტანადი იყო, ღონიერი და ძალიან მაგარი ფეხებიცა ჰქონდა, ასე რომ, ქმარზე უკეთესი გამოდგა. იმ ღამეს ბევრჯერ იფრინა ალბერტომ უფრთებოდ, რაც ლიზეტას ძალიან მოსწონდა. გარდა ამისა, ქალს ბევრი რამ უამბო სამოთხის ნეტარების შესახებ.

რომ გათენდა, ალბერტო მოელაპარაკა ქალს — შემდეგ როდის მოვიდეო, წამოიღო თავისი რაგინდა-რამეები და დაბრუნდა თავის ამხანაგთან; ხოლო ამ უკანასკნელს ღამე მარტო რომ არ შეშინებოდა, მასთან იწვა გულკეთილი დიასახლისი.

ნასადილევს ლიზეტამ წაიყვანა თავისი ამხანაგები, მივიდა ძმა ალბერტოსთან და უთხრა, ჩემთან ანგელოზი ბრძანდებოდაო და უამბო, რაც ჰქონდა მისგან გაგონილი საუკუნო ნეტარების შესახებ, აუწერა მისი გარეგნობა და თავის მხრით დაუჯერებელი რამეები დასძინა. ამაზე ძმა ალბერტომ უთხრა: „ქალბატონო, მე არ ვიცი, იმან რა გითხრათ, მხოლოდ ის ვიცი, რომ გუშინწინღამ რომ გამომეცხადა და თქვენი ნათქვამი გადავეცი, ჩემი სული მაშინვე იქ გადაიყვანა, სადაც იმდენი ყვავილი და ვარდი იყო, რომ აქ არც კი მოგელანდებათ, და ცისკრამდე რაღაცა საკვირველ ალაგას ვიყავი; ხოლო არ ვიცი, ამ დროს ჩემს სხეულს რა ემართებოდა“. —“ეს განა არ მითქვამს თქვენთვის? — ჰკითხა ლიზეტამ, — თქვენი სხეული ანგელოზთან ერთად მთელი ღამე გულში მყავდა ჩახუტებული, და თუ ჩემი არ გჯერათ, დაიხედეთ მარცხენა ძუძუს ცოტა ქვემოთ: ამ ადგილას ისე ვაკოცე ანგელოზს, რომ ნიშანი რამდენიმე დღეს არ მოშორდება“. — მაშინ ძმა ალბერტომ უთხრა:

„კარგი, დღეს ის უნდა ვქნა, რაც, დიდი ხანია, არ მიქნია: ტანთ გავიხდი და დავხედავ, მართალს მეუბნებით, თუ არა“. ლიზეტამ ბერს კიდევ სამი გოდორი სავსე ტყუილები დაუფქვა და შინ დაბრუნდა. ხოლო მამა ალბერტო კიდევ არაერთხელ მისულა მასთან ანგელოზის სახით სრულიად უხიფათოდ.

ერთხელ ლიზეტა თავის მეგობარ ქალთან იყო. ლაპარაკი სილამაზეზე ჩამოვარდა და ლიზეტა, რომელსაც თავი გამოცარიელებული ჰქონდა, შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ის ქალებში ყველაზე ლამაზი იყო და უთხრა: „თქვენ რომ იცოდეთ, ვის მოსწონს ჩემი სილამაზე, მაშინ ხმას არ ამოიღებდით სხვა ქალების სილამაზეზე“. ნათლიდედამ, რომელიც მას კარგად იცნობდა, მოინდომა მეტი რამ გამოეტყუებინა და უთხრა:

„ქალბატონო, ვინ იცის, იქნებ მართალსაც ამბობდეთ, მაგრამ რადგან არ ვიცი ნართაულად ვისზე ლაპარაკობთ, არ შემიძლია პირდაპირ ვენდო თქვენს ნათქვამს და ჩემი აზრი გამოვიცვალო“. მაშინ ლიზეტამ, რომელსაც ტვინი ქათმის ტვინისაზე მეტი არა ჰქონდა, უთხრა: „ნათლიდედ, არ მინდოდა ვისთვისმე მეთქვა, მაგრამ, რაც იქნება, იქნება — გეტყვი: ჩემი საყვარელი — ანგელოზია და თავის თავს ვურჩევნივარ, იმიტომ რომ მე მეტად ლამაზი ვარ; მეუბნება, შენზე ლამაზი ცის ქვეშეთში არსადაა“. — ეს რომ გაიგონა ნათლიდედამ, კინაღამ გადაიხარხარა; მაგრამ თავი შეიკავა, რადგან უნდოდა კიდევ მეტი რამ გამოეტყუებინა მისთვის და უთხრა: „რა თქმა უნდა, ქალბატონო, თუ ამას თქვენი საყვარელი —ანგელოზი გეუბნებათ, ეტყობა, უნდა დაგეთანხმოთ; მხოლოდ თავის დღეში ვერ ვიფიქრებდი, თუ ანგელოზები ასეთ საქმესაც სჩადიოდნენ“ – „აბა, აქა სცდებით, ნათლიდედ, — უპასუხა ლიზეტამ, — გეფიცებით, რომ ამ მხრივ ჩემს ქმარს გაცილებით სჯობია, და ისიც მიამბო, რომ ასეთ რასმე მანდ, ზეცაშიაცა, შვრებიანო; მაგრამ რადგან სამოთხეში ჩემისთანა ლამაზი ქალი ვერ უპოვნია, მე შევუყვარდი და ჩემთან ხშირადაც დადის. აბა, ახლა ხომ გჯერათ ჩემი?“

ნათლიდედა ქალბატონ ლიზეტას მოშორდა; საშინლად უნდოდა ყველასთვის ეამბნა, რაც გაიგონა და სული მისდიოდა, სანამ მარჯვე შემთხვევას იპოვიდა. და აჰა, ერთ დღესასწაულზე, სადაც ბევრი ქალი იყო, სიტყვასიტყვით უამბო ყველას ეს საკვირველი ისტორია. ქალებმა თავიანთ ქმრებს და მეგობრებს უამბეს, მათ კიდევ თავიანთ მხრივ სხვებს გადასცეს, და ორ დღესაც არ გაუვლია, რომ ხმა მთელს ვენეციას მოედო — ასე და ასე ყოფილაო. ამ ხმამ, ბოლოს, ახალგაზრდა ქალის სიძეების ყურამდეც მიაღწია. სიძეებმა ქალს არაფერი უთხრეს და გადაწყვიტეს, დაეჭირათ ის ანგელოზი და ენახათ, მართლა შეეძლო ფრენა თუ არა. რამდენიმე ღამესაც ქალის სახლთან უნდა ედარაჯნათ.

კანტიკუნტად ალბერტომაც მოჰკრა ყური ამ ხმას. ერთხელ ღამით ახალგაზრდა ქალთან წავიდა, უნდოდა საყვედური ეთქვა წარამარა ლაპარაკისათვის, მაგრამ, ის-ის იყო,

გაიხადა, რომ ლიზეტას სიძეები, რომლებიც მის მისვლას ხედავდნენ, უკვე საწოლი ოთახის კართან გაჩნდნენ და უნდოდათ გაეღოთ. ალბერტომ გაიგონა ესა და მიხვდა, რაცა ხდებოდა; წამოხტა ლოგინიდან; და რაკი დასამალი სხვა ალაგი ვერა ნახა, გააღო დიდ არხში გადამცქერი ფანჯარა და იქიდან პირდაპირ წყალში ჩახტა. წყალი ძალიან ღრმა იყო, მაგრამ ცურვა იცოდა და ჩავარდნისაგან არაფერი დაშავებია. გაცურა არხი, საჩქაროდ შევიდა რომელიღაც სახლში, რომლის კარი ღია დარჩენილიყო. იქ ვიღაც კაცი დახვდა და სთხოვა, თუ ღმერთი გწამს, სიკვდილს გადამარჩინეო, თანაც ათასგვარი ტყუილი მოიგონა, თუ ასე გვიან აქ რა უნდოდა და ისიც — შიშველს. კაცს შეეცოდა და რადგან თვითონ საქმე ჰქონდა და სხვაგან უნდა წასულიყო, ბერი თავის ლოგინში ჩააწვინა, თანაც უთხრა, ჩემს დაბრუნებამდე აქ იწექიო; მერე სახლი გარედან დაკეტა და თავის საქმეზე წავიდა.

ლიზეტას სიძეებმა, მის საწოლში რომ შევიდნენ, დაინახეს, რომ ანგელოზი უფრთებოდ გაფრენილა, ფრთები კი იქვე დაეტოვებინა; ამის მნახველებმა სიბრაზისაგან ცეცხლი მოიკიდეს, ქალს ბევრი რამ მკვახე სიტყვები აკადრეს, დიდად გაბუებული დატოვეს და თვითონ კი ანგელოზის ფრთებიანად თავიანთსა დაბრუნდნენ.

ამასობაში კარგად გათენდა და იმ კაცმა, რომელმაც ალბერტო შეიფარა; რიალტოს ხიდზე გამოსვლის დროს ყური მოჰკრა ლაპარაკს, რომ ქალბატონ ლიზეტასთან ღამღამობით ანგელოზი მიდიოდა და ქალის სიძეებმა ზედ მოატანესო; ანგელოზს შეშინებია, პირდაპირ არხში გადავარდნილა და ახლა არავინ იცის, რა მოუვიდაო. კაცი მიხვდა, რომ ეს ანგელოზი სწორედ ისაა, მე რომ სახლში მყავსო. შინ რომ დაბრუნდა და დააკვირდა, იცნო ვინც იყო. დაუწყო ლაპარაკი: თუ ორმოცდაათი დუკატი არ მოგიცია, შენს თავს ლიზეტას სიძეებს ჩავაბარებო. იმანაც ჩააბარა ფული. როცა ამის შემდეგ ძმა ალბერტომ სახლიდან გასვლა მოინდომა, ვენეციელმა უთხრა: „აქედან მხოლოდ ერთი საშუალებით შეიძლება გასვლა, ოღონდ არ ვიცი, თქვენ დათანხმდებით თუ არა — ამ საშუალებას მიმართოთ. დღეს დღეობაა. ამ დღეობაზე ბევრს მოყავს დათვურად ჩაცმული კაცები, ან ველურებად და სხვა მის მსგავსად მორთულები. წმ. მარკოზის მოედანზე გაიმართება ნადირობა და ნადირობას რომ მორჩებიან, მასთან ერთად დღეობაც გათავდება; მერე ყველა თავიანთსა ბრუნდება და უკან მიჰყავს გადაცმული კაცი, რომელიც აქ მოიყვანა. თუ გინდა წახვიდეთ მანამდე, სანამ გაიგებდნენ, რომ აქ იმყოფებით, მე ჯერ ასეთ ტანისამოსს ჩაგაცმევთ და ისე წაგიყვანთ მოედანზე, იქიდან კი, საცა გნებავთ, იქ წაგიყვანთ; ჩემის აზრით, ეს ერთადერთი გზაა, ასე გახვიდეთ აქედან, რომ ვერ გიცნონ. რადგან ახალგაზრდა ქალის სიძეებსა ჰგონიათ, აქ მახლობლად სადმე იქნება მიმალულიო და ყველგან დარაჯები უყენიათ, რათა სადმე მოგახელონ და დაგიჭირონ“.

ძმ ალბერტოს ბარემ ემძიმებოდა ქუჩაში ამ სახით გავლა, მაგრამ ლიზეტას ნათესავებისა იმ ზომამდე ეშინოდა, რომ მეტი გზა არ იყო, უნდა დათანხმებულიყო.

მასპინძელს უთხრა, სადაც უნდა წაეყვანა დღეობის გათავების შემდეგ და თანხმობა განუცხადა: რა სახითაც გინდა, იმ სახით წამიყვანეო.

სახლის პატრონმა ალბერტოს ჯერ ტანი თაფლით მოუთხუპნა, ზედ ბუმბული შეაყარა, ყელზე ჯაჭვი მოაბა, ხოლო სახეზე ნიღაბი ჩამოაფარა, ცალ ხელში დიდი კომბალი დააჭერინა, ხოლო მეორეში — ღვედი, რომელზედაც მობმული იყო სასაკლაოდან წამოყვანილი ორი დიდი ნაგაზი. მერე რიალტოს ხიდზე კაცი გააგზავნა ხალხისათვის შესატყობინებლად: ვისაც ანგელოზის ნახვა უნდა, წმ. მარკოზის მოედანზე წამოვიდესო (ასე იციან ვენეციელებმა მოცემული სიტყვის შესრულება).

ამ განკარგულების შემდეგ ცოტა ხანმაც გაიარა, და ვენეციელმა ალბერტო ქუჩაში გამოიყვანა. ჯერ ისე გაუშვა წინ, თვითონ კი ჯაჭვი დაიჭირა ხელში და უკან მიჰყვა. ყველა ყვიროდა და კითხულობდა: „ეს რა არის? ეს რა არის?“ ამ ყვირილსა და განგაშში წაიყვანა მოედანზე. უკან აუარებელი ხალხი მისდევდა და თან მოედანზე უკვე მისულიყვნენ ისინი, ვისაც რიალტოს ხიდზე გაეგოთ ანგელოზის წამოყვანის ამბავი. ასე რომ, საითაც არა მგონი, დიდძალი ხალხი აწყდებოდა მოედანს.

მოედანზე რომ მოვიდა, ვენეციელმა, ვითომ ნადირობის მოლოდინში, ველური ბოძზე მიაბა, ამაღლებულ ადგილზე. აქ ალბერტოს დაეხვია ბუზები და კრაზანები, რადგან თაფლი ჰქონდა წასმული, და საშინლად კბენა დაუწყეს. როცა ვენეციელმა დაინახა, რომ მთელი მოედანი ხალხით გაჭედილიყო, ვითომ ჩემს ველურს ჯაჭვი მინდა ავაცალოო, ის კი არა, ძმა ალბერტოს ნიღაბი ჩამოჰგლიჯა და უთხრა საზოგადოებას: „ბატონებო, რადგან ჩვენ სანადიროდ ტახი არა გვყავს, ამიტომ ნადირობა აღარ იქნება; მაგრამ არ მინდა ვინმემ მითხრას, ტყუილად რად მოგვიყვანეო, ამიტომ გაჩვენებთ ანგელოზს, რომელიც ღამღამობით ზეციდან მიწაზე დაეშვება ხოლმე იმისათვის, რომ ვენეციელ ქალებს ნუგეში სცეს“.

ნიღაბი მოხსნეს თუ არა, მაშინვე ყველამ იცნო ძმა ალბერტო. გაისმა მისკენ მიმართული საშინელი ყვირილი, შეიქნა წიოკობა; გათათხეს, თავზე ლაფი დასხეს, და ადამიანების ყურებს არ მოესმინებოდა, ისეთი სიტყვები აკადრეს, და გარდა ამისა, ხელში რაც რამ სიბინძურე მოხვდებოდათ, ყველაფერს შიგ სახეში ესროდნენ.

ალბერტო ამ მდგომარეობაში დიდხანს გააჩერეს, სანამ მონასტერშიაც არ გაიგეს მისი ამბავი. ბოლოს მონასტრიდან ექვსი ბერი მოვიდა. წამოასხეს ანაფორა, მოხსნეს ბოძიდან და წაიყვანეს მონასტერში. ხალხი ყვირილითა და განგაშით უკან დაედევნა. ჩააგდეს სატუსაღოში, სადაც, როგორც ფიქრობენ, მოკვდა კიდეცა. ამ ამბის შემდეგ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნილს სულ ცოტა ხანს ედგა თურმე სული.

ამნაირად ალბერტო, რომელიც ყველას პატიოსან კაცად მიაჩნდა და არავისა სჯეროდა მისი ცუდი საქციელი, გაკადნიერდა და თავი ანგელოზად გაასაღა, მერე ანგელოზისაგან ველურად იქცა; ბოლოს თავსლაფი დაასხეს. ეს დაიმსახურა საკვებით და ბოლოს უნაყოფოდ თავის ცოდვებს დასტიროდა.

ნეტავი არ იქნება, ღმერთმა ინებოს და ამის მსგავს ადამიანთ ყველას ასეთი ბედი ეწიოს!

ამბავი მესამე. ეჭვიანობის შედეგი

სამ ახალგაზრდას სამი დაი უყვარს და მათთან ერთად კრიტოსზე ილტვიან. უფროსმა დამ ეჭვიანობის გამო თავისი საყვარელი მოკლა; მეორე დაი კრიტელ დუკას დანებდა და უფროსი დაი სიკვდილისაგან იხსნა, მაგრამ თვითონაც მოკლულ იქნა საყვარლის მიერ, რომელიც უფროს დასთან ერთად გაიქცევა; ამ მკვლელობაში ბრალსა სდებენ მესამე დას და მის საყვარელს; ამათ რომ დაიჭერენ, თვითონ დაიბრალებენ დისა და მისი საყვარლის მოკვლას. მაგრამ სატუსაღოს დარაჯს ფულით დაქრთამავენ და ცარიელ-ტარიელნი კუნძულ როდოსზე გაიქცევიან და აქ საშინელ სიღარიბეში სული ამოხდებათ.

პამპინეას მოთხრობის ბოლო რომ მოისმინა, ფილოსტრატო ცოტათი დაფიქრდა, მერე მიუბრუნდა და უთხრა: „თქვენი ამბის დასასრულს არა უშავდა რა და მომეწონა; მხოლოდ დასაწყისში სასაცილო ბევრი იყო და, ჩემის აზრით, ეს არ უნდა ყოფილიყო“. მერე ლაურეტას მიუბრუნდა და უთხრა: „მადონა, ახლა თქვენ განაგრძეთ და თუ შეიძლებოდეს, ამაზე უკეთესი რომ იყოს, ისეთი ამბავი გვიამბეთ“. ლაურეტამ სიცილით უთხრა: „თქვენის მხრივ მეტისმეტი ულმობელობა იქნებოდა შეყვარებულთა მიმართ, თუ მხოლოდ ის გინდათ, რომ მათი სიყვარული უბედურად გათავდეს; და მე ახლა გიამბობთ სამი ქალ-ვაჟის ამბავს, რომელნიც დიდხანს არ დამტკბარან სიყვარულით და სამთავემ უბედურად გაათავეს თავიანთი სიცოცხლე“. ესა თქვა და ასე დაიწყო: — ქალებო, ყოველი ბიწიერება საშინლად აზარალებს არა მარტო იმას, ვინც ამ ბიწიერებას ეძლევა, არამედ სხვებსაც. ჩემის აზრით, სხვა ბიწიერ მიდრეკილებათა შორის უდიდეს საფრთხეში გვაგდებს ხოლმე თავდაუჭერელი გულისწყრომა. ხოლო ეს გულისწყრომა სხვა არა არის რა, თუ არა უცები და სწრაფი სულიერი მოძრაობა. რომელიც რაიმე წყენით იქნება გამოწვეული და რომელშიაც ჩვენს თავს ანგარიშს არ ვაძლევთ; გულისწყრომა ისე მოგვერევა, რომ ფიქრიც კი აღარ შეგვიძლია, გვიბნელებს სულიერ თვალებს და მძვინვარებით აღგვანთებს, თუმცა ეს სიფიცხე უფრო ხშირად მამაკაცებს მოერევა ხოლმე, ზოგს უფრო ნაკლები და ზოგს კიდევ უფრო მეტი სიძლიერით, მაგრამ ამასვე ვხედავთ ქალებშიაც და შედეგი ამათი სიფიცხისა უმეტესად მავნებელია, რადგან ეს რისხვა უფრო ადვილად აღენთება ხოლმე, ეკიდება უფრო კაშკაშა

ალით და თავსაც ვეღარ იჭერს. აქ გასაკვირველიც არაფერია, იმიტომ რომ, თუ მოვიგონებთ, დავინახავთ, რომ ცეცხლის ბუნება ასეთია. — უფრო ედება მსუბუქსა და ფშხვნად საგნებს, ვიდრე მაგარსა და მძიმეებსა. ჩვენ, ქალები, კი (მამაკაცებს ამას საწყენად არ მოგახსენებთ) მათზე გაცილებით ნაზები და მოძრავები ვართ. ასე და ამგვარად, ჩვენ ბუნებისგანა გვაქვს მიდრეკილება წყრომისადმი, მხოლოდ ისიც უნდა მოვიგონოთ, რომ რამდენადაც ჩვენი სიმშვიდე და გულკეთილობა მშვიდობას მოჰმადლებს და აამებს მამაკაცებს, ვისთანაც ჩვენ ურთიერთობა გვაქვს ხოლმე, ისევე იმათ ჩვენი წყრომა და სიფიცხე გაამწარებს და განსაცდელში აგდებს ხოლმე: და აი, იმისთვის, რომ უმეტესი სიმტკიცით ვერიდოთ ხოლმე ამ გულისთქმას, ჩემს მოთხრობაში გაჩვენებთ, ბედნიერად დაწყებული სიყვარული სამი ახალგაზრდა კაცისა და სამისავე ახალგაზრდა ქალისა, როგორც ზევითაცა ვთქვი, ერთ-ერთი ამ ქალთაგანის გულისწყრომის მიზეზით, უბედურად როგორ დასრულდა.

მარსელი, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, პროვანსში მდებარეობს, ზღვის ნაპირას; ეს უძველესი და მეტად ცნობილი ქალაქია; ძველად აქ მდიდრები და დიდი ვაჭრები უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე ახლა არიან. ამათ შორის თავისი სიმდიდრით ცნობილი იყო ვინმე ნარნალდო კლუადა, რომელიც, მართალია, დაბალი ჩამომავლობისა იყო, მაგრამ თავისი სავაჭრო საქმეები პატიოსნად და კეთილსინდისიერად მიჰყავდა; უძრავი ქონება და ფული აუარებელი ჰქონდა. ამ კლუადას თავის ცოლისაგან ბევრი შვილი ჰყავდა. ამათგან სამი მოზრდილი ქალი იყო, დანარჩენები, ქალების მომდევნოები, ვაჟები იყვნენ. ორი უფროსი ქალი ტყუპებად დაიბადნენ და თხუთმეტი წლისანი იქნებოდნენ, ხოლო მესამე — თოთხმეტისა. მშობლებს მათი გათხოვება უნდოდათ და საქმე იმიტომ გადადეს, რომ ნარნალდოს დაბრუნებას ელოდებოდნენ, ის კი ესპანეთში წასულიყო და თავისი სავაჭროც იქ წაეღო.

ამ ქალებში პირველ ორს ერქვა ნინეტა და მადალენა, ხოლო მესამეს ბერტელას ეძახდნენ. ნინეტა საშინლად უყვარდა ერთს ყმაწვილ კაცს, თუმცა ღარიბს, მაგრამ კეთილშობილი ოჯახისას. ყმაწვილს სახელად რესტანიონე ერქვა. ნინეტასაც ყმაწვილი სულს ერჩივნა. დიდის სიფრთხილით ისე ახერხებდნენ, რომ თავიანთი სიყვარულითა ტკბებოდნენ და ეს ამბავი ქვეყნად ძეხორციელმა კაცმა არ იცოდა. მათი სიყვარულის ამბავი კარგა ხანს გრძელდებოდა. ამასობაში ორ მეგობარს, ფოლკოსა და უგეტოს, რომელთაც მამების სიკვდილის შემდეგ დიდი მემკვიდრეობა დარჩათ, შეუყვარდათ ერთს მადალენა და მეორეს — ბერტელა. ეს ამბავი ნინეტამ თავის საყვარელს, რესტანიონეს, უამბო. ამანაც იფიქრა, მოდი ამ ყმაწვილებს დავუმეგობრდები, იქნებ ჩემი ღარიბული მდგომარეობა გამოვაკეთოო. ორივეს დაუახლოვდა და ხან ერთი და ხან მეორე, და ხანაც ორივე ერთად, მოჰყავდა თავიანთი საგრფოების სანახავად და ამასობაში თვითონაც თავის საგრფოსაცა ხედავდა. როცა თქვა, ახლა კი საკმაოდ დავიახლოვე და დავიმეგობრეო, ერთ დღეს თავის სახლში

მოიწვია ახალი მეგობრები და უთხრა: „ჩვენმა ერთმანეთთან ხშირმა შეხვედრამ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ალბათ ნათლად დაგანახვათ, თუ რა ძლიერ შემიყვარდით და თქვენთვის მზადა ვარ ყველაფერი ისა ვქნა, რასაც საკუთარი თავისთვის ვიზამდი; და რადგან თქვენი დიდი სიყვარული მაქვს, ამიტომ გაგიმხელთ, თუ რა აზრი დამებადა, და მერე ისე მოვიქცეთ, როგორც თქვენ სამჯობინოდ დაინახავთ. თუ თქვენი სიტყვები და საქციელი არ მატყუებს, აგრეთვე ის, თუ როგორ გიჭირავთ თავი დღისით თუ ღამით, როგორც გატყობთ, ამ ორი ახალგაზრდა ქალის სიყვარულით იწვებით ისევე, როგორც მე მწვავს მათი მესამე დის სიყვარული. მე უკვე მიპოვნია მეტად ტკბილი და სასიამოვნო წამალი ამ გაშმაგებული სიყვარულისა, — მხოლოდ არ ვიცი, თქვენც დამეთანხმებით თუ არა, — და აი, ეს წამალიცა. თქვენ მდიდარი ახალგაზრდები ბრძანდებით, მე კი ღარიბი გახლავართ. თუ თქვენ ინებებთ და თქვენს ქონებას ერთად შეაერთებთ და თქვენთან ერთად მეც ამ ქონების მესამე მონაწილედ გამხდით, ისღა დაგრჩენიათ, აირჩიოთ, თუ რა მხარეს წავიდეთ, რომ იქ გულნებივრად ვიცხოვროთ ამ ჩვენს საყვარელ ქალებთან, მე კი ისე მოვაწყობ საქმეს, რომ ქალებმა მათი მამის ქონების საკმაო ნაწილი მოიტანონ და საცა ჩვენ წავალთ, ისინიც იქ გამოგვყვნენ. იქ კი სამ ძმასებრ, თითოეული ჩვენ-ჩვენს საგრფოსთან ისე ვიცხოვრებთ, რომ ჩვენზე ბედნიერი დედამიწის ზურგზე ძეხორციელი არ იყოს. ახლა თქვენი საქმეა, როგორც ინებებთ: ჩემს ამ კარგ რჩევას მოიწონებთ თუ კარზე მომდგარ ბედს ხელსა ჰკრავთ“. ყმაწვილებს ქალების სიყვარული ძალზე ჰქონდათ გამჯდარი და რომ გაიგონეს, ჩვენი საგრფოები ჩვენი იქნებიანო, ბევრი არც კი უფიქრიათ, და უპასუხეს: თუ მართლა ასე იქნება, ჩვენ მზადა ვართ, თუნდ ახლავე შევასრულოთ, რასაც გვირჩევთო.

რესტანიონემ ყმაწვილებისაგან ეს პასუხი რომ მიიღო, რამდენიმე დღის შემდეგ ინახულა ნინეტა, თუმცა მისი ნახვა ძალიან უძნელდებოდა; ქალთან რამდენიმე ხანს დარჩა, უამბო ყველაფერი, რაც ყმაწვილებისათვისა ჰქონდა ნათქვამი და შეეცადა დაერწმუნებინა, რომ მისი განზრახული საქმე მეტად ხელსაყრელი იყო. მაგრამ დიდი ლაპარაკი არ დასჭირვებია ქალის დასაჯერებლად, რადგან ნინეტას რესტანიონეზე მეტად უნდოდა მასთან ისე ეცხოვრა, რომ ეჭვის თვალით არავის შეეხედა მათთვის. ამიტომ ქალი არც კი დაფიქრებულა, ისე თანხმობა გამოუცხადა და უთხრა: ჩემი დები იმას იზამენ, რასაც მე ვეტყვი, განსაკუთრებით ამ შემთხვევაშიო; შენ მხოლოდ იმას ეცადე, რაც შეიძლება, მალე გამოანყო ყველაფერი, რაც მგზავრობისათვის საჭირო იქნება და გზას დავადგეთო.

რესტანიონე დაბრუნდა ყმაწვილებთან. ამათა სთხოვეს: აბა, თქვენი ჭირიმე, რასაც დაგვპირდით, მალე მოაწყვეთო. ამანაც ახარა, ქალების მხრივ საქმე გაჩარხულად უნდა ჩაითვალოსო. ყმაწვილებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს კუნძულ კრიტოსზე წასულიყვნენ. ამისათვის ზოგიერთი უძრავი ქონება გაყიდეს და ხმა დაარხიეს — სავაჭროდ სხვაგან მივდივართო და ეს ფული იმისათვის გვინდაო. სხვა რაც რამ ებადათ ფულად აქციეს, იყიდეს

ერთი ნავი, საიდუმლოდ, რაც შეიძლებოდა, კარგად შეაიარაღეს და წასასვლელად დანიშნულ დროს ლოდინი დაუწყეს. მეორე მხრით, ნინეტამ, რომელმაც კარგად იცოდა, რაც ენატრებოდათ მის დებს, თავისი შემპარავი სიტყვებით უფრო მეტად გაუღვიძა ეს ნატვრა, ასე რომ, ამათ მოუთმენლობით სული მისდიოდათ, სანამ წასვლის სანეტარო წამი დადგებოდა.

ნავში ჩასხდომის წამი რომ დადგა, სამმა დამ გააღეს ერთი დიდი ზანდუკი მამისა, ამოიღეს აუარებელი ფული და ძვირფასი ნივთები და ამიანად სახლიდან ჩუმად გაიპარნენ და, როგორც მოლაპარაკებულნი იყვნენ, მოვიდნენ თავიანთ საყვარლებთან, რომელნიც უკვე ელოდებოდნენ. ამათთან ერთად ჩასხდნენ ნავში, მენავეებმა მოუსვეს და გასწიეს. გზაში არსად გაჩერებულან, ისე მეორე ღამეს ვენუაში გავიდნენ, სადაც სატრფოებმა პირველად იგემეს სიტკბოება სიყვარულისა და განიცადეს ნეტარება. აქ მოიმარაგეს ყოველივე, რაც გზაში დასჭირდებოდათ და განაგრძეს გზა. გზაში ხან ერთ ნავსადგურში შევიდოდნენ, ხან მეორეში. ერთი კვირაც არ მონდომებიან მგზავრობას. ისე სრულებით გაუჭირვებლივ კუნძულ კრიტოსსაც მიადგნენ, სადაც კანდიას ახლო ვრცელი და საუცხოო ადგილას მდებარე მამული შეიძინეს და ზედაც მშვენიერი სრა-სასახლეები გააშენეს. გაიჩინეს აუარებელი მოსამსახურენი, ქორ-მეძებრები, ცხენები, მართავდნენ წვეულებას, ლხინსა და ქეიფში დროს ატარებდნენ, ნამდვილი ბარონებივით ცხოვრობდნენ და თავიანთ თავს უუბედნიერეს ადამიანებადა სთვლიდნენ.

ასე კარგა ხანსა ცხოვრობდნენ, მაგრამ ისე მოხდა (ჩვენ დღემუდამ იმის მოწმენი ვართ, რომ კაცს, ვთქვათ, ერთი რამე ძალიან მოსწონს, მაგრამ როცა მოყირჭდება, გული აუცრუვდება), რომ რესტანიონეს, რომელსაც ძალიან უყვარდა ნინეტა, რაკი ახლა თავისუფლად შეეძლო მისი სიყვარულით დამტკბარიყო, გული გაუგრილდა და, მაშასადამე, მისდამი სიყვარულიც გაუნელდა. ერთ დღეობაში საშინლად მოეწონა ერთი აქაური ქალი, მეტად ლამაზი და კეთილშობილი დედ-მამის ასული. ამიტომ ეძებდა შემთხვევებს მისდა შესახვედრად, მის საპატიოდ წვეულებას მართავდა და თავდავიწყებით ეარშიყებოდა. ეს რომ ნინეტამ შენიშნა, საშინელი ეჭვიანობა დაუწყო. რესტანიონეს არ შეეძლო ნაბიჯი ისე გადაედგა, რომ ნინეტას არ შეეტყო, მერე საყვედურებითა და წყრომით ავსებდა და ამით მასაც აბრაზებდა და თვითონაც ნაღველს ისივებდა, მაგრამ როგორც ამა თუ იმ საგნის სიჭარბე მოგვაყირჭებს ხოლმე ამ საგანს, ისე, თუ რომელიმე სასურველი საგნის დაპატრონებას რამე წინ გადაეღობა, სურვილი უფრო გვიცხოველდება ხოლმე, ამიტომ ნინეტას წყრომა უფრო უძლიერებდა რესტანიონეს ახალი სიყვარულის ალს. ხანი რომ გამოხდებოდა, ვინ იცის, რესტანიონე საყვარელი ქალის გულს მოიგებდა თუ არა, მანამდე კი ნინეტა, ალბათ, სხვისაგან ჩალაპარაკების წყალობით, დარწმუნებული იყო, რომ ქმარი ღალატობდა, ამიტომ საშინლად ურვებული შეიქმნა, მერე ურვა გულისწყრომად გადაექცა, ხოლო გულისწყრომა — მძვინვარებად, რომელმაც რესტანიონესადმი სიყვარული შეურიგებელ მძულვარებად

შეუცვალა; თავისი გულისწყრომისაგან გონებადაბნეულმა ქალმა გადაწყვიტა: უნდა მოვკლა და ისე შური ვიძიო ჩემის შერცხვენისა და თავისმოჭრისათვისო. ნინეტას ერთი ბებერი ბერძნის ქალი ჰყავდა ნაცნობი, საწამლავების დამზადების მცოდნე. ბევრი რამ აჩუქა და ბევრსაც დაჰპირდა ამ ქალს და საწამლავი გააკეთებინა. ერთ საღამოს რესტანიონე შინ რომ დაბრუნდა, სცხელოდა და წყალი მოითხოვა. ნინეტას გადაწყვეტილი ჰქონდა მისი მოკვლა და საწამლავიანი წყალი მიუტანა. ქმარს ეჭვი არაფრისა ჰქონდა და დალია. საწამლავი ისე ძლიერი იყო, რომ რესტანიონემ გათენებამდე ვერ მიატანა.

ფოლკო და უგეტო და აგრეთვე მათი ცოლები, აბა რას იფიქრებდნენ, რომ რესტანიონე საწამლავისაგან იქნებოდა მკვდარი, გულდამწვარად იტირეს და დიდის პატივით გაასვენეს. რამდენიმე დღეს უკან ეს ბებერი ქალი სხვა სიავისათვის დაიჭირეს და რომ აწამებდნენ, სხვა თავის მიერ ჩადენილ ბოროტებათა შორის ნინეტასათვის საწამლავის მომზადებაც აღიარა და ისიცა თქვა, თუ რა მოჰყვა ამას. კრიტოსის დუკამ არავის არ უთხრა ბებრის ნათქვამის შესახებ, ისე ერთ ღამეს ჩუმად კაცები შემოახვია ფოლკოს სასახლეს და უაყალმაყალოდ და წინააღმდეგობის გაუწევლად დააჭერინა და წააყვანინა ნინეტა. ქალის წვალება არც კი დასჭირვებია დუკას, ისე სწრაფად შეიტყო რესტანიონეს სიკვდილის ამბავი. ფოლკომა და უგეტომ საიდუმლოდ გაიგეს დუკასაგან. მერე თავიანთ ცოლებს უამბეს, თუ რისგან მომკვდარიყო რესტანიონე და ეს ამბავი მეტად ეწყინათ. ესენი ძალიან ეცადნენ, ნინეტა როგორმე კოცონზე დაწვისაგან ეხსნათ, რადგან ფიქრობდნენ, უეჭველია, ამ სასჯელს მიუსჯიან და ახიც იქნება მაგაზედაო; მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარათ, რადგან დუკას მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა, ნინეტა ღირსეულად გასამართლებულიყო. მადალენა, როგორც მშვენიერი ქალი, ძალიან მოსწონდა დუკას, დიდხანს ეარშიყებოდა, მაგრამ ქალს სულ შორს ეჭირა თავი. ახლა იფიქრა, მოდი, მის ნებას დავყვები, იქნებ, როგორმე ჩემი საცოდავი დაი დაწვას გადავარჩინოო. ამიტომ საიდუმლოდ მოციქული მიუგზავნა და შეუთვალა: თქვენს ნებას ავასრულებ, მხოლოდ ორის პირობითაო: ჯერ ერთი, ჩემი დაი ცოცხალი და უვნებელი უნდა დარჩეს და გაათავისუფლებინოთო, და მეორეც ისა, რომ ძეხორციელმა არ უნდა შეგვიტყოსო. დუკას მოციქულის პირით შემონათვალი ძალიან გაეხარდა და დიდხანს ფიქრობდა, თუ რა გზას დასდგომოდა, ბოლოს, დაეთანხმა და შემოუთვალა — მე მზადა ვარ სურვილი აგისრულოო. რაკი ქალის თანხმობა ჰქონდა, ვითომდა რამე უნდა ეკითხა მოწამვლის ამბის შესახებაო, ერთ ღამეს ფოლკო და უგეტო დაამწყვდევინა, თვითონ კი საიდუმლოდ მადალენასთან წავიდა ღამის გასატარებლად. განგებ ბრძანა, ნინეტა ტომარაში ჩაესვათ და იმ ღამესვე ზღვაში ჩაეგდოთ და, ზღვაში ჩაგდების მაგივრად, თვითონ მიუყვანა მის დას და იმ ღამის ფასად ჩააბარა. მეორე დილას დუკა გამოეშშვიდობა მადალენას და უთხრა: ეს ღამე ჩვენი სიყვარულის პირველი ღამე იყო და შენ იცი, თუ უკანასკნელი არ იქნებაო. ისიცა სთხოვა, რომ დამნაშავე ქალი სადმე შორს გაეგზავნა, რომ ხალხმა ჩემზე ცუდი არა თქვას და იძულებული არ ვიქნე, ხელახლა სასტიკად მოვეპყრაო.

ფოლკომა და უგეტომ მეორე დილას გაიგეს, ნინეტა წუხელ ზღვაში დაახრჩვესო და დაიჯერეს კიდეცა ეს ამბავი. ამის შემდეგ ორივე გაათავისუფლეს. ესენი სახლში წავიდნენ, რომ თავიანთი ცოლებისათვის მათი დის დაღუპვა მიესამძიმრებინათ და ენუგეშებინათ როგორმე; თუმცა მადალენა ძალიან ცდილობდა თავისი დაი დაემალა ფოლკოსათვის, მაგრამ ეს მიხვდა, რომ ქალი ცოცხალი იყო და მათსა იმყოფებოდა. ამან ფოლკო ძალიან გააკვირვა და მაშინვე ეჭვი შეეპარა თავის ცოლზე (გაგონილი ჰქონდა, რომ დუკას მისი მადალენა უყვარდა), და ჰკითხა: ერთი ეს მითხარ, ნინეტას აქ რა უნდოდაო? მადალენამ მოინდომა გაეგებინებინა მისთვის ეს ამბავი და მოიგონა ერთი უცნაური და გრძელი არაკი, მაგრამ ქმარი იმაზე ეშმაკი იყო და არ დაუჯერა, არ მოეშვა, ყოველივე სიმართლე უნდა მითხრაო. ქალი დიდხანს იდგა უარზე, მაგრამ ბოლოს უამბო, როგორც იყო. უზომო მწუხარე შეიქნა ფოლკო, უცებ სიმწარისაგან სიშმაგემ აიტანა, იძრო მახვილი დ, თუმცა ქალი ბევრს ეხვეწა, მაპატიეო, — იქვე სული გააფრთხობინა. მერე შეეშინდა დუკას რისხვისა და გასამართლებისა, მკვდარი მადალენა ოთახში დატოვა და თვითონ კი იმ ოთახში შევიდა, სადაც ნინეტა ეგულებოდა და განგებისად მხიარული სახით უთხრა: „აბა, ჩქარა წავიდეთ იქ, სადაც შენმა დამ მითხრა შენი წაყვანა, რომ ხელახლა არ ჩაუვარდე დუკას ხელში“. ნინეტა ენდო ფოლკოს და რადგან ეშინოდა და თვითონაც უნდოდა ჩქარა გასცლოდა აქაურობას, დას არც კი გამოსთხოვებია, ისე, უკვე მოღამებულზე, გზას დაადგა. თან გამოჰყვათ ის ფული, რის წამოღებაც ფოლკომ მოასწრო, და ეს კი ცოტა იყო; გასწიეს ზღვისაკენ, იქ ნავში ჩასხდნენ და მერე არავის გაუგია, თუ რომელ ნაპირას გამოვიდნენ.

მეორე დღეს მადალენას მოკვლის ამბავი ყველამ გაიგო. ზოგმა უგეტოს შურითა და სიძულვილით მაშინვე დუკას შეატყობინა ეს ამბავი. დუკა, რომელსაც მადალენა საშინლად უყვარდა, ცეცხლმოკიდებული გამოექანა მისი სახლისკენ, აქ დაიჭირა უგეტო და მისი ცოლი, რომელთაც არაფერი იცოდნენ ფოლკოს და ნინეტას გაპარვის შესახებ, ძალა დაატანა და ათქმევინა, რომ ფოლკოსთან ერთად ჩვენც ვიყავით დამნაშავენი მადალენას სიკვდილშიო. ასეთი აღსარების შემდეგ ამათ ეშინოდათ — ცხადია, სიკვდილს ვერ გადავრჩებითო, ამიტომ დიდის მოხერხებით მოისყიდეს თავიანთი დარაჯები, რომელთაც კაი ფული მისცეს იმ ფულიდან, რომელსაც სახლში შავი დღისათვის ინახავდნენ და ამ დარაჯებთან ერთად, რისამე წამოღების დროც არა ჰქონდათ, ისე ერთ ნავში ჩასხდნენ და ღამითვე კუნძულ როდოსისაკენ გაიქცნენ, სადაც დიდ სიღარიბესა და გაჭირვებაში ერთხანს კიდევ სული ედგათ. აი, რა დღეში ჩაცვივდნენ რესტანიონეს გაშმაგებული სიყვარულისა და ნინეტას რისხვის წყალობით როგორც ესენი, ისე სხვები.

ამბავი მეოთხე. ჯერბინო

ჯერბინო, მისი პაპის გვილელმოს მიერ მიცემულ პირობას გადავა და დაეცემა ტუნისის მეფის ხომალდს იმ განზრახვით, რომ შიგ მჯდომი მეფის ასული მოიტაცოს; ხომალდში მყოფთ მეფის ასული მოკლეს; ჯერბინომ თავის მხრივ ესენი დახოცა, და მერე ამასაც თავი მოჰკვეთეს.

ლაურეტამ თავისი ამბავი რომ გაათავა, დაჩუმდა. დამსწრეებმა ერთმანეთს თავიანთი მწუხარება გაუზიარეს საყვარლების უბედობის შესახებ; ზოგი ნინეტას გულფიცხობასა გმობდა, ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. ამ დროს მეფე, თითქოს ღრმა ფიქრისაგან გამოერკვაო, მიუბრუნდა ელიზას და ანიშნა, აბა, თქვენ დაიწყეთო. იმანაც მორჩილებით ასე დაიწყო: — ჩემო კარგებო, ბევრია იმისთანა, ვინცა ფიქრობს, რომ ამური მხოლოდ მაშინ გაუშვებს თავის ისრებს, როცა ხედავს; და ეს ხალხი დასცინის იმათ, ვინცა ფიქრობენ, რომ კაცს შეიძლება გულში სიყვარული ჩაუვარდეს ისეთი ადამიანისა, რომელიც არც კი დაუნახავს, მაგრამ მხოლოდ გაუგონია მისი ქება. და ვინც ასე ფიქრობს, ძალიანა ცდება და ამას დაინახავთ იმ ამბიდან, რომელიც ახლა მინდა გიამბოთ. დაინახავთ, რომ შორს გავარდნილმა ამბავმა არამცთუ ასე იმოქმედა ორ ადამიანზე, რომელთაც ერთიმეორე თავის დღეში არ ენახათ, არამედ იგივე ამბავი შეიქნა იმის მიზეზად, რომ თითოეული მათგანი საშინელი სიკვდილით გამოესალმა წუთისოფელს.

გვილელმოს, სიცილიის მეორე მეფეს, როგორც ამას თვით სიცილიელები ანგარიშობენ, ორი შვილი ესვა, ერთი ვაჟი იყო და რუჯიერი ერქვა, ხოლო მეორე იყო ქალი, კონსტანცა. რუჯიერი მამაზე ადრე გარდაიცვალა და დარჩა ერთი ვაჟი, რომელსაც სახელად ჯერბინოს ეძახდნენ. პაპამისმა შვილიშვილი დიდი მზრუნველობით აღზარდა. და ესეც მშვენიერი ჭაბუკი დადგა, გულადი და ნატიფად ზრდილი. მისი სახელი განითქვა არა მხოლოდ სიცილიაში, არამედ ქვეყნიერების სხვადასხვა ადგილებშიაც. ხოლო განსაკუთრებით ქუხდა მისი სახელი ბერბერიაში, რომელიც იმ დროს სიცილიის მოხარკე იყო. ჯერბინოს ვაჟკაცობისა და ნატიფად ზრდილობის ამბავმა ტუნისის მეფის ასულის ყურამდეც მიაღწია. ვისაც ეს ქალი უნახავს, ყველა იძახდა: ამაზე მშვენიერი, ზნედაცული, კეთილშობილი და დიდსულოვანი არსება ბუნებასა სხვა მეორე არ გაუჩენიაო. ქალს მეტად უყვარდა ახოვანი ხალხის შესახებ ლაპარაკის მოსმენა, ამიტომ დიდის აღტაცებით ისმენდა სხვათაგან ნაამბობს ჯერბინოს ვაჟკაცობის შესახებ, და აღტაცებული რჩებოდა. ნაამბობი მეტად მოსწონდა, წარმოიდგინა, როგორი უნდა ყოფილიყო ყმაწვილი, და ამიტომ სულითა და გულით ამ ყმაწვილზე ლაპარაკობდა, სხვას მხოლოდ ჯერბინოზე ლაპარაკს უსმენდა.

მეორე მხრით, როგორც სხვაგან, ისე სიცილიაში მოვიდა ტუნისის მეფის ასულის უებრო სილამაზისა და ქველობის ქება; ეს ქება ბოლოს ჯერბინოსაც ჩაეწვეთა ყურში და ისიც დიდი

სიამოვნებით ისმენდა ქალზე ნაამბობს: ასე რომ, ჯერბინო, ქალს რომ უყვარდა, იმაზე არანაკლები სიყვარულით აღინთო მისდამი. ძალიან უნდოდა ქალის ნახვა, მაგრამ სანამ თვითონ მოიმიზეზებდა რასმე და ტუნისში წასასვლელად ნებართვასა სთხოვდა პაპას, ყოველ მეგობარს, ვისაც კი დაინახავდა იქ წამსვლელს, სთხოვდა, როგორმე მოეხერხებინა მეფის ასულის ნახვა, გადაეცა მისთვის ყმაწვილის უშრეტი სიყვარულის საიდუმლოება და მისი შემონათვალიც მოეტანა. ერთმა მათგანმა ეს დავალება ძალიან ოსტატურად შეასრულა: ვითომ ვაჭარი იყო და გასაყიდი ჰქონდა სხვადასხვა ძვირფასი ნივთები, რომელთაც ქალები სამკაულადაც ხმარობენ ხოლმე, მეფის ასულს ეს თავისი საქონელი მოუტანა საჩვენებლად. საქონლის ჩვენების დროს ვითომ ვაჭარმა ქალს გაუმჟღავნა, ჯერბინოს რაც სახმილი სწვავდა, თანაც მოახსენა დანაბარები მეცა და რაც რამ მაბადია, თქვენი ჭირის სანაცვლო ვიყოთო. ქალი გახარებული დაუხვდა მოციქულს და ჯერბინოს შემონათვალი დიდი აღფრთოვანებით მოისმინა. შემოუთვალა: მეც უზომოთ ვიწვი შენის სიყვარულითაო, ნათქვამის დასამტკიცებლად ერთი, რაც უძვირფასესი ნივთი ჰქონდა, ის გამოუგზავნა. ქალის გამოგზავნილი ნივთი ისეთი სიხარულით მიიღო ჯერბინომ, როგორი სიხარულითაც შეიძლება კაცმა მიიღოს ქვეყანაზე მისთვის უძვირფასესი რამ. იმავე მოციქულის ხელით რამდენჯერმე წერილი მისწერა და ძვირფასი ნივთები გაუგზავნა. ამ მეგობრის პირით მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული და ჯერბინო უთვლიდა: სული-სულზე მოველი, როდის ვიქნები ისეთი ბედნიერი, რომ გნახო და გულში ჩაგიკრაო.

ქალ-ვაჟის საქმე ამგვარად მიდიოდა და, ცოტა არ იყოს, უფრო მეტად ჭიანურდებოდა, ვიდრე საჭირო იყო. ერთმანეთის სიყვარულით ერთიმეორის უნახავად ერთის მხრით ვაჟი იდაგვოდა და მეორეს მხრით ქალი. და ამასობაში ტუნისის მეფე თავის ქალს გრანადის მეფეს დაჰპირდა ცოლად. ამაზე ქალს საშინელი დარდი გაუჩნდა. იფიქრა, თუ გამათხოვეს, არამცთუ დავშორდები ჯერბინოს, არამედ სულაც დამეკარგვისო; და თუკი როგორმე შესაძლებელი იქნებოდა, დაუყოვნებლივ, რაც უნდა მოჰყოლოდა ამას. მამის სახლიდან პირდაპირ ჯერბინოსთან გაიქცეოდა. მსგავსადვე წუხდა ჯერბინო, თავის სატრფოს დანიშვნის ამბავი რომ ესმა, და სულ იმის ფიქრში იყო, როგორ მოეხერხებინა, ძალით მოეტაცებინა ქალი მაშინ, როცა ზღვით საქმროსთან წამოიყვანდნენ.

ტუნისის მეფე ცოტაოდნად მიმხვდარი იყო ქალ-ვაჟის სიყვარულის ამბავს, აგრეთვე ყური მოეკრა ჯერბინოს განზრახვისათვის და რადგან მისი ვაჟკაცობისა და შემმართებლობისა ძალიან ეშინოდა, როცა ქალის გაგზავნის დრო დადგა, მეფე გვილელმოს მოციქული გაუგზავნა, ყველაფერი შეუთვალა, ასე და ასე ვაპირებთო, და გთხოვთ უზრუნველმყოთ: არც ჯერბინოსა და აღარც სხვა ვისიმე მხრით ხელი არ შემეშალოსო. გვილელმოს, რომელიც უკვე მოხუცი იყო, გაგონილი არაფერი ჰქონდა ჯერბინოს სიყვარულის შესახებ, ამიტომ სულ ადვილ საქმედ ეჩვენა ტუნისის მეფისათვის პირობა მიეცა

უვნებლობისა, ადვილად დაპირდა ამას და თავისი სიტყვის სიმტკიცის ნიშნად ცალი თავისი ხელთათმანი გაუგზავნა.

ტუნისის მეფემ, რაკი უშიშროების საბუთი მიიღო და გული დაიარხეინა, კართაგენის ნავსადგურში ერთი დიდი და საუცხოო ხომალდი გამოაწყობინა, შიგ ჩასასხდომი ხალხისათვის რაც საჭირო იყო, ყველაფერი მოამზადებინა, შეამკობინა და აღაჭურვინა ხომალდი ყოველგვარი საჭურველითა, რომ შიგ ჩაესვა თავისი ქალი და გრანადაში გაეგზავნა. ახლა მხოლოდ ზურგქარს უცდიდა. ახალგაზრდა ქალმა ყველაფერი იცოდა და ყოველსავე ხედავდა, რასაც მამამისი ამზადებდა. საიდუმლოდ გაგზავნა ერთი თავისი მოსამსახურე პალერმოში და დააბარა: მშვენიერი ჯერბინო მომიკითხე, უთხარი, ამ რამდენიმე დღეში გრანადაში უნდა გამომგზავნონ, და თუ შეგიძლია, აბა ახლა გამოიჩინე შენი ნაქები ვაჟკაცობა და დამიმტკიცე, რომ მართლა ისე გიყვარვარ, როგორც ეს შენ თვითონ არაერთხელ შემოგითვლია ჩემთვისაო.

მოციქულმა ზედმიწევნით შეასრულა თავის დაკისრებული საქმე და ტუნისშივე დაბრუნდა. ჯერბინომ ყველაფერი მოისმინა. და რადგან იცოდა, რომ პაპამისს ხელუხლებლობის სიტყვა ჰქონდა მიცემული ტუნისის მეფისათვის, იმის ფიქრს შეუდგა, თუ რა გზას დასდგომოდა. ისედაც სიყვარულისაგან აღტაცებულმა ახლა ქალის ასეთი შემონათვალი რომ გაიგონა, ამან უფრო გამოადებინა თავი და გადაწყვიტა სირცხვილი არ ეჭამა. ამიტომ წამოვიდა მესინაში, აქ საჩქაროდ ორი გალერა შეაიარაღებინა, შიგ გულადი ბიჭები ჩასხა და ამათთან ერთად სარდინიას თავში მოექცა, რადგან იცოდა, ქალის ნავმა იქ უნდა გამოიაროსო.

მისი მოლოდინი მალე გამართლდა. სარდინიას რომ მიადგა, იმის შემდეგ რამდენიმე დღემ განვლო, როცა გამოჩნდა ხომალდი, რომელსაც სუსტი ქარი უდგა და ნელ უახლოვდებოდა იმ ადგილს, სადაც ჯერბინო ელოდებოდა. ხომალდი რომ დაინახა, ჯერბინომ თავის ამხანაგებს უთხრა: „თუ თქვენ მართლა ისეთი ვაჟკაცები ხართ, როგორებიც მე მგონიხართ, მე ვფიქრობ თქვენ შორის არავინაა ისეთი, რომ სიყვარული წინათ არ გამოეცადოს, ანდა ახლა არ განიცდიდეს, რადგან, ჩემის აზრით, უსიყვარულოდ შეუძლებელია სიკვდილის შვილმა ვინმემ გამოიჩინოს ნამდვილი ვაჟკაცობა და ჩაიდინოს საქებური საქმე რამ, და თუ როდესმე გყვარებიათ, ან ახლა გიყვართ, მაშინ ადვილად მიმიხვდებით ჩემი გულის ნატვრას. მე შეყვარებული ვარ და ეს სიყვარული მაიძულებს ახლა გაგსარჯოთ; და ის, ვინც მე მიყვარს, ემანდ ხომალდში ზის, ცოტა მოშორებით თქვენს პირდაპირ რომ მოჩანს. ამ ხომალდში, ჩემი ნატვრის საგანს გარდა, აუარებელი განძია ჩაწყობილი, და თუ მართლა ვაჟკაცები ხართ, ცოტათიც არის, ხელი რომ გავანძრიოთ და მტერს მხნედ გავუმკლავდეთ, ყველაფერს დავეპატრონებით. გამარჯვების შემდეგ ჩემს წილად იმ ქალის მეტი არაფერი მინდა. მხოლოდ იმ ქალის სიყვარულისთვისაა, რომ იარაღი ხელში

ამიღია, სხვა დანარჩენი ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ. მაშ გავემართოთ და მხნედ ვეკვეთოთ ხომალდს; როგორც ხედავთ, ღმერთიც გვწყალობს, რადგან ქარი თითქმის ჩამდგარია და ხომალდი ხელიდან ვერსად წაგვივა.

რაც უთხრა მშვენიერმა ჯერბინომ, ისიც მეტი იყო, რადგან მესინელებს, მას რომ ახლდნენ, ოღონდ მოსატაცებელი რამ ენახათ, ჯერბინოს მხრივ წაქეზება არც კი უნდოდათ, მზად იყვნენ ხელად შეესრულებინათ, რაზედაც ჯერბინო ელაპარაკებოდა. ამიტომ ჯერბინომ ლაპარაკი რომ გაათავა, გაისმა ყვირილი: „ეგრე იყოს, ეგრე იყოს!“ და დაუკრეს საყვირი. მერე დაავლეს ხელი იარაღს, მოუსვეს ხოპები და ხელად ხომალდს დაეწივნენ. ხომალდში მსხდომთ შორიდანვე დაინახეს მათკენ მომავალი გალერები და, რაკი გაქცევა და თავის შველა აღარ შეეძლოთ, მოემზადნენ თავის დასაცველად. მშვენიერი ჯერბინო ხომალდთან ახლოს რომ მივიდა, მოითხოვა, რომ ხომალდზე მყოფი უფროსი კაცები გალერებზე გადმოსულიყვნენ, თუ ბრძოლა არ უნდოდათ. სარაცინები როცა დარწმუნდნენ, ვინც იყვნენ თავდამსხმელები, ან რა უნდოდათ მათგან, უთხრეს — თუ ახლა თქვენ თავს დაგვესხით, იცოდეთ, გასტეხთ იმ სიტყვას, რომელიც თქვენი მეფისაგან გვაქვს მოცემულიო და ამის ნიშნად გვილელმოს მიცემული ხელთათმანი უჩვენეს. თანაც დასძინეს, უბრძოლველად ცოცხალი თავით არ დაგნებდებით და არც იმას დაგანებებთ, რაც ხომალდზედა გვაქვსო. ჯერბინომ ხომალდის ბოლოზე ქალს თვალი მოჰკრა, უფრო მშვენივრად ეჩვენა, ვიდრე ეგონა და უმეტესად მოეკიდა სიყვარულის სახმილი, ხოლო ხელთათმანიც რომ უჩვენეს, უთხრა, ჩვენ აქ შევარდნები არა გვყავს, ამიტომ თქვენი ხელთათმანის ჩვენება საჭირო არ გახლავთო. და თუ ქალი არ მოგიციათ, საომრად მოემზადენითო. ამის თქმა იყო და დაიწყეს გაშმაგებით ისრებისა და შურდულებით ქვის სროლა როგორც ერთისა, ისე მეორე მხრიდან. კარგა ხანს იბრძოდნენ მოწინააღმდეგენი და დიდად დააზარალეს ერთმანეთი.

ბოლოს, ჯერბინომ რომ დაინახა ამ ბრძოლას ხეირი არაფერი მოჰყვებაო, უბრძანა ერთი სარდინიიდან წამოყვანილი პატარა ნავისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ და ორივე გალერის დახმარებით მოწინააღმდეგეთა ხომალდისათვის მიეყენებინათ. სარაცინებმა ეს რომ დაინახეს, თქვეს; მეტი გზა არა გვაქვს, ან უნდა დავნებდეთ, ანდა ყველანი დავიხოცოთო, მერე მაღლა ერდოზე ამოიყვანეს მეფის ასული, რომელიც, სენაკში მჯდომარე, ცხარე ცრემლით იმდუღრებოდა, დააყენეს ხომალდის ცხვირთან, დაუძახეს ჯერბინოს, ის რომ უყურებდა, ისე მოკლეს, თუმცა ქალი ბევრს ეხვეწა: შემიბრალეთ, ნუ მომკლავთო და ჰკიოდა, მიშველეთო; მერე მკვდარი ზღვაში გადააგდეს და ჯერბინოს მიაძახეს: აჰა, წაიყვანე, ისეთი სახით გაძლევთ, რა სახითაც შეგვეძლო შენთვის მოგვეცა და როგორც დაიმსახურე მოცემული პატიოსანი სიტყვის გატეხისათვისო.

ჯერბინომ მათი გულქვაობა რომ დაინახა, თითქო იმასაც სიკვდილი მოენატრაო, არ შეეშინდა არც შურდულისა და აღარც ისრებისა და ხომალდს ამოაყენებინა გვერდით თავისი

გალერა. თუმცა მოპირდაპირენი ძალიან უძალიანდებოდნენ, მაინც აბობღდა ხომალდზე... და თითქო დაყმედილი ლომი საქონლის ჯელგას დაერია, ხან ერთს მივარდება და ხან მეორეს და ახრჩობს ზოგს ჭვანგებით, ზოგსაც კბილებით, რომ დაიცხროს იმდენად შიმშილი არა, რამდენად თავისი სიშმაგეო, ჯერბინოც ასე იქცეოდა: სატევარამოწვდილი ჩაერია სარაცინებს და მარჯვნივ თუ მარცხნივ, ვისაც მისწვდებოდა, არავის ინდობდა. აუარებელი ხალხი დახოცა. ცეცხლწაკიდებულ ხომალდზე ალი თანდათან რომ გაძლიერდა, მეზღვაურთ უბრძანა იქიდან გამოეტანათ ყველაფერი, რაც მათს სიხარბეს დააკმაყოფილებდა, თვითონ კი თავის გალერაში გადავიდა. მართალია, მტრებზე გამარჯვებით კი გაიმარჯვა, მაგრამ ამ გამარჯვებას მისი გული სრულიად არ გაუხარებია. ლამაზი ქალის გვამი მეზღვაურთ ზღვიდან ამოაღებინა და ცხარე ცრემლით დიდხანს დასტიროდა საცოდავს; შემდეგ აქედან სიცილიაში დაბრუნდა და დიდი პატივით დაასაფლავა ტრაპანოს პირდაპირ მდებარე ერთ პატარა კუნძულ უსტიკაზე, ხოლო თვითონ, უზომოდ მჭმუნვარე, შინ დაბრუნდა.

ტუნისის მეფეს რომ მიუვიდა ამ უბედურების ამბავი, მეფე გვილელმოს ძაძით მოსილი ელჩები გამოუგზავნა და გაუზიარა თავის მწუხარება მის მიერ პირობის დარღვევის გამო. მოციქულებმაც ყველაფერი უამბეს, როგორც მოხდა. გვილელმო უზომოდ განრისხდა და რადგან არ შეეძლო დამნაშავე დაუსჯელად გაეშვა (როგორც ამას ელჩები მოითხოვდნენ), დააჭერინა ჯერბინო. თუმცა ბარონები ყველანი გამოუკლებლივ ჰნუკავდნენ პატიებას, მეფემ მაინც სიკვდილი მიუსაჯა და თავის თვალწინ მოაკვეთინა მისთვის თავი: არჩია შვილიშვილი დაჰკარგოდა, ვიდრე ფიცისგამტეხი მეფის სახელი შერჩენოდა.

ამგვარად, როგორც უკვე მოგახსენეთ, ორ საყვარელს რამდენიმე დღეში ასე უბედურად, ძალდატანებული სიკვდილით მოესპოთ სიცოცხლე, და აღარც კი დასცალდათ ეგემნათ სიტკბო თავიანთი სიყვარულისა.

ამბავი მეხუთე. ერთგული საყვარელი და გულქვა ძმები

ძმები ლიზაბეტას საყვარელს მოუკლავენ. მიცვალებული სიზმარში გამოეცხადება ქალს და უჩვენებს საცაა დამარხული. ლიზაბეტა ჩუმად ამოიღებს საფლავიდან საყვარლის თავს, ბასილიკოს ლარნაკში ჩადებს და ყოველდღე საათობით დასტირის. ძმებმა მოჰპარეს ლარნაკი. ქალმა დარდს ვეღარ გაუძლო და ცოტა ხნის შემდეგ თან გადაჰყვა.

ელიზამ თავისი ამბავი რომ გაათავა, მეფემ ძალიან შეაქო. მერმე ფილომენას უბრძანა, ახლა იმას დაეწყო ლაპარაკი. ამანაც, საბრალო ჯერბინოს და მისი სატრფოს საცოდაობით გულავსებულმა, ჯერ მწარედ ამოიხვნეშა და მერე ასე დაიწყო: — მე, მშვენივრებო, მართალია, არ მოგითხრობთ, ისეთი მაღალი წოდების ხალხის ამბავს, ვისზედაც ელიზამ გიამბოთ,

მაგრამ მაინც ჩემი ამბავი იმაზე ნაკლები გულისმომკვლელი არ იქნება თქვენთვის. და ეს ამბავი იმიტომ მომაგონდა, რომ ეს-ეს არის ახსენეს მესინა, სადაც მოხდა სწორედ ის ამბავი.

მესინაში ცხოვრობდნენ სამნი ძმანი, სამნივე ახალგაზრდანი, ვაჭრები. მათი მამა სან ჯიმინიანოელი იყო. მამის სიკვდილის შემდეგ შვილებს დიდი ქონება დარჩათ. ჰყავდათ ერთი და, რომელსაც ლიზაბეტა ერქვა. ქალი ახალგაზრდა იყო, ლამაზი და მეტაც სათნოდ აღზრდილი. საკვირველი კი იყო, მაგრამ აქამდე მაინც ვერ მოეხერხებინათ ძმებს მისი გათხოვება.

ამას გარდა, ამ სამ ძმას ერთ-ერთ თავიანთ საფართლო დუქანში ეყენათ ერთი ახალგაზრდა პიზელი ნოქარი, რომელსაც ლორენცო ერქვა. ამ ყმაწვილს ებარა მთელი მათი საქმეები და ესეც ყველაფერს უძღვებოდა. თანაც ლამაზი და მოხდენილი ბიჭი იყო. ლიზაბეტამ რამდენჯერმე თვალი მოჰკრა და ისე მოხდა, რომ ძალზე მოეწონა. ლორენცომაც, თავის მხრივ, დაინახა — ქალს მოვწონვარო, ამიტომ ხელი აიღო ყველა ქალზე, ვინც აქამდე მოსწონდა და მხოლოდ ლიზაბეტას დასტრიალებდა მისი ფიქრი. და რადგან ერთმანეთი ერთნაირად მოსწონდათ, საქმე ძალიან სწრაფად დაწინაურდა და სულ მოკლე ხანში, რაკი დარწმუნდნენ ერთმანეთის სიყვარულში, ჩაიდინეს ის, რაც თითოეულ მათგანს ყველაფერზე მეტად სურდა.

ასე განაგრძობდნენ ურთიერთის სიამოვნებას და დატკბობას, მაგრამ ბოლოს ვერ მოახერხეს საიდუმლოდ დაეჭირათ ერთმანეთთან კავშირი. და აჰა, ერთ ღამეს, როცა ლიზაბეტა უნდა წასულიყო იქ, სადაც ლორენცოს ეძინა, უფროსმა ძმამ დაინახა, თუმცა დას კი არ დაუნახავს ძმა. ეს ძმა ჭკვიანი ყმაწვილი იყო და პირდაპირ ესიკვდილებოდა დის საქციელი, მაგრამ მაინც წინდახედულობა გამოიჩინა, არც ხმა ამოუღია და აღარც ვისთვისმე რამე უთქვამს; თვითონ გულში ჩაიხვია ეს დარდი და იმასღა ფიქრობდა, თუ როგორ ეშველნა საქმისათვის. მეორე დილამდე ამ ფიქრში გაატარა.

დილა რომ გათენდა, ძმებს უამბო წინა ღამის ნანახი ამბავი ლიზაბეტასი და ლორენცოსი. მერე ერთად დიდხანს ითათბირეს და გადაწყვიტეს ჩუმად ყოფილიყვნენ, რომ არ შეერცხვინათ არც თავიანთი თავი და არც თავიანთი და, და თავი ისე დაეჭირათ, თითქო არაფერს ხედავდნენ და არც არაფერი იცოდნენ, სანამ არ დადგებოდა ისეთი წუთი, როცა შეიძლებოდა სრულიად უდავიდარაბოდ და უმტკივნეულოდ შეეწყვიტათ მათი სასირცხვილო ურთიერთობა.

ამ გზას დაადგნენ, ხოლო ლორენცოსთან ისევე ეჭირათ თავი, როგორც აქამდე: ეხუმრებოდნენ და უცინოდნენ.

ერთხელ თქვეს: მოდი, ქალაქგარეთ გავიდეთ დროს გასატარებლადო და თან ლორენცოც წაიყვანეს. ერთ განმარტოებულ და მიყრუებულ ალაგას რომ მივიდნენ, ისარგებლეს ამ შემთხვევით და ლორენცო, რომელსაც ფიქრი არაფრისა ჰქონდა, მოკლეს და იქვე დამარხეს ისე, რომ გარეშეს არავის დაუნახავს. მესინაში რომ დაბრუნდნენ, ხმა დაყარეს: ლორენცო ერთ ალაგას გავგზავნეთ საქმისათვისო. ყველამ ხელად დაიჯერა მათი ნათქვამი, რადგან არაერთხელ გაუგზავნიათ საქმეებისთვის ხან სადა და ხან სად.

რაკი ლორენცომ დაბრუნება დააგვიანა, ლიზაბეტამ არაერთხელ ჰკითხა ძმებს მისი ამბავი, რადგან საყვარლის მოშორება ძალიან უმძიმდა. ერთ დღეს, ქალი ძალიან რომ ჩააცივდა ძმებს, ერთ-ერთმა ძმამ უთხრა: „ნეტავი, რაში გეკითხება მისი ამბავი? შენი რა არის ლორენცო, რომ ასე ხშირად კითხულობ მის სადმყოფობას? თუ კიდევ გიკითხავს რამე, იცოდე, შენს საკადრის პასუხს მოგცემთ!“

ახალგაზრდა ქალი მეტად წუხდა და ნაღვლობდა. თანაც ეშინოდა და არ იცოდა, რა ექნა. მერე ძმებს რისამე კითხვასაც ვეღარ უბედავდა და იყო ისე გაჩუმებული. ღამით, რომ დაწვებოდა, გული-გულში თავისთან უხმობდა საგრფოს და ემუდარებოდა მოსულიყო. ზოგჯერ მწარე ცრემლსა ჰღვრიდა და ჩიოდა — სადა ხარ ამდენ ხანს, ჩემო? მის გულს არაფერი ახარებდა და მის ლოდინში დღეს აღამებდა და ღამეს ათენებდა.

ერთ ღამეს განსაკუთრებით ბევრი იტირა ლორენცოს დაუბრუნებლობისათვის. ბოლოს ტირილში ჩაეძინა. ძილში ლორენცო გამოეცხადა, გაყვითლებული და ძალზე აღელვებული. ტანისამოსი შემოხეოდა და დალპობოდა. ქალს მოეჩვენა, ვითომ ყმაწვილმა უთხრა: „ლიზაბეტა ჩემო, ჩემის ძახილის მეტს არას აკეთებ, გულს ისივებ, რომ ამდენს ხანს აღარ დაგიბრუნდი და შენი ცრემლებით მყვედრი საშინლად. ახლა იცოდე, რომ მეტად ვეღარ მოგივალ, რადგან სწორედ იმ დღეს, რა დღესაც შენ უკანასკნელად მნახე, შენმა ძმებმა მომკლეს“. ეს რომ უთხრა, ლორენცომ ანიშნა ის ადგილი, სადაც ქალის ძმებმა მისი გვამი დაფლეს, მერე სთხოვა: ამიერიდან ნურც მიხმობ და ნუღარც მელოდებიო. ამის შემდეგ გაქრა.

ქალმა რომ გაიღვიძა, სიზმარს დაუჯერა და ცრემლად დაიღვარა. დილა რომ გათენდა, ადგა, მაგრამ ვერ გაბედა ძმებისათვის სიზმარი ეთქვა, თვითონ კი გადაწყვიტა წასულიყო ნაჩვენებ ადგილას და ენახა — რაც დაესიზმრა, მართალი იყო თუ არა. ძმებს ნებართვა სთხოვა — ქალაქგარეთ გასეირნება მინდა და გამიშვითო. თან წაიყვანა ერთი მსახური ქალი, რომელიც მათთან დიდი ხნიდან ცხოვრობდა და ქალის საიდუმლოების ამბავი ყველაფერი იცოდა. რაც შეიძლებოდა, ჩქარა გასწია დანიშნული ალაგისაკენ. იქ რომ მივიდა, ხმელი ფოთოლი რომ ეყარა, გადააცალა და თხრას შეუდგა იქ, საცა მიწა უფრო რბილად ეჩვენა. მიწა ცოტათი რომ მოთხარა, გამოჩნდა მისი უანაწერო საყვარლის გვამი, რომელიც ჯერ ისევ კარგად შენახულიყო და არ გახრწნილიყო. ქალმა იცნო საყვარელი და დარწმუნდა,

რომ სიზმარი მართალი ყოფილა. მის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა.

ლიზაბეტა ხედავდა, რომ აქ ტირილი არ შეიძლებოდა. ისე, წამოღებით, რომ შესძლებოდა, დიდის სიხარულით წამოასვენებდა მთელს გვამს, რომ უფრო შესაფერ ადგილას დაესაფლავებინა. მაგრამ რაკი ხედავდა, რომ გვამის წამოსვენება არ შეეძლო, დანით, როგორც კი მოახერხა, თავი მოაშორა ტანს, გახვია პირსახოცში, ხოლო სხეულს მიწა წააყარა, მერე პირსახოცში გახვეული თავი მოსამსახურეს წინსაფარში ჩაუდო და არავის შეუმჩნევია ისე აქედან წამოვიდა და შინ დაბრუნდა.

სახლში მოსულმა ოთახში თავი ჩაიკეტა ლიზაბეტამ, წინ დაისვენა საყვარლის თავი და დიდხანს მწარედ დასტიროდა, ასე რომ, თავის ცრემლებით თავი სულ დაალბო და დაუკოცნელი ერთი ადგილი არ დაუტოვა. შემდეგ აიღო ერთი დიდი და ლამაზი ლარნაკი, ისეთი, რომელშიც თავშავას ან ბასილიკოს ჩარგავენ ხოლმე, თავი ლამაზ თავიჩითში გახვია და შიგ ჩაასვენა, ზევიდან კიდევ მიწა წააყარა. ამ მიწაში ჩარგო რამდენიმე ძირი მშვენიერი სალერნოს ბასილიკო. ამას კიდევ უბრალო წყლით კი არა რწყავდა, არამედ ან ვარდისა ან ნარინჯის ყვავილის წყლითა და აგრეთვე თავის ცრემლებითა. ჩვეულებად გადაექცა ამ ლარნაკის გვერდით ჯდომა და სიყვარულით ყურება, რადგან შიგ დაცული იყო მისი საყვარელი ლორენცო. ყურებით რომ გაძღებოდა, ზედ დაიხრებოდა, დაიწყებდა ტირილს და მანამდე იტირებდა, სანამ დაღვრილ ცრემლებით მთელს ბასილიკოს არ მორწყავდა. გულმოდგინე მოვლისა და ყურისგდების გამო, ან თუ იმიტომ რომ ლარნაკში მდებარე თავი გაიხრწნა და მიწა მეტად გაასუქა, ბასილიკო მეტად მშვენიერი გახდა და საუცხოო სურნელებასა ჰფენდა გარშემო.

ქალი ასე განაგრძობდა ტირილს. მეზობელთ ეს შეუნიშნავი არ დარჩენიათ. ძმები საშინლად კვირობდნენ და ვერ გაეგოთ, თუ რათ ეკარგვოდა მათს დას სილამაზე და რამ ამოუღამა ისე საშინლად თვალები. და აი, სწორედ მეზობლებმა უთხრეს ამის გამო: ვხედავთ, რომ მთელი დღეების განმავლობაში ლარნაკს დასცქერის და ტირილით იოსებს თავსაო. ძმებმა ეს რომ გაიგონეს, თვითონაც დარწმუნდნენ, რომ მეზობლები მართალს ეუბნებოდნენ; დას რამდენჯერმე გაუჯავრდნენ კიდეცა, მაგრამ რაკი ვერაფერი შეასმინეს, მოსამსახურეს უბრძანეს, ლარნაკი ჩუმად მოეპარა ქალისათვის.

ლიზაბეტამ ლარნაკი რომ ვერა ნახა, ძმებს რამდენჯერმე შეეხვეწა და ჭირი მოსჭამა, დამიბრუნეთო, და რაკი ლარნაკი აღარ დაუბრუნდა, იმ ზომამდე დარდობდა და ცრემლად იღვრებოდა, რომ ლოგინად ჩავარდა და ავადმყოფობის დროს მხოლოდ და მხოლოდ ლარნაკს თხოულობდა. ძმებს საშინლად უკვირდათ, რომ დაი სულ ერთსა და იმასვე თხოულობდა და ამიტომ თქვეს, მოდი, ვნახოთ, შიგ ხომ არაფერიაო. ლარნაკიდან მიწა გამოყარეს და დაინახეს შიგ თავიჩითში გახვეული თავი, რომელიც ჯერ კიდევ იმდენად არ

გახრწნილიყო, რომ ხუჭუჭა თმაზე ვერ ეცნოთ ლორენცოს თავი, ამის დანახვაზე თავზარი დაეცათ. რადგან შეეშინდათ, ვაითუ საიდუმლოება გამომჟღავნდესო, თავი მაშინვე დამარხეს და თვითონ კი, არავისათვის არ უთქვამთ ისე, ჩუმად მესინადან წავიდნენ: წინდაწინ ყველაფერი გამოაწყვეს გასასვლელად და გაემართნენ ნეაპოლში.

ქალი ისევ ტირილს განაგრძობდა, თავის ლარნაკს თხოულობდა და ასე ცრემლშეუშრობელმავე განუტევა სული. ამნაირად დასრულდა მისი უანაწერო სიყვარული.

რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ამბავი ბევრმა გაიგო და ვიღაცამ ლექსიც კი შეთხზა. ამ ლექსს დღესაცა მღერიან და ასე იწყება: ერთმა ვინმე კაცმა ავმა ჩემი ყვავილი მომტაცა, და სხ.

ამბავი მეექვსე. ორი სიზმარი

ანდრეუოლას უყვარს გაბრიოტო. ანდრეუოლა საყვარელს უამბობს თავის ნანახ სიზმარს. გაბრიოტოც, თავის მხრივ, თავის ნანახ სიზმარს მოუყვება. ამასობაში გაბრიოტო მოულოდნელად კვდება ქალის გულში ჩახუტებული. ანდრეუოლა თავის მოსამსახურე გოგოს მოიშველიებს და შეეცდება მიცვალებული მის სახლში გადაასვენოს, მაგრამ გზაში სენიორიის დარაჯი გაჩერებს ორივეს და ქალიც უამბობს, როგორც იყო საქმე. პოდესტას უნდა გააუპატიუროს ქალი, მაგრამ ქალი გაუძალიანდება. ეს ამბავი ქალის მამის ყურამდე მიაღწევს და, რომ დაინახავს, ჩემი ქალი მართალიაო, გაათავისუფლებინებს; მაგრამ ქალს არ უნდა წუთისოფლის ცხოვრება და მოლოზნად აღიკვეცება.

ფილომენას ნაამბობი ამბავი ქალებს ძალიან მოეწონათ, იმიტომ რომ ბევრჯერ გაუგონიათ, ამ სიმღერას რომ მღეროდნენ, მაგრამ ვისაც ჰკითხეს, არავინ იცოდა, თუ რა გარემოების გამო იქნა სიმღერა გამოთქმული. მეფემ ბოლომდე რომ მოისმინა ამბავი, პამფილოს მოუბრუნდა და უთხრა, აბა შენი ჯერია ამბის თქმისაო. მაშინ პამფილომ ასე დაიწყო: — წინა მოთხრობაში ხსენებულმა სიზმარმა მომაგონა ერთი ამბავი, სადაც ორი სიზმარია მოხსენიებული და ახლა მეც ეს ამბავი უნდა გიამბოთ. ორივე სიზმარი თითქოს წინასწარმეტყველებდა იმას, რაც უნდა ამხდარიყო და ის იყო, სიზმრის მნახველნი მორჩნენ სიზმრის მბობას, რომ ორივე სიზმარი ახდა კიდეც. ამიტომ, ჩემო სასურველნო, ალბათ იცით, რომ ყოველი ცოცხალი არსების თვისებაა ძილის დროს ათასგვარი რამ ნახოს სიზმრად. ისიც უნდა ვთქვათ, მძინარეს სიზმრის დროს რასაც ხედავს ნამდვილი ჰგონია, ხოლო როცა გაეღვიძება, ზოგი სიზმარი ცხადი ჰგონია, ზოგი სიმართლეს მიმსგავსებული, ხოლო დანარჩენებს, მისი აზით, სიმართლის ნიშანწყალიც კი არა აქვს, მაგრამ ბევრი სიზმარი ახდება ხოლმე. ამიტომ ზოგი კაცია — სიზმრისა ისევე სჯერა, როგორც ცხადად ნანახისა სჯერა

ხოლმე; ამიტომ სიზმარი ასეთებს ხან დააღონებს და ხანაც გაამხიარულებს იმისდა მიხედვით — სიზმრად ნანახი შიშსა ჰგვრის თუ გულში იმედს უღვიძებს. და პირიქით, არიან ისეთებიც, ვისაც სიზმრისა არა სჯერათ მანამდე, სანამ სიზმრად ნაწინასწარმეტყველევი უბედურება თავს არ დაატყდებათ. მე თუ მკითხავთ, არც პირველებისა მწამს და არც მეორეებისა, რადგან თუ სიზმარი ყველა არ აუხდება კაცს, არც ისეა, რომ ყველა სიზმარი ტყუილი იყოს. რომ სიზმარი ყველა არ აუხდება კაცს, ეს ყველა ჩვენთაგანმა კარგად უნდა იცოდეს; და რომ სიზმარი ყოველთვის არა სტყუის, ეს უკვე ფიამეტას ნაამბობიდან დავინახეთ; და ახლა მე კიდევ ჩემი მოთხრობით მინდა დაგიმტკიცოთ, რომ ეს მართალია. ამიტომ, ჩემის აზრით, ვინც სათანადო ცხოვრებას ეწევა და სიკეთეს თესავს, არ უნდა ეშინოდეს მისი აზრის საწინააღმდეგო სიზმრისა და აღარც ამის გულისათვის ხელი აიღოს ქველმოქმედებაზე; რაც შეეხება ბოროტებასა და უსინდისო საქმეებსა, სიზმარში რაც უნდა სახარბიელოდ ეჩვენოს კაცსა და რაც უნდა წააქეზოს სიზმარმა მათს ჩასადენად, კაცი არ უნდა გაებრიყვებინოს სიზმარს და არ ენდოს; მაინცადამაინც არ უნდა აჰყვეს კაცი ავრეთვე ამგვარი სიზმრის საწინააღმდეგო ხასიათის სიზმრებსაც. მაგრამ... მოდი, მოთხრობას შევუდგეთ.

ქალაქ ბრემიაში ცხოვრობდა ერთი აზნაური, რომელსაც მესერ ნეგრო და პონტე კარარო ერქვა. სხვა შვილებს შორის ნეგროს ერთი ქალიც ჰყავდა, ახალგაზრდა და ლამაზი ანდრეუოლა. ქალი ჯერ გათხოვილი არ იყო. შემთხვევით შეუყვარდა ერთი თავისი მეზობელი ყმაწვილი კაცი, გაბრიოტო. მართალია, გაბრიოტო დაბალი წოდებისა იყო, მაგრამ მეტად სანაქებო ზნეობისა, ლამაზი და თავაზიანი იყო. ქალმა იმდენი ქნა, რომ თავის მოსამსახურე გოგოს საშუალებით არამცთუ შეატყობინა გაბრიოტოს თავისი სიყვარულის ამბავი, არამედ მისი მამის მშვენიერ ბაღში არაერთხელ და ორჯერ ამოყო თავი გაბრიოტომ ორისავე გულის გასახარებლად. და რომ სიკვდილის მეტს არაფერს გაეშორებინა ქალ-ვაჟი ერთიმეორისათვის, აიღეს და საიდუმლოდ ერთმანეთის ცოლ— ქმარი გახდნენ. და სანამ ასე ნამალევად ერთიმეორის შეხვედრას განაგრძობდნენ, ერთ ღამეს ქალს ძილში დაესიზმრა, ვითომ მამის ბაღშია გაბრიოტოსთან ერთად და გაბრიოტო გულში ჰყავს ჩახუტებული და ორივე უზომო სიამით ტკბებიან. და სანამ ასე გადაჭდობილნი არიან, ქალს მოეჩვენა, ვითომ გაბრიოტოს სხეულიდან რაღაც შავბნელი და საშინელი გამოვიდა, მაგრამ მისი სახე ქალმა ვეღარ გაარჩია, ამ საშინელმა არსებამ მოიტაცა გაბრიოტო, და თუმცა ქალი ძალიან გაუძალიანდა, მაგრამ მაინც საშინელი ძალით ხელიდან გამოჰგლიჯა და მასთან ერთად მიწის ქვეშ გაუჩინარდა; ასე რომ, ქალმა ვერც ერთის დანახვა მოასწრო და ვეღარც მეორესი. ამაზე ქალს უზომო დარდით აღევსო გული და ამასობაში გამოეღვიძა კიდეც; რომ გაიღვიძა, და დაინახა — ყოველივე ეს სიზმრად ყოფილაო, თუმცა გაეხარდა, მაგრამ შიში, სიზმარში რომ ნახა, მაინც ვერ მოიშორა თავიდან. ამიტომ, როცა მეორე ღამეს გაბრიოტო მასთან უნდა მისულიყო, ქალი ძალიან შეეცადა ვაჟისათვის როგორმე დაეშალა მასთან მისვლა; მაგრამ ვაჟი რადგან თავისას არ იშლიდა, ქალს შეეშინდა, ვაითუ ეჭვი რამ

გაივლოს გულშიო და მეორე ღამეს თავის ბაღში შემოიყვანა. აქ წინდაწინვე დაეკრიფა თეთრი და ალისფერი ვარდები, რადგან ვარდობის დრო იყო, და მასთან ერთად ამ ბაღში გაკეთებულ ერთ მშვენიერ და ბროლივით წმინდა შადრევანთან ჩამოჯდა. აქ დიდხანს ილაღობეს და ისიამტკბილეს ერთად, მერე გაბრიოტომა ჰკითხა: ჩემო სიცოცხლევ, რა იყო, რომ გუშინ შენთან მოსვლას მიშლიდიო? ქალმა წინა ღამეს ნანახი სიზმარი დაწვრილებით უამბო და ისიც უთხრა, თუ რა შიშმა აიტანა ამის გამო. გაბრიოტომ თავის სატრფოს ნათქვამი რომ მოისმინა, სიცილი დაიწყო და უთხრა; „ჩემო სულისდგმავ, დიდი სისულელეა სიზმარი დაიჯეროს კაცმაო; სიზმრებს მaშინა ვხედავთ, როცა მეტადა ვართ მაძღრები ანდა მშივრები ვწვებით, და რომ სიზმარი ტყუილია, ყოველდღე შეგვიძლია ამაში დავრწმუნდეთო. მერე დასძინა: მე რომ სიზმრისათვის ყური მეთხოვებინა, აქ არც კი მოვიდოდი, იმდენად შენი სიზმრის გულისათვის არა, რამდენად იმ სიზმრისათვის, მე რომ წარსულ ღამეს დამესიზმრა. აი, რა ვნახე სიზმრად: ვითომ ერთ საუცხოო და მომჯადოებელ ტყეში ვარ, ვნადირობ და დავიჭირე ერთი ისეთი ლამაზი და საუცხოო შველი, რომ ჩემს სიცოცხლეში მსგავსი არაფერი მინახავს: თოვლივით სპეტაკ ფერისად მეჩვენა და მოკლე ხანში ისე დამიშინაურდა, რომ სრულებით აღარა მშორდებოდა. რადგან ძალიან შემიყვარდა, მეშინოდა, არ გამექცეს-მეთქი და ყელზე ოქროს საყელო გავუკეთე, ზედაც ოქროს ჯაჭვი შევაბი და ერთთავად ხელში მეჭირა. შემდეგ მომეჩვენა, რომ ერთხელ, როცა შველი ძირს იწვა, თავი ჩემს გულზე ჰქონდა მოხუტებული, ამ დროს, არ ვიცი საიდან, გამოხტა ერთი ნახშირივით შავი ძაღლი, დაყმედილი და საშინელი შესახედავი და პირდაპირ ჩემსკენ გამოექანა. ისე მომეჩვენა, რომ ამ ძაღლს ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გავუწევდი; მკერდში ჩამაფრინდა და იმდენი მღრღნა, რომ გულამდე ჩამწვდა, გული ამომაცალა და გააქანა. ამ დროს ისე მეტკინა, რომ გამომეღვიძა. მღვიძარემ ხელი მაშინვე უბეში გავაქანე, მართლა ხომ არ ამომაცალეს გული-მეთქი. რომ დავრწმუნდი, არაფერი მტკიოდა, ჩემს თავზე მე თვითონ გამეცინა, რომ მკერდს ვისინჯავდი. მაგრამ განა ეს რასმე ნიშნავს? ეს რა არი, ამაზე უარესი სიზმრებიც მინახავს, მაგრამ არაფერი დამმართნია. ამიტომ, მოდი, ამათ თავი დავანებოთ და მხოლოდ კარგად დროს გატარებაზე ვიფიქროთ“.

ქალი ისედაც დაშინებული იყო თავისი სიზმრითა და ახლა ყმაწვილის ნათქვამზე უარესად შეშინდა, მაგრამ გაბრიოტოს გული არ გავუხეთქოო და, რამდენადაც შეეძლო, თავისი შიში დაუმალა. ეხვეოდა და კოცნიდა ყმაწვილს და თითქო ნეტარობდაო; ვაჟიც ეხვეოდა და კოცნიდა, მაგრამ ქალს რაღაც კრძალვა, — თვითონაც ვერ გაეგო, რა, — არ ეშვებოდა და გაუწყნარებლივ თვალებში ჩასცქეროდა ვაჟსა და თან ჟამ-და-ჟამ ბაღში იცქირებოდა — თითქო მოელის, საცაა, შავი რამ გამოჩნდება საიდანღაცო. ამ მდგომარეობაში რომ იყვნენ ისე, გაბრიოტომ მძიმედ ამოიხვნეშა, გადაეხვია და უთხრა: „შენი ჭირიმე, მიშველე, ხედავ, გიკვდები“.

ამის თქმა იყო და უკან გადავარდა და ბუსნოზე დაეცა. ქალმა ეს რომ დაინახა, ზევით წამოსწია, მისი თავი მუხლებზე დაისვენა და თითქმის ატირებულმა ლაპარაკი დაუწყო:

„ჩემო კეთილო მეუფევ, მე დასამიწებელი ამას რასა ვხედავ?..“ გაბრიოტო ხმას არ იღებდა, მძიმედ ქშინავდა და მთლად ოფლში იწურებოდა და ცოტა ხანს შემდეგ სული განუტევა.

თუ რაზომ დაამწუხრებდა და დააჭმუნვებდა ქალს საყვარლის სიკვდილი, ვინც საკუთარ თავს ერჩია, ყველა მიხვდება. ტირილით სახე დაიოსა და განუწყვეტლივ უხმობდა საყვარელს, თუმცა ამაოდ. მერე, როცა მთელი ტანი ყველგან გაუსინჯა და დარწმუნდა, რომ მკვდარი იყო, არ იცოდა, რა ექნა ან რა ეთქვა, ატირებული და დარდისაგან გადარეული თავის მოსამსახურე დედაკაცის დასაძახებლად წავიდა. მომსახურემ იცოდა თავისი ქალბატონის სიყვარულის ამბავი და ქალმაც უამბო, თუ რა უბედურება დაატყდა თავს. როცა ორივემ ცრემლებით დაუსველეს მიცვალებულ გაბრიოტოს სახე, ქალბატონმა უთხრა მოსამსახურეს: „რაკი უფალმა წამართვა ამისი თავი, მე არ მინდა თავი ვიცოცხლო. მაგრამ სანამ თავს მოვიკლავდე, მინდა ვეცადო ჩემს სახელს ჩირქი არ მოეცხოს და არ გამომჟღავნდეს ჩვენ შორის არსებული სიყვარული, და დავასაფლავო ის, ვისი სხეულიდანაც ჩემთვის ძვირფასი სული აღმოხდა“. ამაზე მოსამსახურემ ასე მოახსენა:

„ჩემო შვილო, შენი თავის მოკვლის ამბავი არ გამაგონო, იმიტომ რომ, მართალია სააქაოში დაგეკარგა შენი სატრფო, მაგრამ თუ შენი ხელით თავი მოიკალი, საიქიოშიაც შენთვის დაკარგულად უნდა ჩათვალო, რადგან შენ ჯოჯოხეთში წახვალ, იქ, სადაც დარწმუნებული ვარ მისი სული არ წავიდოდა, ვინაიდან რიგიანი ყმაწვილი კაცი იყო; ყველას ემჯობინება. გული გაიმაგრო და იფიქრო, თუ როგორ უნდა ულხინო მის სულს ლოცვებითა და სხვა კეთილი საქმითა, თუ ვინიცობაა, რამე ცოდვა აქვს ჩადენილი და დახმარება სჭირია. დამარხვით კი ხელად ამ ბაღში შეგვიძლია დავმარხოთ, ამას ხორციელი ვერავინ გაიგებს, რადგან არავინ იცოდა, თუ ის ამ ბაღში დადიოდა. და თუ ეს არ გინდა, ბაღიდან გავიტანოთ და გარეთ დავასვენოთ: ხვალ დილას დაინახავენ, თავის სახლში წაასვენებენ და მისი მშობლები დაასაფლავებენ“.

ახალგაზრდა ქალმა, თუმცა უზომოდ დამწუხრებული და ცრემლშეუშრობელი იყო, მაინც მოუსმინა მოსამსახურეს რჩევა-დარიგება; პირველი რჩევა არ მოეწონა, მაგრამ მეორეზე კი ასე უთხრა: „ღმერთმა დამიფაროს, რომ ჩემთვის ასეთი ძვირფასი ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც იმ ზომამდე მიყვარდა და ჩემი ქმარი იყო, ძაღლივით დავფლა მიწაში ანდა ქუჩაში გადავაგდო. მე უკვე გამოვიტირე და ვეცდები ისე მოვახერხო, რომ მშობლებმაც დაიტირონ; მე კიდეც მოვიფიქრე, თუ როგორ მოვიქცეთ“. ეს უთხრა და მოსამსახურე სახლში გაგზავნა ზანდუკიდან აბრეშუმის ნაჭრის ამოსაღებად და მოსატანად. მსახურმა დანაბარები

რომ მოიტანა, ძირს გაუშალეს, ზედ გაბრიოტოს ცხედარი დაასვენეს, თავი ბალიშზე დაუდეს. თან იცრემლებოდნენ, თან თვალებს უხუჭავდნენ და პირს უკუმავდნენ, მერე დაუწნეს ვარდების გვირგვინი, შემდეგ დაჰკრიფეს ვარდები და ზედ დააყარეს. ბოლოს, ანდრეუოლამ მოსამსახურეს უთხრა: „აქედან მის სახლის კარამდე სულ ახლოსაა, ამიტომ მე და შენ, ჩვენ მიერ ასე შემკული და მორთული, იქ მივასვენოთ და კარნინ დავასვენოთ. მალე გათენდება კიდეც და უპატრონებენ. სხვებისათვის არაფერი გასახარელი იქნება მისი ნახვა, მაგრამ მე კი, ვის ხელშიაც სული განუტევა, ცოტა არ იყოს, გულზე მეფონება“.

ესა თქვა ქალმა, წასკდა თვალთაგან ცრემლები, დაემხო მიცვალებულის გვამს და დიდხანს ქვითინებდა. მსახური კი აჩქარებდა, საცაა, შემოგვათენდებაო. ქალმა თითიდან წაიძრო ის ბეჭედი, რომლითაც გაბრიოტომ დანიშნა, მიცვალებულს თითზე გაუკეთა და ტირილით უთხრა: „ჩემო ყველავ, თუ შენი სული ახლა ჩემს ცრემლებსა ხედავს, ან თუ მისი განშორების შემდეგ სხეულმა რამე იგრძნოს ან გაიგოს, მიიღე გულმოწყალედ ეს უკანასკნელი ძღვენი იმისა, ვინც შენს სიცოცხლეში ესოდენ გიყვარდა“. ეს რომ თქვა, ისევ უგრძნობლად დაემხო მიცვალებულს. გონს რომ მოვიდა და ზეზე წამოდგა, მსახურთან ერთად ქსოვილს, რომელზედაც მიცვალებული ესვენა, ყურებში ხელი დააავლო, გაიტანეს ბაღიდან და მიცვალებულის სახლისაკენ გაემართნენ.

იმ დროს, როცა ესენი მიცვალებულს მიასვენებდნენ, რაღაც ეშმაკად ზედ გადააწყდნენ პოდესტას დარაჯები, რომლებიც რაღაც საქმისათვის ამ დროს აქეთკენ მოდიოდნენ. ანდრეუოლამ, რომელსაც სიცოცხლეს უმალ სიკვდილი ერჩია, იცნო სენიორიის დარაჯები და პირდაპირ უთხრა: „ვიცი, ვინცა ხართ და ისიც ვიცი, რომ ტყუილად შევეცდები თქვენ ხელიდან გაგისხლტეთ; მე მზად გახლავართ წამოგყვეთ და სენიორიაში წარვდგე და როგორც მოხდა, ყველაფერი ვუამბო. მაგრამ არავინ გაბედოს და ხელი არ მახლოს, რაკი ჩემის ნებით მოგყვებით, და ნურც ნურავინ მიცვალებულს რასმე მოაცლის, თუ არ უნდა, მერე ვუჩივლო და პასუხი ვაგებინო“.

დარაჯთაგან ხელი არავის უხლია და გაბრიოტოს გვამი ქალმა სენიორიის სასახლეში მიასვენა. პოდესტას რომ ყველაფერი მოახსენეს, წამოდგა, და როცა ოთახში შეუყვანეს ქალი, ყველაფერი გამოჰკითხა, როგორც ყოფილა. მერე დაუძახა ექიმებს, შეამოწმებინა გვამი — რაიმე საწამლავით ან სხვა რამე გზით ძალათი ხომ არ არის საწყალი კაცი მოკლულიო. ყველამა თქვა — არაო. მხოლოდ გულს ახლო მუწუკი ჰქონია, გამსკდარა და იმას დაუხრჩვიაო.

ეს რომ პოდესტამ გაიგონა და შეიტყო, რომ ქალი უდანაშაულო იყო, მაშასადამე, უნდა გაეთავისუფლებინა, მაინც თავი ისე მოაჩვენა, ვითომ მოწყალებას უშვრებოდა, თუმცა ისედაც ასე უნდა მოქცეულიყო და არა ქრთამით გაეყიდა სამართალი. და ასე უთხრა: თუ ჩემს ნებაზე

დამყვები, გაგათავისუფლებო. მაგრამ რაკი მისმა სიტყვებმა ვერ გაჭრა, დაავიწყდა ყოველივე ზრდილობა და მოინდომა ძალა დაეტანებინა. მაგრამ ანდრეუოლა ზიზღისაგან გაალმასდა, ღონე მოიცა, ვაჟკაცურად დაუხვდა, ხელი ჰკრა და თავიდან მოიშორა, თან როგორც ეკადრებოდა, ისეთი სალანძღავი სიტყვებით შეამკო.

მაგრამ კარგად რომ გათენდა და მესერ ნეგროს რომ შეატყობინეს მომხდარი ამბავი, დარდისაგან გადარეულმა, იახლა თავისი მეგობრები და გაემართა სასახლისაკენ. იქ პოდესტამ ყველაფერი უამბო და დადარდიანებულმა ნეგრომა სთხოვა, ჩემი ქალი დამიბრუნეო. პოდესტას შეეშინდა, ქალმა არ დამაბრალოს, რომ მისი ძალდატანება მინდოდაო და თვითონ მოუყვა ქალის მამას, როგორც იყო საქმე; მერე ქალი შეაქო მისი სიმტკიცისათვის და თქვა: მინდოდა გამომეცადნა და იმიტომ მოვუნდომე ძალდატანებაო. მისი სიმტკიცე და ურყევლობა რომ დავინახე, მისდამი სიყვარულით გავიმსჭვალე და თუმცა მისი ქმარი დაბალი წოდებისა ყოფილა, მაინც, თუ მამამისი და თვითონ ქალი თანახმანი იქნებიან, დიდი სიამოვნებით შევირთავდი ცოლადაო.

ესენი რომ ამ ლაპარაკში იყვნენ, შემოვიდა ანდრეუოლა და, მამა რომ დაინახა, ტირილით მის წინ დაემხო და უთხრა: „მამაჩემო, არა მგონი საჭირო იყოს, მოგიყვე ჩემი მოუფიქრებელი საქციელისა და ჩემი მწუხარების შესახებ, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გაიგონეთ და იცით; ამიტომ თავმდაბლად გთხოვ, მაპატიო ჩემი დანაშაული, რომ უშენოდ ჩემ არჩეულ კაცს მივთხოვდი. ამ წყალობას იმიტომ კი არა გთხოვ, რომ სიცოცხლე მეპატიოს, არამედ იმიტომ, რომ მოვკვდე შენს ქალიშვილად და არა შენს მტრად“. და ატირებული ქალი ფეხქვეშ გაეშალა.

მესერ ნეგრომ, რომელიც უკვე ძალზე იყო მოხუცებული, და როგორც ბუნებით კეთილი გულისა და მოსიყვარულე ადამიანმა, ეს სიტყვები რომ გაიგონა, ტირილი დაიწყო. ქალი სათუთად წამოაყენა და უთხრა; „ჩემო შვილო! მე უფრო გამეხარდებოდა, რომ შენ ისეთი კაცი აგერჩია ქმრად, რომელიც, ჩემი აზრით, შენი შესაფერი იქნებოდა; მაგრამ რაკი შენ ის აგირჩევია, ვინც მოგწონდა, ის კაცი, ალბათ, მეც მომეწონებოდა. შენი გულჩათხრობილობა უფრო იმიტომ მეწყინა, რომ ჩემდამი უნდობლობა გამოიჩინე და სანამ შენი გულის სწორის ამბავს გავიგებდი, შენ კიდეც ხელიდან გამოგცლია. მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, შენს გასახარებლად ისეთ პატივსაც ვცემდი, როგორიც ჩემს სიძეს შეეფერებოდა. ახლა კი პატივს მიცვალებულს მივაგებ“.

ამის შემდეგ ნეგრო მიუბრუნდა თავის ვაჟებს და ნათესავებს და უბრძანა — გაბრიოტო დიდის პატივით და გამოჩინებით დაესაფლავებინათ. ამავე დროს დასაფლავებაზე თავი მოიყარეს გაბრიოტოს მშობლებმა და ნათესავებმა, რომელთაც გაეგოთ ეს ამბავი; აგრეთვე ქალაქში ქალი თუ კაცი არავინ დარჩენილა, რომ არ დასწრებოდა.

გაბრიოტოს ცხედარი ანდრეუოლას შესახვევველში გახვეული სასახლის ეზოში ესვენა და ვარდებში იყო ჩაფლული; დასტიროდნენ არა მარტო ანდრეუოლა და მისი მშობლები, არამედ საჯაროდ გარეშე ქალები და კაცებიც ქალაქისა. სენიორიის ეზოდან გამოასვენეს და კეთილშობილ მოქალაქეთა მხრებით წაასვენეს სასაფლაოზე, იტყოდით, დიდის პატივით ვინმე დიდ სენიორსა მარხავენ და არა უბრალო წოდების კაცსაო.

რამდენიმე დღის შემდეგ პოდესტამ ისევ განუმეორა თხოვნა ნეგროს, მაგრამ როცა ეს მამამ ქალს უთხრა, ყურშიაც არ შეუშვა პოდესტას შემონათვალი. მამამ ძალა არ დააატანა და ქალიც, თავის მოსამსახურესთან ერთად, ერთ თავისი სიწმინდით მეტად ქებულ მონასტერში მოლოზნად შევიდა, სადაც ორივენი ღვთისმსახურებაში და ურცხვენელად დიდხანსა ცხოვრობდნენ.

ამბავი მეშვიდე. სიმონა

სიმონას უყვარს პასკვინო; ერთ ბაღში ერთად არიან; პასკვინომ კბილებზე სალბის ფოთლები წაისვა და მოკვდა. სიმონა დაიჭირეს; მოსამართლისათვის უნდა ეჩვენებინა, თუ როგორ მოკვდა პასკვინო; კბილებზე წაისვა ამავე ბალახის ფოთოლი და ისიც მოკვდა.

როცა პამფილომ თავის მოთხრობა დაასრულა, მეფემ, რომელსაც ანდრეუოლას მიმართ არავითარი თანაგრძნობა არ გამოუჩენია, შეხედა ემილიას და ანიშნა, — ძალიან მეამება, ვინძლო უკვე ნათქვამი მოთხრობების მსგავსი მოთხრობა შენცა თქვაო. ემილიამაც მაშინვე ასე დაიწყო: — ძვირფასო ამხანაგებო! ის, რაც მე ახლა უნდა მოგითხროთ, ანდრეუოლას ამბავს მხოლოდ იმითა ჰგავს, რომ ანდრეუოლას ბაღში თავისი სატრფო მოუკვდა და იმ ქალსაც, ვისი ამბავიც უნდა მოგითხროთ, ბაღშივე უკვდება თავისი გულის სწორი. იმ ქალსაც ანდრეუოლასავით დაიჭერენ, მაგრამ სასამართლოს თავს დააღწევს არა ხასიათის სიმტკიცითა და თავის კაიქალობით, არამედ მოულოდნელი სიკვდილით. და, როგორც ამას წინათ ვთქვით, თუმცა ამური უფრო ხალისით ივანებს დიდებულთა სრა— სასახლეებში, მაინც არ თაკილობს ზოგჯერ თავისი ძალა ღარიბთა ქოხებშიაც გამოიჩინოს, და მისი, როგორც უძლიერესი მბრძანებლის, წინაშე ერთნაირადა ცახცახებს როგორც მდიდარი, ისე უქონელი. ეს, თუ მთლად არა, ნაწილობრივ მაინც გამოჩნდება ჩემს მოთხრობაში; ამ მოთხრობით ისევ ჩვენს ქალაქში შეგიყვანთ, რომელსაც ამდენი სხვადასხვა ამბების ლაპარაკისა და ქვეყნიერების ამდენ სხვადასხვა ადგილებში ტრიალის დროს, დღეს მეტისმეტად ვშორდებოდით.

მას აქეთ დიდი ხანი არ არის, ფლორენციაში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა ქალი.

უზომოდ ლამაზს ნარნარი ქცევა ჰქონდა, თუმცა დაბალი წიდებისა იყო და მამაც ღარიბი ჰყავდა. სახელად სიმონა ერქვა. მართალია, ალალ ლუკმას თავისი გამრჯელობითა ჭამდა — მატყლს ართავდა და იმითა ცხოვრობდა, მაგრამ სულიერად არც ისე ღარიბად იხსენიებოდა, რომ არ შესძლებოდა გაკადნიერებულიყო და თავისი გულის კარი არ გაეღო ამურისათვის, რომელიც ჩამომავლობით მისი ტოლი ერთი ყმაწვილი კაცის ქცევითა და ალერსიანი სიტყვების სახით, ცდილობდა შიგ შესულიყო. ამ ყმაწვილს კარდაკარ დაჰქონდა თავისი პატრონის მატყლი და ძაფის მრთველებს ურიგებდა. ამგვარად, სიმონამ შეუშვა გულში სიყვარულის ღმერთი მშვენიერი ყმაწვილის სახით, რომელსაც პასკვინო ერქვა. პასკვინოს თავის მხრითაც უყვარდა ქალი. სიმონას საშინლად უნდოდა დაახლოებოდა ყმაწვილს, მაგრამ ვერა ბედავდა როგორმე გაეგებინებინა ყმაწვილისათვის, თუ რა ცეცხლი ენთო გულში. როცა ართავდა, თითისტარის ყოველ შემოტრიალებაზე და დართული ძაფის დახვევაზე რომ მოაგონდებოდა ის, ვინც დასართველად ეს მატყლი მოუტანა, გულიდან ცეცხლზე უფრო მწველი სულთქმა აღმოხდებოდა. ყმაწვილიც, თავის მხრივ, დიდად ზრუნავდა, რაც შეიძლებოდა კარგი დართული გამოსულიყო მისი პატრონის მატყლი და სიმონასთან სამუშაო ხშირად მოჰქონდა, თითქო საქსოვად მხოლოდ სიმონას ნართი უნდა წასულიყო და არა სხვა მრთველებისა. და რადგან ყმაწვილი ხშირად აძლევდა სამუშაოს და ქალს ძალიან უხაროდა, რომ ყმაწვილს მასთან დაჰქონდა მატყლი სართავად, იმით გათავდა საქმე, რომ ყმაწვილი წინანდელზე თამამი შეიქნა; ქალმაც თავისი გაუბედაობა და მოკრძალება უკუჰყარა და ურთიერთს დაუახლოვდნენ ერთმანეთის გულის გასახარებლად. და ეს სიამტკბილობა იმ ზომამდე მოსწონდა როგორც ერთსა, ისე მეორეს, რომ იმას არც კი უყურებდნენ, როდის დამიძახებს ჩემი საგრეფოო, პირიქით, ორნივ ერთნაირად ისწრაფოდნენ დამტკბარიყვნენ სიყვარულით.

ასე მიდიოდა მათი სიყვარულის ამბავი და ეს სიყვარული დღითიდღე უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ერთ დღეს პასკვინომ უთხრა სიმონას: ძალიან მინდა, როგორმე მოახერხებდე და წამოხვიდოდე იმ ბაღში, სადაც მინდა წაგიყვანო. იქ სრულებით მარტოკანი ვიქნებით თავისუფლად და ეჭვს ვერავინ აიღებს ჩვენზედაო. სიმონას პასკვინოს ნათქვამი გაუხარდა. ერთ კვირა დღეს ქალმა ნასადილევს მამას უთხრა: სან გალოს ეკლესიაში აღსარების სათქმელად მივდივარო; თავისი მეგობარი ქალი ლაჯინა გაიყოლა და წავიდა იმ ბაღში, სადაც პასკვინომ ასწავლა. აქ ქალებს დაუხვდათ პასკვინო და მისი ამხანაგი პუჩინო, რომელსაც სტრამბასაც ეძახდნენ. რადგან აქ სტრამბა და ლაჯინა ერთმანეთს გაუარშიყდნენ, სიმონა და პასკვინო ბაღის ერთ მხარეში შევიდნენ სასიამტკბილოდ, ხოლო სტრამბა და ლაჯინა მეორე მხარეში დატოვეს.

ბაღის იმ მხარეს, საითკენაც პასკვინო და სიმონა წავიდნენ, ერთი მეტად დიდი და მშვენიერი სალბის ბუჩქი იდგა და ქალ-ვაჟმა ამის ძირას მოიკალათა. კარგა ხანს ილაღობეს

ერთად. მერე დაიწყეს იმაზე ლაპარაკი, თუ მოსვენების შემდეგ სამხარი როგორ ეჭამათ ამ ბაღში. ამასობაში პასკვინომ წამოიწია სალბის ბუჩქისაკენ, მოწყვიტა ერთი ფოთოლი და ამით ისრისა კბილები და ღრძილები, თანაც ქალს ეუბნებოდა — ეს ფოთოლი ძალიანა სწმენდს კბილ-ღრძილს ჭამის შემდეგ შიგ ჩარჩენილისაგანო. რამდენჯერმე რომ გამოისვა ფოთოლი, მერე დაწყებულ ლაპარაკს სამხრის ჭამის შესახებ ისევ დაუბრუნდა. დიდხანს არ დასცლია ლაპარაკი, რომ სახეზე ფერი ეცვალა. ამის შემდეგ თვალის სინათლე წაუვიდა და ენა წაერთვა და ცოტა ხანში გარდაიცვალა კიდეცა. სიმონამ ეს რომ დაინახა, დაიწყო ტირილი და კივილი, მერე სტრამბასა და ლაჯინას დაუწყო ძახილი.

სტრამბამ და ლაჯინამ მაშინვე მოირბინეს და რომ დაინახეს, პასკვინო არამცთუ მომკვდარა, არამედ მთლად დასივებულა და სახე და მთელი ტანი შავი ლაქებით დაფარვიაო, სტრამბამ ერთბაშად შესძახა სიმონას: „ახ, შე ავაზაკო, შენა, შენ მოწამლე საწყალი ბიჭი?“ და თან დაიწყო ხმამაღლა ყვირილი, მიშველეთო. ბაღში თუ ვინმე ახლომახლო იყო, ყველამ გაიგონა. ყვირილზე მოირბინეს და პასკვინო მკვდარი და მთლად დასივებული დაუხვდათ. გაალმასებული სტრამბა სიმონას ამტყუნებდა — მოღალატურად მოწამლა კაცი. ქალს ამ მოულოდნელი უბედურებისაგან, რომელიც საყვარელმა დაატეხა თავზე, თითქმის გონება წაერთვა, ხმას ვერ იღებდა დ არც თავის გამართლებას ცდილობდა. ყველას ეგონა, სტრამბა მართალს ამბობსო.

ამიტომ მოჰკიდეს ხელი აქვითინებულ სიმონას და პოდესტას სასახლეში მიიყვანეს. აქ სტრამბასა და პასკვინოს ამხანაგების, აგიჩატოსა და მალაჯევოლეს, რომლებიც ხელად აქ გაჩნდნენ, საბრალმდებლო განცხადების თანახმად, მოსამართლე დაუყოვნებლივ შეუდგა საქმის გამოძიებას. და რადგან ვერ მიმხვდარიყო — ქალი მართლა დამნაშავე იყო და ეს საქმე ბოროტის განზრახვით ჩაიდინა თუ არაო, გადაწყვიტა ქალის თანდასწრებით ენახა მიცვალებულის გვამი, გაესინჯა ადგილი და შეემოწმებინა ქალის ნათქვამიცა, რადგან ქალის ნაამბობის მიხვედრა, ცოტა არ იყოს, უჭირდებოდა.

მოსამართლემ ქალი ჩუმად წააყვანინა იმ ადგილზე, სადაც რუმბივით გასივებული გვამი ესვენა პასკვინოსი. მალე თვით მოსამართლეც მივიდა და პასკვინოს გვამი რომ დაინახა, ძალიან გაუკვირდა. მერე ქალს უთხრა. აბა მიამბე, როგორ იყო საქმეო. ქალი მივიდა სალბის ბუჩქთან და რაც მომხდარიყო, ყველაფერი უამბო, და რომ უფრო თვალსაჩინოდ დაენახვებინა მოსამართლისათვის მომხდარი ამბავი, იგივე ქნა, რაც პასკვინომ ჩაიდინა, ე. ი. სალბის ფოთლით კბილების სრესა დაიწყო. სტრამბა, აგიჩატო და სხვა მეგობრები პასკვინოსი ქალის ნალაპარაკევს მოსამართლის წინაშე ფასს უკარგავდნენ და იძახდნენ — ქალი ავაზაკია და ასეთი ბოროტებისათვის, სულ უკანასკნელი, ცეცხლზე დაწვა უნდა მიესაჯოსო. საცოდავი ქალი თავზარდაცემული იდგა, ერთის მხრით, საყვარლის დაღუპვის გამო, მეორეს მხრით — გულსა სზარავდა ის სასჯელი, რომელსაც მისთვის სტრამბა

მოითხოვდა. მაგრამ რადგან კბილზე ფოთოლი მოისვა, იმასაც ის მოუვიდა, რაც პასკვინოს, და ამან დამსწრენი უზომოდ გააოცა.

ოი, ნეტარება იმ სულთ, რომელთაც ერთსა და იმავე დღეს ბოლო მოუღეს თავის აღგზნებულ სიყვარულს და დაასრულეს სააქაო სიცოცხლე! და უფრო ნეტარნი იქნებით, თუ ღირსიქმენით და ერთსა და იმავე ალაგას მოჰყევით განუყრელად! და უბედნიერესნი იქნებით, თუ სიყვარული იქაც იციან და თქვენ ერთმანეთი ისევე გეყვარებათ, როგორც აქ გიყვარდათ! მაგრამ ჩვენ, სიმონას სიკვდილის შემდეგ დარჩენილნი, ვფიქრობთ, რომ აქ ქალის სული უმეტესად ბედნიერია იმით, რომ მისმა ბედ-იღბალმა იმუშავა და მისი უმანკოება გამოაჩინა, მიუხედავად იმისა, რომ სტრამბა, ატიჩატო და მალაჯევოლე, ვიღაც მატყლის მჩეჩავები და კიდევ უარესი მდგომარეობის ადამიანები, ცდილობდნენ თავიანთი მეგობრის სიკვდილი მისთვის დაებრალებინათ, უკვე ბედ-იღბალი დაეხმარა და შეაძლებინა მომკვდარიყო არა სამარცხვინო სიკვდილით, არამედ ისეთივე სიკვდილით, როგორითაც გარდაიცვალა მისი საყვარელი, ამგვარად აეცილებინა ის სირცხვილი, რომელიც მისთვის თავზე უნდა მოეხვიათ იმათ და უკან გასდევნებოდა მისი საყვარელი პასკვინოს სულს.

მოსამართლე ამ ამბავმა იმ ზომამდე გააოცა, აგრეთვე სხვა იქ დამსწრენიცა, რომ არ იცოდა, რა ეთქვა და დიდხანს დაფიქრებული იდგა. მერე, როგორც იყო გონს მოვიდა და თქვა: ცხადია, ეს სალბი შხამიანი უნდა იყოს, თორემ ჩვეულებრივ ამ მცენარეს შხამი არა აქვს ხოლმე, მაგრამ რომ სხვასაც არ დაემართოს მისგან ასეთი ამბავი, მოდით, მოჭერით ძირში და ცეცხლში დაწვითო. ბაღის დარაჯმა მოსამართლის წინაშე სალბის ბუჩქი მიწაზე წააქცია თუ არა, ორი საცოდავი შეყვარებულის სიკვდილის მიზეზიც გამოჩნდა. ბუჩქის ძირას ერთი უზარმაზარი გომბეშო მჯდარა და ყველამ ისა თქვა, ალბათ მისმა შხამიანმა სუნთქვამ მოშხამა სალბის ბუჩქიო. დამსწრეთაგან ვერავინ გაბედა გომბეშოს მიახლოებოდა, გარშემო ბლომად ფიჩხი შემოაყარეს და სალბის ბუჩქთან ერთად ცეცხლი მოუკიდეს.

და ამგვარად დაასრულა ბატონმა მოსამართლემ საცოდავი პასკვინოს სიკვდილის საქმე.

სტრამბამ, ატიჩატომ, გუჩიო იბრატამ და მალაჯევოლემ პასკვინო და მასავით დასივებული სიმონა წმიდა პავლეს ეკლესიაში დაასაფლავეს, როგორც ამ ეკლესიის მრევლთაგანნი.

ამბავი მერვე. სიყვარულის სამჭედლო

ჯიროლამოს უყვარს სალვესტრა; დედის თხოვნით პარიზში მიდის; იქიდან დაბრუნებულ ჯიროლამოს სალვესტრა გათხოვილი დაუხვდება; ჩუმად ქალის სახლში შეიპარება და მის გვერდით თავს მოიკლავს. მიცვალებულს ეკლესიაში წაასვენებენ და სალვესტრა მის გვერდით მოკვდება.

ემილიას მოთხრობა გათავდა. მეფის ბრძანებით ახლა ნეიფილემ დაიწყო: — ჩემის აზრით, ჩემო კარგებო, ბევრია ისეთი, ვისაც ჰგონია, რომ სხვაზე მეტი იცის, ნამდვილად კი სხვებზე ნაკლები იცის; ამიტომ ასეთი ხალხი თავისი ჭკუის იმედით არამცთუ სხვების რჩევას არ მიჰყვება, არამედ ცხოვრების სულ უბრალო კანონის წინააღმდეგაც მიდის. ასეთ ზვაობას ნიადაგ დიდი უბედურება მოჰყოლია და არავისა სმენია, რომ მისგან სიკეთე ვისმე ენახოს. და რადგან ადამიანის ბუნების თვისებათა შორის სიყვარული ყველაზე ნაკლებად ემორჩილება ვისამე რჩევას და ვერ მოითმენს, ვინმემ რომ წინააღმდეგობა გაუწიოს, და ბუნება მისი ისეთია, რომ უმალ თვით გაქრება, ვიდრე აღმოიფხვრებოდეს გარეშე ძალის ჩარევით, ამიტომ მე მინდა გიამბოთ ამბავი ერთი ქალისა, რომელსაც ეგონა, რომ იმაზე უფრო მეტი ჭკუა ჰქონდა, ვიდრე მართლა ჰქონდა, და რომელმაც მოინდომა თავის ჭკუა გამოეჩინა ისეთ საქმეში, რომლის გაკეთება მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. ჰოდა, ამ ქალმა მოინდომა შეყვარებულის გულიდან აღმოეფხვრა ის სიყვარული, რომელიც, შეიძლება, თვით ზეცამ ჩააგონა, და ბოლოს მოიმკო მხოლოდ ის, რომ ღვიძლ შვილს არ აკმარა გულიდან სიყვარულის ამოგლეჯა, მასთან ერთად წაართვა თვით სიცოცხლეცა.

როგორც ძველები მოგვითხრობენ, ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა ერთი სახელოვანი და მდიდარი ვაჭარი, ლეონარდო სიგიერი. თავისი ცოლისაგან ერთი ვაჟი შეეძინა, და სახელად ჯიროლამო დაარქვა. ვაჟის დაბადების შემდეგ თავისი საქმეების მიწყობ-მოწყობა მოასწრო და გარდაიცვალა კიდეცა. ბავშვის მზრუნველები დედასთან ერთად პატიოსნად უძღვებოდნენ ვაჭრის დატოვებულ საქმეებს. ვაჟი მეზობლის ბავშვებთან ერთად იზრდებოდა და იმ ქუჩაზე მცხოვრებ ბავშვებს შორის ყველაზე მეტად დაუახლოვდა ერთ თავის ხნის გოგოს, თერძის ქალს. რაც უფრო იზრდებოდა ბავშვი, ბავშვური მეგობრობა ისეთ ძლიერ სიყვარულად გადაექცა, რომ თუ ქალს არა ხედავდა, ისე იმის გულს არაფერი ახარებდა; ქალსაც ისეთნაირადვე უყვარდა ვაჟი, როგორც ვაჟს ქალი. დედამ რომ შეამჩნია ეს, შვილს არაერთხელ გაუწყრა და დასაჯა. მაგრამ რომ დაინახა, ჯიროლამო თავისას არ იშლისო, მზრუნველებს შესჩივლა და რადგან ვაჟს დიდი სიმდიდრე ჰქონდა დატოვებული და დედა ფიქრობდა, ფულით რას არ გააკეთებს კაცი, კვრინჩხსაც კი ნარინჯად გადააქცევსო, ასე უთხრა მზრუნველებს: „ამ ჩვენს ბავშვს, რომელიც თოთხმეტი წლისა არც კი არის, ისე შეჰყვარებია ერთი ჩვენი მეზობელი თერძის გოგო, რომელსაც სალვესტრა ჰქვია, რომ თუ

როგორმე არ მოვარიდეთ, ერთ მშვენიერ დღეს, ვერავინ რას გაიგებს, ისე ადგება და ცოლად შეირთავს: ღმერთმა კი ნუ მომასწროს იმ დღეს! რაღა თქმა უნდა, იმის დარდს გადავყვები, ან თუ დაინახა, რომ ქალი სხვას მიათხოვეს, უცილობლად თავს მოიკლავს. ამიტომ, თუ გვინდა ეს უბედურება თავიდან ავიცილოთ, მე ვფიქრობ, საჭიროა სადმე შორს გავგზავნოთ, ვითომ ჩვენი სავაჭრო საქმეებისათვის. გოგოს უნახავად დიდხანს რომ დარჩება, გადაავიწყდება კიდეცა და მერე შეგვიძლია ვინმე კეთილშობილი ოჯახის ქალი შევრთოთ ცოლად“.

მზრუნველებმა დედას განზრახვა მოუწონეს და დაპირდნენ, ვეცდებით ეს საქმე გამოვაწყოთო. მერე იხმეს ყმაწვილი დუქანში და ერთმა მათგანმა ალერსიანის კილოთი დაუწყო ლაპარაკი: „ჩემო შვილო, შენ უკვე პატარა არა ხარ, აჯობებს, ცოტა-ცოტათი შეეჩვიო და შენ თვითონ მიხედო საქმეებს. ძალიან გაგვეხარდება, ცოტა ხნით წახვიდოდე პარიზში, სადაც სავაჭრო საქმეებში დაბანდებულია შენი ქონების უმეტესი ნაწილი, იმას ხომ ნუღარ ვიტყვით, რომ შეითვისებ კარგ ზნე-ჩვეულებას, როცა გადახედავ დიდკაცობას, ბარონებსა და აზნაურებს, რომლებითაც სავსეა იქაურობა, და მათს ზნე-ჩვეულებას და ნატიფ წესებს რომ შეითვისებ, შეგიძლია ისევ უკან გამობრუნდე“.

ყმაწვილმა გულისყურით მოისმინა ნათქვამი და მოკლედ უპასუხა: იქ წამსვლელი არა ვარო, იმიტომ რომ ფლორენციაშიც სხვაზე ნაკლებად არ შემიძლია ცხოვრებაო! პატივცემული მზრუნველები არ ეშვებოდნენ და კიდევ ბევრი რამ უთხრეს, მაგრამ ყმაწვილს ფეხი ვერ მოაცვლევინეს, და იმათაც დედას უთხრეს შვილის ნათქვამი. დედამ სიბრაზისაგან სულ ცოფები ჰყარა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ შვილს პარიზში არ უნდოდა წასვლა, არამედ იმიტომ, რომ ქალი უყვარდა. და ამიტომ ბევრი სალანძღავი სიტყვები აკადრა; მერე ისევ დაუყვავა, დაუწყო ქება და მოფერება: შენი ჭირიმე, შვილო, დაუჯერე შენს მზრუნველებს, მოიქეცი ისე, როგორც ისინი გირჩევენო! დედა ისე შეუჩნდა, რომ შვილი ბოლოს დაიყოლია წასულიყო პარიზში მხოლოდ ერთი წლით, მეტი ხნით არა, და ამ პირზე დაასკვნეს.

წავიდა უზომოდ შეყვარებული ჯიროლამო პარიზში. ხან რა მოიმიზეზეს და ხან რა, და ისე ამ ქალაქში მთელი ორი წელიწადი გააჩერეს. პარიზიდან წინანდელზე უფრო მეტად შეყვარებული დაბრუნდა. აქ ამბავი დაუხვდა, რომ მისი სალვესტრა ერთი კარგი ახალგაზრდა კაცის, ხელობით მეკარვისათვის, მიუთხოვებიათო. ამან მეტისმეტად დააჭმუნვა, მაგრამ რაკი ხედავდა, საქმეს ვეღარ უშველიდა, შეეცადა, რამდენადაც შეიძლებოდა გულიდან გადაეყარა დარდი; გაიგო, საცა ცხოვრობდა ქალი, და ისე როგორც ამას ყმაწვილკაცები შვრებიან ხოლმე, მის სახლს აუვლიდა და ჩაუვლიდა, სრულიად დარწმუნებული, რომ ქალს დავიწყებული არ ჰყავდა და ისევე უყვარდა, როგორც მას — ქალი.

მაგრამ საქმე სულ სხვანაირად წავიდა: ქალს აღარც კი ახსოვდა ყმაწვილი, თითქო თავის დღეშიაც არ ენახოსო, და შეიძლება აგონდებოდა რამე, მაგრამ თავს მაინც ისე აჩვენებდა, არაფერი მაგონდებაო. და ამაში ყმაწვილი, მისდა სამწუხაროდ, სულ მოკლე ხანში დარწმუნდა. ვინ იცის, რას არა შვრებოდა, ქალში გაეღვიძებინა წინანდელი სიყვარული, მაგრამ რაკი დაინახა, ვერაფერი შველიდა, გადაწყვიტა ენახა და პირადად მოლაპარაკებოდა, მერე თუნდაც მომკვდარიყო, არ ინაღვლებდა. ქალის ერთ მეზობელს კარგად გამოჰკითხა მისი სახლის ოთახების მდებარეობა და ერთ საღამოს, როცა სალვესტრა და მისი ქმარი მეზობლებთან გადავიდნენ სტუმრად, ჩუმად შეიპარა მათ სახლში, შევიდა იმათ საწოლ ოთახში, კარვებისათვის გაფენილ ტილოებს უკან დაიმალა და მანამდე უცადა, სანამ ცოლ-ქმარი დაბრუნდებოდნენ და დაწვებოდნენ. რომ დააცყო, ქმარმა დაიძინაო, იმ მხარეს მოუარა, საითკენაც ქალი ეგულებოდა საწოლში, გულზე ხელი დაადო და ჩუმად უთხრა: „გენაცვალე, ხომ არ გძინავს?“ ქალს არ ეძინა, უნდოდა დაეკივლა, მაგრამ ყმაწვილმა საჩქაროდ უთხრა: „ღვთის გულისათვის, ჯიროლამო ვარ შენი“. ქალმა ეს რომ გაიგონა, მთლად აკანკალებულმა უთხრა: ღვთის გულისათვის, ჯიროლამო, გამეცალე აქედან. ის დრო წავიდა, როცა პატარები ვიყავით და ერთმანეთი გვიყვარდა, მაშინ ეს საძრახისი არ იყო; ახლა კი, როგორც შენ თვითონა ხედავ, ქმრიანი ვარ; ახლა არ ეგების სხვა კაცს, თუ არ ჩემ ქმარს, მივუალერსო. ამიტომ, ღვთის გულისათვის, აქედან მომშორდი. ქმარმა რომ გაგვიგოს, შეიძლება არც კი რამე თქვას, მაგრამ მე კი გულდამშვიდებით და თანხმობით აღარ მეცხოვრება მასთან, ახლა კი ვუყვარვარ და კარგად და მშვიდობიანად ვცხოვრობ მასთან!..“

ჯიროლამომ ეს რომ გაიგონა, თითქო გულზე გველმა უკბინაო; მოაგონა ქალს თავისი წარსული სიყვარული, რომელიც შორმა მანძილმა ოდნავადაც კი ვერ შეასუსტა, ბევრი ეხვეწა, სულ ჭირი მოსჭამა, რას არ დაპირდა, მაგრამ გაკერპებულ ქალს პირჯვარი ვერ გადააწერინა. ჩემი საშველი არა ყოფილაო, თქვა გულში ვაჟმა და გადაწყვიტა თავის მოკვლა. ქალს უკანასკნელადა სთხოვა: ჩემი სიყვარულის სანუფქვოდ ნება მომეცი გვერდით მოგიწვე, ცოტათი გავთბე, რადგან შენს ლოდინში მთლად გავიყინეო. დაპირდა: არაფერს გეტყვი, აღარც ხელს გახლებ, ცოტათი დამთბება თუ არა, აქედან გაგეცლებიო.

სალვესტრას კიდევ ჩარჩენოდა გულში მისი სიბრალული და ვაჟის მიერ მოცემული პირობით დათანხმდა მისი თხოვნა აესრულებინა. ყმაწვილი ისე მოუწვა გვერდით, რომ არ გაჰკარებია. მოიგონა, რამდენ ხანს ეტარებინა გულში მისი სიყვარული, გაითვალისწინა მისი ახლანდელი გულქვაობა, თავისი სასოწარკვეთილება და გადაწყვიტა, თავი არ ეცოცხლებინა. მერე სულთქმა შეიჩერა, მუშტები მოკუმშა, გახევდა და სიტყვის ამოუღებლად ქალის გვერდით თავი მოიკლა.

ცოტა ხნის შემდეგ ჯიროლამოს გაუნძრევლობით გაკვირვებულ სალვესტრას შეეშინდა, ქმარს არ გამოეღვიძოსო და ვაჟს უჩურჩულა: „ჯიროლამო, რას შვრები, რატომ არ მიდიხარ?“

მაგრამ რაკი ხმას არა სცემდა, იფიქრა, ალბათ ჩაეძინაო. ამიტომ გასაღვიძებლად ხელი გაიწოდა, მაგრამ ხელი რომ ახლო, ყმაწვილი ყინულივით ცივი იყო. ამან ძალიან გააოცა. ახლა უფრო ღონივრად შეანჯღრია, და რომ დაინახა, არ ინძრევაო, უფრო უარესად შეანჯღრია, მაგრამ არც მაშინ გაიჩუჩუნა ყმაწვილმა და სალვესტრა დარწმუნდა, მომკვდარაო. საშინლად დაღონდა ქალი და ერთხანს არ იცოდა, რა ექნა. ბოლოს იფიქრა, მოდი ყველაფერს ქმარს გავუმჟღავნებ, მაგრამ ისე ვეტყვი, თითქოს ეს სხვას ვისმე დამართნოდეს და რჩევასა ვთხოვო. მართლაც გააღვიძა ქმარი და უამბო, — ერთს ვისმე დაემართა ასეთი ამბავიო. მერე ჰკითხა: მე რომ დამმართნოდა, რაღას იზამდიო? გულკეთილმა ქმარმა უთხრა: ჩემის აზრით, აი, რა უნდა გვექნა: მიცვალებული მის სახლში უნდა წაგვესვენებინა ჩუმად და იქ დაგვეტოვებინა. შენ კი არ გაგიჯავრდებოდი, იმიტომ რომ, ჩემის აზრით, არაფერ შუაში არ იქნებოდიო. მაშინ ცოლმა უთხრა ქმარს: „და აი ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ“. ეს უთხრა, დაუჭირა ხელი და მიაკარებინა მიცვალებული ახალგაზრდა კაცის სხეულისათვის. ქმარი გულგახეთქილი ზეზე წამოიჭრა, მოუკიდა სანთელს, ცოლისათვის დაწვრილებით არც კი გამოუკითხავს ამბავი, მიცვალებულს მისი ტანისამოსი ჩააცვა, თან თავს ინუგეშებდა, ღმერთმა იცოდეს, მე აქ არაფერ შუაში ვიყოო, გაიდო მხარზე, მიიტანა მისი სახლის კარებამდე, ძირს ჩამოიღო და თავი მიანება.

დილა რომ გათენდა და შინაურებმა სახლის კარებთან თავიანთი მიცვალებული დაინახეს, მორთეს ღრიალი, განსაკუთრებით დედამ. მიცვალებულის სხეული გულდასმით იყო გასინჯული და რადგან არც ჭრილობა ჰქონდა სადმე და არც ნაცემი ეტყობოდა, ექიმებმა დაასკვნეს — დარდისაგან არის მკვდარიო, და მართლაც ხომ იმისაგან იყო მკვდარი.

მიცვალებული ეკლესიაში წაასვენეს და აქ მგლოვიარე დედამ და მასთან ერთად სხვა ნათესავმა ქალებმა და მეზობლებმა, ჩვენი ჩვეულების თანახმად, გააბეს ტირილი და მოთქმა.

და სანამ ეს დიდი ტირილი გრძელდებოდა, იმ კაცმა, ვის სახლშიაც ჯიროლამო მოკვდა, სალვესტრას უთხრა: ქალო, თავზე წამოსასხამი მოიხვიე, წადი ეკლესიაში, სადაც ჯიროლამო ასვენია, და გაერიე ქალებში და ყური დაუგდე, რასაც ამბობენ, მე კიდევ კაცებში გავერევი და ორივემ ყური დავუგდოთ, — ვინმე ჩვენს ძვირს ხომ არ ამბობსო. ქალს, რომელსაც ძალიან გვიან აღეძრა სიბრალულის გრძნობა ვაჟისადმი, გაეხარდა ქმრის ნათქვამი, თითქო ძალიან მოუნდა მიცვალებულად ენახა ის, ვისთვისაც სიცოცხლეში თუნდა ერთი კოცნა ვერ გაემეტებინა, რომ ამით მისი გული გაეხარებინა, და წავიდა.

ჭეშმარიტად საოცარია, როცა დაუფიქრდები, თუ რაზომ ძნელი გამოსაკვლევია ძალა სიყვარულისა! გულის კარი, რომელიც ჯიროლამომ ვერ შეაღო მაშინ, სანამ ბედნიერი იყო, შეაღო იმავე ჯიროლამომ ახლა, ოდეს გაუბედურდა. ქალში ერთბაშად იფეთქა ძველმა სიყვარულმა, სწრაფად დაიღვარა სიბრალულად, როგორც კი დაინახა მიცვალებულის სახე,

წამოსასხამით თავი დაიფარა, გაარღვია ქალების წრე და არ გაჩერებულა, სანამ თვით გვამს არ მიუახლოვდა, აქ ერთი კი დაიკივლა საშინლად და პირისახით მიცვალებულის გვამს დაემხო; მხოლოდ ცრემლები არ დაუღვრია სხეულზე, იმიტომ რომ, მიეკარა თუ არა ახალგაზრდა კაცის სხეულს, იმის მსგავსადვე, როგორც ყმაწვილს სიცოცხლე მოუსპო, ისევე ქალიც ამავე დარდმა სააქაოს გამოასალმა.

ქალებმა არ იცოდნენ, ვინ იყო ეს ქალი. ერთხანს შემდეგ შევიდნენ, დაუწყეს ნუგეშისცემა და სთხოვეს: გეყოფა, ქალო, ახლა კი წამოდექიო, მაგრამ რაკი არა დგებოდა, მოინდომეს აეყენებინათ. ხელი რომ მოჰკიდეს, მხოლოდ მაშინ დაინახეს, რომ ეს სალვესტრა იყო და სული განეტევებინა. იქ დამსწრე ქალები ორმაგი მწუხარებისაგან უარესად აქვითინდნენ. ამ ამბავმა ეკლესიის გარეთ მდგარი მამაკაცების ყურამდეც მიაღწია, მერე მათ შორის მდგარმა ქალის ქმარმაც გაიგონა და დაიწყო ღრიალი ისე, რომ ვერავინ შეძლო ვერც მისი ნუგეშისცემა და ვერც გაჩუმება.

მერე ქმარმა ზოგიერთ მასთან მდგარს უამბო წინა ღამით მის სახლში ამ ყმაწვილსა და მის ცოლს შორის მომხდარი ამბავი. მაშინ კი ყველანი აშკარად მიხვდნენ თითოეული მათგანის სიკვდილის მიზეზს და ყველას მეტად საბწუხაროდ დაურჩა ამის მოსმენა.

ასწიეს მიცვალებული ქალი, შესუდრეს ჩვეულებრივ მიცვალებულთა მსგავსად და ყმაწვილის ცხედრის გვერდით ჩაასვენეს კუბოში, — მერე დიდხანს დასტიროდნენ ორთავეს და ორივე ერთსა და იმავე საფლავში ჩაუშვეს.

ამგვარად, ისინი, ვინც სიცოცხლეში ვერ შეაერთა სიყვარულმა, სიკვდილმა შეაერთა განუყრელად.

ამბავი მეცხრე. საზარელი ვახშამი

მესერ გვილელმო როსილიონე მოკლავს თავისი ცოლის საყვარელს გვილელმო გვარდასტანიოს და მოკლულის გულს თავის ცოლს შეაჭმევს. ამას რომ ცოლი გაიგებს, ფანჯრიდან გადმოეშვება და თავს მოიკლავს. მერე საყვარლის გვერდით დამარხავენ.

ნეიფილეს ამბავი დასრულდა. მის ამხანაგებს უზომო სიბრალულით აღევსოთ გული. მეფეს არ უნდოდა, დიონეოსათვის წაერთმია ბოძებული უპირატესობა და რაკი მისი მეტი არავინა რჩებოდა, რომ თავისი სათქმელი არ ეთქვა, თვითონ დაიწყო ასე: — ამ ამბის გაგონებაზე, გულშემატკივარო ქალებო, ერთი ამბავი მაგონდება. ვიცი, როგორ შეგტკივათ ხოლმე გული ყველასათვის, ვისაც სიყვარულის საქმეში ბედი არა სწყალობს ხოლმე, და ეს ამბავი ისეთსავე სიბრალულს აღგიძრავთ გულში, როგორსაც წინანდელი ამბავი, მით უფრო,

რომ რაც ახლა უნდა გიამბოთ, შეემთხვა მაღალი წოდების ხალხს და თვით შემთხვევაც უფრო საზარელი იყო, ვიდრე იმათი, ვისზედაც წინა მოთხრობაში იყო ლაპარაკი.

უნდა მოგახსენოთ, რომ როგორც პროვანსელთა შორის ამბადაა დარჩენილი, პროვანსში ერთ დროს ცხოვრობდა ორი კეთილშობილი რაინდი. თითოეულ მათგანს ჰქონდა თავისი საკუთარი კოშკი და ჰყავდა თავისი ხელქვეითი ვასალები. ერთს ერქვა მესერ გვილელმო როსილიონე და მეორეს — მესერ გვილელმო გვარდასტანიო. და რადგანაც როგორც ერთი, ისე მეორე ბრძოლაში მამაცობით იყვნენ განთქმულნი, ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ასე რომ, ყოველ ტურნირზე და ყოველგვარ სამხედრო გასართობებზე სულ მუდამ ერთად მიდიოდნენ, ტანისამოსიც ერთგვარი ეცვათ და დევიზებიც ერთნაირი ჰქონდათ.

თუმცა ერთიცა და მეორეც თავ-თავის კოშკში ცხოვრობდა და ეს კოშკები კიდევ ერთიმეორეს ასე ათიოდ მილით შორავდა, მაინც აი, რა ამბავი მოხდა: გვილელმო როსილიონეს ცოლად ერთი მეტად მშვენიერი და ნარნარი ქალი ჰყავდა. მიუხედავად რაინდების მეგობრობისა, გვილელმო გვარდასტანიოს შეუყვარდა თავის მეგობრის ლამაზი ცოლი და იმდენი ქნა, რომ ქალიც მიხვდა, ვუყვარვარო. ქალი გვარდასტანიოს იცნობდა, როგორც სწორუპოვარ და მხნე რაინდს და ამიტომ მოსწონდა კიდეცა. მერე ისე მხურვალედაც შეუყვარდა, რომ მზე და მთვარე იმაზე ამოსდიოდა და ჩასდიოდა და იმასღა ელოდა, რომ რაინდს მასთან დაახლოვება მოეთხოვნა. ესეც მალე მოხდა, და ერთმანეთის გაგიჟებით მოყვარულნი არაერთხელ შეიყარნენ და ერთმანეთის ალერსით გული გაიხარეს.

მაგრამ რადგან საკმაოდ არა ფრთხილობდნენ, ქმარმა შეამჩნია და ისე უზომოდ ეწყინა, რომ თავის მეგობარს, რომელიც ესდენ უყვარდა, მოსისხლე მტრად გადაეკიდა. მხოლოდ ესეც იყო, რომ ამან თავის გულისწყრომის დაფარვა უფრო უკეთესად მოახერხა, ვიდრე საყვარლებმა თავიანთი სიყვარულის დამალვა. გულში გადაწყვიტა თავისი ცოლის კუროს მოკვლა.

იმ დროს, როცა როსილიონე თავისი განზრახვის ასრულებას ლამობდა, ხმა მოვიდა, საფრანგეთში დიდი ტურნირი უნდა შედგესო. ეს ამბავი როსილიონემ დაუყოვნებლივ გვარდასტანიოს შეატყობინა და შეუთვალა, თუ გინდა, ჩემთან მოდი და ვითათბიროთ, წავიდეთ თუ არა ამ ტურნირზე და ან რა იარაღი წავიღოთო. გვარდასტანიომ სიამოვნებით უპასუხა, ხვალ უეჭველად ვახშმად მელოდეო.

როსილიონემ ეს რომ გაიგონა, იფიქრა, აბა სწორედ ახლა მექნება მარჯვე დრო ჩემი მტრის მოსაკლავადო. მეორე დღეს იარაღი აისხა, რამდენიმე მსახური იახლა, ცხენზე შეჯდა და დაახლოებით ერთი მილის მანძილზე მოშორდა თავის კოშკს. აქ ტყეში დაიმალა და ლოდინი დაუწყო, რადგან გვარდასტანიოს აქ უნდა გამოევლო. კარგახანს ელოდებოდა.

ბოლოს, დაინახა მომავალი გვარდასტანიო. უიარაღოდ მოდიოდა და უკანაც უიარაღოვე ორი მხლებელი ახლდა, რადგან შიში არაფრისა ჰქონდათ. და როგორც კი გვარდასტანიო დაუახლოვდა იმ ადგილს, სადაც როსილიონე ჩასაფრებულიყო, ამ უკანასკნელმა ბრაზით გაალმასებულმა ლახვარი მოუღერა და შესძახა: „აჰა, მოკვდი!“ და ამის თქმაზე გული ლახვრით გაუგმირა კიდეც. გვარდასტანიომ ვერც ხელი გაანძრია, ვერც ხმა ამოიღო, ისე გულგანგმირული ცხენიდან გადმოვარდა და ცოტახანს უკან სულიც განუტევა. მისი მოსამსახურეები ვერც კი მიხვდნენ, ვისი ხელიდან მოხდა ეს ამბავი, ცხენები მოატრიალეს და ოთხანაღებ გამოაქანეს მათი ბატონის კოშკისაკენ.

როსილიონე ჩამოხტა, დანით მკერდი გაუჭრა მიცვალებულს, საკუთარი ხელით გული ამოჰგლიჯა, ლახვრის ალამში გამოხვია და ერთ-ერთ მსახურს წამოღება უბრძანა. მერე ორსავე უთხრა: ღმერთი არ გაგიწყრეთ და არსად წამოგცდეთ ეს ამბავიო. ბოლოს ცხენს მოაჯდა და გამოსწია სახლისაკენ.

უკვე დაღამებულიყო, როცა კოშკში მოვიდა. ცოლმა იცოდა, რომ გვარდასტანიო ვახშმად მათსა უნდა ყოფილიყო და მოუთმენლადაც მოელოდებოდა. და რომ დაინახა, სტუმარი არ მოსულაო, ძალზე გაიკვირვა და ქმარსა ჰკითხა: „რა ამბავია, რომ გვარდასტანიო არ მოვიდა?“ ამაზე ქმარმა უპასუხა: „ჩემო მეუღლევ, გვარდასტანიომ შემატყობინა, მხოლოდ ხვალ მოვალო“. ქალს, ცოტა არ იყოს, ეწყინა.

როსილიონემ, ჩამოხტა თუ არა, მზარეულს დაუძახა და უთხრა: „აი, ეს გული გარეული ღორისაა და ისე გააკეთე, რომ იმის ჭამაში კაცმა თითები ჩაიკვნიტოს. როცა სუფრას მივუჯდები, უბრძანე, ვერცხლის ლარნაკით მომართვან“. მზარეულმა ჩამოართვა და მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება გამოიჩინა, რომ სირცხვილი არ ეჭამა. გული წვრილად დასჭრა, სხვადასხვა სანელებლებით შეანელა და საუკეთესო ყაურმა გააკეთა.

ვახშმობისას მესერ გვილელმო ცოლთან ერთად სუფრას მოუჯდა. შემოიტანეს კერძები, მაგრამ გვილელმო ცოტას სჭამდა, რადგან ჩადენილი ავკაცობის ფიქრი გონებიდან აღარ შორდებოდა. ამ დროს მზარეულმა ყაურმა შემოუგზავნა. გვილელმომ ცოლს დაუდგა წინ — მე რაღაც მადაზე არა ვარ და შენა ჭამე, მეტად კარგი რამ უნდა იყოსო. ქალი მადიანად იყო, დაუწყო ჭამა და, ეტყობოდა, ძალიანაც ეამა, რადგან სულ გაათავა კერძი.

რაინდმა რომ დაინახა, ჩემმა ცოლმა სულ შეჭამაო, უთხრა: „ქალო. როგორ მოგეწონა კერძი? — ცოლმა უპასუხა: „ჩემო ბატონო, თქვენს თავსა ვფიცავ, ასეთი გემრიელი არაფერი მიჭამია“. — „ღმერთმანი, — უთხრა რაინდმა, — მჯერა და არც მიკვირს. მკვდარიც მოგწონებოდა ისა, ვინც ცოცხალი ყველას გერჩივნა“ ქალმა ეს რომ გაიგონა, ერთხანს დაფიქრდა და მერე უთხრა: „როგორ? ეგ რა მაჭამეთ?“ რაინდმა უპასუხა: „რაც ახლა

მიირთვით, გული იყო მესერ გვილელმო გვარდასტანიოსი, რომელიც თქვენ, როგორც ორგულ ცოლს, ესდენ გიყვარდათ. ნამდვილად მისი გულია, ამაში დარწმუნებული იყავით, რადგან სანამ აქ მოვიდოდი, ცოტა ხნის წინ, აი, ამ ხელებით ამოვგლიჯე მკერდიდან“.

ქალმა ეს რომ გაიგონა იმ ადამიანის შესახებ, ვინც სიცოცხლეს ერჩივნა, აბა რა ლაპარაკი უნდა, საშინლად დაღონდა. ცოტა ხნის შემდეგ უთხრა ქმარს: „თქვენ ისე მოქცეულხართ, როგორც მოღალატეს და ცბიერ რაინდს შეჰფერის. იმას კი არ დაუტანებია ჩემთვის ძალა, არამედ ჩემის თანხმობით დაეუფლა ჩემს სიყვარულს, ამიტომ თუ ვინმემ მოგაყენა შეურაცხყოფა, ისევ მე მოგაყენე და დასჯითაც მე უნდა დაგესაჯე და არა ის. და ახლა ღმერთმა ნუ ქნას, რომ ისეთი უცხო საჭმლის შემდეგ, როგორიც იყო გული ესდენ კეთილშობილი და მხნე რაინდის, გვილელმო გვარდასტანიოსი, ჩემს პირში სხვა საჭმელი ჩავიდეს...“

ესა თქვა ქალმა თუ არა, სუფრიდან წამოდგა, მივიდა ფანჯარასთან და უყოყმანოდ, თვალისდახამხამებაზე, ძირს გადაეშვა. ფანჯარა მიწიდან ძალიან მაღლა იყო, ამიტომ ქალი რომ დაეცა, არამცთუ მოკვდა, ძვალი და რბილი ერთმანეთში გაუერთდა. ამის დანახვაზე მესერ გვილელმოს თავზარი დაეცა და მაშინღა მიხვდა, თუ რა საშინელი საქმე ჩაიდინა. შეეშინდა გლეხებისა და პროვანსელი კონტისა, ამიტომ შეაკაზმინა ცხენები და კოშკიდან გაიქცა.

მეორე დილას გარშემო ყველამ გაიგო ეს ამბავი. ამიტომ მესერ გვილელმო გვარდასტანიოს კოშკისა და აგრეთვე ქალის კოშკის მსახურთ თავშიცემითა და ცრემლისღვრით ორივე მიცვალებულის გვამები ქალის კოშკთან მდგარ ეკლესიაში დაასვენეს და მერე ერთსა და იმავე საფლავში ჩაუშვეს. ზედაც წარწერა გაუკეთეს იმისა, თუ ვინ იყვნენ დასაფლავებულნი და ან როგორ და რისგან გარდაიცვალნენ.

ამბავი მეათე. დასაძინებელი წამალი

ერთი ექიმის ცოლს წამლისაგან დაძინებული მისი საყვარელი მკვდარი ჰგონია და ჩააწვენს ყუთში. ორი მევახშე ამ ყუთს თავიანთ სახლში წაიღებენ. საყვარელი რომ მოსულიერდება, ქურდად მიიჩნევენ. ექიმის ცოლის მოსამსახურე სენიორიაში განაცხადებს: ყუთში მე ჩავაწვინე ეს კაცი, ხოლო მევახშეებმა ყუთიანად მოიპარესო. ამგვარად, საყვარელი ანწუხზე ჩამოკიდებას გადარჩება, ხოლო მევახშეებს ყუთის მოპარვისათვის სასჯელად ფულს გადაახდევინებენ.

მეფე რომ მორჩა თავის ამბავს, მხოლოდ დიონეოს დარჩა საამბობი. იმან ეს იცოდა

და ამავე დროს მეფისაგანაც ბრძანება მიიღო — დაიწყეო და ასე მოჰყვა: — უბედურ საყვარელთა პატიჟნი არა მხოლოდ თქვენთვის იყო, ქალებო, დამაღონებელი, არამედ მეც დამაჭმუნვეს ძალზე, დამიოსეს თვალები და გამიწურეს გული, ამიტომ, სწორედ მოგახსენოთ, ძალიან მინდა ამგვარ მოთხრობებს მალე მოეღოს ბოლო. მაგრამ, ახლა, მადლობა უფალს, ეს ამბები დასრულდა (თუ არ მოვინდომე — ამ ისედაც ცუდ საქონელს ჩემის მხრივაც ცუდივე სართი დავძინო — რისგანაც ღმერთმა დამიფაროს!); ასეთი სამწუხარო ამბით თავს არ შეგაწყენთ, უფრო მხიარულ და უკეთეს რასმე გიამბობთ და ამან, შეიძლება, კარგი გზა უჩვენოს იმ მოთხრობებს, რომლებიც შემდეგ დღეს უნდა გაიგონოთ.

მაშ მოგახსენოთ, მზისა დარნო, რომ არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, ქალაქ სალერნოში ცხოვრობდა ერთი სახელგანთქმული ექიმი-ქირურგი, სახელად ერქვა მაესტრო მაძო დელამონტანია. უკვე ძალიან იყო მოხუცებული, როცა ცოლად შეირთო ერთი ლამაზი და კეთილშობილი ოჯახის ახალგაზრდა ქალი, იმავე ქალაქის მკვიდრი, სადაურიც თვითონ იყო. ქმარი ცდილობდა, მის ცოლს არ დაჰკლებოდა საუკეთესო და ძვირფასი კაბები, აგრეთვე საუკეთესო სამკაულები, ერთი სიტყვით ყოველივე, რაც საერთოდ ქალს მოეწონება ხოლმე. და მართლაც, ყოველივე ეს იმის ცოლს ამ ქალაქის სხვა ქალებზე მეტი ჰქონდა. ერთი რამეც უნდა ითქვას, სახელდობრ, ისა, რომ ქალი უმეტეს ხანს, მაესტროს წყალობით, ყინულივით გაციებული იყო ლოგინში, თითქოს მისი ქმარი ზევიდან საბანს აცლისო. ექიმი, მსგავსად მესერ რიჩიარდო და კვინციკასი, რომლის ამბავი კიდეც გიამბეთ, თავის ცოლს ასწავლიდა დღესასწაულების გარჩევას, ცდილობდა თავისი მეუღლისათვის დაემტკიცებინა, რომ ქალთან დარჩენა მეტადა ღლის კაცსა და ძალ— ღონის მოსაკრებად, ვინ იცის, რამდენი ხანია საჭირო, და კიდევ რაღაც ამის მსგავს სისულელეს ჩმახავდა. ქალი ამის გამო მეტად გულნაკლულად იყო და როგორც ჭკვიანმა და გაბედულმა ქალმა, რათა შინ დამზოგველობა შესძლებოდა, გადაწყვიტა ქუჩაში გამოსულიყო და მიეხედ-მოეხედა — ხომ არ შეიძლება სხვის სარჩო-საბადებელს გამოვრჩე რასმეო. ყმაწვილკაცების თანდათან თვალიერებაში, ბოლოს ერთზე შეუვარდა გული, მთელი თავისი იმედი იმაზეღა დაამყარა, ისღა იყო მისი ფიქრის საგანი, იმისგანღა მოელოდა მთელ თავის ბედნიერებას. ეს ყმაწვილმაც გაიგო, ქალი ძალიან მოეწონა და მისდამი სიყვარულით აღინთო.

ამ ყმაწვილს რუჯიერი და იეროლი ერქვა, კეთილშობილი ოჯახიდან იყო, მაგრამ ცუდ ცხოვრებას ეწეოდა და თავს ირცხვენდა, ამიტომ ერთი ნათესავი თუ მეგობარი არ დარჩენოდა, რომ მისი სიყვარული ჰქონოდა ან მისი ნახვა მონატრებოდა. მთელ სალერნოში ქურდისა და ავაზაკის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მაგრამ ქალი ამას არ დასდევდა, რადგან სხვა რამისათვის მოსწონდა; და თავის მოსამსახურე ქალის საშუალებით იმდენს ეცადა, რომ მასთან შეხვედრა მოახერხა. როცა ქალმა გული იჯერა სიამოვნებით, ვედრება დაუწყო: ნუღარ ეწევი ასეთ ცუდ ცხოვრებასო; თუ ჩემი სიყვარული გაქვს და ჩემი თავი გინდა,

ავკაცობაზე ხელი უნდა აიღოო. და რომ უფრო ადვილად შესძლებოდა ყმაწვილის გამოსწორება, დაუწყო ფულის ძლევა, ხან რამდენს მისცემდა და ხან რამდენს.

ამგვარად განაგრძობდნენ ერთმანეთთან სიამტკბილობას და თან ცდილობდნენ, არავის გაეგო მათი საიდუმლოება. ამასობაში ექიმს ხელში ჩაუვარდა მოსარჩენად ერთი კაცი, რომელსაც ფეხზე რაღაც იარა ჰქონდა. ავადმყოფი რომ გასინჯა, მის მშობლებს ასე უთხრა: ფეხიდან ერთი დამპალი ძვალი უნდა ამოვიღოთ, თუ არ ამოვიღეთ, საჭირო გახდება ან ცალი ფეხი სრულებით მოვჭრათ, ან შეიძლება ამას გადაჰყვეს კიდეცაო; თუ ძვალს ამოვუღებთ, შეიძლება მორჩეს, უეჭველად მორჩენის პირობას ვერ მოგცემთო. ავადმყოფის პატრონები დასთანხმდნენ ამაზე, სულ ერთია, ავადმყოფი მაინც სასიკვდილოდაა განწირულიო. ექიმი რაკი დარწმუნებული იყო, რომ ავადმყოფი დასაძინებელ წამალს არ დალევდა, ისე ვერ გაუძლებდა ოპერაციის სიმწარეს, აღარც თავს დაანებებდა მის გასაკეთებლად, ხოლო ოპერაცია კი საღამოთი უნდა გაეკეთებინა, ამიტომ დილითვე უბრძანა მოემზადებინათ ისეთი წამალი, რომელიც საჭირო ხნის განმავლობაში კიდეც დააძინებდა და კიდეც მოათმენინებდა ოპერაციის სიმწარეს. წამალი რომ მოუმზადეს, თავის სახლში მოატანინა, იქ თავის ოთახში დადგა ისე, რომ არავისთვის უთქვამს, თუ რა იყო შიგ.

რომ დაღამდა და ექიმი ავადმყოფთან უნდა წასულიყო, ამ დროს მალფიდან კაცი მოუვიდა, მისი გულითადი მეგობრებისგან გამოგზავნილი, რომელნიც ატყობინებდნენ: ჩვენში ერთი ჩხუბი მოხდა, დაჭრილი ბევრია, რაც უნდა საქმე გქონდეს, ყველაფერს თავი დაანებე და საჩქაროდ მოგვეშველეო. ექიმმაც ავადმყოფის ფეხის წამლობა მეორე დღისათვის გადასდო, ჩაჯდა ერთ ნავში და ქალაქ მალფიში წავიდა.

ცოლმა, რაკი იცოდა, ქმარი ღამით შინ არ დაბრუნდებაო, ჩუმად იხმო რუჯიერი და თავის ოთახში ჩაკეტა, სანამ სახლში ყველანი დაიძინებდნენ. ოთახში, სანამ ქალს მოელოდებოდა, რუჯიერის, არ ვიცი, დაღლილობის გამო, არ ვიცი, იმიტომ, რომ იქნებ რამე მლაშე ჭამა, ან შეიძლება ისე, ჩვეულებით, საშინლად მოსწყურდა; ამ დროს ფანჯრის რაფაზე თვალი მოჰკრა წყლიან ჭურჭელს, რომელშიაც ავადმყოფისათვის დამზადებული წამალი იდგა. სასმელი წყალი ეგონა, მოიყუდა და გამოსცალა. რუჯიერის მალე ძილი მოერია და მკვდარივით დაეძინა.

ქალმა, როგორც კი დრო იხელთა, ოთახს მიაშურა. რუჯიერი მძინარე რომ დაინახა, დაუწყო ნჯღრევა და დაბალი ხმით ეუბნებოდა, ადექიო. მაგრამ ყოველივე ამაო იყო: ყმაწვილი არც პასუხს იძლეოდა და აღარც ინძრეოდა. ქალს, ცოტა არ იყოს, ეწყინა კიდეც და უფრო ღონივრად დაეჯაჯგურა და შესძახა: „ადე, შე ძილისგუდავ. თუ ძილი გინდოდა, შინ ვერ დარჩებოდი, აქ რაღას მოდიოდი?!“ ასე ღონივრად შენჯღრეული რუჯიერი ზანდუკიდან, რომელზედაც დასძინებოდა, ძირს იატაკზე ჩამოვარდა; სიცოცხლის ნიშანწყალი არაფერი

ეტყობოდა, თითქო ნამდვილი მკვდარიაო. ქალი ცოტათი შეკრთა, მოინდომა აეწია და უფრო ძლიერად დაუწყო ნჯღრევა, მოსწია ცხვირი, წვერი, მაგრამ ყოველივე ამაო იყო: კაცს საუკუნო ძილით დასძინებოდა. ქალს ახლა კი შეეშინდა, ვაითუ მართლა მკვდარიაო; მაინც დაუწყო ჩხვლეტა, მერე სანთელი მიუტანა ახლოს და ხორცის კანი აუწვა, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა, მართალია ქმარი ექიმი ჰყავდა, მაგრამ ქალს თვითონ არაფერი გაეგებოდა ექიმობისა და ამიტომ გადაწყვიტა, — საყვარელი უეჭველად მკვდარიაო.

რადგან ქალს ქვეყანაზე ყველას ერჩია თავისი საყვარელი, მისმა სიკვდილმა უსაზღვროდ დააჭმუნვა. ხმამაღლა კივილს ვერა ბედავდა და ჩუმად ტირილი ამოუშვა და ემდუროდა თავის უბედო ბედს. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დაფიქრდა: სადარდებლად ამის სიკვდილიც მეყოფა და ამას სირცხვილიც არ დაემატოსო და შეეცადა რამე მოეფიქრებინა, რომ მიცვალებული როგორმე სახლიდან გაეტანა. მაგრამ რაკი თვითონ ვერაფერი მოეფიქრა, ჩუმად დაუძახა თავის მოახლეს, გაუზიარა თავისი დარდი და რჩევა ჰკითხა.

მოახლეს საშინლად გაუკვირდა, იმანაც დაუწყო ჯაჯგური და ჩქმეტა რუჯიერის და რომ დაინახა, არ ინძრევაო, იმანაც კვერი დაუკრა ქალბატონს, — მკვდარი გახლავთო, და ჰკადრა: ყოველი ღონე ვიღონოთ და როგორმე სახლგარეთ გავიტანოთო. ამაზე ქალბატონმა უბრძანა: „კარგი, მაგრამ რაში ჩავასვენოთ, რომ ხვალ დილას, როცა ნახავენ, ჩვენზე არავინ მოიტანოს ეჭვი და არავინა თქვას, რომ ჩვენი სახლიდანაა გატანილიო“. ამაზე მოახლემ მოახსენა: „ქალბატონო, ამ საღამოს, ჩვენს მეზობლად დურგალი რომ არის, იმის დუქნის წინ ერთი ყუთი იდგა, არცთუ ძალიან დიდი იყო; თუ პატრონს ღამით შინ არ შეუტანია სწორედ საჩვენო იქნება, — ავიღოთ და შიგ ჩავაწვინოთ, მერე ორ-სამგან დანა ჩავცეთ და ყუთი გარეთ დავდგათ. ვინც იმასა ნახავს, ნუთუ უეჭველად ის უნდა იფიქროს, რომ აქედანაა გატანილი და არა სხვა სახლიდან? პირიქით, სხვას დააბრალებენ, იმიტომ რომ ავაზაკი კაცი იყო და, ალბათ, საავკაცოდ რომ მიდიოდა, მტერმა მოკლა და მერე ზანდუკში ჩაადგოო, იტყვიან“.

ქალბატონს ჭკუაში დაუჯდა მოსამსახურის რჩევა, მხოლოდ დანით დაჭრაზე უარი თქვა — ღმერთმა დამიფაროს, ჩემს საყვარელს ასეთი საქმე ვუყოო! მერე მსახური გაგზავნა — წადი, ნახე, ყუთი ხომ ისევ იმ ალაგასა დგასო? მოსამსახურე მობრუნდა და მოახსენა — იქვე დგასო.

მსახური ახალგაზრდა და ღონიერი ქალი იყო, ქალბატონიც მიეშველა, მხარზე გადიდო რუჯიერი, ხოლო ქალბატონი წინ გაუძღვა, რომ ეთვალყურებინა, ხომ არავინ მოდისო. მსახური ყუთთან რომ მივიდა, შიგ ჩაასვენა რუჯიერი, ისევ დახურა და მერე თავი მიანებეს.

იმ დღეებში ორმა ყმაწვილმა ვინმემ იმ ადგილზე ცოტა მოშორებით ერთი სახლი

დაიჭირა. ესენი მევახშეობას მისდევდნენ, ცდილობდნენ ბევრი მოეგოთ და ცოტა დაეხარჯათ; ოჯახში კი ბევრი რამ სჭიროდათ. წინადღით თვალი მოჰკრეს ამ ყუთსა და თქვეს — თუ ღამით შინ არ შეიტანა პატრონმა, მოდი, ჩვენს სახლში წავიღოთო. შუაღამე რომ შეიქნა, ეს ყმაწვილები თავიანთი სახლიდან გამოვიდნენ, მოვიდნენ ყუთის სანახავად და რომ დაინახეს, არ შეუნახავთო, არც კი იკითხეს, შიგ რამე იდო თუ არა, და თუმცა, ცოტა არ იყოს, ეშინოდათ, მაინც საჩქაროდ შინისკენ გააქანეს და მიაგდეს იმ ოთახის გვერდით, სადაც მათ ცოლებს ეძინათ, დალოცვილთ არც კი იფიქრეს შიგ ჩაეხედათ და გაეგოთ, თუ რა იდო; აქ დააგდეს და თვითონ კი დასაძინებლად წავიდნენ.

რუჯიერიმ, რომელსაც კარგა ხანი ეძინა, ამასობაში მოინელა თავისი წამალი და ამ წამალსაც თავისი ძალა დაეკარგა. გარიჟრაჟისას გამოეღვიძა. მართალია, გადაუარა ძილმა და დაუბრუნდა გრძნობიერება, მაგრამ ტვინზე თითქო ბინდი რამ გადაეფარაო და ეს ბინდი არამცთუ ამ ღამეს, ამის შემდეგ რამდენიმე დღეს არ მოშორებია და გამოთაყვანებულივით დადიოდა. თვალები რომ გაახილა, ვერაფერი დაინახა, ხელებით ფათური დაიწყო იქით-აქეთ; რომ იგრძნო ყუთში ვარ მომწყვდეულიო, შეეცადა მოეგონებინა, რა მოუვიდა და თავის თავს ეკითხებოდა: „რა ამბავია? სადა ვარ? მძინავს თუ მღვიძავს? კარგად კი მახსოვს, რომ თითქოს წუხელ ჩემი საყვარლის ოთახში მოვედი და ახლა კი რაღაც ყუთში ამომიყვია თავი! არაფერი მესმის... შეიძლება ექიმი დაბრუნდა ან სხვა რამ მოულოდნელი ამბავი მოხდა და ქალმა, მძინარე, ამ ყუთში დამმალა. ასე მგონია და უეჭველად ასეც უნდა მომხდარიყო, ამიტომ ჩუმად ვიქნები და ყურს დავიმახვილებ, იქნებ გავიგონო“.

ასე დიდხანს იწვა რუჯიერი; ცალ მხარეზე წოლით გვერდები ეტკინა, რადგან ყუთი პატარა იყო, მოინდომა მეორე მხარეს გადაბრუნებულიყო, მაგრამ ისე უხერხულად გადაბრუნდა, რომ ზურგი ყუთის ერთ კედელს მიარტყა და, ვინაიდან ყუთი უსწორმასწორო ადგილას იდგა, ძალზე შეატოკა და მერე გადმოაგდო კიდეცა. ყუთს ჩამოვარდნაზე საშინელი რახუნი მოსძვრა, ამაზე გვერდით ოთახში დაწოლილ ქალებს გამოეღვიძათ, ამათ შეეშინდათ და შიშისაგან ხმაც ვერ ამოიღეს. ყუთის ჩამოვარდნისაგან რუჯიერისაც გული გაუსკდა, მაგრამ რომ იგრძნო, ყუთი ამ ჩამოვარდნისაგან გაიღოო, კიდევ უარესი არ დამემართოსო, იფიქრა, და შიგ დარჩენას, მოდი თავს ვუშველოო. მაგრამ ვინაიდან ვერ მოესაზრა, თუ სად იყო, დაიწყო ოთახში ბოდიალი და ძებნა კიბისა ან კარისა, რომ იქიდან როგორმე გარეთ გამოსულიყო.

გამოღვიძებულმა ქალებმა რუჯიერის ბოდიალის ხმაურობა რომ გაიგონეს, დაუწყეს ძახილი: „ვინა ხარ მანდა?“ რუჯიერის ხმა არ ემცნაურა და ამიტომ არაფერი უპასუხა. ამაზე ქალებმა იმ ორ ყმაწვილს დაუწყეს ძახილი. ამათ კიდევ, რაკი ღამენატეხნი იყვნენ, გულისძილით ეძინათ და სრულებით არაფერი ესმოდათ, რაც სახლში ხდებოდა. მაშინ ქალებს უარესად შეეშინდათ, წამოიშალნენ, მისცვივდნენ ფანჯრებს, გადმოდგნენ იქიდან და

დაიწყეს კივილი: ქურდები, ქურდები, გვიშველეთ! ქალების ხმაურობაზე გამოცვივდნენ მეზობლები, ზოგი სახურავიდან ჩამოვიდა, ზოგი საიდან და ზოგიც საიდან, მოირბინეს და სახლში შემოცვივდნენ; ამ აურზაურზე ქალების ქმრებსაც გამოეღვიძათ და ზეზე წამოცვივდნენ.

რუჯიერი (რომელიც სრულებით გამოშტერდა ამ უცნობ ადგილას და არ იცოდა, საით ან როგორ ეშველა თავისი თავისათვის) დაიჭირეს და რექტორის დარაჯებს ჩააბარეს, რომელთაც ამ ყვირილზე მოერბინათ. ამათაც რექტორს წარუდგინეს. რექტორმა იცოდა, რომ ყველანი საზიზღარ კაცად სთვლიდნენ რუჯიერის და ამიტომ ბრძანა — დაუყოვნებლივ ეწამებინათ და წამების დროს იმანაც აღიარა — მევახშეების სახლში იმიტომ შევიპარე, რომ ისინი გამექურდაო. ამიტომ რექტორმა გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ ანწუხზე ჩამოეკიდებინათ.

მეორე დილას მთელმა სალერნომ გაიგო, რუჯიერი მევახშეების სახლში შეპარულა გასაქურდადო. ეს რომ ექიმის ცოლმა და მისმა მოსამსახურემ გაიგეს, იმ ზომამდე გაუკვირდათ, რომ რაც წინა ღამეს ჩაიდინეს, თითქო ნამდვილად არც კი ჩაუდენიათ, არამედ სიზმრად ნახესო; გარდა ამისა, ექიმის ცოლი იმ ზომამდე შეაწუხა იმ აზრმა, რომ რუჯიერის საშინელი განსაცდელი მოელოდა, კინაღამ ჭკუაზე შეცდა.

სამის ნახევარზე ექიმიც დაბრუნდა ამალფიდან და მაშინვე თავისი წამალი მოიკითხა — ავადმყოფის საექიმოდ უნდა წავიდეო; რომ დაინახა შუშა ცარიელიაო, ღრიალი მორთო: რა უბედურებაა, სახლში ვერაფერი დამიტოვებია ისე, რომ მერე თავის ალაგას დამხვდესო! ცოლმა, რომელსაც უფრო სხვა დიდი დარდი აწუხებდა, გულმოსულმა უპასუხა: „მაესტრო, დიდ რამე საქმეზე, ნეტავ ვიცოდე, რაღასა ბრძანებთ, როცა ერთ პატარა შუშა წყლის გადაღვრისათვის ასეთ ამბავში ხართ?! იმის სამაგიეროს კაცი ვერ იშოვის, თუ როგორაა თქვენი საქმე?“ — ამაზე მაესტრომ ასე უპასუხა: „ქალო, იქნებ შენა გგონია, რომ ის წყალი უბრალო სასმელი წყალი იყო! იმ შუშაში დასაძინებელი წამალი მედგა დამზადებული“, და უამბო, რისთვის დაამზადებინა ეს წამალი.

ცოლმა რომ გაიგონა, მიხვდა, წამალს სწორედ რუჯიერი დალევდაო და ამიტომ გვეგონა მკვდარიო; ქმარს უთხრა: მაესტრო, ეს ჩვენ არ ვიცოდით, ამიტომ სხვა გზა არ არის, ხელახლა გააკეთებინეთო.

მოსამსახურე გოგო ქალბატონის ბრძანებით იმის გასაგებად წასულიყო, თუ რას ამბობდნენ რუჯიერის შესახებ; მალე ისიც დაბრუნდა და მოახსენა ქალბატონს: „მადონა, ყველა რუჯიერის ძვირს ამბობს, მისთვის არც მეგობარია ვინმე და აღარც ნათესავი, რომ მიეშველოს ან მოინდომოს მისი შველა; დაბეჯითებით გაიძახიან: ხვალ სისხლის სასამართლო ბრძანებს მის ჩამოკიდებას ანწუხზეო. გარდა ამისა, ერთი ამბავიც უნდა

მოგახსენოთ და მგონი, ახლა კი მივხვდი, თუ რუჯიერიმ როგორ ამოყო თავი მევახშეების სახლში. მოგახსენოთ, როგორც ყოფილა: ხომ მოგეხსენებათ დურგალი, რომლის დუქნის წინ იდგა ის ყუთი, რომელშიაც რუჯიერი ჩავაწვინეთ; იმ დურგალთან ეს-ეს არის, ცხარე ლაპარაკი ჰქონდა ერთ კაცს, და ეტყობა, ეს ყუთიც მას ეკუთვნოდა; ის კაცი დურგალს ფულსა სთხოვდა თავისი ყუთისათვის, დურგალი კი ეუბნებოდა; ღმერთი, რჯული, თქვენი ყუთი არ გამიყიდია, ქურდებმა ღამე მომპარესო. ამაზე იმ კაცმა ასე უთხრა: „შენ არ იყავი, მევახშე ახალგაზრდებს რომ მიჰყიდე? თვითონ იმათ მითხრეს წუხელ ვიყიდეთო, როცა იმათ სახლში რუჯიერის დაჭერის დროს დავინახე ჩემი ყუთი“. ხოლო დურგალმა უთხრა:

„ტყუიან, იმიტომ რომ მე მათთვის სრულებითაც არ მიმიყიდია. წუხელ ჩემს დუქანთან რომ გამოიარეს, მაშინ მომპარეს; აბა, წავიდეთ და ვათქმევინოთ, თუ ასე არ იყო“. და ისინი მევახშეების სახლში წავიდნენ, მე კი აქ გეახელითო, — დასძინა მსახურმა; — და როგორცა ხედავთ, რუჯიერი იქ, სადაც იპოვეს, ცხადია ვისმე მიუტანია, მაგრამ იქ რამ გააცოცხლა, ამის რა მოგახსენოთ“.

ექიმის ცოლი მაშინვე ყველაფერს მიხვდა, როგორც მომხდარა საქმე. მოსამსახურეს უამბო, რაც მაესტროსაგან გაიგონა და სთხოვა: შენი ჭირიმე, უნდა იხსნა რუჯიერი სიკვდილისაგანო; ერთსა და იმავე დროს, თუ მოინდომებ, შეგიძლია რუჯიერიც იხსნა და ჩემი სახელიც ჩირქმოუცხებელი გამოიყვანო. მოსამსახურემ ჰკადრა: „ოღონდ მასწავლეთ, მადონა, როგორა ვქნა და თქვენი გულისათვის ყველაფერს ვიზამ, თქვენმა მზემ“.

ექიმის ცოლმა, როგორც ყველაზე ხიფათში ჩავარდნილმა, მაშინვე სწრაფად მოისაზრა, რაც უნდა ექნა და ყველაფერი დაწვრილებით მოსამსახურეს გაუზიარა. მოსამსახურეც ჯერ ექიმთან მივიდა და ატირებულმა ასე ჰკადრა: „მესერე, დიდი თხოვნითა გთხოვთ მაპატიოთ ერთი შეცოდება, თქვენს წინაშე რომ ჩავიდინე“. — ამაზე მაესტრომ ჰკითხა: „რა იყოო?“ მოსამსახურეს ტირილი არ შეუწყვეტია და ისე მოახსენა: „მესერე, თქვენც მოგეხსენებათ, თუ რა კაცი გახლავთ რუჯიერი იეროლელი. ჩემდა საუბედუროდ, მოვეწონე და ზოგი შიშით, ზოგიც სიყვარულით წლეულ მისი საყვარელი გავხდი; რაკი იცოდა, რომ გუშინ საღამოს შინ არ მობრძანდებოდით, შემიჩნდა და იმდენი მეჩიჩინა, რომ თქვენს სახლში წამოვიყვანე და ჩემს ოთახში შემოვიყვანე. ეშმაკად, წყალი მოსწყურდა. არ ვიცოდი, საჩქაროდ საიდან მომეტანა ან წყალი და ან ღვინო, თან არც ისე მინდოდა, ქალბატონს, რომელიც მაშინ დარბაზში ბრძანდებოდა, ვენახე, და სწორედ მომაგონდა, რომ თქვენ ოთახში წყლით სავსე შუშა გქონდათ დატოვებული. მეც გავექანე, გამოვიტანე და დავალევინე. შუშა კი ისევ იქავ დავდგი, საიდანაც ავიღე. მესმოდა კიდეც, რომ სწორედ ამ შუშისათვის თქვენ დიდი ამბავი დააწიეთ სახლში. გამოგიტყდებით, ბატონო, ძალიან შევცდი, მაგრამ, ერთი მიბრძანეთ, უცოდველი ვინ იქნება, თქვენი ჭირიმეთ! ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ჩავიდინე და განსაკუთრებით ვწუხვარ იმისათვის, რაც ამას მოჰყვა: — უნდა მოგახსენოთ, რომ რუჯიერი

უნდა ჩამოახრჩონ. გეხვეწებით, ჩემო ბატონო, ეგრემც ღმერთი გადღეგრძელებთ, ნება გვიბოძეთ გეახლოთ და რაც შემეძლება, ვუშველო რუჯიერის“.

ექიმმა ქალის ნათქვამი რომ მოისმინა, თუმცა ძალიან გულმოსული იყო მასზე, მაინც ხუმრობით უთხრა: „ჩემო კარგო, შენივე ბრალი ყოფილა, რომ იმის მაგიერ ლოგინში იმ ღამეს მაგარი ბიჭი ჩაგეწვინა, რომელიც კარგა მაგრა ჩაგბურჯგნიდა, ვიღაც ძილისგუდას გადაჰკიდებიხარ!.. წადი და უშველე შენს საცრეფოს; შემდეგისათვის არ გაბედო და სახლში არ შემოიყვანო ის ვაჟბატონი, თორემ წარსულსა და მომავალ დანაშაულს ერთად გაზღვევინებ, ვაი არა აქვს ჩემს თავს!..

მოსამსახურეს ძალიან გაეხარდა, რომ საქმის დასაწყისში ასე გაუმარჯვდა და საჩქაროდ წავიდა საცუსაღოში, სადაც დამწყვდეული იყო რუჯიერი. აქ მეკარეს იმდენი ეხვეწა, იმდენი უალერსა, რომ იმანაც რუჯიერისთან დალაპარაკების ნება მისცა. ქალმა ასწავლა რუჯიერის, თუ რა უნდა ეთქვა მოსამართლისათვის, თუ უნდოდა სიკვდილისათვის თავი დაეღწია და მერე იმდენი ქნა, რომ მოსამართლესთანაც მიუშვეს.

მოსამართლეს მეტად მოეწონა ახალგაზრდა და ღონიერი ქალი და სანამ თხოვნას მოუსმენდა, თავი სთხოვა; ქალმაც იფიქრა, თუ მინდა თხოვნა მომისმინოს, არ უნდა ვეურჩოო და დანებდა. რომ წამოდგა, მოახსენა: „მესერე, თქვენ რუჯიერი იეროლელი გყავთ დამწყვდეული ქურდობისათვის, მაგრამ სულ უდანაშაულო კი გახლავთ საწყალი კაცი“. და ქალი თავიდან მოუყვა მთელ ამბავს და სულ ბოლომდე ყველაფერი უამბო: როგორ წაიყვანა თავისი საყვარელი ექიმის სახლში, იქ შეცდომით წყლის მაგივრად დასაძინებელი წამალი როგორ დაალევინა და რაკი მიცვალებული ეგონა, ყუთში როგორ ჩააწვინა; შემდეგ უამბო დურგალსა და ყუთის პატრონს შორის ნალაპარაკევი და ამით ნათლად დაუმტკიცა, თუ როგორ მოხვდა რუჯიერი მევახშეების სახლში.

მოსამართლე ხედავდა, რომ ქალის ნათქვამის შემოწმება ადვილი საქმე იყო, და ჯერ ექიმს გამოჰკითხა წყლის ამბავი და იმანაც დაუმოწმა, ასე იყოო; მერე დააძახებინა დურგლისათვის, ყუთის პატრონისა და მევახშეებისათვის და ბევრი გამოკითხვის შემდეგ დარწმუნდა, რომ მევახშეებს წინაღამით მართლა მოეპარათ ყუთი და სახლში სდგომოდათ. დაბოლოს, დააძახებინა რუჯიერისათვის და ჰკითხა — წინა დღით ღამე სად გაათიეო? რუჯიერიმ მოახსენა, გათევით სად გავათიე ღამე, არ ვიცი, ის კი კარგად მახსოვს, რომ ღამის გასათევად მაესტრო მაძოს მოსამსახურესთან წავედიო და რადგან ძალიან მომწყურდა, მის ოთახში წყალი დავლიეო; შემდეგ კი, სანამ, ერთ ყუთში მომწყვდეულს, მევახშეების სახლში არ გამომეღვიძა, რა მომივიდა, არაფერი ვიციო.

მოსამართლეს ამბები სასაცილოდ ეჩვენა და როგორც მოსამსახურე ქალს და

რუჯიერის, ისე დურგალსა და მევახშეებს რამდენჯერმე გაამეორებინა. ბოლოს რუჯიერი უდანაშაულოდ იცნო, მევახშენი ყუთის მოპარვისათვის ათი უნციით დააჯარიმა და რუჯიერი გაათავისუფლა.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა უზომოდ გაეხარდა რუჯიერის განთავისუფლება, ხოლო მისი საყვარელი ქალი სიხარულით ცას ეწია.

რუჯიერი ამის შემდეგ თავის საგრფოსთან და ნაამაგარ მოსამსახურესთან ერთად, რომელსაც მისთვის დანა უნდა ჩაეცა სხეულში, სიცილით იფხრიწებოდა და მხიარულობდა; მისი სიყვარული ექიმის ცოლთან უფრო და უფრო მტკიცდებოდა და დაუბრკოლებლივ გრძელდებოდა.

ნეტავი ასეთი ბედი მეცა მწეოდა, ხოლო ყუთში მომწყვდევისა კი რა მოგახსენოთ!..

***

თუ წინანდელმა მოთხრობებმა მშვენიერ ქალებს გული დაუჭმუნვა, სამაგიეროდ დიონეოს ამ უკანასკნელმა მოთხრობამ იმდენი აცინა, განსაკუთრებით მოსამართლის საქციელმა ქალის მიმართ, რომ წინანდელი მოთხრობებით აღძრული ნაღველი სრულებით გადაავიწყდა.

მაგრამ მეფემ რომ დაინახა, მზეს სიწითლე შეეპარაო და ჩემი მეფობის ვადაც მიიწურაო, დაშაქრული სიტყვებით ქალებთან ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ ნება მისცა მის ქვეშევრდომებს ელაპარაკათ ისეთი სამწუხარო საგნების შესახებ, როგორიცაა საყვარლების ბედის სიმუხთლე. ამ ბოდიშის შემდეგ ზეზე წამოდგა, თავიდან გვირგვინი მოიხადა და სანამ ქალები ელოდებოდნენ, აბა, ვის უნდა დაადგას ეს გვირგვინიო, ზრდილობიანად ფიამეტას ქერათმიან თავზე დაადგა და უთხრა: „ამ გვირგვინს შენ გადგამ იმიტომ, რომ დღევანდელი ნაღვლიანი დღის შემდეგ შენ ყველაზე უკეთესად მოახერხებ ჩვენი ამხანაგების გამხიარულებას“.

ფიამეტას ხუჭუჭი, გრძელი და ოქროსფერი თმა ნაზ თეთრ მხრებზე ჩამოშლოდა, მის გაბადრულ პირისახეზე თეთრი სუმბულისა და ალისფერი ვარდების ფერი ერთმანეთში არეულიყო და უბრწყინავდა, თვალები შავარდნის თვალებს მიუგავდა, პატარა, კოპწია პირი ჰქონდა, ლალისებურ ბაგეებიანი. ქალმა ღიმილით უპასუხა: „ფილოსტრატო! ამ გვირგვინს სიამოვნებით ჩამოგართმევ მხოლოდ იმისთვის, რომ შენ უფრო კარგად შეიგნო, თუ რა მარცხი მოგივიდა დღეს; მე მნებავს და ვბრძანებ, ყველანი წინდაწინ მოემზადონ ხვალისათვის და გვიამბონ, თუ საყვარლებს განვლილი სამწუხარო და უბედური შემთხვევა როგორ შეეცვალათ ბედნიერებად და სიხარულად“.

ფიამეტას ნათქვამი ყველას მოეწონა. როცა დედოფალმა მოიხმო სინისკალკო და მასთან ერთად გასაკეთებელი საქმეების შესახებ მოილაპარაკა, ქალი და კაცი წამოიშალნენ და იმანაც მხიარულად ნება მისცა — ვახშმობამდე, საცა გინდოდეთ, იქ ისეირნეთო.

ამათგანი ზოგი ბაღში შევიდა, რომელიც ისეთი ლამაზი იყო, რომ კაცს თავის დღეში არ მოეწყინებოდა შიგ ყოფნა, ზოგი წისქვილებისაკენ გაემართა, ბაღს გარეთ რომ იყო, ვინ სად წავიდა და ვინ სადა, და ვახშმობამდე ყველანი იმასა შვრებოდნენ, რაც მათს სულსა და გულს ეამებოდა.

ვახშმობისას, ჩვეულებრივ, ყველამ თავი ერთად მოიყარა მშვენიერ შადრევანთან, სადაც წესიერად და რიგიანად მოერთმეოდათ ყველაფერი და ამითაც დიდი სიამოვნებით ივახშმეს. სუფრიდან რომ წამოიშალნენ, დაიწყეს სიმღერა და თამაში როგორც ყოველთვისა შვრებოდნენ. თამაშს ფილომენა ხელმძღვანელობდა. დედოფალმა თქვა:

„ფილოსტრატო, მე მინდა ჩემი წინამოადგილეების კვალზე გავიარო და არსად გადავუხვიო, და, როგორც ისინი შვრებოდნენ ხოლმე, მინდა ჩემი მეფობის დროსაც ერთი რამ სიმღერა იმღეროთ, მაგრამ რადგან დარწმუნებული ვარ, შენი სიმღერებიც ისეთივე იქნება, როგორიც მოთხრობები იყო, მინდა ისეთი რამ იმღერო, რაც შენ უფრო მოგწონს, და შემდეგი დღეები არ იქნეს მოწამლული შენი მოთხრობის გმირების უბედურებით, როგორც ეს დღეს“. ფილოსტრატომ, დიდის სიამოვნებითაო, და მაშინვე დაამღერა ასეთი სიმღერა:

მე ვტირი და ნათელსა ვყოფ ამით,

რომ უმიზეზო არ არს ჩემი ნაღველი:

სიყვარულში ვარ ღალატის მნახველი.

სიყვარულო, როდესაც შენ პირველად

მას გაუღე ჩემი გულის კარები,

ვისთვისაც მე დავშთი ცრემლთა მწირველად,

ის მაჩვენე ესდენ შესაყვარები

რომ ტანჯვაც კი გამიხადე წადილად.

რაც არ უნდა ვყოფილიყავ ვნებული,

ავიტანდი ყოველივეს ადვილად

აწ შეცდომა ჩემი მაქვს შეგნებული,

და ეს არი ჩემი გულის მდაღველი.

ვნახე შემდეგ, თუ ბედი ვით მიმეტებს:

სურდა თავი ჩემგან შორს რომ სჭეროდა

მას, ვისზედაც ვამყარებდი იმედებს,

და ეს მაშინ, ოდეს უფრო მჯეროდა,

რომ სიკეთის იყო ჩემთვის მდომელი.

არად უჩნდა მას ის ტანჯვა-წამება.

მომაყენა მე შემდეგში რომელი.

სხვის ტრფიალში სცადა გულის ამება,

მე გამწირა, მისი ღმერთად მსახველი.

ოდეს ვცანი, რომ დამაგდო სრულიად,

გარდამექცა გული თასად შხამისა,

და მით იგი ახლაც აღვსებულია.

ვარ მკრულავი იმ დღისა და წამისა,

როს პირველად აღმიძრავდა სიხარულს,

მოვლენილი სახით მზისა დარითა.

ახლა თავის იმედებს და სიყვარულს

სული ჩემი სწყევლის ცრემლით ცხარითა,

სააქაო დღეთა გარდამლახველი.

რომ არა მყავს ცრემლის შემაშრობელი,

მბრძანებელო ჩემო, უწყი თავადა:

ვარ ოხვრით მე ხშირად შენი მხმობელი.

დიდმა ტანჯვამ სული დამიავადა,

და ვინატრი სიკვდილს, როგორც შვებასა.

მაშ, სიკვდილო, მოდი და გამათავე,

რომ მოუღო ბოლო ჩემს წამებასა

და დაშრიტო ჩემი სევდის სათავე .

საფლავში კი მწუხარებას არ ველი.

არ მაქვს სხვა გზა, არც ნუგეში სხვა რამე, —

ფიქრი ჩემი სიკვდილს ეთამამება:

ამურ, შენგან ყოფნა გამემწარა მე,

და ჯობს მომკლა, რომ მაშორო წამება,

რადგან ნათელს აღარაფერს მოველი.

ო, ჰქმენ ესე! შენ ხომ უმართებულოდ

მე წამართვი სიხარული ყოველი;

დაატკბე მით ის, ძალო დიდებულო,

ვისიცა ხარ სხვა ტრფიალში მფარველი.

სიმღერაო ჩემო, შენი მღერება

რომ შეეძლოს სხვას, არა ვარ მპოველი, —

ეს ჰანგი მე უფრო შემეფერება.

ერთიცა მაქვს მე შენი სათხოველი:

ნახე სადმე ამური და აცნობე.

რომ გათავდა ჩემთვის ბედნიერება,

რომ ნაღველი და სამსალა მაჭკნობენ.

სთხოვე — თვისი მაჩვენოს ძლიერება,

მომცეს მყუდრო თავის შესაფარველი.

ტირილითა ცხადვყოფ... და სხვ.

ამ სიმღერის სიტყვებმა ცხადად გამოაჩინეს, თუ რა გუნებაზე იდგა ფილოსტრატო და რა იყო ამის მიზეზი. შეიძლება მოცეკვავეთა შორის რომელიმე ქალს გულისნადები გამოემჟღავნებინა ანთებული ლოყებით, მაგრამ ღამის ჩამოწოლილ სიბნელეში არაფრის გარჩევა შეიძლებოდა.

როდესაც ფილოსტრატომ თავის სიმღერა გაათავა, სხვებმა სხვა ლექსებიც იმღერეს და ამან მანამდე გასტანა, სანამ დაწოლის დრო დადგებოდა. მაშინ დედოფლის ბრძანებით ყველამ თავ-თავის ოთახს მიაშურა.

მეხუთე დღე

დასრულდა მეოთხე დღე დეკამერონისა; იწყება მეხუთე, როცა ფიამეტას დედოფლობაში, მოუთხრობენ იმას, თუ ერთი ვინმე შეყვარებული მრავალ უბედურებათა შემდეგ როგორ ეწია სიამე-ბედნიერებას.

აღმოსავლეთი უკვე თეთრად განათდა და ამომავალმა მზემ თავისი სხივების მჭელეულები მთელ ჩვენს ნახევარსფეროს მოჰფინა, როცა ფიამეტა სირთა საამო ჭიკჭიკმა გამოაღვიძა. დღის ამ დასაწყისში ესენი ბუჩქებში მხიარულადა ხმიანობდნენ. ფიამეტა თვითონ ადგა და გააღვიძებინა სხვა ქალები და სამი ვაჟიცა. მერე ნელი ნაბიჯით სხვებთან ერთად ველისაკენ გასწია. მიდიოდნენ ვრცელ, ნამიან ბალახით დაფარულ ველზე, თან ლაპარაკობდნენ აქეთურ-იქეთურზე მანამდე, სანამ მზე კარგა მაღლა არ ამოიწვერებოდა. მაგრამ რომ იგრძნეს, მზის სხივებს სიმხურვალე მოემატაო, თავიანთი ბინისაკენ გამოემართნენ.

შინ მოსულები და სეირნობით ცოტათი დაღლილები, დედოფლის ბრძანებით, თავანკარა ღვინოებითა და ტკბილეულობით შენაყრდნენ და მეორე სადილობამდე სამოთხისებურ ბაღს მიაშურეს. სადილად სინისკალკოს ყველაფერი მოემზადებინა და სადილობის დრო რომ დადგა, ჯერ რამდენიმე სტამპიტა და მერე ორიოდე ბალატეტა შემოსძახეს და მხიარულად, თანახმად დედოფლის სურვილისა, სუფრას შემოუსხდნენ.

ყველაფერი წესსა და რიგზე იყო და მხიარულად ისადილეს, თანაც არ დაივიწყეს შემოღებული წესი და საკრავებისა და სიმღერების აყოლებით იცეკვეს. ამის შემდეგ დედოფალმა ყველას ნება მისცა, დაწოლამდე, როგორც უნდოდათ, ისე მოქცეულიყვნენ. დაძინების დრო რომ დადგა, ზოგი თვალის მოსატყუებლად წავიდა, ზოგიც მშვენიერ ბაღში დარჩა დროს გასატარებლად. მაგრამ ცხრას რომ ცოტათი გადასცდა, აქ, დედოფალის სურვილისამებრ, შადრევანის მახლობლად, როგორც ჩვეულება ჰქონდათ, თავი ერთად მოიყარეს. დედოფალმა თავჯდომარის ადგილი დაიჭირა, მერე პამფილოს მიმართა, გაუღიმა და უბრძანა: აბა, შენ ჩაუყარე საძირკველი ისეთ მოთხრობებს, რომ სასიამოვნოდ თავდებოდესო. ბატონი ბრძანდებითო, — მოახსენა დედოფალს პამფილომ და ასე დაიწყო.

ამბავი პირველი. ჩიმონე

ჩიმონეს ქალი შეუყვარდება, სიყვარულის გავლენით დაბრძენდება და ხომალდიდან თავის საცრფოს, ეფიჯენიას, მოიტაცებს. როდოსში ჩიმონეს საგუსაღოში დაამწყვდევენ, საიდანაც დაიხსნის ლიზიმაკო, რომელიც მასთან ერთად მოიტაცებს ქორწილიდან ეფიჯენიასა და კასანდრას; ქალებიანად გამოიქცევიან კუნძულ კრიტაზე და ჯვარს დაიწერენ; აქედან ორივეს ცოლებიანად საშშობლოში გაიძახებენ.

მშვენიერნო! ბევრი ამბავი ვიცი, შემეძლო ესენი მეამბნა თქვენთვის იმ მხიარული დღის დასაწყისისათვის, როგორიც დღევანდელი დღე უნდა იყოს; მათგან ერთი ამბავი ყველაზე მეტად მომწონს: იმაში თქვენ დაინახავთ არა მარტო იმას, რომ ამბავი კარგად თავდება, რაიცა საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს მოთხრობებს, არამედ იმასაც, თუ რამდენად წმიდაა, რამდენად ამამაღლებელი და გამაკეთილშობილებელია ძალა სიყვარულისა, რომელსაც ბევრნი, ვისაც თვითონაც არ ესმით, რას ამბობენ, ჰგმობენ და ჰკილავენ კიდევაც, და ეს კი მეტისმეტი უსამართლობაა. ამიტომ, რადგან თქვენც, თუ არა ვცდები, შეყვარებულები ხართ, ჩემი მოთხრობა ძალიან უნდა მოგეწონოთ.

ამგვარად, კვიპროსის კუნძულზე (როგორც ეს ჩვენ ვიცით კვიპროსელთა ძველი ისტორიიდან) ცხოვრობდა ერთი მეტად კეთილშობილი კაცი, სახელად ერქვა არისტიპო და კუნძულის მცხოვრებლებზე ყველაზე მდიდარი იყო სააქაო სიკეთითა; ბედს რომ ერთი

რითიმე არ დაეჩაგრა და არ დაეღონებინა, თამამად შეეძლო ეთქვა — ჩემზე ბედნიერი კაცი არ მოიძებნებაო! მისი ჭმუნვის საგანი იყო ისა, რომ მის შვილებში ერთი შვილი ახოვანებით და სილამაზით იქაურ ყმაწვილებს ყველასა სჯობდა, მაგრამ თითქმის უიმედოდ სულელი იყო. ამ ყმაწვილის ნამდვილი სახელი გალეზო იყო. ვერც მასწავლებელმა თავგამოდებული ცდით, ვერც მამამისმა, ხან მოფერებითა და ხანაც ცემით, ვერც სხვა ვინმემ ვერ მოახერხეს ან წიგნი ესწავლებინათ, ან წესიერი ყოფაქცევა რამ შეეთვისებინათ, და თან თვითონაც ხმა ჰქონდა უხეში და გულისამრევი, ხოლო მოქცევით უფრო პირუტყვსა ჰგავდა, ვიდრე ადამიანსა; ამიტომ ყველანი სამასხაროდ ჩიმონეს ეძახდნენ, რაც მათებური ენით პირუტყვსა ნიშნავს. რადგან ეს შვილი თავისი თავის ურგებიც იყო და სხვისიცა, მამა უზომოდ ნაღვლობდა. იმედდაკარგულმა გადაწყვიტა — შვილისაგან ხეირი არაფერი გამოვაო და, რომ სულ მუდამ თვალში ეკალივით არ სჩხირებოდა, უბრძანა: სოფელში წადი და იქ ჩემს გლეხებთან იყავიო. ამან ძალიან გაახარა ჩიმონე , რადგან უფრო სამაგისო იყო ზნე-ჩვეულება ტლანქი და უსწავლელი ხალხისა, ვიდრე ქალაქის მცხოვრებთა.

წავიდა ჩიმონე სოფელში და აქ მეურნეობას მოჰკიდა ხელი. ერთხელ, შუადღე გადასული იყო, მხარზე ჯოხი გადაიდო და მამის ერთი მამულიდან მეორისაკენ გაემართა. გზად უნდა გაევლო ერთ კორომზე, რომლის მსგავსი სიმშვენიერით მეორე არ იყო იმ არემარეში, და რადგან მაისი იდგა, ყველა ხე ფოთლით იყო შემოსილი. ტყე რომ გალია, თითქოს თვით ბედმა მიაყენაო, მიადგა ერთ ბუსნოს, რომელსაც გარს შემორიგებოდა მეტად მაღალი ხეები; ერთ კუთხეში მშვენიერი ცივი წყარო იყო, ხოლო მის გვერდით მწვანეზე დაწოლილი დაინახა ერთი მეტად მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ტანზე ისეთი მსუბუქი და გამჭვირვალე სამოსი ეცვა, რომ საუცხოო სხეული თითქმის მთლად უჩანდა და მხოლოდ წელიდან ფეხებამდე ეფარა თოვლივით თეთრი და მსუბუქი საფარველი; მის ფეხთით ეძინათ ორ ქალსა და ერთ მამაკაცს, ალბათ, ახალგაზრდა ქალის მსახურთ.

ჩიმონემ ეს ქალი რომ დაინახა, თითქოს თავის დღეში არ ენახოს ქალის სხეულიო, თავის ჯოხს დაეყრდნო და ხმის ამოუღებლად, უზომოდ გაოცებულმა, დაშტერებით დაუწყო ყურება. და ამ ადამიანის უხეშ ხელში, რომელსაც მიუხედავად ამდენი ცდისა, კეთილშობილურ რამ გრძნობისა და გემოვნების ნასახმა ვერას გზით ვერ შეანათა, გაიღვიძა აზრმა, და ეს აზრი მის ტლანქ, მატერიალურის რისამე შემგნებელ გონებას ეუბნებოდა — ამ ქალზე უმშვენიერესი არსება ადამიანის თვალს ჯერ არ უნდა ჰყავდეს ნანახიო! ცალ-ცალკე დაუწყო სხეულის თითოეულ ნაწილს სინჯვა. მეტად მოეწონა მისი თმები, რომლებიც სირმისა ეგონა, ტყვედ ჰქმნა მისმა შუბლმა, ცხვირმა, ბაგე-პირმა, ყელმა, ხელებმა; განსაკუთრებით მოხიბლა მკერდმა, რომელიც ჯერ კიდევ საკვლებით არ იყო განვითარებული. ჩიმონე უბრალო გლეხისაგან ერთბაშად სილამაზის დამფასებლად და მათაყვანებლად იქცა და საშინლად მოუნდა დაენახა მისი თვალები, რომლებიც დახუჭული ჰქონდა, რადგან გულის ძილით ეძინა.

რამდენჯერმე მოინდომა გაეღვიძებინა, რომ შიგ ჩაეხედა ამ თვალებში, მაგრამ რადგან ეს ქალი იმას, რაც აქამდე ქალები უნახავს, ყველაზე ლამაზად ეჩვენა, იფიქრა, ალბათ, ქალღმერთი თუ არისო. მართალია, გაგრია ვინმე იყო, მაგრამ იმდენი მაინც ესმოდა, რომ ღვთაებრივ არსებას უმეტესი პატივისცემა შეშვენოდა, ვიდრე მიწიერს; ამიტომ თავს იკავებდა და იცდიდა, სანამ თვითონ ქალი გაიღვიძებდა და თუმცა ეს ლოდინი, მისი აზრით, დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ისეთი, აქამდე უცნობი, სასიამოვნო გრძნობით განიმსჭვალა, რომ წასვლას ვეღარ ახერხებდა.

კარგა ხნის შემდეგ ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც ეფიჯენია ერქვა, თავის მოსამსახურეებზე წინ გამოიღვიძა, ასწია თავი, გაახილა თვალები და რომ დაინახა, ჩიმონე თავის ჯოხს დაყრდნობია და თავზე დამდგომიაო, მეტად გაუკვირდა და ჰკითხა:

„ჩიმონე, ამ ტყეში ამ დროს რას დაეძებ?“ (ჩიმონეს ამ მხარეში ყველანი იცნობდნენ, როგორც მისი სილამაზითა და სიბრიყვით, ისე კეთილშობილისა და მდიდარი მამის შვილობით). ყმაწვილმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ მისი თვალები გახელილი დაინახა თუ არა, დაშტერებით ჩააცქერდა და ისე მოეჩვენა, თითქო იქიდან რაღაც სიტკბოება ედინება და ეს სიტკბოება რაღაც აქამდე უცნობი ნეტარებით უვსებს გულსაო. ქალმა რომ დაინახა, დაშტერებით მიყურებსო, შეეშინდა: მეტი ჭკუა არც კი აქვს და ვაითუ ისეთი რამე შემამთხვიოს, რომ მერე სირცხვილით თვალი გასახელი არ მქონდესო. ამიტომ დაუძახა თავის მოსამსახურეებს, მერე წამოდგა და უთხრა ჩიმონეს, მომშორდიო. მაგრამ ამაზე ჩიმონემ უპასუხა: მეც თქვენთან გეახლებითო! ქალი უარზე იდგა, — თქვენი გამოცილება არ მინდაო, რადგან ეშინოდა მისი, მაგრამ ვერას გახდა. ყმაწვილი მანამ არ მოშორდა, სანამ სახლამდე არ მიაცილა. აქედან ჩიმონე პირდაპირ მამის სახლში მივიდა და გამოუცხადა, დღეიდან სოფელში არაფრის გულისთვის არ დავბრუნდებიო. მამასა და შინაურებს ძალიან ეწყინათ, მაგრამ მაინც დატოვეს ქალაქში და შეეცადნენ გაეგოთ, რამ აიძულა ჩიმონე თავისი აზრი გამოეცვალა.

ამგვარად, ჩიმონეს გულს, რომელსაც ვერავითარი სწავლა-ცოდნა ვერ გაჰკარებოდა, მოხვდა ისარი ამურისა ლამაზ ეფიჯენიას სახით და მოკლე ხანში ნაირ-ნაირი აზრები ებადებოდა თავში, რაც მეტად აკვირვებდა მამასა და მისიანებს და აგრეთვე ყველა გარეშეს, ვინც კი ჩიმონეს იცნობდა. ყოველთ უწინარეს ჩიმონემ მამას მოსთხოვა — იმნაირადვე ჩაცმულ-დახურული და მორთულ-მოკაზმული მატარე, როგორც ჩემს ძმებს ატარებო. მამას მისი ნათქვამი მეტად გაეხარდა და აუსრულა თხოვნა. ჩიმონემ დაიწყო ტრიალი კეთილშობილ და კარგად აღზრდილ ყმაწვილკაცთ შორის, ცდილობდა შეეთვისებინა ისეთი წესები და ზრდილობა-სინატიფე, როგორიც კეთილშობილ ადამიანთ და განსაკუთრებით შეყვარებულთ შეეფერებოდათ; ამასთან ერთად, ყველა უზომოდ გააკვირვა იმით, რომ სულ მოკლე ხანში არამცთუ წერა-კითხვა ისწავლა, არამედ დიდი წარმატებით ფილოსოფიის

შესწავლასაც მოჰკიდა ხელი; და ამის შემდეგ (იმისი წყალობით, რომ ეფიჯენიას სიყვარულს გულში ხატად ატარებდა) არამცთუ ტლანქი და მოუხეშავი ხმა ზარივით რაკრაკა და ქალაქის მცხოვრებისათვის სავსებით შესაფერ ხმად გადაექცა, არამედ ზედმიწევნით ისწავლა სიმღერა, მუსიკა, შეიქნა მშვენიერი ცხენოსანი, გამოცდილი და შემმართებელი მეომარი, როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე. რაღა ბევრი გავაგრძელოთ (სათითაოდ ვერ ჩამოვთლით ყველა მის ღირსებას), ქალის შეყვარების პირველი დღიდან ოთხი წლის განმავლობაში, მოემატა სულ დახვეწილი და ნატიფი ქცევა და ზრდილობა და ისეთი პეწნიკი გახდა და ისეთი ღირსებით შეიმოსა, რომ მისი მსგავსი კვიპროსის კუნძულზე, ვეჭვობ, თუ ვინმე ყოფილიყო მეორე.

ასე და ამგვარად, რაღა გვეთქმის მეტი ჩიმონეს შესახებ, ცათასწორო ქალებო?! რა თქმა უნდა, სხვა არაფერი, თუ არა ის, რომ აღმატებული ნიჭიერება, რომელიც ზეცამ მოჰმადლა მის ღირსეულ სულს, შურიანმა ბედმა მისი გულის ერთ სულ მცირე კუნჭულში მოამწყვდია და მტკიცე საკვრელით შეკრა, ხოლო სიყვარულმა, როგორც ამ ბედზე ძლიერმა, ეს საკვრელი გაფხრიწა, და რადგან ამ სიყვარულს თვისება ჰქონდა გაეღვიძებინა ხოლმე მთვლემარე გონება ადამიანისა, თავისი ძალ-ღონით გაფანტა ის ულმობელი წყვდიადი, რომელსაც მოეცვა ეს გონება, გამოიყვანა დღის სინათლეზე, და თავისი ბრწყინვალებით გააბრწყინა მისი ქვეშევრდომი სული ადამიანისა, თან ნათლად დაანახვა ყველას — საიდან მოჰყავს და საით მიჰყავს იგი.

თუმცა ჩიმონე ეფიჯენიას სიყვარულის დროს ზოგჯერ, ცოტა არ იყოს, საზღვარს გადასცდებოდა, როგორც ეს ხშირად შეყვარებულ ყმაწვილკაცებს ემართებათ, მაგრამ მამამისი არისტიპო, რაკი ხედავდა, სიყვარულმა ჩემი ცხვარს დამსგავსებული შვილი ნამდვილ ადამიანად აქციაო, არამცთუ ყოველ მის უგვანო საქციელს სულგრძელობით ითმენდა, არამედ ყოველ სურვილს უსრულებდა და ამით მის სიყვარულის საქმეს ხელს უმართავდა.

ჩიმონეს არ უნდოდა მისთვის გალეზო დაეძახათ, აგონდებოდა, რომ ასე ეფიჯენიამ დაუძახა, — და განიზრახა ღირსეულად დაესრულებინა თავისი სიყვარულის საქმე და რამდენჯერმე კაცი მიუგზავნა ეფიჯენიას მამას ჩისპეოს — თქვენი ქალი მომათხოვეთო; მაგრამ ჩისპეო პასუხად სულ ერთსა და იმავეს უთვლიდა — ჩემი ქალის მითხოვებას ერთ როდოსელ კეთილშობილ ყმაწვილკაცს, პაზიმუნდას, დავპირდი და პირს ვერ გავტეხო.

როცა ეფიჯენიას ქორწილის დღე დადგა და საქმრომ მისი წაყვანა განიზრახა, ჩიმონემ თავის თავს უთხრა: „ახლა კი დროა, ჩემო ეფიჯენია, დაგიმტკიცო, თუ რა ძლიერ მიყვარხარ! შენი წყალობით მე კაცად ვიქეცი და თუ შენ დაგეპატრონე, არ ვეჭვობ, რომელიც გინდა, იმ ღმერთზე უკეთესი არ შევიქმნე: ერთი სიტყვით, ან ჩემი ცოლი უნდა გახდე, ან უნდა მოვკვდე!..“

ესა თქვა და ჩუმად იხმო რამდენიმე თავისი მეგობარი კეთილშობილი ახალგაზრდა, საიდუმლოდ შეაიარაღებინა ერთი ხომალდი ყველაფრით, რაც კი საჭირო იქნებოდა საზღვაო ბრძოლისათვის, შევიდა ზღვაში და დაუწყო ლოდინი იმ გემს, რომლითაც ეფიჯენია თავის საქმროსთან უნდა წაეყვანათ როდოსში. მამამ თავის სასიძოს მაყრებს, რაც შეიძლებოდა, პატივი სცა, მერე ქალი გემში ჩაჯდა და როდოსისაკენ გამოსწია. ჩიმონე გზაში უდარიელებდა, მერე გემით თავს დააცხრა ეფიჯენიას მაყრებს და თავისი გემის ცხვირიდან ეფიჯენიას გემში მსხდომთ შესძახა: გაჩერდით და იალქნები დაუშვით, თორემ ყველას დაგამარცხებთ და ზღვაში ჩაგყრითო! ჩიმონეს მოწინააღმდეგეებმა იარაღი ერდოზე ამოიტანეს და მოემზადნენ თავის დასაცავად. ამ სიტყვების შემდეგ ჩიმონემ აიღო რკინის კავი, ესროლა, როდოსების სწრაფმავალი ხომალდის ბოლოს მოჰკიდა და თავის ხომალდთან მაგრად მოსწია, მერე ლომისებრ ძალგულოვანმა ისკუპა და მარტოდმარტო როდოსელების ხომალდში ჩახტა, თითქო ისინი არაფრად ჩააგდოო. სიყვარულისაგან გამხნევებული, ძალით გადაერია მტრებს. ხელთ ერთი დანა ეპყრა. ამ დანას ხან ერთს დააძგერებდა და ხან მეორეს და ცხვრებივით ხოცავდა. როდოსელებმა ეს რომ დაინახეს, იარაღი ძირს დაყარეს და თითქმის ერთხმად თავიანთი თავი მის ტყვეებად გამოაცხადეს.

ჩიმონემ ასე უპასუხა: „ყმაწვილებო, შუა ზღვაში თუ გამოვედი შეიარაღებული და ჩემი კაცებითურთ თავს დაგესხით, ეს იმიტომ კი არ ვქენი, ნადავლი რამ მდომებოდა ან თქვენი მტრობა რამ მდებოდა გულში. იმის შეძენა, რამაც ამის ჩადენა მაიძულა, ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნება, თქვენთვის კი მისი მშვიდობიანად დათმობა ადვილი მგონია, — მე ეფიჯენიაზე მოგახსენებთ. იმაზე ძვირფასი ქვეყანაზე არავინ მივის, მამამისმა ნებით არ დამანება, როგორც მეგობარს, და ახლა სიყვარულმა მაიძულა, წაგართვათ, როგორც მტერმა იარაღის საშუალებით, რადგან განზრახვა მაქვს გავხდე მისთვის იმად, რადაც უნდა გამხდარიყო თქვენი პაზიმუნდა: მე ქალი მომეცით და თქვენ კი ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეთ“. მაყრებს ბარემ ემძიმებოდათ, მაგრამ მეტი გზა არა ჰქონდათ, ძალას უნდა დამორჩილებოდნენ და ეფიჯენია ჩიმონეს ჩააბარეს.

ჩიმონემ ატირებული ქალი რომ დაინახა, ასე ჰკადრა: „კეთილშობილო ასულო, ნუ სწუხარ, გენაცვალე, მე შენი ჩიმონე ვარ! ჩემი დიდი ხნის სიყვარულით შენი თავი ჩემთვის უფრო უპრიანია, ვიდრე პაზიმუნდასათვის, რომელსაც მხოლოდ დაჰპირდნენ შენს თავს“.

ჩიმონე, ამგვარად, დაბრუნდა თავის ამხანაგებთან (ეფიჯენია უკვე გადმოიყვანა თავის გემზე და როდოსელების გემზე მეტი არაფრისათვის უხლია ხელი), ქალის მაყრები კი თავისუფლად გაუშვა.

ჩიმონე მეტად გახარებული იყო, რომ ასეთი ძვირფასი ნადავლი ერგო და ჯერ თავის მოვალეობად ჩასთვალა, ენუგეშებინა ატირებული ქალი, მერე ითათბირა თავის ამხანაგებთან

და დაასკვნეს კვიპროსში უკან აღარ დაბრუნებულიყვნენ; ამიტომ ერთბაშად გადაწყვიტეს კუნძულ კრიტოსისაკენ წასულიყვნენ (თითოეული მათგანი, და განსაკუთრებით ჩიმონე, ფიქრობდა — აქ ზოგი ძველი და ზოგი ახალი ნათესავი და მეგობრები გამოგვიჩნდება და ეფიჯენიასთან ერთად სრულიად უშიშრად ვიცხოვრებთო).და აჰა, აქეთკენ უქცია პირი თავიანთ ხომალდს.

მაგრამ მუხთალმა ბედმა, რომელმაც ჯერ ხელი მოუმართა ჩიმონეს და ასე ადვილად შეაძლებინა დაჰპატრონებოდა სანატრელ ქალს, ერთბაშად შეუდარებელი სიხარული მწარე ნაღველად და ცხარე ტირილით შეუცვალა შეყვარებულ ჭაბუკს.

ჯერ ოთხი საათი არ გასულიყო, რაც ჩიმონემ როდოსელები გაუშვა, კიდეც დაღამდა; დაღამებას ჩიმონე სული-სულზე მოელოდა, რადგან იმედი ჰქონდა ქალთან ინეტარებდა, მაგრამ დაღამებასთან ერთად ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, ცა შავი ღრუბლებით მოიგრაგნა, ხოლო ზღვაზე ატყდა საშინელი ღელვა და ყოველივეს შთანთქმას უქადდა, გემზე ვერავინ რას ხედავდა, არავინ იცოდა საით წასულიყო, არ იცოდა, ერდოზე გაჩერებულიყო და თავისი სამსახური აესრულებინა თუ არა. თუ რამდენად დააღონა ამან ჩიმონე, ლაპარაკიც მეტია; სანყალს მოეჩვენა, ღმერთებმა იმიტომ ამისრულეს ნატვრა, რომ მით უფრო მწარედ მჩვენებოდა სიკვდილი, რომლისა წინათ არც კი მეშინოდაო. ძალიან სწუხდნენ მისი ამხანაგებიც, მაგრამ ყველაზე მეტად ეფიჯენია ნაღვლობდა: ქალი საშინლად ტიროდა და ტალღა ხომალდს მიეხეთქებოდა თუ არა, შიშით კანკალებდა. ქვითინებდა, სწყევლიდა ჩიმონეს სიყვარულს და ჰყვედრიდა მას გიჟური თავგანწირვისათვის; ასე იძახდა — ასეთი საშინელი ღელვა იმიტომ ატყდა, რომ ღმერთებს, რომელთა ნების წინააღმდეგ განიზრახა ჩემი შერთვა, არა ნებავთ ჩიმონე დამტკბარიყო თავისი კადნიერი სურვილით, არამედ ჯერ თავისი თვალით ენახა ჩემი სიკვდილი და მერე თვითონაც მომკვდარიყო საშინელის სიკვდილითო. ასევე, და შეიძლება უფრო ხმამაღლადაც, სწყევლიდნენ თავიანთ ბედს მეზღვაურნი, რომელთაც არ იცოდნენ რა ექნათ.

ღელვა უფრო და უფრო ძლიერდებოდა, იმათ კი არ იცოდნენ და ვერც მიმხვდარიყვნენ, ზღვა საით მიაქანებდათ. ამასობაში ხომალდი როდოსის კუნძულს მიადგა; ამათ არ იცოდნენ, რომ როდოსი კუნძული იყო და ყოველივე ღონე იღონეს, რომ თავი როგორმე გადაერჩინათ და ხმელეთზე გადასულიყვნენ. ბედმა ხელი მოუმართა და შევიდნენ ზღვის ერთ პატარა უბეში; და სწორედ აქავე შემოსულიყვნენ ამას წინათ ჩიმონეს მიერ გამოშვებული როდოსელები თავიანთი ხომალდით. სანამ ესენი გაიგებდნენ, რომ როდოსის კუნძულს მიადგნენ, ინათა, ცამაც ცოტათი გადაიყარა ღრუბელი და ისრის სასროლ მანძილზე დაინახეს ის ხომალდი, წინადღით რომ გამოუშვეს. ამან ჩიმონე უზომოდ დააღონა, შეეშინდა, ვაითუ დამართოდა ის, რაც შემდეგში სწორედ დაემართა, და უბრძანა თავის კაცებს ყოველი ღონე ეღონათ, ოღონდ აქედან როგორმე დაეღწიათ თავი და მერე რაც ბედს ენებებოდა ის

დამართნოდათ; იმიტომ რომ, რაც აქ მოელოდათ, იმაზე უარესი სხვაგან აბა რა გადახდებოდათ!.. რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, შეეცადნენ აქედან გასულიყვნენ, მაგრამ ამაოდ. გამძვინვარებული პირქარი ძალუმად აწვებოდა, ასე რომ, მათ არამცთუ ამ პაწაწინა უბიდან გასვლა ვერ მოახერხეს, პირიქით, ბარემ არ უნდოდათ, მაგრამ ქარმა ნაპირად გამოაგდო ხომალდი. ნაპირად გამოსულები იცნეს როდოსელმა მეზღვაურებმა, რომლებიც თავიანთი გემიდან ხმელეთზე გადმოსულიყვნენ. ერთი მათგანი მაშინვე გაექანა მახლობელ სოფელში, სადაც წასულიყვნენ კეთილშობილი როდოსელი ახალგაზრდები, და უამბო — ჩვენსავით შემთხვევით ის ხომალდი, სადაც ჩიმონე და ეფიჯენია სხედან, ზღვის უბეში შემოაგდო ღელვამაო. ყმაწვილებმა ეს რომ გაიგონეს, მეტად გაიხარეს, იახლეს ბლომად სოფლელები და საჩქაროდ ზღვის პირად გაჩნდნენ. ხმელეთზე ამოსული ჩიმონე სანამ თავისიანებთან თათბირობდა, თუ როგორ გაქცეულიყვნენ სადმე ტყეში დასამალად, ყმაწვილები მისცვივდნენ, ეფიჯენიასთან ერთად დაიჭირეს და სოფელში წამოიყვანეს. როცა აქ ქალაქიდან შეიარაღებული კაცების რაზმის თანხლებით მოვიდა ლიზიმაკო, რომელიც იმ წელიწადს როდოსელების უზენაეს მმართველად იყო არჩეული, ჩიმონე და მისი მხლებლები ყველანი ციხეში გააგზავნინა და ყოველივე ეს შეასრულა თანახმად პაზიმუნდას ბრძანებისა, რომელმაც გაიგო თუ არა ეს ამბავი, როდოსის სენატში იჩივლა.

ამგვარად, საცოდავსა და შეყვარებულ ჩიმონეს ხელიდან წაუვიდა თავისი ეფიჯენია, რომელიც, ის-ის იყო, იშოვნა და რომლისაგან შერჩა მხოლოდ რამდენიმე კოცნა. როდოსელმა კეთილშობილმა ქალებმა მაშინვე უპატრონეს ეფიჯენიას, მოეფერნენ, ანუგეშეს, მოტაცებისაგან მიყენებული დარდი და ნაღველი გაუქარვეს, აგრეთვე შეუმსუბუქეს ტანჯვა, ზღვის ღელვისაგან რომ გამოევლო. ეფიჯენია ამ მანდილოსნებთან მანამდე დარჩა, სანამ მისი დაქორწინების დღე დადგებოდა, ხოლო ჩიმონესა და მის ამხანაგებს, რადგან ამათ წინადღით როდოსელი ყმაწვილკაცები თავისუფლები გაუშვეს, სიცოცხლე შეუნარჩუნეს და საუკუნო ციხე მიუსაჯეს, თუმცა პაზიმუნდა სასამართლოსაგან ყველასათვის უეჭველად სიკვდილით დასჯას მოითხოვდა. ესენიც ისხდნენ ციხეში დადარდიანებულნი და იმედი გადაეწყვიტათ, რომ როდესმე სიხარული ეღირსებოდათ.

პაზიმუნდა, რაც შეეძლო ეშურებოდა ქორწილი გადაეხადა. ბედმა თითქო შეინანა, რომ მოულოდნელად ასე უსამართლოდ მოექცა ჩიმონეს და გადაწყვიტა ახალი ხერხი მოეგონებინა მის სახსნელად. პაზიმუნდას ერთი ძმა ჰყავდა, ხნით მასზე უმცროსი იყო, მაგრამ ვაჟკაცობით მას არ ჩამოუვარდებოდა. ორმიზდა ერქვა. დიდი ხანია შუამავლებსა გზავნიდა და ცოლად უნდოდა შეერთო ერთი ამ ქალაქის მცხოვრები კეთილშობილი ოჯახის ქალი კასანდრა, რომელიც ლიზიმაკოს გაგიჟებით უყვარდა, მაგრამ ჯვრისწერა სხვადასხვა მიზეზით ყოველთვის ჩაიშალა.

ახლა, რაკი პაზიმუნდას გადაწყვეტილი ჰქონდა დიდის ამბით გადაეხადა ქორწილი,

იფიქრა: ძალიან კარგი იქნება, ჩემთან ერთად ჩემმა ძმამაც მოიყვანოს ცოლი, ქორწილი ერთად გადავიხადოთ და მისთვის ცალკე ქორწილი და ხარჯი არ დაგვჭირდესო. ამიტომ მოელაპარაკა ქალის მშობლებს და ამაზე დაიყოლია. ძმებმაც მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს: რა დღესაც პაზიმუნდა ეფიჯენიას მოიყვანდა, ორმიზდას კასანდრა მოეყვანა.

ეს რომ ლიზიმაკომ გაიგო, უზომოდ ეწყინა, რადგან ხედავდა, რომ მის იმედებს ფრთები უნდა შეჰკეცვოდა, ხოლო იმედი კი იმას ეუბნებოდა, რომ თუ ორმიზდამ ვერ შეირთო კასანდრა, მე დამრჩება ცოლადო. მაგრამ, როგორც ჭკვიანმა კაცმა, თავისი დარდი გულში ჩაიხვია; თან დაიწყო ფიქრი, როგორ და რა გზით შეეშალა ხელი ამ საქმისათვის; გარდა ქალის მოტაცებისა, სხვა გზა არ დარჩენოდა. თვითონ თანამდებობაც ისეთი ეჭირა, რომ ეს მისთვის ადვილი ასასრულებელი იყო; მაგრამ სწორედ ეს თანამდებობა რომ ეჭირა, იმიტომ თვლიდა უპატიოსნებად ქალის მოტაცებას. ბევრი ფიქრის შემდეგ პატიოსნებამ სიყვარულს დაუთმო ადგილი და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, კასანდრა მოეტაცა. ახლა იმის ფიქრს შეუდგა, ვინ ეშოვნა დამხმარედ და ან როგორ აესრულებინა განზრახული საქმე. ამ დროს მოაგონდა ჩიმონე, თავის ამხანაგებთან ერთად სატუსაღოში რომ ჰყავდა დამწყვდეული, ჩიმონეზე უკეთესად მისებრ ერთგულად ამ საქმეს ვერავინ შემასრულებინებსო.

მეორე ღამეს ლიზიმაკომ ჩიმონე თავის ოთახში შემოაყვანინა და ასე დაუწყო ლაპარაკი:

„ჩიმონე, ხომ იცი, რომ ღმერთები საუკეთესოდ და უხვად მიანიჭებენ ხოლმე ადამიანთ ყოველგვარ სიკეთესა, ვისაც ყოველგვარ გასაჭირში ხასიათის სიმტკიცესა და გულგატეხილობას შეამჩნევენ; ასეთებს, როგორც უფრო ქველთ, უმეტესი პატივისა და ჯილდოს ღირსყოფენ. იმათ ენებათ გამოეცადათ და დაენახათ შენი სიქველე უფრო ნათლად, ვიდრე ეს შეიძლებოდა მაშინ, შენ რომ შენი მამის სახლში დარჩენილიყავ, რომელსაც მე ვიცნობ მეტად მდიდარ კაცს. და აჰა, ჯერ სიყვარულის გრძნობა გაგიღვიძეს გულში და პირუტყვისაგან, როგორც მითხრეს, ადამიანად გადაუქცევიხართ; მერე ერთ ხანს ბედი შეუკრავთ შენთვის, ახლა სატუსაღოში ჩაგაგდეს და ნებავთ იხილონ — შენი ხასიათის სიმტკიცე შეირყა თუ არა, და თუ ახლაც ისეთივეა, როგორიც იყო მაშინ, ოდეს ხელთ იგდე საუნჯე და ცათაფრენა გქონდა შემდგარი; თუ შენი ვაჟკაცობა ისეთივეა, როგორიც იყო იმ შემთხვევაში, ღმერთები ახლა აპირებენ მოგმადლონ ისეთი რამ, რაც უზომოდ გაგახარებს. და რათა გული გაიმაგრო და სიმამაცე მოიკრიბო, უნდა გახარო, თუ რას გიპირებენ. პაზიმუნდას მეტად უხარის შენი უბედურება და ცდილობს ხელისუფლებამ სიცოცხლე მოგისპოს, თან ისწრაფვის ჯვარი დაიწეროს შენს ეფიჯენიაზე, რომელიც ბედმა ჯერ შენ დაგითმო და მერე უცბად გამწყრალმა ხელიდან გამოგაცალა. წარმომიდგენია ამას როგორ უნდა დაეღონებინე, თუ ეფიჯენია მართლა ისე გიყვარს, როგორც მე მგონია. ჩემი პირადი გამოცდილებით ვიცი, თუ რა დღეში უნდა იყო: სწორედ შენი შეურაცხყოფის მსგავსი

შეურაცხყოფა უნდა მომაყენოს პაზიმუნდას ქორწილის დღესვე მისმა ძმა ორმიზდამ კასანდრას შერთვით, რომელიც ქვეყანაზე ყველაფერს მირჩევნია. ამდენი შეურაცხყოფისა და ბედისგან მოვლენილი დარდისაგან თავი რომ ვიხსნათ, ისღა დაგვრჩენია, ვაჟკაცურად სატევარი ვიპყრათ ხელთ და მოვიტაცოთ ჩვენი საყვარელი ქალები — შენ მეორეჯერ და მე კი — პირველად; ამიტომ, თუ გინდა დაიბრუნო — არ მინდა გითხრა თავისუფლება-მეთქი, რადგან, ჩემი ფიქრით თუ შენი საყვარელი არ გეყოლება, ცარიელ თავისუფლებას რას აქნევ, — არამედ თვით შენი საყვარელი, დამეხმარე განზრახვა ამასრულებინო და თვით ღმერთები ჩაგიგდებენ ხელთ შენს სატრფოს“.

ამ სიტყვებმა ჩიმონეს გატეხილი გული ერთბაშად გაუმთელეს და არც კი დაფიქრებულა, ისე პირდაპირ უპასუხა: „ ლიზიმაკო, ამ საქმისათვის ჩემისთანა ერთგულსა და ჩემებრ ღონიერ ამხანაგს ვერავის იშოვნი, თუ მართლა მოჰყვება ამას ის, რასაც მპირდები; ამიტომ რაც გინდა, დამავალე და დაინახავ, რა გასაოცარი ვაჟკაცობა გამოვიჩინო“.

ამაზე ლიზიმაკომ ასე უთხრა: „მასზეგ პატარძლებს პირველად მიიყვანენ თავიანთი ქმრების სახლებში. შენა და შენი ამხანაგები და აგრეთვე მე და რამდენიმე ჩემი გულითად მისანდობი კაცი საღამოხანს ამავე სახლებში შევყვეთ და ქორწილის დროს პატარძლები მოვიტაცოთ; მათ წასაყვანად ხომალდი ჩუმად დავამზადებინე, შიგ ჩავსვათ და წავიყვანოთ; თუ ვინმე გაგვიძალიანდა, ცოცხალი არ გავუშვათ“.

ლიზიმაკოს განზრახვა ძალიან მოეწონა ჩიმონეს და დანიშნულ დრომდე ხმისამოუღებლად სატუსაღოში ჩუმად იჯდა. ჯვარისწერის დღეს დიდი ამბით მოემზადნენ ქორწილისათვის და ორივე ძმის სახლები მომხიარულე ხალხით გაივსო.

როცა ყოველივე მზად იყო, ლიზიმაკომ, ჩიმონემ და მათმა ამხანაგებმა და მეგობრებმა ტანისამოსს ქვეშ იარაღი აისხეს. ლიზიმაკომ რომ იფიქრა, ახლა კი დროაო, ამხანაგებს ასე მიმართა: აბა, თქვენ იცით, რა ვაჟკაცურად იქნებითო. მერე ყველანი სამად გაყო, ერთი ნაწილი ჩუმად ნავსადგურში გაგზავნა იმისათვის, რომ ხომალდში ჩაჯდომისას ხელი არავის შეეშალა, ხოლო დანარჩენი ორი ჯგუფი პაზიმუნდას სახლში წამოიყვანა. ამათგან ზოგი კართან დააყენა, რომ შიგნიდან არავის მოეხურა კარი და გარეთ გამოსვლა არ დაეშალა, სხვები უკან გამოიყოლეს და ლიზიმაკო და ჩიმონე კიბეს აჰყვნენ.

ორნივე დარბაზში შევიდნენ, სადაც პატარძლები სხვა ქალებთან ერთად სუფრას უსხდნენ მოკრძალებით; მერე წინ წაიწიეს და სუფრა ძირს წამოაქციეს, თითოეულმა მათგანმა თავის საყვარელს ხელი დაავლო, შემდეგ ამხანაგებს გადასცეს და უბრძანეს — დამზადებული ხომალდისაკენ ციმციმ წაეყვანათ. პატარძლებმა წივილ-კივილი მორთეს, ეგევე შეექნათ სხვა ქალებს და მსახურთ, და ერთბაშად ყვირილითა და ტირილის ხმით გაივსო

იქაურობა. მაგრამ ჩიმონემ და ლიზიმაკომ საგეგრები იშიშვლეს, იქაურებმა წინააღმდეგობა ვერავინ გაუბედა, ყველამ გზა უტია და იმათაც კიბისაკენ გამოსწიეს. ესენი ჯერ ისევ კიბეზე იყვნენ, ისე ეძგერა პაზიმუნდა, რომელმაც ყვირილზე მოირბინა; ხელში დიდი კეტი ეჭირა. ჩიმონემ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუქნია საგეგარი და თავი შუაზე გაუჩეხა და ისიც უსულოდ დაეცა მის ფეხებთან. ძმის საშველად მოირბინა საბრალო ორმიზდამ, მაგრამ ჩიმონემ იმასაც დაჰკრა საგეგარი და იქვე სული გააფრთხობინა. მერე ვინც მიახლოება მოინდომა, ლიზიმაკოსა და ჩიმონეს ამხანაგებმა ყველა დაჭრეს და გზიდან ჩამოაცალეს.

სისხლით, ყვირილით, ტირილითა და მწუხარებით გავსებულ სახლს თავი დაანებეს იმათ და დაუბრკოლებლივ მოტაცებული ქალები ხომალდთან მიიყვანეს. ჩასვეს ქალები, შიგვე ჩასხდნენ ჩიმონე, ლიზიმაკო და მათი ამხანაგები, და თუმცა ნაპირად აუარებელმა შეიარაღებულმა ხალხმა მოიყარა თავი, ქალების დასახსნელად, მომტაცებლებმა მოუსვეს ხოფები და თავიანთ გზას მხიარულები გაუდგნენ.

აქედან წამოსულები მოვიდნენ კრიტოსში, სადაც ნათესავები და მეგობრები მხიარულად მიეგებნენ. აქ ქალები შეირთეს, გამართეს დიდი ქორწილი და უზომოდ მხიარულობდნენ თავიანთ მოტაცებულ ქალებთან ერთად.

კვიპროსსა და როდოსზე მერე სულ დიდხან იყო ქოთქოთი და მღელვარება მათ მიერ ჩადენილი საქმის გამო. ბოლოს, ჩიმონეს და ლიზიმაკოს მეგობრები და ნათესავები საქმეში ჩაერივნენ და ისე მოახერხეს, რომ ერთხანს საშობლოდან გადახვეწის შემდეგ ჩიმონე თავის ეფიჯენიასთან ერთად მხიარული კვიპროსზე დაბრუნდა, ხოლო ლიზიმაკოც კასანდრასთან ერთად როდოსზე დაბრუნდა. ერთიცა და მეორეც დიდხანს ცხოვრობდა ბედნიერად თავის ცოლთან ერთად თავის ქვეყანაში.

ამგავი მეორე. დაჯილდოებული ერთგულება

კოსტანცას უყვარს მარტუჩიო გომიტო. რომ გაიგო მომკვდარაო, სასოწარკვეთილი ნავში ჩაჯდა; ნავი ქარმა გაიტაცა და სუზას მიაყენა. ტუნისში ქალი მარტუჩიოს ცოცხალსა ნახავს და ყველაფერს გაუცხადებს; მარტუჩიოს იქაური მეფე ბრძნული რჩევის მიცემისათვის ძალიან სწყალობდა; ქალი შეირთო და გამდიდრებული მასთან ერთად ლიპარიზე ბრუნდება.

დედოფალმა რომ იგრძნო, პამფილოს ნაამბობი გათავდაო, ძალიან მოიწონა და მერე ემილიას უბრძანა, — აბა, ახლა შენა თქვიო. იმანაც ასე დაიწყო: — ყველას მართლაც რომ უნდა ახარებდეს ასეთი ამბები, სადაც ჩანს, რომ შეყვარებულნი თავიანთ ჯილდოს ღებულობენ მათი სიყვარულის სიძლიერის კვალობაზე; და რადგან სიყვარული ღირსია

უფრო სიხარულისა, ვიდრე დარდ-ნაღველისა, მე უფრო დიდი სიამოვნებით დავემორჩილები დედოფალს და ვილაპარაკებ დღევანდელ თემასზე, ვიდრე ვემორჩილებოდი მეფეს წინანდელი ამბისათვის.

როგორც მოგეხსენებათ, ჩემო თვალისინათლე ქალებო, სიცილიის ახლო ერთი პატარა კუნძულია. მისი სახელი გახლავთ ლიპარი. მას აქეთ დიდი ხანი არ არის, ამ კუნძულზე ცხოვრობდა ერთი მეტად მშვენიერი ახალგაზრდა ქალი — კოსტანცა. მისი მშობლები მთელს კუნძულზე იყვნენ ცნობილნი. ამავე კუნძულზე ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა კაცი, მარტუჩიო გომიტო, მეტად ლამაზი, მოყვანილი, კარგი ყოფაქცევისა და თავისი ხელობის კარგად მცოდნე. აი ამ მარტუჩიოს შეუყვარდა კოსტანცა. ქალიც აღინთო ვაჟის სიყვარულითა და ისე ძლიერადაც შეუყვარდა, რომ ის დღე მისთვის დღე არ იყო, როცა ვაჟს თვალს ვერ მოჰკრავდა. მარტუჩიომ გადაწყვიტა ცოლად შეერთო ქალი და მის მამას კაცი გაუგზავნა, შენი ქალი მომათხოვეო. მამამ შეუთვალა: შენ ღარიბი ხარ და ღარიბს კი ჩემს ქალს ვერ მივათხოვებო. მარტუჩიოს მეტად ეწყინა, რომ სიღარიბის გამო დაინუნეს და თავის მეგობრებთან და მშობლებთან დაიფიცა: ლიპარიდან უნდა გადავიკარგო სადმე და თუ არ მდიდრად, ღმერთმა ცოცხალი არ დამაბრუნოს უკანაო.

ლაპარიდან წამოსულმა მარტუჩიომ დაიწყო მეკობრეობა ბარბაროსთა ქვეყნების ნაპირებზე და ვისაც მოერეოდა, სძარცვავდა. ამ საქმეში ბედი ხელს უმართავდა, ოღონდ თვითონ რასაც შოულობდა, ეცოტავებოდა და მეტი უნდოდა. ისა და მისი ამხანაგები მოკლე ხანში მეტად გამდიდრდნენ, მაგრამ ამას არ დასჯერდნენ და მოინდომეს უთვალავი სიმდიდრე შეეძინათ. ამის ძებნაში მარტუჩიოს ხომალდს თავს დაესხნენ სარაცინელთა ხომალდები. მარტუჩიომ ძალიან ხელი გამოიღო, მაგრამ ბოლოს ისა და მისი ამხანაგები დაიჭირეს და გაძარცვეს. მისი ამხანაგების უმეტესობას ყელზე ქვები მოაბეს და ზღვაში დაახრჩვეს; მათი ხომალდი ჩაძირეს, თვითონ მარტუჩიო ტუნისში ჩამოიყვანეს; აქ ციხეში დაამწყვდიეს, სადაც დიდხანს იმყოფებოდა მეტად საცოდავ დღეში.

ლიპარიში არა ერთმა და ორმა, არამედ ბევრმა ჩამოსულმა ამბავი ჩამოიტანა, რომ ყველანი, ვინც მარტუჩიოსთან ერთად იყვნენ ხომალდზე, ზღვაში დაახრჩვესო. ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ძალზე ნაღვლობდა მარტუჩიოს წასვლას, როცა გაიგო, ჩემი საყვარელი სხვებთან ერთად მომკვდარაო, დიდხანს იტირა და გადაწყვიტა თან გადაჰყოლოდა სატრფოს სიკვდილს, მგრამ ვერ გაბედა თავისი ხელით მოეკლა თავი და სხვა საშუალება მოიგონა სიცოცხლის მოსასწრაფებლად. ერთ ღამეს ჩუმად გამოიპარა მამის სახლიდან და მივიდა ნავსადგურთან. აქ შემთხვევით დაინახა სხვა ხომალდებს შორის ცალკე დაბმული მეთევზეთა პატარა ნავი, ზედვე იყო (რადგანაც პატრონები, ის-ის იყო, გამოსულიყვნენ ნაპირად) ანძა, აფრა და ხოფები. ქალი ნავზე საჩქაროდ ავიდა, მოუსვა ხოფები და ცოტათი შეცურდა ზღვაში და რადგან, როგორც საზოგადოდ ყველა ქალი ამ კუნძულისა, ერთგვარად

გავარჯიშებული იყო მეზღვაურობაში, გაშალა იალქანი, ხოფებსა და საჭეს ხელი უშვა და ნავი ქარის ანაბარა მიუშვა. ქალის აზრით, ორში ერთი უნდა მომხდარიყო: ან ცარიელსა და უსაჭო ნავს ქარი გადააბრუნებდა, ანდა სადმე კლდეს დააჯახებდა და დაამსხვრევდა, და რადგან, ძალიანაც რომ სდომოდა, მაინც ვერ მოახერხებდა თავის შველას, უეჭველად დაიხრჩობოდა ზღვაში. შალით შეიხვია თავი, ამოუშვა ტირილი და ნავის ფსკერზე ჩაწვა.

მაგრამ ისეთი რამ მოხდა, რასაც კოსტანცა სულაც არა ფიქრობდა. ქარი, რომელსაც ნავი მიჰყავდა, ჩრდილოეთისა ჰქროდა და მეტად მსუბუქი; ზღვაც მშვიდი იყო და ნავი სულ სრიალით მიდიოდა. ასე რომ, ნავში ჩაჯდომის მეორე დღეს საღამო ხანს ნავი მიადგა ნაპირს ერთი ქალაქის მახლობლად, რომელსაც სუზა ერქვა, ტუნისიდან ასიოდე მილის ზევით. ქალმა არ იცოდა, რომ ის ნაპირს იყო მიმდგარი, ეგონა, ისევ შუა ზღვაში ვიმყოფებიო, თავს მაღლა არ წევდა და არც უნდოდა აეწია. ნავი ნაპირს რომ მიადგა, იმ დროს იქ ერთი საწყალი დედაკაცი მეთევზეების მიერ მზეზე გასაშრობად გაფენილ ბადესა ჰკრეფდა; ნავი რომ დაინახა, გაუკვირდა: იალქნებგაშლილი ნავი ნაპირს ვინ მოახეთქაო? იფიქრა, ალბათ, შიგ მეთევზეებს დაეძინათო და ნავთან ახლოს მივიდა. რომ ჩაიხედა, დაინახა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც გულის ძილით ეძინა. რამდენჯერმე დაუძახა, როგორც იყო, გამოაღვიძა, ტანისამოსზე შეატყო ქრისტიანობა და, რაკი იტალიური იცოდა, ჰკითხა: ქალო, აქ მარტოდმარტო რამ მოგიყვანაო.

კოსტანცამ იტალიური ლაპარაკი რომ გაიგონა, იფიქრა, ალბათ, პირქარმა უკან დამაბრუნა ლიპარიშიო; უცბად ზეზე წამოდგა და გარშემო მიმოიხედა, მაგრამ რაკი იქაურობა ესხვაფერა და თავისთავი ხმელეთზე რომ დაინახა, კეთილ დედაკაცსა ჰკითხა — დედი, სადა ვარო. ამაზე დედაკაცმა უპასუხა: შვილო, სუზას ახლოს ხარო, ბერბერიაშიო. ქალმა ეს რომ გაიგონა, დაიწყო წუხილი — ღმერთს რად დანანდა ჩემთვის სიკვდილიო; თან იმის შეეშინდა, აქ ვინმემ სასირცხვილო საქმე არ დამმართოსო და არ იცოდა, რა ექნა; ჩამოჯდა თავისი ნავის გვერდით და ამოუშვა ტირილი. კეთილმა დედაკაცმა ეს რომ დაინახა, მეტად შეებრალა, და იმდენი ემუდარა, რომ კონსტანცა თავის ქოხში წამოიყვანა, დაუყვავა და აქ მოსვლის ამბავი აამბობინა. ასე შორით წამოსულს ეშივებაო და მოუტანა გამხმარი პური, ცოტაოდენი თევზი და სასმელი წყალი, და იმდენს ეხვეწა, რომ ქალი დასთანხმდა და ცოტაოდენი შეჭამა. მერე კონსტანცამ კეთილ დედაკაცსა ჰკითხა: ვინა ბრძანდებით, ან ასე კარგად იტალიური სად გისწავლიათო? დედაკაცმა უპასუხა: ტრაპანელი ვარ, სახელად კარაპრეზა მქვიან და აქ ქრისტიან მეთევზეთ ვემსახურებიო.

ახალგაზრდა ქალმა კარაპრეზას სახელი რომ გაიგონა, თუმცა მეტად დაღონებული იყო, ეს სახელი კარგის მომასწავებლად ჩათვალა, თუმცა თავისთვის ანგარიში ვერ მიეცა იმისი, თუ რად უნდა ჰგონებოდა ასე; გულში ჩაესახა რაღაც ბუნდი იმედი და ახლა სიკვდილს წინანდელივით აღარა ნატრობდა. დედაკაცს აღარ გაუმხილა თავისი ვინაობა ან სადაურობა

და დიდი თხოვნითა სთხოვა: შეხედე შენს ღმერთს, შეიბრალე ჩემი ახალგაზრდობა და მასწავლე, აქედან როგორ გავიქცე, რომ რამე თავის მოსაჭრელი საქმე არ დამემართოსო.

კარაპრეზამ ქალის ნათქვამი რომ მოისმინა, როგორც კეთილმა ადამიანმა, ქალი თავის ქოხში დატოვა, თავისი ბადე ხელად აკრიფა; შინ რომ დაბრუნდა, კოსტანცას თავისი არდაგი მოასხა და სუზაში წაიყვანა. იქ რომ ჩავიდნენ, დედაკაცმა ასე უთხრა: „კოსტანცა, ახლა მე შენ ერთ მეტად კეთილ სარაცინელ მანდილოსანთან მიგიყვან, იმას ოჯახში ვშველი ხოლმე, მოხუცებულია და ადამიანის შემბრალე. რაც შემიძლია, ვთხოვ გიპატრონოს და იმედი მაქვს აგიყვანს და საკუთარ ქალსავით მოგივლის; შენც, რაკი იმასთან დარჩები, ეცდები აამო და თავი შეაყვარო, მერე ღმერთიც ხელს მოგიმართავს და იქნებ რამე კარგს ბედსა გწიოს“. და როგორც დედაკაცმა უთხრა, ისეც მოიქცა კოსტანცა.

მოხუცებულმა მანდილოსანმა დედაკაცის ნათქვამი რომ მოისმინა, შეხედა ახალგაზრდა ქალს სახეზე და ატირდა, მერე შუბლზე აკოცა, მოჰკიდა ხელი და შეიყვანა სახლში, სადაც ისა და სხვა რამდენიმე ქალი ცხოვრობდნენ უმამაკაცოდ და სხვადასხვა ხელსაქმეს აკეთებდნენ: ზოგი აბრეშუმსა ქსოვდა, ზოგი პალმის ფოთლების ქერქისაგან სხვადასხვა ნივთებს აკეთებდა. კოსტანცამაც ისწავლა რამდენიმე დღეში ზოგ რისამე კეთება და მათთან ერთად დაიწყო მუშაობა. თან ისე შეაყვარა თავი ქალბატონსა და დანარჩენ ქალებს, რომ თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ. ქალები თავიანთ ენას ასწავლიდნენ და იმანაც მოკლე ხანში ისწავლა მათებურად ლაპარაკი.

ამგვარად, კოსტანცა თავისიანებს მკვდარი ეგონათ და გამოიტირეს კიდეცა და ის კი ამ დროს სუზაში ცხოვრობდა. ამ დროს ტუნისის მეფედ იყო მარიაბდელა. ერთმა გრანადელმა ახალგაზრდა კაცმა, მეტად ღონიერმა და გავლენიანი ნათესაობის პატრონმა, განაცხადა — ტუნისის სამეფო მე მეკუთვნისო, ამიტომ თავი მოუყარა დიდძალ ჯარს და წამოვიდა ტუნისის მეფის წინააღმდეგ სამეფოდან მის გასაძევებლად.

ამ ამბავმა ციხეში მყოფ მარტუჩიოს ყურამდეც მიაღწია, რომელმაც მშვენივრად იცოდა ბერბერების ენა. რომ გაიგონა, ტუნისის მეფე ძალიან ემზადება მტრის დასახვედრადო, მისა და მის ამხანაგების ერთ-ერთ მცველთაგანს უთხრა: რომ შემეძლოს მეფეს დაველაპარაკო, ისეთ რჩევას მივცემდი, დარწმუნებული ვარ, მტერს დაამარცხებდაო.

დარაჯებმა მარტუჩიოს ნათქვამი თავიანთ უფროსს უთხრეს და იმანაც მაშინვე მეფეს მოახსენა. მეფემ ბრძანა მასთან მოეყვანათ მარტუჩიო და როცა ჰკითხა, აბა, რა რჩევის მოცემა შეგიძლიაო, მარტუჩიომ ასე მოახსენა: „ჩემო მბრძანებელო, წინათ, როცა თქვენს საბრძანებლოში გხლებივართ, ხშირად მიყურებია იმისთვის, თუ როგორ იბრძოდით თქვენებურად და, რამდენადაც მაგონდება, ბრძოლის დროს მომეტებულად მშვილდ— ისარს

ხმარობთ; ამიტომ როცა მოწინააღმდეგეს ისრები შემოაკლდება და ამავე დროს თუ თქვენს მეომრებს ბლომად ექნებათ ისრები, დარწმუნებული გახლავართ გამარჯვება თქვენ დაგრჩებათ". ამაზე მეფემ უთხრა: რომ შესაძლებელი იქნებოდეს ამის მოხერხება, რა ლაპარაკი უნდა, მე გავიმარჯვებდიო. მარტუჩიომ მოახსენა: თუ მოინდომებთ, ადვილი ასასრულებელი გახლავთ, და მოგახსენებთ როგორ უნდა მოიქცნენ: თქვენ უნდა უბრძანოთ, თქვენი მეისრეებისათვის გააკეთებინონ მშვილდის ლარი უფრო წვრილი, ვიდრე ჩვეულებრივ უკეთებენ: მერე ისრები გააკეთებინეთ ისეთები, რომელთა ჭდე მხოლოდ ამ წვრილ ლარს მოერგოს. თან საჭიროა ყოველივე ეს მეტად საიდუმლოდ გააკეთებინოთ, რომ მტერმა არ გაგიგოთ, თორემ შეიძლება იმანაც რამე მოიგონოს.

მოსაზრება, რომლისთვისაც ამას მოგახსენებთ, შემდეგი გახლავთ: როცა მოწინააღმდეგეთა მეისრენი თავიანთ ისრებს სულ გაისვრიან და თქვენებსაც თავიანთი ისრები გამოელევათ, როგორც მოგახსენებათ, თქვენს მეისრეთა მიერ გასროლილი ისრებს მტრები ბრძოლის დროს აკრეფას დაუწყებენ, და ამავე დროს თქვენებიც დაუწყებენ მტრების გამოსროლილ ისრებს აკრეფას; მაგრამ მტრები თქვენს ისრებს ვერ გამოიყენებენ, რადგან ამ ისრებს პატარა ჭდეები ექნებათ და მათი მშვილდების მსხვილ ლარზე არ მოერგებათ, თქვენები კი მტრების ისრებს ძალიან კარგად გამოიყენებენ, რადგან წვრილ ლარს მშვენივრად მოერგება ისეთი ისარი, რომელსაც განიერი ჭდე ექნება. ამგვარად, თქვენებს საკმაო ისრები აღმოაჩნდებათ იმ დროს, როცა მტრებს შემოლეული ექნებათ". მეფეს, როგორც ბრძენ კაცს, მარტუჩიოს რჩევა მოეწონა, სიტყვასიტყვით აასრულა და მტერიცა სძლია. ამ დღიდან მარტუჩიო მეფის წყალობით აივსო და დიდი სახელი და სიმდიდრე მოიხვეჭა.

მთელ სამეფოში ყველანი ამაზედღა ლაპარაკობდნენ და კოსტანცას ყურამდეც მიაღწია ხმამ, რომ მარტუჩიო გომიტო, რომელიც დიდი ხნის მკვდარი ეგონათ, ცოცხალი ყოფილაო. მის გულში ჩანავლებულმა სიყვარულმა მარტუჩიოსადმი ერთბაშად იფეთქა, უმეტესად ძლიერი გახდა და ჩაფერფლილი იმედიც კვლავ გაუცხოველდა. ამიტომ იმ კეთილ მანდილოსანს, ვისთანაც იდგა, მთელი თავისი თავგადასავალი დაწვრილებით უამბო და უთხრა, მინდა ტუნისში წავიდე და გავაძღო თვალები მისი ხილვით, ვინც ჩემმა ყურმა შორიდან მოტანილი ხმებით მომანატრაო. მანდილოსანმა ძალიან მოუწონა განზრახვა და რადგან ახლა დედის მაგივრადა ჰყავდა, ჩაჯდა ნავში და ქალთან ერთად ტუნისისაკენ გასწია.

ტუნისში კოსტანცასა და მის დედობილს დიდი პატივისცემით დაუხვდა ერთი ამ მანდილოსნის ნათესავი ქალი. მათთან ერთად ტუნისში მოვიდა კარაპრეზა, რომელიც მანდილოსანმა მარტუჩიოს ამბის გასაგებად გაგზავნა, კარაპრეზამ ამბავი მოიტანა: მარტუჩიო ცოცხალია და დიდი თანამდებობაც უჭირავსო. კეთილშობილმა მანდილოსანმა განიზრახა თვითონ თავისი პირით ეხარებინა მარტუჩიოსათვის — აქ შენი კოსტანცაა ჩამოსულიო. და

მართლაც, ერთ დღეს მივიდა მარტუჩიოსთან და უთხრა: მარტუჩიო, ჩემს სახლში ჩამომხტარია ერთი შენი მსახური, ლიპარიდან ჩამოსული, საიდუმლოდ სათქმელი აქვს რამე შენთან, და რადგან ამას სხვას ვერ გაანდობდა, მთხოვა მე თვითონ მოვსულიყავ შენთან და შემეტყობინებინაო.

მარტუჩიომ მადლი მოახსენა მანდილოსანს და სახლში წამოჰყვა. კოსტანცამ რომ დაინახა, სიხარულისაგან კინაღამ სული განუტევა, მერე თავი ვერ შეიმაგრა, გაშლილი ხელები კისერზე შემოურკალა და აკოცა; წარსულ მწუხარებათა მოგონებამ და ახლანდელმა სიხარულმა პირი დაუდუმა და ტირილიღა მოახერხა. მარტუჩიომ ახალგაზრდა ქალი რომ დაინახა, ერთხანს გაოცებული ადგილიდან ვერ იძროდა, მერე ამოიოხრა, და უთხრა: „ჩემო კოსტანცა, ნუთუ ცოცხალსა გხედავ, გენაცვალე?! რა ხანია, დაკარგული მგონიხარ და ჩვენებმაც სრულებით არაფერი იცოდნენ შენი ამბავი“. ეს რომ უთხრა, გულაჩვილებული ცრემლებად დაიღვარა, მოეხვია და აკოცა. კოსტანცამ თავისი თავგადასავალი ყველაფერი უამბო, უამბო ისიცა, თუ როგორ უპატრონა კეთილმა მანდილოსანმა, ვისთანაც ახლა ცხოვრობდა.

მარტუჩიო ჯერ დიდ ხანს ელაპარაკა კოსტანცას, მერე გამოეთხოვა და წავიდა თავის მეფესთან და უამბო როგორც თავისი თავგადასავალი, ისე ქალისა, და დაუმატა: თუ თქვენი წყალობა იქნება, ჩვენი კანონის თანახმად ჯვარი უნდა დავიწეროო. მეფე საშინლად გაოცდა ყოველივე გაგონილისაგან; მერე იხმო ახალგაზრდა ქალიცა და როცა იმისგანაც იგივე გაიგონა, რაც მარტუჩიომ უამბო, ქალს ასე უთხრა: ღმერთმა გიბედნიეროს მარტუჩიოს თავი, ღირსი ყოფილხარ მისი ქმრობისაო. მერე მოატანინა აუარებელი, სულ რჩეული საჩუქრები, ზოგი მარტუჩიოს უბოძა და ზოგიც კოსტანცას. შემდეგ ნება დართო, თავის გულისად მოეწყოთ თავიანთი ცხოვრება.

მარტუჩიომ დიდი პატივი სცა კეთილშობილ მანდილოსანს, ვისთანაც კოსტანცა ცხოვრობდა, და მადლობა მოახსენა მისი ყურისგდებისა და პატრონობისათვის, უძღვნა მისი საფერი ძღვენი და ღმერთს შეავედრა მისი თავი. კოსტანცამ ბევრი იტირა და მერე გამოეთხოვა თავის კეთილისმყოფელს. მეფის ნებართვით, ჩასხდნენ ერთ ხომალდში, წამოიყვანეს კარაპრეზაც. ზურგქარიც დაუდგათ და ლიპარიში დაბრუნდნენ, სადაც ისეთი სიხარული შეუდგა ყველას, რომ კაცი ენით ვერ გამოთქვამს. მარტუჩიომ ჯვარი დაიწერა კოსტანცაზე, თქვენი მოწონებული ქორწილი გადაიხადა და მერე ცოლ-ქმარი მშვიდობითა და მოსვენებით დიდხანს ტკბებოდა ურთიერთის სიყვარულით.

ამბავი მესამე. პიეტრო ბოკამაცა

პიეტრო ბოკამაცა ანიოლელასთან ერთად გაიქცევა, გზაში ყაჩაღები შემოხვდებათ; ქალი ტყეში დაიმალება, საიდანაც ერთ კოშკში მიიყვანენ. ყაჩაღები პიეტროს დაიჭერენ, მაგრამ ხელიდან გაუსხლტება და რამდენიმე ფათერაკი თავს გადახდება. ბოლოს თავს ამოყოფს იმავე კოშკში, სადაც იმყოფება ანიოლელა. ქალს შეირთავს და მასთან ერთად რომში დაბრუნდება.

არავინ დარჩენილა, რომ ემილიას ნაამბობი არ ექო. დედოფალმა რომ დაინახა, დასრულდაო, მიუბრუნდა ელიზას და უბრძანა: აბა, ახლა შენა თქვიო, ესეც დაემორჩილა ბრძანებას და დაიწყო: — პირიმზენო, მაგონდება ერთი უსიამო ღამე, ორი მობრიყვო ყმაწვილი კაცის მიერ გატარებული; მაგრამ რადგან ამ ღამეს მრავალი სამხიარულო დღეები მოჰყვა, რაიცა სავსებით უდგება ჩვენს მიერ მოთხრობების მბობის გეგმას, მეც ავდგები და გიამბობთ.

რომში, რომელიც დღეს კუდში მისდევს სხვებს, წინათ კი თავში ედგა მთელს ქვეყნიერებას[7], ამ რამდენისამე ხნის წინათ ერთ ახალგაზრდა კაცს, პიეტრო ბოკამაცას, პატივცემულ რომაელი დედ-მამის შვილს, შეუყვარდა ერთი მეტად მშვენიერი და საუცხოო ქალი ანიოლელა. ქალის მამას ჯილიოცო საულო ერქვა და თუმცა მდაბიოთა ჩამომავლობისა იყო, მაგრამ რომში ყველას ძალიან უყვარდა.

შეყვარებულმა პიეტრომ ისე მოახერხა, რომ ქალსაც არანაკლებ შეუყვარდა ვაჟი, ვიდრე ვაჟს ქალი უყვარდა. სიყვარული ისე მოერია პიეტროს, რომ ვეღარ უძლებდა ქალის შერთვის სურვილის მიერ მოყენებულ მწვავე ტანჯვას და ჯილიოცო საულოს ქალის მოთხოვება სთხოვა. ეს რომ მშობლებმა გაუგეს პიეტროს, საშინლად გაჯავრდნენ და ლანძღვა-გინება დაუწყეს, — ე რა საქმე განგიზრახავსო; მეორეს მხრივ ჯილიოცო საულოს შეუთვალეს: ყურს ნუ ათხოვებ პიეტროს ნათქვამსა, თორემ არც მეგობარი იქნები ჩვენი და აღარც ნათესავიო.

პიეტრომ რომ დაინახა, ასეთი დაბრკოლება გადაეღობა წინ ჩემი გულითადი ნატვრის ასრულებასო, დარდს კინაღამ თან გადაჰყვა. ჯილიოცო რომ დათანხმდეს, ჩემმა მშობლებმა რაც უნდა, ისა თქვან, მის ქალს ნაღდად შევირთავ ცოლადო. მაგრამ მერე იფიქრა, თუ ქალი დამყვა, საწადელს ვეწევიო. შუამავლის საშუალებით გაიგო, რომ ქალი თანახმა იყო მისი განზრახვისა და იმანაც დააჯერა, რომიდან გაპარულიყვნენ.

[7] როცა ბოკაჩო ამ მოთხრობასა წერდა, 1346 წ. პაპის ტახტი ავინიონში (საფრანგეთში) იყო და არა რომში.

პიეტრო გასაქცევად მოემზადა და ერთ დილას ადრიანად ადგა, ორივე მოასხდნენ ცხენებს და გასწიეს ანანიისაკენ, სადაც პიეტროს თითო-ოროლა მეგობარი ჰყავდა, რომელთაც ძალიან ენდობოდა. გზაში ისე შეუსვენებლივ მიდიოდნენ, რომ იმის დროც კი არა, ჰქონდათ ჩამომსხდარიყვნენ და მოესურვილებინათ, რადგან ეშინოდათ, მდევრები არ დასწეოდნენ. მიდიოდნენ და თან თავიანთ სიყვარულზე ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ და დროდადრო ერთმანეთს აკოცებდნენ კიდეცა. რომს რვაოდე მილით რომ დაშორდნენ, რადგან პიეტრომ გზა კარგად არ იცოდა, გზაჯვარედინთან მისულები, იმის მაგიერ, რომ მარჯვნივ ევლოთ, მარცხნივ მიმავალ გზას დაადგნენ.

ასე ორიოდე მილი ექნებოდათ გავლილი, როცა მიუახლოვდნენ ერთ პატარა კოშკს. ესენი დაინახეს თუ არა, კოშკიდან გამოცვივდნენ თორმეტიოდ შეიარაღებული კაცი და ამათკენ წამოვიდნენ. რომ მიუახლოვდნენ, ქალმა დაინახა და პიეტროს შესძახა: პიეტრო, მოვუჩქაროთ, თორემ უნდათ თავს დაგვესხნენო. ქალმა ეს თქვა და, როგორც კი შეეძლო, ცხენი ერთი დიდი ტყისაკენ მოატრიალა, მერე უნაგირის მშვილდს დაებღაუჭა, ცხენს დეზი შემოჰკრა და ისიც, რაკი დეზი მოხვდა, რაც ძალი და ღონე ერჩოდა, გაიქცა ტყისაკენ. პიეტრო მგზავრობის დროს უფრო ქალს ჩასცქეროდა სახეში, ვიდრე გზას, ასე რომ მათკენ მომავალი კაცები ქალთან ერთად ვერ შეამჩნია და სანამ გარს შემოიხედებოდა, რომ შეეტყო საიდან მოდიოდნენ ეს კაცები, ისინი უკვე დაეწივნენ, დაიჭირეს და ცხენიდან ჩამოათრიეს. მერე ჰკითხეს ვინაობა და იმანაც უთხრა, ვინც იყო. მაშინ თათბირი დაიწყეს და თქვეს: როგორც ეტყობა, ეს კაცი ჩვენი მტრების მეგობართაგანია. აბა, ამასთან საბოდიშო რაღა უნდა გვქონდეს! ტანისამოსი გავხადოთ, ცხენი წავართვათ და თვითონ კიდევ ერთ-ერთ ამ მუხაზე დავკიდოთ ორსინის შესარცხვენადო. ამ გადაწყვეტილებას ყველამ დაუჭირა მხარი და უბრძანეს ტანისამოსი გაეხადა. პიეტრომ იგრძნო, რასაც უპირებდნენ და, ის იყო, შეუდგა ტანისამოსის გახდას, რომ ერთბაშად საფარიდან გამოხტა ოცდახუთ შეიარაღებულ კაცამდე, დაეცნენ პირველებს და დაიწყეს ყვირილი: მოკალით, მოკალითო! ასეთ ამბავს პირველები სრულებით არ მოელოდნენ, თავი ანებეს პიეტროს და მოემზადნენ დასახვედრად; მაგრამ რაკი დაინახეს, თავდამსხმელები ჩვენზე გაცილებით მეტნი არიანო, გაიქცნენ, ხოლო ესენი კი უკან გამოუდგნენ.

პიეტრომ ეს დაინახა თუ არა, ხელი დაავლო ტანისამოსს, მოახტა ცხენს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სწრაფად გააქროლა იქითკენ, საითკენაც ახალგაზრდა ქალი დაინახა გაქცეული. მაგრამ ტყეში ვერც გზა დაინახა სადმე, ვერც ბილიკი და ვეღარც ცხენის ნატერფალი. ბოლოს გული დაიმშვიდა — ახლა არაფერი მიშავს, ჩემი დამჭერნი ვერას დამაკლებენ და ვერც მათნი თავზე დამცემნი მიზამენ რასმეო. მაგრამ რაკი თავისი სატრფო ვერა ნახა, მწარედ დაღონდა და დაიწყო ტირილი; ხან სად მიადგებოდა და ხან სად უხმობდა, მაგრამ პასუხი არსაიდან მოსდიოდა. უკან დაბრუნებასაც ვერა ბედავდა. სულ წინ რომ ევლო,

არ იცოდა სად მიადგებოდა. მეორე მხრით, ეშინოდა ნადირებისა, რომლებითაც სავსეა ხოლმე ტყე; ეშინოდა თავის თავისა, ეშინოდა სატრფოსი: ვინ იცის, მგლისა ან დათვისაგან დაგლეჯილი დამხვდესო.

პიეტრო მიდიოდა ტყეში ასე ალალბედზე მთელი დღის განმავლობაში და თან ყვიროდა და ეძახდა ქალს; ზოგჯერ კიდეც ეგონა, წინ მივდივარო და ის კი არა, თურმე უკან ბრუნდებოდა. ყვირილითა და ტირილით, შიშითა თუ ამდენი ხნის უჭმელობით ისე მოწყდა, რომ მეტი სიარული აღარ შეეძლო. ამასობაში შემოაღამდა კიდეც, არ იცოდა, რა მოეფიქრებინა, ისე დაინახა ერთი უზარმაზარი მუხა, ცხენიდან ჩამოხტა, ცხენი ხეზე მიაბა და თვითონ კი, ღამე ნადირმა არ გამაფუჭოსო და ხეზე ავიდა. ცოტა ხანს უკან ამოვიდა მთვარე და იქაურობა გაანათა. პიეტრომ დაძინება ვერ გაბედა, ვაითუ ძირს ჩამოვვარდეო (ამაზე უკეთესი საწოლიც რომ ჰქონოდა, კიდეც, არ დაეძინებოდა, რადგან დარდი და ფიქრი, თავის საყვარლის გამო რომ აწუხებდა, სულ ერთია, არ მოასვენებდა); ოხრავდა, ტიროდა და სწყევლიდა თვის უბედო ბედს და ასე ფხიზლობდა.

ანიოლელა, როგორც ვთქვით, გაიქცა; მირბოდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა, ცხენს საითაც მოეგუნებებოდა, იქით მიჰყავდა, და ისე ღრმად შეიჭრა ტყეში, რომ არა ჩანდა ის ადგილი, საიდანაც ამ ტყეში შემოვიდა, და ისიც, სწორედ პიეტროს მსგავსად, ხან გაჩერდებოდა, ხან ისევ განაგრძობდა სიარულს, კიოდა, ტიროდა, თავის უბედო ბედსა სწყევლიდა და ამ უღრან ტყეში იქით-აქეთ დაეხეტებოდა. ბოლოს, რომ დაინახა, პიეტრო არსადა ჩანსო და დაღამდა კიდეცაო, მონახა ერთი პატარა ბილიკი, ზედ დააყენა თავისი ცხენი და მიუშვა. ასე ორიოდ მილი ექნებოდა გავლილი, შორიდან თვალი მოჰკრა ერთ პატარა ქოხს. იმანაც, რაც შეიძლებოდა, ჩქარა გასწია მისკენ. ქოხთან დაინახა ერთი მეტად ხანშიშესული გლეხი და მისივე მოხუცებული ცოლი. ამათ ანიოლელა მარტო მოსული რომ დაინახეს, ჰკითხეს: ასე გვიან და ისიც მარტო ამ უდაბურ ადგილას რა გინდოდა, შვილოო? ქალმა ცრემლის ყლაპვით უპასუხა: ჩემს თანამგზავრს ტყეში ჩამოვცილდი და აქედან ანანია შორს ხომ არ არისო? ამაზე გლეხმა უპასუხა: შვილო ეს ანანიაში მიმავალი გზა არ არის, იქამდე თორმეტ მილზე მეტი იქნებაო. მაშინ ჰკითხა: აქ სადმე ახლოს სოფელი ხომ არ იქნება, რომ ღამე გავათიოო? ამაზე გლეხმა ასე უთხრა: სულ მახლობელ სოფლამდე კარგა შეღამებამდე ვერ მიაღწევო. მაშინ ქალმა თქვა: რაკი სხვაგან წასვლა არ შემიძლია, თქვენი ჭირიმეთ, შეხედეთ თქვენს ღმერთს და ამაღამ თქვენთან ღამე გამათევინეთო. გლეხმა პასუხად უთხრა: „ჩემო კარგო, დიდი სიამოვნებით გაგათევინებთ ღამეს, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამ მხარეში დღისით და ღამით დაეხეტებიან დასტა-დასტად როგორც როგორც მოყვარენი, ისე მტერნი, რომლებიც დიდ უსიამოვნებას და ზარალს გვაყენებენ ხოლმე; და იმ დროს, როცა ჩვენთან იქნები, ეშმაკად ამ ავაზაკების ბრბო არ მეწვიოს და შენისთანა ახალგაზრდა და ისიც ლამაზი ქალი რომ დანახოს, ცხადია, შეურაცხყოფას

მოგინდომებენ და ჩვენ კი ვერ დაგიფარავთ. ამას წინდაწინ იმიტომ გეუბნებით, რომ ვინიცობაა, რამე ფათერაკი მოგივიდეს, ჩვენ არ დაგვაბრალო“.

ახალგაზრდა ქალმა, რაკი დაინახა, რომ უკვე გვიანი იყო და თან მოხუცისაგან ასეთი გულისგასახეთქი სიტყვები მოისმინა, მოხუცს ასე უთხრა: თუ უფალსა ნებავს, თქვენცა და მეც დაგვიფარავს ასეთი განსაცდელისაგან, და თუ მაინც ღმერთი გაწყრა და შემემთხვევა, უმჯობესია ადამიანისაგან შემხვდეს წყენა, ვიდრე ტყის ნადირისაგან ვიქნე დაგლეჯილ-დაფლეთილიო. ესა თქვა ქალმა, ცხენიდან ჩამოხტა, შევიდა სანყალი კაცის ქოხში და მათთან ერთად, რაც ებადათ, იმით ღარიბულად ივახშმა, მერე ტანგაუხდელად მათ ლოგინში მათთან ერთად ჩაწვა, მაგრამ მთელი ღამე არ შეუწყვეტია ტირილი და სულთქმა, ნაღვლობდა თავის თავს, ანაღვლებდა უბედურება პიეტროსი, რომელიც უეჭველად დაღუპული ეგონა.

გათენებამდე ბევრი არ უკლდა, ისე ქალს ბილიკით მიმავალი ხალხის ფეხის ხმა მოესმა. ამაზე მაშინვე წამოდგა და გავიდა ერთ დიდ ეზოში, რომელიც ქოხს უკან იყო; აქ ეზოს ერთ კუთხეში თივის ზვინი დაინახა, მივიდა და შიგ დაიმალა, იმიტომ რომ თუ ვინიცობაა, ეს ხალხი აქ შემოვიდა, ისე ადვილად ვერ მიპოვნიანო. ქალმა ძლივს მოასწრო დამალვა, ისე მთელი გროვა ყაჩაღებისა ქოხის კარს მოადგა. მერე გლეხს კარი გააღებინეს, შიგ შემოვიდნენ და ჯერ ისევ უნაგირმოუხდელი ცხენი რომ დაინახეს ახალგაზრდა ქალისა, მასპინძელსა ჰკითხეს — ვისიაო? მოხუცმა, რაკი ხედავდა, ქალი იქ არ იყო, უპასუხა: აქ ჩვენს მეტი არავინ გახლავთო; ეს ცხენი კი გუშინღამ აქეთკენ მორბოდა, დავიჭირეთ და სახლში შემოვიყვანეთ, რომ მგლებს არ შეეჭამათო. რაკი პატრონი არ ჰყოლია, — თქვა ბრბოს უფროსმა, — ასლი საჩვენო ყოფილაო. ყაჩაღები იქით-აქეთ დაიფანტნენ, — ზოგი ქოხში დარჩა, ზოგნიც ეზოში გავიდნენ და ძირს დააწყეს თავიანთი შუბები და ფარები. ერთმა მათგანმა გასართობად თავისი შუბი თივისაკენ გაისროლა და კინაღამ არ მოკლა შიგ დამალული ქალი; ქალმა, ცოტას გაწყდა, არ დაიყვირა და საფრთხეში არ ჩაიგდო თავი, რადგანაც შუბმა მარცხენა მკერდთან ისე ახლოს გაუარა, რომ კაბა გაუხია და რაკი ეგონა, დაჭრილი ვარო, დაყვირება უნდოდა, მაგრამ მოაგონდა, საცა იყო, თავს ძალა დაატანა და ხმა არ ამოუღია.

ყაჩაღები ზოგი სად მიადგნენ და ზოგი სად, საცა კი მოახელეს, მოხუცების ციკნები იყო თუ სხვა ხორცი, შეწვეს, ჭამეს, სვეს, მერე თან გაიყოლეს ახალგაზრდა ქალის ცხენი და გაუდგნენ თავიანთ გზას. ესენი კარგა მანძილზე რომ იქნებოდნენ ქოხს დაშორებულნი, გლეხმა თავის დედაკაცს ჰკითხა: რა იქნა ის ქალი, წუხელ რომ გვესტუმრაო? რაც ავდექით, მას აქეთ თვალი არ მომიკრავსო; მე თვითონ არ ვიციო და მის ძებნას შეუდგა.

ანიოლელამ რომ დაინახა, ყაჩაღები წავიდნენო, თივის ზვინიდან გამოძვრა. გლეხს ძალიან გაუხარდა, რომ ქალი მშვიდობით გადარჩენილა ყაჩაღების ხელში ჩავარდნას და რაკი გათენდა, უთხრა: უკვე გათენებულია და თუ გინდა, გაგაცილებთ ერთ კოშკამდე, აქედან

ხუთიოდ მილის მანძილი თუ იქნება, იქ უშიშრად იქნები; მხოლოდ ეს კია, ფეხით მოგიხდება წასვლა, იმიტომ რომ იმ ყაჩაღებმა, ეს-ეს არის, აქედან რომ წავიდნენ, თან შენი ცხენიც წაიყვანესო.

ქალს მეტი რა გზა ჰქონდა, თავის ბედს უნდა შერიგებოდა, და მხოლოდ მოხუცთ სთხოვა: თქვენი ჭირიმეთ, კოშკამდე როგორმე თავი არ დამანებოთო. ესენიც გზას დაადგნენ და ნაშუადღევის სამის ნახევარზე უკვე კოშკში იყვნენ.

ეს კოშკი ორსინების გვარის ერთ-ერთი წევრისა იყო, რომელსაც ლიელო დი კამპო დი ფიორე ერქვა. შემთხვევით აქვე იყო მისი მეუღლე, მეტად სათნო, წმიდანის მსგავსი ქალი. მან ანიოლელა რომ დაინახა, მაშინვე იცნო, უზომოდ გაიხარა მისი ნახვით და იმწამსვე ისა ჰკითხა — აქ რამ მოგიყვანაო? ანიოლელამ ყველაფერი უამბო. ორსინის მეუღლე პიეტროსაც იცნობდა, როგორც ქმრის მეგობარს, ძალიან ეწყინა მისი ამბავი და რომ გაიგო, დაუჯერიათო, იფიქრა, ალბათ ცოცხალი არ იქნება ის საცოდავიო და ახალგაზრდა ქალს უთხრა: გენაცვალე, რაკი არ იცი პიეტროს ამბავი, შენ ჩემთან მანამდე დარჩები, სანამ ვინმე საიმედო კაცი არ შემხვდება და იმას არ გავატან შენს თავს რომშიო.

ამასობაში პიეტრო იჯდა მუხაზე და ნაღვლობდა ისე, როგორც კი შესაძლებელია კაცმა ინაღვლოს ხოლმე. პირველი მამლის ყივილის დრო რომ შეიქნა, მოვიდა ასე ოცამდე მგელი. ცხენი რომ დაინახეს, მაშინვე გარს შემოეხვივნენ. ცხენმა რომ იგრძნო მათი სიახლოვე, თავი წაიგრძელა, აღვირი წაიწყვიტა და გაქცევა მოინდომა, მაგრამ რაკი გარს შემოეხვივნენ და გაქცევა არ შეეძლო, კბილებით თუ წიხლებით ეცადა თავი დაეცვა;

ბოლოს წააქციეს და ძიძგნა დაუწყეს, ხელად გამოფატრეს, ლუკმა-ლუკმად დაგლიჯეს; ისე შეჭამეს, რომ ცარიელა ძვლების მეტი არაფერი დაუტოვებიათ და იქაურობას მოშორდნენ.

პიეტროს ცხენი თავის ერთგულ მეგობრად და გაჭირვების დროს მშველელად მიაჩნა და ახლა მისმა დაღუპვამ ძალიან შეაშინა და თავის გულში თქვა, — რასაკვირველია, ამ ტყიდან ცოცხალი თავს ვერ გავაღწევო!

უკვე ირიჟრაჟა„ პიეტრო, მუხის წვერზე წამოყუყული, სიცივისაგან ბაბანებდა და თან გარშემო იხედებოდა. ამასობაში ასე ერთი მილის მანძილზე თვალი მოჰკრა ერთ დიდ ცეცხლს. როცა სულ კარგად გათენდა, ცოტა არ იყოს, ეშინოდა, მაგრამ მაინც ჩამოვიდა მუხიდან და იმდენი იარა, სანამ ამ ცეცხლამდე მიაღწევდა. ცეცხლს გარშემო მწყემსები უსხდნენ და მხიარულად დროს ატარებდნენ. პიეტრო რომ დაინახეს, შეეცოდათ და საჭმელი შესთავაზეს.

როცა გაძღა და გათბა, პიეტრომ მწყემსებს უამბო თავისი თავგადასავალი და ისიც, თუ აქამდე როგორ მიაღწია. მერე ჰკითხა: აქ ახლო სოფელი ან კოშკი ხომ არსად არისო? იმათ უთხრეს: აქედან სამიოდ მილის მანძილზე ერთი კოშკია — ლიელო დი კამპო დი ფიორესი, სადაც ამჟამად მისი მეუღლეც იმყოფებაო. პიეტრომ უზომოდ გაიხარა და სთხოვა — თქვენი ჭირიმეთ, ერთ-ერთმა თქვენგანმა როგორმე მიმაცილოს კოშკამდეო. ორი მწყემსი სიამოვნებით გამოჰყვა.

კოშკში რომ მივიდა პიეტრო, იქ ნაცნობებიც დახვდნენ და დაიწყო ფიქრი, თუ როგორ შესდგომოდა თავისი საყვარლის ძებნა ტყეში; ამ დროს კოშკის პატრონის მეუღლის კაცი მივიდა მასთან და უთხრა: ქალბატონი გიხმობსო. პიეტრო მაშინვე გაექანა მისკენ და მის გვერდით თავისი ანიოლელა რომ დაინახა, სიხარულისაგან კინაღამ გაგიჟდა. უნდოდა მივარდნოდა ქალს, გადახვეოდა, მაგრამ ქალბატონისა მოერიდა. მართალია, პიეტროს ძალიან უხაროდა, მაგრამ იმაზე ნაკლებ არ უხაროდა ანიოლელას.

კეთილშობილი მანდილოსანი მხიარულად მიეგება პიეტროს, მოუსმინა ყოველივე, რაც გადახდა და ცოტა უსაყვედურა კიდეც — დედ-მამის სურვილს რად გადახვედიო? მაგრამ რომ დაინახა, ვაჟი მაინც თავისას არ იშლისო და ქალიც მოსურნეა მისი ცოლობისაო, თავის გულში თქვა: ერთი კაცმა მკითხოს, მე რა მრჯის; ერთმანეთს იცნობენ, ერთმანეთი უყვართ, ორივენი ჩემი ქმრის მეგობრები არიან, გულში ცუდი რამ აზრი არ უძევთ; და მგონია, ღვთის ნებაც ასეთია, იმიტომ რომ ერთი ჩამოხრჩობას გადაურჩა და მეორე შუბით განგმირვასო და ორივე კიდევ — ტყის ნადირის მიერ შეჭმას. რაც იქნება, იქნება, დაე ასრულდეს ორივეს გულისწადილიო. მერე ქალ-ვაჟს მიუბრუნდა და უთხრა: თუ თქვენ მართლა გადაწყვეტილი გაქვთ ცოლ-ქმრობა, მე ამის საწინააღმდეგო არაფერი მეთქმის; აქ დი ლიელოს ხარჯით ქორწილს გადაგიხდით და თქვენს მშობლებთან მოლაპარაკება კი ჩემს კისერზე იყოსო.

პიეტრომ და ანიოლელამ უზომოდ გაიხარეს და ჯვარი დაიწერეს, და მათ ადგილას რამდენადაც კი შეიძლებოდა მდიდრულად ქორწილის გადახდა, კოშკის პატრონის მეუღლემ გადაუხადა, და ამათაც თავიანთი სიყვარულის პირველი გემო უტკბილესად იგემეს.

აქ რამდენსამე დღეს კიდევ დარჩნენ, მერე დიასახლისმა ცხენები შეაკაზმინა და მათთან ერთად რომში წამოვიდა. პიეტროს მშობლები მეტად შეწუხებულები დაუხვდათ პიეტროს მიერ ჩადენილი საქმის გამო; მანდილოსანმა მოახერხა და შვილი შეარიგა მშობლებთან.

პიეტრომ მოსვენებით თავის ანიოლელასთან ერთად მოხუცებულობამდე ტკბილად გაატარა თავისი დღენი.

ამბავი მეოთხე. გუღგუღი

ბატონი ლიციო და ვალბონა რიჩიარდო მანარდის თავის ქალთან მოასწრებს; რიჩიარდო ქალზე ჯვარს დაიწერს და სიმამრს შეურიგდება.

ელიზა რომ დაჩუმდა და ამხანაგებმაც ძალიან რომ მოუწონეს ნაამბობი, დედოფალი ფილოსტრატოს მიუბრუნდა და უბრძანა, ახლა იმას ეთქვა რამე. ფილოსტრატომ ჩაიცინა და დაიწყო: — ვინ იცის, თქვენგან რამდენი საყვედური შემხვედრია, რადგან მრავალჯერ მწარე ნაღველი ამიშლია თქვენთვის და ცხარე ცრემლით მიტირებიხართ. ასე რომ, მე მგონია, უნდა ვეცადო, ჩემი შეცდომა გამოვასწორო და ისეთი რამ გიამბოთ, რომ როგორმე გაგაცინოთ. მაშ, აგრე იყოს და გიამბობთ ერთ პატარა ამბავს, სადაც მოთხრობილია სიყვარული: მხოლოდ ამ სიყვარულს არ ახლავს მწუხარება, მას ახლავს სულთქმა-ოხვრანი, მოკლე ხნის შიში და სირცხვილი და თავდება, მეტი არ შეიძლება, ისე ბედნიერად.

არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, ღირსეულო ქალებო, რაც რომანიაში ცხოვრობდა ერთი შეძლებული და კეთილად აღზრდილი რაინდი, მესერ ლიციო და ვალბონა, რომელსაც მოულოდნელად, მოხუცებას რომ იყო მიტანებული, ისე, მის მეუღლე მადონა ჯაკომინასაგან ქალი მიეცა. ქალი გაიზარდა და მთელ იმ მხარეში ტოლი არა ჰყავდა სილამაზითა და მომხიბვლელობით. რადგან მშობლებს მის მეტი შვილი არა ჰყავდათ, მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდათ, ყოვლის მხრით ეფერებოდნენ და ცივ ნიავს არ აკარებდნენ და იმედი ჰქონდათ, მისი საშუალებით რომელსამე დიდ გვაროვნობას დაუმოყვრდებოდნენ.

მესერ ლიციოს სახლში ხშირად დადიოდა სტუმრად და მასთან დაშინაურებული იყო ვინმე ახალგაზრდა, ლამაზი და ჯანმრთელი ყმაწვილი, რომელიც იყო მანარდი და ბრეტინოროს ოჯახიდან. სახელად ერქვა რიჩიარდო. მესერ ლიციო და მისი მეუღლე რიჩიარდოს არც კი ერიდებოდნენ, რადგან შვილსავით ენდობოდნენ. ყმაწვილი ერთხელ თუ ორჯერ რომ შეხვდა ახალგაზრდა ქალს, მშვენიერს, ნარნარს, დახვეწილ ქცევისას, სანაქებო ზნე-ხასიათისას და უკვე მოწიფულს, გაშმაგებით შეუყვარდა, მაგრამ ყოველ ღონესა ჰღონობდა, არავისთვის გაემჟღავნებინა თავისი გრძნობა. ქალმა შეამჩნია, ყმაწვილს ვუყვარვარო, მაგრამ სიყვარულის ისარს თავი სულაც არ მოარიდა და იმასაც ჩაუვარდა გულში ვაჟის სიყვარული. ეს ამბავი, რაღა თქმა უნდა, ძალიან გაეხარდა რიჩიარდოს.

რამდენჯერმე მოინდომა რიჩიარდომ ქალისათვის ერთი-ორი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ერიდებოდა და თავი შეიკავა. ბოლოს დრო იხელთა, გაბედა და უთხრა ქალს: „კატერინა, შენი ჭირიმე, ნუ მომკლავ შენი სიყვარულით“. ქალმა მაშინვე უპასუხა: „ზოგი მე მკითხე, გენაცვალე, რა დღეში ვარ შენი სიყვარულითა“. ქალის ასეთ პასუხზე ცის კარი გაეხსნა რიჩიარდოს; ძალიან გათამამდა და უთხრა: „მე მუდამ მზათა ვარ შენი გულის წადილი

ავასრულო, მხოლოდ იმის წამალი, რომ შენცა და მეცა სიკვდილს გადავრჩეთ — შენს ხელთაა". ამაზე ქალმა უპასუხა: „რიჩიარდო, კვნესამე, ხომ შენ თვითონა მხედავ, რარიგ მდარაჯობენ. ამიტომ, ღმერთმანი, არ ვიცოდე, როგორ შეძლებ ჩემთან მოსვლას. მაგრამ იქნებ შენ მოიფიქრო ისეთი რამ, რომ მე მისი გაკეთება შემეძლოს ისე, რომ სირცხვილი არა ვჭამო, მითხარი და ყველაფერს ვიზამ". რიჩიარდომ გონებაში ყველანაირი საშუალება ჩამოთვალა და მერე ერთბაშად წამოიძახა: „კატერინა, ჩემო ტკბილო, ჩემის ზარით, თავი ჩემი შენს ჭირს ენაცვალება! ჩემის აზრით, ერთი გზაღა დაგვრჩენია, სახელდობრ ისა, რომ ღამე როგორმე იმ აივანზე დაწოლა მოახერხო, რომელიც მამაშენის ბაღს დაჰყურებს, ან თუ დაწოლას ვერ მოახერხებ, ისე მაინც გამოხვიდე; როცა მეცოდინება, ამ აივანზედა ხარ, მაღალი კია, მაინც ვეცდები, როგორმე ავიდე". ამაზე კატერინამ ასე უპასუხა: „თუ შენ გაბედავ მანდ ამოსვლას, იმედი მაქვს, მოვახერხო ღამით იქ დაწოლა". შენ ფიქრი ნუ გაქვს, გავბედავო, — უთხრა რიჩიარდომ. ამ ლაპარაკის შემდეგ საჩქაროდ მხოლოდ ერთხელ აკოცეს ერთმანეთს და ვაჟი ქალს გაშორდა.

მეორე დღეს ქალმა დედას შესჩივლა, — ოთახში საშინლადა ცხელოდა და მთელი ღამე აღარ დამეძინაო. ეს ამბავი მაისის გასულს იყო. „რას ამბობ, შვილო, — უთხრა დედამ, — აბა, სად იყო სიცხე?". — კატერინამ ამაზე ასე უპასუხა: „დედიკო, თქვენ უნდა გეთქვათ: მე მგონია, სიცხე არა ყოფილა-თქო" და შეიძლება მაშინ მართალი გამოგსვლოდათ; მაგრამ თქვენ ხომ იცით, დედილო, რომ ახალგაზრდა ქალებს სისხლი უფრო უდუღთ ხოლმე, ვიდრე ხანშიშესულებს". მაშინ დედამ უთხრა: ამას მართალს ამბობ, შვილო, მაგრამ ხომ არ შემიძლია, ჩემს სურვილზე ვატარო სიცხე და თუ სიცივე, როგორც ეს შენ, შეიძლება, გინდოდეს. დარი წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარია ხოლმე და ჩვენც იმას უნდა დავემორჩილოთ. შეიძლება ამაღამ უფრო ეგრილოს და უკეთესად დაგეძინოს. — „ნეტა არ იქნება, — უთხრა კატერინამ, — მხოლოდ ნუ დაგავიწყდება, დედიკო, რომ როცა გარეთ ზაფხული თითქმის დამდგარია, ღამეებს რაღა გაავრილებს?!" — მაშ, რა გიყო, ქალო?" — ჰკითხა დედამ. კატერინამ უპასუხა: „თქვენა და მამაჩემი ნებას რომ მომცემდეთ, ერთ პატარა საწოლს აივანზე დავადგმევინებდი, მამის ოთახის გვერდით, ბაღს რომ გადაჰყურებს; იქ სიამოვნებით დავწვებოდი, ბულბულსაც ყურს დავუგდებდი და რადგან აივანზე უფრო გრილა, იქ გაცილებით კარგად მოვისვენებდი, ვიდრე თქვენს ოთახში". – „კარგი, გენაცვა, ფიქრი ნუ გაქვს, — უთხრა დედამ, — ვეტყვი მამაშენს და როგორც ის გვეტყვის, ჩვენც ისე მოვიქცეთ".

ცოლმა მესერ ლიციოს რომ უთხრა ქალის ნათქვამი, როგორც მოხუცმა და ამიტომ, შეიძლება, ცოტა არ იყოს, ჟინიანმა, უთხრა: „ერთი იმას უყურე, ბულბულის სტვენაზე უნდა დავიძინოო!.. თუ არ დაუშლია, ჭრიჭინის ჭრიჭინზე დაგაძინებ-თქო". მამის ნათქვამი რომ გაიგონა კატერინამ, იმდენად სიცხისაგან არა, რამდენად ბრაზისაგან მთელი ღამე არამცთუ თვითონ არ უძინია, დედაც არ დააძინა: დავიწვი სიცხითაო! — ერთთავად ამას გაიძახოდა.

დედამ რომ ეს გაიგონა, მეორე დილას მივიდა ქმართან და უთხრა: „მესერე, თქვენც იტყვით, ქალი მიყვარსო! იმან რომ აივანზე დაიძინოს, ნეტავი ვიცოდე, თქვენ ამით რა დაგაკლდებათ?! წუხელ მთელი ღამე შფოთავდა, სიცხისაგან იქით-აქეთ აწყდებოდა: ბულბულის სტვენის გაგონება რომ ეხალისებოდეს კიდეცა, თქვენ რად უნდა გიკვირდეთ; ჯერ სულ ნორჩია და ნორჩს, ხომ იცით, უყვარს ყველაფერი, რაც ხნით იმასა ჰგავს“. ეს რომ გაიგონა მესერ ლიციომ, უთხრა: რა გაეწყობა, რაკი არ დაუშლია, რომ დაეტიოს, ისეთი საწოლი დაუდგი, გარშემო ფარდა რამ მოაფარე და იძინოს და ყური უგდოს ბულბულს, სანამ მოეწყინებოდესო“.

ეს რომ გაიგონა ქალმა, მაშინვე უბრძანა მსახურს, მისთვის აივანზე გაეშალა ლოგინი და რადგან იმ ღამეს იქ უნდა დაეძინა, იმდენს ეცადა, რიჩიარდოს თავი დაანახვა და ერთმანეთში დადებული ნიშნით ანიშნა. რიჩიარდო მაშინვე მიხვდა, რაც უნდა ექნა.

საღამოს მესერ ლიციომ რომ დაინახა, ქალი დაწვაო, მაშინვე დაკეტა მისი ოთახიდან აივანზე გამომავალი კარები და ისიც დასაძინებლად წავიდა.

რიჩიარდომ დაუცადა, სანამ სახლში ყველაფერი მიწყნარდებოდა, კიბე მიიდგა და კედელზე ავიდა, შემდეგ ამ კედლიდან მეორე კედელთან გადაძვრა და ზედ აფოფხდა, თან ქიმებს ებღაუჭებოდა, ეს კი ძალიან ძნელი და საშიშიც იყო, რადგან ადვილად შეიძლებოდა, ფეხი დასცდენოდა და ჩამოვარდნილიყო. როგორც იყო, აივანზე აძვრა, სადაც ჩუმად უზომოდ გახარებული ქალი მიეგება. კოცნით რომ გული იჯერეს, ერთად დაწვნენ, უზომოდ ისიამტკბილეს და მრავალჯერ ამღერეს ბულბული, უზომო სიამოვნებაში ღამემ უცბად გაირბინა. უკვე დღე ახლოვდებოდა (რასაც ესენი არც კი მოელოდნენ). ჩვენს საყვარლებს, ზოგი სიცხისაგან, ზოგიც გართობისაგან მოწყვეტილებს ჩაეძინათ. ლოგინში ორივე დედიშობილა იწვნენ...

ასე ეძინათ გამოუღვიძებლად. გათენებისას გამოეღვიძა მესერ ლიციოს და ადგა კიდეცა. მოაგონდა, მის ქალს აივანზე ეძინა, ჩუმად კარი გააღო და თავის გულში თქვა: მოდი, ერთი ვნახო, წუხელ ბულბულმა როგორ დააძინა ჩემი კატერინაო?

ფეხაკრეფით მიუახლოვდა საწოლს, ფრთხილად გამოსწია ფარდას, საწოლს გარშემო რომ ჰქონდა, და დაინახა: მის ქალს და რიჩიარდოს ტიტვლებს და ერთმანეთს ჩახუტებულთ ეძინათ, როგორც ზევითა გვქონდა ნათქვამი. რიჩიარდო იცნო, აქედან გამობრუნდა, თავისი ცოლის ოთახში მივიდა და უთხრა: „ქალო, ჩქარა ადექი და მოდი, ნახე, შენს ქალს ისე მოსწონებია ბულბული, რომ დაუჭერია და ხელში ჩაუბღუჯავს...“ – „ნეტავ ვიცოდე, ხუმრობ, თუ?“ — უთხრა ცოლმა. „თუ აჩქარდები, დაინახავ, რასაც ვამბობ“. — უპასუხა ქმარმა.

ქალბატონმა ჯაკომინამ საჩქაროდ კაბა გადაიცვა და გაჰყვა ქმარს ფეხაკრეფით. სანოლთან რომ მივიდნენ და ფარდა გამოსწიეს, მადონა ჯაკომინამ ცხადად დაინახა, მაგრამ მის ქალს როგორ დაეჭირა და ჩაებღუჯა ბულბული, რომლის სიმღერის გაგონება ასე ენატრებოდა... დედას საშინლად ეწყინა რიჩიარდოსგან ასეთი ღალატი, უნდოდა, ეყვირა და შესაფერად გამოელანძღა ყმაწვილი, მაგრამ მესერ ლიციომ გააჩერა: „ქალო, თუ გიყვარდე, ხმა-კრინტი არ დაძრა; რაკი ჩვენმა ქალმა რიჩიარდო დაიჭირა, ცხადია, მის ქმრადვე დარჩება. რიჩიარდო კარგი ოჯახის შვილია და მდიდარი. სწორედ ისეთი სასიძოა, როგორსაც ჩვენა ვნატრობდით! თუ უნდა ჩვენი სახლიდან მშვიდობიანად გავიდეს, ჯერ ჩემ ქალზე უნდა დაინიშნოს; იმას, ალბათ, ეგონა, ბულბულს სხვის გალიაში სვამდა და დაინახავს, — თურმე ჩემს საკუთარ გალიაში ჩამისვამსო“.

ცოლმა რაკი დაინახა, ჩემს ქმარს სრულებითაც არა სწყენია, რაც მოხდაო, დამშვიდდა. თან მოისაზრა, ჩემმა ქალმა, ალბათ, კარგად გაატარა ღამე, კარგად მოისვენა, ბულბულიც დაუჭერიაო, და დაჩუმდა.

ამასობაში რიჩიარდოს გამოეღვიძა. რომ დაინახა, შემომთენებიაო, თავზარი დაეცა და კატერინას დაუძახა: „ვაიმე, ჩემო სიცოცხლევ, რაღა ვქნათ?!.. თავზე დამთენებია! რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, რომ არ ვიცი?“

ამ სიტყვებზე მესერ ლიციო წინ წამოდგა, ფარდას გადასწია და უთხრა: მე გასწავლით, რაც უნდა ქნათო“. რიჩიარდომ რომ დაინახა, თითქო გული ბუდიდან ამოჰგლიჯესო; წამოჯდა ლოგინზე და უთხრა: „ჩემო ბატონო, ღვთის გულისათვის, მაპატიეთ! მუხანათი ვარ, მოღალატე, ჩამაქვავეთ, ღირსი ვარ სიკვდილისა! რაც გენებოთ, ის მიყავით, მხოლოდ სიცოცხლე მაჩუქეთ, ნუ დამღუპავთ, თქვენ და თქვენი ღმერთი!..“ ამაზე მესერ ლიციომ უპასუხა: „იმ სიყვარულისათვის, რა სიყვარულითაც მე შენ მიყვარდი, და იმ ნდობისათვის, რაც მე შენდამი მქონდა, შენ ჩემთვის ეს არ უნდა გექნა; მაგრამ რადგან შენმა სიყმაწვილემ იმ ზომამდე გაგიტაცა და ასეთი დანაშაული ჩაგადენინა, თუ გინდა, რომ შენ სიკვდილს თავი დააღწიო და მე კი ჭაღარა არ შემირცხვეს, ჩემი ქალი ახლავე შენს სჯულიერ ცოლად უნდა აღიარო, ე.ი. როგორც წუხელ შენ გეკუთვნოდა, ისევე მთელი თავისი სიცოცხლე შენვე უნდა გეკუთვნოდეს; ამაზე იქნება დამოკიდებული ჩემი სულიერი სიმშვიდე და შენი სიცოცხლე, და თუ ეს არ გინდა, მაშინ-კი მოემზადე — ღმერთს სული ჩააბარე“.

სანამ ლიციო ამნაირად ლაპარაკობდა, მისმა ქალმა ბულბულს ხელი უშვა და ზეწარი წაიფარა. ლოგინს ცრემლით რწყავდა და ემუდარებოდა მამას — შეებრალებინა მისი საყვარელი. ხოლო მეორე მხრით საყვარელს იმას სთხოვდა, მამის სურვილის წინააღმდეგ არ წასულიყო, რომ უშიშრად და დიდხანს შესძლებოდათ ერთად ასეთი ღამეები ეტარებინათ. რიჩიარდოს დიდი ხვეწნა არ დასჭირვებია. ჯერ ერთი, რცხვენოდა იმისი, რაც ჩაიდინა, და

ცდილობდა თავისი შეცდომა გამოესწორებინა; მეორეს მხრით, სიკვდილისა ეშინოდა და სცდილობდა თავიდან აეცდინა. მაგრამ ყველაზე მეტად სწვავდა კატერინას სიყვარული. მეტად ცხოველი იყო სურვილი ამ ქალის თავისუფლად დაპატრონებისა. ყოველივე ამან უყოყმანოდ გადააწყვეტინა, ეთქვა — მზადა ვარ შევირთო კატერინაო.

მაშინ ლიციომ ცოლს ერთი ბეჭედი წააძრო ხელიდან და ყმაწვილმა კაცმა მათი თანდასწრებით დანიშნა ქალი და შეჰფიცა საუკუნო ერთგულება. ეს ამბავი რომ გათავდა, დედ-მამა მოშორდნენ იქაურობას და საყვარლებს უთხრეს: „ახლა კი მოისვენეთ, რადგან იქნებ ძილი უფრო გჭირიათ, ვიდრე ადგომა“.

ცოლ-ქმარი, ის იყო, მოშორდა ოთახს, რომ ახალგაზრდები ერთმანეთს ხელახლა გადაეხვივნენ და მთელი ღამის განმავლობაში, როგორც მეზობლები ამბობდნენ, ექვსჯერ თუ შვიდჯერ ხომ უმღერებიათ ბულბული, და ადგომამდე ორჯერ კიდევ ამღერეს.

როცა ადგა რიჩიარდო, მესერ ლიციოს უფრო დალაგებით ელაპარაკა. რამდენსამე დღეს უკან, ჩვეულებისამებრ, მეგობრებისა და ნათესავების თანდასწრებით რიჩიარდომ ჯვარი დაიწერა ქალზე. მერე დიდის ამბით წამოიყვანა სახლში და სანაქებო ქორწილი გადაიხადა. ამის შემდეგ მშვიდობით და გულის გასახარად ქალთან ერთად ნადირობდა ბულბულებზე დღე და ღამე, რამდენიც მის სულსა და გულს ეამებოდა.

ამგავი მეხუთე. ორი მოქიშპე

გვიდოტო კრემონელი ჯაკომინო დი პავიას უტოვებს თავის პატარა ქალს და კვდება; ფაენცაში ჯანოლე დი სევერინოს და მინგინო დი მინიოლეს ერთად შეუყვარდებათ ეს ქალი და ამის გამო ერთმანეთს გადაეკიდებიან. თურმე ქალი ჯანოლეს დაი ყოფილა და ამიტომ მინგინო შეირთავს ცოლად.

ბულბულის ამბის გაგონებაზე ქალებს ისეთი სიცილი აუტყდათ, რომ ფილოსტრატო, რა ხანი იყო, მორჩა მბობას და ქალები მაინც განაგრძობდნენ სიცილს. ცოტათი გული რომ იჯერეს სიცილით, დედოფალმა უთხრა: „ცხადია, გუშინ ყველა დაგვაღონე, მაგრამ სამაგიეროდ დღეს ისე გაგვამხიარულე, რომ შენს ძვირს ვერავინ იტყვის“. მერე ნეიფილეს მიუბრუნდა და უბრძანა დაეწყო თავისი ამბავი. იმანაც ცქვიტად ასე დაიწყო ლაპარაკი: — რადგან ფილოსტრატომ ლაპარაკ-ლაპარაკით რომანიაში ამოყო თავი, მეც დამჭირდება ცოტა ხნით ამ მხარეში მივიარ-მოვიარო.

მაშ მოგახსენებთ, რომ ქალაქ ფანოში ცხოვრობდა ორი ლომბარდიელი, ერთს ერქვა გვიდოტო და კრემონა, ხოლო მეორეს — ჯაკომინო დი პავია. ახლა უკვე ხანშიშესულები

იყვნენ, მაგრამ ახალგაზრდობაში ერთთავად ჯარისკაცებად ომში ატარებდნენ დროს.

გვიდოტოს სიკვდილის ჟამი მოახლოვდა. არც ვაჟი ესვა და აღარც მეგობარი ან ნათესავი ჰყავდა ისეთი მისანდობარი, როგორიც იყო მისთვის ჯაკომინო დი პავია. რჩებოდა მხოლოდ ერთი ნაშვილები ქალი, ასე ათიოდ წლისა; ეს ქალი ჯაკომინოს მიანდო მოსავლელად, მასვე გადასცა, რაც რამ ებადა, თავისი საქმეები ყველაფერი გააცნო და სულიც განუტევა.

ამ ხანებში ქალაქი ფაენცა, რომელიც წინათ ძალიან დაეზარალებინა ომს და ახლა გაჭირვებულ დღეში იყო, რამდენადმე უკეთეს დღეში ჩავარდა და ვისაც უნდოდა უკან დაბრუნება, ყველას მიეცა იმის ნება. ამიტომ ჯაკომინომ, რომელიც ერთ დროს აქა ცხოვრობდა, რადგან აქაურობა მოსწონდა, რაც რამ ებადა, ყველაფერი წამოიღო და თან წამოიყვანა გვიდოტოს მიერ ჩაბარებული გოგო, რომელიც საკუთარი შვილივით უყვარდა და შვილსავითვე ჰპატრონობდა.

გოგო გაიზარდა და მეტად მშვენიერი ქალი დადგა, ისეთი, რომ მისი სადარი ქალაქში მეორე არ იყო, სიმშვენიერის საფერი ზრდილობა და თავდაცულობაცა ჰქონდა. ამიტომ ბევრსა რჩებოდა მასზე თვალი. მაგრამ ყველაზე მეტად თავს ევლებოდა ორი მოხდენილი და ღირსეული ყმაწვილი კაცი; ერთსაც და მეორესაც უზომოდ ჩაუვარდათ გულში ქალის სიყვარული, ისე რომ, ამათ ერთმანეთის შურით ერთმანეთი შესძულდათ კიდეც; ერთ მათგანს ჯანოლე დი სევერინო ერქვა, მეორეს — მინგინო და მინიოლე. რაკი ქალს თხუთმეტი წელიწადი შეუსრულდა, როგორც ერთი, ისე მეორეც სიამოვნებით შეირთავდა, თუკი მშობლების თანხმობა ექნებოდათ. რადგან პატიოსანი გზით ქალს ვერ დაეპატრონებოდნენ, თავს იმტვრევდნენ და დღედაღამ იმის ფიქრში იყვნენ, თუ რა ღონე ეღონათ ხელში მის ჩასაგდებად.

ჯაკომინოს სახლში ერთი ხანშიშესული მოსამსახურე დედაკაცი ჰყავდა, ამას გარდა, ჰყავდა ერთი მსახური მამაკაცი, რომელსაც კრიველო ერქვა. მეტისმეტად ხუმარა იყო და, რაზედაც უნდა დაგესაქმათ, ყველაფერს გააკეთებინებდით. ჯანოლე დაუახლოვდა კრიველოს, შეურჩია დრო, თავისი საიდუმლო ყველაფერი გაანდო და სთხოვა — მიხედე შენს ღმერთს, დამეხმარე როგორმე გულის წადილი ამასრულებინე და სამაგიეროდ შენი პატივისცემა მე ვიცი და ჩემმა ყმაწვილკაცობამ. ამაზე კრიველომ უპასუხა: „იცი, რა გითხრა? ამ საქმეში შველა მხოლოდ ასე შემიძლია: ჯაკომინო სადმე ვახშმად რომ წავა, მე მიგიყვან იქ, საცა ქალია, თორემ ისე რომ მოვინდომო, ქალს შენი შემონათვალი ვუთხრა, მის მოსმენას არ ისურვებს. ამას, თუ გინდა, დაგპირდები და შევასრულებ კიდეცა. მერე კი როგორც გერჩიოს, ისე ჰქენი“. ჯანოლემ უთხრა, მეც მეტი არაფერი მინდაო და ამაზე შეთანხმდნენ.

მეორე მხრით, მინგინო დაუმეგობრდა მოსამსახურე დედაკაცს და ისეც მოიმხრო, რომ იმან რამდენჯერმე გადასცა გოგოს ვაჟის შემონათვალი და გულში თითქმის ჩაუდო მისი სიყვარული და, გარდა ამისა, დაპირდა, ჯაკომინო საღამოს როგორც კი სადმე წავა რაიმე საქმისათვის, ყმაწვილს შენთან შემოვიყვანო.

ამ ლაპარაკს შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, კრიველომ ისე მოაწყო საქმე, რომ ჯაკომინო ერთ თავის მეგობარ კაცთან ვახშმად წავიდა. კრიველომ მაშინვე ჯანოლეს შეატყობინა და შეთანხმდნენ; კრიველო რომ ანიშნებდა, ჯანოლე უნდა წამოსულიყო და სახლში კარი ღია დახვდებოდა.

მოსამსახურე დედაკაცმა, მეორეს მხრივ, ამ ამბისა სრულებით არაფერი იცოდა და მინგინოს შეატყობინა — ჯაკომინო ამაღამ სახლში არ იქნება ვახშმადაო, და ამიტომ, იცოდეთ, სახლის ახლო იყავით და რომ განიშნოთ, წამოდით და სახლში შემოდითო.

საღამო ხანს ორივე წამოვიდა დანიშნული ადგილისაკენ. ერთმა არ იცოდა, თუ რას აპირებდა მეორე, ისე კი ერთმანეთისა ეჭვი ჰქონდათ და, თუ ვინიცობაა რამე მოხდესო, ერთმაც და მეორემაც თან შეიარაღებული ამხანაგები წამოიყვანეს. მინგინომ თავის ამხანაგის სახლთან დაიწყო ლოდინი; ჯანოლე კიდევ თავის ამხანაგებთანვე სახლიდან ცოტა მოშორებით გაჩერდა.

ჯაკომინო რომ გავიდა სახლიდან, მსახური კაცი და დედაკაცი იმის ფიქრს შეუდგნენ, თუ ერთს მეორე როგორ მოეშორებინა თავიდან. კრიველო დედაკაცს ეუბნება, „რას უყურებ ქალო, რატომ არ იძინებ? ნეტავ ვიცოდე, რომ დაეთრევი, რას დაეთრევი ამ სახლში“ ? — ამაზე დედაკაცი უპასუხებდა: „შენ კი რატომ არ გაჰყვები ბატონს? აქ რაღას უცდი, ხომ ივახშმე?“

და, ამგვარად, ვერც ერთმა ვერ მოახერხა ერთიმეორე გარეთ გაეტყუებინა როგორმე. მაგრამ კრიველომ რომ დაინახა, ჯანოლეს მოსვლის დრო მოვიდაო, თავისთვისა თქვა:

„მაგისთვის რა თავს ვიცხელებ, რომ არ ვიცი! თუ ხმა ამოიღო, შავ დღეს დავაყენებ“ ეს გულში გაივლო და ნიშანიც მისცა ჯანოლეს. ისიც საჩქაროდ მოვიდა, თან მოჰყვა ორი ამხანაგი და პირდაპირ სახლში შემოვიდნენ. აქ ქალი დახვდათ, მოჰკიდეს ხელი და გარეთ უნდა გაეყვანათ. ქალი გაუძალიანდა და საშინელი ყვირილი მორთო, დედაკაცმა ბანი მისცა, ეს რომ მინგინომ გაიგონა, საჩქაროდ ამხანაგებიანად იქ გაჩნდა; რომ დაინახეს, ქალს გარეთ მიათრევენო, სატევრები იშიშვლეს და ყველამ შესძახა: „ოჰ, თქვე მოღალატეებო! ერთს ცოცხალს არ გაგიშვებთ! ამას არ შეგარჩენთ! არა გრცხვენიათ, ქალს მოერიეთ?!“ ესა თქვეს და ეკვეთნენ სატევრებით. ამ აურზაურზე გამოცვივდნენ მეზობლები მაშხალებითა და

იარაღით, დაუწყეს ლანძღვა ქალის მომტაცებლებს და მინგინოს მიეშველნენ. კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ მინგინომ ხელიდან გამოსტაცა ქალი ჯანოლეს და ჯაკომინოს სახლში შემოიყვანა.

ჩხუბი მაშინღა გათავდა, როცა წესიერების დამცველნი მოვიდნენ და ბევრი მოჩხუბართგანიც დაიჭირეს; მათ შორის დაიჭირეს მინგინო, ჯანოლე და კრიველო და ციხეში წაასხეს.

ჯაკომინო სწორედ იმ დროს დაბრუნდა, როცა ყველაფერი უკვე მიწყნარებულიყო; როცა უთხრეს, რაც მოხდა, ძალიან შეწუხდა, რა გამოიკითხა ყველაფერი, როგორც ყოფილა, დაინახა, ქალი არაფერ შუაში ყოფილაო და დამშვიდდა. მაგრამ თავის გულში მაინც გადაწყვიტა, რაც შეიძლება მალე უნდა გავათხოვო როგორმეო, თორემ ასეთი ამბავი კიდევ შეიძლება განმეორდესო.

გათენდა დილა და ორისავ შეყვარებულის მშობლებმა გაიგეს ყველაფერი, რაც მომხდარა; იცოდნენ, ამის გულისათვის რაც სასჯელი მოელოდა მათ დამნაშავე ვაჟებს და დაუწყეს ხვეწნა ჯაკომინოს: — თქვენი ჭირიმე, უჭკუო ყმაწვილებს ნუ აჰყვებით, აპატიეთ მათი ბრიყვული საქციელიო; არ დაივიწყოთ რომ თქვენ, როგორც ჩვენა გვგონია, გიყვართ და პატივსა სცემთ იმათ, ვინც ამას გთხოვენ; სამაგიეროდ ჩვენა და თქვენი შეურაცხმყოფელი ახალგაზრდები მზადა ვართ გემსახუროთ, რითაც და როგორც კი გენებოთო.

ჯაკომინოს თავის სიცოცხლეში ბევრი რამ უნახავს, ავიცა და კარგიც, თვითონაც კარგი გულის კაცი იყო და მოკლედ უპასუხა: „ბატონებო, მე აქაურიც რომ ვიყო და არა სხვაგნებური, მაშინაც ჩემი თავი იმდენად მიმაჩნია თქვენს მეგობრად, რომ ისე მოვიქცეოდი, როგორც თქვენ გენებებოდათ; გარდა ამისა, ის გარემოებაც მაიძულებს ხათრი არ გაგიტეხოთ, რომ თქვენი შეურაცხყოფა მე კი არა, თქვენს თავს მიაყენეთ, იმიტომ რომ ეს ქალი არც პავიელია და არც კრემონელი, როგორც ეს, შეიძლება , ბევრს ეგონოს, არამედ ისიც ფაენცელია, თუმცა არც მე, არც ამ ქალს, და არც იმას, ვინც ეს ქალი მე ჩამაბარა, დღემდე ვერ გაგვიგია, ვინ იყვნენ მისი მშობლები, ამიტომ ამ საქმეში, რომელსაც თქვენა მთხოვთ, ისე მოვიქცევი, როგორც მიბრძანებთ“.

პატივცემულმა ხალხმა რომ გაიგო, ქალი ფაენცელი არისო, სახტად დარჩა. მერე დიდი მადლობა მოახსენეს ჯაკომინოს სულგრძელობისთვის და სთხოვეს ეამბნა, როგორ ჩაუვარდა ეს ქალი ხელში და ან საიდან იცის, რომ ფაენცელიაო. ამაზე ჯაკომინომ მოახსენა: „გვიდოტო და კრემონა ჩემი ამხანაგი და მეგობარი იყო; სიკვდილის წინ მითხრა: ეს ქალაქი როცა იმპერატორმა ფრედერიგომ აიღო, ჩვენ წამოვედით მცხოვრებთა საძარცვავად, ამ დროს ჩემს ამხანაგებთან ერთად ერთ სახლში შევედით; სახლი ყველაფრით პირთამდე სავსე იყო,

მაგრამ შიგ სულიერი არავინ დაგვხვდა ამ ქალს გარდა, რომელიც მაშინ ასე ორი წლისა თუღა იქნებოდა; კიბეზე რომ ჩავდიოდი, „მამაო“ — ჩამომძახა; ეს რომ მითხრა, შემეცოდა, ავიღე და სახლიდან წამოღებულ ნივთებთან ერთად, ესეც წამოვიყვანე ფანოშიო, რომ კვდებოდა, თავის ქონებასთან ერთად ესეც მე ჩამაბარა და მითხრა: როცა გაიზრდება, გაათხოვე და მის წილად რაც ერგება, მზითვად გაატანეო. აჰა, უკვე გასათხოვარი გახდა ქალი, მაგრამ ჩემი გუნების საქმრო ვერავინ მიპოვნია; ძალიან კი მინდა მისი გათხოვება, თორემ გუშინდელი ამბავი შეიძლება კიდევ განმეორდეს“.

ჯაკომინოსთან მოსულებთან ერთად იყო ვინმე გვილელმინო და მედიჩინა, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა გვიდოტოსთან ერთად იმ ბრძოლაში და ძალიან კარგად იცოდა, ვისი სახლი გაძარცვა გვიდოტომ. და რაკი სახლის პატრონიც იქ იდგა, მიმართა და უთხრა: „ ბერნაბუჩიო, გესმის, ჯაკომინო რას ამბობს? – „ მესმის, — უპასუხა ბერნაბუჩიომ, — და მომაგონდა, რომ იმ არეულობის დროს დამეკარგა ქალი სწორედ იმავ ხნისა, რა ხნისაც ჯაკომინომა თქვა“. ამაზე გვილელმინომ უთხრა: „უთუოდ ეს ქალი უნდა იყოს, იმიტომ რომ მე თვით ამ ალაგას ვიყავ, სადაც გვიდოტო გვიამბობდა, თუ სად და სად გაეძარცვა სახლები, და აი გავიგე, რომ შენი სახლიც გაუძარცვავთ; ამიტომ ეცადე, მოიგონე, ნიშანი რამ ხომ არ ჰქონია შენს ქალს, რომ იმით გამოიცნო, და ქალსაც უთხარი, მოიძებნოს ეს ნიშანი, და მაშინ ცხადად დაინახავ, რომ ის სწორედ შენი ქალია“. ბერნაბუჩომ იფიქრა, იფიქრა და მოაგონდა, რომ ქალს მარცხენა ყურზე პატარა ჯვრის სახის ნასრევი უნდა ჰქონოდა, ქალს ამ ადგილას მუწუკი ამოუვიდა და ბერნაბუჩიომ გააჭრევინა მისი დაკარგვის წინახანებში. ამიტომ მიუახლოვდა ჯაკომინოს, რომელიც ჯერ კიდევ იქვე იდგა და სთხოვა, სახლში წამიყვანე და მაჩვენე ქალიო.

ჯაკომინომ სიამოვნებით წამოიყვანა და ქალი წინ დაუყენა. ბერნაბუჩიომ რომ დაინახა, თვალწინ წამოუდგა ზედგამოჭრილი დედამისი, რომელიც იმ დროს ჯერ ისევ დია ლამაზი ქალი იყო; მაგრამ ეს არ იკმარა და ჯაკომინოსა სთხოვა — ნება მიბოძეთ ცოტათი თმა ავუწიო მარცხენა ყურზედაო; ბატონი ბრძანდებიო, უთხრა ჯაკომინომ. ბერნაბუჩიო მიუახლოვდა ქალს, რომელიც დარცხვენილი იდგა, მარჯვენა ხელით თმა აუწია და დაინახა ჯვრის სახე; მაშინ კი დარწმუნდა, რომ თავისი ალალი ქალი ედგა თვალწინ, გულაჩვილებულმა ტირილი დაიწყო და გადაეხვია ქალს, თუმცა ქალი უარზე იდგა და თავიდან იშორებდა. მერე მიუბრუნდა ჯაკომინოს და უთხრა: „ჩემო ძმაო და კეთილო, ეს ჩემი ქალია, ჩემი სახლი იყო, გვიდოტომ რომ გაძარცვა, ჩემს ცოლსა და ჩემს სიდედრს, გულგახეთქილებს, ფაცაფუცში შიგ დავიწყებოდათ ბავშვი, და რაკი სახლს იმავე დღესვე წაუკიდეს ცეცხლი, გვეგონა, ალბათ, ბავშვიც შიგ გამოიწვაო“.

ქალმა ეს რომ გაიგონა, ბერნაბუჩიოს ნათქვამი, როგორც ხანშიშესული კაცისა, ენიშნა; მერე იგრძნო, რომ რაღაც იდუმალი ძალა მისკენ ეწეოდა, ჩაეკრა გულში და მასთან ერთად

გულამომჯდარმა ტირილი ამოუშვა.

ბერნაბუჩიომ მაშინვე გააგზავნა კაცი დედასთან, და-ძმებთან და სხვა ნათესავებთან, ყველანი იხმო და ყველას შეატყობინა, როგორც ყოფილა საქმე. გაიმართა დაუსრულებელი ხვევნა-კოცნა, გაიხარეს უსაზომოდ; ჯაკომინოსაც ძალიან გაეხარდა, მერე ბერნაბუჩიომ ქალი თავისთან წაიყვანა.

ამ ამბავმა ქალაქის თავის ყურამდეც მიაღწია. ქალაქის თავი კეთილი და სამართლიანი კაცი იყო. რაკი იცოდა, რომ ჯანოლე, რომელიც დაჭერილი ჰყავდა, ბერნაბუჩიოს ვაჟი იყო და, მაშასადამე — ღვიძლი ძმა ქალისაო, გადაწყვიტა, შეებრალებინა და ჩადენილი საქციელი ეპატიებინა. ამ საქმის თაობაზე მოელაპარაკა ბერნაბუჩიოსა და ჯაკომინოს და ბრძანა დაჭერილი ჯანოლე და მინგინო ორივე გაეთავისუფლებინათ; მერე მინგინოს, მისი მშობლების გულის გასახარებლად, ჯვარი გადასწერა ქალზე, რომელსაც აგნესა

ერქვა. აგრეთვე კრიველო და სხვები, ვინც ამ საქმეში იყვნენ გარეულნი, ყველანი გაათავისუფლებინა.

მინგინომ მშვენიერი ქორწილი გადაიხადა, მოიყვანა ქალი თავის სახლში და მასთან მრავალჟამიერ ცხოვრობდა უშფოთველად და ბედნიერად.

ამბავი მეექვსე. ბედნიერი შეხვედრა

ჯიანი პროჩიდელს წაასწრებენ ერთ ახალგაზრდა ქალთან, რომელიც მას უყვარდა და რომელიც მეფე ფედერიგოსათვის იყო ძღვნად მირთმეული; ორივეს კოცონზე დაწვა მიუსაჯეს და სამარცხვინო ბოძზე მიაკრეს. რუჯიერი დელ ორია იხსნის ჯიანის და ესეც მერე თავის საგრფოზე ჯვარს დაიწერს.

ნეიფილემ თავისი ამბავი გაათავა და ქალებსაც ძალიან მოეწონათ. მერე დედოფალი პამპინეას მიუბრუნდა და უბრძანა, ახლა შენა თქვი რამე, თუ იცი. ამან დაუყოვნებლივ, გაბრწყინებული სახე მაღლა ასწია და ასე დაიწყო: — მეტად განუზომელია, ჩემო მშვენიერო, ძალა სიყვარულისა; დიდ გაჭირვებას შეამთხვევს ხოლმე სიყვარული შეყვარებულთ, ზოგჯერ საშინელ და მოულოდნელ ხიფათშიაც ჩააგდებს, როგორც ეს შეგვეძლო დაგვენახა ჩვენ როგორც დღეს, ისე წინა დღეებში ნაამბობი მოთხრობებით, მაგრამ მე მაინც მინდა იგივე დაგიმტკიცოთ ერთი ამბით, სადაც ერთ შეყვარებულ ყმაწვილკაცზეა ლაპარაკი.

ისკია — კუნძულია ნეაპოლის მახლობლად. ამ კუნძულზე ოდესღაც სხვა ქალებს შორის ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა, ლამაზი და მეტად მხიარული ქალი. რესტიტუტა ერქვა. მამა

მისი მარინო ბოლგარო ამავე კუნძულის აზნაური იყო. რესტიტუტა თავს ერჩივნა ერთს ისკიას მახლობლად მდებარე ნახევარკუნძულის პროჩიდას ერთს მცხოვრებს — ჯიანის. ქალსაც ისევე უყვარდა ყმაწვილი, როგორც ყმაწვილს ქალი. ჯიანი არა მხოლოდ დღისით მოდიოდა პროჩიდიდან ისკიაში ქალის სანახავად, არამედ ღამითაც; თუ ნავი არ შეხვდებოდა, წყალში ცურვით გამოდიოდა, რომ თუ თვითონ ქალისთვის ვერა, მისი სახლის კედლებისათვის მაინც მოეკრა თვალი.

და სანამ ქალ-ვაჟის ეს ურთიერთი ცხოველი სიყვარული გრძელდებოდა, ერთ ზაფხულის დღეს ქალი სრულებით მარტო ზღვის ნაპირას დადიოდა, ტინიდან ტინზე გადადიოდა და ქვებს დანით ზღვის ლოკოკინებს აცლიდა. შემთხვევით ტინებს შორის ერთს ალაგას შევიდა, სადაც გადაანყდა რამდენიმე სიცილიელ ყმაწვილს. აქ ესენი იმიტომ შემოსულიყვნენ, რომ ჯერ ერთი, ჩრდილი იყო და გრილოდა, და, გარდა ამისა, მარჯვნივ ყინულივით ცივი წყარო გამოდიოდა. ესენი ნეაპოლიდან მოდიოდნენ და თავიანთი ხომალდი იქვე, ნაპირს ახლო, ეყენათ.

ყმაწვილებმა მშვენიერ ახალგაზრდა ქალს თვალი მოჰკრეს, ქალი ჯერ კიდევ ვერა ხედავდა მათ. რაკი ქალი დაიმარტოხელეს, გადაწყვიტეს, მოეტაცათ და წაეყვანათ აქედან. სთქვეს და აასრულეს კიდეცა. თუმცა ქალმა ბევრი იკივლა, ამათ მაინც სტაცეს ხელი, ნავში ჩასვეს და გასწიეს. კალაბრიაში რომ გავიდნენ, დაიწყეს თათბირი , თუ ვის უნდა რგებოდა მოტაცებული ქალი. სათითაოდ ყველა იძახდა: არა, მე უნდა მერგოს, არა, მეო. რაკი ვერ შეთანხმდნენ, შეეშინდათ, ვაითუ, სულ გავაფუჭოთ საქმეო და ამიტომ ერთხმად დაადგინეს: სიცილიის მეფე ფრედერიგოს მივართვათო. ეს ფრედერიგო ახალგაზრდა იყო და ლამაზი ქალების მეტისმეტად მოყვარული. პალერმოში რომ მივიდენ, მეფეს მიჰგვარეს ქალი.

მეფემ ლამაზი ქალი რომ დაინახა, ძალიან მოეწონა. მაგრამ რაკი ავადმყოფობის შემდეგ სუსტად იყო, ბრძანა: ერთ-ერთ საუკეთესო სახლში დაებინავებინათ თავის ბაღში, რომელსაც კუბა ერქვა, და მანამდე პატივი ეცათ, სანამ თვითონ მომჯობინდებოდა.

მთელი ისკია ფეხზე დადგა, როცა ქალის მოტაცების ამბავი გაიგეს. ყველაზე მეტად ის აწუხებდათ აქაურებს, რომ არ იცოდნენ, ვინ იყვნენ ქალის მომტაცებელნი. მაგრამ ჯიანის, რომელსაც ეს საქმე ყველაზე მეტად შეეხებოდა, იმედი არა ჰქონდა ისკიაში ეპოვნა თავისი საცრფო. ამიტომ, გაიგო, საით მხარეს წასულა ნავი, გამოიწყო თავისთვის ისეთივე ნავი, ჩაჯდა და, რაც შეეძლო, მალე გასცურა მთელი ნაპირები მინერვიდან სკალეამდე, კალაბრიაში; ყველას ეკითხებოდა ქალის ამბავს. სკალეაში უთხრეს — სიცილიელმა მეზღვაურებმა მოიტაცეს და პალერმოში წაიყვანესო.

ჯიანი, რაც კი შეეძლო, სწრაფად წამოვიდა. პალერმოში ჩამოსულმა ბევრი ეძება, ბევრს

ვისმე გამოჰკითხა და ბოლოს გაიგო, რომ ქალი მეფისათვის მიურთმევიათ ძღვნად მომტაცებელთ. მეფეს კიდევ კუბის ბაღში ჰყავს დამწყვდეულიო. ამან ძალიან დააღონა ჯიანი, ისე რომ, დაეკარგა ყოველივე იმედი არამცთუ ხელახლა დაებრუნებინა თავისი საგრფო, არამედ თვალი მოეკრა როდისმე.

მაგრამ ქალის სიყვარულმა მაინც სძლია და გააჩერა პალერმოში. თავისი ნავი უკანვე გააბრუნა და რაკი აქ არავინ იცნობდა, ქალაქში გამოვიდა. კუბას ბაღს ხშირად აუვლიდა და ჩაუვლიდა. ერთხელ როგორღაც ფანჯარაში გადმომდგარ ქალს თვალი მოჰკრა. ქალმაც დაინახა ყმაწვილი, ასე რომ, ორივემ უზომოდ გაიხარა. ჯიანიმ შენიშნა, რომ ეს ადგილი განმარტოებული იყო, მიუახლოვდა და გამოელაპარაკა ქალს. ქალმა ასწავლა, როგორ უნდა მოქცეულიყო ჯიანი, თუ უნდოდა უფრო ახლოდან დალაპარაკებოდა, და ჯიანიმაც წინასწარ კარგად დაათვალიერა იქაურობა და წავიდა. დაუცადა დაღამებას და კარგა ხანი რომ გავიდა, გამობრუნდა ბაღისაკენ. აქ გალავნის ისეთ ქიმებს ებღაუჭებოდა, რომ თვით ხეკაკუნაც ვერ მოიკიდებდა ფეხს და რის წვალებით ბაღში გადავიდა. ბაღში ერთი ხარიხა იპოვა, მიაბჯინა ქალის მიერ ნაჩვენებ ფანჯარას და ამ ხარიხით ადვილად გავიდა.

ქალი ხედავდა თავის დღეს, აშკარა იყო მისთვის, რომ სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდა თავის უბიწობას, რომლის შენარჩუნებისათვის წინათ ჯიანის მეტად მკაცრად ეკიდებოდა. ახლა კი თავის გულში თქვა: თუ უბიწოების დაკარგვაა, ისევ ჯიანისთან დავკარგო ესა, რადგან ჯიანისებრ ამის ღირსი არავინ არისო. თან იფიქრა, ამით იმას უფრო დავაჯერებ და თავს გამოვადებინებ, აქედან წამიყვანოსო და გადაწყვიტა, ყოველი მისი სურვილი და ნდომა აესრულებინა და ფანჯარაც იმიტომ დააგდო ღიად, რომ ჯიანის ჩქარა შემოსვლა შესძლებოდა.

ჯიანიმ ფანჯარა ღია რომ დაინახა, ჩუმად შიგ შემოვიდა და ქალს, რომელსაც ჯერ არ ეძინა, გვერდით ამოუწვა. ქალმა, სანამ სხვას რასმე იზამდნენ, თავისი განზრახვა გაუზიარა ყმაწვილს და სთხოვა, როგორმე აქედან მომიტაცე და პალერმოდან გამაპარეო. ამაზე ჯიანიმ უპასუხა: მეც ეგ მინდა, ჩემო სიცოცხლევ: აქედან რომ წავალ, ისე მოვაწყობ საქმეს, რომ მეორეჯერ მოსვლისას შენი მოტაცება ადვილად მოვახერხო. ამის შემდეგ ერთმანეთს გულში ჩაეკრნენ, უზომოდ გაიხარეს და განიცადეს ის ნეტარება, რომელზე მეტის მოცემა სიყვარულს არ ძალუძს. ეს სიამოვნება რამდენჯერმე განიმეორეს და ამასობაში არც კი შეუმჩნევიათ, ისე ერთმანეთს ჩახუტებულებს ჩაეძინათ.

მეფეს, რომელსაც რესტიტუტა პირველი ნახვისთანავე ძალიან მოეწონა, ახლა მოაგონდა და თუმცა კიდეც თენდებოდა, მაინც თავის თავს უკვე კარგადა გრძნობდა, და გადაწყვიტა წასულიყო და მასთან ერთხანს დრო გაეტარებინა. გაიყოლია ერთი ფარეშთაგანი და ჩუმად ბაღისკენ წავიდა. სახლში რომ შემოვიდა, ნელა გააღებინა ის ოთახი,

სადაც მძინარე ქალი ეგულებოდა. წინ ანთებული ჩირაღდანი მიუძღოდა და ისე შევიდა ოთახში. საწოლს რომ შეხედა, დაინახა, ჯიანისა და ქალს შიშვლებსა და ერთმანეთს ჩახუტებულებს ეძინათ. ამ სურათმა ერთბაშად საშინლად ააღელვა მეფე და ისე განრისხდა, რომ ხმის ამოუღებლივ კინაღამ იქვე არ ჩახოცა ორივე დანით, რომელიც სულ ზედა ჰქონდა ხოლმე. მერე იფიქრა, მეფეს კი არა, სულ უბრალო კაცს არ ეპატიება ორი შიშველი კაცის, და ისიც დაძინებულის, მოკვლაო და თავი შეიკავა; გადაწყვიტა საჯაროდ ცეცხლზე დაეწვა.

მერე მიუბრუნდა მოსამსახურეს, თან რომ ახლდა, და უთხრა: „რას იტყვი ამ უნამუსო ქალზე, რომლის ესოდენ იმედი მქონდა?“ მერე ისიც ჰკითხა: იქნებ იცი, ვინ არის ეს ყმაწვილი, ვინც ისე გაკადნიერდა, რომ სახლში შემომეჭრა და ამდენი სირცხვილი მაჭამა და უსიამოვნება მომაყენაო? — არ მახსოვს, რომ ოდესმე მენახოს ეს კაცი აქაო, — უპასუხა მეფეს მსახურმა.

გაბოროტებული მეფე ოთახიდან გამოვიდა და ბრძანა, — ორივე საყვარელი, როგორც იყვნენ ისე, შიშვლებივე დაეჭირათ და გაეთოკათ და, გათენდებოდა თუ არა, წაეყვანათ პალერმოში და აქ მოედანზე სამარცხვინო ბოძზე მიეკრათ ერთმანეთს ზურგშექცეულები; ასე გაეჩერებინათ მესამე საათამდე, რომ ყველას დაენახა და მერე კოცონზე დაეწვათ, იმიტომ, რომ ეს სასჯელი დაიმსახურესო. მეფე ასეთი ბრძანება რომ გამოსცა, დაბრუნდა პალერმოში თავის სასახლეში, ძალზე გაბოროტებული.

მეფე წავიდა თუ არა, მისცვივდნენ საყვარლებს და არც კი გააღვიძეს, ისე, საჩქაროზე შეუბრალებლად ჩამოათრიეს საწოლიდან და გათოკეს. ადვილი წარმოსადგენია, ამის მაყურებელი ქალ-ვაჟი რარიგ დაღონდებოდნენ! დაიწყეს ვიშვიში და ტირილი, შეეშინდათ და თქვეს, ბოლო მოეღო ჩვენს სიცოცხლესაო. მეფის ბრძანებით ორივე პალერმოში წაიყვანეს და მოედანზე ერთ სამარცხვინო ბოძს მიაკრეს. მათ თვალწინ მოამზადეს კოცონი და მოუკიდეს ცეცხლი, რომ როცა მეფე ბრძანებდა, შიგ ჩაეგდოთ.

მთელი პალერმოს ქალი და კაცი იქ გაჩნდა, რომ საყვარლებისათვის ეყურებინათ; კაცები იმისთვის მირბოდნენ, რომ ქალისათვის ეყურებინათ და იძახდნენ — რა მშვენიერია და ნატიფი რამა ყოფილა; აგრეთვე ქალები თავ-პირის მტვრევით მოდიოდნენ და აქებდნენ ვაჟის მოყვანილობას და სილამაზეს. უანაწერო საყვარლები კი თავიანთს უბედო ბედს გულამოსკვნით დასტიროდნენ და ყოველ წუთს მოელოდნენ საშინელ აღსასრულს.

სანამ ესენი აქ დანიშნულ საათამდე ჰყავდათ შეკრულნი და მთელ ქალაქს ატყობინებდნენ — მავანმა და მავანმა ეს დანაშაული ჩაიდინაო, ამ ამბავმა რუჯიერი დელ'ორიას ყურამდეც მიაღწია. დელ'ორია მეტად დაუფასებელი კაცი, მეფის ადმირალი იყო. სხვათა შორის, ისიც წამოვიდა იმ ადგილისაკენ, სადაც ბოძზე მიკრული იყვნენ ჯიანი და

მისი საგრეფო. აქ რომ მოვიდა, პირველად ქალს შეხედა და ძალზე მოეწონა მისი სილამაზე. მერე ვაჟს რომ შეხედა, მაშინვე იცნო და უფრო ახლოს მიიწია და ჰკითხა, ჯიანი პროჩიდელი ხომ არა ხარო? ჯიანიმ თავი მაღლა რომ ასწია, იცნო ადმირალი და უთხრა:

„ჩემო ხელმწიფევ, მე სწორედ ის კაცი გახლდით, ვისაც თქვენა ბრძანებთ, ხოლო მალე სააქაოს მომაშორებენ“. მაშინ ადმირალმა ჰკითხა: „მერედა, აქ რაღას მოუყვანიხართ?“. ამაზე ჯიანიმ უპასუხა: „სიყვარულსა და მეფის წყრომას“. ადმირალმა უთხრა დაწვრილებით ეამბნა ყველაფერი, და როცა მოისმინა, როგორც ყოფილა საქმე, ის იყო, უნდა მოშორებოდა, მაგრამ ამ დროს ჯიანიმ გააჩერა და სთხოვა: „ჩემო ხელმწიფევ, გეხვეწებით მიშუამდგომლოთ, რომ ერთი რამ მოწყალება მოიღოს იმან, ვისი ბრძანებითაც აქ გახლავართ.“ რუჯიერიმა ჰკითხა, — რა გინდაო? ამაზე ჯიანიმ უპასუხა: „მე ვხედავ, რომ, საცაა, უნდა სული განვუტევო. როგორცა ხედავთ, მე და ეს ქალი, რომელიც ჩემს თავს მირჩევნია, ერთმანეთს ზურგითა ვართ გადაბმულნი, და ახლა მე გთხოვთ, ერთმანეთს პირით მიგვაბან იმისათვის, რომ სიკვდილის წამს მისი ყურება შემეძლოს და ნუგეშცემულს ამომხდეს სული.“ რუჯიერიმ სიცილით უპასუხა: დიდი სიამოვნებით. ისე მოგიწყობ საქმეს, რომ ქალს მანამდე უყურო, სანამ მოგეწყინებოდესო.

ადმირალმა ეს რომ უთხრა ჯიანის, მოშორდა და იმათ, ვისაც ნაბრძანები ჰქონდათ მათი ცეცხლში დაწვა, უბრძანა: სანამ მეფისაგან ახალი განკარგულება არ მოგვიდეთ, მანამდე ორივე ასე გააჩერეთო. ამის შემდეგ პირდაპირ მეფისაკენ გაეშურა. თუმცა მეფე ძალიან გაბრაზებული დაუხვდა, მაინც თავისი აზრი მოახსენა: „მეფეო, რა გაწყენინეს იმ ახალგაზრდებმა, რომელნიც მოედანზე არიან ბოძზე მიკრულნი და თქვენ ცეცხლში დაწვა რომ გიბრძანებიათ?“. მეფე მოუყვა, როგორც იყო. ამაზე რუჯიერიმ მოახსენა: „მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის ისინი ღირსი არიან სასჯელისა, მხოლოდ შენგან კი არა; და თუ დანაშაულისათვის ადამიანი უნდა დაისაჯოს, დამსახურებისათვის მარტო შებრალებას და მოწყალებას კი არ უნდა დააჯეროთ, არამედ შესაფერი ჯილდოც უნდა მიაგოთ: იცი, ვინ არიან ისინი, ვისი ცეცხლში დაწვაც გიბრძანებია?“ — არაო, მეფემ უპასუხა. მაშინ რუჯიერიმ მოახსენა: „მე მინდა იცოდე, ვინც არიან და გაიგო, რომ ისე ადვილად არ უნდა აჰყვე ხოლმე გულისწყრომას. ვაჟი — შვილია ლანდოლფო პროჩიდელისა, ჯიანი პროჩიდელის ღვიძლი ძმისა. ამ ჯიანი პროჩიდელის წყალობითაა, რომ შენ ამ კუნძულის მეფე და მბრძანებელი ხარ. ქალი კი — მარინო ბოლგაროს ასულია. ამ ბოლგაროს ძლიერების წყალობითაა, რომ ისკიის კუნძულის ხელმწიფობაზე ჯერ ვერავინ აგაღებინა ხელი. ყოველივე ამას გარდა, ამ ახალგაზრდებს დიდი ხანია ერთურთი უყვართ და აზრადაც არა ჰქონიათ შეჰხებოდნენ შენს ძლიერებას. და ეს დანაშაული (თუ დანაშაულად ჩაეთვლებათ ახალგაზრდებს ის, რასაც სიყვარულისაგან შვრებიან) ჩადენილი აქვთ სიყვარულის გავლენით. მაშ, რად უბრძანე მათი დასჯა, იმის მაგიერ, რომ ათასგვარი საბოძვარითა და მოწყალებით ყელთამდე აგევსო

ორივე?“

მეფემ ეს რომ მოისმინა და დარწმუნდა, რუჯიერი მართალს უნდა ამბობდესო, არამცთუ უარესი სასჯელით დასჯა ბრძანა საყვარლებისა, არამედ შეწუხდა — ან რაც ვუყავი, რად ვუყავიო, და დაუყოვნებლივ ბრძანება გასცა: ორივე ახალგაზრდა მოხსენით ბოძიდან და აქ მომგვარეთო. და მაშინვე აასრულეს კიდეც მისი ბრძანება.

როცა მეფემ დაწვრილებით გაიგო მათი ამბავი, გადაწყვიტა პატივისცემითა და საჩუქრებით გამოესყიდა ის შეურაცხყოფა, რაც ახალგაზრდებს მიაყენა. ბრძანა, მდიდრული ტანისამოსით შეემოსათ ორივე, და რადგან იცოდა, რომ ორსავე სურდა ცოლ-ქმრობა, ჯიანის ქალზე ჯვარი დასწერა. მერე მრავალი საჩუქრები უბოძა, და კმაყოფილნი და ბედნიერნი, თავიანთ სახლში გაისტუმრა.

აქ ახალჯვარდაწერილთ დიდი სიხარულით დაუხვდნენ და ამას შემდეგ ორივე დიდხანს ცხოვრობდნენ ერთად ბედნიერნი და მხიარულნი.

ამბავი მეშვიდე. ვიოლანტე

ტეოდოროს შეუყვარდება თავის ბატონის ამერიგოს ქალი ვიოლანტე და დააორსულებს. ამის გამო ტეოდოროს ჩამოხრჩობას მიუსჯიან. ჩამოსახრჩობად რომ მიჰყავთ, გზაში მათრახით სცემენ. ამასობაში მამა იცნობს და გაათავისუფლებინებს. ამის შემდეგ ვიოლანტეზე ჯვარს დაიწერს.

ქალები გულის ფანცქალით ელოდნენ მოთხრობის დასრულებას, — ეშინოდათ, ვაითუ საცოდავი საყვარლები კოცონზე დაწვანო, და რომ გაიგონეს, სიკვდილს გადაურჩნენო, ზენაარს მადლობა შესწირეს და გამხიარულდნენ. დედოფალმა დასასრული რომ მოისმინა, ლაურეტას დაავალა შემდეგი მოთხრობის თქმა. ისიც კისკასად შეუდგა თხრობას: — ჩემო ლამაზებო! იმ დროს, როცა სიცილიაში მეფობდა კეთილი მეფე გვილელმო, ამ კუნძულზე ცხოვრობდა ერთი აზნაური, რომელსაც ბატონ ამერიგო აბატე ტრაპანელს ეძახდნენ. ბატონი ამერიგო სხვა წუთისოფლის სიკეთესთან ერთად დაჯილდოებული იყო შვილებითაც, ამიტომ მსახურნი სჭიროდა. როცა აღმოსავლეთიდან ხომალდები მოვიდა გენუელ მეკობრეთა, რომელთაც სომხეთის სანაპიროებისაკენ ცურვის დროს მრავალი ყმაწვილები მოუტაციათ და მოუყვანიათ, ამერიგოს ეს ყმაწვილები ოსმალებისა ეგონა და რამდენიმე ყმაწვილი იყიდა. ამ ყმაწვილებს შორის მხოლოდ ერთი იყო სანდომიანი სახისა და სხვებზე უკეთესად ეჭირა თავი, დანარჩენები სულ მწყემსებსა ჰგავდნენ.

ამ ყმაწვილს ტეოდორო ერქვა და თუმცა ამას ისე ექცეოდნენ, როგორც მონას, მაინც

ამერიგოს სახლში მის შვილებთან ერთად იზრდებოდა. ალბათ ბუნებრივი მიდრეკილების წყალობით, ვიდრე იმის მიზეზით, რომ ასეთ კარგ სახლში იზრდებოდა, შეითვისა მეტისმეტი წესიერება და ნატიფი ყოფაქცევა. და ბატონ ამერიგოს იმდენად მოსწონდა, რომ მონობისაგან თავი დაახსნევინა და თავისუფალ ადამიანად გახადა; გარდა ამისა, რადგან ეგონა, რომ თურქი და მოუნათლავი იყო, მოანათვლინა კიდეცა და პიეტრო დაარქვა სახელად, თან თავის საქმეთა მოურავობა ჩააბარა და ყველაფერსაც ანდობდა ხოლმე.

ამერიგოს ვაჟებთან ერთად იზრდებოდა მისი მეტად ლამაზი და ნაზი ქალი, ვიოლანტე. რაკი მამა ქალის გათხოვებას არა ჩქარობდა, ქალსაც როგორღაც პიეტროს სიყვარული ჩაუვარდა გულში. და თუმცა ქალს უყვარდა ვაჟი და მისი ზრდილობა და ნატიფი ქცევა ძალიანაც მოსწონდა, მაინც რცხვენოდა გაემხილა მისთვის თავისი გრძნობა. მაგრამ სიყვარულის ღმერთმა თვით იკისრა ეს შრომა, იმიტომ რომ რადგან პიეტრო ხშირად უყურებდა ნამალევად ქალს, იმ ზომამდე შეუყვარდა, რომ თავის თავი ბედნიერად მაშინღა მიაჩნდა, როცა ქალსა ხედავდა. ძალიან ეშინოდა კი, არავინ გამიგოსო, იმიტომ რომ ფიქრობდა, მეტისმეტ ცუდ საქმესა ვშვრებიო. ქალმა, რომელიც სიამოვნებით ადევნებდა ხოლმე თვალყურს, ეს შენიშნა და რომ უფრო გაეთამამებინა ყმაწვილი, ცდილობდა ეჩვენებინა, რომ მისი ნახვა ძალიან უხაროდა, რაც მართლაც ასე იყო. ასე კარგა ხანს იყვნენ და ვერა ბედავდნენ ერთიმეორისათვის რამე ეთქვათ, თუმცა ძალიან უნდოდათ ესა ერთსაც და მეორესაც.

მაგრამ სანამ ამათ სიყვარულის ცეცხლი ჰქონდათ მოკიდებული, ბედმა თითქო განგებ შეაძლებინა უკუეგდოთ შიში და მორცხვობა, რომელიც ხელს უშლიდა ერთიმეორისათვის გული გადაეშალათ. ბატონ ამერიგოს ტრაპანს გარეთ, ასე ერთი-ორი მილის მოშორებით, მშვენიერი მამული ჰქონდა, სადაც სასეირნოდ ხშირად დადიოდა მისი ცოლი, რომელსაც თან მიჰყავდა თავისი ქალი, მოსამსახურეები და სხვა ნაცნობი ქალები. ერთ დღეს ძალიან ცხელოდა, ისე სასეირნოდ წავიდნენ და თან წაიყვანეს პიეტროცა. აქ რომ სეირნობდნენ, ისე, როგორც ეს ხშირად ზაფხულობით იცის ხოლმე, ცა უცბად ღრუბლებით მოიგრაგნა. ქალსა და მის თანამგზავრებს შეეშინდათ, ავდარმა არ მოგვისწროსო და გადაწყვიტეს მაშინვე უკან ტრაპანში დაბრუნება და, რაც შეეძლოთ, ჩქარა გამოეშურნენ.

პიეტრო და ქალი, რაკი ახალგაზრდები იყვნენ, ძალიან დაწინაურდნენ. ასე რომ, დედასა და მის თანამგზავრთ ძალიან დაშორდნენ. ამ შემთხვევაში ესენი ავდრის შიშით კი არა, სიყვარულის გავლენით იყო, რომ ასე აჩქარებით გარბოდნენ, და მართლაც, ისე გაუსწრეს წინ ქალის დედასა და სხვა ქალებს, რომ ესენი არც კი ხედავდნენ. ამ დროს უცბად რამდენჯერმე დაიქუხა და ამას მოჰყვა მსხვილი და ხშირი სეტყვა. სეტყვისაგან რომ თავი დაეფარათ, ქალის დედამა და მისმა თანამგზავრებმა გზიდან გადაუხვიეს და ერთ გლეხის სახლში შევიდნენ, ხოლო ყმაწვილი და ახალგაზრდა ქალი მახლობლად თავშესაფარს

ვერასა ხედავდნენ და ამიტომ შეცვივდნენ ერთ ძველ და თითქმის დანგრეულ ქოხში, სადაც არავინ იყო. ხელის სიფართე სახურავი იყო გადარჩენილი და იმის ქვეშ თავი შეაფარა ორივემ. ადგილი ისე ცოტა იყო, რომ იძულებულნი იყვნენ ერთმანეთს გაჰხახუნებოდნენ, ასე რომ, ერთმანეთს ძალაუნებურად ძალზე მიეკრნენ. ამ შეხების გამო ქალ-ვაჟი გათამამდა და ერთმანეთს თავიანთი სული გადაუშალეს. პირველად პიეტრომ დაიწყო: „ნეტავი ღმერთმა ინებოს და სეტყვამ მანამდე არ გადაიღოს, სანამ მე ისე ვიდგები, როგორც ახლა ვდგევარ“. – „უჰ, რა კარგი იქნებოდაო!“ — წამოიძახა ქალმაც. ამის შემდეგ ერთმანეთს ხელი შეახეს და მიეკრნენ, მერე მოეხვივნენ და კოცნა დაუწყეს... სეტყვა კი სულ მოდიოდა და მოდიოდა.

აბა რა საჭიროა დაწვრილებით მოგიყვეთ ყველაფერსა; მოგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ სანამ სეტყვა გადაიღებდა, ამათ მოასწრეს სიყვარულის უმაღლესი ნეტარება ეგემათ და მოილაპარაკეს: ჩუმად კვლავ როგორ შევხვდეთ ერთმანეთს, რომ კიდევ ვინეტაროთო.

ავდარმა გადაიღო. დაუცადეს დედას ქალაქის კარებთან, რომელიც სულ ახლოს იყო და სხვებთან ერთად მოვიდნენ სახლში. აქ მეტისმეტად ფრთხილობდნენ, ისე საიდუმლოდ არაერთხელ მოახერხეს ურთიერთთან შეხვედრა და დიდადაც ინუგეშეს თავი. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ქალი დაორსულდა, რამაც ერთიცა და მეორეც საგონებელში ჩააგდო. ქალს არაფერი საშუალება დაუტოვებია და ეცადა ბუნებისათვის ხელი შეეშალა და მუცელი გაეფუჭებინა, მაგრამ ყოველმა ცდამ ფუჭად ჩაუარა, ამიტომ პიეტროს შეეშინდა: რა საჭიროა, ცოცხალს არ გამიშვებენ და აქაურობას უნდა გავეცალოო. ამიტომ თავის გადაწყვეტილება ქალსაც გაუზიარა. ამაზე ქალმა უთხრა: „თუ შენ აქედან წასულხარ, იცოდე თავს აღარ ვიცოცხლებ“. პიეტროს ქალი თავს ერჩივნა და უთხრა:

„ჩემო ყველავ, აქ რა პირით უნდა გავჩერდე? შენი ორსულობა ჩვენს ცოდვას გამოამჟღავნებს; შენ ადვილად გაპატიებენ, მაგრამ შენიცა და ჩემი ცოდვაც ერთად უნდა დამატყდეს თავზედ მე შავის დღის გაჩენილსა“. — „პიეტრო ჩემო, — უთხრა ქალმა, — ჩემი ცოდვა არ დაიმალება, მაგრამ რაც შეეხება შენსას, თუ შენ თვითონ არ წამოგცდა, თავის დღეში ვერავინ გაიგებს“. — მაშინ პიეტრომ უპასუხა: „რაკი მაგრე მპირდები, დავრჩები, მაგრამ იცოდე, პირობა უნდა აასრულო“.

ქალს სანამ შეეძლო, მართლა მალავდა თავის ორსულობას, მაგრამ რაკი მუცელი მეტისმეტად წამოეზარდა და დამალვა აღარ შეიძლებოდა, ერთ დღეს მეტად ატირებულმა დედას გაანდო თავისი მდგომარეობა და შველა სთხოვა, დედა უზომოდ შეწუხდა, ძალზედაც გამოლანძღა და გაათრია და მოსთხოვა — მითხარი, შე სასიკვდილე, როგორ დაგემართა ეს ამბავიო. ქალი იმასა ცდილობდა პიეტროს არაფერი დაუშავდესო და რაღაც მიჰკიბ-მოჰკიბა და ეცადა ტყუილი სიმართლედ გაესაღებინა. დედამ დაუჯერა ქალს და მის მიერ ჩადენილი ცოდვის მისაჩქმალავად ერთ-ერთ თავის სოფლის მამულში გაგზავნა.

როცა მშობიარობის დრო დადგა, ქალმა კივილი დაიწყო ისე, როგორც ქალებმა იციან ხოლმე ასეთ დროს. დედას არც კი უფიქრია, რომ აქ შეიძლებოდა მისი ქმარი ამერიგო მოსულიყო; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამერიგოს ჩვეულებად არა ჰქონდა აქ მოსვლა; ეშმაკად სწორედ მაშინ ამ მამულში ჩიტებზე სანადიროდ წამოსულიყო ამერიგო. რომ გაიარა ამ ოთახთან, სადაც მისი ქალი ჰკიოდა, საშინლად ეოცა, უცბად შიგ შევიდა და იკითხა, რა ამბავიაო. დედამ რომ დაინახა, ქმარი შემოვიდაო, დაღონებული ზეზე წამოდგა და ქმარს უამბო, რაც მათ ქალს დამართნოდა.

ქმარი ცოლივით გულუბრყვილო როდი გამოდგა და ცოლს უთხრა: ყოვლად შეუძლებელია ქალმა არ იცოდეს, ვინც დააორსულა, და თუ ამას ამბობს, არ ვიცი, არ დაუჯერო და ამიტომ სიმართლე ყოველივე დაწვრილებით უნდა გავიგოო; თუ ყველაფერი გვითხრა, მაშინ ვაპატიებ კიდეც ცოდვასა, თუ არა და შებრალებას ნუღარ ელის და სასიკვდილოდ განემზადოსო.

ცოლი ბევრს ეცადა ქმარი დაეჯერებინა, რაც გითხარი, მართალიაო, მაგრამ ამაოდ. სანამ დედამისი მამას ელაპარაკებოდა, ქალმა ვაჟი დაბადა. გაცოფებული მამა სატევარამონვდილი მივარდა მშობიარეს და უთხრა: „ან უნდა მითხრა, ვისგან მოგეცა ეს ბავშვი, ანდა ახლავე სიცოცხლეს უნდა გამოესალმო“.

ქალს შეეშინდა სიკვდილისა, პიეტროსათვის მიცემული სიტყვა გატეხა და მამას უამბო ყველაფერი, რაც მასა და ყმაწვილს შუა ამბავი იყო. რაინდმა ეს რომ გაიგონა, საშინლად გაცოფდა და კინაღამ თავის ხელით სული არ ამოართვა თავის ქალს. როცა თავისი ბრაზი სავსებით ამოანთხია, მოაჯდა ცხენს და ტრაპანში ჩამოვიდა. აქ მოვიდა მეფის მოადგილესთან, ვინმე კურადოსთან, უამბო, რაც შეურაცხყოფა პიეტრომ მოაყენა და მაშინვე მისი ბრძანებით დააჭერინა ისე, რომ პიეტრომ არც კი იცოდა. დაჭერილი მანამდე სტანჯეს, სანამ ყველაფერი არ ათქმევინეს. რამდენიმე დღის შემდეგ იმავე მეფის მოადგილემ ასეთი სასჯელი გაუჩინა პიეტროს: ჯერ მათრახით უნდა ეცემათ და მერე ჩამოეხრჩოთ.

მაგრამ იმით, რომ პიეტროს სიკვდილი განუჩინეს, ამერიგოს გულისწყრომა არ დამცხრალა და განიზრახა, რომ ერთსა და იმავე დროს დედამიწის პირიდან აღგვილიყო ორივე საყვარელი და მათი შვილი. ამიტომ ღვინით სავსე ჭიქაში საწამლავი ჩაყარა, მისცა თავის მსახურს და ამასთან ხელში დააჭერინა შიშველი სატევარი და უთხრა: „წაიღე ორივე ეს და მიდი ვიოლანტესთან და უთხარი ჩემ მაგიერ: შენ თვითონ აირჩიე, რომელი სიკვდილი გირჩევნია — საწამლავის დალევა, თუ სატევარით განგმირვა-თქო? და თუ ამაზე უარი თქვი, მაშინ რაც ქალაქში მცხოვრებია, ყველას თავს მოვუყრი და იმათ თვალწინ კოცონზე დაგწვავ, რადგან ასეთი სიკვდილი სავსებით დაიმსახურე-თქო. ამის შემდეგ აიყვანე ბავშვი, ამ რამდენიმე დღის წინათ რომ დაებადა, კედელზე თავი მიუნაყე და მერე ძაღლებს გადაუგდე

შესაჭმელად.“

მოსამსახურემ გულქვა მამისაგან ასეთი ულმობელი ბრძანება რომ მიიღო, წავიდა უფრო სიავის, ვიდრე სიკეთის შესასრულებლად. სიკვდილმისჯილი პიეტრო დარაჯებმა სახრჩობელაზე წამოიყვანეს. უფროსების ბრძანებით დარაჯებმა ერთი სასტუმროს წინ გამოატარეს, სადაც ჩამომხტარი იყვნენ სამი კეთილშობილი სომეხი, რომლებიც სომხეთის მეფეს გამოეგზავნა ელჩებად რომში პაპთან. ამათ უნდა მოელაპარაკათ პაპთან სხვადასხვა მძიმე საქმეთა შესახებ, სახელდობრ, მომავალი ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ. ესენი აქ, ტრაპანში, გაჩერებულან რამდენიმე დღით მოსასვენებლად და ღონის მოსაკრეფად. აქაური საპატიო პირები, განსაკუთრებით ბატონი ამერიგო, დიდის ამბით დაუხვდნენ სტუმრებს.

როცა ამ ჩამოსულმა სომხებმა გაიგეს, რომ ქუჩაში მიდიოდნენ ის დარაჯები, ვისაც პიეტრო მიჰყავდათ, ერთ ფანჯარაში მოადგნენ საყურებლად. პიეტრო წელზემოთ სულ შიშველი იყო და ხელებიც უკანა ჰქონდა გაკრული. პიეტროს ცქერაში ერთმა ელჩთაგანმა, მხცოვანმა და მეტად საპატიო პირმა, რომელსაც ფინეო ერქვა, პიეტროს გულზე ერთი დიდი წითელი ლაქა დაუნახა. ეს ხალი ხელოვნური არ იყო, არამედ კანზე ბუნებრივადა ჰქონდა, იმის მსგავსი, რასაც აქაური ქალები ხალს ეძახიან. ეს რო დაინახა, მაშინვე მოაგონდა ერთი თავისი შვილთაგანი, რომელიც ამ თხუთმეტი წლის წინათ მეკობრეებმა ზღვის პირად ლაიაცოში მოსტაცეს და მერე მისი ამბავი არაფერი გაუგიათ. რომ წარმოიდგინა წლოვანება იმ უბედური ყმაწვილისა, რომელიც ცემა-ტყეპით მიჰყავდათ, გულში იფიქრა, ჩემი შვილი ცოცხალი რომ იყოს, სწორედ ამ დამნაშავის ხსნისა იქნებოდაო. ამ ნიშანმა იჭვი დაუბადა, იქნებ მართლა ჩემი შვილიც იყოს ეს ყმაწვილიო; და თუ მართლა ჩემი შვილია, ცხადია, ეხსომება თავისი სახელი, აგრეთვე მამისაც და სომხური ლაპარაკიცაო. ამიტომ პიეტრო სულ დაუახლოვდა ფანჯარას თუ არა, დაუძახა:

„ეი, ტეოდორო! ეს ხმა რომ გაიგონა, პიეტრომ მაშინვე თავი მაღლა აიღო. მაშინ ფინეომ სომხურად გადასძახა: „სადაური ხარ? ან ვისი შვილი ხარ“?

დარაჯებმა, ტყვე რომ მოჰყავდათ, ამ ღირსეული კაცის პატივსაცემად, პიეტრო გააჩერეს და ამანაც უპასუხა: „მე სოხეთიდან გახლავართ, მამაჩემს ფინეო ერქვა, სულ პატარა ვიყავი, აქ რომ მომიყვანეს ვიღაც უცნობებმა“. ეს რომ ფინეომ გაიგონა, დარწმუნდა, სწორედ ჩემი დაკარგული შვილიაო. ატირებული თავის თანამგზავრებთან ერთად ძირს ჩამოვიდა, დარაჯების წრე გაარღვია და ისე მოეხვია პიეტროს. მერე თვითონ მოიხსნა და პიეტროს მოახვია ერთი მშვენიერი შალი, დარაჯს კი, რომელსაც პიეტრო სახრჩობელაზე მიჰყავდა, სთხოვა: აქ დამიცადეთ, სანამ ახალი განკარგულება არ მოგივათ ამ ყმაწვილის თაობაზედაო და დარაჯიც დიდი სიამოვნებით დასთანხმდა.

ფინეომ უკვე იცოდა, თუ რისთვის მიჰყავდათ ყმაწვილი სახრჩობელაზე, რადგან ამაზე ყველგან ლაპარაკობდნენ. აჰა, ფინეო თავის ამხანაგებითა და მხლებლებითურთ მაშინვე ბატონ კურადოსთან გაემართა და მოახსენა: „მონყალეო ხელმწიფევ, ის, ვისაც თქვენ ახლა სახრჩობელაზე გზავნით, როგორც უბრალო მონას, სრულიად თავისუფალი ადამიანი და ჩემი შვილია; ყმანვილი მზადაა ჯვარი დაიწეროს იმ ქალზე, რომელიც, როგორც თვითონ ქალი ამბობს, გაუუპატიურებია. ამიტომ გთხოვთ კეთილინებოთ და შეაჩერებინოთ განაჩენის შესრულება მანამდე, სანამ არ გავიგებთ — ქალს სურს თუ არა ყმაწვილს გაჰყვეს, იმიტომ რომ, თუ ქალსა სურს მისი ქმრობა, მაშინ თქვენი განაჩენი კანონის წინააღმდეგი იქნება“.

ბატონმა კურადომ რომ გაიგო, დამნაშავე ფინეოს შვილი ყოფილაო, საშინლად გაუკვირდა. თანაც შერცხვა ბედის შეცდომისა, დარწმუნდა, რომ ბატონი ფინეო სრულ სიმართლესა ბრძანებდა და ამიტომ სთხოვა, სასტუმროში მიბრძანდითო, ხოლო ბატონ ამერიგოსთან კაცი აფრინა და ყველაფერი შეუთვალა.

ბატონი ამერიგო ფიქრობდა, რომ ჩემი ქალი და შვილიშვილი ახლა კიდეც დახოცილები იქნებიანო და გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი დაენთო დარდისაგან: ეგ რა ღმერთი გამიწყრაო!.. ჩემი ქალი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ახლა წამხდარი საქმის გამოკეთება ყველაფრისა შეიძლებოდაო. ყოველსავე შემთხვევაში, კაცი აფრინა იქ, სადაც მისი ქალი ეგულებოდა და მსახურს შეუთვალა: თუ ჩემი ბრძანება ჯერ კიდევ არ შეგისრულებიათ, შეაჩერეთო. გაგზავნილმა კაცმა დაინახა, რომ იმ მოსამსახურეს, რომელსაც დავალებული ჰქონდა ბატონ ამერიგოს ბრძანების ასრულება, ქალის წინ დაულაგებია დანა და საწამლავი და ქალსა ლანძღავდა და უყვიროდა, რადგან ქალი ყოყმანობდა და არ იცოდა, რომელი აერჩია, და თან აჩქარებდა. მაგრამ ბატონის ახალი ბრძანება რომ გაიგონა, ქალს თავი დაანება, ამერიგოსთან დაბრუნდა და მოახსენა, როგორც იყო საქმე.

ბატონ ამერიგოს ძალიან გაეხარდა ქალის გადარჩენა და ფინეოსთან წავიდა. აქ თითქმის ატირებული შეეცადა, რაც მოხდა, იმის გამო ბოდიში მოეხადა, მერე პატიება და შენდობა სთხოვა და დაარწმუნა, — თუ ტეოდორო მოისურვებს ჩემი ქალის თხოვნას, მე მეტად ბედნიერი ვიქნები მისი სიძეობისაო. ფინეომ სიამოვნებით მოუსმინა ბოდიში და უპასუხა: „მეც მინდა ჩემმა ვაჟმა თქვენი ქალი შეირთოსო, და თუ ის კი წინააღმდეგი გახდა, მაშინ დე აღსრულებულ იქნეს მისთვის გამოტანილი განაჩენი და ეს მასზე ახიც იქნებაო“.

ამგვარად, ამერიგოცა და ფინეოც შეთანხმდნენ და წავიდნენ იქ, სადაც ტეოდორო სიკვდილს ელოდებოდა. ამას ძალიან გაეხარდა, რომ მამა გამოუჩნდა. მერე ჰკითხეს — რას იტყვი ამ საქმის გამოო? ტეოდორომ რომ გაიგო, თუ მე თანახმა გავხდი, ვიოლანტე ჩემი ცოლი იქნებაო, სიხარულისაგან ისეთი ცათაფრენა შეუდგა, რომ ეგონა ჯოჯოხეთიდან პირდაპირ სამოთხეში გადამახტუნესო და უთხრა: თუკი ორივეს ნება იქნება, რომ შევირთო,

ჩემს თავს უზომოდ ბედნიერად ჩავთვლიო.

ახლა კაცი ქალთან გაგზავნეს და ჰკითხეს: შენ რაღას იტყვიო? ქალმა რომ გაიგო, რაც დღე გადახდა ტეოდოროს ან რა მოელოდა, თუმცა აქამდე მეტად უბედურ ქალადა სთვლიდა თავის თავს, რადგან სიკვდილის მოლოდინში იყო, ახლა, ცოტა არ იყოს, დაიჯერა, რაც უთხრეს, ცოტათი გამხიარულდა და უპასუხა: მე რომ ჩემს სურვილზე გამატარებდნენ და ნებას მომცემდნენ ტეოდოროს გავყვე, ჩემისთანა ბედნიერი ცის ქვეშ ძეხორციელი არ იქნება, მაგრამ მაინც მამის სურვილის გადასულს ვერას ვიზამო.

ამნაირად, ურთიერთის თანხმობით ტეოდორო ვიოლანტეზე დანიშნეს და მთელ მოქალაქეთა გულის გასახარელად მშვენიერი ნადიმი გადაიხადეს. ახალგაზრდა ქალმა მოიკეთა, თავისი ბავშვი ძიძას მისცა აღსაზრდელად და თვითონ წინანდელზე უმეტესად დამშვენდა.

მოლოგინების შემდეგ ქალი ფინეოსთან მივიდა, რომელიც, ის იყო, დაბრუნდა რომიდან და ისე მოუალერსა, როგორც საკუთარ მამას. ფინეოს ძალიან გაეხარდა, რომ ასეთი მშვენიერი რძალი შეხვდა და დიდის ამბითა და მხიარულებით გადაიხადა მათი ქორწილი; ვიოლანტე, როგორც თავისი საკუთარი ქალი, ისე მიიჩნია და ასეთადაც მიაჩნდა ბოლომდე.

რამდენიმე დღის შემდეგ თავისი შვილი, რძალი და შვილიშვილი ხომალდში ჩაისვა და ლაიაცოში წაიყვანა, სადაც მოყვარული ცოლ-ქმარი სიკვდილამდე მშვიდობიანად და წყნარად ცხოვრობდნენ.

ამბავი მეცხრე. შავარდენი

ფედერიგო დელი ალბერიგი ქალის სიყვარულით იწვის, ქალს კი არ უყვარს. არშიყობაში ქალს მთელი თავისი ქონება გადააგო და გაღარიბდა. ერთი შავარდენიღა დარჩა. თავის საგრეფოს შეუწვა და სადილად მიართვა, როცა ქალი მასთან სახლში მივიდა. საგრეფომ ეს რომ გაიგო, გუნება გამოეცვალა, ცოლად გაჰყვა ფედერიგოს და გაამდიდრა.

ფილომენა ლაპარაკს რომ მორჩა, დედოფალმა, რაკი დაინახა, უთქმელი არავინ დარჩენილაო, დიონეოს გარდა, რომელიც განთავისუფლებული იყო ამბის თქმისაგან, მხიარულადა თქვა: ახლა ჩემი ჯერია, გენაცვალეთ, ქალებო, და დიდის სიამოვნებითაც გიამბობთ ერთ ამბავს, რომელიც ცოტათი წინათ მოთხრობილ ამბავს მოჰგავს. ამ ამბიდან თქვენ გაიგებთ არა მარტო იმას, თუ რა გავლენა აქვს თქვენს სილამაზეს მგრძნობიარე გულის პატრონ ადამიანებზე, არამედ ისწავლით, თუ როგორ უნდა გაუბოძოთ ხოლმე, როცა ეს საჭირო იქნება, საჩუქრები და არ უყუროთ ხოლმე ბედ— იღბალს, რომელიც ადამიანთ

ასაჩუქრებს გაურჩევლად და ხშირად დაუმსახურებლადაც.

თქვენ, ალბათ, გეცოდინებათ, რომ კოპო დი ბორგეზე დომენიკო ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა, და შეიძლება, დღესაც აქ იყოს. ეს იყო კაცი, ჩვენს დროში ყველასაგან პატივცემული და მეტად გავლენიანი, და ეს ღირსება იმდენად თავის კეთილშობილი გვარიშვილობით არა ჰქონდა შეძენილი, რამდენადაც თავისი საუცხოო ხასიათითა და სათნოებით. ჰოდა, ამ ყველასაგან საყვარელ და საუკუნო ქება-დიდების ღირს ადამიანს, უკვე მხცოვანს, მეტად უყვარდა თავის მეზობლებისა და სხვა თანამესაუბრეთათვის გარდასულ ჟამთა ამბების მბობა. მისებრ კარგად, დალაგებით და ენაწყლიანად არავინ იცოდა რისამე მბობა, და ამასთან, საუცხოო მეხსიერებაც ჰქონდა.

სხვა მშვენიერ ამბავთა შორის მეტად უყვარდა მბობა ერთი ყმაწვილი კაცის თავგადასავლისა. ეს იყო ფედერიგო, ბატონ ფილიპო ალბერიგის შვილი. ფედერიგო ტოსკანაში კეთილშობილ ყმაწვილთა შორის ყველაზე მამაცი და ყველაზე მეტად ნატიფად ზრდილი იყო. როგორც ეს კეთილშობილ ოჯახის შვილებს ემართებათ ხოლმე, ფედერიგოსაც შეუყვარდა ერთი ლამაზი, დიდი ოჯახის ქალბატონი, მონნა ჯოვანა. თავის დროზე ფლორენციაში მონნა ჯოვანა ერთ ულამაზეს და მომხიბვლელ ქალად ითვლებოდა.

ფედერიგო მონნა ჯოვანას გულის მოსაგებად მონაწილეობას ღებულობდა ტურნირებზე, სხვადასხვა სამხედრო გასართობებს ესწრებოდა, მართავდა ხოლმე ნადიმებს, საბოძვარებს მიართმევდა და მთელ თავის ქონებას ბედასლად ანიავებდა. მაგრამ ქალს სილამაზესთან ერთად სათნოებაც დიდი არ ჰქონდა და აინუნში არ აგდებდა არც იმას, რასაც იმისათვის შვრებოდნენ და აღარც იმას, ვინც ამასა შვრებოდა.

რადგან ფედერიგო უფრო მეტსა ხარჯავდა, ვიდრე შემოსდიოდა, და, გარდა ამისა, რადგან თვითონაც არაფერს იძენდა, როგორც ეს ხშირად ხდება, ქონება ხელიდან გამოეცალა და გაღარიბდა; დარჩა მხოლოდ ერთი პატარა მამული, რომლის შემოსავალი ძლივსა ჰყოფნიდა საცხოვრებლად. ჰყავდა აგრეთვე ერთი შავარდენიცა და, უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი კარგი შავარდენი მეორე არ მოიძებნებოდა. ქალისადმი სიყვარული უმეტესად გაუცხოველდა, მაგრამ რადგან ქალაქში ისე არ შეეძლო ეცხოვრა, როგორც უნდოდა, გადავიდა კამპიში, სადაც თავისი პატარა მამული ჰქონდა. აქ, როცა შეეძლო, შავარდენით ნადირობდა, არავის ეკარებოდა და მოთმინებით თავის სიღარიბეს უძლებდა.

ერთხელ, როცა ფედერიგო უკანასკნელ დღეში იყო, მონნა ჯოვანას ქმარი ავად გახდა. რომ დაინახა, სიკვდილი მოახლოებულიაო, ანდერძი დასწერა. რადგან ძალიან მდიდარი იყო, თავისი ქონების მემკვიდრედ თავისი უკვე მოზრდილი ვაჟი დატოვა და რაკი მონნა ჯოვანა ძალიან უყვარდა, ისიც დაუმატა, რომ, თუ ვინიცობაა, ჩემი ვაჟი ისე მოკვდეს, რომ

კანონიერი მემკვიდრე არ დარჩეს, მთელი ქონება ჩემ ცოლზე უნდა გადავიდესო. ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, ისე გარდაიცვალა კიდეცა.

ამგვარად, მონნა ჯოვანა დაქვრივდა. ჩვენი ქალების ჩვეულებისამებრ, ზაფხულში შვილიანად სოფლად წავიდა, რომ დრო გაეტარებინა ერთ-ერთ თავის მამულში, რომელიც ფედერიგოს მამულის გვერდით იყო. აქ მონნა ჯოვანას შვილი ფედერიგოს დაუმეგობრდა და ძალიან გაიტაცა შავარდნითა და ძაღლებით ნადირობამ. რამდენჯერ უყურებია, როგორა ფრენდა ფედერიგოს შავარდენი და ისე მოსწონდა ეს ფრინველი, რომ ძალზე მოუნდა თავისი საკუთრება ყოფილიყო. მაგრამ ფედერიგოს ვერ უბედავდა თხოვნას, რადგან ხედავდა, რომ პატრონს თავს ერჩივნა. შავარდნის სიყვარულით ყმაწვილი დადარდიანდა და ბოლოს ლოგინად ჩავარდა. დედა ძალიან დარდობდა მის ავადმყოფობას, რადგან სხვა ძე არ ესვა და თავს დაჰკანკალებდა. მთელის დღეობით ავადმყოფის ლოგინს აღარ შორდებოდა, გულს უკეთებდა, ნუ გეშინია, მალე მორჩებიო და ეკითხებოდა: ხომ არაფერი გინდა, შვილო, გენაცვალოს დედა, და თუ გინდა, მითხარი, რა გინდა და თავს არ დავზოგავ როგორმე გიშოვნოო.

ბავშვმა არაერთხელ გაიგონა ასეთი ლაპარაკი დედისაგან და ბოლოს უთხრა: დედიკო, თუ ფედერიგოს შავარდენს მიშოვნი, მაშინვე მოვრჩებიო. დედამ ეს რომ გაიგონა, ცოტა შეყოყმანდა და დაიწყო ფიქრი, აბა როგორ ვუშველო საქმესაო. კარგად იცოდა, ფედერიგოს ვუყვარვარო, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მისთვის ერთხელაც არ შემიხედია თანაგრძნობის თვალითა და ამიტომ თავის თავს ასე უთხრა: „სხვა პირით ან მე პირადად რა პირით უნდა ვთხოვო შავარდენი? როგორც ამბობენ, საუცხოო ფრინველი რამაა და, გარდა ამისა, ეს შავარდენი მისი მარჩენალიც არისო. ჯერ არც ისე გადამწყვეტია ნამუსი, რომ კეთილშობილ ადამიანს, რომლის უკანასკნელი ნუგეში და გასართობი ეს შავარდენიღაა, მივიდე და ვუთხრა — მომეცი-მეთქი“!

ძალიან დაუფიქრდა ჯოვანა, თუმცა დარწმუნებული იყო — რომ ვთხოვო, არ დამიჭერსო. შვილისათვის კი არ იცოდა, რა ეთქვა და ჩუმად იჯდა. ბოლოს, შვილის სიყვარულმა სძლია და გადაწყვიტა, რადაც უნდა დამიჯდეს, სურვილს ავუსრულებო, თან კი არ შევუთვლი, მე თვითონ წავალ ჩემის ფეხით და მოვიყვანო. მერე შვილს უთხრა: „ჩემო შვილო, ნუ გეშინია, შენ ეცადე, როგორმე კარგად გავხდე და მე კი ხვალ დილას ავდგები თუ არა, მაშინვე წავალ და მოგიყვან შენს შავარდენს, ჰო, შენმა გახარებამა“.

ყმაწვილს დედის დაპირება ძალიან გაეხარდა და იმავე დღეს უკეთობა დაეტყო. მეორე დილას ჯოვანამ ერთი სხვა ქალი გაიყოლია, ვითომ გასასეირნებლად, მივიდა ფედერიგოს პატარა სახლთან და გარეთ გამოაძახებინა. რადგან არც ამ დღეს და არც წინა დღეებშიც შავარდნით ნადირობის დარი ხელს არ უწყობდა, ფედერიგო თავის ბოსტანში ცოტ-ცოტა

საქმეებს რასმე აკეთებდა. რომ გაიგონა, მონნა ჯოვანა კარებთან დგას და მეძახისო, ძალიან გაუკვირდა და გახარებული მისკენ გაექანა. ჯოვანა, რომ დაინახა, ფედერიგო ჩემსკენ მოდისო, წამოდგა, ქალური ალერსიანობით მისკენ გამოემართა და როცა ფედერიგო მოწიწებით მიესალმა, უთხრა: „მშვიდობა შენს ნახვას.

ფედერიგო! — და დასძინა: — მე მოველი იმისთვის, რომ აგინაზღაურო ის ზარალი, რაც ჩემი გულისთვის მოგივიდა; რადგან იმაზე მეტად გიყვარდი, ვიდრე საჭირო იყო, ჩემი ანაზღაურება ის იქნება, რომ განზრახვა მაქვს, დღეს ამ ჩემ მეგობარ ქალთან ერთად შინაურულად ვისადილო შენს სახლში“. ამაზე ფედერიგომ მოკრძალებით მოახსენა:

„მადონა, მე არ მახსოვს, რომ თქვენ ჩემთვის ზარალი რამე ოდესმე მოგეყენებინოთ. პირიქით, თქვენგან სიკეთის მეტი არა მაგონდება რა და მე თუკი ფასი რამ მქონდა, მქონდა თქვენი სათნოებისა და ჩემი თქვენდამი სიყვარულის გამო და, რა თქმა უნდა, თქვენ რომ ახლა ჩემთან მოსვლა იკადრეთ, ჩემთვის დაუფასებელია. თქვენს ქცევას ახლა უფრო მეტად ვაფასებ, ვიდრე დავაფასებდი მაშინ, როდესაც საშუალება მექნებოდა იმდენივე მეხარჯა, რამდენსაც წინათ ვხარჯავდი; ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თქვენ თვითონ თქვენი ბედნიერების თვალითა ხედავთ — ღარიბ მასპინძელთანა ბრძანდებით მოსული“. ეს უთხრა ფედერიგომ და ძალზე დარცხვენილმა თავის სახლში შეიწვია და იქიდან ბაღში შეუძღვა, და რადგან აქ არავინ იყო ისეთი, რომ ჯოვანა გაერთო, ფედერიგომ უთხრა: „მადონა, რადგან აქ სხვა არავინა მყავს სათქვენო, ჯერჯერობით ეს გლეხის დედაკაცი დარჩება თქვენთან, მე კი განკარგულებას გავცემ სუფრა გაშალონ“.

მართალია, ფედერიგო ისე გაღარიბდა, რომ ნატისუსალი არ აუვიდოდა, მაგრამ კარგად დღესაც არა ჰქონდა წარმოდგენილი, რომ თავისი ქონება სრულებით არ ეზოგებოდა და წინდაუხედავად ანიავებდა. მაგრამ ამ დილას ღვთის განაჩენი არაფერი მოეპოვებოდა, რომ პატივი ეცა ქალისთვის, რომლის გულისთვის წინათ არავისა ტოვებდა პატივუცემელს და დაუპატიჟებელს. და, აბა, სწორედ ახლა იგრძნო მთელი სიმწვავე თავისი სიღარიბისა. საშინლად ეწვალებოდა, სწყევლიდა თავისი განჩენის დღესა, იქით— აქეთ აწყდებოდა, არ ეტიალა არც ფული და აღარც ნივთი რამ დასაგირავებელი. უკვე დაგვიანებულიც იყო და უნდოდა — და მერე როგორ უნდოდა! — პატივი ეცა ქალისთვის, მაგრამ თანაც არ უნდოდა არამც თუ გარეშესათვის, არამედ თავის მოჯამაგირე გლეხისთვისაც გაენდო თავისი დარდი და ეთხოვნა შველა.

ამ დროს თვალი მოჰკრა თავის საყვარელ შავარდენს, მის პატარა დარბაზში ხარიხაზე რომ იყო ჩამომჯდარი; რაკი სხვა გზა აღარა ჰქონდა, ჩამოიყვანა შავარდენი, რომ გასინჯა და მსუქნად ეჩვენა, იფიქრა, აი ჩემი სატრფოს შესაფერი საჭმელი თუ გინდა, ეს არისო. ბევრი არც კი უფიქრია, კისერი მოუგრიხა და მოსამსახურე ქალს მისცა, ჩქარა გაბტკვენი,

გამოსწელე, შამფურზე წამოაგე და კარგად შემიწვიო. მერე თოვლივით თეთრი სუფრა გაშალა, ზედაც თეთრივე ხელსახოცები დაალაგა, რადგან ესენი კიდევ შერჩენოდა როგორღაც, მერე მხიარული სახით მიბრუნდა ქალისაკენ, ბაღში რომ დატოვა, და მოახსენა: „მობრძანდით სადილად, მხოლოდ წინდაწინვე გთხოვთ მაპატიოთ, რომ ასეთ მცირე სადილს უნდა დაგაჯეროთო. ჯოვანა და მისი მხლებელი ქალი მაშინვე წამოდგნენ და სუფრისაკენ გაემართნენ. მოუსხდნენ სუფრას და შეუდგნენ ჭამას. ფედერიგო სტუმართმოყვრულად ემსახურებოდა, ხოლო იმათ არც კი იცოდნენ, თუ რასა სჭამდნენ, ისე გაათავეს ფედერიგოს ძვირფასი შავარდენი.

წამოიშალნენ სუფრიდან. ერთხანს ერთად ტკბილად ისაუბრეს. ბოლოს ჯოვანამ თქვა გულში: ახლა კი დროა, ვუთხრა ფედერიგოს, თუ რისთვის მოვედიო, და ასე დაიწყო: ფედერიგო, თუ მოიგონებ შენს წასულ ცხოვრებას, თუ მოიგონებ, თუ რარიგ ვცდილობდი ჩემი ნამუსი და პატიოსნება დამეცვა, თუ მოიგონებ აგრეთვე იმასაც, რომ ჩემი ასეთი სურვილი ჩემის მხრით შენ სასტიკად და გულქვაობად მიგაჩნდა, დარწმუნებული ვარ, გაგიკვირდება ჩემი სითამამე, როცა გაიგებ, თუ უმთავრესად რისთვის მოველ შენთან. მაგრამ შენ რომ შვილები გყოლოდა და ამიტომ გცოდნოდა, თუ რა ძლიერია მათდამი მშობლის სიყვარული, დარწმუნებული ვარ, ჩემს კადნიერებას ნაწილობრივად მაინც მაპატიებდი. მაგრამ რადგან შენ არა გყავს, ხოლო მე კი მყავს ერთი შვილი და, მაშასადამე, არ შეიძლება არ დავემორჩილო საერთოდ ყველა დედისათვის არსებულ კანონებს, დედობრივ გრძნობას ვემონები, თუმცა ეს წინააღმდეგია ჩემი სურვილისა, წინააღმდეგია ყოველი ზრდილობისა და მოვალეობისა და ერთ რასმე გთხოვ, რომელიც ვიცი, თავს გირჩევნია (და ეს ადვილი გასაგებიცაა, რადგან უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილს არ დაგრჩენია სხვა არავითარი სიამოვნება, სხვა არავითარი ნუგეში, სხვა არავითარი გულის გადასაყოლებელი). ეს სათხოვარი — შენი შავარდენია. ჩემს ბავშვს ისე შეუყვარდა ეს ფრინველი, რომ თუ არ მივუყვანე, მეშინია, უარესად არ შეიქნეს, ცეცხლი არ მომეკიდოს და სრულებით ხელიდან არ გამომეცალოს. ამიტომ გეხვეწები არა იმ სიყვარულისათვის, რომელსაც შენ ჩემდამი გულში ატარებ და რომლის გამო შენ სრულებით არა ხარ მოვალე მე მომხედო, არამედ გეხვეწები, როგორც კეთილშობილ ადამიანს, რომელსაც ეს კეთილშობილება ყველაზე მეტი გაქვს და ეს შენ შენი გულუხვობითაც დაამტკიცე, ჰო, გემუდარები, მაჩუქე ეს შავარდენი, რათა შემეძლოს იმის თქმა, რომ შენი საჩუქრის წყალობით ჩემი შვილი სიკვდილს გადავარჩინე და ამიტომ საუკუნოთ ვიქნე შენგან დავალებული“.

ფედერიგომ რომ გაიგო, რასაცა სთხოვდა ქალი და რაკი გრძნობდა, რომ თხოვნის ასრულება არ შეეძლო, რადგან სადილად სუფრაზე მიართვა, მის წინ ტირილი აუტყდა და პასუხად ვერაფერის თქმა მოახერხა. ქალს ეგონა, იმიტომა სტირის, რომ პირდაპირ ესიკვდილება თავისი საყვარელი შავარდნის მოშორებაო, ტირილის მიზეზი გარეშე ამისა

არაფერი ექნებაო და უკვე მზად იყო, უარი ეთქვა თავის თხოვნაზე. მაგრამ თავი შეიკავა და დაუწყო ლოდინი ფედერიგოს პასუხს. ფედერიგომ ტირილით გული რომ იჯერა, ასე უთხრა: „მადონა, მას შემდეგ, რაც ღვთის ნებით სიყვარულის საგნად თქვენ გაგიხადეთ, ასე მეჩვენებოდა, რომ უბედო ბედი ბევრ რამეში მტრულად მეკიდებოდა და მეც ვემდუროდი; მაგრამ ამ ბედის რისხვა ანგარიშში ჩასაგდებიც არ არის იმასთან შედარებით, რასაც იგი ახლა მიშვრება და რასაც ჩემ დღეში ვერ შევურიგდები. რადგან თქვენს ჩემს ღარიბულ ქოხში მობრძანება იკადრეთ, სადაც თქვენ ერთხელაც არ მობრძანებულხართ, სანამ ეს ქოხი მდიდრული იყო, და სულ უბრალო რასმე მთხოვთ და მუხთალმა ბედმა კი ასე მომინყო საქმე, რომ ვერ შემიძლია ამ თქვენი თხოვნის ასრულება. როცა გავიგე, რომ თქვენ ჩემთვის პატივისცემა განგიზრახავთ და გინებებიათ ჩემთან სადილის მირთმევა, მე ჩემს მოვალეობად ჩავთვალე თქვენისთანა კეთილშობილსა და ღირსებით შემკულ არსებას შესაფერისად გაგმასპინძლებოდით და, რაც შეიძლებოდა, უფრო ძვირფასი საჭმელი მომერთმია, ვიდრე სხვებს მიართმევენ ხოლმე. ამ დროს მომაგონდა სწორედ ის შავარდენი, რომელსაც ახლა მთხოვთ, და მისი ღირსებები, და ვთქვი, აბა სწორედ ეს შავარდენი იქნება მაგათი საკადრისი საჭმელი-მეთქი. მეც ავდექი და ამ დილას შევაწვევინე და პინაკით მოგართვეს სადილად. მე მგონია, საუკეთესოდაც გამოვიყენე ჩემი შავარდენი, მაგრამ ახლა ვხედავ მე უანაწერო, რომ ჩემი შავარდენი სულ სხვა სახით გნებებიათ და მე კი არ შემიძლია გაამოთ და ამიტომ ასე მგონია, ჩემს სიცოცხლეში ეს მექნება სადარდელად-მეთქი“.

ეს რომ თქვა ფედერიგომ, თავის ნათქვამის დასამტკიცებლად წინ დაულაგა ქალს შავარდნის ფრთები, ნისკარტი და ფეხები. ქალმა ეს რომ დაინახა და გაიგონა, ჯერ საყვედური უთხრა ფედერიგოს: — აქაო და ქალს უნდა ვაჭამოო, შე კაი კაცო, რა გულმა გიქნა, ასეთი მშვენიერი შავარდენი დასაკლავად როგორ გაიმეტეო?! მაგრამ მერე თავის გულში აქო ფედერიგოს კეთილშობილება, რომელსაც ვერც ახლა და ვერც წინათ ვერაფერი დააკლო სიღარიბემა. ამგვარად, ხელი აიღო იმედზე, რომ შავარდენს იშოვიდა და ამასთან საეჭვოდ გაუხდა შვილის მორჩენის საქმეც, გამოეშშვიდობა ფედერიგოს და შვილთან დაბრუნდა.

შავარდენი რომ არ მიჰგვარეს, ბავშვმა იდარდა და არავინ იცის, ამ დარდისაგან იყო თუ ავადმყოფობას ვეღარ გაუძლო, მაგრამ ის კია, ასე იყო თუ ისე, სულ რამდენიმე დღეში სააქაოს გამოეთხოვა და თავისი დედა დაამგლოვიარა.

ქვრივი ჯოვანა თავის შვილზე ერთხანს მწარე ცრემლსა ღვრიდა და მგლოვიარედ იყო, მაგრამ რადგან დიდი სიმდიდრე დარჩა და თან ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ძმები ძალას ატანდნენ, გათხოვდიო. თვითონ მაინცდამაინც არ უნდოდა გათხოვება, მაგრამ ძმები აღარ ეშვებოდნენ. ამ დროს მოაგონდა ფედერიგოს ღირსებები და უკანასკნელი მაგალითი მისი გულუხვობისა, სახელდობრ ისა, რომ ქალის პატივსაცემად ისეთ საუცხოო შავარდენს შეელია,

და ძმებს უთხრა: „მე დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი ქვრივად, თქვენ რომ არაფერს მეტყოდეთ; მაგრამ რაკი უეჭველად გინდათ გავთხოვდე, თუ გავთხოვდი, მხოლოდ და მხოლოდ ფედერიგო დელი ალბერიგის გავყვები“.

ამაზე ძმებს გაეცინათ და ასე უთხრეს: „ნეტავ ვიცოდეთ, რა სისულელეს ამბობ! ქალო, ხომ არ გაგიჟდი! არა, როგორ უნდა გაჰყვე ისეთ ადამიანს, რომელსაც სულს იქით ღვთის განაჩენი არაფერი აბადია?!“ ამაზე ქალმა უპასუხა: „ჩემო ძვირფასნო, კარგად ვიცი, რომ სრულ სიმართლეს ამბობთ, მაგრამ მე მირჩევნია ქმარი, რომელსაც სიმდიდრე სჭირია, ვიდრე სიმდიდრე, რომელსაც ქმარი სჭირია“.

ძმებმა დის განზრახვა რომ გაიგეს, არ აუხირდნენ, მით უფრო რომ ფედერიგო, თუმცა ღარიბი იყო, მაგრამ ისე ყოვლად ღირსეულ ადამიანად მიაჩნდათ. ამიტომ ქალის სურვილზე გაიარეს, მიათხოვეს ფედერიგოს და მთელი მისი ქონებაც გაატანეს.

ფედერიგომ, ამგვარად, ჯვარი დაიწერა ჯოვანაზე, რომელიც ესოდენ უყვარდა. რაკი თან საშინლად გამდიდრდა, წინანდელზე უფრო ხელმოჭერით დაიწყო ცხოვრება და თავის ცოლთან ტკბილად და მხიარულად განვლო დღენი თვისნი.

ამბავი მეათე. მოცყუებული და ნუგეშცემული ქმარი

პიეტრო და ვინჩოლო ვახშმად სხვაგან მიდის; ამ დროს მისი ცოლი ერთ ახალგაზრდა ყმაწვილს დაიბარებს; პიეტრო შინა ბრუნდება; ქალი საყვარელს კრუხის კალათის ქვეშ დამალავს. პიეტრო უამბობს ცოლს: ერკოლანოს სახლში ვიყავ ვახშმად და მის ცოლს თავისი საყვარელი დაემალაო. პიეტროს ცოლმა გალანძღა ორგული ცოლი ერკოლანოსი. მისდა საუბედუროდ, ამ დროს სახედარმა თითზე ფეხი დაადგა კალათის ქვეშ დამალულს; ყმაწვილმა კაცმა დაიყვირა; პიეტრომ მიირბინა, დაინახა საყვარელი და გაიგო ცოლის ღალატი; მაგრამ, როგორც ლაჩარი, ბოლოს შეურიგდება და მასთან თანხმობით ცხოვრებას განაგრძობს.

როცა დედოფალმა ბოლომდე ჩაათავა თავისი ამბავი, დამსწრეთ მადლობა შესწირეს უფალს, რომ ღირსეულად დაუჯილდოებია ფედერიგოო. ამ დროს წამოდგა დიონეო, რომელიც თავის დღეში არ უცდიდა ბრძანებას, და დაიწყო: — მე თვითონ არ ვიცი, რა ვუწოდო იმას, რომ სხვების ცუდი საქციელი უფრო გვიხარის, ვიდრე კარგი, განსაკუთრებით, თუ მათი ცუდი საქციელი ჩვენ არ შეგვეხება; ნეტავ ვიცოდე, რა არის ეს: შემთხვევითი ნაკლი, როგორც შედეგი ადამიანთა ზნეგაფუჭებულობისა, თუ დაბადებითვე თანდაყოლილი ბიწიერება? და რადგან შრომას, რომელიც მე წინათ მიტვირთნია, და ახლაც მზადა ვარ

გავწიო, მხოლოდ და მხოლოდ მიზნად დასახული აქვს — გაგიფანტოთ ნაღველი, გაგამხიარულოთ და გაგაცინოთ, თუმცა ჩემი საამბობი, ცოტა არ იყოს, უკაცრაულია, მაინც გიამბობთ, ჩემო შეყვარებულო ქალებო, იმიტომ რომ მის მოსმენაზე გაერთობით. თქვენ კი, როცა ყურს დამიგდებთ, ისე მოიქეცით, როგორც მოიქცევით ხოლმე ბაღში შესვლის დროს, ე. ი. თქვენს ნაზ ხელებს გაიშვერთ და მოწყვეტთ ვარდს და ეკალს კი იქვე დატოვებთ: ამ შემთხვევაშიაც ასე ჰქენით: ზიზღის ღირსი ადამიანი მის უბედურებასა და სახელის გატეხილობასთან ერთად უყურადღებოდ დატოვეთ, მხიარულად გაიცინეთ მისი ცოლის საარშიყო თავგადასავალზე და ამავე დროს, საცა საჭირო იქნება, შეიბრალეთ განწირულებაში მყოფი მოყვასი.

მას აქეთ დიდი ხანი არ არის, პერუჯიაში ერთი მდიდარი კაცი ცხოვრობდა, პიეტრო დ ვინჩოლო, რომელმაც, შეიძლება უფრო იმიტომ, რომ სხვები მოეტყუებინა და გაექარწყლებინა ის აზრი, მაგაზე საერთოდ პერუჯიელთ რომ ჰქონდათ შემდგარი, ვიდრე თავის სურვილით, ცოლი შეირთო. ბედმა ამ შემთხვევაში სწორედ თავისი გემოს ქალი შეახვედრა: ახალგაზრდა, ჩასუქებული, მწითური და ვნებიანი. ქალს ორი ქმარი ენატრებოდა და ბედმა კი მხოლოდ ერთი არგუნა და ისიც სხვა რამეზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე ცოლის სიამოვნებაზე. ცოტა ხანს შემდეგ ქალმა ეს შენიშნა. ქალმა ისიც იცოდა, რომ თავად ლამაზი და ნორჩი იყო, ღონიერი და ჯანსაღი, ამიტომ ჯერ წყრომა დაუწყო ქმარსა, ხანდახან სალანძღავ სიტყვებსაც კი აკადრებდა, ასე რომ თანხმობით და სიყვარულით იშვიათად ცხოვრობდა. ბოლოს, რაკი ხედავდა, რომ ეს ჩხუბი და უთანხმოება მხოლოდ მას ავნებდა და დააჭკნობდა, ხოლო თავის უღირს ქმარს მაინც ვერ გამოაკეთებდა, გადაწყვიტა შური ექია მისი გულგრილობისთვის და თავის თავს უთხრა:

„რაკი ჩემი უბედური ქმარი თავის მოვალეობას ვერ ასრულებს და ახალგაზრდასა და ძალ-ღონით სავსე ქალს ასე უნუგეშოდ მაგდებს, ჩემის მხრით სამართლიანი იქნება, თუ მოვახერხე და ვინმე ახალგაზრდა საყვარელი გავიჩინე და ავინაზღაურე ის სიამოვნება, რომელიც ქმრის ხელში მაკლია. მე ცოლად გამოვყევი და კარგი მზითევიც იმიტომ მოვუტანე, რომ მამაკაცად მიმაჩნდა და მეგონა, მასაც ისევე უყვარდა ის, რაც უყვართ და უნდა უყვარდეთ კიდეცა მამაკაცებს; და რომ მცოდნოდა — კაცობა აკლდა, ღმერთი როგორ გამიწყრებოდა და იმას როგორ მივთხოვდებოდი!.. იმან ხომ იცოდა, რომ ქალი ვიყავ, მაშ რად შემირთო ცოლად, თუკი ქალები ასე ეჯავრებოდა?.. არა, ამის მოთმენა არ შემიძლია. მე რომ ამ სოფლად ცხოვრება და სააქაო სიამოვნება არ მდომოდა, მოლოზნად შევდგებოდი სადმე მონასტერში; მაგრამ მე ჯერ ხელი არ ამიღია სააქაო ცხოვრებაზე და ამიტომ არც მინდა მოვიკლო სიამოვნება. და თუ იმას ველოდე, აცა, ჩემი ქმარი როდის დამატკბობს-მეთქი, ტყუილი ლოდინიღა შემრჩება ხელში და ამასობაში სიბერეც შემომეპარება. რომ დავბერდები, თავს მოვიფხან, მაგრამ უკვე გვიანღა იქნება, დავიწყებ წუწუნს, — ვაიმე, ცუდ-

უბრალოდ დაკარგულო ახალგაზრდობავ-მეთქი, მაგრამ წუწუნით საქმეს ვერ ვუშველი. ცხადია, ჩემს თავს უნდა მივანიჭო სიამე, უნდა ვცე ნუგეში და ამის საუკეთესო მასწავლებელი და მაგალითის მომცემი თვითონაა; მე უნდა დავტკბე იმითი, რითაც თვითონ სტკბება ხოლმე. ასეთი სიამოვნება ჩემთვის საქებური იქნება, ხოლო მისთვის მეტად სააუგო. ჩემი საქციელი წინააღმდეგი იქნება მხოლოდ ადამიანის მიერ შექმნილი კანონებისა, ხოლო მისი საქციელი წინააღმდეგი იქნება როგორც ამ კანონებისა, ისე ბუნებისაც“.

ცოლს არაერთხელ გაუელვა თავში ასეთმა ფიქრმა და იმასღა ცდილობდა, როგორმე საიდუმლოდ განეხორციელებინა თავისი განზრახვა. ამისთვის მიმართა ერთ ბებერ მაჭანკალს, რომელიც გარეგნობით წმინდა ვერდიანასა ჰგავდა, გველების დამპურებელს. ამ ბებერს ერთთავად კრიალოსანი ჰქონდა მაჯაზე გაკეთებული და ეკლესიაში არც ერთ განტევებას არ გამოტოვებდა და სულ წმიდანების ცხოვრება ეკერა პირზე, ან წმ. ფრანცისკოს იარების ამბავი, ასე რომ, ყველანი წმიდანადა სთვლიდნენ. ქალმა დრო შეურჩია და თავისი განზრახვა ამ ბებერს გაანდო. ამაზე ბებერმა უთხრა: „ჩემო შვილო, ღმერთმა, რომელმაც უწყის ყოველივე, უწყის ისიცა, რომ შენ კარგად მოიქცევი; შენ ეს მიზეზიც რომ არა გქონოდა, მაინც უნდა მოქცეულიყავი ისევე, როგორც ყველა სხვა ახალგაზრდა ქალი მოიქცეოდა, ესე იგი, მოგეხმარა შენი ახალგაზრდობა, რადგან გონიერი ადამიანისათვის ისე სამწუხარო და სანაღვლო არა არის რა, როგორც შეგნება იმისა, რომ თავისი დღენი უნაყოფოდა აქვს განვლილი. რა ეშმაკად ვვარგივართ, როცა დავბერდებით! კერის პირას ნაცრის საქექად თუღა გამოვდგებით! თუკი ვინმე არის ქვეყანაზე, რომ ეს იცოდეს ან შეეძლოს დამოწმება, რომ ეს ასე არის, შემიძლია თამამადა ვთქვა — მე ვარ ასეთი-მეთქი. და ახლა, როცა უკვე დავბერდი, გული მიკვდება და ბოღმა მახრჩობს, როს მოვიგონებ, თუ რამდენი დრო დავღუპე ტყუილ-უბრალოდ; მერე სულერთია, ვინაღვლებ, თუ არ ვინაღვლებ, სარგებლობას მაინც ვერასა ვხედავ. მართალია ისიც, რომ ჩემი დრო სავსებით არ დამიკარგავს ტყუილუბრალოდ (არ მინდა მე ასეთ ბრიყვად მიმიჩნიო), მაგრამ მაინც იმდენი არ გამიკეთებია, რამდენის გაკეთებაც შემეძლო. და როს დავფიქრდები, რომ ახლა, როცა ისეთად გადავიქეცი, როგორსაც მხედავ, არავინ გამოჩნდება ისეთი, რომ მოვიდეს ჩემთან და თავის ალერსით გამაძღოს. ჰო, ამას რომ დავუფიქრდები, მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის, როგორ შემომაწვება დარდი გულზე! მამაკაცებს ასე არ ემართებათ, ამათ ბუნებით უმეტესად ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ, არა მხოლოდ ამისი, და უმეტესწილად მოხუც მამაკაცებს ყოველივე ახალგაზრდებზე მეტად ემარჯვებათ; ხოლო ქალები მარტო ამისათვის ვარგანან, აგრეთვე იმისთვისაც, რომ შვილები გააჩინონ, და სწორედ იმიტომაც აფასებენ ქალებს. თუ ამაში შენ სხვა საბუთებმა არ დაგარწმუნა, მაშინ შემდეგმა საბუთმა მაინც უნდა დაგარწმუნოს: ჩვენ ყოველთვის მზადა ვართ ამისათვის და მამაკაცები კი არა; გარდა ამისა, ერთ ქალს შეუძლია არაქათი გამოულიოს რამდენიმე მამაკაცს, იმ დროს როცა რამდენიმე მამაკაცს არ შეუძლია მოღალოს ერთი დედაკაცი; და რადგან ჩვენ მისთვის ვართ ხოლმე გაჩენილი,

გიმეორებ, ძალიან კარგად მოიქცევი, თუ შენს ქმარს ამავე საწყაოთი მიუწყავ. ასე რომ, სიბერის ჟამს შენს სულს სასაყვედურო არაფერი ექნება შენს ხორცთან. ამქვეყნად ყველა სარგებლობს იმით, რაც ხელში მოხვდება. და განსაკუთრებით ქალებზე ითქმის ესა, რომელნიც მამაკაცებზე უფრო მეტად უნდა ცდილობდნენ ისარგებლონ მარჯვე შემთხვევით, როცა კი ასეთი შეხვდებათ. მე მგონი, შენც კარგად იცი, როცა დავბერდებით, არც ქმარი და არც სხვა ვინმე ზედაც არ შემოგვხედავენ და უმალ სამზარეულოში გაგვიძახებენ, რომ იქ კატას ზღაპრები ვუამბოთ და დავთვალოთ ხოლმე ქვაბები და ჯამ-ჭურჭელი. და უფრო გულის გასახეთქი კიდევ ის არის, რომ მასხარად გვიგდებენ და ლექსში ასე ამბობენ ჩვენზე: „კარგი ლუკმა — ქორფა ქალსა, დასახრჩობი — ბებერსაო“. და კიდევ ვინ იცის, რეებს ამბობენ ჩვენ საცოდავებზე!... და რომ ჩემი ლაყბობით ბევრი თავი არ მოგაწყინო, ერთ რასმე გეტყვი: შენ ძალიან კარგად ჰქენი, რომ შენი გულისნადები მე გამანდე და არა სხვას ვისმე, რადგან მე ყველაზე მეტად გამომრჩები. არავინაა ისეთი პენწნიკი, რომ ვერ გავუბედო, რის თქმაც საჭირო იქნება, არც არის ისეთი გაუთლელი, ტლანქი ყმაწვილი ვინმე, რომ ჩემს ჭკუაზე არ მოვიყვანო და არ გავაკეთებინო ის, რაც მე მინდა. შენ მხოლოდ მაჩვენე, თვალში ვინ მოგდის და დანარჩენისა მე ვიცი, მხოლოდ ერთ რასმე მოგაგონებ, ჩემო ქალი: არ დამივიწყო, რადგან ერთი ღარიბი ვინმე დედაკაცი ვარ; დღეიდან შენთვის ვილოცებ და ღმერთი ჩემს ლოცვებს თაფლის სანთლების მაგიერ მიმითვლის შენი მიცვალებულების სულის საოხად“. და ამით გაათავა დედაკაცმა თავისი სიტყვა.

და აჰა, ახალგაზრდა ქალმა აუწერა ნიშნები ერთი ახალგაზრდა კაცისა, რომელიც იმ ქუჩაზე ხშირად აივლიდა და ჩაივლიდა. თუ შეხვდები სადმე, შენ იცი, რასაც ეტყვიო. მერე მისცა ერთი ნაჭერი შაშხისა და გაისტუმრა.

რამდენიმე დღის შემდეგ ბებერმა დედაკაცმა ოთახში შემოუყვანა ის, ვინც ახალგაზრდა ქალმა აუწერა. მერე მოუყვანა სხვებიცა, ვინც კი ქალს მოეწონებოდა. ქალი, როგორც კი შემთხვევა ექნებოდა, ცდილობდა ესარგებლა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ქმრისაც ცოტა არ იყოს, ეშინოდა.

ერთ საღამოს ქალის ქმარი თავის მეგობართან ერთად უნდა წასულიყო ვახშმად. ამ მეგობარს ერკოლანო ერქვა. ახალგაზრდა ქალმა ბებერ დედაკაცს შეუთვალა — ისეთი ყმაწვილი მომიყვანე, რომ მთელ პერუჯიაში იმისთანა ლამაზი და სასიამოვნო სხვა არავინ იყოსო. დედაბერმაც მისი ბრძანება ხელად აასრულა.

ის იყო, ქალი ყმაწვილთან ერთად სუფრას მიუჯდა ვახშმად, რომ ქმარმა კარი დააკაკუნა, გამიღეო. ცოლმა ქმრის ხმა რომ გაიგონა, სული გვამთაგან განელია. მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა როგორმე დაემალა მიჯნური, ის კი ვერ მოახერხა, რომ სახლიდან გამოეშვა გარეთ ან სხვაგან სადმე დაემალა ტალანში, რომელიც იმ ოთახს გვერდით იყო,

სადაც ისინი ვახშმობდნენ. აიღო და ყმაწვილს წიწილების საბუდარი კალათა დაამხო თავზე და ზევიდანაც გადააფარა ლეიბის პირი, რომელიც იმ დღეს გადააძრო ლეიბს; ამის შემდეგ საჩქაროდ გააღებინა კარი ქმრისათვის.

ქმარი რომ შემოვიდა, ცოლმა უთხრა: „ძალიან ჩქარა კი მიგირთმევიათ ვახშამი!". პიეტრომ უპასუხა: „გემოც არ გვინახავს." — „მიზეზი რა იყო?" — ჰკითხა ცოლმა. — „ახლავე გეტყვი, — უპასუხა პიეტრომ, — ერკოლანო, მისი ცოლი და მე სუფრას რომ მივუსხედით, ჩვენს გვერდით ვიღაცას ცხვირს დააცემინა. ჩვენ პირველად ყური არ ვათხოვეთ, არც მეორეჯერ ვათხოვეთ ყური; მაგრამ ვისაც ცხვირს დააცემინა, დააცემინა მესამეჯერ, მეოთხეჯერ და მეხუთეჯერაც და კიდევ მრავალჯერაც, ასე რომ ყველას გაგვიკვირდა. ერკოლანო ისედაც გულმოსული იყო ცოლზე, რადგან სანამ კარს გაგვიღებდა, კარგა ხანს გვაცდევინა გარეთ და ახლა უარესად ცეცხლი მოეკიდა და შეუტია: „ეგ რაღა ამბავია, ქალო? ვინაა, რომ მანდ ცხვირს აცემინებს?" ეს რომ უთხრა, სუფრიდან წამოდგა, გაემართა კიბისკენ, რომელიც იქვე ახლოს იყო; ამ კიბის ქვეშ პატარა საკუჭნაოსებრი ოთახია, სადაც რაგინდარას ინახავენ; ასეთი საკუჭნაო ყველასა აქვს, ვინც კი სახლს იშენებს ხოლმე თავისთვის. რადგან ერკოლანოს მოეჩვენა, რომ ცხვირისცემინების ხმა სწორედ ამ საკუჭნაოდან გამოდიოდა, გააღო მისი კარი. კარის გაღებისთანავე იქიდან საშინელი სუნი გამოვიდა გოგირდისა. უნდა ვთქვათ, რომ ეს სუნი წინათაც გვეცა ჩვენა და რომ წამოვიძახეთ, ეგ რა სუნიაო, ერკოლანოს ცოლმა გვითხრა: — ჩემი ზეწრები გოგირდით გავმჭვარტლე, ხოლო ქვაბი, რომლის ზემოთ გავფინე ზეწრები, ორთქლი კარგად გაუჯდეს ზეწრებს-მეთქი, კიბის ქვეშ დავდგი, და აი ასეთი სუნიც იქიდან ახლა იმიტომ მოდისო. როცა ერკოლანომ კარი გააღო და ორთქლი ცოტათი გაიფანტა, შეიხედა შიგნით და დაინახა ის კაცი, ვისაც ადრე ცხვირს აცემინებდა და ახლაც აცემინებდა, რადგან ცხვირი გოგირდის სუნით ევსებოდა; და თუმცა ცხვირს აცემინებდა, მაგრამ ცოტა მეტს ხანს კიდევ რომ დარჩენილიყო, არამცთუ ცხვირს არ დააცემინებდა, სუნთქვასაც შეწყვეტდა. ეს რომ დაინახა, ერკოლანომ შეუტია ცოლს: „ქალბატონო, ახლა კი ვხედავ, როცა მოვედით, თუ რატომ გაგვაჩერე გარეთ იმდენ ხანს, სანამ კარს გაგვიღებდი; მე კაცი არა ვყოფილვარ, თუ შენ სამაგიერო არ გადაგიხადეო! ცოლმა ეს სიტყვები რომ გაიგონა და რომ დაინახა, ჩემი ცოდვა გამომჟღავნდაო, არც კი მოინდომა თავი ემართლებინა, სუფრიდან ავარდა და სადღაც გაიქცა. ერკოლანომ ქალის გაქცევა ვერ შეამჩნია, ხოლო ცხვირის დამცემინებელს რამდენჯერმე უთხრა — გარეთ გამოდიო. მაგრამ დამალულ კაცს ძალა გამოლეოდა და ბევრი უყვირა ერკოლანომ, მაგრამ ის მაინც ადგილიდან ვეღარ იძროდა. მაშინ ერკოლანომ ცალ ფეხში ხელები დაავლო, გამოათრია და მერე დანისათვის გაიქცა მის მოსაკლავად. მე შემეშინდა, მეც ხათაბალაში არ გამხვიონ-მეთქი, წამოვხტი და ერკოლანოს დავუშალე ან მოეკლა ან რამე ცუდი შეემთხვია; პირიქით, დავიცავი და ისე ხმამაღლა ვყვიროდი, რომ მეზობლებმა მოირბინეს, მოჰკიდეს ხელი სულად მიღებულ ახალგაზრდას და გარეთ გაიყვანეს. არ ვიცი კი, რა უყვეს. ყველა ამის გამო ვახშამი

ჩაგვეშალა და მე, როგორც უკვე გითხარით, არამცთუ არ გავმძღარვარ, საჭმლისთვის კბილიც კი არ დამიკარებია“.

ქმრის ნაამბობი რომ გაიგონა ქალმა, მიხვდა, რომ მისებრ ჭკვიანი ქალები სხვებიც ყოფილან; მართალია, მარცხი ვის არ მოუვა. უნდოდა სიტყვით გამოქომაგებოდა ერკოლანოს ცოლს, მაგრამ იფიქრა, თუ სხვებს ცოდვები ვუკიჟინე, მაშინ თავისუფლად შემეძლება ჩავიდინო საკუთარი ცოდვებიო, და ამიტომ ასეთი ბაასი გააბა: ვიშ, რა კარგად მომხდარა! აი, ნამდვილი წმიდა და კეთილი ქალიც ასეთი უნდა! აჰა, ერთგული და ნამუსიანი ცოლი, მე და ჩემმა ღმერთმა!.. დიდი სიამოვნებით მივიდოდი მასთან და მთელ ჩემს ცოდვებს გავანდობდი; მე მგონია, მხოლოდ სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს და ყველაზე უარესი ის არის, რომ უკვე ბებერი ახალგაზრდებს ასეთს მაგალითს აძლევს! წყეული იყოს მისი გაჩენის დღე, წყეულიმც იყოს თვითონაც, რომ ჯერ კიდევ უხელია სამიწე თვალები! აი, მეხი კი დავაყარე მაგის თავსა. ალბათ ამისთანა მოღალატე და შეჩვენებული ქალებში არც კი ურევია, რადგან მთელი ქალაქის ქალებს ყველას თავი მოგვჭრა და შეგვარცხვინა, უკუუგდია თავისი ნამუსი და ქმრისათვის მიცემული პატიოსანი სიტყვა ერთგულებისა, შეაფურთხა ქვეყნის აზრს, ხალხის გაკიცხვას, და თავის ქმარი, ასეთი პატივცემული მოქალაქე, რომელიც ასე კარგად ექცეოდა, სხვა კაცში გაცვალა და საჯაროდ თავი მოსჭრა და ქმართან ერთად თავისი თავიც შეირცხვინა. აი, უწინამც დღე დამელიოს, სანამ ასეთ ნამუსგაწყვეტილ ქალებს შევიბრალებდე! ასეთები ყველა უნდა დახოცოს კაცმა, ცოცხალი უნდა ჩააგდოს საკირეში და ისე დასწვას, რომ მათგან ფერფლიღა დარჩეს!“

ამ ლაპარაკის შემდეგ ქალს მოაგონდა თავისი მიჯნური, რომელიც იქვე კალათის ქვეშა ჰყავდა დამწყვდეული. ურჩია ქმარს, დასაწოლად წასულიყო, — უკვე ძილის დროაო. პიეტროს ძილზე მეტად შიმშილი აწუხებდა და ცოლსა სთხოვა, ვახშამს მონარჩენი გექნება რამე და მაჭამეო. ამაზე ცოლმა ასე უპასუხა: „მონარჩენი, როგორ არა, გახლავთ! უშენოდ, აბა როდის იყო, რომ ვახშამს გეახლებოდით! მე ხომ ერკოლანოს ცოლი არ გახლავართ! აბა, რას გაჩერებულხარ, რატომ არ მიდიხარ?! ამაღამ უვახშმოდ დაიძინე, არა გიშავს, მოგიხდება!“

შემთხვევით, იმ საღამოს რამდენიმე მუშა პიეტროსი რაღაც საქმეებისათვის სოფლიდან ჩამოსულან მის სახლში. სახედრებისათვის წყალი არ დაულევინებიათ, ისე ტალანს გვერდით მდებარე ბაგაზე დაუბამთ. ერთ სახედარს საშინლათ მოსწყურებოდა, ავშარა თავიდან წაეძრო და ბაგიდან გამოსულიყო. რაც შეხვდებოდა, თურმე ყველაფერსა სუნავდა, იქნებ წყალს წავაწყდე სადმეო; ამ ბობღვაში წააწყდა თურმე კალათას, რომლის ქვეშ დამალული იყო ახალგაზრდა ყმაწვილი. რადგან იძულებული იყო დაოთხებული მდგარიყო, მიწაზე დაბჯენილი ხელის თითები კალათის გარეთ გამოეყო და მის ბედად თუ საუბედუროდ ამ სახედარმა ზედ ფეხზე დაადგა. ყმაწვილს საშინლად ეტკინა და რაც ძალ და ღონე ერჩოდა,

დაიყვირა. პიეტრომ ეს რომ გაიგონა, მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა და მიხვდა — ჩემს სახლშია, ვიღაც რომ ყვირისო. გავიდა ოთახიდან და რაკი ის კაცი ისევა კვნესოდა, რადგან სახედარს ისევ ედგა ფეხი მის თითებზე და უფრო და უფრო აჭერდა, შესძახა: „ვინ არის მანდ?“ მერე მივიდა კალათასთან, ასწია და დაინახა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც იმას გარდა რომ სახედრის ფეხდანადგამი თითები საშინლად სტკიოდა, თან შიშისაგან კანკალი ასტყდომოდა, — პიეტრომ ვაითუ ცუდი დღე დამაყენოსო. პიეტრომ იცნო. სწორედ ის ყმაწვილი იყო, რომელსაც პიეტრო სულ დიდხანს დასდევდა კუდში და უთვალთვალებდა, როგორც მსუნაგსა და ზნეგაფუჭებულს. ჰკითხა: „აქ რას აკეთებ?“ ამაზე ყმაწვილმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ სთხოვა: ღვთის გულისათვის მაპატიეო. ამაზე პიეტრომ უთხრა: „ადექი, ნუ გეშინია, ცუდს არას გიზამ, მხოლოდ მითხარი: აქ როგორ გაჩნდი, ან რა გინდოდა?“ ახალგაზრდა კაცმა ყველაფერი უამბო. პიეტროს იმდენადვე გაეხარდა ყმაწვილის პოვნა, რამდენადაც ეს მის ცოლს ეწყინა, მოჰკიდა ხელი და შეიყვანა ოთახში, სადაც უზომოთდ შეშინებული ცოლი ელოდებოდა. პიეტრო ცოლის პირდაპირ დაჯდა და უთხრა. „ეს-ეს არი, ერკოლანოს ცოლი გათათხე, მიწასთან გაასწორე და იძახდი — ცეცხლში უნდა დაიწვას, ქალები ყველა შეგვარცხვინა და თავები მოგვჭრაო... შე კაი ქალო, რატომ შენზე კი არაფერი სთქვი?

ანდა, თუკი შენს თავზე არაფრის თქმა გინდოდა, რა სინდისმა მოგცა ნება — იმაზე გელაპარაკა იმ დროს, როცა იცოდი, რომ შენც იმისთანავე ცოდვა გქონდა ჩადენილი?!.. რა თქმა უნდა, შენ ასე იმიტომ მოიქეცი, რომ რაც დედამიწაზე ქალები არსებობთ, ყველანი ერთი ჯურისანი და ერთმანეთზე უარესები ხართ და ცდილობთ სხვათა ცოდვებს ამოაფაროთ თქვენი საკუთარი ცოდვები! ნეტავი არ იქნება, ერთი ზეციდან ცეცხლი ჩამოვარდეს და რაც ქალები ხართ, ყველანი შიგ გამოიხრუკოთ, თქვე წყეულებო, თქვენა, თქვე ნაშობნო იქედნეთანო!..

ქალმა რომ დაინახა, რომ პირველად ქმარმა მხოლოდ გინებას დააჯერა და თან ივივე ქმარი გახარებული იყო, რომ ასეთი ლამაზი ახალგაზრდა ხელში ჩაიგდო, გული მოიცა და უთხრა: „დარწმუნებული ვარ, გენატრება ზეცითგან ცეცხლი ჩამოეშვას და ქალები ყველანი შიგ გამოგვწვას, რადგან ჩვენ ისევე გიყვარვართ, როგორც ძაღლს ჯოხი უყვარს. მაგრამ მე მზადა ვარ ჯვარსა და სახარებაზე დავიფიცო, რომ ნატვრა არ აგისრულდება; მე დიდი სიამოვნებით დაგიგდებ ყურს, რას იტყვი ჩემს საწინააღმდეგოს, რომ გავიგო, რა შეცოდება მიმიძღვის შენს წინაშე. უნდა გითხრა, რომ მეტად ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შენ ისევე მექცეოდე, როგორც ერკოლანო ექცეოდა თავის ცოლს. ერკოლანოს ცოლი თუმცა ბებერი ფარისეველი და თვალთმაქცია, მაგრამ ქმრისაგან მაინც არ აკლია ის, რაც მასა სჭირია და ქმარსაც ისევე უყვარს, როგორც საერთოდ ქმარს თავისი ცოლი უნდა უყვარდეს ხოლმე. მითხარი, მე კი განა ასეთ დღეში ვარ? მართალია, კარგად მაცმევ და კარგადაც მხურავ,

მაგრამ შენ თვითონ კარგად იცი, რომ სხვა რაღაც მაკლია და ვინ იცის, რამდენი ხანია, რაც ჩემთან არ დაწოლილხარ. დაე, ფეხშიშველა ვიარო და ტანთაც ძონძები მეცვას, ოღონდ ლოგინში კარგად მექცეოდე; არც ეს ტანისამოსი მინდა და არც შენი ასეთი მოქცევა. და კარგად შეიგნე, პიეტრო, რომ მეც ისეთივე ქალი ვარ, როგორც სხვები არიან, და მეც ის მინდა, რაც სხვებს უნდათ; ასე რომ, თუ ვახერხებ და ჩემთვის ვშოულობ იმას, რასაც შენ ვერ მაძლევ, ამისათვის რაღად უნდა დამემდურო? ყოველ შემთხვევაში, იმდენად ვზრუნავ შენის პატიოსნებისათვის, რომ მოსამსახურეებთან ან ვიგინდარებთან კავშირს არ ვიჭერ“.

პიეტრო ხედავდა, რომ ცოლის ლაპარაკს ბოლო არ უჩანდა და შეეძლო ასე გათენებამდე ელაპარაკა; ამიტომ, როგორც კაცმა, რომელიც ცოლისთვის ძალიან ნაკლებად ფიქრობდა, უთხრა: „კარგი, გეყოფა, ქალო! სიტყვას გაძლევ, ჩემი კმაყოფილი დარჩები ამ შემთხვევაში. დატრიალდი და რამე გვაჭამე ვახშმად, მე მგონი, ჩემი არ იყოს, არც ამ ყმაწვილს უნდა ევახშმოს ჯერ“. — „რა თქმა უნდა, — თქვა ქალმა, — ჯერ არ უვახშმია. ის იყო, ვახშმად დავსხედით, ისე საითგანღაც გამოტყვრი და კარზე უდროოდ რახუნი აგვიტეხე“. — „მაშასადამე, — უთხრა პიეტრომ, — ადექი და გვავახშმე და მერე ისე მოვაწყობ მთელ ამ საქმეს, რომ ჩემთან დასამდურებელი არაფერი გექნეს“.

ცოლმა რომ დაინახა, ქმარი სრულიად კმაყოფილიაო, ადგა, ხელად გააშლევინა სუფრა და მოატანინა წინდაწინვე დამზადებული ვახშამი და გულდამშვიდებით ივახშმა თავის ცუდ ქმართან და საყვარელთან ერთად. ახლა არ მახსოვს, რა მოიფიქრა პიეტრომ ნავახშმევს, რომ სამივე კმაყოფილი დარჩენილიყო. ის კი ვიცი, რომ მეორე დილას ყმაწვილი მოედნამდე გააცილა ცოლ-ქმარმა და თანაც საკითხავი იყო ის, თუ რომელმა მათგანმა გაატარა უფრო სასიამოვნო ღამე — ქმარმა თუ ცოლმა.

ამიტომ, ქალებო, თავს შმოგევლენით, რა საწყაოთი მოგიწყან, თქვენც იმავე საწყაოთი მიუწყევით; და თუ ახლა არ შეგიძლიათ, ელოდეთ მარჯვე შემთხვევას, რომ მაშინ შეიძლოთ. „როგორც მოხვალ, სვინაო, ისე წახვალ შინაო“.

***

როცა დიონეომ თავისი ამბავი დაასრულა, ქალებს მაინცდამაინც ბევრი არ უცინიათ, მაგრამ ბევრი არ უცინიათ იმიტომ, რომ მორცხვობდნენ და არა იმიტომ, ვითომ ამბავი არ მოსწონდათ. მერე დედოფალი რაკი ხედავდა, ჩემს დედოფლობას ვადა გაუვიდაო, წამოდგა, თავიდან დაფნის გვირგვინი მოიხადა, ალერსიანად ელიზას დაადგა თავზე და თან ასე უთხრა: „ახლა თქვენი ჯერია, მადონა, იმბრძანებლოთ“.

ელიზამ ჩაიბარა ეს საპატიო მოვალეობა და იგივე ჰქნა, რასაც შვრებოდნენ მის

დედოფლობამდე, ე. ი. იხმო სინისკალკო და უბრძანა, რაც უნდა გაეკეთებინა მისი დედოფლობის განმავლობაში, მერე საზოგადოებას მიმართა და მისდა სასიამოვნოდ, შემდეგი მოახსენა: „ჩვენ ხშირად გვსმენია, რომ თავისი ენამოსწრებულობით, სწრაფი პასუხითა და მიხვედრილობით ბევრს გაუჩუმებია სხვათა გამკილავი და დამცინავი, ანდა თავი დაუღწევია მოსალოდნელი განსაცდელისაგან; და რადგან ამ საგანზე ლაპარაკი მეტად მოსაწონია და შეიძლება კიდეც გამოგვადგეს რაშიმე, მე მსურს ხვალიდან, ვთუ ღმერთი შეგვეწია, სულ ამ საგნის გარშემო ვიტრიალოთ, ე. ი. ვილაპარაკოთ იმაზე, ვისაც კვიმატი სიტყვებით უკბენენ და ვინც მოახერხებს იმითვე უპასუხოს გამქირდავს, ანდა მოსწრებული პასუხით და მიხვედრილობით თავს დააღწევს მოსალოდნელ განსაცდელს, დაღუპვას და შეურაცხყოფას“.

ეს აზრი ყველას მოეწონა. ამიტომ დედოფალი წამოდგა და ვახშმობამდე ყველანი გაათავისუფლა.

პატიოსანმა საზოგადოებამ რომ დაინახა, დედოფალი აბრძანდაო, თვითონაც წამოიშალა, და ჩვეულებისამებრ, ყველა მათგანი იმის კეთებას შეუდგა, რისთვისაც გული ერჯოდა. ჭრიჭინების ხმა რომ მიწყდა, ყველას დაუძახეს და ისინიც სავახშმოდ გამოემართნენ. ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. ნავახშმევს გამართეს სიმღერა და თამაში. დედოფლის ბრძანებით, ჯერ ემილიამ ითამაშა, მერე დიონეოს უბრძანა — იმღერე რამეო, იმანაც მაშინვე დაამღერა: „მონნა ალდრუდა, კუდი ასწიე, ამბავი კარგი მოგიტანე (Monna Aldruda, levate la coda, che buone novella vi reco). ამაზე ქალებმა ყველამ სიცილი დაიწყეს, და განსაკუთრებით ბევრი იცინა დედოფალმა; მერე უბრძანა: ეს გეყოფა, ახლა სხვა რამე თქვიო. დიონეომ მოახსენა: „მადონა, მე რომ დაირა მქონდეს, გიმღერებდით: „კაბა აიწიეთ, მონნა ლაპა“ (Alzatevi i panni, monna Laba) ან „ზეთისხილის ძირას ბალახია“ (Sotto l’ulivello e l’erba). ან იქნებ ეს გნებავდეთ გიმღეროთ: „მე ღელვა ზღვისა მწყენს მეტისმეტად“ (L’onda del mare me fa gran male); მაგრამ დაირა არა მაქვს და ამიტომ ამ ლექსებში, რომელიც გნებავთ, ის აირჩიეთ. ან იქნება ეს მოგეწონოთ: „გარეთ გამოდი და ისე მოგჭრა, ვითა მაისში ლერწამი მინდვრის“ (Escisi fuor che sia tagliato, com’un mio in su la campagna).

— არა, — უბრძანა დედოფალმა, — სხვა იმღერე.

— მაშ, — თქვა დიონეომ, — ამას ვიტყვი: „მონნა სიმონა კასრში ასხამს და ასხამს, თითქო კარში ოქტომბერი გვედგას“ (Monna Simonna imbotta, imbotta, e’non e del mese d’ottobre). დედოფალმა სიცილით უთხრა: „კარგი, გეყოფა, კარგი რამა თქვი, თუ გინდა ყური დაგიგდოთ“. ამაზე დიონეომ უპასუხა: „ოღონდ თქვენ კი გულს ნუ მოიყვანთ, მადონა, და სხვას ვიტყვი. თქვენ მხოლოდ ის მიბრძანეთ, რომელი უფრო მოგწონთ. განა სხვა არ ვიცი! ათასზე მეტი ვიცი. აი, თუ გნებავთ ესა: „ნუჟრი ესე ჩემიაო, შიგ ჩავმძვრალვარ ხშირადაო“

(Questo mio niccio s'io nol picchio); ან: „ნელა, ნელა, ჩემო ქმარო!" (Deh, fa pian, marito mio!); ან: „მამალი ას ლირად ვიყიდე" (Io mi comperai un gallo delle lire cento).

დედოფალს, ცოტა არ იყოს, ეწყინა, თუმცა სხვები კი იცინოდნენ, და უთხრა: „დიონეო, გეყოფა ამდენი მასხრობა, ახლა რამე კარგი ლექსი გვითხარი; და თუ არ გითქვამს, იცოდე, ძალიან მაწყენინებ".

დიონეომ ეს რომ გაიგონა, მასხრობას თავი ანება და მაშინვე ეს სიმღერა შემოსძახა:

სიყვარულო! მშვენიერი ნათელით,

ჩემი საგრფოს თვალთაგან რომ გამოკრთის,

მე, ტყვექმნილი, ვდნები, როგორც სანთელი.

მოფენილმა შუქმა მისის თვალებით,

ჩემს თვალებში ცეცხლად გატარებულმა,

გამიჩინა გულში შენი ალები.

მე იმისმა სახემან დიდებულმა

მაჩვენა, რომ ძალა შენი დიდია,

და როცა ვარ ფიქრით მისის მხედველი,

თითქოს ჩემს სულს მონის ტვირთი ჰკიდია,

ან თუ ხუნდი ადევს გაუწყვეტელი...

ის თანაც არს ჩემი ჭმუნვის მფანტველი.

მბრძანებელო, ჩემო, ამას მოველი,

შენს მონად და მოთაყვანედ შობილი,

გახდე ჩემთვის მოწყალების მთოველი.

ნეტავ თუა სრულად მისთვის ცნობილი

ჩემი გულის გრძნობა ამაღლებული,

ერთგულება, რომელს არ აქვს საზღვარი?

ჰო, თუ ხედავს, ჩემზე დაუფლებული,

მე ალმური მომდებია რაგვარი,

მტანჯავს რარიგ ნაღველი ახლანდელი?

ამად გვედრი, მბრძანებელო კეთილო,

მას უჩვენო ჩემი სული შიშველი,

რომლის ტანჯვა წუთით არ შეწყვეტილა,

და შენ ამით გასაჭირში მიშველი.

მისი ტრფობით, ხედავ, როგორ ვიდაგვი,

ჩემი მკვლელი ამ სახმილის ალია.

შეურჩიე დრო და მას ჩემი თავი

ჩააბარე, — ეს ხომ შენი ვალია. —

რომ სიცოცხლის არ ჩამიქრეს კანდელი.

დიონეო რომ დაჩუმდა და თქვა — დავამთავრეო, დედოფალმა სხვებიც ამღერა, თუმცა სულ დიონეოს ნათქვამ სიმღერის ქებაში იყო. მაგრამ მერე, როცა ღამე კარგად გადავიდა და დედოფალმა იგრძნო, დღის სიცხე ღამის სიგრილემ შეანელაო, უბრძანა ყველას — ხვალამდე წადით და როგორც გინდათ, ისე მოისვენეთო.

მეექვსე დღე

დასრულდა მეხუთე დღე დეკამერონისა; იწყება მეექვსე. ამ დღეს, ელიზას თავმჯდომარეობით, ლაპარაკია იმათზე, ვისაც კვიმატი სიტყვით უკბინეს და ესენი სამაგიეროს უხდიან: ან მოსწრებული პასუხით ან მიხვედრილობით თავიდან იცდენენ ზარალს, განსაცდელს თუ შეურაცხყოფას.

მთვარე უკვე ცის შუაგულზე ამოიზიდა და სხივმფენარობა წაერთვა. ამასობაში ამოცურდა ახალი მნათობი და გაანათა ყოველი კუთხე სამყაროსი. დედოფალი ამობრძანდა და დააძახებინა ქვეშევრდომებისათვის. ნელი ნაბიჯით ცოტათი დაშორდნენ ლამაზ გორაკს, ფეხს ადგამდნენ დანამულ ბალახში, თანაც ლაპარაკობდნენ ამ მთისას, იმ მთისას, ბჭობდნენ მონაყოლი ამბების ღირსება-ნაკლულოვანებაზე, იცინოდნენ ამ მოთხრობებში მოხსენებულ სხვადასხვა შემთხვევაზე. ამასობაში მზე კარგად ამოიწვერა, დაცხა და ამათაცა თქვეს — ახლა კი დროა შინ დავბრუნდეთო; ამიტომ მოტრიალდნენ და უკან წამოვიდნენ.

მშვენივრად გაშლილი სუფრა დახვდათ, იქაურობა სურნელოვანი ბალახებითა და ყვავილებით მოებნიათ, და ესენიც, დედოფლის ბრძანებით, სანამ სიცხე მოასწრებდათ, ინახად დასხდნენ. ჭამა-სმა მხიარულად რომ ჩაატარეს, იმღერეს ერთი-ორი ლამაზი და მხიარული სიმღერა და მერე ზოგი თვალის მოსატყუებლად წავიდა, ზოგი ჭადრაკს მიუჯდა და ზოგიც ნარდს, დიონეომ და ლაურეტამ „ტროილის და კრიზეიდას“ სიმღერა თქვეს.

უკვე ბაასის დაწყების დრო დადგა. დედოფალმა, ჩვეულებისამებრ, ყველანი იხმო და ესენიც წყაროს გარშემო მოუსხდნენ. დედოფალს, ის იყო, უნდა ებრძანებინა, აბა დაიწყეთ პირველი ამბავიო, რომ მოხდა ისეთი რამ, რაც წინათ თავის დღეში არ ყოფილა, სახელდობრ, დედოფალსა და სხვებს სამზარეულოდან საშინელი ყვირილი მოესმათ მოსამსახურე ქალებისა და კაცებისა. სინისკალკოს რომ დაუძახეს და ჰკითხეს, ვინა ყვირის ან რათაო, იმანა თქვა: ლიჩისკასა და ტინდაროს მოუვიდათ ლაპარაკი, მე მივედი გასაჩუმებლად და ამბის გასაგებად, ამ დროს დედოფალმა მიხმო კიდეცო. დედოფალმა ბრძანა დაუყოვნებლივ მოეყვანათ ლიჩისკა და ტინდარო. ესენი რომ მოვიდნენ, დედოფალმა ჰკითხა, რა გაყვირებდათო? ტინდაროს უნდოდა ეპასუხა, მაგრამ ამ დროს ლიჩისკა, რომელიც უკვე ხანში შესული და უფრო გოროზი იყო, ვიდრე თავმდაბალი და რომელიც ყვირილისაგან გაცეცხლებულიყო, პირში სწვდა ტინდაროს და შესძახა: „ერთი ამ პირუტყვს დახედეთ და! არა, როგორა ბედავს ჩემზე წინ ლაპარაკს, როცა მე აქ ვარ!.. გამიშვი, მე ვილაპარაკო!“ მერე მიმართა დედოფალს და მოახსენა: „მადონა, ამას უნდა თავის ჭკუაში გამაცნოს სიკოფანტეს ცოლი, და — თითქოს არც კი ვიცნობდე, — დამარწმუნოს, არც მეტი და არც ნაკლები, რომ როცა სიკოფანტე პირველ ღამეს იმასთან დაწვა, მესერ მაცცა (პალო)

შავმთაში ვითომ დიდი ბრძოლითა და სისხლისღვრით შესულიყოს; მე კი ვეუბნები — ტყუილია, სრულებით მშვიდობიანად და ყველა იქაურ მცხოვრებთა გასახარელად შევიდა-მეთქი. და ეს ვაჟბატონი იმდენად ბრიყვია, რომ მართლა სჯერა, ვითომ ქალიშვილები იმდენად სულელები იყვნენ, რომ უცადონ, აცა, როდის გაათხოვებენ მამები ან ძმები, მაშინ, როცა შვიდში ექვსს სამი-ოთხი წლით უფრო გვიან ათხოვებენ, ვიდრე უნდა გაეთხოვებინათ. ამდენი რომ უცადონ, დედავ და თვალო, კარგი დღეც დაადგებათ, აი! ქრისტესა ვფიცავ (და რაკი ვფიცულობ, ალბათ, ვიცი კიდეც რასაც ვამბობ), ერთი მეზობელი ქალი არ მეგულება ისეთი, რომ თავის ქმარს უმანკო მისთხოვებოდა; ახლა გათხოვილებისა მკითხე, რა და რა ეშმაკობა არ უქნიათ თავიანთი ქმრებისათვის! და ახლა ეს ცხვრის თავი გამომდგარა და ქალების ამბავი უნდა მითხრას, თითქო გუშინ ვიყო გაჩენილი ამქვეყნად“.

სანამ ლიჩისკა ლაპარაკობდა, ქალებს ისეთი სიცილი აუტყდათ, რომ კაცი სათითაოდ ყველას კბილებს დააძრობდა და მაინც ვერ გაიგებდნენ. დედოფალმა ბარემ ექვსჯერ მეტად უთხრა — გაჩუმდიო, მაგრამ ვერას გახდა, — ლიჩისკამ მანამ არ დააყენა ყბები, სანამ რაც სათქმელი ჰქონდა, ყველაფერი არ დაფქვა.

როცა ლიჩისკა მორჩა ლაპარაკს, დედოფალი ღიმილით მიუბრუნდა დიონეოს და უთხრა:

„დიონეო, ეს დავა ასლი საშენოა, ამიტომ ჩვენი ამბების მოყოლას რომ მოვრჩებით, ამ ამბის გამო საბოლოო განაჩენის გამოტანა შენი იყოს“. ამაზე დიონეომ საჩქაროდ მოახსენა: „განაჩენი მზად გახლავთ და ამისათვის მეტის მოსმენაც საჭირო არ გახლავთ; უნდა მოგახსენოთ, რომ ლიჩისკა მართალს ამბობს და ჩემის აზრით, სწორია, რასაც ლიჩისკა იძახის: ტინდარო ბრიყვიაო“.

ეს რომ ლიჩისკამ გაიგონა, გაეცინა და ტინდაროს მიუბრუნდა: „მეც ხომ ამას ვამბობდი! წადი, წადი, შენი გზა ნახე! შენ გეგონა, ჩემზე მეტი იცოდი, შენ, ვისაც ჯერ კიდევ დედის ხსენი არ შეგშრობია ტუჩებზე! მადლობა ღმერთს, ბედასლად არ გამიტარებია ჩემი დღენი, არა!“

და დედოფალს გამწყრალი სახით რომ არ დაეჩუმებინა და არ ებრძანებინა — ხმა ჩაიწყვიტე, თორემ შენს თავს ვაცემინებო, და ტინდაროსთან ერთად იქიდან არ მოეშორებინა, მისი ლაყბობის ყურისგდების მეტი მთელი დღე არაფერი არ უნდა ეკეთებინათ. ისინი რომ წავიდნენ, დედოფალმა ფილომენას უბრძანა, აბა დაიწყე ამბავიო. იმანაც მხიარული ხმით დაიწყო.

ამბავი პირველი. უგერგილო ამბავი

ერთი ვინმე აზნაური მადონა ორეტას ჰპირდება — ისეთი ამბავი გიამბოთ, გეგონებათ ცხენზე ვზივარო. მაგრამ ისე უგერგილოდ მოუყვა, რომ მანდილოსანმა სთხოვა, — თქვენი ჭირიმეთ, ცხენიდან ჩამომსვითო.

ქალებო, როგორც ცა-მოწმენდილზე ვარსკვლავები მისი მშვენებაა, ხოლო გაზაფხულზე ყვავილები მწვანე მინდვრებს ამკობს და ქედებს — შეფოთლილი ბუჩქები, მსგავსადვე გაზრდილობასა და ტკბილ საუბარს ამშვენებს მოსწრებული სიტყვები. ნათქვამი რაც უფრო მოკლედაა მოჭრილი, მით უფრო უხდება ქალს, ვიდრე კაცს, იმიტომ რომ ქალისათვის ბევრი ლაპარაკი ნაკლებ საფერია, ვიდრე კაცისათვის. სულერთია — რაც უნდა იყოს იმის მიზეზი — ჩვენი უჭკუობა თუ ის განსაკუთრებული სიძულვილი, რომელსაც ზეცა ჩვენი დროის მიმართ გრძნობს. ხოლო მართალი ის გახლავთ, რომ დღეს ძალიან ცოტაა ან სულ არ დარჩენილა ქალი, რომელსაც შნო ჰქონდეს თავის დროზე მოსწრებული სიტყვა თქვას ან თუ ასეთი სიტყვით მას მიმართავენ, გაიგოს მაინც მისი მნიშვნელობა. რა საჭიროა, სასირცხვილო საქმე გვჭირს ქალებს — ყველას ერთობით! მაგრამ რადგან ამ საგანზე პამპინეამ უკვე საკმაოდ ილაპარაკა, მე მეტს არაფერს ვიტყვი. მაგრამ რომ გაჩვენოთ, რამდენად მოხდენილია თავის დროზე ნათქვამი მოხდენილი სიტყვა, გიამბობთ — ერთმა ღირსეულმა მანდილოსანმა მეტად თავაზიანად როგორ დააღებინა პირი ერთ აზნაურს.

როგორც ბევრ თქვენგანს გენახვებათ ან გაგეგონებათ, ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა ერთი კეთილშობილი ოჯახის დიაღ პატიოსანი და სიტყვამოსწრებული ქალი. იმდენად ღირსეული იყო, რომ ხამს მისი ვინაობა არ იქნეს დაფარული. სახელად ერქვა ორეტა და ცოლად ჰყავდა მესერ ჯერი სპინას. ერთხელ, ჩვენსებრ, სოფელში მოუხდა ყოფნა და სასეირნოდ გავიდა იმ დღეს იმასთან სადილად მყოფ ქალებთან და კაცებთან ერთად. გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე და რადგან გზა, რომელიც ედვათ იმ ადგილიდან, საიდანაც გამოვიდნენ, იმ ადგილამდე, სადაც ყველანი ფეხით აპირებდნენ მისვლას, შეიძლება ცოტათი გრძელი ყოფილიყო, ამიტომ ერთმა მათი საზოგადოების მამაკაცთაგანმა, უთხრა: მადონა ორეტა, თუ მიბრძანებთ, შემიძლია ისეთი საუცხოო ამბავი მოგახსენოთ, რომ თქვენ წარმოიდგინეთ, ვითომ ცხენზე ზიხართ და ისე მიბრძანდებით იმ ადგილას, საითკენაც ყველას გზა გვიდევს გასავლელიო. ამაზე მანდილოსანმა უპასუხა: „მესერე, დიდი თხოვნითა გთხოვთ, გვიამბოთ, ძალიან გვასიამოვნებთ“. მესერ რაინდმა, რომელსაც შეიძლება სატევარიც იმნაირადვე არ შვენოდა, როგორც არ უხდებოდა ლაპარაკი, ეს რომ გაიგონა, მოჰყვა ამბავსა. ამბავი თავისთავად მართლა რომ მშვენიერი იყო, მაგრამ რად გინდათ, მოლაპარაკე სამჯერ, ოთხჯერ და ექვსჯერაც იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვას, ხან უკან დაუბრუნდებოდა ნათქვამს და, როცა არა მგონი, იძახდა: მე ისე

კარგად ვერა ვთქვიო... ხშირად სახელები ეშლებოდა, ერთის მაგიერ მეორეს ამბობდა, საშინლად ამახინჯებდა; იმას ნუღარა ბრძანებთ, თუ რა უხამს სიტყვებსა ხმარობდა შედარებით მოქმედ პირთა ღირსებასა და იმ შემთხვევებთან, რომლებიც ხვდებოდა მოთხრობაში.

მადონა ორეტა იმას რომ ყურს უგდებდა, ისე იწურებოდა ოფლში და ისე მისდიოდა გული, რომ ბრძანებდით, ავადაა და საცაა უნდა აღესრულოსო. ქალს მოთმინების ილაჯი გაუწყდა და რაკი ხედავდა, რაინდმა ძალიან შორს შეტოპა სიბრიყვის მორევში და იქიდან გამოსვლას ვეღარ მოახერხებსო, ხუმრობით უთხრა: მესერე, თქვენი მერანი, სწორედ მოგახსენოთ, ძალიან ანჯღრევს კაცს; გეთაყვა, თუ შეიძლება, ინებეთ და ძირს ჩამომსვითო. რაინდი, რომელსაც გაგონილის მიხვედრა გაცილებით უფრო ემარჯვებოდა, ვიდრე მოხდენილად ამბის მოყოლა, დაცინვას მიუხვდა, ქალის ნათქვამი სიცილსა და ხუმრობაში ჩააგარა და ახლა სხვა ამბები დაიწყო, ხოლო უგერგილოდ ნაამბობ ამბავს დასრულება აღარ აღირსა.

ამბავი მეორე. მეპურე ჩისტი

მეპურე ჩისტი ერთი სიტყვით გულისხმაში ჩააგდებს ჯერი სპინას მისი უკრძალველი თხოვნისათვის.

როგორც ქალებმა, ისე კაცებმა ყველამ ძალიან უქეს მადონა ორეტას ნათქვამი, მერე დედოფალმა პამპინეას უბრძანა — აბა ახლა შენ განაგრძეო. პამპინეამაც ასე დაიწყო: — მზეთუნახავნო! მე თვითონ ჩემს თავზე ვერ გადამიწყვეტია — ვისი უფრო ბრალია: ბუნებისა, რომელიც კეთილშობილ სულს საზიზღარ სხეულში ათავსებს ხოლმე, თუ ბედ-იღბლისა, რომელიც კეთილშობილი სულით მომადლებულ სხეულს ანიჭებს მდაბალ ხელობას, როგორც ეს შეგვეძლო დაგვენახა ჩვენს თანამოქალაქე ჩისტიზე და მრავალ სხვებზე. აი ამ ჩისტის, მეტად ამაღლებული სულის ადამიანს, ბუნებამ ხვედრად მეპურეობა არგუნა. და მე უეჭველად ერთნაირადვე დავწყევლიდი როგორც ბუნებას, ისე ბედს, რომ არ ვიცოდე, რომ ბუნება ბრძენია, ხოლო ბედს ათასი თვალი ასხია, თუმცა ბრიყვები მას ბრმადა ხატავენ ხოლმე. მე მგონია, ბუნება და ბედი, როგორც დიდად გამობრძმედილნი, იქცევიან ისე, როგორც ხშირად იქცევიან სიკვდილის შვილნი, რომელთაც რაკი არ იციან, თუ რა მოელით, თავიანთი საჭიროებისათვის თავიანთ ყველაზე ძვირფას ნივთებს ინახავენ სახლის ყველაზე უჩინარ ადგილებში, სადაც გარეშე კაცი ნაკლებად აიღებს ეჭვს, მაგრამ როცა ძალიან გაუჭირდებათ, იქიდან გამოაქვთ, რადგან ასეთი ნივთები უფრო ადვილად გადარჩება ხოლმე უჩინარსა და ართვალ ადგილას, ვიდრე მშვენიერ ოთახში შენახულები. მსგავსადვე, ქვეყნიერების ამ ორთა მსახურთ თავიანთი უმეტესად ძვირფასი ნივთები დამალული აქვთ

ხოლმე. ისეთ ხელობათა ჩრდილქვეშ, რომლებიც ყველაზე შეურაცხ ხელობად ითვლებიან, რათა, როცა დასჭირდებათ და იქიდან გამოიღებენ, ამ ნივთების ნათელმა მით უფრო ძლიერ იბრწყინოს. და ახლა ერთი პატარა ამბით მინდა უფრო ნათლად წარმოგიდგინოთ ისა, თუ როგორი მცირემნიშვნელოვანი საქმით გამოაჩინა ეს მეპურე ჩისტიმ, რომელმაც მესერ ჯერი სპინას აუხილა სულიერი თვალები. ეს ამბავი მომაგონა მე მის ცოლ მადონა ორეტაზე თქმულმა ამბავმა.

უნდა მოგახსენოთ, რომ როცა პაპმა ბონიფაციომ, რომელთანაც ჯერი სპინა დიდ გავლენიან კაცად ითვლებოდა, ფლორენციაში ზოგიერთი თავისი საქმისათვის ზოგი თავისი ცნობილი ელჩი გამოგზავნა, ესენი მესერ ჯერის სახლში ჩამოხდნენ და ამათთან ერთად მასპინძელიც ღებულობდა მონაწილეობას პაპის საქმეების გამო ლაპარაკში. მესერ ჯერი პაპის ამ ელჩებთან ერთად თითქმის ყოველ დილას, სხვადასხვა მიზეზისა გამო, ფეხით ჩაუვლიდა სანტა მარია უგის ეკლესიას, სადაც მეპურე ჩისტის ფურნე ჰქონდა და თვითონ პირადად უძღვებოდა თავის საქმეს. თუმცა ბედმა ჩისტის მეტად სათაკილო ხელობა ახვედრა, მაინც ეს ბედი იმდენად უმართავდა ხელს, რომ დიდი სიმდიდრე მოიხვეჭა. და მაინც არაფრის გულისათვის არ უნდოდა სხვა ხელობა აერჩია, ცხოვრობდა განცხრომით, და ფლორენციასა და მის მიდამოებში თუკი სადმე იშოვებოდა საუკეთესო თეთრი და წითელი ღვინოები, სახლში, სხვა კარგ რამეებთან ერთად, ჩისტისაცა ჰქონდა.

ჩისტი ხედავდა, რომ მესერ ჯერი და პაპის ელჩები ყოველ დილას ჩაუვლიდნენ ფურნეს წინ. რაკი დიდი სიცხე იდგა, ჩისტის აზრად მოუვიდა, — კარგს ვიზამ, თუ ამათ ჩემს თეთრ ღვინოს დასალევად შევთავაზებო; მაგრამ თავისი მდგომარეობა მესერ ჯერისას რომ შეადარა, თქვა: მე თვითონ რომ დავპატიჟო, ვაითუ უზრდელობაში ჩამომართვასო, და დაიწყო ფიქრი, თუ როგორ მოეხერხებინა, რომ თვითონ ჯერის დაეპატიჟებინა თავი.

ჩისტის ერთი თვალისმომჭრელი სითეთრის ჯუბა ეცვა, წინიდანაც სულ მუდამ სუფთად გარეცხილი წინსაფარი ეკეთა, ასე რომ, ასეთნაირად ჩაცმული, მეწისქვილეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხაბაზს; ყოველ დილას, სწორედ იმ საათს, როცა, მისი აზრით, მესერ ჯერისა და მასთან მყოფ ელჩებს უნდა გამოევლოთ, თავისი ფურნის კარის წინ ცივი წყლით სავსე ახალსა და მოკალულ სათლს დაადგმევინებდა, გვერდით მოუდგამდა ახალ ბოლონიურ ორკოლს, რომელშიაც თავისი კარგი თეთრი ღვინო ედგა, და ორ ჭიქას, რომლებიც ვერცხლისანი ეგონებოდა კაცს, ისე ბრჭყვინავდნენ; იმათი გამოვლის დროს ჩამოჯდებოდა, მერე ერთი ორჯერ გადააფურთხებდა და დაუწყებდა თავის ღვინოს სმას, მერე ისე მადიანად, რომ ცოცხალს კი არა, მკვდარსაც კი მოუნდებოდა, მის შემხედვარეს, ღვინის დალევა.

მესერ ჯერიმ ერთი-ორჯერ შეამჩნია ეს ჩისტის. მესამეჯერ კი თვითონ უთხრა: „როგორია, ჩისტი, ეგ ღვინო? ხომ კარგია?“ ჩისტი ფიცხლავ ფეხზე წამოუდგა და უპასუხა: „დიახ, მესერე,

კარგი გახლავთ, მაგრამ თუ რამდენად კარგია, იმას ვერ მოგახსენებთ, სანამ თქვენ თვითონ არ ინებებთ“. მესერ ჯერის ცხელმა ამინდმა, ჩვეულებრივზე მეტად დაღლილობამ თუ იმის ყურებამ, თუ რა ეშხით სვამდა ჩისტი, მოაწყურა, ელჩებს ღიმილით მიუბრუნდა და უთხრა: „ბატონებო, ცუდი არ იქნება, ერთი ამ პატიოსანი კაცის ღვინის გემოსაც რომ ვნახავდეთ, მგონი, სანანურად არ დაგვრჩეს“... ესა თქვა და მათთან ერთად გამოსწია ჩისტისაკენ. ამან ფურნიდან ერთი გრძელი მერხი გამოატანინა და სტუმრებსა სთხოვა დაბრძანდითო, ხოლო ჭიქების გასარეცხად მოსულ მსახურთ უთხრა: „თქვენ, ჩემო კარგებო, აქედან გამეცალენით, ამათ კი მე ვემსახურები, რადგან მერიქოფობა პურის დასმასზე ნაკლებ კი არ მემარჯვება; ღვინის ერთ წვეთსაც არ გაჩვენებთ გემოთი, ტყუილად იმედი ნუღარ გექნებათ“.

ესა თქვა ჩისტიმ, თვითონ თავისი ხელით დარეცხა ოთხი ლამაზი და ახალი ჭიქა, მოატანინა ერთი ხელადა თავისი თავანკარა ღვინისა და გულმოდგინედ შეუდგა ჯერისა და მისი ამხანაგების ჭიქებში ღვინის დასხმას. ღვინო ისე მოეწონათ, რომ იძახდნენ, დიდი ხანია ასეთი კარგი ღვინის გემო არ გვინახავსო. მერე სულ ამ ღვინის ქებაში იყვნენ. ამიტომ სანამ ელჩები ფლორენციაში იმყოფებოდნენ, მესერ ჯერი მათთან ერთად თითქმის ყოველ დილას მიდიოდა ჩისტისთან ღვინის სასმელად.

ელჩებმა რომ მოისაქმიანეს და ფლორენციიდან წასვლა დააპირეს, მესერ ჯერიმ წვეულება გამართა და ამ წვეულებაზე ქალაქის ზოგი უფრო პატივცემული მცხოვრები მოიპატიჟა და მათ შორის დაპატიჟა ჩისტიცა, მაგრამ ამან არაფრის გულისათვის არ ინდომა ხსენებულ წვეულებაზე წასვლა. მაშინ მესერ ჯერიმ მოსამსახურეს უბრძანა: ჩისტისთან მიდი და ერთი ფიასკო ღვინო გამოართვიო. უნდოდა ეს ღვინო ნახევარ-ნახევარი ჭიქა დაელევინებინა სტუმრებისათვის პირველი კერძის შემდეგ. მოსამსახურე ალბათ გულმოსული იყო, რომ ერთხელაც არ ერგო ამ ღვინის გემოს ნახვა, და ამიტომ დიდი ჭურჭელი წაიღო. ჩისტიმ რომ დაინახა, უთხრა: ჩემო შვილო, მესერ ჯერის, ალბათ, ჩემთან არ გამოუგზავნიხარო. მოსამსახურე არწმუნებდა, თქვენთან გამომგზავნაო, მაგრამ ვერას გახდა, დაბრუნდა ჯერისთან და მოახსენა, ასე გახლდათო. ამაზე მესერ ჯერიმ უთხრა: წადი და უთხარი, რომ მე გამოგგზავნე და ვინიცობაა, ისევ ისე გიპასუხა, მაშინ ჰკითხე: მაშ ვისთან გამგზავნა-თქო? მსახური დაბრუნდა ჩისტისთან და უთხრა: სწორედ თქვენთან გამომგზავნა ბატონმაო. ამაზე ჩისტიმ უპასუხა: არა, ჩემო შვილო, ტყუილია, ჩემთან არ გამოუგზავნიხარო. კარგი და მაშ ვისთან გამგზავნაო? — ჰკითხა მსახურმა. არნოზე[8] გაუგზავნიხარ, შვილოო, — უპასუხა ჩისტიმ.

მოსამსახურემ ჩისტის პასუხი კვლავ მოუტანა მესერ ჯერის. ამას მაშინვე თვალები აეხილა და მსახურსა ჰკითხა: აბა, ერთი მაჩვენე, რომელი ფიასკო წაუღეო? და რომ დაინახა

[8] არნო - მდინარეა ტოსკანაში (იტალიაში), ფლორენციაზე ჩამოდის და ხმელთაშუა ზღვას ერთვის.

ჭურჭელი, თქვა: ჩისტის მართალი უთქვამსო. მოსამსახურეს რაც ეკადრებოდა, ის უთხრა და უბრძანა, უფრო შესაფერი ჭურჭელი წაეღო.

პატარა ჭურჭლიანი მოსამსახურე რომ დაინახა, ჩისტიმ უთხრა: ვხედავ, რომ ახლა კი ჩემთან გამოუგზავნიხარ და სიამოვნებითაც გაგივსებო. იმავე დღეს ჩისტიმ ერთი პატარა კასრი იმავ ღვინით გაავსებინა და ჩუმად მესერ ჯერის სახლში წააღებინა, მერე თვითონაც წავიდა და ჯერის რომ შეხვდა, უთხრა: „მესერე, მე არ მინდა ფიქრობდეთ, რომ თქვენმა გამოგზავნილმა დილანდელმა ჭურჭელმა შემაშინა; მხოლოდ მე ისე მომეჩვენა, რომ თქვენ დაგავიწყდათ ის, რაც მე ამ დღეებში ჩემი პატარა ორკოლებით გაჩვენეთ, ე.ი. ისა, რომ ეს ღვინო უბრალო საოჯახო სასმელი ღვინო არ გახლავთ, და ამ დილას სწორედ ეს მინდოდა თქვენთვის მომეგონებინა. ახლა გადავწყვიტე, ხელი ავიღო ამ ღვინის ყარაულობაზე და ამიტომ რაცა მქონდა, სულ თქვენ მოგართვით: რაც გენებოთ, ის უყავით“.

მესერ ჯერიმ დიდი სიამოვნებით ჩამოართვა ძღვენი ჩისტის და ისეთი მადლობაც გადაუხადა, როგორიც მის საფერად ეჩვენა, და ამის შემდეგ ჩისტი სულ მუდამ ღირსეულ ადამიანად და თავის მეგობრად მიაჩნდა.

ამბავი მესამე. მონნა ნონა

მონნა ნონა დე პულჩი თავისი მოსწრებული პასუხით გააქარწყლებს ფლორენციის ეპისკოპოსის, ცოტა არ იყოს, უმართებულო ხუმრობას.

პამპინეამ თავისი ამბავი რომ გაათავა და ყველამ აქო ჩისტის პასუხი და გულუხვობა, დედოფალს ენება შემდეგ ლაურეტას დაეწყო, ისიც მხიარულად შეუდგა: ჯერ პამპინეამ და ახლა ფილომენამ ძალიან სწორად აღნიშნეს ჩვენი ნაკლები მიხვედრილობაც და მოსწრებული სიტყვის სიმშვენიერეც; ასე რომ, ამას აღარ დავუბრუნდები. მხოლოდ რაც ითქვა მოსწრებული სიტყვების შესახებ, რომლებიც მინდა მოგაგონოთ, უნდა ითქვას, რომ ამ სიტყვებმა ისე უნდა უკბინოს ადამიანს, როგორც ცხვარი კბენს ხოლმე და არა ძაღლი; თუ მოსწრებული სიტყვა ძაღლივით ჩაასობს ადამიანს კბილებს, მაშინ ეს მოსწრებული სიტყვა კი არა, ლანძღვა-გინება იქნებოდა, და აი ეს მშვენივრად დაამტკიცა როგორც მადონა ორეტას ნათქვამმა, ისე ჩისტის პასუხმა. მართალია, თუ კაცი პასუხს იძლევა და ეს მოპასუხე ძაღლივით იკბინება, რადგან იმას წინდაწინვე თითქოს ძაღლივით უკბინესო, ამისთვის კაცს საყვედური არ უნდა ეთქვას, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს; ამიტომ უნდა ვიცოდეთ — როგორ, როდის და ვის და მსგავსადვე რად ვეუბნებით ხოლმე მოსწრებულ სიტყვას, და რადგან ერთმა ჩვენმა მღვდელმთავარმა ამისთანებს ყურადღება არ მიაქცია, თვითონ რომ უკბინა, იმაზე ნაკლებ კი არ უკბენიათ მისთვის. ეს მინდა ერთი პატარა მოთხრობის

საშუალებით თვალწინ დაგიყენოთ.

როცა მაღალღირსი და ნასწავლი ანტონიო დ'ორსო ფლორენციის ეპისკოპოსად ბრძანდებოდა, ფლორენციაში ჩამოვიდა ვინმე კატალანელი აზნაური, მესერ დეგო დელლა რატა, მეფე რუბერტოს მარშლად. როგორც გარეგნობით მეტად ლამაზს და ამასთან დიდ მოარშიყეს, სხვა ფლორენციელ ქალებს შორის ერთი ქალი მოეწონა. ეს ქალი ძალიან ლამაზი იყო და შვილიშვილად ხვდებოდა ხსენებული ეპისკოპოსის ძმას. დეგო დელლა რატამ გაიგო, რომ ქალის ქმარი, თუმცა კარგი შთამომავლობისა ყოფილა, მაგრამ საშინელი ძუნწი და ცუდი კაცის სახელი ჰქონია, ამიტომ მოელაპარაკა — ხუთას ფლორინ ოქროს მოგცემ, ოღონდ ერთ ღამეს შენს ცოლთან დამაწვინეო. შეთანხმდნენ ამაზე და ამანაც ორსოლდოიანი ვერცხლის ფული, რომელსაც მაშინ გასავალი ჰქონდა, ოქროში დააცურვინა, ერთი ღამე მის ცოლთან გაატარა, თუმცა ქალის სურვილის წინააღმდეგ იყო ესა, და მერე ქმარს დაპირებული ფული ჩააბარა. მერე, როცა ყოველივე ეს გამომჟღავნდა, ცუდ კაცს შერჩა ზარალი და ხალხის დაცინვა, ხოლო ეპისკოპოსმა, როგორც ჭკვიანმა კაცმა, თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი ჰქონოდა გაგებული.

რადგან ეპისკოპოსი და მარშალი ხშირად იყვნენ ერთად, ისე მოხდა, რომ ივანობას ერთად მიდიოდნენ ცხენით ერთიმეორის მხარდამხარ. ამ დროს ქუჩაში დაინახეს ქალები, რომლებიც ერთმანეთს სირბილში ეჯიბრებოდნენ. მათ შორის ეპისკოპოსმა თვალი მოჰკრა ერთ ახალგაზრდა ქალს, რომელიც ახლანდელმა ჭირმა თან გადიტანა. ამ ქალს სახელად ერქვა მონნა ნონა დე პულჩი და ბიძაშვილი იყო ალესიო რინუჩისა, რომელსაც ალბათ ყველანი იცნობთ. სწორედ ეს ქალი, მაშინ ნორჩი და ლამაზი, მიხვედრილი და გულადი, იმას წინათ პორტა სან პიეროში გათხოვილი, უჩვენა ეპისკოპოსმა მარშალს. როცა დაუმხარდამხარდნენ, ეპისკოპოსმა მარშალს მხარზე ხელი დაადო და ქალს უთხრა: „ნონა, რას იტყვი ამ კაცზე? შეგიძლია სძლიო თუ არა?" ნონას მოეჩვენა, რომ ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, შეურაცხყო მისი პატიოსნება და ჩირქი მოსცხო იმათ თვალში, ვინც მაშინ იქ დაესწრნენ — და ასეთები კი ბევრნი იყვნენ — და ეპისკოპოსის ეს ნათქვამი გაიგონეს. ქალმაც ამ ჩირქის მოსარეცხად კი არა, არამედ იმისთვის, რომ დარტყმასზე დარტყმითვე ეპასუხა, სწრაფად მიუგო: „მესერე, ამას შეიძლება არც კი ეჯობნა ჩემთვის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, კარგი იქნებოდა, ფული ნამდვილი მაინც მოეცა".

ეპისკოპოსმა და მარშალმა ეს სიტყვები რომ გაიგონეს, იგრძნეს, რომ ორივეს ერთნაირად მოხვდა საყვედური: ერთს — როგორც უპატიოსნო საქციელის მოქმედს ეპისკოპოსის ძმის შვილიშვილის მიმართ, ხოლო მეორეს — როგორც შეურაცხყოფილს ღვიძლი ძმის შვილიშვილის შეურაცხყოფით. ერთმანეთისთვის არც კი შეუხედავთ, დარცხვენილნი, ჩუმად მოშორდნენ იქაურობას და ქალს იმ დღეს იმის მეტი ვერაფერი უთხრეს.

ამგვარად, ახალგაზრდა ქალს უკბინეს, მაგრამ იმანაც სრულიად საფუძვლიანად უკბინა მოსწრებული სიტყვით თავის მკბენელს.

ამბავი მეოთხე. კიკიბიოს წეროები

კურადო ჯიანფილიაცის მზარეულმა კიკიბიომ თავისი მოსწრებული სიტყვით კურადოს რისხვა სიცილად შეაცვლევინა და მოსალოდნელი ხიფათი თავიდან აიცდინა.

ლაურეტა დაჩუმდა და ყველამ უზომოდ აქო ნონას საქციელი. ამ დროს დედოფალმა ნეიფილეს უბრძანა, შემდეგი შენა თქვიო. ამანაც ასე დაიწყო: — თუმცა მიხვედრილი გონება, ჩემო ტკბილნო, მოლაპარაკეთ, გარემოებისდა კვალად, ხშირად შთააგონებს სწრაფ, სასარგებლო და მოხდენილ სიტყვებს, მაგრამ შემთხვევა, რომელიც ზოგჯერ მშიშარათა დამხმარედ გამოდის, ამათ მოულოდნელად ენაზე დაუდებს ისეთ სიტყვებს, რომლებსაც დამშვიდებულ მდგომარეობაში მყოფი მოლაპარაკე თავის დღეში ვერ იპოვიდა. და აი ჩემი მოთხრობით ამ ნათქვამის სიმართლე მინდა დაგიმტკიცოთ.

კურადო ჯიანფილიაცი, როგორც ყოველ თქვენთაგანს გენახვებათ და გაგეგონებათ, ჩვენი ქალაქის სახელოვანი მოქალაქე, სულმუდამ უხვი და სტუმართმოყვარე იყო; ცხოვრობდა რაინდულად და მისი საყვარელი გასართობი ქორ-მეძებრები და ნადირობა გახლდათ. ახლა მინდა გიამბოთ სხვა საქმენი მისნი საგმირონი. ერთხელ მისმა შავარდენმა წერო დაიჭირა პერეტოლას ახლო. რაკი ფრინველი მსუქანი და ქორფა გამოდგა, თავის მზარეულს გამოუგზავნა. მზარეულს კიკიბიო ერქვა და ვენეციელი იყო. თანაც შემოუთვალა: შემინწვი და მზად დამახვედრე ვახშმადაო. კიკიბიო, ცოტა არ იყოს, ცეტი ვინმე გახლდათ და ეს ზედაც ეტყობოდა: წერო მოამზადა, ცეცხლზე შემოდგა და შეუდგა მის შეწვას. ფრინველი თითქმის რომ შეინწვა, მეტად დიდი სუნი აუშვა. ამ დროს საამზარეულოში შემთხვევით შემოვიდა ერთი იქაური სოფლელი ქალი, ბრუნეტა, რომელიც კიკიბიოს საშინლად უყვარდა; შემწვარი წეროს სული რომ მიედინა და თვით წერო რომ დაინახა, ძალიან გულითა სთხოვა კიკიბიოს — ერთი ბარკალი მომეციო. კიკიბიომ ღიღინით უთხრა: „ვერ მოგართვეს, ბრუნეტა ქალო, ვერ მოგართვეს, ჩემი ხელიდან ვერას მიიღებთ“. დონა ბრუნეტა ამაზე გაწყრა და უთხრა კიკიბიოს: „თუ არ მოგიცია, უფლის მადლმა, თავის დღეში ვერ მიიღებ ჩემგან, რაც შენ მოგესურვება“. რაღა ბევრი გავაგრძელო, ბევრი იდავეს. ბოლოს კიკიბიომ, ჩემს სატრფოს არ ვაწყენინოო, წეროს ერთი ბარკალი ააცალა და მისცა.

მერე კურადოსა და მის სტუმრებს წერო უბარკლოდ რომ მიართვეს სუფრაზე, კურადოს საშინლად გაუკვირდა, მაშინვე დააძახებინა კიკიბიოსათვის და ჰკითხა — წეროს მეორე ბარკალი რაღა იქნაო? ამაზე ტყუილის მოყვარულმა ვენეციელმა ასე მოახსენა: ბატონო,

წეროებს ცალი ბარკლისა და ცალი ფეხის მეტი არა აქვთო. კურადო საშინლად გაჯავრდა და შეუტია: „რას მიქარავ, რომ არ ვიცი?! ვინ მოგახსენა, რომ წეროს მხოლოდ ცალი ფეხი და ცალი ბარკალი აქვსო?! თითქო ამის მეტი მნახველი არ ვიყო წეროსი!..“ კიკიბიომ მოახსენა: „თქვენი რისხვა არა მქონდეს, მართალს მოგახსენებთ, ბატონო, და როცა გენებებათ, ცოცხალ წეროზე გაჩვენებთ, რომ ეს ასე გახლავთ, ჰო, თქვენს მზესა ვფიცავ“. კურადო სტუმრების პატივისცემისათვის მეტად არ ჩააცივდა მზარეულს, მხოლოდ ეს კი უთხრა: „რაკი ამბობ, ცოცხლები მინახავს ასეთებიო, რაც ჩემ სიცოცხლეში არც მინახავს და არც გამიგონია, ხვალ დილასვე უნდა მაჩვენო და მაშინ არაფერს გეტყვი; მაგრამ თუ ასე არ იქნა, ქრისტეს ზიარების მადლმა, ისე მივაბეგვინო შენი თავი, რომ სანამ სული გედგმება, შენდა საუბედუროდ სულ ჩემი სახელი გაგონდებოდეს“.

იმ საღამოს ამ ლაპარაკით გაათავეს. მეორე დილას, ინათა თუ არა, კურადო, რომელსაც ღამე ძილში მაინც არ გადაუარა ბრაზმა, ისევ გულმოსული ადგა და ბრძანა — ცხენები მომგვარეთო; ერთ ჯახრაკზე კიკიბიოს უბრძანა შეჯდომა და გასწიეს ერთი მდინარისაკენ, რომლის ნაპირას განთიადისას ხშირად იცოდა წეროები. ბატონმა თავისი მზარეული იქითკენ წაიყვანა და უთხრა: ახლავე დავინახავთ, გუშინ საღამოს ვინა სტყუოდა: მე თუ შენაო. კიკიბიო ხედავდა, რომ კურადოს ბრაზი ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო. თავი კი როგორმე უნდა ემართლებინა და კი არ იცოდა, როგორ მოეხერხებინა. მისდევდა უკან კურადოს ძალზე შეშინებული და რომ შესძლებოდა, დიდი სიამოვნებით თავს უშველიდა. მაგრამ რაკი გაქცევა ვერ შეძლო, ხან წინ იხედებოდა, ხან უკან, ხანაც გვერდით და რაც წეროებსა ჰხედავდა, ისე ეჩვენებოდა, რომ ორ ფეხზე დგანანო. მდინარეს რომ მიუახლოვდნენ, კიკიბიომ ნაპირას ბარემ თორმეტი წერო დაინახა, ყველანი ცალ ფეხზე იდგნენ. ძილის დროს ასე იციან ხოლმე ამ ფრინველებმა. კიკიბიომ საჩქაროდ უჩვენა წეროები კურადოს და მოახსენა: „აბა, ბატონო, თუ გუშინ საღამოს მართალს არ მოგახსენებდით! ინებეთ და თქვენი ბედნიერი თვალებით შეხედეთ ემანდ მდგარ წეროებს, თუ თითოეულს ცალი ბარკალი და ცალი ფეხი არა აქვს“. კურადომ წეროები რომ დაინახა, კიკიბიოს უთხრა: „დამაცა და ახლა დაგიმტკიცებ, რომ ამათ ორ-ორი ფეხი აქვთ“, მერე უფრო დაუახლოვდა და აუქშია; კურადოს აქშევაზე წეროებმა მეორე ფეხიც დაუშვეს და რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ გაფრინდნენ. მაშინ კურადომ კიკიბიოს მიმართა და უთხრა: „როგორა გგონია, შე ღორმუცელა, შენა? კიდევ იტყვი, ორფეხები არ არიანო? კიკიბიო თითქმის დაიბნა და თვითონაც არ იცოდა, როგორ მოახერხა, ისე, ასეთი პასუხი მოახსენა: მართალსა ბრძანებთ, ბატონო, მხოლოდ თქვენ გუშინდელ წეროსათვის არ აგიქშევიათ, თქვენ რომ შეგეძახებინათ, ის წერო მეორე ბარკალსა და მეორე ფეხს ძირს ჩამოუშვებდა, როგორც ამათა ჰქნესო.

კურადოს ასეთი პასუხი იმ ზომამდე მოეწონა, რომ მთელი თავისი ბრაზი და წყრომა

სიცილად და მხიარულებად გადაექცა და უთხრა: მართალი ხარ, ჩემი კიკიბიო, მეტი გზა არ არის, უნდა დაგემონმოო.

ამგვარად, თავის სწრაფი და სახუმარო პასუხით კიკიბიომ ხიფათს თავი დააღწია და თავისი ბატონის გულიც მოიბრუნა.

ამბავი მეხუთე. მესერ ჯოტო

მესერ ფორეზე და რაბატა და მხატვარი ჯოტო მუჯელოდან ბრუნდებიან და თავიანთ საწყლურ გარემოებაზე ეცინებათ.

ნეიფილე დაჩუმდა. ქალთაგანს ბევრს ძალიან მოეწონა კიკიბიოს პასუხი. ამასობაში დედოფლის ბრძანებით პამფილომ ასე დაიწყო: — ქალებო, თქვენი კვნესამე! ხშირადა ხდება, რომ ბედი ცუდ ხელობათა ქვეშ ფარავს სათნოების უთვალავ ზინეთს, როგორც ამას წინათ პამპინეამ დაგვიმტკიცა; ეგრეთვე ადამიანთა მახინჯი გარეგნობის ქვეშ ბუნებას საოცარი ნიჭიერება აქვს დაფარული. ამ ნათქვამს აშკარად მოწმობენ ორი ჩვენი თანამოქალაქე, და ამათი ამბავი მოკლედ მინდა მოგახსენოთ.

ერთი მათგანი, რომელსაც მესერ ფორეზე და რაბატა ერქვა, პატარა ტანისა იყო, უსახური. პირისახე ისეთი ბრტყელი და ცხვირი ისეთი პაჭუა ჰქონდა, რომ ასეთი სახე სასირცხვილო და არასაკადრისი იქნებოდა ბარონჩის ოჯახის ყველაზე სახიჩარი სახის პატრონისთვისაც კი; ამავე დროს ისე ზედმიწევნით იცოდა კანონები, რომ ბევრმა მცოდნე პირმა სამოქალაქო კანონების ზინეთი უწოდა. მეორეს ჯოტო ერქვა: ისეთი ნიჭის პატრონი იყო, რომ არ შეიძლებოდა ცათა დაუსრულებელ ტრიალში ყოველივე გაჩენილი ბუნებისა, ამ ყოველივე არსის შემოქმედისა და დედისა, ფანქრით ან კალმით ან სახატავი ყალმით ისე მიმსგავსებული არ დაეხატა, რომ ეს მსგავსება უფრო სინამდვილე გეგონებოდათ, ვიდრე მიმსგავსება; და ისე ოსტატურადაც ხატავდა, რომ ხშირად მოხდებოდა, რომ მის მიერ გაკეთებული საგნები ატყუებდა ადამიანთა ხედვის გრძნობას, და ესენი სინამდვილედა სთვლიდნენ იმას, რაც დახატული იყო მის მიერ. და რადგან ამ მხატვარმა ხელახლა გამოამზეურა ის ხელოვნება, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დამარხული იყო იმათი შეცდომის გამო, რომელნიც ხატავდნენ უფრო უვიცთა თვალების საამებლად, ვიდრე გონიერთა გონების მისაწვდომად, იგი ღირსეულად შეიქნა ფლორენციული დიდების მანათობელ ლამპრად; და იმდენად უფრო, რამდენადაც უმეტესი თავმდაბლობით მოიპოვა ეს სახელი, იმიტომ, რომ სანამ ცოცხალი იყო, სხვას ასწავლიდა, სხვების ოსტატი იყო და სულ მუდამ უარს კი ამბობდა ამ ოსტატობის სახელწოდებაზე. და ეს მის მიერ უარყოფილი ტიტული მით უფრო ბრწყინავდა მასზე, რაც უფრო უმეტესი მონდომებით და სიხარბით

ბოროტად ხმარობდნენ მას მასზე ნაკლებად მცოდნენი ან მისი მოწაფენი, თუმცა მისი ხელოვნება აღმატებული იყო, თვითონ არც სახით და არც გარეგნობით არ იყო მესერ ფორეზეზე ლამაზი.

მაგრამ ისევ ამბავს დავუბრუნდები და მოგახსენებთ, როგორც გახლდათ.

მესერ ფორეზესა და ჯოტოს მუჯელოში მამულები ჰქონდათ. ერთხელ მესერ ფორეზე თავისი მამულების სანახავად წავიდა. ზაფხულის სწორედ ის დრო იყო, როცა სასამართლოსათვის არდადეგებია. ერთ ჯახრაკზე შემჯდარიყო და უკან ბრუნდებოდა, ისე დაეწია ხსენებულ ჯოტოს. იმასაც თავისი მამულები დაეთვალიერებინა და ახლა ფლორენციაში ბრუნდებოდა. არც ცხენით და აღარც გარეგნობით თავის თანამგზავრს არაფრითა სჯობდა და, როგორც მოხუცთ შეეფერებოდათ, ისე ნელი ნაბიჯით ერთად წამოვიდნენ.

როგორც ზაფხულობით იცის ხოლმე, უცბად წვიმამ მოასწროთ; ამათაც რაც შეიძლებოდა ჩქარა თავი შეაფარეს ერთი გლეხის სახლს. ეს გლეხი ერთისაც და მეორისაც ნაცნობი და მოკეთე იყო. ერთმა ხანმა გაიარა, მაგრამ წვიმას გადაღების პირი არ უჩანდა, ამათ კი ისევ დღიურ უნდოდათ ფლორენციაში ჩასვლა, ამიტომ მასპინძელს ორი ძველი ნაბადი სთხოვეს, როგორც რომანიაში იციან ხოლმე, და ორი ქუდი, ხმარებისაგან სულ გაწითლებული, რადგან უკეთესი არა ჰქონდა, და განაგრძეს გზა.

გაიარეს კარგა გზა. ორივე წვიმისაგან სულ ერთიანად გაიწუწნენ და თან ტალახშიაც ამოიგანგლნენ ცხენების ფეხებისაგან უხვად ნასროლი წინწკლებით (ცხენები მორიდებას საიმისოდ არ დაგიდევენ). ცოტათი რომ გამოიდარა, აქამდე ჩუმად მიმავალმა მგზავრებმა დაიწყეს ლაპარაკი. მესერ ფორეზე თან მიდიოდა და თანაც ყურს უგდებდა ჯოტოს, რომელიც საუცხოო თანამოსაუბრე იყო. მერე თავით ფეხამდე ახედ-ჩახედა და რომ დაინახა, ასე ცუდად ჩაცმულ-დახურული და უშნო, იმას კი ყურადღება არ მიაქცია, თუ თვითონ როგორი იყო, დაიწყო სიცილი და უთხრა: „ჯოტო, ახლა უცხო კაცი ვინმე რომ შემოგხვდეს, განა იფიქრებს, რომ შენისთანა მხატვარი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება, როგორც ეს ნამდვილადაც არის?“ ამაზე ჯოტომ დაუყოვნებლივ უპასუხა: „მე მგონია, დაიჯერებდა, თუკი თქვენც შემოგხედავდათ და დაიჯერებდა, რომ თქვენ ანბანი იცით“.

მესერ ფორეზემ ეს რომ გაიგონა, მიხვდა თავის შეცდომას და თქვა: „მართალი უთქვამთ:

„მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო“.

ამბავი მეექვსე. ბარონჩეგის კეთილშობილება

მიქელე სკალცა რამდენსამე ახალგაზრდას არწმუნებს — მთელ ხმელეთზე და ზღვის ნაპირებზე ბარონჩები ყველაზე კეთილშობილი ხალხიაო, და ვახშამს მოიგებს.

ჯერ ისევ ეცინებოდათ ქალებს ჯოტოს სწრაფ პასუხზე, ისე დედოფალმა ფიამეტას უბრძანა ამბის თქმა და იმანაც ასე დაიწყო ლაპარაკი : — ქალებო, ბარონჩებს, რომლებიც პამფილომ ახსენა, შეიძლება თქვენ იმისებრ არ იცნობდეთ; მე კი მათმა ხსენებამ მომაგონა ერთი ამბავი, რომელშიაც ნათლადა ჩანს მათი კეთილშობილება. ჩვენ მიერ დასახულ გზას სრულიად არ აგვაცდენს ეს ამბავი, ამიტომ მეც გიამბობთ.

მას აქეთ კარგა ხანი გავიდა, რაც ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა ერთი ყმაწვილი — მიქელე სკალცა. ისეთი სასიამოვნო და ხუმარა დედამიწის ზურგზე სხვა მეორე არ მოიძებნებოდა; თქვენ ის უნდა ბრძანოთ, თუ რა გამოულეველი მარაგი ჰქონდა სულ ახალ-ახალი მოთხრობებისა! ამიტომ ახალგაზრდა ფლორენციელები ცდილობდნენ, როცა შეიკრიბებოდნენ სადმე, ეს ყმაწვილი უეჭველად თავიანთ შორის ჰყოლოდათ.

ერთხელ მიქელე სკალცა რამდენიმე ყმაწვილთან ერთად მონტ უგიში იმყოფებოდა, ისე მათ შორის ამაზე ატყდა დავა: რომელი გვაროვნებაა სხვაზე კეთილშობილი და სხვაზე უძველესი ფლორენციაშიო. ზოგმა უბერტები თქვა. ზოგმა — ლამბერტებიო, და სხვამ კიდევ სხვა გვაროვნება დაასახელა ისე, როგორც მოაგონდა. სკალცამ რომ გაიგონა მათი ლაპარაკი, გაიღიმა და თქვა: ხმა ჩაიწყვიტეთ, ხმა, თქვე ოჩოპინტრეებო! აბა, რომ არ იცით, რას ამბობთ: ყველაზე კეთილშობილი და უძველესი გვაროვნება — არამცთუ მხოლოდ ფლორენციაში, არამედ მთელ ხმელეთზე და ზღვის კიდეებზე — ბარონჩები არიან. ამასვე ამტკიცებენ ყველა ფილოსოფოსნი და ყველა, ვინც ჩემებრ იცნობს მათ; და რომ არ გეგონოთ, ვითომ სხვებზე ვფიქრობდე, გეუბნებით, რომ მე გელაპარაკებით იმ ბარონჩებზე, თქვენს მეზობლებზე, სანტა მარია მაჯორესთან რომ ცხოვრობენო. ყმაწვილები სულ სხვა გვაროვნების დასახელებას მოელოდნენ და ეს გვარი რომ გაიგონეს, სკალცა სასაცილოდ აიღეს და უთხრეს: „ალბათ, მასხრად იგდებ იმათ, თორემ ჩვენც ხომ შენებრ ვიცნობთ ბარონჩებს“. ამაზე სკალცამ ასე უპასუხა: „წმინდა სახარების მადლმა, არა ვხუმრობდე, ისე კი არა, მართალს გეუბნებით, ასე რომ, ვისაც გინდათ, დაგენიძლავებით. თუ წავაგე, მომგებსა და ექვს ამხანაგს, ვინც მას მოეწონება, ვახშამს გავუმართავ; გარდა ამისა, ვისაც გინდათ, რამე სასჯელი მოასჯევინეთ ჩემთვის და მე მზადა ვარ დავემორჩილო“. დამსწრეთა შორის ერთმა, რომელსაც ნერი მანინი ერქვა, ასე უთხრა: მე მინდა ვახშმის მოგებაო. მოილაპარაკეს და მოსამართლედ დააყენეს პიერო დე ფიორენტინო, რომლის სახლშიაც თავი მოეყარათ. მონიძლავენი წავიდნენ პიეროსთან და სხვებიც გაჰყვნენ, რომ ეყურებინათ სკალცას სანაძლეოს მოგებისათვის და მერე ნიშნი მოეგოთ მისთვის. პიეროს ყოველივე რომ უამბეს,

ამან, როგორც ჭკვიანმა ყმაწვილმა, ჯერ ნერის მოუსმინა საბუთები, მერე სკალცას მიუბრუნდა და უთხრა: შენ რით შეგიძლია შენი ნათქვამი დაამტკიცოო? სკალცამ ასე უპასუხა: „რით? რით და ისეთი საბუთით დაგიმტკიცებ, რომ არამცთუ შენა, იმანაც, ვინც არ მეთანხმება, თქვას, რომ მე მართალი ვყოფილვარ. თქვენ, ალბათ, გეცოდინებათ, რომ ადამიანი რაც ძველებურია, მით უფრო კეთილშობილია და ესენიც ამასვე ამბობენ ერთმანეთში. ხოლო ბარონჩის გვარი ყველაზე უძველესი გვარია, მაშასადამე, ყველაზე კეთილშობილიცაა. და რაკი დაგიმტკიცებთ ბარონჩების გვარის სიძველეს, ცხადია, სანაძლეოც მე უნდა მოვიგო. თქვენ ისიც უნდა იცოდეთ, რომ ბარონჩები უფალმა გააჩინა მაშინ, როცა ხატვის სწავლა დაიწყო; ხოლო სხვები მაშინ გაჩნდნენ, როცა უფალმა ხატვა ისწავლა. და თუ გინდათ დარწმუნდეთ, რომ მართალს გეუბნებით, დააკვირდით ბარონჩებსაც და სხვებსაც: იმ დროს, როცა სხვებს სახე ყველას თვალადი და შედარებით გაწყობილი აქვთ, ბარონჩებს ზოგს ჩამოგრძელებული და ვიწრო სახე აქვს, ზოგს უზომოდ გაბრტყელებული, ზოგს კიდევ ცხვირი აქვს გრძელი, ზოგსაც — მოკლე; ზოგს ნიკაპი აქვს გამოწეული და ზევითკენ აშვერილი, ღაწვები სახედრის ღაწვებს მიუგავთ; ისეთებიცაა, ვისაც ცალი თვალი მეორეზე უფრო მსხვილი აქვს, ზოგსაც ცალი თვალი ძირს დაწეული აქვს და მეორე თვალი მაღლა აწეული, სწორედ ისე, როგორც ამას ბავშვები ხატავენ ხოლმე, როცა ხატვას პირველად სწავლობენ. ამიტომ, როგორც გითხარით, აშკარადა ჩანს, რომ ღმერთმა ესენი მაშინ გააჩინა, როცა ხატვას ის-ის იყო სწავლობდა. ამგვარად, ბარონჩების გვარი სხვებზე უძველესი გვარია, მაშასადამე, უფრო კეთილშობილებიც არიან“.

როცა პიერომ, რომელიც მოსამართლედ დაეყენებინათ, ნერიმაც, რომელიც ვახშამზე დაენიძლავა, და სხვებმაც ყოველივე ეს გაითვალისწინეს, მოისმინეს ოხუნჯური საბუთი სკალცასი, აუტყდათ საშინელი სიცილი და დაასკვნეს, რომ სკალცა მართალი იყო და ვახშამიც მოიგო, და რომ, ცხადია, ბარონჩების გვარი ყველაზე კეთილშობილი და ყველაზე უძველესი გვარი იყო არამცთუ ფლორენციაში, არამედ მთელს ხმელეთზე და ზღვის ნაპირებზეო.

ამიტომ პამფილოს როცა უნდოდა ეთქვა — მესერ ფორეზე მეტად მახინჯი რამ იყოო, თამამად ჰქონდა უფლება, ეთქვა: — ეს სახე, რომელიც გინდა ბარონჩი აგეღოთ, იმისთვისაც კი დასაწუნი იქნებოდაო.

ამბავი მეშვიდე. მადონა ფილიპა

ქმარი მადონა ფილიპას საყვარელთან მოატანს და სასამართლოს წინაშე წარდგება, მაგრამ სწრაფი და ოხუნჯური პასუხით ქალი თავს უშველის და მოსამართლეს განაჩენს გამოაცვლევინებს.

ფიამეტა დაჩუმდა, ხოლო სხვებს კიდევ დიდხანს ეცინებოდათ სკალცას ახალ საბუთზე ბარონჩების გვარის გასაკეთილშობილებლად და სხვებზე მაღლა დასაყენებლად. ამასობაში დედოფალმა ფილოსტრატოს უბრძანა — აბა, ერთი ახალი ამბავი შენა თქვიო. ფილოსტრატომაც ასე დაიწყო: — სიქველით აღსავსე ქალებო! კარგია, როცა კაცს ყოველ შემთხვევაში ემარჯვება ლაპარაკი, მაგრამ დიდად მშვენივრად მეჩვენება მე ამ ლაპარაკის ცოდნა, როცა ამ ცოდნას გაჭირვება გამოგაჩენინებს. ასეთი ლაპარაკი ერთ კეთილშობილ ქალს ემარჯვებოდა, მეც სწორედ იმის ამბავი მინდა ახლა გიამბოთ. ამ ქალმა არამცთუ მსმენელები უზომოდ აცინა და გაამხიარულა, არამედ თავისი თავიც სამარცხინო სიკვდილისაგან იხსნა, როგორც ამას ახლა თქვენ თვითონ მოისმენთ.

პრატოს ქალაქში ძველად ერთი მეტად გასაკიცხი და მეტად სასტიკი კანონი არსებობდა. ამ კანონის ძალით განურჩევლად ისჯებოდა როგორც მემრუშე ოჯახის ქალი, როცა სხვა კაცთან მოატანდნენ, ისე საზოგადოდ ყოველი ქალი, ვინც ფულის გულისათვის იმრუშებდა. ამ კანონის არსებობის დროს ერთი კეთილშობილი, ლამაზი და უსაზღვროდ შეყვარებული ქალის, მადონა ფილიპას, ქმარმა რინალდო პულიეზიმ მის საკუთარ ოთახში მოასწრო ლაძარინო დე გვაცალიოტრის გულში ჩახუტებულს. ეს ლაძარინო ახალგაზრდა კეთილშობილი კაცი იყო, ლამაზი, იმავე ქალაქის მცხოვრები და ქალს თავის თავს ერჩია. რინალდოს ამის დანახვაზე ცეცხლი მოეკიდა ბრაზისგან და ცოტას გაწყდა, არ მივარდა და ორივეს სული არ გააფრთხობინა. თავისი თავის რომ არ შეშინებოდა და სიცხარეს რომ აჰყოლოდა, უეჭველად იზამდა ამას. მათი მოკვლისაგან, მართალია, თავი შეიკავა, მაგრამ ის კი ვერ მოითმინა, რომ სასამართლოსათვის არ ეთხოვა შესრულება იმისა, რის უფლებაც თვითონ არ ჰქონდა, ე.ი. თავისი ცოლის მოკვლისა. რაკი საკმაო საბუთები ჰქონდა ხელთ თავისი ცოლის ღალატისა, გათენდა თუ არა, არავისთვის არ უკითხავს, ისე საჩივარი შეიტანა ცოლზე და იმასაც გამოუძახეს. ქალი გულადი იყო, როგორიც არიან ხოლმე ყველა ჭეშმარიტად შეყვარებულები; თუმცა მეგობრები და ნათესავები არ ურჩევდნენ, მაგრამ იმან მაინც გადაწყვიტა თამამად გამოცხადებულიყო სასამართლოში, სიმართლე ეღიარებინა და ვაჟკაცურად მომკვდარიყო, ვიდრე ლაჩრულად გაქცეულიყო, სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო სამშობლოდან გადახვეწილს ეცხოვრა და უღირსი ყოფილიყო ისეთი კარგი საყვარლისა, როგორიც მისი საყვარელი იყო და რომლის გულ-მკერდშიაც ჩახუტებული იყო წინა ღამეს.

მადონა ფილიპამ გაიყოლია ქალები და კაცები, რომლებიც ურჩევდნენ უარი ეთქვა დაბრალებულ დანაშაულზე, წარდგა პოდესტას წინაშე დამშვიდებული სახით და მტკიცე ხმითა ჰკითხა — რას მიბრძანებთო? პოდესტამ ქალს რომ შეხედა, დაინახა: მეტად ლამაზია და თავიც სანაქებოდ უჭირავსო და ამასთან რამდენადაც მისი სიტყვები მოწმობს, ძლიერი სულის პატრონიც უნდა იყოსო. თან შეებრალა და თან შეეშინდა, ვაითუ რამე წამოსცდეს

ისეთი, რომ მე, რათა ჩემს სახელს ჩირქი არ მოეცხოს, იძულებული ვიქნე, სიკვდილი მივუსაჯოო. მაინც არ შეიძლებოდა არ ეკითხა იმ საგნის გამო, რასაც აბრალებდნენ, და უთხრა: „მადონა, როგორცა ხედავთ, აქ არის თვენი ქმარი რინალდო და გიჩივით: სხვა კაცთან გიმრუშიათ და ამიტომ მოითხოვს უკვე არსებილი კანონის ძალით სიკვდილით დაგსაჯოთ. მაგრამ ამ კანონის შესრულება არ ძალმიძს, თუ თქვენ თვითონ არ აღიარეთ ყველაფერი; ამიტომ სათქმელს კარგად დაუკვირდით, მითხარით, მართალია თუ არა, რასაც თქვენი ქმარი გაბრალებთ?“

ქალი სრულებითაც არ შემკრთალა და, ცოტა არ იყოს, მხიარული ხმით უპასუხა:

„მართალია, რინალდო ჩემი ქმარი გახლავთ, წუხელ ლაძარინოს გულში ჩახუტებული დამინახა. უნდა მოგახსენოთ რომ ლაძარინო უსაზღვრო სიყვარულით მიყვარს და ხშირად მინეტარია მასთან წოლით. ამის უარის თქმა, ჩემგან არ ეგების. მაგრამ დარწმუნებული გახლავართ, თქვენც მოგეხსენებათ, რომ კანონები ყველასათვის საერთო უნდა იყოს და შედგენილნი იმათი თანხმობით, ვისაც ეს კანონები შეეხება. ამ კანონს კი სარჩულად ეს არ უდევს, რადგან იგი ფეხს უბორკავს მხოლოდ საცოდავ ქალებს, რომელთაც გაცილებით მეტის დაკმაყოფილება შეუძლიათ, ვიდრე კაცებს ძალუძთ. გარდა ამისა, როცა ამ კანონს ადგენდნენ, არამცთუ ქალთაგანს ერთს არ გამოუცხადებია თავისი თანხმობა, არამედ ქალისათვის სულაც არ დაუძახიათ, ამიტომ ამ კანონს სამართლიანად შეიძლება კაცმა უწოდოს უუბოროტესი კანონის სახელი. თქვენი ნება გახლავთ, თუ ჩემი სხეულის და თქვენი სინდისის საზარალოდ ამ კანონის ასრულებას კისრად იღებთ; მხოლოდ სანამ რამეს გადაწყვეტდეთ, გთხოვთ, ერთი მცირე რამ მოწყალება მოიღოთ, ე.ი. ჩემ ქმარს უბრძანოთ: ყოველთვის როცა კი მოუთხოვია და რამდენჯერაც მას სურვებია, სავსებით ვეკუთვნოდი მას თუ არა?“

რინალდომ არც კი დაუცადა, პოდესტას მისთვის რამე ეკითხა, დაუყოვნებლივ უპასუხა: როცა კი მომითხოვია, უეჭველად აუსრულებია ყოველი ჩემი სურვილიო. ამაზე მაშინვე ჰკითხა ქალმა: „მესერ პოდესტა, თუ ჩემ ქმარს ჩემგან ყოველთვის მიუღია, რაც უნდოდა და რაც ესიამოვნებოდა, გეკითხებით — როგორ უნდა მომეხმარა ის, რაც ზედმეტადა მრჩებოდა? ძაღლებს ხომ არ გადავუყრიდი? უბრალოდ დაკარგვას ან გაფუჭებას ნუთუ არა სჯობდა — ეს მოჭარბებული სიყვარული მიმეძღვნა ერთი კეთილშობილი კაცისათვის, რომელსაც თავის თავს ვურჩევნივარ?“

ამ გამოძიებას, თან ასეთი სილამაზით განთქმული მანდილოსნის გამო გამართულს, მთელი პრაგოელები დაესწრნენ. ამათ რომ გაიგონეს ესდენ სასაცილო კითხვა, საშინელი სიცილი აუტყდათ და მერე ერთბაშად თითქმის ერთხმივ დაიძახეს: ცოლი მართალია და კარგადაც ლაპარაკობსო! სანამ დაიშლებოდნენ, თვით პოდესტას წაქეზებით შეცვალეს

მკაცრი კანონი და დაადგინეს, რომ იგი შეეხებოდა მხოლოდ იმ ქალებს, ვინც თავიანთ ქმრებს ფულის გულისათვის უღალატებდნენ.

რინალდოს თვითონვე შერცხვა თავისი სულელური საქციელისა და სასამართლოდან კუდამოძუებული გარეთ გამოვიდა; ხოლო ქალი, მხიარული და თავისუფალი, თითქო კოცნისათვის დაუღწევია თავიო, ყველას მიერ ქებული, შინ დაბრუნდა.

ამბავი მერვე. ფრესკო და ჩელატიკო

ფრესკო ძმისწულს ურჩევს — სარკეში ნუღარ იხედები, თუ, როგორც შენ ამბობ, არ გესიამოვნება არასასიამოვნო ხალხის ნახვაო.

ფილოსტრატოს ნაამბობ ამბავზე ჯერ, ცოტა არ იყოს, შერცხვათ მის ყურისმგდებელ ქალებს, რის ნიშნად ღაწვები სირცხვილით აუკვერდათ; მერე ერთმანეთს გადახედ— გადმოხედეს, სიცილისაგან თავს ძლივს იკავებდნენ და ხითხითით ბოლომდე მოუსმინეს. მოამბემ რომ ჩაათავა, დედოფალმა ემილიას მიმართა და უბრძანა — ახლა იმას მოეყოლებინა. ამანაც ქმენით, თითქოს ახლა გამოიღვიძაო, დაიწყო: — ლამაზებო, რადგან ხანგრძლივმა ფიქრმა აქედან მეტად შორს წამიღო, დედოფლის ბრძანების ასასრულებლად უნდა გაკმაროთ პატარა ამბავი, რაც, შეიძლება არ მექნა, აზრ-ზონებით აქ სადმე რომ ვყოფილიყავ; ჰოდა, ეს ამბავი გახლავთ ერთი სულელი ქალის შეცდომა, რასაც მისი ძია ერთი სახუმარო სიტყვით გაუსწორებდა კიდეც, ქალს ამ ხუმრობის მიხვედრის შნო რომ ჰქონოდა.

იყო კაცი ვინმე, ფრესკო და ჩელატიკო. ჰყავდა ერთი ძმისწული ქალი, რომელსაც დაკნინებით სახელს, ჩესკას, ეძახდნენ. თუმცა ტანადი და სახით ლამაზი იყო (ისეთი ანგელოზებრივი სილამაზისა არა, როგორიც ხშირად გვხვდება), თავისი თავი ისეთი აღმატებული სილამაზის ქალად მოჰქონდა, რომ ჩვეულებად გადაექცა ეგინებინა ყველა კაცი და ქალი და ყოველივე, რასაც ნახავდა; დალოცვილი იმას კი არა კითხულობდა, თავად როგორი გარეგნობა ჰქონდა!.. თვითონ კი ესდენ არასასიამოვნო, მოსაბეზრებელი და მიზეზის მკრეფელი ვინმე გახლდათ, რომ კაცი ვერას გზით ვერ აამებდა, და იმდენად გულზვავი იყო, საფრანგეთის მეფეთა ჩამომავალიც რომ ყოფილიყო, მისთვისაც მოჭარბებული იქნებოდა ეს სიზვავე. გზაში რომ მიდიოდა, ისე ეზიზღებოდა ყველაფერი, რომ ერთთავად იჭყანებოდა, თითქოს ვისაცა ხედავდა, ან ვინცა ხვდებოდა, ყველანი აყროლებულნი ყოფილიყვნენ. სხვა იმის არასასიამოვნო და არასაკადრისი ჩვეულებებისას ხომ ნუღარ ბრძანებთ!

ერთხელ, შინ რომ დაბრუნდა, ფრესკოც დაუხვდა. მის გვერდით დაჯდა, დაიწყო

მანჭვა— გრეხა და სულ ერთთავად იფხორებოდა. ფრესკომ ეს რომ შეამჩნია, ჰკითხა: „დღეს დღესასწაულია, ჩესკა, და რა ამბავია, რომ ასე ადრე დაბრუნებულხარ?“ ამაზე ქალი უარესად დაიპრანჭა და ასე უპასუხა: „მართალია, მალე დავრბუნდი, მაგრამ აბა რას მოვიფიქრებდი, რომ ამ ქალაქში კაცები, გინა ქალები ასე არასასიამოვნო და გულისამრევნი იქნებოდნენ, როგორც დღეს არიან, და ერთი გამვლელი არ მინახავს, რომ მის შეხედვაზე გულ-ღვიძლი არ ამმღვრეოდა, თითქო მაჯლაჯუნა რამეაო; არა მგონია, ქვეყანაზე იყოს ვინმე ქალი, რომ არასასიამოვნო ადამიანის ნახვა ჩემებრ ზიზღსა ჰგვრიდეს. და აჰა, ეგენი არა ვნახო-მეთქი და ამიტომ უფრო ადრე წამოველ სახლში“.

ფრესკომ, რომელსაც საშინლად ეჯავრებოდა თავისი ძმისწულის არასასიამოვნო მეტიჩრობა, ასე უთხრა ჩესკას: „ჩემო შვილო, რაკი მაგრე გეჯავრება არასასიამოვნო ადამიანები, როგორც შენ ამბობ, თუ გინდა მხიარულ გუნებაზე დადგე, სარკეში ნუღარ ჩაიხედები ხოლმე“.

მაგრამ იმან, ვინც ლერწამზე უფრო ცარიელი იყო და თავისი თავი სიბრძნით სოლომონ ბრძენის სადარი ეგონა, იმდენადვე გაიგო აზრი ფრესკოს ხუმრობისა, როგორც ამას ცხვარი გაიგებდა. ის კი არა, წამოიძახა: თუკი სხვები იცქირებიან სარკეში, ნეტავ მე რაღად არ უნდა ჩავიხედოო?..

და ეს ქალი როგორც იყო სულელი, ისევე სულელი დარჩა, და დღესაც ასეთივეა.

ამბავი მეცხრე. გვიდო კავალკანტი

გვიდო კავალკანტიმ ვითომ ხუმრობით გამოლანძღა ზოგიერთი ფლორენციელი აზნაური, რომელთაც მას მოულოდნელად წაასწრეს.

დედოფალმა რომ დაატყო, ემილიამ თავისი მოთხრობა დაასრულაო, და რადგან დედოფლის მეტს არავის დარჩენოდა სათქმელი, გარდა იმისა, ვისაც შეღავათი ჰქონდა მინიჭებული, რათა სულ უკანასკნელს ელაპარაკნა, წამოდგა და ასე დაიწყო: — მშვენიერნო, თუმცა თქვენ დამასწარით ორი მოთხრობის თქმა, რომელთაგან ერთ-ერთის თქმას მე ვაპირებდი, მაინც ერთი კიდევ დამრჩა საამბობლად. ეს მოთხრობა თავდება ისეთი მოსწრებული სიტყვით, რომლის მსგავსი გულისხმიერი სიტყვა ჯერ არა თქმულა.

მაშ მოგახსენებთ.

ძველად ჩვენს ქალაქში არსებობდა ლამაზი და საქები ჩვეულებები. ამათგან დღეს ერთიც არ არის დარჩენილი იმის წყალობით, რომ გახშირდა ანგარებისმოყვარეობა,

რომელიც სიმდიდრესთან ერთად გავრცელდა და რომელმაც ყველა ხსენებული ჩვეულება განდევნა. ამ ჩვეულებათა შორის იყო ასეთიც: ფლორენციის სხვადასხვა ადგილას იკრიბებოდნენ ცნობილი მოქალაქენი მეზობელი ქუჩებისა, და შეადგენდნენ ხოლმე კრებულს რამდენიმე კაცისაგან და თან იმას უყურებდნენ, რომ წრეში მიეღოთ ისეთები, ვისაც საკმაო ხარჯების გაწევა შეეძლებოდათ; დღეს ერთი გამართავდა წვეულებას, ხვალ მეორე და ასე რიგრიგად შლიდნენ სუფრას თავთავიანთ დანიშნულ დღეს მთელი წრისათვის; ამასთან, ხშირად მოიპატიჟებდნენ სახელოვან უცხოელებს, როცა ესენი ამ ქალაქში მიდიოდნენ, აგრეთვე — სხვა მოქალაქეთაც. მსგავსადვე წელიწადში ერთხელ მაინც ერთნაირად ჩაცმულები ეჩვენებოდნენ ხალხს; ზოგიერთ განსაკუთრებულ დღეებში ცხენებზე შემსხდარნი ქალაქში ქუჩა-ქუჩა ჩამოივლიდნენ; ზოგჯერაც სამხედრო თამაშობას გამართავდნენ, განსაკუთრებით დიდ დღეობაში ანდა როცა მტერზე გამარჯვების ან სხვა რამ ამბავი მოვიდოდა ქალაქში.

ასეთ საზოგადოებათა შორის იყო ერთი საზოგადოება, ვინმე ბეტო ბრუნელესკისა. ბეტო და მისი ამხანაგები ძალიან ცდილობდნენ ამ საზოგადოებაში მიემხროთ გვიდო კავალკანტი, დეი კავალკანტის შვილი; და საბუთიცა ჰქონდათ, რომ ამ ყმაწვილს თავის წრეში ეწეოდნენ, იმიტომ, რომ გარდა იმისა, რომ მთელს დედამიწაზე მისი სადარი ლოგიკოსი არ მოიძებნებოდა, და აგრეთვე საუკეთესო მცოდნე იყო ბუნებისმეტყველების ფილოსოფიისა (ამას ხსენებული საზოგადოების წევრნი ბევრად არაფრად დაგიდევდნენ), იგივე იყო მხიარული, ზრდილი და უებრო თანამოსაუბრე. ყველაფერს, რასაც მოჰკიდებდა ხელს, უეჭველად მისებრ ვერვინ გააკეთებდა; ყოველივე ამასთან ძალზე მდიდარი იყო და ენით ვერ გამოითქმის, თუ რარიგ იცოდა პატივისცემა იმისი, ვინც, მისი აზრით, ღირსი იყო ამ პატივისცემისა.

მაგრამ მესერ ბეტოს ვერასგზით ვერ მოუხერხდა, ეს ყმაწვილი თავის წრეში შეეტყუებინა, და ამიტომ თვითონ ბეტო და მისი ამხანაგები ფიქრობდნენ: ჩვენ ალბათ იმიტომ არ გვეკარება გვიდო, რომ ხშირად თავის ბრძნულ აზრებს დასტრიალებს თავს და ამიტომ ადამიანთ ძალზე გაურბისო. და რადგან ის ერთის მხრივ ეპიკურელთა მოძღვრებას მისდევდა, მდაბიოთა შორის ლაპარაკობდნენ, რომ გვიდოს ფიქრის საგანი ის არის — შეიძლება თუ არა აღმოვაჩინო, რომ ღმერთი არ არისო.

ერთ დღეს, გვიდო ორტო სან მიქელედან წამოვიდა. გამოიარა კორსო დელი ადიმარიზე და მიადგა სან ჯოვანის, რომელი გზითაც ის ხშირად დადიოდა; აქ იყო დიდი მარმარილოს ლუსკუმები (დღეს სანტა რეპარატაში რომ არიან) და სხვა მრავალი, სან ჯოვანის გარშემო ამართულები, და უცბად თავი ამოყო პორფირის კოლონებსა, ლუსკუმებსა და სან ჯოვანის კარებს შორის, რომელიც მაშინ დაკეტილი იყო. ამ დროს ბეტომ და მისმა ამხანაგებმა, სანტა რეპარატას მოედნით ცხენებით მიმავლებმა, გვიდო საფლავებს შორის

რომ დაინახეს, თქვეს: „მოდი, ერთი გავაჯავროთო“. შემოჰკრეს ცხენებს დეზები და სანამ ის იმათ დაინახავდა, თითქოს ხუმრობითაო, ზედ მიაგდეს და დაუწყეს ლაპარაკი: „გვიდო, მშვენივრად ვხედავთ, რომ შენ ჩვენს წრეში შემოსვლას აღარ კადრულობ, მაგრამ, როცა აღმოაჩენ, რომ ღმერთი არ არის, მაშინ რაღას იზამ, ნეტავ ვიცოდეთ?!“ გვიდომ რომ დაინახა გარშემო მომდგარნი, ასე უპასუხა: ბატონებო, თქვენსას უფლება გაქვთ, რაც გენებოთ, ის მითხრათო. ესა თქვა და ერთ-ერთ ლუსკუმათაგანს ხელი დააღო, რადგან თვითონ მსუბუქი იყო, ისკუპა და ზედ გადაევლო მეორე მხრისაკენ, მათ თავი დააღწია და წავიდა.

ამათ გაშტერებით დაუწყეს ერთმანეთს ცქერა და თქვეს, ალბათ ჭკუაზე შემცდარაო, რაც გვითხრა, შიგ საღი აზრის ნასახიც არ მოიპოვებაო, და საცა ახლა ჩვენა ვდგევართ, აქაურობაზე იმდენივე უფლება გვაქვს, რამდენიც ყველა სხვა მოქალაქესო, და გვიდოს სხვაზე მეტი არა აქვსო.

ამაზე მესერ ბეტო მოუბრუნდა ამათ და უთხრა: „ჭკუაზე თქვენ თვითონა ხართ შემცდარნი, რაკი მისი ნათქვამი ვერ გაგიგიათ: გვიდომ ზრდილობიანად და რამდენიმე სიტყვით თავზე ლაფი დაგვასხა, იმიტომ რომ, თუ კარგად დააკვირდებით, ეს ლუსკუმები მკვდრების სახლებია, რადგან შინ მდებარენი არიან და განისვენებენ მიცვალებულნი, და იმანაც ამათზედა თქვა — თვენი სახლებიაო და ამით დაგვიმტკიცა, რომ ჩვენა და სხვები, მასთან და სხვა სწავლულებთან შედარებით, ლიტონი და უმეცრები ვართ, თვით მიცვალებულებზედაც უარესები, და ამიტომ, რაკი აქა ვართ, იმას ნიშნავს, რომ ჩვენს სახლში ვიმყოფებით“.

მაშინ ყველანი მიხვდნენ, რის თქმაც უნდოდა გვიდოს, ძალზე შერცხვათ და გადაწყვიტეს, ამის შემდეგ აღარ გახუმრებოდნენ მას, ხოლო ბეტოზედა თქვეს: რასაკვირველია, შორსმჭვრეტელი და მიხვედრილი ადამიანიაო!..

ამგავი მეათე. წმიდანების ნაწილები

ძმა ჩიპოლა (ანუ ხახვისთავა) გლეხებს დაჰპირდება — მთავარანგელოზის გაბრიელის ფრთას გაჩვენებთო. მაგრამ ფრთის კოლოფში ფრთის მაგიერ ნახშირი რომ დახვდა, უთხრა: ეს ის ნახშირია, რომელზედაც წმიდა ლორენცო მოხრაკესო.

როცა საზოგადოების თითოეულმა წევრმა დაასრულა თავისი სათქმელი, დიონეო მიხვდა, ახლა კი ჩემი ჯერიაო. ამიტომ დედოფლის ბრძანებას აღარც კი დაუცადა, დააჩუმა ისინი, ვინც გვიდოს მოსწრებული სიტყვის ქებას ჯერ ისევ განაგრძობდნენ, და დაიწყო: — ქალებო, თქვენ კი გენაცვალეთ! თუმცა მე ნება მაქვს, რაზედაც მინდა, იმაზე გიამბოთ, მაგრამ

დღეს არ მინდა ჩამოგრჩეთ და მეც იმ საგანზე მინდა გელაპარაკოთ, რაზედაც თქვენ ასე ოსტატურად და მარჯვედ ილაპარაკეთ. მინდა, თქვენს კვალს მივდიო და გაჩვენოთ, რა სწრაფად მიხვდა და რა მოხერხებულად დააღწია თავი ერთმა წმ. ანტონიოს ორდენის ბერმა მასხრად აგდებას, რაც მას ორმა ყმაწვილმა განუმზადა, და არ ინანებთ, თუ მე ცოტა ვრცლად მოგიყვებით, რათა კარგად გიამბოთ ამბავი. რადგან, თუ მზეს შეხედავთ, დაინახავთ, რომ ჯერ საშუადღეოზეა.

ჩერტალდო, როგორც, შესაძლებელია, გაგონილიცა გქონდეთ, დაბაა და მდინარე ელზის ხეობაში მდებარეობს, ჩვენს ტოსკანას მხარეში. დღეს ეს სოფელი დიდი არ არის, მაგრამ წინათ აქ დიდძალი კეთილშობილი და შეძლებული ხალხი ცხოვრობდა. წმ. ანტონიოს ორდენისა და ფლორენციის მონასტრის ბერი ჩიპოლა (ხახვისთავა) წელიწადში ერთხელ ამოდიოდა ამ კარგ სამწყსოიან სოფელში, და ბრიყვთა და უბირთაგან შესაწირავს აგროვებდა. ჩიპოლა აქ მით უფრო ხალისით მოდიოდა, რომ კარგად უხვდებოდნენ. ასეთი დახვედრის მიზეზი აქაურების ღვთისმოსაობით კი არ უნდა ავხსნათ, არამედ ალბათ ამ ბერის სახელითა, რადგან აქაურ ნიადაგზე აღმოცენებული ხახვი განთქმული იყო მთელს ტოსკანაში.

ძმა ჩიპოლა პატარა ტანისა იყო, წითური და მხიარული სახისა, ამასთან, მის მსგავს ქლესასა და გაიძვერას იმ მხარეში იშვიათად ნახავდით. მართალია, უსწავლელად დარჩენილიყო, მაგრამ ისე კარგი და თავისუფალი მეტყველი იყო, რომ ვინც კარგად არ იცნობდა, არამც თუ დიდ ვინმე მჭევრმეტყველად ჩააგდებდა, არამედ თვით ტულიუსი ან კიდევ კვინტილიანე ეგონებოდა და ამ მხარეში ზოგისა ნათლია იყო, ზოგისა მეგობარი და მოკეთე.

ძმა ჩიპოლა ამ სოფელში ჩვეულებისამებრ მარიამობისთვის ერთ კვირა დილით წამოვიდა, სწორედ იმ დროს, როცა ახლომახლო სოფლების მორწმუნე კაცი და ქალი ეკლესიაში წირვაზე მიდიოდა. როცა თქვა, ხალხი საკმაოდ შეიკრიბაო, წინ წარსდგა და ასეთი სიტყვებით მიმართა: „ბატონებო და ქალბატონებო, როგორც მოგეხსენებათ, თქვენ ჩვეულებად გაქვთ ხოლმე წმ. ანტონიოს მონასტრის გაჭირვებულ ბერებს გაუგზავნოთ თქვენი ჭირნახული და მონაწერავი, ზოგმა მცირედი და ზოგმაც მეტი, თქვენი შეძლებისა და ღვთისმოსაობისადა კვალად, რომ ნეტარმა წმ. ანტონიომ დაიფაროს თქვენი ხარები და სახედრები, ღორები და ცხვარი; გარდა ამისა, ჩვეულებადვე გაქვთ, განსაკუთრებით იმათ, ვინც ჩვენს ძმობასთან ხართ მიწერილნი, გადაიხადოთ ხოლმე ის მცირედი გადასახადი, რასაც წელიწადში ერთხელ იხდით. ყოველივე ამის მოსაკრებად გამომგზავნა ჩემმა უფროსმა, ე.ი. მაღალღირსმა წინამძღვარმა. ამიტომ, კურთხევითა ღვთისათა, ნაშუადღევს, ზარების რეკვას რომ გაიგონებთ, შემოკრბით ამ ეკლესიის ეზოში, სადაც მე, ჩვეულებისამებრ, ქადაგებას გეტყვით და ჯვარზე გამთხვევინებთ; გარდა ამისა (ვიცი, რომ განსაკუთრებული

მოწიწება და სასოება გაქვთ მრავალმოწყალე წმ. ანტონიოსი), რომ დაგიმტკიცოთ თქვენდამი განსაკუთრებული პატივისცემა, გაჩვენებთ ყოვლად წმიდასა და ღვთივმშვენიერს ნაწილებს, რომლებიც ზღვის გაღმა მდებარე წმიდა ადგილებიდან მე თვითონ ჩამოვასვენე; სახელდობრ, ეს არის გაბრიელ მთავარანგელოზის ფრთა, რომელიც მას დავარდნოდა ქალწულ მარიამის ოთახში, როცა ნაზარეთში მაცხოვრის ჩასახვა ეხარებინა“. ეს რომ თქვა ჩიპოლამ, დაჩუმდა და დაუბრუნდა წირვას.

ძმა ჩიპოლა ამას რომ ამბობდა, ეკლესიაში სხვებთან ერთად იდგა ორი მეტად ხუმარა ახალგაზრდა ყმაწვილი. ერთს ერქვა ჯოვანი დელ ბრაგონიერა და მეორეს — ბიაჯიო პიცინი. ერთმანეთში ჯერ საკმაოდ იცინეს ძმა ჩიპოლას ნაწილების გამო და თუმცა მისი მეგობრები და მასთან დაახლოებულნი იყვნენ, მაინც გადაწყვიტეს ამ ფრთის გამო ერთი ოინი ექნათ და ხალხის თვალში გაემასხარავებინათ. გაიგეს, რომ ძმა ჩიპოლა იმ დღეს კოშკში ერთ მეგობართან სადილობდა, და როგორც კი შეატყობინეს, სუფრას მოუჯდაო, ქუჩაში გავიდნენ და ავიდნენ სასტუმროში, სადაც ბერი ჩამომხდარიყო. ასე გადაწყვიტეს: ბიაჯიოს უნდა ლაპარაკით გაერთო ძმა ჩიპოლას მსახური, ჯოვანის კი ბერის ბარგში მოეძებნა ხსენებული ფრთა, როგორიც უნდა ყოფილიყო ეს ფრთა, მოეპარა და მერე ეყურებინათ, რას ეტყოდა ხალხს ამის გამო ბერი.

ძმა ჩიპოლას ერთი მოსამსახურე ჰყავდა. ამას ზოგნი გუჩიო ბალენას (გველეშაპი) ეძახდნენ, სხვები — გუჩიო იმბრატას (თხუნია), ზოგიც — გუჩიო პორგოს (ღორი). და ეს კაცი მართლაც ისეთი საზიზღარი იყო, რომ ლიპო ტოპო თავის დღეში არ იზამდა იმდენ საზიზღრობას. თავიანთ მეგობართა შორის ძმა ჩიპოლას ამ მოსამსახურეზე რამდენჯერ უხუმრია: „ჩემს მოსამსახურეს ცხრა ისეთი თვისება აქვს, რომ ერთ-ერთი მათგანი ან სოლომონ ბრძენს რომ ჰქონდა, ან არისტოტელეს ან კიდევ სენეკას, დაიკარგებოდა მთელი მათი სიბრძნე, მთელი მათი სიწმიდე და მთელი მათი სათნოება. ახლა წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც მოკლებულია ყოველივე სიწმიდეს, სიბრძნეს და სათნოებას, და ცხრა თვისება მაინცა აქვს“. ზოგჯერ ჰკითხავდნენ ძმა ჩიპოლას — როგორია ეს ცხრა თვისებაო და ისიც ლექსად მოაწყობდა და უპასუხებდა: „მოგახსენებთ: ზარმაცი, ბოდოშალი და ცრუ; დაუდევარი, გაუგონარი და ავყია; უდარდელი, უზნეო და გულმავიწყი; ამათ გარდა სხვა ცოდვებიცა აქვს, მაგრამ სჯობია ამ ცოდვების შესახებ სრულებით დავჩუმდეთ. მის სიავეთა შორის ყველაზე მეტად სასაცილო ის არის, რომ, საცა არა მგონია, ყველგან ცოლის შერთვა და სახლის დაქირავება ელანდება და, აქაოდა, დიდი, შავი და მბზინვარე წვერი მაქვსო, თავისი თავი იმდენად ლამაზი და მიმზიდველი ჰგონია, რომ ვინც უნდა ქალმა დამინახოს, ყველას გულში ჩემი სიყვარული ჩაუვარდებაო. და კაცმა რომ ნებაზე მიეშვას, ყველას აეტორღიალება თავდაუჭერლად. თან, მართალი უნდა ვთქვა, ჩემი დიდი ერთგული მოსამსახურეა, რადგან საიდუმლოდ ისე ვერავინ დამელაპარაკება, რომ იმანაც ყური არ

დაუგდოს და თავისი წილი არ გაიგონოს; და როცა მოხდება ხოლმე, რომ ვინმე რასმე მკითხავს, ისე ეშინია, ვაითუ პასუხი ვერ გავცე, რომ საჩქაროდ ან ჰოს ან არას ეტყვის, იმისდა კვალად, თუ, მისი აზრით, რა პასუხი მოუხდება."

ეს მსახური ძმა ჩიპოლამ სასტუმროში დატოვა და დაარიგა: კარგად გეჭიროს თვალყური ჩემს ნივთებზე, ხელი არავინ ახლოს, განსაკუთრებით ჩემს ტომსიკას, რადგან შიგ წმიდა ნაწილები მისვენიაო. მაგრამ გუჩიო იმბრატა (თხუნია) უფრო სიამოვნებით ატარებდა დროს სამზარეულოში, ვიდრე მწვანე ტოტებზე ბულბული, განსაკუთრებით თუ მას აქ ვინმე მსახური ქალი ეგულებოდა. და აჰა, ამ სასტუმროს პატრონის სამზარეულოში დაინახა ერთი მსუქანი და მსხვილი, დაბალი და ჯმუხი მსახური, რომელსაც ძუძუები ისე დაჰკიდებოდა, როგორც სანეხვე გოდრები. სახე გულისამრევ ბარონჩის მიუგავდა: ოფლიანი, ჭუჭყიანი და გამჭვარტლული. გუჩიომ, ისეთივე სისწრაფით, რა სისწრაფითაც ქორი ლეშს დააცხრება ხოლმე, დატოვა ძმა ჩიპოლას ოთახი და მისი ბარგი უპატრონოდ დაავდო. მარიამობისთვე იდგა, მაგრამ ცეცხლისპირას ჩამოჯდა და ნუტას (ასე ერქვა ქალს) ლაპარაკი გაუბა: „მე აზნაური ვარ მინდობილობითა. ფულიცა მაქვს ათას ფლორინზე მეტი, იმას აღარ ვანგარიშობ: რაც სხვას უნდა მივცე ვალების გასასტუმრებლად, და ეს ფული ამაზე, თუ არ მეტი, ნაკლები კი არ იქნება. ან რა ლაპარაკი ვიცი და ან რა საქმიანობა!.. რა გინდა, ხელიდან არ გამომივიდეს, ჰო მე და ჩემმა ღმერთმა!". იმას კი არ ამბობდა, რომ თავზე ძალზე გაქონილი ქუდი ეხურა, ისე გაქონილი, რომ მისგან ეს ქონი რომ მოგეცილებინათ, ალტოპაშიოს მონასტრის ქვაბს წვნით პირამდე მოჰყრიდა. ახლა მისი მოკლე ჯუბა იკითხეთ, დაგლეჯილი და ათას ალაგას დაკერებული! საყელოს და იღლიებს ქვეშ ოფლისაგან ლაპლაპი გაჰქონდა, თან იმდენი და სხვადასხვა ფერის ლაქები ჰქონდა, რომ ასე აჭრელებული არც ერთი თათრული ან ინდური ნაქსოვი არ იქნებოდა. დაავიწყდა თავისი ძირგავარდნილი წაღები, დახეული წინდები და ისეთი კილოთი დაუწყო ლაპარაკი, თითქოს თავადი ყოფილიყო კასტილიონელი: უნდა ტანთ ჩაგაცვა და ისე მოგაწყო, რომ იძულებული არ იყო, სხვასთან იმსახურო; მართალია, სულ მდიდრულად გაცხოვრებ-მეთქი, ვერ დაგპირდები, მაგრამ უკეთეს ბედსა გწევო. ერთი სიტყვით, ბევრ სხვა რასმე დაჰპირდა. ყოველსავე ამას მეტად თავაზიანად და ალერსიანად ჰპირდებოდა. მაგრამ ყოველივე ამაო იყო და, როგორც მისი სხვა მრავალი დაპირება, უნაყოფოდ დარჩა.

ახალგაზრდებმა, ამგვარად, დაინახეს, რომ გუჩიო პორგო გვერდით უჯდა ნუტას და ემასლაათებოდა. ამან საშინლად გაახარა ორივე, რადგან მათი საქმე სანახევროდ გაკეთებული იყო, რადგან ხელის შემშლელი არავინ ეყოლებოდათ. ძმა ჩიპოლას ოთახი ღია დახვდათ და დაუბრკოლებლივ შევიდნენ. პირველად გასასინჯად ხელში მოხვდათ ტომსიკა, რომელშიაც ბერს ფრთა ჰქონდა შენახული. გახსნეს ტომსიკა და ამოიღეს რამდენიმე კეცად აბრეშუმის ქსოვილშემოხვეული პატარა კოლოფი. გააღეს ეს კოლოფიც

და შიგნით დაინახეს თუთიყუშის ბოლოს ფრთა და სთქვეს: აბა სწორედ ის ფრთა იქნება, ჩიპოლა რომ დაჰპირდა ჩერტალდოელებს — გაჩვენებთო. ბერს, რა თქმა უნდა, იმ ხანებში შეეძლო დაერწმუნებინა ხალხი — ეს ფრთა გაბრიელ მთავარანგელოზის ფრთა არისო, რადგან ეგვიპტიდან ფუფუნების საგნები ტოსკანაში ჯერ იმდენი არ იყო შემოსული, ისე, როგორც ეს მერე შემოდიოდა უზომოდ, მთელი იტალიის საუბედუროდ. ამ საგნებს მაშინ ძალიან ცოტათი იცნობდნენ, ხოლო ტოსკანაში ხომ იმათზე თითქმის წარმოდგენაც კი არა ჰქონდათ; ამას გარდა, აქ ისევ ძველებური სადა ცხოვრებითა ცხოვრობდნენ და არამცთუ არ უნახავთ თუთიყუში, არამედ მათთან ხსენებითაც არავის უხსენებია ასეთი ფრინველი.

ყმაწვილებს ძალიან გაეხარდათ ფრთის პოვნა, ამოიღეს და, რომ კოლოფი ცარიელი არ დაეტოვებინათ, იქვე კუთხეში დაყრილი ნახშირი აიღეს და იმით გაავსეს. მერე კოლოფი დაჰკეტეს და ყველაფერი ისევე დასტოვეს, როგორც დაუხვდათ. შეუმჩნევლად გამოვიდნენ ფრთიანად და დაუწყეს ლოდინი, — აბა, ძმა ჩიპოლას ფრთის მაგივრად ნახშირი რომ დაუხვდა კოლოფში, ხალხს რაღას ეტყვისო.

მამაკაცებმა და უზაკველმა დედაკაცებმა, ეკლესიაში რომ იყვნენ, გაიგონეს, გაბრიელ მთავარანგელოზის ფრთა უნდა გვაჩვენონ ნაშუადღევსო, წირვა რომ გამოვიდა, თავ—თავიანთ სახლებში წავიდნენ. მერე მეზობელმა მეზობელს უთხრა ეს ამბავი, ნათლიდედამ ნათლიდედას და რომ ისადილეს, იმდენმა ქალმა და კაცმა მოიყარა თავი პატარა დაბაში, რომ ვერც კი ეტეოდნენ და ყველანი მოუთმენლად მოელოდნენ — აცა, როდის გვაჩვენებენ ფრთასაო. ძმა ჩიპოლამ კარგად ისადილა და მერე ცოტა წაიძინა, შემდეგ ადგა და რომ გაიგო, სოფლელები აუარებელი მოსულან ფრთის სანახავადო, გუჩიო იმბრატას შეუთვალა, ზანზალაკებიანად ამოდი და ჩემი ტომსიკაც წამოიღეო. გუჩიოს ძალიან უმძიმდა სამზარეულოდან გამოსვლა და ნუტას მოშორება, მაინც მეტი გზა არ იყო, დაბარებული ნივთები წამოიღო და წამოვიდა ზევით. ქშენაატეხილი ამოდიოდა, რადგან იმდენი წყალი დაელია, რომ მუცელი გაჰბერვოდა.

ძმა ჩიპოლამ უბრძანა, ეკლესიის კარებთან გაჩერდი და ზანზალაკები მაგრად ჩამორეკეო. ძმა ჩიპოლას არც კი შეუჩნევია, თუ მის ნივთებს რამე აკლდა, და როცა ეკლესიაში ხალხმა თავი მოიყარა, ქადაგებას შეუდგა და ბევრი ილაპარაკა ქადაგებაში გამოთქმულ დებულების დასამტკიცებლად. როდესაც გაბრიელ მთავარანგელოზის ფრთის ჩვენების დრო დადგა, დიდის ზეიმით ილოცა, აანთებინა ორი ჩირაღდანი, ჯერ კაპიშონი მოიხადა, მერე გაშალა შეხვეული ფარჩა და იქიდან კოლოფი ამოიღო. პირველად ქება და დიდება უძღვნა გაბრიელ მთავარანგელოზსა და მის წმიდა ნაწილებს და გააღო კოლოფი. ნახშირით სავსე რომ დაინახა, არც კი იფიქრა, ამას გუჩიო ბალენა იზამდაო, რადგან იცოდა, ამდენის მოფიქრება მას არა აქვსო, და არ დასწყევლა, რომ ყური არ უგდო და სხვას ასეთი საქმე ჩაადენინა. მხოლოდ ჩუმად თავისი თავი გალანძღა: შე ოხერო ჩემო თავო, რათ

მივანდე ჩემი ნივთების ყურისგდება ისეთსა, რომელსაც ვცნობდი, როგორც უდარდელსა, გაუგონარსა, უზრუნველსა და გულმავიწყსაო. მაინც წარბი არ შეიხარა, ისე აღაპყრო ზეცად თვალნი და ყველას გასაგონად წარმოთქვა: „იქოს და იდიდოს ძლიერება შენი, უფალო, უკუნითი უკუნისამდე!“ მერე ისევ დახურა კოლოფი, მიუბრუნდა ხალხს და უთხრა: „ბატონებო და ქალბატონებო. უნდა მოგახსენოთ, რომ ჯერ

ისევ სულ ახალგაზრდა ვიყავი, როცა ჩემმა უფროსმა ამომავალი მზის ქვეყანაში გამგზავნა და განსაკუთრებით დამავალა მანამდე ვცდილიყავ, სანამ არ მოვიპოვებდი გოჭების პრივილეგიებს, რომელთათვის დამღის დაკვრა თუმცა ბევრი არაფერი დიდი საქმეა, მაგრამ ეს პრივილეგიები სხვათათვის უფრო გამოსადეგია, ვიდრე ჩვენთვის, ამიტომ დავადექი გზას. გავედი ვენეციიდან, გავიარე ბერძნების ქალაქი, მერე ცხენით ვიმგზავრე გარბოს სამეფოზე და ბალდაკაზე, ჩავედი პარიონეში, აქედან საშინლად მონყურებულმა ცოტა ხნის შემდეგ სარდინიაში ჩავაღწიე. მაგრამ რაღა საჭიროა დაწვრილებით გიამბოთ ყველა ქვეყნის ამბავი, რაც მე მინახავს?!. წმ. გიორგის სრუტეზე რომ გავედი, მივადექ ტყუილისგუდა და საბერველას ქვეყნებს, სადაც აუარებელი ხალხი ცხოვრობს; აქედან ჩავედი ცრუთა ქვეყანაში, სადაც აუარებელი დამხვდნენ როგორც ჩვენნი ძმანი, ისე სხვა ორდენების ბერებიცა, რომელნიც ღვთის სახელით გაურბოდნენ ყოველგვარ გაჭირვებასა და ჯაფას და სხვათა გაჭირვება იმდენად აწუხებდათ, რამდენადაც ეს მათთვის ხელსაყრელი იყო, და იმ ქვეყნებში რისამე სასყიდლად მხოლოდ მოუჭრელ ფულს აძლევდნენ. მერე გამოვედი აბრუცების ქვეყანაში, სადაც როგორც კაცები, ისე ქალები მთებზე ხის ფეხსაცმლით დადიან, ხოლო ღორებს მათ საკუთარ ნაწლავებს აცმევენ; ცოტა იქით ქვეყნის მცხოვრებთ პური ჯოხზე წამოცმული დაჰქონდათ, ხოლო ღვინო — ტომრებითა. აქედან ჭიების მთას მივადექი, სადაც ყველა წყალი ქვევით მიედინება. მოკლე ხანში იმდენად შევედი ამ ქვეყნის შუაგულში, რომ მივადექი პასტერნაკის ინდოეთს, სადაც, გეფიცებით იმ ტანისამოსს, რომელიც ზედ მაცვია, ვნახე, რომ ჰაერში ფრთოსნები დაფრინავდნენ, ვინც თავისი თვალებით არ დაინახავდა ამას, თავის დღეში არ დაიჯერებდა, რომ არა ვტყუი. ამაში დამემოწმება მაზო დელ საჯიო; ეს მაზო დიდი ვაჭარი იყო იქ. მე რომ ვნახე, მაშინ კაკალს ამტვრევდა და ნაჭუჭს კიდევ ცალკე ჰყიდდა. მაგრამ რასაც ვეძებდი, ვერ ვიპოვე, რადგან მერე წყლით იყო სავლელი, ამიტომ დავბრუნდი და მოვედი იმ წმიდა ქვეყნებში, სადაც ზაფხულში ცივი პური ოთხ დინარად (მანყული) ღირს, ხოლო ცხელ პურს უფასოდ არიგებენ. აქ ვიხილე მაღალღირსი მამა ნუ მყვედრი გეთაყვა, უნეტარესი პატრიარქი იერუსალიმისა. იმან რომ დამინახა, ყოვლადძლიერის წმ. ანტონიოს ტანისამოსის პატივისცემით, რომელიც მე მუდამ ზედ მაცვია, ინება ჩემთვის ეჩვენებინა ყველა წმიდა ნაწილი, რაც კი რამ მას ჰქონდა. მერე იმდენი ჰქონოდა იმ კურთხეულს, რომ, რა საჭიროა, რამდენიმე ათასი მაინც იქნება და მაინც მინდა გასიამოვნოთ და ზოგიერთ მათგანს დაგისახელებთ. ყოველთ უწინარეს მაჩვენა თითი სულიწმიდისა, სრულებით ახალი და მთელი, თითქო ეს-ეს არის, ახლა მოუჭრიათო; წინამო

სერაფიმისა, რომელიც წმ. ფრანცისკოს გამოეცხადა; ქერუბიმის ფრჩხილი; მამა-ღმერთის ერთ-ერთი ნეკნის ძვალი ჩარჩოში ჩასმული; ტანისამოსი კათოლიკეთა წმ. ფე-სი სარწმუნოებისა; რამდენიმე სხივი იმ ვარსკვლავისა, რომელიც გამოუბრწყინდათ აღმოსავლეთის მოგვებს; ერთი შუშა საკსე წმ. მიქელის ოფლითა, ეშმაკთან ბრძოლის დროს რომ გამოედინა; წმ. ლაზარეს სიკვდილის ყბა და სხვანი. რადგან მე დარდიმანდულად ვაჩუქე მონტე მორელის თხზულების იტალიური თარგმანის ხელნაწერი და ხელნაწერივე კაპრეციოს ნაწერის რამდენიმე თავისა, რომელთაც ის დიდხანს ეძებდა თურმე, იმანაც აიღო და სამაგიეროდ მინილადა თავისი წმ. ნაწილები. მომცა ერთი კბილთაგანი წმ. ჯვრისა და შუშაშიც ჩამისხა სოლომონის ტაძრის ზარების რეკვის ხმა, აგრეთვე გაბრიელ მთავარანგელოზის ფრთა, რომლის შესახებაც უკვე გელაპარაკებოდით, ცალი ხის ფეხსაცმელთაგანი წმ. გერარდო დე-ვილა მაგნასი, რომელიც ამას წინათ ფლორენციაში შევწირე გერარდო დი ბონზის, რომელსაც დიდი სასოება აქვს ამ წმიდანისა. დასასრულ, პატრიარქმავე მინილადა ის ნახშირი, რომელზედაც უნეტარესი მოწამე წმ. ლორენცო დაწვეს. ყველა ეს ნაწილები აქ დიდის მოწიწებით ჩამოვასვენე და თან დამაქვს. მართალია, ჩემი უფროსი ნებას არ მაძლევდა ვისთვისმე მეჩვენებინა ეს ნაწილები, სანამ არ დამტკიცდებოდა, რომ ისისნი ნამდვილად წმიდანებისა იყო, მაგრამ ამ ნაწილების ზოგიერთმა სასწაულმა და თვით პატრიარქისგან მიღებულმა წერილმა სინამდვილე დაამტკიცა და უფროსმა ლოცვა-კურთხევა მომცა, ვისაც მინდა, ვუჩვენო. მაგრამ მეშინია და სხვას ვერ ვანდობ, ამიტომ სულ თან ვატარებ. ისიც მართალია, რომ გაბრიელ მთავარანგელოზის ფრთას ცალკე კოლოფში ვინახავ, რომ არ გაფუჭდეს და მეორე კოლოფში კიდევ — ნახშირისა, რომელზედაც წმ. ლორენცო დაწვეს; ეს ორივე კოლოფი ისე ჰგავს ერთიმეორეს, რომ რამდენჯერ მე თვითონ ერთმანეთში ამერია და არ ვიცოდი, რომელში რა იდო, და ახლაც ასე დამემართა: რადგან მეგონა ფრთიანი კოლოფი წამოვიღე-მეთქი და ის კი არა, თურმე ის კოლოფი წამომიღია, რომელშიაც წმ. ნახშირი ასვენია. მე მგონია, რომ ეს შეცდომით არ მომხდარა, პირიქით, მე მგონია, რომ ამისი ნება იყო თვით უფლისა, რადგან ღმერთმა ჩამიდო ხელში ნახშირიანი კოლოფი, რადგან ახლა მაგონდება, რომ წმ. ლორენცოს დღესასწაული ამ ორ დღეშია. და ამიტომ უფალსა ჰთნდა, რომ მე როცა გაჩვენებდით ნახშირს, რომელზედაც დაწვეს წმიდანი, თქვენს გულში გამეღვივებინა ის გულმხურვალე კეთილმსახურება, რომლითაც უნდა ეპყრობოდეთ ამ წმინდანს. და ამავე უფალმა წამომაღებინა ფრთა კი არა, არამედ ნახშირი. რომელიც გააქრო ამ უწმიდესი გვამის სიცხოველემ. ამიტომ, კურთხეულნო შვილნო ჩემნო, მოიხადეთ ქუდები და ღვთისმოკრძალებით მოუახლოვდით და ნახეთ. მაგრამ წინდაწინ მინდა იცოდეთ, რომ ვინც ამ ნახშირს ჯვრის სახედ წაისვამს, მთელ ამ წელიწადს დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ცეცხლი ისე ვერ მოეკიდება მის სხეულს, რომ არ იგრძნოს“.

ეს რომ თქვა, წმ. ლორენცოს დიდება იგალობა, გააღო კოლოფი და ნახშირი უჩვენა. ბრიყვი ხალხი ერთხანს განცვიფრებითა და მოწიწებით ათვალიერებდა ამ ნახშირს, მერე

თითოეული ცდილობდა გაერღვია ხალხი, რომელიც ერთიმეორეს აწვებოდა და მიახლოებოდა ძმა ჩიპოლას და მისთვის გადაეცა ჩვეულებრივზე უკეთესი შესაწირავი და ყოველი მათგანი სთხოვდა ამ ნახშირით ჯვარი გამოესახა. ძმა ჩიპოლამაც ნახშირი ხელში აიღო და მათს თეთრ ახალუხებზე, ჯუბებზე და ქალების წამოსასხამებზე ისეთ დიდ ჯვრებს აკეთებდა ამ ნახშირით, როგორიც კი დაეტეოდა. თანაც არწმუნებდა, მართალია, ეს ნახშირი ამ ჯვრის კეთებით ილევა, მაგრამ კოლოფში ისევ იზრდება, როგორც ეს არაერთხელ გამომიცდიაო.

ამნაირად, ძმა ჩიპოლამ ჩერტალდოელებს ყველას გამოუსახა ნახშირით ჯვარი და თვითონაც კარგად მოითბო ხელი. და, ასე ამგვარად, თავისი სწრაფი მიხვედრილობის წყალობით მწარედ დასცინა იმათ, ვინც მას ფრთა მოპარა და უნდოდა ხალხის წინაშე მისი გამასხარავება.

ეს ყმაწვილებიც იქვე იყვნენ და მის ქადაგებას ყურს უგდებდნენ. რომ გაიგონეს, თუ როგორ მოულოდნელად დააძვრინა თავი გაჭირვებას, ან რა შორიდან და რა სიტყვებით მოუარა, იმდენი იცინეს, რომ კინაღამ ყბები მოექცათ.

როცა ხალხი დაიშალა, ყმაწვილები ძმა ჩიპოლასთან მივიდენ და უზომოდ გამხიარულებულებმა უამბეს, რაც ოინი უყვეს და მერე თავისი ფრთა ჩააბარეს. ამ ფრთამ ძმა ჩიპოლას შემდეგ წელიწადს ნახშირზე ნაკლები სამსახური როდი გაუწია.

***

ამ ამბავმა მთელი საზოგადოება უზომოდ ასიამოვნა და გაამხიარულა. ყველას საშინლად ეცინებოდა ძმა ჩიპოლაზე, განსაკუთრებით მის სალოცავად მოგზაურობაზე და წმიდა ნაწილებზე, როგორც მის მიერ ნახულებზე, ისე მოტანილებზე.

დედოფალმა რომ დაინახა, ამბავი გათავდა და ჩემი დედოფლობის ვადაც დასრულდაო, წამოდგა, გვირგვინი თავიდან მოიხადა, სიცილით დიონეოს თავზე დაადგა და უთხრა:

„დროა, დიონეო, შენც გამოცადო, თუ როგორია მოვალეობა ქალების მართვა— გამგეობისა და ხელმძღვანელობისა. მაშასადამე, იმეფე და ისე გვიწინამძღვრე, რომ ბოლოს საქებური გვექნეს შენი მართვა-გამგეობა“.

დიონეომ გვირგვინი ჩამოართვა და სიცილით უპასუხა: „თქვენ მეფენი ბევრჯერ გინახავთ, — მე მოგახსენებთ ჭადრაკის მეფეებზე, — რომლებიც უფრო ძვირფასნი გახლავთ, ვიდრე მე ვარ. მაგრამ, მართლაცდა, თქვენ რომ ისე დამემორჩილებოდეთ, როგორც

ნამდვილ მეფეს უნდა ემორჩილებოდნენ, მე განვაცდევინებდით ისეთ სიამოვნებას, ურომლისოდაც, მართლაც, არც ერთი მხიარულება არაა ხოლმე სავსებით სრული. მაგრამ ამ ლაპარაკს ტავი დავანებოთ; ისე ვიმეფებ, როგორც მოვახერხებ“.ამის შემდეგ დიონეომ ჩვეულებისამებრ დაუძახა სინისკლაკოს, დაწვრილებით უბრძანა, რაც უნდა გაეკეთებინა მის მეფობის დროს, და მერე ასე დაიწყო: „ღირსეულო მანდილოსნებო, აქ სხვადასხვა მხრით შეეხნენ ადამიანის ჭკუის მიხვედრილობას და მისსავე სხვადასხვა გვარ შემთხვევებს. ასე რომ, ამ ცოტა ხნის წინათ აქ ლიჩისკა რომ არ მოსულიყო და თავის ნათქვამით ხვალ სალაპარაკო ამბების შინაარსი რომ არ ჩაეგონებინა, მე, ცხადია, დიდხანს მომიხდებოდა იმაზე ფიქრი და თავისმტვრევა, თუ რაზე უნდა მელაპარაკა. როგორც თქვენი ბედნიერი ყურებით გაიგონეთ, ლიჩისკა გვარწმუნებდა, რომ იმის მეზობელ ქალებში არც ერთი არ მისთხოვებია ქმარს ქალწულად; თანაც დაუმატა, რომ ვინ იცის, რამდენჯერ და რაგვარად გაუმასხარავებიათ ცოლებს თავიანთი ქმრებიო. მაგრამ პირველებს, როგორც ბავშვურ ცელქობას, თავი დავანებოთ, და მგონია მეტად სასაცილო იქნება მეორეთა შესახებ შევუდგებოდეთ ამბების მბობას. ამიტომ მნებავს, რომ ხვალ ილაპარაკონ, რადგან ეს თვით ლიჩისკამვე ჩაგვაგონა, იმ ოინების შესახებ, რომელიც ან სიყვარულის გამო, ანდა ტავის გადასარჩენად ცოლებმა ქმრებს უყვეს, სულ ერთი არის — ქმრები მიუხვდნენ თუ არა მათ ოინებსა“.

ზოგიერთ ქალს ამ საგნის შესახებ ლაპარაკი სათაკილოდ მოეჩვენა და სთხოვეს მეფეს, ლაპარაკის უკვე დასახული საგანი გამოეცვალა როგორმე. ამაზე მეფემ უპასუხა: „ქალებო, მე ვიცი, რაზედაც უნდა გელაპარაკოთ, ყოველ შემთხვევაში, ეს თქვენზე ნაკლებ არ ვიცი. მე ამ ჩემს განზრახვაზე თქვენ მიერ ახლა გამოთქმული სურვილიც ვერ ამაღებინებს ხელს, რადგან ვფიქრობ, ისეთი დრო დაგვიდგა, რომ თუკი ქალი და კაცი უნამუსო საქციელს მოერიდებიან, უფლება ეძლევათ, რაზედაც ნებავთ, იმაზე ილაპარაკონ ხოლმე. განა არ იცით, რომ ჩვენი დროის შავსვიანობის გამო, მოსამართლეებმა თავიანთ სასამართლოებს თავი დაანებეს; კანონები, როგორც ღვთიურნი, ისე საკაცობრიონი, სდუმან; და ყველას მინიჭებული აქვს სრული თვითნებობა, ოღონდ სიცოცხლე შეინარჩუნოს. ამიტომ შესაძლებელია, რომელიმე თქვენთაგანის პატიოსნება ცოტათი გადასცდა საზღვრებს ამბის მბობის დროს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ ლაპარაკს რამე უმართებულო საქციელი უნდა მოჰყვეს; არა, ასეთმა ლაპარაკმა მხოლოდ უნდა გაგართოთ როგორც თქვენა, ისე სხვები. და მე არა მგონია, მომავალში ვინმე გამოჩნდეს და საკმაო საბუთი ექნეს ჩვენდა სასაყვედუროდ. გარდა ამისა, პირველი დღიდან დღევანდლამდე თქვენს საზოგადოებას, რაც უნდა ილაპარაკონ მასზე, მეტად შეურცხვენლად ეჭირა თავი, და მე მგონია, რაიმე საქმით ჩირქი არავითარი მოსცხებია და, ღვთის შეწევნით, არც მოეცხება. ამას გარდა, ვინ არ იცის თქვენი პატიოსნების ამბავი, ვინ არ იცის, რომ არამცთუ რამე მხიარული მოთხრობები, თვით სიკვდილის შიშიც უძლურია ფერი შეაცვლევინოს თქვენს პატიოსნებას. მართალი გითხრათ, ვინმემ რომ გაიგოს, რომ თქვენ ზოგჯერ სათაკილოდ მიგაჩნდათ გებაასათ ამ ცუღლუტობათა

შესახებ, ადვილად შესაძლებელია, ეფიქრა, რომ თქვენ ჩაგიდენიათ ისეთი რამე და იმიტომ ერიდებით მასზე ბაასსო. ისიც იცოდეთ, რომ თქვენის მხრივ დიდ პატივისცემად ჩამეთვლება, თუ თქვენს მიერ მეფედ არჩეულს და ყველაფერში თქვენს გამგონე-დამჯერებელს, თქვენვე დამიწესებთ კანონებს და არ იტყვით, ვითომც მე მებრძანებინოს თქვენთვის რისამე ასრულება. მაშასადამე, თავი დაანებეთ, გეთაყვათ, ასეთ იჭვებს, რომლებიც უფრო საფერია ბედითი ჭკუის პატრონთათვის, ვიდრე თქვენთვის, ყოველმა თქვენთაგანმა ახსენოს ღმერთი და რამე კარგი ამბავი გვიამბოს“.

ქალებმა ეს რომ გაიგონეს, მოახსენეს: ბატონი ბრძანდებითო. ამიტომ მეფემ უთხრა: ვახშმობამდე თავისუფალი ხართ და რაც გენებოთ, ჰქენითო.

მზე ჯერ კიდევ ძალიან მაღლა იდგა, რადგან ბაასი მოკლე ხანში გათავდა. დიონეო სხვა ყმაწვილებთან ერთად ნარდს მიუჯდა სათამაშოდ, ხოლო ელიზამ ქალები განზე გაიხმო და უთხრა: „რაც ჩვენ აქა ვართ, მას აქეთია მინდა წაგიყვანოთ ერთ ალაგას; აქედან სულ ახლოსაა და მგონია თქვენთაგანი იქ ჯერ არავინაც არ ყოფილა; იმ ადგილს სახელად „ბანოვანთა ველი“ ჰქვია. აქამდე ვერ მომიხერხებია წამეყვანეთ და დღეს კი ეს შესაძლებლად მიმაჩნია, რადგან მზე ჯერ ისევ მაღლა დგას ცაზე. ამიტომ, თუ ინებებთ წამოსვლას, დარწმუნებული გახლავართ, როცა იქ მიხვალთ, მეტად კმაყოფილი დარჩებით იქ წამოსვლით“.

ქალებმა — მზად გახლავართო; მერე ერთ მოსამსახურე ქალს დაუძახეს, ყმაწვილებისთვის არაფერი უთქვამთ, ისე გზას გაუდგნენ. ერთი მილის მანძილიღა გაიარეს და უკვე „ბანოვანთა ველს“ მიატანეს. შიგ შევიდნენ ერთი ვიწრო გზით; ამ გზის ერთ მხარეზე ვიწრო ნაკადული მოედინებოდა და ეს ველი, განსაკუთრებით ამ სიცხეში, იმდენად მშვენიერი და აღმტაცი იყო, რამდენადაც კი ამის წარმოდგენა შეიძლებოდა. მერე, როგორც ერთმა იმათგანმა მიამბო, ამ ველის ზედაპირი ისეთი მრგვალი იყო, იტყოდით, ფარგლით შემოუხაზავთო, თუმცა აშკარად ეტყობოდა, რომ ბუნებას გაეჩინა ასეტად და ადამიანის ხელი არაფერ შუაში ყოფილა. ირგვლივ ნახევარ მილზე ცოტა მეტი მანძილი ექნებოდა, გარშემორიგებოდა ექვსი არც ისე მაღალი გორაკი და თითოეული მათგანის თავზე წამოდგმული იყო თითო სასახლე, ლამაზი კოშკი სახით აგებული. ამ გორაკების ფერდობები ველზე ბაქან-ბაქან ჩამოდიოდა, როგორც ამას ვხედავთ ხოლმე თეატრში, სადაც საფეხურები ჩამწკრივებულნი არიან ზევიდან ქვევით და თავიანთ წრეს თანდათან ავიწროებენ. ეს ბაქნები, რაც მზვარეზე იყვნენ, სულ ვაზებით, ზეთისხილის ხეებით, ნუშით, ალუბლით, ლეღვითა და სხვა ხეხილით იყო დაფარული, ასე რომ, ერთი ფეხის დადგმა ადგილი არა რჩებოდა ცარიელი. გორაკების ჩრდილოეთის მხარეზე ჭალები იყო მუხებისა, იფნისა და სხვა ძალზე მწვანე ხეებისა, მერე ისე სწორად აყრილებისა, როგორის წარმოდგენაც კი კაცს შეუძლია; თვით ველი კი, სადაც შესვლა მხოლოდ იქიდან შეიძლებოდა, საიდანაც ქალები შემოვიდნენ,

სავსე იყო ნაძვებითა, კვიპაროსებითა, დაფნის ხეებითა და რამდენიმე ფიჭვითა. და ყველა ისე ლამაზად იყო ამოსული და განრიგებული, თითქო ვინმე ამ საქმის საუკეთესო ხელოსანს დაურგავსო. როცა მზე მაღლა იდგა, ამათ შუა ძალიან ცოტად ან სულ არ ატანდა ნიადაგამდე მისი სხივები, ხოლო თვით ნიადაგი წარმოადგენდა ერთ მთლიან კორდს, ალისფერი და სხვა ყვავილებით დაფარულს. გარდა ამისა, სხვებთან ერთად არანაკლებ ახარებდა თვალს ერთი პატარა ნაკადული, რომელიც ხევიდან გადმოდიოდა; ეს ხევი კიდევ ამ გორაკთან ორ გორაკს ერთმანეთს აშორებდა. ეოცა ეს ნაკადული კლდის ბაქნიდან ძირს ეშვებოდა, ყურთათვის დამატკბობელ ხმაურობას გამოიღებდა ხოლმე, ხოლო მისი წინწკლები ვერცხლის წყალსა ჰგავდა, რომელსამე ჭურჭლიდან ზევიდან დაჭერით გარეთ წვრილ ჭავლებად გამოსხმულს. ერთ პატარა ველს რომ მიატანდა, ნაკადული თავის წყალს ერთ კოხტა სარეცელში მოაქცევდა, სწრაფად მისრიალებდა ველის შუაგულამდე. აქ პატარა ტბა გუბდებოდა, რომლის მსგავსსაც ზოგჯერ თავიანთ ბაღებში აკეთებენ ხოლმე მოქალაქენი თევზებისათვის, როცა ამის მოწყობა შესაძლებელია ხოლმე. ამ ტბაში წყალი კაცს გულამდე თუ მოსწვდებოდა. თვით წყალში სიმღვრიე სრულებით არ იყო და მკაფიოდ მოჩანდა წვრილი კენჭებით მოოჭვილი ფსკერი; ამ კენჭების დათვალა კაცს თუ უნდოდა და მოცლაც ექნებოდა, თავისუფლად შეეძლო. წყალში არამცთუ ფსკერი მოჩანდა, არამედ იმდენი თევზი დასრიალებდა იქით-აქეთ, რომ მათი ყურება ადამიანს სიამოვნებასაცა ჰგვრიდა და აოცებდა კიდეც. ტბას ნაპირებად ველის კიდურებიღა ჰქონდა, და ეს კიდურები იმდენად ლამაზი იყო, რამდენადაც მეტ სინოტივეს იკრეფდა ტბისაგან. რაც ტბაში არ ეტეოდა წყალი, მეორე რუში ედინებოდა და ამ რუს საშუალებით ველს გარეთ გამოდიოდა და უფრო ვაკე ადგილებზე მიმდინარეობდა. ქალები აქ რომ მოვიდნენ, ყველაფერი დაათვალიერეს და იქაურობა ძალიან მოეწონათ; რაკი საშინელი სიცხე იდგა და თავიანთ წინ ტბა დაინახეს, იფიქრეს, აქ ვერავინ დაგვინახავს და მოდი, შიგ ვიბანაოთო. მსახურ ქალს უბრძანეს, აქ მომავალ გზაზე გაჩერებულიყო, თვალი დაეჭირა და როგორც კი ვისმე დაინახავდა გარეშეს, მათთვის შეეტყობინებინა. მერე შვიდთავემ ტანთ გაიხადეს და შიგ შევიდნენ. წყალმა მათი თოვლივით სპეტაკი ტანი ისევე დაფარა, რამდენადაც თხელი მინის ქვეშ შეიძლებოდა წითელი ვარდი დაფარულიყო. ქალების ჩასვლით წყალი, ერთი ბეწოთიც არის, არ ამღვრეულა. ესენიც თევზებს გამოუდგნენ. თევზებმა არ იცოდნენ, სად დამალულიყვნენ. ქალები ცდილობდნენ ეხელავათ. ერთხანს დრო ასეთ მხიარულებაში გაატარეს, რამდენიმე თევზიც დაიჭირეს, ამოვიდნენ წყლიდან და ტანთ ჩაიცვეს; იქაურობა ისე აქეს, რომ მეტის ქება შეუძლებელი გახლდათ. როცა შეატყვეს, ახლა კი დროა შინ დაბრუნებისაო, ნელი ნაბიჯით გზას გაუდგნენ და თან დაუსრულებლივ იქაურობის ქებაში იყვნენ.

სასახლეში დროითვე დაბრუნდნენ. ყმაწვილები ისევ იმ ალაგას ისხდნენ და თამაშობდნენ, საცა ქალებმა დატოვეს. პამპინეამ სიცილით უთხრა: „დღეს კი ჩვენ გაგაცურეთ“. – „როგორა? — ჰკითხა დიონეომ, — ჯერ ჩაიდენთ რასმე და მერე ლაპარაკს

დაიწყებთ ხოლმე იმაზე?!“ ამაზე პამპინეამ მიუგო: „სწორედ ასე გახლავთ, ჩვენო ხელმწიფევ!“ და დაწვრილებით უამბო საიდან მოვიდნენ, როგორი იყო ის ადგილი, აქედან რა მანძილი ჰშორავდა, ან რაც ექნათ იქ.

მეფემ რომ გაიგონა იმ ადგილის მშვენიერების ქება, მოუნდა მისი ნახვა და საჩქაროდ ვახშმის მოტანა უბრძანა. მხიარულად რომ ივახშმეს, სამმა ყმაწვილმა კაცმა თავიანთი მოსამსახურენი თან გაიყოლიეს, ქალები იქვე დატოვეს და წავიდნენ იმ ველისაკენ, სადაც იმათგანი არავინ ყოფილა, ყოველივე დაათვალიერეს და ძალიან შეაქეს — მთელ დედამიწის ზურგზე იშვიათი სანახავი რამ არისო! იბანავეს, ტანთ ჩაიცვეს და შინ დაბრუნდნენ, რადგან გვიან იყო. სახლში დაუხვდათ ქალები, რომელთაც ფერხული გაემართათ და ფიამეტა კიდევ მღეროდა. თამაში რომ გაათავეს ქალებმა, ვაჟებმა „ბანოვანთ ველის“ შესახებ დაუწყეს ლაპარაკი, მეტად აქეს, — საუცხოო სანახავი რამ არისო!

ამიტომ მეფემ სინისკლაკოს დაუძახა, უბრძანა მეორე დღისათვის იქ ყველაფერი დაემზადებინა, რამდენიმე ხელი ლოგინიც წაეღოთ, ვინიცობაა, შუადღისას ვისმე მოუნდეს დაძინება ან ისე წამოწოლაო. მერე მოატანინა სანთლები, ღვინოები და ნამცხვრები, ცოტათი შენაყრდნენ და ყველას უბრძანა — აბა ახლა თამაშობას შეუდექითო. როცა მისი ბრძანებით პამფილომ ცეკვა გააჩაღა, მეფე მიუბრუნდა ელიზას და თავაზიანად უთხრა:

„დღეს შენ პატივი მეცი და გვირგვინი შემომთავაზე, მე კი მინდა ამ საღამოს დაგავალო — ლექსები გვიმღერო. ამიტომ, რაც უფრო მოგწონდეს, ისეთი ლექსი გვითხარი“. ამაზე ელიზამ ღიმილით მოახსენა — დიდი სიამოვნებითაო და ნაზი ხმით ასე დაამღერა: სიყვარულო, შენს კლანჭებს თუ დავუძვერ, თუ გადვურჩი მე როგორმე ამ ამბავს, კვლავ მახეში სხვა ვერავინ გამაბამს.

შეგებრძოლე მე, ჯერ ნორჩი ასული, ამ ბრძოლაში შვების პოვნას ველოდი. აბჯარით მე თავს როდიღა ვშველოდი, როგორც კაცი სამშვიდობოს გასული. ხოლო შენ კი, ულმობელო მტარვალო, თავს დამაცხრი მთელი შენი ძალებით — იარაღით, მტაცებლურის ბრჭყალებით.

მიმეც მერე, ცხარე ცრემლის მფრქვეველი, შებორკილი მაგრად შენის ბაწრითა, კაცსა, ცნობილს უსაზღვრო სიმკაცრითა, და გავხდი მე მონის უღლის მწეველი.

ბატონობა მისი ესდენ მძიმეა, რომ ვილევი, ვკვდები ცრემლთა დამდენი, —

გულს არ ულბობს მაინც ტანჯვა ამდენი.

ნიავს მიაქვს ჩემი ლოცვა ყოველი, არვის უნდა მისთვის ყურის დაგდება.

მემატება დარდი, გული შმაგდება, სიცოცხლე მძულს, ვარ სიკვდილის მთხოვნელი.

სიყვარულო, ჩემი თხოვნა ისმინე, გამახარე, ნუგეში მეც მაღლითა: შეჰვარ ისიც შენ იმავე საბლითა.

თუ არა გსურს დამეთანხმო ამაზე, გევედრები ამხსნა მძიმე ხუნდები. მით სიცოცხლეს ისევ დავუბრუნდები.

თუ ინდომებ, ყოფილი სილამაზე

კვლავ მეწვევა, მწუხარებას მოვრჩები, ამოსუნთქვა შემეძლება შვებითა და შევიმკობ თავსაც ყვავილებითა.

ოდეს ნაღვლიანად ამოიოხრა და თავისი სიმღერა დაასრულა ელიზამ, თუმცა ყველას გაუკვირდა მისი ასეთი სიტყვები, მაგრამ მაგათში არავინ იყო ისეთი, რომ მიმხვდარიყო, რამ აიძულა ასეთი სიტყვები ემღერა. ხოლო მეფემ, რომელიც კარგ გუნებაზე იყო, დაუძახა ტინდაროს, უბრძანა თავისი ჭიმონი მოეტანა, დააკვრევინა და იმის ხმაზე, მისი ბრძანებით, ბევრი იცეკვეს. მაგრამ რადგან ღამე ძალიან იყო გადასული, ყველას უბრძანა დასაძინებლად წასულიყვნენ.

მეშვიდე დღე

დასრულდა მეექვსე დღე დეკამერონისა; აქ იწყება მეშვიდე დღე, ოდეს, დიონეოს თავმჯდომარეობით ლაპარაკობენ იმ ოინების შესახებ, ცოლები თავიანთ ქმრებს რომ უშვრებიან, ზოგი სიყვარულის გამო და ზოგიც იმიტომ, რომ განსაცდელს თავი დააღწიოს. ის კი არა ჩანს, ქმრები მიუხვდნენ ეშმაკობას თუ არა.

ცის აღმოსავლეთი მხრიდან ვარსკვლავები სულ ერთიანად გაიკრიფნენ გარდა ერთისა, რომელსაც ლუციფერს ვეძახით, და რომელიც ჯერ კიდევ ანათებდა მოთეთრო განთიადს. ამ დროს სინისკალკო წამოდგა და ერთი მეტად დატვირთული ურმით „ბანოვანთა ველისაკენ“ გაემართა, რომ იქ ყველაფერი მოეწყო, თანახმად თავისი ბატონის განკარგულებისა და ბრძანებისა.

მისი წასვლის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, ისე, მეფეც აბრძანდა, რომელიც დასატვირთავი ცხენებისა და მათი დამტვირთველების ხმაურობამ გამოაღვიძა. თვითონ რომ ადგა, მსგავსადვე გააღვიძებინა ქალები და ყმაწვილები.

მზის სხივები ჯერ ისევ ოდნავ ჩანდა, როცა ყველანი გზას გაუდგნენ; ბულბულებისა თუ სხვა ფრინველთა სტვენა ისე ტკბილად, როგორც იმ დილას, წინათ არასდროს ჩვენებიათ.

„ბანოვანთა ველში“ ჩასვლამდე, ფრინველთა სტვენა სულ ესმოდათ, ხოლო იქ რომ ჩავიდნენ, ეს ხმიანობა უფრო გაიზარდა, თითქოს ფრინველთ იხარეს მათი ჩამოსვლითაო. აქაურობას ისევ რომ შემოუარეს, ყველაფერი ხელახლა დაათვალიერეს, წინადღეზე უმეტესად მოეწონათ, რადგან დღე უფრო შეეფერებოდა იქაურობის სიმშვენიერეს. კარგი ღვინითა და ტკბილეულით ცოტათი რომ შენაყრდნენ, ფრინველთ არ ჩამოვრჩეთ გალობაშიო და თვითონაც დაიწყეს სიმღერა, ველიც მათ ბანს აძლევდა და სწორედ იმავე სიმღერებს იმეორებდა, რომელსაც ესენი ამბობდნენ. ჩიტებიც ცდილობდნენ, არ გვაჯობონო, და თავიანთ სიმღერებს ახალ-ახალსა და ტკბილ ჰანგებს დასძენდნენ ხოლმე.

ჭამის დრო რომ დადგა, სუფრა გაშალეს ქორფა დაფნებისა და სხვა ლამაზი ხეების ძირას, ტბის ახლოს, მეფის განრიგების თანახმად მოუსხდნენ და შეექცნენ, თანაც ტბაში ქარავნებად მავალ თევზებს უცქეროდნენ და ამათ გამო ბაასობდნენ კიდეცა.

საუზმე რომ გათავდა და სუფრა აალაგეს, წინანდელზე უფრო გამხიარულებულთ დაიწყეს სიმღერა. და რადგან ამ პატარა ველის სხვადასხვა ადგილას ტახტები იყო დადგმული, რომლებისათვის მიხვედრილ სინისკალკოს ზევიდან დაგვერდებიდან ფრანგული ნაქსოვი მოეფარებინა, ვისაც უნდოდა, შეეძლო დაეძინა, ხოლო ვისაც ძილი არ უნდოდა, შეეძლო ის ექნა, რაც მის სულსა და გულს ეამებოდა.

მაგრამ როცა ყველანი ადგნენ დადრო იყო ამბების მოყოლას შესდგომოდნენ, მეფის ბრძანებით მწვანეზე ხალიჩები გაშალეს იმ ადგილის ახლოს, სადაც ინახად ისხდნენ; ტბის ახლო დასხდნენ და მეფემაც ემილიას უბრძანა — აბა, დაიწყეო. ამანაც მხიარულად გაიღიმა და ასე დაიწყო.

ამგავი პირველი. მოჩვენება

ჯიანი ლოტერინგის ღამით კარზე კაკუნი მოესმის და აღვიძებს ცოლს; ცოლი არწმუნებს — მოჩვენებაოო; ორივე შეულოცავენ და კაკუნი შეწყდება.

ჩემო ხელმწიფევ, ძალიან გამეხარდებოდა, რომ თქვენი ნება ყოფილიყო და მე კი არა, სხვას ვისმე დაეწყო ისეთ საუცხოო საგანზე ლაპარაკი, რომელზედაც ჩვენ ახლა უნდა ვიბაასოთ; მაგრამ რაკი გნებავთ, სხვები წავაქეზო, ბატონი ბრძანდებით, სიამოვნებით ვასრულებ თქვენს სურვილს. შევეცდები, ძვირფასნო, გიამბოთ ისეთი რამ, რაც შემდეგში შეიძლება გამოგადგეთ. იმიტომ, რომ, თუ ყველას ჩემებრ გექნებათ შიში, განსაკუთრებით,

მოჩვენებათა, რომელნიც მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის და არა მე, რაც არიან, და არც არავინ მინახავს, იმათი რამე იცოდეს, თუმცა ჩვენ ყველას ერთგვარად გვეშინის მათი; თქვენ, რაკი ჩემს ამბავს კარგად დააკვირდებით, შეგიძლიათ კარგი და წმიდა ლოცვა ისწავლოთ; ეს ლოცვა ამ შემთხვევაში ძალიან გამოგადგებათ, რათა მოჩვენება განდევნოთ, თუ, ვინიცობაა, მოგელანდათ.

ფლორენციაში, წმ. ბრანკაციოს ქუჩაზე, ოდესღაც ცხოვრობდა ერთი ვინმე მსთველი, სახელად ჯიანი ლოტერინგი ერქვა. ჯიანის ყველაფერში ბედი ჰქონდა, თორემ ჭკუით ვერაფრის გაკეთება შეეძლო, რადგან მიუხედავად მისი სისულელისა და ყეყეჩობისა, წმ. მარიამ ნოველას უბნის მსთველების მამასახლისად არაერთხელ ამოურჩევიათ და ესენი იძულებულნი იყვნენ მასთან შეკრებილიყვნენ ხოლმე. გარდა ამისა, ხელოსნებს შორის სხვა საპატიო ადგილიცა სჭერია ხოლმე, რამაც ისე გაამპარტავნა, რომ ეგონა, ყველასა ვჯობივარ ჭკუითა და გამოცდილებითაო. რადგან მის ხელობის კაცის კვალობაზე ჯიანი შეძლებულ კაცად ითვლებოდა, სადილად ხშირად ჰპატიჟობდა წმ. მარიამ ნოველას სასულიერო ძმობის მამებს და ერთს წინდებს აჩუქებდა, მეორეს — კაპიუშონს, ზოგს სამხრულს და ზოგსაც ცხვირსახოცებს. წმინდა მამები ასწავლიდნენ ლოცვებს და ზოგი იტალიურად თარგმნილ „მამაო ჩვენოს“ —ს აჩუქებდა, ზოგი — წმ. ალექსის საგალობელს, სხვები — წმ. ბერნარდოს გოდებას, წმ. მატილდას ქებას და სხვა მათს მსგავს უსაქმური კაცის ნივთებს, რასაც ის მოწიწებით ინახავდა თავის სულის საოხად.

ჯიანის ცოლად ერთი მშვენიერი და მომხიბვლელი ქალი ჰყავდა, ტესა, მანუჩო და ლა კუკულიას ქალი, იმდენადვე ჭკვიანი და წინდახედული, რამდენადაც ქმარი იყო უჭკუო და ყარყუმი. ქალმა იცოდა ამ მხრივ თავისი უპირატესობა ქმარზე და ცდილობდა, როცა შემთხვევა მიეცემოდა, ესარგებლნა ამ უპირატესობით. ჭკუა საუკეთესო ავეჯია, ბუნება იმისათვის გვაძლევს, რომ გამოვიყენოთ. და ქალმა გამოიყენა კიდეცა.

ქალს შეუყვარდა ფედერიგო დი ნერი პეგოლოტი, ლამაზი ყმაწვილი კაცი. თავის მხრივ ყმაწვილსაც უყვარდა ქალი. ქალმა ყმაწვილს თავისი მოსამსახურე გოგო გაუგზავნა და შეატყობინა: მოდი, მნახე სოფელ კამერატაში, ფლორენციის ახლოო. აქ ქალს საზაფხულო სახლი ჰქონდა, სადაც ზოგჯერ მისი ქმარიც მოდიოდა ვახშმად, მერე ღამეცა რჩებოდა და მეორე დღეს ისევ თავის დუქანში ბრუნდებოდა. ფედერიგო ლამაზ ქალთან ყოფნასღა ნატრობდა და მაშინვე მოემზადა დანიშნულ ადგილას წასასვლელად. იმ საღამოსვე მოვიდა და რადგან ქმარს ამ საღამოს არ მოელოდნენ, ყმაწვილმა გულნებიერად ივახშმა და დაწვა თავის საყვარელთან, რომელმაც, როგორც უნდა ვიფიქროთ, მთელი ღამე ძილს როდი მოანდომა. ქალს საყვარლის კისერზე მკლავები ჰქონდა შემოჭდობილი და ექვსი ლოცვა ასწავლა თავისი ქმრისა. საყვარელმა მეტისმეტად ისიამოვნა იმ ღამეს, თან იმის ზრუნვას შეუდგნენ, კვლავაც როგორ გაეტარებინათ დრო უხიფათოდ. სანამ ერთმანეთს

დაშორდებოდნენ, გადაწყვიტეს: მოსამსახურეს ნუღარ შევაწუხებთ ერთმანეთის შემონათვლის შესატყობინებლადო. ფედერიგოსაც ჰქონდა ერთი საზაფხულო სახლი, საყვარლის სახლს იქით. ყოველდღე წავიდოდა თავისი სახლისაკენ და გზად იქითობას და აქეთობას თვალს მოჰკრავდა სახლის ვენახის ერთ კუთხეს, სადაც ერთს დიდ სარზე წამოცმული იყო სახედრის თავი. როცა ცხვირი სახედრის თავისა ქალაქისაკენ იქნებოდა მობრუნებული, ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ქმარი შინ არ იყო და ქმრის მაგივრობა საყვარელს უნდა გაეწია; თუ კარი დაკეტილი დახვდებოდა, სამჯერ დააკაკუნებდა და მაშინვე გაუღებდნენ. მაგრამ თუ სახედრის ცხვირი ფიეზოლესკენ იქნებოდა შექცეული, მაშინ ფედერიგო ამით უნდა მიხვედრილიყო, რომ ჯიანი შინ იყო და შიგ შესვლა არ შეიძლებოდა.

ამ წინდახედულობის წყალობით, ქალმა და მისმა საყვარელმა არა ერთი და ორი ღამე გაატარეს ისე, რომ არც ერთმანეთისათვის ამბის მიმტანი დასჭირვებიათ და აღარც შიში ჰქონდათ ვისიმე.

მაგრამ ერთ საღამოს, როცა ფედერიგო ვახშმად საყვარელთან უნდა წასულიყო, რომელმაც, ორი ყვერული შეუწვა და ისე ელოდებოდა, ისე მოხდა, რომ ჯიანი, რომელიც ამ დღეებში თავის ცოლთან მისვლას არც კი აპირებდა, მოულოდნელად წამოვიდა და ისიც ჩვეულებრივზე მეტად გვიან მიადგა სახლს. მის ცოლს ტესას ძალიან ეწყინა მისი მოსვლა, მოინდომა მისი დასჯა და ვახშმად ერთი ნაჭერი შაშხი მოუტანა. ერთგულ მოსამსახურეს უბრძანა: ორი ყვერული, რამდენიმე კვერცხი და ერთი ხელადა კარგი ღვინო სუფთა ხელსახოცში გამოეკრა და წაეღო ბაღში, სადაც სახლზე გაუსვლელად შეიძლებოდა გავლა. „ყველაფერს ატმის ძირას დააწყობ. — უთხრა ტესამ მსახურს, — სადაც ჩვენ არაერთხელ გვივახშმნია“, — მაგრამ სიჩქარეში ქალს დაავიწყდა ეთქვა მოსამსახურისათვის — დაეცადნა ფედერიგოს მოსვლამდე და რაკი ჯიანი შინ იყო, ფედერიგო უკანვე გაებრუნებინა, და მასვე წაეღო ბაღიდან საჭმელ-სასმელი.

როცა ცოლ-ქმარმა მოწყენილი სახით შესჭამა შაშხის ნაჭერი, დაწვნენ. დაწვა აგრეთვე მსახური ქალიცა. ის იყო, დაწვნენ, რომ საყვარელიც მივიდა და ნება-ნება კარზე დააკაკუნა. ქმარმა მაშინვე გაიგონა; ცოლსაც იმაზე უკეთესად მოესმა კაკუნი, მაგრამ ქმარმა ეჭვი არ აიღოსო და თავი მოიმძინარა. ფედერიგომ მეორეჯერ დააკაკუნა. გაოცებულმა ჯიანიმ ცოლს ხელი წაჰკრა და უთხრა; „ტესა, არ გესმის, ქალო! ვიღაცა კარს აკაკუნებს“. — „თუ აკაკუნებს, არც კი მიკვირს: მავნე სულია, ნამდვილად. ეს რამდენიმე ღამეა, მოსვენებას არ მაძლევს, იმ ზომამდე, რომ, გავიგებ თუ არა, მაშინვე ზეწარში წავყოფ თავს და გათენებამდე ადგომისა მეშინიან“. — „ნუ გეშინიან, ჩემო ცოლო! თუ მართლა მავნე სულია, ვერას გვავნებს, რადგან დაწოლის წინ ლოცვები — „შენ ხარ ნათელი, უბიწოო ღვთისმშობელო“ და რამდენიმე კიდევ სხვა კარგი ლოცვა და, გარდა ამისა, საწოლს თავიდან ბოლომდე ჯვარი გადავსახე სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა. ასე რომ, შეჩვენებული, რაც უნდა

ძლიერი იყოს, ვერას გვავნებს, ფიქრი ნუ გაქვს“.

ცოლი მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყო, რომ ქმარი მოატყუა. თანაც ეშინოდა, საყვარელმა ეჭვი არ აიღოს და სხვასთან არ ვეგონოო, გადაწყვიტა ამდგარიყო და როგორმე შეეტყობინებინა, რომ ქმარი იყო მასთან. ამ განზრახვით ქმარს უთხრა:

„მართალი გითხრა, შენი ლოცვები და ჯვარის გადასახვა მაინცდამაინც გულს ვერ დამიმშვიდებს; მე მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები, როცა მავნე სულს შევულოცავთ“. — „მერედა, როგორღა შევულოცოთ?“ — ჰკითხა გამოტვინებულმა ქმარმა. — „ფიქრი ნუ გაქვს,

— გაამხნევა ცოლმა, — იმ დღეს ფიეზოლეში ვიყავი შენდობის მისაღებად. ერთ წმინდა მოლოზანს ჩემი შიშის ამბავი შევჩივლე და იმან წამალი მომცა მოჩვენებათა მოსაშორებლად. ეს წამალი მე თვითონ ვცადე და, ის დღეა და ეს დღე, მას მერე მოჩვენება არ გამოჩენილაო. მის ნასწავლ წამალს ვცდი, შენც აქ ხარ, ავდგეთ, თუ ჩემი გჯერა, და სანამ თავისით წავიდოდეს, შევულოცოთ, რომ კვლავ აღარ გაბედოს მოსვლა და ჩვენი შეწუხება.

ჯიანი დაეთანხმა. ორივენი ადგნენ და მივიდენ კარებთან, სადაც იდგა ფედერიგო, რომელსაც მოუთმენლობა და ეჭვიანობა ახრჩობდა; ფიქრობდა, ვაითუ, ჩემმა საყვარელმა სხვაზე გამცვალაო. როცა კარებს მიუახლოვდნენ, ტესამ ქმარს უთხრა: როცა განიშნო, დააფურთხეო, ქმარმა, კარგიო. კართან რომ მივიდენ, ცოლმა დაიწყო თავისი შელოცვა: „მაცდურო, მაცდურო, რომელიც ღამ-ღამ დაძრწი, აქ მოსულხარ სწორ კუდიანად, იმავე სწორ კუდიანად უკან დაბრუნდი. ბაღში, მსხვილი აგმის ხის ქვეშ დაინახავ ორ მოხრაკულ ყვერულს, ბლომად კვერცხებს, ჩემი ქათმების დადებულს და ერთ ხელადა ღვინოს. რაც გინდოდეს, მიირთვი, და მერე მოშორდი აქაურობას ისე, რომ არაფერი გვავნო არც მე და არც ჯიანის, ჩემს ქმარს, რომელიც აქ არის“. ამ სიტყვების შემდეგ ქმარს უთხრა, მიაფურთხეო და ჯიანიმაც მიაფურთხა.

ფედერიგო, რომელსაც ყოველივე ეს ესმოდა, მიხვდა, რაც იყო, ეჭვები ყველა გაეფანტა და თუმცა ცუდ გუნებაზე დააყენა ამ სამწუხარო შემთხვევამ, მაინც თავი ძლივს შეიკავა, რომ არ გადაეხარხარნა, როცა ცოლის ბრძანებით ქმარმა გადააფურთხა. თავისთვის ამბობდა:

„ნეტავი არ იქნება, კბილები გადმოაფურთხოს!“ შელოცვა სამჯერ განიმეორეს და მერე შემლოცველები ლოგინს დაუბრუნდნენ.

ფედერიგო, რომელსაც იმედი ჰქონდა საყვარელთან ერთად ევახშმნა და კი არ უვახშმნია, მიხვდა შელოცვის აზრს, გაექანა ბაღში და თავისას წაიღო ყვერულები, ახალი კვერცხები და ღვინო და, თქვენი მოწონებული, მადიანად შეექცა. ძალიან კი არ დაუგვიანია თავისი ძვირფასი საყვარლის ხელმეორედ სანახავად და ბევრიც იცინა მის შელოცვაზე.

მართალია, არიან ისეთები, რომლებიც ამბობენ, რომ ქალბატონ ტესას კი არ დავიწყებია სახედრის თავის ცხვირი ფიეზოლესკენ მიებრუნებინა, მაგრამ ვენახში ერთ გლეხს გაუვლია და მოხალისებია და ჯოხით რამდენჯერმე შემოუტრიალებია თავი და ცხვირი ფლორენციისაკენ მოტრიალებული დარჩენიაო. და, აი, სწორედ ამას შეუცდენია ფედერიგოო. აგრეთვე ამისავე მთქმელები გვარწმუნებენ, რომ ქალმა შელოცვა ასე თქვაო: „მაცდურო, მაცდურო, წადი, მომშორდი, არაფერი მავნო; მე არ მომიბრუნებია სახედრის თავი. ღმერთმა ჰკითხოს, ვინც ისა ჰქნა! მე აქ ჩემ ქმარ ჯიანისთან ვარ“. და ამნაირად ფედერიგო შინ ღამის გაუთევლად და უვახშმოდ დაბრუნებულაო. მაგრამ ერთმა მეტად ხნიერმა ქალმა, რომელიც დიდხანს მსთველის ცოლის მეზობლად იყო, მითხრა, რომ ერთიცა და მეორე გარემოებაც მართალიაო, რადგან პატარა გოგო რომ ვიყავ, მაშინ უამბნიათ ჩემთვისო. მხოლოდო, — დასძინა ქალმა, — უკანასკნელი ამბავი გადახდენია თავს ჯიანი ლოტერინგის კი არა, არამედ ჯიანი დი ნელოს. ეს კაცი, როგორც გეცოდინებათ, სან პიეროს კარებთან იდგა და ჯიანი ლოტერინგიზეც ნაკლები სულელი არ ყოფილა.

ამნაირად, ქალებო, ჩემო ძვირფასნო, ამ ორ შელოცვას შორის შეგიძლიათ აირჩიოთ ის, რომელიც უფრო მოგეწონებათ, ან, თუ საჭიროდ მიგაჩნიათ, ორივე გამოიყენოთ. ხომ თქვენ თვითონ დაინახეთ, რა ძალა ჰქონდათ; ისწავლეთ, შეიძლება, როდესმე გამოგადგეთ.

ამბავი მეორე. პერონელა ანუ მიხვედრილი ქალი

პერონელამ, ქმარი რომ დაბრუნდა შინ, თავისი საყვარელი ქვევრში ჩასვა; ქმარს ქვევრი თურმე გაეყიდა, ცოლმა კი უთხრა — მე სხვას მივყიდეო. მყიდველი შიგ შეძვრა და სინჯავს, ხომ მაგარიაო. ქალის საყვარელი ქვევრიდან გამოდის და ქმარს ეტყვის: — შედი და კარგად გაფხიკეო. მერე შინ მიაქვს.

სულ სიცილით იფხრიწებოდნენ ყველანი, ემილიას ნაამბობს რომ ისმენდნენ, ხოლო თვით შელოცვა ძალიან მოიწონეს, როგორც ძლიერი და წმიდა საშუალება. ემილიამ რომ დაასრულა, მეფემ ფილოსტრატოს უბრძანა — აბა, ახლა შენი სათქმელიაო. იმანაც ასე დაიწყო: — ქალებო, ჩემო ძვირფასნო! მამაკაცები, და განსაკუთრებით, ქმრები, ისეთ ოინებს გვიშვრებიან, რომ თუ ზოგჯერ ცოლმა მოახერხა და ქმარს რამე ოინი უყო, თქვენ არამცთუ უნდა გიხაროდეთ, რომ ასე მოხდა, რომ ეს შეიტყვეთ ან ვისგანმე გაიგონეთ, არამედ თქვენის ფეხით უნდა იაროთ და ქვეყანას მოსდოთ, რათა ქმრები მიხვდნენ, რომ თუკი იმათ რისამე შნო აქვთ, მეორე მხრივ, ქალებსაც გაეგებათ რამე-თქო; და ეს უეჭველად გამოსადეგი იქნება ჩვენთვის, იმიტომ რომ, თუ ერთმა იცის, მეორესაც გაეგება რამე, ისე ადვილად ვერ გაბედავს მის მოტყუებას. რაზედაც ჩვენ დღეს აქ ვილაპარაკებთ, თუ მამაკაცების ყურამდე მივიდა, ნუთუ საეჭვოა დააფიქროს ისინი და თავი შეაკავებინოს თქვენს წინააღმდეგ ოინების

ჩასადენად, რადგან მიხვდებიან, რომ თქვენც მსგავსადვე შეგიძლიათ მათი გაპამპულება, თუკი მოინდომებთ.

და აი, ამიტომაა, რომ მსურს გიამბოთ, თუ როგორ გააცურა, თითქმის ერთ თვალის დახამხამებაში, ერთმა ახალგაზრდა, თუმცა დაბალი წოდების, ქალმა თავისი ქმარი.

მას აქეთ დიდი ხანი არ არის, რაც ნეაპოლში ერთმა ღარიბმა კალატოზმა შეირთო გლეხის ერთი ახალგაზრდა და ლამაზი ქალი, პერონელა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დიდის გაჭირვებითა ცხოვრობდნენ — ერთი კალატოზობით, მეორე კიდევ მსთველი იყო. ეს ქალი ერთ დღეს ერთმა ახალგაზრდა კაცმა დაინახა, ძალიან უქო სილამაზე, შესჩივლა თავის გულის დარდები და მანამდე არ მოეშვა, სანამ ქალს თანხმობა არ გამოსტყუა. შეთანხმდნენ ამაზე, რომ ყმაწვილს უნდა ედარაჯნა ქმრისათვის, რომელიც ყოველ დღე დილაადრიან სახლიდან გამოდიოდა სამუშაოდ. ქმარი გამოვიდოდა თუ არა, ყმაწვილიც უნდა შესულიყო მის სახლში, რომელიც ერთ მივარდნილ და განმარტოებულ ავორიოს ქუჩაზე იყო. ამნაირად მოიქცნენ რამდენჯერმე და ყოველთვის უხიფათოდ ჩაუტარებიათ თავიანთი სიამოვნება.

მაგრამ ერთ დილას ისე მოხდა, რომ კალატოზი სახლიდან გავიდა თუ არა, ჯანელო სტრინარიო (ასე ერქვა ყმაწვილს) სახლში შევიდა. თუმცა ქმარი ჩვეულებრივ დღისით აღარ ბრუნდებოდა, მაგრამ მაშინ კი დაბრუნდა და კარი შიგნიდან დაკეტილი დაუხვდა; აკაკუნებს და თან თავის გულში ამბობს: „იდიდოს სახელი ღვთისა! მართალია, მისი ნება იყო, რომ ღარიბი ვყოფილიყავი, მაგრამ სამაგიეროდ, კეთილი და პატიოსანი ქალი შემხვდა ცოლად; შეხე, როგორ მაგრად გადაუკეტნია კარი, რომ სახლში არავინ შესულიყო და არ გაებიაბრუებინა!“

პერონელამ კაკუნზე იცნო, რომ ქმარი იყო და საყვარელს უთხრა: „ვაიმე, დავიღუპე, ჩემო კარგო, ჩემი ქმარი მოსულა. არ ვიცი, რას ნიშნავს მისი ასე უდროოდ მოსვლა, რადგან ამ დროს თავის დღეში არ დაბრუნებულა. იქნება დაგინახა, როცა შემოდიოდი. შენ გენაცვალე, დაიმალე როგორმე აი იმ ქვევრში, მანდ რომ დგას. მე მივალ, კარს გავუღებ და გავიგებ, რისთვის მოსულა. ვეცდები მალე მოვიშორო თავიდან“.

ჯანელო ფაცხაფუცხით ქვევრში შეძვრა, ხოლო მისი საყვარელი გაიქცა კარის გასაღებად.

— „რა ამბავია, კაცო, ასე ადრე რამ მოგიყვანა? — უთხრა ცოლმა, ცოტა არ იყოს, ნაწყენის კილოთი, — იარაღიც რომ უკან მოგაქვს! მგონი, ღმერთი გიწყრება და დღეს სულაც არ აპირებ მუშაობას. მერედა რაღას ფიქრობ? რითი უნდა ვიცხოვროთ, ლუკმაპური როგორღა უნდა ვიშოვნოთ? ან, იქნებ გგონია, რომ ჩემი კაბა და სხვა მჩვრები წაგაღებინო

დასაგირავებლად და ამით წავაქეზო შენი სიზარმაცე?!. შე ღმერთგამწყრალო, თითებზე კანი მაქვს გადაყვლეფილი დღედაღამე ძაფის სთვით; მე ჯანი გავიგდებინო და შენ კი იმცონარო?! ვერ მოგართვეს! ისეთი მეზობელი არ არის, რომ არ დამცინოდეს: — ქალო, ამდენს როგორ მუშაობო! შენ კი აგიღია და ეგ სამინე ხელები გულზე დაგიკრეფია და შინა ბრუნდები იმ დროს, როცა წელებზე ფეხს უნდა იდგამდე მუშაობით!“ — ეს უთხრა ქალმა და მორთო ტირილი. „ღმერთო, რა უბედური დღის გაჩენილი ვარ! — დაუმატა ცრემლების ყლაპვით, — რა კარგი და პატიოსანი ყმაწვილი მთხოულობდა და ვისზე გავცვალე?! ერთ უმადურზე, რომელმაც ჩემი ფასი და ყადრი არც კი იცის! სხვა ქალები მხიარულად ცხოვრობენ, ტკბილად დროს ატარებენ თავიანთ საყვარლებთან. ისეთ ქალს არავის ვიცნობ, თითო მაინც არა ჰყავდეს; ზოგს ორი ჰყავს, ისეთებიც არიან, რომ სამი საყვარელი ჰყავთ ხოლმე. ყველას თავი მაღლა უჭირავს, წმინდანებივით ჩაცმულ-დახურულები დადიან, ცის მნათობებივით გაბრწყინებულნი; მე კი, მხოლოდ იმიტომ რომ გულკეთილი ვარ და ამ სისულელეზე არა ვფიქრობ, ვწვალობ და ჯანს ვიგდებინებ შრომით. მე ვისზე რა ნაკლები ვარ, რატომ მე კი არ უნდა მივბაძო იმათ? იცოდე, ჩემო ქმარო, მე რომ ცუდი საქმე მდომოდა, საყვარლის გაჩენა მეც არ გამიჭირდებოდა. ვიცნობ ყმაწვილ კაცებს, მპირდებიან ფულს, კაბებს, ოქრო-ვერცხლს, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს, სინიდისს ასეთ რამეებზე გავცვლიდე! მერე ისეთი დედის შვილი არა ვარ, ესე ადვილად შევცდე, მიუხედავად ჩემი სიღარიბისა! შენ კი, ჩემო კარგო, მუშაობის მაგიერ ასე ადრე შინ ბრუნდები!..“.

— „ღვთის გულისათვის, — უთხრა ქმარმა, — ნუ ჯავრობ, ჩემო ცოლო! დარწმუნებული უნდა იყო, რომ ვიცი, შენი კაიქალობის ამბავი და, ღმერთმანი, ღირსეულადაც ვაფასებ. მართალია, ამ დილას ადრე გავედი სამუშაოდ, მაგრამ შენ არ იცი და არც მე ვიცოდი, რომ დღეს წმ. გალერის დღეობა ყოფილა. ყველანი უქმობენ. უპურობისა კი ნუ გეფიქრება; მთელი თვე უზრუნველი ვართ. მე რომ მომყვება, იმ კაცს მივყიდე ის ქვევრი, სახლში ამდენი ხანია უხმარად რომ გვიგდია და ტყუილად ადგილს რომ იჭერს. ხუთ ოქროს ფლორინს მაძლევს! — „რაო! კიდეც მიგიქარავს!? — წამოიძახა პერონელამ, — როგორ არა გრცხვენია, მამაკაცი ხარ, ყველგან დადიხარ, ნივთის ფასი უნდა იცოდე და ასეთ ქვევრს ხუთ ფლორინადა ჰყიდი?! მე კი, ხომ ერთი საცოდავი დედაკაცი ვარ, და სახლის კარებს არცკი გავცილებივარ, ისე ძვირად მივყიდე ეს ქვევრი ერთ კაცს, რომელიც, ეს-ეს არის, შეძვრა შიგ და ათვალიერებს, სადმე გატეხილი ხომ არ არისო“.

ქმარს ძალიან გაეხარდა, რომ მის ძვირფას პერონელას ასე ძვირად გაუყიდნია მისი ქვევრი და მასთან მოსულ მყიდველს ასე უთხრა: „რაკი ჩემს ცოლს, პერონელას, უჩემოდ გაუყიდნია ქვევრი და ისიც ორი ფლორინით მეტად, ვიდრე თქვენ მაძლევთ, თქვენ ვერ მოგყიდით“. გამარჯვებით გამყოფოთ ღმერთმა, — უთხრა მყიდველმა და ხელცარიელი წავიდა. „რაკი შენ აქა ხარ, — განაგრძო პერონელამ, — ადი მაღლა და საბოლოოდ შენ

თვითონ მოურიგდი ჩემ მყიდველს“.

ჯანელომ, რომელიც ყურებდაცქვეტილი იჯდა ქვევრში, ყველაფერი გაიგონა და ისიც მაშინვე გამოვიდა ქვევრიდან და, ვითომ ქმრის დაბრუნება არცკი გაუგიაო, დაიწყო ძახილი: „დიასახლისო, სადა ხართ?“ — „აქა ვარ, აქა, — უპასუხა ზემოთ ამომავალმა ქმარმა, — რა გნებავთ?“ — „ის ქალი მინდა, ვინც ეს ქვევრი მომყიდა“. — სულ ერთია, შეგიძლიათ მე მომირიგდეთ, ქმარი ვარ მისი“. — უპასუხა კალატოზმა. — „ქვევრი მგონი კარგი უნდა იყოს, —უთხრა საყვარელმა, — გაბზარული არსადაა, მაგრამ თითქო სანაგვე ჭურჭლად გქონიათო: რაღაცა აქვს მიმხმარი კედლებზე, იმდენი ვიწვალე მის მოსაცილებლად, რომ კინაღამ თითებიდან ფრჩხილები წამძვრა; სანამ კარგად არ გამისუფთავებ, მისი წამღები არა ვარ“.

— „ეგ არაფერია, — ჩაერია ლაპარაკში პერონელა, — აი, ჩემი ქმარი ახლავე გამოსწმენდავს“. — „დიდი სიამოვნებით“, — უთხრა კალატოზმა.

გაიხადა ტანისამოსი, მოატანინა ანთებული სანთელი, აიღო ხელში ქაფჩა და შევიდა ქვევრში. დაუწყო ქვევრს ფხეკა. ამ დროს ცოლი მივიდა, თითქო უნდა დაენახა, როგორ ფხეკდა ქმარი, თავი შეჰყო ქვევრის თავში, რომელიც ქვევრის მუცელზე გაცილებით ვიწრო იყო, შეჰყო აგრეთვე ცალი მკლავი მხრებამდე და ეუბნებოდა: „გაფხიკე აქ, აი იქაც გაფხიკე; ერთი მხარე სულ გაუფხეკავი დაგრჩენია“. სანამ ასე წაკუზული იყო ქალი და ქმარს გასაფხეკ ადგილებს უჩვენებდა, საყვარელი, რომელსაც ვერ დაესრულებინა ის საქმე, რომელიც, ის იყო, დაიწყო, როცა ქმარმა მოუსწრო, გადაწყვიტა ხელახლა დაეწყო და როგორც მოსახერხებელი იქნებოდა, ისე გაეთავებინა. მიუახლოვდა პერონელას, რომელიც ქვევრის თავს გადაჰფარებოდა, აღტყინებულმა მოჰხვია ხელები ისე, როგორც ატეხილი გარეული ულაყები პართიულ ჭაკებს მოასხდებიან ხოლმე და გახეხა თავისი ჭურჭელი, სანამ ქმარი თავის ჭურჭელსა ხეხავდა.

ორმავე მუშაკმა თავიანთი სამუშაო თითქმის ერთსა და იმავე დროს გაათავა. პერონელამ თავი და მკლავი ქვევრიდან ამოიღო, რომ ქმრისათვის გზა ეტია; მერე სანთელი ჯანელოს გადასცა და უთხრა: „აბა, შეიხედეთ, ხომ კარგად არის გაწმენდილი?“ — ჯანელომ გასინჯა და უთხრა — კარგადაა გაფხეკილიო და კმაყოფილი ვარო. მერე ქმარს დაუთვალა შვიდი ჯილიატო და ქვევრი თავის სახლში წააღებინა.

ამგავი მესამე. მუცლის ჭიის შეღოცვა

ბერი რინალდო თავის ნათლიდედასთან წვება. ქმარმა ორივე ერთად ოთახში მოატანა. ცოლი არწმუნებს: ბერმა მუცლის ჭიის წინააღმდეგ შეულოცა თავის ნათლულსაო.

ფილოსტრატომ ვერ მოახერხა იმდენად ყრუდ ეხსენებინა პართიული ჭაკები, რომ ქალები ყველაფერს არ მიმხვდარიყვნენ და არ გაეცინათ, და ამათაც თავი ისე მოიკატუნეს, თითქო სხვა რაზედმე იცინიანო. მეფემ რომ დაინახა, ამბავს მორჩაო, ელიზას მიმართა და უბრძანა, ახლა იმას ეამბნა რამე. იმანაც მორჩილება განუცხადა და დაიწყო: — ჩემო მშვენიერნო, ემილიას ნაამბობი ამბის მოჩვენების შელოცვაზე მომაგონდა მეორე ამბავი შელოცვისა, რომელიც თუმცა ემილიას ამბისთანა ლამაზი არ არის, მაინც გიამბობთ, რადგან ჩვენი სალაპარაკო საგნის შესახებ სხვა რამ არ მაგონდება.

უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ოდესღაც ქალაქ სიენაში, ერთ ახალგაზრდა კაცს, რინალდოს, მეტად პატიოსანი დედ-მამის შვილს, კარგად აღზრდილს, ლამაზს, ტანადს გაგიჟებით შეუყვარდება ერთი მდიდარი კაცის ახალგაზრდა და ლამაზი ცოლი. იმედი ჰქონდა, თუ როგორმე ქალთან დალაპარაკება მოვახერხე, უეჭველად ჩემს ჭკუაზე გადმოვიყვანო. ამ განზრახვით ეძებდა ისეთ საშუალებას, რომ მისი ნახვა და მასთან დალაპარაკება შესძლებოდა ისე, რომ ქმარს ეჭვი რამე არ აეღო. აგნესა (ქალს ასე ერქვა) ექვსისა თუ რვა თვის ორსული იყო და ამიტომ ყმაწვილმა გადაწყვიტა, ნათლიად მოჰკიდებოდა ქალს. ერთ დღეს გააჩერა ქმარი, რომელსაც იცნობდა, და მეტად მოხერხებულად და ზრდილობიანად განუცხადა თავის სურვილი. ქმარს აზრადაც არ მოსვლია, თუ რა ედო გულში რინალდოს, თანხმობა გამოუცხადა და, ის კი არა, თავიც მოსწონდა, რომ ასეთი კაცი მის ოჯახში მირონს შემოიტანდა.

ახალგაზრდა კაცი აგნესას ნათლიად რომ გახდა, ისარგებლა იმ შემთხვევით, რომ ქალი თავისუფლად შეეძლო ენახა და დალაპარაკებოდა, და უთხრა პირით ის, რაც იმისთვის წინათ არაერთხელ უთქვამს თავის თვალებითა და ხვნეშით. დაუხატა თავისი სულის მდგომარეობა და აუხსნა: ჩემი ბედნიერება, სულიერი სიმშვიდე, თვით ჩემი სიცოცხლეც დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ უპასუხებ ჩემს აღტყინებულს გრძნობასო.

ქალს, რომელიც არც უკარებელი და არც მიუწვდომელი იყო, სრულებით არა სწყენია რინალდოს მიერ სიყვარულის გამოცხადება. მის თავმოყვარეობას ეამა კიდეც ყმაწვილის სიტყვები; მაგრამ როგორც ჭკვიანმა და ქმრის მოყვარულმა, კბილები მოაჭრა რინალდოს იმედებსა და აუკრძალა კიდეც, — კვლავ ნუღარ დამელაპარაკები სიყვარულის შესახებო. საყვარელმა ხელახლა სცადა, მაგრამ ახლაც ისეთივე ცივი უარი უთხრა ქალმა, როგორც პირველად.

რინალდო რაღაც მიზეზით ბერად შედგა; არ ვიცით, რა აიძულებდა, — ბერობა თუ სხვა რამ მოსაზრება, მხოლოდ ეს კია, რომ გადაწყვიტა, სასტიკად დაეცვა ყოველი კანონი, რასაც ბერული ცხოვრება მისგან მოითხოვდა; ხელი აიღო სიყვარულზე და ამქვეყნიურ სხვა ყოველგვარ ამაოებაზე. მაგრამ დრო-ჟამმა რომ განვლო, ისევ გაეღვიძა სიყვარული და სხვა

ამაოებათადმი მისწრაფებანი. ანაფორა არც კი გაუხდია. სიამოვნებას ჰპოვებდა იმაში, რომ იცვამდა ძვირფას ტანისამოსს, კოხტაობდა, პეწენიკობდა და ირთვებ— იკაზმებოდა. თხზავდა კანცონებს, სონეტებს და ბალადებს, მღეროდა და გართული იყო სხვა ამის მსგავსი გასართობებით.

კიდევ რა უნდა გითხრათ ძმა რინალდოს ფუფუნებისმოყვარულობის შესახებ? საკმაო იქნება მოგახსენოთ, რომ რინალდოც ისე იქცეოდა, როგორადაც იქცევიან დღევანდელი ბერები. აბა, რომელი მათგანი, რომ ბერულ წესებს ასრულებდეს?!. სამწუხაროდ, ჩვენს გარყვნილს და გაფუჭებულს საუკუნეში ბერებს, როგორც მოგეხსენებათ, არცკი რცხვენიათ საზოგადოებაში გამოჩნდნენ. კურატებივით ჩასუქებულები, ღაჟღაჟა ლოყებიანები, ძვირფასად ჩაცმულები, სინაზის გამომხატველი თვალებით; მერე მათ სიარულს დააკვირდით, განა თავმდაბალ მტრედებივით დადიან?! თქვენც არ მომიკვდეთ! დადიან, როგორც ქედმაღალი მამლები, რომელთაც ბიბილო აქოჩრილი აქვთ და გული ამაყად წინ წამოწეული (იმას ნუღარ იტყვით, რომ მათი ოთახი პირთამდე სავსეა: მურაბების ქილებით, კონფეტებით, ნელსაცხებლებით, სურნელოვან წყლებით, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო ღვინოებით, სხვადასხვა ლიკიორებით და მალვაჯიით სავსე კოკებით; ასე რომ, ეს ოთახები ტკბილეულებისა ან ნელსაცხებლების დუქნებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ბერების სენაკებსა). ბერები არცკი ჰმალავენ, რომ უმეტესობა მათგანს ნიკრისის ქარები აქვთ. ეს სნეულება კი, როგორც ვიცით, იშვიათად სჭირთ ისეთებს, ვინც მარხულობენ, ზომიერად და სადა საჭმელს ჭამენ, უბიწო ცხოვრებას ეწევიან, წესიერად სცხოვრობენ, როგორც ეს შეჰფერის ხოლმე ეკლესიის მსახურთ და, განსაკუთრებით, ბერებს. თუმცა ბუნებით შემბრალებელი და სხვათა დანაშაულთა შემნდობელი ვარ, მაგრამ მაინც მაოცებს და გულს მიმღვრევს, როცა ვხედავ, თუ რამდენად გადაგვარდნენ და დღითიდღე უარესად როგორ უკან-უკან მიდიან თანამედროვე ბერები. იმათა ჰგონიათ, რომ სხვებმა არ იციან, რომ თავშეკავებულ ცხოვრების გარდა, ხანგრძლივი ღამისტეხა, ლოცვა და მათრახით გვემა ხორცისა ადამიანს ასუსტებს, ფერს უკარგავს და საცოდავ სახეს აძლევს. წმ. დომენიკოს და წმ. ფრანჩესკოს სამი ხელი ტანისამოსი როდი ჰქონიათ: მათი ტანისამოსი არც აბრეშუმისა იყო, არც წმინდა მაუდისა. არც ჭრელჭრული, არამედ მატყლის მსხვილი ძაფისაგან მოქსოვილი და ბუნებრივი ფერისა, რომლის ერთადერთი დანიშნულება ის იყო, რომ ვისაც ეცვა, თავი დაეფარა სიცივისაგან და არა ისა, რომ თავი მოეწონებინა. უფალსა ვთხოვ, რამე წამალი დასდოს ამ ბოროტებას, აუხილოს თვალები იმ სულელებს, თავიანთის ხარჯით მათ რომ აჭმევენ და ასუქებენ.

ძმა რინალდომ გადაწყვიტა თავისი პირველი არშიყობა განეახლებინა. თავის ნათლიდედასას ხშირად მოდიოდა და სითამამე დღითიდღე უფრო და უფრო ემატებოდა. წინანდელზე მეტის მოფერებით, მეტის დაჟინებით სცდილობდა ქალი დაეყოლიებინა. კეთილ

აგნესას, ერთის მხრით, თავისი ქმარი უკვე მოყირჭებული ჰყავდა, ხოლო მეორე მხრით, რინალდო მოსვენებას არ აძლევდა. თან რინალდო, მას აქეთ, რაც ბერად შედგა, უფრო მომწიფებულად, უფრო მიმზიდველად და უფრო დამშვიდებულად ეჩვენებოდა. ბერის ხვნეშა-მუდარამ ბოლოს ქალს გული მოულბო და უპასუხა ორაზროვან სიტყვებით, რომლებსაც ხმარობენ ხოლმე, საერთოდ ქალები, როცა ესენი თანახმანი არიან — მთხოვნელებს შეუსრულონ ხოლმე ის, რასაც მათა სთხოვენ. „როგორ, ძმაო, რინალდო, — უთხრა ქალმა, — განა ბერები ასეთ საქმეს ეწყობიან?' — „როცა ტანისამოსს გავიძრობ, — მე კი ადვილად გავიძრობ ხოლმე, — შენის თვალით დაინახავ, რომ მეც იგეთივე კაცი ვარ, როგორც ყველა სხვა". ნათლიდედა გაუბედავად ლაპარაკს განაგრძობდა. „ღმერთმა დამიფაროს, — წამოიძახა ქალმა, — შიშველი დაგინახოთ ჩემმა თვალებმა. თქვენ ხომ ჩემი ნათლია ბრძანდებით?! ყველასაგან ის გამიგონია, საშინელი ცოდვაა ნათლიასთან კავშირის დაჭერაო. და სწორედ ეს ცოდვაა, რომ ხელს მიშლის ავასრულო თქვენი სურვილი". — „თქვენც კარგი მიზეზი გიპოვნიათ უარის სათქმელად! — უპასუხა მეძავმა ბერმა, — ვინ ამბობს, ცოდვაა, მაგრამ ნუთუ არ იცით, რომ ამაზე უარეს ცოდვასაც აპატიებს ღმერთი კაცს, თუ შეინანიებს! ესეც არ იყოს, თქვენს ლხენას, ერთი ეს მითხარით, ვინ უფრო მახლობელი ნათესავია თქვენის შვილისა: მამა, რომელმაც გააჩინა, თუ მე, რომელმაც მივირქვი?" — ქალმა უპასუხა: ქმარიო. „კარგი და ეს ნათესაობა ხელს გიშლის, შენს ქმართან დაწვე?. — „რა თქმა უნდა, არა" — უპასუხა აგნესამ. — „მაშასადამე, რაკი მე თქვენს ქმარზე უფრო ნაკლებად ვენათესავები თქვენს შვცილს, შემიძლია იმგვარადვე ამოგიწვეთ გვერდით, როგორც ქმარი ამოგიწვებათ ხოლმე". ქალს საღი მსჯელობა არ ემარჯვებოდა და ცოტა ჰყოფნიდა, რომ თავის ნათქვამზე ხელი აეღო, და დაიჯერა ან, უკეთ, თავი ისე მოაჩვენა, რომ ვითომ დაიჯერა ბერის ნათქვამი. – „თქვენი ბრძნული ნალაპარაკევის საწინააღმდეგო, აბა, მე სად შემიძლია, — უთხრა ნათლიდედამ. ამის შემდეგ ქალმა ქედი მოიხარა ბერის წინაშე და საგსებით დაჰყვა მის ნებას. ცხადია, მარტო ერთხელ კი არ მომხდარა ეს დამორჩილება ქალისა. ნათლია და ნათლიდედა ამის შემდეგ არაერთხელ შეყრილან და არაერთხელ უტარებიათ ტკბილად დრო, და ყოველივე თავისუფლად შვრებოდნენ, მით უფრო, რომ ბერზე ეჭვს ვინ შეიტანდა ან ვინღა დასწამებდა ნათელ-მირონის ღალატს?!

ერთხელ ძმა რინალდო ნათლიდედის სახლში მივიდა. რომ დაინახა აქ აგნესას მოახლის, მეტად ლამაზი და სანდომიანი გოგოს მეტი არავინაარ, თავისი ამხანაგი, თან რომ მოჰყვა, მოახლესთან ერთად ჩარდახზე სამტრედეზე აგზავნა და დააბარა — „მამაო ჩვენო" ასწავლეო. თვითონ და ნათლიდედა, რომელსაც მისი ნათლული ეჭირა ხელში, მეორე ოთახში გავიდნენ, კარები ჩაკეტეს და იქ მდგარ ტახტზე ჩამოსხდნენ, ჯერ მსუბუქად ილაღობეს, მერე ძმა რინალდომ ანაფორა გაიხადა, რომ უფრო დიდ ალერსს შესდგომოდა.

ნახევარი საათი არც კი იქნებოდა გავლილი, რაც ბედნიერნი საყვარელნი ერთად დროს

აგარებდნენ, ისე მოისმა შინდაბრუნებული ქმრის ხმა: კარს არახუნებდა და ცოლს ეძახდა.

„ნათლია, დავიღუპე, — უთხრა ქალმა ბერს, — ჩემი ქმარია! აბა, რა თქმა უნდა, რომ დაგვინახავს. ეჭვიც კი არ ექნება ჩვენს კავშირზე“. ძმა რინალდო, თავშიშველი და უანაფორო, თავის მხრივ კანკალს იწყებს: „თქვენ მართალს ამბობთ: რომ იმდენი დრო მაინც მომცა, ტანისამოსის ჩაცმას მოვასწრებდე, მაშინ კიდევ მოვიბოდიშებდი რასმე, მაგრამ თუ კარი გაუღე, ქალო, და ასეთ დღეში დამინახა, მაშინ კი მშვიდობით, ვერავითარი ბოდიში გაგვივა“. — „აბა, ჩქარა ჩაიცვით“, — უთხრა ნათლიდედამ, რომელსაც რაღაც აზრმა გაურბინა უცბად თავში, — მერე ნათლული ხელში აიყვანეთ და ყური კარგად დაუგდეთ, რასაც ქმარს ვეტყვი, რომ მერე თქვენი სათქმელი ჩემს ნათქვამს მიუდგეს. აბა, ჩქარა და გაჭირვებისაგან თავის დაძვრენა ჩემი საქმე იყოს, თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ“.

ამასობაში ქმარი კარების რახუნს არ ეშვებოდა. ცოლმა გასძახა: „ახლავე, ახლავე“. მერე გაიქცა, კარი გაუღო და მოღიმარე სახით ქმარს უთხრა: „ჩემო სიცოცხლევ, ნათლიაჩვენი რინალდო ჩვენსაა; სწორედ უფალმა გამოგვიგზავნა, თორემ ის რომ არ მოგვსწრებოდა, ცეცხლი მოგვეკიდებოდა და ჩვენი ბიჭუნა უეჭველად ხელიდან გამოგვეცლებოდა“. ამ უკანასკნელ სიტყვების გაგონებაზე ქმარი ისე გახდა, რომ კინაღამ გული არ წაუვიდა. ენა მუცელში ჩაუვარდა და რის ვაივაგლახით ისღა იკითხა, თუ რა მოუვიდაო. — „რა და — განაგრძო ქალმა, — საცოდავი ბავშვი ერთბაშად ისე მიიბნიდა, რომ ვთქვი — ხელში შემომაკვდა-მეთქი . არ ვიცოდი, რა მექნა ან რა მეთქვა. ამ დროს ძმა რინალდომაც კარი შემოაღო. გასინჯა ნათლული, ხელში აიყვანა და მითხრა: ჭია ჰყოლია ბავშვს, ჩემო ნათლიდედაო, გულზე შემოსწოლია და თუ ხელად არ ვუწამლეთ, დაახრჩობს კიდეცაო. ნუ გეშინიანო, — თანაც მანუგეშა, — შევულოცავ და სანამ აქედან გავიდოდე, რაცა ჰყავს მუცელში, სულ ერთიანად დაიხოცება და თქვენი ვაჟი ისევ კარგად გახდება, როგორც დასუსტებამდე იყოო. შენი თავი მჭირდებოდა, ზოგი რამ ლოცვა უნდა მეთქმევინებინა. გოგო შენს საძებრად ვარბენინე, მაგრამ ვერსად გიპოვა. მაშინ ნათლიამ თავისი ამხანაგი ბერი სხვენში აგზავნა შენს მაგიერ ამ ლოცვების სათქმელად. აქ მე იმიტომ შემოვყევი, რომ დედისა და მამის გარდა არავის შეუძლია შელოცვის დროს დაესწროს. ოთახი შიგნიდან ჩავკეტეთ, რომ ძეხორციელი არ მოგვკარებოდა და ხელი არ შეეშალა. ახლაც ხელში უჭირავს ჩვენი თვალის სინათლე ბიჭუნა და ამბობს, რომ როცა ჩემი ამხანაგი ლოცვას მორჩება, ბავშვიც საბოლოოდ განიკურნებაო; ახლა კიდეც მოიხედა; ცოლის ნათქვამი ყველაფერი ბაჯაღლო ოქროდ მიიღო ოჩოპინტრე ქმარმა, რომელიც თავის შვილს ზედ დაჰკანკალებდა და წამოიძახა: მივიდე, ვნახოო. – „არა, ჯერ დაიცადე, თორემ ვაითუ შელოცვას ძალა დაეკარგოს; ჯერ მე შევალ და გავიგებ, შეგესვლება თუ არა და მაშინ დაგიძახებ“.

ამ ლაპარაკის ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია ძმა რინალდოს; მოასწრო ტანისამოსის ჩაცმა და ბავშვი ხელში აიყვანა. რომ დაინახა, ცოლმა ქმარი მოხერხებულად გააცურა,

ხმამაღლა დაიძახა: „ნათლიდედ, მგონი ჩემი ნათლიმამის ხმა მესმის? — „მე გახლავართ, თქვენო მაღალღირსებავ“, — უპასუხა ქმარმა. — „შემობრძანდით, გეთაყვათ“, — განაგრძო ბერმა. ქმარი მიუახლოვდა. — „აჰანდე, თქვენი ვაჟი, სრულებით განკურნებულია. რაც ამაგი დაგდევით, იმისათვის მხოლოდ ერთს რასმე გთხოვთ: ჩამოასხმევინეთ მისი ტანის ზომის ქანდაკება ცვილისა და დაუნთეთ მესერ წმინდა ამბრუოჯიოს ხატს, რომლის ლოცვითა და მეოხებითაც ღმერთმა ეს წყალობა მოგვადლათ“. ბავშვმა მამა რომ დაინახა, მაშინვე მისკენ გაექანა და თავისებურად შეჰფოფინა. მამამ ხელში აიყვანა და გულაჩვილებულმა ცრემლები გადმოჰყარა. თან ბავშვსა ჰკოცნიდა დაუსრულებლად და თანაც გულკეთილ ნათლიას მადლობასა სწირავდა ბავშვის მორჩენისათვის.

ძმა რინალდოს ამხანაგმა ამასობაში მოსამსახურეს ასწავლა არამც თუ ერთი „მამაო ჩვენო“, არამედ ოთხი სხვა ლოცვაც და თანაც აჩუქა ერთი მონაზვნის მოცემული აბრეშუმის ქისა. ქმრის ლაპარაკს ყური მოჰკრა თუ არა, ჩამოვიდა სხვენიდან და ფეხაკრეფით ისეთ ალაგას გაჩერდა, საიდანაც კარგად შეეძლო დაენახა და გაეგონა ყველაფერი, რაც ოთახში ხდებოდა. რომ დაინახა, ყველაფერმა კარგად ჩაიარაო, შემოვიდა ოთახში და თქვა: „ძმაო რინალდო, რომ დამავალეთ, ის ლოცვები ოთხივე ვსთქვი“. — „ძალიან კარგად გიქნია, ჩემო ძმაო, და აფერუმ, რომ ასეთი ფილტვები გქონია და იმდენი ლოცვის თქმა შესძელი ასე ცოტა ხანში. ნეტავი მეც მომცა ასეთი ფილტვები; ამიტომ რომ, ჩემი ნათლიმამა რომ მოვიდა, ორი ლოცვაღა მქონდა თქმული, მაგრამ , როგორც ხედავ ზეცამ ღირსგვყო და ისეთი წყალობა მოიღო ჩვენზედ, რომ ბავშვი სიკვდილს გადაარჩინა“.

მოტყუებულმა ქმარმა მაშინვე მოატანინა საუკეთესო ღვინოები და ტკბილეულობა, რაც შეეძლო, სასახელოდ გაუმასპინძლდა ორ ბერს, რომელთაც თავიანთი ძალ-ღონის აღდგენა სჭიროდათ; მერე კარებამდე გააცილა, კიდევ გადაუხადა მადლობა და გამოეთხოვა. შემდეგ დაუყოვნებლივ ჩამოაქნევინა თავისი ვაჟის სახე ცვილისაგან და წმიდა ამბრუოჯიოს ხატის წინაშე დააკიდებინა, მხოლოდ იმ ხატის წინაშე კი არა, მილანში რომ ასვენია...

ამბავი მეოთხე. ჭა

ერთ ღამეს ტოფანომ ცოლი შინ არ შემოუშვა. რაკი ხვეწნა ვერ გაუვიდა, ცოლმა თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ჭაში ჩავარდა დასახრჩობად, ის კი არა, — შიგ ქვა ჩაავდო. ტოფანო გამოვარდა და ჭისკენ გაექანა. ამასობაში ცოლი სახლში შემოვარდა, კარები შიგნიდან ჩაკეტა და ქმარი კი გარეთ დატოვა. მერე ქმარს დაუწყო ყვირილი და ლანძღვა.

მეფემ რომ დაინახა, ელიზამ თავისი ამბავი გაათავაო, დაუყოვნებლივ ლაურეტას მიუბრუნდა და თავისი სურვილი განუცხადა: აბა, ვინძლო, შენა თქვა რამეო. ლაურეტამაც

მაშინვე დაიწყო: — ჰოი, სიყვარულო, ვინ მიუხვდეს ძალსა შენსა, ან რას არ ჩააგონებ ადამიანს, ან რას არ გამოიგონებ ხოლმე! რომელი ფილოსოფოსი ან რომელი მხატვარი გამოიჩენდა ან გამოიჩენს იმ მიხვედრილობას, იმ ხერხებს, იმ ეშმაკობას, რომელსაც შენ ჩააგონებ ხოლმე უცბად იმათ, ვინც შენ ფეხდაფეხ მოგდევს! ჭეშმარიტად, ყოველი სხვა მეცნიერება, შენთან შედარებით, მეტად მძიმე და ზოზინაა, როგორც ეს ძალიან ადვილად შეიძლება კაცმა დაინახოს იმ ამბებიდან, რაც აქამდე იყო აქ ნაამბობი. ყოველივე ამას, ჩემო ძვირფასნო, მე დავსძენ ერთ ეშმაკობას, რომელსაც ერთმა უბრალო დედაკაცმა მიმართა, და ეს ეშმაკობა ისეთია, რომ არ ვიცი, სხვა ვინ ასწავლიდა ამ ქალს, თუ არ სიყვარული.

ერთხელ არეცოში ერთი მდიდარი კაცი ცხოვრობდა. ტოფანო ერქვა. ცოლად შეირთო მეტად ლამაზი ქალი, მონნა გიტა, რომელსაც, თვითონაც არ იცოდა რისთვის, ეჭვიანობა დაუწყო. ქალმა ეს რომ შეატყო, საშინლად აღშფოთდა; რამდენჯერმე ჰკითხა, შენის იჭვნეულობის მიზეზი მითხარიო, მაგრამ ქმარმა ნამდვილი მიზეზი ვერ უთხრა და რაღაცეები მიჰკიბ-მოჰკიბა. ქალმა — მე შენმა ეჭვიანობამ რა მიყოს, თუ სამაგიერო არ გადაგიხადეო და გადაწყვიტა ქმრისათვის სული ამოეხადნა იმავე სენითა, რისაც უსაბუთოდ ასე ეშინოდა. შეამჩნია, რომ ერთი, მისი აზრით, მეტად რიგიანი ყმაწვილი კაცი ეტრფოდა; ისიც ჩუმად რამდენჯერმე შეხვდა სალაპარაკოდ და ერთიმეორის სურვილის გასაზიარებლად. ყმაწვილსა და ქალს შორის საქმე ისე შორს წავიდა, რომ ისღა რჩებოდათ, სიტყვიდან საქმეზე გადასულიყვნენ.

და, აჰა, ქალი შეუდგა გზის ძებნას, თუ როგორ აესრულებინათ გულისწადილი. ქმარს სხვა ნაკლთა შორის ლოთობის ნაკლიც ჰქონდა და ცოლი არამც თუ არ უშლიდა, ამას, პირიქით ოსტატურად ხელსაც კი უწყობდა, რაც შეიძლება მეტი ესვა და ეს ჩვეულება იმდენად გაუჯდა ძვალსა და რბილში, ცდილობდა, იმდენი ესვა, სანამ არ დაათრობდა. ერთხელ ქმარი კარგად დაათრო და დააწვინა. პირველად, გაიხარა გული თავის სატრფოსთან შეყრით და მერე უშიშრად განაგრძობდა მასთან შეხვედრას და სიამტკბილობას. და იმდენად იყო დარწმუნებული, რომ ქმარი სმას გადაჰყვა და ვერაფერს გაუგებდა, და ისე გათამამდა, რომ სატრფო არამცთუ თავის სახლში მოჰყავდა, არამედ სატრფოს სახლშიაც მიდიოდა და ღამის უმეტეს ნაწილს იმასთან ატარებდა, — კარგი რომ სატრფოს სახლი მისი სახლიდან შორს იყო.

შეყვარებული ქალი ასე და ამგვარად რომ განაგრძობდა თავის საქმეს, საცოდავმა ქმარმა შემთხვევით შენიშნა, რომ ჩემი ცოლ მე კი ხელს მიწყობს ღვინის სმაში, მაგრამ თვითონ კი თავის დღეში არა სვამსო. ამან ეჭვი აღუძრა, აქ ალბათ ეშმაკობა რამ იმალებაო: ჩემი ცოლი ღვინოს იმიტომ მასმევს, რომ, როცა დამათრობს და დამაძინებს, მერე სურვილისამებრ გული გაიხაროსო. უნდოდა ცოლი გამოეცადნა, მისი ეჭვი საფუძვლიანი იყო თუ არა. ერთ საღამოს არაფერი დალია, თავი კი ისე მოაჩვენა ცოლს, ვითომ ძალიან

მთვრალი იყო: ენა ებმოდა, ფეხზე ვეღარ დგებოდა. ცოლს მართალი ეგონა და იფიქრა, მეტი ღვინის დალევინება საჭირო არ არისო და საჩქაროთ გამოვიდა, როგორც ეს არაერთხელ უქნია, და გასწია თავისი საგრფოს სახლისაკენ, სადაც შუაღამემდე დარჩა.

ტოფანომ რომ იგრძნო, ცოლი წავიდაო, წამოდგა, მივიდა კართან, შიგნიდან ჩაკეტა, მერე ფანჯრიდან გადმოეყუდა, რომ დაენახა, როდის დაბრუნდებოდა ცოლი და ეთქვა — გავიგე შენი სიმამაძაღლე ყველაფერიო; და მანამ იდგა იქ, სანამ ქალი დაბრუნდებოდა. ეს რომ დაბრუნდა და დაინახა, გარეთ დავრჩენილვარო, ძალზე მჭუნვარე შეიქმნა და რამდენჯერმე მოაწვა კარს, იქნებ ძალით გავაღოო. ტოფანომ ასე ჯერ კარგა ხანს აწვალა და მერე უთხრა: „ტყუილადა სწუხდები და იღლები, აქ შემოსვლა ვეღარ მოგართვეს. გასწი, იქავ დაბრუნდი, სადაც აქამდე ბრძანდებოდი და დარწმუნებული იყავ, რომ აქ შენს დღეში ვერ დაბრუნდები, სანამ შენი მშობლებისა და მეზობლების თანდასწრებით კარგად და ღირსეულად არ შეგამკობ“. ხვეწნა დაუწყო, თუ ღმერთი გწამს, ნუ მაწვალებ და შემომიშვი, რადგან შენ რომ გგონია, იქ სრულებით არა ვყოფილვარ. ერთ ჩემ მეზობელ ქალთან ვიყავი, დროს წასაღებად ერთად ვმუშაობდით, რადგან ღამე გრძელია, მთელს ღამეს არ შემეძლო ძილი. არც სახლში მარტო დარჩენა და მარტო მუშაობა შემეძლო. მაგრამ ცოლი ხვეწნით ვერას გახდა, რადგან ამ ოჩოპინტრემ გადაწყვიტა, რომ არეცოს მცხოვრებთ ყველას შეეტყო მათი სასირცხვილო ამბავი, იმ დროს როცა ჯერ არავინ არა იცოდა.

ქალმა რომ დაინახა, თხოვნა-ხვეწნით ვერას გავხდებიო, დაუმუქრა: თუ კარი არ გაგიღია, ისეთი საქმე დაგმართო, შენზე უბედური დედამიწაზე არავინ იყოსო. ამაზე ტოფანომ უპასუხა: „მერე, რა უნდა მიყო ისეთი?“ ქალმა, რომელსაც სიყვარულმა გაჭირვებიდან თავდასაღწევი გზები ასწავლა, უთხრა: „შენ ახლა მონდომებული ხარ საქვეყნოდ თავი მომჭრა სრულებით უდანაშაულოს, მაგრამ არავინ იქნება ისეთი, რომ არა თქვას: სიმთვრალეში დაუხრჩვია ცოლიო; და ამგვარად ან უნდა აქედან გადაიხვეწო უცხო მხარეს და ხელი აიღო შენს ქონებაზე, ანდა თავი მოსაკვეთად მიუშვირო, როგორც ჩემმა მკვლელმა, და ჩემი მკვლელი რომ შენ იქნები, ეს ცხადზე ცხადიაო“.

ქალის სიტყვებმა ტოფანოს თავისი ბრიყვული გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა. მაშინ ქალმა კიდევ უთხრა: „აი, რა გითხრა: მე ამ სირცხვილს ვერ გავუძლებ, ღმერთმა შეგინდოს! ჩემს თითისტარს აქა ვტოვებ და მერე ააღებინე“. ქალმა ეს რომ თქვა, გაემართა ჭისაკენ. მეტად ბნელი ღამე იყო, ასე რომ გზაზე ერთი-მეორის გარჩევა კაცს გაუჭირდებოდა. აიღო ჭასთან მდებარე ერთი დიდი ქვა, ერთი კი დაიძახა: „ღმერთო, შენ მიწყალეო“ და შიგ ჭაში ჩაუშვა. ქვა ჭაში რომ ჩავარდა, დიდი ხმაურობა გამოიღო. ტოფანომ ეს ხმაურობა რომ გაიგონა, იფიქრა, დავიღუპე, ჩემი ცოლი ჩავარდა ჭაშიო და მაშინვე სათლსა და თოკს დაავლო ხელი, სახლიდან გამოვარდა და ჭისაკენ გაექანა ცოლის მისაშველებლად.

ცოლი კი სახლის კარს ახლო იყო დამალული და რომ დაინახა, ტოფანო ჭისაკენ გაიქცაო, მაშინვე შევარდა სახლში, კარები შიგნიდან გადაკეტა, მერე მივიდა სარკმელთან და ქმარს გადმოსძახა: „ღვინოს წყალი მაშინ უნდა გაურიო, როცა სვამ, და მერე კი არა, შუაღამისას“. ტოფანომ ეს რომ გაიგონა, მიხვდა, მომატყუესო და კართან დაბრუნდა, მაგრამ დაკეტილი რომ დაუხვდა და შესვლა ვერ შესძლო, თხოვა დაუწყო, გამიღეო. ქალი თუ აქამდე ჩუმად ლაპარაკობდა, ახლა ხმა აიმაღლა და თითქმის ყვირილი დაუწყო:

„ჯვარი პატიოსანის მადლმა, ამაღამ სახლში არ შემოგიშვებ, შე ლოთო შენა; მეტი აღარ შემიძლია გავუძლო შენს საქციელს, ყველას უნდა ვუჩვენო, რა შვილიცა ხარ და ყველას გავაგებინო, ღამით როდისა ბრუნდები სახლში“.

გაბრაზებულმა ტოფანომ თავის მხრივ საშინლად ლანძღვა დაუწყო და ყვირილი ასტეხა. მეზობლები, ქალი და კაცი, მის ყვირილზე ლოგინიდან წამოცვივდნენ, მივარდნენ სარკმელთან და ერთიმეორეს ეკითხებოდნენ, რა ამბავიაო. ცოლმა ატირებული ხმით ყველას შესჩივლა: „რაღა რა ამბავია, თქვენი ჭირიმე! ღმერთმა ნუ იცის ამ გაოხრებულის თავი და ტანი! ღამით ღვინით გახეთქილი ბრუნდება სახლში, ან ჯერ სადმე სამიკიტნოში გამოიძინებს და მერე ასე გათენებისას მომადგება; დიდხანს ვუთმინე, მაგრამ ვერაფერი ეშველა, მეც ილაჯი გამიწყდა და გადავწყვიტე გარეთ დამეგდო, იქნება სირცხვილში ჩავარდეს და გამოსწორდეს-მეთქი“.

ჩერჩეტი ტოფანო თავის მხრივ მოუყვა ხალხს, როგორც იყო საქმე, და ცოლს ძალზე ემუქრებოდა.

ცოლმა თავის მეზობლებს ასე უთხრა: გენაცვალეთ, ხომ ხედავთ, რა კაციცაა! რა უნდა გეთქვათ, მე რომ იმის ალაგას ქუჩაში დაგენახეთ და ის კიდევ ჩემს ალაგას სახლში ყოფილიყო?!. ღმერთსა ვფიცავ, ეჭვიც არა მაქვს, რომ მისს ნათქვამს დაიჯერებდით. ახლა თქვენ თითონ იფიქრეთ, თუ თავის ჭკუაზე: ხომ გესმით, მე მაბრალებს, ვითომც მე მექნას ის, რაც თვითონ ჩაიდინა. ჭაში რაღაც ჩაავდო და ამით უნდოდა დავეშინებინე; ნეტავი რა იქნებოდა და ღმერთს ენებებინა და ჩავარდნილიყო ჭაში და დამხრჩვალიყო, ასე რომ, იმ ღვინოს, იმან რომ ასე უზომოთ ჩაცეცხლა, წყალი გაჰრეოდა“.

მეზობლები, ქალი და კაცი, მოსდგნენ და დაუწყეს ლანძღვა ტოფანოს, მთელი ბრალი იმას მოახვიეს თავზე და არცხვენდნენ, ცოლს როგორ დასწამე ასეთი რამეო. ერთის სიტყვით, ეს ამბავი ისე გახმაურდა მეზობლობაში, რომ ქალის მშობლების ყურებამდეც მიაღწია. ესენი მაშინვე აქ გაჩნდენ. მეზობლებმა უამბეს, ასე და ასე ყოფილაო. იმათაც მოჰკიდეს ხელი ტოფანოს და ისე მიჰბეგვეს, რომ ძვალი და რბილი ერთმანეთში გაუერთეს. მერე სახლში შევიდენ, მის ცოლის ბარგი-ბარხანა წამოიღეს და მასთან ერთად თავიანთსა წამოვიდნენ,

ხოლო ტოფანოს დაემუქრნენ, უარეს დღეს დაგაყენებთო.

ტოფანომ რაკი დაინახა, ცუდად გავები ხაფანგშიო, და ჩემმა ეჭვიანობამ ცუდ დღეში ჩამაგდოო, ცოლის სიყვარულმა სძლია და რამდენიმე მეგობარი დაიხმარა და იმდენი მოახერხა, რომ ცოლი მშვიდობიანად და უშფოთველად სახლში დააბრუნა და დაჰპირდა — ამიერითგან არ ვიეჭვნეულო შენზედაო; გარდა ამისა, უთხრა, რაც გენებოს, ისა ჰქენი, მხოლოდ ფრთხილად, ქალო, მაინცდამაინც მე ნუ გამაგებინებო.

და ტოფანო სწორედ ისე მოიქცა, როგორც შეეფერებოდა ტეტია გლეხს, რომელიც, აქაო და მახეში გავებიო, ცოლს შეურიგდა.

მაშ გაუმარჯოს სიყვარულს, წარწყმდენ შუღლი და ნაშობნი მისნი!..

ამბავი მეხუთე. მეალსარეგე ქმარი

ეჭვიანი ქმარი, მღვდლურად შემოსილი, თავის ცოლს აღსარებას ათქმევინებს, ხოლო ცოლი არწმუნებს — მღვდელი ვინმე მოდის ჩემთან ყოველ ღამეს და ის მიყვარსო. სანამ ეჭვიანი ქმარი საიდუმლოდ კარს უკან უდარიელებს, ცოლი საყვარელს სახლის სახურავიდან ჩამოიყვანს და მასთან დროს ატარებს.

ლაურეტამ თავისი ამბავი რომ გაათავა, ყველამ აქო ცოლი: კარგად მოქცეულა და ქმრისათვის თვალებიც დაუყენებიაო. მერე მეფე, რათა დრო არ დაეკარგა, ფიამეტას მიუბრუნდა და თავაზიანად დაავალა, ამბავი ეამბნა. იმანაც ასე დაიწყო: — კეთილშობილო მანდილოსნებო! ეს-ეს არის თქმული ამბავი მაიძულებს ერთი ეჭვიანი ქმრის ამბავი გიამბოთ და მე მგონია, ახია ქმრებზე, რასაც ცოლები უშვრებიან, განსაკუთრებით, როცა ქმრები სრულიად უსაბუთოდ იჭვნეულობენ, და კანონების შემდგენელთ ყველაფერი რომ გაეთვალისწინებინათ, ჩემის აზრით, ცოლებისათვის იგივე სასჯელი უნდა გაეჩინათ, რაც გაუჩინეს ქმრებს იმ შემთხვევაში, როცა ესენი თავის დაცვის მიზნით, სხვას ვნებას მიაყენებენ; იმიტომ, რომ ქმრები ძვირის მზრახველნი არიან თავიანთი ახალგაზრდა ცოლების სიცოცხლისა და ყოველ ღონესა ხმარობენ მათ მოსაკლავად. ცოლები მთელი კვირა შინა სხედან კარჩაკეტილნი, ზრუნავენ შინაურ და საოჯახო საქმეებისათვის, რათა მერე, სხვების მსგავსად, უქმე დღეებში, ცოტათიც არის, დაისვენონ და შეძლონ ილხინონ, როგორც ამასა შვრებიან გლეხები სოფლად, ხელოსნები — ქალაქად და თავმჯდომარენი სასამართლოებისა, როგორც ეს ქნა თვით უფალმა, რომელმაც მეშვიდე დღეს დაისვენა ყოველივე შრომისაგან, როგორც ამას თხოულობენ სასულიერო და სამოქალაქო კანონები, რომელთაც სადიდებლად ღვთისა და საყოველთაო სიკეთისათვის, სადაგი დღეები

დასვენების დღეებისაგან გამოყვეს. მაგრამ ეჭვიანები ამის თანახმანიც არ არიან, — პირიქით, ეს დღეები თუ სხვა ყველასათვის სამხიარულოა, მათი წყალობით მათი ცოლებისათვის გადაქცეულია უფრო სამწუხარო და სამგლოვიარო დღეებად, რადგან ვამ დღეებში ქმრები უმეტესად აწუხებენ და სახლიდან აღარსად უშვებენ. და თუ რამდენად და ან როგორა ტანჯავს ეს საცოდავებს, იციან მხოლოდ იმათ, ვისაც თავის თავზე განუცდია. ამიტომ მე იმ აზრისა გახლავართ, რომ იმისთვის, რასაც ქალი თავის უსაფუძვლოდ ეჭვიან ქმარს უშვრება, ასეთი ქალი დასჯის კი არა, ქებისა და დიდების ღირსია.

ერთ დროს არიმინოში ცხოვრობდა ერთი, როგორც მიწა-წყლით, ისე ფულით მეტად მდიდარი კაცი. ცოლადა ჰყავდა ახალგაზრდა და დიაღ მშვენიერი ქალი. ქმარი უზომოთ იჭვნეულობდა ცოლს. რა ჰქონდა, ნეტა, ამ ეჭვიანობის საბუთად? სრულიად არაფერი. ეს იყო მხოლოდ, რომ ცოლი გაგიჟებით უყვარდა, საშინლად მოსწონდა მისი სილამაზე და ტანადობა. ცოლიც ერთთავად იმასა სცდილობდა — ქმრისათვის მოეწონებინა თავი, მაგრამ ქმარი ფიქრობდა: ჩემი ცოლი, ალბათ, ამნაირადვე სცდილობს სხვებსაც მოაწონოს თავი, სხვებსაც ალბათ მოსიყვარულედ მიაჩნიათ და იმის მშვენიერების ქება თავის დღეში არ მოსწყინდებათო (მარტო ბოროტ კაცს შეუძლია ასეთი უმნიშვნელო რამ ხელზე დაიხვიოს).

ქმარი, ცხადია, უცნაური აზრით იყო შეპყრობილი. ისიც ცხადი იყო, რომ ასეთი აზრი შეიძლებოდა დაჰბადებოდა მცირე ან ავადმყოფი გონების ადამიანს. ეს ეჭვიანობა, ერთი წამი რა არის, მოსვენებას არ აძლევდა, ქალს სულ კუდში დასდევდა და თვალს არ აშორებდა. ასე რომ, ამ საცოდავ ქალს ქმარი უფრო მეტად ყარაულობდა, ვიდრე ბევრ სიკვდილით დასასჯელებს ყარაულობდნენ ხოლმე ციხის დარაჯები. მისთვის არც ქორწილი იყო სადმე, აღარც დღეობა, აღარც სეირნობა; ეკლესია რა არის, ეკლესიაშიაც კი მაშინღა შეეძლო წასვლა, როცა დიდი დღესასწაული რამე იქნებოდა. დანარჩენ დროს სახლში იჯდა და იქაც იმის ნება არა ჰქონდა — ქუჩაში გამოეხედა, რაც არ უნდა მომხდარიყო, სულ ერთი იყო. ერთი სიტყვით, მეტად უბედურ დღეში იყო და გულს ის უკლავდა, რომ ცამდე ალალმართალი იყო და ერთიბეწო დანაშაული არ მიუძღოდა ქმრის წინაშე.

ქალი ხედავდა, რომ მსხვერპლი იყო თავის ქმრის ეჭვიანობისა. იფიქრა, ხომ სულ ერთია, მოღალატედ მივაჩნივარ და ბარემ საბუთიანად ვიყო მოღალატეო. მაგრამ საქმე ის გახლდათ, რა უნდა ექნა ისეთი, რომ თავის შეურაცხყოფილი სახელისათვის შური ეძია. ფანჯრები სულმუდამ დაკეტილი იყო და ეჭვიანი ქმარი ძალზე ფრთხილობდა, სახლში ისეთი არავინ შესულიყო, რომ მისი ცოლი მოსწონებოდა და შეჰყვარებოდა. ცოლი ხედავდა, არჩევის საშუალება არა ჰქონდა, თანაც იცოდა, რომ მეზობელ სახლში ერთი ლამაზი და კარგად აღზრდილი ყმაწვილი კაცი ცხოვრობდა. ნატრობდა, ნეტავი ჩვენს შუა ამოყვანილ კედელში ჭუჭრუტანა რამ იყოს, რომ იქიდან ხშირად შემეძლოს ცქერა, სანამ ყმაწვილი დამინახავდეს, მოველაპარაკებოდი და გადავუშლიდი ჩემს გულს. თუ ყმაწვილმაც თანხმობა

განაცხადა, მაშინ როგორმე მოვახერხებდით ერთმანეთს უფრო ახლოდან შევხვდეთ, მეც გულიდან ცოტათი დარდს გადავიყრი, ტანჯვას შევიმსუბუქებ, სანამ ჩემი ეჭვიანი ქმარი თავის ეჭვებისაგან განთავისუფლდებოდესო.

ქმრის შინ არყოფნისას აუვლიდა და ჩაუვლიდა კედელს და ათვალიერებდა. მოულოდნელად, ერთ დაფარულ ადგილას გადააწყდა ხვრელს. დაიწყო შიგ ყურება და მეორე მხრიდან ცოტა სინათლე დაინახა. მართალია, საგნების გარჩევა უჭირდა, მაგრამ მაინც მიხვდა, ოთახისა უნდა იყოს ეს სინათლეო. თუ ეს შემთხვევით ფილიპოს (ყმაწვილი კაცის სახელია) ოთახია, — თავის გულში ამბობდა ქალი, — ჩემი განზრახული საქმე სანახევროდ გაკეთებული მექნებაო. ღმერთო, შენითა! ქალბატონმა თავისი გულის დარდი თავის მოსამსახურე გოგოს გაუმჟღავნა. გოგოს ებრალებოდა თავისი ქალბატონი და ცდილობდა ყველაფერში დახმარებოდა. ქალბატონმაც დაავალა ყველაფერი ფრთხილად გაეგო. ერთგულმა მესაიდუმლემ აღმოაჩინა, რომ ხვრელი სწორედ ყმაწვილი კაცის ოთახში გადიოდა და ამ ოთახში იმის მეტი სხვა არავინა წვებოდა.

ამ წუთიდან მოკიდებული ლამაზი ქალი ხვრელის თვალიერების მეტს არაფერს აკეთებდა, განსაკუთრებით, როცა ფილიპო ოთახში ეგულებოდა. ერთხელ ვაჟის ხველების ხმა მოესმა, მაშინვე ჯოხი შეყო ხვრელში და დაუწყო ჩიჩხვირი. ისე კარგადაც უჩიჩხვირებდა, რომ ყმაწვილი წამოდგა და მიუახლოვდა იმ ადგილს, საიდანაც ხმაურობა მოესმა, ვნახო, რა არისო. მაშინ ქალმა სულ ჩუმად დაუძახა. ფილიპომ ხმაზე იცნო ქალი და მოწიწებით უპასუხა. მაშინ ქალმა გაუმჟღავნა თავისი გრძნობები და მისდამი სიყვარული. ახალგაზრდა კაცს გული გაეღო სიხარულით ამ ბედნიერი შემთხვევის გამო და, თავის მხრივ, ისიც შეუდგა მუშაობას და ხვრელის გაფართოებას. როცა მუშაობას მორჩებოდა, სანამ კედელს მოშორდებოდა, ფრთხილად ქაღალდს აფარებდა.

სულ ცოტა ხანში ხვრელი ისე გაადიდეს, რომ შეეძლოთ ერთმანეთის კარგად ნახვა და ხელის ჩამორთმევა; მაგრამ ამაზე მეტის გაკეთება არაფერი შეეძლოთ, რადგან ეჭვიანი ქმარი ერთთავად სახლში იყო და სდარაჯობდა, ხოლო როცა ცოტახნით სადმე გავიდოდა, ცოლს სახლში ანარჩუნებდა და კარებს კიდევ გარედან ჩაკეტავდა.

მოახლოებულიყო შობა და ცოლმა ქმარს უთხრა: მინდა აღსარება ვუთხრა მღვდელს და უნდა მოვემზადო, რომ მაცხოვრის შობას ვეზიარო, როგორც ამას ყველა ქრისტიანი შვრებაო. „სააღსარებო რაღა გაქვს? — უპასუხა ქმარმა, — რა ცოდვა ჩაიდინე ისეთი? — „დამწყვდეული რომ გყევარ, იმიტომ წმინდანი ხომ არა გგონივარ, ადამიანო? მეც ხომ იმნაირადვე ვცხოვრობ, როგორც სხვები? — უთხრა ცოლმა. — მაგრამ შენ ხომ მღვდელი არა ხარ, რომ აღსარება გითხრა“!.. ამის თქმა საკმაო იყო, რომ ეჭვიან ქმარს თავი ათასგვარ ეჭვებით ავსებიყო. საშინლად მოუნდა გაეგო, ნეტავი, რა ცოდვები აწევს სულზე ჩემს ცოლსაო.

იფიქრა, თუ დავიჭირე ჩემი ცოლი, აბა, ახლა დავიჭერო და უთხრა: „კარგი, წადი აღსარების სათქმელად, მხოლოდ იმ პირობით, რომ უეჭველად ჩვენს სამლოცველოში წახვიდე და იქაურ მოძღვარს უთხრა აღსარება, ან, თუ ეს არ გინდა, იმ მღვდელთან უნდა მიხვიდე, რომელსაც მე დაგინიშნავ; ამასთან, დილით ადრე უნდა წახვიდე და მაშინვე უკან გამობრუნდე“.

ქალი ქმრის პასუხში მიუხვდა მის განზრახვას, მაგრამ არაფერი შეამჩნევინა და უთხრა: როგორც შენ იტყვი, მეც ისე მოვიქცევიო. შობა გათენდა. ინათა თუ არა, ქალი ადგა, ჩაიცვა და პირდაპირ იმ ეკლესიისაკენ გასწია, რომელიც ქმარმა დაუნიშნა და სადაც მისი ქმარი მასზე ადრე მივიდა სულ სხვა გზით. ქმარმა მღვდელს გაანდო თავისი საქმე და მასთან ითათბირა, თუ როგორ მოეყვანა სისრულეში თავის განზრახვა. მოისხა მღვდლის ანაფორა დიდ და წინ ჩამოჩაჩულ კაპიშონიანი, როგორსაც, როგორცა ვხედავთ, დღევანდელი მღვდლები აცარებენ. კაპიშონი უფრო ჩამოიფხატა სახეზე და სამგალობლოსთან დადგა. ქალი ეკლესიაში რომ შემოვიდა, მაშინვე მღვდელი მოიკითხა. მღვდელი მოვიდა, მაგრამ რომ გაიგო ქალს აღსარების თქმა უნდოდა, უთხრა: მე არ შემიძლია აღსარება გათქმევინოთ და ახლავე ერთ-ერთ ჩემს ამხანაგს გამოვიგზავნითო. მღვდელი მოშორდა ქალს და გამოუგზავნა ეჭვიანი ქმარი ამ უკანასკნელისავე საუბედუროდ.

ქმარი დიდის ამბით მოვიდა. თუმცა ჯერ კიდევ კარგად გათენებული არ იყო და იმასაც ძალიან ძირს ჩამოეწია კაპიშონი, მაინც იმდენად ვერ მოეხერხებინა თავის დამალვა, რომ ცოლს მაშინვე არ ეცნო. ქალმა ეს რომ დაინახა, თავის გულში თქვა: „დიდება შენდა, ღმერთო! ვერ უყურებთ, ეჭვიანი ქმარი რა ხელად გადაქცეულა მღვდლად! ვნახოთ, ჩვენ ორში მოტყუებული რომელი დარჩება! სიტყვას ვაძლევ, რომ რასაც ეძებს, ვაპოვნინებ; მაშინ ქალი არ ვიქნები, თუ ხელათ არ გავაცურე“!...

ქმარმა სიფრთხილისათვის პირში კენჭები ჩაიყარა — ცოლმა ხმაზე არ მიცნოსო. ქალი შეუდგა აღსარების თქმას და ჯერ უთხრა, ქმრიანი ვარო. მერე, სხვათა შორის, აღიარა:

ერთი მღვდელი შემიყვარდა და ისიც ყოველღამ მოდის და ჩემთან წვებაო. ეს სიტყვები აღსარების მთქმევინებელ ქმარს გულში ლახვარივით მოხვდა: მზად იყო, ეყვირა, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან იმედი ჰქონდა, კიდევ მეტს წამოვაყჭვინებო. „კარგი და, — უთხრა ქმარმა, — თქვენი ქმარი კი არა წვება თქვენთან“? – „როგორ „არა, მამაო, წვება“. — „თუ ქმარი წვება, იმავე დროს მღვდელი როგორღა ახერხებს თქვენთან დაწოლას?“ — „არ ვიცი, რა საშუალებასა ხმარობს, — უპასუხა აღმსარებელმა ქალმა, — მხოლოდ ეს კია, რომ ჩვენს სახლში რომელი კარიც გინდა, რაც გინდა მაგრად იყოს დაკეტილი, ხელს ახლებს, თუ არა, იმ წამსვე გაიღება. გარდა ამისა, როგორც თვითონ მითხრა, ჩემს ოთახში შემოსვლამდე ერთს შეულოცავს და ჩემს ქმარს მაშინვე დააძინებს. ქმარს რომ დაეძინება, მღვდელი მოდის

და გვერდით მომიწვება“. — „ძალიან ცუდად გინებებიათ, ქალბატონო; თუ გნებავთ, კარგად მოიქცეთ, ეს საცოდავი მღვდელი არ უნდა შემოუშვათ“. – „არა, მამაო, ტყუილია, იმაზე ხელს ვერ ავიღებ; ვგრძნობ, რომ ძალზე მიყვარს და უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია“.

— „რაკი ასეა, არ შემიძლია შეგინდოთ ცოდვანი“. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რა ვქნა, აქ იმისათვის არ მოვსულვარ, რომ ტყუილები მოგახსენოთ. ჩემი თავის იმედი რომ მქონდეს, — შემიძლია ავასრულო თქვენი დარიგება-მეთქი, მაშინ დიდი სიამოვნებითა აღგითქვამდით“. — „ჭეშმარიტად ვწუხვარ, ქალბატონო, რომ ასე წაწყმედის გზას დასდგომიხართ; თქვენს სულს ვერაფერი ეშველება, თუ ხელი არ აიღეთ მღვდელთან კავშირზე. რაიც შემეხება მე, მხოლოდ შემიძლია უფალს შევავედრო თქვენი თავი, რათა თქვენს სულს ულხინოს. ვსასოებ, რომ უფალი შეისმენს ჩემს გულმხურვალე ლოცვას. ხანდახან თქვენთან ჩემს მედავითნეს გამოვაგზავნი ამბის გასაგებად — ჩემმა ლოცვებმა თუ რამე გიშველეს. თუ ჩემმა ლოცვებმა გასჭრა, მერე კიდევ ვნახოთ და მაშინ შემეძლება შეგინდოთ კიდეცა. — „ღმერთმა დაგიფაროთ, მამაო, ვინმე სახლში გამომიგზავნოთ. თუ ჩემმა ქმარმა შეამჩნია, მაშინვე იმას იფიქრებს, ცუდი რამ უდევს გულში აქ მომსვლელსაო და მერე იმასთან აღარ მედგომება. ჯერ ისედაც დატანჯული ვარ იმის ხელში“. — „ამის ნუ გეფიქრებათ, ქალბატონო, ისე მოვაწყობ, რომ ჩემი გამოგზავნილი კაცი თქვენ თავის დღეში არ დაგელაპარაკებათ.“ — „ამ პირობით კი დიდი სიამოვნებით ყაბულსა ვარ“, — უთხრა ქალმა. აღსარების თქმას რომ მორჩა, მღვდელმა სასჯელი განუჩინა. მერე ქალი წამოდგა და წირვა მოისმინა.

ეჭვიანი ქმარი დაღვრემილი წამოვიდა სახლში და ნატრობდა — ერთი, როგორმე ერთად მოვატანო მღვდელსა და ჩემს ცოლს, რომ ორივეს ჯავრი ამოვიყაროო. ცოლიც წამოვიდა ეკლესიიდან და ქმარს სახეზე შეატყო, თუ რა ბედნიერი შობა გაუთენდა. ქმარი კი ცდილობდა, დაემალა ის, რაცა ქნა და რაც, მისი აზრით, შეიტყო. თავის გულში გადაწყვიტა, მეორე ღამეს ქუჩაში გასასვლელ კარებს უკან ამოჰფარებოდა და იქიდან ედარაჯა და გაეგო, მღვდელი მის სახლში მოვიდოდა თუ არა. „ამაღამ, — უთხრა თავის ცოლს, — სხვაგან უნდა ვივახშმო და არც დასაწოლად მოვალ შინ; შენი ჭირიმე, მაგრად ჩაკეტე კიბის კარები და განსაკუთრებით კი შენის ოთახისა. ქუჩის კარებს კი მე ჩავკეტავ და გასაღებიც მევე მექნება“. ღმერთმა ხელი მოგიმართოსო, — უპასუხა ცოლმა.

ქალმა დრო რომ იხელთა, მივიდა ხვრელთან და ნიშანი მისცა. ფილიპოც მაშინვე მოვიდა. ქალმა ამ დილის ამბავი ყველაფერი უამბო; უამბო აგრეთვე, რაც უთხრა ქმარმა ნასადილევს. „ჩემი ხათანგში გაბმა სურს, — განაგრძო ქალმა, — მაგრამ არც იგრე სულელი ვარ, გამაცუროს; არაფრისა მეშინია, ოღონდ ქუჩაში გასასვლელ კარებს ახლო იდგეს; დარწმუნებული ვარ, მთელი ღამე უდარაჯებდეს იქნება. ასე, ჩემო ძვირფასო, დაღამდება თუ არა, ეცადე სახურავზე ახვიდე და იქიდან ჩამოხვიდე ჩემს ოთახში. სხვენის ფანჯარა ღია დაგხვდება. მხოლოდ, შენი ჭირიმე, ცეცხლი არ მომიკიდო და ერთი სახურავიდან მეორე

სახურავზე გადმოსვლის დროს სადმე არ გადაიჩეხო“. — „ნუ გეშინიან, ჩემო სულისდგმავ, — უთხრა სიხარულისაგან ცათაფრენაშემდგარმა ყმაწვილმა კაცმა. — სახურავი ძალიან დაქანებული როდია, ასე რომ არაფერი დამემართება“.

რომ დაღამდა, შეიარაღებული ეჭვიანი ქმარი სარდაფის ოთახში დაიმალა. თავის მხრივ, ცოლიც კარგად გამაგრდა და მხოლოდ კიბეზე ამავალი კარი ჩაკეტა, რომ ქმარს მასთან ამოსვლა არ შესძლებოდა. მერე ფილიპოს ჩამოსაყვანად გაექანა. საყვარელი თავის ოთახში ჩამოიყვანა და ორივემ დრო მეტად მხიარულად და ტკბილად გაატარეს. მხოლოდ გარიჟრაჟისას დაშორდნენ ერთმანეთს და თანაც გული სწყდებოდათ, რომ მეტხანს არ გაგრძელდა ეს სიამოვნება.

ეჭვიანი ქმარი — ბრაზისაგან გაცოფებული, სიცივისაგან აბაბანებული და შიმშილისაგან კუჭდამწვარი, მღვდლის მოსვლას გათენებამდე სდარაჯობდა. გათენებისას, რაკი დაინახა, მღვდელი აღარ მოვიდაო, იქვე მიწვა ძაღლუმადურად. ორ-სამ საათს ასე ეძინა. მერე წამოდგა და ვითომ გარედან მოვიდაო, ქუჩისაკენ გამავალი კარები გააღო და შემოვიდა სახლში.

საღამო ხანს ქალთან ერთი ბიჭი მოვიდა. ასე უთხრა — აღსარების მთქმევინებელმა მღვდელმა გამომგზავნა და შემოგითვალათ, რომ მითხრათ, ის კაცი ხომ არ მოსულა წუხელაო? ცოლი, რა თქმა უნდა, მიხვდა ყველაფერს და უთხრა: არ მოსულა და თუ მღვდელი კიდევ რამდენიმე დღეს ასე დამეხმარება, შეიძლება სულაც გადამავიწყდეს, თუმცა ეს ჩემთვის არ იქნება სასურველიო.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ქმარი ეჭვისაგან ჯერ კიდევ დაბრმავებული, რამდენიმე ღამის განმავლობაში ისევ განაგრძობდა თვალყურის დევნებას, იქნება როგორმე დავიჭირო ჩემი ცოლის საყვარელი მღვდელიო. თქმა არ უნდა, მიხვდებით, რომ როგორც კი ქმარი სადარაჯოდ წავიდოდა, ცოლი იმწუთშივე საყვარელს დაუძახებდა და მისი ალერსითა ტკბებოდა და თანაც უხაროდა, რომ ეჭვიან ქმარს ასე ატყუებდა.

ქმარი ამდენ უნაყოფო შრომისაგან მოიქანცა, ყოველი იმედი დაეკარგა, რომ ცოლისათვის ღალატზე ხელი აეღებინებინა, თანაც ეჭვიანობა ახრჩობდა და ერთთავად აღრენილ გუნებაზე იდგა. ბოლოს გადაწყვიტა, ეკითხა ცოლისათვის, თუ რა უთხრა ამან აღსარების დროს მღვდელს, რომელიც ასე ხშირად უგზავნიდა კაცს ამბის გასაგებად. ცოლმა ცივი უარი უთხრა ამაზე. ქმარი არ მოეშვა და რომ დაინახა, გაკერპებულ ცოლს ვერაფერს ვათქმევინებო, გაალმასებულმა შეუტია: „აი, შე მოღალატევ, შე ბოზო, შენა! დაგიდგეს თვალები, ვიცი, რაც უთხარი შენი დასამიწებელი პირითა აღსარების დროს მღვდელს, მაგრამ ის მინდა უეჭველად გავიგო, ვინ არის ის სინდისზე ხელაღებული მღვდელი, ვინც ყოველგვარ

მანქანებით შენთან მოსვლას ახერხებს და ვინც ასე გიყვარს! თუ ახლავე არ გითქვამს მისი სახელი, დაგახრჩობ, იცოდე“. ქალი უარზე დადგა: მღვდელი სრულებით არა მყავს საყვარლადაო. „რას ამბობ, რასა, შე საზიზღარო შენა, შენ არ იყავი, რომ აღსარების დროს მოძღვარს უთხარი: ერთი მღვდელი მიყვარს და თითქმის ყოველღამე ამომიწვება გვერდით, როცა ქმარი დაიძინებსო?!.. უარის თქმას როგორ ბედავ, შე პირსწყალგაწყვეტილო, შენა?!.“ — მართალია, უთხრა ცოლმა, — მღვდელს შენთვის ყველაფერი უთქვამს და თანაც დაწვრილებითაც, თითქო შენც მანდ მჯდარიყავი და ყური გეგდო ჩვენის ლაპარაკისათვისაო; მხოლოდ იმასა გთხოვ, ნურც მაგრე ცხარობ და ახლავე ყველაფერს გეტყვი. განა შესაძლებელია, — განაგრძო ქალმა ღიმილით, — რომ იმისთანა ჭკვიანს კაცს, როგორიც შენა ხარ, თავის ჭკუაზე ატარებდეს ჩემისთანა უზაკველი ადამიანი? უფრო გასაკვირველი ის არის, რომ სიფრთხილე განსაკუთრებით მას აქეთ დაგაკლდა, რაც შენს გულს ეჭვიანობის ეშმაკმა დაისადგურა. და შენ რაც უფრო უჭკუო და რეგვენი ხდები, მით უფრო ნაკლებად საკვეხურია ჩემთვის შენი მოტყუება. თუ ღმერთი გწამს, ნუთუ ფიქრობ, რომ იმდენადვე ბეცი ვარ ხორციელის თვალებითა, რამდენადაც შენ სულიერის თვალებითა ხარ ბეცი? ნუ გგონია, რომ ასეთი ვარ, ამიტომ ყველაფერს მშვენივრად ვხედავ, იმდენად მშვენივრად, რომ ძალიან კარგად ვიცანი, მღვდელი შენ თვითონ ბრძანდებოდი, მაგრამ მინდოდა დამესაჯე შენი უსაფუძვლო ეჭვიანობისათვის, მაგრამ მინდოდა შენ თავად გეპოვნა, რასაც ეძებდი და ყოველივე ეს მშვენივრადაც მოვახერხე. მართლა რომ ისეთი ჭკვიანი იყო, როგორც შენა გგონია, არ მოინდომებდი ასეთი გზით გაგეგო შენის ცოლის საიდუმლოებანი, არ გაეტაცვინებოდი უსაფუძვლო ეჭვებს და მიხვდებოდი, რომ რაც ქალმა გითხრა აღსარების დროს, ყველაფერი მართალი იყო და ცოდვას არ დამწამებდი. მე შენ გითხარი: ერთი მღვდელი მიყვარს— მეთქი. კარგი და, შე კაი კაცო, იმწუთს შენ რა იყავი, თუ არა მღვდელი? მე დავძინე: კარი არ არის, რომ მის წინ არ გაიღოს, როცა ის ჩემთან დასაწოლად მოდის-მეთქი... აბა რომელი კარი დაგეკეტა, შე კაი კაცო, როცა ჩემთან მოდიოდი? ისიც დავუმატე, რომ ეს მღვდელი ყოველღამ ჩემთან წევს-მეთქი: მითხარი, როდის იყო, ჩემთან რომ არ იწექი? ხოლო როცა არ იწექი, და ვითომ დიაკვანი გამომიგზავნე, განა არ შემოგითვალე, რომ მღვდელი არ გამოჩენილა-მეთქი? ნუთუ ისე ძნელი იყო ყოველისავე ამ ეშმაკობის მიხვედრა? მარტო შენისთანა, რომელსაც ეჭვიანობით გონება სულ წაგერთვა, შეეძლო ასე მოტყუებულიყო და ვერაფერს მიხვედრილიყო! მეტი სიბრიყვიღა იქნება: მთელი ღამეები უყარაულო და განიზრახო დამარწმუნო, რომ ვახშმად სხვაგან ხარ და ღამის გათევასაც სხვაგან აპირებ?! გონება მოიკრიბე და ისეთივე გახდი, როგორიც იყავ წინათ, და თავს ნუ გაამასხარავებინებ იმათ, ვინც ჩემებრ იციან შენი ვირეშმაკობის ამბავი და ასე სასტიკად ნუღარ მიდარიელებ, როგორც ახლა შვრები. იმიტომ რომ, ღმერთს გეფიცები, შენი გაცურება რომ მინდოდეს, ორის მაგიერ ასი თვალიც რომ გქონდეს, ისეთი საშუალებით გავირთობდი თავს, რომ შენ ვერც კი მიხვდებოდი. ჰო, ჩემმა დღეგრძელობამ!

ბოროტი და ეჭვიანი ქმარი, რომელსაც ეგონა, ეშმაკობით ჩემი ცოლის საიდუმლოება გავიგეო, თვითონ გამოდგა გაცურებული და ცოლს ვერაფერი უთხრა. ზენაარს მადლობა შესწირა, თურმე ვცდებოდიო; თავისი ცოლი ჭკვიან და სათნო ქალად შერაცხა და ხელი აიღო ეჭვიანობაზე სწორედ მაშინ, როცა სწორედ ამ ეჭვიანობის საბუთი მიეცა.

ამ ლაპარაკის შემდეგ ქალი მეტად თავისუფალი შეიქნა, აღარა სჭიროდა თავისი საყვარელი სახურავიდან ჩამოეშვა საალერსოდ, როგორც ამას კატები შვრებიან ხოლმე, არამედ კარიდან შეუშვებდა ხოლმე და, რაკი სათანადო სიფრთხილით იქცეოდა, შემდეგში მასთან ბევრჯერ ტკბილად უტარებია დრო.

ამგავი მეექვსე. ორმაგი დამარცხება

მადონა იზაბელა ლეონეტოსთან დროს ატარებს. ამ დროს მოდის მისი მეორე საყვარელი, ლამბერტუჩიო, მასთანვე დროს გასატარებლად. ამასობაში ბრუნდება ქალის ქმარი; ქალმა ლამბერტუჩიოს ხელში დანა დააჭერინა და გარეთ გაისტუმრა, ხოლო მისმა ქმარმა მერე ლეონეტო შინ გააცილა.

მეტისმეტად მოეწონა ყველას ფიამეტას ნაამბობი, დაუმოწმეს — მშვენივრად მოქცეულა ცოლიო და ქმარს ისე მოპყრობია, როგორც მაგისთანა მხეცს ეკადრებაო. ამბის გათავებისას მეფემ პამპინეას უბრძანა, აბა, შემდეგი შენა თქვიო. იმანაც ასე დაიწყო: — ბევრია ისეთი, ვინც, მარტივად რომ ვთქვათ, გაიძახიან — სიყვარული ადამიანს ჭკუიდან შლისო და შეყვარებულს თითქოს ხელადა ხდისო. მაგრამ ეს მე შემცდარ აზრად მიმაჩნია და ეს კარგად დაამტკიცა აქამდე თქმულმა ამბებმა, და მეც მინდა ერთხელ კიდევ მეტად დავამტკიცო იგივე.

ჩვენს მშვენიერს, ყოველი სიკეთით სავსე ქალაქ ფლორენციაში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა, გულკეთილი და საკმაოდ ლამაზი ქალი, რომელიც ცოლად გაჰყვა ერთ გულად და ფრიად პატივცემულ რაინდს. ხშირადაა, რომ კაცს ერთნაირი საჭმელი, ბოლოს და ბოლოს, მოყირჭდება და ახლა სხვანაირი საჭმელი მოუნდება ხოლმე. ამ ქალსაც ისე დაემართა: თავის ქმარს არ დასჯერდა და ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი შეიყვარა. მის საყვარელს ლეონეტოს სანდომიანი სახე და კარგი ყოფაქცევა ჰქონდა, თუმცა მაღალი წოდების ჩამომავალი არ იყო. ყმაწვილსაც შეუყვარდა ქალი და, როგორც მოგეხსენებათ, იშვიათად მოხდება, რომ სასურველად არ დაგვირგვინდეს ის საქმე, რაც ორივე მხარეს უნდა. ამიტომ დიდი ხანი არ დასჭირვებია საყვარლების დაკავშირებას.

გაიარა ხანმა და ეს ლამაზი და სანდომიანი სახის ქალი მეტისმეტად შეუყვარდა ერთ რაინდს, ლამბერტუჩიოს. უგვანო და ტლანქი რამ კაცი ქალის გულს ახლოსაც კი არ

ეკარებოდა. ჯერ მაჭანკლებს უგზავნიდა და ნებითა სთხოვდა, უარს ნუ მეუბნებიო, მაგრამ როცა თხოვნით ვერას გახდა, როგორც გავლენიანი კაცი, დაემუქრა: თუ ჩემს ნებას არ დამყევი, იცოდე, ქვეყანაში თავს მოგჭრიო. ქალს შეეშინდა, მაგის ამბავი რომ ვიცი, არ დამინდობსო და, მეტი გზა არ ჰქონდა, დასთანხმდა მის საყვარლობას.

ქალბატონი, რომელსაც იზაბელას ეძახდნენ, როგორც ჩვენ ზაფხულობით ჩვეულებადა გვაქვს ხოლმე, წავიდა სოფლად თავის მშვენიერს მამულში დროს გასატარებლად. ამ დროს მისი ქმარიც რამდენიმე დღით სხვაგან წავიდა. ქალმა ლეონეტოს შეატყობინა მარტო ვარ და მოდიო. ყმაწვილი გახარებული ჩუმად მოვიდა. ბატონმა ლამბერტუჩიომ გაიგო, ქალის ქმარი სხვაგან წასულაო, შეჯდა ცხენზე და მარტოდმარტო გამოსწია ქალისაკენ. სასახლესთან რომ მოვიდა, ალაყაფის კარები დააკაკუნა. მოსამსახურე ქალმა რომ დაინახა მოსული კაცი, ჩუმად მივიდა ქალბატონთან, რომელიც ამ დროს ლეონეტოს ეალერსებოდა, დაუძახა და მოახსენა: ქალბატონო, ბატონი ლამბერტუჩიო ქვევითაა მარტოდმარტოო. ქალმა ეს რომ გაიგონა, სიკვდილი გაათავა; მაგრამ მეტისმეტი შიში და რიდი ჰქონდა ლამბერტუჩიოსი და ლეონეტოს უთხრა: „თავს შემოგევლე, ნუ იწყენ და როგორმე ლამბერტუჩიოს წასვლამდე ფარდის უკან დაიმალეო. ქალმა მერე მოახლეს უბრძანა, — ჩადი და ლამბერტუჩიო ეზოში შემოუშვიო. გოგომ ალაყაფის კარები რომ გაუღო, ლამბერტუჩიო ეზოში შემოვიდა, ცხენიდან ჩამოხტა, იქვე მიაბა და თვითონ კი სახლში ამოვიდა. ქალი მხიარული სახით დაუხვდა და მოიკითხა. რაინდი მოეხვია, გადაკოცნა და უთხრა: „ჩემო სულიკო, გავიგე, შენი ქმარი სხვაგან წასულა და, აი, მეც გამოვეშურე, რომ ცოტა ხანს შენთან დავრჩე“. ამ ლაპარაკის შემდეგ შევიდნენ ოთახში, კარები შიგნიდან ჩაიკეტეს და ბოლოს ლამბერტუჩიო შეუდგა ქალთან სიამტკბილობას.

საყვარელნი ლაღობდნენ; ქალს სრულებით არა ჰქონდა იმის შიში, რომ ამ დროს მისი ქმარი გამოჩნდებოდა საიდანმე. გავიხედოთ, ქმარიც დაბრუნდა. მოახლემ სასახლის ახლოს რომ დაინახა თავისი ბატონი, მაშინვე მიირბინა ქალბატონის ოთახთან და მოახსენა: „ქალბატონო, ბატონი დაბრუნდა: მე მგონი, ახლა უკვე ქვევით ეზოშიაც იქნება შემოსული“ ქალმა ეს რომ გაიგონა, ასე ეგონა, მიწამ პირი მიყო და შიგ ჩამიტანაო: ჯერ ერთი, ოთახში ორი კაცი ჰყავდა, მერე, ცხენოსანი საყვარლის დამალვა შეუძლებელი იყო, რადგან, ვთქვათ, კაცი დამალა, ეზოში მიბმულ ცხენისათვის რაღა უნდა ექნა?!.. მიუხედავად ამისა, უცბად გადმოხტა საწოლიდან, რაღაც მოისაზრა და ლამბერტუჩიოს უთხრა: „ჩემო ბატონო, თუ, ერთი ბეწოც არი, სიკეთე გინდათ ჩემთვის და გინდათ სიკვდილის პირიდან გამომგლიჯოთ, როგორც მე გითხრათ, ისე მოიქეცით. ხელში დაიჭირეთ ქარქაშიდან ამოღებული დანა, აღშფოთებული და გულმოსული კიბეზე ჩადით და თან იძახეთ: „ღმერთმანი, საცა იქნება, ჩავიგდებ ხელშიო“... და თუ ჩემმა ქმარმა გაჩერება მოგინდომათ, ანდა რამე გკითხათ, რაც გითხარით, იმაზე მეტი არაფერი უთხრათ, მოაჯექით ცხენსა და არაფრის გულისათვის

იმასთან არ გაჩერდეთ“. ბატონი ბრძანდებითო, — უთხრა ლამბერტუჩიომ, ამოიღო ქარქაშიდან დანა და სახეზე ცეცხლმოკიდებული, ზოგი დაღლილობის გამო და ზოგიც იმისთვის, რომ ქმარი ასე უდროოდ დაბრუნდა და ხელი შეუშალა, შეუდგა ქალის ნათქვამის ასრულებას.

ქალის ქმარი უკვე ეზოში შემოსულიყო და ცხენიდან ჩამოხტა. მიბმული ცხენი რომ დაინახა, ძალიან გაუკვირდა; ამ დროს დაინახა ზევიდან ჩამომავალი ლამბერტუჩიო. გააკვირვა მისმა სიტყვებმა და აღელვებულმა სახემ და ჰკითხა: „რა მოგსვლიათ, ბატონო?“ ლამბერტუჩიომ ფეხი უზანგში შეჰყო, მოახტა ცხენს და ესღა უთხრა: „ღმერთს ვფიცავ, სადმე ჩავიგდებ ხელში და იცოდეს, არ გადამირჩება“!.. ესა თქვა და მოჰქუსლა კიდეცა.

ქმარი მაღლა რომ ავიდა, კიბის თავზე თავის ცოლი დაუხვდა გულგახეთქილი და შიშისაგან მთლად აკანკალებული. ჰკითხა: „რა ამბავია, ქალო? ან ლამბერტუჩიო ვინ გააბრაზა და ვის ემუქრებოდა ასე საშინლად?“ ქალი ოთახისაკენ წამოვიდა და ლეონეტოს გასაგონად უპასუხა: „ჩემო ქმარო, ასეთი შიში ჩემს დღეში არ მიჭამია... აქ შემოირბინა ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც არ ვიცნობ. ლამბერტუჩიო დანიანად მოსდევდა. ბედად, ეს ოთახი ღია დახვდა და მთლად აკანკალებული შემევედრა:

„ქალბატონო, თუ ღმერთი გწამთ, დამიფარეთ, თორემ თქვენს წინაშე ამომხდიან სულსო“. მაშინვე წამოვდექი და უნდა მეკითხა, თუ ვინ იყო ან რა დაემართა, ისე ლამბერტუჩიოც ამოვიდა მაღლა და დაიძახა: „სად წავიდა ის მოღალატე, ისა?..“ მე კართან დავდექი და ხელი შევუშალე ოთახში შემოსულიყო. რომ დაინახა, მეწყინებოდა მისი შემოსვლა, თავდაჭერილობა იხმარა და მომერიდა. მეტი არაფერი უთქვამს და ძირს ჩავიდა, როგორც შენ თვითონ დაინახე“.

მაშინ ქმარმა ასე უთხრა: „კარგად მოქცეულხარ, ჩემო ცოლო! აქ შეფარებული კაცი რომ ვისმე მოეკლა, ჩვენთვის დიდი სირცხვილი იქნებოდა, ხოლო ბატონ ლამბერტუჩიოს ძალიან ცუდად უნებებია, რომ აქ შეფარებულ კაცს გამოსდევნებია“. მერე ახალგაზრდა კაცის სადმყოფობა ჰკითხა. ცოლმა უპასუხა: „ჩემო ბატონო, არ ვიცი, სად დაიმალა“. მაშინ რაინდმა დაუძახა ყმაწვილს: „სადა ხარ? გარეთ გამოდი, ნუ გეშინია“.

ლეონეტოს ყველაფერი ესმოდა. ძალზე შეშინებული — ოღონდაც რომ დიდი შიში ჭამა! — თავისი საფარიდან გარეთ გამოვიდა. მაშინ რაინდმა ჰკითხა: „ყმაწვილო, ისეთი რა დაუშავე ლამბერტუჩიოს?“ ყმაწვილმა უპასუხა: „ქვეყანათა ზედა არაფერი, ბატონო; მე მგონი, ის კაცი ან თავის ჭკუაზე არ უნდა იყოს ანდა სხვას მიმამსგავსა, იმიტომ რომ ამ სასახლის მახლობლად გზაზე დამინახა თუ არა, დანა იშიშვლა და შემომძახა: უნდა მოგკლა, შე მოღალატეო. მე მიზეზი არ მიკითხავს, ისე ოთხნაღებ გამოვიქეცი და აქ შემოვედი... აქ კი

ღვთისა და ამ კეთილი ქალბატონის წყალობით სიკვდილს თავი დავაღწიე". მაშინ რაინდმა უთხრა: „ახლა ნურავისი გეშინია, შენს სახლში მშვიდობით და ცოცხალს მიგაცილებ და მერე გაიგე, რა უნდოდა იმ კაცს შენგან". მერე ერთად ივახშმეს. ნავახშმევს რაინდმა ყმაწვილი ცხენზე შესვა, ფლორენციაში ჩაიყვანა და თავის სახლში დააბინავა.

ყმაწვილი, ქალის რჩევით, იმავე ღამეს მოელაპარაკა ჩუმად ბატონ ლამბერტუჩიოს და ისე შეთანხმდნენ, რომ ამ ამბის გამო მერე თუმცა ბევრს რასმე ლაპარაკობდნენ, მაგრამ რაინდს აზრადაც არ მოსვლია მიხვედრილიყო, თუ როგორ გაეხუმრა ცოლი.

ამბავი მეშვიდე. მოტყუებული, ნაცემი და მაინც კმაყოფილი ქმარი

ლოდოვიკო თავის სიყვარულს გაუმჟღავნებს მადონა ბეატრიჩეს; ცოლი ქმარს, ეგანოს, თავის ტანისამოსს ჩააცმევს და ბაღში ჩაგზავნის; თვითონ კი ამ დროს ლოდოვიკოსთან სურვილობს; ლოდოვიკო რომ წამოდგება, ბაღშივე შევა და ჯოხითა სცემს ეგანოს.

ქალბატონ იზაბელას მიხვედრილობამ, პამპინეას მიერ ნაამბობმა, ყველანი უზომოდ გააოცა. მაგრამ ფილომენამ, რომელსაც მეფემ უბრძანა ამბის მოყოლა, თქვა: — საყვარელნო, ის ამბავი, რაც ახლა უნდა გიამბოთ, თუ არა ვცდები, ამაზე ნაკლები არ იქნება და სწრაფიცაა.

ძველად პარიზში ცხოვრობდა ერთი ფლორენციელი აზნაური, რომელმაც სიღარიბის გამო ვაჭრობას მოჰკიდა ხელი და ისე კარგადაც წაუვიდა საქმე, რომ ძალიან გამდიდრდა. თავის ცოლისაგან ერთადერთი ვაჟი ჰყავდა, ლოდოვიკო. მამას არ უნდოდა შვილი ვაჭრად გამოეყვანა. იმას ეწადა, რომ შვილი თავის კეთილშობილი წინაპრების გზით წასულიყო. ამიტომ იმის მაგიერ, რომ დუქანში ჩაესვა, სხვა აზნაურებთან ერთად საფრანგეთის მეფის სამსახურში მიაბარა. აქ ლოდოვიკომ შეითვისა კარგი ზნე-ჩვეულება და ბევრი რამ სააზნო ზრდილობა.

ლოდოვიკო აქ რომ ცხოვრობდა, ისე ქრისტეს საფლავის თაყვანისსაცემად წასული ზოგიერთი რაინდი საფრანგეთში დაბრუნდა. ახლად დაბრუნებულნი მოხვდნენ ისეთ ალაგას, სადაც რამდენიმე ახალგაზრდა კაცი შეკრებილიყო, და მათ შორის, ლოდოვიკოც. ამათ ლაპარაკი ჰქონდათ გაბმული საფრანგეთისა, ინგლისისა და ქვეყნიერების სხვა ადგილების ლამაზ ქალების შესახებ. მაშინ ერთი ახლადმოსული რაინდი წამოდგა და თქვა: ბევრი ქვეყანა მომივლია, ბევრი ლამაზი ქალიც მინახავს, მაგრამ ისეთი ლამაზი, როგორიცაა ბოლონიელ ეგანო და გალუცის ცოლი ბეატრიჩე, ჩემს სიცოცხლეში არავინ მინახავსო.

ამხანაგებმა, რომლებიც მასთან ერთად ბოლონიაში ყოფილან და ბეატრიჩე უნახავთ, ერთხმად უმოწმეს ნათქვამის სიმართლე.

ამას ყური რომ მოჰკრა ლოდოვიკომ, რომელსაც ჯერ არავინ ჰყვარებია, ისე განიმსჭვალა ამ ქალის ნახვის სურვილით, რომ მხოლოდ ეს ქალი ედგა თვალწინ და სხვა რაზედმე ფიქრი არ შეეძლო. გადაწყვიტა, წასულიყო ბოლონიაში ამ ქალის სანახავად და იქვე დარჩენილიყო, თუ ქალი მართლა ისე მოეწონებოდა. მივიდა მამასთან და უთხრა: წმინდა საფლავის თაყვანსაცემად მინდა წავიდე და დამლოცეო. მამამ, ბევრის ხვეწნის შემდეგ, როგორც იყო, მისცა თანხმობა.

სახელად ანიკინო დაირქვა ლოდოვიკომ და ჩავიდა ბოლონიაში. ბედმა ხელი მოუმართა და მეორე დღესვე ერთ დღეობაში შეხვდა ნაქებ ლამაზ ქალს. გაცილებით უფრო ლამაზად ეჩვენა, ვიდრე ამას უქებდნენ. რა თქმა უნდა, გაშმაგებით შეუყვარდა და გადაწყვიტა ბოლონიიდან წაუსვლელობა, სანამ ქალის გულს არ დაეპატრონებოდა. იფიქრა, იფიქრა, რა გზას დავადგეო; ყველა სხვა საშუალება უკუაგდო და გადაწყვიტა: თუ როგორმე მოვახერხე და ქალის ქმარს, რომელსაც ბევრი ჰყავს მოსამსახურე, მეც დავუდექი მოსამსახურედ, შეიძლება საწადელს ვეწიოო. ამიტომ გაჰყიდა ცხენები, თავის მოსამსახურენი ისე დააბინავა, რომ უზრუნველყოფილიყვნენ ყოველი მხრივ და თანაც დაარიგა — არავის უთხრათ, თუ მე მიცნობთ ან ჩემთან მსახურობდითო. თანაც თავის სასტუმროს პატრონს დაუახლოვდა და უთხრა: სიამოვნებით დავუდგებოდი მოსამსახურედ ვისმე კარგს ბატონს რომ ვიპოვნიდეო. სასტუმროს პატრონმა უპასუხა: „აქ ერთი აზნაურია, სახელად ეგანო ჰქვია. შენ სწორედ ამის მსახურად გამოდგებოდი. უშენოდაც ბევრი ჰყავს მოსამსახურე, მაგრამ შენისთანა სახისა და წამოსადეგობის ყმაწვილებს ეძებს. წავალ და მოველაპარაკები, აბა, რას მეტყვის:. როგორც თქვა, ისეც მოიქცა. სანამ ეგანოს გამოეთხოვებოდა, ანიკინო უკვე მოაწყო მასთან, რამაც ძალზე გაახარა ანიკინო.

ამგვარად, დაუდგა ეგანოს. თავის ქალბატონს ხშირად ხედავდა და თანაც ისე კარგად და ისე ტკბილად ემსახურებოდა, რომ ეგანოს ძალზე შეუყვარდა და უიმისოდ არაფერს აკეთებდა. და არამც თუ პირადად თავისთავისა, არამედ ყველა თავისი საქმის მოვლა— პატრონობა ანიკინოს მიანდო.

ერთხელ ეგანო ფრინველებზე სანადიროდ წავიდა, ხოლო ანიკინო შინ დარჩა. ქალბატონი ბეატრიჩე ჯერ კი ვერ ამჩნევდა მისდამი ანიკინოს სიყვარულს, თუმცა არაერთხელ დაჰკვირვებია მასა და მის ქცევას, მოსწონდა მისი თავი, უქებდა საქციელს. უთხრა, ჭადრაკი ვითამაშოთო. ანიკინო ცდილობდა ეამებინა ქალბატონისათვის, ამიტომ სულ აგებდა, მაგრამ ამას ისე მარჯვედ და მოხერხებულად შვრებოდა, რომ ქალი აღტაცებული იყო. როცა მათი თამაშის მაყურებელი მოახლენი ყველანი გავიდნენ ოთახიდან და ანიკინო

და ბეატრიჩე მარტოკა დასტოვეს, ანიკინომ ისე ამოიხვნეშა. რომ კინაღამ გულიც თან ამოაყოლა. ქალმა შეხედა და ჰკითხა; „რა დაგემართა, ანიკინო? ხომ არა გწყინს, რომ გიგებ?“ — „ქალბატონო, — უპასუხა ანიკინომ, — ამაზე გაცილებით დიდია ის მიზეზი, რამაც ამომახვნეშინა“. —“მითხარი, თუ გიყვარდეო“, — შეეხვეწა მას ის ქალი, რომელიც ქვეყანაზე ყველაზე მეტად უყვარდა. ახლა პირველზე უფრო ძლიერად ამოიხვნეშა, ამიტომ ქალმა ხელახლა სთხოვა: უნდა მითხრა, რა იყო მიზეზი შენი ამოხვნეშისაო. ამაზე ანიკინომ უპასუხა: „ქალბატონო, მეშინია, რომ გითხრათ; ვაითუ, გეწყინოთ; გარდა ამისა, იმისიც მეშინია, იქნება სხვა ვისმესაც უთხრათ ჩემი ნათქვამი“. ამაზე ქალმა უპასუხა: „გარწმუნებ, არ მეწყინება და, გარდა ამისა, არხეინად იყავ. რასაც მეტყვი, თუ შენი ნება არ იქნება, ისე არავის გავაგებინებ“. მაშინ ანიკინომ უპასუხა: „რაკი ასე მპირდებით, მოგახსენებთ“. და თითქმის თვალცრემლიანმა მოუყვა, თუ ვინ იყო, ან რა ჰქონდა გაგონილი მის შესახებ, სად და როდის ჩაესახა გულში მისი სიყვარული, ან კიდევ რად დაუდგა მოსამსახურედ მის ქმარს. მერე უმორჩილესი თხოვნით მიმართა: „თუ შეიძლებოდეს, შემიბრალეთ და ჩემი საიდუმლო და გულითადი ნატვრა ამისრულეთო; ხოლო თუ ეს არ გნებავთ, იმის ნება მაინც მიბოძეთ, რომ დავრჩე ისე, როგორც აქამდე ვიყავი, და თქვენი სიყვარული გულში ვატარო“.

ჰოი, სასწაულებრივო სიტკბოებავ ბოლონიის სისხლისავ! ასეთ შემთხვევაში შენ მარადის საოიდებელ იყავ! თავის დღეში არ გყვარებია ცრემლები და ოხვრანი; ყოველთვის აგისრულებია თხოვნა და მზად იყავ საყვარლის სურვილი დაგეკმაყოფილებინა. მე რომ შემეძლოს შენი შექება ღირსეულად, ჩემი ხმა თავის დღეში არ დაშვრებოდა...

სანამ ანიკინო ლაპარაკობდა, ლამაზი ქალი თვალებში უყურებდა. ირწმუნა მისი ნათქვამი და ისე ღრმადაც ჩაეჭრა გულში სიყვარული, რომელსაც ყმანვილი სთხოვდა, რომ დაიწყო ოხვრა და სულთქმა და რამდენჯერმე ამოოხვრის შემდეგ უპასუხა: „ანიკინო, ჩემო ტკბილო, ფიქრი ნუ გაქვს: არც საჩუქარს, არც აღთქმას, არც არშიყობას აზნაურისა ანდა დიდკაცისას და არც სხვა ვისიმე (იმიტომ, რომ მე ბევრნი მეარშიყებოდნენ და დღესაც მეარშიყებიან) თავის დღეში არ აუტოკებია ჩემი გული იმდენად, რომ ვინმე შემყვარებოდეს: შენ კი სულ მოკლე ხნის განმავლობაში ისე მომტაცე გული, რომ მე შენ უფრო გეკუთვნი, ვიდრე ჩემს საკუთარ თავს. უნდა გამოგიტყდე, რომ შენ საუცხოოდ დაიმსახურე ჩემი სიყვარული. ამიტომ მეც განიჭებ ამ სიყვარულს და პირობასაც გაძლევ, რომ ამაღამვე დაგატკბობ ჩემი ალერსით. და თუ გინდა, რომ ეს მოხდეს, შუაღამის ხანს ჩემს ოთახს მოადექი: კარს ღიას დავაგდებ. შენ იცი, საწოლის რომელ მხარეზე ვიწვები; შემოიხედე და გინდაც მძინარე დამინახო, იმდენი მანჯღრიე, სანამ გამოვიღვიძებდე და მოგანიჭებ იმას, რაც ამდენ ხანს ასე გენატრებოდა. და იმის დასამტკიცებლად, რომ მართალს გეუბნები და რომ უნდა ენდო ჩემს ნათქვამს, წინდაწინ ბედ გაკოცებ“. ეს უთხრა და მოჰხვია კისერზე ხელი და მხურვალედ აკოცა. ხოლო თავის მხრივ ანიკინომაც აკოცა.

ამ ლაპარაკის შემდეგ ანიკინო მოშორდა ქალს, ზოგიერთი საქმე მოისაქმა და სულწასულად დაუწყო ლოდინი დაღამებას. ეგანო ნადირობიდან დაბრუნდა და ივახშმა თუ არა, რადგან ძალზე დაღლილი იყო, დასაძინებლად დაწვა. ხოლო ცოლმა პირობისამებრ, ოთახის კარი ღია დატოვა. დანიშნულ დროს მოვიდა ანიკინო, ნელა შევიდა ოთახში და კარი შიგნიდან მოიხურა. მერე მივიდა იმ ადგილას, სადაც ქალს ეძინა, ხელი გულზე დაადო და ქალი მღვიძარე დაუხვდა. ქალმა რომ იგრძნო, ანიკინო მოვიდაო, თავისი ორივე ხელით ხელი მაგრად დაუჭირა და ლოგინში იმდენი იტოკა, რომ მძინარე ეგანო გამოაღვიძა. ქალმა უთხრა: „გუშინღამ დაღლილი იყავი და ამიტომ არც არაფერი გითხარი, მაგრამ ახლა კი, თუ ღმერთი გწამს, მითხარი, ეგანო, შენს მოსამსახურეებში ვინ მიგაჩნია საუკეთესოდ და ყველაზე მეტად სანდოდ და ერთგულად, და ვინც გყავს, იმ მოსამსახურეთა შორის ვინ უფრო გიყვარს?.. ეგანომ უპასუხა: „რათა მკითხავ, ქალო. ამას? განა არ იცი, ვინც არის ასეთი?. მე არცა მყავს და არც ოდესმე მყოლია ისეთი, რომელიც ისე მყვარებოდეს და იმისი ისეთი ნდობა მქონოდეს, რამდენადაც ვენდობი და მიყვარს ანიკინო. მაგრამ, ნეტავი ვიცოდე, რათა მკითხავ ამას?“ ანიკინომ რომ გაიგო, ეგანოს გაეღვიძა და ლაპარაკი დაიწყო, რამდენჯერმე მოსწია ხელს, რომ იქაურობას გასცლოდა, შეეშინდა — ალბათ, ქალს ჩემი მოტყუება და ხაფანგში გაბმა განუზრახავსო. მაგრამ ქალს ისე მაგრად ჰქონდა ჩაბღუჯული მისი ხელი, რომ ხელის განთავისუფლება და წასვლა ვერ შეძლო. ქალმა ეგანოს უპასუხა: „გეტყვი, რისთვისაც გკითხე: მეცა მჯეროდა, რომ შენ მართალს ამბობდი და ის ყმაწვილი შენი ყველაზე ერთგული იყო, მაგრამ ვხედავ, რომ ვტყუვდებოდი, რადგან დღეს შენ რომ სანადიროდ წახვედი, ის აქ დარჩა, დრო იხელთა და უსირცხვილოდ თავი მთხოვა; და მეც რომ დიდად არ დამჭირებოდა ამის დამტკიცება შენთვის და რომ შენი საკუთარი თვალით გენახა ყველაფერი, ვუპასუხე, ვითომ ძალიან გამეხარდა, რაც მითხრა და დავპირდი: ამაღამ, შუაღამე რომ გადავა, ჩვენს ბაღში ჩავალ და ფიჭვის ქვეშ მოგელოდები-მეთქი. ახლა დანიშნულ ალაგას, რა თქმა უნდა, არ მინდა წავიდე; ხოლო თუ შენ გინდა შენი მოსამსახურის ერთგულება გაიგო, სულ თავისუფლად შეგიძლია ჩემი კაბა ჩაიცვა, თავზედაც მანდილი მოიხვიო, ჩახვიდე ძირს და დაუცადო, მოვა თუ არა; მე კი მგონია, უეჭველად მოვა“.

ეგანომ ეს რომ მოისმინა, წამოიძახა: „უეჭველად უნდა წავიდე და ვნახო“. წამოდგა და ბნელში ფათურით ჩაიცვა ცოლის კაბა, ხოლო თავზე მანდილი მოიხვია და გასწია ბაღში. იქ ერთი ფიჭვის ძირას ანიკინოს ლოდინი დაუწყო. ქალმა რომ იგრძნო, ქმარი ადგა და გავიდა ოთახიდანო, თვითონაც ადგა და კარი შიგნიდან გასაღებით ჩაკეტა. ანიკინოს ასე თავის სიცოცხლეში არ შეშინებია — ვინ იცის, როგორა სცდილობდა ქალს ხელიდან გამოსცლოდა. სწყევლიდა თავის თავს, სწყევლიდა ქალს, რომელსაც მიენდო. მაგრამ როცა დაინახა, ქალის მხრივ ეს ყველაფერი მხოლოდ ოინები იყო და მეტი არაფერი, თქვა გულში — ჩემისთანა ბედნიერი მთელს დედამიწაზე ძეხორციელი არავინაა. როცა ქალი ლოგინს დაუბრუნდა, მისი სურვილის თანახმად მისებრ ტანთ გაიხადა და ერთად სულ კარგა ხანს სტკბებოდნენ

სიამოვნებითა და ალერსით.

მერე ქალმა სთხოვა: ახლა კი აქ შენი მეგხანს გაჩერება არ შეიძლებოდა, ააყენა და ტანისამოსი ჩააცმევინა. მერე უთხრა: „ჩემო ყველავ, აიღე კარგი კომბალი და ჩადი ბაღში. თავი ისე მოაჩვენე, ვითომ მე დაბარებული გყავდი გამოსაცდელად და იქ მყოფი ეგანო ვითომ მე ვარ, აგინე ბევრი და მერე იმდენი ურტყი კომბალი, რომ ვერც კი დათვალოს. იცოდე, ამას ის მოჰყვება, რომ მერე თავისუფლად შეგვეძლება ვისიამტკბილოთ, ქმარს თვალთ ნაცარი ვაყაროთ და ჩვენ ერთმანეთის სიახლოვით გავიხაროთ“.

ანიკინო ადგა, ხელში კომბალი დაიჭირა და ბაღისაკენ გაემართა. ეგანომ რომ დაინახა მისკენ მომავალი ანიკინო, ადგა და ვითომ აღტაცებული უნდა მიჰგებებოდა, მის შესახვედრად წაიწია. ამაზე ანიკინომ უთხრა: „ახ, შე საზიზღარო, შენა!... მაშ მოხვედი? ნუთუ გეგონა, რომ მე ოდესმე გულში გავივლებდი ჩემის ბატონის ღალატს?!. ან იქნება გგონია, ახლა მინდა ვუღალატო? შეგარცხვინა ღმერთმა აქ მობრძანებისათვის!“ ეს რომ უთხრა, ამართა კომბალი და დაურთო და დაურთო. ეგანომ ეს რომ გაიგონა და ჯოხიც მოხვდა, ხმის ამოუღებლად მოუსვა. უკან კიდევ ანიკინო დაედევნა და მისძახოდა:

„დაიღუპე, დაიღუპე, შე შეჩვენებულო, შე შუბლმორეცხილო! ერთი გათენდეს, თუ ეგანოს ყველაფერი არ ვუთხრა შენი კაიქალობის ამბავი...“

ეგანოს ბევრი მოხვდა. მაგრამ, როგორც იყო, გამოიქცა და საჩქაროდ ოთახში შევიდა. ცოლმა მაშინვე ისა ჰკითხა: ანიკინო ხომ მოვიდა ბაღშიო? — „ნეტავი, მისი სიცოცხლით, სულაც არ მოსულიყო, იმიტომ, რომ მე რომ დამინახა, შენ ვეგონე და ჯერ მომდგა და ჯოხით უწყალოდ მირტყა, მერე გამლანძღა და გამათრია, ისეთი სიტყვები მკადრა, რომ სულ უკანასკნელ ქალსაც კი არ აკადრებდნენ. მე, სწორედ გითხრა, საშინლად გამიკვირდა, რომ ჩემს შესარცხვენად შენთვის ასეთი რამეები უთქვამს; მაგრამ მხიარული და მოხუმარე რომ დაგინახა, ალბათ შენი გამოცდა მოინდომა“. მაშინ ცოლმა უთხრა:

„კიდევ დიდება უფალს, რომ იმან მე სიტყვიერად გამომცადა და შენ კი — საქმით. მე მგონია, თამამად შეუძლია თქვას, რომ მე უფრო მეტი მოთმინებით შემიძლია გავუძლო სიტყვებს, ვიდრე შენ თვით საქმეს. მაგრამ რაკი ამდენი ერთგულება გამოიჩინა შენდამი, უნდა სამაგიეროდ პატივი სცე და შეიყვარო“. ეგანომ უპასუხა: „ოღონდაც, რომ მართალს ამბობ“.

და ეს გაუხდა საბაბად ეგანოს, რომ ეფიქრა — ჩემისთანა ერთგული ცოლი და მისანდობი მოსამსახურე არც ერთ აზნაურს არ ჰყოლიაო.

შემდეგ ეგანო, მისი ცოლი და ანიკინო იგონებდნენ ამ ამბავს და ხშირად იცინოდნენ. მაგრამ ანიკინოს და ბეატრიჩეს სრულებით თავისუფლად შეეძლოთ გული ეჯერებინათ

სიამოვნებით და ერთმანეთის ალერსით მანამდე, სანამ ანიკინოს ბოლონიაში ყოფნა მოსწყინდებოდა.

ამბავი მერვე. გამართულებული ცოლი

ქმარი ცოლის გამო ეჭვიანობს; ცოლი ფეხის თითზე კანაფს იბამდა და ამით საყვარელს აცყობინებდა, როდის შეეძლო მასთან მოსვლა. ქმარი მიუხვდა და საყვარელს გამოუდგა. ამასობაში ქალმა თავის მაგიერ ლოგინში სხვა ქალი ჩააწვინა, რომელსაც მოღალატე ქალის ქმარი სცემს, თმას დააჭრის და მერე თავის ცოლისძმებთან წავა საჩივლელად. ცოლისძმები რომ დაინახავენ — სიძე ტყუისო, თავს გამოიდებენ და ძალიან გამოლანძღავენ.

ყველას უზომო ცბიერად ეჩვენა მადონა ბეატრიჩე, რომელმაც ასე გააპამპულა თავისი ქმარი. თან ყველანი გაიძახოდნენ: „საწყალი ანიკინო, ვინ იცის, რარიგ შეეშინდა, როცა ქალი არ უშვებდა და ამავე დროს ქმარს მოუთხრობდა მის შესახებ“. მაგრამ მერე მეფემ რომ დაინახა, ფილომენა დაჩუმდაო, მიუბრუნდა ნეიფილეს და უბრძანა: ახლა თქვენა თქვით, და აბა, კარგისაო. ნეიფილემ ჯერ ცოტათი გაიღიმა, გაინაზა და მერე დაიწყო: — ლამაზნო, დიდი ტვირთია ჩემთვის რამე კარგი ამბავი გიამბოთ და იმგვარადვე გაამოთ, როგორც გაამეს სხვებმა ჩემზე წინ ამბების თქმითა; მაგრამ ღვთის შეწევნით, იმედი მაქვს პირნათლად მოვიხადო ჩემი ვალი.

ფლორენციაში ცხოვრობდა ერთი ძალიან მდიდარი ვაჭარი — არიგუჩიო ბერლინგიერი. მისდა საუბედუროდ, გაბრიყვდა ისე, როგორც ამჟამად ყოველდღე შვრებიან ვაჭრები და მოინდომა თავისი სისხლი გაეკეთილშობილებინა კეთილშობილი ქალის შერთვით. და აჰა, ცოლად შეირთო ერთი, სრულიად მისთვის შეუფერებელი, ახალგაზრდა და ლამაზი ქალი სისმონდა. როგორც მოგეხსენებათ, ვაჭრები საერთოდ სულ იქით-აქეთ დადიან თავიანთი საქმეების გამო. სისმონდას ქმარიც ასე შვრებოდა და ცოლთან სულ ცოტახანსა რჩებოდა, ამიტომ ცოლმა ერთი ჭაბუკი შეიყვარა, რუბერტო, რომელიც სისმონდას დიდი ხნიდანვე ეარშიყებოდა. როცა ქალმა კავშირი დაიჭირა ვაჟთან, ამ კავშირით ისე გაუფრთხილებლად სარგებლობდა, რომ არიგუჩიოს ყურამდეც მიაღწია რაღაც ამბავმა. ასე იყო, თუ ისე, ქმარი საშინელი ეჭვიანი გახდა, დაანება თავი იქით-აქეთ სიარულსა და ყველა თავის საქმეს, და მთელ თავის დროსა და მოცალეობას ცოლზე თვალყურის დაჭერას ანდომებდა; ლოგინში ჯერ ცოლი უნდა ჩაწოლილიყო და მერე ქმარი. ამიტომ ქალი საშინლად დაღონდა, რადგან თავის რუბერტოს ნახვა აღარ შეეძლო.

ბევრი იფიქრა ქალმა, ბევრი თავი იმტვრია, რომ გამოენახა რაიმე საშუალება რუბერტოს ნახვისა და მასთან შეყრისა, მით უფრო რომ ყმაწვილი საშინლადა სთხოვდა

ამას. ბოლოს, აი, რა გზას დაადგა. მისი ოთახი ქუჩას გასცქეროდა, და რადგან ქალმა იცოდა, რომ მისი ქმარი ძნელად იძინებდა, მაგრამ რაკი ერთი დაიძინებდა, მერე გულის ძილით ეძინა, აი, რა მოიფიქრა: რუბერტო შუაღამის ხანს სახლის კართან უნდა მისულიყო, ქალი მივიდოდა და კარს გაუღებდა, მერე ერთხანს იმასთან დროს გაატარებდა, სანამ ქმარი ძილში იქნებოდა. ხოლო იმისთვის, რომ თვითონ გაეგონა მოსვლა, ისე რომ სხვას არავის გაეგო, იფიქრა: თავისი ოთახის ფანჯრიდან კანაფი გადაეშვა, ამ კანაფის ერთი წვერი მიწამდე დაეშვებოდა, მეორე წვერი კი იატაკ-იატაკ უკან უნდა წამოეღო და მოეტანა თავის საწოლთან, სადაც ზეწარს ქვეშ დამალავდა და როცა ლოგინში ჩაწვებოდა, ფეხის ცერზე მოიბამდა. თავისი განზრახვა რუბერტოს შეატყობინა და დაარიგა: „სახლში რომ მოხვალ, კანაფს მოსწევ, და მე, თუ ქმარს ამ დროს ეძინება, კანაფს მივუშვებ და განიშნებ, რომ კარის გასაღებად მოვდივარ; ხოლო თუ ქმარს ეღვიძება, კანაფს მაგრათ ჩემსკენ მოვწევ, და შენც გაიგებ, რომ არ უნდა მიცადო“. ეს გეგმა რუბერტოს მოეწონა და ხშირად მოდიოდა, მაგრამ ქალთან ზოგჯერ უხდებოდა დარჩენა და ზოგჯერ არა.

სისმონდა და რუბერტო ერთხანს ასე განაგრძობდნენ თავიანთ ეშმაკობას. ერთ ღამეს ცოლთან მწოლიარე არიგუჩიომ ფეხები რომ გამართა, ცალი ფეხი კანაფს მოედო. მერე ხელით ფათური დაიწყო და დაინახა, რომ კანაფის წვერი ცოლის ფეხის თითზე იყო მობმული. მაშინვე თავის გულში თქვა: აქ უეჭველად რამე ეშმაკობაა. როცა დააკვირდა და დაინახა, რომ კანაფი გარეთ გამოდიოდა და ფანჯრიდან ძირს ეშვებოდა, მაშინ უფრო დარწმუნდა, რომ საქმე ცუდად იყო. ამიტომ კანაფი ცოლის ფეხის თითს მოაჭრა, თვითონ გამოიბა თითზე და დაუწყო ლოდინი, აბა რა მოჰყვება ამასაო.

დიდი ხანი არ გასულა, ისე, რუბერტოც მოვიდა და ჩვეულებრივ მოსწია კანაფი. არიგუჩიომ გაიგო, მაგრამ რაკი კარგად ვერ მოება და რუბერტომაც მაგრად ჩამოსწია, — კანაფი ხელში შერჩა; მიხვდა, უნდა დავუცადოო და ასეც მოიქცა. არიგუჩიო საჩქაროდ წამოდგა, აიღო ხელში იარაღი, გაექანა გასავალი კარებისაკენ, რომ გაეგო, ვინ იყო მოსული და ისე მოქცეოდა, როგორც ეკადრებოდა. არიგუჩიო, თუმცა ვაჭარი იყო, მაგრამ ღონე და სიცხარე შესწევდა. მივიდა კართან და რაკი ისე ნელა არ გააღო, როგორც მისი ცოლი აღებდა ხოლმე, იქ მომლოდინე რუბერტომ ეს რომ გაიგონა, მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო, ე. ი. თვით არიგუჩიო ჩამოსულა კარის გასაღებადო და საჩქაროდ მოუსვა. ხოლო არიგუჩიო უკან დაედევნა. რუბერტომ კარგა ძალი მანძილი გაირბინა, მაგრამ არიგუჩიო არ ეშვებოდა და სულ კვალდაკვალ მისდევდა. რაკი რუბერტოსაც ჰქონდა იარაღი, გაჩერდა, ამოიღო სატევარი და ეკვეთნენ ერთმანეთსა: ერთი უტევდა, ხოლო მეორე იგერიებდა.

არიგუჩიომ ოთახის კარი რომ გააღო, ცოლს გამოეღვიძა. რომ დაინახა, თითიდან კანაფი მოჭრილი იყო, მიხვდა, ჩემი ეშმაკობა ალბათ გამომჟღავნებულაო. თანაც იფიქრა, არიგუჩიო ალბათ რუბერტოს გამოუდგაო, და ამიტომ მაშინვე წამოდგა, გაითვალისწინა, თუ

რა უნდა მოჰყოლოდა ყოველივე ამას და თავის მოახლეს დაუძახა, რომელმაც მისი ამბავი ყველაფერი იცოდა. დააჯერა და თავის მაგივრად ლოგინში ჩააწვინა და სთხოვა: შენი ჭირიმე, არ გაამხილო, ვინცა ხარ და, არიგუჩიომ რაც უნდა გცემოს, მოითმინე. სამაგიეროდ ისე დაგასაჩუქრო, რომ შენი დღენი ჩემი მადლობელი იქნეო. ეს რო ჰქნა, გააქრო სანთელი, ოთახში რომ ენთო. აქედან გავიდა და დაიმალა სახლის ერთ-ერთ კუთხეში. თანაც ელოდებოდა, აბა რა მოხდებაო.

არიგუჩიოსა და რუბერტოს ჩხუბის დროს ატეხილ ხმაურობაზე ამ ქუჩის მეზობლად მცხოვრებთ გამოეღვიძათ, გამოცვივდნენ და ლანძღვა დაუწყეს. არიგუჩიოს შეეშინდა, ვაითუ მიცნონო. ის კი ვერ გაიგო, თუ ვინ იყო ახალგაზრდა კაცი, და ვერც რამე დააკლო, ისე თავი დაანება, და გულმოსული და ცეცხლმოკიდებული შინ დაბრუნდა. პირდაპირ ოთახში შევარდა და დაიწყო ყვირილი: „სადა ხარ, შე მოღალატე, შენა? სანთელი იმიტომ ჩააქრე, რომ ვერ გიპოვნო განა? მაგრამ სცდები“. მივიდა საწოლთან, ეგონა, შიგ ცოლი წევსო, დაავლო ხელი მოახლეს, ხელით თუ ფეხით დაუწყო ცემა და იმდენი მჯიღი მოახვედრა, რომ სახე სულ ერთიანად დაულურჯა; ბოლოს თმა შიგ ძირში შეაჭრა, თანაც ისეთი უწმაწური სიტყვებით შეამკო, რომ სულ უკანასკნელ მეძავ ქალსაც კი არ აკადრებდა კაცი. მოსამსახურე საშინლადა სტიროდა, როცა არიგუჩიო უწყალოდა სცემდა. ხანდახან ვერ მოითმენდა და წამოიძახებდა: „ვაიმე, დედავ, მოვკვდი... მეყოფა, მეყოფა“; ტირილში, რა თქმა უნდა, ხმის გამოცნობა არ შეიძლებოდა, ან კიდევ სიბრაზისაგან გამხეცებული არიგუჩიო რაღას წარმოიდგენდა, რომ ეს ხმა სხვა ქალისა იქნებოდა და არა მისი ცოლისა!.. როცა ცემით გული იჯერა და, როგორცა ვთქვით, თმებიც დააჭრა, უთხრა:

„ბოზო დიაცო, ჯერ მეტს არაფერს გიზამ, მხოლოდ აქედან შენს ძმებთან წავალ და შენს კაიქალობას ვეტყვი. მერე აქ მოვიყვან, თვითონ დასდონ მსჯავრი თავიანთ შემრცხვენელ და ლაფის დამსხმელ დას და თავიანთსა წაგიყვანონ; ეს კი ვიცი, რომ ჩემი სახლიდან ფეხი უნდა ამოიკვეთო“. ეს რომ უთხრა, გავიდა ოთახიდან, კარები გარედან ჩაკეტა და გზას დაადგა.

სისმონდას ყველაფერი ესმოდა. ქმრის გასვლა რომ მოესმა, გააღო ოთახი და სანთელს მოუკიდა. მისი მსახური, ცემით დალურჯებული, საშინლად ტიროდა. ეცადა, დაემშვიდებინა და მომვლელი მიუჩინა, თანაც თვითონ არიგუჩიოს ჯიბიდან მისცა საჩუქარი, ასე რომ ქალი კმაყოფილი იყო. მოახლე მის ოთახში მოათავსა თუ არა, საჩქაროდ თავისი ლოგინი გაისწორა, ყველაფერი ისე მიალაგ-მოალაგა, რომ ვერ იტყოდით, თუ იმ ღამეს იქ ვისმე ეძინაო. მერე ისევ მოუკიდა ბჟუტას, ტანთ ჩაიცვა და მოირთო, თითქო ჯერ არც კი დაწოლილაო; მოუკიდა ლამპას, ხელში დაიჭირა თავისი საცვლები, დაჯდა კიბის თავზე და დაიწყო კერვა და ლოდინი, აბა რა მოხდებაო.

თავის სახლიდან გამოსული არიგუჩიო საჩქაროდ მივიდა ცოლისძმებთან და კარები იმდენი აბრახუნა, რომ, როგორც იქნა, გააგებინა და გაუღეს კარი. ქალის ძმებმა, — ისინი კი სამნი იყვნენ — და დედამ რომ გაიგეს, არიგუჩიო არისო, ლოგინიდან წამოცვივდნენ, სანთელს მოუკიდეს და გამოეგებნენ. ჰკითხეს: ასე გვიან რამ მოგიყვანაო? არიგუჩიო მოუყვა კანაფის ამბავს, თავის ცოლის ფეხის ცერზე მობმული რომ დაინახა, კაცს რომ გამოეკიდა და რაც სახლში დღე დააყენა ცოლს. და მათთვის სულ ნათლად რომ დაემტკიცებინა თავის ნათქვამი, ხელში მისცა თმები, რომელიც, მისი აზრით, თავის ცოლს მოაჭრა, და თან დასძინა: წამოდით და ის უყავით, რაც თქვენს სახელსა და პატიოსნებას შეეფერებოდეს, რადგან მე იმის შემნახავი აღარა ვარო.

ქალის ძმები საშინლად შესწუხდნენ თავიანთი დის ამბავზე და ყველაფერი დაუჯერეს სიძეს. საშინლად გაბრაზებულთ მოუკიდეს მაშხალას და გადაწყვიტეს დაი კარგად გაეცოცხათ. გაჰყვნენ არიგუჩიოს და წავიდნენ მის სახლში. როცა მათმა დედამ დაინახა ეს, ტირილით გამოჰყვა და ხან ერთს ეხვეწებოდა და ხან მეორეს: შვილებო, ასეთი რამე მაშინვე როდი უნდა დაუჯეროთ ხოლმე, ჯერ კარგად უნდა გაიგოთ ყველაფერი, ნახოთ თქვენის თვალითა და დარწმუნდეთ; ქმარი შეიძლება სულ სხვა მიზეზით გაუჯავრდა და ცუდად მოექცა და ახლა ასეთი რამ დასწამა და ცდილობს, თვითონ კი იმართლოს თავიო. გარდა ამისა, საკვირველსა ვარ, რომ ჩემს ქალს ასეთს რასმე სწამებენ! პატარაობითვე ჩემს ხელშია გაზრდილი, და კარგად ვიცი, რაც არის და დარწმუნებული ვარ, ამას არ იზამდაო. და ბევრი სხვა რამეც თქვა ქალის გასამართლებლად.

როცა არიგუჩიოს სახლში მივიდენ და შიგ შევიდნენ, შეუდგნენ კიბეზე ასვლას. სისმონდამ ხმაურობა რომ გაიგონა, იკითხა: „მანდ ვინ არის?“ ამაზე ერთმა ძმათაგანმა უპასუხა:

„გაიგებ, ვინცა ვართ, შე უნამუსოვ, შენა“. მაშინ ქალმა თქვა: „რასა ნიშნავს, ძმაო, შენი ნათქვამი? ღმერთო, შენ დამიფარე!“ მერე წამოდგა ზეზე და ძმებს უთხრა: „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ძმებო! ასე გვიან სამნივე რისთვის მოსულხართ, ან რას ეძებთ?“ ძმებმა თავიანთი დაი საკერავთან მჯდომარე დაინახეს და სახეზედაც ნაცემი სრულიად არაფერი ეტყობოდა, არიგუჩიოს კი ნათქვამი ჰქონდა — სახე სულ დალურჯებული აქვსო. საშინლად გაიოცეს და გაბრაზებულთ თავი შეიკავეს. მერე ქალს ჰკითხეს: რა მოხდა ისეთი, რომ არიგუჩიო ასე გაბრაზებულია შენზე და გიჩივისო? თანაც დაემუქრნენ, ვაი შენს შავ დღეს, თუ ყველაფერი არ გითქვამსო!... ქალმა ამაზე ეს უთხრა: „არ ვიცი, ღმერთმანი, რა უნდა გითხრათ, არც ის ვიცი, არიგუჩიო რისთვის მიწყრება“. არიგუჩიომ ქალი რომ დაინახა, თავზარდაცემულივით დაუწყო ყურება, რადგან მშვენივრად ახსოვდა, რომ, სულ უკანასკნელ, ათასჯერ მაინც ჩააზილა მჯიღი სახეში, სახე სულ ერთიანად დაუკაწრა და, ვინ იცის, რა არ უყო, ახლა კი ხედავს, თითქოს ქალისათვის ხელიც არავის უხლიაო. ძმებმა მოკლედ უამბეს

ქალს არიგუჩიოს ნათქვამი: კანაფი როგორ ჰქონდა ფეხის თითზე მობმული, ან როგორ სცემა არიგუჩიომ და ბევრიც სხვა.

ქალმა არიგუჩიოს მიმართა და უთხრა: „დედავ ღვთისაო! ეს რა ესმის ჩემს ყურებს, ადამიანო?!. სირცხვილით მიწა როგორ არ გაგისკდება და შიგ არ ჩაგიტანს, როცა მე უნამუსოს მეძახი? ხომ იცი, რომ ასეთი არა ვარ, ან კიდევ შენს თავს ბოროტ და ავ კაცად რათა სთვლი, როცა აგეთი არა ხარ? წუხელ ჩემთან რომ არ ყოფილხარ?!.. ან როგორ იქნებოდი, როცა სახლში ჩემთან სულაც არ მოსულხარ მთელი ღამე, შე სასიკვდილე, შენა!.. ან როდის მცემე? ყოველივე შემთხვევაში, მე არ მახსოვს“. არიგუჩიო გაცხარდა და შეუტია: „როგორ, წუხელ ერთად არ იყო, რომ დავწექით? მე არ ვიყავი, რომ დავბრუნდი, იმის შემდეგ, რაც შენს საყვარელს გამოვუდექი? შენ არ იყავი, რომ ჯერ სახე დაგილურჯე და მერე თმები დაგაჭერი?“ ქალმა უპასუხა: „მე გეუბნები, რომ წუხელ შენ ამ სახლში ღამე სულაც არ გაგითევია. მაგრამ კარგი, ამას თავი დავანებოთ, რადგან ამის დამტკიცება სხვა არაფრით შემიძლია, თუ არა მხოლოდ ჩემი სწორი სიტყვებითა. მხოლოდ შენს ნათქვამს გავუსინჯოთ კბილები, რომ ვითომც მე გაგლახეო და თმებიც დაგეჭრას ჩემთვის. მე არ გიცემივარ, და ვინც აქა ხართ და მათ შორის შენცა — გამსინჯეთ, თუ ტანზე სადმე რამ მატყვია ნაცემობისა; ან მე როგორ მოგცემდით იმის ნებას, რომ ჩემს წინააღმდეგ ხელი აგემართა, რადგან ვფიცავ მაღალ ღმერთსა, თვალებს სულ ერთიანად ამოგფხაჭნიდი. რამდენად ვიცი და მიყურებია, არც თმები დაგიჭრია ჩემთვის; მაგრამ ვინ იცის, ისე დამაჭერი, რომ მე არც კი შემიმჩნევია; სჯობია, ვნახოთ, მოჭრილი მაქვს თმები თუ არა“. ეს რომ თქვა, თავიდან მანდილი მოიხადა და უჩვენა ყველას თავი: თმა ზედვე ჰქონდა მთლად.

ეს რომ დაინახეს, ძმები და დედა მიუბრუნდნენ არიგუჩიოს და უთხრეს: „შენ რაღას იტყვი, არიგუჩიო? შენი ნათქვამი — ასე და ასე იყოო, და ის, რაც აქ ვნახეთ, ერთმანეთს არ უდგება. ვერ გაგვიგია, დანარჩენი როგორღა უნდა დაგვიმტკიცო?!’ არიგუჩიოს თავისი თავი სიზმარში ეგონა და უნდოდა რამე ეთქვა, მაგრამ იფიქრა, რაც მე სიმართლედ მიმაჩნდა, ვაითუ ამათ დაუჯერებლად მოეჩვენოთ, ამიტომ ისევა სჯობს, სრულებით არაფერი ვთქვაო.

ქალი ძმებს მიუბრუნდა და უთხრა: „ჩემო საყვარელო ძმებო, ვხედავ, რომ ჩემმა ქმარმა თავისი ქცევით ის უნდა გამაკეთებინოს, რის გაკეთებაც თავის დღეში არ მიფიქრია, ე. ი. რომ თქვენთვის მეამბნა მისი უბადრუკობა და სიგლახე; და ამას ვიზამ კიდეც. მე დარწმუნებული ვარ, რომ რასაც ახლა მოგიყვათ, ყველაფერი გადახდა მას და ყველაფერი ჩაიდინა. ყური დამიგდეთ და დაინახავთ, როგორც ყოფილა. ეს პატივცემული ვაჟბატონი, რომელსაც ჩემდა საუბედუროდ მიმათხოვეთ და რომელსაც ვითომ ვაჭარს ეძახიან, სცდილობს ყველასთან დიდი ნდობა ჰქონდეს, მაშასადამე მართებს ბერზე მეტად თავდაჭერილი და გასათხოვარ ქალზე უფრო ზნედაცული იყოს. და ასეთი კაცი, უყურეთ, რასა შვება: ღამე ისე არ გაივლის, სადმე სამიკიტნოში არ წაეთრეს, არ გაილეშოს და არ აეტორღიალოს ხან ერთსა და ხან

მეორე ზნედაცემულ ქალს. მე კი მაგის ყურებაში თვალები მაქვს გამოწყალებული: ხან შუაღამემდე მაცდევინებს, ხანაც განთიადისას თუ მოვა და მე კი აქა ვზივარ, როგორც ახლა დამინახეთ და ვუცდი, აცა, როდის მოვა-მეთქი, ცხადია, ალბათ, როცა დაითრო, ერთ ამგვარ ქალთან დაწვა; როცა გამოფხიზლდა, დაუნახა ფეხზე მიბმული კანაფი, ამას მოჰყვა მთელი მისი საქმენი საგმირონი, რაც ახლა გიამბოთ, ბოლოს, რომ დაუბრუნდა ქალს, ჯერ კარგადა სცემა და მერე თმაც შეაჭრა. ჯერ კიდევ არ იქნებოდა გამოფხიზლებული, ისე ალბათ წარმოიდგინა — და დარწმუნებული ვარ, ახლაცა ჰგონია, — რომ ყოველივე ეს მე დამატეხა თავზე. თუ კარგად დააკვირდებით, დაინახავთ, რომ ჯერ ახლაც არ გამონელებია ღვინო. ყოველ შემთხვევაში, რაც მე მითხრა, იმისთვის არ მინდა გამოეკიდოთ; გთხოვთ ჩამოართვათ ისე, როგორც მთვრალს, და რაკი მე მინდა ყველაფერი ვაპატიო, თქვენც აპატიეთ.

დედამ ქალის ნათქვამი სიტყვები რომ გაიგონა, დაიწყო ყვირილი: „ღმერთსა ვფიცავ, ჩემო ქალო, ამისთანა რისამე პატიება ყოვლად შეუძლებელია. ის კი არა, უნდა ჩააღრძოს კაცმა ეს საზიზღარი და უმადური ძაღლი, რომელიც ღირსიც კი არ იყო შენისთანა ქალის ცოლობისა!.. მაშ აგრე, ყმაწვილო! შენ იმის ღირსიც კი არ იქნებოდი, რომ ჩემი ქალი ტალახში ჩაფლული რომ გენახა, მისულიყავ და ხელი გეხლო ამოსაყვანად. მანამდე ნუ უკვნესია, სანამ შენ ამ ვირების ჯილაგის ვაჭრის მიქარვებს ყური არ ათხოვო!.. ეს ერთი იმათთგანია, ვინც მოთრეულან სოფლებიდან, ბუხრის მწმენდავთა მსგავსი ტლანქი წამოსასხამი მოუსხამთ, სამრეკლოს მსგავსი ძიქვები ჩაუცვამთ და სარტყელზედაც უკანიდან ფრთა გაუკეთებიათ.[9] ჯიბეში სამი სოლდო გაუჩნდებათ თუ არა, მაშინვე აზნაურების და საერთოდ ცნობილი გვარეულობის ქალების შერთვას მოინდომებენ ცოლებად, მერე გააკეთებინებენ ღერბებს და დაიწყებენ ბაქიობას: მე ამა და ამ გვარის ჩამომავალი ვარ, ჩემმა წინაპრებმა ესა და ეს საქმე ჩაიდინესო! რა კარგი იქნებოდა, ჩემს შვილებს ჩემთვის დაეჯერებინათ, იმიტომ, რომ მაშინ მათ შეეძლოთ, ცოტაოდენი მზითევით ღირსეულად მიეთხოვებინეთ გრაფ გვიდის ოჯახის წევრისათვის, და ამის მაგიერ ამათ აიღეს და მიგათხოვეს ამ ჩაჩულიას, რომელსაც არც კი შერცხვა, რომ შენ, ფლორენციაში ყველაზე უკეთეს და ნამუსიან ქალს, შუაღამისას მეძავი ქალი გიწოდა! თითქო არ გიცნობდეთ და არ ვიცოდეთ, რაცა ხარ! ღმერთმანი, მე რომ დამიჯერებდეთ, ისე უნდა სცემოს კაცმა, რომ თავის დღეში არ დაავიწყდეს!“..

მერე შვილებს მიუბრუნდა და უთხრა: „ჩემო შვილებო, მე აკი გითხარით, რომ ეს ტყუილი იქნება და თქვენი დაი არას დააშავებდა-მეთქი. ხომ გაიგონეთ, თქვენმა თვალის სინათლე სიძემ როგორ გალანძღა და გაათრია თქვენი დაიკო!.. მერე ვინა? ვიღაც ქეციანმა ვაჭარმა, ადამიანი მაინც იყოს!.. მე რომ თქვენი ყოფილიყავი, ხოლო იმას დისათვის ის ეთქვა, რაც უთხრა და ის ექნა, რაც უყო, გული მანამდე არ მომისვენებდა, სანამ საიქიოს არ

[9] იმ დროს ვაჭრები ატარებდნენ სარტყელზე კალამსა და სამელნეს ისე, როგორც გადამწერლები და ნოტარიუსები.

გავისტუმრებდი. მე რომ მამაკაცი ვიყო და არა ქალი, მის მოკვლას ვერავინ დამასწრებდა. აი, ღმერთმა კი ნუ გაგახაროს, შე უბედურო ლოთო! არც კი გრცხვენია!“.

ყოველივე ეს რომ გაიგონეს და დაინახეს, ახალგაზრდები მისდგნენ არიგუჩიოს, გალანძღეს და გათათხეს ისე, როგორც სულ უკანასკნელ კაცსაც კი არ გალანძღავდა კაცი. დაბოლოს, უთხრეს: „ახლა, როგორც მთვრალისათვის, ყველაფერი გვიპატიებია. მაგრამ გაფრთხილებთ კი, თუ სიცოცხლე რადმე გიღირს, დღეის ამას იქით მსგავსი რამე არ გაგვაგონო, და თუ ღმერთი გაგიწყრა და ჩვენს ყურებამდე მოაღწია რამემ, მაშინ გაზღვევინებთ, როგორც იმას, ისე ამ ცოდვასაც“.

ეს უთხრეს და გაშორდნენ.

არიგუჩიო გონებადაკარგული იყო. არ იცოდა, რაც ჩაიდინა, ცხადლივ იყო თუ სიზმარში ნახა. ამიტომ ხმის ამოუღებლად ცოლი თავის ნებაზე მიუშვა. ცოლმაც, ამნაირად, თავისი მიხვედრილობის წყალობით, არამცთუ გადალახა აუცილებელი დაბრკოლება, არამედ გაიკაფა გზა, რომლითაც მომავალში შეეძლო სწეოდა ყოველ თავის საწადელს ისე, რომ ქმრის შიში და რიდი სრულებითაც არა ჰქონოდა.

ამგავი მეცხრე. მოჯადოებული მსხლის ხე

ნიკოსტრატოს ცოლს ლიდიას უყვარს პირო; პირო ეუბნება ქალს: თუ გინდა შენი ნათქვამის გულწრფელობა ვირწმუნო, სამი რამ აასრულეო; ქალი სამსავე პირობას ასრულებს და, ამის გარდა, თვით ნიკოსტრატოს თანდასწრებით, პიროსთან შეექცევა და ნიკოსტრატოს კი არწმუნებს — რაცა ნახე, ყველაფერი მოგეჩვენაო.

ნეიფილეს ნაამბობი ისე მოეწონათ ქალებს, რომ თავს ვეღარ იკავებდნენ ვერც სიცილისა და ვერც ამ ნაამბობის გამო ლაპარაკისაგან, თუმცა მეფემ არაერთხელ უბრძანა, გეყოფათ, დაჩუმდითო. რომ ვერას გახდა, პამფილოს უბრძანა ამბის თხრობა. როგორც იყო, ქალები დაჩუმდნენ და პამფილომაც ასე დაიწყო: — პატივცემულო ქალებო, რაც უნდა ძნელი და საშიში გასაკეთებელი იყოს, არა მგონი, მხურვალედ შეყვარებულმა ადამიანმა ვერ შეასრულოს. ეს ჭეშმარიტება თუმცა ბევრჯერ იყო დამტკიცებული აქ თქმულ ამბებში, მაინც მე კიდევ უფრო მინდა დაგიმტკიცოთ ერთი ამბით, რომელიც ახლა უნდა გითხრათ.

ამ ამბიდან მოისმენთ ერთი მანდილოსნის შესახებ, რომელსაც თავის საქმეებში უფრო ბედი წყალობდა, ვიდრე მისი ჭკუა-გონების მიხვედრილობა. ამიტომ არავის გირჩევთ, გაჰყვეთ ამ ქალის კვალს, ვის შესახებაც ახლა მინდა გიამბოთ, ვინაიდან, მოგეხსენებათ, ბედი ყოველთვის არ არის მწყალობელი და თან მამაკაცები ყველანი ერთნაირად როდი არიან

ხოლმე დაბრმავებულნი.

აქეის უძველეს ქალაქ არგოსში, რომელიც უფრო თავისი ძველის დროის მეფეებით იყო განთქმული, ვიდრე სივრცით, ცხოვრობდა ერთი აზნაური, ნიკოსტრატო. უკვე სიბერეში გადამდგარს ბედმა ცოლად შეახვედრა ერთი ღირსეული, შემმართებელი და ლამაზი ქალი, ლიდია. როგორც მდიდარსა და კეთილშობილ კაცს, ნიკოსტრატოს დიდძალი მოსამსახურეები, ძაღლები და სანადირო ფრინველები ჰყავდა და ნადირობაც ძალიან უყვარდა. მის მოსამსახურეთა შორის ერია ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი, მოხდენილი და ლამაზი. რაც უნდა საქმეს შესდგომოდა, ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან და ემარჯვებოდა. სახელად პირო ერქვა და ნიკოსტრატოს ყველაზე მეტად უყვარდა და ყველაზე მეტადაც ენდობოდა.

ჭაბუკი ლიდიას შეუყვარდა და იმ ზომამდეც შეუყვარდა, რომ ძილში თუ ღვიძილში იმაზედღა ფიქრობდა. პირო კი შეიძლება ვერ ამჩნევდა ქალის სიყვარულს, ან შეიძლება არც კი უნდოდა ეს სიყვარული და ყურადღებასაც არ აქცევდა. ამიტომ ქალს საშინელი დარდ-ნაღველით ევსებოდა გული. გადაწყვიტა, რადაც უნდა დამიჯდეს, ყმაწვილს უნდა ვაგრძნობინო ჩემი სიყვარულიო. ამიტომ მოიხმო თავისი მოახლე ლუსკა, რომელსაც ძალიან ენდობოდა ხოლმე და უთხრა: „ლუსკა, ვინ იცის, შენთვის რამდენი რამ სიკეთე მიქნია! იმედი მაქვს ამ ჩემს სიკეთეს აფასებ და, რამდენადაც შეგეძლება, ჩემი ერთგული და გამგონი უნდა იყო. ამიტომ იცოდე, რასაც ახლა გეტყვი, ძეხორციელმა არავინ უნდა გაიგოს, გარდა იმისა, ვისთანაც დაგაბარებ. როგორც ხედავ, ლუსკა, ახალგაზრდა და ქორფა ქალი ვარ; რისი ნატვრაც კი შეიძლება, სულო და გულო, ყველაფერი მომეპოვება. ერთი სიტყვით, შემიძლია ვთქვა, მხოლოდ ერთი რამ მაკლია-მეთქი. ეს ის არის, რომ ჩემი ქმარი, ჩემთან შედარებით, ძალიან ბებერია და სწორედ ის მაკლია, რითაც ახალგაზრდა ქალები თავიანთ თავს ასეთ სიამოვნებას ანიჭებენ ხოლმე. და რადგან მეც ის მინდა, რაც სხვებს უნდათ ხოლმე, გადავწყვიტე: თუ ბედმა მიმტრო იმით, რომ მოხუც ქმარს გადამკიდა, მე მაინც არ მინდა თავს ვემტერო და უნდა მოვძებნო საშუალება, რომ ვისიამოვნო და გავიხარო. და რათა სიამოვნება და სიხარული მოვიპოვო როგორც ამ მხრივ, ისე სხვა მხრივაც, განვიზრახე ეს სიამოვნება და სიხარული მომანიჭოს თავისი ხვევნა-ალერსით პირომ, რადგან პირო ყველაზე მეტად ღირსეულია. ისე მიყვარს ეს ყმაწვილი, რომ ჩემს თავს კარგად მაშინღა ვგრძნობ, როცა ვხედავ ან მისთვის ვფიქრობ, და თუ დაუყოვნებლივ მასთან კავშირი არ დავიჭირე, უეჭველად მოვკვდები. ამიტომ, თუ ჩემი სიცოცხლე შენ რადმე გიღირს, როგორც გინდა, ისე ჰქენი, ოღონდ ჩემი სიყვარული გაუმჟღავნე და სთხოვე ჩემს მაგიერ — მოვიდეს ჩემს სანახავად, როცა შენ მიხვალ და ამას შეატყობინებ.

მოახლე დაჰპირდა — ბატონი ბრძანდებითო. შეურჩია დრო და ადგილი, გაიხმო ცალკე პირო და რაც შეიძლებოდა კარგად გადასცა ახალგაზრდა ქალბატონის შემონათვალი.

პიროომ ეს რომ მოისმინა, მეტად გაუკვირდა, რადგან ამის მსგავსი რამ ქალბატონისათვის თავის დღეში არ შეუმჩნევია და ეჭვი აიღო, ალბათ ჩემ გამოსაცდელად შემომითვალა ეს სიტყვებიო.

ამიტომ მაშინვე მკვახედ უპასუხა: „ლუსკა, მე ვერ დავიჯერებ, რომ ეს სიტყვები ჩემი ქალბატონის შემონათვალი იყოს, ამიტომ დაუფიქრდი, რასაც ამბობ; და თუ ეს სიტყვები მაგისებია, არა მგონია, გულწრფელად იყოს ნათქვამი. მაგრამ კიდეც რომ გულწრფელად იყოს ნათქვამი, უნდა იცოდე, რომ ჩემი ბატონი ისე გულდანდობილია ჩემზე, რომ ღირსიც კი არა ვარ და თავის დღეში არ ვიზამ იმას, რომ ასეთ კაცს ლაფი დავასხა თავზე; ამიტომ გაფრთხილებ, კვლავ აღარ გამიბედო ასეთი რამეები“.

ლუსკა ყმაწვილის მკვახე ლაპარაკმა სრულებით ვერ შეაშინა და უთხრა: „პირო, როგორც ამას, ისე სხვა რასმე, რასაც ჩემი ქალბატონი დამავალებს. იმდენჯერვე გეტყვი, რამდენჯერაც მიბრძნებს უთხარიო, იმას არც კი ვუყურებ, შენ ეს მოგეწონება, თუ გეწყინება; შენ კი, ჩემო კარგო, დიდი სულელი ვინმე ბრძანებულხარ!.. ჰო, ჩემმა მზემ“.

პიროს ნათქვამით გულმოსული მოახლე მივიდა ქალბატონთან და ყველაფერი მოახსენა. ლიდიამ ეს რომ გაიგონა, წამოიძახა, ნეტავი ცოცხალი აღარ ვიყოო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ისევ დაუძახა მოახლეს და უთხრა: „ლუსკა, შენ ხომ იცი, რომ ცულის ერთი შემოქნევით მუხა არ წაიქცევა, ამიტომ, მე მგონი, შენ ხელახლად უნდა დაუბრუნდე იმას, ვინც ჩემდა სამწუხაროდ, ცდილობს ასეთი უცნაური ერთგულება გამოიჩინოს. შეურჩიე დრო და გადაუშალე, თუ რა ცეცხლი მწვავს მისი, და ყოველი ღონე იღონე, დაარწმუნო; თორემ თუ ასე მივანებებთ, რა საჭიროა, ცოცხალი ვერ გადვურჩები და იმას კი ეგონება, რომ უხუმრეს, და სადაც ვეძებდით სიყვარული დაგვეთესა — სიძულვილს მოვიმკით“.

მოახლემ ანუგეშა ქალბატონი, მერე პირო მონახა. ყმაწვილი პირმცინარე და კარგ გუნებაზე დაუხვდა. ასე უთხრა ქალმა: „ამ რამდენიმე დღეს წინათ გაგაგებინე, თუ რა გაუნელებელი ცეცხლი უკიდია შენსა და ჩემს ქალბატონს შენი სიყვარულის გამო. ახლა ხელახლა გარწმუნებ, რომ თუ ისევ გაჯიუტდი, როგორც ამ სამი დღის წინათ იყავი, იცოდე, ვეღარ გაუძლებს და დიდ ხანს ვერ იცოცხლებს. და თუ შენ მაინც არ მოიშალე შენი ჯიუტობა, აქამდე თუ მეც ჭკვიან ყმაწვილად მიმაჩნდი, მაშინ რეგვენად ჩაგთვლი. შენთვის ნუთუ სასახელო არ უნდა იყოს, რომ ასეთ ტანადს, ასეთ ლამაზს, გულკეთილ ქალს ყველაზე მეტად უყვარდე?!. გარდა ამისა, ნუთუ მადლიერი არ უნდა იყო შენი ბედისა, რომ შენი საქმე ასე მოეწყო: შენი ახალგაზრდობის ნატვრა აგისრულდა და ყოველს შენს მოთხოვნილებას ასეთი სავანე გაუჩნდა! შენს ტოლებში ვინა გყავს ისეთი, რომ შენებრ გაივსოს სიამითა, თუკი შენ ჭკუით იქნები? ან ვის იპოვნი ისეთსა, რომ შენებრ ექნეს იარაღი, ცხენი, ტანისამოსი და ფული, თუკი ქალბატონს სიყვარულის გული გადაუშალე? მაშასადამე, კარგად შეიგენი ჩემი სიტყვები

და ჭკუას მოეგე: ნუ დაგავიწყდება, რომ ბედი მხოლოდ ერთხელ, მეტჯერ არა, შეხედავს ვისმე შუბლგახსნილი და გაშლილი წიაღით; ვისაც იმის შნო არ ექნება, რომ ასეთი ბედი გულში ჩაიხუტოს, მერე, დაღარიბებული და დაგლახაკებული, თუ არ თავის თავს, ამ ბედს მაინც არ უნდა ემდუროდეს. გარდა ამისა, ვის გაუგონია მოსამსახურეთა და ბატონთა შორის ისეთი ერთგულება, როგორიც მეგობრებთან და მშობლებთან მართებს კაცს?! პირიქით, მოსამსახურენი ბატონებს, საცა კი შეუძლიათ, ისევე უნდა მოეპყრან, როგორც ბატონი ამათ ეპყრობიან. ვთქვათ, გყავს ლამაზი ცოლი, ან დედა, ან ქალი, ან დაი, და ნიკოსტრატოს მოეწონა. როგორ გგონია, აქაო და პირომ ჩემი ცოლის ღალატი არ განიზრახაო, განა იმისთვის დაგზოგავს? დიდი ბრიყვი ვინმე უნდა იყო, ჩემო კარგო, თუ ესა გჯერა! დარწმუნებული იყავი, რომ თუ თხოვნითა და ალერსით ფონს ვერ გავიდოდა, მაშინ ძალმომრეობას მიმართავდა, იმას კი არ იდარდებდა — შენ მისი საქციელი მოგეწონებოდა თუ არა. მაშასადამე, იმათა და მათს საკუთრებას ჩვენც ისევე უნდა მოვექცეთ, როგორც ისინი ჩვენა და ჩვენს საკუთრებას მოექცევიან. ბედს წყალობა ჩამოვართვათ; ნუ მოვშორდებით ბედს, არამედ წინ მივეგებოთ და მივირქვათ, იმიტომ რომ, ჭეშმარიტად, თუ ეს შენ არ გიქნია, შენი ქალბატონი ხომ მოკვდება, მაგრამ არც შენ დაგეყრება ხეირი: იმდენს ინანებ, რომ იტყვი, ნეტავი აღარ მაცოცხლაო“.

პირო რამდენჯერმე დაუფიქრდა ლუსკას ნათქვამ სიტყვებს. გადაწყვიტა, თუ ისევ დაბრუნდა, სხვა პასუხს მივცემო და სავსებით დავყვები ქალბატონის ნებას, თუკი დავრწმუნდი, რომ არა მცდიანო. ამიტომ ასე უპასუხა: „იცი, რა გითხრა, ლუსკა! რაც მითხარი, ყველაფერი მართალია; მაგრამ, მეორეს მხრით, ჩემს ბატონს ვიცნობ, მეტად ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი კაცია. თავისი საქმეები ყველაფერი მე ჩამაბარა. მეშინია, ვაითუ ლიდია ქმრის რჩევითა და სურვილით შემომიჩნდა და ჩემი გამოცდა უნდა. ამიტომ სამ რისამე ასრულებასა ვთხოვ ქალბატონს. თუ ესენი აასრულა, მაშინ დავრწმუნდები, რომ გულწრფელად მელაპარაკება და მეც, რაც უნდა მთხოვოს, ყველაფერს ვიზამ. აი, ის სამი რამე, რაც უნდა შემისრულოს: ჯერ თვით ნიკოსტრატოს თანდასწრებით უნდა მოჰკლას მისი საყვარელი ქორი; მერე უნდა გამომიგზავნოს ერთი ბღუჯა ნიკოსტრატოს წვერისა; ბოლოს — ნიკოსტრატოს უნდა ამოაძროს ერთი სრულიად საღი კბილი“.

ეს პირობა ლუსკას ძნელ ასასრულებლად ეჩვენა, ხოლო ქალბატონს მით უფრო. მაგრამ სიყვარული საუკეთესო ხელისშემწყობი და რჩევა-დარიგების მიმცემია. ამავე სიყვარულმა ქალს გადააწყვეტინა შესდგომოდა ამ საქმის ასრულებას. მოახლის პირით შეუთვალა პიროს: რაც მითხარი, ყველაფერს უკლებლად გავაკეთებ და თანაც მალეო. გარდა ამისაო, დასძინა: მართალია, ნიკოსტრატო დიდ ჭკვიან კაცად მიგაჩნია, მაგრამ მე მაინც ის რომ გვიყურებდეს, ისე შენთან მოვისურვილებო. ნიკოსტრატოს კი დავაჯერებ: რასაც ხედავ, სულ მოჩვენებითია-მეთქი.

პირომ დაუწყო ლოდინი, აბა რას იზამს კეთილშობილი ქალბატონიო.

რამდენიმე დღის შემდეგ ნიკოსტრატომ, ჩვეულებისამებრ, წვეულება გამართა და მოიპატიჟა რამდენიმე აზნაური. ნასადილევს, როცა სუფრიდან ყველაფერი აალაგეს, ლიდია მწვანე ხავერდის კაბიანი და ძვირფას სამკაულებით მორთული გამოვიდა თავის ოთახიდან და შევიდა იმ დარბაზში, საცა სტუმრები იყვნენ, და პიროსა და სტუმრების თანდასწრებით მივიდა იმ ქანდარასთან, რომელზედაც ნიკოსტრატოს საყვარელი ქორი იჯდა. ქალმა აუშვა ქორი, ვითომ ხელზე უნდა დაისვასო, დააკლო ხელი ძეწკვს, ქორი კედელს მიახეთქა და სული გააფრთხობინა. ნიკოსტრატომ დაიყვირა: „ვაიმე, ქალო, ეგ რა ჰქენი?“ — „არაფერიო“, — უპასუხა ცოლმა. მერე მიუბრუნდა სტუმრებს, ნიკოსტრატოსთან ერთად რომ სადილობდნენ და უთხრა; „ბატონებო, აბა როგორ უნდა გამებედა და გადამეხადა სამაგიერო იმ მეფისათვის, რომელიც შეურაცხყოფას მომაყენებდა, თუკი უბრალო ქორს შურისძიებას ვერ გავუბედავდი!.. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ქორი დიდი ხანია მართმევდა მთელ იმ დროს, რომელიც მამაკაცებმა ქალების სიამოვნებას უნდა მოახმარონ ხოლმე; რადგან ინათებდა თუ არა, ნიკოსტრატო ადგებოდა, მოაჯდებოდა ცხენს, ხელზე დაისვამდა თავის ქორს და გასწევდა მინდვრისაკენ, რომ იქ ქორის ფრენისათვის ეყურებინა ხოლმე. მე კი ისეთს, როგორსაც მხედავთ, ლოგინში მტოვებდა, უკმაყოფილოს. ამიტომ რამდენჯერმე განვიზრახე ქორისათვის მექნა ის, რაც ახლა ვუყავი, მხოლოდ ვუცდიდი ისეთ დროს, როცა თქვენისთანა მიუდგომელი მოსამართლენი შემესწრებოდნენ ჩემი საჩივრის გასარჩევად“.

აზნაურებმა მოუსმინეს ქალის საჩივარს. მათი აზრით, მისი სიტყვები სწორად გამოხატავდნენ იმ გრძნობას, რომელიც მას ჰქონდა ნიკოსტრატოსადმი, მერე სიცილით მიუბრუნდნენ ძალზე განაწყენებულ ნიკოსტრატოს და უთხრეს: რა კარგად ინება ქალბატონმა, რომ თავის შეურაცხმყოფელს სიცოცხლე მოუსწრაფა და იმითი იძია შური. ამის გამო, როცა ქალი თავის ოთახში შებრუნდა, ზოგმა რა იხუმრა და ზოგმა რა, ისე რომ ნიკოსტრატოს წყრომა სიცილში ჩაუტარეს. პირომ ეს რომ დაინახა, თავის გულში თქვა:

„კარგად კი დაიწყო ქალმა ჩემი ბედნიერის სიყვარულის საქმე; ღმერთმა ჰქნას, ბოლომდე გაიტანოსო!“

რამდენიმე დღემ განვლო მას აქეთ, რაც ლიდიამ ქორი მოკლა. ნიკოსტრატოსთან იჯდა თავის ოთახში, უალერსებდა და თან ლაღობდა. ქმარმა ხუმრობით ქალის თმას მსუბუქად მოსწია: ქალმა ხელზე დაიხვია ქმრის საქციელი და თავის გულში თქვა: თუ ავასრულებ, აბა ახლა ავასრულებ პიროს მეორე პირობასაო! უცბად წაავლო წვერში ხელი და სიცილით ისე ძალუმად მოსწია, რომ მთელი ბღუჯა წვერი შერჩა ხელი. ნიკოსტრატო რომ გაუჯავრდა, ქალმა უთხრა: „ნეტავ ვიცოდე, რა გაჯავრებს, ადამიანო? ახლა იმას კი რატომ არ იკითხავ, თუ როგორ მეტკინა, როცა თმასზე მომწიე?!..“ ასე ზოგი რა უთხრა და ზოგი რა, თან

განაგრძობდა ხუმრობას და თანაც ფრთხილად დამალა ამოგლეჯილი წვერის ბღუჯა და იმავე დღეს გაუგზავნა თავის ძვირფას საყვარელს.

მესამე პირობის ასრულებამ კი უფრო დააფიქრა ქალი. მაგრამ როგორც ძალიან მოხერხებულმა და გამჭრიახმა და თანაც სიყვარულის მიერ წაქეზებულმა, მოიგონა, თუ როგორ უნდა დაეგვირგვინებინა დაწყებული საქმე, ნიკოსტრატოს ორი აზნაურიშვილის ყმაწვილი ჰყავდა. მათი მამებისაგან მობარებული. როგორც კეთილშობილთ, მის სახლში უნდა ესწავლათ ზრდილობა და კარგი მოქცევა. როცა ნიკოსტრატო ჭამად იჯდა, ერთი წინ უდგა და საჭმელს უჭრიდა, ხოლო მეორე ზურგით ედგა და სასმელს უსხამდა, როგორც მწდე. ლიდიამ ორივეს დაუძახა და უთხრა — პირი გიყართო და დაარიგა: როცა ნიკოსტრატოს ემსახურებით, თავები, რაც შეიძლება, უკან მოიღეთ და არავის გაუმხილოთ, რაც ახლა გითხარითო. ყმაწვილებმა დაუჯერეს და ისე დაიწყეს თავების დაჭერა, როგორც ქალბატონმა ასწავლა.

ერთხელ ცოლმა ჰკითხა ნიკოსტრატოს: „ნუთუ ვერ შენიშნე, რასა შვრებიან ეს ბიჭები, როცა შენ გემსახურებიან?“ — „არა, და სწორედ ეს უნდა მეკითხა, — უთხრა ნიკოსტრატომ, —რათა შვრებიან“? ამაზე ცოლმა უპასუხა: „რამდენჯერმე მინდოდა მეთქვა შენთვის, მაგრამ არ ეწყინოს-მეთქი და ჩუმად ვიყავი; მაგრამ ახლა ვხედავ, რომ სხვებიც გამჩნევენ და ამიტომ მეტი დამალვა არ შემიძლია. ასე იმიტომ იქცევიან, რომ პირი საშინლად გიყარს; არ ვიცი, რა უნდა იყოს მიზეზი, მაგრამ რომ რაღაც მიზეზი არის, ეს ცხადზე უცხადესია; ხომ იცი, პირის სიმყრალეზე უარესი არაფერია, მით უფრო, რომ კეთილშობილ ხალხთან გაქვს საქმე; ამიტომ რადაც არ უნდა დაგიჯდეს, მინდა მოირჩინო პირი“. მაშინ ნიკოსტრატომ უთხრა: „ვერ გამიგია, რა უნდა იყოს მიზეზი! გაფუჭებული ერთი კბილიც არა მაქვს“. მაშინ ლიდიამ უთხრა: „რა იცი, რომ არა გაქვს!’ ეს რომ უთხრა, მიიყვანა ფანჯარასთან, გააღებინა პირი, ჩახედა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, და უთხრა:

„ნიკოსტრატო, მიკვირს, ან აქამდე როგორ გაუძელი? ამ მხარეზე ერთი კბილი არამცთუ გაფუჭებული, ძალზე დამპალიცაა და თუ არ ამოიძრე, იმის გვერდით კბილებს სულ ერთიანად გაგიფუჭებს. ამიტომ გირჩევ ამოიძრო, სანამ დაგვიანებული არ არის“. ამაზე ნიკოსტრატომ უთხრა: „შენ თუ ასე გგონია, თანახმა ვარ: დაუყოვნებლივ მოაყვანინე ვინმე დალაქი და ამოვაძრობინებ“. ამაზე ქალმა უპასუხა: „ღმერთმა ნუ ქნას, რომ აქ ამისათვის დალაქი მოვიდეს! ჩემი აზრით, კბილი ისე ფამფალებს, რომ უდალაქოდაც მე თვითონ მშვენივრად ამოვაძრობ. და მეორეს მხრით, ეს დალაქები ისე შეუბრალებლად აძრობენ ხოლმე კაცს კბილებს, რომ მე არ შემიძლია გიყურო, როგორ გაძრობს გარეშე სხვა ვინმე კბილს; ამიტომ მე თვითონ ამოგაძრობ; ყოველ შემთხვევაში, თუ ძალიან გეტკინა, მაშინვე თავს დაგანებებ, დალაქი კი ამას არ გიზამს, მაშასადამე, მოატანინე გაზი და უბრძანე ოთახიდან ყველანი გავიდნენ, მხოლოდ ლუსკა დარჩეს“. ეს რომ უთხრა, ოთახი შიგნიდან

ჩაკეტეს. ნიკოსტრატოს უთხრა მაგიდაზე დაწოლილიყო, პირში გაზი ჩაუდო, მოსდო ერთ კბილს და თუმცა ნიკოსტრატო ტკივილისაგან საშინლად ყვიროდა, მაგრამ რადგან ცალის მხრიდან მაგრად ეჭირათ, მეორეს მხრიდან რაც ძალა და ღონე ერჩოდა, ამოსწია ქალმა და ამოაძრო კბილი. ამოძრობილი კბილი დამალა, ხოლო სხვა გაფუჭებული კბილი ხელში დაიჭირა ლიდიამ და გამწარებულ და ცოცხალმკვდარ ნიკოსტრატოს აჩვენა და თანაც უთხრა: „ერთი დახედე, ადამიანო, რა გქონია პირში ამდენი ხნის განმავლობაში!“ ნიკოსტრატომ დაუჯერა, და თუმცა ძალიან ეწვალა და ბევრიც იბუზღუნა, მაგრამ კბილი რომ ამოაძრეს, თავისი თავი მორჩენილი ეგონა. ზოგი რითა და ზოგიც რით მოაღონიერეს და როცა ტკივილი სულ დაუამდა, ოთახიდან გავიდა.

ლიდიამ აიღო კბილი და ისიც მაშინვე თავის სატრფოსთან აფრინა. ყმაწვილი დარწმუნდა, ქალს გულწრფელად ვყვარებივარო, და შეუთვალა — შენი ყურმოჭრილი ყმა ვარო. სანამ მასთან კავშირს არ დაიჭერდა, ყოველი საათი მთელ საუკუნედ ეჩვენებოდა და საშინლად უნდოდა, რასაც დაჰპირდა, მალე აესრულებინა კიდეცა. ადგა და თავი მოიავადმყოფა.

ერთ დღეს ნასადილევს მასთან სანახავად ნიკოსტრატო შემოვიდა. ქალმა რომ დაინახა, ნიკოსტრატოს პიროს მეტი არავინ ახლდა თან, ქმარს მიმართა: იქნება ცოტა მეამოს და ბაღში გამიყვანეთო. ნიკოსტრატო ცალ მხარში შეუდგა, ხოლო პირო მეორეში და ისე გამოიყვანეს ბაღში. აქ ერთ მშვენიერ მსხლის ქვეშ მწვანეზე დასვეს. ერთხანს ასე იჯდა ქალი. პიროს წინდაწინვე ასწავლა, როგორ უნდა მოქცეულიყო. მერე მიმართა პიროს და უთხრა: „პირო, ეს მსხალი ძალიან მომინდა, მოდით, ადით ზედ და რამდენიმე მსხალი ჩამოაგდეთ“. პირო მაშინვე მარდად ავიდა ხეზე და დაიწყო მსხლის ჩამოყრა. თან მსხალს ჰყრიდა და თანაც ასე ეუბნებოდა ნიკოსტრატოს: „ბატონო, ეგ რასა შვრებით? ან თქვენ, ქალბატონო, ნუთუ არა გრცხვენიათ, რომ ჩემ თვალწინ თავს ამის ნებას აძლევთ? ბრმა ხომ არა ვგონივართ! თითქო ძალიან ავად ბრძანდებოდითო?! ასე მალე რამ მოგარჩინათ, რომ ასეთ საქმეს მოურიდებლად სჩადიხართ? თქვე დალოცვილო, თუ ეს გინდოდათ, იმდენი ოთახი გაქვთ, წაბრძანებულიყავით და იქ გექნებოდათ, რაც გნებავდათ, ეს უფრო პატიოსანი იქნებოდა, თორემ ეს ხომ ჩემი აგდებაა!“. ცოლი ქმარს მიუბრუნდა და ჰკითხა: „პირო რას ამბობს? ნეტავი, ხომ არა ბოდავს?“ მაშინ პირომ უთხრა: „სრულებითაც არა ვბოდავ, ქალბატონო, არა. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ არც ბრმა გახლავართ და ყველაფერსა ვხედავ“. ნიკოსტრატოს ძალიან გაუკვირდა და უთხრა:

„პირო, ჩემი აზრით, უნდა ბოდავდე“. ამაზე პირომ უპასუხა: „სრულიადაც არა ვბოდავ და არც თქვენ ბოდავთ, პირიქით, ისე ძლიერად ირხევით, რომ ეს მსხალი რომ დაარხიოს კაცმა ასე, ზედ ერთი მსხალიც არ შერჩება“. მაშინ ქალმა თქვა: „ნეტავი, ეს რა უნდა იყოს? იქნება მართალია, რასაც ამბობს და ეჩვენება. ღმერთო, დამიფარე, წინანდელივით კარგად

რომ ვიყო, მსხალზე მეც ავიდოდი და შემოვხედავდი, ასე ეს რა უცნაური რამ ეჩვენა კაცს ამ მსხლიდან!“ პირო კი იჯდა ხეზე და განაგრძობდა სისულელის ჩმახვას. მაშინ ნიკოსტრატომ შესძახა, ჩამოდიო, და პიროც ჩამოვიდა. ჰკითხა, რა ნახეო? პირომ უთხრა: „მე მგონი, ან გიჟად მთვლით, ანდა გგონიათ, რომ ვბოდავ. თუ მაინცდამაინც ამას მათქმევინებთ, უნდა მოგახსენოთ, რომ დაგინახეთ, როგორ მოუწექით თქვენს მეუღლეს და როცა ძირს ჩამოვდიოდი, მაშინ დაგინახეთ, რომ ადექით და აი ამ ალაგას დაბრძანდით, საცა ახლა ბრძანდებით“. — „ახლა კი ვხედავ, — თქვა ნიკოსტრატომ, — რომ ჭკუაზე შეშლილხარ, რადგან რაც შენ მსხალზე ახვედი, მას აქეთ სულაც არ განვძრეულვართ, როგორც ამას შენ თვითონაც ხედავ“. ამაზე პირომ უთხრა: „ბევრი ლაპარაკი აბა რა საჭირო! მართალია, ახლა არ სურვილობთ ცოლთან, მაგრამ ისიც მართალია, რომ თქვენ, ეს-ეს არის, სურვილობდით, და როცა ჩამოვდიოდი ხიდან, ქალბატონს მოშორდით და ამ ადგილას დაბრძანდით“. ნიკოსტრატოს თანდათან უფროდაუფრო უკვირდა და იმ ზომამდეც უკვირდა, რომ ბოლოს უთხრა: „ერთი უნდა ვნახო, ეს მსხალი მოჯადოებული ხომ არ არის და ვინც ზედ არის, უცნაური რამეები მართლა ხომ არ ეჩვენება“. ესა თქვა და ავიდა ხეზე.

როგორც კი ავიდა ხეზე ნიკოსტრატო, ძირს პირო და მისი ცოლი ერთმანეთს მიუწვნენ და იწყეს ალერსი. ნიკოსტრატომ დაინახა, დაიწყო ყვირილი: „აი, შე უნამუსო, შენა! რასა შვრები, ქალო, როგორ არა გრცხვენია?! შენ კი, პირო ჩემი ერთგული და მისანდო მეგონე და ე რა ღმერთი გიწყრება?!“ ამ ლაპარაკში ხიდან ძირს ჩამოსვლა დაიწყო. ცოლი და პირო ეუბნებოდნენ, ჩვენა ვზივართო. რომ შეხედეს, ჩამოდისო, ორივე ისე დაჯდა, როგორც ხეზე ასვლამდე დატოვა ნიკოსტრატომ. როცა ნიკოსტრატო, ძირს ჩამოვიდა და დაინახა, რომ აქავე არიან, სადაც დავტოვეო, დაუწყო ორსავე ლანძღვა. მაშინ პირომ უთხრა: „ბატონო ნიკოსტრატო, ახლა ნამდვილად უნდა ვაღიარო, რომ, როგორც თქვენ მეუბნებოდით, მსხლის ხიდან ყველაფერს ყალბად ვხედავდი. ამას ამტკიცებს ის, რასაც მე ვხედავდი და რაც თქვენ დაინახეთ. დიახ, მართალს მოგახსენებთ, თორემ იმისთანა პატიოსანსა და ჭკვიან ქალს, როგორიც თქვენი მეუღლე ბრძანდება, თუ მაინცდამაინც თქვენს შერცხვენას მოინდომებდა, დალოცვილო, რაღა უეჭველად თქვენს თვალს წინ უნდა ექნა ეს?!. ჩემი კი ის უნდა მოგახსენოთ, რომ უმალ თავს მოსაჭრელად გადავდებდი, ვიდრე იმას გულში გავივლებდი, არამცთუ ვიზამდი და ისიც თქვენს თვალწინ! ეს თვალების მოტყუება უეჭველად იმისაგანაა, რომ ალბათ ხეა მოჯადოებული, რადგან ქვეყანაზე ვერავინ დამარწმუნებდა, რომ თქვენ თქვენს მეუღლესთან არ სურვილობდით, რომ არ გეთქვათ ჩემთვის, რომ ვითომც მე თქვენს მეუღლესთან შევცდი, რაც ფიქრადაც არ მომსვლია, არამცთუ როდესმე მექნას“. მაშინ ქალი გაცხარებული ზეზე წამოიჭრა და თქვა: „აი ღმერთმა შეგაჩვენოს ჩემი ასეთი შერცხვენისათვის! არა, შე კაი კაცო, ნუთუ ასე ბრიყვად მთვლი, რომ თუკი ღმერთი გამიწყრებოდა და ასეთ საძაგლობას განვიზრახავდი, რაც, შენის სიტყვით, შენ ნახე, აქ მოვიდოდი და შენ გაყურებინებდი? დარწმუნებული იყავ, რომ თუკი ასეთი სურვილი დამებადებოდა, ოთახების

მეტი რა გვაქვს, შევიდოდი ერთ-ერთში და ისე ოსტატურად მოვაწყობდი საქმეს, რომ საშინლად გამიკვირდებოდა, რომ ოდესმე ეს შენ გაგეგო.

ნიკოსტრატომ იფიქრა, ალბათ, მართალს ამბობენ ერთიცა და მეორეცაო, ესენი ჩემს წინაშე თავის დღეში ასეთი საქციელის ნებას არ მისცემდნენ თავიანთ თავსო. დაანება თავი ლაპარაკს და ამნაირი საყვედურების თქმას და დაიწყო მსჯელობა, თუ რა გასაჩემარი რამ ნახა, ან ასეთი რა სასწაული ემართება მხედველობას, რომელიც ამ ხეზე ამსვლელ ადამიანს სრულებით გამოეცვლება და ძირს მყოფი საგნები სულ სხვანაირად ეჩვენებაო.

მაგრამ ლიდიამ თავი ისე აჩვენა ქმარს, ვითომ მის ნათქვამზე ძალიან იყო გულმოსული და თქვა: „რასაკვირველია, ეს მსხალი ძირში უნდა მოვაჭრევინო და მაშინ სირცხვილს ვერც მე მაჭმევს და ვერც სხვა ვისმე ქალს. ამიტომ, პირო, გაიქე და მოარბენინე ცული, მოსჭერი ხე და ამნაირად მეცა და შენც შური ვიძიოთ მისი; თუმცა, სწორე გითხრა, უკეთესი იქნებოდა ის ცული ნიკოსტრატოსთვის გეთხლიშა თავში, რომელმაც ასე დაუფიქრებლად დაიბრმავა გონების თვალნი. რადგან თვალებს, რომელიც სახეზე გაქვს, შესაძლებელია ეჩვენოს ის, რაცა სთქვი, მაგრამ შენმა გონებამ თავის დღეში იმის თქმის ნება არ უნდა მოგცეს, რომ ეს ასე იყოო“.

პირომ მაშინვე მოარბენინა ცული და მსხლის ხე ძირში მოჭრა. ქალმა ხის წაქცევა რომ დაინახა, მიუბრუნდა ნიკოსტრატოს და უთხრა: „რაკი ჩემი პატიოსნების მტერი წაიქცა, მეც გადამიარა ბრაზმა“. ნიკოსტრატო პატიებას სთხოვდა და ცოლმაც აპატია და უთხრა — კვლავ არ დასწამო ასეთი ცილი ისეთ ადამიანს, რომელსაც თავს ურჩევნიხარო.

ამნაირად, საცოდავი მოტყუებული ქმარი თავის ცოლთან და მის საყვარელთან ერთად სასახლეში დაბრუნდა, სადაც მერე პირომ ლიდიასთან და ლიდიამ პიროსთან ბევრჯერ და თან მოხერხებულად მოისურვილეს და ინეტარეს.

ნეტავი ღმერთმა ჩვენც მათებრ გვასურვილოს და გვანეტაროს!.. ამბავი მეათე. ორი ნათლია ორ სიენელს ერთი ქალი უყვარს. ეს ქალი ერთ-ერთის ნათლიდედა. კვდება ნათლია და გამოეცხადება ამხანაგს, თანახმად მიცემული პირობისა, და უამბობს, საიქიოში როგორა ცხოვრობს.

ახლა მარტო მეფესა რჩებოდა საამბობელი; რომ დაინახა, ქალები უბრალოდ მოჭრილი ხისათვის წუხილს მორჩნენო, ასე დაიწყო.

— ყველას მოგეხსენებათ, რომ ყოველი სამართლიანი მეფე პირველად თვითონ უნდა ასრულებდეს თავის მიერ დაწესებულ კანონებს, და უკეთუ მეფე ასე არ იქცევა, უნდა ჩაითვალოს სასჯელის ღირს მონად და არა მეფედ. სწორედ, თითქმის ძალაუნებურად, ასეთი

დანაშაული უნდა ჩავიდინო და ასეთი დაგმობის ღირსი უნდა გავხდე მე, თქვენი მეფე. მართალი გახლავთ, გუშინ კანონი დავუდევი დღეს უკვე თქმულ ამბებს იმ განზრახვით, რომ ამ დღეს ჩემი შეღავათით არ მესარგებლა, არამედ თქვენთან ერთად დავმორჩილებოდი იმ დადგენილებას და მელაპარაკა იმ საგანზე, რაზედაც თქვენ ყველანი ილაპარაკებდით. მაგრამ აქ არამცთუ ითქვა ის, რაც მე უნდა მეთქვა, არამედ ამ საგანზე იმდენი ითქვა და თან ისეთი კარგებისაცა, რომ თავს ვიმტვრევ, მინდა რამ მოვიგონო, მაგრამ არც მაგონდება და ვეღარც მომიფიქრებია ისეთი რისამე თქმა ამ საგნის გამო, რაც თქვენს ნათქვამს დაეტოლებოდეს, ამიტომ მეტი გზა არ არის, იძულებული ვარ, წავიდე ჩემივე დადგენილი კანონის წინააღმდეგ, და, როგორც ყოველგვარი სასჯელის ღირსი, ვაცხადებ — მზად გახლავართ ვიტვირთო ყოველგვარი სასჯელი, რასაც კი მომისჯით და ჩემს ჩვეულებრივ შეღავათს დავუბრუნდები. იმასაც მოგახსენებთ, რომ ელიზას ნათქვამი ამბავი ნათლიდედისა და ნათლიას შესახებ და მერე სიენელთა სისულელე ისე ძლიერად მოქმედებენ ჩემზე, ცათასწორნო, რომ მაიძულებენ, თავი დავანებო ოინებს, რომლებსაც ჭკვიანი ცოლები თავიანთ ბრიყვ ქმრებს უშვრებიან და გიამბოთ ერთი ამბავი ნათლიებისა. ამ ამბავში თუმცა ბევრი რამაა, რასაც არც კი უნდა დაუჯეროთ, მაინც ნაწილობრივ სასიამოვნო იქნება, ყური დაუგდოთ.

ასე და ამგვარად, სიენაში ცხოვრობდა ორი ყმაწვილი, მდაბიოთაგანნი. ერთს ერქვა ტინგოჩო მინი და მეორეს — მეუჩო დი ტურა. ორივე სალაიას კარებთან ცხოვრობდნენ და თითქმის სულ არა შორდებოდნენ ერთმანეთს. ყველაფერზე ეტყობოდათ, რომ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ორივე სხვებივით დადიოდნენ ეკლესიაში და მღვდლის ქადაგებას უსმენდნენ. ხშირად ესმოდათ, თუ რა ჯილდო ან სასჯელი მოელოდათ საიქიოში იმათ სულებს, ვინც აქა კვდებოდა, იმისდა მიხედვით, თუ რა ჰქონდათ დამსახურებული თავიანთი კარგი თუ ავი ცხოვრებით. ძალიან უნდოდათ იქაურობის ნამდვილი ამბავი წინდაწინ გაეგოთ, მაგრამ არ იცოდნენ კი, როგორ. და, აჰა, ერთმანეთს პირობა მისცეს: ვინც ჩვენში პირველად მოკვდება, თუ შეიძლება, დაბრუნდეს ცოცხლად დარჩენილ ამხანაგთან და უამბოს იქაურობის ამბავი, რის შეტყობაც ამას სწადია, და ეს ერთმანეთს შეჰფიცეს კიდეც.

ამ პირობის დადების შემდეგ, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ჩვეულებრივ განაგრძობდნენ ერთმანეთის მეგობრობას. ამასობაში ტინგოჩო ნათლიად გაუხდა ვინმე ამბრუოჯიო ანსელმინის, რომელიც კამპო რეჯიში ცხოვრობდა და რომელსაც თავის ცოლ მონნა მიტასაგან ვაჟი შეეძინა, ტინგოჩო მეუჩოსთან ერთად ზოგჯერ თავის ნათლიდედას სანახავად მოდიოდა. ქალი მეტად მშვენიერი და სანდომიანი იყო და, მიუხედავად ნათელმირონობისა, ნათლიას შეუყვარდა; მსგავსადვე შეუყვარდა ქალი მეუჩოსაც, რადგან მოსწონდა ძალიან და ტინგოჩოსაგანაც ხშირად ესმოდა მისი ქება. ამ სიყვარულს ერთმანეთს უმალავდნენ. დამალვის მიზეზი კი სულ სხვა იყო. ტინგოჩო იმიტომ უმალავდა ამხანაგს თავის სიყვარულის

ამბავს, რომ გრძნობდა — ცუდ საქმეს ჩავდივარო და რომ შეიტყონ, ნათლიდედას შეყვარებისათვის ყველანი დამძრახავენო. მეუჩო ამისთვის არ მალავდა თავის სიყვარულს, ის იმიტომ მალავდა, რომ იცოდა, ნათლიდედა ტინგოჩოს მოსწონდა. ამიტომ თავის თავს მეუჩო ასე ეუბნებოდა: თუ ამხანაგს გავუმჟღავნე, ჩემს წინააღმდეგ შური აღეძვრის, მერე, როგორც ნათლიას, თავის ნათლიდედას როცა უნდა, მაშინ შეუძლია დაელაპარაკოს და შეაძულოს ჩემი თავი და, ამნაირად, თავის დღეში ვერ ვეღირსები იმას, რასაც ქალისაგან მოველიო“.

ამგვარად, სანამ ეს ორი ყმაწვილი, როგორცა ვთქვით, ამ ქალის სიყვარულს ატარებდა გულში, ისე მოხდა, რომ ტინგოჩომ, რომელსაც უფრო ემარჯვებოდა ქალისათვის თავისი გული გადაეშალა, იმდენი მოახერხა როგორც სიტყვით, ისე საქმით, რომ ქალის გული მოინადირა და საწადელს ეწია. მეუჩომ ეს ყველაფერი გაიგო. მართალია, ძალიან გულს აკლდა, მაგრამ იმედს არა ჰკარგავდა, რომ ერთ დღეს მასაც ეღირსებოდა ნატვრის ასრულება. გარდა ამისა, იმისათვის რომ ტინგოჩოს არც საბაბი ჰქონდა და აღარც მიზეზი მისთვის ხელი შეეშალა საქმეში, თავი ისე დაიჭირა, თითქო ვერაფერს ამჩნევს თავის ამხანაგსაო.

ასე და ამგვარად, ორი მეგობარი თავიანთ სიყვარულის საგანს თავს დასტრიალებდა, თან ერთს უფრო უღიმოდა ბედი, ვიდრე მეორეს. ამასობაში ერთი ამბავი მოხდა. ტინგოჩომ ნათლიდედის მამულში მეტად ტკბილი და გულუხვი ნიადაგი ჰპოვა დასამუშავებლად და ისიც ისე ერთგულად შეუდგა ბარვასა და დამუშავებას, რომ ამის მიზეზით ავად გახდა; ავადმყოფობა რამდენიმე დღეში ისე გაურთულდა, რომ ვეღარ გაუძლო და სააქაოს განეშორა. გარდაცვალების მესამე დღეზე (ალბათ, უფრო ადრე ვერ მოახერხა) პირობისამებრ ღამით შემოვიდა მეუჩოს ოთახში და დაუძახა. მეუჩოს გულისძილით ეძინა. რომ გამოეღვიძა, იკითხა: „ვინა ხარ?“ ამაზე ტინგოჩომ უპასუხა:

„ტინგოჩო ვარ, რომ დაგპირდი — საიქიოდან მოვალ-მეთქი, აჰანდე, მოვედი და მინდა გიამბო საიქიოს ამბები“. მეუჩოს მის დანახვაზე, ცოტა არ იყოს, შეეშინდა, მაგრამ მერე ისევ გათამამდა და უთხრა: „მშვიდობა შენს მოსვლას, ჩემო ძმაო!“ მერე ჰკითხა, ხომ არ დაღუპულხარო? ამაზე ტინგოჩომ უპასუხა: „დაღუპული იმას გვიქვია, რასაც ვეღარ ვიპოვით ხოლმე; მე რომ დაღუპული ვყოფილიყავ, აქ რა მომიყვანდა!“ — „არა, — უთხრა მეუჩომ, — მე ამას კი არ გეკითხები, მე გეკითხები, იმ სულთა შორის ხომ არ ურევიხარ, ვინც ჯოჯოხეთის დაუშრეტელ ცეცხლში იწვიან?“ ტინგოჩიომ უპასუხა: — „არა, ჯოჯოხეთში არა ვარ, მაგრამ ჩემ მიერ ჩადენილი ცოდვების გამო მეტად მძიმე სატანჯველში ვიმყოფები“. მაშინ მეუჩომ დაწვრილებით დაუწყო გამოკითხვა ტინგოჩოს: თითოეულ აქ ჩადენილ ცოდვებისათვის სახელდობრ რა და რა სასჯელია საიქიოს განმზადებულიო? ტინგოჩომაც ყველაფერი უთხრა. ბოლოს, მეუჩომ ჰკითხა: ხომ არას დამავალებ, ძმაო, რომ სააქაოში შეგისრულოო. ტინგოჩომ

უთხრა, — როგორ არაო და სთხოვა: აწირვინე და პანაშვიდები გადაახდევინე, რათა ულხინოს ჩემს სულს, გლახაკები გაიკითხე, — ესენი ძალიან შველიან კაცს საიქიოშიო. მეუჩო დაჰპირდა: სიამოვნებით ვიზამ ყველაფერსაო.

ტინგოჩო, ის იყო, უნდა მოშორებოდა იქაურობას, რომ მეუჩოს მოაგონდა მისი ნათლიდედა, თავი ცოტათი მაღლა აიღო და უთხრა: ერთი რამ მომაგონდა, ჩემო ტინგოჩო! აქ რომ ნათლიდედას ჰყვარობდი, იმისათვის რა სასჯელი გაგიჩინეს საიქიოში?“ ამაზე ტინგოჩომ უპასუხა: „როცა საიქიოში მივედი, იქ ერთი კაცი დამხვდა. ამ კაცმა, როგორც ეტყობოდა, მთელი ჩემი ცოდვები ზეპირად იცოდა. ამან მიბრძანა ერთ ადგილას წავსულიყავი, სადაც საშინლად ვიტანჯებოდი და ისე დავტიროდი ჩემს ცოდვებს. აქ სხვებიც ბევრნი დამხვდნენ, რომელთაც ჩემგვარივე სასჯელი ჰქონდათ გაჩენილი. ვიდექ მათ შორის და რომ მოვიგონებდი, თუ რა ცოდვა ჩავიდინე ჩემს ნათლიდედასთან, მოველოდი, ჩემთვის უფრო მეტი სასჯელი განეჩინათ, ვიდრე მქონდა, და რომ წარმოვიდგენდი ამას, თუმცა გავარვარებულ დიდ ცეცხლში ვიმყოფებოდი, შიშისაგან სულ მაკანკალებდა. ერთმა ჩემს გვერდით მდგარმა კაცმა ეს შემამჩნია და მკითხა: აქ რომ არიან, იმათზე მეტი რა ისეთი ცოდვა გაქვს ჩადენილი, რომ ცეცხლში დგახარ და მაინც ასე კანკალებო? ამაზე ასე ვუპასუხე: ჩემო ძმაო, ისეთი ცოდვა მაქვს ჩადენილი, რომ ძალზე მეშინია ერთი სასჯელისა, ოდესღაც ჩემ მიერ ჩადენილი დიდი ცოდვისათვის-მეთქი. რა ცოდვა იყოო? — მკითხა. ვუპასუხე: რა იყო და ჩემს ნათლიდედას ვყვარობდი და ისე ძლიერადაც ვყვარობდი, რომ ჩემი ტყავი შიგ ჩავტოვე-მეთქი. ჩემი ნათქვამი სიცილად არ ეყო და მითხრა: ბრიყვი ვინმე ყოფილხარ, ჩემო ძმაო! ნათლიდედებთან წოლა აქ ცოდვად არ ითვლებაო. ეს რომ გავიგონე, გული სრულებით დავიმშვიდე“.

ეს სიტყვები რომ დაასრულა ტინგოჩომ, უკვე ინათა და მეუჩოს უთხრა: მშვიდობით, მეტს ვერ დავრჩები შენთანაო და უცბად გაუჩინარდა.

მეუჩომ რომ გაიგონა, ნათლიდედების ალერსი საიქიოში ცოდვად არ ითვლებაო, თავის სისულელეზე თვითონვე ეცინებოდა — რა ღმერთი გამიწყრა, რომ ნათლიდედებს ვზოგავდიო. ამიტომ ხელი აიღო თავის უვიცობაზე და ამიერიდან ამ მხრივ განსწავლული გახდა.

ეს რომ ძმა რინალდოს სცოდნოდა, იმდენ მჭევრმეტყველებას არ მიმართავდა, როცა ცდილობდა თავისი გულკეთილი ნათლიდედისათვის თავისი ნება აესრულებინა.

***

უკვე ნიავმა დაიწყო ქროლა, რადგან მზე დასავალს უახლოვდებოდა. ამ დროს მეფემ,

რაკი თავისი ამბავი გაათავა და სათქმელი სხვას აღარავისა რჩებოდა, თავიდან გვირგვინი მოიხადა, ლაურეტას დაადგა და უთხრა: „მადონა, თქვენისავე სახელითა გაგვირგვინებთ ჩვენი საზოგადოების დედოფლად. როგორც დედოფალმა, ბრძანეთ ყველაფერი, რაც, თქვენი აზრით, სასიამოვნო და სანუგეშო იქნება ყველასათვის“. ესა თქვა და დაჯდა.

დედოფალი რომ გახდა, ლაურეტამ იხმო სინისკალკო და მშვენიერ ღელეში ჩვეულებრივზე ცოტა ადრე სუფრა გააშლევინა, რომ მერე აუჩქარებლივ შესძლებოდათ სასახლეში დაბრუნება. მერე აუხსნა, თუ რა უნდა გაეკეთებინა მისი დედოფლობის განმავლობაში. შემდეგ მიუბრუნდა საზოგადოებას და უთხრა: „გუშინ დიონეოსა სურდა დღეს ველაპარაკა იმ ოინების შესახებ, რასაც ცოლები ქმრებს უშვრებიან: მე რომ იმისა არ მერიდებოდეს — დავემსგავსო იმ მყეფარ ძაღლებს. რომელნიც ცდილობენ დაუყოვნებლივ იძიონ შური მტრისა, — მაშინ გიბრძანებდით ხვალ გეამბნათ ის ოინები, რასაც ქმრები თავიანთ ცოლებს უშვრებიან ხოლმე. მაგრამ მე ამას თავს ვანებებ და გიცხადებთ: ყოველი თქვენთაგანი მოემზადოს გვიამბოს ის ოინები, რასაც ყოველდღე და ყოველ ჟამს ქალი კაცს, თუ კაცი ქალს, ან კაცი ვინმე სხვა კაცს უშვრება; და მე მგონია ამის შესახებ სასაცილო ამბები დღევანდელი დღის ამბებზე ნაკლები არ იქნება“. ესა თქვა, ზეზე წამოდგა და ვახშმობამდე საზოგადოებას ნება მისცა დაშლილიყო.

წამოიშალნენ ავრეთვე ქალები და კაცებიც. ზოგმა ფეხშიშველამ, კამკამა წყალში დაიწყო ჭყუმპალაობა, სხვები მწვანე ველს მოედვნენ ლამაზ და ტანაყრილ ხეებს შორის. დიონეო და ფიამეტა კარგა ხანს მღეროდნენ არჩიტას და პალემონეზე. ამგვარად, დიდხანს იხუმრეს და ილაღობეს და მეტად სასიამოვნოდ გაატარეს დრო ვახშმობამდე. ვახშმობის დრო რომ დადგა, პატარა ტბის ნაპირს მიუსხდნენ, ათასგვარ ფრინველთა ჭიკჭიკი სმენას უტკბობდათ, პატარა გორაკებიდან მომავალი ნელი სიო სულთქმას უმსუბუქებდათ, ერთი ბუზი რა არის, არ აწუხებდათ და მოსვენებითა და მხიარულად შეექცეოდნენ ვახშამს.

სუფრიდან რომ წამოიშალნენ, ერთხანს კიდევ მიიარ-მოიარეს მშვენიერ მინდორზე. მზე კიდევ სულ არ ჩასულიყო. დედოფლის სურვილის თანახმად, ნელი ნაბიჯით თავიანთი ჩვეულებრივი ბინისაკენ გამოემართნენ. ხუმრობდნენ და იცინოდნენ ათას რამეზე, როგორც ნაამბობ ამბებზე, ისე სხვებზე, და ასე უკვე დაღამებულზე მიადგნენ მშვენიერ სასახლეს. როცა აქ, ჩაცივებული ღვინოებისა და ტკბილეულობის საშუალებით, განვლილი პატარა გზის დაღლილობა უკუყარეს, მშვენიერი შადრევნის გარშემო ზოგჯერ ტინდაროს გუდა-სტვირისა და ზოგჯერაც სხვა საკრავის ხმას ფეხს აყოლებდნენ და თამაშობდნენ. ბოლოს დედოფალმა ფილომენას უბრძანა, აბა ერთი სიმღერა რამე თქვიო და იმანაც დაიწყო:

მე ცხოვრებამ მომიშხამა გუნება!

ჩანს, მომელის ისევ იქ დაბრუნება,

სად ვიყავი მთლად დარჩენის მდომელი.

მაგრამ ვარ კი გულმხურვალედ მთხოველი

ვარ მნატვრელი, რომ აქ დავრჩე კვალად მე,

მოვისწრაფი, სადაც წამი ყოველი

ო, დამდევი, ოცნებაო, ვალად მე

და, მფლობელო ტკბილო ჩემის გულისა.

მამცნე, რადგან სხვა ვერ მეტყვის ვერავინ,

— მომცილდება ტანჯვა გულის მსერავი,

მეღირსება მე მორჩენა წყლულისა?

დიდი იყო ნეტარება ზენარი,

ერთიანად რომ ამივსო მე გული,

რითაც ვიყავ დღეღამ მოუსვენარი

სმენა, ყნოსვა, ხილვა გაცეცხლებული

მქონდა მაშინ მეტის ძლიერებითა.

ამგვარ ცეცხლში მოქცეული ვიწვოდი,

მომარჩენდი მხოლოდ შენ მე, ვიცოდი,

ძველი ჩემი ძალის განახლებითა.

იმ ადგილის ნახვა თუ მეღირსება,

სადაც ვკოცნე ჩემი მწველი თვალები?

მითხარ, თუ გწამს შენ შენივე ღირსება,

კვლავ შეხვედრით როდის გავიალები?

თქვი: მალე-თქო, ამხსენ გულის ჭირები;

გთხოვ, მითხარი, რომ ეს მალე იქნება!

არ მოგცილდე, მომეც მაშინ იქ ნება.

რა მგამა, თუ ტრფობით გავიგმირები.

თუ კვლავ შეგხვდი, განშორებას დაგიშლი,

ჭკუა ისე აღარ გამომელევა,

როგორც მაშინ, ხელიდან რომ გაგიშვი,

არ იქნება კვალად შენი შელევა!

რომ დამიცხრეს გულში ვნების ჩქერალი,

უნდა კვლავაც დაგიკოცნო თვალები.

ო, ძვირფასო, მოდი, ნუ იმალები!

შენზე ფიქრმა გამხადა მომღერალი.

ამ სიმღერამ მთელ საზოგადოებას აფიქრებინა, რომ ფილომენა ალბათ ახალმა და ბედნიერმა სიყვარულმა მოიცვაო. და რადგან, როგორც მისსავე სიტყვებიდან ჩანს, ეს სიყვარული მას არამცთუ მარტოოდენ განჭვრეტილი ჰქონდა, არამედ უფრო ღრმად უნდა ჰქონოდა განცდილი, ზოგმა შენატრა და ზოგი კიდევ შურით აღივსო, მისდამი. მაგრამ როდესაც გათავდა მისი სიმღერა, დედოფალს მოაგონდა — შემდეგი დღე პარასკევიაო, და ყველას ალერსიანად უთხრა: „თქვენ იცით კეთილშობილნო ასულნო, და თქვენც, ყმაწვილებო, რომ ხვალინდელი დღე ჩვენის უფლის ვნებათა მოსაგონებლადაა დანიშნული. ეს ის დღეა, რომელიც, თუ კარგად მოიგონებთ, ჩვენ კეთილმსახურებით გავატარეთ, როცა დედოფლადა გვყავს ნეიფილე და როცა მხიარულ ამბებზე ხელი ავიღეთ და იგივე ვქენით შემდეგ შაბათსაც. ამიტომ მოდი, მივყვეთ ნეიფილეს მიერ მოცემულ კარგ მაგალითს და, ჩემის აზრით, უფრო მოსაწონი იქნება, რომ ხვალა და ზეგ თავი შევიკავოთ მხიარული ამბებისაგან, როგორც ესა ვქენით წარსულ დღეებშიც, და მოვიგონოთ ის, რაც მოხდა ამ დღეებში ხსნად სულთა ჩვენთა“.

ყველას მოეწონა კეთილმსახური სიტყვები დედოფლისა. მერე დედოფალმა ყველანი გაუშვა. ღამე უკვე კარგა იყო გადასული და ყველანი მოსასვენებლად გაემართნენ.

მერვე დღე

დასრულდა მეშვიდე დღე დეკამერონისა; დაიწყო მერვე დღე, როდესაც, ლაურეტას თავმჯდომარეობით, ჰყვებიან იმ ოინებზე, რომლებსაც ქალი — კაცს, ან კაცი — ქალს, ან ერთი კაცი — მეორე კაცს ყოველდღიურად ერთმანეთს უშვრებიან.

უკვე სულ მაღალ მთათა მწვერვალნი კვირა დილას ახლად დაბადებული სინათლის სხივებით შეიმოსნენ, გაჰქრნენ ყოველგან ჩრდილნი; შეიძლებოდა ყოველივე საგანი მკაფიოდ დაგენახათ, როცა დედოფალი თავის ამხანაგებთან ერთად სარეცელიდან წამოდგა. ჯერ ნამიან ბალახებზე გაისეირნეს, მერე მესამე საათის ნახევარზე ინახულეს ერთი პატარა მახლობელი ეკლესია და იქ საღმრთო წირვა მოისმინეს; შინ რომ დაბრუნდნენ, მხიარულად და სიამოვნებით საჭმელი მიირთვეს, ცოტათი იმღერეს და ითამაშეს; შემდეგ დედოფლის ნებართვით ვისაც უნდოდა, შეეძლო დასასვენებლად წასულიყო. მაგრამ როცა მზე შუადღეზე გადაიხარა, ყველანი ჩამოსხდნენ, როგორც ეს ენება დედოფალს, ლამაზი შადრევნის გარშემო ჩვეულებრივი ამბების დასაწყებად და, დედოფლის ბრძანების თანახმად, ნეიფილემ ასე მოაყოლა.

ამბავი პირველი. მოტყუებული ვერცხლმოყვარე ქალი

გულფარდო ფულს ესესხება გასპარუოლოს და მის ცოლს მისგან ნასესხებ ფულს შეპირდება, ოღონდ შენთან დამაწვინეო. გულფარდო ქალს ამ ფულს აძლევს და მერე ქალის თანდასწრებით გასპარუოლოს ეუბნება — ფული შენს ცოლს ჩავაბარეო, ცოლიც კვერს უკრავს, — მართალიაო.

თუკი ზეციერმა ასე ინება, რომ ეს დღე მე დავიწყო ჩემი ამბით, თანახმა გახლავართ. და რადგან, სასურველნო, ბევრი რამ ითქვა იმ ოინებზე, რომლებიც ქალებმა კაცებს უყვეს, მინდა გიამბოთ ერთი ოინი, კაცმა ქალს რომ უყო, მხოლოდ იმისათვის კი არა, რომ ამით კაცის საქციელი დავგმო, ან ვთქვა, რომ ქალს ეს არ დაუმსახურებია-მეთქი; პირიქით — მე მინდა ვაქო კაცი და დავძრახო ქალი, და გაჩვენოთ, რომ მამაკაცებსაც შეუძლიათ მოტყუება იმათი, ვინც მათ მიენდობიან, ისევე, როგორც ამ კაცებს გააცურებენ ის ქალები, ვისაც კაცები მიენდობიან ხოლმე. თუმცა, მართალი მოგახსენოთ, იმას, რაც მინდა, გიამბოთ, ოინი კი არ დაერქმის, არამედ სამაგიეროს გადახდა, რადგან ქალსა შვენის განსაკუთრებით ნამუსიანი იყოს, თავისი უბიწოება სიცოცხლისებრ დაიცვას და არავის შეაგინებინოს, და რადგან ჩვენი უძლურების გამო ამის დაცვა სავსებით, როგორც რიგი და წესია, შეუძლებელია, მე ვამტკიცებ, რომ კოცონზე დაწვის ღირსია ის ქალი, ვინც თავის უბიწოებას ფულის გულისთვის შეელევა,

ხოლო ვინც ამას სჩადის სიყვარულისთვის, რომლის ძალოვანება ყველასათვის ცნობილია, ასეთი ქალი ღირსია შენდობისა არც ისე ულმობელი მოსამართლის თვალში, რაიცა ჩვენ ამ რამდენიმე დღის წინათ გვიჩვენა ფილოსტრატომ მადონა ფილიპას შესახებ პრატოში.

ქ. მილანში ერთ დროს ცხოვრობდა ერთი გერმანელი, რომელიც ჯარისკაცად ემსახურებოდა ერთ თავადს. სახელად გულფარდო ერქვა. გულფარდო ცნობილი იყო, როგორც გულადი და ერთგული მოსამსახურე იმისი, ვისაც დაუდგებოდა სამსახურად, რაიცა ასე იშვიათია ხოლმე გერმანელებში. და რადგან როცა ფულს ესესხებოდა ვისმე, ყოველთვის პირნათლად უბრუნებდა; ვაჭრები, თუკი გულფარდო მიმართავდა, ყველანი დიდი სიამოვნებით ასესხებდნენ ხოლმე ფულს მცირე სარგებლით.

მილანში ცხოვრების დროს გულფარდოს შეუყვარდა ერთი საკმაოდ ლამაზი ქალბატონი ამბრუოჯია, ერთი მდიდარი ვაჭრის, გასპარუოლო კაგასტრაჩოს, ცოლი. კაგასტრაჩო კარგი ნაცნობი და მეგობარი იყო გულფარდოსი. ქალი ძალიან ფრთხილად უყვარდა, ასე რომ, ამას არც ქმარი ამჩნევდა და არც სხვა ვინმე გარეშე. ერთს დღეს ქალს მოციქული გაუგზავნა, გაუმჟღავნა თავისი სიყვარული და თანაგრძნობა სთხოვა: სამაგიეროდ, თქვენი ყურმოჭრილი ყმა ვიქნებიო.

ქალმა ბევრი ფიქრის შემდეგ შეუთვალა: მზადა ვარ შენი სურვილი ავასრულო, მხოლოდ ორი პირობით: პირველი პირობა ის იქნება, რომ ძეხორციელმა არ უნდა გაიგოს ჩვენი სიყვარულის ამბავი; მეორე პირობა კი ის არის, რომ მე ერთი რამისათვის ძალიან მჭირია ორასი ფლორინი ოქროთი და შენ, როგორც შეძლებულმა კაცმა, ეს ფული უნდა მიშოვო და მაშინ სულმუდამ მზად ვიქნები, ყველაფერში შენს ნებას დავყვეო.

გულფარდომ რომ გაიგო სიხარბე და სულმდაბლობა იმ ქალისა, რომელიც ღირსეულ და პატიოსან ადამიანად მიაჩნდა, საშინლად აღშფოთდა, თავისი მხურვალე სიყვარული თითქმის მძულვარებად შეეცვალა და გადაწყვიტა, მასხრად აეგდო. შეუთვალა: რასაცა მთხოვთ ან სხვას, რასაც შევიძლებ, და რაც თქვენ გენებებათ, დიდი სიამოვნებით შევასრულებო; მხოლოდ ახლა გთხოვთ შემომითვალოთ, როდის გენებებათ გეახლოთ და მოგართვათ, რასაცა მთხოვთ; ეს ძეხორციელს არავის ეცოდინება ერთი ჩემი მეგობრის გარდა, რომელსაც, როგორც ჩემს თავს, ისე ვენდობი და იმისაგან დასამალი ჩემს დღეში არა მქონია რაო.

ქალბატონმა, ანუ უკეთ საზიზღარმა დიაცმა, ეს რომ მოისმინა, გაიხარა და შეუთვალა: ჩემი ქმარი ამ დღეებში გენუაში მიდის თავისი საქმეებისათვის და როგორც კი წავა, მაშინვე შეგატყობინებ და დაგიბარებო.

გულფარდომ დრო იხელთა, მივიდა გასპარუოლოსთან და უთხრა: „ერთი რამე უნდა გავაკეთო, ამისათვის კი მჭირია ორასი ფლორინი ოქროთი და გთხოვ მასესხო იმ სარგებლით, რა სარგებელიც გამოგირთმევია ხოლმე ჩემთვის ფულის სესხების დროსო. გასპარუოლომ — სიამოვნებითო და მაშინვე ჩაუთვალა ფული.

რამდენიმე დღის შემდეგ, როგორც ქალმა თქვა, გასპარუოლო გენუაში წავიდა, ამიტომ ქალმა გულფარდოს შემოუთვალა: მოდი და თან ორასი ფლორინიც მოიტანეო. გულფარდომ გაიყოლა თავისი ამხანაგი და წავიდა გასპარუოლოს სახლში, სადაც ქალი ელოდებოდა. მივიდა თუ არა, ჯერ ორასი ფლორინი ჩაუთვალა ამხანაგის თანდასწრებით და უთხრა: „ქალბატონო, მიირთვით ეს ორასი ფლორინი და გთხოვთ გადასცეთ თქვენს მეუღლეს, როცა დაბრუნდება“. ქალმა ფული გამოართვა და იმას კი ვერ მიხვდა, თუ რად უთხრა ეს გულფარდომ; ეგონა, ალბათ გულფარდომ იმიტომ მითხრა, რომ მის ამხანაგს არ ჰგონებოდა, რომ ამ ფულს სიყვარულის სასყიდლად მაძლევდაო. ამიტომ ქალმა უთხრა: „დიდი სიამოვნებით გადავცემ, მხოლოდ ჯერ უნდა ვნახო, რამდენია“. ეს რომ თქვა, ფული მაგიდაზე დაყარა, დათვალა და რომ ნახა, ორასიაო, ძალიან გაეხარდა და შეინახა. მერე მოუბრუნდა გულფარდოს და თავის ოთახში შეიყვანა და არა მარტო ამ ღამეს ასიამოვნა, არამედ ბევრ სხვა ღამესაც, სანამ თავისი ქმარი გენუიდან დაბრუნდებოდა.

გასპარუოლო გენუიდან რომ დაბრუნდა, გულფარდომ ისეთი დრო შეარჩია, როცა გასპარუოლო ცოლთან ერთად იყო, პირდაპირ მივიდა მასთან და ცოლის თანდასწრებით უთხრა: „გასპარუოლო, ფული, ე. ი. ის ორასი ფლორინი, ამასწინათ რომ მასესხე, არ დამჭირებია, რადგან ის საქმე, რისთვისაც ფული გამოგართვი, ვერ გავაკეთე. ამიტომ მე მაშინვე მოვიტანე აქ შენს ცოლთან და მასვე გადავეცი; ახლა კარგი იქნება, თუ ჩემს თამასუქს გააუქმებ“. გასპარუოლომ ცოლს მიმართა და ჰკითხა, ხომ მიიღე ის ფულიო? ქალმა რომ დაინახა, რომ მონმეც იქვე იდგა, უარის თქმა ვერ მოახერხა და უთხრა: „მართალია, მივიღე, მხოლოდ დამავიწყდა, შენთვის მეთქვა“. მაშინ გასპარუოლომ უთხრა: გულფარდო, კმაყოფილი ვარ, წაბრძანდით, ფიქრი ნუ გაქვთ, თქვენს თამასუქს გავაუქმებო.

გულფარდო წავიდა, ხოლო გაცურებულმა ქალმა თავის ქმარს გადასცა თავისი სიბინძურის სასირცხვილო სასყიდელი და, ამნაირად, მოხერხებულმა საყვარელმა უხარჯოდ და უბორჯოდ დასტყუა ვერცხლმოყვარე ქალს ალერსი.

ამგავი მეორე. გაიძვერა მღვდელი

ვარლუნგოელი მოძღვარი ქალბატონ ბელკოლორესთან წვება, გირაოდ თავის ანათორას უტოვებს; დროებით ფილსა სთხოვს; მერე ფილს დაუბრუნებს და გირაოდ

დატოვებული ანაფორის გამოგზავნას შეუთვლის. ქალი უბრუნებს ანაფორას, მაგრამ ლანძღვასაც დააგანს.

როგორც ქალებმა, ისე კაცებმა ერთნაირად შეაქეს რაც გულფარდომ ხარბ მილანელ ქალს უყო. ამასობაში დედოფალი მიუბრუნდა პამფილოს და ღიმილით უბრძანა — აბა, ახლა შენ მოჰყევიო. პამფილომაც ასე დაიწყო: — ქალებო, თქვენ კი შემოგევლოთ ჩემი თავი! მე უნდა გიამბოთ ერთი პატარა ამბავი იმათ შესახებ, ვინც ჩვენ ნიადაგ შეურაცხგვყოფენ და ჩვენ კი ვერ მოგვიხერხებია სამაგიერო შეურაცხყოფა მივაგოთ, ე. ი. მღვდლების შესახებ, რომელთაც ჩვენი ცოლების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომი აქვთ გამართული და ჰგონიათ, როცა ერთ-ერთ მათგანს დაიმორჩილებენ, უეჭველად შენდობა მიენიჭებათ ყოველგვარ შეცოდებათა და სასჯელისათვის იმგვარადვე, თითქო ალექსანდრიიდან იქაური სულთანი გაბაწრული ჩამოეყვანოთ ავინიონშიო. ხოლო საბრალო ერისკაცთ არ ძალუძთ იგივე მიაგონ ამათ, თუმცა თავის ჯავრს იმით იყრიან, რომ მღვდლებზე არანაკლები მძვინვარებით ეძგერებიან ხოლმე ამ მღვდლების დედებს, დებს, მეგობრებსა და ქალებს. ამიტომ მე მინდა გიამბოთ ერთი სოფლური ტრფიალების ამბავი. ეს ამბავი უფრო სასაცილოა თავისი ბოლოთი, ვიდრე თავისი მრავალსიტყვაობითა, და ამ ამბისაგან თქვენ შეგიძლიათ ის ჭკუა ისწავლოთ, რომ მღვდლებს ყველაფერში არ უნდა ენდოთ ხოლმე.

სოფელ ვარლუნგოში, რომელიც, როგორც გეცოდინებათ, ანდა გაგონილი გექნებათ, აქაურობას დაშორებული არ არის, ცხოვრობდა ერთი ღირსეული და ქალების მსახურებაში ყოჩაღი და სწორუპოვარი მღვდელი. მართალია, წერა-კითხვა არ ემარჯვებოდა, მაგრამ მაინც ბევრი კეთილი და წმინდა სიტყვით დარიგებას აძლევდა ხოლმე თავის მრევლს კვირაობით, რთხმელის ძირას; ხოლო როცა მამაკაცები სადმე წავიდოდნენ სოფლიდან, მღვდელი მათი ცოლების სანახავად მიდიოდა ხოლმე. მასავით ერთგულად, რაც მანამდე მღვდლები იყვნენ, არც ერთი არ დადიოდა ქალებთან; თან მიჰქონდა საჩუქრად ეკლესიიდან გამოტანილი ხატები, ნაკურთხი წყალი, სანთლის ნამწვები და ისე არ მოშორდებოდა, სანამ ყველას არ დალოცავდა და არ აკურთხებდა.

ერთხელ იმ გლეხის ქალებს შორის, რომლებიც მას მოეწონა, ყველაზე მეტად თვალში მოუვიდა ერთი ქალი, ბელკოლორე, გლეხის, ბენტივენია დელ მაცოს ცოლი. ეს ქალი მართლაც რომ სანდომიანი და ლამაზი იყო, ჩამრგვალებული და შავგვრემანი. პურის ლეწვა კარგად იცოდა. გარდა ამისა, ყველაზე უკეთესად ემარჯვებოდა დაირაზე დაკვრა და მღერა ლექსებისა: „წყალი მირბის ხევისაკენ“. ან კიდევ, თამაშობის დროს ხელში ლამაზ ცხვირსახოცს რომ დაიჭერდა და კოხტად დაუვლიდა, ვერც ერთი მისი მეზობელი ისე მოხდენილად ვერა თამაშობდა. ყველა ამ ღირსებისათვის სოფლის მოძღვარს ისე ძლიერად შეუყვარდა, რომ ჭკუაზე შეშლილივით დადიოდა და მთელი დღე დაეხეტებოდა, ოღონდ კი სადმე თვალი მოეკრა ქალისათვის. როცა კვირაობით ეკლესიაში დაინახავდა და „წმიდაო

ღმერთო“-ს ან „უფალო, შეგვიწყალენ“-ის თქმას რომ დაიწყებდა, რომ ეჩვენებინა — დიდი მცოდნე ვარ გალობისაო, თავს ძალას აგანდა და ისე გაჰყვიროდა, გეგონებოდათ, სახედარი ყროყინებსო; ხოლო როცა ქალი არ იქნებოდა, თუ არ იგალობებდა ხმამაღლა, ამისათვის მაინცდამაინც არ ინაღვლებდა. თან ყოველივე ამას ისე ახერხებდა, რომ ვერც ქმარი ბენტივენია დელ მაცო და ვერც სხვა ვინმე მეზობელი ვერაფერს ამჩნევდნენ. ბელკოლორეს გული რომ უფრო მოეგო, ხშირად საჩუქრებს მიართმევდა; ხან თავის ხელით მოყვანილ ქორფა ნივრის კონას გაუგზავნიდა ხოლმე — თავის ბოსტანში იწევდა და იმისთანა ნიორი მთელს სოფელში არავისა ჰქონდა, — ხან პატარა კალანჩხით მწვანე მუხუდოს მიართმევდა, ხან კიდევ ახალი ხახვის კონას ან ყვავილებს. ხანდახან, როცა შეხვდებოდა, ცერად შეხედავდა და ტუჩებს ჩაიკვნეტდა. ქალი კი, ცოტა არ იყოს, ერიდებოდა და თავს იკატუნებდა, თითქო ვერც კი ამჩნევსო, და ისე თავდაჭერილად ჩაუვლიდა. ასე რომ, სოფლის მოძღვარს ფონს გასვლა ძალიან უჭირდა.

ერთხელ, შუადღის ხანს, მღვდელი სოფელში დაძვრებოდა. შემოხვდა ბენტივენია დელ მაცო, სახედარი სხვადასხვა ბოსტნეულით დაეტვირთა და წინ გაეგდო, გამოელაპარაკა და სადმიმავლობა ჰკითხა. ამაზე ბენტივენიამ უპასუხა: „მართალი მოგახსენოთ, მამაო, ქალაქში გეახლებით რაღაც საქმისათვის და ამ ვირის საპალნე რაღაც-რაღაცეები ბატონ ბონაკორი დი ჯინესტრეტოსთან მიმაქვს, რომ იქნებ დამეხმაროს საქმეში, რომლის გამო სისხლის სასამართლოს მოსამართლემ უწყებით სასწრაფოდ დამიბარა“ მღვდელს გაეხარდა და უთხრა: „ძალიან კარგსა შვრები, შვილო, გზა დამილოცნია და ვინძლო მალე დაბრუნდე; თუ ჩემი დიაკვანი ლოპუჩიო, ან მოსამსახურე ნალდინო სადმე შეგხვდეს, არ დაგავიწყდეს უთხრა — ჯაჭვისათვის ღვედი წამომიღონ“. ბენტივენია დაპირდა.

სანამ გლეხი ფლორენციისაკენ მიდიოდა, მღვდელმა იფიქრა: ახლა კი დროა, წავიდე ბელკოლორესთან და ბედი ვცადოო. მაშინვე გამოსწია საჩქაროდ და არსად შეფერხებულა, ისე ქალის სახლში მოვიდა. შიგ შევიდა და წამოიძახა: „მშვიდობა სახლსა ამას; დიასახლისი სადა ბრძანდება ნეტავი?“ ბელკოლორე სხვენზე იყო ასული, მღვდლის ხმა გაიგონა და ჩამოსძახა: „მამაო, თქვენა ბრძანდებით? კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ამ პაპანაქება სიცხეში, ნეტავი, რამ მოგიყვანათ“? მღვდელმა უპასუხა:

„ღმერთო, შენ შეგვიწყალე! მოვედი, ცოტა ხანს შენთან დავრჩე, იმიტომ რომ შენი ქმარი შემხვდა, ქალაქში მიდიოდა“. ბელკოლორე ძირს ჩამოვიდა, დაჯდა და კომბოსტოს თესლის გარჩევა დაიწყო, ამას წინათ მის ქმარს რომ დაეცეხვა. მღვდელმა ასე დაიწყო:

„ბელკოლორე ქალო, შეხედე შენს ღმერთს, ასე სადამდე უნდა მტანჯო?“ ბელკოლორეს სიცილი აუტყდა და უთხრა: „განა რა გიყავით?..“ – „შენ კი არაფერი გიქნია, — უთხრა მღვდელმა, — მაგრამ მე კი ნებას არ მაძლევ გიქნა ის, რაც მინდა და რასაც თვით ღმერთი

მიბრძანებს“. ამაზე ბელკოლორემ გაცხარებულმა უპასუხა: „დაიკარგეთ, დაიკარგეთ აქედან! განა მღვდლები ამისთანა საქმეს შვრებიან“? მღვდელმა უპასუხა: „შვრებიან და მერე როგორ? უნდა გითხრა, რომ სხვა კაცებზე უკეთესად შვრებიან, და მერე იცი, რატომ? იმიტომ რომ ჩვენ იშვიათად ვშვრებით. გარწმუნებ, მადლობელი დამრჩები, ოღონდ შენ ჩუმად იყავ და მე კი მიმიშვი“. ამაზე ბელკოლორემ უპასუხა: „მადლობელი საიდან დაგრჩები, როცა თქვენისთანა ქვაწვია ღმერთს არ გაუჩენია და კაცი ვერას დაგაძრობთ!“ მაშინ მღვდელმა უპასუხა: „რას ამბობ, ქალო, როდის იყო, რომ რაიმე მთხოვე და არ მოგეცი? მითხარი, რა გინდა: ფეხსაცმელები, ბაფთა თუ რამე თავიჩითი?“ ბელკოლორემ უპასუხა: „არა, მამაო, ესენი ყველაფერი მაქვს, მაგრამ თუ მართლა ჩემი სიყვარული იმდენად გაქვთ, ერთი სამსახური გამიწიეთ და მაშინ მეც თქვენს სურვილს აგისრულებთ“. მღვდელმა ამაზე უთხრა: „მითხარი და რაც გინდა, ყველაფერს სიამოვნებით შეგისრულებო“. ბელკოლორემ უთხრა: „შაბათს ფლორენციაში უნდა ჩავიდე; უნდა ჩავაბარო, რაც ძაფი დავართე მოცემული მატყლისაგან და თან თითისტარი გამიფუჭდა და ის უნდა გავაკეთებინო. თუ ხუთ ლირას მასესხებთ, — მე კი ვიცი, რომ გაქვთ, — წავალ და დავიხსნი ჩემს დაგირავებულ მუქლურჯ კაბასა და სადღესასწაულო ქამარს, რომლებიც მზითევში მომყვა; უამათოდ ვერც ეკლესიაში წამესვლება და ვერც სხვაგან სადმე რიგიან ადგილას; მერე კი სულ თქვენი ვიქნები და იმას ვიზამ, რასაც მეტყვით“. მღვდელმა უპასუხა: „სული არ წამიწყდეს, ეს ფული ეხლა ზედ არა მქონდეს; მაგრამ პატიოსან სიტყვას გაძლევ, შაბათამდე უეჭველად გიშოვნი“. — „გიცნობთ, შვილონიასა, რაც ხალხი ბრძანდებით ეკლესიის მსახურები, — უთხრა ბელკოლორემ, — დაპირებით კი მარჯვედ დაჰპირდებით ხოლმე კაცსა, მაგრამ დაპირებულის ასრულებაზე კი უკაცრავად ბრძანდებით; მეც ისე ხომ არ გნებავთ მომატყუოთ, როგორც ბილუცა მოატყუეთ და ცარიელ დაპირებას დააჯერეთ საწყალი ქალი? ეს ვერ მოგართვეს, არა, ღმერთმანი!.. იმიტომ, რომ სწორედ თქვენს შემდეგ გადაიქცა საცოდავი ქალი ყველას საჯიჯგნად!.. არა, თუ ფული ზედ არა გაქვთ, წადით და მოიტანეთ“. — „მტლედ დაგვედე, ახლა მაგის გულისთვის სახლში ნუღარ წამიყვან, — დაეღრიჯა მღვდელი, მით უფრო, ხომ ხედავ, შემთხვევამ ისე მოიტანა, რომ ახლა აქ არავინაა, და ჩემს დაბრუნებამდე შეიძლება ვინმე მოვიდეს და ხელი შეგვიშალოს; არა მგონია, ასეთი კარგი შემთხვევა, როგორიც ახლა გვაქვს, სხვა დროს გვექნეს“. მაშინ ქალმა უთხრა: „ძალიან კარგი, თუ წასვლა გინდათ, წადით, თუ არა და სანამ ფულს არ მომცემთ, თითსაც არ მიგაკარებინებთ“.

მღვდელი ხედავდა, რომ ქალს არ უნდოდა მის ნებას დაჰყოლოდა, თუ არ პირობით, ხოლო მას კი ეს საქმე უპირობოდ სწადდა და უთხა: „ვხედავ, რომ ჩემი არა გჯერა; იმისათვის, რომ მენდო, გირაოდ გიტოვებ ამ ჩემს ლურჯ ანაფორას.“ ბელკოლორემ თავი მაღლა აიღო და ჰკითხა: ეს ანაფორა? მერედა, რამდენად ეღირება? მღვდელმა უპასუხა:

„როგორ თუ რამდენად ეღირება? ჯერ ნახე და, რა საქონლისაა! ორმაგი თუ სამმაგი

ქსოვილია და ზოგს ოთხმაგი ჰგონია. ამ ორი კვირის წინათ ვიყიდე მეძველძულე ლოტოსგან: შვიდ ლირას ფეხი არ მოუცვალა და ხუთი სოლდოც მოვიგე, როგორც ეს ბულიეტომ მითხრა, და ის ხომ იცი, რა კარგი მცნობია ლურჯ მაუდებისა.“ — „მართლა? —ჰკითხა ბელკოლორემ, — ღმერთმანი, ჩემ დღეშიც არ დავიჯერებდი; რაკი მაგრეა, თანახმა ვარ, მხოლოდ ჯერ მომეცით“.

მღვდელმა, რომელსაც სული მისდიოდა მეტისმეტი გულისთქმისაგან, მოიხსნა ანაფორა და ქალს გადასცა. ქალმა ჩამოართვა, შეინახა და მაშინღა უთხრა მღვდელს: „აი, ამ საბძელში შევიდეთ, შიგ არავინ შემოვა“. ისეც მოქცნენ. აქ მღვდელმა დიდხანს უალერსა ქალს, სულ ტკბილად დაუკოცნა ყველაფერი. როცა გული იჯერა, ეკლესიაში კაბის ამარა დაბრუნდა, თითქო ქორწილში ყოფილიყო სადმე და იქიდან მოდისო.

მღვდელმა აქ იმაზე დაიწყო ფიქრი, რომ წელიწადში რაც ეკლესიაში შემოწირული სანთლის ნამწვი მომიგროვდება, ხუთის ლირის ნახევარს არც კი შეადგენსო. დაენანა, რომ ქალს ამდენს დაპირდა. საშინლად სწუხდა ანაფორის დატოვებას და იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ როგორ დაებრუნებინა უსასყიდლოდ, და რადგან, ცოტა არ იყოს, ეშმაკი კაცი იყო, მოიფიქრა, თუ როგორ უნდა დაებრუნებინა ანაფორა და შემდეგს გზას დაადგა.

მეორე დღეს რაღაც უქმე იყო. მღვდელმა მეზობლის ბავშვი მიუგზავნა ბელკოლორეს და სთხოვა: დღეს სადილად ბინგუჩიო დელ პოჯიო და ნუტო ბულიეტი მყავს დაპატიჟებული და საწებელისათვის თქვენი ფილი მათხოვეთო. ბელკოლორემაც ათხოვა. როცა სადილობის დრო დადგა, მღვდელმა ისეთი დრო შეურჩია, როცა ბელკოლორე და მისი ქმარი ბენტივენია დელ მაცო სადილად ისხდებოდნენ, იხმო თავისი დიაკვანი და უთხრა:

„აიღე ეს ფილი, ბელკოლორეს წაუღე და ასე უთხარი: მღვდელმა დიდი მადლობა შემოგითვალათ და გთხოვთ დაუბრუნოთ ანაფორა, ამ ფილის გირაოდ რომ დაგიტოვათ-თქო“.

დიაკვანი წავიდა ბელკოლორეს სახლში და ფილიც თან წაიღო. ცოლ-ქმარი სუფრას უსხდნენ და სადილს შეექცეოდნენ. დიაკვანმა ფილი ძირს დადგა და მღვდლის დანაბარები უთხრა ქალს. ბელკოლორემ რომ გაიგონა, ანაფორას მთხოვენ უკანაო, უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ ბენტივენიამ გულმოსულად შეუტია: „როგორ, ქალო, გირაოს ართმევ ხოლმე ხალხსა? ქრისტე უფალსა ვფიცავ, ახი იქნება შენზე, ერთი ცხვირიდან ძმარი გადინო!.. წადი, ახლავე დაუბრუნე, შე თვალებდასაბრმავებელო! იცოდე, შემდეგში რაც უნდა გთხოვოს, თუნდაც ჩვენი სახედრის წაყვანა მოინდომოს, ისიც კი არ უნდა დაუჭირო“.

ბელკოლორე ბეზღუნით წამოდგა, მივიდა ზანდუკთან, ამოიღო ანაფორა, გადასცა

დიაკვანს და დააბარა: „ჩემს მაგიერ მღვდელს ასე მოახსენე: ბელკოლორემ შემოგითვალა: ღმერთსა ვფიცავ, თქვენს სიცოცხლეში არ დაგანაყვინებთ ჩემს ფილში, რაკი ამის გამო ასე შემარცხვინეთ-თქო“.

დიაკვანმა წამოიღო წამოსასხამი, მოუტანა მღვდელს და თანაც დანაბარები მოახსენა. მღვდელმა ამაზე სიცილით უთხრა დიაკვანს: „როცა ნახო ის დედაკაცი, ასე უთხარი: თუ ფილს არ მათხოვებ, მე კიდევ ფილთაქვას არ გათხოვებ-თქო; თუ ერთი ძვირფასია, არც მეორეა ნაკლები-თქო“.

ბენტივენიამ იფიქრა, ჩემმა ცოლმა ეს სიტყვები მღვდელს ალბათ იმიტომ შეუთვალა, რომ მე გავუჯავრდიო და საიმისო ყურადღება არ მიუქცევია. ბელკოლორე მერე მღვდელს წაეჩხუბა და ყურძნის რთველამდე ხმა არ გაუცია. მაგრამ მერე მღვდელი დაემუქრა, შენს სულს ჯოჯოხეთის ეშმაკებს ჩავუგდებ საძიძგნელადო. ქალს შეეშინდა და შეურიგდა. მღვდელმაც ახალი წაბლი და შუშხუნა მაჭარი გამოუტანა შერიგებისათვის. და მერე ძალიან ხშირად ართობდნენ ერთიმეორეს. ხოლო ხუთი ლირის მაგიერ მღვდელმა ქალის დაირა ახლად გადააკვრევინა და ეჟვნები ჩამოაკიდებინა, რამაც ქალი ძალიან გაახარა.

ამბავი მესამე. უჩინმაჩინის ქვა

კალანდრინო, ბრუნო და ბუფალმაკო მიდიან მუნიონეს დაყოლებაზე ჰელიოტროპიის საძებრად. კალანდრინოსა ჰგონია, ვიპოვეო; შინ ქვებით დატვირთული ბრუნდება; ცოლი გაუწყრება; გაჯავრებული ცოლს მიამჟავებს, ხოლო თავის ამხანაგებს უამბობს იმას, რაც მათ კალანდრინოზე უკეთესად იციან.

პამფილოს ამბავი რომ გათავდა, ქალებს უზომო სიცილი აუტყდათ, მერე დედოფალმა ელიზას მიმართა და უბრძანა განგრძობა, და იმანაც სიცილით ასე დაიწყო. — სასურველნო, არ ვიცი, ჩემი მოთხრობით, რომელიც იმდენადვე მართალია, რამდენადაც სასაცილოა, შევძლებ თუ არა გაცინოთ ისე, როგორც პამფილომ გაცინათ თავისი მოთხრობით, მაგრამ მაინც ვეცდები.

ჩვენს ქალაქში, სადაც მიწყივ ყოფილა ნაირ-ნაირი ზნე-ჩვეულებაც და უცნაური ხალხიც, მას აქეთ დიდი ხანი არ არის, ცხოვრობდა ერთი მხატვარი, რომელსაც კალანდრინო ერქვა. კალანდრინო ვინმე უზაკველი და უცნაური ხასიათის კაცი იყო. უმეტეს დროს ორ მხატვართან ატარებდა. ერთს ერქვა ბრუნო, მეორეს — ბუფალმაკო. ეს მხატვრები საშინელი ხუმარები იყვნენ, მაგრამ სხვა მხრივ ყველანი წინდახედულებად და ჭკვიანებად სთვლიდნენ. კალანდრინოსთან ერთად დროსტარება უყვარდათ, რადგან მისი ჩვეულებებით და

მოსულელობით ძალიან ერთობოდნენ.

მსგავსადვე ცხოვრობდა ფლორენციაში ერთი ახალგაზრდა, საოცარი ხუმარა. რაც უნდა ექნა და რაც უნდა ეთქვა, ყველაფრით სიცილითა ხოცავდა მაყურებელთ. მიხვედრილი და შემაქცევარი იყო ყველასი. მაზო დელ საჯიო ერქვა. მაზომ ყური მოჰკრა კალანდრინოს სიბრიყვის ამბავს და განიზრახა გაემასხარავებინა როგორმე, — მოდი, ოინს ვუზამ რასმე ან ბრიყვულ რასმე დავაჯერებინებო. ერთხელ კალანდრინო სან ჯოვანის ეკლესიაში დაინახა. კალანდრინო იდგა და გულდასმით სინჯავდა მხატვრობას და ნახარატევს ფიცრისას, რომელიც იმას წინათ საკურთხევლის თავზე გაეკეთებინათ. მაზომ იფიქრა, სწორედ საუკეთესო დრო და ადგილია ჩემი გულისნადები ავისრულოო. გაანდო ერთ მეგობარს თავისი გულისწადილი და ორივე ახლოს ამოუდგნენ კალანდრინოს, რომელიც მარტოდმარტო იჯდა. ვითომ კალანდრინოს ვერც კი ხედავდნენ, ისე დაიწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ქვების თვისებებზე. მაზო ისე რიხიანად ლაპარაკობდა ამაზე, თითქოს სახელგანთქმული და დიდი მცოდნე ყოფილიყო ქვებისაო. კალანდრინომ ყური დაუგდო ამათ ლაპარაკს, მერე წამოდგა და რაკი ხედავდა, საიდუმლო არაფერიაო, მათთან მივიდა. მაზოს ეს ძალიან გაეხარდა და თავის ლაპარაკს ისევ განაგრძობდა. მაშინ კალანდრინომ ჰკითხა: ნეტავ სადა პოულობენ ასეთ საკვირველ ქვებსაო? მაზომ უპასუხა: უმეტესობა გვხდება ბროლინცონეში, ბასკების მხარესაო, ერთ ადგილას, რომელსაც ჰქვია ბენგოდი („ტკბილეულობა სუსნე“), სადაც ვაზებს ძეხვებით ააკრავენ ხოლმე ჭიგოებზე, ბატი ორ ფლურადა ღირს და სართად ბატის ჭუკსაც აძლევენო; აქვე ერთი მთაა, მთლად ჩვენებური ყველის პარმიჯანოსაგანაა, მხოლოდ დაფხვნილისაგანო; ამ მთაზე ხალხი ცხოვრობს და ეს ხალხი ერთთავად მაკარონებს და გუფთებს აკეთებს, მერე ყვერულების ნახარშში ხარშავენ და ქვევით ისვრიან, და ვინც უფრო მეტს დაიჭერს, იმას უფო მეტიცა რჩება; მახლობლად ვერნაჩიოს ღვინის ნაკადული სდის, ამაზე უკეთესი ღვინო ადამიანის პირს არ უგემია, და შიგ ერთი წვეთი წყალი არ ურევიაო. „იფ! — წამოიძახა კალანდრინომ, — აი, ადგილიც ასეთი უნდა, მე და ჩემმა ღმერთმა! მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, იმ მოხარშულ ყვერულებს რაღას უშვრებიან?“ – „სუყველას ბასკები ჭამენ“, — უპასუხა მაზომ.

„იქ ყოფილხარ როდესმე?“ — ჰკითხა კალანდრინომ. – „განა ერთხელ, ათასჯერ მეტად ვყოფილვარ!“ — უთხრა მაზომ. მაშინ კალანდრინომ ისევა ჰკითხა: „აქედან რამ სიშორეა?“

– „ათასი მილი ისე იქნება, როგორც ერთი“. — უპასუხა მაზომ. — „მაშ, აბრუციის იქით ყოფილა!“ – „ჰაი, ჰაი, რომ იქითაა, უფრო შორსაც“. — უპასუხა მაზომ.

გაგრია კალანდრინო რომ ხედავდა — მაზო ამას დამშვიდებული სახით ამბობდა და აღარც ეცინებოდა, ისე დაიჯერა მისი ნათქვამი, როგორც იჯერებენ ხოლმე ყოველ მართალს, ირწმუნა ყოველი გაგონილი და უთხრა: „ეს, სწორედ მოგახსენო, ძალიან მეშორება, თორემ

უფრო ახლოს რომ ყოფილიყო, შენთან ერთად წავიდოდი ერთხელ მაინც და ვნახავდი, როგორა დგას ხვავი ამ მაკარონისა და ერთს რჯულზე მივაძღებოდი! მაგრამ ერთი ეს მიბრძანე, შენს ლხენას, ჩვენს ქვეყანაში ხომ არსად გვექნება ასეთი საკვირველი თვისებების ქვები?“ ამაზე მაზომ უპასუხა: „ჩვენში ორგვარი ქვაა საშინელი ძალის მქონე: ერთია გრანიტის ქვა სეტინიანოსი და მონტიშისა. როცა ეს ქვები წისქვილის ქვებადაა გათლილი, იმის წყალობით ფქვილი კეთდება; და ამიტომაცაა, რომ ამ მხარეში ამბობენ: ღვთისგან წყალობა გამოდის, ხოლო მონტიშიდან — წისქვილის ქვებიო! მაგრამ ასეთი ქვები იმდენია, რომ ჩვენში ძალიან ცოტა ფასი აქვს ამ ქვებს, როგორც იმათში ზურმუხტს, რომლის მთები მთა მორელოზე მაღლებია. და ღამით კიდევ ეს ზურმუხტები ისე ანათებენ, რომ აბა რა გითხრა! და ისიც უნდა გითხრა, რომ ვინმე რომ გამოჩნდეს და ეს დამზადებული ლამაზი წისქვილის ქვები შემოსალტოს და სულთანს წაუღოს ძღვნად, სამაგიეროდ რაც უნდა სთხოვოს, სულთანი არ დაუჭერს. არის მეორენაირი ქვაცა, რომელსაც ჩვენ, ქვების მცნობი ხალხი, ჰელიოტროპიას ვეძახით. აბა, ძალა თუ გინდა, ამ ქვასა აქვს! ვინც ამ ქვას ატარებს, თუ ზედ აქვს, სხვა ვერავინ დაინახავს, საცა არის!“ მაშინ კალანდრინომა თქვა: „მართლა რომ დიდი ძალისა ყოფილა! მაგრამ ეს მეორენაირი ქვა სადღა იპოვება?“ ამაზე მაზომ უპასუხა, ამ ქვას მუნიონეშიაც პოულობენო. კალანდრინომ კვლავ ჰკითხა: „სიმსხო როგორი აქვს ამ ქვასა, ან კიდევ რა ფერისაა ხოლმე?“ მაზომ უპასუხა: „სხვადასხვა სიდიდისაა, ზოგი დიდია და ზოგი პატარა, მაგრამ ფერად კი ყველა თითქო შავი ფერისაა“.

კალანდრინომ მაზოს ნათქვამი ყველაფერი დაიხსომა და, ვითომ სხვა საქმე გამოუჩნდაო, მაზოს მოშორდა. გადაწყვიტა ამ ქვის ძებნას შესდგომოდა; მაგრამ არც ის უნდოდა, რომ ქვის საძებნელად წასულიყო ისე, რომ არ შეეტყობინებინა ბრუნოსა და ბუფალმაკოსათვის, რომლებიც განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა. და აჰა წავიდა ამათ საძებნელად, რათა დაუყოვნებლივ, სხვას რომ არავის დაესწრო, წასულიყვნენ საძებნელად; მთელი დანარჩენი დრო დილისა მათ ძებნას მოანდომა. ბოლოს, როცა უკვე ცხრა საათს გადასული იყო, მოაგონდა, ესენი ხომ ფაენცაში დედათა მონასტერში მუშაობენო, და თუმცა ძალიან ცხელოდა, თავის საქმეს ყველაფერს თავი დაანება და თითქმის სირბილით გაიქცა მათკენ. მონასტერში რომ მივიდა, გამოუძახა და უთხრა:

„ჩემო მეგობრებო, თუ დამიჯერებთ, ჩვენისთანა მდიდარი ფლორენციაში სხვა არავინ იქნება, იმიტომ რომ მე ერთი სანდო კაცისაგან გავიგე, მდინარე მუნიონეში თურმე ერთნაირი ქვაა, ვინც ამ ქვას თან ატარებს, სხვისთვის ეს ქვიანი კაცი უჩინარი იქნება;

ამიტომ სანამ სხვა ვინმე წავიდოდეს და დაგვასწრებდეს, დაუყოვნებლივ უნდა წავიდეთ საძებნელად. ჩვენ ამ ქვას უეჭველად ვიპოვით, იმიტომ რომ მისი გამოცნობა ვიცი; როცა ვიპოვით, ჩავილაგოთ ჯიბეში და წავიდეთ ზარაფებთან, რომლებიც, როგორც იცით, სულ მუდამ დატვირთულნი არიან შავი ფულითა და ფლორინებით, და იმდენი ავიღოთ, რამდენიც

ჩვენს სულსა და გულს ენებება. ვერც ვერავინ დაგვინახავს. ამგვარად, გავმდიდრდებით და იძულებული აღარ ვიქნებით ყოველდღე კედლებზე აჩხა-ბაჩხები გამოვიყვანოთ, თითქო ზედ ლოკოკინებს უხოხავთო“.

ბრუნომა და ბუფალმაკომ, ეს რომ გაიგონეს, ერთმანეთს შეხედეს და გაეცინათ, მერე ურთიერთს თვალი უყვეს და, თითქო ძალიან გაიკვირვესო, მეტად შეაქეს კალანდრინო რჩევისათვის, ხოლო ბუფალმაკომ ჰკითხა: ხომ არ იცი, ამ ქვას რა ჰქვია სახელადაო? კალანდრინოს, როგორც ოტროველას, ქვის სახელი დაავიწყდა და ამიტომ უპასუხა:

„სახელი რაღად გვინდა, როცა თვითონ ძალა ვიცით ქვისა: ჩემის აზრით, არ უნდა დავაყოვნოთ და ახლავე წავიდეთ საძებნელად“. – „კარგი და, — უთხრა ბრუნომ, — რა სახისაა ეს ქვა?“ კალანდრინომ უპასუხა, ფერით კი ყველანი შავები არიან, ამიტომ მე მგონია, რაც შავი ქვა შეგვხდება, ყველა ავკრიფოთ, სანამ რასაც ვეძებთ, იმ ქვას არ წავაწყდებით; ამიტომ დროს ნუღარ ვკარგავთ და წავიდეთო. ამაზე ბრუნომ უპასუხა:

„დამაცა“. მერე მიუბრუნდა ბუფალმაკოს და უთხრა: „ჩემის აზრით, კალანდრინო ჭკვიანურად ლაპარაკობს, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის, რადგან მზე მაღლა დგას, მუნიონეს პირდაპირ ჩასცქერის და ქვები ყველა გამშრალა მისი სხივებისაგან და ზოგი მათგანი ახლა კაცს თეთრები ეგონება, დილით კი სანამ მზე გააშრობდეს, შავი ფერისად გამოჩნდებიან; გარდა ამისა, მუნიონეში დღეს ბევრი ხალხი იქნება სხვადასხვა საქმისათვის მისული, რადგან სადაგი დღეა; ჩვენ რომ დაგვინახავენ, ვაითუ მიხვდნენ, რისთვისაც მივდივართ, და ვინ იცის, იმათაც მოინდომონ იმისავე გაკეთება; ასე რომ, ვაითუ ქვები სხვებს ჩაუვარდეთ ხელში და ჩვენ კი ტყუილა სიარული შეგვრჩეს; მე მგონია, თუ თქვენც დამეთანხმებით, ეს საქმე დილით უნდა გავაკეთოთ, როცა შავისა და თეთრის გარჩევა უფრო ადვილია და უქმეც ავირჩიოთ, როცა იქ არავინ იქნება, რომ ჩვენი დანახვა შეეძლოს“. ბუფალმაკომ აქო ბრუნოს რჩევა, კალანდრინოც დაეთანხმა და გადაწყვიტეს კვირა დილას წასულიყვნენ ამ ქვის საძებრად. კალანდრინომ დიდი თხოვნითა სთხოვა — ქვეყანაზე ძეხორციელს არ უთხრათ ეს ამბავი, რადგან მე თვითონ საიდუმლოდ გამანდესო. ამასთან ისიც უთხრა, რომ არსებობს ერთი მხარე, რომელსაც „ტკბილეულობა სუსნე“ ჰქვიან და ეფიცებოდა, მართლა არის ისეთი ქვეყანაო.

კალანდრინო რომ მოშორდა, ამ ორმა თავიანთ შორის თათბირი გამართეს, როგორ უნდა მოვიქცეთო. კალანდრინო სული სულზე მოელოდა კვირის გათენებას. კვირას დილაადრიან წამოდგა და დაუძახა ამხანაგებს. სამნივე სან გალოს კარებიდან გავიდნენ, ჩავიდნენ მუნიონეში, დაიწყეს აქით-აქეთ სიარული და ქვის ძებნა. კალანდრინო, როგორც უფრო მეტად მონადინებული, წინ მიდიოდა, სწრაფად ხტებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე და შავ ქვას თვალს მოჰკრავდა თუ არა, მივარდებოდა ასაღებად და მერე უბისაკენ

მიაქანებდა. ამხანაგები უკან მისდევდნენ და ხან ერთ ქვას აიღებდნენ და ხან მეორეს. კალანდრინოს სულ ცოტა გზა ჰქონდა გავლილი, რომ უბე უკვე გაევსო ქვებითა; ამიტომ ახალუხის კალთები აიწია, წვერები ქამარში ამოუყარა და ამნაირად განიერი ტომარა გამოუვიდა. მალე ესეც გაავსო, შემდეგ წამოსასხამი ტომრის მსგავსად შეკრა და ისიც გაავსო ქვებითა.

ბუფალმაკომა და ბრუნომ რომ დაინახეს, კალანდრინო ქვებით დაიტვირთა და ჭამის დრო უახლოვდებოდათ, ბრუნომ როგორც წინასწარ შეთანხმებულები იყვნენ, ბუფალმაკოს ჰკითხა: „სად არის კალანდრინო?“ ბუფალმაკომ, რომელსაც კალანდრინო თავის ახლოს ეგულებოდა, მიათვალ-მოათვალიერა და უპასუხა: „არ ვიცი, წეღან კი ჩვენს წინ იდგა“. ბრუნომ ამაზე ასე უთხრა: „თუმცა სულ ახლახან აქ იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ახლა სახლშია დაბრუნებული და თავისთვის არხეინად სადილობს, ჩვენ კი აქ თავი მიგვანება, გვამასხარავებს და მუნიონეს ჩაყოლებაზე შავ ქვებს გვაძებნინებს“. — „ერთი დახე, რა ეშმაკურად მოიქცა! — წამოიძახა ბუფალმაკომ, — ორივე მოგვატყუა და აქ დაგვტოვა. ჩვენც იმდენად სულელები გამოვდექით, რომ იმას დავუჯერეთ! შენს ლხენას, აბა ერთი მითხარი, თუ არ ჩვენისთანა სულელი, სხვა ვინმე დაუჯერებდა, რომ მუნიონეში ასეთი ჯადოსნური ქვის პოვნა შეეძლო კაცს?!“ კალანდრინოს ეს სიტყვები რომ ესმოდა, წარმოიდგინა, ის ჯადოიანი ქვა ხელში ჩამვარდნიაო და იმის ჯადოს წყალობითაა, რომ გვერდით ვუდგევარ და მაინც ვერა მხედავენო. უზომოდ გაიხარა, რომ ასეთი ბედი ეწია და გადაწყვიტა მათთვის ხმის გაუცემლად შინ დაბრუნებულიყო. მოტრიალდა და გაუდგა გზას. ბუფალმაკომ ეს რომ დაინახა, ბრუნოს უთხრა: „რაღას ვუცდით, ჩვენ კი აღარ წავიდეთ?“ ამაზე ბრუნომ უპასუხა: „წავიდეთ, მაგრამ, მაშ მე ღმერთი გამიწყრეს და კაცი არ ვყოფილვარ, თუ კალანდრინოს მეორეჯერ ასე მოვატყუებინო თავი!“ აი გაუწყრა ღმერთი, რომ იმის ახლო არა ვარ, როგორც ამ დილას ვიყავ, თორემ, ღვთის წყალობა გაქვს, ეს რიყის ქვა მისთვის შიგ კოჭებში ისე მედრუბა, რომ მთელ თვეს ხსომებოდა თავისი ხუმრობა!“ ესა თქვა თუ არა, თვალის დახამხამებაში მოიქნია ქვა და კალანდრინოს შიგ ფეხში მოარტყა. კალანდრინოს ძალიან ემწვავა და დაიკრუსუნა, მაგრამ მერე ისევ ხმა ჩაიწყვიტა და წინ გადადგა ფეხი. ბუფალმაკომ აიღო ერთი შეგროვილი ქვათაგანი და ბრუნოს უთხრა: „რა ლამაზი ქვაა! ახი არ იქნებოდა, კალანდრინოსათვის ერთი შიგ ზურგში მიმეყოლებინა!“ ესა თქვა და ესროლა ზურგში.

რა ბევრი გავაგრძელოთ, ხან რას იტყოდნენ და ხან რასა და ასე ლაპარაკ-ლაპარაკით აჰყვნენ მდინარე მუნიონესა და სან გალოს კარებამდე მივიდნენ. აქ შეგროვილი ქვები ძირს დაყარეს და საბაჟოს დარაჯებს გამოელაპარაკნენ. დარაჯები წინდაწინვე იყვნენ გაფრთხილებულნი ბრუნოსა და ბუფალმაკოს მიერ და თავი ისე აჩვენეს, ვითომც არც კი დაუნახავთ კალანდრინო და ისე გაუშვეს, რომ მისთვის არაფერი უთქვამთ და თვითონაც სიცილით იფხრიწებოდნენ. კალანდრინო არსად გაჩერებულა, ისე მოვიდა სახლში, რომელიც

კანტო ალა მაჩინასთან იყო. მთელმა ხუმრობამ იმდენად მოხერხებულად ჩაიარა, რომ კალანდრინოს არც მაშინ, როდესაც მდინარისაკენ მიდიოდა, და აღარც უკან დაბრუნებისას, როცა ქალაქში შემოდიოდა, არავინ გამოლაპარაკებია, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ მაგდენი არც არავინ შეხვედრია, რადგან სადილობის დრო იყო და ყველანი სუფრას უსხდნენ.

ამგვარად, ქვებით დატვირთული კალანდრინო შინ შემოვიდა. მისი ლამაზი და ღირსეული ცოლი მონნა ტესა კიბის თავზე იდგა; ცოტა არ იყოს, გულმოსული გახლდათ, რომ კალანდრინომ ასე დაიგვიანა. რომ დაინახა, ქმარი მოდისო, დაუწყო ლანძღვა:

„ადამიანო, რა ღმერთი გაგიწყრა, აქამდე სად იყავ? უკვე ყველამ ისადილა და შენ კი ახლა მობრძანდები სადილად!“ კალანდრინომ ეს რომ გაიგონა, მიხვდა — დამინახესო, აღივსო დარდითა და წყენითა და უთხრა ცოლს: „შე წყეულო, აქ რადა ხარ? ხომ დამღუპე, მაგრამ მაღალ ღმერთსა ვფიცავ, არც შენ დაგაყრი ხეირს!“. ეს რომ უთხრა, შევიდა ერთ პატარა ოთახში, წყლის პირას მოგროვილი ქვები იქ დაყარა, გაშმაგებული მივარდა ცოლს, დაავლო ხელი ნაწნავებში, ფეხებქვეშ ჩაიგდო და რაც შეეძლო დაურთო მუშტი და წიხლები, ასე რომ დაუწიწკნავი თავზე თმა არ შეარჩინა და მთელს ტანზე ძვალი უცემელი, თუმცა გულხელდაკრეფილი ცოლი ემუდარებოდა, — ნუ მომკლავ, ღვთის გულისათვის, შემიბრალეო.

ბუფალმაკო და ბრუნო ერთხანს კიდევ იცინოდნენ საბაჟოს დარაჯებთან ერთად და მერე ნელი ნაბიჯით შორიახლო გამოჰყვნენ უკან კალანდრინოს და მისი სახლის ზღურბლთან რომ მოვიდნენ, მოესმათ, როგორ უმოწყალოდ სცემდა თავის ცოლსა. ვითომ ეს-ეს არის, მოვედითო და დაუძახეს. მთლად ოფლში გაწურულმა, წამოჭარხლებულმა და ქშენაავარდნილმა კალანდრინომ ფანჯარაში გამოიხედა და გადმოსძახა — მაღლა ამოდით, ჩემთანაო. ამათ თავი ისე მოაჩვენეს, ვითომ მაინცდამაინც არ ეხალისებოდათ მასთან ასვლა. მაინც ავიდნენ და დაინახეს, ერთი ოთახი სულ ქვებით იყო სავსე, ხოლო ერთ კუთხეში ქალი მიმჯდარიყო და გულამოსკვნითა ტიროდა თმაგაწეწილი, ტანისამოსშემოხეული, ნაცემი და სახედალებილი; ხოლო მეორე მხარეს თვით კალანდრინო იჯდა, ქამარშემოხსნილი და ქშენაავარდნილი, თითქოს მძიმე რამ საქმე ეკეთებინა და დაღლილაო. იქაურობას თვალი რომ მიავლ-მოავლეს, ჰკითხეს:

„კალანდრინო, ე რა ამბავია? სახლის შენებას ხომ არ აპირებ, რომ ამოდენა ყორე დაგიყენებია ქვებისა!“ მერე დაუმატეს: „მონნა ტესას რაღა დამართნია?“ კალანდრინო, მოქანცული ქვების ზიდვითა და სიბრაზით, რომლითაც ცოლსა სცემდა, აგრეთვე დარდითა, რადგან, მისი აზრით, ბედი ხელიდან გაუსხლტა, ეწვალა, მაგრამ იმდენი ვეღარ მოახერხა, პასუხად მთელი სიტყვა ეთქვა. ამიტომ ბუფალმაკომ ცოტა დაუცადა და ისევ დაიწყო: „შენ

თუ სხვა რამ გაწუხებდა, ჩვენ რა შუაში ვიყავით, შე კაი კაცო, რაღად გვაწვალე? წაგვიყვანე შენთან ერთად ძვირფასი ქვების საძებრად და მერე ისე წამოხვედი, რომ არც „მშვიდობით“ გვითხარ და აღარც „ჯანდაბას“, დაგვტოვე მუნიონეზე, თითქო ცხვრები ვყოფილიყავით, თვითონ კი აქეთ წამოსულხარ!.. სწორე გითხრათ, შენი საქციელი ძალიან გვეწყინა. ახლა ხომ მოგვატყუე, მაგრამ მორჩა, მეორეჯერ ვეღარ გვიზამ ასეთ ოინსა!“ ამაზე კალანდრინომ თავს ძალა დაატანა და ასე უპასუხა: „ნუ ჯავრობთ, თქვენი ჭირიმეთ, საქმე არც ისე გახლავთ, როგორც თქვენა ფიქრობთ. ვაი მე უბედურის დღის გაჩენილს! იქ ქვა ვიპოვნე. ახლა გნებავთ დაგიმტკიცოთ, რომ მართალს ვამბობ? როცა, ჯერ ეს ერთი, თქვენ ერთიმეორეს ეკითხებოდით ჩემს შესახებ და მეძებდით, თქვენს ახლოს ვიყავ. სულ არ იქნებოდა ათი წუთის სავალი მანძილი, რომ დავინახე თქვენც მოდიოდით და მე კი ვერა მხედავდით, მეც ავიღე და გაგისწარით და მთელი გზა თქვენზე წინ მოვდიოდი“. ამნაირად, თავიდან მოჰყვა და ბოლომდე უამბო, თუ რაქნეს ან რა ილაპარაკეს ბუფალმაკომა და ბრუნომ. მერე უჩვენა კოჭები და ზურგი, საცა ქვა მოახვედრეს და სულ ერთიანად დაულებეს. და შემდეგ განაგრძო: „უნდა მოგახსენოთ, რომ ქალაქის კარებში რომ შემოვდიოდი, აქ რომ ხედავთ იმ ქვებიანად, ხმა არავის გაუცია ჩემთვის, და თქვენ კი მოგეხსენებათ, თუ რა საზიზღარი ხალხია საბაჟოს დარაჯები, რომელთაც უნდათ ყველაფერი გასინჯონ და ნახონ ხოლმე, რაც ადამიანს მიაქვს. გარდა ამისა, გზაში ზოგი ჩემი ნათლიმამა და მეგობრები შემხვდნენ, რომლებიც, როცა კი მნახავენ, ისე არ გამიშვებენ, სასმელად არ დამპატიჟონ ხოლმე, და არც ერთ მათგანს ხმა— კრინტი არ დაუძრავს, იმიტომ რომ არავის ვუნახივარ. ბოლოს, შინ რომ მოვედი, ეს შეჩვენებული და ეშმაკის კერძი დედაკაცი გამომეგება და დამინახა, იმიტომ რომ, როგორც მოგეხსენებათ, ქალები ყოველივე ნივთს თავის ძალასა და ჯადოს უკარგავენ ხოლმე. ასე და ამგვარად, მე, ვისაც შემეძლო მეთქვა — ფლორენციაში ჩემისთანა ბედნიერი კაცი არ არის- მეთქი, ახლა ყველაზე უბედური გავხდი; ამიტომ რაც ძალა და ღონე მერჩოდა, არ დამიზოგავს და უღმერთოდა ვცემე, ახლაც არ ვიცი, რა მაკავებს, რომ მივვარდე და მისი სისხლიც დავღვარო. აი ღმერთმა დასწყევლოს ის საათი, როცა ის პირველადა ვნახე და ჩემს სახლში ფეხი შემოვადგმევინე ჩემ ჭირად და დამღუპველად!“ კალანდრინოს ამის თქმასზე ხელახლა მოერია ბრაზი და უნდოდა ხელახლა მივარდნოდა ცოლს საცემად.

ბუფალმაკოსა და ბრუნოს კალანდრინოს ნათქვამი რომ ესმოდათ, ვითომ საშინლად გაიოცეს, თვითონ კი ძლივს იკავებდნენ თავს, რომ საშინლად არ გადაეხარხარათ, მაგრამ რომ დაინახეს, კაცი ადგომას აპირებს და ცოლის ხელახლა საცემად იწევსო, წამოდგნენ, კალანდრინო გააჩერეს და უთხრეს: ამ საქმეში შენს ცოლს არავითარი ბრალი აქვსო, თუ ვინმეა დამნაშავე, ისევ შენა ხარ: რაკი იცოდი, რომ ქალებს შეუძლიათ საგნებს ჯადოსნური ძალა ჩამოაცილონ, შე კაი კაცო, რატომ არ უთხარი შენს ცოლს, ამ დღეს მორიდებოდა შენს შეხვედრას; და აი ეს წინდახედულება ღმერთმა წაგართვა ან იმიტომ, რომ სწორედ ბედი უნდა ყოფილიყო შენი ასეთი, ანდა იმიტომ, რომ განგიზრახავს შენის ამხანაგების მოტყუება,

რომელთათვის, იპოვე თუ არა ქვა, ვალდებული იყავ შეგეტყობინებინა ეს ამბავიო.

ბევრი საყვედურის შემდეგ კალანდრინო რის წვალებით შეარიგეს განაწყენებულ ცოლთან; დაძმარებული, ქვებით სავსე სახლში დატოვეს და თვითონ კი იქაურობას გაეცალნენ.

ამბავი მეოთხე. დასჯილი ცუდმეძღვარი

ფიეზოლეს წინამძღვარს ერთი ქვრივი უყვარს; ქვრივს კი არ უყვარს; წინამძღვარს ეგონა, ქვრივთან ვწევარო და თურმე ქვრივის მოახლეს კი ამოსწოლია; ქვრივის ძმებმა წინამძღვარი ეპისკოპოსს ჩაუგდეს ხელში.

ელიზა თავის მოთხრობის ბოლომდე ჩავიდა და მსმენელები მეტისმეტად ასიამოვნა. ამ დროს დედოფალი ემილიას მიუბრუნდა და უბრძანა, ელიზას შემდეგ ახლა იმას მიეყოლებინა თავისი მოთხრობა. ამანაც მაშინვე ასე დაიწყო: პატივცემულო მანდილოსანნო! მღვდლები, ბერები და, საერთოდ, სასულიერონი თუ რამდენად მაცთუნებელნი არიან ჩვენი სულისა, ეს, რამდენადაც მაგონდება, ნაჩვენები იყო ბევრ აქ თქმულ მოთხრობაში. მაგრამ ამ საგანზე რაც არ უნდა ბევრი ილაპარაკოს კაცმა, სათქმელი კიდევ დარჩება; უკვე ნათქვამის შესავსებად მინდა გიამბოთ ამბავი ერთი მოძღვრისა, რომელიც არ დაერიდა ქვეყნის სირცხვილს და მოინდომა თავის ნებაზე დაეყოლიებინა ერთი ღირსეული მანდილოსანი, და იმას არც კი კითხულობდა, ქალს სურდა მისი სიყვარული თუ არა. ხოლო მანდილოსანი მეტად ჭკვიანი გამოდგა და ისე მოექცა, როგორც ეკადრებოდა ასეთ მოძღვარს.

როგორც ყველა თქვენთაგანმა იცის, ფიეზოლე, რომლის გორაკი აქედანა სჩანს, სულ უძველესი და დიდი ქალაქი იყო, თუმცა დღეს ამ ქალაქის მარტოდენ ნანგრევებიღაა დარჩენილი. არ ყოფილა ისეთი დრო, როცა ფიეზოლეს თავისი ეპისკოპოსი არ ჰყოლოდეს და დღესაც ჰყავს.

ამ ქალაქის საკათედრო ტაძრის ახლო იდგა ერთი აზნაურის ქვრივი, რომელსაც ქალბატონ პიკარდას ეძახდნენ. აქა ჰქონდა მამული და შიგ პატარა სახლიც ედგა. და რადგან ქალი მაინცდამაინც მდიდარი არ იყო, აქ ატარებდა წელიწადის უმეტეს ხანს. მასთანვე ცხოვრობდა ორი მისი ძმა, ორივე, რაც შეიძლება, კარგები და თავაზიანები. ეს ქვრივი საკათედრო ტაძარში დადიოდა და რაკი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ლამაზი და სანდომიანი იყო, გულში მისი სიყვარული იმ ზომამდე შეუვიდა ამ ტაძრის წინამძღვარს, რომ არ იცოდა, რა ექნა, უიმისოდ როგორ გაეძლო. ცოტა ხანში ისე გაუჯდა ქვრივის სიყვარული და ისეც გათამამდა, რომ თვითონ გამოუცხადა ქალს თავის გრძნობა და სთხოვა: მოხედე ღმერთს

და შენც ისევე შემიყვარე, როგორც მე მიყვარხარო.

წინამძღვარი წლოვანებით უკვე მოხუცი იყო, მაგრამ გული კი ისევ ახალგაზრდული ჰქონდა, გამბედავი და ლაღი; თავის თავზე დიდის წარმოდგენისა იყო; ურთიერთობაში ისე იპრანჭებოდა და იგრიხებოდა, ისე გულისამრევად იქცეოდა, ისე აბეზრებდა ყველას თავს და გულს უწყალებდა, რომ არავინ იყო მისი პატივისმცემელი ან ისეთი, რომ არ ზიზღებოდა; ხოლო თუკი მაინც მოიძებნებოდა ვინმე მისი ოდნავად პატივისმცემელი, ყოველ შემთხვევაში, ამ ქვრივს არამცთუ არ მოსწონდა, არამედ თავის ტკივილზე უმეტესად ეჯავრებოდა. ამიტომ, როგორც ჭკვიანმა ქალმა, ასე უპასუხა: „თქვენო მაღალღირსებავ, ჩემთვის მეტად ძვირფასია თქვენი სიყვარული და სამაგიეროდ მოვალე გახლავართ მეც მიყვარდეთ და დიდი სიამოვნებითაც შეგიყვარებთ; მხოლოდ ეს კია, რომ თქვენსა და ჩემ სიყვარულს არაფერი არ უნდა მოჰყვეს პატიოსნების შემლახველი. თქვენ ჩემი სულიერი მამა ბრძანდებით და ამასთან მღვდელიცა, ხნითაც უკვე სიბერეს მიღწეული; ყოველივე ეს თქვენ გავალებთ შეინახოთ პატიოსნება და უბიწოება; მეორეს მხრით, მე უკვე გოგო არ გახლავართ, რომ არშიყობა შევიფერო, არამედ ქვრივი გახლავართ. თქვენ თავად უკეთესად მოგეხსენებათ, რომ ქვრივს უფრო მეტი ნამუსიანობა მოეთხოვება ხოლმე; ამიტომ, მაპატიეთ, იმ სიყვარულით, როგორსაც ჩემგან მოითხოვთ, თავის დღეში ვერ შეგიყვარებთ და არც ის მინდა, თქვენ გიყვარდეთ“.

წინამძღვარი ხედავდა. რომ ამხელა ქალს მეტს ვერას დასტყუებდა, მაგრამ გული არ გაიტეხა და თავისი თავი პირველ შეტევისთანავე დამარცხებულად არ ჩათვალა, არამედ მოიკრიბა მთელი თავისი უტიფრობა და სილაღე და არაერთხელ სთხოვა შებრალება, როგორც წერილით, ისე მოციქულის პირით, და ზოგჯერ თვითონ პირადადაც, როცა ქვრივს ტაძარში შემოსულს დაინახავდა.

მღვდელმა საქმე მეტისმეტად გაუჭირა. ქალმა მოთმინება დაკარგა და განიზრახა მისი თავიდან მოშორება სწორედ ისეთი საშუალებით, როგორის ღირსიც თვითონ მღვდელი იყო, რადგან სხვაფრივ არ შეეძლო, მაგრამ არჩია: სანამ იმას სეირს ვუზამდე რასმე, მოდი, წინასწარ ჩემს ძმებს მოველაპარაკებიო.

ქვრივმა უამბო ძმებს, რასაც უპირებდა წინამძღვარი, ან თვითონ ქალს რა ჰქონდა განზრახული. ძმებმა მოუწონეს განზრახვა, და ქვრივიც რამდენიმე დღის შემდეგ ისევ წავიდა, ჩვეულებისამებრ, ეკლესიაში. წინამძღვარმა ქალი რომ დაინახა, მისკენ გაემართა და, როგორც იცოდა ხოლმე, მამაშვილური კილოთი დაუწყო ლაპარაკი. ქალმა რომ დაინახა, ჩემსკენ მოდისო, მხიარული სახით დაუწყო ყურება, მერე მასთან ერთად განზე გავიდა. როცა წინამძღვარი დიდხანს ელაპარაკა ჩვეულებრივი სიტყვებით, ქალმა ამოიოხრა და უთხრა: „მაღალღირსო მამაო. გამიგონია, რომ დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი ცოხე-სიმაგრე,

რომელიც, თუ მტერი ყოველდღე მიიტანს იერიშს, ერთ დღეს იქნება, აღებულ არ იქნეს. მეც სწორედ ასე მემართება. თქვენ იმდენი მიტრიალეთ ხან ტკბილი და მომარჯვებული სიტყვებით და ხან ალერსით, რომ ჩემი ჯიუტობა დათრგუნეთ და ახლა, რაკი ასე მოგწონვართ, მზად გახლავართ თქვენ გეკუთვნოდეთ". ცათაფრენაშემდგარმა წინამძღვარმა უთხრა: „ქალბატონო, სულ უზომო მადლობა მომიხსენებია; მართალი მოგახსენოთ, ძალიან მიკვირდა, რომ ამდენ ხანს გამიძალიანდით, თანაც ვამბობდი, ჯერ არც ერთ ქალთან დამმართნია ასეთი მარცხი-მეთქი. ზოგჯერ იმასაც ვიტყოდი: ქალები რომ ვერცხლისაგან იყვნენ გაკეთებულნი, ფულის გამოსაჭედად ვერცერთი ივარგებდა, რადგან კვერის დარტყმას ვერც ერთი გაუძლებდა-მეთქი... მაგრამ ახლა ყოველივე ამას თავი დავანებოთ: თქვენ ისა ბრძანეთ, როდის და სად შეგვეძლება ერთმანეთის შეხვედრა?" ამაზე ქალმა უპასუხა: „ჩემო ტკბილო სულიერო მამაო, რაიც შეეხება იმას, თუ როდის უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, ეს საკვსებით თქვენზე იქნება დამოკიდებული, რადგან ქმარი არა მყავს, რომ ანგარიში ჩავაბარო, თუ ღამეს სად ვათევ ხოლმე, მაგრამ სად? — აი, ამისი კი რა მოგახსენოთ". მაშინ წინამძღვარმა უთხრა: „როგორ თუ სად? თქვენს სახლში!..." ამაზე ქვრივმა მიუგო: „მამაო, მოგეხსენებათ, რომ ორი ახალგაზრდა ძმა მყავს, როგორც დღისით, ისე ღამით შინ მოდიან და ხანდახან თავისი ამხანაგებიც მოჰყავთ, ხოლო ჩემი სახლი არც ისე დიდი გახლავთ, ამიტომ იქ ჩვენი შეყრა შეუძლებლად მიმაჩნია. თუ მაინცდამაინც არ მოიშლით, ჩემსა შეიძლება, მხოლოდ ერთი პირობით: მუნჯივით უნდა ვიყო ოთახში და რაც უნდა მოგვივიდეს, ხმა-კრინტი არ დავძრათ და, გარდა ამისა, არც სანთელი უნდა გვენთოს და ბრმასავით უნდა ვიყოთ. თუ ასე ვინდომებთ, მაშინ შეიძლება, რადგან ძმებს ჩემს ოთახში არაფერი ესაქმებათ და არც შემოდიან. მაგრამ მათი ოთახი ჩემს ოთახს გვერდითაა და რაც უნდა ჩუმად გავიფუჩუნოთ, მაშინვე გაგვიგებენ". მაშინ წინამძღვარმა უთხრა: „ქალბატონო, ნუ გეშინიათ, ერთ-ორ ღამეს როგორმე ასე გავატარებთ და მერე სხვაგან გამოვძებნი სადმე უშიშარ ადგილს". — „მოძღვარო, ეს თქვენ იცით; მე კი იმასა გთხოვთ, ყოველივე ეს საიდუმლოდ დარჩეს და ხმა-კრინტი არავისთან არ უნდა წამოგცდეთ". მაშინ წინამძღვარმა უთხრა: „ამის ფიქრი ნუ გაქვთ, მხოლოდ თუ შეგიძლიათ, ამაღამ როგორმე ერთად შევიყაროთ". ქალმა — სიამოვნებითაო, და უთხრა, სად და როდის მოსულიყო, თვითონ კი გამოემშვიდობა და შინ წამოვიდა.

ამ ქვრივს ერთი მოახლე ჰყავდა — მაინცდამაინც ახალგაზრდა არ იყო, მაგრამ ისეთი უშნო და მახინჯი სახე ჰქონდა, რომ კაცი იშვიათად თუ სადმე შეხვდებოდა მაგის მსგავსს: ცხვირი ჩაჭყლეტილი ჰქონდა, პირი მოღრეცილი, ტუჩები დიდი, კბილები გარდი-გარდმო ამოსული და ეშვების მსგავსი; ცოტა ელამიც იყო, ჭუტალაც და თვალები სულ ერთთავად ეწირპლებოდა; სახეზე ყვითელი და მწვანე ფერი ედო, ასე რომ იტყოდეთ, ამ ქალს ზაფხული ფიეზოლეში კი არა, ალბათ სენეგალიაში გაუტარებიაო. გარდა ამისა, ცოტა მოიკოჭლებდა კიდეცა და მარჯვენა ფეხი მარცხენაზე უფრო მოკლე ჰქონდა. სახელად ჩუტა ერქვა. და

რადგან სახეზე ასე მწვანე-ყვითელი ფერი გადაჰკრავდა, ყველანი ჩუტაცას ეძახდნენ. მართალია, ასეთი მახინჯი იყო, მაგრამ ეშმაკობაც არ აკლდა. ქვრივმა დაუძახა ჩუტაცას და უთხრა: „ჩუტაცა, თუ ამაღამ ერთ სამსახურს გამიწევ, ერთ ლამაზ პერანგს მოგცემ“.

ჩატუცამ რომ გაიგონა, პერანგს მაჩუქებენო, უთხრა: „ქალბატონო, თუ პერანგს მიბოძებთ, თქვენი გულისათვის ცეცხლშიც კი ჩავვარდები, არამც თუ სხვა რამ გაგიკეთოთ“. — „რაკი მაგრეა, — უთხრა ქვრივმა, — მე მინდა ამ ჩემს ლოგინში ერთ კაცთან დაწვე და მოუალერსო, თან ფრთხილად იყავ, ხმა არ უნდა ამოიღო, რომ ჩემმა ძმებმა, გვერდით რომ წვანან, არაფერი გაიგონ; მერე პერანგსაც მოგცემ“. ჩუტაცამ უთხრა: „ოღონდ მიბრძანეთ, და ერთთან კი არა, ექვს კაცთან დავწვები“.

რომ დაღამდა, მამა-წინამძღვარიც მოვიდა, როგორც ნათქვამი ჰქონდათ ისე, ხოლო ქალის ძმები, როგორც ქვრივმა დაარიგა, ოთახში ისხდნენ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ამიტომ წინამძღვარი ხმის ამოუღებლად სიბნელეში ქვრივის ოთახში შევიდა და, როგორც ქალმა დაარიგა, ისე მისი ლოგინისაკენ გასწია და მოუწვა ჩუტაცას, რომელიც ქალბატონს დარიგებული ჰყავდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. მამა— წინამძღვარი დარწმუნებული იყო, გვერდით ქვრივი მიწევსო და ამიტომ ჩუტაცას ხელი მოხვია და ხმაამოუღებლივ კოცნა დაუწყო. ჩუტაცა კიდევ იმას კოცნიდა. ამნაირად, წინამძღვარი, რაკი ეღირსა და ამდენის ხნის ნანატრი ბედნიერება ხელში ჩაიგდო, შეუდგა ქალთან მოსურვილებას.

როცა ქვრივმა ეს საქმე მოაწყო, ძმებს უთხრა, აბა ჩვენი გეგმის დანარჩენიც აასრულეთო. ისინიც ჩუმად გავიდნენ ოთახიდან და გაემართნენ მოედნისაკენ. აქ ბედმა ისე მოუწყო საქმე, რომ თვითონ ისინიც კი ვერ ინატრებდნენ უკეთესს. იმიტომ რომ ეს ყმაწვილები ეპისკოპოსმა დაინახა და რადგან დიდი სიცხე იყო, გულში თქვა: მოდი, სახლში გავყვები და მათთან ერთად დავლევ ცივ ღვინოსაო. მივიდა, თავისი სურვილი გამოუცხადა და მათთან ერთად გზას დაადგა. როცა ყმაწვილების გრილ ბაღში შევიდა, სადაც ბევრი სანთელი ენთო, დიდი სიამოვნებით შეუდგა მათ მიერ მოტანილი საუცხოო ღვინის სმას. ღვინო რომ დალია, ყმაწვილებმა მოახსენეს: „მეუფეო, ჩვენ თქვენი მეუფეებისათვის ჩვენს ქოხში მობრძანება უნდა გვეთხოვნა, მაგრამ რაკი ისე გაგვაბედნიერეთ, რომ უთხოვნელად იკადრეთ მობრძანება, ჩვენ გვინდა კეთილინებოთ და იხილოთ ერთი რამ, რაც ჩვენ თქვენთვის უნდა გვეჩვენებინა“. ეპისკოპოსმა — დიდი სიამოვნებითაო.

ერთმა მათგანმა მოკიდებული ჩირაღდანი ხელში დაიჭირა, მერე წინ გაუძღვა, ხოლო ეპისკოპოსი და სხვები უკან გაჰყვნენ. ყმაწვილი გაემართა იმ ოთახისაკენ, სადაც წინამძღვარი ჩუტაცას გვერდით უწვა. წინამძღვარს, სანამ ისინი იქ მოვიდოდნენ, რაკი ეჩქარებოდა, ცხენი გაერეკა და სამი მილის გარბენა მოესწრო და მიუხედავად სიცხისა, ჩუტაცასთვის ხელი მოეხვია და დაქანცული ისვენებდა. ყმაწვილმა ოთახში სანთელი შეიტანა, მას მოჰყვნენ

ეპისკოპოსი და სხვები და ყველამ დაინახა ჩუტაცას ჩახუტებული წინამძღვარი. ამასობაში წინამძღვარს გამოეღვიძა და სინათლეზე ამდენი ხალხი თავის გარშემო რომ დაინახა, საშინლად შერცხვა და შეშინებულმა თავი ზეწარს ქვეშ ჩამალა. ამის დამნახავმა ეპისკოპოსმა საშინლად შეაჩვენა და უბრძანა, თავი ზეწრიდან გამოეყო და დაენახა, თუ ვისთან იწვა. წინამძღვარი მიხვდა, თუ რა საშინლად მოატყუა ქვრივმა. ცალკე ამ მოტყუებისა და ცალკე მოტყუებისაგან წარმომდგარი სირცხვილისაგან ერთბაშად ისე დაღონდა, რომ მაშინ იმაზე უბედური ქვეყანაზე არავინ იყო. ეპისკოპოსმა უბრძანა ტანისამოსი ჩაეცვა და ყარაულქვეშ სახლში წასულიყო ჩადენილი ცოდვისათვის სასჯელის მოსახდელად.

მათმა მეუფებამ ინება იმის გაგება, თუ როგორ მოხდა, რომ აქ წინამძღვარი ჩუტაცასთან დასაწოლად მოსულიყო. ყმაწვილებმა დაწვრილებით თავიდან ბოლომდე უამბეს ყველაფერი. ეპისკოპოსმა ეს რომ მოისმინა, ძალიან აქო ქვრივი და აგრეთვე მისი ძმები, რომ მღვდლის სისხლში ხელი არ გაისვარეს და ისე კი მოექცნენ, როგორც ეკადრებოდა.

ამ ცოდვის მოსანანიებლად ეპისკოპოსმა წინამძღვარს ორმოცი დღის ტირილი განუჩინა. მაგრამ სიყვარულმა და ზიზღმა წინამძღვარი ორმოც დღეზე მეტს ატირეს. ისიც უნდა ვთქვათ, რომ სულ დიდ ხანს არ შეეძლო გზაზე გამოჩენილიყო. ბიჭები მაშინვე ყველას თითით უჩვენებდნენ და მიაძახებდნენ: „შეხედე, აი, აი ეს იყო, ჩუტაცასთან რომ იწვა!“

ამას მამა წინამძღვარი ისე დარდობდა, რომ კინაღამ ჭკუაზე შეიშალა.

ამნაირად, ღირსეულმა ქვრივმა თავიდან მოიშორა ურცხვი და აბეზარი წინამძღვარი, ხოლო ჩუტაცას ერგო პერანგი და ერთი სასიამოვნოდ გატარებული ღამეც.

ამბავი მეხუთე. მოსამართლის ძიძვა

სამი ახალგაზრდა კაცი ძიქვასა ხდის მარკის მცხოვრებ მოსამართლეს ფლორენციაში სწორედ იმ დროს, როცა მოსამართლე სკამზე ზის და ხალხს ასამართლებს.

ემილიამ თავისი მოთხრობა დაასრულა. ყველამ დიდად აქო ქვრივი მანდილოსანი. ამ დროს დედოფალმა ფილოსტრატოს შეხედა და უბრძანა: ახლა შენი ჯერია ლაპარაკისაო. ფილოსტრატომაც მოახსენა, მზად გახლავართო და ასე დაიწყო: — ჩემო მშვენიერნო! ახალგაზრდა კაცი, რომელიც ამას წინათ ელიზამ ახსენა, ე. ი. მაზო დელ საჯიო, მაიძულებს გადავდო ის მოთხრობა, რომლის მოყოლაც ახლა განზრახული მქონდა და მოგიყვებით ერთ ამბავს სწორედ ამ მაზოსა და მის ამხანაგებზე; ეს მოთხრობა, ცოტა არ იყოს, უწმანურია, რადგან შიგ ისეთი სიტყვები ურევია, რომელთა ხმარება თქვენ გეთაკილებათ; მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მაინც იმდენად სასაცილოა, რომ გეტყვით.

როგორც ყველა თქვენთაგანს გაგონილი გექნებათ, ჩვენს ქალაქში ხშირად მოდიან მარკიდან რექტორები, რომლებიც, საერთოდ, ისე სულმდაბალნი, ძუნწნი და გლახაკნი არიან, რომ მათი გაკეთებული საქმე ყველაფერი უბადრუკობად ეჩვენება ადამიანს. და მათი სიძუნწისა და ხელმოჭერილობის გამო თან მოჰყავთ ხოლმე ისეთი მოსამართლენი და ნოტარიუსები, რომელთაც, გეგონებათ, ეს-ეს არის, გუთანს დაანებეს თავი და ან მეწაღის იარაღი ხელიდან გაუშვესო, მაგრამ იმას კი ვერას გზით იტყვით, რომ ესენი სამართალის სკოლიდან იყვნენ გამოსულნი.

და აი, ერთხელ მოვიდა ერთი პოდესტა (გამგებელი) და სხვა მოსამართლეებთან ერთად თან მოიყვანა ერთი კაცი, რომელსა ერქვა ნიკოლა და სან ლეპიდიო. ეს კაცი გარეგნობით ზეინკალს უფრო ჰგავდა, ვიდრე სხვა ვისმე; და სხვა მოსამართლეთა გვერდით დასვეს სისხლის სამართლის საქმეთა გარჩევაში მონაწილეობის მისაღებად. და როგორც ეს ხშირად მოხდება, თუმცა მოქალაქეთა სრულებით არაფერი საქმე აქვთ სასამართლოში, მაგრამ ხანდახან შეიხედავენ მაინცა, ერთ დილას ისე მოხდა, რომ მაზო დელ საჯიო თავის მეგობარს ეძებდა და სასამართლოში შევიდა; ამ დროს თვალი მოჰკრა მოსამართლედ მჯდარ ბატონ ნიკოლას და ისე უცნაურ ვინმედ ეჩვენა, რომ კარგად თვალიერება დაუწყო და თუმცა მან დაინახა, რომ ეხურა სულ გამჭვარტლული ტყავის ქუდი, ქამარზე სამელნე ეკიდა, ჟილეტი უფრო გრძელი ჰქონდა ჯუბაზე და ბევრიც სხვა რამ ნახა მის ტანზე ისეთი, რაც რიგიანი და კარგად აღზრდილი კაცისათვის შეუფერებელი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად გააოცა ერთმა რამ: ეს იყო ძიქვა. ჯდომის დროს ამ ძიქვის უბე მუხლებამდე ჩამოდიოდა, რადგან მისი ტანისამოსი იმდენად ვიწრო იყო, რომ წინ იქით-აქეთ გადაწეულიყო და ეს ყველაფერი ჩანდა. ამიტომ დიდხანს არ ათვალიერა მოსამართლე და ვისთვისაც იყო მოსული, იმასაც თავი დაანება და ახლა სხვების ძებნას შეუდგა. იპოვა ორი თავისი მეგობარი, რომელთაგან ერთს ერქვა რიბი და მეორეს — მატეუცო; ერთიცა და მეორეც მაზოზე ნაკლები ხუმარა არ იყო, და მაზომ უთხრა: თუ ძმობა გწამთ, სასამართლოში გამომყევით და ისეთი მახინჯი და სასაცილო ვინმე გაჩვენოთ, რომ თქვენს სიცოცხლეში არ გენახოთო.

წამოიყვანა მაზომ თავისი მეგობარი სასამართლოში და უჩვენა როგორც მოსამართლე, ისე მისი ძიქვა. მეგობრებმა ჯერ ისევ შორიდანვე დაიწყეს სიცილი ამ ამბის გამო, მერე იმ მერხს რომ მიუახლოვდნენ, სადაც იჯდა ბატონი მოსამართლე, დაინახეს, რომ იმ მერხს ქვეშ ძალიან ადვილად შეიძლებოდა გაძრომა, და, გარდა ამისა, შენიშნეს, რომ ის ფიცარი, რომელზედაც მოსამართლეს ფეხები ჰქონდა დაწყობილი, გახეთქილი იყო იმდენად, რომ სულ ადვილად შეეძლო შიგ გაეყო კაცს მკლავები და ხელები. მაშინ მაზომ უთხრა მეგობრებს: „მე მინდა სულ ჩავხადოთ ძიქვა, ეს სულ ადვილი საქმეა“. თითოეულმა მათგანმა გეგმა შეადგინა, თუ როგორ უნდა მოეხერხებინა; ამიტომ შეთანხმდნენ, თუ რომელს რა უნდა ექნა ან ეთქვა.

მეორე დილას ამხანაგები ისევ დაბრუნდნენ სასამართლოში. შიგ აუარებელი ხალხი დახვდათ. მატეუცო შეუმჩნევლად მერხს ქვეშ შეძვრა და თავი სწორედ იმ ადგილას ამოჰყო, სადაც მოსამართლეს ფეხები ჰქონდა დაწყობილი. მაზო ცალ მხარეს დადგა მოსამართლესთან და ჯუბის კალთას მოსწია, რიბი მეორე მხრიდან მიუახლოვდა და იმანაც იგივე ჰქნა, რაც მაზომ, და დაიწყო ლაპარაკი: „ბატონო, ჰა, ბატონო, თუ ღმერთი გწამთ, სანამ ეს ქურდბაცაცა, გვერდით რომ გიდგათ, აქედან წავიდოდეს, უბრძანეთ მომცეს ჩემი წაღები, რომ მომპარა და უარზე კი დგას, თუმცა ამ ერთი თვის წინათ ვნახე, ძირები რომ გამოაცვლევინა.“ რიბი მეორე მხარეზე ყვიროდა ძალზე: „ბატონო, ყურს ნუ უგდებთ მაგ სალახანას; იმან იცის, რომ აქ იმისთვის მოვსულვარ, მონაპარი ხურჯინი მოვთხოვო. ახლა უნდა დამასწროს და იმ წაღებსა მთხოვს, რომელიც რა ხანია, რომ შევაკერინე; და თუ ჩემი არა გჯერათ, მონშედ მოგიყვანთ ჩემს მეზობელს ტრეკას და მეხაშე გრასას და ერთსაც, ვერზაიას ღვთისმშობლის ეკლესიის ნაგავს რომ აგროვებს ხოლმე, რომელიც მაზოს ხედავდა, როცა სოფლიდან ბრუნდებოდა“.

მაზო თავის მხრივ ლაპარაკს უშლიდა რიბის და პირიქით ყვიროდა. რიბი კიდევ უარესადა ყვიროდა და სანამ მოსამართლე დგომელა ხან ერთს მიუახლოვდებოდა მოსასმენად და ხან მეორეს, მატეუცომ დრო იხელთა, ხელი გაჰყო გაპობილ ფიცარში, ხელი დაავლო მოსამართლის ძიქვის უბეს და ძალზე ჩამოსწია ძირს. ძიქვა მაშინვე ძირს კოჭებამდე ჩამოუვარდა მოსამართლეს, რადგან მჭლე და ფერდებჩაცვინული იყო. როცა ეს იგრძნო მოსამართლემ, კერ კიდევ არ იცოდა, რა იყო მის თავსა და უნდოდა ტანისამოსის კალთები წინიდან გადაეწია, რომ ტანი დაეფარა და დაჯდომა შესძლებოდა. ამ დროს, ერთის მხრით, მაზო და, მეორეს მხრით, რიბი მივარდნენ, დაავლეს ხელი და ხმამაღლა ყვირილი დაუწყეს: „ბატონო მოსამართლევ, ეგ სადაურია, არც გინდათ გამამართლოთ, არც მომისმინოთ და ისე წახვიდეთ აქედან; ასეთ უბრალო რამისათვის აქ ჩვეულებად არა აქვთ მიწერ-მოწერა გამართონ ხოლმე“. ამ ლაპარაკში მის ტანისამოს ხელს არ უშვებდნენ, სანამ რაც სასამართლოში ხალხი იყო, ყველამ არ დაინახა, რომ ძიქვა ჩაეხადათ. მატეუცოს ერთხანს კიდევ ეჭირა ძიქვას ტოტები, მერე ხელი უშვა, გარეთ გავიდა და შეუმჩნევლად მოშორდა იქაურობას: როცა რიბიმ დაინახა, მეყოფა, რაცა ვქენიო, წამოიძახა: „ღმერთმანი, ამას სინდიკატში გავასაჩივრებ“. მაზომ, მეორე მხრივ, ხელი უშვა მოსამართლის ჯუბას და თქვა: „არა, აქ მანამდე ვივლი, სანამ ისე მოუცლელი არ იქნებით, როგორც ამ დილას ბრძანდებოდით“. ამის შემდეგ ერთი ერთ მხარეს გაძვრა, მეორე — მეორე მხარეს და, რაც შეიძლებოდა, ორივე ჩქარა გავიდა დარბაზიდან.

ბატონმა მოსამართლემ ყველას თანდასწრებით ჩაიცვა ძიქვა, თითქო ლოგინიდან ახალი წამომდგარიაო; მხოლოდ ახლა მიხვდა, რაც ოინი უყვეს და იკითხა: სად წავიდნენ, ხურჯინის და წაღების დაკარგვას რომ ჩიოდნენო? რომ ვერ იპოვნა, ღმერთი დაიფიცა —

გავიგებ და დავრწმუნდები, მართლა არსებობს თუ არა ფლორენციაში ისეთი ჩვეულება, რომ როცა მოსამართლე სასამართლო სკამზე ზის და ხალხს ასამართლებს, ძიქვა ჩახადონ ხოლმეო.

მეორე მხრივ, პოდესტამ რომ გაიგონა ეს ამბავი, საშინელი აურზაური ატეხა, მაგრამ მეგობრებმა უთხრეს: ეს ორნი მოსამართლეს იმიტომ უყვეს, რათა ეჩვენებინათ, რომ ფლორენციელები მიხვედრილნი არიან: პოდესტამ მოსამართლეთა მაგიერ ცხვრები იმიტომ მოიყვანა, რომ ესენი უფრო იაფად დაუჯდაო. ამიტომ პოდესტამ იფიქრა, ისევ აჯობებს გავჩუმდეო, ასე რომ ამჯერად საქმე ამით გათავდა.

ამბავი მეექვსე. კალანდრინოს ღორი

ბრუნო და ბუფალმაკო კალანდრინოს ღორს მოპარავენ და აიძულებენ ეს ღორი იპოვოს კოჭას აბებითა და ვერნაჩიოს ღვინის საშუალებით, ხოლო თვითონ კალანდრინოს გადააყლაპვინებენ ზედიზედ ორ აბს, საბრისაგან გაკეთებულს და ალოეს ზეთით მოხარშულს; ღორის ქურდად თვითონ კალანდრინოს გამოიყვანენ და აიძულებენ ღორის ფასი ზღოს, თორემ შენს ცოლს ვეტყვით ყველაფერსაო.

ფილოსტრატოს მოთხრობამ ბევრი აცინა მსმენელები; რომ გათავა, დედოფალმა ფილომენას უბრძანა შემდეგი მოთხრობის თქმა და იმანაც ასე დაიწყო: — ლამაზებო, როგორც ფილოსტრატოს მაზოს სახელის გაგონებამ ამბავი ათქმევინა, რომელიც ახლა მოისმინეთ, ისევე მეც კალანდრინოსა და მისი ამხანაგების სახელი მაიძულებს მათ შესახებ მეორე ამბავი გიამბოთ, და იმედი მაქვს, მოგეწონებათ.

საჭიროდ არ მიმაჩნია მოგახსენოთ, ვინ იყო კალანდრინო, ბრუნო და ბუფალმაკო, იმიტომ რომ მათ შესახებ უკვე მოისმინეთ. ამიტომ პირდაპირ გადავალ სათქმელზე და მოგახსენებთ, რომ კალანდრინოს ფლორენციის მახლობლად მამული ჰქონდა; ეს მამული მის ცოლს მზითევში მოჰყვა; სხვა შემოსავალს გარდა, ყოველ წელიწადს თითო ღორიც ერგებოდა ამ მამულიდან. ჩვეულებადა ჰქონდათ, ყოველ ქრისტეშობისთვეში ცოლ-ქმარი სოფლად წასულიყვნენ, იქ დაეკლათ ღორი და იქვე დაემარილებინათ.

ერთხელ, სხვათა შორის, ისე მოხდა, რომ ცოლი უქეიფოდ გახდა და კალანდრინო მარტო წავიდა სოფელში ღორის დასაკლავად. ბრუნომა და ბუფალმაკომ ეს რომ გაიგეს და რაკი ისიც იცოდნენ, რომ მისი ცოლი მასთან ერთად ვეღარ წამოვიდოდა, წამოვიდნენ ერთ თავიანთ მეგობარ მღვდელთან, კალანდრინოს მეზობელთან, რომ იმასთან რამდენიმე დღეს დარჩენილიყვნენ სტუმრად. ესენი რომ ჩამოვიდნენ, იმ დილას კალანდრინომ ღორი

დაკლა და მეგობრები მღვდელთან რომ დაინახა, დაუძახა და უთხრა: „რა კარგი გინებებიათ, რომ აქ ჩამობრძანებულხართ! მე მინდა გაჩვენოთ, როგორი მეოჯახე გახლავართ!“ ეს უთხრა და წამოიყვანა თავის სახლში და უჩვენა დაკლული ღორი. ღორი ძალიან მოეწონათ და კალანდრინოსაგან გაიგეს, რომ ამას მისი დამარილება უნდოდა საოჯახოდ. ამაზე ბრუნომ უთხრა: „რა სულელი ვინმე ხარ! ეს ღორი გაყიდე და აღებული ფულით ვიქეიფოთ, ცოლს კი უთხარი — მომპარეს-თქო“. ამაზე კალანდრინომ უარი უთხრა: ცოლი არ დაიჯერებს და სახლიდან გამაგდებსო. ტყუილად ნუ ირჯებით, ამას ვერაფრის გულისთვის ვერ ვიზამო! ბევრი ელაპარაკნენ, მაგრამ პირჯვარი ვერ გადააწერინეს. კალანდრინომ ვახშმად დარჩენა სთხოვა: თქვენი საკადრისი ვახშამი არა მაქვს, მაგრამ რაცა მაქვს, იმას დამჯერდითო. ესენი მაინც ვახშმად არ დარჩნენ და გამოეთხოვნენ.

ბრუნომ ბუფალმაკოს უთხრა: მოდი, ამაღამ ეს ღორი მოვპაროთ კალანდრინოსაო. ბუფალმაკომ უპასუხა: „მერედა როგორ მოვახერხოთ?“ ბრუნომ უთხრა: ის მე ვიცი, როგორც უნდა მოპარვა, ოღონდ საცა ეკიდა, იქიდან თუ არ ჩამოხსნა და სხვაგან სადმე არ შეინახაო. ბუფალმაკო დაეთანხმა: მოვპაროთ, რატომაც არ უნდა მოვპაროთო! მერე აქ მღვდელთან ერთად შევექცეთო. მღვდელმა უთხრა: ამას რა ემჯობინებაო! მაშინ ბრუნომა თქვა: „ცოტა ოსტატობაც უნდა ვიხმაროთ: ხომ იცი, ბუფალმაკო, რა ძუნწია კალანდრინო და როგორ უყვარს სმა, როცა სხვები იხდიან დანახარჯსა! მოდი, წავიდეთ და დუქანში წავიყვანოთ, აქ მღვდელი გადაიხდის ყველაფერს, ვითომც ჩვენს პატივსაცემად, და კალანდრინოს კი ფული არ მივაცემინოთ: რომ დათვრება, მაშინ ყველაფერს ადვილად მოვუხერხებთ, რადგან სახლში მარტოა“.

ბრუნოს ნათქვამზე გაიარეს. კალანდრინომ რომ დაინახა, მღვდელს უნდა მე არაფერი მიმაცემინოს მედუქნისათვის და თვითონ უნდა გადაიხადოს, რაც დაიხარჯებაო, დაუწყო ღვინოს წრუპვა, და მართალია, დიდი სმა არ შეეძლო, მაგრამ მაინც საკმაოდ დათვრა.

უკვე კარგა გადასული იყო ღამე, როცა დუქნიდან გამოვიდა და რაკი სავახშმოდ სხვაგან არსად უნდოდა წასვლა, პირდაპირ შინ წამოვიდა. სახლში რომ შევიდა, ეგონა კარი ჩავკეტეო, ის კი არა, ღია დარჩენოდა, და ისე ჩაწვა ლოგინში.

ბუფალმაკო და ბრუნო მღვდელთან წამოვიდნენ ვახშმად. ნავახშმევს წამოიღეს ზოგი რამ იარაღი, რომ შესულიყვნენ კალანდრინოს სახლში იქ, საცა შეთვალიერებული ჰქონდა ბრუნოს, და უჩუმრად გაემართნენ იქითკენ. მაგრამ რაკი კარი ღია დახვდათ, პირდაპირ შევიდნენ შიგ, ჩამოხსნეს ღორი, მღვდლის სახლში მოიტანეს, დამალეს და დასაძინებლად დაწვნენ.

კალანდრინოს ღვინო რომ გამოუნელდა მეორე დილას, ადგა, ძირს ჩამოვიდა და

მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ღორი არ დახვდა და თან ხედავს, რომ კარიც ღიად არის დაგდებული. ერთსა ჰკითხა, მეორესა ჰკითხა, ხომ არ იცით, ვინ წაიღო ჩემი ღორიო, და როცა ვერაფერი გაიგო, საშინელი ღრიალი ატეხა: ვაიმე, მიშველეთ, ღორი მომპარა ვიღაც უღმერთომაო.

ბრუნო და ბუფალმაკო რომ ადგნენ, თქვეს, მოდი, კალანდრინოსთან წავიდეთ და გავიგოთ, რას ამბობს თავის ღორისასაო. კალანდრინომ ესენი რომ დაინახა, თითქმის ატირებულმა დაუძახა და უთხრა: მეგობრებო, არ გეცოდებით, ვიღაცამ, ჩემი ცოდვით საკვსემ, ღორი მომპარაო. ბრუნო მიუახლოვდა კალანდრინოს და უთხრა: „საკვირველია, ძლივს ერთხელ არ მოქცეულხარ ჭკვიანურად!“ – „ვაი ჩემს შავ დღეს, — უპასუხა კალანდრინომ, — მართალს ვამბობ, განა ვტყუი!“ – „შენც ეგრე თქვი, — ურჩია ბრუნომა, ისე იყვირე, ყველას ეგონოს, რომ მართლა ასე დაგემართა“. მაშინ კალანდრინომ უფრო მოუმატა ყვირილს და უთხრა: „მაღალ ღმერთსა ვფიცავ, რომ ღორი მართლა მომპარეს“. ხოლო ბრუნომ ისევ უთხრა ნელა: „ძალიან კარგად ამბობ, ძალიან კარგად! ეგრე ჰქენი, უფრო ხმამაღლა იყვირე, ისე რომ ყველამ კარგად გაიგონოს და ყველას მართალი ეგონოს!“ მაშინ კალანდრინომ ასე უპასუხა: „ლამის არი, სული ეშმაკის კერძად გამახდევინო! გეუბნები, ასე იყო-მეთქი, და შენ კი არ გჯერა. დაე კისრით ჩამომახრჩონ, თუ აღმოჩნდება, რომ ჩემთვის არ მოუპარავთ ღორი“. მაშინ ბრუნომ ჰკითხა: „რას ამბობ, რას, კაცო! ეს როგორ შეიძლება! გუშინ ჩემი თვალით დავინახე, რომ აქ გეკიდა ღორი. ვითომ შენს ჭკუაში გინდა დამაჯერო, რომ მართლა მოგპარეს“. კალანდრინომ უპასუხა: „სწორედ ისეა, როგორც მოგახსენებ“. – „აბა, როგორ დავიჯერო!“ — უთხრა ბრუნომ. – „სწორედ სიმართლეს გეუბნები, — უპასუხა კალანდრინომ, — აბა, მეც იმიტომ ვარ უბედური და არ ვიცი, შინ რა პირით დავბრუნდე: ცოლი არ დამიჯერებს, და კიდეც რომ დამიჯეროს, სულ ერთია, მთელ წელიწადს მოსვენება არ მექნება მისგან“. მაშინ ბრუნომ ასე ანუგეშა:

„ღმერთმა დაგიფაროს, თუ მართალია, ცუდი საქმე დაგმართნია. მაგრამ ხომ იცი, ჩემო კარგო, რომ მე ჯერ ისევ გუშინ გასწავლე — ასე ილაპარაკე-მეთქი, და სწორე გითხრა, არა მსურს მასხრად იღებდე შენს ცოლსაც და ჩვენცა“. კალანდრინო უარესად აღრიალდა და მოჰყვა წუწუნსა: „ღმერთი არა გწამთ, თავს რად მაკვლევინებთ და რად მაგმობინებთ ღმერთსა, წმიდანებსა და ყოველივე, რაც კი არსებობს ქვეყანაზე? ქრისტიანებო, გეუბნებით, რომ ღორი გუშინ საღამოს მომპარეს-მეთქი“. მაშინ ბუფალმაკომ უთხრა: „თუ მართლა ასეა, უნდა როგორმე რაიმე საშუალება გამოვნახოთ, რომ მოპარული ღორი ვიპოვოთ ისევ“. – „ნეტავ როგორ შეგვეძლება მისი პოვნა?“ — ჰკითხა კალანდრინომ. ამაზე ბუფალმაკომ უპასუხა: „რა თქმა უნდა, ინდოეთიდან არ იქნება მოსული შენი ღორის ქურდი, ალბათ ვინმე შენი მეზობელი მოგპარავდა! შენ რომ მოახერხებდე, ყველა იხმო აქ, მე პურითა და ყველით ვიცი მკითხაობა და მაშინვე გამოვიცნობ, ვისი მოპარულიცაა შენი ღორი“. — ნეტავი შენ, აბა

პურითა და ყველით რას უნდა გახდე ზოგიერთ მეზობელ ვაჟბატონთან! მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთ-ერთი მათგანის ჩადენილია ეს საქმე. რომ დავუძახოთ, მაშინვე მიხვდებიან, თუ რას უპირებენ და აღარ მოგვეკარებიან". – „მაშ რაღა ვქნათ?" — იკითხა ბუფალმაკომ. ბრუნომ უპასუხა: „უნდა გავაკეთოთ კოჭას აბები, მოვიტანოთ კარგი ვერნაჩიოს ღვინო და დავპატიჟოთ სასმელად. ისინი ვეღარ მიხვდებიან და მოვლენ. ჩვენ შეგვიძლია კოჭას აბებს ისევე შევულოცოთ, როგორც პურსა და ყველს". ამაზე ბუფალმაკომ თქვა: „ჭეშმარიტებას ამბობ. კალანდრინო, შენ რაღას იტყვი? გავაკეთოთ ასე თუ არა?" – „უეჭველად, — უპასუხა კალანდრინომ, — თუ ღმერთი გწამთ, მიშველეთ. რომ გავიგებდე, ვინც მომპარა, სანახევროდ ნუგეშცემულად ჩავთვლიდი ჩემს თავს". – „რაკი მაგრეა, — უთხრა ბრუნომ, — მე მზადა ვარ შენი გულისათვის ფლორენციაში ჩავიდე საჭირო მასალის საშოვნელად, თუ სახარჯო ფულს მომცემ".

კალანდრინოს ორმოცი სოლდო ჰქონდა და სულ ერთიანად ბრუნოს მისცა. ბრუნო ჩავიდა ფლორენციაში და ერთ თავის მეგობარ მეწამლესთან მივიდა. იყიდა ერთი გირვანქა კარგი კოჭას აბები, სთხოვა ორი აბიც საბრისა გაეკეთებინა, ალოეს ზეთში მოხარშული, მერე ამათთვის როგორც სხვებისათვის, ზევიდან შაქარი მოეყარა, და რომ სხვებში არ არეოდა, სთხოვა ნიშანი რამ დაედო, რათა ადვილად გამოსაცნობი ყოფილიყო, მერე ერთი ფიასკო კარგი ვერნაჩიოს ღვინო იყიდა, დაბრუნდა სოფელში კალანდრინოსთან და უთხრა: „ხვალ დილას ღვინის სასმელად დაპატიჟე, ვიზედაც ეჭვი გაქვს მიტანილი; ხვალ მაინც უქმეა და ყველა სიხარულით მოვა, ხოლო მე და ბუფალმაკო ერთად შევულოცავთ აბებს და ხვალ დილას მოგიტან სახლში; შენი პატივისცემით მე თვითონ დავურიგებ აბებს სტუმრებს და იმას ვიზამ და ვიტყვი, რაც უნდა ვაკეთო და ვთქვა".

კალანდრინომ, რაც უთხრეს, ყველაფერი შეასრულა. მეორე დილას ეკლესიის წინ რთხმელის ძირას თავი მოიყარა კაიძალმა ხალხმა. მათ შორის ზოგნი იყვნენ ფლორენციიდან სოფლად ჩამოსულნი ახალგაზრდანიც და ზოგნიც გლეხები; აქვე მოვიდნენ ბრუნო და ბუფალმაკო და თან მოიტანეს ერთი კოლოფი აბები და ერთი ფიასკო ღვინო. მოწვეულთ წრე გააკეთებინა, თვითონ ბრუნო შუაში ჩადგა და უთხრა:

„ბატონებო, უნდა მოგახსენოთ თქვენი აქ ყოფნის მიზეზი, იმიტომ რომ, ვინიცობაა, რამე უსიამოვნება შეგემთხვეთ, მე არ დამაბრალოთ. კალანდრინოს, რომელიც აქ თქვენს წინაშე დგას, გუშინღამ თავისი საუცხოო ღორი მოპარა ვიღაცამ და ქურდი ვერ აღმოუჩენია. მოპარვით კიდევ სხვა ვერავინ მოპარავდა, თუ არა ერთ-ერთი ჩვენთაგანი, ვინც აქა ვართ. და აჰა, იმის გასაგებად, თუ ვინ მოპარა, გთხოვთ თითო აბი გადაყლაპოთ და ღვინოც ზედ დააყოლოთ. და ამასთან იცოდეთ, რომ ღორის ქურდი ვინც იქნება, აბს ვეღარ ჩაყლაპავს, ის კი არა საწამლავივით ემწარება და უკანვე გამოაფურთხებს. ამიტომ ასეთი სირცხვილი რომ არ ჭამოს ამოდენა ხალხის წინაშე, ქურდს ურჩევნია აღსარება უთხრას მღვდელს და

მოინანიოს თავისი ცოდვა და მეც ამ საქმეს არ გამოვეკიდები“.

დამსწრეებმა ყველამ თქვეს — ბატონი ბრძანდებით, მზად გახლავართ გადავყლაპოთო. ამიტომ ბრუნომ ყველა გაამწკრივა, კალანდრინოც მათ შორის ჩააყენა, თავიდან მოჰყვა და ყველას სათითაოდ დაურიგა; კალანდრინოსთან რომ მივიდა, აიღო ნიშნიანი მწარე აბი და ხელში ჩაუდო. კალანდრინომ პირში ჩაიდო და ღეჭვა დაუწყო; მაგრამ ენას ალოე მოხვდა თუ არა, საშინლად ემწარა და მაშინვე გამოაფურთხა. ყველანი ერთმანეთს უყურებდნენ — აბა ვინ გამოაფურთხებს გარეთ თავის აბსაო. ბრუნოს ჯერ კიდევ სულ არ დაერიგებინა და თან თავი ისე ეჭირა, ვითომ არ ესმოდა, რაც მოხდა. ვიღაცამ უკანიდან დაიძახა: „ეი, კალანდრინო ეგ რა ჰქენი?“ ამის გაგონებაზე ბრუნო უცბად მოტრიალდა და რომ დაინახა, კალანდრინოს თავისი აბი გამოუფურთხებიაო, უთხრა: „მოიცა, იქნება რა ჩაჰყვა იმ აბს და იმიტომ გადმოაფურთხე, აი, მეორე აიღე“. ამის თქმაზე ბრუნომ მეორე აბი პირში ჩაუდო და განაგრძო დანარჩენების დარიგება.

კალანდრინოს თუ პირველი მწარედ ეჩვენა, მეორე აბი ნაღველზე უარესად ემწარა, მაგრამ შერცხვა გადმოეფურთხებინა; ერთხანს პირში ედო და ღეჭავდა და ამასობაში კაკლის სიმსხო ცრემლები ჩამოუგორდა თვალთაგან; ბოლოს სიმწარეს ვეღარ გაუძლო და ისევე გადმოაგდო პირიდან, როგორც პირველი აბი. ბუფალმაკომა და ბრუნომ საზოგადოებას ღვინო დაალევინეს. სხვებთან ერთად ამათ რომ დაინახეს ეს ამბავი, ყველამ ასე თქვა, ცხადია, თვითონ კალანდრინოს მოუპარავს თავისი ღორიო; ზოგმა ძალიანაც გამოლანძღა.

როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, და ბუფალმაკო და ბრუნო კალანდრინოსთან დარჩნენ, ბუფალმაკომ კალანდრინოს უთხრა: „მე დარწმუნებული ვიყავ, რომ ის ღორი შენი მოპარული იყო და გინდოდა ჩვენ დაგვეჯერებინე, ვითომ სხვას მოეპაროს, რომ ის ფული, რომელიც ღორის გაყიდვით აიღე, ჩვენთან არ დაგეხარჯა“. კალანდრინოს ჯერ კიდევ სულ არ გამოეფურთხებინა მთელი სიმწარე ალოესი, ისე დაიწყო ფიცი: ღმერთი, რჯული, ღორი არ მომეპაროსო. მაშინ ბუფალმაკომ უთხრა: „არა, სული ნუ წაგიწყდება, მართალი თქვი — რამდენი მოგცეს ღორში? ექვსი ფლორინი ხომ აიღე?“ კალანდრინომ ეს რომ გაიგონა, კინაღამ გადაირია. ამაზე ბრუნომ უთხრა: „კალანდრინო, აბა ერთი კარგად დამიგდე ყური, რა გითხრა: ერთმა იმათგანმა, ვინც ჩვენთან სვეს და ჭამეს, მითხრა, ვითომ შენ ერთი გოგო გყოლოდეს და რასაც იშოვი, სულ იმას აძლევდე. და ეს ღორიც სწორედ ამ გოგოსათვის გაგიგზავნია. აშკარაა, რომ ხალხის მასხრად აგდებაში დახელოვნებულხარ. ერთხელაც ყველანი მდინარე მუნიონეზე წაგვასხი შავი ქვების საკრეფად, ხელცარიელები, როგორც ნავში უორცხობილოდ, ჩვენ იქ დაგვყარე და შემდეგ გინდოდა დაგეჯერებინეთ, რომ ეს ქვა იპოვნე; ახლა ფიცით გინდა დაგვარწმუნო, რომ ის ღორი, შენს გოგოს რომ გაუგზავნე ან გაყიდე, ვითომც მოგპარეს; შენს ხუმრობას შევეჩვიეთ და გიცნობთ, შვილონიასა, რა შვილიცა ბრძანდები, ამიტომ ახლა ჩვენი მოტყუება ვერ მოგართვეს. მაგრამ მაინც, მართალი გითხრათ,

შენი ოინები ძვირად დაგვიჯდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, თუ ორი ყვერული არ მოგიცია, ყველაფერი მონნა ტესას ჩავუკენჭოთ“.

კალანდრინო ხედავდა, რომ ნათქვამს აღარ უჯერებდნენ; სადარდებელი ისედაც ბევრი მაქვსო და რაღა ჩემი ცოლის რისხვა დავძინოო, და მისცა ორი ყვერული. ამათ კი დაამარილეს ღორი და ფლორენციაში წაიღეს, ხოლო დაზარალებული და გამასხარავებული კალანდრინო შინ დატოვეს.

ამბავი მეშვიდე. ნასწავლი კაცის შურისძიება

ერთ ნასწავლ კაცს ერთი ქვრივი უყვარს; ქვრივს სხვა უყვარს. ზამთარში მთელ ღამეს გარეთ აყურყუტებს; შემდეგ ამ კაცის რჩევით, ქალი მკათათვის შუა რიცხვებში მთელი დღე კოშკზე ჩერდება ტიტველი და უსულღმერთოდ სტანჯავენ ბუზები, კელები და მზე.

ბევრი იცინეს ქალებმა საცოდავ კალანდრინოზე და კიდევ უფრო მეტს იცინებდნენ, რომ არ შებრალებოდათ იმის გამო, რომ იმათვე, ვინც ღორი მოპარეს, ყვერულებიც წაართვეს. როცა მოთხრობა გათავდა, დედოფალმა პამპინეას უბრძანა თავისი მოთხრობა მოეყოლებინა. იმანაც მაშინვე დაიწყო: — საყვარელო ქალებო. ხშირად ხერხიანობას ხერხიანობითვე სძლევენ, ამიტომ უჭკუობა იქნება ადამიანმა სხვას დასცინოს და ამით იმხიარულოს. ჩვენ ბევრი ვიცინეთ აქ თქმულ ოინებზე, მაგრამ ჯერ ერთი ამბავიც არა თქმულა ისეთი, სადაც ოინის სამაგიერო გადაეხადოს ვისმე. მე ახლა განზრახული მაქვს ცოტაოდენი სიბრალული აღგიძრათ ღირსეული სამაგიეროსათვის, რომელიც გადაუხადა ერთმა ადამიანმა ერთ ჩვენს თანამოქალაქე ქალს. ამ ქალს მისი ოინისათვის სამაგიერო ოინი მიაგეს და ამას კინაღამ თან გადაჰყვა. ამის მოსმენა თქვენთვის არც ისე უსარგებლო იქნება და იმედი მაქვს, გონივრულად მოიქცევით და სხვას მასხრად არ აიგდებთ.

ამ რამდენიმე წლის წინათ ფლორენციაში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა ქალი, ლამაზი, სულით ამაყი, კეთილშობილთა ჩამომავლობისა, ყოველი სააქაო სიკეთით საკმარისად მდიდარი. სახელად ელენა ერქვა. ქმრის სიკვდილის შემდეგ ქვრივად დარჩენილმა ხელახლა გათხოვება არ ინდომა, რადგან უყვარდა ერთი თავისი გემოს ლამაზი და კარგი ხასიათის ყმაწვილი კაცი. სხვა არაფრისათვის არ ზრუნავდა და თავისი მოახლის დახმარებით, რომელსაც ძალიან ენდობოდა, ხშირად საყვარელთან ტკბილ დროს ატარებდა.

ამ ხანებში ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც რინიერი ერქვა, ჩვენი ქალაქის კეთილშობილთაგანი, პარიზში დიდხანს ნამყოფი და იქ განსწავლული, იმიტომ კი არა, რომ

მერე თავისი ცოდნა ბევრ სხვასებრ დაეხურდავებინა, არამედ იმისათვის, რომ გაეგო საფუძველი და მიზეზი ყოველი არსისა (რაც მეტად შესაფერი იყო კეთილშობილი კაცისათვის), ახლა პარიზიდან ფლორენციაში დაბრუნდა. რინიერი ფლორენციაში საცხოვრებლად მოეწყო და ყველანი პატივსა სცემდნენ, როგორც თავისი კეთილშობილობის, ისე ნასწავლობისათვის. მაგრამ ხშირად მოხდება, რომ იმათ, ვისაც უფრო ემარჯვება ღრმად განჭვრეტა საგანთა და მოვლენათა, სიყვარული უფრო ადვილად ჩაიგდებს ხოლმე კლანჭებში. ასე დაემართა რინიერისაც. ერთხელ ერთ დღეობაზე დროს გასატარებლად წავიდა. აქ თვალწინ წარმოუდგა ეს ელენა, შავად მორთული, როგორც ჩვენი ქვრივები იცვამენ ხოლმე. ქალი, მისი აზრით, იმდენად ლამაზი და კალმით ნახატი იყო, რომ ასე ქალი თავის დღეში არ მოსწონებია. აბა, იმას შეუძლია თქვას, ბედნიერი ვარო, ვისაც ღმერთი ღირს ყოფს ეს ქალი შიშველი გულში ჩაიხუტოსო. ერთხელ თუ ორჯერ ფრთხილად მოჰკრა თვალი და რადგან იცოდა, რომ არც ერთი დიდი და ძვირფასი საქმის შესრულება უშრომლად და გაურჯელად არავის შეუძლიაო, გადაწყვიტა მთელი თავისი ცდა და ზრუნვა იმისათვის მოენდომებინა, რომ ქალს როგორმე მოსწონებოდა, მერე თავიც შეეყვარებინა და ბოლოს შეყვარების წყალობით მის თავსაც დაპატრონებოდა. ახალგაზრდა ქალი აბა ქვესკნელს კი არ ჩასცქეროდა თვალებითა, იმან კარგად იცოდა თავისი თავის ფასი და უფრო მეტადაც აფასებდა თავის თავს, ვიდრე ღირდა; ოსტატურად მიმოავლებდა ხოლმე თვალს გარშემო და მაშინვე მიხვდებოდა, თუ ვინ უყურებდა მას სიამოვნებით. შენიშნა რინიერი და ღიმილით თავის გულში თქვა: დღეს აქ მოსვლამ ტყუილად კი არ ჩამიარა, იმიტომ რომ, თუ არა ვცდები, ჩემი საკბილო ჩემს ანკესს წამოეგოო. და ქალმა დაუწყო ზოგჯერ ცერად ყურება და თანაც ცდილობდა ეჩვენებინა ყმაწვილისათვის — მომწონხარო; მეორე მხრივ, ქალი ასე ფიქრობდა, რომ რაც უფრო მოვიტყუებ და ჩავიჭერ მამაკაცებს და ჩემი სიყვარულის იმედს გულში ჩავუსახავ, მით უფრო ფასი მოემატება ჩემს სილამაზეს, განსაკუთრებით იმის თვალში, ვისაც ეს ჩემი სილამაზე სიყვარულთან ერთად ხელში ჩავუგდეო.

სწავლულმა ხელი აიღო ფილოსოფიურ აზრებზე და მთელი თავისი გულისყური ქალს მიაპყრო. იმედი ჰქონდა მოვეწონებიო, და ამიტომ გაიგო, სადა ცხოვრობდა; მის სახლს აუვლიდა და ჩაუვლიდა და ამისათვის ხან რას მოიმიზეზებდა და ხან რას. ქვრივს ზემოხსენებული მიზეზით თავი მოჰქონდა და სწავლულს ისე აჩვენებდა თავს, ვითომ ძალიან ესიამოვნებოდა მისი ნახვა. ამიტომ დრო შეურჩია, შეხვდა ქვრივის მოახლეს, უთხრა თავისი სიყვარულის ამბავი და სთხოვა: მიშველე, შენს ქალბატონს ისე ჩააბარე ჩემი თავი, რომ იმედი მექნეს მისი წყალობისაო. მოახლე დაპირდა, ყველაფერს მოვახსენებო და, მართლაც, ქალბატონს ყველაფერი უთხრა. ქვრივმა სიცილ-ხარხარით მოისმინა სწავლულის შემონათვალი და უთხრა: „ვერ უყურებ, ამ კაცმა სად უნდა დაჰფანტოს თავისი სიბრძნე, პარიზიდან წამოღებული?! კარგი, ვაშოვნინოთ, რასაც ესწრაფვის. თუ კიდევ გამოგელაპარაკა, უთხარი, რომ იმას ისე აბა სად ვეყვარები, როგორც მე ის მიყვარს; მაგრამ უნდა

გავუფრთხილდე — ჩემს სახელს ჩირქი არ მოეცხოს და სხვა ქალებთან შემეძლოს თამამად თავი მაღლა მეჭიროს; და თუ მართლა ისეთი ბრძენია, როგორც ამბობენ, მით უფრო მეტად უნდა დამაფასოს“. საწყალი, საწყალი! აბა რა იცოდა, ქალებო, თუ რასა ნიშნავს — სწავლულს რომ გადაეკიდება ხოლმე კაცი!..

მოახლემ რომ ნახა სწავლული, ისე მოიქცა, როგორც ქალბატონმა უბრძანა. გახარებულმა სწავლულმა უფრო უმატა თხოვნა-ვედრებას, ამრავლა წერილებისა და საჩუქრების გზავნა; ქვრივს ყველაფერი მისდიოდა, მხოლოდ უკან პასუხის მაგივრად ოკლობოკლო სიტყვებს უთვლიდა: ამგვარად ქვრივი დიდხანს ატყუებდა იმედებით. დაბოლოს, როცა თავის საყვარელს ყველაფერი გაუმჟღავნა, საყვარელი არაერთხელ ნაეჩხუბა და, ცოტა არ იყოს, ეჭვიანობა დაუწყო. ქალმა გადაწყვიტა საყვარლისათვის დაემტკიცებინა, რომ ის ტყუილად იჭვნეულობდა; სწავლულს მოახლე გაუგზავნა და შეუთვალა: რაც დავრწმუნდი, თუ რარიგ გიყვარვარ, მას აქეთ დრო ვერ ჩამიგდია ხელში შენი გული გამეხარებინა, მაგრამ შობის დღესასწაულზე, რომელიც მოახლოებულია, იმედი მაქვს, ერთმანეთს შევხვდებით; ამიტომაო, თუ გენებოთ, შობის მეორე დღეს, ღამით, ჩემს ეზოში შემობრძანდით და მეც, როგორც კი დროს ვიხელთებ, გამოვალ თქვენთანაო.

უზომოდ გახარებული სწავლული დანიშნულ დროზე წავიდა ქვრივის სახლში. მოახლემ ეზოში შეუშვა, ეზოს კარები ჩაკეტა, და ამანაც, ქვრივმა, თავის საყვარელს უთხრა: „აბა, ახლა რაღას იტყვი? არა, მასთან რომ მხიარულად ივახშმა, მერე უამბო, თუ რის გაკეთება ედო გულში იმ ღამეს და დასძინა: „შეგიძლია დაინახო, თუ როგორ და რაზომ მიყვარს მე ის კაცი, ვის შესახებაც ასეთი სულელური ეჭვი გაიტარე გულში“. ეს სიტყვები საყვარელმა დიდი სიამოვნებით მოისმინა და მოინდომა საქმით ენახა ის, რაც ქვრივმა სიტყვიერად უთხრა.

წინადღით დიდი თოვლი მოვიდა და ყველაფერი დაფარა. დიდ ხანს არ გაუვლია, რომ სწავლულს სიცივემ საშინლად მოუჭირა, მაგრამ სამაგიეროდ, ტკბილ წამთა მოლოდინში, ამ გაჭირვებას ითმენდა.

ცოტა ხნის შემდეგ ქვრივმა საყვარელს უთხრა: „შევიდეთ მეორე ოთახში, ფანჯრიდან გადავიხედოთ და ყური დავუგდოთ, რას აკეთებს ის კაცი, ვიზედაც შენ ეჭვიანობ, ან რას ეტყვის ჩემს მოახლეს, ახლა მასთან გამოსალაპარაკებლად რომ ჩავგზავნე“. ორივენი ერთ ფანჯარასთან მივიდნენ და გარეშე არავინ ხედავდა იმათ, ისე დაუგდეს ყური მოახლეს, რომელიც მეორე ფანჯარაში გადმოდგა და გამოელაპარაკა სწავლულს:

„რინიერი, ჩემი ქალბატონი უზომოდა წუხს, იმიტომ რომ ამ საღამოს ერთი თავისი ძმა ეწვია, ჯერ დიდხანს ესაუბრა, შემდეგ ამას ვახშამი მოაყოლეს და ჯერ კიდევ არ წასულა, მაგრამ მე მგონი, სულ მალე წავა. აი ამიტომაა, რომ აქამდე ვერ შეძლო ჩემმა ქალბატონმა

შენთან მოსულიყო, ვფიქრობ, მალე მოვიდეს და გთხოვს, არ გეწყინოს, რომ ამდენი გაცდევინა“. სწავლულს მოახლის ნალაპარაკევი მართალი ეგონა და უთხრა:

„მოახსენე შენს ქალბატონს, რომ რაკი ხელს გიშლიან ჩემთან მოხვიდე, ჩემთვის ნუ სწუხარ; მხოლოდ ეცადე კია, როგორმე მალე მომხედო-თქო“. მოახლე ოთახში შემობრუნდა და დასაძინებლად წავიდა. მაშინ ქვრივმა თავის საყვარელს უთხრა: „აბა ახლა რაღას იტყვი? არა, როგორა ვგონია, მე რომ ის მიყვარდეს, როგორც შენ ფიქრობ, განა ამ სიცივეში გარეთ დავაგდებდი?“ ეს რომ თქვა, თავის საყვარელთან ერთად, რომელიც, ცოტა არ იყოს, დამშვიდდა, ლოგინში ჩაწვა და დიდხანს სიამტკბილობდნენ და ნეტარობდნენ, ხოლო საცოდავ სწავლულს დასცინოდნენ და მასხრად იგდებდნენ.

სწავლული ეზოში იქით-აქეთ დადიოდა, მოძრაობდა, რა არის, იქნებ ცოტათი გავთბეო. ვერც დასაჯდომი ეშოვნა სადმე, ვეღარც თავი დაეფარა სიცივისაგან; სწყევლიდა ქვრივის ძმას, ამდენ ხანს რად აგვიანებს და არ წავა აქედანაო; ერთი ბენო ხმაურობას ყურს მოჰკრავდა თუ არა, ასე ეგონა, ქვრივმა კარი უნდა გამიღოსო, მაგრამ ამაო იყო მისი იმედი. ქალმა თავის საყვარელთან ასე შუაღამემდე ილაღობა, მერე უთხრა: „რას იტყვი, გენაცვა, ჩვენი სწავლულისას? რომელი უფრო სჭარბობს — მისი ჭკუა-მიხვედრილობა თუ სიყვარული, რომელსაც მისდამი ვგრძნობ? სიცივე, რომელშიაც ის მე ვამყოფე, ნუთუ გულიდან არ ამოგიღებს იმ გრძნობას, ამას წინათ ჩემი ხუმრობის გამო რომ ჩაგესახა?“ საყვარელმა ასე უპასუხა: „ჩემო ყველავ, ახლა ვხედავ, რომ როგორც შენ ჩემთვის ხარ ბედნიერება, მთელი ჩემი იმედი, მთელი ჩემი ნუგეში, იგივე ვარ მეც შენთვის“. – „აბა მოდი, — უთხრა ქალმა, — და ათასჯერ მაკოცე, რომ დავინახო, მართალს მეუბნები თუ არა!“ საყვარელმაც გულში მაგრად ჩაიკრა და აკოცა არამცთუ ათასჯერ, ათიათასჯერ მეტადაც.

ერთხანს ასე ლაპარაკობდნენ. მერე ქალმა უთხრა: მოდი, ერთი ავდგეთ და წავიდეთ, ხომ არ ჩამქრალა ის ცეცხლი, რომელშიაც ჩემი ახალი სატრფო, როგორც თვითონა მწერდა, „დღე ყოველ იწვოდა“. წამოდგნენ, გაემართნენ იმავე ფანჯრისკენ და ეზოში რომ გადაიხედეს, დაინახეს, რომ სწავლული ცეკვავდა და ხტოდა თოვლზე და საშინლად აცემინებდა კბილებს. ცეკვა საშინელი სიცივის გამო ისეთი სწრაფი და ხშირი იყო, რომ ამათ ჯერ არ ენახათ ასეთი ცეკვა. მაშინ ქვრივმა თავის საყვარელსა ჰკითხა: „აბა, რაღას იტყვი, ჩემო ტკბილო? ხომ ხედავ, რომ შემძლებია მამაკაცები ვაცეკვო უჭიმონოდ და უფანდუროდ?“ ამაზე საყვარელმა სიცილით უპასუხა: „ვხედავ, ჩემო სიხარულო და ნეტარებავ!“ მაშინ ქალმა უთხრა: „მოდი, ქვევითა კართან მივიდეთ, შენ დაიმალები იქვე, მე კი გამოველაპარაკები და მოვისმინოთ, რას იტყვის. შეიძლება, მისმა ნათქვამმა უფრო გაგვართოს, ვიდრე მისმა ყურებამ“. ქალმა ესა თქვა, ჩუმად ოთახი გააღო, ორივე ქვევით ჩავიდნენ გარეთ გასასვლელი კარისაკენ და ქალმა ჭუჭრუტანიდან ჩურჩულით დაუძახა სწავლულს. ამან გაიგონა მეძახიანო, ღმერთს მადლობა შესწირა და იფიქრა, ახლა მაინც შემიშვებენო; მოვიდა კართან და უთხრა: „აქ

გახლავართ, მადონა, თუ ღმერთი გწამთ, მალე გამიღეთ კარი, თორემ, ლამის არის გავიყინო“. ქვრივმა უპასუხა: „მაშ, გაიყინე, განა? ეტყობა ძალიანა ცივა, რომ ცოტა თოვლიც მოსულა: გამიგონია პარიზში უფრო დიდ თოვლსა სდებსო. შენი შემოშვება ჯერ კიდევ არ შემიძლიან, რადგან ჩემი შეჩვენებული ძმა, საღამოს ვახშმად რომ მოვიდა ჩემთან, ჯერ ისევ აქაა, მაგრამ მალე კი წავა და მაშინ ხელად გაგიღებ კარსა. ახლაც ძლივს დავაღწიე თავი, რომ შენთან მოვსულიყავ შენს გასამხნევებლად. შენი ჭირიმე, არ გეწყინოს, რომ ასე გალოდინე“. სწავლულმა უთხრა:

„ვაიმე, მადონა, ღვთის გულისათვის, გამიღეთ კარი, რომ გადახურულში მაინც ვიქნე, იმიტომ რომ ამ ცოტა ხნის წინათ საშინელი თოვლი მოვიდა და ახლაც გადაუღებლივ ბარდნის; აქ მანამდე დაგიცდით, სანამ თქვენ გენებებოდეთ“. ამაზე ქვრივმა უპასუხა:

„ვაიმე, ჩემო ტკბილო, რა ვქნა, რომ არ შემიძლიან. ეს კარი გაღების დროს საშინლად ჭრიალებს და ოდნავადაც რომ მოვაღო, მაშინვე შემიტყობს ჩემი ძმა; მაგრამ ახლა მინდა ჩემს ძმასთან დავბრუნდე და ვკითხო, იქნებ წასვლას აპირებს კიდეცა; თუ მიდის, დავბრუნდები და გაგიღებ“. სწავლულმა უთხრა: „აბა, გეთაყვათ, ჩქარა წადით; თანაცა გთხოვთ, კარგი ცეცხლი დაანთებინოთ, რომ როცა შიგ შემოვალ, შემეძლოს გავთბე, თორემ ისე ვარ გაყინული, რომ ძლივსა ვსუნთქავ“. ქვრივმა უპასუხა: „ეს შეუძლებელი იქნება, თუ მართალი იყო, რასაცა მწერდი, ვითომ ჩემი სიყვარულით ცეცხლი გედებოდა; დარწმუნებული ვარ მეხუმრები. აბა ახლა მივდივარ, შენ კი დამიცადე და ყოჩაღად იყავ“.

საყვარელი, რომელსაც ყველაფერი ესმოდა და გულში უხაროდა, ქვრივთან ერთად დასაწოლად შემობრუნდა. იმ ღამეს თითქმის არ უძინიათ, მთელი ღამე სიამტკბილობდნენ, თან დასცინოდნენ სწავლულს. საცოდავი სწავლული (თითქმის ყანჩას დაემსგავსა, ისე მაგრად აცემინებდა კბილს კბილზე) დარწმუნდა, მასხრად მიგდებენო, და რამდენჯერმე მიაწვა კარებს, იქნება გაიღოსო. თან იქით-აქეთ იხედებოდა, ვინძლო აქედან გასასვლელი ვიპოვნოო. რაკი ვერაფერი მოახერხა, ლომივით გარშემო ურბენდა ეზოს, დაუწყო წყევლა ამ საშინელ დარს, ქვრივის ცბიერებას, ღამის გაჭიანურებას და მასთან ერთად თავის სისულელეს. საშინლად გაბრაზდა ქალზე, თავისი დიდი ხნის მხურვალე სიყვარული, რომელსაც მისდამი გრძნობდა, სასტიკ და დაუძინებელ მტრობად გადაექცა და ათას რასმე ფიქრობდა, თუ როგორ ეძია შური. და წინათ მისი ნახვა ისე არა სწყუროდა, როგორც ახლა მის შურისძიებასა ნატრობდა.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ დილამ კარი გაუღო დღეს და განთიადმა თავი გამოჰყო. ამიტომ ქალბატონის მიერ დარიგებული მოახლე ძირს ჩამოვიდა, გააღო ეზოს კარი და ვითომ თანაგრძნობით უთხრა: „ღმერთმა ნუ იცის მაგისი თავი და ტანი, ვინც აქ გუშინღამ მოვიდა: იმის წყალობით ცალკე ჩვენა ვშფოთავდით მთელი ღამე და ცალკე შენ იმ ყინვაში

გამყოფა. მაგრამ იცი, რა გითხრა? შეურიგდი ბედს: რასაც ამაღამ ვერ ეწიე, სხვა დროს ეწევი. მე ის ვიცი, რომ ქალბატონს ისე არაფერი სწყენია, როგორც წუხანდელი ამბავი“.

სწავლული მთლად აღივსო ბრაზითა, მაგრამ ჭკვიანმა კაცმა იცოდა, რომ მუქარა იარაღია იმის ხელში, ვისაც ემუქრებიან, და ამიტომ გულში დაიმარხა ის, რის გარეთ ამონთხევასაც თავშეუკავებელი სურვილით ლამობდა, და დაბალი ხმით, თითქო გულმოსული არც კი იყოო, უთხრა: „სიმართლე უნდა ვთქვა, ასეთი საშინელი ღამე ჩემს სიცოცხლეში არ გამიტარებია, მაგრამ მე მშვენივრად მივხვდი, რომ შენი ქალბატონი არაფერ შუაშია, იმიტომ რომ ვხედავდი, ჩემი საცოდაობით იწვოდა და ქვევით ჩამობრძანდა ბოდიშის მოსახდელად და ჩემს სანუგეშებლად; და, როგორც შენ თვითონ ამბობ, რაც ამაღამ არ შემისრულდა, სხვა დროს შემისრულდება; ჩემს მაგიერ მოკითხვა მოახსენე და ღმერთმა მშვიდობით გამყოფოს-თქო“.

სიცივისაგან ხელფეხდაბუხული, რის წვალებით დაბრუნდა შინა. არაქათგამოლეული, უძილო, ლოგინზე დაეგდო გამოსაძინებლად. რომ გამოეღვიძა, აღარც ფეხები ერჩოდა და აღარც ხელები. ამიტომ ექიმი მოაყვანინა, უამბო, რა სიცივეში მოუხდა ყოფნა და სთხოვა, მიშველე რამეო. ექიმებმა სწრაფი და მაგარი საშუალებით დაუწყეს წამლობა და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მოურჩინეს ძარღვები იმდენად, რომ გაჭიმვა შეეძლო; ახალგაზრდა რომ არ ყოფილიყო და სითბოს რომ არ მოესწრო, სულ დიდ ხანს მოუხდებოდა წვალება. კვლავ მოიკრიბა ჯანი და სიმხნევე, თავის სიძულვილს ისევ გულში იმარხავდა და თავი ისე ეჭირა, ვითომ წინანდელზე მეტად ჰყვარებოდა ქვრივი.

გაიარა დრო-ჟამმა. ბედმა სწავლულს ისე გამოუწყო საქმე, რომ შეეძლო თავისი გულისნადები შეესრულებინა. საქმე ის გახლავთ, რომ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ქვრივს უყვარდა (სრულიად არაფრად მიაჩნდა ქვრივის სიყვარული), ახლა სხვა ქალი შეუყვარდა და რადგან სრულებით არა ცდილობდა ცოტად თუ ბევრად მისი საამებელი ან ეთქვა ან ექნა, ქვრივი ცრემლად იღვრებოდა და მწარედ ნაღვლობდა. მოახლეს ძალზე ებრალებოდა თავისი ქალბატონი, უნდოდა დაკარგული საყვარლის მიერ მიყენებული დარდი გაექარვებინა, მაგრამ ვერასგზით ვერ მოეხერხებინა ესა. ერთხელ სწავლულს, ჩვეულებრივ, ქუჩაში მიმავალს, თვალი მოჰკრა და თავში ასეთმა სულელურმა აზრმა გაუელვა: მოდი, რამე ნიგრომანციული საშუალებით შევეცდები ჩემი ქალბატონი ისევ შეიყვაროს მისმა წინანდელმა საყვარელმაო. და ამ ნიგრომანციაში კი სწავლული ძალიან უნდა იყოს დახელოვნებულიო. და ეს თავისი განზრახვა ქალბატონს გაუზიარა. ქვრივი დიდი ჭკუის პატრონი არ იყო და არც უფიქრია ის, რომ სწავლულს ნიგრომანციის რამე რომ სცოდნოდა, ხომ თავის თავს უშველიდაო, დაუჯერა მოახლის ნათქვამს და დაავალა: წადი, გაიგე, თანახმა არის თუ არა შემილოცოსო და დაპირდა, სამაგიეროდ შენის გუნების საქმეს გაქნევინებო.

მოახლემ კარგად და ზედმიწევნით აასრულა დავალება. სწავლულმა ეს რომ გაიგონა, ცათაფრენა მოეკიდა და თავის გულში თქვა: დიდება შენდა, უფალო, დრო მოვიდა შენი შეწევნით ეს საძაგელი ქალი დავსაჯო. ის არ იყო, რომ ჩემი მისდამი უსაზღვრო სიყვარულის სანუფქოდ ესდენ შემარცხვინაო! მერე მოახლეს უთხრა: „ასე მოახსენე ჩემს ქალბატონს, რომ ამის დარდი ნუღარ ექნება, მისი საყვარელი ინდოეთშიც რომ იყოს წასული, იქიდან ფიცხლავ მოვიყვან და პატიებას მოვათხოვინებ წყენინებისათვის. იმაზე, თუ ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს, მე თვითონ პირადად მოვახსენებ, როცა თვითონ დამინიშნავს დროს და ადგილს და ვეახლები. ასე მოახსენე ჩემს მაგივრად, ნე გეშინია-თქო“.

მოახლემ პასუხი მოახსენა და ქვრივი და სწავლული შეთანხმდნენ სანტა ლუჩია დელ პრატოში შესულიყვნენ ერთად. დანიშნულ ადგილს რომ მივიდნენ ქვრივი და სწავლული, მარტოდმარტოებმა დაიწყეს ლაპარაკი . ქალს სრულებით დააავიწყდა, რომ სწავლული კინაღამ საფლავში ჩაიყვანა, თავისი ამბავი გულახდილად უამბო, ყველაფერი გაანდო, რაცა სურდა და შველასა და დახმარებას ენუკვა. ამაზე სწავლულმა უთხრა: „მადონა, მართალი მოგახსენოთ, პარიზში, სხვათა შორის, ნიგრომანციასაც გავეცანი და ვიცი, რაც არის, მაგრამ რადგან უფალს მეტისმეტად არა თნავს, დავიფიცე ამ საშუალებისათვის არ მიმემართნა არც ჩემთვის და აღარც სხვისთვის. ისიც მართალი გახლავთ, რომ თქვენ ისე ძლიერად მიყვარხართ, რომ არ ვიცი, როგორ გითხრათ უარი თქვენს თხოვნაზე. ამიტომ ამ საქმისათვის თუნდაც ეშმაკისათვის დამჭირდეს სულის მიყიდვა, მზადა ვარ ესეც ჩავიდინო, ოღონდ კი თქვენ გაამოთ. მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ამის შესრულება უფრო ძნელი გახლავთ, ვიდრე თქვენ შეიძლება გეგონოთ, განსაკუთრებით, — როცა ქალი ცდილობს კაცს თავი შეაყვაროს, ან კიდევ კაცი ცდილობს ქალს შეაყვაროს თავი, იმიტომ რომ ეს საქმე უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანის საშუალებით, ვისაც ეს პირდაპირ შეეხება, და თან ვინც ამას აკეთებს, გულმაგარი უნდა იყოს, რადგან ყოველივე უნდა შესრულდეს ღამით, განმარტოებულს ადგილას და გარშემო არავინ უნდა დაესწროს. და ახლა არ ვიცი, ყოველივე ამის შესრულებას თქვენ გაბედავთ თუ არა“. ამაზე ქვრივმა, უფრო შეყვარებულმა, ვიდრე გონიერმა უპასუხა: „სიყვარულისაგან ისე ვარ შეგულიანებული, რომ არაფერს შევუშინდები, ოღონდ ხელახლა დავიბრუნო ის, ვინც უმიზეზოდ თავი დამანება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, გეთაყვა, მითხარი, რა საქმეში მმართებს გულმაგრობა?“

სწავლულმა, რომელსაც გულში ბოროტი ედო, ასე უთხრა: „მადონა, მე კალისაგან უნდა გავაკეთო გამოსახულება იმისა, ვინც ხელახლა გინდათ ხელში ჩაიგდოთ. ამას რომ გამოგიგზავნით, თქვენ, როცა მთვარე სულ დალეული იქნება, ტიტველი და მარტოდმარტო, მდინარე წყალში, მამლის პირველ ყივილზე, გამოსახულებასთან ერთად შვიდჯერ უნდა ჩაიყურყუმალაოთ; შემდეგ შიშველივე უნდა ახვიდეთ ხეზე ან სადმე უკაცური სახლის თავზე; მერე ხელში დაიჭიროთ ეს გამოსახულება, პირი ჩრდილოეთისაკენ მიიქციოთ და შვიდჯერ

წარმოთქვათ ის სიტყვები, რომლებსაც მე დაგიწერთ; ამ სიტყვებს რომ იტყვით, გამოგეცხადებათ ორი ისეთი სილამაზის ქალი, რომელთა მსგავსი თავის დღეში არ გენახოთ, მოგესალმებიან და თავაზიანად გკითხავენ, რას ინატრებთო? თქვენც აიღებთ და მკაფიოდ და დაწვრილებით ეტყვით, რასაცა ნატრობთ; მხოლოდ გაფრთხილებთ, ერთის მაგიერ მეორე არ უთხრათ; ამას რომ ეტყვით, ისინი მოგშორდებიან, თქვენ კი ჩამოხვალთ და გასწევთ იმ ადგილისაკენ, საცა ტანისამოსს დატოვებთ, ჩაიცვამთ და შინ დაბრუნდებით. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მეორე დღეს შუაღამემდე თქვენი საყვარელი, ატირებული, თქვენთან მოვა და პატიებას მოგთხოვთ. და იცოდეთ, ამ წუთიდან არავისში გაგცვლით და სამარის კარამდე თქვენი ერთგული იქნება“.

ქვრივმა ყოველივე რომ მოისმინა, დაუჯერა; თავისი საყვარელი თითქოს კიდევაც გულში ჰყავს ჩახუტებულიო, სანახევროდ გახარებულმა უთხრა: „დარწმუნებული იყავ, შენს ნათქვამს ყველაფერს ზედმიწევნით შევასრულებ და ყველაფერიც ხელს მიწყობს ამისათვის; ზემო ვალდარნოს მხარეს ერთი მამული მაქვს, მდინარის ნაპირთან სულ ახლოსაა, თან მკათათვეცაა და წყალში ბანაობა სასიამოვნოც იქნება. მაგონდება, რომ მდინარის ახლოს ერთი პატარა კოშკიცაა, შიგ არავინა ცხოვრობს, მხოლოდ წაბლის ხისაგან გაკეთებული კიბეა და ამ კიბით ზოგჯერ მწყემსები ადიან ზედ ერთ ბაქანზე, რომ იქიდან ათვალიერონ ხოლმე დაბნეული ცხვარი (ეს ადგილი მეტად განმარტოებულია და ადამიანი იშვიათად ეკარება). აი ამაზე ავალ და იმედი მაქვს ზედმიწევნით შევასრულო, რასაც დამარიგებ“.

სწავლულმა მშვენივრად იცოდა, თუ სად იყო ქვრივის მამული და ეს მდინარეც. ძალიან უხაროდა, მგონი, ახლა კი ვეწიო გულის წადილსაო, და ქვრივს უთხრა: „მადონა, მე იმ მხარეში ჩემს დღეში არა გხლებივართ, ასე რომ, არ ვიცი, სადაა ან თქვენი მამული ან ის მდინარე; მაგრამ თუ ისეა, როგორც თქვენა ბრძანეთ, ამას არაფერი აჯობებს. ამიტომ, როცა სწორედ დრო იქნება, ხატსა და შელოცვას გაახლებთ, მაგრამ დიდი თხოვნითა გთხოვთ, როცა ნატვრას შეისრულებთ და დაინახავთ, რომ კარგი სამსახური გაგიწიეთ, არ დამივიწყოთ და რასაც დამპირდით, შემისრულეთ“. უეჭველადო, უპასუხა ქვრივმა, მერე გამოეშშვიდობა და შინ დაბრუნდა.

სწავლულს მეტისმეტად უხაროდა, საცაა, გულისნადებს ავისრულებო, გააკეთა ხატი, ზედ მაგიური აჩხა-ბაჩხები გამოიყვანა, მერე რაღაც აბდაუბდა სიტყვებისაგან შელოცვა დაუწერა: შემდეგ გამოარჩია საუკეთესო დრო და ქვრივს გაუგზავნა, თანაც შეუთვალა, ამაღამვე უნდა შეასრულოთ, რაც გითხარითო. ამის შემდეგ თავისი მოსამსახურე იახლა და წავიდა თავის ერთ მეგობართან, რომელიც ხსენებული კოშკის ახლოს იდგა, რომ ეყურებინა, აბა ჩემი მოწყობილი საქმე როგორ ჩაივლისო.

ქვრივმაც თავის მხრივ იახლა თავისი მოახლე, დაადგა გზას და გაემართა თავისი

მამულისაკენ. რომ დაღამდა, ვითომ უნდა დავწვეთო და მოახლეს უბრძანა, წადი, დაწექიო. მამლის პირველი ყივილისას ჩუმად სახლიდან გამოვიდა და კოშკისაკენ გაემართა, არნოს ნაპირას რომ იყო; დიდხანს იყურა გარშემო და რაკი არავინ ჩანდა და არც არავის ხმა ისმოდა, ტანთ გაიხადა, ტანისამოსი ბუჩქს ქვეშ დამალა, შვიდჯერ ხატიანად ჩაიყურყუმალავა, მერე ტიტველმა, ხატიანად, კოშკისაკენ გამოსწია.

სწავლული თავის მსახურიანად, შეღამდა თუ არა, ტირიფებსა და სხვა ხეებს შორის დაიმალა, მდინარის მახლობლად. რაც მოხდა, ყველაფერი დაინახა. ტიტველმა ქალმა თითქმის გვერდით ჩაუარა. მისი ტანის სითეთრე ღამის სიბნელეში ანათებდა. სწავლული დააკვირდა ქალის გულმკერდს და სხეულის სხვა ნაწილებს და მისმა სილამაზემ თვალი მოსჭრა. და რომ დაუფიქრდა, თუ რა უნდა მოსვლოდა ამ ლამაზ სხეულს ამ მოკლე ხანში, შეეცოდა; მეორეს მხრივ, ერთბაშად მოერია ხორციელი ჟინი, უნდოდა ფეხზე დაეყენებინა მიძინებული გრძნობა, გამოსულიყო საფარიდან, სძგერებოდა ქალს და თავისი გულის წადილი სრულექმნა. რიგრიგად ხან ერთი გრძნობა მოერეოდა და ხან მეორე. მაგრამ რა მოაგონდა, ვინც იყო თვითონ ან ვისგან ან რისთვის თუ რარიგ იქნა შეურაცხყოფილი, რისხვა უფრო აღენთო, სიბრალული და ხორციელი ვნება უკუიყარა, მტკიცედ გადაწყვიტა თავისი განზრახვა აესრულებინა და ამიტომ ხმა არ გაუცია, ქალი ისე გაატარა.

ქალი კოშკზე ავიდა, პირი ჩრდილოეთისაკენ აქცია და დაიწყო თქმა სწავლულისაგან შედგენილი ლოცვებისა. სწავლული ჩუმად კოშკში შეიპარა, ნელ-ნელა გამოაცალა კიბე, რომლითაც კოშკის თავზე ადიოდნენ ხოლმე და სადაც ახლა ქვრივი იდგა, და მერე დაიწყო ლოდინი, აბა ქალი რას იტყვის ან რას იზამსო. ქვრივმა შვიდჯერ თქვა შელოცვა და დაუწყო ლოდინი ორ ქალიშვილს, მაგრამ იმდენ ხანს მოუნდა ლოდინი (იმისას ხომ ნუღარ იტყვით, რომ სიცივემ, ქალს რომ უნდოდა, იმაზე მეტად მოუჭირა), რომ უკვე ინათა კიდეც; რადგან არ ასრულდა სწავლულის ნათქვამი, თავის გულში თქვა: „ვაითუ, იმნაირი ღამე გამათევინოს, როგორც მე გავათევინეო; მაგრამ თუ ასეა, შურისძიება ძალიან ცუდადა სცოდნია, იმიტომ რომ ეს ღამე იმ ღამის მესამედიც არ არის, თან მაშინ უფრო მეტად ციოდა“. ამიტომ დღემ აქ არ მომისწროსო, მოინდომა ძირს ჩამოსვლა, მაგრამ დაინახა, კიბე ვიღაცას აუცლიაო, თითქო მიწა გაუსკდა და ქვეშ ჩაიტანაო, გული შეეღონდა და მოცელილივით კოშკის თავზე გაიშხლართა, ცნობას რომ მოვიდა, დაიწყო საცოდავად ტირილი და წუხილი; მიხვდა, ეს უეჭველად სწავლულის საქმე იქნებაო, თავისთავს ყვედრება დაუწყო: რად შეურაცხვყავი ეს კაცი, ანდა ძალიან რად მივენდე იმას, ვინც მართლა მტრად უნდა ჩამეთვალაო. ამ მდგომარეობაში კარგა ხანს იმყოფებოდა. მერე იქაურობას თვალიერება დაუწყო, იქნებ ჩასასვლელი ვიპოვო სადმეო, და რომ ვერ იპოვა, ისევ განაახლა ტირილი, შემოაწვა გულზე ნაღველი და თავისთავს უთხრა: „უბედურო ჩემო თავო, რა უნდა თქვან ჩემზე ჩემმა ძმებმა, მშობლებმა და მეზობლებმა, საერთოდ ფლორენციელებმა, როცა გაიგებენ, რომ აქ ტიტველი

ვიმყოფები? აქამდე თუ მეტად პატიოსანი ქალის სახელი მქონდა, ახლა ხომ თავი მომეჭრა, თავის გასამართლებლად კიდეც რომ მოვიგონო რამე ტყუილები, რაც მაინდამაინც ძნელი არ არის, წყეული სწავლული, რომელმაც ჩემი ამბავი ყველაფერი იცის, პირში წამადგება და ტყუილებში დამიჭერს. ვაი მე ბედკრულს! როგორ დავკარგე ერთსა და იმავე დროს ახალგაზრდა და უიღბლო საყვარელიც და ნამუსიცა!“ ამის შემდეგ იმ ზომამდე მოერია სევდა, რომ, ცოტას გაწყდა, კოშკიდან ძირს არ დაეშვა..

ამ დროს მზე ამოვიდა. ქალმა ცოტათი მიიწია კოშკის კედლის ერთი მხრისაკენ და ქვევით ჩაიხედა, იქნება მწყემსის ბიჭმა ვინმემ გაიაროს ცხვრებთან ერთად და ვთხოვო ჩემი მოახლის დაძახებაო.

ამ დროს ბუჩქს ქვეშ ცოტათი გამოძინებული სწავლული წამოდგა და დაინახა ქვრივი, მსგავსადვე ქვრივმა სწავლული დაინახა. სწავლულმა უთხრა: „დილა მშვიდობისა, მადონა, ქალწულები ჯერ არა გხლებიათ?“ ქვრივმა რომ დაინახა და რომ გაიგონა მისი ლაპარაკი, ტირილს უფრო მოუმატა და სთხოვა — კოშკზე ამოდი, მინდა მოგელაპარაკოო. ამ შემთხვევაში სწავლული მეტად თავაზიანად მოექცა. ქვრივი პირქვე დაწვა და გარეთ ხვრელში გამოჰყო მხოლოდ თავი და ტირილით უთხრა: „რინიერი, ოღონდაც რომ ცუდად გაგატარებინე ღამე, მაგრამ შენც კარგად ამოიყარე ჩემი ჯავრი, იმიტომ რომ ახლა თუმცა მკათათვეა, რაკი ტიტველი ვიყავ, ასე მეგონა, ღამით არ გავიყინები-მეთქი; გარდა ამისა, მე თუმცა მოვიტირე ის შეურაცხყოფა, შენ რომ მოგაყენე და ის ჩემი სისულელე — რომ შენ გენდე, მაინც მიკვირს, სირცხვილით კიდევ როგორ ვახელ თვალებს!.. და ახლა გთხოვ, არა ჩემი სიყვარულისათვის, რომელიც შენ არც უნდა გქონდეს, არამედ შენი, როგორც კეთილშობილი ადამიანის თავის პატივისცემისათვის, იკმარო ჩემ მიერ შენდა მოყენებული შეურაცხყოფისათვის სამაგიეროდ ის, რაც აქამდე მიყავ; მოატანინე ჩემი ტანისამოსი, რომ აქედან ჩამოსვლა მოვახერხო, და ნუ წამართმევ იმას, რის დაბრუნებასაც შემდეგში, კიდეც რომ გულით მოინდომო, ვერ მოახერხებ. ე.ი. ნუ წამართმევ ჩემს ნამუსს, იმიტომ რომ, თუ მე იმ ღამეს ჩემთან არ გამყოფე, სამაგიეროდ, როცა კი გინდა, მზად ვარ მოგაგო ერთიასად, მხოლოდ იმ ერთი ღამისათვის. ასე, ეს იმყოფინე და როგორც რიგიანმა ადამიანმა, მეტს ნუღარ გამოეკიდები, იკმარე, რომ ჯავრი ამოიყარე ჩემი და ეს მაგრძნობინე კიდეცა; ქალს ნუ დამეტოლები: აბა, რა სატრაბახოა არწივისათვის მტრედის მორევა?! ამიტომ ღვთის გულისათვის და შენდა სასახელოდ, შემიბრალე“.

სწავლულმა გაშმაგებით მოიგონა თავისი შეურაცხყოფა და ახლა ატირებულ ქალს რომ უყურებდა, გულში თან უხაროდა და თან სწყინდა კიდეც: უხაროდა იმიტომ, რომ შური იძია, ხოლო სწყინდა, როგორც ადამიანს, რომელსაც კაცთმოყვარული გრძნობა გაჭირვებულის შებრალებას უკარნახებს ხოლმე. მაგრამ რკი კაცთმოყვარეობა ვერ მოერეოდა მის ულმობელობას, უპასუხა: „მადონა ელენა, ჩემს ხვეწნა-ვედრებას (რომელიც,

მართალი მოგახსენოთ, არ შემიძლია ცრემლებით განვბანო ან ზედ თაფლი მოვასხა, როგორც შენ უშვრები ახლა შენს ცრემლებს) რომ გაეჭრა, და იმ ღამეს, როცა თოვლით დაფარულ ეზოში მე სიცივითა ვკვდებოდი, თუნდა ცოტა ხნით სადმე გადახურულს ქვეშ გემყოფებინე, ჩემთვის ახლა უფრო ადვილი იქნებოდა შენი ხვეწნა-მუდარისათვის ყური მეთხოვებინა; მაგრამ თუ ახლა შენ წარსულზე მეტად ზრუნავ შენი სახელის გაუტეხლობისათვის და გემძიმება აქ შიშვლად ყოფნა, ამ ხვეწნა-მუდარით მიმართე იმას, ვის გულში ჩახუტებული ყოფნაც ტიტველს არა გრცხვენოდა იმ სამახსოვრო ღამეს, იმ დროს, ოდეს გესმოდა, როგორ დავდიოდი ეზოში და კბილს კბილზე მაცემინებდა და თოვლსა ვტკეპნიდი; ჰო, ახლა მოგეშველოს, შენი ტანისამოსიც მოგიტანოს, იმანვე მოგიდგას კიბე, რომ ძირს ჩამოხვიდე; შეეცადე ჩაავონო, იზრუნოს შენი ნამუსისათვის, რომელიც ახლა და ათასჯერ სხვა დროსაც, არც კი დაფიქრებულხარ ისე, განსაცდელში ჩაგიგდია. არა, რატომ არ უძახი, მოვიდეს, გიშველოს? უფრო ვის შეეფერება შენი შველა, თუ არა იმას? შენ ხომ იმას ეკუთვნი; მაშ, ვიღას უნდა უშველოს და უპატრონოს, თუ არა შენ? დაუძახე, შე სულელო, შენა, და აბა სცადე, შეუძლია თუ არა შენდამი სიყვარულს და შენსა და იმის ჭკუას ერთად ჩემის სისულელისაგან გიხსნას? იმასთან დროს რომ აგარებდი, ხომ ჰკითხე, რომელი იყო უფრო მეტი: ჩემი სისულელე თუ შენი მისდამი სიყვარული? და ახლა მე ნუ შემომთავაზებ იმას, რაც მე არა მსურს, და რის უარს ვერ მეტყოდი, რომ მომენდომებინა; გირჩევნია შენი ღამეები შენი საყვარლისათვის შეინახო, თუკი აქედან ცოცხლად ჩასვლა გიწერია. ეს ღამეები შენთვის და მისთვის დამილოცნია: მე ერთი ღამეც მეყოფა, ისიცა კმარა, რაც ერთხელ გამამასხარავეს, შენს თიებსა! ახლა გამომდგარხარ, ენაზე თაფლი გინდა დაისხა, მაქო და მით ჩემი გული მოიგო, კეთილშობილ და ღირსეულ კაცს მეძახი, რომ მე, სულგრძელმა ადამიანმა, შენი სიბოროტე შეგარჩინო; მაგრამ შენი პირფერობა ვეღარ დამიბნელებს ჩემს სულიერ თვალებს, როგორც ეს მიყო შენმა მუხთლურმა დაპირებამ. მე ჩემს თავს ვიცნობ, მაგრამ სანამ პარიზში ვიყავ, ჩემი თავი ისე კარგად არა მყავდა გაცნობილი, როგორც ეს შენ გამაცანი ერთ-ერთ შენს ღამეებში. მაგრამ თუნდაც რომ სულგრძელი ვიყო, შენ მაინც იმ ადამიანთ არ ეკუთვნი, რომლისთვისაც ღირდეს კაცმა სულგრძელობა გამოიჩინოს: შენისთანა გარეული ნადირისათვის სინანული და აგრეთვე შურისძიება უნდა დასრულდეს სიკვდილით, ხოლო ის, რაც შენა თქვი, შეეფერება მხოლოდ ნამდვილ ადამიანს. იმიტომ რომ, თუმცა მე არწივი არა ვარ და არც შენა ბრძანდები მტრედი, არამედ გველი ხარ გესლიანი, მაინც მინდა გემტერო მთელი ჩემი ძალ-ღონითა და მთელი ჩემი სიძულვილითა; თუმცა იმას, რასაც გიშვრები, კაცმა მართალი რომ თქვას, შურისძიება არ დაერქმის, არამედ უფრო უბრალო სასჯელია, იმიტომ რომ ის შურისძიება რა შურისძიებაა, თუ მოყენებულ შურისძიებას არ აღემატება, ხოლო ეს სასჯელი შურისძიებას ვერ დაეტოლება. მე რომ მდომოდა შური მეძია და თუ ანგარიშში ჩავაგდებთ იმას, რაც უყავ ჩემს სულს, შენი სიცოცხლე არც კი მეყოფოდა, კიდეც რომ წამერთმია შენთვის ეს სიცოცხლე; შენ კი არა, ასე შენი მსგავსი სხვაც რომ მომეკლა, მაინც არ მეყოფოდა, შენზე კი იტყოდნენ — საზიზღარი,

სულმდაბალი და ბოროტი დიაცი მოკლაო. ან რა დიდი ვინმე ვგონია შენი თავი (თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ შენს მოხდენილ სახეს რომელიც ორ-სამ წელიწადში გახუნდება და ნაოჭებით დაიფარება), ან რით ხარ უბრალო, საცოდავ მოახლეზე უკეთესი? შენი გულისთვის კი კინაღამ მოკვდა ერთი ღირსეული ადამიანი, როგორც შენ ამას წინათ მიწოდე, რომლის სიცოცხლეს როდისმე შეეძლება ქვეყნიერებას უფრო მეტი სარგებლობა მოუტანოს, ვიდრე ასეთ შენისთანების სიცოცხლეს, სანამ ქვეყნიერება იარსებებდეს! მაშასადამე, იმ უსიამოვნების წყალობით, რომელსაც ახლა განიცდი, გასწავლი, თუ რასა ნიშნავს დაცინვა ისეთების, ვისაც რამე გაგება აქვთ, დაცინვა სწავლულებისა, და ამრიგად მიგახვედრებ, კვლავ აღარ ჩაიდინო ასეთი სისულელე, თუკი ახლა როგორმე გადარჩი. მაგრამ თუკი ისე ძალიან გინდა ჩამოსვლა, ბარემ ჩამოიგდო ძირს თავი? რაკი ღვთის შეწევნით კისერს მოიტეხ, ერთსა და იმავე დროს, თავს დააღწევ იმ ტანჯვა-წვალებას, რომელშიაც, შენის აზრით, იმყოფები, და მეც ქვეყანაზე უბედნიერეს ადამიანად გამხდი. ახლა მეტს არას გეტყვი: იმდენი მოვახერხე, რომ გაიძულე აქ ასულიყავი; ახლა კი იმდენი მოახერხე, რომ ძირს ჩახვიდე, ისევე, როგორც მოახერხე ჩემი გამასხარავება“.

სანამ სწავლული ამას ამბობდა, საცოდავი ქალი ტირილს განაგრძობდა. ამასობაში დრო კი გადიოდა და მზე სულ მაღლა-მაღლა იწევდა. მაგრამ როცა ქვრივმა შენიშნა, სწავლული დაჩუმდაო, უთხრა: „ოი, შე ულმობელო, შენა! თუკი ის წყეული ღამე იმდენად მძიმე იყო შენთვის და ჩემი დანაშაულიც იმდენად უზომოდ მოგეჩვენა, რომ გული ვეღარ მოგილბო და სიბრალული ვერ აღგიძრა აღარც ჩემმა ახალგაზრდულმა სილამაზემ, აღარც ცხარე ცრემლებმა და აღარც ჩემმა დამცირებულმა ხვეწნა-მუდარამ, მარტო იმ გარემოებამ მაინც მოგილბოს გული და შეგისუსტოს შენი უდრეკი გულქვაობა, რომ კვლავ მოგენდე, ყოველი ჩემი საიდუმლოება გაგანდე და ამით ავასრულე შენი გულის წადილი, რათა მე შემეგნო ჩემი დანაშაული; რადგან მე რომ არ მოგნდობოდი, შენ ვერასგზით ვერ მოახერხებდი ჩემი შური გეძია, რაც როგორც გეტყობა, ასეთი გაშმაგებით გწყურებია. გეყოფა! იკმარე შენი რისხვა და ახლა მაინც მაპატიე. თუ მაპატიებ და აქედან ძირს ჩამიყვან, გადაწყვეტილი მაქვს, ხელი ავიღო ამ ორგულ ყმაწვილზე და მხოლოდ შენ ერთი გიყოლიო საყვარლად და მბრძანებლად, თუმცა ჩემს სილამაზეს საშინლადა ჰგმობ — მოკლეჟამიერია და არაფერი ფასი აქვსო! სილამაზე, როგორიც უნდა იყოს იგი, ისევე, როგორც სხვა ქალების სილამაზე, ვიცი, თუ სხვა რისთვისმე არ დავაფასებთ, უნდა დაფასდეს იმისთვის, რომ სიამოვნებასა, სიხარულსა და შვება-ლხენასა ჰგვრის ხოლმე ახალგაზრდა მამაკაცთ, და შენ ხომ ბებერი არა ხარ, შე დალოცვილო! და თუმცა უწყალოდ მეპყრობი, მაინც არ შემიძლია დავიჯერო, რომ შენ გინდოდეს დამინახო როგორა ვკვდები ასეთი სასირცხვილო სიკვდილით, აქედან სასოწარკვეთილებისაგან ჩამოვარდნილი შენს თვალთ წინ, რომლითაც, თუ მართლა არა სტყუოდი, როგორც ახლა დაგიწყია ტყუილების თქმა, ერთ დროს ესოდენ მოგწონდი. კარგია, გეყოფა, მიხედე შენს ღმერთს და შემიბრალე: მზე საშინლად აჭერს და თუ წუხელ

მეტისმეტმა სიცივემ შემაწუხა, დღეს მეტისმეტმა სიცხემ უარესი დღე უნდა დამაყენოს“.

ამაზე სწავლულმა, რომელიც დიდ სიამეს განიცდიდა, ასე უპასუხა: „მადონა, უნდა მოგახსენო, რომ შენ იმიტომ კი არ მომნდობიხარ, ვითომ გიყვარდი, არამედ იმიტომ, რომ როგორმე დაგებრუნებინა ის, ვინც დაგეკარგა; ამიტომ შენი საქციელი უმეტესი სასჯელის ღირსია. და შენ ტყუილადა გგონია, რომ ეს გზა ჩემთვის ერთადერთი მარჯვე გზა იყოს შენი ჯავრის ამოსაყრელად. ათასი სხვა გზა მქონდა ამისათვის, თავს ისე მოგაჩვენებდი, მიყვარხარ-მეთქი და ათას მახეს დაგიგებდი ფეხებქვეშ, და ეს რომ არ მომხდარიყო, დიდი ხანი არ გაივლიდა, შენ უკვე, ძალაუნებურად, ერთ-ერთში გაებმებოდი; რომელშიაც უნდა მომხვდარიყავ, ამჯერად რომ გერგო, ამაზე მეტი ტანჯვა და სირცხვილი არ აგცდებოდა; და ეს გზა იმიტომ კი არ ავირჩიე, რომ შენთვის შვება რამ მომეცა, არამედ იმიტომ, რომ მე სიმხიარულე მომნიჭებოდა. ვინიცობაა, არც ერთი საშუალება არ მქონოდა, კალამი მაინც შემრჩებოდა, და ამ კალმის საშუალებით შენზე იმდენს და ისეთნაირად დავწერდი, რომ გაგეგო (უეჭველად გაიგებდი), დღეში ათასჯერ ინატრებდი, ნეტავ ამქვეყნად სულაც არ დავბადებულიყავიო. კალმის ძლიერება უფრო დიდია, ვიდრე ესა ჰგონიათ იმათ, ვისაც მისი ძალა არ გამოუცდია. ღმერთსა ვფიცავ (ინებოს მამაზეციერმა ჩემი გამხიარულება შენი შურისძიებით ბოლომდე ისევე, როგორც გამამხიარულა დასაწყისმა), მე შენზე ისეთ რასმე დავწერდი, რომ შენ არამცთუ სხვებისა შეგრცხვენოდა, არამედ შენი თავისაც და ოღონდ შენი თავი არ დაგენახა, ორივე თვალს ამოითხრიდი; ამიტომ ნუ ჰყვედრი ზღვას, პატარა ნაკადულმა მისი წყალი რომ გაზარდა. როგორც უკვე გითხარი, რა მგამა მე შენი სიყვარულისა ან იმისა, რომ შენ ჩემი შეიქმნე! თუ შეგიძლია, დაე, ეკუთვნოდე იმას, ვისაც აქამდე ეკუთვნოდი, ხოლო ის კი, რამდენადაც წინათ მძულდა, იმდენადვე ახლა მიყვარს, რაკი დავუფიქრდები იმას, თუ როგორ მოგეპყრა. თქვენ შეგიყვარდებათ ხოლმე ახალგაზრდა ყმაწვილები და ეძიებთ, რომ იმათაც შეგიყვარონ, იმიტომ რომ ხედავთ, ამათ კანის ფერი უფრო გაღვივებული აქვთ, წვერიც უფრო შავი, გამოდიან თამამად, ცეკვავენ და ფარიკაობენ; ყოველივე ეს უფრო ხნიერებსაც უკეთებიათ და ამათ ისიც იციან, თუ რა უნდა ისწავლონ კიდევ ახალგაზრდებმა. გარდა ამისა, თქვენ ის ყმაწვილები საუკეთესო ცხენოსნებად მიგაჩნიათ და გგონიათ, რომ მათ შეუძლიათ დღეში ერთ მილზე მეტი გაიარონ, ვიდრე მათზე უფრო ხნიერთ ძალუძთ. მართლა ვაღიარებ, რომ ესენი ღონივრად გამობერტყავენ ხოლმე ტყავეულობას, მაგრამ უფრო მომწიფებულებმა კი, როგორც გამოცდილებმა, იციან, თუ სადა ბუდობენ რწყილები; და გაცილებით უმჯობესია კაცმა ცოტა აირჩიოს და ნოყიერი, ვიდრე ბევრი და უგემური; ჩქარი სირბილი კაცსა ღლის და წელში წყვეტს, თუნდაც ახალგაზრდა იყოს ცხენოსანი; ნელი სეირნობით კაცი, მართალია, ცოტა გვიან მოდის ბინაზე, სამაგიეროდ დასვენებულად მაინც მოდის. ვერც კი მიმხვდარხართ, თქვე ბრიყვო პირუტყვებო, თუ რამდენი ბოროტებაა დაფარული ამ უმნიშვნელო ვერაგული სილამაზის ქვეშ! ახალგაზრდ ყმაწვილები ერთ ქალს აღარ სჯერდებიან, რამდენსაც ნახავენ,

იმდენის ნდომა შეუვათ გულში და გაეტრფიალებიან, რადგან ჰგონიათ, რომ ღირსნი არიან ყველა ქალებისა; ამიტომ მათი სიყვარული მტკიცე და ერთგული არ არის, და ახლა შენი გამოცდილებით შეგიძლია დაამოწმო ესა. იმათ ჰგონიათ, რომ მათმა სატრფიალო ქალებმა მათ უნდა პატივი სცენ, ეალერსონ და სატრაბახოდ სულ ისა აქვთ — ესა და ეს ქალი მყოლია საყვარლადაო. კიდეც ამიტომაა, რომ ბევრი ამ ქალთაგანი დაუახლოვდა ბერებს, რომლებიც ასეთ რამეზე როდი ტრაბახობენ ხოლმე. თუმცა ამბობ, რომ შენი სიყვარულის ამბავი შენი მოახლისა და ჩემს გარდა თითქოს არავის სცოდნოდაო, მაგრამ შენა სცდები და ტყუილადა გჯერა ეგა, თუ მართლა გჯერა. შენსა და იმის ქუჩაზე თითქმის სხვა მეტ არაფერზე ლაპარაკობენ, მაგრამ უკანასკნელი, ვის ყურებამდეც ასეთი ამბავი მოდის, ისაა ხოლმე, ვისაც ეს ამბები შეეხება. გარდა ამისა, ახალგაზრდები თქვენა გძარცვავენ, იმ დროს, როცა მომწიფებულები, პირიქით, გაძლევენ. და რაკი შენი არჩევანი ცუდია, დაე ეკუთვნოდე იმას, ვისაც მიენდე, ხოლო რაკი დამცინე, ჩემი თავი დაანებე სხვას, რადგან უკვე ვიპოვე სხვა ქალი, შენზე გაცილებით ღირსეული, იმან შენზე უკეთესად მიცნო და დამაფასა კიდეც. და იმისათვის, რომ შენ წაგყვეს საიქიოში მეტი დაჯერება იმისა, თუ რა სურს ჩემს თვალებს, ვიდრე ამქვეყნად ჩემს სიტყვებს უჯერებდი, ჩქარა გადმოვარდი და შენს სულს, რომელიც, ჩემის აზრით, ეშმაკის ბრჭყალებსა ჰყავს ჩაბღუჯული, შეეძლება დაინახოს, ჩემი თვალები შენის საშინელის ჩამოვარდნის ყურებაზე შეშფოთდება თუ არა. მაგრამ რადგან დარწმუნებული ვარ, ამით შენ მე ვერ გამახარებ, ერთ რასმე გეტყვი: თუ მზის სიცხემ მოგიჭირა, მოიგონე, თუ რა სიცივის მოთმენა მაიძულე, და თუ იმ სიცივეს სითბოში აურევ, უეჭველია, მზის სიცხე ზომიერად მოგეჩვენება“.

სასოწარკვეთილი ქვრივი ხედავდა, რომ სწავლულის სიტყვებს საშინელი ულმობლობა ჰქონდა დასახული აზრად, ხელახლა დაიწყო ტირილი და უთხრა: „თუ ვერაფერმა შეგაბრალა ჩემი თავი, დაე გული მოგილბოს იმ ქალის სიყვარულმა მაინც, რომელიც, შენის თქმით, ჩემზე უფრო ჭკვიანი გამომდგარა და შენც უყვარხარ, როგორც შენ ამბობ, და გაფიცებ იმის სიყვარულს, მაპატიო; მომიტანე ჩემი ტანისამოსი, რომ ჩავიცვა და აქედან ჩავიდე“.

სწავლულმა სიცილი დაიწყო და რომ დაინახა, სამ საათს უკვე კარგად გადასულაო, უპასუხა: „რა გაეწყობა, რაკი ის ღირსეული ქალი დამაფიცე, უარს ვერ გეტყვი: მასწავლე, სადა გაქვს შენახული, წავალ მოსატანად და გიშველი ძირს ჩამოხვიდე“. ქალმა დაუჯერა, ცოტა არ იყოს, გული გაიკეთა და ასწავლა, საცა დატოვებული ჰქონდა ტანისამოსი. სწავლული კოშკიდან გამოვიდა, თავის მოსამსახურეს უბრძანა, აქაურობას არ მოშორებოდა, ის კი არა, ახლოს ყოფილიყო და, რაც შეიძლებოდა, ყური ეგდო: ვინმე არ შევიდეს კოშკში, სანამ მე დავბრუნდებიო. ეს რომ თქვა, თავისი მეგობრის სახლში შევიდა, იქ არხეინად ისადილა და მერე თავის დროზე დაიძინა კიდეც.

კოშკის თავზე დარჩენილი ქალი, თუმცა, ცოტა არ იყოს, ნუგეშცემული იყო ბრიყვული

იმედით, მაინც უზომოდ დაძმარებული მივიდა კედლის იმ კუთხესთან, საცა ცოტაოდენი ჩრდილი იყო, ჩამოჯდა, კედელს მიეყუდა და, მწუხარე ფიქრებით აღსავსემ, ლოდინი დაუწყო. ხან ფიქრები წაიღებდა, ხან იმედები, ხანაც სასოწარკვეთილება მოიცავდა — ვაითუ სწავლული არ დაბრუნდეს და ტანისამოსი არ მოიტანოსო, მერე ერთი ფიქრიდან მეორეზე გადადიოდა. ბოლოს, მწუხარებისაგან ღონეგამოცლილს და მთელი ღამის უძინარს, ჩაეძინა.

უკვე საშუადღეოზე ასული მზე ძალზე აწუხებდა. მზის სხივი დაუფარავად და პირდაპირ ეფრქვეოდა ქალის ჩვილ და სათუთ სხეულს და მის დაუფარავ თავს და მერე ისეთი სიძლიერითაც, რომ არამცთუ დასწვა, არამედ მთელი კანი შრეებად დაუხეთქა; ისე დაეწვა კანი, რომ თუმცა გულისძილით ეძინა, მაინც იძულებული შეიქნა გამოღვიძებოდა. ქალმა რომ იგრძნო, კანი მეწვისო, ცოტათი შეინძრა, და ამ მოძრაობის დროს მოეჩვენა, თითქოს დამწვარ ტყავს პირი გაეხსნა და იქით-აქეთ გაიწია, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ ცეცხლმოკიდებულ პერგამენტზე, თუ ვინმე გასწევს. და, გარდა ამისა, ისე საშინლად სტკიოდა თავი, რომ თითქო ეს არის, უნდა გაუსკდესო, რაიცა საკვირველი არ იქნებოდა. კოშკის ბაქანი კი ისეთი გახურებული იყო, რომ ზედ ვერც ფეხი დაეკარებინა და ვერც რამე სხვა. ამიტომ ერთგან ვეღარა დგებოდა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა და ცრემლად იღვრებოდა. გარდა ამისა, ქარი სრულებით არ უბერავდა და ურიცხვ კოღოებს მოეყარათ თავი. ესენი შიშველ ტანზე ასხდებოდნენ და ისე საშინლად ჰკბენდნენ, რომ ყოველი კბენა მახვილის ჩარჭობად ეჩვენებოდა, ამიტომ განუწყვეტლივ ხელს იქნევდა, თან სწყევლიდა თავის თავს, თავის სიცოცხლესაც, სიყვარულსაც და სწავლულსაც. ამგვარად, ზოგი საშინელი სიცხისა, მზისა, ბუზებისა და კელებისა, აგრეთვე შიმშილისა და განსაკუთრებით წყურვილისაგან, ზოგიც ათასგვარი მწარე ფიქრებისაგან დაძმარებული, დატანჯული და დაოსებული, ზეზე წამოდგა და დაიწყო ყურება, იქნება სადმე მახლობლად ვინმე დავინახო ან ყური მოვკრაო; გადაწყვეტილი ჰქონდა, რაც უნდა მომხდარიყო, დაეძახა და შველა ეთხოვა. მაგრამ ესეც გამოსწირა უბედო ბედმა. გლეხები ყველანი წასულიყვნენ სიცხის გამო ყანებიდან, ასე რომ, კოშკის მახლობლად სამუშაოდ არავინ გამოსულა და ყველანი თავიანთ კალოს სახლებს გვერდით ლეწავდნენ; ესმოდა მხოლოდ ჭრიჭინების ჭრიჭინი და ხედავდა მდინარე არნოს, რომელიც თავისი წყლის ჩვენებით სმის ჟინს უღვიძებდა და წყურვილს კი არ უკლავდა, უფრო უარესად უცხოველებდა. ხედავდა კიდევ მრავალ ალაგას კორომებს, ჩრდილებს, სახლებს და მათს ყურებაზე გული უარესად ელეოდა. მეტი რაღა ვთქვა სვეუბედური ქალისა? ზევიდან მზემ, ქვევიდან — გახურებული ბაქნიდან ამავალმა სიცხემ, გვერდებიდან კიდევ ბუზებისა და კელების კბენამ ისე დააოსეს, რომ თუ წინაღამეს თავისი სხეულის სისპეტაკით, ასე იტყოდით, სიბნელეს თრგუნავდაო, ახლა ბრაზისაგან ცეცხლმოკიდებული, სისხლში მოსვრილი, ისეთი სანახავი იყო, რომ ვისაც არ უნდა ენახა, ყველა იტყოდა — ამაზე საზიზღარი არსება ქვეყანაზე სხვა თუღა იქნებაო.

იყო ქალი ამ ყოფაში, არავისგან რჩევა რამ, არსაიდან იმედი, ელოდა მხოლოდ სიკვდილს, სხვას არაფერს. უკვე ცხრის ნახევარი გახდა. სწავლული ძილისაგან ადგა, მოაგონდა თავისი ქვრივი, მოდი, ვნახო, რა დაემართაო და კოშკისაკენ წამოვიდა. მსახური მშიერი ელოდებოდა და იმანაც შინ გაგზავნა საჭმელად. ქვრივმა მისი მისვლა რომ გაიგო, ჭუჭრუტანასთან მივიდა საშინელი ტკივილებისაგან განაწამები, ჩამოჯდა და, ატირებულმა, მიკნავებული ხმით ასე დაიწყო ლაპარაკი: „რინიერი, ხედავ, რა უსაზღვროდ იძიე ჩემი შური, იმიტომ რომ, თუ მე ჩემი სახლის ეზოში იმ ღამეს გაგყინე, შენ დღისით ამ კოშკზე დამწვი, თითქმის სრულებით მომხრაკე და გარდა ამისა, შიმშილითა და წყურვილითაც სულ მთლად სული ამომხადე, ამიტომ მიხედე შენს ღმერთს, ამოდი აქ და რადგან მე ვერა ვბედავ თავი მოვიკლა, შენ მაინც მომიღე ბოლო; ისე არაფერი მენატრება, როგორც სიკვდილი, რომ გადავრჩე ამ დაუსრულებელ ტანჯვა-წამებას. და თუ ამ წყალობასაც არ იზამ, ერთი ჭიქა წყალი მაინც ამომიგზავნე, რომ იმით პირი გავისველო, თორემ ჩემი ცრემლები ამისათვის არა მყოფნის, ისე მეწვის და ისე გამომიშრა გულ-მუცელი“.

სწავლულმა ხმაზე შეატყო, თუ რა ზომამდე იყო ქალი დასუსტებული, თანაც თვალი მოჰკრა მის ტანს, მზისაგან მთლად დამწვარს და ამან და აგრეთვე მისმა დამცირებულმა ხვეწნამ ცოტათი გული მოულბო; მაგრამ მაინც ასე უპასუხა: „ახ, შე შეჩვენებულო დიაცო! ჩემი ხელიდან სიკვდილი ვერ მოგართვეს! თუ მოკვდები, ისევ შენი ხელიდან მოკვდები, თუ მაინდამაინც სიკვდილი გინდა; ჩემგან კი იმდენსავე წყალს მიიღებ შენი წყურვილის მოსაკლავად, რამდენიც შენგან ცეცხლი მივიღე სიცივისაგან დასაფარავად. მე მხოლოდ ის მადარდებს, რომ ჩემი გაცივება, იძულებული ვიყავ, აყროლებული სკორეს სითბოთი მომერჩინა, ამ დროს, როცა სიცხისაგან გაჩენილი შენი სენი სურნელოვანი ვარდის წყლის სიგრილით განიკურნება; და როცა მე. ცოტას გაწყდა, ძარღვებს და სიცოცხლეს გამოვეთხოვე, შენ ამ სიცხისაგან მხოლოდ კანი გაგძვრება და იმნაირადვე მშვენიერი დარჩები, როგორც კანის გამოცვლის შემდეგ გველი“. — „ვაი ჩემს შავს დღეს! — წამოიძახა ქვრივმა. — ასეთნაირად მოპოვებული სიმშვენიერე ჩემს მტერს და მაწყევარსაც ნუ მისცეს ღმერთმა!.. მაგრამ შენ, ყოველ მხეცზე უუდიერესო, რა გული გიშვრება, რომ ასეთი საშინელი ტანჯვითა მტანჯავ. შენ იქნებოდი თუ სხვა, ამის მეტი რა უნდა გექნათ ჩემთვის, რომ ავმდგარიყავ და შენი გვარის ხალხი ასეთი ჯოჯოხეთური წამებით გამეწყვიტა? ღმერთმანი, არ ვიცოდე, რა ულმობლობა უნდა გამოეჩინა კაცს იმ მოღალატის წინააღმდეგ, რომელიც მტერს მთელ ქალაქს ამოაჟუჟვინებდა, იმაზე მეტი, ვიდრე ახლა შენ ჩემ მიმართ გამოიჩინე იმით, რომ მაიძულე მზეზე მოვიხრაკო და თან ბუზებმა უღმერთოდა მკბინონ? ერთი ჭიქა წყალი რა არის, ისიც კი ვერ გაგიმეტებია ჩემთვის, იმ დროს, როცა კაცისმკვლელებსაც კი, როცა სასამართლო სიკვდილს მიუსჯის, სიკვდილის წინ რამდენჯერმე მიაწოდებენ ღვინოს, ოღონდ კი ამათ მოითხოვონ. ახლა რადგან ვხედავ, რომ შენ კერპობ, არ გინდა ხელი აიღო შენს ულმობელ გულქვაობაზე და ჩემს ტანჯვას არ შეუძლია მოსწყლას შენი გული, მე ვცდილობ

მოთმინებით მივეგებო სიკვდილს, რათა უფალმა შეიბრალოს სული ჩემი. მამაზეციერსა ვთხოვ, სამართლიანი თვალებით გადმოხედოს შენს საქციელსა“.

ეს სიტყვები რომ თქვა, ქალი დიდი გაჭირვებით მიბობღდა ბაქანის შუაგულისაკენ, ყოვლად უსასოო, ამ ჯოჯოხეთურ სიცხეს ვერსად გავექცევიო. და არაერთხელ ეგონა: სხვა ტკივილებს რომ გავუძლო, წყურვილისაგან მაინც გულს შემომეყრებაო. განაგრძობდა საშინელს ტირილს, თან სწყევლიდა თავის უბედო ბედს.

უკვე დღე და ღამე გაიყარა და სწავლულმაც იფიქრა, მეყოფა, რაც ვქენიო, მოატანინა ქალის ტანისამოსი, გაახვევინა მსახურის არდაგში და უბედური ქალის სახლისაკენ გაემართა. აქ ქალის მოახლე ზღურბლზე ჩამომჯდარი დაუხვდა, მეტად დაღონებული იყო და არ იცოდა, რა ექნა. სწავლულმა ჰკითხა: „ქალო, ხომ არ იცი, შენი ქალბატონი სადაა?“ ამაზე მოახლემ უპასუხა: „მესერე! რა მოგახსენოთ: ამ დილით მასთან რომ შევედი, მეგონა, ლოგინში დამხვდება-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ვერც მის ოთახში მიპოვნია და ვეღარც სხვაგან სადმე, ასე რომ არ ვიცი, რა დაემართა, დარდით არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე; იქნება თქვენ მოგეხსენებოდეთ, მესერე, რამე მისი?“ ამაზე სწავლულმა ასე უპასუხა:

„ბარემ კარგი იქნებოდა, იმასთან ერთად შენც ჩამვარდნოდი ხელში, რომ შენც დამესაჯე შენი დანაშაულისათვის, როგორც ივი დავსაჯე თავის კაიქალობისათვის, მაგრამ რა დღეს, რა ხვალ, სულ ერთია, ხელიდან ვერსად წამიხვალ. ისე დაგსაჯო შენი საქციელისათვის, რომ, თუ ღმერთი გაგიწყრა და კიდევ გაუბედე ვისმე მამაკაცს ხუმრობა, ჩემი თავი უეჭველად მოგაგონდეს“. ეს რომ უთხრა მოახლეს, მერე მიუბრუნდა თავის მსახურს და უბრძანა: „მიეცი ეს ტანისამოსი და, თუ უნდა, წავიდეს თავის ქალბატონთან“. მსახურმა ბატონის ბრძანება აასრულა. მოახლემ ტანისამოსი ჩამოართვა, იცნო და რომ გაიგონა, რაც უთხრეს, მეტად შეეშინდა, ხომ არ მომიკლეს ქალბატონიო, და კინაღამ დაიკივლა. სწავლული წავიდა თუ არა, მაშინვე ტირილით ტანისამოსი წაიღო და კოშკისაკენ გამოიქცა.

საუბედუროდ, იმ ქვრივის ერთ მოჯამაგირეს იმ დღეს ორი ღორი დაჰკარგოდა სადღაც და საძებრად გამოსულიყო. სწავლულის წასვლის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, ისე მოჯამაგირე ამ კოშკს მიადგა; კუთხეს არ ტოვებდა უნახავად, იქნებ ჩემს ღორებს წავაწყდეო. ამ დროს მოესმა საცოდავი ტირილი უბედური ქალისა, აბობღდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა: „ვინა ტირის მანდა?“ ქვრივმა იცნო თავისი მოჯამაგირის ხმა, სახელი დაუძახა და უთხრა: „გაიქე, გეთაყვა, ჩემს მოახლესთან და უთხარი, როგორმე ამოვიდეს ჩემთან“. მოჯამაგირემ იცნო და მოახსენა: „ქალბატონო, მანდ რამ აგიყვანათ? თქვენი გოგო მთელი დღე დაგეძებთ... აბა ვინ იფიქრებდა, რომ თქვენ მანდ იქნებოდით? ეს რომ უთხრა, აიღო კიბის სიგრძივი ლატნები და ისე დააყენა, როგორც უნდა მდგარიყო და ხის ტოტებით გარდი-გარდმო საფეხურების დამაგრება დაიწყო. ამასობაში ქვრივის მოახლეც მოვიდა

კოშკში, ხმა მეტი ვეღარ შეიკავა, ხელები თავში შემოიკრა და დაიწყო ყვირილი: „ვაიმე, ქალბატონო, თავს შემოგევლეთ, სადა, სადა ბრძანდებით?“ ქვრივმა მოახლის ხმა რომ გაიგონა, რაც შეეძლო, ხმამაღლა ჩამოსძახა: „აქა ვარ, აქა, მაღლა, შენ გენაცვალე; ნუღარ ტირი, მხოლოდ მიშველე და ტანისამოსი მალე მომაწოდე“. მოახლემ მისი ლაპარაკი რომ გაიგონა, თითქმის დამშვიდდა, ავიდა კიბეზე, რომელიც შეაკონწიწა მოჯამაგირემ, ამანაც ხელი შეაშველა და ბაქანს ზემოდან მოექცა; რომ დაინახა მისი ქალბატონი, რომლის ტანი ადამიანის ტანს კი არა, რაღაც გახუხულ კუნძსა ჰგავდა, მისუსტებული, დასახიჩრებული, შიშველი ძირსა წევსო, ფრჩხილებით სახის ღადვრა და ტირილი დაიწყო, თითქოს მიცვალებული უსვენია წინაო. მაგრამ ქალბატონმა უთხრა: თუ ღმერთი გწამს, დაჩუმდი და როგორმე ჩაცმა მიშველეო. ქალბატონმა მისგან რომ გაიგო, ჩემი სადმყოფობის ამბავი არავინ იცისო, გარდა იმათი, ვისაც მისთვის ტანისამოსი მოუტანიათ და იმ მოჯამაგირისა, რომელიც ამჟამად იქ იყო, ცოტათი დამშვიდდა და მოახლესა სთხოვა — შენი ჭირიმე, ამაზე ძეხორციელთან არაფერი წამოგცდესო.

მოჯამაგირემ, ბევრი ვიშვიშის შემდეგ, ქალბატონი, რომელიც ფეხზე ვეღარა დგებოდა, ზურგზე მოიკიდა და მშვიდობით კოშკიდან გაიტანა. საწყალ მოახლეს, უკან რომ ჩამორჩა, და, ცოტა არ იყოს, გაუფრთხილებლად რომ ჩამოდიოდა, ფეხი დაუცდა, კიბიდან ჩამოვარდა, თეძოს ძვალი გაუტყდა და ტკივილისაგან გამწარებულმა ისე დაიღრიალა, ლომი ვეგონებოდათ. მოჯამაგირემ ქალბატონი მწვანეზე დასვა და გამოტრიალდა, რომ ენახა, მოახლეს რა მოუვიდაო, და რომ დაინახა თეძოს ძვალი მოუტეხიაო, ისიც მწვანეზე მოიყვანა და ქალბატონის გვერდით დააწვინა. ქვრივმა რომ დაინახა, ყველა ფათერაკს ესღა აკლდაო და თეძოს ძვალი სწორედ იმან მოიტეხა, ვისგანაც ყველაზე მეტ შველას მოველოდიო, უზომოდ დაღონდა და ისევ ამოუშვა ტირილი და თან ისე საცოდავადა ტიროდა, რომ მოჯამაგირემ არამცთუ შეძლო მისი დამშვიდება, არამედ მის მაყურებელს თვითონაც გული ამოუჯდა და ტირილი ამოუშვა, მაგრამ მზე უკვე დასავალს იყო, ღამემ არ მოგვისწროსო, და სასოწარკვეთილმა ქვრივმა მოჯამაგირე თავის სახლში გაგზავნა. ამანაც აქედან წამოიყვანა ორი თავისი ძმა და თავისი ცოლი, თან წამოიღეს ერთი ფიცარი, ზედ დააწვინეს მოახლე და თავიანთ სახლში წაიყვანეს, ქვრივი კი ცოტაოდენი ცივი წყლითა და ალერსიანი სიტყვებით ჯერ გაამხნევეს, მერე კი მოჯამაგირემ ზურგზე მოიგდო და მის ოთახში წაიყვანა. მოჯამაგირის ცოლმა მოახლეს ჯერ ბურახში დამბალი და მოხალული პური აჭამა, მერე ტანთ გახადა, ლოგინში ჩააწვინა. შემდეგ გადაწყვიტეს ქვრივი და მისი მოახლე ღამით ფლორენციაში წაეყვანათ; და ასეც მოიქცნენ.

ქალს შეეძლო ათასი რამ მოეგონებინა გაჭირვებისაგან თავის დასაძვრენად. ამ შემთხვევაშიაც ერთი ისეთი სიცრუის ზღაპარი მიკიბ-მოკიბა, რომ რაც თავს გადახდა, იმას სრულებით არა ჰგავდა, და დააჯერა თავისი ძმები და დები, და აგრეთვე ყველანი სხვები, —

მე და ჩემს მოახლეს ეს ამბავი ეშმაკის მანქანებით შეგვემთხვაო. მაშინვე დაუძახეს ექიმებს და თუმცა ქვრივს ტკივილები ძალიანა სწვავდა და აწუხებდა, და რამდენჯერმეც ტყავი ზეწრებისაგან გადასძვრა, მაინც საშინელი ხურვებისაგან და სხვა განსაცდელისაგან მოარჩინეს; მსგავსადვე მოურჩინეს მოახლეს მოტეხილი თეძოს ძვალი.

ამიტომ ქვრივმა დაივიწყა თავისი საყვარელი და იმ დღიდან მეტად წინდახედულად ერიდებოდა ხუმრობასაც და სიყვარულსაც. ხოლო სწავლულმა რომ გაიგო, მოახლეს თეძოს ძვალი მოუტეხიაო, თავის გულში თქვა: სავსებით ვიყარე მისი ჯავრიო, ძალიან გაიხარა, ამაზე კვლავ არაფერი უთქვამს და ამით დაკმაყოფილდა.

აი, რა დღე დაადგა თავისი ხუმრობისათვის უჭკუო ახალგაზრდა ქალს, რომელსაც უნდოდა იმნაირადვე გახუმრებოდა სწავლულს, როგორც სხვებს ეხუმრებოდა ხოლმე, და ის კი არ იცოდა დალოცვილმა, რომ ამათ, არ ვიტყვი ყველამ-მეთქი, მაგრამ უმეტესობამ მაინც, კარგად იციან, თუ ეშმაკს სადა აქვს კუდი დამალული.

ამიტომ, ქალებო, ერიდეთ ხუმრობას და განსაკუთრებით — სწავლულთან.

ამბავი მერვე. მომცყუეგლის მოცყუეგა

ორი მეგობარია; ერთი დაუახლოვდება მეორის ცოლს; მეორე რომ ამას შეამჩნევს, პირველის ცოლთან ისე მოაწყობს საქმეს, რომ ქმარი კიდობანშია ჩაკეტილი და ის კი, სანამ მეგობარი შიგა ზის, მის ცოლთან კიდობნის თავზე დროს ატარებს.

გულსაკლავი და დამაღონებელი მოსასმენი იყო ქალებისათვის ელენას თავგადასავალი; მაგრამ რადგან ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, ღირსეულად გადახდა, მაინცდამაინც არ დანანებიათ, სწავლული კი მეტისმეტად გულქვად და ულმობელ ადამიანად ჩათვალეს. როცა პამპინეამ თავისი ამბავი დაამთავრა, დედოფალმა ფიამეტას უბრძანა გაგრძელება. ისიც მზად იყო, დამორჩილებოდა ბრძანებას და ასე დაიწყო: — ჩემო ტკბილო ქალებო! მე მგონი, შეურაცხყოფილი სწავლულის ულმობლობამ, ცოტა არ იყოს, გაგაოცათ, და ამიტომ ურიგო არ იქნება რამე უფრო სასიამოვნო ამბით დაგიმშვიდოთ განაწყენებული გული. ამიტომ განზრახვა მაქვს, გიამბოთ ერთი პატარა ამბავი ერთი ახალგაზრდა კაცისა, რომელმაც შეურაცხყოფა სულგრძელად მოითმინა და დიდის თავდაჭერილობით სამაგიერო მიუზღო. ამ ამბისაგან გაიგებთ, რომ სრულებით საკმარისია ისა, რომ სახედარი რამდენ ტლინკსაც ესვრის კედელს, იმდენსავე მიიღებს სამაგიეროს, და არა ჰხამს, კაცმა, რომელსაც აზრად აქვს შეურაცხყოფისათვის შური იძიოს, შეურაცხყოს მოპირდაპირე იმაზე მეტად, რამდენიც ეკუთვნის.

სიენაში ცხოვრობდა ორი ახალგაზრდა კაცი. ორივენი მეტად შეძლებულ და კარგ მოქალაქეთა შვილები იყვნენ. ერთს ერქვა სპინელოჩო ტანენა, მეორეს — ცეპა დი მინო; ორივენი ერთიმეორის მეზობლად ცხოვრობდნენ კამოლიაში. ჭაბუკები სულ ერთად იყვნენ, ერთმანეთის სიყვარულში ამოსდიოდათ სული, ასე გეგონებოდათ, ძმები არიან, თუ მეტი არაო. ორივე ცოლიანები იყვნენ და ცოლებადაც ლამაზი ქალები ჰყავდათ. სპინელოჩო თითქმის მუდამდღე დადიოდა ცეპასას, ცეპა შინ იყო თუ არა, იმას არ დასდევდა. ამ ხშირი სიარულის დროს ცეპას ცოლს ისე დაუშინაურდა, რომ შეუყვარდა და მასთან დაწოლა დაიწყო. ასეთ ცხოვრებას კარგა ხანს განაგრძობდნენ, სანამ ვინმე გაიგებდა მათი კავშირის ამბავს.

ასე კარგა ხანს გაგრძელდა. ერთს დღეს ცეპა შინ იყო და ცოლმა კი ეს არ იცოდა, ისე სპინელოჩოც მოვიდა მეგობრის დასაძახებლად. ცოლმა უთხრა — ცეპა შინ არ გახლავთო. ეს რომ გაიგონა სპინელოჩომ, საჩქაროდ ამოვიდა სახლში. ქალი ოთახში დაუხვდა და რაკი მათ გარდა არავინ იყო, მოხვია ხელები და დაუწყო კოცნა, ქალი კიდევ ყმაწვილს ჰკოცნიდა. ცეპა ამ ამბავსა ხედავდა, მაგრამ სული განაბა და აბა ვნახო, რითი გათავდება მათი ბღლარძუნიო. რაღა ბევრი გავაგრძელო, მისი ცოლი და სპინელოჩო, ერთმანეთს გადახვეულები, მეორე ოთახში გავიდნენ და შიგნიდან გადაკეტეს კარი. ამან საშინლად გააცეცხლა ცეპა, მაგრამ იფიქრა: მე რომ ახლა ყვირილი ავტეხო ან სხვა რამე რომ ვქნა, ჩემი შეურაცხყოფა ამით არ შემცირდებაო, პირიქით უფრო შევრცხვებიო, ამიტომ ჩემს მეგობარს იმნაირად უნდა გადავუხადო სამაგიერო, რომ არც გარეშე ვინმემ გაიგოს და თან მეც გულზე მეფონოსო. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ თავის გულში თქვა: ვიპოვნე, რასაც ვეძებდიო. მაგრამ სანამ სპინელოჩო მის ცოლთან იყო, საფარიდან არ გამოსულა.

სპინელოჩო წავიდა თუ არა, ცეპა ოთახში შევიდა, სადაც ცოლი დაუხვდა. ამას ჯერ კიდევ ვერ მოესწრო თავზე მანდილი გაესწორებინა, რომელიც სპინელოჩოს ლაღობის დროს მოუხსნია. ქმარმა ჰკითხა: „ქალო, აქ რასა შვრები“? ამაზე ცოლმა უპასუხა: „ვერა ხედავ, რასაცა ვშვრები“? — „ვხედავ, — უპასუხა ცეპამ, — როგორ არა, ძალიან კარგადაც ვხედავ და ამას გარდა ისეთი რამეც ვნახე, ნეტავი სულაც არ დაენახა ჩემს თვალებსა“!.. და ჯავრობა დაუწყო ქალს. თავზარდაცემული ქალი ჯერ ღობე-ყორეს მოედო, მაგრამ ბოლოს მოუყვა, როგორ დაუახლოვდა სპინელოჩოს, რის უარყოფაც, მართალი რომ ვთქვათ, არც შეეძლო, და ცრემლის ყლაპვით პატიება სთხოვა. ამაზე ცეპამ უპასუხა: „ხომ ხედავ, ქალო, ცუდად მოიქეცი!.. თუ გინდა გაპატიო, უნდა ზედმიწევნით შეასრულო, რასაც მე გიბრძანებ. მე მინდა სპინელოჩოს შევუთვალო, რომ ხვალ ასე სამ საათზე რამე მოიმიზეზოს და მე გამშორდეს, მერე მოვიდეს აქ შენთან; როცა ის აქ მოვა, მეც დავბრუნდები. ჩემს დაბრუნებას რომ გაიგებ, ამ კიდობანში ჩაამწყვდევ და ჩაკეტავ. როცა ამას იზამ, დანარჩენს მაშინ გეტყვი, რაც უნდა გააკეთო. ნუ გეშინია, თვითონ იმას ცუდს არაფერს ვუზამ“.

ცოლი ქმრის გულის მოსაგებად დაჰპირდა, ვიზამო და ასე ჰქნა კიდეც.

მეორე დღეს ცეპა და სპინელოჩო ერთგან ერთად იყვნენ. დაახლოებით მესამე საათი იქნებოდა. სამი რომ თავდებოდა, სპინელოჩომ, რომელიც საყვარელს დაჰპირდა სწორად სამ საათზე მისვლას, მეგობარს უთხრა, — მე დღეს ერთ მეგობარ კაცთან ერთად უნდა ვჭამო სადილი. არ მინდა ვაცდევინო და ამიტომ გამოგემშვიდობებიო ამაზე ცეპამ უპასუხა: „შე კაი კაცო, რა დროს სადილობაა!“ სპინელოჩომ უთხრა: „მართალია, ჯერ ადრეა, მაგრამ იმასთან მოსალაპარაკებელიც მაქვს ერთ რამეზე და ამიტომ ცოტა ადრე უნდა მივიდე“.

სპინელოჩო გამოეთხოვა ცეპას, მოუარა სხვა გზით და მივიდა მის ცოლთან სახლში. ოთახში შესვლა კარგად ვერც კი მოესწროთ, ისე ცეპაც დაბრუნდა. ქმრის ფეხის ხმა რომ გაიგონა ქალმა, ვითომ ძალზე შეეშინდა და საყვარელს უთხრა, ქმრის ნასწავლებ კიდობანში ჩამძვრალიყო, მერე გარედან დაკეტა და თვითონ კი ოთახიდან გავიდა. ცეპა რომ სახლში ამოვიდა, ცოლს უთხრა: „რას იტყვი, ქალო, ჭამის დრო არ არის“? ცოლმა უპასუხა: — „ოღონდაც რომ არის“. მაშინ ცეპამ უთხრა: სპინელოჩო დღეს ერთ თავის მეგობართან სადილობს და თავის ცოლი მარტოკა დასტოვა. გეთაყვა, ერთი ფანჯრიდან გადასძახე, მოვიდეს და ჩვენთან ერთად ისადილოს“. ქალს თავისი თავისა ძალიან ეშინოდა, ამ შიშმა ქმრის მორჩილი გახადა და მისი ბრძანება მაშინვე აასრულა.

სპინელოჩოს ცოლი დაჰყვა ცეპას ცოლის ხვეწნას და წამოვიდა, მით უფრო, რომ გაიგო, ქმარი სადილად სხვაგან იქნებაო. როცა შემოვიდა სახლში, ცეპა ალერსიანად მიეგება და შინაურულად ხელი მოჰკიდა, ხოლო ცოლს ჩუმად უთხრა, სამზარეულოში გასულიყო. მერე ამხანაგის ცოლი ოთახში შეიყვანა, მოტრიალდა და ოთახი შიგნიდან ჩაკეტა. ამხანაგის ცოლმა რომ დაინახა, ოთახი შიგნიდან გადაკეტესო, იკითხა: „ვაიმე, ცეპა, ამას რასა შვრებით? მაშ ამისათვის დამიძახეთ? ან რას ეუბნებით სპინელოჩოს მეგობრობას და ერთგულებას? ცეპა მივიდა იმ კიდობანთან, სადაც ქალის ქმარი იყო ჩაკეტილი, ქალისათვის ისევ მაგრად ეკიდა ხელი და უთხრა: „ქალო, სანამ წუწუნს დაიწყებდე, ყური დამიგდე, რა გითხრა. სპინელოჩო, როგორც ღვიძლი ძმა, ისე მიყვარდა და მიყვარს კიდეც. გუშინ კი აღმოვაჩინე, იმან არც კი იცის ისე, რომ ჩემი ვითომ ერთგული მეგობარი ჩემს ცოლთან ისე იწვა, თითქოს შენთან წოლილიყოს. ახლა, რაკი ისე ძალზე მიყვარს, არ მინდა სხვანაირი შური ვიძიო, მინდა ისე მოვექცე, როგორც ის მე მომექცა; რაკი ის ჩემს ცოლთან დაწვა, მეც მინდა შენთან დავწვე. თუ შენ თანახმა არა ხარ, მე მაინც უნდა გადავუხადო სამაგიერო, და რადგან მე ეს შეურაცხყოფა არ მინდა შევარჩინო დაუსჯელად, შემიძლია ისეთი სასჯელი მივაყენო, რაც არც შენ და არც იმას სასიამოვნოდ არ დაგრჩებათ''.

ცეპამ დაარწმუნა ქალი, ეს ამბავი სწორედ ასე მოხდაო. იმანაც დაუჯერა და უთხრა: „ცეპა ჩემო, რადგან შური ჩემზე უნდა იძიო, თანახმა ვარ, მხოლოდ ისე მოაწყვე საქმე, რომ

რასაც მიზამ, იმის შემდეგ შენი ცოლის მეგობრობა არ მომეშალოს. თუმცა ჩემთვის ასეთი ცუდი საქმე უქნია, მაგრამ მაინც მინდა ისევე იყოს ჩემთან მეგობრად, როგორც მე ვარ მასთან“. ამაზე ცეპამ უპასუხა: „ამის ფიქრი ნი გაქვს, ყველაფერს ვიზამ, და გარდა ამისა, ერთი ისეთი ძვირფასი და მშვენიერი ნივთი რამ მოგცე, რომ შენს გარდა არავისა ჰქონდეს“. უთხრა და მოხვია ხელები და დაუწყო კოცნა, მერე დააწვინა კიდობანზე, სადაც ჩაკეტილი იყო მისი ქმარი, და ზედ იმდენი ისიამოვნეს ერთმაც და მეორემაც, სანამ გულს იჯერებდნენ.

სპინელოჩოს, კიდობანში ჩაკეტილს, ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია ცეპას და თავისი ცოლის ნათქვამიდან, მშვენივრად ესმოდა აგრეთვე დავლური, რომელიც მის თავზე გამართეს. ყოველივე ამაზე ისეთის ბოღმით გაევსო გული, რომ ეგონა ეს არის, მოვკვდებიო; და ცეპასი რომ არ ჰშინებოდა, თუმცა ჩაკეტილი იყო, მაგრამ მაინც ერთი რჯულზე გამოლანძღავდა თავის მუხანათ ცოლს. მერე მოაგონდა: ამ საზიზღრობის დამწყები თვითონვე ვარ, ცეპა ცათამდე მართალია, და რაც უნდა მიყოს, ყველაფერი ახია ჩემზედაო; მიუხედავად ჩემი მუხანათობისა, ადამიანურად, მეგობრულად მომექცა და თუ ეს მაპატია, ჩემისთანა ერთგული მეგობარი დღეის ამას იქით მას არ ეყოლებაო.

ცეპამ ქალთან ალერსით გული რომ იჯერა, ჩამოვიდა კიდობნიდან. ქალმა დაპირებული საჩუქარი მოსთხოვა. მაშინ ცეპამ გააღო ოთახის კარი და იქიდან თავისი ცოლი შემოიყვანა, რომელმაც სპინელოჩოს ცოლს ესღა უთხრა: „პურის მაგიერ თქვენ კვერი მომეცით, ქალბატონო“. ეს სიტყვები სიცილით უთხრა. ამაზე ცეპამ უპასუხა: „გააღე კიდობანი“. ქალმაც გააღო კიდობანი, სადაც ცეპამ ქალს თავისი ქმარი სპინელოჩო უჩვენა.

დიდხანს მოგვიხდებოდა ამაზე ლაპარაკი, თუ რომელი მათგანი უფრო დაიწვა სირცხვილით: სპინელოჩო, რომელმაც დაინახა ცეპა და იცოდა, რომ ამას ამხანაგის ცუდი საქციელი ყველაფერი გაგონილი ჰქონდა, თუ ქალი, რომელიც უყურებდა თავის ქმარს და თანაც იცოდა, რომ ამ ქმარს ყველაფერი ესმოდა, რასაც მისი ცოლი კიდობნის თავზე შვრებოდა.

ცეპამ ამხანაგის ცოლს უთხრა: „აი ის საჩუქარი, მე რომ დაგპირდი“. სპინელოჩო კიდობნიდან ამოვიდა, საყვედური არაფერი უთქვამს, მხოლოდ ეს უთხრა ცეპას: „ჩემო ცეპა, ბარი ბარსა ვართ! ამიტომ, როგორც შენ, ეს-ეს არის, ჩემს ცოლს ეუბნებოდი, მოდი, ისეთივე მოყვარული მეგობრები ვიყვნეთ, როგორც აქამდე ვიყავით. და რადგან ჩვენ პირადი არაფერი გვაქვს ცოლების მეტი, მოდი, ეს ცოლებიც საერთო იყოს“.

ცეპას გაეხარდა. ოთხნივე, მხიარულნი და მოსიყვარულენი, სუფრას მოუსხდნენ სადილად. იმ დღიდან მოკიდებული ამ ორ ქალთაგანს ორ-ორი ქმარი ჰყავდა და ორ ქმართაგანს თითოეულს — ორ-ორი ცოლი, ამის გამო თავის დღეში არ მოსვლიათ

უთანხმოება და არც სწყენიათ რამ ერთმანეთისა.

ამბავი მეცხრე. მაესტრო სიმონე

ექიმ მაესტრო სიმონეს უნდოდა მეკობრეთა საზოგადოებაში ჩაწერილიყო; ბრუნო და ბუფალმაკო ღამით ერთ ალაგას წაიყვანენ, აქ ბუფალმაკო საბინძურე ორმოში ჩააგდებს და თავს გაანებებენ.

ქალებმა ერთხანს რომ ილაპარაკეს ორი სიენელის მიერ ცოლების გაერთიანების შესახებ, დედოფალმა, რადგან მხოლოდ მას დარჩენოდა სალაპარაკო, არ დაარღვია დიონეოს უფლება და ასე დაიწყო: „ჩემო სასურველო ქალებო! სპინელოჩოზე ახია ცეპას დაცინვა; ამიტომ მე მგონია, რომ (როგორც ამის დამტკიცება ამას წინათ პამპინეას უნდოდა), არ უნდა მკაცრად განვაქიქოთ ის, ვინც მასხრად იგდებს ისეთ ადამიანს, რომელიც გამასხარავებას ეძებს ან გამასხარავების ღირსია. სპინელოჩოზე ახი იყო, და ახლა მე მინდა გიამბოთ ამბავი ერთი კაცისა, რომელიც თვითონ ეცადა სხვას მისთვის დაეცინა, და მგონია, რომ ისინი, ვინც მას დასცინეს, დაგმობის კი არა, ქების ღირსნი არიან. ის კაცი, ვისაც ეს გადახდა, ექიმი იყო, რომელიც ფლორენციიდან ბოლონიაში გაემგზავრა ცხვარივით უწვრთნელი, ხოლო იქიდან დაბრუნდა კვერნის ტყავის წამოსასხამიანი.

როგორც ყოველდღე ვხედავთ, ჩვენი მოქალაქენი ბოლონიიდან გვიბრუნდებიან ზოგი მოსამართლედ, ზოგი ექიმად და ზოგიც ნოტარიუსად, ტანზე მოსიათ გრძელი და განიერი სამოსი, მეწამული ფერისა ან კვერნის ტყავებისაგან შეკერილი, ან კიდევ სხვა რამ დიდმშვენიერი სამოსი ამშვენებთ, ხოლო თუ რამდენად ღირსეულად აგარებენ ასეთ სამოსს, ამასაც ყოველდღე ვხედავთ. მათ შორის იყო ვინმე მაესტრო სიმონე და ვილა, უმეტესად მდიდარი მამისეულ სამკვიდრებლით, ვიდრე მეცნიერებით; ჩაეცვა ძონეული, თავზედაც დიდი კაპიშონი მოეხურა, და, როგორც თვითონ ამბობდა, მედიცინის დოქტორად დაბრუნდა ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენთან და დაიჭირა სახლი იმ ქუჩაზე, რომელსაც დღეს ჩვენ ვია დელ კოკომეროს ვეძახით.

როგორცა ვთქვით, ამ ახლახან დაბრუნებულ მაესტრო სიმონეს სხვა ყურადღების ღირს ჩვეულებათა შორის, ასეთი ჩვეულებაცა ჰქონდა: ყველას, ვინც მას დაელაპარაკებოდა, უეჭველად ჰკითხავდა ყველა იმათ ამბავს, ვინც იმ დროს ქუჩაზე გაივლიდა, თითქოს ამ გამვლელთა მიხვრა-მოხვრის მიხედვით უნდა შეედგინა წამალი თავისი ავადმყოფებისთვისო, ყველას აკვირდებოდა და ზოგს რას ამჩნევდა და ზოგს რასა.

სხვათა შორის, მისი ყურადღება ყველაზე მეტად მიიპყრო ორმა მხატვარმა, რომელთა

შესახებ დღეს ორჯერ გვქონდა ლაპარაკი. ესენი გახლდნენ ბრუნო და ბუფალმაკო. როგორც ვიცით, ესენი სულ ერთად იყვნენ, განუყრელნი და მაესტრო სიმონეს მეზობლად იდგნენ. რადგან მაესტრო სიმონეს ისე ეჩვენებოდა, რომ ამათებრ უდარდელად დედამიწაზე არავინ არ უნდა ცხოვრობდესო და მეტად მხიარულად უნდა ატარებდნენ დროსაო, რაც მართლა ასეც იყო, არა ერთს და ორს გამოჰკითხა მათი ამბავი. ყველასაგან ისღა ესმოდა, რომ ესენი ღარიბები არიან და მხატვრობით ირჩენენ თავსაო. შეუძლებელიაო, იფიქრა სიმონემ, რომ ესენი თავიანთი სიღარიბის წყალობით ცხოვრობდნენ ასე მხიარულადაო, და რადგან, როგორც მათზე ამბობენ, მეტად მოხერხებულნი არიანო, დაასკვნა, ალბათ, სხვათა უცოდინარად, რაიმე საშუალებით რისგანმე დიდი გამორჩენა აქვთო. ამიტომ მოინდომა, თუ ორივე არა, ერთ მათგანს მაინც გასცნობოდა; და მართლაც ისე მოახერხა, რომ გაიცნო ბრუნო. რამდენჯერმე მასთან დაჰყო თუ არა, ბრუნო მაშინვე მიხვდა, ეს ექიმი დიდი ბრიყვი ვინმე უნდა იყოსო, და თავის გასართობად თავისებურად გამასხარავება დაუწყო. ექიმსაც თავის მხრივ მეტად მოსწონდა მასთან ყოფნა და დროსტარება.

ერთხელ მაესტრო სიმონემ ბრუნო სადილად დაპატიჟა და აქაო და ჩემი დაპატიჟებულია, შემიძლია შინაურულად ველაპარაკოო, უთხრა: შენა და ბუფალმაკო თითქო ღარიბები ხართო და გაკვირვებული ვარ, ასე მხიარულად საიდანა ცხოვრობთ? ძალიან დაგიმადლებთ, თუ ამიხსნით, როგორ ახერხებთ ამასაო. ბრუნომ ექიმს ნათქვამი რომ მოუსმინა, დარწმუნდა — ეს კითხვაც სხვა მის ბრიყვულ და უაზრო კითხვებსა ჰგავსო, დაიწყო სიცილი და გულში თქვა, მოდი, მისი სისულელის საკადრის პასუხს მივცემო და უთხრა: „მაესტრო, მე გარეშეს არავის ვეტყოდი, თუ როგორ ვახერხებთ ცხოვრებას, მაგრამ თქვენ კი, როგორც მეგობარს, არ დაგერიდებით და იმედი მაქვს, არავის ეტყვით. მართალი გახლავთ, რომ მე და ჩემი მეგობარი ასე კარგად და უდარდელად, როგორც ეს თქვენ გეჩვენებათ და თქვენ რომ გეჩვენებათ, იმაზე უკეთესადაც ვცხოვრობთ. ჩვენი ხელობით ნაშოვნი ფული და ჩვენი ერთი ბეწო ქონების შემოსავალი ჩვენს მიერ დახარჯულ წყალსაც ვერ აუვა. მაგრამ მე სრულებით არ მინდა ამიტომ იფიქროთ, ვითომ ჩვენ საქურდლად დავდიოდეთ. მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ მეკობრეობას ვეწევით და ამითა ვშოულობთ ყველაფერს, რაცა გვჭირია და რაც გვასიამოვნებს ხოლმე ისე, რომ სხვას არაფერი ვავნოთ; და, როგორც ხედავთ, ეს გახლავთ მიზეზი ჩვენი მხიარულად ცხოვრებისა“.

ექიმმა ბრუნოს ნათქვამი რომ გაიგონა, თუმცა კარგად ვერ მიხვდა, რა ამბავი უნდა ყოფილიყო, მაინც ყველაფერი დაიჯერა და მეტად გაუკვირდა. ერთბაშად საშინლად მოუნდა გაეგო, თუ რას ნიშნავდა მეკობრეობა, და დაჟინებითა სთხოვა, აეხსნა, თანაც პირობა მისცა — არავის ვეტყვიო. „ვაიმე, მაესტრო! — უთხრა ბრუნომ, — ე რასა მთხოვთ? მეტად დიდი საიდუმლოების გაგება მოგისურვებიათ! ჰო, ჩემმა მზემ! სხვა ვინმემ რომ გაიგოს, დავიღუპებით, ქვეყნიდან გამაძევებენ ან ლუციფერის ხახაში ამოვყოფ თავს, აი, სანგალოში

რომ არის; ამიტომ ამას თავის დღეში ვერ გეტყვით“, — „მერწმუნე, ბრუნო, შენ რაც უნდა მითხრა, ჩემსა და შენს გარდა, სხვას თავის დღეში არ ეცოდინება!“ ბევრი ლაპარაკის შემდეგ, ბრუნომ უთხრა: „რა გაეწყობა, მაესტრო! მე იმდენად მიყვარს თქვენი თავი და იმდენად გენდობით, რომ თქვენი გაცუდება არ შემიძლია და ამიტომ მოგახსენებთ, მხოლოდ იმ პირობით კი, თუ მონტეზონეში დასვენებულ ჯვარზე შემომფიცავთ — არავის უთხრათ, როგორც უკვე დამპირდით“. მაესტრომაც შეჰფიცა, არავის ვეტყვიო.

„უნდა მოგახსენოთ, ჩემო ტკბილო მაესტრო, — უთხრა ბრუნომ, — რომ ამას წინათ ამ ქალაქში ცხოვრობდა ერთი დიდი ოსტატი ნიგრომანციისა; მიქელე სკოტოს ეძახდნენ, რადგან სკოციიდან იყო და დიდძალი კეთილშობილი ხალხი ჰყავდა პატივისმცემელი, რომელთაგან დღეს ძალიან ცოტანი დარჩნენ ცოცხლები. როცა აქედან წასვლა განიზრახა, მეგობრების თხოვნით დაუტოვა მათ თავისი ორი განსწავლული მოწაფე, რომელთაც დაავალა: ეცადეთ, სულ მუდამ მზად იყოთ ყველაფერში აამოთ ხოლმე იმათ, ვინც მე პატივსა მცემდნენო. მოწაფენიც ხსენებულ კეთილშობილებს დიდი სიამოვნებით შველოდნენ ზოგიერთ მათ სასიყვარულო და აგრეთვე სხვა ხასიათის საქმეებში. შემდეგში, როცა ქალაქიცა და აქაურ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებაც მეტად მოეწონათ, გადაწყვიტეს სამუდამოდ აქ დარჩენილიყვნენ; ზოგიერთებს მეტისმეტად უგულითადესად დაუმეგობრდნენ, იმას არც კი უყურებდნენ — ესენი კეთილშობილნი იყვნენ თუ მდაბიონი, მდიდრები თუ ღარიბები, მხოლოდ იმას ეძებდნენ — მათი მეგობრები მათი ზნე— ჩვეულებისანი ყოფილიყვნენ. ამ თავისი მეგობრების საამებლად დაარსეს ოცდახუთი კაცისაგან შემდგარი საზოგადოება. ამ საზოგადოების წევრნი თვეში ორჯერ მაინც ერთად უნდა შეკრებილიყვნენ მათს მიერ დანიშნულ ალაგას. აქ თითოეული წევრთაგანი თავის წადილს განუცხადებდა და ესენიც იმღამესვე ასრულებდნენ. ამ მოწაფეებთან მე და ბუფალმაკო ძალიან დამეგობრებულები და დაახლოებულნი ვიყავით და მიგვიღეს იმ საზოგადოებაში, რომელშიაც დღესაც ვართ და უნდა მოგახსენოთ, რომ როცა ერთად შევიკრიბებით, საუცხოო სანახავია ხოლმე ხალიჩებით შემკული კედლები იმ დარბაზისა, სადაც ვნადიმობთ, მეფურად გაშლილი სუფრები, მრავალი კეთილშობილი და მშვენიერი მოსამსახურე, როგორც ქალები, ისე კაცები, რომელნიც ამ საზოგადოების წევრთათვის არიან აქ მოყვანილნი; ახლა თქვენ ლაგვინები, ორკოლები, ფიასკოები, ფიალები და სხვა ოქროს და ვერცხლის ჭურჭელი ბრძანეთ, რომელთაგან ჩვენა ვჭამთ და ვსვამთ, გარდა ამისა, რა და რა ნაირ-ნაირი საჭმელი გნებავთ, რომ ვინმემ მოიკითხოს და მაშინვე არ მიართვან!.. აბა სად შემიძლია ჩამოგითვალოთ, თუ რა და რა საკრავის საამო ხმები ისმის, ან რა ტკბილადა მღერიან! ვერ ჩამოგითვლით, რამდენი თაფლის სანთელი იწვის ამ ვახშმებზე, რამდენი ტკბილეულობა იხარჯება, ან რა თავანკარა ღვინოები ისმება!.. მე არ მინდა, ჩემო ჭკვიანო, რომ გეგონოთ ვითომც ჩვენ ეს ტანისამოსი გვეცვას და ან ასე მორთული ვიყოთ იქ, როგორც ახლა გვხედავთ! იმდენ ხალხში ერთი არავინაა, თუნდ სულ უკანასკნელი, ისეთი, რომ იმპერატორად არ მოგეჩვენოთ თავისი ჩაცმულობით, ყველანი ისე

მდიდრულადა ვართ ჩაცმულ-დახურულნი, ჰო, ჩემმა მზემ!.. მაგრამ ყველაზე მეტი სიამოვნება იქაური ლამაზი ქალებია!.. ოღონდ კი ვინმემ თქვას — მინდაო, მაშინვე მთელი ქვეყნის ზურგიდან ხელად იქ გაჩნდებიან. აქ თქვენა ნახავთ ბარბანიკების მთავრის მეუღლეს, ბასკების დედოფალს, სულთნის მეუღლეს, ოსბეკების იმპერატორის მეუღლეს, დი ნორნიეკა ჩანჩანფერას, ბერლინცონეს სემისტანტეს, დი ნარსია სკალპედრას. მაგრამ ნეტავ ვიცოდე, ამის ჩამოთვლა რაღა საჭიროა! იქვეა ხოლმე მთელი ქვეყნიერების დედოფლები! გეუბნებით, ყველანი იქ არიან მღვდელ ჯოვანის მეუღლე სკინკიმურაც კი, რომელსაც, ჩემის აზრით, უკანალის გარშემო რქები აქვს. ახლა შემდეგ უყურეთ! როცა დალევენ და პირს ჩაიტკბარუნებენ, მერე ერთ-ორ სათამაშოს ჩამოუვლიან, ყოველი ქალთაგანი იმ კაცის ოთახში შედის, ვისი გამოთხოვნითაც ეს ქალი აქ მოვიდა. ახლა უნდა იცოდეთ, რომ ეს ოთახები თვით სამოთხე გეგონებათ, ისე მშვენივრად მორთულნი არიან, და შიგ ისეთი სურნელება დგას, როგორიც თქვენს აფთიაქში, როცა თქვენ ზირას ანაყვინებთ ხოლმე; ახლა საწოლები უნდა ნახოთ! ვენეციელი დოჯის საწოლიც ვერ მოვა სილამაზით მათთან და აი ასეთ საწოლებში განისვენებენ! აწ თქვენთვის მომინდვია იმის გამოცნობა, თუ როგორ მუშაობენ ქსელის მბეჭველნი, როცა საფეხურებით მუშაობენ და საბეჭავს თავისკენ გამოსწევენ, რომ ნაქსოვი უფრო მტკიცე გამოვიდეს. სხვათა შორის, ყველაზე უკეთესად, ჩემის აზრით, გვეცხოვრება მე და ბუფალმაკოს, იმიტომ რომ ის თავისთვის უფრო ხშირად საფრანგეთის დედოფალს გამოუძახებს ხოლმე და მე კიდევ — ინგლისის დედოფალს და ამ ორისთანა მშვენიერი ქალი მთელ დედამიწის ზურგზე არ არის; და ჩვენც ისე მოვახერხეთ, რომ ეს ქალები ჩვენი სიყვარულით ფეთდებიან. თუკი გაითვალისწინებთ, რომ საყვარლებად გვყავს ორი ასეთი კალმით დახატული დედოფალი, შეგიძლიათ მიხვდეთ, თუ რატომ უნდა ვცხოვრობდეთ და დავდიოდეთ, სხვებზე უფრო მხიარულად: გარდა ამისა, საკმაოა ვინატროთ ათასი ან ორი ათასი ფლორინი, რომ ნატვრა მყისვე აგვისრულდეს. და აბა სწორედ ამას ვეძახით მდაბიურად „სამეკობროდ სიარულს“, იმიტომ რომ, როგორც მეკობრენი ძარცვავენ ყველას, ისე ჩვენც ვძარცვავთ, მხოლოდ ჩვენსა და მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ისინი უკან აღარ უბრუნებენ წანართმევს, ხოლო ჩვენ, როგორც კი ხელს მოვინაცვლებთ, ვუბრუნებთ ხოლმე. ახლა ხომ მიხვდით ჩემო უზაკველო მაესტრო, რას ვეძახით სამეკობროდ სიარულს? მაშასადამე, თქვენ თვითონ შეგიძლიათ დაინახოთ, თუ რამდენად საიდუმლოდ უნდა დარჩეს ესა, ამიტომ მეტს არაფერს გეტყვით და ნურც თქვენა მთხოვთ“.

მთელი ცოდნა მაესტროსი, ალბათ, მუნისაგან ბავშვების ექიმობას არ აღემატებოდა და ბრუნოს ნათქვამს ისე დაუჯერა, როგორც სხვა ჭეშმარიტებას რასმე; ამასთან, ისეთი ნდობით მოუნდა ამ საზოგადოებაში მიღებული ყოფილიყო, როგორც მოესურვებოდა უაღრესად სანდომი და სანატრი რამ. ამიტომ ბრუნოს უპასუხა: საკვირველი არაფერია, რომ ასე მხიარულები დადიხართო. თვითონ კი, როგორც იყო, თავი ძლივს შეიკავა, და ჯერ არა

სთხოვა — თქვენს საზოგადოებაში მიაღებინე ჩემი თავიო. გადაწყვიტა, ჯერ კიდევ პატივისცემით მოჰკიდებოდა ბრუნოს, მოეგო მისი გული, და მაშინღა ეთხოვა მისთვის ეს საქმე, როცა დარწმუნებული იქნებოდა, რომ მისი თხოვნა უეჭველად გასჭრიდა.

ამის იმედით, ექიმი განაგრძობდა ბრუნოსთან ურთიერთობას, დილა-საღამოს თავისთან პატიჟებდა, უმასპინძლდებოდა და აგრძნობინებდა — უზომოდ მიყვარხარო. და ეს ურთიერთობა მათი ესდენ დიდი და ესდენ განიადაგებული იყო, ასე ბრძანებდით, — მაესტროს ბრუნოს გარეშე ერთ წამს არ შეუძლია და არც იცის, როგორ გაძლოსო. ბრუნო კმაყოფილი იყო თავის ბედისა. თან უნდოდა მაესტროსათვის მისგან მიღებული პატივისცემისათვის მადლობის ნიშნად სამაგიერო გადაეხადა, და დარბაზში დიდმარხვის სახე დაუხატა, ხოლო ოთახში შესავალ კართან — კრავი ღვთისა (agnus dei) და ჭიშკარს ზემოდან დაუხატა საღამური ქოთანი — იმისთვის, რომ ვისაც მისი, როგორც ექიმის, რჩევა— დარიგება დასჭირდებოდა, შესძლებოდა მისი გამოცნობა სხვებისაგან; ერთ ფარდულს ქვეშაც დაუხატა კატებისა და თაგვების ბრძოლა. ექიმს ძალიან მოსწონდა ეს სურათი. ზოგჯერაც, როცა ექიმთან წინაღამით ვახშმად არ იქნებოდა, ბრუნო ეტყოდა: „წუხელ საზოგადოებაში ვიყავი, ინგლისელი დედოფალი, სწორედ მოგახსენოთ, მომყირჭდა, და ვუბრძანე — ტარსის ხანის გუმედრა მომგვარეთ-მეთქი“. მაესტრომა ჰკითხა : „რასა ჰქვია გუმედრა? ასეთი სახელებისა არა მესმის რა“. – „აჰ, ჩემო მაესტრო, აღარც კი მიკვირს, იმიტომ რომ არც პორკო-გრასოს („გასუქებული ღორი“) და აღარც ვანაჩენა („წადი— ივახშმე“) გუმედრას არსად იხსენიებენ!“ – „შენ გინდა თქვა — ჰიპოკრატე და ავიცენაო“, — უთხრა მაესტრომ. – „სწორედ მოგახსენოთ, — უპასუხა ბრუნომ, — თქვენი სახელებისა იმდენივე ვიცი, რამდენიც თქვენ იცით ჩემი სახელებისა; მხოლოდ დიდის ხანის ენაზე გუმედრა იმასვე ნიშნავს, რასაც ჩვენებურად იმპერატორის მეუღლე. მე და ჩემმა ღმერთმა, აბა თქვენ მოგეწონებოდათ ეს დიაცი! და გარწმუნებთ, ის რომ გენახათ, სულ დაგავიწყებდათ თქვენს წამლებს, სხვადასხვა მასალებს წამლის შესაზავებლად და ყოველგვარ მალამოებს...“

ასე ელაპარაკებოდა ბრუნო ზოგჯერ, რომ უფრო აღეტყინებინა. — ერთხელ მაესტროს ხელში სანთელი ეჭირა და უნათებდა ბრუნოს, რომელიც კატისა და თაგვების ომსა ხატავდა. დრო კარგად იყო გადასული. წარმოიდგინა, ჩემი ყურადღებით უკვე საკმაოდ მოვიგე ბრუნოს გულიო, და გადაწყვიტა: მოდი, ჩემი გული გადავუშალოო. მარტონი იყვნენ და მაესტრომ უთხრა „ჩემო ბრუნო, ღმერთმა ხომ იცის, დღეს ქვეყანაზე სხვა არავინ მივის შენისთანა! რა გინდა, შენთვის არ გავაკეთო; აი თუნდა, რომ მითხრა, აქედან პერეტოლაში წადიო, მე მგონი, არც კი დავფიქრდები და უღურ წავალ. ამიტომ ნუღარ გაგიკვირდება, თუ რამ გკითხე მეგობრულად და მისანდობრად. როგორც იცი, დიდი ხანი არ არის, რაც შენ მიამბე თქვენი მხიარული საზოგადოების ჩვეულებათა ამბავი, და აჰა, ისე საშინლად მომინდა ამ საზოგადოებაში მონაწილეობა მივიღო, რომ სხვას არავის ასე არაფერი მონატრებია. და

როგორც დაინახავ, ამ საზოგადოების წევრობა ტყუილად კი არ მინდა. ამ წვერს ფუ მიყავ, თუ იმ საზოგადოებაში ისეთი მშვენიერი ქალი არ გამოვიწერო, როგორისთანა, ვინ იცის, რამდენი ხანია, არც კი გინახავს. მე კი შარშან ვნახე კაკავინჩილაში და ძალიანაც შემიყვარდა; ვფიცავ ქრისტე მაცხოვრის ხორცსა, მე ათი ბოლონიური შავი ფული ვაძლიე, დამნებდიმეთქი, მაგრამ უარი მითხრა. ამიტომ გთხოვ, რამდენადაც შესაძლებელია, მასწავლო — რა ვქნა, რომ როგორმე შიგ მოვყვე, და შენც ეცადე და ყოველი ღონე იღონე, რომ მიმიღონ; პირობას გაძლევ, რომ მეტად ერთგული და კარგი ამხანაგი გეყოლებით. ჯერ ეს ერთი, შენ თვითონ ხედავ, რა ლამაზი კაცი ვარ, ფეხებიც კოხტა მაქვს, სახე კიდევ ვარდს მიმიგავს, ყოველივე ამასთან ექიმობის დოქტორი ვარ და არა მგონი თქვენ ვინმე გყავდეთ ასეთი; თან, ვიცი ბევრი რამ ამბავი, ლამაზი სიმღერები; აი თუ გინდა, ერთს ახლავე გიმღერებ“. ესა თქვა და ხელად სიმღერა წამოიწყო.

ბრუნოს ისე საშინლად მოუნდა გაცინება, რომ არ იცოდა, რა ექნა, მაგრამ მაინც თავი შეიკავა. სიმღერას რომ მორჩა, მაესტრომა ჰკითხა: როგორ მოგწონსო? ბრუნომ უპასუხა: სალამური ღმერთმა შეარცხვინოს თქვენს ღრიალთან შედარებითო! ამაზე მაესტრომ უთხრა: შენი ყურით რომ არ გაგეგონა, ხომ თავის დღეში არ დაიჯერებდიო? „სრულ ჭეშმარიტებასა ბრძანებთ“, — უპასუხა ბრუნომ. „მე სხვაც ბევრი ვიცი, მაგრამ მოდი, ამას ახლა თავი დავანებოთ. ხომ ხედავ, როგორიცა ვარ! მამაჩემი კეთილშობილი იყო, თუმცა სოფლად ცხოვრობდა, დედის მხრით ვალეკიოს გვარიდანა ვარ; და როგორც შეგეძლო დაგენახა, ჩემისთანა საუცხოო წიგნები და მშვენიერი ტანისამოსი ექიმთაგანს მეორეს არა აქვს ფლორენციაში. მაქვს აგრეთვე ისეთი ნივთები, რომ, ზენაარსა ვფიცავ, ყველა ერთად რომ ვიანგარიშოთ, ამ ათი და მეტი წლის წინათ თითქმის ას ლირად წვრილ ფულად მიღირდა; ამიტომ ძალიან გთხოვ, როგორმე მომიხერხე, გეთაყვა, იმ საზოგადოებაში მიმიღონ; და თუ მომიხერხებ, ღმერთს გეფიცები, რამდენიც გინდა იავადმყოფო, გიმკურნალებ და გასამრჯელოს ერთ მანყულსაც არ გამოგართმევ, ჰო, ჩემმა მზემ“.

ბრუნო ყურს რომ უგდებდა, ექიმი ისეთივე სულელად მოეჩვენა, როგორადაც არაერთხელ სჩვენებია და უთხრა: მაესტრო, ცოტა აქეთკენ მომინათეთ, სანამ ამ თაგვებს კუდებს გავუკეთებდე, და ამის პასუხს მაშინ მოგახსენებთო. ბრუნომ კუდები გაუკეთა და თავი ისე მოაჩვენა, ვითომ მისმა თხოვნამ ძალიან დააძმარაო და მოახსენა: „თქვენ ჩემთვის ბევრი რისამე გაკეთება შეგიძლიათ, განა არ ვიცი, მაგრამ მაინც, რასაც თქვენა მთხოვთ, მართალია, თქვენი დიდი ჭკუისათვის საკადრისიც კი არ გახლავთ, მაგრამ ჩემთვის კი, უნდა მოგახსენოთ, მეტად მძიმე გახლავთ; და რომ შემეძლოს ამის ასრულება, აბა სხვას ვის უნდა გავუკეთო, თუ არა თქვენ, იმიტომ რომ მიყვარხართ, რამდენადაც ეს ჯერ არს, თან თქვენს სიტყვებს იმდენი სიბრძნე აქვს მოფრქვეული, რომ მკვდარსაც კი ფეხს გააქნევინებდა, და მე ხომ მით უფრო ამაღებინებდა ხელს ჩემს განზრახვაზე, იმიტომ რომ რაც უფრო გიახლოვდებით, მით

უფრო ბრძნად მეჩვენებით. გარდა ამისა, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ, გინდაც სხვა არაფრისათვის არ მინდოდეს თქვენი პატივისცემა, მარტო იმისთვის მაინც გცემთ პატივს, რომ ვხედავ გიყვართ, როგორც თქვენ თვითონა ბრძანებთ, ისეთი მშვენიერი ქალი. ისიც უნდა მოგახსენოთ: თქვენ რომ ფიქრობთ, იმ საქმის გაკეთება მე არ შემიძლია, ამიტომ რა საკვირველია, იმის მოგვარებას ვეღარ ვიკისრებ. მაგრამ თუ პირობას მომცემთ თქვენი დიდი და გაუტეხელი ფიცითა, რომ საიდუმლოდ შეინახავთ, გასწავლით გზას, რომელსაც უნდა დაადგეთ, და მე მგონია, რომ თქვენისთანა მშვენიერი წიგნებისა და სხვა რამეების პატრონისათვის, როგორც უკვე მითხარით, გულისნადების ასრულება ადვილი საქმე იქნება“. ამაზე მაესტრომ უპასუხა:

„მითხარი რაღა, შე დალოცვილო! როგორცა ვხედავ, ჯერ კარგად ვერ მიცნობ, და არ გაგიგია, თუ როგორ ვიცი საიდუმლოების შენახვა. ისეთი საქმე არაფერი იქნებოდა რომ მესერ გასპარუოლო სალიჩოტოელს, როცა ის ფორლიმპოპოლის პოდესტას მოსამართლედ იყო, ჩემთვის არ შემოეთვალა, რადგან მე საუკეთესო მესაიდუმლედ მთვლიდა. გინდა დარწმუნდე, რომ მართალს გეუბნები? პირველს მე მითხრა მესერ გასპარუოლომ — ბერგამინას შერთვა მინდაო. ხომ ხედავ, როგორ ყოფილა საქმე?“ – „ბატონი ბრძანდებით, — მოახსენა ბრუნომ, — რაკი ასეთი კაცი გენდობოდათ, მეც შემიძლია გენდოთ. აი, რა უნდა ქნათ: ჩვენს საზოგადოებას ერთი თავმჯდომარე ჰყავს, თავმჯდომარესაც ორი მრჩეველი ახლავს, რომლებიც ექვს თვეში ერთხელ იცვლებიან. ახალი წლისათვის თავმჯდომარედ არჩეულ იქნება ბუფალმაკო და მე კიდევ მის მრჩევლად, ეს გადაწყვეტილია. და ვინც თავმჯდომარედ იქნება, შეუძლია ამხანაგობის წევრად მიიღოს და სხვებსაც უბრძანოს მიიღონ, ვინც მასა ნებავს; ამიტომ მე მგონია, საჭიროა, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, დაუახლოვდეთ ბუფალმაკოს და პატივი სცეთ ხოლმე, ბუფალმაკო კი ისეთი კაცია, თქვენისთანა ბრძენ კაცს რომ დაინახავს, მაშინვე შეუყვარდებით. და როცა თქვენი ჭკუითა და, თქვენ რომ გაქვთ, იმ კარგი ნივთებით მის გულს მოიგებთ, შეგიძლიათ, პირდაპირ უთხრათ, — ასე და ასეა საქმე-თქო. და ისიც უარს ვერ გეტყვით. თქვენი ამბავი უკვე ნათქვამი მაქვს მისთვის და მოწყალე თვალით გიყურებთ. თქვენ ოღონდ გაეცანით და დანარჩენი ჩემს კისერზე იყოს“. ამაზე მაესტრომ უთხრა: „შენი ნათქვამი ძალიან მიჯდება ჭკუაში, და თუ იმას მართლა მოსწონს ნასწავლი ხალხი, სულ ცოტა ხანს რომ დამელაპარაკოს, ისე მოვახერხო, რომ სულ კუდში მდევდეს, იმიტომ რომ ჭკუა იმდენი მაქვს, რომ მთელ ქალაქს ეყოფა და მე მაინც უჭკვიანესად დავრჩები“.

ბრუნომ ყველაფერი დაწვრილებით უამბო ბუფალმაკოს. ბუფალმაკოს კი ათას წლად მოეჩვენა ის დრო, სანამ მოახერხებდა იმას, რაც ამ გამოთაყვანებულ მაესტროსა სწადდა. ექიმს საშინლად უნდოდა როგორმე ჩაწერილიყო მეკობრეთა საზოგადოებაში, ამიტომ დიდხანს არ დააყოვნა, ისე ბუფალმაკოს დაუმეგობრდა, და ეს სულ ადვილადაც მოახერხა.

უმართავდა სანაქებო ვახშმებსა და სადილებს და ბუფალმაკოსთან ერთად პატიჟებდა ბრუნოსაც: ესენი კი დღეს-ხვალიობით ატყუებდნენ, როგორც ადამიანები, რომელთაც მასთან ეგულებოდათ თავანკარა ღვინოები, მსუქან-მსუქანი ყვერულები და სხვა ათასი რამ სასუსნავები, ხშირად დადიოდნენ, პატიჟება არც კი სჭიროდათ და სულ იმას ეუბნებოდნენ, რომ თუ არ თქვენთან, სხვასთან არც კი გავივლიდითო.

მაესტრომ რომ შესაფერი დრო გამოარჩია, სთხოვა ბუფალმაკოს, ისევე, როგორც ბრუნოსა სთხოვა. ბუფალმაკომ თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ძალიან ეწყინა ექიმის ნათქვამი და ბრუნოს საშინლად შეუტია და უთხრა: „პაზინიანოელ ღმერთსა ვფიცავ, ძლივს შევიკავე თავი, რომ სახეში არ ჩამეცხო შენთვის და ცხვირიდან სულ ძმარი მედინებინა, შე მოღალატევ, შენა! მაესტროს, თუ არა შენ, აბა სხვა ვინ ეტყოდა ამ ამბავს?“ მაესტრომ დიდი ბოდიში მოუხადა, და იფიცა, სხვისაგან გავიგე ეს ამბავიო. და მრავალი ბრძნული ლაპარაკის შემდეგ, როგორც იყო დაამშვიდა ბუფალმაკო. ბუფალმაკო მიუბრუნდა მაესტროს და უთხრა: „ჩემო კარგო მაესტრო, აშკარად გეტყობათ, რომ ბოლონიაში ბრძანებულხართ და ენაზე კლიტის დადებაც გისწავლიათ; გარდა ამისა, უნდა მოგახსენოთ, რომ გეტყობათ, ანბანი ვაშლზე კი არ გისწავლიათ, როგორც ამას ბევრი სულელი ცდილობს ხოლმე, არამედ გოგრაზე, რომელიც, როგორც ვიცით, უფრო მსხვილია; და თუ არა ვცდები, მონათლულიც კვირას უნდა იყოთ. თუმცა ბრუნომ მითხრა, რომ თქვენ მანდ ექიმობასა სწავლობდით, მაგრამ მე კი მგონია, რომ თქვენ ხალხის მოხიბვლა გისწავლიათ, რაც თქვენი ჭკუისა და გამოგონების წყალობით მეტისმეტად გემარჯვებათ; მე ჯერ არავინ მინახავს ისეთი, რომ ეს თქვენებრ ემარჯვებოდეს“.

ექიმმა სიტყვა გააწყვეტინა ბუფალმაკოს, მოუბრუნდა ბრუნოს და უთხრა: „აი, რას ნიშნავს, როცა კაცს ურთიერთობა გაქვს ჭკვიან ადამიანთან და მასთან ბაასობ ხოლმე! აბა ისე ჩქარა ვინ მიხვდებოდა ჩემი ჭკუის თვისებებს, როგორც მიხვდა ეს ღირსეული გვამი! შენ კი ვერ მიხვდი დაგეფასებინე ისე ჩქარა, როგორც იმან დამაფასა; ის მაინცა თქვი, მე რა გითხარი, როცა შენ მიამბე, თუ რარიგ ჰყვარებია ბუფალმაკოს ჭკვიანი ხალხი! ხომ გითხარი, ასეთი უნდა იყოს-მეთქი?“ ამაზე ბრუნომ უპასუხა: „მითხარი და მეტი არა!“ მაშინ მაესტრომ ბუფალმაკოს უთხრა: „სულ სხვას იტყოდი, მე რომ ბოლონიაში გენახე, საცა არც დიდი იყო და აღარც პატარა, ყველაზე მეტად არ ვყვარებოდი, ისე ვენატრებოდი ყველას ჩემი ჭკუისა და ბაასის წყალობით! ამაზე მეტსაც გეტყვი: აღარც დოქტორი იყო და აღარც სწავლული, რომ მე ქვეყანაზე რაც უნდა მეთქვა, ყველა სიცილით იჭაჭებოდა, ისე მოვწონდი ყველას; და როცა იქიდან მოვდიოდი, ყველანი ცხარე ცრემლითა სტიროდნენ და მთხოვდნენ დავრჩენილიყავ, და საქმე იქამდე მივიდა, რომ გადაწყვიტეს ეთხოვათ დავრჩენილიყავ და სწავლულებისათვის, ვინც კი იყვნენ, ექიმობის ლექციები მეკითხა; მაგრამ მე ის არ ვინდომე, რადგან გადაწყვეტილი მქონდა აქ მოვსულიყავ იმ უშველებელი მემკვიდრეობისათვის,

რომელსაც უკვე დავეუფლე და რომელიც სულ მუდამ იყო ჩემს გვარში; ასეც ვქენი“. მაშინ ბრუნომ ბუფალმაკო“ს უთხრა: „აბა როგორ მოგწონს? მე რომ გეუბნებოდი, აკი არა გჯეროდა! სახარების მადლმა, ჩვენს ქალაქში სხვა ექიმი არავინაა, რომ ამას შეედაროს ვირის შარდის გამოცნობაში; და ამის მსგავსს, ალბათ, ვერც ვერავის იპოვნი აქედან მოკიდებული თვით პარიზის კარებამდე. მოდი შენა და, თუ კაი ბიჭი ხარ, სცადე არ გაუკეთო, რაცა ნებავს!“ ექიმი ლაპარაკში ჩაერია: „ბრუნო მართალს ამბობს, მაგრამ მე აქ არ მიცნობენ. აქაურები მეტად ტლანქი ხალხია; თქვენ უნდა მნახოთ, ექიმებს შორის რა საყურებელი ვარ!“ მაშინ ბუფალმაკომ უთხრა: „მაესტრო, ჭეშმარიტად, არ მეგონა, თუ ამდენი რამ იცოდით, ამიტომ მოგახსენებთ უგერგილოდ, როგორც თქვენისთანა ბრძენ კაცს შეეფერება, რომ ვეცდები უეჭველად მივაღებინო თქვენი თავი ჩვენს საზოგადოებაში“.

ამ დაპირების შემდეგ ექიმმა უფრო უმატა მათს პატივისცემას. ექიმის საქციელი ძალზე ართობდა ბრუნოსა და ბუფალმაკოს და უზომოდ ასულელებდნენ; დაპირდნენ — ცოლად კონტესა ჩივილარისა („სანეშტე ადგილისა“) უნდა შეგრთოთ, იმაზე მშვენიერი არსება ადამიანთა შორის ჯერ არ დაბადებულაო. ექიმმა ამ კონტესას ვინაობა იკითხა. ამაზე ბუფალმაკომ უპასუხა: „ახ, შე სათესლე გოგრავ ჩემო, მეტად დიდი მანდილოსანია, ოჯახი არ არის დარჩენილი, რომ მას შიგ ხალხი არ გაესამართლებინოს, და თვით ძმანი მინორიტნი ბობღნების ხმაზე მას პატივსა სცემენ. და უნდა გითხრა, რომ როცა დადის, გარშემო ყველას მისდის მისი სუნი, თუმცა უმეტესად შიგაა ჩაკეტილი; მიუხედავად ამისა, ამ ცოტა ხნის წინათ თქვენს კარს წინ ჩაიარა, მდინარე არნოსაკენ მიდიოდა ფეხების დასაბანად და ცოტა სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად; მაგრამ მისი მუდმივი სამყოფელი მაინც ლატერინაშია (ფეხსადგილის არე). სწორედ ამიტომ მისნი მსახურნი ხშირად მის გარშემო დატრიალებენ და მისი პირველობის ნიშნად დააქვთ ცოცხი და ნიჩაბი. მის მსახურთ ყველგან შეხვდებით. ესენი არიან: ჭიშკრისქვეშა, ნაგვიზვინა, საჩხინტე, მოკლეკუნძა დ სხვანი; მე მგონი, ყველა ამათ იცნობთ, მაგრამ ახლა, ალბათ, აღარ გაგონდებათ. ლამაზ კაკავინჩიელ ქალს თავი დავანებოთ და აი ასეთი ჩინებული მანდილოსნის ტკბილ გულში ჩაგახუტებთ, თუ იმედმა არ გვიღალატა“. ექიმი ბოლონიაში იყო დაბადებულ-აღზრდილი და ამათებური სიტყვები არ ესმოდა, ამიტომ კმაყოფილი დარჩა მატ მიერ დაპირებული ქალითა.

ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, მხატვრებმა ამბავი მოუტანეს, წევრად მიღებული ხართო. დადგა დღე, როცა შემდეგ საღამოს უნდა შეკრებილიყვნენ. მაესტრომ ორივე სადილად დაპატიჟა და ნასადილევს ჰკითხა — როგორ უნდა მოვიქცე, როცა იმ საზოგადოებაში გამოვჩნდებიო? ამაზე ბუფალმაკომ უპასუხა: „იცით, მეტად მამაცურად უნდა გეჭიროთ თავი, თორემ თუ მხნედ არ იქენით, ვაითუ თქვენი საქმე დაბრკოლდეს და ჩვენ კიდევ დიდი ზარალი მოგვაყენოთ. და ამას, თუ რად უნდა იყოთ მხნედ, ახლავე მოგახსენებთ. ისე უნდა მოახერხოთ, რომ ამ საღამოს მამლის პირველ ყივილზე მოხვიდეთ ერთ-ერთ იმ

მაღალ საფლავის ქვასთან, რომელიც ამართულია Santa Maria Novella-ს ეკლესიის უკან: უნდა გეცვათ საუკეთესო ტანისამოსი, რომ საზოგადოების წინაშე პირველად შესაფერად წარდგეთ, და აგრეთვე იმისათვისაც (ჩვენ ასე გვითხრეს, რადგან მას აქეთ არა ვყოფილვართ), რომ კონტესასა ნებავს თქვენ, როგორც კაი გვარის კაცს რაინდობა მოგანიჭოთ და თავის საკუთარ ხარჯზე გაბანაოთ, და მანდ მანამდე დაგვიცდით, სანამ ჩვენი გამოგზავნილი კაცი არ მოვა თქვენთან. და იმისთვის, რომ თქვენ ყველაფერს მიხვდეთ, იცოდეთ, რომ თქვენთან მოვა ერთი მხეცი, შავი და რქებიანი, პატარა ტანისა, ეს მხეცი თქვენს წინ მოედანზე დაიწყებს ძალზე ხტომას და ქშინვას თქვენს შესაშინებლად; მაგრამ როცა დაინახავს, რომ თქვენ აღარ გეშინიათ, ნელ-ნელა მოგიახლოვდებათ; თქვენთან მოვა თუ არა, თქვენ თამამად საფლავის ქვიდან ჩამოხვალთ, არ ახსენოთ არც ღმერთი და აღარც მისი წმინდანები ვინმე და მოაჯდებით ზურგზე; როცა კარგად მოაჯდებით, თავი ზრდილობიანად გეჭიროთ, ხელები გულზე დაიკრიფეთ და თვით მხეცს ხელი არ გააკაროთ. ისიც ნელ-ნელა წამოვა და ჩვენთან მოგიყვანთ. მაგრამ გაფრთხილებთ, რომ თუ ღმერთი ან მისი წმინდანები გიხსენებიათ, ან შეგეშინდათ, მხეცმა შეიძლება ჩამოგაგდოთ და აყროლებულ ალაგას სადმე ჩაგაგდოთ; ამიტომ თუ თქვენი თავის იმედი არ გექნებათ, და ვაითუ შეგეშინდეთ, გირჩევთ სულაც არ წახვიდეთ, თორემ თქვენს თავსაც აზარალებთ და ჩვენც ვერაფერ ხეირსა ვნახავთ“.

ამაზე ექიმმა უთხრა: „მე თქვენ ჯერ კიდევ კარგად ვერ მიცნობთ! იქნებ იმას უყურებთ, რომ ხელთათმანები და გრძელი ტანისამოსი მაცვია. თქვენ რომ იცოდეთ ღამღამობით რასა ვშვრებოდი ბოლონიაში, როცა ამხანაგებთან ერთად ქალებთან დავდიოდი, საშინლად გაგიკვირდებათ! ზენაარსა ვფიცავ, მართალს ვამბობდე. ერთ ღამეს ერთ ქალს გადავეკიდეთ (ბლახა ვინმე იყო, მჯიღის ტოლა). აღარ წამოგვყვა; ჯერ კარგად მივბეგვე, მერე ზურგზე წამოვიკიდე და თითქმის ისრის სასროლი მანძილი გავატარე და ბოლოს მაინც ვაიძულე წამოგვყოლოდა. მეორეჯერ, მახსოვს, არავინ მახლდა, ჩემს მსახურს გარდა. საღამოს ლოცვა გამოსული იყო და ძმათა მინორიტების სასაფლაოს გვერდით მომიხდა გავლა; სწორედ იმ დღეს ერთი ქალი დაასაფლავეს, მაგრამ ისე ყოჩაღად გავიარე, არც კი შემშინებია! ამიტომ ჩემი ნუ გეფიქრებათ, ძალზე გულადი და გამბედავი ვარ. იმასაც გეტყვით, რომ იქ რიგიანად გამოვჩნდე, ჩავიცვამ ჩემს ძოწეულ სამოსელს, რომელშიაც მე დოქტორობის ხარისხი მომანიჭეს, და აბა მაშინ უნდა ნახოთ, როგორ გაეხარდება ყველას ჩემი ნახვა. ცოტა ხნის შემდეგ ნახავთ, თუ საზოგადოების უფროსადაც არ ამირჩიონ, ვაი არა აქვს ჩემს თავს, ნახავთ, რა კარგად წავა ჩემი საქმე, ოღონდ კი როგორმე შიგ შევყო თავი, იმიტომ რომ კონტესას ჯერ არც კი ვუნახივარ და ისე შევყვარებივარ, რომ უნდა სარაინდო აბანო მომიმზადებინოს; შეიძლება რაინდობა ვერც კი შევიფერო და ღირსეულად ვერ დავიჭირო თავი, ან შეიძლება კარგადაც შევიშნოო; თქვენ მხოლოდ მიმიშვით ერთი“.

ბუფალმაკომ უთხრა: „ლაპარაკით კარგად ლაპარაკობთ, მაგრამ ფრთხილად იყავით,

არ გაგვამასხარაოთ და თავი არ მოგვჭრათ! ისე არ ჰქნათ, რომ არ მოხვიდეთ, ანდა ჩვენს გამოგზავნილ კაცს დანიშნულ ადგილას აღარ დახვდეთ; ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ახლა ცივა და თქვენი, ექიმების ამბავი რომ ვიცი, ძალიან უფრთხილდებით სიცივეს“ — ღმერთმა დამიფაროს! — უთხრა ექიმმა. — მცივანებს არ ვეკუთვნი, სიცივეს სრულებით არ ვერიდები. ღამით, ჩვეულებრივ, ხორციელი საჭიროებისათვის რომ ავმდგარვარ, იშვიათად თუ წამომისხამს ჯუბის ზემოდან ქურქს გარდა სხვა რამე, ამიტომ უეჭველად მოვალ“.

ბრუნო და ბუფალმაკო წავიდნენ. ამასობაში ღამეც დადგა. მაესტრომ ცოლთან მოსაბოდიშებელი მოიგონა, ჩუმად თავისი სადღესასწაულო ტანისამოსი გამოაცოცა, ჩაიცვა და როცა დაინახა, ახლა კი დროაო, გასწია დანიშნული საფლავისაკენ, ერთ-ერთ მარმარილოს ფიქალზე მოიკრუნჩხა, რადგან ძალიან ციოდა და დაუწყო ცხოველს ლოდინი. ბუფალმაკომ, ტანით ზორბამ და ღონიერმა, იშოვა სადღაც ნიღაბი, რომელსაც ზოგი და აწ უკვე გადავარდნილი, თამაშობის დროსა ხმარობდნენ, ტანზედაც გადმობრუნებული შავი ტყავი ისეთნაირად მოისხა, რომ დათვს დაემსგავსა; თვით ნიღაბს კი ეშმაკის დაჭყანული სახე ჰქონდა და რქები. იმნაირად გამოწყობილი გაემართა Santa Maria Novella-ს ახალი მოედნისაკენ, შორიახლო კიდევ ბრუნო მოსდევდა, რომ ეყურებინა, აბა, რა მოხდებაო. ბუფალმაკომ დაინახა თუ არა, მაესტრო აქ არისო, დაიწყო ხტომა, მოედანზე იქით-აქეთ აწყდებოდა, თითქო გაშმაგდაო. მაესტრომ რომ ეს გაიგონა და დაინახა, თმა ყალყზე დაუდგა, აკანკალდა, რადგან ქალზე უარესი მშიშარა იყო და წამი იყო ისეთი, რომ აქ ყოფნას შინ ყოფნა ერჩივნა. მაგრამ მიუხედავად ამისა, რაკი აქ მოვიდა, თავს ძალა დაატანა და გული გაიმაგრა, ისე მოუთმენლად უნდოდა ენახა ის სასწაულები, რომელთა შესახებ ბრუნო და ბუფალმაკო ელაპარაკნენ.

როგორცა ვთქვით, ერთხანს ბორგვის შემდეგ ბუფალმაკო თითქოს დამშვიდდა, მივიდა მატურთან, რომელზედაც იდგა მაესტრო, და გაჩერდა. მაესტრო შიშისაგან კანკალს აეტანა და არ იცოდა რა ექნა, — ძირს ჩამოსულიყო, თუ ზედვე დარჩენილიყო. ბოლოს, შეეშინდა, ვაითუ მხეცმა, თუ ზურგზე არ მოვახტი, რამე ცუდი შემამთხვიოსო, პირველი შიში მეორე შიშით განიშორა და მატურიდან ჩამოვიდა. ჩუმად იძახდა უფალო შეგვიწყალენ-ს და ამასობაში ზურგზე შეაბობღდა და მაგრად მოაჯდა, თან კანკალებდა და თანაც გულზე ხელები დაიკრიფა, როგორც ნათქვამი ჰქონდა. მაშინ ბუფალმაკო ნელ-ნელა გაემართა Santa Maria della Scalla —ს ეკლესიისაკენ და დაოთხილმა, რიპოლეს მოლოზნებამდე მიიყვანა.

მაშინ ამ მხარეზე იყო თხრილები, სადაც გლეხები კონტესა ჩივილარის („ფეხსადგილს“) ცლიდნენ ხოლმე თავიანთი მინდვრების გასანოყიერებლად. ბუფალმაკო ამ ადგილს მოუახლოვდა თუ არა, ერთი თხრილის ნაპირს წაადგა, იხელთა, ექიმს ფეხში ხელი დაავლო, ზურგიდან მოისხლიტა და პირდაპირ შიგ გადაუშვა თავდაყირა. საშინელი ბურდღუნით, ხტომითა და ყირამალა გადასვლით გაემართა Santa Maria della Scalla-ს გასწვრივ ონისანტის

ველისაკენ, სადაც დახვდა ბრუნო, რომელსაც სიცილისაგან თავი ვერ შეეკავებინა და აქეთკენ გამოქცეულიყო. ორივე სიცილით იჭაჭებოდნენ და შორიდან უყურებდნენ — აბა რა ქნას ამოთხუპნულმა ექიმმაო.

მესერ ექიმმა რაკი დაინახა, რომ ასეთ გულისამრევ ალაგას მოექცა, შეეცადა ამდგარიყო და როგორმე ამომძვრალიყო იქიდან. წამოდგებოდა თუ არა, ისევ იქცეოდა. თავით ფეხებამდე ამოიზუზნა, დადარდიანებულმა და გასაცოდავებულმა ცოტაოდენი სიბინძურეც გადაყლაპა, მაგრამ როგორც იყო, გამოვიდა და თავისი წამოსასხამი კი შიგ ჩატოვა. ხელებით, რამდენადაც შეიძლებოდა, ტანი გაიწმინდა; არ იცოდა, სხვა რა ექნა, დაბრუნდა სახლში და დაიწყო ბრახუნი, სანამ გაუღებდნენ.

ის იყო, შინ შემოვიდა მთლად აყროლებული და კარები გაიხურეს, ისევ ბრუნო და ბუფალმაკოც იქ გაჩნდნენ, — აბა ვნახოთ, ცოლი როგორ დაუხვდება მაესტროსაო. ამათაც ყური დაუგდეს და, აჰა, ცოლი მოსდგა და ისეთი სიტყვები აკადრა, როგორსაც სულ უკანასკნელ მაწანწალასაც არ აკადრებენ. „უი, ვენაცვალე იმ ღმერთს, რომელმა ღმერთმაც ასე დამიმშვენა შენი თავი — მიახალა ცოლმა, — ახია შენზედა! წუხელ ალბათ ვინმე სხვა ქალთან წაეთრიე და შენი ძოწეული სამოსიც კიდეც იმიტომ ჩაიცვი, რომ მოსწონებოდი!.. მაშ ჩემი თავი არ გყოფნიდა, შე სასიკვდილე, შენა? დედავ და თვალო, შენ კი არა დუნიას ვეყოფი, შე თვალებდამდგარო, შენა! რატომ სულ არ დაგახრჩვეს და დაგაჯერეს მხოლოდ ისეთ ადგილას ჩაგდებას, რის ღირსიც იყავ! უი, მეხი კი დაგათხლიშე, მეხი! კაცს ჩემისთანა ცოლი ჰყავდეს და ღამით სხვათა ქალებთან დაეთრეოდეს!“ ასეთი და ამის მსგავსი სიტყვებით ამკობდა ცოლი ქმარს შუაღამემდე, სანამ ექიმი მთელ ტანს აბანინებდა მოსამსახურეს.

მეორე დილას ბრუნომა და ბუფალმაკომ მთელი სხეულის კანი ლურჯად შეიღებეს, თითქოს ცემით დაულურჯათ ვინმემო, და ექიმთან მივიდნენ. ექიმი უკვე ამდგარი დაუხვდათ. შიგ რომ შევიდნენ, საშინელი სუნი მოედინათ, რადგან ჯერ ვერ მოესწროთ ყველაფერი ისე გაეწმინდათ, რომ სუნი არა სდენოდა. ექიმმა რომ გაიგო, მოდიანო, გამოეგება და ღმერთმა კარგი დღე გაგითენოთო. ბრუნომ და ბუფალმაკომ სალამის მიცემის მაგიერ, როგორც პირი ჰქონდათ შეკრული, გულმოსულად უთხრეს: „ჩვენ კი ვერ დაგლოცავთ, ის კი არა, ღმერთსა ვთხოვთ, რაც რამ სიავეა ყველაფერი მოგივლინოთ და უმწარესი სიკვდილი გაღირსოთ, როგორც საშინლად ორგულსა და მოღალატე ადამიანსა, იმიტომ რომ ჩვენა ვცდილობდით თქვენთვის პატივი გვეცა და სიკეთე გვეყო და თქვენი გულისათვის კინაღამ ძაღლებივით ჩაგვაღრძეს!.. თქვენი წყალობით მოტყუებული რომ დავრჩით, იმიტომ წუხელ იმდენი გვიბრაგუნეს მთელ ტანზე, რამდენიც არც ერთ სახედარს არ დასჭირდებოდა რომში ჩასასვლელად; იმისას კიდევ ნუღარას იტყვით , რომ კინაღამ გამოგვრიცხეს იმ საზოგადოებიდან, რომელშიაც თქვენი ჩაწერა გვინდოდა. ჩვენი ნათქვამი თუ არა გჯერათ, დახედეთ ჩვენს სხეულს, რა დღეშია!..“ ეს რომ უთხრეს, სიბნელეში ტანისამოსი გადაიწიეს და

აჭრელებული გული უჩვენეს და მერე უცბადვე ტანისამოსი გადაიფარეს. ექიმს მობოდიშება სურდა და ის იყო, უნდა ეამბნა, თუ სად და როგორ გადააგდეს. ამაზე ბუფალმაკომ უთხრა: „რატომ ხიდიდან პირდაპირ არნოში არ გადაგიძახეს იმ ჩემი ცოდვით სავსეებმა!.. არა, რად ახსენეთ ღვთის და მისი წმინდანების სახელი? აკი გითხარით არ ახსენოთ-მეთქი!“ ამაზე ექიმმა უთხრა: „ღმერთს გეფიცებით, სრულებით არ მიხსენებია“. — „როგორ თუ არ გიხსენებია — უსაყვედურა ბუფალმაკომ. — ახსენეთ და მეტი არა?.. ჩვენმა გაგზავნილმა კაცმა გვითხრა, რომ ხის ტოტივით თრთოდით და არ კი გესმოდათ, სად იყავით. რა გაეწყობა, ახია ჩვენზე, რაც გვიყავით, მაგრამ კიდევ სხვას ასე აღარ მოვეტყუებინებით. ვეცდებით, თქვენი საკადრისი პატივი გცეთ“.

ექიმმა პატიება სთხოვა, მე ჩემი სირცხვილიც მეყოფა და, თუ ღმერთი გწამთ, თქვენ უარესად ნუღარ შემარცხვენთო. შეეცადა მოფერებოდა და როგორმე დაეშშვიდებინა. თანაც შეეშინდა, ვაითუ გამახიახონო და ჩემი ამბავი ქვეყანას მოსდონო; და თუ აქამდე პატივსა სცემდა. ახლა უფრო უმატა მათს პატივისცემას, ხშირად პატიჟობდა სადილად და იმათთვის არაფერი ეზოგებოდა როგორც გესმათ, სწორედ ამნაირად ასწავლიან ხოლმე ჭკუას იმათ, ვისაც ეს ჭკუა ბოლონიაში ვერ უსწავლია.

ამბავი მეათე. გაქურდული ქურდი ქალი

ერთმა სიცილიელმა ქალმა ოსტატურად გამოსტყუა ერთ ვაჭარს, რაც რამ პალერმოში მოეტანა; მერე ვაჭარმა დააჯერა, ამჯერად წინანდელზე უფრო მეტი საქონელი მოვიტანეო, ფული გამოართვა სესხად და პირჩალაგამოვლებული კი დატოვა.

ვინ იცის, რა გულიანად ეცინებოდათ ქალებს, როცა დედოფლის ნაამბობს ისმენდნენ; თითოეულ მათგანს მეტისმეტი სიცილისაგან თვალთაგან ცრემლები სცვიოდა. დედოფალმა რომ გათავა, დიონეომ, რომელმაც იცოდა, ახლა ჩემი ჯერიაო, ასე დაიწყო:

— მშვენიერნო! ვისიმე ხუმრობა უფრო მოსაწონია, რაც უფრო ოსტატურადაა აგდებული მასხრად თვით დაოსტატებული ხუმარაც. ამიტომ, თუმცა აქ ყველამ ბევრი საუცხოო ამბავი გვიამბეთ, მაინც ერთი რამ მეც მინდა გიამბოთ. ეს ამბავი მით უფრო მოგეწონებათ უკვე ნაამბობთან შედარებით, რამდენადაც ის, ვისაც გაეხუმრნენ, სჯობდა სათითაოდ ყველასა, ვინც მოატყუეს და ვისზედაც აქ ლაპარაკი იყო.

წინათ არსებობდა და, ვინ იცის, იქნებ დღესაც არსებობს ზღვისპირა ქალაქებში, სადაც ნავსადგურია ხოლმე, ისეთი ჩვეულება, რომ ყველა ვაჭარი, ვისაც აქ საქონელი მოაქვს, ნაპირას რომ გადმოტვირთავს, საქონელს სადმე საერთო საწყობში ინახავს. ამ საწყობს

ბევრგან საბაჟოს ეძახიან და მას ეპატრონება კომუნა ანუ ქალაქის თავი. ვაჭარი თავის საქონელს მისი ღირებულების აღნიშვნით გადასცემდა იმას, ვისაც საბაჟო ჰქონდა ჩაბარებული. საბაჟოს გამგისაგან კი მიიღებდა ჩაბარების ბარათს, ხოლო საწყობს, სადაც შეინახავდა თავის საქონელს, გარედან კლიტეს დაადებდა. შემდეგ მებაჟენი საბაჟოს წიგნებში ვაჭრის ხარჯზე ჩაწერდნენ მის საქონელს და მერე ვაჭარს გადაახდევინებდნენ ბაჟს ან მთელი საქონლისას ანდა იმ ნაწილისას, რომელსაც ვაჭარი იქიდან გაიტანდა. ამ წიგნიდან შეეძლოთ შუამავლებს შეეტყოთ, თუ რა ღირსების ან რა ღირებულების საქონელი ეწყო საბაჟოში, ან ვინ იყვნენ ამ საქონლის ჩამომტანი ვაჭრები, რომლებთანაც შემდეგში, როცა დასჭირდებოდათ, შეეძლოთ საქონლის გაცვლა-გამოცვლის, გაყიდვის და, საერთოდ, გასაღების შესახებ ლაპარაკი.

ასეთი ჩვეულება, როგორც სხვა ქალაქში, ისე სიცილიის ქალაქ პალერმოშიც იყო, სადაც აგრეთვე ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ ქალები, ლამაზები, მაგრამ ნამუსთან მწყრალად მყოფნი; ვინც ამათ არ იცნობდა, ეგონებოდა დიდი გვარისანი და პატიოსანი ქალები არიანო. ამ ჯურის ქალები არამცთუ კრეჭენ ხოლმე მამაკაცებს, არამედ მთლად ოთხში ამოიღებენ და ამიტომ დაინახავენ თუ არა, უცხოელი ვაჭარი მოვიდაო, მაშინვე საბაჟოში წავლენ და საბაჟოს დავთრის საშუალებით შეიტყობენ, თუ რა მოიტანა ვაჭარმა და ან რამდენად შეძლებულია, მერე ტკბილი სიტყვებითა და ალერსიანი მოპყრობით ეცდებიან ასეთი ვაჭრები მოიტყუონ და თავიანთი სიყვარულის ქსელში გააბან; ამ გზით უკვე ბევრი მოუღორებიათ და გამოუცინცლავთ უმეტესი წილი საქონლისა და ზოგიც სულ ცარიელზე დაუსვამთ; ზოგ ვაჭარს აქ დაუტოვებია საქონელიცა, ხომალდიცა, თავისი ხორცი და ძვალიცა, რადგან გამპარსველ დალაქს მეტად ემარჯვებოდა სამართებლის ხმარება.

ამ ხანებში ჩავიდა თავისი სოვდაგრების მიერ გაგზავნილი ერთი ახალგაზრდა ფლორენციელი, ნიკოლო და ჩინიანო, რომელსაც სალაბაეტოსაც ეძახდნენ; თან მიიტანა იმდენი მატყლის ქსოვილები, სალერნოს ბაზრობიდან მორჩენილები, რომ ხუთას ოქროს ფლორინის საღირალი იქნებოდა. ნიკოლომ მებაჟეებს ამ საქონლის ბაჟი გადაუხადა და საწყობში დაალაგა. საქონლის გასაღებისათვის მაინცდამაინც არა ჩქარობდა და ქალაქში სიარული დაიწყო — გავერთო და თვალს წყალი ვასვაო. ვაჭარი თეთრგვრემანი იყო, ქერა, ნაკვთად ლამაზი და ტანადი. და აი, ერთმა ამ დალაქთაგანმა, რომელიც მადონა იანკოფიორეს ირქმევდა სახელად, სუნი იკრა ვაჭრის შეძლებულობისა და ნიშანში ამოიღო. ვაჭარმა ეს შეამჩნია, იფიქრა, ალბათ, დიდებული ვინმე ქალიაო და მეც ჩემი სილამაზის გულისათვის მოვეწონეო და გადაწყვიტა ამ სიყვარულის საქმეში მეტად ფრთხილად დაეჭირა თავი. ამაზე არავის უთხრა რა. ის ქალის სახლს აუვლიდა და ჩამოუვლიდა. ქალს, რა თქმა უნდა, არ გამოეპარა ესა, რამდენიმე დღის განმავლობაში თვალებით ცეცხლი მოუკიდა, თან ანიშნა — მეც ვიდაგვი შენი სიყვარულითაო და ჩუმად ერთი მაჭანკლობის ზედმიწევნით

მცოდნე ქალი მიუგზავნა. მაჭანკალმა, ვინ იცის რაები არ უთხრა ვაჭარს და თითქმის თვალაცრემლებულმა გაუმხილა — თქვენის სილამაზით და მოხდენილობით ჩემი ქალბატონის გული მოხიბლეთ და ქალს არც დღე აქვს მოსვენება და აღარც ღამეო. ამიტომ ქალბატონს ისღა ენატრება, თუ თქვენი ნებაც იქნება, საიდუმლოდ აბანოში სადმე შეხვდეთო. ეს რომ უთხრა, ქისიდან ერთი ბეჭედი ამოიღო და ვაჭარს მიართვა — ქალბატონმა გამოგიგზავნათო. სალაბაეტომ ეს რო გაიგონა, სიხარულით ცათაფრენა შეუდგა, გამოართვა ბეჭედი, კარგად დააცქერდა, აკოცა და თითზე გაიკეთა, ხოლო მოციქულს უთხრა: „თუ მადონა იანკოფიორეს ვუყვარვარ, მეც აგრეთვე მიყვარს და მერე როგორ! ჩემს თავს მირჩევნია. ასე მოახსენე, მე მზად გახლავართ გეახლოთ საცა და როდესაც მიბრძანებთ-თქო“.

ქალბატონმა რომ მოციქულისაგან პასუხი მიიღო, ხელად შემოუთვალა სალაბაეტოს, თუ რომელ აბანოში უნდა ელოდნა მისთვის მეორე დღეს მწუხრის ლოცვის შემდეგ. სალაბაეტომ ამაზე არავის უთხრა რა და დანიშნულ დროს გაემართა აბანოსაკენ და რომ მივიდა, გაიგო, რომ აბანო უკვე შეეკვეთა ქალს. ცოტა ხანს უკან გამოჩნდა ორი დატვირთული მხევალი: ერთს თავზე ედო დიდი და მშვენიერი ბამბის ლეიბი, მეორეს დიდი კალათა მოჰქონდა ათასი რამეებით სავსე. ლეიბი აბანოს ერთ-ერთი ოთახის საწოლზე გაშალეს. ზედ დააფინეს ერთი წყვილი სულ წმინდა ზეწარი, აბრეშუმის ზოლებიანი, მერე ზემოდან გადააფარეს საბანი კვიპროსის თეთრი ქსოვილისა, თავათ დაუდეს ორი საუცხოოდ ამოკერილი ბალიში. მერე მხევლებმა ტანთ გაიხადეს, აბანოში შევიდნენ და სუფთად გამოგავეს და გამორეცხეს. ცოტა ხანს უკან ქალბატონიც მოვიდა და თანაც ორი მხევალი მოჰყვა. როგორც კი მარტო დარჩნენ, ქალი მიესალმა და დაუსრულებელი სულთქმა-ოხვრის შემდეგ გადაეხვია და აკოცა: „არ ვიცი, ღმერთმანი, სხვა უშენო აქ ვინღა მომიყვანდა! გულზე ალი მომიკიდე შე ეშმაკო ტოსკანელო შენა!“ ამის შემდეგ ქალის ნება იყო და ორივე შიშვლები აბანოში შევიდნენ და თან ორი მხევალი შეჰყვათ. აქ სხვას არავის მიაკარებინა ხელი, თვითონ თავისი ხელით საუცხოოდ და მთლად დაბანა სალაბაეტო მუშკისა და მიხაკის საპნით, მერე მხევალთ თავისი ტანი დააბანინა და დააზელინა. ბანას რომ მორჩნენ, მხევლებმა შემოიტანეს უმტვერო თოვლივით თეთრი წმინდა ზეწრები, რომლებსაც ისეთი სუნი უდიოდა ვარდისა, რომ იქაურობა ვარდის სურნელით გაივსო. ერთში სალაბაეტო გაახვიეს და მეორეში ქალბატონი, ზურგზე მოიკიდეს და ორივე უკვე დამზადებულ ლოგინში ჩააწვინეს. აქ როცა ამათ ოფლი იდინეს, მხევლებმა ზეწრები გამოაცალეს და ტიტვლები სხვა ზეწარში გაეხვივნენ. მერე კალათიდან ამოალაგეს მშვენიერი ვერცხლის მცირედი ჭურჭლები, რომელთაგან ერთი სავსე იყო ვარდის წყლითა, მეორე — ნარინჯის წყლითა, მესამე — იასამნის წყლითა, მეოთხე — ფორთოხლის წყლითა, და აპკურეს ორივეს, მერე მოუტანეს ყუთი, რომელშიაც ტკბილეულობა და ძვირფასი ღვინოები ელაგა და ამას კი თვითონ შეექცნენ. სალაბაეტოს თავი სამოთხეში ეგონა და წამდაუწუმ შეხედავდა ხოლმე ქალს, რომელიც მართლა რომ მშვენიერი იყო, და ყოველი წუთი მთელ საუკუნედ ეჩვენებოდა,

სანამ მხევლები წავიდოდნენ და სანამ ქალს გულში ჩაეხუტებოდა. ბოლოს ქალბატონმა მხევლებს აქედან გასვლა უბრძანა. ამათ ოთახში მოკიდებული მაშხალა დატოვეს და თვითონ კი გავიდნენ. გავიდნენ თუ არა, ქალი მოეხვია სალაბაეტოს და სალაბაეტოც ქალს; ვაჟს ეგონა, ქალი ჩემი ნდომით სულ დნებაო; ეს აზრი საშინლად ახარებდა და ასე მარტოდმარტო სულ დიდ ხანს ნეტარებდნენ.

როცა ქალმა გაიფიქრა, ახლა კი დროა ავდგეთო, დაუძახა მხევლებს, ტანთ ჩაიცვეს, ცოტა კიდევ დალიეს და ტკბილეულობით პირი ჩაიტკბარუნეს, ხოლო სახე და ხელები იმავე სურნელოვანი წყლებით დაინამეს და გამოთხოვებისას ქალმა სალაბაეტოს უთხრა: ჩემი თავი შენსამც ჭირს ენაცვლება, თუ ამაღამ ჩემთან მოხვალ ვახშმად და ღამეც ჩემთან დარჩებიო. სალაბაეტოს, ქალის სილამაზითა და მაცდური ალერსიანობით ტყვედქმნილს, მართლა სჯეროდა, ქალს გაგიჟებით შევუყვარდიო, და უთხრა: „მადონა, ყოველი თქვენი სურვილის ასრულება ჩემთვის ნეტარებაა და ამიტომ როგორც ამაღამ, ისე კვლავ, იმას ვიზამ, რაც თქვენ გენებებათ და რასაც მიბრძანებთ“.

ქალი შინ რომ დაბრუნდა, უბრძანა თავისი ოთახი ავეჯითა და სხვა სამკაულით კარგად მოერთოთ, მერე ძვირფასი ვახშამი დაამზადებინა და სალაბაეტოს ლოდინი დაუწყო. სალაბაეტოც, ოდნავ დაღამდა თუ არა, ქალის სახლისაკენ გაემართა. აქ გახარებული მიეგება ქალი და საუცხოოდ გაუმასპინძლდნენ; იმანაც მხიარულად ივახშმა. მერე ქალმა საწოლ ოთახში შეიყვანა. აქ სალაბაეტოს საუცხოო სუნი ეცა ალოეს ხისა. დაინახა ლოგინი, კვიპროსული ჩიტების სახეებით, ამოკერილი მდიდრულად, ხოლო საკიდელაზე მრავალი ძვირფასი კაბა იყო ჩამოკიდებული. ყოველმავე ნახულმა ერთად და თითოეულმა ცალკე ვაჭარს აფიქრებინა, ეს ქალი, როგორც ჩანს, ვინმე დიდი გვარის მდიდარი ქალიაო! თუმცა ათას რასმე ეუბნებოდნენ ამ ქალისას, მაგრამ ამას არაფრის გულისათვის არ უნდოდა დაეჯერებინა, რასაც ეუბნებოდნენ. შეიძლება კიდეც ვინმე მოეტყუებინოს ამ ქალს, მაგრამ ის კი შეუძლებელია, მე მომატყუოსო. სალაბაეტომ იმ ღამეს უზომოდ ინეტარა ქალთან და მისი სიყვარულით უფრო და უფრო განიმსჭვალა.

მეორე დილას ქალმა სატრფოს წელზე ლამაზი და კოხტა ვერცხლის ქამარი შემოარტყა, ზედაც ლამაზივე ქისა ჩამოჰკიდა და უთხრა: „ჩემო ტკბილო სალაბაეტო, არ დამივიწყო, გენაცვა! როგორც ჩემი თავი გეკუთვნის, ისე რასაც აქა ხედავ და რაც მე შემიძლია, ყველაფერი შენი სანაცვლო იყოს“. სალაბაეტოს ცის კარები გაეხსნა, მოეხვია, ჰკოცნა უზომოდ, მერე გამოვიდა ქალის სახლიდან და წავიდა იქ, სადაც ვაჭრები იკრიბებოდნენ ხოლმე.

ამგვარად დადიოდა ვაჭარი ქალთან, ღვთის განაჩენი არაფერი ეხარჯებოდა, და თან უფრო ებმებოდა ქალის მიერ დაგებულ მახეში. ამასობაში თავისი საქონელი ნაღდ ფულზე

გაყიდა და კარგადაც მოიგო; ქალმა ეს მაშინვე გაიგო, მხოლოდ მისგან კი არა, სხვებისაგან. ერთ საღამოს სალაბაეტო ქალთან მივიდა. ქალმა დაიწყო ხუმრობა და წარამარა ლაპარაკი, მერე დაუწყო ხვევნა-კოცნა, ისე ძლიერ შეყვარებულად მოაჩვენა თავი, გეგონებოდათ, ხელში ჩაადნებაო; შემდეგ ორი მშვენიერი ვერცხლის კუტალი შეაძლია, მაგრამ სალაბაეტომ არაფრის გულისათვის არ გამოართვა, რადგან მისგან უკვე ჰქონდა ნაჩუქარი ოცდაათ ფლორინ ოქროდ ღირებული ნივთები, თვითონ კი რამდენჯერ აძლია საჩუქარი ქალს, მაგრამ თუნდ ერთი მანყულის საღირალი რამ ვერ გამოართმევინა.

ბოლოს, როცა ქალმა სალაბაეტოს გულში სიყვარულის მთელი კოცონი დაუგიზგიზა და თავი ისე მოაჩვენა, ვითომ შეყვარებული იყო და სალაბაეტოსათვის არაფერი ეზოგებოდა, ერთმა მისმა მოახლეთაგანმა, მისივე წინასწარი ბრძანებით, გაიხმო ოთახიდან. ქალი გავიდა, ცოტა ხნის უკან კი ატირებული შემობრუნდა, ლოგინზე დაემხო და საშინელი ქვითინი ამოუშვა. სალაბაეტო მეტად გაოცდა, მოეხვია ქალს, ქალთან ერთად იმანაც დაიწყო ტირილი და უთხრა: „თავს შემოგევლე, ჩემო სულო და გულო, ასე ერთბაშად რა მოგივიდათ, რა გატირებთ? მითხარით ერთი ჩემო სულისდგმავ“. ქალმა დიდხანს ახვეწნინა და ბოლოს უთხრა: „ვაიმე, ჩემო ტკბილო მბრძანებელო, არ ვიცი, რა ვქნა, ან რა გითხრა! ეს-ეს არის მესინიდან ჩემი ძმის წერილი მომივიდა და მითვლის: რაც რამ გაბადია, გინდა გაყიდე, გინდ დააგირავე და ამ ერთ კვირაში ათასი ფლორინი ოქრო მომაწოდე როგორმე, თორემ ვიღუპები, თავი უნდა მომკვეთონო. არ ვიცი რა ქვას ვახალო თავი, ასე სწრაფად ამდენი ფული სად ვიშოვნო მე უბედურ დღეზე გაჩენილმა, ორი კვირის ვადა მაინც რომ მოეცა, კიდევ როგორმე მოვახერხებდი, რადგან ერთგან ამაზე მეტიცა მაქვს ასაღები, ან ერთ-ერთ ჩემს მამულს გავყიდდი, მაგრამ ასე მალე არაფერი შემიძლია და უმალ თავი უნდა მოვიკლა, ვიდრე ასეთი საზარელი ამბავი მომივიდოდეს“. ეს რომ თქვა ქალმა, უფრო უარესად მოიმჭმუნვარა თავი და განაგრძო ტირილი და ვიშვიში.

სალაბაეტომ, რომელსაც სიყვარულის ალმა საჭირო გონიერების უმეტესი წილი წაართვა, ირწმუნა ქალის ცრემლების სიწრფელე და ნათქვამის სიმართლე და უთხრა: „მადონა, ათას ფლორინს ვერ გასესხებთ, ხუთასი კი შემიძლია მოგართვათ, თუ მართლა შეგიძლიათ ორ კვირაზე დამიბრუნოთ, ისიც თქვენს ბედზე, გუშინ ჩემი საქონელი გავყიდე, თორემ ეს რომ არ გამეყიდა, ერთ მანყულსაც ვერ მოგცემდით“. – „ღმერთო მომკალი! — უთხრა ქალმა, — მაშ უფულოდ ყოფილხართ, სიცოცხლევ? კარგი და რატომ მე არ მითხარი, გენაცვალე? მართალია, ათასი ფლორინი კი არა მქონდა, მაგრამ ასისა და თუნდ ორასის მოცემას შევიძლებდი. ამის შემდეგ მეთაკილება კიდეცა შენი შემოძლეული ფული გამოგართვა“. სალაბაეტოს ქალის ნათქვამმა სულ თავბრუ დაჰხვია და უთხრა:

„თავს შემოგევლეთ სანთელ-საკმევლად, ამისთვის ნუღარ მეტყვით უარს ფულის გამორთმევაზე, იმიტომ რომ, ფული რომ დამჭირებოდა, ისე როგორც თქვენ დაგჭირდათ, არ

დაგერიდებოდით და გთხოვდით“. – „უი, შენ კი შემოგევლოს ჩემი თავი, ჩემო სალაბაეტო! — უთხრა ქალმა. — ვხედავ რარიგ გყვარებივარ, შენთვის არც კი მითხოვნია, ისე დამასწარ და გინდა ამდენი ფული მასესხო და გაჭირვებაში მყოფს ხელი გამიმართო. მე უამისოდაც შენი ვიყავ და ამის შემდეგ ხომ უმეტესად ვიქნები შენი, ან იმას რაღა დამავიწყებს, რომ ძმა სიკვდილს გადამირჩინე... მაგრამ ღმერთმა იცოდეს ამ ფულს უხალისოდ გართმევდე, რადგან ვიცი, ვაჭარი ხარ და ვაჭრები ხომ ყველა თავის საქმეს ფულით აკეთებენ, უფულოდ ფეხს ვერ გადადგამენ; მაგრამ, რადგან, ერთის მხრივ, დანა ყელთან არის მისული და მეორეს მხრივ, დარწმუნებული ვარ მალე დაგიბრუნებ, ახლა გართმევ ამ ფულს, რაც აკლია, ის ფული თუ სხვა გზით ვერ ვიშოვნე, რაც რამ მაბადია, ყველაფერს დავაგირავებ“. ესა თქვა ქალმა, ატირდა და სალაბაეტოს ჩაეხუტა. ვაჭარი შეეცადა ენუგეშებინა. მთელი ღამე ქალთან გაატარა და რომ ეჩვენებინა თავისი ერთგულება, არ დაუცადა სანამ ქალი სთხოვდა, მოუტანა ხუთასი ოქროს ფლორინი. ქალს გულში ეცინებოდა, ხოლო თვალებით ეტირებოდა, ისე გამოართვა ფული, ხოლო სალაბაეტო მის ლიტონ დაპირებას დასჯერდა.

ქალმა ხელთ იგდო თუ არა ფულები, ჩარხი სულ უკუღმა დატრიალდა. თუ წინათ სალაბაეტოს როცა კი მოექეიფებოდა, თავისუფლად შეეძლო ქალთან მისვლა, ახლა ხან რა მიზეზი გამოტყვრებოდა და ხან რა და სალაბაეტო შვიდჯერ რომ მისულიყო, ერთხელ ვერ მოახერხებდა შიგ შესვლას, და თუ ოდესმე მოახერხებდა შესვლას, აღარც წინანდელი ალერსიანი მიგებება იყო და აღარც დახვედრა. დაპირებული ვადის შემდეგ გავიდა ერთი თვე, გავიდა ორი, მაგრამ ნუ გაგიწყრებათ ღმერთი, ფულს არავინ უბრუნებდა და როცა დაბრუნებას მოითხოვდა, ცარიელი დაპირებით გამოისტუმრებდნენ.

ამიტომ სალაბაეტო, რაკი დარწმუნდა, თუ რაზომ ცბიერი ყოფილა ეს საზიზღარი ქალი და თვითონაც რა უჭკუობა გამოიჩინა, და რაკი ხედავდა, რომ რაც ქალსა ნებავდა, იმის მეტს მისგან ვერაფერს მიიღებდა, რადგან არც მოწმე ჰყავდა ფულის სესხებისა და არც ბარათი რამ ეჭირა ხელში, თანაც რცხვენოდა ვისთვისმე შეეჩივლა თავისი ამბავი, ვინაიდან ამის შესახებ არა ერთმა და ორმა გააფრთხილა, და იმის ეშინოდა — ჩემს სისულელეზე მასხრად ამიგდებენ და ახიც იქნება ჩემზედაო, მწარედ დაღონდა დ ჩუმად თავის უჭკუობას დასტიროდა. ამავე დროს, თავისი პატრონებისაგან წერილები მოსდიოდა და სთხოვდნენ, რაც ფული აგიღია გადაცვალე ჩვენებურ ფულზე და გამოგვიგზავნეო. შეეშინდა, თუ მათი შემონათვალი არ ავასრულე, ვაითუ დანაშაული გამომაჩნდესო და ამიტომ გადაწყვიტა აქედან წასულიყო. იმანაც აიღო, ჩაჯდა ხომალდში და იმის მაგიერ, რომ პიზაში ამოსულიყო, ნეაპოლში ამოყო თავი.

იმ დროს ნეაპოლში ცხოვრობდა ჩვენი თანამოქალაქე პიოტრო დელო კანიჯანო, კონსტანტინოპოლის იმპერატორის მეუღლის ხაზინადარი, კაცი მეტად ჭკვიანი და მოხერხებული, კარგი მეგობარი სალაბაეტოსი და მისი მშობლებისა. აი, ამ კანიჯანოს,

როგორც გონიერ კაცს, რამდენიმე დღის შემდეგ სალაბაეტომ უამბო, რაც ჩაიდინა და რაც სამწუხაროდ თავს გადახდა, თანაც დახმარება და რჩევა სთხოვა, როგორ შევინახო თავი აქ, რადგან ფლორენციაში ღმერთმა ნუ დამაბრუნოსო. კანიჯანოს ძალიან ეწყინა სალაბაეტოს ამბავი და უთხრა: ძალიან ცუდად მოქცეულხარ, ჩემო კარგო, ცუდ გზას დასდგომიხარ, შენი პატრონებისათვის ყური არ გიგდია, ერთბაშად ბევრი ფული დაგიხარჯავს შენის სიამისათვისო. მაგრამ რა გაეწყობა, რაც იყო — იყო, გაფუჭებულ საქმეს როგორმე უნდა ვუშველოთო. და როგორც გამჭრიახმა კაცმა, სასწრაფოდ მოისაზრა, თუ რა უნდა ექნათ, და ეს სალაბაეტოსაც გაუზიარა. სალაბაეტოს ძალიან მოეწონა მისი რჩევა და გადაწყვიტა ისე ექნა, როგორც კანიჯანო ურჩევდა. ცოტაოდენი ფული თვითონაცა ჰქონდა, ცოტაოდენი კანიჯანომაც ასესხა, გააკეთა რამდენიმე ცალი, კარგად შეკრული და ჩალაგებული; იყიდა ოციოდ კასრი ზეთისხილის ზეთისათვის, გაავსებინა, ყოველივე ეს გემზე დატვირთა და დაბრუნდა პალერმოში. ამ მებაჟეებს ცალების აღწერილობა მისცა, უჩვენა კასრების ღირებულება და უთხრა, ყველაფერი მის ანგარიშზე ჩაეწერათ, მერე ყველაფერი საწყობში შეინახა და დაუბარა — სხვა საქონელსაც მოველიო, და სანამ ისიც არ მომივა, ამაებს ხელი არ მინდა ვახლოო.

ეს ამბავი ყოველივე ესმა იანკოფიორეს. მანვე გაიგო, რომ სალაბაეტოს მოტანილი საქონელი, სულ უკანასკნელი, ორი ათასი ოქროს ფლორინის მაინც იქნებაო, ხოლო რასაც მოელის, ის საქონელიც სამ ათასზე მეტი ღირებულებისა იქნებაო. მაშინ ქალმა გულში თქვა: ცოტაა, რაც წავგლიჯეო, მოდი მის ხუთას ფლორინს დავუბრუნებ და სამაგიეროდ, ხუთიათას ფლორინს თუ არა, მომეტებულ ნაწილს მაინც ავწაპნიო, და კაცი გაუგზავნა — მნახეო. სალაბაეტო, უკვე გამოწაფული ეშმაკობაში, წავიდა ქალის სანახავად. ქალმა თავი ისე მოაჩვენა, ვითომ არაფერი იცოდა, თუ რა მოიტანა სალაბაეტომ, უზომოდ გახარებული მიეგება და უთხრა: „ჩემო სიცოცხლევ, ვინ იცის, მემდური, რომ შენი ფული ვადაზე ვერ დაგიბრუნე...“ სალაბაეტოს გაეცინა და უპასუხა: „მართალი მოგახსენოთ, ცოტა გემდურით, იმიტომ რომ, მე ჩემდა თავად მზად გახლავართ გულიც კი ამოვიგლიჯო, თუკი თქვენ ამით ოდნავაც არი გაამებთ. მხოლოდ მე მინდა მომისმინოთ, თუ როგორ გემდურით. ისეთია და ისე ძლიერია სიყვარული, რომელიც თქვენდამი გულში მიღვივის, რომ მე ვუბრძანე გაეყიდათ ჩემი მამულების უმეტესი ნაწილი და ახლა აქ მოვზიდე ორი ათასი ფლორინის მეტის საღირალი საქონელი და აგრეთვე დასავლეთიდანაც იმდენ საქონელს მოველი, რომ ისიც ერთი სამი ათასი ფლორინისა იქნება; აქ მინდა დუქანი გავაღო და სულაც აქ დავრჩე, რომ თქვენს ახლო ვიყო, რადგან თქვენი სიყვარულით ისე ვარ ბედნიერი, რომ არა მგონი ქვეყანაზე თქვენი სიყვარულით სხვა ვინმე იყოს ისე ბედნიერი თავისი სიყვარულით“. ამაზე ქალმა ასე მიუგო: „უნდა გითხრა, ჩემო სულისდგმავ, რომ ყოველი შენი გამარჯვება სიხარულით მივსებს ხოლმე გულს, რადგან ჩემს სიცოცხლეს მირჩევნიხარ, და ახლა ძალიან მიხარის, რომ დაბრუნებულხარ და აქ დარჩენა განგიზრახავს, ვინაიდან იმედი მაქვს მაშინ

უფრო ხშირად შეგხვდები და გავძღები შენი ალერსით. მაგრამ მინდა ბოდიში მოვიხადო შენთან, რომ შენი აქედან წასვლის წინახანებში ზოგჯერ გინდოდა ჩემთან მოსულიყავ და არ შეგეძლო კი მოსვლა, ზოგჯერ მოხვიდოდი და ისე მხიარულად ვეღარ დაგიხვდებოდით, როგორც წინათ გიხვდებოდით; გარდა ამისა, ბოდიში მინდა მოვიხადო იმისთვისაც, რომ დანიშნულ ვადაზე შენი ფული ვეღარ დაგიბრუნე. უნდა იცოდე, რომ მაშინ დიდი დარდი და ნაღველი მაწვა გულზე, და ვისაც ასეთი დარდი აწევს გულზე, სხვა რაც უნდა ძლიერად უყვარდეს, არ შეუძლია ისე ალერსიანად და ისე ყურადღებით მოეკიდოს, როგორც თავად უნდა. გარდა ამისა, უნდა იცოდე ისიც, რომ მეტად ძნელია ქალისათვის ათასი ოქროს ფლორინის შოვნა, დღეს-ხვალიობით გატყუებენ, დანაპირებს არ ასრულებენ და ამიტომ ჩვენც ჩვენდა უნებურად სხვასაც ვატყუებთ; და სწორედ ამიტომ და არა სხვა რამ მიზეზით იყო, რომ შენი ფული ვეღარ დაგიბრუნე; მაგრამ შენ წახვედი თუ არა, ფულიც ვიშოვნე და შენი სადმყოფობა რომ მცოდნოდა, დარწმუნებული იყავ, გამოგიგზავნიდი; მაგრამ რადგან არ ვიცოდი, სად გამეგზავნა, აქ შეგინახე". ეს რომ უთხრა, მოატანინა ქისა, სადაც იდო სწორედ ის ფლორინები, რომლებიც სალაბაეტომ მოუტანა ამას წინათ, გადასცა და დასძინა: აბა, დათვალე, ხომ ხუთასიაო? სალაბაეტოს სიხარულისაგან ცათაფრენა შეუდგა, დათვალა, ჯიბეში ჩაიდო და უთხრა: „ჩემო სიცოცხლევ, ვიცი, რომ მართალსა ბრძანებთ და რომ ჩემთვის ისა ჰქენით, რაც შეგეძლოთ; უნდა მოგახსენოთ, რომ როგორც ამისთვის, ისე იმ სიყვარულისთვის, თქვენდამი გულში რომ მიღვივის, რაც უნდა ფული დაგჭირდეთ, თუკი მექნება, იცოდეთ, არ დაგიჭერთ. და როგორც კი მოვეწყობი, საქმით დაგარწმუნებთ ამაში".

ამგვარად, სალაბაეტომ სიტყვიერად განაახლა სიყვარული ქალთან, დაიწყო მასთან მხიარულად ცხოვრება, და ქალსაც მის სიამოვნებაში ამოსდიოდა სული და ცდილობდა დაემტკიცებინა მისთვის თავისი უსაზღვრო სიყვარული. მაგრამ სალაბაეტოს განზრახული ჰქონდა მოტყუებისათვის მოტყუებითვე დაესაჯა ქალი და ერთხელ, როცა ქალმა ვახშმად და ღამე თავისთან დასარჩენად მიიწვია, ვაჭარი ისე დაღონებული და დაძმარებული მივიდა, რომ გეგონებოდათ, საცაა, თან უნდა გადაჰყვეს ამ დარდსა და ჭმუნვასაო. იანკოფიორე მოეხვია, დაუწყო კოცნა და ჰკითხა დარდისა და დაღონების მიზეზი. სალაბაეტომ ჯერ კარგა ხანს ახვეწნინა და მერე უთხრა: „დავიღუპე, რადგან ის ხომალდი, რომლითაც საქონელს მოველოდი, ხელთ უგდიათ მონაკოელ მეკობრეებს და თავის დასახსნელად იძულებული გამხდარა ათი ათასი ოქროს ფლორინი მიეცა, აქედან ათასი ფლორინი ჩემი გადასახდელია, და მე კი ერთი მანყული არ მომეძევება, რადგან შენი მოცემული ხუთასი ფლორინი მაშინვე ნეაპოლში გავგზავნე ტილოს საყიდლად და აქ მოსატანად. ხოლო რაც აქ საქონელი მაქვს, იმის გაყიდვა რომ მოვინდომო, ნახევარ ფასსაც არავინ მომცემს, რადგან იმ საქონლის გაყიდვის დრო არ არის, და მეც აქ ჯერ არავინ მიცნობს ისე, რომ ვინმე ამ საქმეში მომეშველოს; ამიტომ არ ვიცი, რა ვქნა, ან ვის უთხრა. და თუ მალე არ შევიტანე ეს ფული, საქონელს მონაკოში ამოაყოფინებენ თავს და მაშინ თვალითაც ვერა ვნახავ ჩემს სავაჭროს".

ქალი საშინლად დააღონა ამ ამბავმა, რადგან წარმოიდგინა, სულ მთლად დავიღუპეო; იმის ფიქრს შეუდგა, რა უნდა ქნას კაცმა, რომ საქონელი როგორმე მონაკოში არ წაიღონო და, ბოლოს, უთხრა სალაბაეტოს: „ერთმა ღმერთმა უწყის, თუ რარიგ მებრალები შენი სიყვარულისთვის; მაგრამ ნურც მაგრე იდარდებ, თავს შემოგევლე, მე რომ მქონდეს ეს ფული, დაუყოვნებლივ მოგცემდი, ჰო, შენმა გახარებამ, მაგრამ რა გიყო, სულო, რომ არა მაქვს მე ბედკრულს! მართალია, აქ არის ერთი ვინმე კაცი, მან ამ დღეებში მასესხა ხუთასი ფლორინი, რომელიც მაკლდა, მაგრამ დღეს სარგებელსა თხოულობს; სულ უკანასკნელი ასზე ოცდაათი უნდა: თუ გადაწყვეტ ამ კაცთან დაიჭირო საქმე, უნდა კარგი გირაოთი უზრუნველყო; მე მზადა ვარ შენთვის დავაგირავო მთელი ეს ქონება და თვით ჩემი თავიცა, ოღონდ კი შენ გიშველო როგორმე; დანარჩენი ფულისათვის გირაოდ რაღას მისცემ?“ სალაბაეტო მიუხვდა, თუ რატომ ცდილობდა ქალი, ეს სამსახური გაეწია მისთვის. იმასაც მიხვდა, რომ იმას თავისივე ფული უნდა ესესხებინა. ამით გახარებულმა ჯერ მადლი მოახსენა და მერე უთხრა: დიდი სარგებელი უკან ვერ დამახევინებს, რადგან დანა ყელთან არის მოსულიო. შემდეგ დასძინა, რომ გირაოდ იმ საქონელს დავუტოვებ, რაც საბაჟოში მიწყვია, ყველაფერს ფულის მსესხებლის სახელზე გადმოვაწერინებ, მხოლოდ საწყობის გასაღები ჩემთან დარჩება, რომ თუ საჭირო იქნება, საქონლის ჩვენება შემეძლოს მყიდველისათვის, ავრეთვე ხანდახან უნდა დავხედო, არავინ რა მოაკლოს, ან შეურიოს სხვა რამე, ან გამოცვალოს. ქალმა ნათქვამი მოუწონა, სესხის უზრუნველსაყოფად ესეც სრულებით საკმარისიაო.

ქალმა მეორე დღეს იხმო ერთი სავსებით მისანდობარი დალალი, მოელაპარაკა ამ საქმის თაობაზე, გადასცა ათასი ოქროს ფლორინი. ამანაც ეს ფული სალაბაეტოს ჩააბარა და სამაგიეროდ თავის სახელზე გადმოაწერინა, რაც რამ საბაჟოში საქონელი ჰქონდა; მერე ერთმანეთს ბარათები მისცეს, შეთანხმდნენ ყველაფრის შესახებ და თავ-თავიანთ საქმეს შეუდგნენ.

სალაბაეტომ, როგორც კი გამოაწყო საქმე, ჯიბეში ჩაიდო ათასხუთასი ოქროს ფლორინი, ჩაჯდა ხომალდში და პიეტრო დელო კანიჯანოსთან დაბრუნდა ნეაპოლში; აქედან სწორი და დაწვრილებითი ანგარიში გაუგზავნა ფლორენციაში თავის პატრონებს, რომელთაც მაუდეულობა გამოატანეს გასაყიდად; პიეტროსა და სხვებს, ვისიც კი რამე ემართა, ყველას გაუსწორდა, მერე რამდენიმე დღე მხიარულად გაატარა კანიჯანოსთან მოტყუებული სიცილიელი ქალის ხარჯზე. შემდეგ ვაჭრობაზე სულაც აიღო ხელი და დაბრუნდა ფერარაში.

იანკოფიორემ სალაბაეტო რაკი ვერა ნახა პალერმოში, ჯერ გაუკვირდა, რა იქნაო და მერე ეჭვიც კი შეეპარა; ორი თვის ლოდინის შემდეგ რომ დაინახა აღარ მოდისო, დალალს უთხრა, საწყობი შეამტვრიეო. ჯერ გასინჯეს ის კასრები, რომლებშიაც ზეთისხილის ზეთი ეგონათ, და ის კი არა — ზღვის წყლით ყოფილა სავსე, თითოეულ კასრში სულ პატარა

კასრის ოდენა ზეთი თუ იდგა, ხის პირსაცობის პირდაპირ ამომდგარი. მერე გახსნეს ცალები. ამათში მხოლოდ ორში აღმოჩნდა მაუდი, დანარჩენში ნაჩეჩი ეყარა; ერთი სიტყვით, რაც იქ აღმოჩნდა, ორასი ფლორინის საღირალი თუღა გამოვიდოდა. იანკოფიორემ რომ დაინახა მოვტყუებულვარო, დიდხანს მისტიროდა მის მიერ დაბრუნებულ ხუთას ფლორინს და უმეტესად სატირალი იყო ის ათასი ფლორინი, სესხად რომ მისცა და თან ჟამითი ჟამად დასძენდა: მეტად უნდა ფრთხილობდეს, ვისაც საქმე ტოსკანელ კაცთანა აქვსო. ამგვარად, ზარალი ზარალად ნახა და დაცინვა კიდევ მეტი იყო, და იმეორებდა ანდაზას: „მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო“.

დიონეომ თავისი ამბავი რომ გაათავა, ლაურეტამ რაკი იცოდა, რომ მისი მეფობის ვადა დასრულებულიყო, ძალიან აქო პიეტრო კანიჯანოს რჩევა, რომელიც საქმით მართლა ხელსაყრელი გამოდგა, აქო აგრეთვე სალაბაეტო, რომელმაც ესდენი შნო და უნარი გამოიჩინა, რომ ეს რჩევა აღასრულა. ამას შემდეგ თავიდან მოიხსნა გვირგვინი, ემილიას თავზე დაადგა და ალერსიანად დასძინა: „მადონა, არ ვიცი, რამდენად მოწყალე დედოფალი იქნებით ჩვენთვის, მაგრამ ლამაზი რომ ბრძანდებით, ამას ლაპარაკი არ უნდა; მაშასადამე, იზრუნეთ, რომ ჩვენი მოქმედება თქვენი სილამაზის სადარი იყოს“. ესა თქვა და დაჯდა. ემილიას, ცოტა არ იყოს შერცხვა იმდენად დედოფლად გამოცხადებისა არა, რამდენადაც იმისა, რომ ყველას გასაგონად მოასმენინეს ქება, რომელიც ესდენ ეამებათ ხოლმე ქალებს, და ისე გაღვივდა, როგორც განთიადისას ახალნორჩი ვარდი ღვივის ხოლმე. მაინც ცოტა ხანს თვალები ძირს ჰქონდა დახრილი, სანამ დარცხვენილობის სიწითლე გადაუვლიდა; მოელაპარაკა სინისკალკოს საზოგადოების საქმეთა გამო და ასე დაიწყო: „სანატრელო ქალებო! ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ როცა ხარები დღის ერთი ნაწილის განმავლობაში იმუშავებენ უღელქვეშ შეწუხებულნი, მერე აპეურებს შეხსნიან, უღლიდან გამოუშვებენ და თავისუფლად გაუშვებენ ჭალებში საძოვრად, სად და როგორც მათ მოეწონებათ. ჩვენა ვხედავთ აგრეთვე, რომ სხვადასხვა მცენარეებით ამწვანებული ბაღები არამცთუ ნაკლებ, არამედ უმეტესად ლამაზნი არიან, ვიდრე ის ჭალები, სადაც მუხებიღა ხარობს, ამიტომ რადგან ამდენი დღეების განმავლობაში ერთგვარ წესრიგს ვემორჩილებოდით და ისე მოვუთხრობდით ჩვენს ამბებს, ჩემის აზრით, არამცთუ სასარგებლო, არამედ აუცილებელი იქნება ჩვენთვის, ვისაც ასე სჭირია, ცოტა გავიარ-გამოვიაროთ და ამასობაში ძალ-ღონე მოვიკრიბოთ, რომ ისევ შევებათ უღელში. ამიტომ ხვალაც განვაგრძოთ თქვენი სასიამოვნო ბაასი, მხოლოდ არ მინდა თავზე მოგახვიოთ ერთ რასმე საგანზე ლაპარაკი, არამედ მინდა თითოეულმა თქვენთაგანმა იმაზე ილაპარაკოს, რაც იმას ესიამოვნება, ვინაიდან დარწმუნებული გახლავართ, რომ ამბების ნაირნაირობა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ისა, რომ ყველამ ერთსა და იმავე საგანზე ვილაპარაკოთ. თუ ასე ვიზამთ, ისინი ვინც ჩემს შემდეგ იმეფებენ, უფრო ადვილად შეძლებენ დაუმორჩილონ ჩვენი თავი, როგორც უფრო დასვენებულნი და ღონემოკრებილნი, ჩვეულებრივ წესებს“. ეს რომ თქვა, დედოფალმა

სრული თავისუფლება მიანიჭა ყველას: ვახშმობამდე, რაც გენებოთ ისა ჰქენითო.

ყველამ უქო ნათქვამი ბრძენ დედოფალს; მერე ზეზე წამოდგნენ და ზოგმა რა გასართობს მოჰკიდა ხელი და ზოგმა რას: ქალებმა გვირგვინების თხზვა დაიწყეს და იმით გაერთნენ, ყმაწვილებმა თამაშობა და სიმღერა გააჩაღეს და ამნაირად ვახშმობამდე გაატარეს დრო. ვახშმობა რომ დადგა, შადრევანს გარშემო შემოუსხდნენ და მხიარულად და სიამოვნებით ივახშმეს. ნავახშმევს, ჩვეულებრივ, სიმღერა და ცეკვა გააჩაღეს. დასასრულ, დედოფალმა არ გადაუხვია მის წინამოადგილეთაგან შემოღებულ წესს და თუმცა ბევრმა მათგანმა თავისი სიმღერა იმღერა, უბრძანა პამფილოს — სიმღერა თქვიო და იმანაც მხიარულად დაიწყო:

სიყვარულო, რაოდენი მომმადლე სიკეთე და სიხარული ძლიერი! თუმცა ვიწვი, მაინც ვარ ბედნიერი! შვება-ლხენა ჩემი მეტისმეტია.

ისე არის ჩემზე დაუფლებული, რომ გულში ის ვეღარ ჩამიკეტია, —

ამიტომ ვარ აშკარად აღგზნებული, ნეტარება მიცისკროვნებს სახესა.

ვისაც ვნება უღელავს საამური, ის აიცდენს ქვეყნად სივაგლახესა, მაგრამ სიცხის მას დაადნობს ალმური.

სიმღერითაც მე ვერ მიჩვენებია

და ვერცა თუ მომიფარგლავს თითითა, სიყვარულო, რა სიკეთეც მრგებია. ჯობს მოვიქცე მე სიფრთხილით დიდითა —

ვმალო გრძნობა ჩემი დამადნობელი, თორემ ჭორის თვალი გამოცდილია რაც უნდა ვთქვა, ვარ უმალვე მცნობელი

ყოველივე რომ უბრალო ჩრდილია. ვინ იტყოდა, რომე ჩემი ხელები

ამ ბედნიერ ადგილს მოეხვეოდა, საგრფოსა და ბაგეები მწველები ჩემი მისას ვნებით დაემთხვეოდა?

მე იმედი არა მქონდა ამგვარი, და არ ძალუძთ ჩემს ძმებსაც დაჯერება.

ვარ ამიტომ ხვაშიადით დამწვარი, —

უნდა ვმალო სამოთხის ნეტარება.

პამფილოს კანცონა დასრულდა, და თუმცა ყველანი ხმაშეწყობით ბანს აძლევდნენ, მაგრამ მათში არავინ ერია ისეთი, რომ ვიდრე ჯერ იყო, ისე არ შეენიშნა თავისთვის მისი ნათქვამი სიტყვების მნიშვნელობა და თან არ ცდილიყო გამოეცნო, თუ რას უმღეროდა, თითქო მას ეს საიდუმლოდ უნდა შეენახა. თუმცა ყველა ამათგანი თავისებურად ფიქრობდა, მაინც არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომ მიმხვდარიყო მის ნამდვილ მნიშვნელობას, მაგრამ დედოფალმა რომ დაინახა, პამფილოს კანცონა დასრულდაო და ქალები და კაცები დიდის სიამოვნებით წავლენ დასასვენებლადო, უბრძანა — ყველანი დასასვენებლად გაემართეთო.

მეცხრე დღე

დასრულდა მერვე დღე დეკამერონისა; დაიწყო მეცხრე დღე, რომელშიც, ემილიას თავმჯდომარეობით, ყოველი მოამბე ლაპარაკობს იმაზე, რაც მას ყველაზე მეტად მოსწონს.

როცა განთიადმა, რომლის ნათელს ღამე გაურბის ხოლმე, მერვე ცის მუქი ფერი უკვე ლურჯ ფერად შეცვალა და მინდორ-ველზე ყვავილებმა თავი მაღლა აიღეს, ემილია ადგა და თავისი ამხანაგი ქალებისა და აგრეთვე ყმაწვილებისთვისაც დააძახებინა. რომ მოვიდნენ, უკან დაედევნენ ნელა მიმავალ დედოფალს და გაემართნენ სასახლესთან ახლოს მდებარე ერთ პატარა კორომისაკენ. შიგ რომ შევიდნენ, დაინახეს გარეული ცხოველები: ქურციკები, ირმები, და სხვები; ამათ სრულებითაც არ ეშინოდათ მონადირეებისა, რადგან ჭირიანობა ისევ გრძელდებოდა, და ამ სასეირნოდ გამოსულ ხალხს ისე უშიშრად შესცქეროდნენ, გეგონებოდათ შინაურებიაო. მოსეირნენი ხან ერთთან მივიდოდნენ, ხან მეორესთან, თითქო მათი დაჭერა უნდოდათ, ცხოველებიც იქით-აქეთ დარბოდნენ და ქალები და ყმაწვილებიც ერთხანს ამით ერთობოდნენ.

მაგრამ მზე რომ კარგად ამოიწვერა, თქვეს, დროა დავბრუნდეთო. ყველას თავზე მუხის ტოტების გვირგვინი ედგა, ხელები სავსე ჰქონდათ სუნნელოვანი ბალახებითა და ყვავილებით; და ვინც უნდა შეხვედროდათ, ყველა იმასღა იტყოდა: სიკვდილი ამათ ვერას დააკლებს, ან თუ სძლია, სიხარულით ამოხდებათ სულიო. ამგვარად, ნელ-ნელა, სიმღერით, ხუმრობ-მასხარობით მიაღწიეს სასახლემდე, სადაც ყველაფერი წესიერად მილაგებული და თავიანთი მსახურებიც მხიარულნი და გულნებიერნი დახვდათ. ცოტათი დაისვენეს და სუფრას მანამ არ მიუსხდნენ, სანამ ქალებმა და ყმაწვილებმა ექვსი, ერთიმეორეზე უკეთესი კანცონეტა არ იმღერეს. ამის შემდეგ ხელები დაიბანეს და სინისკალკომ, დედოფლის ნების თანახმად, სუფრას მოუსხა ყველანი, მოართვეს საჭმელები და მხიარულად შეექცნენ.

სუფრიდან რომ წამოიშალნენ, ერთხანს დაუკრეს და იცეკვეს, მერე დედოფლის

ბრძანებით, ვისაც უნდოდა, დასასვენებლად გაემართა.

მაგრამ დანიშნული დრო რომ დადგა, ყველანი სალაპარაკოდ ჩვეულ ადგილას შეგროვდნენ. აქ დედოფალმა ფილომენას გადახედა და უთხრა — აბა, შენ იცი, თუ ამ დღის ამბებს შენ ჩაუყრი საძირკველსაო, იმასაც გაეცინა და ასე დაიწყო.

ამბავი პირველი. გაწბილებული საყვარლები

მადონა ფრანჩესკა უყვართ ვინმე რინუჩოს და ვინმე ალესანდროს. ქალს კი არცერთი არ უყვარს; ერთს უბრძანებს, ვითომ მკვდარი ხარ და საფლავში ჩაწექიო, ხოლო მეორეს ეტყვის — საფლავიდან მკვდარი ამოიღეო. როცა ვერც ერთი მიზანს ვერ მიაღწევს, ქალი ორივეს ზურგს შეაქცევს ეშმაკურად.

მადონა, რადგან თქვენს უდიდებულესობას ენება გამოვეყვანეთ თავისუფალ და ტრიალ მინდორზე მოთხრობის საამბობლად, დიდად მოხარული გახლავართ, რომ პირველად მე გამოვედი საასპარეზოდ; თუ მე გავიმარჯვე, იმედი მაქვს, ჩემს შემდეგ გამოსულებმა ისევე კარგად ან იქნებ უკეთესადაც შეასრულონ თავიანთი საქმე. ვინ იცის, ჩემო თვალისჩინო ქალებო, რამდენჯერ ვნახეთ ჩვენს მოთხრობებში, თუ რა გვარია ან რა ძლიერია ხოლმე სიყვარული! ერთი წელიწადიც რომ ვილაპარაკოთ, არა მგონია, ყველაფერი ვთქვათ, რაც სათქმელია სიყვარულზე. და რადგან სიყვარული შეყვარებულთ არამცთუ საშინელ განსაცდელში აგდებს ხოლმე და ზოგჯერ სიკვდილსაც კი უმზადებს, არამედ, თითქო ეს შეყვარებულნი მკვდრები იყვნენ, მიცვალებულთა სავანეებისაკენ მიეწევა. ამიტომ მე მსურს, უკვე ნათქვამი ამბების შესავსებად გიამბოთ ერთი ამბავი, საიდანაც დაინახავთ არამცთუ სიყვარულის ძალას, არამედ სიბრძნესაც, რომელიც ერთმა ღირსეულმა ქალმა გამოიჩინა და ამით თავიდან მოისხლიტა ორი მამაკაცი, რომელთაც ეს ქალი, მისი სურვილის წინააღმდეგ, უყვარდათ.

უნდა მოგახსენოთ, რომ წინათ ქალაქ პისტოიაში ცხოვრობდა ერთი კალმით დახატული ქვრივი. ორი ყმაწვილი კაცი ფლორენციიდან გამოძევებული იყო და აქა ცხოვრობდა. ერთს ერქვა რინუჩო პალერმინი და მეორეს — ალესანდრო კიარმონტეზი. შემთხვევით ორივეს მოეწონა ეს ქალი და შეუყვარდათ ისე, რომ ერთიმეორის ამბავი არ იცოდნენ. თითოეული მათგანი ცდილობდა ყოველი ღონე ეღონა, როგორმე ქალის გული მოეგო.

ამ კეთილშობილ ქალს, რომელსაც ფრანჩესკა დეი ლაძარი ერქვა, ეს ყმაწვილები არ ასვენებდნენ: ხან მოციქულებს უგზავნიდნენ, ხან პირადად ეხვეწებოდნენ. ქალი შეცდა, რამდენჯერმე ყურად იღო მათი თხოვნა და დროზე ვერ მოახერხა უკან დახევა, თუმცა ეს

უნდოდა და მისი მხრით ჭკვიანურიც იქნებოდა. ამ დროს აზრად მოუვიდა თავიდან მოეშორებინა აბეზარი ტრფიალნი, ხოლო ამისათვის საშუალება უნდა გამოეძებნა. ეს საშუალებაც ის იყო, რომ მათთვის ერთი რამ უნდა დაევალებინა. ამ დავალების ასრულება მას შესაძლებლად მიაჩნდა, მაგრამ ისინი კი ვერ აასრულებენო. და რაკი ვერ აასრულებენ, საპატიო და ცხადი მიზეზი ექნებოდა მათი ხვეწნა უყურადღებოდ დაეტოვებინა. აი რა უნდა ეთქვა ქალს ყმაწვილებისათვის.

სწორედ იმ დღეს, რა დღესაც ეს აზრი მოუვიდა ქალს, პისტოიაში გარდაიცვალა ერთი კაცი, რომელსაც თუმცა წინაპრები კეთილშობილნი და სახელოვანნი ჰყავდა, მაგრამ თავად ისეთი უხეირო ვინმე იყო, რომ მისი მსგავსი არამც თუ პისტოიაში, მთელის დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდა; გარდა ამისა, ისეთ მახინჯ ცხოვრებას ეწეოდა და სახითაც ისეთი უჟმური რამ იყო, რომ ვინ არ იცნობდა. პირველად დაინახავდა თუ არა, გულს შეზარავდა მისი ნახვა. ეს კაცი მინორიტთა ორდენის ბერების ეკლესიის სასაფლაოზე დაასაფლავეს და ამ გარემოებას, ქალის აზრით, მისი განზრახვის ასრულებისათვის ხელი ძალიან უნდა შეეწყო.

ამიტომ ფრანჩესკამ ერთ თავის მოახლეს უთხრა: „შენ კარგად იცი, ყოველდღე როგორ მაბეზრებს თავს ამ ორი ფლორენციელის, რინუჩოს და ალესანდროს, შემონათვალი; მე სრულებითაც არა მსურს თანავუგრძნო ამ ყმაწვილების სიყვარულს. მინდა თავიდან მოვიშორო ორივე. ისინი ბევრს რასმე მპირდებიან და მე მინდა ერთს საქმეში გამოვცადო. დარწმუნებული ვარ, ჩემს დავალებას არ აასრულებენ და მაშინ თავიდან მოვისხლეტ ერთსაც და მეორესაც. ყური მიგდე, რა გითხრა: შენ იცი, რომ ამ დილას მინორიტთა ორდენის ბერების მონასტრის სასაფლაოზე დაასაფლავეს სკანადიო (ასე ერქვა იმ შეჩვენებულ კაცს, ზევით რომ მოვიხსენიეთ), რომლის დანახვა არამც თუ მკვდრისა, ცოცხლისაც კი ეშინოდათ ჩვენი ქალაქის გულად მცხოვრებთ. ამიტომ შენ საიდუმლოდ ჯერ ალესანდროსთან მიხვალ და ეტყვი: მადონა ფრანჩესკამ მიბრძანა შეგატყობინოთ, რომ დრო დადგა, როცა შეგიძლიათ დაეპატრონოთ მის გულს, რასაც, ამდენი ხანია, ცდილობთ; რაკი ეს გინდათ, მასთანვე შეყრა ასე შეგიძლიათ. ერთი მიზეზისა გამო, რომლის შესახებ შენ მერე გაიგებ, ამაღამ ერთი ნათესავთაგანი სახლში მოუტანს მადონა ფრანჩესკას სკანადიოს გვამს, ამ დილას რომ დამარხეს, მაგრამ რადგან მკვდარ სკანადიოს ნახვისა ეშინიან, არ უნდა სახლში მოუტანონ. ამიტომ მადონა გთხოვს გაუწიო ეს დიდი სამსახური: ამაღამ პირველ დაძინებისას უნდა წახვიდე სასაფლაოზე, შეხვიდე სკანადიოს აკლდამაში, ჩაიცვა მისი ტანისამოსი და იქ დარჩე, თითქო სკანადიო იყო, მანამდე, სანამ შენს წამოსაღებად არ მოვლენ. შენ არაფერი უნდა თქვა, ხმა-კრინტი არ დასძრა და შენი თავი სახლში წამოაღებინე, სადაც მადონა დაგიხვდება. შენ იმასთან დარჩები და როცა საჭირო იქნება, წახვალ და დანარჩენს ყველაფერს თვითონ ქალი მოაწყობს-თქო. თუ თქვა, თანახმა ვარო, ხო რა კარგი, ხოლო თუ თქვა არ ვიზამო, გამოუცხადე, საცა მე ვიქნები, იმ ადგილას ნუღარ გამოჩნდება, და თუ სიცოცხლე არ

მოჰბეზრებია, ფრთხილად იყოს და შუაკაცებისა და წერილების გამოგზავნა აღარ გამიბედოს, თორემ ვაი მის შავ დღეს! ამის შემდეგ რინუჩო პალერმინისთან მიხვალ და იმას კიდევ ასე ეტყვი: მადონა ფრანჩესკა ამბობს, რომ მზადაა შეასრულოს ყველაფერი, რაც კი შენ გეამება იმ შემთხვევაში, თუ ერთ დიდ სამსახურს გაუწევ, ე.ი. დღეს შუაღამისას უნდა წახვიდე სასაფლაოზე, სადაც ამ დილას სკანადიო დაასაფლავეს; რაც უნდა ნახო ან გაიგონო, ხმა არ ამოიღო, ჩუმად ამოიღე მისი გვამი და მადონას სახლში მოუტანე-თქო. სახლში გაიგებ, თუ რად უნდა ფრანჩესკას ეს და მერე შენს ნებას აასრულებს; ხოლო თუ ამის შესრულება არა გსურს, იცოდე, ამიერიდან არც მოციქული გაუგზავნო და აღარც წერილი მისწერო-თქო“.

მოახლე ორივესთან წავიდა და თითოეულ მათგანს, როგორც ნაბრძანები ჰქონდა, ისე უთხრა. ამაზე ყმაწვილებმა უპასუხეს: რაკი მადონასა ნებავს, საფლავში კი არა, ჯოჯოხეთშიც ჩავალთო. მოახლემ მათი მიცემული პასუხი ქალბატონს მოახსენა და ამანაც ლოდინი დაუწყო: აბა ვნახოთ, თუ ისე გასულელდებიან, რომ ეს საქმე აასრულონო.

დაღამდა. ერთი პირი ძილის დრო რომ დადგა, ალესანდრო კიარმონტეზი ჯუბის ამარა სახლიდან გავიდა და გაემართა სკანადიოს საფლავისაკენ. გზაში შიშის ზარმა შეიპყრო და თავის თავს ლაპარაკი დაუწყო: „რა ბრიყვი რამა ვარ! ერთი კაცმა მკითხოს, რომ მივდივარ, სად მივდივარ? ისიც ხომ შეიძლება, რომ მისი ნათესავები მიხვდნენ, რომ მე მონნა ფრანჩესკა მიყვარს და დამაბრალონ ის, რაც არა ყოფილა, და ეს ყველაფერი იმიტომ მოაწყვეს, რომ ამ აკლდამასთან მომკლან. თუ მართლა ნათესავები არიან იქ ჩასაფრებულნი, რა თქმა უნდა, ვერ გადავურჩები და ქვეყანაზე ძე-ხორციელი ვერ გაიგებს, რომ ჩემი მოკვლისათვის პასუხი აგებინოს. ან კიდევ, შეიძლება, ეს საქმე ვინმე ჩემმა მტერმა მოაწყო, რომელიც, იქნება, მადონას უყვარს და მისი სიყვარულისათვის ჩემი მოკვლით აამოს?“ მერე კიდევ უთხრა თავის თავს: „მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ამის მსგავსი არაფერია და ქალის მშობლებმა მხოლოდ მის სახლში უნდა მიმიტანონ; მე მგონი, რომ სკანადიო იმისათვის კი არ უნდა მიიტანონ, რომ გულში ჩაიხუტონ და უალერსონ ან ქალს ჩაახუტებინონ გულში; პირიქით, უნდა ვიფიქროთ, რომ ნათესავებს ალბათ უნდა დაასახიჩრონ ის კაცი, რომელმაც, შეიძლება რამე აწყენინათ. ქალისაგან კი მე ნაბრძანები მაქვს, რაც უნდა ვნახო, ხმა არ ამოვიღო. მაშინ რაღა ვქნა, თუ თვალების ამოთხრა დამიპირეს, ან კბილები ამომაძრეს, ან კიდევ ხელები დამაჭრეს, ან სხვა მისი მსგავსი რამ საქმე მიყოს? ჰო, მაშინ რაღა ვქნა? როგორ გავჩუმდე? თუ ხმა ამოვიღე, ან მიცნობენ, ვინცა ვარ და შეიძლება რამე ცუდი შემამთხვიონ, ან შეიძლება არაფერი მიყონ, მაგრამ პირჩალაგამოვლებული კი დავრჩები, იმიტომ რომ ქალთან აბა რა შვილები დამტოვებენ! და მადონა კი მერე მეტყვის — ჩემი ბრძანება არ შეასრულეო, და ჩემს ნებაზე არ დამყვება“.

ამ ლაპარაკში, ცოტას გაწყდა, სახლში არ დაბრუნდა, მაგრამ სიყვარულმა სძლია და წინ გაიგდო. ამ მოსაზრებას წინ დაუყენა სრულებით საწინააღმდეგო და მეტად ძლიერი

მოსაზრება და ამასობაში აკლდამასთან გაჩნდა კიდეც. გააღო აკლდამა, შევიდა შიგ, სკანადიოს ტანისამოსი გახადა, თვითონ ჩაიცვა, მერე აკლდამა მიიხურა შიგნიდან და სკანადიოს ალაგას დაწვა. აქ მოაგონდა, რა კაციც იყო სკანადიო, მოაგონდა ყველაფერი, რასაც როგორც მას გაუგონია, თურმე ღამ-ღამობით მკვდრები შვრებიან არა მარტო აკლდამებში, არამედ სხვა ადგილებშიაც; ყოველივე ამის წარმოდგენაზე თმა ყალყზე შეუდგა და მოეჩვენა: საცაა, სკანადიო წამოდგება და ყელში წამიჭერსო, მაგრამ მხურვალე სიყვარული ამხნევებდა ესა და სხვა ამის მსგავსი ძაბუნი აზრები დაეძლია. და ისე გაჩერდა, თითქოს მკვდარი ყოფილიყოს და დაუწყო ლოდინი, აცა, რა უნდა დამემართოსო.

რინუჩო შუაღამის მოახლოებაზე სახლიდან გავიდა, რომ აესრულებინა ის, რაც ქვრივმა უბრძანა. გზაში მრავალი და ნაირ-ნაირი აზრი მოეჯარა გონებაში იმის შესახებ, თუ რა შეიძლებოდა დამართნოდა; მაგალითად, სკანადიოს ცხედარს რომ წამოვიკიდებ, ვაითუ მთავრობამ დამინახოს და კოცონზე დაწვა მომისაჯოს, როგორც კუდიანს; ან თუ გაიგეს, რაც ამბავი იყო, ვაითუ მიცვალებულის ნათესავები გადამემტერნენო. სხვა აზრებიც დაებადა, რამაც კინაღამ არ შეაჩერა, მაგრამ მერე ისევ გამოერკვა და ახალმა აზრმა გაურბინა თავში და თავის თავს უთხრა: „ნუთუ „არა“ უნდა ვუთხრა პირველ საქმეზედვე, რის ასრულებაც მთხოვა ამ კეთილშობილმა ქალმა, რომელიც ასე მიყვარდა და დღესაც მიყვარს, განსაკუთრებთ, როცა ამ საქმის გაკეთებით მისი გულის მოგება შემიძლია? კიდევაც რომ მოვკვდე, უნდა ავასრულო, რასაც დავპირდი“.

გასწია წინ და მიადგა აკლდამას, რომელიც მსუბუქად შეაღო. ალესანდრომ რომ გაიგონა, აკლდამას აღებენო, საშინელმა შიშმა აიტანა, მაგრამ მაინც ხმა გატრუნა. რინუჩო შიგ შევიდა, ეგონა სკანადიოს ცხედარიაო, იმის მაგივრად ალესანდროს დაავლო ფეხებში ხელები და გარედ გაათრია, გაიდო მხარზე და კეთილშობილი ქალის სახლისაკენ გაემართა. ისე მიდიოდა, რომ მიცვალებულის გვამს მაინცდამაინც ყურადღებას არ აქცევდა და ხან ერთი სკამის კუთხეს მიაჯახუნებდა და ხან მეორისას, გზის ნაპირებზე რომ იყო დადგმული. ღამეც ისეთი შავბნელი იყო, რომ თვალებში თითს ვერ მიიტანდა ადამიანი.

რინუჩო, ის იყო, კეთილშობილი ქალის სახლის კარებს მიუახლოვდა, თვითონ ქალი და მისი მოახლე ფანჯარასთან იდგნენ და უყურებდნენ, აბა თუ მოიტანს რინუჩო ალესანდროსო, და თანაც ქალი მზად იყო ორივე სატრფო თავიდან მოეშორებინა.

ამ დროს მთავრობის დარაჯები ამ ქუჩაზე ერთ კუთხეში იყვნენ ჩასაფრებულნი და ერთი ბოროტმოქმედი უნდა დაეჭირათ, რომ რინუჩოს ფეხის ხმა მოესმათ. უცბად ფანარი ამოიღეს, რომ დაენახათ, თუ რა უნდა ექნათ ან საით უნდა წასულიყვნენ, თან მოიმარჯვეს ფარი და შუბები და დაუყვირეს: „ვინ არის მანდ?“ რინუჩომ დარაჯები რომ დაინახა, ბევრი მოსაზრების დრო არა ჰქონდა, ალესანდრო დააგდო და თვითონ კი გაიქცა, რაც შეეძლო ჩქარა.

ალესანდრო საჩქაროდ წამოხტა და თუმცა მიცვალებულის მეტად გრძელი სამოსი ემოსა, მაინც ისიც გაიქცა.

ქვრივმა დარაჯების მიერ ამოღებული ფარნის საშუალებით მშვენივრად გაარჩია რინუჩო, რომელიც ზურგით ალესანდროს მიათრევდა, აგრეთვე გაარჩია ალესანდროც, სკანადიოს ტანისამოსი რომ ემოსა. მეტად განაცვიფრა თითოეულ მათგანის სიმამაცემ. მაგრამ, მიუხედავად განცვიფრებისა, ძალზე გადაიხარხარა, როცა დაინახა, როგორ დააგდო რინუჩომ ალესანდრო და ღმერთს მადლობას სწირავდა: მეშველა და საცაა, ორივე თავიდან მომწყდებიანო. მერე სარკმელს მოსცილდა, შბრუნდა ოთახში და მოახლესთან ერთად იმის მტკიცება დაიწყო, რომ ცხადია, ორივეს ძალიან ვყვარებივარ, რადგან, როგორც ეტყობა, აასრულეს ის, რაც მე ვუბრძანეო.

დაძმარებული რინუჩო თავის ბედსა სწყევლიდა, ეს რა შემემთხვაო, მაგრამ მაინც, შინ დაბრუნების მაგიერ, დარაჯები რომ მოშორდნენ იქაურობას, დაუბრუნდა იმ ადგილს, სადაც ალესანდრო დააგდო და ფათურით დაუწყო ძებნა, რომ თავისი პირობა აესრულებინა. მაგრამ ალესანდრო იმ ადგილას რომ არ დახვდა, იფიქრა, ალბათ დარაჯებმა აიღესო და დაღონებული შინ წამოვიდა. ალესანდრომაც არ იცოდა, რა ექნა, ვერც ის გაიგო, ვის მოჰქონდა, და მარცხის გამო დანაღვლიანებული შინ დაბრუნდა.

მეორე დილას სკანადიოს აკლდამა ახდილი დახვდათ, თვითონ სკანადიოს გვამი კი იპოვეს, რადგან ალესანდროს სულ ღრმად ჩაეგდო. მთელს პისტოიაში ერთი მითქმა—მოთქმა შეიქნა და სულელი ხალხი იმას იძახდა, მკვდარი ალბათ ეშმაკებმა მოიტაცესო.

მიუხედავად ამისა, ორივე შეყვარებულმა ქვრივს გამოუცხადა, თუ თითოეულმა მათგანმა რა ჰქნა და ან რა დაემართა. ამით თავიანთ თავს ბოდიშსა ჰხდიდნენ და ამტკიცებდნენ, თუ რისთვის ვერ შეასრულეს ზედმიწევნით მისი ბრძანება, თან სთხოვდნენ შებრალებასა და სიყვარულს.

ქვრივმა კი თავი ისე მოაჩვენა, ვითომ არცერთი მათგანისა არ სჯეროდა და პირდაპირ გამოუცხადა: — თქვენთვის არასდროს არაფერს ვიზამ, რადგან არ შემისრულეთ, რაცა გთხოვეთო, და ამნაირად თავიდან მოიშორა ერთიცა და მეორეც.

ამბავი მეორე. იღუმენიას ღეჩაქი

ერთი იღუმენია ფაციფუცით სიბნელეში ლოგინიდან წამოდგება, რომ ერთ თავის მონაზონს, რომელიც მასთან დააბეზღეს, თავის საყვარელთან მწოლიარეს მოაგანოს; და რადგან თვითონ მასთან ამ დროს ერთი მღვდელი იწვა ოთახში, ლეჩაქის მაგივრად შეცდომით მღვდლის პერანგის ამხანაგი მოეხვია თავზე; დამნაშავე მონაზონმა ეს რომ დაინახა და იღუმენიას უჩვენა, გაუშვეს და ისიც თავისუფლად დარჩა საყვარელთან.

ფილომენა უკვე დაჩუმდა. ყველამ აქო მოხერხება ქალისა, რომელმაც მოინდომა თავიდან მოეშორებინა აბეზარი საყვარლები, რომლებიც არ უყვარდა, და რომელთა სიყვარული სიყვარულად კი არა, უჭკუობად და ბრიყვულ სიმამაცედ მიაჩნდა... მერე დედოფალი ალერსიანად მიუბრუნდა ელიზას და უთხრა: აბა, ელიზა, მოჰყევიო. ამანაც ფიცხლავ დაიწყო: — ძვირფასო ქალებო, მადონა ფრანჩესკამ, როგორც უკვე მოვისმინეთ, ოსტატურად მოისხლიტა თავიდან აბეზარი საყვარლები; მაგრამ ერთ ახალგაზრდა მონაზონს ბედიც შეეწია და თავისი მოსწრებული სიტყვა-პასუხის წყალობით თავიდან ასცდა ერთი საშინელი განსაცდელი. როგორც მოგეხსენებათ, მრავალია ისეთები, ვინც თვით ბრიყვები არიან, მაგრამ ცდილობენ სხვები გზაზე დააყენონ და ჭკუა ასწავლონ ხოლმე; როგორც ჩემი მოთხრობიდან გაიგებთ, ბედი ასეთებს ზოგჯერ სჯის და ახიცაა მათზე. აი, ასეთი ამბავი დაემართა ერთ იღუმენიას, რომლის ხელქვეით იმყოფებოდა ერთი მონაზონი, და ამის ამბავი ახლა მინდა გიამბოთ.

ამგვარად, უნდა იცოდეთ, რომ ლომბარდიაში ერთი დიდი მონასტერი არსებობდა და შიგ მყოფთა სიწმიდითა და სარწმუნოებით მეტად იყო განთქმული. აქაურ მონაზვნებს ერია ერთი კარგი გვარისა და გასაგიჟებელი სილამაზის ქალი, იზაბეტა. ერთ დღეს მის სანახავად მოვიდა ერთი მისი ნათესავი და მასვე მოჰყვა ერთი ლამაზი ყმაწვილი. ქალს ეს ყმაწვილი უზომოდ შეუყვარდა. სილამაზესთან ერთად ყმაწვილმა მონაზვნის თვალებში ამოიკითხა მისი სურვილი და იმასაც გულში შეუვიდა მისი სიყვარული. ორივე დიდხანს აღვივებდნენ გულში ამ ნეტარ გრძნობას და ასე უნაყოფოდ იწვებოდნენ. ბოლოს, რაკი ორივე ერთგვარად იყვნენ მონდომებულნი ერთმანეთის ნახვისა, ყმაწვილმა აღმოაჩინა საშუალება დიდი იდუმალებით ენახა ხოლმე თავისი საგრფო მონაზონი. და რაკი მონაზონს ეს ძალიან უხაროდა, ერთხელ კი არა, მრავალ და მრავალჯერ მოვიდა ყმაწვილი ერთურთის გასახარებლად.

ქალ-ვაჟი ამ განცხრომაში იყვნენ. ისე ერთ ღამეს ერთმა მონაზონთაგანმა დაინახა, რომ იზაბეტას ოთახიდან ყმაწვილი გამოვიდა და წავიდა. ეს რომ მონაზონმა დაინახა, არც ყმაწვილს შეუმჩნევია და არც მის საყვარელ მონაზონს. მონაზონმა ეს ამბავი სხვებსაც უთხრა და, ის იყო, იღუმენიასთან უნდა დაებეზღებინათ. იღუმენიას უზიმბალდა ერქვა. მეტად სათნო და წმიდა ქალი იყო, ასეთად მიაჩნდათ როგორც მონაზვნებს, ისე ყველას, ვინც კი იცნობდა.

მერე იფიქრეს, ვაითუ იზაბეტამ იუაროსო, ამიტომ სჯობია ისე მოვაწყოთ, რომ თვითონ იღუმენიამ დაიჭიროს მასთან ყმაწვილი კაციო. სხვას არავის უთხრეს, ისე ღამღამობით შეუდგნენ დარაჯობას, რომ მონაზვნისათვის წაესწროთ.

იზაბეტას რიდი არაფრისა ჰქონდა და არც ის იცოდა, თუ ვისმე თვალყური ეჭირა მასზე. ერთ ღამეს მიჯნური დაიბარა. ეს ამბავი მაშინვე გაიგეს მოდარაჯე მონაზვნებმა. უკვე შუაღამეს გადასულიყო. მოდარაჯენი ორ წყებად გაიყვნენ: ერთი წყება იზაბეტას სენაკის კართან დადგა , ხოლო მეორე წყებამ იღუმენიასთან მიირბინა, კარი დაუკაკუნა და როცა იღუმენია გამოეხმაურა, მონაზვნებმა მოახსენეს: „აბა, აბრძანდით, დედა იღუმენია, ჩქარა აბრძანდით, იზაბეტას ოთახში ყმაწვილი კაცი ჰყავს“.

იმ ღამეს იღუმენიათან ერთი მღვდელი იყო, რომელიც იღუმენიას ხშირად შემოჰყავდა ყუთში ჩამალული. ეს რომ გაიგონა, იღუმენიას შეეშინდა, ვაითუ საჩქაროდ და გულმოდგინებისაგან კარს მოაწვნენ მონაზვნები და კარიც გაიღოსო, ამიტომ საჩქაროდ ადგა და სიბნელეში როგორც მოხვდა, ისე ჩაიცვა. თან კიდევ ჰგონებია, ნაოჭიან ლეჩაქს ვიხურავო, რომელსაც მონაზვნები თავზე ატარებენ და სალტეროს ეძახიან. ის კი არა, თურმე მღვდლის ნიფხვისათვის დაუვლია ხელი და სალტეროს მაგივრად თავზე ის დაიხურავს. საჩქაროდ გამოვიდა გარეთ, კარები დაკეტა და დაიძახა: „აბა, სად არის ის ღვთისაგან წყეული, ისა?!“ სხვა მონაზვნებს საშინლად უნდოდათ იზაბეტასთვის ზედ წაესწროთ და ამის გამო ვერც კი შეამჩნევს, თუ რა ეხურა თავზე იღუმენიას. მათთან ერთად იღუმენია მიადგა იზაბეტას სენაკს და მონაზვნების დახმარებით კარი ჩამოგლიჯა. შიგ რომ შევიდნენ, დაინახეს ერთმანეთს გადახვეული საყვარლები. ამათ ასე მოულოდნელად წასწრებისაგან თავ-ტანი დაეკარგათ, არ იცოდნენ, რა ექნათ და ხმა გატრუნეს. ქალი ციმციმ აიტაცეს მონაზვნებმა და იღუმენიას ბრძანებით კაპიტოლიუმში წაიყვანეს გასასამართლებლად. ყმაწვილი კი ოთახში დარჩა, მერე ტანთ ჩაიცვა და დაუწყო ლოდინი, აბა რით გათავდება ყოველივე ესაო. განზრახვა ჰქონდა, ეცემა ყველასთვის, ვინც რასმე ცუდს მოუნდომებდა მის საყვარელს და მერე ისიც გაეტაცა მონასტრიდან.

კაპიტოლიუმში თავმჯდომარის ალაგი დაიჭირა იღუმენიამ და ყველა მონაზვნის თანდასწრებით, რომელნიც მხოლოდ დამნაშავეს უყურებდნენ, ისეთი უშვერი სიტყვებით მიმართა ახალგაზრდა მონაზონს, რომ ქალის პირიდან ასეთი სიტყვები თავის დღეში არ ამოსულა. შენი სამარცხვინო და ბილწი ქცევის ამბავი გარეთ რომ გაიგონ, მონასტრის სახელსა და პატიოსნებას ლაფი გადაესხმისო. ცარიელ ლანძღვას არ დააჯერა და დაემუქრა კიდეცა, შავ დღეს დაგაყენებთო.

ახალგაზრდა ქალმა, როგორც დამნაშავემ, სირცხვილისა და შიშისაგან არ იცოდა, რა ეთქვა. ხმას არ იღებდა და თავი ისე ეჭირა, რომ მაყურებელს გულს სიბრალულით უვსებდა.

როცა იღუმენიამ სულ უმატა და უმატა ლანძღვას, ქალმა შემთხვევით მაღლა აიხედა და დაინახა, რაც ეხურა იღუმენიას თავზე და ნიფხვის ტოტების შესაკვრელი ზონრები იქით-აქეთ როგორ დაჰკიდებოდა. მიხვდა, რაც იყო, სითამამე მოიკრიბა და მოახსენა: „აგრემც ღმერთი შეგეწევათ, ჯერ ლეჩაქი შეიკარით და მერე მიბრძანეთ, რაც გენებოთ“. იღუმენიამ ვერ გაიგო, რას ელაპარაკებოდა მონაზონი და შეუტია: „რა ლეჩაქის ამბავი გაქვს, შე პირისწყალგაწყვეტილო, შენა? ხუმრობასაც რომ ბედავს?! რაც ჩაიდინე, იმის შემდეგ მიწა რად არ გაგისკდება და თან არ ჩაგიტანს?“ ახალგაზრდა ქალმა მეორეჯერაც მოახსენა: „დედაო იღუმენია, ჯერ გამონასკვეთ თქვენი ლეჩაქი და მერე რაც გენებოთ, ის მიბრძანეთ“. მაშინ მონაზვნებმა იღუმენიას თავზე შეხედეს, თვით იღუმენიამ ხელი მოისვა და მიხვდნენ, თუ იზაბეტა ასე რად ლაპარაკობდა. იღუმენიამ რომ დაინახა, რომ მისი საკუთარი დანაშაული გამოჩნდა, ყველასათვის ნათელი შეიქნა და მისი დამალვაც არ შეიძლებოდა, ლაპარაკის კილო გამოიცვალა და ახლა სულ სხვანაირად დაიწყო ლაპარაკი. ბოლოს დაასკვნა, რომ ხორციელ სურვილს ადამიანი ვერსად გაექცევაო; ამიტომ, ყველამ თავისი სურვილი დაე მოიკლას ისე, როგორც შეუძლია, მხოლოდ ჩუმად, ისე, როგორც აქამდე ხდებოდაო.

იღუმენიამ უბრძანა, ქალი გაეთავისუფლებინათ. თვითონ თავის მღვდელს დაუბრუნდა, ხოლო იზაბეტა — თავის საყვარელს, რომელიც მერე არაერთხელ დაუბარებია თავისთან, მისი შურიანი მონაზვნების ჯიბრზე. ის მონაზვნები კი, ვისაც საყვარლები არ ჰყავდათ, ცდილობდნენ, ჩუმად, რაც შეიძლებოდა, უკეთესად დაეკმაყოფილებინათ თავიანთი სურვილი.

ამბავი მესამე. დაორსულებული მამაკაცი

ბრუნოს, ბუფალმაკოს და ნელოს თხოვნით მაესტრო სიმონემ დაარწმუნა კალანდრინო — ორსული ხარო; კალანდრინო ამათ წამალში აძლევს ყვერულსა და ფულს და მოულოგინებლად მორჩება ელიზამ თავისი ამბავი რომ გაათავა, ყველამ მადლი შესწირა უფალსა, რომ ახალგაზრდა მონაზონი დაიფარა თვალხენეში ამხანაგების საყვედურებისაგან და საქმე ასე კეთილად დაუბოლოვა. მერე დედოფალმა ფილოსტრატოს უბრძანა — ახლა მას მოეყოლებინა. იმანაც ბრძანების განმეორებას აღარ დაუცადა და დაიწყო: — კეკლუცნო! მარკელმა უხეშმა მოსამართლემ, რომლის შესახებ გუშინ გელაპარაკებოდით, ხელი შემიშალა თქვენთვის მეამბნა კალანდრინოს ამბავი, რომელიც მზად მქონდა საამბობლად და რადგან ყოველივე, რაც იმაზე ითქმის, უმეტესად განაგრძნობს ჩვენს მხიარულებას, თუმცა როგორც მასზე, ისე მის ამხანაგებზე ბევრი რამ ითქვა, მე მაინც გეტყვით იმას, რაც გუშინ ენაზე მადგა.

ზევით უკვე საკმაოდ ნათლად დაგანახვეთ, ვინ არიან ან კალანდრინო და ან სხვები,

ვისზედაც ამ ამბავში მექნება ლაპარაკი. ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ და მოგახსენებთ, რომ კალანდრინოს მოუკვდა ერთი მამიდა და დაუტოვა ორასი ლირა წვრილ ფულად. ამიტომ კალანდრინომ ქვეყანა შესძრა — მამული უნდა ვიყიდოო.

ფლორენციაში შუაკაცები არ დაუტოვებია, რომ არ დაევალებინა მამულის ყიდვა, თითქო, სულ უკანასკნელი, ათი ათასი ოქროს ფლორინი უნდა დახარჯოსო! მაგრამ საქმე როგორც კი იქამდე მივიდოდა, რომ ამა თუ იმ მამულის ფასზე უნდა მორიგებულიყვნენ, მაშინვე ჩაიშლებოდა. ბრუნომა და ბუფალმაკომ იცოდნენ ესა და რამდენჯერმე ურჩიეს — უკეთესს იზამ, ის ფული ჩვენთან ერთად დახარჯოო, მიწა რა ჭირად გინდა, ბურთები ხომ არ გინდა მისგან გააკეთოო?!.. მაგრამ არამც თუ თავის განზრახვაზე ხელი ვერ ააღებინეს, არამედ იმდენიც კი ვერ მოახერხეს, რომ ერთხელ მაინც დაეპატიჟებინებინათ თავი. ერთხელ იმის დარდში რომ იყვნენ, თუ როგორ გადაეწერინებინათ პირჯვარი კალანდრინოსათვის, ისე მათთან მივიდა მათი ამხანაგი, ნელო, ისიც მხატვარი, და სამივემ მოილაპარაკა, როგორ ექეიფათ კალანდრინოს ხარჯზე.

დიდხანს არ დააყოვნეს, მოილაპარაკეს ერთმანეთში, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. მეორე დილას უდარიელეს და ამასობაში კალანდრინოც თავის სახლიდან გამოვიდა. სახლს ცოტათი გაშორდა თუ არა, შემოხვდა ნელო და კალანდრინოს გამარჯობა უთხრა. ღმერთმა გაგიმარჯოს და კარგი წელიწადი გაგითენოსო, უპასუხა კალანდრინომ. ამის შემდეგ ნელო ცოტათი შეჩერდა და პირისახეში დაუწყო კალანდრინოს ყურება. ამაზე კალანდრინომ ჰკითხა: რას მიყურებო? ნელომაც ჰკითხა: „წუხელ ხომ არაფერი მოგსვლია, სახეზე ადამიანის ფერი არ გადევს?“ კალანდრინო შეკრთა და უთხრა: „ვაიმე, რა ამბავია? შენი აზრით, რა უნდა დამმართნოდა?“ ნელომ უპასუხა: „მაინცდამაინც სამაგისო არაფერია, მაგრამ მე მგონია, რომ ძაანა ხარ გამოცვლილი, ალბათ, სხვა რამეა შენს თავსა“. ესა თქვა და მოშორდა.

კალანდრინოს ეჭვი დაებადა, თუმცა თვითონ არაფერსა გრძნობდა ისეთსა და განაგრძო გზა, მაგრამ ბუფალმაკომ, რომელიც შორიახლო იდგა, რომ დაინახა, ნელო მოშორდაო, მიიწია მისკენ, მიესალმა და ჰკითხა, ხომ არაფერი გჭირსო? არ ვიცი, ღმერთმანი, ნელომაც მითხრა, სულ გამოცვლილხარო, იქნებ მართლაც რამე დამემართაო, — უპასუხა კალანდრინომ. „იქნებ კი არა, ნამდვილად რაღაცა გჭირს, სამარიდან ამოღებულსა ჰგავხარ, შე საწყალო!“ — უთხრა ბუფალმაკომ. კალანდრინოს მოეჩვენა, უკვე გამაცივაო. ამასობაში ბრუნო მიუახლოვდა და სხვა არაფერი უთქვამს, ისე პირდაპირა ჰკითხა:

„ადამიანო, სახეზე რა დაგმართნია, კაცს მკვდარი ეგონები, შე ოჯახქორო!“ კალანდრინომ სამთავესაგან ერთი და იგივე რომ მოისმინა, მართლა წარმოიდგინა, ავადა ვარო ად თავტანდაკარგულმა ჰკითხა: „კარგი და რა ვქნა, შე კაი კაცო?“ მაშინ ბრუნომ უთხრა: „გირჩევ, ახლა შინ მიტრიალდე, ლოგინში ჩაწექი და უთხარი, საბანი კარგად

დაგახურონ, ხოლო შენი შარდი გაუგზავნე მაესტრო სიმონეს, რომელიც, როგორც იცი, ჩვენთან კარგადაა. სიმონე მაშინვე გეტყვის, რაც უნდა ქნა, ჩვენ კი შენთან წავალთ და რაც რამ გასაკეთებელი იქნება, ყველაფერს გავაკეთებთ“.

როცა მათთან ნელო მივიდა, ყველანი კალანდრინოსთან ერთად მის სახლში წავიდნენ. მთლად მოწყვეტილი კალანდრინო ოთახში რომ შევიდა, ცოლს უთხრა: მოდი ერთი, კარგად დამხურე, როგორღაც ძალიან ცუდადა ვარო. როცა დააწვინეს, შარდი მოსამსახურე გოგოს ხელით მაესტრო სიმონეს გაუგზავნა, რომელსაც მაშინ აფთიაქი ჰქონდა მერკატო ვეკიოს ქუჩაზე და სანიშნეზე ნესვი ეხატა. ბრუნომ ამხანაგებს უთხრა: თქვენ აქ ამასთან დარჩებით და მე კი წავალ და გავიგებ, ექიმი რას იტყვისო. თუ საჭირო იქნა, აქეთ წამოვიყვანო. მაშინ კალანდრინომ უთხრა: „წადი, შენი ჭირიმე, მიდი და გამიგე, რა ამბავია ჩემს თავსა, ვგრძნობ, რომ რაღაც საშინელება გულ-ღვიძლს მიღრღნის“.

ბრუნო წინ წავიდა და სანამ გოგო ექიმს შარდს მიუტანდა, ის უკვე იქ იყო და ექიმს ყველაფერი უამბო. ამიტომ როცა გოგო მოვიდა და ექიმმა შარდი დაინახა, გოგოს უთხრა: ახლავე წადი და კალანდრინოს უთხარი, თბილად შეინახოს თავი, მე თვითონ ახლავე ვნახავ და ვეტყვი, რაც უნდა ქნასო. გოგოც დაბრუნდა და დანაბარები კალანდრინოს უამბო. არ გაუვლია დიდხანს, ისე მაესტრო და ბრუნოც მოვიდნენ. ექიმი გვერდით მიუჯდა კალანდრინოს და მაჯა გაუსინჯა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ცოლიც შევიდა, ექიმმა კალანდრინოს უთხრა: „კალანდრინო, როგორც მეგობარს, ისე გეუბნები, რომ სხვა არაფერი გჭირს, მხოლოდ ორსულად ხარ“ კალანდრინომ ეს რომ გაიგონა, მწარედ დაიწყო ღრიალი და ცოლს უთხრა: „ვაიმე, ტესა! სულ შენი ბრალია, შენ არ იყავი, რომ დაიჟინე, უეჭველად ზევიდან დაგაწვებიო! აკი გეუბენ, ნუ იზამ ამას, ქალო-მეთქი!“ ცოლი პატიოსანი ადამიანი იყო და რომ გაიგონა, რასაც ეუბნებოდნენ მის ქმარს, სირცხვილისაგან სულ დაიწვა, თავი ძირს დახარა და ხმის ამოუღებლად ოთახიდან გავიდა. კალანდრინო კი განაგრძობდა წუწუნს: „ვაიმე დედავ, რა მეშველება? ბავშვი როგორ უნდა ვშობო? საიდან უნდა გამოვიდეს? ვხედავ, რომ ჩემი ცოლის ვნებას თან უნდა გადავყვე! აი, ღმერთმა კი ნუ გამოულიოს მას ტანჯვა-კვნესა, როგორც მე ახლა დამტანჯა და ამაკვნესა!.. გაუწყრა ღმერთი, რომ კარგად არა ვარ, თორემ ავდგებოდი და ისე მივბეგვავდი, რომ დაუმტვრეველს არაფერს შევარჩენდი. მაგრამ ახია ჩემზე, რაც მჭირს, სულ ჩემი თავისა მჭირს! არა, ზევიდან რომ დავიწვინე, არ უნდა მცოდნოდა, რომ ასე დამემართებოდა! თუ როგორმე ამას ახლა გადავურჩი, პუპუქივით რომ გასკდეს, მაინც არ მივცემ იმის ნებას, რომ ზევიდან მომექცეს...“

ბრუნო, ბუფალმანკო და ნელო, კალანდრინოს ნათქვამი რომ ესმოდათ, თავს ძლივს იჭერდნენ, რომ არ გადაეხარხარათ, მაგრამ თავს ძალას ატანდნენ და ჩუმად იყვნენ; მაესტრო

მაიმუნი[10] კი ისე თავშეუკავებლად ხარხარებდა, რომ შეიძლებოდა კაცს ყველა კბილი სათითაოდ ამოეძრო და იმას კი ვერაფერი გაეგო. ბოლოს, კარგა ხანს შემდეგ, კალანდრინომ დაუწყო ხვეწნა ექიმს — თქვენი ჭირიმეთ, მირჩიეთ რამე, დამეხმარეთო. ექიმმაც ასე უთხრა: „ნუ გეშინია, ჩემო კალანდრინო, კიდევ მადლობა ღმერთს, რომ დროზე მოგისწარით; ცოტა გამიჭირდება, მაგრამ რამდენიმე დღეში მოგარჩენ, მხოლოდ ისე ვერ გადარჩები, რომ ცოტამატა ხარჯი არ გასწიო“.

„შენი ჭირიმე, ჩემო მაესტრო! — წამოიძახა კალანდრინომ, — ღვთის გულისათვის, მიშველეთ! ორასი ლირა მაქვს, ამით მამული უნდა მეყიდა; თუ საჭირო იქნება, ორასივე თქვენი ჭირის სანაცვლოდ იყოს, გამომართვით, ოღონდ შვილი არ მეყოლოს, თორემ არ ვიცი, რა ქვას ვახალო თავი!.. მშობიარე ქალების კივილი რომ გამიგონია, მე რომ მათი დღე დამადგეს, რაღა თქმა უნდა, მშობიარობას ცოცხალი ვერ გადავურჩები“. ექიმმა ანუგეშა: „შენ ფიქრი ნუ გაქვს! ერთ სასმელ წამალს დაგიმზადებ, დაწმენდილია, ძალიან კარგია და მეტად გემრიელი სასმელიცაა, სამ დღეში დილაობით რომ დალიო, სრულებით გაგათავისუფლებს და ისეთი გახდები, როგორც თევზი წყალში; მხოლოდ, გეთაყვა, შემდეგში ჭკუით იყავ და ასეთი სისულელე მეტად აღარ ჩაიდინო. ამ სასმელი წამლისათვის საჭიროა სამი წყვილი კარგი მსუქანი ყვერული, ხოლო სხვა წამლებს, რომლებიც იმაში უნდა გავურიო, ხუთი ლირის წვრილი ფული დასჭირდება, ერთ-ერთ მეგობარს მიეცი და იყიდის ყველაფერს, ყოველივე ეს აფთიაქში გამომიგზავნე და მეც, სადიდებლად ღვთისა, ხვალ დილას გამოგიგზავნი სასმელ წამალს და ჯერზე თითო დიდი ჭიქა დალიე“.

კალანდრინომ ეს რომ გაიგონა, უთხრა: მაესტრო, იყავნ ნება შენიო! მერე ბრუნოს მისცა ხუთი ლირა ცალკე და სამი წყვილი ყვერულის სასყიდელი ფული ცალკე და სთხოვა, შენი ჭირიმე, ნუ დაიზარებ და შენც მიშველე ამ საქმეშიო.

ექიმი წავიდა, მოუმზადა რაღაც ნაყენი და გამოუგზავნა კალანდრინოს. ბრუნომ კი იყიდა ყვერულები და სხვა, რაც რამ საჭირო იყო საქეიფოდ, და ექიმთან და თავის ამხანაგებთან ერთად შეექცა. კალანდრინომ სამ დილას სვა ნაყენი. მერე ექიმი მოვიდა მასთან და თან მოჰყვნენ ამხანაგებიც, გაუსინჯა მაჯა და უთხრა: კალანდრინო, ახლა სრულიად მორჩენილი ხარ; ამ დღიდან შეგიძლია შენს საქმეს მოჰკიდო ხელი, შინ დარჩენა არა გჭირიაო.

კალანდრინოც გახარებული ადგა და თავის საქმეზე წავიდა. ვინც კი შეხვდებოდა, ყველას უქებდა მაესტრო სიმონეს წამლობას; თქვენ წარმოიდგინეთ, სამ დღეში სრულიად

[10] იტალიურად აქ სიტყვათა თამაშია: Simione (კაცის სახელი - სიმიონე) და Scimmione (შიმიონე - მაიმუნი).

უმტკივნეულოდ გამათავისუფლა მშობიარობისაგანო.

ბრუნო, ბუფალმაკო და ნელო კი ძალიან კმაყოფილნი იყვნენ, რომ ასე ოსტატურად მასხრად აიღეს კალანდრინოს სიძუნწე, თუმცა დონა ტესამ, როცა მიხვდა, თუ რა ამბავიც მოხდა, მეტად კარგებისა აკადრა თავის ქმარს.

ამბავი მეოთხე. ჩეკო ფორტარიგო

ჩეკო, მესერ ფორტარიგოს შვილი, ბუონკონვენტოში, რაც რამ ჰქონდა, ყველაფერს წააგებს; წააგებს აგრეთვე მესერ ანჯულიერის შვილის ფულებსაც; პერანგის ამარა უკან

გამოედევნება და მისძახის — გამძარცვაო, გლეხებს უბრძანებს — დაიჭირეთ, არ გაუშვათო; მერე ჩაიცვამს მის ტანისამოსს, მისსავე ცხენს მოაჯდება, თვითონ გაიქცევა და ანჯულიერის შვილს კი პერანგის ამარა დატოვებს.

ყველანი სიცილით დაიფხრიწნენ, როცა გაიგონეს, რა თქვა კალანდრინომ თავის ცოლზე. ფილოსტრატო რომ დაჩუმდა, ნეიფილემ, დედოფლის სურვილის თანახმად, ასე დაიწყო:

— ყოვლად ღირსო ქალებო! ადამიანისათვის უფრო ძნელია სხვას უჩვენოს თავისი გონიერება და კაიკაცობა, ვიდრე სიბრიყვე და ნაკლი. აი ამიტომაა ხოლმე, რომ ბევრი კაცი ამაოდ ცდილობს თავის სიტყვებს აღვირი ამოსდოს. ეს თქვენ ნათლად დაგანახვათ კალანდრინომ, რომელმაც თავისი სიბრიყვით წარმოიდგინა, ავადა ვარო და მოსარჩენად ყველასთან გააცხადა თავისი მეუღლის იდუმალი სიამოვნების ამბავი, რაიცა სრულებითაც არ იყო მისთვის საჭირო. ამ ამბავმა მომაგონა მეორე, სრულებით ამის საწინააღმდეგო ამბავი იმაზე, თუ ერთი კაცის ცნობიერებამ როგორ აჯობა მეორის გონიერებას, ამ უკანასკნელის საზიანოდ და შესარცხვენად. სწორედ ამაზე მინდა ახლა მოგახსენოთ.

მას აქეთ დიდი ხანი არ არის, რაც სიენაში ცხოვრობდა ორი უკვე შეღერებული ყმაწვილი კაცი. ორივეს ჩეკო ერქვა. ერთი იყო მესერ ანჯულიერის შვილი, მეორე — მესერ ფორტარიგოსი. თუმცა ესენი ბევრში სხვადასხვა ზნე-ჩვეულებისანი იყვნენ, მაგრამ ერთ რამაში, ესე იგი, თავიანთი მამების სიძულვილში, ერთიმეორესა ჰგავდნენ. რადგან ანჯულიერის, ლამაზსა და კეთილად აღზრდილს, ეჩვენებოდა — სიენაში ცხოვრება იმ ჯამაგირით, რასაც მამაჩემი მაძლევს, გამიჭირდებაო, და თან იმავე დროს გაიგო, რომ ანკონის მარკაში მოსულა პაპის ლეგატად დანიშნული ერთი მისი მწყალობელი კარდინალი, გადაწყვიტა მასთან მისულიყო და მისი დახმარებით თავისი მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. თავისი განზრახვა მამას შეატყობინა და სთხოვა, ექვსი თვის მოსაცემი სახარჯო ფული

ერთბაშად მომეცი, რომ ტანთ ჩავიცვა, ვიყიდო ცხენი და წასასვლელად გამოვეწყოო. როცა თან წასაყვან მხლებლებს დაუწყო ძებნა, ეს ფორტარიგომ გაიგო, მაშინვე მივიდა ანჯულიერისთან და დაუწყო ხვეწნა: შენი ჭირიმე, თან წამიყვანე და მე შენი მხლებელიც ვიქნები, შინაყმაც და, რაც გინდა, ყველაფერი, ოღონდ მაჭამე, ჩამაცვი და დამხურე და მეტი არაფერი მინდა გასამრჯელოო. ანჯულიერიმ წაყვანაზე უარი უთხრა: იმიტომ კი არ გწუნობ, სამსახური არ იცოდე, არა, გწუნობ იმიტომ, რომ თამაშობა გიყვარს და ზოგჯერ დათრობაცო. ფორტარიგომ უპასუხა: ერთსაც და მეორესაც თავს დავანებებო. თან დაიფიცა, შევასრულებ ჩემს ნათქვამსაო და მერე იმდენი ეხვეწა და ჭირი მოსჭამა, რომ ანჯულიერი დაიყოლია და ისიც დაპირდა, წაგიყვანო.

ერთ დილას ორივე გზას დადგნენ და სადილობისას ბუონკონვენტოში ჩავიდნენ. აქ ანჯულიერიმ ისადილა და რადგან ძალიან ცხელოდა, სასტუმროში ლოგინი გააშლევინა. ფორტარიგომ ტანის გახდას უშველა და დაწვა დასაძინებლად, ხოლო მას უთხრა: ცხრა საათი გახდება თუ არა, გამაღვიძეო. სანამ ანჯულიერის ეძინა, ფორტარიგო სამიკიტნოში შევიდა, აქ ცოტათი დალია და ვიღაცეებთანაც თამაში დაიწყო. მოთამაშეებმა მოუგეს, რაც რამ ფული ებადა; გარდა ამისა, მოუგეს, რაც ზედ ტანისამოსი ეცვა. ფორტარიგომ გადაწყვიტა როგორმე უკან ამოეგო თავისი წაგებული და პერანგის ამარა წამოვიდა იქითკენ, საცა ანჯულიერის ეძინა, და რომ დაინახა, გულისძილით სძინავსო, ქისიდან რაც რამ ფული ჰქონდა, ამოაცალა, დაბრუნდა სათამაშოდ და ისიც ისევე წაგო, როგორც სხვები.

ანჯულიერიმ რომ გაიღვიძა, ადგა, ტანთ ჩაიცვა და დაუძახა ფორტარიგოს, მაგრამ ვერ ნახა, იფიქრა, ალბათ დათვრა, სადმე მიეგდო და სძინავს, როგორც არაერთხელ უქნიაო. გადაწყვიტა აქვე თავი დაენებებინა მისთვის, შეკაზმა ცხენი და უკანიდან ხურჯინი მოიკიდა იმ იმედით, რომ სხვა მოსამსახურე ეშოვნა კორსინიანოში. როცა სასტუმროს პატრონთან ანგარიშის გასწორება მოინდომა, ცარიელი ქისა კი შერჩა ხელში. ამაზე დიდი ჩოჩქოლი შეექმნათ. მთელი სასტუმრო ფეხზე დადგა. ანჯულიერი იძახდა: თქვენს სასტუმროში გამძარცვეს და ყველანი უნდა დავაჭერინო და სიენაში წავაყვანინოო. ამ დროს პერანგის ამარა ფორტარიგო გამოჩნდა, რომელსაც ახლა ტანისამოსის წაღებაც უნდოდა ისევე, როგორც ამას წინათ ფული წაიღო. და წასასვლელად გამოწყობილი ანჯულიერი რომ დაინახა, ჰკითხა: „ანჯულიერი, ნეტავ, რა ამბავია? განა უნდა წავიდეთ? მოდი, ცოტა მოვიცადოთ; აქ ერთი კაცი უნდა მოვიდეს, რომელსაც ჩემი ჯუბა დავუგირავე ოცდათვრამეტ სოლდოდ, მაგრამ ოცდათხუთმეტ სოლდოსაც დაგვჯერდება, თუ ხელად მივცემთ“. სანამ ის ამ ლაპარაკში იყო, გამოჩნდა ერთი კაცი, რომელმაც დაარწმუნა ანჯულიერი, რომ სწორედ ფორტარიგოს მოეპარა მისთვის ფული, რადგან უთხრა, თუ რამდენი წაეგო მასთან ფორტარიგოს. ამაზე საშინლად გაცხარდა ანჯულიერი, ძალზე გამოლანძღა ფორტარიგო, და ვიღაცის ღმერთზე მეტად რომ არ შინებოდა, ცუდ დღეს დააყენებდა; მერე დაემუქრა —

შენს თავს ან ჩამოვახრჩობინებ ან სიენიდან გავაძევებინებო, და ამასობაში ცხენს მოაჯდა. ფორტარიგომ კი, თითქო ანჯულიერი მას კი არა, სულ სხვა ვისმე ელაპარაკებოდაო, უთხრა: „კარგი ერთი, შენს ლხენას! განა ღირს კი ასეთ უბრალო რამეზე ლაპარაკი! აბა შენ თვითონ დაფიქრდი: ჯუბას დავიბრუნებთ ოცდათხუთმეტ სოლდოდ, თუ ახლავე გამოვიხსნით. და თუ ხვალამდე დავაგვიანეთ, ოცდათვრამეტ სოლდოს ფეხს არ მოუცვლის, ე.ი. იმდენს, რამდენიც მასესხა. და ასეთ ხათრსაც იმიტომ მიწევს, რომ თამაშობის დროს მე იმის რჩევით ჩავედი. სამ სოლდოს რად არ უნდა ჩამოვრჩეთ, რომ არ ვიცი?!“

ანჯულიერის ასეთი ლაპარაკი რომ ესმოდა, გულზე სკდებოდა, განსაკუთრებით, როცა ხედავდა, რომ მის გარშემო მყოფნი მას უყურებდნენ და თითქო დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ფორტარიგოს კი არ წაუგია, არამედ თვით ანჯულიერის გამოურთმევია მისთვის ფულიო. და ფორტარიგოს ასე ეუბნებოდა: „ჯანდაბას შენი ჯუბის თავი! შენი თავი ჩამოხრჩობილი მაჩვენოს ღმერთმა! არამცთუ ფული მომპარე და თამაშობაში წაავე, არამედ გზაზე გადამეღობე და დამცინი კიდეცა, შე შეჩვენებულო, შენა!“ მაგრამ ფორტარიგო თავისას არ იშლიდა, თითქო მას არც კი ელაპარაკებიანო, და უთხრა:

„ადამიანო, რატომ არ გინდა მომაგებინო ეს სამი სოლდო? როგორა ვგონია, კვლავ არ დაგჭირდები, რომ გასესხო? მოდი, ხათრს ნუ გამიტეხ, ესეც არ იყოს, რომ ჩქარობ, რასა ჩქარობ, შე კაი კაცო?! საღამომდე ტორენიერამდე თავისუფლად ჩავალთ. მოდი, ქისა შეიბერტყე, თორემ, ხომ იცი, მთელი სიენა რომ შემოიარო, ისეთ ჯუბას ვერა ნახავ, ამ ჯუბასებრ მადგეს ტანზე, ვაი არა აქვს ჩემს თავს! მე კი ამ კაცთან ოცდათვრამეტ სოლდოდ მაქვს დაგირავებული, და ის კი, თუ არ მეტად, ორმოც სოლდოდა ღირს! ასე რომ, ორნაირად მაზარალე, შე კაი კაცო!“

უზომოდ გაბრაზებული ანჯულიერი ხედავდა, რომ ფორტარიგომ ჯერ ხომ გაქურდა და ახლა წასვლასაც თავისი მიქარვებით ხელს უშლიდა, არაფერი უპასუხა, ცხენი მოაბრუნა და ტორენიერის გზას დაადგა. ფორტარიგო განიმსჭვალა ეშმაკური სიბოროტით და როგორც იყო, ისე პერანგის ამარა უკან დაედევნა სირბილით. უკვე ორი მილი გაირბინა ასე და ერთთავად ჯუბას ეხვეწებოდა. ანჯულიერიმ უფრო გაქუსლა ცხენი, რომ აღარ გაეგონა მისი ყურთასმენის წამღები ნუწუნი. ამ დროს ფორტარიგომ ყანაში, გზის მახლობლად, ანჯულიერის წინ გლეხები დაინახა და ხმამაღლა დაუწყო ყვირილი: „არიქა, არ გაუშვათ, დაიჭირეთ!“ გლეხებიც, ზოგი ბარით, ზოგი თოხით გზაზე გადაეღობნენ ანჯულიერის, იფიქრეს, ალბათ უკან რომ პერანგის ამარა კაცი მოსდევს, ამ ცხენოსანმა კაცმა გაძარცვაო და გააჩერეს და დაიჭირეს. ანჯულიერიმ უამბო, ვინც იყო ან საქმე როგორც იყო, მაგრამ გლეხებს მაინც ვერაფერი შეასმინა. ამასობაში ფორტარიგომაც მოირბინა და გაცეცხლებული სახით შესძახა: „შენი მოკვლა ცოტაა, შე ავაზაკო, შენა, რომ გამძარცვე და გამოიქეცი, ღმერთს რა პასუხს აძლევდი, შე შეჩვენებულო?“ მერე გლეხებს მოუბრუნდა და განაგრძო: „ხომ ხედავთ,

ბატონებო, რა მდგომარეობაში დამტოვა სასტუმროში, თვითონ ხომ ყველაფერი წაავო, რაც ებადა. ახლა, ღვთისა და თქვენი შეწევნით, ამას მაინც დავიბრუნებ, სანამ პირში სული მიდგას, თქვენი მადლობელი ვიქნები". ანჯულიერიმაც ილაპარაკა, მაგრამ მის ნათქვამს ყურს არავინ უგდებდა. ფორტარიგომ გლეხების დახმარებით ცხენიდან ჩამოსვა, ტანთ გახადა, მისი ტანისამოსი თვითონ ჩაიცვა, მერე შეჯდა ცხენზე, ანჯულიერი პერანგის ამარა და ფეხშიშველი დატოვა, დაბრუნდა სიენაში და ყველას უამბობდა — ეს ცხენი და ტანისამოსი ანჯულიერის მოვუგეო.

ანჯულიერი, მარკაში კარდინალის წინაშე მდიდარ კაცად წარდგომას რომ ფიქრობდა, ღარიბი და პერანგის ამარა დაბრუნდა ბუონკონვენტოში და სირცხვილით ვერა ბედავდა მაშინვე დაბრუნებულიყო სიენაში. აქ ტანისამოსი ათხოვეს, როგორც იყო, ფორტარიგოს ცხენს მოაჯდა და კორსინიონში წავიდა თავის მშობლებთან და იქ დარჩა, სანამ მამამისმა ხელახლა არ გამოაწყო.

ამგვარად, ფორტარიგოს ეშმაკობამ ხელი შეუშალა ანჯულიერის თავისი საქმე თავის ნებაზე წაეყვანა, თუმცა თავის დროზე და თავის ადგილას ამ ეშმაკობისათვის ფორტარიგოს სამაგიერო მიუზღო.

ამბავი მეხუთე. კალანდრინოს ბედნიერება

კალანდრინოს ერთი ახალგაზრდა ქალი შეუყვარდა; ბრუნო მოსაჯადოებელ წამალს მისცემს; წამალი წაუსვა თუ არა, ქალი მაშინვე გამოჰყვა; ცოლმა მოატანა და საქვეყნოდ გალანძღა და გაათრია.

დასრულდა მოკლე ამბავი ნეიფილესი. წრის წევრებს მაინდამაინც ბევრი არ უცინიათ, არც ბევრი უთქვამთ რამე მის გამო; დედოფალმა ფიამეტას მიმართა და უბრძანა — აბა, შენ მოჰყევიო. იმანაც კისკისით უპასუხა — დიდი სიამოვნებითო, და ასე დაიწყო: — სანატრელო ქალებო! მე მგონია, რომ ამა თუ იმ საგნის შესახებ რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს კაცმა, ეს ამბავი სულ მუდამ მოსაწონი და იმაზე მეტიც იქნება, თუკი ამ ამბის მთქმელი სათქმელად შესაფერ დროსა და ალაგის არჩევას მოახერხებს. ამიტომ, თუ წარმოვიდგენთ იმას, რისთვისა ვართ აქ შეკრებილნი (სამხიარულოდ და კარგად დროს გასატარებლად და არა სხვა რისთვისმე), მე მგონია, ყოველსავე, რაც მხიარულებას და სიამოვნებას მოგვმადლებს, აქა აქვს დროცა და ადგილიცა; და ამ საგანზე თუმცა ათასჯერ მეტად ულაპარაკიათ, მაინც გვართობს, ათასჯერ კიდევ რომ ილაპარაკონ მასზევე. და ამიტომაცაა, რომ თუმცა კალანდრინოს საგმირო საქმეებზე ჩენს შორის ბევრი თქმულა, მე მაინც მოვიგონებ ფილოსტრატოს ნათქვამს და ვიტყვი, რომ ყველა მაგის შესახებ თქმული

ამბავი მეტად სასაცილოა და მე კიდევ გავკადნიერდები და ყოველივე ნათქვამს უნდა მივუმატო ერთი პატარა ამბავიცა, რომელიც, რომ მომენდომებინა და მაშინაც და ახლაც სინამდვილეს დავშორებოდი, მოვახერხებდი და შევიძლებდი შემეთხზა და შიგ მოგონილი სახელების გმირები გამომეყვანა მოქმედ პირებად; მაგრამ რადგან მოთხრობაში სინამდვილეს რომ დავშორდე, მსმენელთა სიამოვნება მეტისმეტად შესუსტდება, მე ზემოთ დასახელებულ მოსაზრებას დავემყარები და მოგითხრობთ ისე, როგორც ნამდვილად იყო, უფერუმარილოდ.

ნიკოლო კორნაკინი — ჩვენი თანამოქალაქე და მდიდარი კაცი იყო. ბევრი მამული ჰქონდა და ერთი მისი მშვენიერი მამული კამერატაში მდებარეობდა. აქ ერთი საჩინო და დიდად მშვენიერი სახლი გააშენებინა და ბრუნოსა და ბუფალმაკოს მოურიგდა — მთელი სახლი მოეხატათ. რადგან სამუშაო ბავრი იყო, ამათ დასახმარებლად ნელო და კალანდრინოც მოიწვიეს და შეუდგნენ მუშაობას. თუმცა აქ რამდენიმე ოთახი იყო საწოლებით და სხვა საჭირო ავეჯით მორთული და შიგა ცხოვრობდა ერთი ბებერი დედაკაცი სახლის ყურისმგდებლად, რადგან ოჯახის წევრთაგანი სხვა არავინ იყო შიგ, — ხსენებული ნიკოლოს შვილს, რომელსაც ფილიპო ერქვა, ახალგაზრდას და უცოლოს, ზოგჯერ ქალი ვინმე მოჰყავდა დროს გასატარებლად, ერთ-ორ დღეს გააჩერებდა და მერე ისევ უკან გამოისტუმრებდა. ერთხელ ფილიპომ მოიყვანა ერთი ქალი, რომელსაც სახელად ნიკოლოზა ერქვა და რომელიც ერთ საზიზღარ ვისმე, მანჯონეს, თავის სახლში ეყენა კამალდოლიში და სხვებს მიაქირავებდა ხოლმე. ქალი ლამაზი იყო, კარგად ეცვა და თავისი მდგომარეობის შესაფერად კარგი ზრდილობა და სიტყვა-პასუხი ჰქონდა.

ერთხელ, შუაღამისას, ნიკოლოზა ოთახიდან გამოვიდა, თეთრი კაბა ეცვა, თმა ლამაზად გაეკეთებინა ჩხირებით და ხელ-პირის ბანა დაიწყო ჭასთან, სახლის ეზოში. ამ დროს კალანდრინოს მოუხდა გამოსვლა წყლისათვის და ქალს მეგობრულად მიესალმა. ქალმაც სამაგიერო სალამი მისცა და ყურება დაუწყო, — უცნაურ ვინმედ ეჩვენა და არა იმიტომ, რომ რამე ხდებოდა მის გულში. კალანდრინომაც დაუწყო ყურება, თვალში მოუვიდა, ემძიმებოდა მოშორება და სრულებით დაავიწყდა, რომ ამხანაგებისათვის წყალი უნდა წაეღო. მაგრამ ქალს არ იცნობდა, ვერა ბედავდა, რამე ეთქვა. რაკი შეამჩნია ქალმა, მიყურებსო, მოდი, ერთი გავეხუმრებიო, და ჟამდაჟამ იმანაც დაუწყო ყურება კალანდრინოს და თანაც ამოიოხრებდა ხოლმე; ამან სიყვარულის ალი მოუკიდა კალანდრინოს და ეზოს მაშინღა მოშორდა, როცა ფილიპომ ქალს დაუძახა.

სამუშაოზე დაბრუნებული კალანდრინო ოხვრა-ხვნეშის მეტს არას აკეთებდა. ბრუნომ ეს შეამჩნია, იმიტომ რომ ყველა მის მიხვრა-მოხვრაზე თვალ-ყური ეჭირა, რადგან რაც უნდა ექნა კალანდრინოს, ყოველივე უზომოდ ართობდა. კალანდრინოს უთხრა: „რა ცოდვის გეკითხა, ჩემო კალანდრინო? რა გახვნეშებს?“ ამაზე კალანდრინომ უპასუხა: „მეგობარო, ვინმე

დამხმარე რომ მყავდეს, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა!“ — როგორაო? — ჰკითხა ბრუნომ. კალანდრინომ განაგრძო: „გეტყვი, მხოლოდ არავის კი უთხრა: ქვევით ერთი ახალგაზრდა გოგოა, ფერიაზე ულამაზესი. ისე ძლიერადაც შევუყვარდი, რომ გაგიკვირდება! აი, ახლა წყალზე რომ ჩავედი, მაშინღა შევამჩნიე.“ — მართლა?! — გაიკვირვა ბრუნომ, — ის ქალი ხომ არ არის, ფილიპოსთან რომ ცხოვრობს?“ – „მეც ასე მგონია, — უპასუხა კალანდრინომ, — იმიტომ რომ ფილიპომ რომ დაუძახა, მის ოთახში შევიდა. მაგრამ ეს რას დამიშლის! ასეთ საქმეში თვით ქრისტესაც კი გავეჯიბრებოდი, არამცთუ ფილიპოს!.. გამოტეხილი უნდა გითხრა, ჩემო მეგობარო, ისე შემიყვარდა ეს ქალი, რომ ენით ვეღარც კი გამომითქვამს“. მაშინ ბრუნომ უთხრა: „მეგობარო, მე გავიგებ, ვინცაა ეს ქალი, და თუ ფილიპოს საყვარელი გამოდგა, ნახავ, თუ მთელი საქმე ორი სიტყვით არ მოგიგვარე, იმიტომ რომ ამ ქალთან ძალიანა ვარ დაშინაურებული. მაგრამ ის როგორღა მოვახერხოთ, რომ ბუფალმაკომ ვერ გაგვიგოს? იმ ქალისათვის სიტყვა ისე ვერ მითქვამს, რომ ბუფალმაკოც ჭოტივით იქ არ ამეტუზოს!“ ამაზე კალანდრინომ ასე უთხრა: „ბუფალმაკოს დარდი არა მაქვს, თუ ვისიმე მეშინია, ისევ ნელოსი მეშინია, იმიტომ რომ ჩემი ცოლის — ტესას ნათესავია და შეუძლია მთელი საქმე გაგვიფუჭოს“. – „მართალს ამბობ“. — უთხრა ბრუნომ.

ბრუნომ იცოდა, ვინც იყო ეს ქალი, იმიტომ რომ დაინახა, როცა მივიდა ფილიპოსთან და, ესეც არ იყოს, ფილიპომაც უამბო ყველაფერი მის შესახებ. ამიტომ კალანდრინომ ცოტა ხნით სამუშაოს თავი რომ დაანება და ქალის სანახავად წავიდა, ბრუნომ ყველაფერი ნელოსა და ბუფალმაკოს უამბო და სამივემ ჩუმად მოილაპარაკეს, თუ რა უნდა ექნათ კალანდრინოსათვის მისი ამ შეყვარების გამო. კალანდრინო დაბრუნდა თუ არა, ბრუნომა ჰკითხა, ხომ ნახეო? „ვნახე და მეტი არა? — უპასუხა კალანდრინომ. — გამათავა, მეტი არ ვარ კაცი!“ – „მოდი, ერთი წავიდე და ვნახო, — უთხრა ბრუნომ, — თუ, მე რომ მგონია, ის არის. თუ ის არის, დანარჩენი საქმე ჩემს კისერზე იყოს“.

ბრუნო ძირს ჩავიდა. იქ ფილიპო და ქალი ერთად დახვდნენ. დაწვრილებით უამბო ორსავე, თუ ვინ იყო კალანდრინო. მერე მოუყვა, რაც უნდა ექნა და თან რა ეთქვა, — სამაგიეროდ, უზომოდ გაცინებთ კალანდრინოს სიყვარულის ამბავზეო. რომ დაბრუნდა, კალანდრინოს უთხრა: „სწორედ ის ქალია; ამიტომ ეს საქმე ფრთხილად უნდა მოვაწყოთ, თორემ თუ ფილიპომ გაგვიგო, მთელი მდინარე არნოს წყალი ვერ გაგვრეცხავს სირცხვილისაგან. იმ ქალს რომ შევხვდები, მითხარი, რა ვუთხრა შენს მაგივრად“. ამაზე კალანდრინომ უპასუხა: „ეტყვი, რომ ყოველ უწინარეს მე მისთვის მსურს ათასი საწყაო იმ სიკეთისა, რომლისაგანაც ადამიანები იბადებიან, და მერე უთხარი, რომ იმისი ყურმოჭრილი მონა-მოსამსახურე ვიქნები და ხომ არფერი გჭირია-თქო? ხომ გესმის, რასაც გეუბნები?“ — მესმის, ახლა მე ვიცი და იმ ქალმაო! — უთხრა ბრუნომ.

ვახშმობის ჟამი რომ დადგა, ამათ მუშაობაზე ხელი აიღეს და ძირს ჩამოვიდნენ, სადაც

ფილიპო და ნიკოლოზა იყვნენ. აქ კალანდრინოს გულისათვის ერთხანს შეიცადეს.

კალანდრინომ ნიკოლოზას დაუწყო ცქერა და ისეთნაირად იმანჭებოდა და იგრიხებოდა, რომ ბრმაც კი მიხვდებოდა, რაც უნდოდა. ქალსაც თავის მხრივ ისე ეჭირა თავი, რომ, მისი აზრით, უარესად უნდა მოეკიდებინა ცეცხლი კალანდრინოსათვის. და რაკი ბრუნოსაგან წინდაწინ გაფრთხილებული იყო, საშინლად ართობდა კალანდრინოს სულელური საქციელი. ხოლო ფილიპო და ბუფალმაკო და სხვები ვითომ არც კი ამჩნევდნენ ამათ და ერთმანეთში ბაასობდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ აქედან წავიდნენ, თუმცა კალანდრინოს ძალიან სწყინდა აქაურობისთვის თავის დანებება. როცა ფლორენციისაკენ გაემართნენ, ბრუნომ კალანდრინოს მიმართა: „უნდა გითხრა, ჩემო ძმაო, რომ ის საცოდავი ქალი ისე დნება შენი სიყვარულით, როგორც ყინული მზისგან. ღმერთს გეფიცები, შენ რომ შენს გიტარას მოიტანდე და რამდენსამე შენს სიმღერას დაამღერებდე, უეჭველია, ქალს ისეთ ეშხზე მოიყვან, რომ ფანჯრიდან გადმოხტება და უთუოდ შენსკენ გამოიჭრება," – „მართლა? — ჰკითხა კალანდრინომ. — მართლა მოვიტანო?" – „მოიტანე, მაშ!" — უთხრა ბრუნომ. ამაზე კალანდრინომ უთხრა: „შენ როდი მიჯერებდი, მე რომ გეუბნებოდი, ჩემებრ სხვა ვერავინ გააკეთებს, რაც მინდა გავაკეთო-მეთქი! აბა, სხვა უჩემო ვინ შეძლებდა თავი შეეყვარებინა ისეთი ლამაზი ქალისათვის, როგორიც ნიკოლოზაა, ამას თავის დღეში ვერ მოახერხებდნენ ის ბაქია ყმაწვილები, რომლებიც წაღმა-უკუღმა დაეთრევიან და ათას წელიწადს ვერ დათვლიან სამ პეშვ კაკალს. სხვა არა მინდა რა, ერთი ყურს დაუგდებდე, როგორ დავუკრავ გიტარაზე; აბა სეირი იქნებოდა, აი, ხო, ჩემმა მზემ! გაიგე, შე კაი კაცო, რომ მე არც ისე ბებერი ვარ, როგორც შენა გგონია, ქალმაც ეს მშვენივრად შეამჩნია, მაგრამ მე უკეთესად დავუმტკიცებ, როცა ჩემს ბრჭყალებს ჩავასობ, ჰო, თავი არ მომიკვდება! ქრისტესა ვფიცავ, ისე გავეთამაშო, რომ სულ კუდში დამდევდეს და მოსვენებას არ მაძლევდეს". – „მართალს ამბობ, მართალს, — უთხრა ბრუნომ, — შენი ამბები რომ ვიცი, თუ ერთი ხელში იგდე, სულ ერთიანად ჩაკვნეტ შენი ალესილი კბილებითა მის ალისფერ ბაგე-ტუჩებს, მის ვარდის ლოყებსა და მერე მთლიანად გადაყლაპავ!" კალანდრინოს ეს სიტყვები რომ ესმოდა, ეგონა, ცხადლივ განვიცდი ამ ნეტარებასო და სიმღერითა და ხტუნვით დადიოდა სიხარულისაგან ფრთებგამოსხმული.

მეორე დღეს მოიტანა გიტარა და რამდენიმე სიმღერა დაამღერა, რამაც მეტად გაახარა მაყურებელნი. მოკლე ხანში ისე გაიტაცა ქალის ხშირად ნახვამ, რომ მუშაობაზე სრულებით აიღო ხელი და დღისით ხან ფანჯარასთან მიირბენდა, ხან კარებთან და ხანაც ეზოში ამ ქალის სანახავად. ქალი კი ისე იქცეოდა, როგორც ბრუნომ დაარიგა და ძალიან ოსტატურად ახერხებდა, რომ კალანდრინოს მისთვის ხშირად მოეკრა თვალი. ბრუნოს კალანდრინოს მიერ გაგზავნილი წერილების პასუხი მოჰქონდა ხოლმე, ზოგჯერაც ნიკოლოზას მიწერილ

წერილებს უზიდავდა; როცა ქალი იქ არ იყო, რაიცა ხშირად ხდებოდა, ბრუნოს ვითომდა იმისგან მოჰქონდა წერილები, რომელშიც ქალი აიმედებდა — მალე შეისრულებ გულის წადილსაო; ახლა დედ-მამის სახლში ვარ და ერთმანეთის ნახვა შეუძლებელიაო.

ამგვარად, ბრუნოსა და ბუფალმაკოს, რომელთაც ხელი ეკიდათ ამ საქმისათვის, მეტად ართობდათ კალანდრინოს ამბავი. ზოგჯერ, ვითომ ნიკოლოზამა გთხოვაო და აჩუქებინებდნენ სპილოს ძვლის საკარცხელს, ხან ქისას და ხანაც პატარა ჯაყვას და სხვა მაგვგვარ წვრილმანს რასმე და სამაგიეროდ მასთან მოჰქონდათ სულ უბრალო ყალბი ბეჭდები, რაიცა კალანდრინოს ცასა სწევდა ხოლმე სიხარულით. გარდა ამისა, კალანდრინო ორსავე ხშირად პატიჟობდა, ოღონდ მიშველეთ და ხელი მომიმართეთ ჩემს საქმეშიო.

ამათ თითქმის ორი თვე ისე ატარეს კალანდრინო, მისი საქმე ერთი ბეწოთიც წინ არ წაუწევიათ. კალანდრინოც ხედავდა, რომ სამუშაო თავდებოდა და გამოიანგარიშა — თუ სამუშაოს გათავებამდე ვერ ვეწიე სურვილს, მერე იმედიც არ უნდა მქონდესო, და ამიტომ ბრუნოს დააჭირა ფეხი: შენი ჭირიმე, მიშველე რამე, გამიკეთე ჩემი საქმეო. ამიტომ, როცა ქალი დაბრუნდა, ბრუნომ ჯერ ფილიპოსა და ქალთან მოილაპარაკა, თუ რა უნდა ექნათ და მერე კალანდრინოს უთხრა: „იცი, რა გითხრა, ჩემო კეთილო: ამ ქალმა, ვინ იცის, რამდენჯერ მომცა პირობა, კალანდრინოს ნებისას ვიზამო, მაგრამ როგორც ეტყობა, გატყუებს, ამიტომ თუ შენ მეტყვი, უნდა თუ არ უნდა, ვაიძულებთ ნებაზე დაგყვეს“. ამაზე კალანდრინომ უპასუხა: „არიქა, შენი ჭირიმე, მიხედე შენს ღმერთს, თუ ეგეთ სიკეთეს მიზამ, ბარემ მალე გააკეთე“. მაშინ ბრუნომ ჰკითხა: „მე ერთ საკმეველს მოგცემ და ხომ გაბედავ ის საკმეველი წაუსვა?“ – „როგორ არა!“ — უპასუხა კალანდრინომ. – „მაშ, — უთხრა ბრუნომ,

— მომიტანე ჯერ დაუბადებელი ბატკნის ტყავის ნაჭერი, ცოცხალი ღამურა, სამი მარცვალი საკმეველი და ერთი წმინდა სანთელი და დანარჩენი ჩემი საქმე იყოს“.

კალანდრინო მთელი ღამე დასდევდა უკან თავისი ხათანგით ღამურას დასაჭერად, ბოლოს, როგორც იყო დაიჭირა და დანარჩენებთან ერთად ბრუნოს წაუღო. ბრუნო თავის ოთახში ჩაიკეტა, ტყავის ნაჭერზე რაღაცა მონაჩმახი დაჯღაბნა, მიუტანა კალანდრინოს და უთხრა: „აი, ძმაო, მოგიტანე და როგორც კი წაუსვამ ამ ნაწერს, მაშინვე უკან გამოგედევნება და რაც შენ გინდა, იმას იზამს. ამიტომ, თუ ფილიპო დღეს სადმე წავიდა, როგორმე მიდი ქალთან, წაუსვი ეს, მერე საბძელში შედი, აქვე, გვერდით რომ არის, ეს ყველაზე უკეთესი ალაგია, რადგან შიგ არავინ შედის ხოლმე; მოვა თუ არა, მერე შენ იცი რაც უნდა უყო“. კალანდრინო ცას ეწია სიხარულით, გამოართვა ნაწერი და უთხრა:

„დანარჩენი ჩემი საქმე იყოს, მეგობარო!“ ნელო, რომლისაც კალანდრინოს ერიდებოდა, ამას ისევე დასცინოდა, როგორც სხვები და მათთან ერთად ისიც ცდილობდა როგორმე

გაემასხარავებინა. ამიტომ, როგორც ბრუნომ ურჩია, წავიდა ფლორენციაში, მივიდა კალანდრინოს ცოლთან და უთხრა: „ტესა ქალო, ხომ გახსოვს რამდენი გცემა კალანდრინომ იმ დღეს, რა დღესაც ქვებიანად მუნიონედან დაბრუნდა? ამიტომ მე მინდა იმისი ჯავრი ამოიყარო და თუ სამაგიერო არ გადაგიხდია მისთვის, აღარა თქვა, რომ მე შენი ნათესავი და ან მეგობრი ვიყო. საცა ჩვენა ვართ, იქ ერთი ქალი შეუყვარდა და ის ოხერი ქალიც მასთან ერთად ხშირად ჩაიკეტება და ახლახანაც ერთმანეთთან მოილაპარაკეს, რომ მალე კიდევ შეიყარონ. ამიტომ მინდა მოხვიდე, შენი თვალითა ნახო და კარგა ლაზათიანადა დატუქსო. ცოლმა ეს რომ გაიგონა, იფიქრა, აქ სახუმარო საქმე არ არისო, წამოიჭრა ზეზე და დაიწყო კივილი: „ოხ, შე წუწკო შენა, მაშ ასე ლაფი უნდა დამასხა?! მაშ, მე ტესა არა ვყოფილვარ, თუ სამაგიერო არ გადაგიხადე, ვაჟბატონო! ჰო, ღმერთმანი!“ წამოსასხამი მოისხა, ერთი დედაკაციც გამოიყოლა და ნელოსთან ერთად ჩქარი ნაბიჯით კალანდრინოსაკენ გამოსწია. ბრუნომ შორიდან რომ დაინახა, ტესა მოდისო, ფილიპოს უთხრა: აი ჩვენი მოკავშირეც მოდისო. ამიტომ ფილიპო მივიდა იქ, სადაც კალანდრინო და სხვები მუშაობდნენ და ოსტატებს უთხრა: ოსტატებო, მე საჩქაროდ ფლორენციაში უნდა წავიდე და აბა თქვენ იცით, რა გულმოდგინედ იმუშავებთო. ეს რომა თქვა, ამათ თავი დაანება, დაიმალა ისეთ ადგილას, საცა იმას ვერავინ დაინახავდა, და თვითონ კი შეეძლო თვალყური ედევნებინა, რასაც კალანდრინო იზამდა.

კალანდრინომ როცა იფიქრა, ეგ არი, ღმერთმა მომხედა და ფილიპო აქაურობას მოშორდაო, ეზოში ჩამოვიდა. აქ, ნიკოლოზა მარტო დაუხვდა და ლაპარაკი დაუწყო. ქალმა იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, მოუახლოვდა და ჩვეულებრივზე მეტად ალერსიანად დაიჭირა თავი. ამასობაში კალანდრინომ ნაწერი წაუსვა; წაუსვა თუ არა, ხმის ამოუღებლად საბძლისაკენ გაემართა, ნიკოლოზაც უკან გამოჰყვა. შიგ შევიდა თუ არა, კარი გაიხურა, მოხვია ხელები კალანდრინოს და ძირს ჩალაზე დააწვინა, ზურგზე მოაჯდა ცხენსავით, რომ კალანდრინოს არ შესძლებოდა თავისი პირი მისთვის მიეახლოებინა და როგორც სანატრელ არსებას, ისე დაუწყო ყურება და თან ეუბნებოდა: „ჩემო ტკბილო კალანდრინო, ჩემო სულისდგმავ, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო საუნჯევ, ჩემო ბედნიერებავ, ჩემო ნეტარებავ! რამდენი ხანია, ვნატრობ, ერთი ხელში ჩამეგდე და გულში ჩამეხუტებინა შენი თავი! შენი ალერსიანობით ჩემთან დაართევი პერანგის ძაფი, შენი გიტარის ხმით გული სულ გამომიშრე. დავიჯერო, ჩემთანა ხარ, გენაცვალე? დავიჯერო, ხელთ მიპყრიხარ, თავს შემოგევლოს შენი ნიკოლოზა!“ კალანდრინოს ძლივსღა შეეძლო მოძრაობა და ისე ეალერსებოდა: „ჰოი, ჩემო ტკბილო, ჩემო სულო და გულო, მოდი ერთი მაკოცნინე!“ ნიკოლოზამ ამაზე უთხრა: რა გეჩქარება! შენი ჭირიმე! დამაცა, ჯერ კარგად ჩაგიხუტო გულში, დამაცა, ჯერ კარგად გავძღე შენი ტკბილი სახის ყურებითა“.

ბრუნო და ბუფალმაკო ფილიპოსთან მივიდნენ და სამნივე ერთად უყურებდნენ ამ

ამბავს. კალანდრინოს, ის იყო, უნდა ეკოცნა ნიკოლოზასათვის, ამ დროს გამოჩნდა ნელო და კალანდრინოს ცოლი ტესა. მოვიდა თუ არა, ნელომა თქვა: ღმერთმანი, ახლა ორნივე ერთად არიანო. საბძლის შესავალ კართან რომ მივიდნენ, გაშმაგებულმა ქალმა კარები ჩამოგლიჯა და შიგ რომ შევარდა, დაინახა, რომ ქალი კალანდრინოს ზურგზე მოსჯდომოდა. ნიკოლოზამ ტესა დაინახა თუ არა, მაშინვე წამოდგა და ფილიპოსაკენ გაიქცა. მონნა ტესა მივარდა კალანდრინოს, რომელიც ჯერ ისევ ძირს იწვა, ჩაარჭო სახეში ფრჩხილები და სულ ერთიანად დააკაწრა. მერე თმაში დაავლო ხელი, იქით-აქეთ ათრევდა და თან უძახდა: „ახ, შე ქოფაკო, შენა, მაშ ასეთ საქმესაც კადრულობ, შე დასამინებელო, შენა? შე გადაყრუებულო, ის დღე რად არ დაგექცა, როცა მე შენ შეგიყვარე! მაშ, შინ ცოტა საქმე გქონდა გასაკეთებელი, რომ სხვაგან არ წათრეულიყავ საარშიყოდ? ვენაცვალე შენს საყვარლობასაც!.. აი, მეხი დაგათხლიშე მაგ გამოტვინებულ თავში, მეხი!.. მოგიკვდეს თავი, შე გულმკვდრის შვილო, განა არ იცი, ვინცა ხარ, შე საცოდავო. განა არ იცი, შე გლახაკო, რაც უნდა მაგრად გამოგწუროს კაცმა, იმდენი წვენიც არ გაგივა, რომ საწებლისათვის ეყოს. ღმერთია მოწამე, ახლა ტესა კი არ იქნება მიზეზი შენი დაორსულებისა, არამედ სხვა, აი გაუწყრეს მას ღმერთი! ვინც უნდა იყოს, ცხადია, ვიღაც ოხერი ვინმეა, რომ შენისთანა მუდრეგი შეჰყვარებია“.

კალანდრინომ ცოლი რომ დაინახა, არც მოკვდა და აღარც ცოცხალი დარჩა, ვერც ის გაბედა, რომ მის წინაშე თავი ემართლებინა. სახედაკაწრული, ტანისამოსშემოხეული, თმაგაჩეჩილი წამოდგა, აიღო არდაგი და ცოლს ხვეწნა დაუწყო: ქალო, ნუღარ ყვირი, თორემ ასო-ასოდ ამკეპავენ, რადგან ჩემთან რომ იყო, ის ქალი ამ სახლის პატრონის ცოლიაო. ამაზე ტესამ უთხრა: „იყოს მერე, ღმერთი სიავეს ნუღარ გამოულევს, ვინც არის!“

ბრუნომ და ბუფალმაკომ ფილიპოსა და ნიკოლოზასთან უზომოდ იცინეს ამ ამბავზე, მერე მივიდნენ მათთან, თითქოს მათმა ყვირილმა მიიყვანაო. ტესას ბევრს ელაპარაკნენ. როგორც იყო, დაამშვიდეს, მერე კალანდრინოს ურჩიეს: ახლავე ფლორენციაში წადი, უკან აღარ დაბრუნდე, თორემ თუ ფილიპომ რამე გაიგო, ვაითუ, ცუდი დღე დაგაყენოსო.

კალანდრინოც, გასაცოდავებული და საბრალო, ტანისამოსშემოგლეჯილი და დაფხაჭნილი, ფლორენციაში დაბრუნდა, უკან დაბრუნებას აბა როგორღა გაბედავდა! ცოლი კიდევ დღედაღამ უქაქანებდა, ჰყვედრიდა და ლანძღავდა და ამიტომ იძულებული შეიქნა თავისი მგზნებარე სიყვარული დაეცხრო, ხოლო თავის ამხანაგებს და ფილიპოსა და ნიკოლოზას საბუთი მისცა სასაცილოდ აეგდოთ.

ამბავი მეექვსე. აკვანი

ორი ახალგაზრდა კაცი ერთ ოჯახში ჩამოხტა ღამის გასათევად. ერთი მათგანი მასპინძლის ქალს ამოუწვა, ხოლო დიასახლისი შეცდომით მეორე ამხანაგს ამოუწვა. ვინც ქალთან იწვა, მერე ქალის მამასთან დაწვა, თავისი ამხანაგი ეგონა და ყველაფერი უამბო. მათ შორის ლაპარაკი ატყდა. ცოლმა რომ გაიგონა, მიხვდა ყველაფერს, მაშინვე ქალის ლოგინში ჩაწვა და რამდენიმე მოხერხებული სიტყვით საქმე გამოაკეთა.

კალანდრინომ, რომელსაც იმდენჯერ გაუცინებია ჩვენი წრე, ახლაც გააცინა. ამ ამბების მოსმენაზე ქალებმა სიცილი რომ შეწყვიტეს, დედოფალმა პამფილოს უბრძანა ამბის თქმა. იმანაც ასე დაიწყო: — მშვენიერნო ასულნო! კალანდრინოს სატრფოს ნიკოლოზას სახელის გაგონებაზე მომაგონდა ერთი ამბავი მეორე ქალისა. იმასაც ნიკოლოზა ერქვა. მსურს ახლა სწორედ ეს ამბავი გიამბოთ და თქვენ დაინახავთ, რომ ქალის სწრაფმა მოსაზრებამ და წინდახედულობამ თავიდან ააცილა ყველას საშინელი ხიფათი და დავიდარაბა.

მუნიონეს ვაკეში, ამ ცოტა ხნის წინათ, ერთი კაცი ცხოვრობდა. რომელიც გამვლელ—გამომვლელთ ფულზე აჭმევდა და ასმევდა; და თუმცა ღარიბი იყო და სახლიც პატარა ჰქონდა, მაგრამ ხანდახან, როცა ძალიან გაუჭირდებოდა მგზავრს, ღამის გასათევადაც შეუშვებდა სახლში, თუ ყველას არა, ნაცნობებს მაინც. ამ კაცს ჰყავდა მეტად ლამაზი ცოლი და ორი შვილი: ერთი იყო ლამაზი და სანდომიანი სახის ახალგაზრდა ქალი, ასე თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლისა, ჯერ ისევ გასათხოვარი; მეორე შვილი ძუძუთა ბავშვი იყო, რომელსაც ერთი წელიწადიც არ შესრულებოდა და თვითონ დედა აჭმევდა ძუძუსა. ამ ახალგაზრდა ქალზე თვალი ეჭირა ჩვენი ქალაქის ერთ კეთილშობილ ახალგაზრდას, რომელიც ხშირად დადიოდა ამ სოფელში და ძლიერ შეუყვარდა ქალი. ქალს თავი მოსწონდა, რომ ასეთ მშვენიერ ახალგაზრდა კაცს ვუყვარვარო და ცდილობდა თავისი ალერსიანი ქცევით უფრო დაეწვა ყმაწვილი და ამასობაში თვითონაც შეუყვარდა; რაკი ორისავ თანხმობა იყო, ვინ იცის, რამდენჯერ ჰქონდათ შემთხვევა მათი სიყვარული სურვილისამებრ დაეგვირგვინებინათ, მაგრამ პინუჩოს (ასე ერქვა ყმაწვილს) ერიდებოდა, რამე ჩირქი მოსცხებოდა როგორც ქალსა, ისე თვითონ მას.

მაგრამ სიყვარული დღითიდღე უფრო და უფრო უღვივდებოდა პინუჩოს და მოიწადინა ქალს როგორმე შეხვედროდა სადმე და დაიწყო იმის ფიქრი: რა მოვიმიზეზო, რომ ჩემი სატრფოს მამის სახლში ღამე გავათიო. რაკი იცოდა სახლის შინაური მდებარეობდა, იმედი ჰქონდა, თუკი მოვახერხე შიგ შესვლა, ქალთან ისე დავრჩები, რომ ვერავინ შემიტყოსო. ეს აზრი თავში მოუვიდა თუ არა, მაშინვე შეუდგა საქმეს.

ერთხელ პინუჩო და მისი ერთგული მეგობარი ადრიანო, რომელმაც იცოდა მისი

სიყვარულის ამბავი, საღამოზე მოგვიანებით ცხენებზე შესხდნენ, გადაჰკიდეს ორი ხურჯინი (შეიძლება, ჩალითაც იყო ორივე გატენილი), გავიდნენ ფლორენციიდან, მოუარეს გზას და უკვე კარგა დაღამებული იყო, როცა მუნიონეს ვაკეში გავიდნენ. აქ ცხენები მოაბრუნეს, თითქო რომანიიდან მოედინებიანო, მიადგნენ საგრფოს მამის სახლსა და რახუნი აუტეხეს. სახლის პატრონი ორივეს კარგად იცნობდა და მაშინვე კარი გაუღო. პინუჩომ უთხრა: „მეტი გზა არ არის, ღამე უნდა გაგვათევინო. გვეგონა, ფლორენციაში ჩასვლას მოვასწრებდით და მაინცდამაინც არა ვჩქარობდით და, როგორც ხედავ, ძალზე შემოგვაღამდა და აქედან წასვლა აღარ შეგვიძლია“. ამაზე მიკიტანმა ასე უპასუხა: „პინუჩო, ხომ მოგეხსენებათ, რომ ძალიან გამიჭირდება თქვენისთანა საპატიო სტუმრებს ღამე გავათევინო; მაგრამ რადგან ასე შემოგღამებიათ და ასე გვიან სხვაგან წასვლა არ შეგიძლიათ, მეტი რა გზაა, გაგიმასპინძლდებით ისე, როგორც შევიძლებ“. ყმაწვილები ცხენებიდან ჩამოხტნენ, სამიკიტნოში შევიდენ და უწინარეს ყოვლისა ცხენები თავლაში დააბეს. მერე კარგი ვახშამი მოატანინეს და მასპინძელთან ერთად შეექცნენ.

მასპინძელს ერთი სულ პატარა ოთახიღა ჰქონდა, სადაც სამი საწოლი დადგა, რამდენადაც კი ეს მოსახერხებელი იყო; თავისუფალი ადგილი ცოტა რჩებოდა, რადგან ორი საწოლი ოთახის ერთ კედელს გასწვრივ იყო მიდგმული, ხოლო მესამე საწოლს მათს პირდაპირ ადგილი ეჭირა მეორე მხარეზე, ასე რომ კაცს გავლა დიდი გაჭირვებით შეეძლო. ამ სამ საწოლში ერთი — სხვებზე უკეთესი, ორი მეგობრისათვის გამოაწყო და ჩააწვინა. მერე, ცოტა ხნის შემდეგ, როცა ჯერ არც ერთ მათგანს არ ეძინა, თუმცა თავი მოიმძინარეს, მასპინძელმა თავის ქალს უბრძანა — ერთ-ერთ დარჩენილ საწოლში ჩაწოლილიყო, ხოლო მეორეში თვითონ და ცოლი ჩაწვნენ. ცოლმა გვერდით მოიდგა აკვანი, რომელშიაც თავისი ძუძუმწოვარა ბავშვი ეწვა.

როცა ყოველივე ასე მოეწყო და პინუჩომაც ყველაფერი დაინახა, თქვა, ახლა კი ყველას სძინავსო, ჩუმად წამოდგა და მივიდა იმ საწოლთან, საცა მისი ახალგაზრდა საგრფო იწვა და გვერდით მოუწვა. ქალს პირველად, ცოტა არ იყოს, ეშინოდა, მაგრამ შემდეგ გათამამდა, მკერდში ჩაეხუტა და მერე ორივემ იმდენი ისიამოვნეს, რამდენიც მათს სულსა და გულს უნდოდა.

სანამ პინუჩო ქალთან იწვა, კატა ამძვრალიყო და რაღაც გადმოაგდო. ხმაურობაზე დიასახლისს გამოეღვიძა. შეეშინდა, ვინ იცის, რა ამბავიაო, წამოდგა და ბნელში პერანგა იქითკენ გაემართა, საიდანაც ხმაურობა მოესმა. ადრიანოს ამისთვის ყურიც არ უთხოვებია, შემთხვევით გარეთ გასვლა დასჭირდა და იმისათვის წამოდგა. მაგრამ აკვანმა ხელი შეუშალა, დედას რომ დაედგა. თუ აკვანს არ აიღებდა, ისე გავლა არ შეიძლებოდა, ამიტომ საცა იდგა, იმ ადგილიდან აიღო და სწორედ იმ საწოლს გვერდით დადგა, საცა თვითონ იწვა. რაც უნდოდა, მოისაქმიანა, დაბრუნდა და თავის ლოგინში ისე ჩაწვა, აკვანი არც კი

მოჰგონებია. დიასახლისმა ნახა, რომ მას რომ ეგონა, ის ნივთი არ ჩამოვარდნილა და სანთელს კი არ მოუკიდა, რომ ენახა, მაინც რა იყო ჩამოვარდნილი, და ფათურით პირდაპირ იმ საწოლისაკენ გაემართა, სადაც ქმარს ეძინა: „ვაიმე, მომიკვდეს თავი, კინაღამ რა მომივიდა! რა საჭიროა, პირდაპირ სტუმრების საწოლს მივადგებოდი“. ცოტა იქით რომ გაიწია, წააწყდა აკვანსაც და იმანაც იმ ლოგინში შეჰყო თავი, რომელსაც გვერდით უდგა ეს აკვანი. ეგონა ქმარს ამოვუწექი გვერდითაო და ის კი არა, ადრიანოს კი ჩაუგორდა. ადრიანოს ჯერ არ ჩასძინებოდა და ქალის ტანი რომ იგრძნო, ჩაიკრა გულში და მოუალერსა, მერე ხმის ამოუღებლად იალქნები გაშალა და ქალს უზოდ თ გული გაუხარა.

ამასობაში პინუჩოს შეეშინდა, ვაითუ ჩამეძინოს და ჩემს სატრფოსთან ჩახუტებულს შემომათენდესო, და თან რაკი, რაც სიამოვნება უნდოდა, ყოველივე მიიღო ქალისაგან, წამოდგა და თავისი ლოგინისაკენ გაემართა. მაგრამ ლოგინთან აკვანი წამოედო ფეხებში, იფიქრა, მასპინძლის საწოლს მივდგომივარო, ამიტომ მოტრიალდა და თავისი ეგონა და ნამდვილად კი მასპინძლის ლოგინში შეჰყო თავი და გვერდით ამოუწვა. მასპინძელს პინუჩოს მოსვლაზე გამოეღვიძა. პინუჩოს კი ეგონა — ადრიანოს ამოვუწექი გვერდითაო, და უთხრა: „ჩემო ძმაო, ასეთი ტკბილი, როგორიც ნიკოლოზა იყო, არაფერი მინახავს ჩემს სიცოცხლეში; ღმერთს გეფიცები, ქალთან არა მამაკაცს უგრძვნია ის ნეტარება, როგორიც მე იმასთან ვიგრძენი“. მასპინძელმა ეს სიტყვები რომ გაიგონა, გული მოუვიდა და ჯერ თავისთვის ჩაილაპარაკა: ეს ვინ მუდრეგი ჩამიწვა ლოგინშიო? მერე დააავიწყდა ყოველივე კეთილგონიერება და ბრაზმორეულმა უთხრა: „მეტად მუხანათურია შენი საქციელი და არ ვიცი, იმ ზომამდე რა დაგიშავე, რომ ასეთ საქმეს მიშვრებოდი! მაგრამ ღმერთსა ვფიცავ, ისე არ მოვკვდები, სამაგიერო არ გადაგიხადო“. პინუჩომ ვერ გამოიჩინა გონიერება და მიხვედრილობა, და თუმცა თავისი შეცდომა შეამჩნია, იმის მაგიერ, რომ საქმე გამოეკეთებინა, აქეთ დაედავა მასპინძელს: „რა უნდა გადამიხადო, არ შეიძლება, გამაგებინო? ნეტავი ვიცოდე, შენ რაღა უნდა მიყო?“

დიასახლისს ისევ ეგონა, ქმართან იწვა და ადრიანოს უთხრა: „ჩემო ქმარო, ერთი ყური დაუგდე, რა აჩხუბებთ ჩვენს სტუმრებს?“ ადრიანომ სიცილით უპასუხა: „იმდენი იჩხუბონ, სანამ მოეწყინებათ, დასწყევლოს ღმერთმა მათი სახელი, წუხელ იმდენი ღვინო ჩაისხეს მუცელში, დაითვრებოდნენ, მა რა იქნებოდა“. ცოლმა გაიგონა, რომ ქმარი იყო, რომ ილანძღებოდა, თან ადრიანოს ნათქვამს რომ ისმენდა, მაშინვე მიხვდა, სადა და ვისთანაც იყო. ამიტომ, როგორც ჭკვიანი ქალი, ხმის ამოუღებლად ფიცხლავ წამოდგა, ასწია თავის ბავშვის აკვანსა და, თუმცა ოთახში სინათლე სრულებით არ იყო, ალალბედზე იმ საწოლის გვერდით დადგა, საცა მისი ქალი იწვა და თვითონაც ლოგინში ჩაუწვა. მერე, თითქო ქმრის ყვირილზე გამოეღვიძაო, დაუძახა: ადამიანო, პინუჩოს რას ერჩიო? ქმარმა უპასუხა:

„ქალო, ვერ გაიგე წუხელ რა უქნია სტუმარს ნიკოლოზასათვის?“ მაშინ ქალმა უთხრა:

„უსირცხვილოდ სტყუის, ნიკოლოზასთან არა წოლილა, ის კი არა, მე დავწექი ჩემ ქალთან და მას აქეთ ვეღარ დამიძინია; სულელი უნდა იყო, მის ნათქვამს რომ დაუჯერო. საღამოობით ისე გაილეშებით ხოლმე, რომ მთელი ღამე ბურანში ხართ, იქით-აქეთ დაბოდიალობთ და ვინ იცის, რას არა შვრებით!.. ახი იქნება თქვენზე, კისერს რომ მოიმტვრევდეთ! მაგრამ პინუჩოს რაღა უნდა შენთან, რატომ თავის ლოგინში არა წევს?“ ადრიანოს ყველაფერი ესმოდა, თუ როგორ ცდილობდა დიასახლისი სირცხვილი თავიდან აეცილებინა, როგორც თავისთვის, ისე ქალისათვის, და პინუჩოს მიმართა:

„რამდენჯერ მითქვამს, პინუჩო, შენთვის, ნუ ბოდიალობ და მოიშალე ეგ ცუდი ჩვეულება, შუაღამისას რომ წამოდგები და ვინ იცის, რეებსა ჰბოდავ; ერთხელაც იქნება, ხათაბალას გადაეკიდები-მეთქი. აქეთ მოდი, ჯვარი გწერია და ღმერთმა დაგიფაროს მაცდურისაგან“.

მასპინძელმა რომ გაიგონა ცოლისა და ადრიანოს ნათქვამი, დარწმუნდა, პინუჩო ბოდავსო, ამიტომ მხრებზე ხელები მოჰკიდა და ნჯღრევა დაუწყო. თან უძახოდა: „პინუჩო, გაიღვიძე, წადი, შენს ლოგინში ჩაწექი“. პინუჩოს ყველაფერი ესმოდა, რაც ითქვა და თითქო სძინავსო, ახლა სხვა სისულელის ჩმახავს მოჰყვა, რაიცა მასპინძელს ძალზე აცინებდა. ბოლოს, ვითომ იგრძნო, რომ ანჯღრევდა და თავი მოაჩვენა, გამომეღვიძაო, დაუძახა ადრიანოს და ჰკითხა: „რად მეძახი, განა გათენებულია?“ —“ჰო, გათენდა, აქ მოდი“, — უპასუხა ადრიანომ. პინუჩომ თავი მოიმძინარა, ვითომ ბურანში იყო, ისე, და მასპინძლის ლოგინიდან წამოდგა და ადრიანოს ლოგინს დაუბრუნდა.

რომ გათენდა და ყველანი ადგნენ, მასპინძელმა სიცილი დაიწყო და მასხრად აიგდო პინუჩო და მისი ბოდვა. ამნაირად, ხუმრობა-სიცილში, ყმაწვილმა კაცებმა თავიანთი ცხენები შეკაზმეს, მოჰკიდეს თავიანთ ხურჯინები და წასვლამდე მასპინძელთან ერთად გადაჰკრეს, მერე მოასხდნენ ცხენებსა და ჩავიდნენ ფლორენციაში. ძალიან კმაყოფილები იყვნენ იმდენად თვით თავგადასავლისა კი არა, რამდენადაც იმისა, რომ რა პირობებში მოხდა ეს თავგადასავალი. მერე პინუჩომ სხვა საშუალება აღმოაჩინა ნიკოლოზას სანახავად და ქალიც დედას არწმუნებდა — პინუჩო ჰბოდავდაო. ამიტომ დიასახლისი, რომელსაც აგონდებოდა ადრიანოს ხვევნა-ალერსი, დარწმუნებული იყო — მაშ, მარტო მე ვყოფილვარ მღვიძარეო.

ამგავი მეშვიდე. მგელი

ტალანო დი მოლეზემ სიზმარში ნახა, ვითომ მგელმა მის ცოლს ყელი გამოღადრა და პირი დააჭამა, და უთხრა — ფრთხილად იყავიო; ცოლმა არ დაუჯერა და მართლა აუხდა სიზმარი ქმარს.

პამფილომ თავისი ამბავი რომ გაათავა, ყველამ აქო დიასახლისის წინდახედულობა. მერე დედოფალმა პამპინეას მიმართა და უბრძანა, ახლა იმას ეთქვა თავისი ამბავი. იმანაც ასე დაიწყო: — ჩემო მშვენიერნო! ჩვენ ერთმანეთში წინათ გვილაპარაკია, რომ სიზმარი ხშირად ახდებაო, თუმცა ზოგს ეს სიცილადაც არ ჰყოფნის ხოლმე. მაინც, ვინც რა უნდა ისა თქვას, ერთი პატარა ამბავი უნდა მოგითხროთ, რომელიც ამას წინათ ერთ ჩემს მეზობლის ქალს დაემართა, რადგან თავისი ქმრის მიერ ნახულ სიზმარს არ დაუჯერა.

არ ვიცი, თქვენ იცნობთ თუ არა ტალანო დი მოლეზეს, კაცს ფრიად პატივსაცემს. ამან ცოლად შეირთო ერთი ახალგაზრდა, ყველაზე ლამაზი ქალი, სახელად მარგარიტა ერქვა. მეტად ახირებული ვინმე იყო, უჟმური და იმდენად ჯიუტი, რომ თავის დღეში იმას არ იზამდა, რაც სხვას ეამებოდა და აღარც სხვას შეეძლო მისი გუნებისა გაეკეთებინა რამე. ბარემ ეძნელებოდა ტალანოს, გაეძლო ასეთი ხასიათის ქალისათვის, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა, უნდა მოეთმინა.

ერთხელ ტალანო სოფლად თავის მამულში იყო. მარგარიტაც თანა ჰყავდა. ღამით დაესიზმრა, ვითომ მისი ცოლი მათი სახლიდან სულ ახლოს მდებარე ერთ ლამაზ ტყეში მიდიოდა. იმას რომ უყურებდა, ისე, ტყის მხრიდან გამოვიდა ერთი დიდი საშინელი მგელი, სწვდა ქალს ყელში და ძირს დაანარცხა. ქალმა კივილი მორთო, ვაიმე, მიშველეთო! მგელი ცდილობდა ტყეში შეეთრია. ქალი, როგორც იყო, პირიდან გაუსხლტა, მაგრამ ყელი და სახე მგელს სულ დაეგლიჯა მისთვის.

მეორე დილას ტალანო რომ ადგა, ცოლს უთხრა: „თუმცა შენი ჯიუტური ხასიათის გადამკიდეს, ერთი დღეც არ მახსოვს მოსვენებით გამეტარებინოს შენთან, მაინც მეტისმეტად ვინაღვლებ, შენ რომ რამე მოგივიდეს, ამიტომ მოდი, დამიჯერე და დღეს სახლიდან ნურსად გახვალ“. ქალმა ამის მიზეზი რომ ჰკითხა, ტალანომ დაწვრილებით უამბო თავისი სიზმარი. ქალმა თავის კანტურით უთხრა: „ჩემო კარგო, როცა კაცს ვისთვისმე ცუდი უნდა, სიზმარშიაც ცუდს დაინახავს ხოლმე. შენ ვითომ ძალიან გებრალვი და გესიზმრება კი ის, რაც გინდა ცხადად მე გადამხდეს. ამიტომ როგორც დღეს, ისე სულ მუდამ თავს გავუფრთხილდები, რომ არ გაგახარო ჩემი ამა თუ იმ უბედურებით“. მაშინ ტალანომ უთხრა: „განა არ ვიცოდი, ასეთ პასუხს მომცემდი, იმიტომ რომ, ვინც მუნიანსა ფხანს, მუნიანი უმადურობით უხდის ხოლმე. შენ რაც გინდა ის იფიქრე, ჩემო კარგო, მე კი იმიტომ გეუბნები, რომ შენი სიკეთე მინდა, და განმეორებით გირჩევ, დღეს შინ იჯდე, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ჰქენი, ჩვენს ტყეში არ წახვიდე“. ქალმა უპასუხა: კარგი, ვიზამ რასაც მეუბნებიო. მერე გულში გაიფიქრა: „ერთი ამას უყურეთ, თქვენი ჭირიმეთ, რა ეშმაკურად მომინდომა დამაშინოს და ჩვენს ტყეში წასვლის განზრახვაზე ხელი ამაღებინოს! ალბათ, ვაჟბატონო, ვინმე მაწანწალა ქალს უნდა შეხვდე ტყეში და არ გნებავს მოგატანო. ასე ჰგონია, მე ვარ მარტო თვალხილული და სხვა ყველა ბრმები მახვევიაო. მართლა რომ სულელი ვიქნები, იმის

ეშმაკობას ვერ მივუხვდე და დავუჯერო; უნდა წავიდე და ვუყურო, თუნდაც მთელი დღე დამჭირდეს ლოდინი, რა საქონლით აპირებს დღეს ვაჭრობას“.

ცოლმა ეს რომ თქვა, რაწამს ქმარი სახლის ერთი კარიდან გავიდა, ის მეორე მხრიდან გავიდა და, რაც შეიძლებოდა, ნამალევად დაუყოვნებლივ ტყეში გაჩნდა. აქ ყველაზე დაფარული ადგილი ამოირჩია, შიგ დაიმალა, ყურები დაიმახვილა, იქით-აქეთ ყურება დაიწყო უდარდელად, აცა, ვინმე ადამიანი დავინახოო.

მარგარიტა ერთ ხანს ასე იყო, მგლის შიში არც კი ჰქონდა, ისე მის მახლობლად ტყის ხშირიდან გამოვარდა ერთი უზარმაზარი და საშინელი მგელი. ქალმა ეს რომ დაინახა, უფალო შეგვიწყალენ-ის დაძახებაც კი ვერ მოასწრო, ისე მგელი პირდაპირ ყელში წვდა, მაგრად გაუყარა კბილები და გააქანა, თითქოს ბატკანი მიაქვსო. ქალს აღარც დაყვირება შეეძლო, ისე ჰქონდა ყელში წაჭერილი, ვეღარც სხვა რითიმე თავის შველა. მგელი უეჭველად მოიტაცებდა და დაახრჩობდა, რომ მწყემსები არ შეხვედროდნენ, ყვირილი არ მოერთოთ და მგლისათვის პირიდან არ გაეგდებინებინათ. გასაცოდავებული და განაწამები ქალი მწყემსებმა იცნეს და სახლში მოიყვანეს. ექიმები დიდხანსა სწამლობდნენ და მორჩა, მაგრამ მგლის ნაკბილევი მაინც აჩნდა კისერზე და სახის ერთ ნაწილზე, ისეთნაირად, რომ რამდენადაც წინათ ლამაზი იყო, იმდენად ახლა დამახინჯებული და საზიზღარი საყურებელი შეიქნა.

ამიტომ რცხვენოდა და ერიდებოდა გამოჩენილიყო იქ, საცა მისი დანახვა გარეშეთ შეეძლოთ, ხშირად დასტიროდა თავის ჯიუტობას და სულ იმას იძახდა, რა ღმერთი გამიწყრა და რატომ არ დავუჯერე ქმრის ასეთ ცხად სიზმარსა, ეს ხომ ყველაზე იოლი საქმე იქნებოდაო!

ამბავი მერვე. ჩაკო ლორმუცელა

ბიონდელო მოტყუებით დაპატიჟებს სადილად ჩაკოს, ამიტომ ჩაკო მის ჯავრს იყრის იმით, რომ ერთ კაცს საშინლად აცემინებს მისთვის ამ მხიარული კრებულის წევრები ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ რაც ტალანოს ძილში ენახა, სიზმარი კი არა, ხილვა ყოფილა, რადგან ყოველივე ცხადლივ ამხდარა, უკლებლივო. როცა ყველანი დაჩუმდნენ, დედოფალმა ლაურეტას უბრძანა, აბა მოჰყევიო. ლაურეტამაც ასე დაიწყო: — კეთილგონიერო ქალებო! ყველა, ვინც ჩემამდე ილაპარაკა, იძულებული იყო ესა თუ ის ამბავი ეთქვა უკვე მოსმენილი ამბების გავლენით. და სწორედ ასე, მეც გუშინ პამპინეასაგან მოსმენილი ამბავი სწავლულის ულმობელი შურისძიებისა მაიძულებს გიამბოთ ერთი შურისძიების ამბავი, რომელიც მძიმე იყო იმისათვის, ვინც ეს შურისძიება განიცადა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, თვით შურისძიება

იმდენადვე ულმობელი არა ყოფილა.

იყო ფლორენციაში კაცი ვინმე, სახელად ყველანი ჩაკოს ეძახდნენ. ღორმუცელა ვინმე იყო საშინელი, ისეთი, რომ მისი მსგავსი ჯერ ქვეყანაზე არ დაბადებულიყო. და რადგან თავისი შემოსავალი არა ჰყოფნიდა თავისი მუცლის ამოსაყორავად და ისე კი ნატიფი ზრდილობის კაცი იყო, იცოდა მრავალი სასიამოვნო და გასართობი ამბები, ხელობად გაიხადა ხალხის გამხიარულება-შექცევა კი არა, არამედ დაცინვა და მასხრად აგდება მსმენელთა. ამიტომ დადიოდა იმათთან, ვინც შეძლებულები იყვნენ და ვისაც კარგი პირისპატივი უყვარდა. ხშირად ეწვეოდა სადილ-ვახშმად, ზოგჯერ დაუპატიჟებლადაც კი.

ამ ხანებში ფლორენციაში ცხოვრობდა ერთი ვინმე, რომელსაც ბიონდელო ერქვა. პატარა იყო, დიდი პენწნიკი ვინმე და ბუზზე უფრო სუფთა. თავზე ეხურა პატარა ქუდი, გრძელი ქერა თმა ისე ჰქონდა დავარცხნილი, რომ ერთი თმაც არ გამოშვეროდა ცალკე. ბიონდელოსაც იგივე ხელობა ჰქონდა, რაც ჩაკოს. მარხვაში ერთ დილას ბიონდელო წავიდა იმ ადგილას, სადაც თევზსა ჰყიდიან ხოლმე, და მესერ ვიერი დეი ჩერკისათვის ორ უშველებელ სარღანას ყიდულობდა. ჩაკომ თვალი შეასწრო. მიუახლოვდა ბიონდელოს და ჰკითხა: აქ რას აკეთებო? ბიონდელომ უპასუხა: „გუშინ საღამოს მესერ დონატის გაუგზავნეს სამი ამაზე გაცილებით დიდი სარღანა და იმათთან ერთად ზუთხიცა, მაგრამ სტუმრებად მოსულ აზნაურებს სადილად არ ეყოთ და მე გამომგზავნა — ორი სხვაც იყიდეო; შენც ხომ იქნები იქ? – „მოვალ მაშ!“ — უპასუხა ჩაკომ, და როცა იფიქრა, ახლა კი დროა წასვლისაო, გაემართა მესერ კორსოს სახლისაკენ. აქ კორსო და მისი რამდენიმე მეზობელი დახვდა, რომელნიც სადილად ჯერ არ დამსხდარიყვნენ. კორსომ ჩაკოს მოსვლის მიზეზი ჰკითხა. ჩაკომ უპასუხა: მესერე, გეახელით ვისადილო თქვენთან და თქვენს სტუმრებთან ერთადო. ამაზე მესერ კორსომ უთხრა: კეთილი იყოს შენი მობრძანება, სადილობის დროც არის და, აბა, წავიდეთო. სუფრას რომ მოუსხდნენ, პირველად მოუტანეს ოსპის შეჭამადი, დამარილებული უბრალო თევზი, შემდეგ შემწვარი თევზი, მდინარე არნოში დაჭერილი, და მეტი არაფერი. ჩაკო მიხვდა, ბიონდელომ მომატყუაო და საშინლად ეწყინა. გულიგულში დაემუქრა — მართლა შენი სასაცილო ვიყო, თუ სამაგიერო არ გადაგიხადოო!

რამდენიმე დღის შემდეგ ჩაკოს შეხვდა ბიონდელო, რომელმაც უკვე ბევრი ნაცნობი აცინა თავისი ხუმრობით. ბიონდელომ რომ დაინახა, მიესალმა და სიცილით ჰკითხა: მესერ კორსოს სარღანები როგორები იყოო? ამის პასუხად ჩაკომ უთხრა: ერთი კვირა დამაცადე და მაშინ ჩემზე უკეთესად ილაპარაკებ ამაზეო.

ჩაკომ სადიდხანოდ არ გადადო გულის ნადების ასრულება, გამოეთხოვა ბიონდელოს, ერთ მარჯვე მეძველძულეს მოურიგდა ფასზე, ხელში მისცა ერთი შუშის საღვინე ხელადა, მიიყვანა დეი კავიჩულების ბინასთან, აქ უჩვენა ვინმე რაინდი მესერ ფილიპო არჯენტი, კაცი

მაღალი, ჩამკვრივებული და ღონიერი, გოროზი, გადარეული და მეტად უხიაგი და უთხრა: „მიდი იმ კაცთან, ეს ხელადა უჩვენე და ასე უთხარი: მესერე, თქვენთან ბიონდელომ გამომგზავნა და გთხოვათ: ეს ხელადა თქვენი საუცხოო ლალისფერი ღვინით შემიღებეთ, ცოტა ძმაბიჭებთან მინდა წავიქეიფო-თქო. ფრთხილად იყავ, ხელი არ წაგავლოს, თორემ ვაი შენი ბრალი, დედას რად დავებადეო, — გაყვირებს და ჩემს საქმესაც გამიფუჭებს!“ მეძველძულემ ჰკითხა: მეტი ხომ არაფერი ვუთხრაო? — არაო, უთხრა ჩაკომ, პირდაპირ წადიო. და ეს რომ უთხრა, ჩემთან მოდი და შენი პატივისცემა მე ვიციო.

მეძველძულე წავიდა და ჩაკოს შემონათვალი მესერ ფილიპოს მოახსენა. მესერ ფილიპოს გასაბრაზებლად ჩვეულებრივ ერთი ბენო რამ ჰყოფნიდა და ეს რომ გაიგონა, თოფის წამალივით აინთო, რადგან ბიონდელოს იცნობდა და მიხვდა, ალბათ მემასხრებაო და შეჰყვირა: „რის ღვინო, რა შეღებვა! ან ვინ ოხერ ძმაბიჭებზე მითვლის?! ღმერთმა უბედური წელიწადი გაგითენოთ შენცა შენს გამომგზავნსაც!“ მერე ზეზე წამოიჭრა და ხელი გაიშვირა მეძველძულის დასაჭერად, მაგრამ ეს ფრთხილად იყო, ფიცხლავ მიუხვდა განზრახვას, გაიქცა და სხვა გზით ჩაკოსთან მივიდა, რომელიც ყოველივე ამას ხედავდა, და ფილიპოს შემონათვალი ყოველივე უთხრა.

ჩაკოს ძალიან გაეხარდა და მეძველძულეს ფული აჩუქა. მანამდე ვერ მოისვენა, სანამ ბიონდელოს შეხვდებოდა. და მაშინვე ესა ჰკითხა: ლოჯია დეი კავიჩულში იყავი თუ არაო? ბიონდელომ უპასუხა: „არა, მერედა რად მეკითხები ამას?“ – „იმიტომ რომ, — უპასუხა ჩაკომ, — მესერ ფილიპო დაგეძებს, არ ვიცი, რა უნდა შენგან“. – „კარგი, მაინც იქითკენ მივდივარ და ვკითხავ, რა უნდა“. — უპასუხა ბიონდელომ.

ბიონდელო რომ წავიდა, ჩაკო უკან გაჰყვა, რათა ენახა, აბა, რა მოუვაო. მესერ ფილიპო საშინლად გაგულისებული იყო, რადგან ვერ მოეწია მეძველძულესა და გულზე ასკდებოდა, რომ მისი ნათქვამისაგან ისღა გაიგო, ბიონდელო ალბათ ვინმემ წააქეზა და გამასხარავება მომინდომაო. და სანამ ის ბრაზობდა, ამასობაში ბიონდელოც მოვიდა. როგორც კი დაინახა ფილიპო, წინ მოეგება და ერთი ლაზათიანი სილა გაუშალა სახეში.

„უიმე, მესერ ფილიპო, რასა შვრებით?“ — უთხრა ბიონდელომ. მესერ ფილიპომ თმაში დაავლო ხელი, ქუდი მოჰგლიჯა, წამოსასხამი ძირს დაუგდო, დაუწყო უსულღმერთოდ ცემა და თანაც ეუბნებოდა: „აი, შე მუხანათო, შენა. მე შენ გიჩვენებ რასაცა ვშვრები, ეგ რომელი ღვინის ჩასხმასა მთხოვდი, ვაჟბატონო, და ისიც ვიღაც ძმაბიჭებისათვის? არა, ბიჭი ვარ შენი თუ რა, რომ ასე მეხუმრები?“ ეს უთხრა, მისდგა და სახე სულ დაულება მუშტებით, მერე რა მუშტებით! კაცს რკინისა ეგონებოდა! თავზე კიდევ ერთი ღერი თმა არ შეარჩინა დაუწინწკნავი, მერე ტალახში ამოგანგლა და ტანზე სამოსი სულ ერთიანად შემოახია.

ფილიპო ისე გაერთო ამ ცემაში, რომ ბიონდელომ რაც პირველადა თქვა, იმის მეტის თქმა ვეღარ მოასწრო და ვერც ისა ჰკითხა, თუ რისთვისა სცემდა. გაიგონა კია სიტყვები — „ღვინის ჩასხმა“, „ძმაბიჭები“, მაგრამ ის კი არ იცოდა, თუ რასა ნიშნავდა ეს სიტყვები.

დაბოლოს, როცა მესერ ფილიპომ კარგად მიამჟავა ბიონდელო, ხალხი მოგროვდა და რის წვალებით გააგდებინეს ხელიდან დაოსებული და უწყალოდ ნაჯგვლემი; მერე აუხსნეს ბიონდელოს, თუ რატომ სცემა ასე ულმობელად ფილიპომ და უსაყვედურეს — როგორ მოგვიდა და ასეთი რამ როგორ შემოუთვალეო, ნუთუ არ იცი, რომ ფილიპო ისეთი კაცი არ არის, რომ იმასთან ასეთი ხუმრობა გაგვიდესო? ატირებულმა ბიონდელომ ბოდიში მოიხადა: ღმერთი გამიწყრეს, თუ ფილიპოსთან ჩემ დღეში კაცი გამეგზავნოს ღვინისთვისაო. მერე ცოტათი რომ მოსულიერდა, საცოდავი და დაღონებული, შინ დაბრუნდა და თავის გულში თქვა — რა საკითხავია, ეს ჩაკოს წყალობითაოო.

გაიარა რამდენიმე დღემ. ცემისაგან დაჩნეული ლებები გადაუვიდა სახიდან და გარეთ გამოსვლა დაიწყო. ერთ დღეს ჩაკო შეხვდა და სიცილითა ჰკითხა: „ბიონდელო, ხომ გეამა მესერ ფილიპოს ღვინო?“ ბიონდელომ უპასუხა: „ნეტავი შენთვისაც ისევე ტკბილი ყოფილიყო მესერ კორსოს სარღანები!“ მაშინ ჩაკომ უთხრა: „ახლა შენი ჯერია, ჩემო კარგო! დღეიდან, როცა კი მოგინდება, ისეთი კარგი სადილი მოგიმზადო, როგორიც შენ მაჭამე; მეც ისეთ ტკბილ სასმელს დაგალევინებ, როგორიც უკვე მიირთვი“.

ბიონდელოს მშვენივრად ესმოდა, რომ ჩაკოს წინააღმდეგ ცუდი რისამე მხოლოდ გულში შეეძლო გავლება და საქმით კი ვერას დააკლებდა, სთხოვა — თუ ღმერთი გწამს, შემირიგდიო, და ის იყო და ის, მას აქეთ მასთან ხუმრობას ერიდებოდა.

ამგავი მეცხრე. სოლომონ ბრძენის განჩინება

ორი ახალგაზრდა კაცი სოლომონ ბრძენს რჩევასა ჰკითხავს: ერთი ეკითხება — სხვას თავი როგორ შევაყვაროო? მეორე ეკითხება — ჩემი ურჩი ცოლი ჩემს ჭკუაზე როგორ გავატაროო. პირველს უთხრა — შეიყვარეო, ხოლო მეორეს უბრძანა — „ბატის ხიდზე“ გაიარეო.

თუ უნდოდათ დიონეოსათვის თავისი შეღავათი შეენარჩუნებინათ, ახლა სალაპარაკო მხოლოდ თვით დედოფალს დარჩენოდა. იმანაც, როცა ქალებმა კარგად იჯერეს გული სიცილით უბედურ ბიონდელოს ამბის მოსმენაზე, კისკისით ასე დაიწყო ლაპარაკი: — მზისა დარნო! თუ გონივრულად განვჭრეტთ ჩვენი ცხოვრების პირობებს, ძალიან ადვილად დავრწმუნდებით, რომ საერთოდ დიდი უმეტესობა ქალებისა თავისი ბუნებით, ჩვეულებითა

და დაწესებული კანონების ძალით ემორჩილება მამაკაცს და ჰხამს კიდეცა მამაკაცს თვალწარბში უყუროს და მის სურვილს გადასული ერთი ნაბიჯი არ გადადგას; ამიტომ იმ ქალს, ვისაცა სურს წყნარად, მშვიდობიანად და ტკბილად იცხოვროს იმ მამაკაცთან, ვინც ბედმა ქმრად არგუნა, მართებს მორჩილება, თავმდაბლობა და მოთმინება და უმეტესად — ნამუსიანობა. ეს არის ყოველი გონიერი ქალის უდიდესი და უაღრესი სამკაული. ამას რომ არ გვასწავლიდნენ კანონები, რომელნიც მარად საერთო სიკეთისათვის ზრუნავენ, ანდა ზნენი, ან კიდევ ჩვეულებანი, რომელთა ძალა და გავლენა დიაღ დიდია და ღირსია პატივისცემისა და მოწყალებისა, თქვენ თვით ბუნება ბრძანეთ, თვით ეს ბუნება გვასწავლის ამას ნათლად, ის ბუნება, რომელმაც შექმნა სხეული ნაზი და ფხვნადი, სული მოშიში და მოკრძალებული, რომელმაც მოგვმადლა მარტოოდენ სუსტი ხორციელი ძალა, საამო ხმა და სახსართა ნარნარი მოძრაობა; ყოველივე ეს იმასღა მოწმობს, რომ ქალებს გვჭირდება სხვათა ხელმძღვანელობა. ხოლო ვისაც სხვისი დახმარება და ხელმძღვანელობა ესაჭიროება, ცხადია, ხამს ყურმოჭრილი მონა იყოს და ყველაფერი დაუჯეროს თავის მბრძანებელსა. და ვიკითხოთ, ვინ არიან ჩვენი დამხმარენი და ხელმძღვანელნი, თუ არ მამაკაცნი? მაშასადამე, ჩვენც უნდა ვმონებდეთ მამაკაცებს და დიდად პატივსა ვცემდეთ; და ვინც ამ მოვალეობას უგულებელყოფს, ჩემის აზრით, ღირსია არამცთუ მკაცრი საყვედურისა, არამედ ულმობელი სასჯელისაც. ასეთი მოსაზრება მე ადრეც მქონია, მაგრამ იგი უფრო აღმიძრა ამასწინათ პამპინეას მიერ ნაამბობმა ვინმე ტალანოს ცოლის ამბავმა, რომელსაც ქმარმა ვერა დააკლო რა, მაგრამ სამაგიეროდ, ღმერთმა მოუვლინა შესაფერი სასჯელი. ამიტომ, ჩემის აზრით, სასტიკი და ულმობელი სასჯელის ღირსნი არიან ყველა ის ქალები, ვინც არ ცდილობენ იყვნენ ალერსიანები, გულკეთილები და მორჩილები, როგორც ამას მათგან მოითხოვს ბუნება, ზნე-ჩვეულებანი და დაწესებული კანონებიცა. და ამიტომ მინდა გიამბოთ, თუ რა რჩევა მისცა სოლომონ ბრძენმა, როგორც სასარგებლო წამალი, ამგვარი ქალების განსაკურნავად ასეთი სენისაგან. და რა ქალსაც ასეთი წამალი არა სჭირდება, ნუ იფიქრებს, რომ ეს ამბავი იმაზეც არ იყო ნათქვამი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მამაკაცებს ასეთი ანდაზა აქვთ ხოლმე: კარგ თუ ზარმაც ცხენს — მათრახი, კარგსა თუ ცუდ ქალს — ჯოხი. თუ ამ სიტყვებს ხუმრობის ხასიათს მივცემთ, ყველას სულ ადვილად ეჩვენება ჭეშმარიტებად, მაგრამ თუ მათ ზნეობრივი მხრით განვმარტავთ, ჩემის აზრით, მაშინაც კი სამართლიანად უნდა ჩავთვალოთ. ქალები, საერთოდ, ბუნებით სუსტნი და ხარბნი არიან, ამიტომ იმისათვის, რომ სიბოროტე მოვაშლევინოთ, ვინც მათთვის დადებულ საზღვარს ზედმეტად გასცდებიან, ჰხამს ვიხმაროთ ჯოხი, რომელმაც უნდა დასაჯოს ესენი; ხოლო იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ იმ ქალების სათნოებას, რომელნიც ზომაზე მეტად არ გაეტაცვინებიან, მაინც საჭიროა ჯოხი და ამ ჯოხმა ამათ უნდა განუმტკიცოს სათნოება და ჩააგონოს შიში.

მაგრამ ქადაგებას თავი დავანებოთ. გადავიდეთ იმაზე, რაც გულში მიდევს და მოგახსენებთ, რომ როდესაც სოლომონ მეფის სასწაულებრივი სიბრძნის დიდი ქება—

დიდება ქვეყნიერებას კიდითკიდემდე მოეფინა და ყველამ გაიგო, რომ ეს გვირგვინოსანი მზად არის გამოუჩინოს სიბრძნე ყველას, ვინც კი მოისურვებს მასთან მისვლას და საქმით დანახვას ყოველივე გაგონილისა, დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან იწყო ხალხმა დენა უკიდურეს და მძიმე გაჭირვებისაგან თავის დასაღწევად და რჩევის საკითხავად.

ასეთი განზრახვით სოლომონ ბრძენთან წამსვლელთა შორის ერთი ახალგაზრდა კაცი ერია. სახელად მელისო ერქვა; კეთილშობილი იყო, შეძლებული. ქალაქ ლაიაცოში დაბადებული, ლაიაცოშივე ცხოვრობდა. იერუსალიმისაკენ მიმავალს, ანტიოქიიდან რომ გამოვიდა, ერთხანს სხვა ყმაწვილ კაცთან მოუხდა მგზავრობა. ამ ყმაწვილს ჯოზეფო ერქვა. იმასაც ივივე გზა ედო წინ, რაც მელისოს და, როგორც მგზავრთ ჩვეულებად აქვთ ხოლმე, მელისო გამოელაპარაკა თანამგზავრს. როცა ჯოზეფომ თავისი ვინაობა და სადაურობა უთხრა, მელისომ საითმიმავლობა და მგზავრობის მიზეზი ჰკითხა. ამაზე ჯოზეფომ უპასუხა: მივდივარ სოლომონ ბრძენთან, მინდა რჩევა ვკითხო, როგორ უნდა მოვექცე ჩემს ცოლსაო. ერთი ჯიუტი და ანჩხლი ვინმეა, არც თხოვნით გამიდის რამე იმასთან, არც მოფერებით და აღარც სხვა რამ საშუალებით შემიძლია თავის ჯიუტობაზე ხელი ავაღებინოო. ამის შემდეგ ჯოზეფომაც ჰკითხა ვინაობა, საითმიმავლობა და მიზეზი მოგზაურობისა. მელისომაც ასე უპასუხა: ლაიაცოელი გახლავარ, მეც შენებრ უბედური ვარ. როგორცა მხედავ, ახალგაზრდა ვარ, თუ ვისმე შეუძლია თქვას მდიდარი ვარო, მეც შემიძლია ამის თქმა. ჩემს ქონებას იმაში ვხარჯავ, რომ ჩემს მეგობრებს ვპატიჟებ და ვაქეიფებ ხოლმე, და უცნაური როგორ არ არის, რომ მიუხედავად ამისა, კაცი ვერ მიპოვნია, ჩემი სიკეთე უნდოდეს. ამიტომ მეც იქ მივდივარ, საცა შენ მიდიხარ, ვინძლო მირჩიოს რამე: რა ვქნა, როგორ შევაყვარო ხალხს თავიო.

იარეს ერთად. იერუსალიმში რომ ჩავიდნენ, სოლომონის ერთ-ერთმა კარისკაცმა სოლომონთან შეიყვანა. და აჰა მელისომ თავისი დარდი მოკლედ შესჩივლა. ამაზე სოლომონმა უპასუხა: „შეიყვარე“. ეს რომ უთხრა, მელისო მაშინვე გაიყვანეს და შემდეგ ჯოზეფომ მოახსენა, თუ რისთვის მოსულიყო. ამას კი სოლომონმა ესღა უთხრა: გაიარე „ბატის ხიდზეო“. ამის შემდეგ ჯოზეფოც საჩქაროდ გაიყვანეს. გარეთ მელისო ელოდებოდა და მას უამბო, თუ რა პასუხი მიიღო. ორივემ დაიწყო ამ სიტყვებზე ფიქრი, რას უნდა ნიშნავდეს მეფის ნათქვამიო. რაკი ვერ გაიგეს მათი მნიშვნელობა და რაკი დაინახეს, ჩვენს გაჭირვებას ამით ვერაფერი ეშველებაო, ცოტა არ იყოს, გამასხარავებულად ჩათვალეს თავი და შინისკენ დასაბრუნებლად გზას დაადგნენ.

რამდენიმე დღის სიარულის შემდეგ, მიადგნენ ერთ მდინარეს. ზედ ლამაზი ხიდი იყო გადებული და რადგან იქ იდგა დატვირთული ჯორებისა და ცხენების მთელი ქარავანი, რომელიც ხიდზე უნდა გადასულიყო, ამათ უნდა დაეცადათ, სანამ ქარვანი მეორე ნაპირას გავიდოდა. თითქმის ყველანი რომ გავიდნენ, შემთხვევით ერთი ჯორი გაკერპდა, როგორც ეს ხშირად იციან ჯორებმა, და არაფრის გულისათვის არ უნდოდა წინ ნაბიჯი გადაედგა.

ერთმა გამრეკავმა აიღო სახრე და ჯერ ნელა დაუწყო ცემა, იქნებ გავიდესო, მაგრამ ჯორი გზის ხან ერთ მხარეს მიადგებოდა, ხან მეორეს, ხანაც უკან დაიხევდა, წინ კი არაფრის გულისათვის არ უნდოდა ფეხი გადაედგა. ამიტომ საშინლად გაბრაზებულმა მეჯორემ უწყალოდ დაუწყო ცემა სახრით თავში, გვერდებში, ზურგში, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. მელისო და ჯოზეფო ამ ამბავს უყურებდნენ, მერე ვეღარ მოითმინეს და შეუტიეს მეჯორეს: რასა შვრები, შე ოხერო! აგრე ხომ მოკალი საცოდავი პირუტყვი! რატომ არ გინდა მშვიდად და დაყვავებით გაიყვანო, ასე უფრო ადვილად გავა, ვიდრე ცემითა, როგორც შენ შვრებიო. ამაზე მეჯორემ უპასუხა: „თქვენ, ჩემო ძმაო, თქვენი ცხენების ამბავი იცით და მე კიდევ ჩემის ჯორისა ვიცი! რა გესაქმებათ, მე ვიცი და ამანა!“ ესა თქვა და ხელახლა გადაუჭირა სახრე ერთი თუ ორი, ასე რომ, ჯორი წინ წავიდა და მეჯორემ ბოლოს მაინც თავისი გაიყვანა.

ის იყო, ახალგაზრდა მგზავრებს გზა უნდა განეგრძოთ, რომ ჯოზეფომ ერთ კაცსა ჰკითხა, ხიდის ყურში რომ იჯდა — ამ ხიდს რა ჰქვიაო? ამას ბატონებო, „ბატის ხიდი“ ჰქვიაო, —უპასუხა კაცმა. ჯოზეფომ ეს რომ გაიგონა, მოაგონდა სოლომონ ბრძენის ნათქვამი სიტყვები და მელისოს მიუბრუნდა: „უნდა გითხრა, ჩემო მეგობარო, რომ სოლომონის მიერ მოცემული რჩევა ნამდვილი და კარგი უნდა იყოს, იმიტომ რომ ნათლადა ვხედავ, რომ არ მცოდნია ჩემი ცოლისათვის როგორ მეცემნა, მაგრამ ამ მეჯორემ კი დამანახვა, თუ რა უნდა ვქნა ხოლმე“.

აქედან რამდენიმე დღეში ანტიოქიაში ჩავიდნენ. ჯოზეფომ მელისოსა სთხოვა, ერთხანს ჩემთან დარჩი და დაისვენეო. ცოლი გულცივად დაუხვდა ქმარს. ჯოზეფომ უბრძანა — ვახშმად ის გააკეთე, რაც სტუმარმა გიბრძანოსო. მელისომ მასპინძელს ხათრი არ გაუტეხა და რამდენიმე სიტყვით უთხრა მის ცოლს, რაც უნდა გაეკეთებინა. ცოლმა, თავისი ჩვეულების თანახმად, ისე კი არ გააკეთა, როგორც მელისომ უთხრა, არამედ თითქმის იმის წინააღმდეგ.

ეს რომ ჯოზეფომ დაინახა, გულმოსულმა შეუტია: „ქალო, აკი ნათქვამი გქონდა, როგორ უნდა გაგეკეთებინა ვახშამი?!“ ცოლმა ზვაობით უპასუხა: „ნეტავ რა გნებავს? თუ ვახშამი გინდა, ჭამე. მერე რა, რომ მქონდა ნათქვამი! მე ვარ და ასე მინდოდა გამეკეთებინა! თუ გინდა — კარგი, თუ არა და, რაც გენებოს, ისა ჰქენ“.

მელისოს ძალიან გაუკვირდა ქალის ნათქვამი და დიდი საყვედური უთხრა, ასეთი პასუხი როგორ გეკადრებაო! ჯოზეფომ ეს რომ გაიგონა, უთხრა: „ქალო, გეტყობა, ისეთივე დარჩენილხარ, როგორიც იყავი, მაგრამ მე ულვაშები ნუ მსხმია, თუ შენ ეგ წესი არ მოგაშლევინე“. მერე მელისოს მიუბრუნდა და უთხრა: „ჩემო კარგო, ახლავე დავინახავთ, თუ რას ნიშნავდა სოლომონის რჩევა, მხოლოდ ერთსა გთხოვ: რაც დაინახო, საწყენად არ დაგრჩეს და ჩემი საქციელი ხუმრობაში ჩამომართვი, ხელის შეშლა რომ მოინდომო, გეთაყვა, მოიგონე, რა გვითხრა მეჯორემ, როცა მისი ჯორი შეგვეცოდა“. ამაზე მელისომ უთხრა: ჩემო

კეთილო, მე შენს ჭერს ქვეშა ვარ და ჩემგნით არა ჰხამს შენი სურვილის საწინააღმდეგო რამე ვქნაო.

მოძებნა ქორფა მუხის მსხვილი სახრე, შევიდა ოთახში, სადაც სუფრიდან გამწყრალი და ბუზღუნით წამომდგარი ცოლი იჯდა, დაავლო ხელი ნაწნავებში, ფეხქვეშ ამოიდო და მოურთო საშინლად სახრე. ქალმა ჯერ კივილი დაიწყო, მერე დაემუქრა, მაგრამ როცა დაინახა, ჯოზეფო მაინც არა ცხრებაო, მთლად დაბეჟილმა დაუწყო ხვეწნა: იწამე ღმერთი, სულ ნუ მომკლავ და პირობას გაძლევ — დღეიდან შენი მონა-მორჩილი ვიქნებიო. მაგრამ ჯოზეფო ცემას თავს არ ანებებდა; პირიქით — უარესად გაალმასებული სცემდა ხან გვერდებში, ხან ზურგზე, ხანაც მხრებზე, ხან კიდევ სათითაოდ ნეკნებზე, და მაშინღა დაანება თავი ცემას, როცა დაიღალა; ერთი სიტყვით, ქალს ერთი ძვალი და ზურგზე ერთი ადგილი არ შერჩენია დაუჟეჟავი.

ეს რომა ქნა ჯოზეფომ, მივიდა მელისოსთან და უთხრა: ხვალა ვნახავთ, თუ როგორი გამოდგება რჩევა-დარიგება — „ბატის ხიდზე“ გაიარეო. მერე ცოტათი დაისვენა, შემდეგ ხელები დაიბანა, მელისოსთან ერთად ივახშმა, დაბოლოს, ძილის დრო რომ დადგა, ორნივე დაწვნენ. საცოდავი ქალი რის ვაივაგლახით წამოდგა, დაეგდო ლოგინზე და ეცადა დაესვენა. მეორე დილას ადრიანად წამოდგა და ჯოზეფოსათვის აკითხვინა, სადილად რას ინებებო? ჯოზეფომ და მელისომ ამაზე ერთხანს იცინეს და მერე ჯოზეფომ განკარგულება გასცა, რაც უნდა გაეკეთებინა. სადილობისას რომ დაბრუნდნენ, ყველაფერი მისი ბრძანების თანახმად იყო დამზადებული. ამიტომ პირველად მათ მიერ ცუდად გაგებული რჩევა-დარიგება ძალიან აქეს.

რამდენიმე დღის შემდეგ მელისო ჯოზეფოს გამოეთხოვა და, შინ რომ დაბრუნდა, ერთ ჭკვიან კაცს სოლომონისაგან განაგონი უამბო. ამ კაცმა ასე უთხრა: იმას შენთვის ამაზე უკეთესი და ნამდვილი რჩევის მოცემა არც შეეძლოო. შენ ხომ იცი, რომ არავინ გიყვარს და თუ ვისმე პატიჟებ და პატივსა სცემ ხოლმე, სხვათა სიყვარულით კი არ მოგდის, არამედ ცუდმედიდობითაო. მაშასადამე, შეიყვარე, როგორც სოლომონ ბრძენს უთქვამს, და შენც შეგიყვარებენო.

ამგვარად, დასჯილ იქნა ჯიუტი ქალი, ხოლო ახალგაზრდა კაცმა სხვა შეიყვარა და ისიც შეიყვარეს.

ამბავი მეათე. ნათლიმამა პიეტროს ჭაკი

მამა ჯიანიმ ნათლიმამა პიეტროს თხოვნით შეულოცა, რომ მისი ცოლი ჭაკად ქცეულიყო; როცა კუდი უნდა მიება, ნათლიმამა პიეტრომ უთხრა — კუდი საჭირო არ არისო და შელოცვასაც ძალა წაერთვა.

დედოფლის ნათქვამი ამბავი, ცოტა არ იყოს, არ მოეწონათ ქალებს, ხოლო ყმაწვილებისათვის კი სასაცილო იყო. ყველანი რომ დაჩუმდნენ, დიონეომ ასე დაიწყო: — მშვენიერნო, თეთრი მტრედების სილამაზე უფრო გამოჩნდება, როცა მათში გაერევა შავი ყორანი, ვიდრე თეთრი გედი. მსგავსადვე, ზოგჯერ მრავალ ბრძენ ადამიანთა შორის ნაკლებ ბრძენი კაცი მათს გონებრივ სიმწიფეს არა მარტო მეტ სილამაზესა და ბრწყინვას მატებს, არამედ, ამხიარულებს და ართობს ხოლმე. ამიტომ თქვენ, როგორც ჭკვიანები და თავმდაბალნი, მით უფრო უნდა დამაფასოთ მე, ცოტათი მოსულელო ადამიანი, რომელიც თქვენს ქველობას უმეტესად აბრწყინებს, ვიდრე მაშინ გავაბრწყინებდი, მე რომ დიდი ღირსებანი მქონოდა და თქვენი ღირსებანი დამეჩრდილა. ამიტომ მე უნდა მეტი თავისნებობის უფლება მომეცეს დავამტკიცო, რაცა ვარ, ხოლო ამ შემთხვევაში თქვენ მით უფრო მოთმინებით უნდა მომისმინოთ ის, რასაც გიამბობთ, ვიდრე იმ შემთხვევაში მომისმენდით, მე რომ უფრო ბრძენი ვყოფილიყავ. მაშასადამე, უნდა გიამბოთ ერთი პატარა ამბავი, რომლისგანაც თქვენ მიხვდებით, თუ რაზომ ჯერ არს ზედმიწევნით ავასრულოთ ხოლმე ყოველი ბრძანება იმათი, ვინც ამა თუ იმ საქმეს შელოცვის ძალით აკეთებენ, და ან სულ მცირედი შეცდომა, ასეთ საქმეში ჩადენილი, როგორ აფუჭებს ყოველივეს, რაც შემლოცველმა უნდა გააკეთოს.

ამას წინათ ბარლეტაში ცხოვრობდა ერთი მღვდელი, სახელად დონ ჯიანი დი ბაროლო ერქვა. ღარიბი მრევლი ჰყავდა და ცხოვრების სახსრის საშოვნელად ცხენით სავაჭრო დაჰქონდა იქით-აქეთ პულიის ბაზრობაზე; რასაც ერთგან ყიდულობდა, იმას მეორე ადგილასა ჰყიდდა. ამ სიარულის დროს ძალიან დაუახლოვდა ერთ კაცს, რომელსაც პიეტრო დი ტრესანტი ერქვა. ესეც მისივე ხელობისა იყო და გასაყიდი საქონელი ერთი სახედრით დაჰქონდა. სიყვარულისა და მეგობრობის ნიშნად, როგორც პულიის მცხოვრებთ ჰქონდათ ხოლმე ჩვეულებად, „ნათლიმამა პიეტროს“ ეძახდა. პიეტრო, როცა კი მოვიდოდა ბარლეტაში, მღვდელი მაშინვე თავის ეკლესიაში წაიყვანდა, თავის სახლში დააბინავებდა და, რაც შეეძლო, პატივს სცემდა.

მეორე მხრივ, ნათლიმამა პიეტრო ძალზე ღარიბი იყო. ერთი პატარა ქოხი ჰქონდა, სადაც ძლივას ეტეოდნენ თვითონ, მისი ახალგაზრდა ლამაზი ცოლი და სახედარი. დონ ჯიანი როცა კი მოვიდოდა ტრესანტიში, პიეტრო მაშინვე წამოიყვანდა, ცდილობდა სამაგიერო გადაეხადა იმ პატივისცემისათვის, ბარლეტაში რომ ღებულობდა მღვდლისაგან და,

რამდენადაც შეეძლო, თავის მხრით თავს არ იზოგავდა მისდა პატივსადებლად. მაგრამ რაიცა შეეხება საწოლს, ნათლიმამა პიეტროს მხოლოდ ერთი პატარა საწოლი ჰქონდა, სადაც მასა და მის ცოლს ეძინა ხოლმე და სტუმრისათვის საწოლი არ ებადა და არ შეეძლო მისთვის პატივი ეცა ისე, როგორც ეკადრებოდა: ბაგაზე მის სახედართან ერთად დონ ჯიანის ჭაკიც ება და მეტი გზა არ იყო, დონ ჯიანი ჭაკის გვერდითა წვებოდა თხლად დაყრილ ჩალაზე.

ცოლმა იცოდა, თუ რა პატივსა სცემდა მის ქმარს მღვდელი ჯიანი და ამიტომ როცა ეს უკანასკნელი დასაწოლად ღამე მათსა მოვიდოდა, ქალი ეტყოდა ხოლმე: მე ჩემ მეზობელ ზიტა კარაპრეზა ჯუდიჩე ლეოს ქალთან გეახლებით დასაწოლად და თქვენ კი ჩემს ქმართან მოისვენეთო. მაგრამ მღვდელი ყოველთვის უარს ეუბნებოდა და, სხვათა შორის, ერთხელ ასე უთხრა: „ჩემო ნათლიდედ ჯემატა, ჩემი დარდი ნუ გაქვს, კარგადა ვარ, რადგან როცა მინდა, ჩემს ჭაკს ლამაზ ქალად ვაქცევ და მასთან ვწევარ და მერე ისევ ჭაკად ვაქცევ ხოლმე და ამიტომ იმას ისე ადვილად ვერ მოვშორდები“.

ახლაგაზრდა ქალს ძალიან გაუკვირდა და დაიჯერა. მერე ქმარს უამბო და დასძინა: „თუ შენთან მართლა ისე კარგადაა, როგორც შენ ამბობ, რატომ არ ეტყვი, გასწავლოს შელოცვა და შენც შეგეძლოს ჭაკად მაქციო ხოლმე და მაშინ ორივეს ამუშავებდი: ჭაკ ცხენსაც და სახედარსაც და მეტს მოვიგებდით, და შინ რომ დავბრუნდებოდით, ისევ ქალად მაქცევდი, როგორც ახლა ვარ“.

ნათლიმამა პიეტრო უფრო ბრიყვი იყო, ვიდრე ჭკვიანი, დაიჯერა ეს ამბავი, ცოლის რჩევას დაეთანხმა და, როგორადაც შეეძლო, თხოვნა დაუწყო მამა ჯიანის — მასწავლე ამის შელოცვაო. მამა ჯიანი შეეცადა დაერწმუნებინა გლეხი, რომ ეს სისულელეაო, მაგრამ ვერას გახდა და უთხრა: „კარგი, რაკი მაგრე გულით გინდა, რა გაეწყობა, ხვალ დილას ადრე ავდგებით და გაჩვენებ, როგორც უნდა გაკეთდეს, მხოლოდ უნდა კი გითხრა, რომ ამ საქმეზე ყველაზე ძნელია კუდის მიბმა, როგორც შენ თვითონ დაინახავ.“

ნათლიმამა პიეტროსა და ნათლიდედა ჯემატას მთელი ღამე თითქმის არა სძინებიათ (ისეთი მოუთმენლობით მოელოდნენ ამ საქმეს). ინათა თუ არა, ადგნენ და დაუძახეს მამა ჯიანის. ისიც ადგა და ისევე პერანგა შემოვიდა ნათლიმამას ოთახში და უთხრა: „ამ საქმეს თქვენს გარდა ქვეყანაზე არავის გავუკეთდები და, რაკი გინდათ, გაგიკეთებთ: იცოდეთ, რომ თუ გინდათ, საქმე გაკეთდეს, რასაც გეტყვით უნდა შეასრულოთ“. ცოლ-ქმარმა უპასუხა, — რასაც გვიბრძანებთ, ყველაფერს ზედმიწევნით ავასრულებთო. მაშინ მამა ჯიანიმ მოუკიდა სანთელს, ნათლიმამა პიეტროს დააჭერინა და უთხრა: „კარგად უყურე, რასაც გავაკეთებ და კარგადაც დაიხსომე, რაცა ვთქვა. მხოლოდ ფრთხილად იყავ: თუ გინდა შრომამ ტყუილად არ ჩაგვიაროს, რაც უნდა დაინახო ან გაიგონო, ხმა-კრინტი არ დასძრა და ღმერთს სთხოვე,

კუდი კარგად გამოებას.“

ნათლიმამა პიეტრომ გამოართვა სანთელი და უთხრა, ყველაფერს ავასრულებო. მერე მამა ჯიანიმ ნათლიდედა ჯემატას ტანთ გაახდევინა და ხელ-ფეხი ძირს დააბჯენინა იმ სახით, რა სახითაც ცხენები დგანან ხოლმე და იმასაც ასწავლა: რაც უნდა მოხდეს, ხმა-კრინტი არ დასძრაო. შემდეგ მღვდელმა ხელი გადაუსვა სახეზე და თავზე და წარმოსთქვა: „იყავნ ესე მშვენიერი თავი ცხენისა“. შეახო ხელი თმასა და წარმოთქვა:

„იყავნ ესე მშვენიერი ფაფარი ცხენისა“; შეახო ხელი მკლავებსა და წარმოთქვა: „იყვნენ ესე მშვენიერი ფეხები და ჩლიქები ცხენისა;“ მერე მოავლო ხელები ძუძუებს და რომ დაინახა სავსე და მკვრივი იყო, გაეღვიძა და თავი წამოჰყო მისი სხეულის ისეთმა ნაწილმა, რომლისათვის არ დაუძახნია, და წარმოთქვა: „იყავნ ესე მშვენიერი ძუძუები ცხენისა“. იგივე თქვა ზურგისა, მუცლისა, უკანალისა, ბარძაყებისა და ფეხების შესახებ. და ბოლოს, როცა კუდის მეტი არაფერი რჩებოდა გასაკეთებელი, აიწია პერანგი, ხელი მოჰკიდა პალოს და ბუნებრივ შესაყოფელში სწრაფად შეუყო ის ნერგი, რომლითაც ისა რგავდა ხოლმე ადამიანებს და წარმოთქვა: „იყავნ ესე მშვენიერი კუდი ცხენისა“.

ნათლიმამა პიეტრომ, რომელსაც აქამდე ყველაფერს გულდასმით ადევნებდა თვალყურს, ეს უკანასკნელი რომ დაინახა, როგორღაც ჭკუაში ვერ დაუჯდა და დაუწყო ძახილი: „მამაო ჯიანი, არ მინდა კუდი, არ მინდა!“ ის იყო, დაინამა პალო, რომლითაც ყოველგვარ მცენარეს რგავენ ხოლმე, როდესაც მამა ჯიანიმ უკანვე გამოიღო და საყვედურით უთხრა: „ნათლიმამ, ეგ რა ჰქენი, შე კაი კაცო! აკი გითხარი, რაც უნდა ნახო, ხმა არ ამოიღო-მეთქი? ცხენი თითქმის სულ მზად იყო, მაგრამ შენ ლაპარაკი დაიწყე თუ არა, ყველაფერი გააფუჭე და ხელახლა საქმის გამობრუნება შეუძლებელია“ ამაზე ნათლიმამა პიეტრომ უპასუხა: „კი, მაგრამ ეს კუდი არ მინდოდა; რატომ არ მითხარი, შენ თვითონ გააკეთეო? და ესეც არ იყოს, მეტად დაბლა უკეთებდი“. მამა ჯიანიმ უთხრა:

„იმიტომ, რომ შენ პირველად ჩემებრ ვერ გაუკეთებდი“.

ქალმა ეს ლაპარაკი რომ გაიგონა, წამოდგა და სრულებით გულწრფელად უსაყვედურა ქმარს: „რა სულელი რამა ხარ! არა, რატომ გააფუჭე შენი და ჩემი საქმე?!.. აბა სად გინახავს ჭაკი უკუდოდ! ღმერთო, შენ შეგვიწყალე! ახლა ღარიბი ხარ, მაგრამ ახი იქნება შენზე, სულ უარესად გაღარიბდებოდე“. და რადგან ნათლიმამა პიეტროს სიტყვების გამო არ შეიძლებოდა ახალგაზრდა ქალი ჭაკად გადაქცეულიყო, დაღონებულმა და მობუზღუნემ ტანთ ჩაიცვა. ხოლო ნათლიმამა პიეტრომ ძველებურად გაიგდო წინ თავისი სახედარი და მამა ჯიანისთან ერთად თავისი საქმისათვის ბიტონტოს ბაზრობაზე წავიდა, და ამას შემდეგ თავის დღეში არ უთხოვია მღვდლისათვის — ცოლი ჭაკად გადამიქციეო.

***

ამ ამბავმა თუ რა გულიანად აცინა ქალები, რომლებიც იმაზე მეტად მიხვდნენ მის შინაარს, ვიდრე დიონეოს უნდოდა, ამას დაე მიხვდეს ის, ვისაც ამ ამბავზე ჯერ არ უცინია და შემდეგში გაიცინებს.

ამგვარად, ამბების თქმა გათავდა და მზის სიცხემაც იკლო; დედოფალი, რაკი ნახა, ჩემი დედოფლობა მიიწურაო, ზეზე წამოდგა, მოიხადა გვირგვინი, თავზე დაადგა პამფილოს, რადგან მარტო ის რჩებოდა, რომ ასეთი პატივი ჯერ არ ღირსებოდა, და ღიმილით უთხრა: „ჩემო მბრძანებელო! შენ, როგორც უკანასკნელს, დიდი ტვირთი გაწევს: გამოასწორო როგორც ჩემი ნაკლი, ისე ნაკლი სხვებისა, რომელთაც ეჭირათ ეს თანამდებობა, ახლა შენზე რომ გადმოდის. ღმერთმა გარდამოავლინოს შენზე წყალობა თვისი ისევე, როგორც მე ღირსმყო, მეფედ დამედგინე შენ“.

პამფილომ ეს პატივი მხიარულად მიიღო და უპასუხა: „თქვენი ქველობისა და აგრეთვე სხვა ჩემს ქვეშევრდომთა ქველობის წყალობით, როგორც სხვები ეღირსნენ ქება— დიდებას, ისე მეცა მაქვს იმედი ღირს ვიქნე ამ ქება-დიდებისა“. თავის წინამოადგილეთა მსგავსად მოელაპარაკა სინისკალკოს, რაც რამ გასაკეთებელი იყო, მერე მის მომლოდინე ქალებს მიუბრუნდა და მოახსენა: „სასურველნო, ჩვენ დღევანდელ ნადედოფლარ ემილიას გამსჯელობამ თქვენ ნება მოგცათ, რათა თქვენი ძალ-ღონე, ცოტა არ იყოს, დაგესვენებინათ, გემსჯელათ იმაზე, რაც თქვენ გეამებოდათ. ამიტომ, რაკი დასვენებულები ბრძანდებით, მე რომ მკითხოთ, კარგი იქნება დავუბრუნდებოდეთ ჩვენს მიერ შემოღებულ წესს. ამიტომ მსურს თითოეული თქვენგან სახვალიოდ მოემზადოს და ილაპარაკოს იმათზე, ვინც რაიმე სიუხვე ან სულგრძელი საქციელი გამოიჩინა სიყვარულისა თუ სხვა საქმეში. როცა ასეთ საქმეებზე ლაპარაკობთ ან მათ ასრულებთ, ცხადია, თქვენ სულიერად აღიგზნებით ქველ საქმეთადმი, მათდამი უკვე კეთილმიდრეკილნი და სიცოცხლე ჩვენი, რომელიც მოკვდავ სხეულში მხოლოდ წამიერად შეიძლება იყოს, გახანგრძლივებული იქნება იმით, რომ საქებარი სახელი დაგვრჩება. და ამ სახელის მოხვეჭას არამცთუ უნდა ნატრობდეს ყოველი ჩვენგანი, არამედ ყოველი ღონისძიებით უნდა ცდილობდეს ეწიოს მას და საქმითაც განახორციელოს“.

განზრახვა ძალიან მოეწონა მხიარულ კრებულს. ახლა მეფის ნებართვით ზეზე წამოდგნენ და ხელი მიჰყვეს ჩვეულებრივ გასართობებს, თან თითოეულმა მათგანმა ის გასართობი აირჩია, რაც უფრო მისი გულისა იყო და ასე გაატარეს დრო ვახშმობამდე. სავახშმოდ თავი მოიყარეს და მშვენიერ ვახშამს შეექცნენ მხიარულად. ნავახშმევს წამოიშალნენ, რომ გაეჩაღებინათ ჩვეულებრივი ცეკვა-თამაში. იმღერეს მრავალი კანცონა, რომლებიც ისე მოხდენილი არ იყო სასიმღეროდ, როგორც სასაცილო იყო შინაარსით. მერე მეფე ნეიფილეს მიუბრუნდა და უბრძანა: ერთი შენი კანცონაც თქვი რამეო. იმანაც რაკრაკა,

მხიარული და საამო ხმით დაუყოვნებლივ დაიწყო: ნორჩი ვარ და მე ამ გამოზაფხულზე სიხარული სულით, გულით მწყურია, — ჩემი ლხინის ფუძე სიყვარულია. სასეირნოდ აჰა მწვანე ველები.

თვალწინ მიჩანს ხალი ყვავილებისა: აქ სუმბულებს აუმართავთ ყელები, იქ გაშლილან ბუჩქები ვარდებისა.

ამ ჭრელ ველზე მე იმნაირს დავეძებ, ვინც მე ცეცხლის წამიკიდა ალები, ვის წინაშე მსურს მუხლებზე დავეცე, ვინცა მიყვარს, ვისაც ვენაცვალები.

როს ვიპოვნი მე, ყვავილთა მზვერავი, მას, რაც არის შენი მისამსგავსები, მოვსწყვეტ მყის და ვერ გაიგებს ვერავინ, თუ ვით ვკოცნი, როგორ ვებაასები, ფიანდაზად ვით გადვუშლი მე გულსა, ჩემს მშვენიერ საგრფოს როგორ ვადარებ; მერე, ჩემი კულულებით შეკრულსა

და შეხლართულს, გვირგვინივით ვატარებ.

შვენებანო სოფლის მინდორ-ველისა, ჩემი შვება ციურ სიტკბოს ედარა, თითქოს თავად შემხვედროდეს მე ისა, ვინც ესოდენ მტანჯა და მანეტარა.

ხოლო თქვენი ფაქიზი სურნელება

ყნოსვითაა ისე დამატკბობელი, რომ სიტყვების წარმოთქმა მეძნელება, მხოლოდ ოხვრით ვარ მე საგრფოს მხმობელი.

სხვათა ქალთა სულთქმა კვნესის დარია, აღსავსეა ჭმუნვით და მწუხარებით.

ჩემი სულთქმა თბილი და დამტკბარია, მიჰფრენს იგი საგრფოსთან აჩქარებით, რა წამსაც კი სურვილი მებადება.

როცა იგი ამ სულთქმას გაიგონებს, სანუგეშოდ ჩემად განემზადება და, რომ მნახოს, ყოველ ღონეს იღონებს.

როგორც მეფეს, ისე მთელ კრებულს მეტად მოეწონა ნეიფილეს კანცონეტა. ამის შემდეგ, რადგან ღამე კარგად იყო გადასული, მეფემ უბრძანა, ყველა მოსასვენებლად წასულიყო მეორე დღემდე.

მეათე დღე

დასრულდა მეცხრე დღე დეკამერონისა; იწყება მეათე და უკანასკნელი, როდესაც, პამფილოს მეფობაში, ლაპარაკობენ იმათზე, ვინც რაიმე სიუხვე ან სულგრძელი საქციელი გამოიჩინა სიყვარულსა თუ სხვა საქმეში.

დასავლეთით ჯერ კიდევ ღვიოდა თითო-ოროლა ღრუბელი, ხოლო აღმოსავლეთით ამომავალი მზის სხივები ამ ღრუბლებს ეცემოდა. ეს ღრუბლები თანდათან ახლოვდებოდნენ, მათი ნაპირები ოქროსფრად აბრჭყვიალდა. ამასობაში პამფილო ადგა და ქალები და თავის ამხანაგები მოახმობინა. ყველანი რომ მოგროვდნენ, მათთან ერთად მოილაპარაკა, თუ სად უნდა წასულიყვნენ გასართობად. იქით-აქეთ ფილომენა და ფიამეტა ამოიყენა და ნელი ნაბიჯით გასწია წინ, ხოლო სხვები უკან გაჰყვნენ. ბაასობდნენ თავიანთ შორის ბევრ რამეზე, მომავალი ცხოვრების შესახებ, ერთმანეთს კითხვა-პასუხს აძლევდნენ და ასე კარგახანს სეირნობდნენ. უკვე საკმაო გზა ჰქონდათ გავლილი, მზე კარგად ამოიწვერა და ძალზე დააცხუნა და ესენიც სასახლეში დაბრუნდნენ. აქ ბროლივით კამკამა წყაროსთან ჭიქები გამორეცხეს, ვისაც უნდოდა, წყალი დალიეს და მერე სადილობის დრომდე ბაღის ჩრდილში იქით-აქეთ დაიწყეს ხეტიალი. მერე ისადილეს და, როგორც ჩვეულება ჰქონდათ, დაიძინეს; შემდეგ თავი მოიყარეს იქ, სადაც მეფეს ენება, და აქ პირველად ამბის დაწყება მეფემ ნეიფილეს უბრძანა, და იმანაც კისკასად ასე დაიწყო.

ამბავი პირველი. მეფის ჯორი

ვინმე რაინდი ესპანეთის მეფეს ახლავს. რაინდსა ჰგონია, გასამრჯელოს საკმაოდ არა ვღებულობო. ამიტომ მეფემ დაუმტკიცა: ეს ჩემი ბრალი კი არ არის, თქვენი უბედო ბედის ბრალიაო. ამის შემდეგ მეფემ რაინდი უხვად დააჯილდოვა.

უზომო პატივად უნდა ჩავთვალო, მაღალღირსნო მანდილოსანნო, რომ ჩვენმა მეფემ მე მომანდო ისეთი საქმე, როგორიც არის სულგრძელობაზე ამბის თქმა; ვინაიდან, უნდა მოგახსენოთ, როგორც მზე მთელი ზეცის სილამაზე და მშვენებაა, ისე სულგრძელობა ბრწყინვა და სინათლეა სხვა ყოველი სათნოებისა. ასე რომ, მოგითხრობთ ერთ, ჩემის აზრით, მეტად მხიარულ ამბავს. მისი მოგონება, უეჭველია, რაშიმე გამოგვადგება.

უნდა მოგახსენოთ, რომ სხვა მამაც რაინდთა შორის, რომელთაც ჩვენს ქალაქში ოდითგანვე უცხოვრიათ, გახლდათ ერთი ვინმე მესერ რუჯიერი დეი ფიჯოვანი, რომელიც, იქნება, სხვაზე უმეტესადაც ღირსეული ყოფილიყო. მდიდარი და სულით ახოვანი რაინდი

ხედავდა, რომ ტოსკანაში სულ სხვა ზნე-ჩვეულება აქვთ და სულ სხვა პირობები არსებობს ცხოვრებისაო და მე რომ აქ დავრჩე, ჩემს მამაცობას სრულებით ვერ გამოვიჩენო, და ამიტომ არჩია ერთხნობით წასულიყო ესპანეთის მეფე ალფონსოსთან, რომლის ქება და დიდება მაშინ აღემატებოდა სხვა ყოველი მბრძანებლის დიდებას. საუცხოოდ შეიარაღდა, კარგ ტაიჭს მოაჯდა, შესაფერი მხლებლები იახლა და გასწია ესპანეთში. იქაური მეფეც მოწყალებით დაუხვდა. მშვენივრად ცხოვრობდა აქ რუჯიერი, სამხედრო ასპარეზობით ყველას აკვირვებდა და მოკლე ხანში მეტად მამაცი კაცის სახელი გაითქვა.

აქ რუჯიერიმ საკმაო ხანი დაჰყო, აკვირდებოდა მეფის ზნე-ჩვეულებას და ხედავდა, რომ მეფე ხან ერთსა და ხან მეორეს, ცოტა არ იყოს, განუსჯელად გაუბოძებდა ხოლმე კოშკებს, ქალაქებს თუ საბარონოებს, იმიტომ რომ უბოძებდა ხოლმე ისეთებს, ვინც ამის ღირსნი არც კი იყვნენ. და რადგან გრძნობდა, თუ რისი ღირსი იყო თვითონ და ჩუქებით კი არაფერი უჩუქებია მისთვის მეფეს, თქვა, თუ ასე ვუყურე, რა საჭიროა, ჩემი სახელი სულ დაიჩრდილებაო და გადაწყვიტა წასვლა, და მეფეს გაშვების ნება სთხოვა. მეფემ წასვლაზე ნება დართო და ერთი ისეთი ჯორი აჩუქა, რომ სილამაზითა და სახედნობით ტოლი არ ჰყავდა. რუჯიერის ძალიან გაეხარდა ასეთი ჯორის ჩუქება, რადგან გრძელი გზა ედო წინ. ამის შემდეგ მეფემ ერთ-ერთ თავის ჭკვიან მხლებელთაგანს უბრძანა: როგორმე მოახერხე და რუჯიერის ისე გაჰყევი, რომ ეჭვი არ აიღოს, ვითომ ჩემგან იყო მიჩენილი; რაც რაინდმა ჩემზე ილაპარაკოს, ვინძლო ყველაფერი დაიხსომო, რომ მერე მიამბო და მეორე დილას ისევ ჩემთან დააბრუნეო. კარისკაცს თვალყური ეჭირა, აცა, რუჯიერი როდის გავა ქალაქიდანაო და, გავიდა თუ არა, ოსტატურად აედევნა სამგზავროდ და თანაც უთხრა, მეც იტალიისაკენ მიდევს გზაო.

იჯდა მესერ რუჯიერი მეფის ნაჩუქარ ჯორზე და მიდიოდა, თანაც იქითურ-აქეთურზე ლაპარაკობდა. მესამე საათი იქნებოდა, რომ რაინდმა თქვა: მოდი ერთი, თავლაში შევიყვანოთ ცხენები და მოვაშარდვინოთო. შეიყვანეს ერთ თავლაში და ჯორს გარდა სხვა ცხენებმა ყველამ მოშარდა. განაგრძეს გზა. მეჯინიბეს ყურები მახვილად ეჭირა, რაინდის ნათქვამი არაფერი გამოჰპარვოდა. ამასობაში მიადგნენ ერთ მდინარეს.

წყალში შევიდნენ, ცხენი გააჩერეს, რომ წყალი დაელევინებინათ, ამ დროს ჯორმა პირდაპირ წყალში მოშარდა. მესერ რუჯიერიმ ეს რომ დაინახა, ჯორს მიმართა: აი შე სამგლევ, შენა! სულ ისე არ იქცევი, როგორც იქცეოდა შენი პატრონი, რომელმაც შენი თავი მაჩუქაო. მეფის მსახურმა ყური მოჰკრა რუჯიერის ნათქვამს. განაგრძო მასთან მოგზაურობა და მთელი დღის განმავლობაში სხვაც ბევრი რამ გაიგონა მისგან, მაგრამ ერთი სიტყვა არ წამოსცდენია, რომ შიგ მეფის ქება არ ყოფილიყო. ამიტომ მეორე დილას ცხენზე რომ შესხდნენ და ტოსკანისაკენ უნდა განეგრძოთ გზა, მეფის კარისკაცმა რუჯიერის მეფის ბრძანება მოახსენა და ისიც დაუყოვნებლივ უკან მოტრიალდა.

როცა მეფემ გაიგო რუჯიერის რაც ეთქვა ჯორის გამო, იხმო, ალერსიანად მიეგება და ჰკითხა: რად დამამსგავსე ჩემს ჯორს, ანუ უკეთ, ჯორი მე რად დამამსგავსეო? მესერ რუჯიერიმ პირდაპირ მოახსენა: იმიტომ გკადრეთ და ჯორს მიგამსგავსეთ, რომ როგორც თქვენ იმას უბოძებთ ხოლმე საბოძვარს, ვინც ღირსი არ არის ამისა, ხოლო ვინც ღირსი გახლავთ, იმას არ უბოძებთ, ისე თქვენმა ჯორმა იქ კი არ მოშარდა, სადაც ჯერ იყო, არამედ იქ მოშარდა, სადაც ეს არ უნდა ექნაო. ამაზე მეფემ ბრძანა: „მართალია, სხვებს ვასაჩუქრებდი ხოლმე და თქვენთვის კი არაფერი მომიცია. სხვები თქვენთან შედარებით სახსენებელნიც კი არ არიან, მაგრამ ეს იმიტომ კი არ მომსვლია, ვითომ თქვენ ყოვლად ღირსეულ რაინდად არა გთვლიდეთ და ყოველგვარი დიდი საჩუქრების ღირსად არ მიმაჩნდეთ. თქვენი დაუსაჩუქრებლობის მიზეზი თქვენი ბედია, რომელმაც ხელი არ შეგიწყოთ საბოძვრებით ამევსეთ, და არა მე, და ამას ახლავე ცხადად დაგიმტკიცებთ კიდეცა“. ამაზე მესერ რუჯიერიმ მოახსენა: „ჩემო ხელმწიფევ, მე სრულებით იმას არა ვწუხვარ, რომ თქვენგან არავითარი საბოძვარი არ მიმიღია, რადგან გულში არა მდებია იმ ნაჩუქარს უფრო მეტად გავემდიდრებინე, მე მხოლოდ გულს მაკლდა, რომ თქვენ არ ინებეთ და სრულებით არაფრით აღნიშნეთ ჩემი სიქველე. ჩემთვის სრულებით საკმაო გახლავთ თქვენი ბოდიში. ამას დიდ პატივად ვთვლი, და რაკი გნებავთ, მზად გახლავართ ამაში დავრწმუნდე კიდეც, თუმცა ამას დამტკიცებაც არა სჭირია, რადგან უიმისოდაც გენდობით“.

მაშინ მეფემ რუჯიერი ერთ დიდ დარბაზში შეიყვანა, სადაც, მისი წინასწარი განკარგულების თანახმად, ორი დაკეტილი ზანდუკი დაედგათ, და სხვათა თანდასწრებით უთხრა: „მესერ რუჯიერი! ერთ ზანდუკში აწყვია: ჩემი გვირგვინი, სამეფო კვერთხი, თავზე ჯვარგაკეთებული სამეფო ბურთი, მრავალი ჩემი სარტყელი სულ ერთიმეორეზე უკეთესები და ძვირფასები, ღილები, ბეჭდები და სხვა ყველა ძვირფასი ნივთები, რაც კი რამ მაბადია; მეორე ყუთი კი მიწით არის სავსე. მაშასადამე, ორში ერთი ამოირჩიეთ, არჩეული თქვენი იყოს და დაინახავთ — თქვენი ღირსება ვინ არ დააფასა, — მე, თუ თქვენმა ბედმა“. მესერ რუჯიერიმ რომ დაინახა, ასე ნებავს მეფესაო, ამოირჩია ერთი ზანდუკი. მეფემ მაშინვე გაახსნევინა და ის მიწით სავსე აღმოჩნდა. მეფეს გაეცინა და უთხრა რუჯიერის: „მესერ რუჯიერი, ხომ ნახეთ, ბედის შესახებ რასაც გეუბნებოდით, ყველაფერი მართალი მითქვამს; მაგრამ მაინც თქვენი ვაჟკაცობა ღირსია იმისა, რომ წინაღვუდგე ამ ბედის მუხანათობას. მე ვიცი, რომ თქვენ აზრად არა გაქვთ ესპანელად გადაიქცეთ და ამიტომ არ მინდა გიწყალობოთ აქ არც კოშკი და არც ქალაქი, არამედ ბედის ჯიბრზე მინდა თქვენი იყოს ის ზანდუკი, რომელსაც ეს ბედი ხელიდან გაცლიდათ, რათა შეიძლოთ თქვენს ქვეყანაში წაიღოთ და თქვენი მეზობლების წინაშე თავი მოიწონოთ თქვენი ვაჟკაცობით, რომელსაც ჩემი საბოძვრებით ვამოწმებ“.

მესერ რუჯიერიმ გამოართვა ეს ძღვენი მეფეს, შესაფერი მადლობა მოახსენა და

საჩუქრიანად მხიარულად დაბრუნდა ტოსკანაში.

ამბავი მეორე. კლუნის აბატი

გინო დი ტაკოს ტყვედ მიჰყავს კლუნის აბატი, სტომაქის ავადმყოფობისაგან მოარჩენს და მერე გაუშვებს. აბატი რომის სასახლეში რომ დაბრუნდება, გინო დი ტაკოს შეარიგებს პაპ ბონიფაციოსთან და მისთვის ჰოსპიტლის ორდენში დიდ პრიორიას მიაცემინებს.

უკვე გაისმა ქების ხმა მეფე ალფონსოს გულუხვობისა, თავისი ფლორენციელი რაინდის მიმართ რომ გამოიჩინა; ამ დროს მეფემ, რომელსაც ძალიან მოეწონა ეს, ელიზას უბრძანა — განაგრძეო. იმანაც საჩქაროდ დაიწყო: — ჩემო ნარნარო ქალებო! მეფე რომ უხვი ყოფილა და თავისი უხვობის კალთა რომ თავზე დაუბერტყავს იმ კაცისათვის, რომელიც მას ემსახურებოდა, ეს დია საქები და მართლა რომ დიდი საქმე გახლავთ. მაგრამ რაღა უნდა ითქვას ერთ სასულიერო გვამზე, რომელმაც გამოიჩინა გასაოცარი სულგრძელობა ერთი კაცის მიმართ, და ამ კაცს, იმის მაგივრად, მტრულად რომ მოქცეოდა, ამისათვის სრულებით არავინ გაჰკიცხავდა. ცხადია, მეფის საქციელი უნდა ჩაითვალოს სიქველედ, ხოლო სასულიერო გვამისა — სასწაულად, იმიტომ რომ სასულიერონი ქალებზე გაცილებით ქვაწვიები არიან და ყოველგვარი სიუხვის მოსისხლე მტრებად ითვლებიან და თუმცა ყოველ ადამიანს სწყურია შეურაცხყოფისათვის სამაგიერო გადაუხადოს ხოლმე შეურაცხმყოფელს, სასულიერონი, როგორც ამას ვხედავთ ხოლმე, თუმცა მოთმინებას ქადაგებენ და ძალზე ურჩევენ ყველას წყენა აპატიონ ხოლმე, თვითონ კი სხვებზე უმეტესი სიფიცხით ცდილობენ შური იძიონ. და აი, თუ რა სულგრძელობა გამოიჩინა ერთმა სულიერმა მამამ, ნათლად დაინახავთ ჩემი შემდეგი მოთხრობიდან.

გინო დი ტაკო, თავისი უწყალობით და ავხელობით მეტად ცნობილი და სიენიდან გაძევებული, მტრად გადაეკიდა სანტა ფიორეს გრაფებს, რომის ეკლესიას რადიკოფანები აუმხედრა, დაესახლა იქ და თავის ყაჩაღებს უბრძანა, იმ არემარეში ვინც გაივლიდა, გაუძარცვავი არ გაეშვათ. იმ ხანებში რომში პაპად იჯდა ბონიფაციო მერვე. პაპის სასახლეში ამ დროს მოვიდა აბატი კლუნი, რომელიც მთელ ქვეყნიერებაზე უუმდიდრეს სასულიერო პიროვნებად ითვლებოდა. აქ აბატს კუჭი მოეშალა და, ექიმებს რომ მიმართა, ურჩიეს, სიენას აბანოებში წაბრძანდით და უეჭველად განიკურნებითო. ამიტომ პაპის ლოცვა-კურთხევა აიღო, არ მოერიდა იმას, რომ გინოს შესახებ ისეთი ხმები დადიოდა, მდიდრულად გამოეწყო, საბარგე და შესაჯდომი ცხენები თუ მოსამსახურენი გამოიყოლა და გზას გაუდგა.

კლუნის მოახლოების ამბავი რომ გაიგო, გინომ მახე დაუგო და ერთ ვიწრო გასავალ ადგილას მოიმწყვდია აბატი და მთელი მისი ბარგი და ამალა. ამის შემდეგ ერთი თავისი

ყველაზე მოხერხებული კაცი, მარჯვე ბიჭების თანხლებით, გამოუგზავნა აბატს და ალერსიანად შეუთვალა: — წამობრძანდით ჩემს კოშკში მოსასვენებლადო. ეს რომ აბატმა გაიგონა, საშინლად გაწყრა და დაპატიჟებაზე უარი უთხრა, გინოსთან არაფერი მესაქმებაო; მე გზა მინდა განვაგრძო და აბა ვნახოთ, ვინ დამიშლისო. ამაზე მოციქულმა თავმდაბლად მოახსენა: „მესერე, თქვენ ისეთ ალაგას მობრძანდით, სადაც ჩვენ, თვინიერ ღვთის ძლიერებისა, არაფრისა გვეშინია, სადაც ყოველგვარი შეჩვენებანი და აკრძალვანი დაგმობილნი არიან; ამიტომ კეთილი ინებეთ და აირჩიეთ, რაცა ჯობდეს და ამ საქმეში პატივი ეცით გინოს“.

ამ ლაპარაკში მთელ იმ ადგილს ყაჩაღები შემოერტყნენ გარშემო. ამიტომ აბატმა რომ დაინახა, ჩემებიანად მტერს ხელში ჩავუვარდიო, უზომოდ გაჯავრდა, მაგრამ რაღას იზამდა, მოციქულთან ერთად კოშკისაკენ გაემართა, მას კიდევ უკან მიჰყვნენ ამალა და ბარგიბარხანა. აბატი ცხენიდან რომ ჩამოხტა, გინოს ბრძანებით, სასახლის ერთ პატარა, ბნელ და ვიწრო ოთახში მოათავსეს, ხოლო ამალის კაცები თავიანთი მდგომარეობისა და ღირსების მიხედვით კოშკში შესაფერად დააბინავეს, ცხენები და ბარგი თავ-თავის ალაგას მოათავსეს ისე, რომ ხელი არაფრისათვის უხლიათ. როცა ყველაფერი მიალაგ— მოალაგეს, გინო წავიდა აბატთან და უთხრა: „მესერე გინომ, ვისი სტუმარიცა ბრძანდებით, გთხოვათ უბრძანოთ, თუ რად მობრძანდებით ან რა საქმისათვის“. აბატმა, როგორ ჭკვიანმა კაცმა, თავის ქედმაღლობას ცოტათი დაუწია და აუხსნა, სად და რისთვის მიდიოდა. გინომ ეს რომ გაიგონა, მოშორდა და იფიქრა, მოდი, უაბანოოდ განვკურნო სენისაგანო... დაანთებინა მის ოთახში დიდი ცეცხლი, უბრძანა, განუწყვეტლივ შეეკეთებინათ შეშა და ოთახისათვის კარგად ეგდოთ ყური; თვითონ კი აბატის სანახავად მეორე დილამდე არ მოსულა. მეორე დილას მოუტანა უმტვერო თოვლივით თეთრ ხელსახოცში გამოკრული ორი ნაჭერი მოხალული პური და ერთი დიდი ჭიქა კორნილიის ღვინო, თვით აბატის მამულიდან, და აბატს უთხრა: მესერე, როცა გინო უფრო ახალგაზრდა იყო, ექიმობასა სწავლობდა და, როგორც ამბობს, უსწავლია, რომ კუჭის ავადმყოფობის წინააღმდეგ იმაზე უკეთესი საშუალება, რომელიც ახლა თქვენზე უნდა სცადოს, არა არის რაო; ეს მხოლოდ წამლობის დასაწყისია და ამიტომ მიირთვით, გულს გიპოვითო. აბატი ხუმრობის გუნებაზე სრულებით არ იყო, ის კი არა, შიმშილი ვალალას აყრიდა, და თუმცა ბრაზი ახრჩობდა, პური მაინც შეჭამა და ზედ ღვინო დააყოლა. მერე ქედმაღლური ბაასი გააბა, ბევრი რამ ჰკითხა, ბევრი რამაც ურჩია და განსაკუთრებით გინოს ნახვა სთხოვა. გინო უსმენდა და აბატის ნათქვამს ზოგს ყურიც კი არ ათხოვა, როგორც უმნიშვნელო რასმე, ზოგზე კი ზრდილობიანი პასუხი გასცა და დაარწმუნა, გინო მოიცლის თუ არა, დაუყოვნებლივ გეახლებათ თქვენს სანახავადო. ეს უთხრა და ისევ წავიდა.

გინო მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდა და მაშინაც იმდენივე მოხალული პური და

იმდენივე ღვინო მოუტანა. ასე ამყოფა რამდენსამე დღეს, სანამ არ შენიშნა, რომ აბატს შეუჭამია გამხმარი ლობიო, რომელიც გინოს განგებ და ჩუმად მოეტანა და დაეტოვებინა. ამიტომ გინოს სახელითა ჰკითხა, როგორა ბრძანდებით, კუჭის ტკივილი ხომ დაგიამდათო? ამაზე აბატმა უპასუხა: მე მგონია უკეთესად ვიქნებოდი, გინოს ხელიდან რომ დავუსხლტებოდე, და მერე ისე არა მენატრება რა, როგორც ჭამა, ისე მომარჩინა მისმა წამლებმაო.

მაშინ გინომ უბრძანა, ერთი მშვენიერი ოთახი აბატისავე საკუთარი ავეჯით მოერთოთ მისთვის და მისი ამალისათვის და გაამართვინა საუცხოო ნადიმი. ნადიმზე მოვიდნენ კოშკის კაცები და ყველა მსახურნი აბატისა. თვითონ გინო მეორე დილას მივიდა აბატთან და უთხრა: მესერე, რაკი განიკურნეთ, დროა საავადმყოფოდან გამობრძანდეთო. მერე მოჰკიდა ხელი და მისთვის გამოწყობილ ოთახში შეიყვანა. აქ მისიანებთან დატოვა და თვითონ კი გამოვიდა განკარგულების მისაცემად, რომ ნადიმი სანაქებო გამოსულიყო. აბატმა თავისიანებთან ცოტათი გული გადააყოლა და უამბო, რა დღეშიაც იყო ამ ხნის განმავლობაში; იმათ კი უთხრეს, პირიქით, ჩვენ გინოს მეტად პატივცემული ვყავდითო. ნადიმის დროც დადგა. როგორც აბატს, ისე სხვებს საუკეთესო კერძები და თავანკარა ღვინოები მოართვეს, მაგრამ გინო აბატს ჯერ მაინც არ გამოეცნაურა.

როდესაც აბატმა ამნაირად რამდენიმე დღე გაატარა, გინომ მთელი მისი ბარგი უკლებლივ ერთ დარბაზში შემოატანინა, ქვევით ეზოში მისი ცხენები სულ უკანასკნელ ჯახრაკამდე გამოაყვანინა, მერე აბატთან ავიდა და ჰკითხა: ხომ კარგად ბრძანდებით და როგორა ფიქრობთ, ცხენით სიარულს შეძლებთ თუ არაო? ამაზე აბატმა უპასუხა: არა მიშავს რა, კარგად მოვღონიერდი, სტომაქიც მომირჩა და ძალიან გამეხარდებოდა გინოს როგორმე გავეცლებოდეო. მაშინ გინომ აბატი შეიყვანა იმ დარბაზში, სადაც მთელი მისი ბარგი და მოსამსახურენი იყვნენ, მერე დააყენა ერთ ფანჯარასთან, საიდანაც აბატს შეეძლო ყველა თავისი ცხენი დაენახა და უთხრა: „სულიერო მამაო, უნდა მოგახსენოთ, რომ მე, გინო დი ტაკო, მაიძულა ხელი მიმეყო შარაგზებზე ავაზაკობისათვის და რომის სასახლეს მტრად გადავკიდებოდი, იმ გარემოებამ, რომ აზნაური ვარ, სახლიდან გამომაძევეს გაღარიბებული, აუარებელი მტერი გავიჩინე და მეტი რა გზა მქონდა, უნდა ვცდილიყავ ჩემი სიცოცხლე და ღირსება დამეფარა; არ იფიქროთ, ვითომ ასეთ გზას იმიტომ დავადექი, ბუნებით ბოროტი და წაწყმედილი სულის პატრონი ვყოფილიყავ, მაგრამ რადგან თქვენ ღირსეულ ადამიანად მეჩვენებით და სტომაქი მოგირჩინეთ, არ მინდა ისე მოგექცეთ, როგორც მოვექცეოდი სხვას, ვინც თქვენებრ ჩამივარდებოდა ხელში და მის ქონებას იმდენს მოვაკლებდი, რამდენიც მომეგუნებებოდა; მაგრამ მე მინდა ანგარიში გაუწიოთ ჩემს გაჭირვებულ მდგომარეობას და თქვენი ქონებიდან ის დამიტოვოთ, რაც თქვენ გენებებათ. თქვენი ქონება უკლებლივ თქვენ წინაშე გახლავთ და ამ ფანჯრიდან შეგიძლიათ ეზოში თქვენი ცხენები დაინახოთ. ამიტომ

გნებავთ — ნაწილი წაიღეთ, გნებავთ — სულ, და დღეიდან შეგიძლიათ: გნებავთ — წაბრძანდეთ, გნებავთ — აქ დარჩეთ“.

უზომოდ გაოცდა აბატი, რომ შარაგზებზე მოხეტიალე ავაზაკის პირიდან ასეთი დიდსულოვანი სიტყვები გაიგონა; ეს ამბავი იმ ზომამდე მოეწონა, რომ თავისი გულისწყრომა და სამდურავი ერთბაშად დაუცხრა; პირიქით — ეს გულისწყრომა და სამდურავი სათნოებად შეეცვალა, გულსავსებით მეგობრად მიითვალა გინო, მივარდა, გადაეხვია და უთხრა: „ღმერთსა ვფიცავ, რომ ისეთი ადამიანის მეგობრობის მოსაპოვებლად, როგორიც შენ ახლა მგონიხარ, მე მზად ვიქნებოდი უფრო მეტი დამცირება მომეთმინა, ვიდრე აქამდე, როგორც მე მეგონა, შენ ჩემთვის მოგიყენებია. წყეულიმც იყოს ის ბედი, რა ბედიც შენ იძულებულ გყოფს ასეთი საძრახი ხელობისათვის გეკიდოს ხელი“. ამის შემდეგ აბატმა თავისი ნივთებიდან სულ ცოტა და ისიც უსაჭიროესი აიღო, ასევე მოიქცა ცხენების შესახებაც, დანარჩენი ყველაფერი დაუტოვა და თვითონ რომში დაბრუნდა.

პაპმა გაიგო აბატის დაჭერის ამბავი, და თუმცა ეს ძალიან საწყენად დაურჩა, მაინც, როცა დაინახა, ჰკითხა, აბანო როგორ მოგიხდაო? ამაზე აბატმა ღიმილით მოახსენა: თქვენო უწმინდესობავ, აბანოების ახლოს ერთ საუცხოო ექიმს ნავაწყდი, რომელმაც მშვენივრად მომარჩინაო. მოყვა და ყველაფერი უამბო, როგორც იყო. პაპმა ბევრი იცინა. აბატმა განაგრძო თავისი ამბავი, განიმსჭვალა სულგრძელობით და მის უწმინდესობასა სთხოვა: — ერთი რამ წყალობა გაიმეტეთ ჩემთვისო! პაპს ეგონა, სხვა რამეს მთხოვსო, სიამოვნებით უბრძანა: მთხოვე, რაც გინდა, აგისრულებო. მაშინ აბატმა მოახსენა: „თქვენო უწმინდესობავ, თქვენ უნდა გთხოვოთ, სახელდობრ, ისა, რომ მოწყალე თვალით ისევ გადმოხედოთ გინო დი ტაკოს, ჩემს ექიმს, იმიტომ რომ იმ მამაც და ღირსეულ ადამიანთა შორის, მე რომ მცნობია, გინო უდავოდ პირველთაგანია; ხოლო ის ბოროტება, იმან რომ ჩაიდინა, უფრო ბედის ბრალია, ვიდრე მისი. თუ თქვენი უწმინდესობა მას ბედს შეუცვლის და უზრუნველყოფს რითიმე, რომ თავისი წოდების შესაფერისად ცხოვრება შეეძლოს, თქვენი უწმინდესობის მადლსა ვფიცავ, მოკლე ხანში თქვენი უწმინდესობაც იმაზე იმავე აზრისა იქნება, როგორისაც მე ახლა გახლავართ“.

პაპმა აბატის ნათქვამი რომ მოისმინა, როგორც სულგრძელმა და ღირსეულ ადამიანთა მოყვარულმა, სიამოვნებით დართო ნება: — თუ მართლაცდა ისეთია, როგორც ამბობთ, უბრძანეთ, ნურასი ეშინია, რომში ჩამოვიდესო.

აბატისაგან დაარხეინებული გინო პაპის სასახლეში გამოცხადდა და მართლაც დიდი ხანი არ გასულა, პაპმა ღირსეულ ადამიანად აღიარა, შეურიგდა, ჰოსპიტალის ორდენში დიდი მონასტრის წინამძღვრობა ჩააბარა და ამ ორდენის რაინდად გახადა. და გინოსაც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ეს წოდება შერჩა, როგორც წმიდა ეკლესიის და აბატ

კლუნის მეგობარსა და მსახურს.

ამბავი მესამე. ნატანის სიუხვე

მიტრიდანს შურდა სიუხვე ნატანისა და მის მოსაკლავად წავიდა. შეხვდა, მაგრამ არ იცოდა, ვინ იყო. მისგანვე გაიგო როგორ უნდა მოეკლა. მერე მოილაპარაკეს და ერთ ჭალაში შეხვდა მიტრიდანს. რომ იცნო, შერცხვა და მეგობრად გაუხდა.

მართლაცდა სასწაულად მოეჩვენა ყველას, როცა გაიგო: სასულიერო პირმა სულგრძელობა გამოიჩინაო! მაგრამ როცა ამ საგანზე ქალებმა ლაპარაკი შეწყვიტეს, მეფემ ფილოსტრატოს უბრძანა, ახლა შენი ჯერიაო, და იმანაც მაშინვე ასე დაიწყო: — კეთილშობილნო ასულნო! დიდი იყო სიუხვე ესპანეთის მეფისა და თითქმის არავის სმენია აბატ კლუნის სულგრძელობის მსგავსი ამბავი. ხოლო შეიძლება ამაზე ნაკლები საკვირველი მოსასმენი არ იქნეს თქვენთვის ამბავი ერთი კაცისა, რომელმაც იმისათვის, რომ სიუხვე გამოეჩინა მეორის მიმართ, რომელსაც სწადდა მისი სისხლი დაეღვარა, ანუ, უკეთ, სული წაეწყმიდა, ჩუმად ისე მოახერხა, რომ მისი სიავის მდომს საშუალებას აძლევდა მისთვის სისხლიც წაერთმია და სულიცა, და ასეც მოხდებოდა, სიავის მდომს რომ მოენდომებინა მათი წართმევა. აი, ეს მინდა დაგანახოთ ჩემს პატარა მოთხრობაში.

ნამდვილი ამბავია (თუ ვენდობით ზოგიერთი გენუელის და იმ მხარეში ნამყოფი ხალხის სიტყვებს). ჩინეთის ქვეყნებში ოდესღაც ცხოვრობდა თურმე ერთი ცნობილი ჩამომავლობისა და მეტისმეტად მდიდარი კაცი; სახელად ნატანი რქმევია. აქ მას მამული ჰქონია ერთი გზის მახლობლად, რომელზედაც ძალაუნებურად უნდა გაევლო ყველას, ვინც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ან აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დაიძრებოდა. გულუხვი და დიდსულოვანი ყოფილა თურმე და თანაც სდომია სახელი გაეთქვა თავისი კაი საქმეებით და რაკი მრავალი ოსტატი ჰყოლია, მოკლე ხანში გაუშენებია ფრიად მშვენიერი, უუდიდესი და მეტად მდიდრული სასახლე და შიგნითაც მოურთავს ყველაფრითა, რაც საჭირო ყოფილა სახელოვანი ხალხის მოსაწვევად და დასაპატიჟებლად. ზრდილი და რიცხვმრავალი მოსამსახურენი ჰყავდა თურმე და ნაბრძანები ჰქონდა, ვინც ან გაიაროს ან გამოიაროს, ყველას ალერსიანად დაუხვდით და პატივი ეცითო. და ამ სანაქებო ჩვეულებას იმ ზომამდე უნიადაგებდა, რომ უკვე არა მარტო აღმოსავლეთში, თითქმის მთელ დასავლეთში გაგონილი ჰქონდათ მისი სახელი.

ნატანი უკვე სიბერეში შევიდა, მაგრამ სიუხვის გამოჩენა მაინც არ მოსწყენოდა. მისი ამბავი ესმა ერთ ახალგაზრდა კაცს. ამ კაცს მიტრიდანი ერქვა და ნატანის მეზობელ ქვეყანაში ცხოვრობდა. მიტრიდანს თავისი თავი ნატანზე ნაკლებ მდიდრად არ მიაჩნდა; ნატანის

დიდებამ და სიქველემ შური აღუძრა და განიზრახა მისი სახელი ან სულ გაექარწყლებინა, ან დაეჩრდილა მაინც უმეტესი სიუხვითა. იმანაც ნატანის მსგავსი სასახლე ააშენებინა და გამვლელ-გამომვლელს, ჯერ არავისა სმენოდა, ისეთი სიუხვით უმასპინძლდებოდა. მართლაც, სულ მოკლე ხანში სახელი გაითქვა.

ერთხელ მიტრიდანი თავის სასახლის ეზოში მარტოდმარტო იყო, ისე სასახლის ერთ—ერთ ჭიშკარში ვიღაც დედაკაცი შემოვიდა და მოწყალება სთხოვა და იმანაც გაიკითხა. მერე იგივე დედაკაცი სხვა კარიდან შემოვიდა და მეორეჯერაც მიიღო მოწყალება და ასე მოიქცა ზედიზედ თორმეტჯერ. მეცამეტეჯერ რომ დაბრუნდა, მიტრიდანმა უთხრა: ჩემო კარგო, საქმე გააჭირე ამდენი თხოვნითაო, და მოწყალება მაინც მისცა. მოხუცმა დედაკაცმა ეს რომ გაიგონა, ჩაილაპარაკა: „აფსუს, ნატანის სიუხვევ! ფას იმასთან სხვათა სიუხვე! მის სასახლეში ოცდათოთხმეტი კარიდან შევსულვარ, როგორც აქა, მოწყალება მითხოვნია, მაგრამ ერთხელ არ უჩვენებია თავი, რომ მიცნო და მაშინვე გამიკითხავდა, აქ კი მხოლოდ მეცამეტეჯერ მოვედი, მიცნეს და მასხრადაც ამიგდეს“. ესა თქვა და ისე წავიდა, ერთი უკან აღარ მოუხედავს.

მიტრიდანმა დედაბრის ნათქვამი რომ გაიგონა, სიბრაზით არ იცოდა, რა ექნა, იმიტომ რომ ნატანის ქების გაგონება გულში ლახვარივით ესობოდა და თავის დამცირებადა სთვლიდა, და თავისთვის დაიწყო ლაპარაკი: „ვაი შენ, ჩემო თავო! როგორღა შევძლებ დავეწიო ნატანს მის დიად საქმეთა სიუხვეში, გასწრებას ვინა ჩივის, თუმცა გულით მონდომებული ვარ ამას, როცა სულ უბრალო საქმეშიაც კი ვეღარ ვეტოლები? ჭეშმარიტად ამაო იქნება ჩემი ცდა, თუ დედამიწის პირიდან არ აღვგავე და რადგან სიბერე ვერას აკლებს, ჰხამს მე თვითონ დაუყოვნებლივ საკუთარი ხელით მოვუღო ბოლო“.

ასე აღელვებული მიტრიდანი ადგა, თავისი განზრახვა არავისთვის გაუზიარებია, რამდენიმე კაცი იახლა, მოაჯდა ცხენს და მესამე დღეს მიადგა იმ ადგილს, სადაც ნატანი ცხოვრობდა. თავის ამალას უბრძანა — თავი ისე დაეჭირათ, ვითომ ჩემთან არც კი ხართ, არც ცნობით მიცნობთ, და სანამ არ გიბრძანოთ, თქვენს თავს თქვენ თვითონვე უპატრონეთო. დანიშნულ ალაგას საღამო ჟამს მოვიდა და, მარტო დარჩენილს, მშვენიერი სასახლის მახლობლად შეხვდა ნატანი, რომელიც მარტო დასეირნობდა უბრალოდ ჩაცმული. რადგან არ იცნობდა ნატანს, მიტრიდანმა ჰკითხა: გეთაყვა, ხომ ვერ მეტყვით, ნატანი სადა ცხოვრობს აქაო? ნატანმა ალერსიანად უპასუხა: „ჩემო შვილო, ჩემზე უკეთესად ნატანს ამ მხარეში ვერავინ გაჩვენებს და ამიტომ რაკი გინდა, წამომყევი და გაჩვენებ“. ყმაწვილმა უთხრა: დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ასეთ სიკეთეს მიზამთ. მხოლოდ ერთ რასმე გთხოვთ: ეცადეთ, ისე მაჩვენოთ, რომ თვითონ ნატანმა არ დამინახოს და არც მიცნოსო. ამაზე ნატანმა უპასუხა: „ბატონი ბრძანდები, ამ თხოვნასაც აგისრულებ, რაკი გინდა“.

მიტრიდანი ცხენიდან ჩამოხტა და გამოჰყვა ნატანს. ამან სასიამოვნო ბაასი გაუბა და ამასობაში მშვენიერ სასახლესაც მიადგნენ. აქ ნატანმა ერთ-ერთ მსახურს უბრძანა სტუმრისთვის ცხენი ჩამოერთმია, მერე მიუახლოვდა და ყურში უჩურჩულა — შინაურებს უთხარი, ყმაწვილკაცს არავინ უთხრას, რომ მე ნატანი ვარო. მსახურებმაც ბრძანება აასრულეს. სასახლეში რომ შემოვიდნენ, ნატანმა სტუმარი ერთ მშვენიერ ოთახში მოასვენა, სადაც არავის უნახავს, გარდა იმისთვის მიჩენილი მოსამსახურეებისა. ყველას უბრძანა, განსაკუთრებული პატივი ეცათ მისთვის, და თვითონაც მასთან დარჩა. მიტრიდანი მასთან დარჩენილ ნატანს თუმცა პატივისცემით ეპყრობოდა, როგორც მამას, მაინც ვინაობა ჰკითხა. ამაზე ნატანმა ასე უპასუხა: „მე ერთი მცირე მოსამსახურე გახლავართ ნატანისა, პატარაობითვე მას შევაბერდი, მაგრამ წინ არ წამწია, სულ, როგორცა მხედავ, ისე ვარ; ამიტომ სხვები თუმცა მას მეტად აქებენ, ჩემის აზრით კი, სწორედ მოგახსენოთ, ბევრი არაფერი შვილი ბრძანდება“.

ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, იმედი ჩაუსახეს გულში მიტრიდანს, რომ უმეტესი წინდახედულებით და უმეტესი უშიშროებით შეეძლო განეხორციელებინა თავისი ბოროტი განზრახვა. ნატანმა მობოდიშებით და ზრდილობიანად ვინაობა ჰკითხა, ან აქ რისთვის გარჯილხართო? თან დაჰპირდა: რაც შემიძლია, რჩევა იქნება თუ დახმარება, ჩემი იმედი გქონდეთო. მიტრიდანს ჯერ, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა პასუხის მიცემა, მაგრამ მერე გადაწყვიტა განდობოდა; ჯერ კარგახანს ელაპარაკა და წინასწარ პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, მერე სთხოვა რჩევა და დახმარება და ბოლოს სავსებით გაანდო, ვინც იყო ან რისთვის მოსულა და გულში რაც ედო.

ნატანმა რომ მოისმინა ეს სიტყვები და მიტრიდანის საშინელი განზრახვა გაიგო, საშინლად აღშფოთდა, მაგრამ მალევე დამშვიდდა და გულმაგრად და ვაჟკაცური სახით უპასუხა: „მიტრიდან ჩემო, მამაშენი კეთილშობილი კაცი იყო და გეტყობა ცდილობ ასეთ მამას უკან არ ჩამორჩე, დიდი საქმის გაკეთება განგიზრახავს, შენი სიუხვე ქვეყანას გინდა აჩვენო; აფერუმ, რომ აგრე გშურს ნატანის სიქველე, იმიტომ რომ შენისთანები უფრო მეტი რომ იყოს, ეს ქვეყანა, ახლა ესდენ სატირალი და სავალალო რომ არის, ხელად გაუმჯობესდებოდა. შენ შენს განზრახვას, მე რომ გამიმხილე, ცხადია, საიდუმლოდ შეინახავ, მე კი უფრო კარგი რჩევის მოცემა შემიძლია, ვიდრე დიდი დახმარებისა. და აი ჩემი ეს რჩევაც: შენ აქედან დაახლოებით ნახევარი მილის სიახლოვეზე შეგიძლია დაინახო ერთი პატარა კორომი, ამ კორომში ნატანი თითქმის ყოველ ცისმარე მარტოდმარტო და დიდხანს სეირნობს. აქ სულ ადვილად შეგიძლია დაინახო და შენი გულისა ჰქნა. როგორც კი მოკლავ, თუ გინდა უშიშრად დაბრუნდე სახლში, დაადექი იმ გზას კი არა, რომლითაც იქ მიხვალ, არამედ იმას, რომელიც მარცხნივ გამოდის ტყიდან, იმიტომ რომ თუმცა ის გზა, ცოტა არ იყოს, უხერხულია, მაგრამ უფრო მოკლეა და მალე და უშიშრად შეგიძლია მიხვიდე სახლში“.

მიტრიდანმა ეს რომ შეიტყო და ნატანიც მოშორდა, თავის მხლებლებს, რომლებიც აგრეთვე მოსულიყვნენ, ჩუმად შეატყობინა, თუ სად უნდა დაეცადათ მისთვის მეორე დღეს.

მეორე დღეს ნატანს აზრი არ შეუცვლია და გადაწყვიტა მიტრიდანისათვის მიცემული რჩევისათვის, ერთი ბენოთიც არის, არ გადაეხვია და, მარტოდმარტო, ტყისკენ გაემართა, სადაც მის სიკვდილს წინ არა ედგა რა. მიტრიდანი რომ ადგა, აიღო მშვილდ-ისარი და სატევარი, რადგან მეტი სხვა იარაღი არა ჰქონდა, შეჯდა ცხენზე და გაემართა ტყისაკენ.

შორიდანვე დაინახა ნატანი, ტყეში მარტოდმარტო რომ დასეირნობდა. იფიქრა, სანამ იარაღს გავარტყამდე, ერთი შევხედო და იმისი ლაპარაკი გავიგონოო. მივარდა, თავსახვევზე ხელი წაავლო და შესძახა: მოხუცო, მოემზადე, უნდა მოგკლაო! ამაზე ნატანმა ესღა უპასუხა: ალბათ ღირსი ვარ სიკვდილისაო... მიტრიდანმა ხმა რომ გაიგონა და სახეში რომ დააცქერდა, მაშინვე იცნო, რომ სწორედ ის კაცი იყო, ვინც ასე ტკბილად დაუხვდა, მეგობრულად დაჰყვებოდა და ერთგული რჩევა მისცა. ამიტომ სიფიცხემ ხელად გადაუარა და გულისწყრომა სირცხვილად შეეცვალა. მის მოსაკლავად ქარქაშიდან ამოწვდილი სატევარი გადააგდო, ცხენიდან ჩამოხტა, ტირილით ნატანს ფეხებქვეშ გაეგო და უთხრა: „აშკარადა ვხედავ, ძვირფასო მამაო, თქვენს სულგრძელობას, როდესაც დავუფიქრდები, თუ ვითარის წადიერებით მოხვედით აქ, რათა ჩემთვის მოგესპობინებინათ თქვენი სიცოცხლე, რომლის წართმევას, როგორც უკვე გაგანდეთ, ისე სულ უბრალოდა ვცდილობდი. მაგრამ უფალმა ჩემი მოვალეობისათვის უმეტესად იზრუნა, ვიდრე მე თვითონ ვზრუნავდი და სწორედ იმ წუთს, როდესაც ეს განსაკუთრებით იყო საჭირო, ამიხილა გონების თვალნი, რომელნიც საცოდავი შურით დაბრმავებული მქონდა. ამიტომ რამდენადაც თქვენ მზად იყავით მე გესიამოვნებინეთ, იმდენად უფრო მე მოვალედა ვთვლი ჩემს თავს გამოვისყიდო ჩემი შეცდომა. მაშასადამე, იძიეთ ჩემი შური ისე, როგორც ამას ჩემი საქციელის საფერადა თვლიდეთ“.

ნატანმა ააყენა მიტრიდანი, ნაზად გადაეხვია, აკოცა და უთხრა: „ჩემო შვილო, შენ მიერ განზრახული საქმისათვის, — რაც გინდა, ის დაარქვი ამ საქმეს: ბოროტება, თუ სხვა რამე, — საჭირო არ არის პატიება მთხოვო ან გაპატიო რამე, იმიტომ რომ გულში ჩაგიდვია ჩემი სიძულვილით კი არა, არამედ იმისთვის, რომ შენ ღირსეულ ადამიანად ჩაეთვალეთ. მაშ, ჩემი შიში ნუღარ გექნება და დარწმუნებული იყავ, რომ ქვეყანაზე ძეხორციელი არავინაა, ჩემზე მეტად უყვარდე, ან ჩემებრ ესმოდეს შენი მაღალსულოვნება, რომელიც გიკარნახებს ფულები კი არ აგროვო ხოლმე, როგორც ამას ძუნწები შვრებიან ხოლმე, არამედ დახარჯო უკვე შეგროვილი ფულები. ნუ გრცხვენია, რომ ჩემი მოკვლა გინდოდა სახელის მოსახვეჭად, ნურც იმასა ფიქრობ, ვითომ მე ეს გამკვირვებოდეს! წარჩინებულნი ხელმწიფენი და მეფენიც თითქმის ამნაირადვე ხოცავდნენ მთელ ხალხს და არა მხოლოდ ერთ კაცს, როგორც შენ აპირებდი, ცეცხლს უკიდებდნენ მთელ ქვეყნებს და დედამიწის პირთან ასწორებდნენ მთელ

ქალაქებს, რომ ამით გაევრცელებინათ თავიანთი სამეფონი და, მაშასადამე, თავიანთი დიდებაც. ამიტომ, თუ შენ მხოლოდ ჩემი, ერთის, მოკვლა გინდოდა სახელის მოსახვეჭად, შენი საქციელი გასაკვირველი ან ჯერ გაუგონარი რამ ღვაწლი კი არ იქნებოდა, არამედ — სრულებით ჩვეულებრივი რამ ამბავი“.

მიტრიდანი არც კი ცდილა თავისი ვერაგული განზრახვის გამო თავი ემართლებინა, მხოლოდ აქებდა იმ საპატიო გამართლებას, რომელიც ნატანს ამ განზრახვისათვის ეპოვნა; მერე მასთან ბაასში გამოთქვა თავისი უზომო გაოცება: როგორ გადაწყვიტეთ ასეთი საქმე, როგორ დამაყენეთ გზაზე ან რჩევა როგორღა მომეცითო? ამაზე ნატანმა უპასუხა: „მიტრიდან ჩემო, მე სრულებითაც არ მინდა ჩემი რჩევა და განზრახვა გიკვირდეს, იმიტომ რომ მას აქეთ, რაც ჩემს თავს მოვეგე და გადავწყვიტე მოვქცეულიყავ ისე, როგორც შენ იქცევი, კაცი არა ყოფილა ისეთი, რომელიც ჩემს სახლში მოსულიყო და რაც უნდა ეთხოვა, მე, შეძლებისდაკვალად, მადლიერი არ გამესტუმრებინა. შენ აქ მოსულხარ და მოგინდომებია ჩემი სიცოცხლის მოსპობა. ეს რომ გავიგონე, მაშინვე გადავწყვიტე დამეთმო შენთვის ჩემი სიცოცხლე, რადგან არ მინდოდა მარტო შენ გამესტუმრებინე აქედან ხელცარიელი; ხოლო იმისათვის, რომ შენ ის მიგეღო ჩემგან, ისეთი რჩევა მოგეცი, როგორიც შენთვის სასარგებლოდ მიმაჩნდა, რათა ჩემი სიცოცხლის წართმევით შენი სიცოცხლე შეგრჩენოდა, ამიტომ ისევ გიმეორებ და გთხოვ, თუ გეამება, წაიღე ჩემი სიცოცხლე და შენი გული დაიკმაყოფილე; მე არ ვიცი, ამაზე უკეთესს რას მოვახმარო ჩემი სიცოცხლე. აი აგერ, ოთხმოცი წლისა მოვყრილვარ და ამ ხნის განმავლობაში ჩემ სიცოცხლეს ჩემდა საამებლად და სანუგეშებლად ვხმარობ; ვიცი, რომ ბუნების გარდაუვალ კანონს ისევე ვემორჩილები, როგორც სხვა ყველა ადამიანი და საზოგადოდ ყველა არსი; და ახლა ეს სიცოცხლე შესაძლებელია სულ ცოტა ხნითღა შემრჩეს. ამიტომ ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა გამეცა ისევე, როგორც გამიცია და დამიხარჯავს ხოლმე მთელი ჩემი ზინეთი, ვიდრე შევინახო და ვუცადო, სანამ თვითონ ბუნება წამართმევდეს ჩემდა უნებურად. ბევრი არაფერი ბედენაა ასი წლის ჩუქება, მით უფრო რა უნდა იყოს, შენს ლხენას, შვიდი თუ რვა წლის მიცემა, მე რომ სასიცოცხლოდ დამრჩენია! მაშ წაიღე, თუკი გინდა, მთელი ჩემი სიცოცხლე, შენი ჭირიმე, ძალიანა გთხოვ; იმიტომ რომ, რაც თავი მახსოვს, არავინ შემხვედრია, რომ ჩემთვის სიცოცხლე მოეთხოვოს, ან თუ შენ არ გამომართვი, შემხვდება კია ვინმე, რომ მისი წაღება მოისურვოს? კიდეც რომ ისე მოხდეს, რომ ვინმე ვიპოვო მისი წაღების მსურველი, რაც უფრო მეტ ხანს შევინახავ, მით უფრო ფასი დაეკარგება; ამიტომ სანამ სრულებით არ გაუფასურდება, შენსა მზესა, გამომართვი, გეხვეწები“.

უზომოდ დარცხვენილმა მიტრიდანმა უთხრა: „ღმერთმა დამიფაროს, რომ ისეთი ძვირფასი რამ, როგორიც თქვენი სიცოცხლეა, წაგართვათ და მოვიტაცო, როგორც ამას წინათ ვაპირებდი; ამ სიცოცხლეს არამცთუ წელიწადებს მოვაკლებდი, არამედ დიდი

სიამოვნებით ჩემსასაც მივუმატებდი“. ამაზე ნატანმა მაშინვე უთხრა: „გინდა, ისე მოგექცე, როგორც ჩემს დღეში არავის მოვქცევივარ? ესე იგი, შენ შენი წაგართვა, იმ დროს, როცა სხვისათვის ჩემს დღეში არაფერი წამირთმევია?“ – „მინდა!“ — უპასუხა უცბად მიტრიდანმა.

– „რაკი მაგრეა, — უთხრა ნატანმა, — შენ ისე მოიქეცი, როგორც მე გეტყვი. შენ, როგორც ახალგაზრდა ხარ, ისე დარჩები ჩემს სახლში და სახელად ნატანს დაირქმევ, მე კიდევ შენს სახლში წავალ და მიტრიდანს დავირქმევ სახელად“. ამაზე მიტრიდანმა უპასუხა: „მე რომ ვიცოდე, ისევე კარგად მოვიქცევი, როგორც თქვენ იქცევით ან იქცეოდით, ბევრი ლარი და ხაზი არ უნდოდა, იმას ვიზამდი, რასაც თქვენ მიბრძანებთ; მაგრამ რადგან ჩემი საქციელი სახელს გაუტეხდა ნატანის დიდებას, და რადგან მე სრულებით არ მინდა სხვას გავუფუჭო ის, რასაც ჩემთვის ვერ მოვახერხებ, თქვენს ბრძანებას ვერ ავასრულებ“.

ასეთ და სხვა მრავალ სასიამოვნო ლაპარაკში, ორნივე, ნატანის სურვილისამებრ, ერთად სახლში დაბრუნდნენ, სადაც ნატანი რამდენიმე დღის განმავლობაში დიდებულად უმასპინძლდებოდა მიტრიდანს და თან განუმტკიცებდა ყოვლად ჭკვიანური ბაასით და საბუთებით თავის ამაღლებულსა და დიად განზრახვას.

როდესაც მიტრიდანმა თავისი ამალითურთ შინ დაბრუნება მოისურვა, ნატანმა შეაგნებინა, რომ სიუხვით თავის დღეში მას ვერ აჯობებდა და გაისტუმრა.

ამბავი მეოთხე. მესერ ჯენტილე

მესერ ჯენტილე დეი კარიზენდი, მოდენიდან დაბრუნებული, საფლავიდან ამოიღებს თავის საყვარელ ქალს, რომელიც მკვდარი ჰგონებიათ და დაუმარხავთ; ქალი რომ მოსულიერდა, მოილოგინა და ეყოლა ვაჟი; მესერ ჯენტილემ დედა და ვაჟი დაუბრუნა ქალის ქმარს, ნიკოლუჩო კაჩიანიმიკოს.

პირდაპირ დაუჯერებელ ამბად ეჩვენა ყველას, რომ ქვეყანაზე ყოფილა ისეთი ადამიანი, ვინც სიუხვე საკუთარი სისხლის საქმეშიც კი გამოიჩინა! მართლაც, ყველამ დაამოწმა, ნატანის სულგრძელობამ ესპანეთის მეფისა და აბატ კლუნის სულგრძელობასაც კი გადააჭარბაო. მერე როცა ზოგმა რა თქვა და ზოგმა რა, მეფემ ლაურეტასაკენ მიიხედა და ანიშნა: კარგი იქნება, ახლა შენ იტყოდე რასმესო. ამიტომ ლაურეტამ მაშინვე ასე დაიწყო:

— ნორჩო ქალებო, ჩვენ აქ გვიამბეს დიდად და დიდად მშვენიერ საქმეთა შესახებ და ჩვენ, ვისი ჯერიც არის ლაპარაკისა, მგონი, რომ არაფერი დაგვრჩენია მეტი სალაპარაკო ამათ შესახებ — ყოველი ამბავი ესდენ სავსე იყო დიდსულოვნების საქმეთა მოთხრობით. ისევ სიყვარულის საქმეებს თუ დავუბრუნდებით, რომელნიც დაუშრეტელ წყაროს

წარმოადგენენ სხვადასხვა მოთხრობებისათვის. როგორც ამ მიზეზით, ისე იმიტომაც, რომ ჩვენი ნლოვანებაც განგებ გვიზიდავს ასეთი ამბებისაკენ, მსურს გიამბოთ ერთი შეყვარებული კაცის სულგრძელური საქციელის შესახებ. ეს საქციელი, თუ ყველაფერს ანგარიშში ჩავაგდებთ, უკვე ნაამბობზე ნაკლები მნიშვნელობისად არ გეჩვენებათ, თუკი მართალია ის, რომ ადამიანები ხელს იღებენ ხოლმე სიმდიდრეზე, ივიწყებენ მტრობას და, რაც უფრო მეტია, ათასგვარ ხიფათში აგდებენ სიცოცხლეს, პატიოსნებასა და სახელს, ოღონდ კი დაეპატრონონ საყვარელ საგანს.

ასე და ამგვარად, ბოლონიაში, ლომბარდიის ამ განთქმულ ქალაქში, ცხოვრობდა ერთი რაინდი, ცნობილი თავისი ქველობითა და სისხლის კეთილშობილებით. სახელად ერქვა მესერ ჯენტილე კარიზენდი. როგორც ახალგაზრდას, შეუყვარდა ერთი კეთილშობილი ქალი, რომელსაც კატალინა ერქვა და ვინმე ნიკოლუჩო კაჩიანიმიკოს ჰყავდა ცოლად. ქალის სიყვარულში ხელი არ მოემართა და, თითქმის სასოწარკვეთილი, მოდენაში წავიდა, სადაც პოდესტად იყო მიწვეული. ამ ხანებში ნიკოლუჩო ბოლონიაში არ იმყოფებოდა, ხოლო მისი ცოლი სოფლად იყო წასული სამიოდ მილის მანძილზე თავის მამულში საცხოვრებლად, რადგან ორსულად იყო. აქ რომ ცხოვრობდა, ისე რაღაც საშინელი ფათერაკი შეხვდა. ეს ფათერაკი ისეთი ხასიათისა და ისეთი სიძლიერისა იყო, რომ ქალს სიცოცხლის ყოველი ნიშან-წყალი წაართვა და ვიღაც ექიმმა რომ გასინჯა, თქვა, გარდაცვლილაო. და რადგან მისი მახლობელი ნათესავი ქალები ამბობდნენ: თვითონა თქვა, სულ ახლახან დავორსულდიო და მაშასადამე, ბავშვი ჯერ უდღეური იქნებაო, ბევრი არც კი უფიქრიათ, ისე გამოიტირეს და როგორც იყო, ისე აიღეს და მახლობელი ეკლესიის სასაფლაოზე დაასაფლავეს.

ეს ამბავი ერთმა მეგობარმა კაცმა მაშინვე შეატყობინა მესერ ჯენტილეს. ამან, თუმცა ქალის სიყვარული არ ახსოვდა და იმაზე გულს აკლდა, მაინც მეტად ინაღვლა და ბოლოს წამოიძახა თავისთვის: „მაშ, სააქაოს განეშორე, ჩემო კატალინა? სანამ სული გედგა, ჩემთვის ერთი შემოხედვაც არ გაგიმეტებია, გენაცვალე! ამიტომ ახლა, როცა შენ ამას ვერ დამიშლი, სულო, მიცვალებულს მაინც უნდა უეჭველად გეამბორო“. ეს რომა თქვა გულში, მერე განკარგულება მოახდინა, რომ მისი წასვლა არავის გაეგო, მოაჯდა ცხენსა და ერთი მოსამსახურის თანხლებით, გზაში არ დაუყოვნებია, ისე მივიდა იქ, სადაც მისი საგრფო იყო დასაფლავებული; აკლდამას თავი ახადა და ფრთხილად შიგ შევიდა, მერე გვერდით მოუწვა, პირი ქალის სახესთან მიიტანა და ცრემლის ღვრით რამდენჯერმე აკოცა. მაგრამ, როგორც ვიცით, მამაკაცის გული გაუმაძღარია, უფრო და უფრო მეტი უნდა ხოლმე, განსაკუთრებით თუ ის შეყვარებულია. როცა იფიქრა, ახლა კი უნდა წავიდეო, გულში გაივლო: რაკი აქა ვარ, ვითომ რა იქნება, ბარემ გულზედაც მოვავლო ხელიო. გულზე ხელი დაადო და ერთხანს ასე ეჭირა. ამ დროს იგრძნო, თითქოს ცოტათი გული უცემსო. განიგდო თავიდან ყოველი შიში

და უფრო შეგნებულად დააკვირდა. დაინახა, მკვდარი არ არისო, თუმცა სიცოცხლის ნიშანწყალი მეტად მცირე და სუსტი ჰქონდა. ამიტომ, რამდენადაც შეეძლო, ფრთხილად, მოსამსახურის დახმარებით, საფლავიდან ამოიღო, ცხენზე წინ დაისვენა და უჩუმრად თავის სახლში წაიყვანა ბოლონიაში.

ამ ქალაქში ცხოვრობდა მესერ კარიზენდის დედა, სათნო და ჭკვიანი ქალი ვინმე. როცა შვილმა დაწვრილებით ყველაფერი უამბო, სიბრალულით აღევსო გული. ნელ-ნელა, დიდი ცეცხლისა და აბაზანების შემწეობით, გამოაბრუნა უკვე ჩამქრალი სიცოცხლე კატალინასი. ამ უკანასკნელმა, როგორც კი მოსულიერდა, მძიმედ ამოიოხრა და თქვა:

„უიმე, დედავ, სადა ვარ?“ ამაზე სათნო დიასახლისმა უპასუხა: „ნუ გეშინია, შვილო, უშიშარ ალაგასა ხარ!“ კატალინამ გონება რომ მოიკრიბა და გარშემო მიმოიხედა, ვერ მიხვდა, თუ სად იყო და თვალწინ მესერ ჯენტილე რომ დაინახა, უზომოდ გაოცებულმა, ჯენტილეს დედასა სთხოვა — თქვენი ჭირიმეთ, მითხარით, აქ ვინ მომიყვანაო. მესერ ჯენტილემაც ყველაფერი სათითაოდ უამბო. ქალი საშინლად დაღონდა. ცოტა ხნის შემდეგ, როგორც შეეძლო მადლობა გადაუხადა და მერე სთხოვა: გაფიცებთ იმ სიყვარულს, ჩემთვის გულში ოდესღაც რომ ატარებდით, და აგრეთვე თქვენს პატიოსნებას, თქვენს სახლში ისეთი არაფერი შემამთხვიოთ, რომ შებღალოს ჩემი და ჩემი ქმრის სახელი და ხვალ ჩემს საკუთარ სახლში გამიშვითო. ამაზე ჯენტილემ უპასუხა: „ჩემი გრძნობა როგორიც უნდა ყოფილიყო წარსულში, მე აღარა ვფიქრობ არც ახლა და აღარც როდესმე (რადგან ღირსმყო წყალობისა, რომ თქვენი თავი მკვდარი ისევ გამიცოცხლა, რის მიზეზიც იყო ის სიყვარული, რომელსაც მე წინათ ვატარებდი თქვენდამი), სხვაგვარად გიყუროთ, თუ არ როგორც ღვიძლ დას. მაგრამ ამ სიკეთისათვის, მე რომ წუხელ გიყავით, ერთ წყალობას რასმე გთხოვთ და იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით“. ქალმა გულკეთილად უპასუხა: მზად გახლავართ აგისრულოთ, თუკი შემიძლია და ნამუსის საწინააღმდეგო რამ არ იქნებაო. მაშინ მესერ ჯენტილემ უთხრა: „ყოველ თქვენს ნათესავს და საერთოდ ყველა ბოლონიელსა ჰგონია და დარწმუნებულიცაა, რომ თქვენ გარდაცვლილი ბრძანდებით, და ამიტომ არავინაა ისეთი, რომ ახლა თქვენ სახლში მოგელოდეთ, ამიტომ გთხოვთ, როგორც წყალობას, სანამ მოდენიდან დავბრუნდებოდე, აქ დედაჩემთან, ბრძანდებოდეთ საიდუმლოდ; დაბრუნებით კი მალე დავბრუნდები. ხოლო ამას იმიტომ გთხოვთ, რომ განვიზრახე ამ ქალაქის პატივცემულ მოქალაქეთა თანდასწრებით თქვენი თავი თქვენს ქმარს მივართვა, როგორც ძვირფასი და სადღესასწაულო ძღვენი“.

ქალი, ჯერ ერთი, თავს დავალებულად თვლიდა რაინდისაგან და მეორეც ისა, რომ რაინდის თხოვნაში სათაკილო არაფერი იყო, და თუმცა ძალიან ეჩქარებოდა გაეხარებინა თავისი მშობლები თავისი მკვდრეთით აღდგომით, მაინც გადაწყვიტა მესერ ჯენტილეს თხოვნა აესრულებინა და დაიფიცა, ვიზამ რასაცა მთხოვთო.

ქალმა ძლივს დაასრულა თავისი სიტყვები, რომ მუცელი ასტკივდა და მშობიარობის მოახლოება იგრძნო. მესერ ჯენტილეს დედა მოფერებით მოეშველა და იმანაც მოიმშობიარა მშვენიერი ვაჟი. ამან ერთიორად გაახარა როგორც მესერ ჯენტილე, ისე თვით მშობიარე. მესერ ჯენტილემ თადარიგი დაიჭირა, რომ რაც საჭირო იყო, ყველაფერი მოემზადებინათ და სტუმრისათვის ისეთი პატივი ეცათ, ვითომც მისი საკუთარი ცოლი ყოფილიყო, თვითონ კი ჩუმად მოდენაში წავიდა.

მოდენაში სამსახურის ვადა რომ გაათავა, ბოლონიაში უნდა დაბრუნებულიყო. სწორედ იმ დილისათვის, რა დილასაც ბოლონიაში უნდა შემოსულიყო, განკარგულება გასცა: თავის სახლში დიდი და საუცხოო ნადიმი გაემართათ, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ ბოლონიის თავკაცები და, მათ შორის, ნიკოლუჩო კაჩიანიმიკოც. რომ დაბრუნდა და ცხენიდან ჩამოხტა, ყველა აქ დახვდა და მიესალმა; ქალიც უმეტესად დამშვენებული დახვდა, ბავშვიც კარგად ჰყავდა. ძალზე გამხიარულებული სტუმრები სუფრას მოუსხა და ბრძანა საუკეთესო საჭმელ-სასმელი მოერთმიათ მათთვის. როდესაც პურობა თავდებოდა, ჯერ ქალს უთხრა, რასაც აპირებდა და მოილაპარაკეს, თუ როგორ უნდა დაეჭირა თავი ქალს; მერე ასეთი სიტყვით მიმართ სტუმრებს: „ბატონებო, მაგონდება, ოდესღაც გამიგონია, რომ სპარსეთში ყოფილა ერთი, ჩემის აზრით, მშვენიერი ჩვეულება, როდესაც ვისმე უნდოდა დიდი პატივი ეცა თავისი მეგობრებისათვის, დაპატიჟებდა სახლში და აჩვენებდა ყველაფერს, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო — ცოლი იქნებოდა ეს, შვილი თუ სხვა რამ და ამით სტუმრებისათვის უნდა გაეგებინებინა: როგორც ამას გაჩვენებ, ისევე და მეტი ხალისითაც გაჩვენებდი, რომ შემეძლოს, ჩემს გულსაო. და ახლა მინდა ეს ჩვეულება აქ დავიცვა. თქვენ პატივი მეცით იმით, რომ მიკადრეთ და მეწვიეთ და ახლა მე მინდა სპარსული წესით გცეთ პატივი და გაჩვენოთ, ქვეყანაზე რაც რამ უძვირფასესი მყავს ან მეყოლება. მაგრამ სანამ ამას ვიზამდე. გთხოვთ მიბრძანოთ, თუ რასა ფიქრობთ ერთი საეჭვო შემთხვევის გამო, რომელსაც ახლავე მოგახსენებთ. ერთ კაცს შინა ჰყავს ერთი კარგი და ერთგული მოსამსახურე. ეს მოსამსახურე მძიმე ავადმყოფი გახდება; პატრონი სიკვდილს არც კი დააცლის, ავადმყოფ მოსამსახურეს შუა გზაზე გამოაყვანინებს და მერე არც კი მიხედავს. ამ დროს გამოივლის ერთი უცხო ვინმე, შეებრალება ავადმყოფი და სახლში წამოიყვანს, ძალზე მოუვლის, ხარჯს არაფერს დაერიდება და დაუბრუნებს პირვანდელ ჯანს. ახლა მე მინდა გავიგო: თუ ეს კაცი ამ მოსამსახურეს თავისთან დაიტოვებს და იმსახურებს, პირველ პატრონს ნება აქვს თუ არა საფუძვლიანად უჩივლოს ან გაუწყრეს მეორე პატრონს, თუ ვინიცობაა, მოსამსახურე უკან მოითხოვა და მეორემ კი მოცემასზე უარი უთხრა?“

სახელოვანმა სტუმრებმა ბევრგვარი აზრი გამოთქვეს. ბოლოს ერთ რამეზე ყველანი შეთანხმდნენ და პასუხის გაცემა მიანდეს ნიკოლუჩო კაჩიანიმიკოს, რომელიც კარგ მოლაპარაკედ ითვლებოდა.

ნიკოლუჩომ პირველად აქო სპარსული ჩვეულება და თქვა — მეც სხვების აზრისა ვარო, სახელდობრ: პირველ პატრონს უფლება არა აქვს თავისი მოსამსახურე მოითხოვოს, რადგან ასეთ გარემოებაში მყოფს არამცთუ არ მოუარა, გარეთაც გაუძახა, და რადგან მეორე პატრონმა მოსამსახურეს ასეთი სიკეთე უყო, მოსამსახურეც კანონით მას ეკუთვნის, მით უფრო, რომ მეორე პატრონს მოსამსახურის მითვისებით პირველი პატრონისათვის არ უწყენინებია, არც უზარალებია და არც ძალა დაუტანებიაო. სხვებმა, ვინც სუფრას უსხდნენ (და მათ შორის ბევრი ღირსეული და ქველი ხალხი ერია), ყველამ ნიკოლუჩოს ნათქვამს დაუჭირა მხარი.

რაინდს ძალიან გაეხარდა, რომ ასეთი პასუხი მიიღო და ისიც — ნიკოლუჩოსაგან. განაცხადა, მეც ამ აზრისა გახლავართო და შემდეგ მოახსენა სტუმრებს: ახლა კი დროა, ჩემი დაპირების თანახმად გცეთ პატივიო. და იხმო ორი თავისი მსახური, გაგზავნა ქალთან, კარგად ჩააცვით და მორთეთო და მოახსენეთ, — გამახაროს, მობრძანდეს და თავისი აქ ყოფნით გაამხიარულოს სტუმრებიო. ქალსაც თავისი მშვენიერი ბავშვი ხელში დაეჭირა და ორი მოსამსახურის თანხლებით შემოვიდა დარბაზში; როგორც რაინდმა უჩვენა, ერთ-ერთ პატიოსან სტუმართაგანს გვერდით მოუჯდა. მაშინ რაინდმა საზოგადოებას მიმართა: „ბატონებო, აი ეს გახლავთ ის არსება, რომელიც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი არის და იქნება. აბა, ერთი შეხედეთ, ხომ მართალს მოგახსენებთ?“

სტუმრებმა სალამი ჰკადრეს მანდილოსანს, ქება შეასხეს და დაარწმუნეს — აბა რა ლაპარაკი უნდა, თქვენთვის ძვირფასი უნდა იყოსო! მერე დაუწყეს ქალს სინჯვა და ზოგ მათგანს რომ არ სცოდნოდა, რომ მკვდარი იყო, იტყოდა — ნიკოლუჩოს მეუღლეაო. მაგრამ ყველაზე მეტად ნიკოლუჩო სინჯავდა და სული მისდიოდა გაეგო ქალის ვინაობა. და როცა ცოტა ხნით რაინდი დარბაზიდან გავიდა, ვეღარ მოითმინა და ჰკითხა: ბოლონიელი ბრძანდებით თუ სხვაგნებურიო? ქალმა თავისი ქმრის კითხვა რომ გაიგონა, ცოტას გაწყდა, არ უპასუხა, მაგრამ მოაგონდა მესერ ჯენტილესათვის მიცემული პირობა და ხმა არ გასცა. ერთმა ჰკითხა — ეს ბავშვი თქვენი შვილიაო, მეორემ — მესერ ჯენტილე თქვენი მეუღლეაო, ან ხომ არ გენათესავებათო? ქალმა პასუხი არავის გასცა. ამ დროს შემოსულ მესერ ჯენტილეს ერთმა სტუმართაგანმა ჰკითხა: მესერე, მართლა რომ მშვენიერი ვინმე გახლავთ, მაგრამ ჩვენ მუნჯი გვგონიაო; მართლა ასე არისო? „ბატონებო, — უთხრა მესერ ჯენტილემ, — მისი დუმილი მისი სათნო ხასიათის ნიშანი გახლავთ“. – „მაშ, გვითხარით, ვინ ბრძანდება?“ — უთხრა იმანვე. ამაზე რაინდმა უპასუხა: ბატონი ბრძანდებით! მოგახსენებთ, მხოლოდ ერთი პირობით: რაც უნდა ვთქვა, თქვენთაგანი ადგილიდან არავინ დაიძრას, სანამ ჩემი ამბის თქმას არ გავათავებო. ყველამ პირობა მისცა.

სუფრას აუმატეს. მესერ ჯენტილე ქალს გვერდით ეჯდა და ასე განაგრძო ლაპარაკი: „სწორედ ეს ქალია ის პატიოსანი და ერთგული მონა, რომლის შესახებაც ამ ცოტა ხნის წინათ მოგახსენეთ. მისიანებმა, რომელთათვისაც იგი ძვირფასი აღარ იყო, როგორც

ყოველივე ღირებულებას მოკლებული და უსარგებლო ნივთი, შუა ქუჩაში გადააგდეს; მე ავიყვანე და ჩემი მზრუნველობითა და მეცადინეობით სიკვდილს პირიდან გამოვგლიჯე; ღმერთმა დამიფასა ჩემი გულკეთილობა და საშინელი მძოვრისაგან ასეთ მშვენიერებად აქცია. მაგრამ რათა ზედმიწევნით გაიგოთ, თუ როგორ მოხდა ეს, ნება მიბოძეთ მოკლედ მოგახსენოთ საქმის ვითარება". ესა თქვა და დაიწყო, როგორ შეუყვარდა ქალი, მერე იმ დღიდან ამ წუთამდე რაც მომხდარა, წვრილად მოუყვა. სტუმრები გაშტერებული უყურებდნენ. ბოლოს დასძინა: „აი, ამიტომ თუ არც ერთმა თქვენთაგანმა, და, განსაკუთრებით, ნიკოლუჩომ თავისი ამასწინანდელი განაჩენი არ შეცვალა, ეს მანდილოსანი, საცა სამართალია, მე მეკუთვნის და არავისა აქვს უფლება, მისი თავი მომთხოვოს".

ამაზე არავინ უპასუხა, ყოველი მათგანი იმას ელოდებოდა — აბა, კიდევ რას იტყვისო. ნიკოლუჩო, სხვა სტუმრები და თვით ქალიც სიბრალულის გრძნობით იცრემლებოდნენ, მაგრამ მესერ ჯენტილე ზეზე წამოდგა, პატარა ბავშვი ხელში დაიჭირა, დედას ხელი მოჰკიდა, მივიდა ნიკოლუჩოსთან და უთხრა: ადექი, ნათლიმამ, მე შენს ცოლს კი არ გიბრუნებ, შენმა და მისმა მშობლებმა გარეთ რომ გააგდეს; არა, მე მინდა მოგცე ეს მანდილოსანი, ჩემი ნათლიდედა, თავის ბავშვიანად, რომელიც, დარწმუნებული ვარ, შენი შვილია, და რომელიც მე მივირქვი ემბაზიდან ამოყვანილი და სახელად დავარქვი ჯენტილე, რადგან იგი ჩემს სახლში თითქმის სამ თვეს ცხოვრობდა; ამის გულისათვის გული არ აიყარო მაგაზე. გეფიცები მაღალ ღმერთს, რომელმაც იქნებ მაიძულა შემეყვარებინა იგი, რათა ჩემი სიყვარული მისი ხსნის მიზეზი გამხდარიყო, ჰო, გეფიცებით ღმერთს, რომ მას არც მამასთან, არც დედასთან და აღარც თვითონ შენთან ისე ნამუსიანად თავის დღეში არ უცხოვრია, როგორც ცხოვრობდა დედაჩემთან ერთად ჩემს სახლში".

ეს რომა თქვა ჯენტილემ, მიუბრუნდა მანდილოსანს და უთხრა: „მადონა, ამიერიდან გამინთავისუფლებიხართ ყოველი ჩემდამი მოცემული პირობისაგან და თქვენი თავი სრულებით თავისუფალი ნიკოლუჩოსათვის დამილოცნია". მერე მანდილოსანი და ბავშვი ნიკოლუჩოს ჩააბარა და ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

ნიკოლუჩომ დიდი აღტაცებით ჩაიბარა თავისი ცოლი და ბავშვი, და მით უფრო უხაროდა, რაც უფრო შორს იყო მისგან მათი დაბრუნების იმედი. და, როგორც კი შეეძლო, რაინდს მადლი უძღვნა. სხვები სიბრალულის ცრემლით იმდუღრებოდნენ და ქებით ააგსეს, და ვინც კი გაიგონა ეს ამბავი, დიდად მოუწონეს საქციელი.

ქალს დიდის ამბით დაუხვდნენ თავის სახლში და ბოლონიელები დიდხანს უყურებდნენ აღტაცებით, როგორც მკვდრეთით აღდგომილს. ხოლო მესერ ჯენტილე სულ მუდამ მეგობრულად ცხოვრობდა ნიკოლუჩოსთან, მის ნათესავებთან და აგრეთვე ქალის ნათესავებთანაც.

როგორ მოგწონთ ეს ამბავი, ჩემო იამზენო? ხომ არ გგონიათ, რომ საქციელი მეფისა, რომელმაც მისცა თავისი კვერთხი და გვირგვინი, ან აბატისა, რომელმაც პაპთან ვინმე ავაზაკი შეარიგა ისე, რომ ეს არაფერი დასჯდომია, ან მოხუცისა, რომელმაც მტრის დანას ყელი შეუშვირა, ჰო, ყველა ამათი საქციელი განა შეედრება მესერ ჯენტილეს ვაჟკაცურ მოქალაქეობას! ვიცით, რომ ეს კაცი ახალგაზრდა იყო, ფიცხელი, დარწმუნებული იყო, რომ კანონით იგი უნდა დაჰპატრონებოდა იმ ადამიანს, ვინც სხვათა დაუდევრობამ გარეთ გადააგდო, ხოლო ამას ბედი შეეწია და ააყვანინა. და მესერ ჯენტილემ არამცთუ პატიოსნად შეიკავა თავისი გულისთქმა, არამედ ის არსება, რომელსაც მთელი თავისი აზრ-გონებით ესწრაფვოდა და რომელსაც მოსატაცებლად ეძებდა, ხელში ჰყავდა, მაგრამ მაინც თავისი საკუთარი შეგულიანებით წინანდელ პატრონს ჩააბარა. ცხადია, არც ერთი აღნიშნული სულგრძელობის ამბავი, ამასთან შედარებით, მოსატანიც არ გახლავთ.

ამბავი მეხუთე. ღიღსუღოვნება

მადონა დიანორა მესერ ანსალდოსა სთხოვს — ისეთი ბაღი გამიკეთებინე, რომ იანვარშიც ისე ჰყვაოდეს, როგორც მაისშიო. მესერ ანსალდო ერთ ნიგრომანტს გაურიგდება და ისიც ასეთ ბაღს გაუკეთებს. ქმარი დიანორას ნებას აძლევს —მესერ ანსალდოს გულის წადილი აუსრულეო. ანსალდო კი ქმრის სულგრძელობის ამბავს რომ გაიგებს, ცოლს პირობის ასრულებას არ მოსთხოვს, ხოლო ნიგრომანტი ანსალდოს არაფერს არ გამოართმევს და ვალს აპატიებს.

მხიარული საზოგადოების თითოეულმა წევრმა ქებით თითქმის ცამდე აიყვანა მესერ ჯენტილე. ამ დროს მეფემ ემილიას უბრძანა, ახლა იმას ეთქვა ამბავი. ამას თითქოს სული მისდიოდა, სანამ რასმე იტყოდა, და თამამად დაიწყო: — ნარნარო ბანოვანნო! მართალია, ვერავინ იტყოდა — მესერ ჯენტილე სულგრძელად არ მოქცეულაო, მაგრამ ვინმემ რომ თქვას — ამაზე უკეთესად ვერავინ მოიქცეოდაო, უნდა მოგახსენოთ, ასეთი თქმა შემცდარი თქმა იქნებოდა. ეს კი არა, შეიძლება ძნელიც არ იყოს იმის დამტკიცება, რომ ამაზე მეტის გამკეთებელი შეიძლება აღმოაჩინოს კაცმა. და აი სწორედ ამაზე მინდა მოგახსენოთ ჩემი პატარა მოთხრობით.

ფრიოლი თუმცა ცივი მხარეა, მაგრამ სამაგიეროდ შემკულია ლამაზი მთებით, მრავალი მდინარეებით და ანკარა ნაკადულებით. ჰოდა, ამ მხარეში ერთი ქალაქია, სახელად უდინე ჰქვია. ამ ქალაქში ცხოვრობდა ერთი მშვენიერი კეთილშობილი ქალი, რომელსაც მადონა დიანორას ეძახდნენ. ქმრად ჰყავდა ერთი მდიდარი, სასიამოვნო და გულკეთილი ადამიანი, ჯილბერტო ერქვა. ამ მანდილოსანმა თავისი ღირსებით ერთი სახელოვანი და დიდი ბარონის, მესერ ანსალდო გრადენსეს, უზომო სიყვარული დაიმსახურა. მესერ ანსალდო იყო

კაცი დიდი შეძლებისა, ცნობილი იარაღის ხმარებაში, განთქმული მართებულობით. რაკი ქალი გაგიჟებით უყვარდა, არაფერს არ ზოგავდა, ოღონდ ქალის გული მოეგო, ხშირად მოციქულს უგზავნიდა დაემუდარებოდა, მაგრამ ამაოდ დაშვრებოდა. რაინდის თხოვნა-ხვეწნით თავი მობეზრებული ჰქონდა მადონა დიანორას. რაკი ხედავდა, რომ რაც უნდა უარი ეთქვა მის თხოვნაზე, რაინდი მაინც თავის სიყვარულზე და ხვეწნა-მუდარაზე ხელს არ იღებდა, გადაწყვიტა მისგან თავი გაეთავისუფლებინა ერთი მეტად უცნაური და, მისი აზრით, ყოვლად შეუძლებელი თხოვნით. და აჰა, დედაკაცს, ვინც მასთან ხშირად მაჭანკლად დადიოდა, ერთხელ ასე უთხრა: „ჩემო კარგო, შენ სულ იმას მეუბნები, ანსალდოს თავს ურჩევნიხარო, და მისგან საუცხოო საჩუქრებს მპირდები; ეს საჩუქრები დაე იმასთანვე დარჩეს, იმიტომ რომ ამას ვერ დამახარბებს და ვერც ოდესმე შევიყვარებ და ვეღარც მისი გულისას ვიზამ. მაგრამ მე რომ შემეძლოს დავრწმუნდე, რომ მართლა ისე ვუყვარვარ, როგორც, შენ მეუბნები, უეჭველად შემიყვარდებოდა და გულის ნადებს ავუსრულებდი. და ამიტომ, თუ იგი ამაში იმით დამარწმუნებს, რომ, რასაც ვეტყვი, ამისრულებს, მისი მონა-მორჩილი ვიქნები“. მაჭანკალმა უთხრა: „რა გახლავთ ისეთი, რაც იმან უნდა აგისრულოთ?“ ამაზე მანდილოსანმა უპასუხა: „აი, რა მინდა: მომავალი იანვრისათვის აქ, ქალაქს გვერდით, გააჩინოს ბაღი, სავსე მწვანე ბალახით, ყვავილებითა და ფოთლებგაშლილი ხეებით ისეთნაირად, თითქოს მაისშიაო. თუ ეს არ გაუკეთებია, ტყუილად ნურც შენა გგზავნის ჩემთან და ნუღარც სხვა ვისმე, და თუ კიდევ არ დაუშლია და თავი არ დაუნებებია ჩემთვის, მეტი ჩარა არა მაქვს, უნდა შევჩივლო ჩემს ქმარს და ნათესავებს, რომელთაც დღემდე ყველაფერს ვუმალავდი, და ვეცდები ზურგი შევაქციო“.

რაინდმა რომ გაიგონა ქალის თხოვნა და მისი შემონათვალი, — თუმცა მისი ასრულება მეტად სამძიმოდ და თითქმის შეუძლებლად ეჩვენა და თანაც მიხვდა, რომ ქალი ასეთ რამეს მხოლოდ იმისათვის მთხოვს, მაგრძნობინოს — ჩემს სიყვარულზე ხელი აიღეო, ტყუილად იმედი ნუღარ გაქვსო, — მაინც გადაწყვიტა, ყოველი ღონე ეღონა და გაეკეთებინა, რის გაკეთებაც კი შეიძლებოდა. ქვეყნის ოთხივე კუთხივ ძებნა დაუწყო ისეთ კაცს, ვისაც შეეძლო დახმარებოდა და რჩევა მიეცა და წაწყდა ერთ ვისმე, რომელიც დაჰპირდა: თუ კარგ სასყიდელს მომცემ, მე ვიზავ ამას ნიგრომანციის საშუალებითაო.

ანსალდო მოურიგდა ამ კაცს, დიდძალ ფულსაც დაჰპირდა და სულისულზე დაუწყო ლოდინი დანიშნულ დროს. ეს დროც დადგა. საშინლად ციოდა, ყველაფერი თოვლით იყო დაფარული და ძალზე ყინავდა. ბრძენმა კაცმა ქალაქს ახლო ერთ მშვენიერ კორდზე თავისი ხელოვნებით ახალი წლის წინა ღამეს ისე მოაწყო, რომ ზედ ახალ წელიწადს დილას გამოჩნდა, როგორც ეს მნახველებმა დაამოწმეს, ისეთი საუცხოო ბაღი, რომ მისი სადარი ადამიანის თვალს არ ენახა. რა გინდა, სულო და გულო, აქ არ ყოფილიყო: მწვანე ბალახი გინდა, ხეები თუ ნაირ-ნაირი ხილი!.. მესერ ანსალდომ ეს რომ დაინახა, განიხარა ფრიად,

დააკრეფინა საუკეთესო ხილი და უმშვენიერესი ყვავილები, ჩუმად თავის საგრეფოს გაუგზავნა და შეუთვალა, მოსულიყო და მის მიერ ნანატრი ბაღი ენახა, რომ დარწმუნებულიყო, თუ რაზომ უყვარდა რაინდს, მოეგონებინა თავისი აღთქმა, ფიცს ქვეშ მიცემული, და მერე, როგორც პატიოსან ქალს შეშვენოდა, შეესრულებინა კიდეც ეს აღთქმა.

ქალს უკვე სხვათაგან ესმოდა ამ საუცხოო ბაღის ქება და ახლა ყვავილები და ხილი რომ დაინახა, უკან დაიხია და ბარემ თითზე იკბინა — რად მივეცი პირობა ანსალდოსაო! თუმცა ნანობდა, მაგრამ, როგორც სულწასულმა ყოველსავე ახალის რისამე სანახავად, გაიყოლია ქალაქიდან სხვა ქალებიცა და წავიდა ამ ბაღის დასათვალიერებლად. ძალზე მოეწონა, აქო და უზომოდ მჭმუნვარე შინ დაბრუნდა, რადგან ხედავდა, თუ რის შესრულებას აკისრებდა ეს ბაღი. ხოლო მისი დარდი ეგზომ დიდი იყო, რომ გულში ვეღარ დაეტია და სახეზე აშკარად ეტყობოდა ასე რომ, ქმარმა უნებურად შეატყო და მიზეზი ჰკითხა. ცოლმა სირცხვილით პირველად არა თქვა, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა გამოტეხილიყო და თავიდან მოუყვა ყველაფერს, როგორც იყო.

ჯილბერტომ ეს რომ გაიგონა, ჯერ ძალზე გაბრაზდა, მაგრამ მერე, რაკი დაინახა, ჩემს ცოლს ცუდი გულში არაფერი სდებიაო, კარგად დაფიქრდა, გულიდან ბრაზი გადაიყარა და უთხრა: „დიანორა, არა ჰხამს ჭკვიანმა და ნამუსიანმა ქალმა ასეთი მაჭანკლების პირით შემონათვალი მოისმინოს ანდა ვინმესთან რაიმე პირობა დადოს თავისი უბიწოების შესახებ. ის სიტყვები, ყურების საშუალებით გულს რომ ჩასწვდებიან, ამ გულში უფრო მაგრად რჩებიან, ვიდრე ეს ზოგსა ჰგონია ხოლმე, და საყვარლისათვის თითქმის ყველაფერი შესაძლებელი ხდება ხოლმე; მაშასადამე, ცუდად გიქნია, რომ ჯერ ყური გიგდია და, მეორეც, — პირობაც რომ დაგიდვია, მაგრამ რადგან ვიცი შენი სულის სიწრფელის ამბავი, მინდა გათავისუფლდე მოცემული პირობის მოვალეობისაგან და ნებას მოგცემ, რაც სხვა ვინმეს შეიძლება არც კი ექნა; გარდა ამისა, ნიგრომანტისაც მეშინია: შენ რომ მესერ ანსალდოს მოატყუო, ვაითუ ნიგრომანტის საშუალებით სამწუხარო რამეს გადაგვკიდოს; წადი ანსალდოსთან, ვინძლო როგორმე მოახერხო და დაიცვა შენი ნამუსი, და მიცემული პირობისაგან თავი გაითავისუფლო. მაგრამ თუ ვერას გახდე, ამჯერად დანებდი, მხოლოდ ხორციელად და არა სულიერად“.

ცოლმა ქმრისაგან ასეთი სიტყვები რომ გაიგონა, დაიწყო ტირილი და მის ხათრიანობაზე უარს ეუბნებოდა. მაგრამ თუმცა ცოლი უარზე იდგა, ქმარი მაინც ძალას ატანდა — უეჭველად ასე მოიქეცი. ამიტომ მეორე დილას, გათენდა თუ არა, მსუბუქად ჩაიცვა ტანთ, ორი მოსამსახურე წინ გაიყოლია და უკან კიდევ პირისფარეში ქალი და მესერ ანსალდოს სახლისაკენ გასწია. ანსალდომ რომ გაიგო, ჩემი საგრეფო მოსულაო, უზომოდ გაიკვირვა, დააძახებინა ნიგრომანტისათვის და უთხრა: მე მინდა გაყურებინო, თუ რა ნეტარებასა მწია შენმა ხელოვნებამო.

მერე ანსალდო მიეგება, გულში უხამსი სურვილი რამ არ გაუტარებია, დიდი მოწიწებით და პატივისცემით მდაბლად სალამი ჰკადრა, ყველანი ერთ მშვენიერ ოთახში შემოიყვანა, სადაც დიდი ცეცხლი ენთო. ქალი დასვა და უთხრა: თუ სიყვარული, გულში თქვენდამი რომ ვატარებდი, ოდნავაც არის, ჯილდოს ღირსია, გთხოვთ, თუ არ გეთაკილებათ, მიბრძანოთ ნამდვილი მიზეზი თქვენი აქ მობრძანებისა ასეთ დროს და ასეთი ხალხის თანხლებითო! ქალმა, დარცხვენილმა და თითქმის თვალცრემლიანმა, უპასუხა: „მესერე, აქ არც თქვენს სიყვარულს მოვუყვანივარ და არც ჩემს ფიცს ქვეშ მოცემულ პირობას, არამედ აქ მომიყვანა ჩემი ქმრის ბრძანებამ. ქმარმა ანგარიში გაუწია უფრო თქვენს აზვირთებულსა და აფორიაქებულ ვნებათა ღელვას, ვიდრე ჩემი და მისი სახელის გატეხას, და მიბრძანა აქ მოვსულიყავ, და მისი ბრძანებითვე მზად გახლავართ ყოველი თქვენი სურვილი სრულვყო“.

მესერ ანსალდო, თუ პირველში განცვიფრდა, როცა ქალს უსმენდა, ახლა უმეტესად გაოცდა: ჯილბერტოს სულგრძელობამ გული მოუწყლა. თავისი ვნება სიბრალულად შეეცვალა და უთხრა: „ქალბატონო, უკეთუ საქმე ისე გახლავთ, როგორც თქვენა ბრძანებთ, ღმერთმა დამიფაროს, ჩირქი მოვცხო ასეთი ადამიანის სახელს, ვისაც შევებრალე, როგორც შეყვარებული კაცი; ამიტომ აქ იმდენ ხანს დარჩით, რამდენიც გეამებათ, სხვაფრივ არ მოგეპყრობით, თუ არა როგორც ჩემს საკუთარ დას, და როცა გენებებათ, შეგიძლიათ წაბრძანდეთ თავისუფლად, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ თქვენს მეუღლეს მისი ასეთი სულგრძელობისათვის ისე გადაუხდით მადლობას, როგორც ამას შესაფერისად დასახავთ, მე კი შემდეგში ისე მიგულებთ, როგორც თქვენს ძმას და მოსამსახურეს“.

ეს რომ გაიგონა ქალმა, სიხარულით ცათაფრენა შეუდგა და უთხრა ანსალდოს: „თქვენი ხასიათის ამბავი რომ ვიცოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ სწორედ ასე მომექცეოდით. და ამიტომ, სანამ პირში სული მიდგას, თქვენს პატივისცემას ვერ გადავიხდი“. ამის შემდეგ გამოეთხოვა და ანსალდომაც პატივისცემით გამოაცილა. ქალი მოვიდა ჯილბერტოსთან და უამბო ყველაფერი. და ამის შემდეგ ჯილბერტო და ანსალდო განუშორებელი და ერთგული მეგობრები შეიქნენ ერთმანეთისა.

ნიგრომანტმა, რომელსაც ანსალდო აღთქმული გასამრჯელოს ჩაბარებას უპირებდა, რომ დაინახა ჯილბერტოს დიდსულოვნება ანსალდოს მიმართ, ხოლო ანსალდოს მხრით — ჯილბერტოს მეუღლის მიმართ, ანსალდოს უთხრა: „რაც მე ჯილბერტოს დიდსულოვნება დავინახე სინდისის საქმეში, ხოლო თქვენი დიდსულოვნება — სიყვარულის საქმეში, ღმერთმა დამიფაროს, ჩემის მხრით მეც არ ვიქნე სულგრძელი ჩემი სასყიდლის საქმეში. ამიტომ რაკი ვიცი, თუ რარიგ გამოგადგებათ თქვენ ეს ფული, მინდა ღმერთმა თქვენვე მოგახმაროთ“.

რაინდს შერცხვა და შეეცადა ნიგრომანტს სულ ან ნაწილი მაინც გამოერთმია; მაგრამ რადგან ანსალდო ამოდ ცდილობდა ამას, ხოლო ნიგრომანტმა მესამე დღეს თავისი ბაღი

ااალაგა და წასვლა მოინდომა, ანსალდომ გზა დაულოცა. თვითონ კი გულში ჩაიკლა ქალისადმი ტრფიალი და იმის მაგიერ აღივსო მისდამი პატიოსანი სიყვარულის გრძნობითა.

ამაზე რაღა გვეთქმის, ტკბილო ქალებო? თქვენის აზრით, ნუთუ სულგრძელობა ადამიანისა, რომელიც მოქმედებდა საღათას ძილით დაძინებული ქალის სიყვარულის გავლენით, როცა ეს სიყვარული უკვე თითქმის უკვე ჩაშრეტილი იყო იმედის დაკარგვის გამო, უფრო მაღლა დგას, ვიდრე დიდსულოვნური მოქმედება მესერ ანსალდოსი, რომელსაც წინანდელზე უმეტესი გაშმაგებით უყვარდა, როცა იმედი უფრო მეტად გაუცხოველდა და ხელთ ეპყრო ის საუნჯე, რასაც ასე თავგამოდებით ეძებდა? მე მგონია, უჭკუობა იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს შეგვძლებოდა პირველის სულგრძელობა მეორის დიდსულოვნებასთან შეგვედარებინა.

ამბავი მეექვსე. კარლოს ძლევამოსილი

ძლევამოსილ მეფეს, კარლოს უფროსს, ერთი ახალგაზრდა ქალი შეუყვარდა, მაგრამ მერე თვითონვე შერცხვა თავისი გიჟური განზრახვისა და ქალი და მისი დაი დიდი პატივით გაათხოვა.

ვისმე რომ მოესურვებინა დაწვრილებით მოყოლა იმისა, თუ რა და რა აზრი გამოთქვეს ქალებმა იმაზე, თუ მადონა დიანორას მიმართ ვინ უფრო მეტი სულგრძელობა გამოიჩინა — ჯილბერტომ, მესერ ანსალდომ თუ ნიგრომანტმა — ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. მეფემ ნება მისცა ერთხანს ეკამათათ ამ საგნის გარშემო, მერე ფიამეტას შეხედა და უბრძანა: დაიწყე რამე ამბავიო, და ამათ კამათსაც ბოლო მოუღო. იმანაც ასე დაიწყო: — მზეთუნახავნო! მე მარად იმ აზრისა გახლდით, რომ ისეთ საზოგადოებაში, როგორიც ჩვენია, ვრცლად უნდა ილაპარაკოს ხოლმე კაცმა, რათა მეტისმეტი მოჭრა სიტყვისა მსმენელთ ნაამბობის მნიშვნელობის შესახებ დავის საბაბად არ გაუხდეთ. ეს დავა უფრო შეეფერება სკოლაში მოსწავლეთ, ვიდრე ჩვენ, ვინც თითისტარისა და ჯარას თავის გართმევა ძლივს მოგვიხერხებია. ამიტომ მე თუმცა განზრახვა მქონდა მეამბნა თქვენთვის ერთი რამ, რაც უეჭველად დავასა და აზრთა შეხლა-შემოხლას გამოიწვევდა, მაგრამ რაკი დავინახე, თუ რა დავა ატეხეთ უკვე ნაამბობის გამო, საამბობლად განზრახულს თავს ვანებებ და გიამბობთ ვინმე ლიტონი კაცის ამბავს კი არა, თვით სახელოვანი მეფის ამბავს გაჩვენებთ, რა რაინდულად მოიქცა ეს მეფე და თავისი სინდისისათვის, ერთი ბეწოთიც არი, ჩირქი არ მოუცხია.

ყოველ თქვენთაგანს გაგონილი გექნებათ მოგონებანი მეფე კარლოს უფროსის ანუ პირველის შესახებ, რომლის თაოსნობით და მეფე მანფრედზე სახელოვანი გამარჯვების

წყალობით გიბელინები ფლორენციიდან განდევნილი იქნენ და ქალაქში ისევ დაბრუნდნენ გველფები. ამის მიზეზით ერთი რაინდი, მესერ ნერი დელი უბერტი იქიდან გადმოესახლა მთელი თავისი ოჯახითურთ, თან წამოიღო დიდძალი ფული, მაგრამ თქვა: თუ სადმე წავალ, ისევ ისეთ ალაგას წავიდე, საცა მეფე კარლოსის მფარველობის ქვეშ ვიქნებიო; იქ სადმე განმარტოებით ვიცხოვრებ და ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს მშვიდობით განვლევო. და ამ განზრახვით წავიდა კასტელ ა მარე დი სტაბიაში. აქ ქალაქის სხვა სახლებზე დაახლოებით შურდულის ერთი გასროლის მანძილზე ზეთისხილის ხეებსა, თხილნარსა და ნაბლნარს შორის, რომლებითაც სავსეა ეს მხარე, ერთი მამული შეიძინა. ზედ ააგო ერთი ლამაზი და ყველაფრით მოხერხებული სახლი, გვერდით გაიშენა საუცხოო ბაღი, ხოლო ბაღის შუაგულში, რადგან მდინარე წყალი უხვადა ჰქონდა, გააკეთა, ჩვენებურ გემოვნებაზე, მშვენიერი ანკარა გუბე, რომელშიაც სულ ადვილად გააჩინა აუარებელი თევზი. რაინდი იმასღა ფიქრობდა, დღითიდღე როგორ გაემშვენიერებინა თავისი ბაღი.

ამასობაში ზაფხულის სიცხეში მეფე კარლოსმა განიზრახა მოსასვენებლად წასულიყო კასტელა მარეში. აქ მესერ ნერის ბაღის სილამაზის ქება ესმა და ინება მისი ნახვა. რომ გაიგო ბაღის პატრონის ვინაობა, რადგან რაინდი მოწინააღმდეგე პარტიას ეკუთვნოდა, გადაწყვიტა მას უფრო ალერსიანად მოქცეოდა და ამიტომ შეუთვალა: ოთხი კაცითურთ უნდა გეწვიოთ და ხვალღამ თქვენს ბაღში უნდა ვივახშმოთ შინაურულადო. მესერ ნერის უზომოდ გაეხარდა მეფის შემონათვალი, საუცხოოდ მოამზადა ყველაფერი, მოსამსახურეებს ყველას თავ-თავისი საქმე მიუჩინა და მეფეს, რაც შეიძლებოდა, გულითადად დაუხვდა.

მეფემ დაათვალიერა ბაღი და სასახლე მესერ ნერისა და ძალიანაც მოეწონა. სუფრები გუბის გვერდით გაეშალათ. მეფეს ხელი დააბანინეს და ისიც ერთ-ერთ სუფრას მიუჯდა. დიდებულმა სტუმარმა კონტ გვიდო და მონფორტეს, რომელიც სხვებთან ერთად თან ახლდა, უბრძანა გვერდით მოსჯდომოდა, ხოლო მესერ ნერი მეორე გვერდზე მოისვა; სამ დანარჩენთ, მასთან მოსულთ, უბრძანა — თქვენ კი გვემსახურეთ იმ წესით, როგორც მასპინძელს აქვს დადგენილიო. სუფრა სავსე იყო საუცხოო საჭმელებით, ერთი ჩიტის რძეღა აკლდათ, ღვინოები იყო ნაირ-ნაირი და თავანკარა, ემსახურებოდნენ სტუმრებს წესიერად, უხმაუროდ და თავის შეუწყინებლად, ასე რომ, მეფე მეტად ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩა.

მეფე ასე მხიარულად რომ მიირთმევდა საჭმელს და ამ განმარტოებულ ადგილში ყოფნით განიხარებდა, ბაღში შემოვიდა ორი ყმაწვილი ქალი. ასე თხუთმეტი წლისანი თუ იქნებოდნენ, თავზე ოქროსმკედისფერი ქერა და ხუჭუჭა თმა ჩამოშლოდათ და ზედაც ეკეთათ მსუბუქი გვირგვინები პროვინკას ყვავილებისაგან შეთხზული, ხოლო სახეები ანგელოზებისას მიუგავდათ, იმდენად იყვნენ ლამაზები და კოპწიები; ემოსათ წმიდა და თოვლივით თეთრი ტილოს სამოსი, რომელიც წელამდე შემოჭერილი ჰქონდათ ტანზე, ხოლო წელს ქვემოთ კი განივრად ეშვებოდა კარავივით და გრძლად ჩამოდიოდა კოჭებამდე. წინ რომ მოდიოდა, იმ

ქალს მხარზე წყვილი ბადე ჰქონდა გადებული, რომელიც მარცხენა ხელით ეჭირა, ხოლო მარჯვენა ხელით გრძელი ჯოხი მოჰქონდა. უკან მომავალ ქალს მარცხენა მხარზე ტაფა გაედო, იღლიაში კიდევ ერთი გუდურა წნელი ჰქონდა ამოჩრილი, ცალ ხელში ეჭირა ზედადგარი, ხოლო მეორე ხელით ერთი გოზაური ზეთი და ანთებული მაშხალა მოჰქონდა.

მეფე ამ ქალების დანახვაზე ფრიად განცვიფრდა და დაუწყო ლოდინი, აბა რა იქნებაო. ქალები მოკრძალებით და დარცხვენილად მოვიდნენ და მეფეს სალამი ჰკადრეს; მერე გაემართნენ იქითკენ, სადაც ჩასასვლელი იყო გუბეში. იმან, რომელსაც ზედადგარი ეკავა, ძირს დადგა ყველაფერი, რაც ხელში ეჭირა, მერე მეორეს გამოართვა კეტი და ორნივე შევიდნენ გუბეში, რომლის წყალი მხრებამდე სწვდებოდათ. მესერ ნერის ერთ-ერთმა მსახურმა ხელად ცეცხლი გააჩაღა, ზედადგარზე ტაფა დადგა, ზედ ზეთი დაასხა და დაუწყო ლოდინი, სანამ ქალები დაჭერილ თევზებს ამოყრიდნენ. ერთ-ერთი მათგანი იმ ალაგას მივიდა, სადაც დამალული თევზები ეგულებოდა და დაუწყო ფრთხობა, ხოლო მეორემ ბადე მოიმარჯვა. მეფე გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს და დიდად განიხარა, როცა სულ მოკლე ხანში ქალებმა საკმაოდ დაიჭირეს თევზი და მოსამსახურეს ამოუყარეს; ისიც თითქმის ცოცხლებს ტაფაზე ყრიდა; მერე, როგორც დარიგებულები იყვნენ, ამორჩეულ თევზებს ქალები სუფრაზე უყრიდნენ მეფეს, კონტ გვიდოსა და მამას. თევზები სუფრაზე ხტოდნენ, რაიცა ძალზე ართობდა მეფეს; ესეც თავის მხრივ, ხელს დააფარებდა ხოლმე ზოგ მათგანს და ხუმრობით უკანვე ისროდა ქალებისაკენ. ერთხანს ასე ლაღობდნენ, სანამ მოსამსახურემ, რაც გადაცემული ჰქონდა თევზი, სულ არ შეწვა. მესერ ნერის ბრძანებით ეს შემწვარი თევზი მეფის წინაშე დაალაგეს, უფრო როგორც საუზმე და არა როგორც ძვირფასი და იშვიათი კერძი.

რომ დაინახეს, თევზი შემწვარია და ჩვენც საკმაოდ ვითევზავეთო, ქალები გუბიდან გამოვიდნენ; თხელი და თეთრი ტანისამოსი ტანზე მიეკროთ და თითქმის სულ არ უფარავდათ ნაზ ნაკვთებს. თითოეულმა მათგანმა თან მოტანილი საგნები აიღო; კრძალვით მეფეს წინ გაუარეს და შინ დაბრუნდნენ.

მეფეს, კონტსა და სხვებს, ვინც ამათ ემსახურებოდნენ, ძალიან მოეწონათ ეს ახალგაზრდა ქალები და თავიანთ გულში მეტისმეტად აქებდნენ მათ სილამაზეს და ტანადობას, გარდა ამისა, ალერსიანობას და ზრდილობას, მაგრამ ყველაზე მეტად ამათ თავი მოაწონეს თვით მეფეს. მეფე ისე გულმოდგინედ აკვირდებოდა წყლიდან ამოსული ქალების სხეულის ყოველ ნაწილს, რომ ამ დროს მისთვის რომ ეჩქმიტა კიდეც ვისმე, ვერც კი გაიგებდა. მეფე ისევ განაგრძობდა მათზე ფიქრს, თუმცა არ იცოდა, ვინ იყვნენ, ან რა იქნენ, გულში აღეძრა ძლიერი სურვილი თავი მოეწონებინა მათთვის; ამიტომ მიხვდა, თუ ფრთხილად არ ვიქენ, უთუოდ შემიყვარდებაო. თან არ იცოდა, რომელი უფრო მოსწონდა, ისე ძალზე ჰგავდნენ ერთიმეორეს ყველაფერში. ერთხანს ამ ფიქრებში იყო გართული, მერე

მიუბრუნდა მესერ ნერის და მათი ვინაობა ჰკითხა. იმანაც ასე მოახსენა:

„ჩემო ხელმწიფევ, ესენი ჩემი ქალები გახლავთ, ტყუპები, ერთსა ჰქვია მშვენიერი ჯინევრა, ხოლო მეორეს ქერა იზოტა“. მეფემ ძალიან უქო და ურჩია — გაათხოვეო. ამაზე ნერიმ მოახსენა, მათი გათხოვება არ შემიძლიაო და ბოდიში მოიხადა.

ვახშამზე მოსატანად ხილის მეტი არაფერი რჩებოდა. გამოჩნდნენ ისევ ის ქალები. ტანთ ემოსათ მშვენიერი მერდინის კაბები, ხელშიაც ეჭირათ დიდი ვერცხლის ლანგრები, ნაირ—ნაირი ხილით სავსე, რაც ამ დროს იშოვებოდა, მიიტანეს და მეფეს წინ დაუდგეს სუფრაზე. ამის შემდეგ, ცოტათი უკან დაიხიეს და დაიწყეს სიმღერა ლექსისა, რომელიც ამ სიტყვებით იწყებოდა: „თუ სად მიველ, საყვარელო, ვერ მოგითხრობ მას დიდხანსა...“

ტკბილად და საამოდ მომღერალ ქალებს მეფე ისეთი აღტაცებით უყურებდა და უსმენდა, რომ ეგონა, თითქო ანგელოზთა გუნდნი ჩამოსულან ზეციდან და ისინი მღერიანო. სიმღერას რომ მორჩნენ, დაიჩოქეს და მეფეს მოწიწებით სთხოვეს გაშვების ნება. მეფეს თუმცა ემძიმებოდა მათი გაშვება, მაინც ეს სახეზე არ დაიმჩნია და თითქო სიამოვნებით დართო ნება.

ნავახშმევს მეფე და მისი მხლებელნი ცხენებზე შესხდნენ, გამოეთხოვნენ მესერ ნერის და გზა-გზა აქეთ-იქეთურზე ბაასით სასახლეში დაბრუნდნენ. აქ მეფე თავის სიყვარულს მალავდა და რაც უნდა მძიმე საქმე ჰქონოდა, მაინც თვალთაგან არა შორდებოდა სილამაზე და სინატიფე მშვენიერი ჯინევრასი და მისი სიყვარულით მისი მსგავსებისათვის მისი დაც შეუყვარდა. მეფე ისე გაება სიყვარულის ბადეში, რომ თვინიერ ამისა სხვა არაფერზე შეეძლო ფიქრი. ათასგვარ საბაბს მოიმიზეზებდა და მესერ ნერის ძალიან დაუმეგობრდა. ხშირად მოდიოდა მისი მშვენიერი ბაღის სანახავად, რომ იქ ჯინევრასათვის მოეკრა როგორმე თვალი.

მეფეს აღარ შეეძლო მეტის მოთმენა და რაკი სხვანაირად აღარც ნახვა შეეძლო ქალისა, გულში ჩაუვარდა აზრი — ერთი კი არა, ორივე ახალგაზრდა ქალი მოეტაცნა, და ეს თავისი სიყვარული და თავისი განზრახვა კონტ გვიდოს გაანდო. გვიდომ, როგორც ჭკვიანმა ადამიანმა, ასე მოახსენა: „ჩემო ხელმწიფევ, უზომოდ გამაკვირვა, რაც თქვენ მიბრძანეთ! და ჩემებრ ეს სხვას არავის გაუკვირდებოდა, რადგან, მე მგონია, ჩემსავით არავინ იცნობს თქვენს ხასიათსა თქვენი სიყრმიდან დღევანდლამდე. ახალგაზრდობაშიც კი, როცა ისე მეგონა, რომ სიყვარულს სულ ადვილად შეეძლო თქვენთვის თავისი ჭვანგები ჩაესვა, ვერ გატყობდით ასეთ ვნებათა ღელვას; ახლა კი, ოდეს სიბერეს მიტანებული ბრძანდებით, თქვენი შეყვარების ამბავი ჩემთვის ისეთი ახალი და საკვირველია, რომ პირდაპირ სასწაულად მეჩვენება. მე რომ შემეფერებოდეს თქვენ საყვედური შეგკადროთ, ვიცი, რაც უნდა

მომეხსენებინა. არ დაივიწყოთ, მეფევ, რომ თქვენ ჯერ ისევ ხელთა გაქვთ იარაღი; თქვენი სამეფო, ეს-ეს არის, ახლა დაიპყარით, გარშემო გახვევიათ ხალხი, რომელსაც კარგად არ იცნობთ, ხალხი — ფლიდი და მოღალატე, საზრუნავი გაქვთ ათასი მძიმე საქმე, ჯერ კიდევ ვერ მოგისწრიათ წელში გამაგრებულიყავით, და ამდენ გასაკეთებელ საქმეთა შორის მოგიხერხებიათ და ასეთ მაცდურ სიყვარულს აჰყოლიხართ! სულგრძელ მეფეს როდი შეგშვენით! უმალ სულმოკლე ყმაწვილკაცის საქმეა ესა, ჰო, თქვენს მზესა ვფიცავ! გარდა ამისა, ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ გადაგიწყვეტიათ მოსტაცოთ ორივე ქალი საცოდავ რაინდს, რომელსაც თავის სახლში თავი არ ეზოგებოდა, რითაც კი შეეძლო, გიმასპინძლდებოდათ და თქვენთვის უმეტესად პატივსაცემად თავისი ქალები თითქმის შიშვლები გაჩვენათ და ამით დაგიმტკიცათ, თუ რაზომ დიდი ნდობა აქვს თქვენი და რაზომ დარწმუნებულია, რომ თქვენ მეფე ბრძანდებით და არა მგელი მტაცებელი. ნუთუ ასე მალე დაგავიწყდათ, რომ ამ სამეფოში თქვენ შეგაძლებინათ შემოსვლა იმ ძალდატანებამა და შევიწროვებამ, რომლებიც მანფრედმა ქალებს მიაყენა? სხვა რომელი ღალატი ყოფილა როდესმე უმეტესად ღირსი საუკუნო სატანჯველისა, როგორც ისა, რომ თქვენს პატივისმცემელ ადამიანს ხელს აღებინებთ თავის პატიოსნებაზე, თავის იმედსა და ნუგეშზე? ქვეყანამ რაღა უნდა თქვას, თქვენ რომ ეს ინებოთ? იქნებ გგონიათ, ბოდიშის მოსახდელად გეყოთ იმის თქმა: ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ნერი გიბელინიაო. ნუთუ მეფის სამართლიანობას შეშვენის, თუ ვინმე ასეთნაირად ჩაუვარდა ხელში — სულ ერთია, ვინც უნდა იყოს ეს კაცი — ამის მსგავსად მოეპყრას? იცოდეთ, მეფეო, რომ თქვენ უფრო გესახელებათ, რომ სძლიეთ მანფრედს, მაგრამ უმეტესად გესახელებათ — თქვენს თავსა სძლიოთ, ვინაიდან თქვენ გშვენით ხოლმე დააყენოთ სხვა სწორ გზაზე, გმართებთ სძლიოთ თქვენს თავს; ამიტომ ალაგმეთ თქვენი ვნება და ნუ ინებებთ ასეთი ჩირქი მოსცხოთ იმას, რაც ასეთი სახელოვნებით მოგიპოვებიათ“.

ეს სიტყვები სწორედ მოხვდა მეფის გულს და მით უფრო დააღონა, რამდენადაც ეს სიტყვები მართალი იყო. ამიტომ ნაღვლიანად ამოიხვნეშა და უთხრა: „ჩემო კეთილო, კარგად გამოცდილ მეომარს სხვა ყოველი მტერი, რაც უნდა ძლიერი იყოს ეს უკანასკნელი, უფრო სუსტად და ადვილად საძლეველად მოეჩვენება, ვიდრე თავისი საკუთარი გულითადი ნდომა; მაგრამ თუმცა ჩემი დარდი უსაზომოა და მის საძლევად სულ დიდი ღონე მჭირია, მაგრამ თქვენმა სიტყვებმა ისე აღმაშფოთა, რომ ამ რამდენსამე დღეში უნდა საქმით დაგიმტკიცოთ, რომ როგორც მიძლევია ხოლმე სხვები, ისევე შევიძლებ დავიმორჩილო ჩემი თავიცა“.

ამ ლაპარაკის შემდეგ რამდენსამე დღეს უკან მეფე ნეაპოლში დაბრუნდა და შეეცადა თავისი თავი ისეთ პირობებში ჩაეყენებინა, რომ საშუალება არა ჰქონოდა უსინდისოდ მოქცეულიყო, აგრეთვე პატივცემისათვის სამაგიერო მიეგო რაინდისათვის. მართალია, მისთვის მეტად მძიმე იყო სხვა გაეხადა იმის პატრონად, რაც აგრე გულით თავისთვისა

სწადდა, მაინც გადაწყვიტა ორივე ქალი გაეთხოვებინა არა როგორც მესერ ნერის ქალები, არამედ როგორც თავისი საკუთარნი. მესერ ნერის თანხმობით ორივეს მშვენიერი მზითევი გამოუწყო და მშვენიერი ჯინევრა მიათხოვა მესერ მაფეო და პალიცის, ხოლო ქერა იზოტა — მესერ გვილელმო დელა მანიას. ორნივე სახელოვანი რაინდები და დიდი ბარონები იყვნენ. ესენი რომ გაათხოვა, უსაზომოდ მჭმუნვარე გაემგზავრა აპულიაში და განუწყვეტელ შრომაში ისე ჩაახშო თავისი ტრფიალება, რომ გაგლიჯა და დაამსხვრია სიყვარულის ჯაჭვები და სანამ სული ედგა, თავი გაითავისუფლა ამ ვნებისაგან.

შეიძლება ვინმე გამოჩნდეს და თქვას, — დიდი საქმეა, თუ მეფემ ორი ქალიშვილის გათხოვება შეძლოო! და მეც ასე ვიტყოდი, მაგრამ ასეთ საქმეს მივიჩნევდი დიდ და უდიდეს საქმედ, რადგან ამგვარი რამ ჩაიდინა შეყვარებულმა მეფემ და გაათხოვა ის, ვინც უყვარდა და თავისი სიყვარულისათვის არ მოუწყვეტია არც ფურცელი, აღარც ყვავილი და აღარც ნაყოფი.

აი, როგორ მოიქცა სულგრძელი მეფე, რომელმაც სახელოვანი რაინდი დიდად დააჯილდოვა, საყვარელ ქალებს სანაქებო პატივი სცა და თავისი თავი ვაჟკაცურად მოდრიკა და დაიმორჩილა.

ამბავი მეშვიდე. მინუჩოს სიმღერა

მეფე პიეტრო რომ გაიგებს ავადმყოფ ლიზას გაშმაგებით ვუყვარვარო, ანუგეშებს, შემდეგ კარგი გვარიშვილის ყმაწვილს მიათხოვებს, შუბლში აკოცებს და სამუდამოდ მის რაინდად გამოაცხადებს თავს.

ფიამეტამ თავისი ამბავი დაასრულა. ყველამ მეტად აქო მეფე კარლოსის ვაჟკაცური სულგრძელობა. მხოლოდ ერთმა იქ მყოფმა გიბელინმა ქალმა სრულებითაც არ ინდომა ამისათვის ექო. ამ დროს პამპინეამ მეფის ბრძანებით ასე დაიწყო: — პატივცემულო მანდილოსანნო! გონიერი არავინ იქნება ისეთი, რომ ღირსეულ მეფე კარლოსზე იგივე არა თქვას, რასაც თქვენა ბრძანებთ, გარდა იმ ქალისა, რომელიც არა სწყალობს მას სულ სხვა მიზეზით. მაგრამ რადგან მაგონდება ერთი საქციელი, შეიძლება ამ საქციელზე არანაკლები ქების ღირსი, რომელიც ჩაიდინა მეფე კარლოსის მეტოქემ ერთი ჩვენი ფლორენციელი ქალის მიმართ, ახლა მინდა გიამბოთ ამის შესახებ.

იმ ხანებში, ოდეს ფრანგები სიცილიიდან განდევნილ იქნენ, პალერმოში ცხოვრობდა ერთი ჩვენი ფლორენციელი მეაფთიაქე. ბერნარდო პუჩინის ეძახდნენ და მეტად მდიდარი კაცი იყო. თავისი ცოლისაგან ერთი გასაოცარი სილამაზის ქალი ესვა, უკვე გასათხოვარი.

და ოდეს მეფე პიეტრო რაონელი კუნძულის მპყრობლად გადაიქცა, დიდი წვეულება გაუმართა თავის ბარონებს. ამ წვეულებაზე მეფე საასპარეზოდ გამოვიდა კატალონიური წესით. ამ დროს ბერნარდოს ქალი ლიზა, სხვა ქალებთან ერთად, ერთ ფანჯარასთან მიმდგარიყო, დაინახა მოჯირითე მეფე და ისე უცნაურად მოეწონა, რომ მერე ერთი-ორჯერ კიდევ რომ მოჰკრა თვალი, ფიცხლად მისი სიყვარულის ალი მოედო.

დღეობა რომ გათავდა, ქალს თავისი მამის სახლში სხვა არაფერზე შეეძლო ეფიქრა, გარდა თავისი დიადი და ამაღლებული სიყვარულისა. განსაკუთრებით ის ანაღვლებდა ამ საქმეში, რომ იცოდა თავისი დაბალი ჩამომავლობის ამბავი და სულ ცოტაოდენი იმედი არა რჩებოდა საქმის სასურველად დამთავრებისა. მიუხედავად ამისა, თავი ვეღარ შეიკავა მეფის შეყვარებისაგან, მხოლოდ უარესი მწუხარების შიშით, ეს თავისი სიყვარული ვეღარავისთვის გაემხილა. მეფემ ამ ამბისა არაფერი იცოდა და აღარც დარდი ჰქონია რამე, და აბა სწორედ ეს გარემოება უვსებდა გულს დაუშრეტელი ცეცხლით ლიზას. ამის გამო ის მოხდა, რომ მისი სიყვარული უფრო და უფრო იზრდებოდა, ერთი დარდი მეორეს ემატებოდა. მშვენიერმა ვეღარ გაუძლო ამ კაეშანს, ავად გახდა და დღითიდღე ისე დნებოდა, როგორც თოვლი მზეზე. დედ-მამა უზომოდ ნაღვლობდნენ ქალის ავადმყოფობას და რაც ექიმები ეგულებოდათ, ყველანი მოღალეს, წამლები არ დაუზოგავთ, თავს ევლებოდნენ, მაგრამ ავადმყოფს არაფერი შველოდა, რადგან ქალს თავისი სიყვარულის ყოველი იმედი გადაეწყვიტა და სიცოცხლისათვის ისევ სიკვდილი ემჯობინებინა.

მამამ პირობა მისცა — ყველაფერს შეგისრულებ, შვილო, რაცა გსურსო. ქალმაც იფიქრა, მოდი, სანამ მოვკვდებოდე, მეფეს ჩემს სიყვარულს და ჩემს განზრახვას გავუმჟღავნებ, თუკი ეს როგორმე შესაძლებელი იქნებაო და ამიტომ ერთხელ მამას სთხოვა, მინუჩო დ'არეცო მომიყვანეო. იმ ხანებში ცხოვრობდა ვინმე მინუჩო, საუკეთესო მომღერალი და საკრავებზე დამკვრელი, რომელიც მეფე პიეტროს ძალიან უყვარდა. ამ მინუჩოს ბერნარდომ უთხრა, ჩემს ქალს ლიზას თქვენი სიმღერის და საკრავებზე დაკვრის გაგონება სურსო. ეს რომ შეატყობინა მინუჩოს, ამან, როგორც თავაზიანმა კაცმა, დაუყოვნებლივ ინახულა ლიზა. ჯერ რამდენიმე საალერსო სიტყვით გული გაუკეთა და მერე ნაზად დაუკრა თავის ვიოლინოზე ერთი საცეკვაო სიმღერა და შემდეგ ამას მიაყოლა კანცონები. მინუჩო ქალის ნუგეშისცემას ფიქრობდა, ის კი არა, ამით უფრო გააღვივა სიყვარულის ცეცხლი. მინუჩო სიმღერას მორჩა, ქალმა უთხრა, მარტოს მინდა მოგელაპარაკოთო, და ამიტომ, როცა ყველანი გავიდნენ, ქალმა უთხრა: „ მინუჩო, შენ ჩემი გულის ერთი მეტად დიდი საიდუმლო უნდა გაგანდო და იმედი მაქვს, თუ არ იმას, ვისაც მე გეტყვი, სხვას არავის გაუმხელ; შემდეგ ამ საქმეში, რაც კი რამ შეგიძლია, უნდა მიშველო. აი, ესაა ჩემი თხოვნა. მაშ იცოდე, ჩემო მინუჩო, რომ იმ დღეს, რა დღესაც ჩვენმა მეფემ პიეტრომ თავის ტახტზე ასვლის გამო დიდი დღეობა გამართა, თვალი მოვკარი, როცა ასპარეზობდა, და ჩემთვის ეს

წუთი ისეთი საბედისწერო იყო, რომ მთლად გული ამევსო მისი ისეთი სიყვარულით, რომელმაც იმ დღემდე მიმიყვანა, რა დღეშიაც ახლა შენ მხედავ; მე კარგადა ვგრძნობდი, რომ ჩემის მხრით არ ეგებოდა მეფის შეყვარება, მაგრამ, რაკი ვერ შევძელ არამცთუ გულიდან ამომეფხვრა, არამედ, ცოტათი არის, შემენელებინა ეს სიყვარული, და რაკი ეს მძიმე ტვირთად მაწვა, ვარჩიე, როგოც უფრო ნაკლები სადარდელი, თავი მოვიკლა და ამას ვიზავ კიდეცა. ისიც უნდა გითხრა, რომ საფლავში თან ჩამყვება იმის ჯავრი, თუ წინდაწინვე არ გავაგებინე, რისთვისა ვკვდები. ბევრი ვიფიქრე, თუ ვისი პირით უფრო ადვილი იქნებოდა გამეგებინებინა მისთვის ჩემი გულის დარდი და გადავწყვიტე, ამისათვის ყველაზე უკეთესი შენ იქნებოდი, ამიტომ მინდა შენ დაგავალო. გთხოვ, უარი არ მითხრა, და როცა შეასრულო ჩემი დავალება, მოდი, შემატყობინე, რათა ნუგეშცემული მოვკვდე და გავთავისუფლდე ამ ტანჯვა-წვალებისაგან“.

— ცრემლების ყლაპვით ესა თქვა ქალმა და დადუმდა.

მინუჩო უზომოდ განაცვიფრა ქალის სულის სიდიადემა და მისმა საშინელმა გადაწყვეტილებამ; უზომოდ შეებრალა; ერთბაშად გაუელვა აზრმა, თუ როგორ უნდა ეშველა მისთვის, რაც შეიძლებოდა, ოსტატურად და უთხრა: „ჩემო ლიზა, გაძლევ პატიოსან სიტყვას და დარწმუნებულიც იყავ, რომ არ მოგატყუებ; შემდეგ, მიქიხარ შენი აღმატებული განზრახვისათვის, რომ შენი გული ასეთი დიდი მეფისათვის მიგიპყრია; გიშველი, თუ დამშვიდდები; ისე მოვახერხო, რომ სამი დღეც არ გაივლის, ისეთი ამბები მოგიტანო, — უზომოდ გაგახაროს და ბევრი დრო რომ არ დავკარგო, ახლავე შევუდგები საქმეს“.

ლიზამ თხოვნა ისევ გაუმეორა, დაპირდა დავმშვიდდებიო, დალოცა, ღმერთმა ხელი მოგიმართოსო, და გაისტუმრა. მინუჩო წავიდა, მონახა ვინმე მიკო და სიენა, იმ დროის საუკეთესო მოლექსე, და სთხოვა გამოეთქვა შემდეგი კანცონა: გასწი, სიყვარულო, გასწი ჩემს მეუფესთან და უამბე, რა ტანჯვა-წამებას განვიცდი; უთხარი, სიკვდილს მე მივეახლე, რადგან მეკრძალვის და ჩემს გრძნობას მას ვუმალავ.

შემიბრალე, სიყვარულო, ხელაპყრობილი გენუკვი. ისწრაფე იქითკენ, სადაც ბრძანდება ჩემი ბატონი.

უთხარი, რომ ნიადაგ ის მწყურის, ნიადაგ ის მიყვარს, უსაზღვრო სიტკბოებით მე გულს ის მივსებს და ცეცხლისაგან მთლად რომ მედება.

საფლავში ჩავალ, სულისულზე ველი იმ საათს, ოდეს თავს ვიხსნი ასეთი ტანჯვა-წამებისა, სირცხვილისა, შიშის და ნატვრისგან...

ღმერთს გაფიცებ, არ დაუმალო: ამ უბედურების ბრალი მხოლოდ მას ედება,

სიყვარულო, რაც მე ის შემიყვარდა, გულს ჩამისახე მამაცობა კი არა, არამედ შიში, რომელიც ხელს მიშლის, თუნდაც ერთხელ მე გამებედა ჩემი სურვილი, ჩემი ოცნება

პირდაპირ მეთქვა, ვისაც ძალამ ასე ხელი დამრია. სიკვდილი მიახლოვდება, სიკვდილი საშინელი...

ეგების, სასიხარულოდ დარჩენოდა, რომ გაეგო დარდი ჩემი მწველი, და ჩემს გულში ჩაესახა სითამამე, რომ ჩემი მეუფისათვის გული გადამეშალა, მაგრამ, დადგან სიყვარულო, შენ არ გენება ესდენი სიმტკიცე წილად მხვდომოდა, რომ ჩემი მეუფისათვის გული გადამეშალა ნიშნებით ან შუაკაცის საშუალებითა, შემიბრალე, ჩემო ტკბილო მბრძანებელო, მიდი მასთან და მოაგონე ის დღე, ოდეს მე ის ვიხილე ფარ-ხმალიანი, სხვა რაინდებთან ერთად მორჭმული დავუწყე ჭვრეტა, ისე ძლიერად შეყვარებულმა, რომ გამისკდა გული.

ეს სიტყვები მინუჩომ ფიცხლავ სასიმღეროდ შეანყო საკრავზე ნაზი და ლმობიერი კილოთი, როგორც თვით ლექსის შინაარსს უხდებოდა, და მესამე დღეს წავიდა სახლში, სადაც მეფე პიეტრო ჯერ ისევ სუფრას უჯდა. მეფემ სთხოვა მინუჩოს, რამე დაამღერე შენს ვიოლინოზეო. იმანაც ისე ტკბილად დაუკრა და დაამღერა ეს კანცონა, რომ ვინც კი იყო სამეფო დარბაზში, თითქოს ყველას თავზარი დაეცა. ჩუმად და ყურადღებით უსმენდნენ, ხოლო ყველაზე მეტი ყურადღებით კი თვით მეფე ისმენდა. მინუჩომ თავისი სიმღერა რომ გაათავა, მეფემ ჰკითხა, ვისი გამოთქმულია ეს ლექსიო? მე აქამდე თითქო არსად მომიკრავს ყურიო. „ჩემო ხელმწიფევ, — უპასუხა მინუჩომ, — სულ სამი დღეა, რაც ეს ლექსი გამოითქვა და ვიოლინოც შევუწყვე“. მაშინ მეფემ ამ ლექსის გამომთქმელის ვინაობა ჰკითხა. მინუჩომ უთხრა: შემიძლია მხოლოდ თქვენ მოგახსენოთო. მეფეს ძალიან მოუნდა გაეგო, და ამიტომ სუფრიდან წამოდგა, ოთახში გაიყვანა მინუჩო და ისიც რიგზე მოუყვა, რაც რამ გაეგონა. მეფეს ძალიან გაეხარდა კიდეც, მერე ახალგაზრდა ქალი აქო და თქვა: ასეთი კარგი ქალი სიბრალულის ღირსიაო. მინუჩოს უბრძანა: „ქალთან წადი, ჩემის მხრით ნუგეში ეცი და უთხარი — დღეს საღამოსვე უეჭველად გინახულებ-თქო“.

მინუჩო გახარებული გამოექანა დაუყოვნებლივ თავისი ვიოლინოთი, რომ ახალგაზრდა ქალისათვის ეხარებინა ასეთი კარგი ამბავი: მასთან მარტო რომ დარჩა, ყველაფერი უამბო და მერე თავის ვიოლინოზე დაამღერა ეს ლექსი. ყოველივე ამან ქალს ისეთი ცათაფრენა შეუყენა, რომ მაშინვე დაეტყო მორჩენის ნიშნები და იმ დროს, როცა შინაურებმა არაფერი იცოდნენ, არც ეჭვი ჰქონდათ რამე, სულისულზე დაუწყო ლოდინი დაღამებას, როცა თავისი მბრძანებელი უნდა ენახა.

მეფე, როგორც დიდსულოვანი და კეთილი ადამიანი, ყოველმხრივ დაუფიქრდა მინუჩოს ნათქვამს. ძალიან კარგად იცოდა ქალისა და მისი სილამაზის ამბავი და ახლა უფრო

წინანდელზე მეტად აღეძრა მისდამი სიბრალული. საღამოჟამს შებრძანდა ცხენზე და ვითომ სასეირნოდ გამოვიდა, ის კი არა, მიადგა იმ სახლს, სადაც მეაფთიაქე ცხოვრობდა. აქ გააღებინა მეაფთიაქეს საუცხოო ბაღის კარები, ჩამოხტა ცხენიდან და ცოტა ხანს შემდეგ ბერნარდოს ჰკითხა: ქალი როგორ გყავს ან ჯერ ხომ არ გაგითხოვებიაო? ბერნარდომ მოახსენა: „დიდებულო, ქალი ჯერ არ გამითხოვებია, ის კი არა, ავად გამიხდა და ახლაც ძალიან მძიმედ ავად გახლავთ. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ცხრა საათს აქეთია, საოცრად მოიკეთა“. მეფე მიხვდა, რაც უნდა ყოფილიყო ამ მოკეთების მიზეზი და უთხრა: „მე და ჩემმა ღმერთმა, ყველასათვის დიდი დანაკლისი იქნებოდა ასეთ მშვენიერ არსებას, ღმერთმა კი დაიფაროს და, რამე რომ დამართოდა. ჩვენ გვსურს ვინახულოთ თქვენი ქალი“. ცოტა ხნის შემდეგ გაიყოლია ორი მხლებელი და ბერნარდო, შევიდა ქალის ოთახში, მივიდა საწოლთან, სადაც ქალი ცოტათი წამომჯდარიყო და მოუთმენლად მოელოდა. მეფემ ხელი დაუჭირა და უთხრა: „ქალო, ეგ რა ამბავია? თქვენ, როგორც ახალგაზრდა, სხვას უნდა ანუგეშებდეთ, თქვენ კი თვითონ გამხდარხართ ავად და სხვამ უნდა განუგეშოთ! ჩვენა გთხოვთ, თუ ჩვენ გიყვარვართ, იმდენად გამხნევდეთ, რომ მალე სულაც მორჩეთ“. ქალმა რომ იგრძნო, ხელები შემახო იმ ადამიანმა, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს ქვეყანაზედაო, ცოტა არ იყოს, შეირხა, მაგრამ გულიგულში ისეთი რამ იგრძნო, რომ თავი სამოთხეში ეგონა. და რამდენადაც ძალა შესწევდა, უპასუხა: ჩემო ხელმწიფევ, ჩემი ავადმყოფობის მიზეზი გახლდათ ჩემი სურვილი — ჩემი სუსტი ძალ— ღონით გავმკლავებოდი საშინელ საძნელო საქმეს, მაგრამ ახლა თქვენი წყალობით ამ სენისაგან სულ მალე განკურნებულს მიხილავთ“. მარტოოდენ მეფეს ესმოდა საიდუმლო შინაარსი ქალის ნათქვამისა; უფრო მეტად აფასებდა მას და გულში რამდენჯერმე დაწყევლა ბედი, რომ ავადმყოფს ასეთი კაცი ჰყავდა მამად. ერთხანს კიდევ დარჩა მეფე ქალთან, უფრო გული გაუკეთა და მერე წაბრძანდა.

ასეთი კაცთმოყვარეობისათვის მეტად აქებდნენ მეფეს და ყველანი შენატროდნენ მეაფთიაქისა და მისი ქალის ბედს, რომ მეფემ ასე გააბედნიერა, ხოლო ქალი ისე ბედნიერად თვლიდა თავის თავს, როგორც კი შეეძლო როდესმე ჩაეთვალა ვინმე ქალს თავი თავის სატრფოსთან. უკეთესი ბედის იმედმაც ხელი შეუწყო ქალს, რამდენიმე დღეში ფეხზე დადგა და წინანდელზე უფრო დამშვენდა. ქალი რომ მორჩა, მეფემ დედოფალთან ერთად ითათბირა, ასეთი სიყვარულისათვის რით დაეჯილდოვებინა ქალი. შეჯდა ცხენზე, იახლა ბარონები, გასწია მეაფთიაქის სახლისაკენ, შევიდა ბაღში და იხმო მეაფთიაქე და მისი ქალი. ამასობაში მობრძანდა დედოფალიც სეფე-ქალების თანხლებით, ქალი შუაში ჩაიყენეს და გაიმართა დიდი დროსტარება. ცოტა ხნის შემდეგ მეფე-დედოფალმა დაუძახეს ლიზას და მეფემ უბრძანა: „სანატრელო ქალო, იმ დიდმა სიყვარულმა, რომელსაც ჩვენდამი გულში აგარებდით, დაიმსახურა ჩვენის მხრივ უზომო პატივისცემა და ჩვენა გვსურს, ჩვენი სიყვარულის გულისთვის, ამ პატივისცემას დასჯერდეთ. თვით პატივისცემა იქნება ისა, რომ რადგანაც თქვენ გასათხოვარი ხართ, ვისაც ჩვენ აგირჩევთ საქმროდ, თქვენც იმას

მისთხოვდეთ. ამასთან მე განზრახვა მაქვს, მიუხედავად ამისა, თქვენს რაინდად ვიწოდებოდე და ასეთი სიყვარულისათვის თქვენგან ერთი კოცნის მეტს არას ვითხოვ“. ქალს სირცხვილისაგან სულ წამოუჭარხლდა სახე, მეფის სურვილის დამორჩილება კანონად მიიჩნია და დაბალი ხმით ასე მოახსენა: „ჩემო ხელმწიფევ, მე დარწმუნებული გახლავართ, რომ გაეგოთ, რომ მე თქვენ შემიყვარდით, უმეტესობა გიჟად ჩამთვლიდა; იტყოდნენ, ალბათ, ჭკუაზე შემცდარა, რომ არ ესმის არც თავის მდგომარეობა და აღარც მეფისაო. მაგრამ უფალმა, რომელიც მხოლოდ ერთია გულთამხილველი ადამიანთა, უწყის: როდესაც თქვენ პირველად მომეწონეთ, ვიცოდი, რომ თქვენ, მეფე ბრძანდებოდით და მე კიდევ — ქალი ბერნარდო მეაფთიაქესი, და ვიცოდი ისიცა, რომ არ შემეფერებოდა ჩემი აღგზნებული გულის ნაპერწკლები ასე მაღლა მეტყორცნა, მაგრამ, როგორც თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, სიყვარულისათვის კანონი არ გახლავთ გაჩენილი; კაცი შეგვიყვარდება მაშინ, როცა ეს სანუკვარია, როცა ეს გვეამება; რამდენჯერმე შევებრძოლე სიყვარულის გრძნობას ჩემი ძალ-ღონით, მაგრამ ვეღარ გავუმკლავდი და შემიყვარდით, მიყვარხართ და მეყვარებით, სანამ პირში სული მიდგას. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ, როგორც კი ჩამივარდა გულში თქვენი სიყვარული, მაშინვე გადავწყვიტე თქვენი ნება ჩემ სურვილად გამეხადა. ამიტომ არამცთუ სიამოვნებით გავყვები ცოლად და შევიყვარებ იმას, ვისაც თქვენ მიბრძანებთ და ვინც პატივსა და საზოგადოებაში შესაფერ მდგომარეობას მომანიჭებს, არამედ თუკი მიბრძანებთ — ცეცხლში ჩავარდიო, რაკი მეცოდინება, რომ ეს თქვენ გეამებათ, დიდი სიამოვნებით ჩავვარდები. ბრძანებთ — შენი რაინდი ვიქნებიო. თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რამდენად ღირსი გახლავართ ამისა, და ამიტომ ამაზე მეტს არაფერს მოგახსენებთ. ჩემი სიყვარულისაგან ერთადერთი კოცნა გნებავთ, ამას დედოფლის ნებადაურთველად მოგართმევთ. რაც შეეხება თქვენს და აქ ბრძანებული დედოფლის უსაზღვრო წყალობას ჩემდა, ღმერთი თუღა გადაგიხდით სამაგიერო მოწყალებასა და ჯილდოს, თორემ მე არაფრით ძალმიძს გიმაგიეროთ“. ეს თქვა ქალმა და დადუმდა.

დედოფალს ძალიან მოეწონა ახალგაზრდა ქალის პასუხი და იფიქრა: მეფემ რომ მითხრა, მართლა ისეთი ჭკვიანი ყოფილაო. მეფემ მოიხმო ქალის დედ-მამა და რომ გაიგო, ისინი კმაყოფილნი არიან იმისა, რასაც მე ვაპირებო, დაუძახა ერთ ყმაწვილ კაცს, პერდიკონეს, კაი გვარისას, მაგრამ ღარიბს, რომელიც უარზე არ იდგა, მისცა ბეჭდები და უბრძანა, ლიზაზე დანიშნულიყო. მეფემა და დედოფალმა მრავალი ძვირფასი სამკაული აჩუქეს ქალს; ამას გარდა, მეფემ დაუყოვნებლივ უბოძა სასიძოს ორი კარგი და შემოსავლიანი მამული — ჩეფალუ და კალატაბელოტა — და უთხრა: „ეს გვიბოძებია შენთვის შენი ცოლის მზითვად, ხოლო რაც შენთვისა გვსურს, იმას მერე დაინახავ“. ეს რომ თქვა, მიუბრუნდა ქალს და დასძინა: „ახლა გვსურს მოვწყვიტოთ ის ნაყოფი, რომელიც თქვენი სიყვარულისაგან გვერგება“. ესა თქვა და ორივე ხელით თავი დაუჭირა, შუბლზე ეამბორა.

პერდიკონემ, ლიზას დედ-მამამ და თვით ლიზამ უზომოდ გაიხარეს, დიდი წვეულება გამართეს და მეტად მხიარული ქორწილი გადაიხადეს და, როგორც მრავალნი მოწმობენ, მეფემ ზედმიწევნით შეასრულა ქალისადმი მიცემული სიტყვა: სანამ ცოცხალი იყო, სულმუდამ ქალის რაინდად იწოდებოდა და, სადაც არ უნდა წასულიყო საასპარეზოდ, მხოლოდ იმ ნიშანს ატარებდა, რომელსაც პერდიკონეს ცოლი გამოუგზავნიდა ხოლმე.

და აი, ასეთი საქციელით შეიძლება მეფემ თავის ქვეშევრდომთა გული მოიყვავილოს, სხვებს მაგალითი მისცეს სიკეთის ჩადენისათვის და საუკუნო სახელი და პატივი მოიხვეჭოს. ხოლო ასეთ საქმეებს დღეს ძალიან ცოტანი, ან უკეთ, არავინ უმიზნებს თავის გონების ისრებს, რადგან მთავართა უმეტესობა ულმობლებად და მტარვალებად გადაიქცა.

ამბავი მერვე. სოფრონია

სოფრონიას თავი ჯიზიპოს ცოლად მიაჩნია და ტიტო კვინციო ფულვოს კი ჰყავს ცოლად. ტიტოსთან ერთად მიდის რომში, სადაც ჯიზიპო მათხოვრულად ჩაცმული ჩამოდის. რაკი ჰგონია, ტიტოს ვძულვარო, ამტკიცებს კაცი მოვკალიო. ამით იმედი აქვს, რომ მას, ჯიზიპოს სიცოცხლეს გამოასალმებენ. ტიტომ იცნო ჯიზიპო, და რომ სიკვდილისაგან ეხსნა, განაცხადა — კაცი მე მოვკალიო. ამას რომ ნამდვილი მკვლელი გაიგონებს, აღიარებს, მე ვარ მკვლელიო. ამიტომ ოქტავიანემ ყველანი გაათავისუფლა. ხოლო ტიტომ ჯიზიპოს თავისი დაი მიათხოვა ცოლად და მთელი თავისი ქონება შუაზე გაუყო.

პამპინეა ლაპარაკს მორჩა. ყველამ რომ აქო მეფე პიეტრო და განსაკუთრებით კი გიბელინამ, ვიდრე სხვა ვინმემ, ფილომენა მეფის ბრძანებით წამოდგა და ასე დაიწყო: — სულგრძელო ქალებო! აბა, ვინ არ იცის, რომ მეფეებმა ოღონდ კი მოინდომონ, თორემ ყოველგვარი დიდი საქმის შესრულება შეუძლიათ, განსაკუთრებით ისეთებისა, რომელნიც მათგან სულგრძელობას მოითხოვენ. მაშასადამე, ვისაც გაკეთება შეუზლია და აკეთებს იმას, რაც უნდა გააკეთოს, კარგსა შვრება. მაგრამ ეს საიმისოდ არ უნდა გავიკვირვოთ და აღარც ცამდე ავიყვანოთ ხოლმე ქებით დიდი საქმის მკეთებელნი; სულ სხვაა, როცა ასეთ საქმეს აკეთებს ისეთი ვინმე, ვისაც იმდენი ძალა არ შესწევს და ვისაც ნაკლები მოეთხოვება. ამიტომ თუ თქვენ ასეთი მრავალსიტყვაობით ადიდებთ მეფის საქციელს და ეს საქციელი საუცხოოდ გეჩვენებათ, მე ეჭვიც კი არ მაქვს, რომ უმეტესად მოგეწონებათ და უფრო შეაქებთ ჩვენს ტოლა ადამიანთა საქმეთ, როდესაც ეს საქმენი მეფის საქმეებს ემსგავსებიან, ანდა სჯობიან. აბა სწორედ ამიტომ განზრახვა მაქვს მოგითხროთ ამბავი ერთი საქებური და დიდსულოვანი საქციელისა, რომელიც მოხდა ორ მოქალაქე მეგობარს შორის.

ამგვარად, იმ დროს, როცა ოქტავიანე კეისარი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ერქვა

ავგუსტო, არამედ ტრიუმვირატის უფლებით რომის იმპერიას მართავდა, რომში ცხოვრობდა ერთი კეთილშობილი ადამიანი, რომელსაც პუბლიო კვინციო ფულვოს ეძახდნენ. ამას ჰყავდა შვილი ტიტო კვინციო ფულვო, საოცრად ნიჭიერი. ფილოსოფიის შესასწავლად მამამ ათენში გაისტუმრა და დედის თხოვნით ჩააბარა ერთ კეთილშობილ ადამიანს, თავის ძველ მეგობარს კრემეტეს. კრემეტემ ტიტო თავის სახლში დააყენა საკუთარ ვაჟთან, ჯიზიპოსთან, ერთად. ორივე ერთად სასწავლებლად კრემეტემ მიაბარა ფილოსოფოს არისტიპოსს. ამგვარად, ორივე ყმაწვილი ერთად ცხოვრობდა და ორსავე ხასიათი იმდენად ერთნაირი გამოაჩნდა და მათ შორის ისეთი დიდი ძმობა და მეგობრობა დამყარდა, რომ სიკვდილის მეტი ვერაფერი გაჰყრიდა ერთმანეთს. უერთმანეთოდ არც მოსვენებით იყვნენ და აღარც რა უხაროდათ. ერთად დაიწყეს სწავლა და თითოეული მათგანი საოცარი ნიჭიერებით ადიოდა ფილოსოფიის დიდებულ სიმაღლეზე თანაბარი ნაბიჯით და ქება-დიდებით.

ასეთ ცხოვრებას ეწეოდნენ კრემეტეს გულის გასახარად ყმაწვილები მთელ სამ წელიწადს. კრემეტე თავის ღვიძლ შვილში არ არჩევდა ტიტოს. მესამე წლის დასასრულს მოხდა ის, რაც ყოველ ცოცხალ არსებას ემართება ხოლმე; კრემეტემ, უკვე მოხუცებულმა, საწუთრო დასცალა. მისმა სიკვდილმა ორივე ყმაწვილი ერთბაშად დააღონა, თითქო საერთო მამა მოკვდომოდეთო, და კრემეტეს მეგობარმა და ნათესავებმა არ იცოდნენ, თუ რომელი მათგანისთვის უფრო მიესამძიმრებინა ეს სამწუხარო ამბავი.

განვლო რამდენიმე თვემ. ჯიზიპოსთან მოვიდნენ მისი მეგობრები და ნათესავები, მათთან ერთად — ტიტოც და ცოლის შერთვა ურჩიეს. მართლაც, გამოუნახეს საცოლედ ერთი ათენელი ქალი, მეტად ლამაზი და კარგი გვარიშვილობისა. სახელად სოფრონია ერქვა. ასე თხუთმეტი წლისა იქნებოდა. ქორწილის დღე რომ მოახლოვდა, ერთხელ ჯიზიპომა სთხოვა ტიტოს, ჩემი საცოლე ჯერ არ მინახავს და, მოდი ერთი, მის სანახავად წამომყევიო. ორივენი ქალის სახლში მივიდნენ და ქალიც შუა ჩაუჯდა ყმაწვილებს. ტიტომ, როგორც ქალის საქმროს ძმაკაცმა და სარძლოს სილამაზის დამფასებელმა, დაწვრილებით დაუწყო სინჯვა, ქალი უზომოდ მოეწონა და გულში საშინლად დაუწყო ქება. სხვა არაფერი აგრძნობინა, ისე განიმსჭვალა მისი სიყვარულით, რომ მის მსგავსად არც ერთი ყმაწვილი არ განმსჭვალულა ქალისადმი სიყვარულით.

ქალთან ერთი ხანი დაჰყვეს, მერე წამოვიდნენ და შინ დაბრუნდნენ. აქ ტიტო თავის ოთახში შევიდა და დაიწყო ფიქრი მას რომ მოეწონა, იმ ქალზე. და მით უფრო ემატებოდა მის სიყვარულს სახმილთა გზნება, რაც უფრო იმაზედა ფიქრობდა. ეს რომ შეამჩნია თავის თავს, რამდენჯერმე მწარედ ამოიოხრა და თავის თავს უთხრა: „ვაი შენ შავ დღეს, ტიტო! სად და რაში მოათავსე შენი სული, შენი სიყვარული და სასოება? იმდენი როგორ არ იცი, რომ იმ ამაგისათვის, რომელიც შენსა და ჯიზიპოს შორის არსებობს, მისი დანიშნული შენ რად უნდა გხვდებოდეს?!. მაშ რატომ შეიყვარე? რად ჩაეთრევინები მაცდურ სიყვარულს? რატომ

არა კითხულობ, სად მიჰყვები მომღორებელ იმედს? გაახილე გონების თვალი და იცან თავი შენი. შეუბედურო! გონს მოდი, დაიმონე გულისთქმა, შეზღუდე ავადმყოფური სურვილები და შენი აზრ-ფიქრნი სხვა მხრით მიმართე; ალაგმე სათავეშივე შენი ავხორცობა და დაიმორჩილე შენი თავი, სანამ ჯერ კიდევ დრო გაქვს. ეს არ შეგფერის, უპატიოსნობაა; რასაც გინდა ეწიო, დარწმუნებულიც რომ იყო — ეწევი (შენ კი დარწმუნებული არა ხარ!), შენ უნდა გაურბოდე, რადგან უნდა ფიქრობდე, რას გავალებს ნამდვილი მეგობრობა და მოვალეობა. ტიტო, რას აპირებ, რას?! ხელი აიღე ამ დასაგმობ სიყვარულზე, თუ გინდა მოიქცე ისე, როგორცა ჰხამს იქცეოდე!..“ მერე მოაგონდა სოფრონია და თავისი აზრები სულ საწინააღმდეგო აზრებად შეცვალა, თავისი ნათქვამი დაგმო და თქვა: „სიყვარულის კანონი ყველა სხვა კანონზე ძლიერია; გადალახავს არა მხოლოდ მეგობრობის კანონს, არამედ ღვთიურსაც; განა ერთხელ-ორჯერ მომხდარა, რომ მამას თავისი ქალი შეეყვარებინოს, ძმას — დაი, დედინაცვალს — გერი? ასეთ საშინელებასთან სახსენებელიც არ არის, რომ მეგობარმა მეგობრის ცოლი შეიყვაროს, რაც ათასობით ხდება. ესეც არ იყოს, მეც ახალგაზრდა ვარ და სიახალგაზრდავე ხომ სავსებით სიყვარულის კანონს ემორჩილება!.. მაშასადამე, რაც სიყვარულს შეეფერება, მეც უნდა შემეფერებოდეს. პატიოსნური საქციელი უფრო მოწიფულთ შვენის. მე კი სხვა არაფერი მწადია, თუ არ ის, რაც სიყვარულსა სურს. მისი სილამაზე ღირსია იმისა, რომ ყველას უყვარდეს; და თუ მე მიყვარს და მე კი ახალგაზრდა ვარ, აბა ვინ დამძრახავს ამისთვის ღირსეულად? მე სოფრონია იმიტომ კი არ მიყვარს, რომ ჯიზიპოს ეკუთვნის, არა, მიყვარს და მეყვარებოდა კიდეც, სულ ერთია, ვისაც უნდა კუთვნებოდა. ამ შემთხვევაში ბედის ბრალია, რომ ეს ქალი ჩემს მეგობარს არგუნა და არა სხვა ვისმე. და თუ ეს ვისმე უნდა უყვარდეს (ისეთ ლამაზ ქალს, ოღონდაც, რომ უფლება აქვს ვისმე უყვარდეს!), ჯიზიპო რომ გაიგებს, ჩემი სოფრონია ჰყვარებიაო, მით უფრო უნდა გაეხარდეს, რომ მე მიყვარს და არა სხვა ვისმე“.

ამ წუთს რომ ასეთი აზრები გაუელვებდა, თავის თავს დასცინებდა, მეორე წუთს სულ საწინააღმდეგო აზრებს გაიტარებდა გულში, ერთიდან მეორეზე გადახტებოდა, მეორედან — მესამეზე. ასე გაატარა არამცთუ ეს დღე და ღამე, არამედ სხვა ბევრი დღე— ღამეცა, დასჩემდა უძილობა, დაეკარგა ჭამის მადა, დასუსტდა და იძულებული შეიქნა ლოგინად ჩაწოლილიყო.

ჯიზიპო რამდენიმე დღის განმავლობაში უყურებდა, როგორ იყო დაფიქრებული ტიტო; ახლა ავადმყოფი რომ დაინახა, მეტად ეწყინა, გვერდით მიუჯდა და აღარ შორდებოდა, უვლიდა და ყოველ ღონესა ღონობდა, გული გაემაგრებინა, თანაც არაერთხელ ჩაციებით ეკითხებოდა: რა დაგმართნია, რა არის შენი ნაღველის მიზეზი ან რამ გაგხადა ავადო? ტიტო ერთთავად მიკიბულ-მოკიბულ პასუხს აძლევდა და ეს ჯიზიპომაც მშვენივრად შეამჩნია. ტიტო გრძნობდა, ძალით უნდა მათქმევინონო და ცრემლთა ფრქვევით და სულთქმა-უშით ასე

უპასუხა: „ჯიზიპო ჩემო, ღმერთების ნება რომ იყოს, სიცოცხლეს ათასწილ მერჩია სიკვდილი; რომ დავფიქრდები, ბედმა თითქო მაიძულა გამომეჩინა ჩემი ვაჟკაცობა, ხოლო, ჩემდა სასირცხვილოდ, ვხედავ, რომ ვაჟკაცობის ნასახიც არ არის დარჩენილი; ცხადია, სულ მოკლე ხანში მომეზღვება ამის ღირსი ჯილდო, ე. ი. სიკვდილი, ხოლო ეს სიკვდილი ათასწილ მირჩევნია სიცოცხლეს, რადგან საშინელი სულმდაბლობა გამოვიჩინე. მე შენგან დაფარული არაფერი მქონია და არც უნდა მქონდეს რამე. ამიტომ ამ ჩემს სულმდაბლობასაც გაგიმჟღავნებ ისე, რომ სირცხვილით მაინცდამაინც არც კი დავიწვა“. ესა თქვა და მოუყვა თავიდან ყველაფერს, უთხრა მიზეზი თავისი დარდებისა, თვით დარდები, ბრძოლა ამ დარდებისა ერთმანეთთან, უამბო, რომელმა სძლია საბოლოოდ ან როგორ იღუპება სოფრონიას სიყვარულითა; ამასთან უმტკიცებდა: რადგან მესმის, რარიგ სისაძაგლეს ჩავდივარ, გადავწყვიტე ჩემი ცოდვის მოსანანიებლად თავი მოვიკლა და დარწმუნებული ვარ, მალეც ვეწევი ჩემს სურვილსაო.

ჯიზიპოს რომ ესმოდა ესა და ძმაკაცს ატირებულს უყურებდა, ერთხანს შეფიქრიანდა, რადგან ქალის სილამაზით გატაცებული იყო, თუმცა არც ისე ძლიერად; მაგრამ მერე დაუყოვნებლივ გადაწყვიტა, მეგობრის სიცოცხლე სოფრონიაზე მეტად უნდა მიღირდესო. ამრიგად, ტიტოს ცრემლებმა მასაც ცრემლები მოჰგვარა თვალებზე და ატირებულმა უთხრა: „ტიტო! ნუგეშისცემა ისე რომ არ გჭიროდეს, როგორც გჭირია, შენთანვე შენს წინააღმდეგ ვიჩივლებდი და როგორც ისეთ ადამიანზე, რომელმაც ჩვენი მეგობრობა დაარღვია იმით, რომ ამდენი ხნის განმავლობაში თავის საბედისწერო ვნებათაღელვას მიმალავდა; და თუმცა ეს შენ უპატიოსნო საქციელად მიგაჩნია, მაინც მეგობარს არ უნდა დაუმალო როგორც პატიოსანი, ისე უპატიოსნო საქციელიცა, იმიტომ რომ, თუ მეგობარია, მეგობრის პატიოსანი საქციელი ახარებს, ხოლო უპატიოსნო საქციელის შესახებ ცდილობს ასეთი საქციელი მეგობარს გულიდან აღმოუფხვრას. მაგრამ ამჟამად ამაზე მეტს ამის შესახებ არას ვიტყვი და მივუბრუნდები იმას, რაც, ჩემი აზრით, უფრო საჭიროა. თუ მართლა ასე თავდავიწყებით გიყვარს სოფრონია, ეს სრულებითაც არ მაკვირვებს. მხოლოდ ის გამიკვირდება, შენ რომ არ გყვარებოდა, ვინაიდან ვიცი მისი სილამაზის ამბავი და აგრეთვე ამბავი შენი კეთილშობილი გულისა, რომელიც მით უფრო გაეტაცვინება ხოლმე ვნებას, რაც უფრო ამაღლებულია ის, ვინც მას მოსწონს. რამდენადაც უპრიანია შენზე, რომ სოფრონია გიყვარს, იმდენადაც სცდები, რომ ბედს ემდური (თუმცა ამას არ აცხადებ), რომ ამ ბედმა ქალი მე მარგუნა, რადგან შენი სიყვარული შენ სრულებით პატიოსნად გეჩვენებოდა, რომ ქალი სხვასა კუთვნებოდა და არა მე; მაგრამ თუ შენ გონივრულად მსჯელობ, როგორც კვლავ გიმსჯელია, ერთი ეს მითხარ, თუ გიყვარდე, ბედის უფრო იქნებოდი მადლიერი, ქალი სხვისთვის რომ მიეცა და არა ჩემთვის? სხვა ვისიც უნდა ყოფილიყო სოფრონია, შენი სიყვარულიც რაც უნდა პატიოსანი და უმწიკვლო ყოფილიყო, ამ სხვას ეს ქალი უფრო თავისთვის ეყვარებოდა, ვიდრე შენთვის, ჩემგან კი ამას არ უნდა მოელოდე, თუ მეგობრად

მთვლი, როგორიც მართლა ვარ; და ამის მიზეზი ის არის, რომ მას აქეთ, რაც ჩვენ დავმეგობრდით, არ მახსოვს რამე მქონოდა და ის საგანი შენიც არ ყოფილიყო, როგორც იყო ჩემი. საქმე ისე შორს რომ ყოფილიყო წასული, რომ მისი მოგვარება სხვანაირად არ შემძლებოდა, იმ შემთხვევაშიც ისევე მოვიქცეოდი, როგორც სხვა დროს მოვქცეულვარ; მაგრამ რადგან საქმე ისეთ მდგომარეობაშია, რომ შემიძლია მოვახერხო, რომ ქალი საკუთრივ შენი შეიქნეს, ამას ვიზამ კიდეცა. ვინაიდან რად უნდა გეგულვებინე მეგობრად, თუკი ისეთ საქმეში, რომლის მოგვარება პატიოსნად შეიძლებოდა, ისე ვერ მოვიქცეოდი, როგორც შენ გეამებოდა. მართალია, სოფრონია ჩემი საცოლეა, ძალიან მიყვარდა და სულისულზე მოველოდი ქორწილს; მაგრამ რადგან შენ, როგორც ჩემზე მეტად მიხვედრილი, ძალზე მოწადინებული ხარ დაეპატრონო ისეთ ზინეთს, როგორიც სოფრონიაა, არხეინად იყავ, ძმაო, სოფრონია ჩემს ოთახში შემოვა შენს ცოლად და არა ჩემად. ამიტომ განერინე ფიქრებს, გულიდან დარდ-ნაღველი გადაიყარე, კვლავ მოიკრიბე წინანდელი ჯანი, სიმხნევე და გულნებიერობა და ამიერიდან მხიარულად ელოდე შენი სიყვარულის ჯილდოს. და იცოდე, რომ ეს შენი სიყვარული უფრო ღირსია, ვიდრე ჩემი“.

ტიტომ ასეთი სიტყვები რომ გაიგონა ჯიზიპოსაგან, რამდენადაც ამ სიტყვების მოალერსე იმედი გულს სიხარულით უვსებდა, იმდენად უფრო სირცხვილში აგდებდა ჯიზიპოს სამართლიანი მოსაზრება, და რაც უფრო დიდი იყო ჯიზიპოს სულგრძელობა, მით უფრო უხამსად ეჩვენებოდა ესარგებლა მეგობრის ამ სულგრძელობითა. ამიტომ ტირილის შეუწყვეტლად დიდი წვალებით უთხრა: „ჩემო კარგო, შენი სულგრძელი და ნამდვილი მეგობრობა ნათლად მაჩვენებს, თუ ვითარი სულგრძელობა მმართებს მე; ღმერთმა დამიფაროს, რომ ის ქალი, ვინც შენ, როგორც უფრო მეტად ღირსეულს, ღმერთმა მოგმადლა, ჩემთვის დაგათმობინო. ღმერთს რომ ენებებინა, რომ ეს ქალი უფრო ჩემი საფერი ყოფილიყო, შენცა ან სხვა ვინმეც ტყუილად იფიქრებდით, რომ ამ ქალს ღმერთი შენ გაკუთვნებდა, მაშასადამე, გაიხარე, რომ ღმერთმა ასეთ ღირსეულად შენ აგირჩია, ისარგებლე გონივრული რჩევით და ღვთის ნაბოძებითა. მე კი დაე ჩავიხრჩო ცრემლში, რომელიც ღმერთმა განმიმზადა, როგორც ასეთი სიკეთის უღირსსა. ან მე ვძლევ ამ ცრემლებსა და ეს შენ სასიამოვნოდ დაგრჩება, ანდა ცრემლები მომერევიან და მაშინ ამ ტანჯვისაგანაც გავთავისუფლდები“.

ამაზე ჯიზიპომ უპასუხა: „ჩემო ტიტო, თუ ჩვენი მეგობრობა იმის უფლებას მომანიჭებს, გაიძულო ჩემს გუნებაზე გაგატარო და შენც შენი თავი ვალდებულად ჩათვალო ეს ჩემი ნება აასრულო, აი განსაკუთრებით როგორ მინდა გამოვხატო ეს ჩვენი მეგობრობა: თუ შენ ნებით არ შემისრულე თხოვნა, იმ შემთხვევაში მივმართავ იმ ძალადობას, რომელიც ნებადართულია, ოდეს ეს ძალადობა სასიკეთოდ უნდა იხმარონ, და ვეცდები სოფრონია შენი გახდეს. მე ვიცი, ძმაო, რა უძლეველნი არიან სიყვარულის ძალნი და ისიც ვიცი, რომ ამ

ძალთა ერთხელ კი არა, მრავალჯერ სამარის კარამდე მიუყვანიათ შეყვარებულნი, და შენ რომ გიცქერი, ვხედავ, რა ახლოსა ხარ სიკვდილის პირად მისული, ვხედავ უძლური ხარ უკან დაიხიო ან შეიკავო ცრემლები. და თუ წინ გაიწევ, ცხადია, ძლეული ძირს გაერთხმები და მეც, ყოველ ეჭვს გარეშე, შენ გადაგყვები. ასე რომ, საერთოდაც რომ არ მყვარებოდი, შენი სიცოცხლე ჩემთვის იმით მაინც იქნებოდა ძვირფასი, რომ მე თვითონ შემძლებოდა მეცხოვრა. მაშ, შენი იყოს სოფრონია, იმიტომ რომ გაგიჭირდება სხვა იპოვო ისეთი, რომ ასე მოგეწონოს. მე კი ჩემი სიყვარულის გრძნობას სხვა ვინმეზე გადავიტან, და მეც კმაყოფილი ვიქნები და შენც. მე აქ ამ საქმეში ასეთი სულგრძელობა იქნებ არ გამომეჩინა, ცოლები მეგობრებივით იშვიათი და ძნელი საპოვნელი რომ ყოფილიყვნენ; მე ადვილად შემიძლია სხვა ცოლი ვიპოვო, მეგობარი კი არა, ამიტომ მირჩევნია (ვერ ვიტყვი — სულ დავკარგო-მეთქი, იმიტომ რომ, შენ რომ დაგითმობ, ეს დაკარგვა კი არ იქნება, არამედ სხვაზე გადაცემა; კარგი კაცისაგან უკეთესის ხელში ჩავარდება) ქალი დავუთმო სხვას, ვიდრე შენი თავი დამეკარგოს. ამიტომ, თუ ჩემი თხოვნა შენთან გაჭრის, იმასღა გნუკავ, იკმარო დარდი, ერთსა და იმავე დროს შენი თავიც ანუგეშო და ჩემიც და უკეთესი მომავლის იმედით განემზადე დატკბე იმ სიხარულითა, რომელსაც შენი მხურვალე სიყვარული საყვარელი არსებისაგან გამოელის“.

თუმცა ტიტოს რცხვენოდა დათანხმებულიყო, რომ სოფრონია ცოლად გაეხადა და ამიტომ ცდილობდა არ შემდრკალიყო, მაგრამ, ერთის მხრით, სიყვარული თავისას არ იშლიდა, მეორეს მხრით კი ჯიზიპოს რჩევა თანდათან იმორჩილებდა, და უთხრა: „ჩემო ძმაო ჯიზიპო! არ ვიცი, ღმერთმანი, რა უფრო მაგულიანებს: შენი თუ ჩემი წადილი, თუ ავასრულე ის, რასაც მირჩევ და თანაც ამტკიცებ, რომ ეს შენთვის მეტად სასიამოვნო იქნება; რადგან შენი სულგრძელობა ესოდენ დიდია, იმორჩილებს ჩემს სრულებით გასაგებ სირცხვილს, მეც ასე მოვიქცევი; მხოლოდ ერთ რამეში დამერწმუნე, სახელდობრ, მე ამას ჩავდივარ არა როგორც ისეთი ადამიანი, რომელსაც არ მესმოდეს, რომ შენგან ვღებულობ არა მარტო საყვარელ ქალს, არამედ ჩემს საკუთარ სიცოცხლესაც. დაე ღმერთებმა შემაძლებინონ შენდა სასიკეთოდ და პატივსაცემად დაგიმტკიცო, თუ რა სიკეთეს მიშვრები, თუ რარიგ გული გეწვის ჩემთვის ჩემზე მეტად“.

ამ სიტყვებზე ჯიზიპომ უპასუხა: „ტიტო ჩემო! თუ გინდა ეს საქმე მოგვარდეს, აი რა გზას უნდა დავადგეთ: როგორც იცი, ჩემსა და სოფრონიას ნათესავებს შორის კარგა ხნის მოლაპარაკების შემდეგ გახდა სოფრონია ჩემს დანიშნულად, და ახლა მე რომ წავიდე და ვუთხრა — ქალი ცოლად არ მინდა-მეთქი, ამას მეტად ცუდი ამბავი მოჰყვება და მეტად გაწყრებიან ჩემი და სოფრონიას ნათესავებიცა; ამას კიდევ არ ვინაღვლებდი, რომ ვიცოდე, ქალი შენ დაგრჩებოდა. მაგრამ ასე რომ თავი მივანებო, ვაითუ მისმა მშობლებმა მაშინვე აიღონ და სხვას მიათხოვონ და ეს „სხვა ვინმე“ შეიძლება შენ არ გამოდგე, და ამგვარად

ხელიდან გამოგეცლება ის, რის შეძენაც მე კიდევ ვერ მომისწრია. ამიტომ, ჩემის აზრით, თუ შენც დამეთანხმები, კარგი იქნება უკვე დაწყებული საქმე განვაგრძო: მოვიყვანო ქალი სახლში, როგორც ცოლი, ქორწილი გადავიხადო და მერე კი ისე მოვაწყო საქმე, რომ ჩუმად შეგეძლოს, როგორც შენ ცოლთან, მასთან წოლა. შემდეგში თავის დროზე და თავის ალაგას გამოვაცხადებთ მომხდარ ამბავს; თუ ეს იმათ მოეწონებათ, ხომ კარგი, თუ არა და საქმე მომხდარი იქნება და რაკი უკან დახევა აღარ შეეძლებათ, მეტი რა გზა ექნებათ, ძალაუნებურად უნდა შეურიგდნენ ყველაფერს“.

ტიტოს მოეწონა ეს რჩევა და, როცა ავადმყოფობისაგან მორჩა და ძალ-ღონე მოიკრიბა, ჯიზიპომ სოფრონია სახლში მიიყვანა, როგორც თავისი საკუთარი ცოლი, სანაქებო ქორწილი გადაიხადეს. რომ დაღამდა, ქალებმა პატარძალი მისი ქმრის სარეცელში დატოვეს და განშორდნენ.

ტიტოსა და ჯიზიპოს ოთახები ერთმანეთზე იყო მიდგმული. ასე რომ, ერთი ოთახიდან მეორეში შეიძლებოდა შესვლა; ამიტომ ჯიზიპომ თავის ოთახში სანთელი გააქრო, ჩუმად ტიტოსთან შევიდა და უთხრა, აბა მიდი, ჩემ ცოლთან დაწექიო. ტიტომ ეს რომ დაინახა , სირცხვილისაგან მთლად დაიწვა. მზად იყო მოენანიებინა და წასვლაზე უარი უთხრა. მაგრამ ჯიზიპომ, რომელსაც გულწრფელად სწადდა ეამებინა მეგობრისათვის, მარტო სიტყვით კი არა, არამედ საქმითაც, ბევრი ლაპარაკის შემდეგ, ძალათი გაისტუმრა თავის ოთახში. ტიტო ლოგინში რომ დაწვა, ხელები მოხვია ქალს და თითქო ეხუმრებაო, ჩუმად ჰკითხა: ხომ გინდა გენაცვალე, ჩემი ცოლი იყოო? ქალს ეგონა, ჯიზიპო მეკითხებაო და კიო — უთხრა. მაშინ ტიტომ აიღო ერთი მშვენიერი ძვირფასი ბეჭედი, თითზე გაუკეთა და უთხრა: მე კიდევ შენი ქმარი მინდა ვიყოო. ამრიგად, იქორწინეს და ტიტო დიდხანს და სიამით ტკბებოდა მასთან. ასე რომ, არც ქალსა და აღარც სხვა ვისმე ეჭვიც კი არ აუღიათ, რომ სოფრონიასთან სხვა ვიღაც წვებოდა და არა ჯიზიპო.

ასე მიმდინარეობდა სოფრონიასა და ჯიზიპოს ცოლ-ქმრობის საქმე, როცა ტიტოს მამა პუბლიო გარდაიცვალა და შეატყობინეს — დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდე რომში და შენს საქმეებს მიხედოო. ამიტომ ისიც მოელაპარაკა ჯიზიპოს და გადაწყვიტა, დაბრუნებულიყო და სოფრონიაც წაეყვანა. მაგრამ ამის შესრულება ისე არ შეიძლებოდა და თან გაჭირდებოდა, თუ ქალს ყველაფერში არ გამოუტყდებოდა. და აჰა, ერთ დღეს ოთახში შეიხმეს სოფრონია და პირდაპირ აუხსნეს ყველაფერი, როგორც იყო, და ტიტომაც თავის მხრივ უმოწმა იმით, რომ მოაგონა ბევრი რამ ისეთი, რაც მათ ორ შორის მომხდარიყო. ქალმა ჯერ ხან ერთს და ხან მეორეს, ცოტა არ იყოს, ზიზღით შეხედა, და მერე ერთბაშად აქვითინდა და ჯიზიპოს მოტყუებისათვის ყვედრება დაუწყო. ამაზე ჯიზიპოს სახლში ქალს არავისთან კრინტი არ დაუძრავს, წავიდა თავის სახლში და აქ მშობლებს უამბო, აი როგორ მოგვატყუა ჯიზიპომ მეცა და თქვენცაო; თანაც დასძინა: მე ტიტოს ცოლი ვარ და არა ჯიზიპოსი, როგორც თქვენ

გგონიათო.

ეს საშინლად ეწყინა სოფრონიას მამას. ამან და მისმა ნათესავებმა ჯიზიპოსანებს საშინელი დავიდარაბა აუტეხეს და მათ შორის მდურვა და შფოთი დიდხანს არ შეწყვეტილა. ჯიზიპო, როგორც თავისიანებმა, ისე სოფრონიას მახლობლებმა, მეტად აითვალისწუნეს და ყოველი მათგანი ასე იძახდა: ჯიზიპო არა მარტო გაწყრომის ღირსია, არანედ მაგარი სასჯელისაცაო. ჯიზიპო კი ამტკიცებდა, სასიქადულო საქმე ჩავიდინეო და სოფრონიას მშობლები, პირიქით, უნდა მიმადლოდნენ, რომ ჩემზე უკეთეს კაცს მივათხოვე მათი ქალიო.

მეორე მხრით, ტიტოს ყოველივე ეს ესმოდა და მეტად სწუხდა — რა მომივიდაო. თან იცოდა ბერძნების ჩვეულება: ბაქიბუქი და მუქარა მანამ იციან, სანამ არ შეხვდებათ თვით ის კაცი, ვისაც ემუქრებიან, ვისაც შესაფერისი პასუხის გაცემა შეეძლება, და მაშინ კი გაგიხარიათ, მაგათ ხმა ჩაიწყვიტონ და არამცთუ თავმდაბალნი ხდებიან, არამედ მხდალებად იქცევიანო. ამიტომ გადაწყვიტა, ის ლანძღვა-გინება მათთვის არ შეერჩინა. გულადმა, როგორც რომაელმა, და გონიერმა, როგორც ათენელმა, მოხერხებულად ერთ ტაძარში თავი მოუყარა ჯიზიპოს და სოფრონიას ნათესავებს, თვითონაც შიგ ტაძარში შევიდა, იახლა მხოლოდ ჯიზიპო და იქ მომლოდინე ხალხს ასეთი სიტყვებით მიმართა:

„ბრძენთა უმრავლესობას სჯერა, რომ რასაც სიკვდილის შვილნი სჩადიან, ხდება უკვდავი ღმერთების განკარგულებითა და ნებითაო, ამიტომ ზოგსა ჰგონია, რომ რაც ხდება ან როდესმე მოხდა, ასე უნდა მომხდარიყო. თუმცა ისეთებიც არიან, ვისაც ჰგონია, რომ აუცილებელი ის უნდა იყოს, რაც უკვე მოხდაო. თუ ამ მოსაზრებით ცოტათი დაკვირვებით ავწონ-დავწონით, აშკარად დავინახავთ, რომ ფუჭია დაგმობა ისეთი საქმისა, რომლის გამობრუნება აღარ შეიძლება, და თუ მაინც ჩვენ-ჩვენი არ დავიშალეთ, დავემსგავსებით იმ ადამიანთ, რომელთაც ჰგონიათ, რომ ისინი ღმერთებზე ჭკვიანები არიან, იმ ღმერთებზე, ვისიც უნდა გვწამდეს, რომ მუდამ ბრძნულად და ყოვლად უცდომელად გვპატრონობენ და წარგვმართავენ ხოლმე ჩვენა და ყველა ჩვენს საქმესა. ამიტომ თქვენ სულ ადვილად შეგიძლიათ დაინახოთ, თუ როგორი უჭკუო და ბრიყვული უნდა იყოს დაგმობა ამ ღმერთებისა და რამდენი ბორკილის ღირსია, ვინც ამ ზომამდე კადნიერდება. ჩემის აზრით, თქვენ ყველანი ასეთები ყოფილხართ, თუ მართლა, როგორც მითხრეს, სამდურავი გითქვამთ და დღესაც გაიძახით იმის გამო, რომ სოფრონია ჩემი ცოლი გახდა, თუმცა ჯიზიპოს მიათხოვეთ; ის კი არ გიფიქრიათ, რომ მას შუბლზე ჯიზიპოს კი არა, მინწყითვე ჩემი ცოლობა ეწერა, როგორც ახლა მართლა ახდა. მაგრამ რადგან ღმერთების საიდუმლო განგებისა და ნების შესახებ ნალაპარაკევი ზოგისათვის მძიმე და ძნელი გასაგებია ხოლმე, ვთქვათ, რომ ღმერთები ჩვენს საქმეებში არაფერში ერევიან, მე მსურს შევეხო ადამიანთა განჩინებას. და ამაზე ლაპარაკის დროს იძულებული ვიქნები ჩავიდინო ორი რამ, რაც ჩემი ჩვეულების წინააღმდეგია: პირველი ის იქნება, რომ ცოტათი ჩემი თავი შევაქო, ხოლო მეორე კი ისა,

რომ ზოგ ვისმე ვაყვედრო ან დავამცირო. მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ჭეშმარიტებას არ მინდა გადავუხვიო, ამას თვით საქმეც თხოულობს და მეც ასე მოვიქცევი.

თქვენი დრტვინვა უფრო რისხვითაა გამოწვეული, ვიდრე გონებითა. ამას ემატება დაუსრულებელი მდურვა და ყვირილიც კი. ყოველივე ეს ჯიზიპოს ლანძღავს და გულს უწყლულებს, ვინაიდან, მან გადაწყვიტა ჩემთვის ცოლად მოეცა ის ქალი, ვინც თქვენ მას მიათხოვეთ, ხოლო ამისათვის, ჩემის აზრით, ეს კაცი უზომო ქების ღირსია, და აი რატომ: პირველი ის გახლავთ, რომ იგი მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო ყოველი მეგობარი; მეორე საბუთი ქებისა ის გახლავთ, რომ იგი თქვენზე ჭკვიანურად მოიქცა. მე აზრად არა მაქვს ახლა განვიმარტოთ, თუ რას მოითხოვს წმინდა კანონი მეგობრობისა, რომლის ძალით ერთმა მეგობარმა მეორისათვის ყველაფერი უნდა ქნას. მე მხოლოდ იმით ვკმაყოფილდები და მოგაგონებთ, რომ კავშირი მეგობრობისა გაცილებით ძლიერია სისხლისა ან ნათესაობის კავშირზე, იმიტომ რომ მეგობრებად ჩვენ გვყავს ისინი, ვისაც ჩვენ ავირჩევთ, ხოლო ნათესავებად ისინი, ვისაც ბედი მოგვცემს ხოლმე და უკეთუ ჯიზიპო ჩემს სიცოცხლეს მეტად აფასებდა. ვიდრე თქვენს ნება-სურვილს, რადგან მე მისი მეგობარი ვარ, როგორც მე ვთვლი, ეს ამბავი არავის უნდა გაუკვირდეს.

მაგრამ ახლა გადავიდეთ მეორე მიზეზზე.

ამის გამო დიდი დაჟინებით უნდა დაგიმტკიცოთ, რომ ჯიზიპო თქვენზე ჭკვიანი გამოდგა. რადგან, მე ვფიქრობ, ღმერთების განგების შესახებ არა იცით რა, და მით უფრო ნაკლები წარმოდგენა გაქვთ მეგობრობის საქმეთა შესახებ. თქვენი რჩევა-თათბირითა და გადაწყვეტილებით, სოფრონია შერთეთ ცოლად ჯიზიპოს, ახლაგაზრდა ფილოსოფოსს, ჯიზიპოს გადაწყვეტილებითაც ქალი ახალგაზრდა ფილოსოფოსს ხვდა; თქვენი თანხმობით ქალი ერგო ათენელსა, ხოლო ჯიზიპოს თანხმობით — რომაელსა; თქვენი თანხმობით — ერთ კეთილშობილ ახალგაზრდას, ხოლო ჯიზიპოს თანხმობით — უფრო კეთილშობილ ახალგაზრდას; თქვენი რჩევით — ერთ მდიდარ ახალგაზრდას, ხოლო ჯიზიპოს რჩევით — უფრო მდიდარ ახალგაზრდას; თქვენი თანხმობით ქალი შერთეთ ერთ ახალგაზრდას, რომელსაც არამცთუ არ უყვარდა, ძლივსღა იცნობდა; ხოლო ჯიზიპომ ისეთ ახალგაზრდას მიათხოვა, რომელსაც ქალი თავის თავს ურჩევნია და მისთვის სულს არ დაიშურებს.

ხოლო ჩემი ნათქვამი რომ მართალია და რომ თქვენს ნამოქმედარზე მეტადაა ღირსი, ამას ახლავე სათითაოდ განვიხილავთ. რომ მე ისეთივე ახალგაზრდა ვარ და ისეთივე ფილოსოფოსი, როგორიც ჯიზიპო, ამას უბევრლაპარაკოდ ამტკიცებს ჩემი სახეცა და ჩემი სწავლაცა. ორნივე ერთი ხნისანი გახლავართ და მეცადინეობაშიც ორნივე ერთნაირი ნაბიჯით მივდიოდით წინ. მართალია, ის ათენელია, მე კი რომაელი. თუ იმაზე დავიწყებთ დავას, თუ რომელი ქალაქი უფრო სახელგანთქმულია, მოგახსენებთ, რომ მე შვილი

გახლავართ თავისუფალი ქალაქისა, ის კი შვილია მოხარკე ქალაქისა; მოგახსენებთ, რომ მე იმ ქალაქიდან გახლავართ, რომელიც ბატონია მთელი ქვეყნიერებისა, მისი ქალაქი კი ჩემს ქალაქს ექვემდებარება; იმასაც ვიტყვი, რომ ჩემი ქალაქი მორჭმულია სამხედრო დიდებით, ძლიერებითა და სწავლა-მეცნიერებით, მისი ქალაქი კი სწავლულობას თუღა დაიკვეხებს. გარდა ამისა, მართალია, მოკრძალებულ მოწაფედ მიგაჩნივართ, მაგრამ, რომის მდაბიოთა ნაძირალებისაგან არ გახლავართ წარმოშობილი; ჩემი სახლები და საჯარო შენობები სავსენი არიან ჩემთა წინაპართა ძველისძველი სურათებითა და რომის მატიანეებში ბევრგანაა აღნიშნული, თუ როგორ შემოდიოდნენ გამარჯვებული კვინციები რომის კაპიტოლიუმში; ჩვენი გვარის დიდება და შუქმფინარობა არამცთუ არ დაძველებულა, არამედ ბრწყინავს უდიდესი ბრწყინვალებითა, ისე როგორც თავის დღეში არ უბრწყინია. მრცხვენია აქ ტრაბახი დავიწყო ჩემი სიმდიდრის შესახებ, ვინაიდან მარად მახსოვს, რომ პატიოსანი სიღარიბე უძველესი და უმდიდრესი მემკვიდრეობაა, რომელიც რომის კეთილშობილმა მოქალაქეებმა დაგვიტოვეს. მართალია, მდაბიოთა აზრით, სიღარიბე სააუგოა, ხოლო სიმდიდრენი საქებურნი არიან, მაგრამ ეს სიმდიდრენი მე მაინც უხვად მომეპოვება არა როგორც ძუნწს, არამედ როგორც ბედის ნებიერსა.

მე ძალიან კარგად ვიცი, რომ თქვენ გიხაროდათ და უნდა გიხაროდეთ კიდეც, რომ აქ სიძედ მოიკიდეთ ჯიზიპო, მაგრამ არავითარი საბუთი არა გაქვთ ნაკლებ გიხაროდეთ ჩემი სიძეობა რომში. უნდა იცოდეთ, რომ როგორი სტუმართმოყვარე მასპინძელი გეყოლებით იქ, როგორი გამოსადეგი, მზრუნველი და ძლიერი მფარველი ვიქნები თქვენი როგორც საზოგადო, ისე კერძო საქმეებში... აბა ვინ იქნება ისეთი, თავის პირად სურვილსა და ნატვრას თავი დაანებოს, დაუჯეროს იმას, რასაც გონება უკარნახებს, მოიწონოს არა ჩემი ჯიზიპოს გადაწყვეტილება, არამედ თქვენი? რა თქმა უნდა, — არავინ. მაშასადამე, სოფრონია შესაფერისადაა გათხოვილი ტიტო კვინციო ფულვოზე, ძველი რომის კეთილშობილსა და მდიდარ მოქალაქეზე, და ჯიზიპოს მეგობარზე. ხოლო ვინც ამას სწუხს და ნაღვლობს, ისე არ იქცევა, როგორც უნდა მოქცეულიყო და არც იცის, რასა შვრება.

შეიძლება გამოჩნდნენ ისეთები, ვინც იტყვიან, რომ ისინი იმას კი არა დარდობენ, რომ სოფრონია ტიტოს ცოლი გახდა, არამედ დარდობენ იმასა, თუ რა გზით გახდა მისი ცოლი მალულად, ქურდულად, ისე რომ არც მეგობრებს გაუგიათ რამე და აღარც მშობლებსო. აქ არც სასწაული რამ მოხდარა და არც ახალი რამ ამბავია ისეთი, აქამდე რომ არავის გაეგონოს! მე აღარც კი ვიხსენებ ისეთებს, ვინც თავიანთი მამების ნებადაურთველად გაჰყვნენ ქმრებს; არას ვიტყვი იმათზედაც, ვინც თავიანთ საყვარლებთან ერთად გაიქცნენ და ცოლებად გახდომამდე საყვარლებად იყვნენ; იმათაც დავანებებ თავს, ვინც იძულებულნი იყვნენ ჯვარი დაეწერათ, სანამ ამის სურვილს გამოაცხადებდნენ, რადგან ან ორსულები იყვნენ, ან კიდევ სულაც მოილოგინეს. არაფერი ამის მსგავსი სოფრონიას არ დამართნია; პირიქით, ჯიზიპომ

ტიტოს ჩაებარა ისე, როგორიც რიგი და წესი იყო, თავმდაბლად და პატიოსნად.

ერთიც ვნახოთ, ვინმე გამოდგეს და თქვას: ქალი იმ კაცმა გაათხოვა, ვისაც იმის უფლება არ ჰქონდაო, ეს უჭკუო, დიაცური წუწუნია და აღარც კია ყურადღების ღირსი! პირველად ხომ არ არის, რომ ბედს ნაირ-ნაირი საშუალებებისა და ახალ-ახალი იარაღისათვის მიემართოს, ოღონდ გულის წადილი აესრულებინოს!.. რა მგამა, თუ მეწაღემ და არა ფილოსოფოსმა ჩემი საქმის მოგვარება განიზრახა თავისებურად, სულ ერთია — იდუმალად თუ აშკარად, ოღონდ გამიკეთოს კი გასაკეთებელი. მხოლოდ უნდა ვუფრთხილდეთ, თუ მეწაღე ბრიყვია, მეორეჯერ აღარ მოჰკიდოს ხელი საქმეს, ხოლო გაკეთებულისათვის კი მადლობა ვუთხრათ. თუ ჯიზიპომ სოფრონია იღბლიანად გაათხოვა, სწორედ მოგახსენოთ, სისულელე იქნება ამისათვის დავემდუროთ და დავუწუნოთ ის ხერხი, რა ხერხითაც ეს საქმე მოაგვარა. ხოლო თუ მის ჭკუას არ ვენდობით, გავუფრთხილდით, სხვები მაინც აღარ გაათხოვოს, ამისათვის კი მადლობა გადაუხადეთ.

ასეა თუ ისე, უნდა მოგახსენოთ, რომ მე არა ვცდილვარ არც გაიძვერობით, აღარც მოტყუებით, ერთი ჯნინიც არი, ჩირქი მომეცხო თქვენი პატიოსნებისა და სისხლის სიწმინდისათვის სოფრონიას გაბახებითა. და თუმცა ცოლად ჩუმად შევირთე, მაგრამ ქურდივით არ მოვსულვარ მისი უბინოების წასართმევად და არც მტრულად განმიზრახავს დავუფლებოდი უპატიოსნოდ და თქვენი დამოყვრება უარმეყო, არამედ მივედი, როგორც მხურვალედ შეყვარებული ადამიანი, რომელსაც უზომოდ მხიბლავდა მისი სილამაზე და სათნო ხასიათი. თანაც ვიცოდი, მე რომ მისი შერთვა იმ წესით მომენდომებინა, რაც შესაძლოა, თქვენ გულში გედოთ, უეჭველად უარს მეტყოდით და საქმროდ დამირიდებდით, რადგან შეგეშინდებოდათ, ვაითუ რომში წაიყვანოსო. ამგვარად, მე მივმართე ერთგვარ იდუმალ ხერხს, რომელიც ახლა შეიძლება თქვენც გაგიცხადოთ. ჯიზიპო ვაიძულე ჩემი სახელით დათანხმებულიყო იმაზე, რაც თვითონ გულშიაც არა სდებია; ამის შემდეგ, მე თუმცა სოფრონია მხურვალედ მიყვარდა, ვცდილობდი მასთან შეერთებას არა როგორც საყვარელი, არამედ როგორც სჯულიერი ქმარი, და მივუდექი მას, როგორც ამას თვითონაც დაამოწმებს, მხოლოდ მაშინ, როცა ნიშანი მივეცი და წარმოვთქვი სათანადო სიტყვები, თან ვკითხე — ხომ გსურვარ ქმრად-მეთქი, და ამაზე თანხმობის პასუხი მივიღე. თუ ჰგონია, მოტყუებულია, საყვედურის ღირსი მე კი არა ვარ, თვითონ ქალია — რატომ არა მკითხა, ვინც ვიყავი!..

აი, ის ვითომდა უდიდესი სიავე, ის უსაშინლესი ცოდვა და უდიდესი დანაშაული, რაც ჩავიდინეთ ჯიზიპომ — მეგობარმა და მე — შეყვარებულმა, ე. ი. სოფრონია საიდუმლოდ ტიტო კვინციოს მეუღლედ იქცა. და ამისათვის ჯიზიპოს აღარ უსვენებთ, ემუქრებით და სამარეს უთხრით! ნეტავ მაშინ რაღას უზამდით მეტს ვინმე მდაბიოს, ვინმე გზადაკარგულის ან მონისთვის რომ მიეცა? მისთვის რომელი საპატიმრო, რომელი ბორკილი და რარიგი წვალება გეჩვენებოდათ საკმარისად? მაგრამ ჯერ ამაებს თავი დავანებოთ; დადგა დრო,

რასაც ჯერ არც კი ველოდი, ე. ი. გარდამეცვალა მამა და რომში უნდა დავბრუნდე, და რაკი სოფრონია ჩემთან ერთად მინდა წავიყვანო, გაგიცხადეთ ის, რაც შეიძლება ჯერ კიდევ არ გამემჟღავნებინა თქვენთვის: თუ ჭკუით იქნებით, ამ ჭირს ადვილად გაუძლებთ, იმიტომ რომ, მე თქვენი მოტყუება ან შეურაცხყოფა რომ მდომოდა, შერცხვენილ ქალს თავს მივანებებდი; მაგრამ ღმერთმა დაიფაროს რომაელი, რომ მის სულს როდესმე ასეთი საზიზღარი განზრახვა გაეკაროს!..

ასე, ჩემო ბატონებო! ღმერთების ნებითა და საკაცობრიო კანონების ძალით, აგრეთვე ჩემი ჯიზიპოს საქებარი მიხვედრილობით და ჩემი, როგორც შეყვარებული კაცის, ეშმაკობით, სოფრონია ჩემია. თქვენ კი, შეიძლება, ღმერთებზე და სხვა ადამიანებზე უფრო ბრძენებად მოგქონდეთ თავი, — როგორც გეტყობათ, სრულიად უსაბუთოდ მძრახავთ და ამასთან ორი, ჩემთვის მეტად საწყენი გზით: პირველი საწყენი ის არის, რომ ჯიზიპოს, იმის მაგივრად, რომ პატივისცემისათვის მადლობა უთხრათ, მტრულად ეკიდებით, არა მსურს მეტი ვილაპარაკო იმაზე, თუ რაზომ ბრიყვულად იქცევით ამ საქმეში, მხოლოდ მეგობრულად მინდა გირჩიოთ; ხელი აიღეთ გულისწყრომასზე, განაგდეთ ბრაზი და ჩამაბარეთ სოფრონია, რათა აქედან მხიარულად შემეძლოს წასვლა, როგორც თქვენს ნათესავს; ამასთან, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მოგწონთ თუ არა ის, რაც უკვე მოხდა, სულ ერთია. თუ ფიქრობთ სხვაფრივ მომექცეთ, წაგართმევთ ჯიზიპოს, და თუ რომს ჩავაღწიე, უთუოდ დავიბრუნებ, თუნდაც ამაზე თქვენი ნებაც არ იყოს, იმ ქალს, ვინც კანონით მე მეკუთვნის. მერე რაკი მტრად გეყოლებით გადაკიდებული, საქმით დაგიმტკიცებთ, თუ რასა ნიშნავს რომაელის გულისწყრომა“.

ამის თქმა რომ გაათავა, ტიტო ზეზე წამოიჭრა გაალმასებული სახით, მოჰკიდა ხელი ჯიზიპოს და ზიზღით გადახედა ტაძარში მყოფთ, თავი ჩააქნია და მუქარით გავარდა იქიდან. შიგ დარჩენილებს ერთის მხრივ ჭკუაში დაუჯდათ ტიტოს მოსაზრებანი დამოყვრებისა და დამეგობრების შესახებ და მეორეს მხრივ ძალიან შეეშინდათ მისი მუქარისა და საერთო თანხმობით გადაწყვიტეს: ასევე ჯობია, ტიტო სიძედ მოვიკიდოთ, რაკი ჯიზიპომ უარი თქვა სიძეობაზეო, ვიდრე ჯიზიპოც დავკარგოთ და ტიტოც მტრად გადავიკიდოთო. ამიტომ, გამოვიდნენ, ნახეს ტიტო და უთხრეს: სოფრონია დაე თქვენი იყოს, თქვენ ჩვენი ძვირფასი სიძე იყავით, ხოლო ჯიზიპო ჩვენს კარგ მოკეთედ დარჩესო. გამართეს ნათესაური და მეგობრული ნადიმი, მერე თვითონ წამოვიდნენ და სოფრონია კი გაუგზავნეს. სოფრონიამ, როგორც ჭკვიანმა ქალმა, იძულება მოვალეობად შეცვალა, სიყვარული — ჯიზიპოსადმი რომ გრძნობდა, სწრაფად ტიტოზე გადაიტანა და მასთან ერთად რომს გაემგზავრა, სადაც დიდი პატივით დაუხვდნენ.

ჯიზიპო ათენში დარჩა, თითქმის ყველასაგან პატივაყრილი. გაიარა დრო-ჟამმა. თავის ნათესავებთან უთანხმოების გამო, გასაწყლებული და გაუბედურებული, ათენიდან გააგდეს და საუკუნო გაძევება მიუსაჯეს.

ამ მდგომარეობაში ჯიზიპო არამცთუ გასაწყლდა, მათხოვრადაც იქცა და, რის წვალებით, რომში ჩამოაღწია, რომ გაეგო — აბა ტიტოს ვახსოვარ თუ არაო. ჯერ იმისი ამბავი იკითხა და გაიგო, რომ ტიტო კარგადა ყოფილა და რომაელები ყველანი პატივსა სცემდნენ, სახლიც გაიგო, სადა ჰქონია. ჯიზიპო ტიტოს სახლის წინ გაჩერდა და დაუწყო ლოდინი, სანამ ტიტო გამოვიდოდა, მაგრამ რაკი ასეთ გასაცოდავებულ დღეში იყო, ვერ გაბედა გამოლაპარაკებოდა, მხოლოდ იმდენს ეცადა თვითონ ტიტოს შეემჩნია, — რომ დამინახავს, მიცნობს და თვითონ დამიძახებსო. მაგრამ როცა ტიტომ ჩაუარა, ჯიზიპომ იფიქრა: დამინახა, მაგრამ არ მიკადრაო; მოაგონდა, რაც სიკეთე იმისთვის ოდესღაც ექნა; განაწყენებული და სასოწარკვეთილი იქაურობას მოშორდა.

უკვე ჩამოღამდა. უჭმელ-უსმელმა და უფულო ჯიზიპომ არ იცოდა, რა ექნა, სად წასულიყო. სიკვდილსღა ნატრობდა, ისე თავი ამოყო ქალაქის სულ მიყრუებულ ადგილას. აქ ერთი გამოქვაბული დაინახა და ისიც შიგ შევიდა ღამის გასათევად. გამოქვაბულში პირდაპირ ცარიელა მიწაზე გაიშხლართა ძონძებში გახვეული და, ამდენი ტირილისაგან ღონეგამოლეულს, ჩაეძინა კიდეც. სწორედ ამ გამოქვაბულში სისხამ დილაზე მოვიდნენ ნაქურდალითურთ ორნი, რომელნიც წინა ღამეს საქურდლად ყოფილიყვნენ წასულნი. შელაპარაკდნენ. უფრო ღონიერმა მეორე მოკლა და წავიდა იქიდან. ჯიზიპომ ყოველივე ეს დაინახა და გაიგონა; მოეჩვენა, — თავის მოკვლას რომ ვაპირებდი, ახლა რაღად მინდა, ღმერთმა მომხედა და თვითონ დამაყენა სიკვდილის გზაზეო; ამიტომ იქიდან ფეხიც არ მოიცვალა, სანამ სასამართლოს მსახურთ, რომელთაც გაეგოთ ამ კაცისკვლის ამბავი, არ მიაგნეს და გაალმასებულებმა კინწისკვრით თან არ წაათრიეს ჯიზიპო. როცა დაკითხეს, აღიარა, მე მოვკალიო და თან არ შემეძლო გამოქვაბულიდან სადმე წავსულიყავიო. ამიტომ პრეტორმა, რომელსაც მარკ ვარონე ერქვა, ბრძანა, იმ დროს ჩვეულების თანახმად, ჯვარს ეცვათ და ისე მოეკლათ ჯიზიპო.

ტიტო ამ დროს სრულებით შემთხვევით მოვიდა პრეტორიაში და, საცოდავ დამნაშავეს რომ დააცქერდა და გაიგო, რისთვისაც სჯიდნენ, მაშინვე იცნო ჯიზიპო და უზომოდ გაუკვირდა — ასე საცოდავად რამ გაასაწყლა ან აქ რამ მოიყვანაო? სულითა და გულით მოინდომა მოხმარებოდა, მაგრამ სხვა მეტი გზა არა ჰქონდა, თვითონ თავის თავზე უნდა გადაებრალებინა ყველაფერი დანაშაული და ის კი გაემართლებინა. საჩქაროდ წინ წადგა და დაიძახა: „მარკ ვარონე, გთხოვთ გაათავისუფლო ეს საცოდავი კაცი, რომლისათვის სიკვდილი მიგისჯია, რადგან უდანაშაულოა, მე ერთი დანაშაულითაც უკვე საკმაოდ გავიწყრომე ღმერთები იმით, რომ მოვკალი ის კაცი, ვინც შენმა მსახურებმა ამ დილას მკვდარი იპოვეს, და ახლა არ მინდა უარესად გავიწყრომო ეგევე ღმერთები მეორე უდანაშაულოს სიკვდილითა“.

ვარონეს მეტად გაუკვირდა და ეწყინა, რომ მთელ პრეტორიას ესმოდა მისი ნათქვამი;

და რადგან ურცხვენელად არ შეეძლო არ აესრულებინა ის, რის ასრულებასაც კანონი და სამართალი ავალებდა, უკან დააბრუნებინა ჯიზიპო და ტიტოს თანდასწრებით უთხრა:

„დავიჯერო, იმდენად სულელი იყავ, რომ უწამებლად აღიარე შენი დანაშაული და არ დაერიდე სიკვდილს? აკი შენა თქვი, წუხელ კაცი მე მოვკალიო და ახლა კიდევ ეს კაცი მოდის და შენზე ამბობს — ამან კი არა, მე მოვკალი ის კაციო“. ჯიზიპომ აიხედა და დაინახა ტიტო და მიხვდა, რომ ამას იმიტომ ამბობდა, რომ როგორმე დაეხსნა სიკვდილისაგან იმ პატივისცემის ნაცვლად, რაც ტიტოს ჯიზიპოსაგან ახსოვდა. ამიტომ ტიტოს შებრალებამ აატირა და უთხრა პრეტორს: „ვარონე, მართალს მოგახსენებთ, სწორედ მე მოვკალი ის კაცი და ტიტოს სიბრალული და ცდა ჩემს დასახსნელად მეტად დაგვიანებულია და ვერას მიშველის“. ახლა ტიტო თავის მხრით იძახდა: „პრეტორე, როგორცა ხედავ, ეს კაცი უცხოელია და ზედ იარაღი არც კი ჰქონია რამე, ასე იპოვეს გამოქვაბულის შესასვლელთან და თავის გაჭირვებამ აიძულა თავის თავისათვის დაებრალებინა ასეთი დანაშაული, რომ სიკვდილს არ გადარჩენოდა; ამიტომ გთხოვ ეს გაათავისუფლო და მე კი, როგორც ღირსი სასჯელისა, დამსაჯო“.

ვარონეს ძალიან უკვირდა, თუ როგორი დაჟინებით მოითხოვდა ორივე ერთმანეთის განთავისუფლებას; გულში გაივლო: ალბათ, არც ერთია დამნაშავე და არც მეორე, და უკვე იმის ფიქრში იყო, როგორ გაეთავისუფლებინა ესენი, ისე მოულოდნელად გამოჩნდა ერთი ახალგაზრდა კაცი, პუბლიო ამბუსტო, ერთი თავზეხელაღებული ვინმე, რომელსაც მთელი რომი იცნობდა, როგორც საშინელ ავაზაკს; ის კაცი სწორედ ამის მოკლული იყო და რადგან ამან იცოდა, რომ ამ ორში არც ერთი არ იყო დამნაშავე იმაში, რასაც ძალით იბრალებდნენ, მათმა ალალმართლობამ ასე აღუვსო გული სიბრალულით, რომ ვეღარ მოითმინა, მიუახლოვდა ვარონეს და უთხრა: „მოსამართლევ, ჩემი სვე-ბედი მაიძულებს ნათელი მოვფინო ამ ორ ადამიანს შორის ატეხილ მძიმე დავას; არ ვიცი, რომელი ღმერთი ჩამიძვრა გულში და მაქეზებს ჩემი დანაშაული გაგიმჟღავნო, ამიტომ იცოდე, რომ თითოეული მათგანი ტყუილად იბრალებს თავისთავზე დანაშაულს, თორემ არც ერთია დამნაშავე და არც მეორე. მე სწორედ ის კაცი გახლავართ, ვინც დღეს გათენებისას ის კაცი მოვკალ, და ამ უბედურს კიდევ იქ ეძინა, სანამ მე ნაქურდალს ვუყოფდი იმას, ვინც შემომაკვდა. ტიტოს ჩემი გამართლება არ სჭირია, იმდენად ცნობილია, რომ მას არავინ დასწამებს ასეთი საქმის ჩადენას; მაშასადამე, ის გაათავისუფლე და მე დამსაჯე იმ სასჯელითა, რა სასჯელიც კანონით მეკუთვნის“.

ოქტავიანემ უკვე იცოდა ყოველივე ეს, სამივესათვის დააძახებინა და უნდოდა გაეგო, თუ რისთვის თხოულობდა თითოეული მათგანი დასჯილიყო, და იმათაც სათითაოდ უამბეს. ოქტავიანემ პირველი ორი გაათავისუფლა, რადგან უდანაშაულო იყვნენ, ხოლო მესამეს იმ ორის ხათრით აპატია დანაშაული.

ტიტომ წამოიყვანა თავისი ჯიზიპო და, ცოტა არ იყოს, უსაყვედურა მისი მორიდებულობისა და უნდობლობისათვის; მერე საშინლად გაიხარა და წაიყვანა თავის სახლში, სადაც გულაჩვილებული და ატირებული სოფრონია დაუხვდა, როგორც ძმას. ტიტომ ანუგეშა და შემოსა მისი კეთილშობილებისა და ვაჟკაცობის საფერი სამოსლითა. მერე ტიტომ ჯიზიპოს გაუყო მთელი თავისი განძი და ქონება, და ბოლოს ცოლად შერთო ერთი თავისი და, ფულვიად წოდებული, და უთხრა: „ჯიზიპო ჩემო, ახლა შენზეა დამოკიდებული, რასაც აირჩევ: გინდა აქ ჩემთან დარჩი და გინდა ყველაფერი, რაც კი მოგეცი, თან წაიღე და აქაიაში დაბრუნდი“. ჯიზიპომ, ჯერ ერთი ისეთი — როგორც გამოძევებულმა საშშობლო ქალაქიდან, მეორეც — იმ სიყვარულის გამო, რომელსაც ტიტოს კეთილშობილური მეგობრობისადმი გრძნობდა, არჩია რომის მოქალაქე გამხდარიყო.

ამგვარად, მეგობრობა უუწმიდესი საქმე გახლავთ და ღირსია არა მარტო განსაკუთრებული პატივისცემისა, არამედ საუკუნო ქება-დიდებისა, როგორც ბრძენი მშობელი სულგრძელობისა და პატიოსნებისა, როგორც დაი მადლიერებისა და მოწყალებისა, მტერი მძულვარებისა და სიძუნწისა, მარად მზადმყოფი, უთხოვნელად მიაგოს სხვას ის სიკეთე, რასაც თვითონ ისურვებდა, სხვას მიეგო მისთვის. მისი უუწმიდესი გავლენა დღეს მეტად იშვიათად იჩენს ხოლმე თავს ორ ადამიანს შორის და ამის ბრალი და სირცხვილი ედება წუთისოფლის მცხოვრებთა საზიზღარ ანგარებისმოყვარეობას, რომელიც მარტოოდენ საკუთარი გამორჩენისთვის ზრუნავს, ხოლო მეგობრობის გრძნობა საუკუნოდ გააძევა დედამიწის სულ უკიდურეს საზღვარს იქით. აბა ერთი ბრძანეთ, რომელ სიყვარულს, რომელ სიმდიდრეს, რომელ ნათესაურ გრძნობას ძალედვა ჯიზიპოს გული გამოხმაურებოდა ტიტოს ვნებათაღელვას, ცრემლებს და სულთქმას ისეთი სიძლიერით, რომ ლამაზი, კეთილშობილი და საყვარელი სარძლო ტიტოს დაუთმო, — თუ არა მეგობრობას? რომელ კანონს, რომელ მუქარას, რომელ შიშს ძალედვა ჯიზიპოს ახალგაზრდა ხელებისათვის დაეშალა განმარტოებულ, ბნელ ადგილას საკუთარ სარეცელზე არ მოხვეოდა ახალგაზრდა ლამაზ ქალს, რომელსაც, შეიძლება, ზოგჯერ ესწრაფვოდა კიდეც, — თუ არა მეგობრობა? რა პატივს, რა ჯილდოს, რა სარგებელს შეეძლო იძულებული ექმნა ჯიზიპო, დარდი არ ჰქონოდა, თუ დაეკარგებოდა თავისი ნათესავები და აგრეთვე ნათესავები სოფრონიასი, არაფრად ჩაეგდო მდაბიო ხალხის სააუგო მითქმა-მოთქმა, დაცინვა და ქირდვა, ოღონდ კი მეგობრისათვის ეამებინა, — თუ არა მეგობრობას? და მეორეს მხრით, რამ აიძულა ტიტო (თუმცა იმას მართებული საბაბი ჰქონდა თავი ესე მოეჩვენებინა, ვითომ არაფერი უნახავს), თავგამოდებით, უყოყმანოდ თვით შეგებებოდა სიკვდილს, ოღონდ ჯიზიპო ეხსნა ჯვარცმისაგან, რომელსაც თვითონ თავის თავს უმზადებდა, — თუ არა მეგობრობამ? რამ გახადა ტიტო ისე გულუხვად, რომ მცირედიდაც არი, არ შეყოყმანებულა, ისე გაუყო თავისი უთვალავი ქონება ჯიზიპოს, რომელსაც თავისი ქონება ბედმა ხელიდან გამოაცალა, — თუ არა მეგობრობამ? რამ მიაცემინა ტიტოს თავისი დაი ხალისიანად და უყოყმანოდ ჯიზიპოსათვის, რომელსაც

გაღატაკებულს, უკანასკნელ სიღარიბემდე მისულსა ხედავდა, — თუ არა მეგობრობამ?

მაშასადამე, დაე ადამიანთ ინატრონ მრავალი ნათესავები, უფრო მეტი ძმები, უთვალავი შვილები, ფულის საშუალებით გაიმრავლონ რიცხვი მოსამსახურეთა და იმას კი ნუღარ დაინახავენ, რომ ყოველ მათგანს უფრო ეშინია, მცირე რამ საფრთხე არ შეხვდეს და ნაკლებ ზრუნავს თავიდან აარიდოს მამას, ძმას ან პატრონს დიდი განსაცდელი, — იმ დროს, როცა მეგობარი სულ წინააღმდეგ იქცევა.

ამბავი მეცხრე. მესერ ტორელო

ვაჭრულად გამოწყობილ სალადინოს მესერ ტორელო პატივსა სცემს. დადგა დრო ჯვაროსნული ომისა.მესერ ტორელო თავის ცოლს ვადას დაუდებს მეორედ გათხოვებისათვის. ტორელო ტყვედ ჩავარდება. სულთანი გაიგებს, ტორელომ მონადირე ფრინველთა გაგეშვა იცისო. მოიხმო, იცნო, უთხრა ვინც იყო და დიდი პატივი სცა. მესერ ტორელო ავად გახდება და ჯადოს საშუალებით ერთ ღამეს პავიაში ამოყოფს თავს ქორწილის დროს, რომელიც მისი ცოლის გათხოვების გამო არის გამართული; ცოლი იცნობს და მასთან ერთად ბრუნდება სახლში.

ფილომენამ უკვე დაამთავრა თავისი სათქმელი, ყველამაც ერთხმად შეაქო ტიტოს სულგრძელი მადლიერება. მეფემ კი უკანასკნელი სათქმელი დიონეოს შეუნახა და თვითონ კი ასე დაიწყო: — მშვენიერნო ასულნო! რაც ფილომენამ მეგობრობის შესახებ მოგახსენათ, ცხადია, ჭეშმარიტებაა და ამბის დასასრულს მის მიერ გამოთქმული სამდურავი იმაზე, რომ ამჟამად მეგობრობას ძალიან ცოტა ფასი აქვსო, მეტად სამართლიანი გახლავთ. ჩვენ რომ იმისათვის ვიყოთ მოსული, რომ ადამიანთა ნაკლოვანებანი გამოვასწოროთ, ან თუნდ იმისათვის, რომ დავგმოთ ისინი, მისი ნათქვამის შესახებ ვრცლად ვილაპარაკებდი; მაგრამ რადგან ჩვენი მიზანი სულ სხვა გახლავთ, აზრად მომივიდა, ერთი, ცოტა არ იყოს, გრძელი, მაგრამ მაინც გასართობი ამბით დაგანახვოთ სალადინოს ერთი მეტად დიდსულოვანი საქციელი, რათა, როცა მოისმენთ ჩემი მოთხრობის შინაარსს, დაინახოთ, რომ თუმცა ჩვენს ნაკლოვანებათა გამო საკვსებით ვერ შევიძლებთ ვისიმე გული მოვიგოთ, მაინც განვიცდით სიამოვნებას — სხვას ვაამოთ რამე იმ იმედით, რომ, ერთხელაც იქნება, ამისათვის ასეთ თუ ისეთ ჯილდოს ვეღირსებით.

მაშ, მოგახსენებთ, რომ, როგორც ზოგნი ამტკიცებენ, იმპერატორ ფედერიგო პირველის დროს ჯვაროსნული ომი გამართეს წმიდა ადგილების გასათავისუფლებლად. ეს ამბავი

წინასწარვე გაიგო ბაბილონიის[11] სულთანმა, ახოვნებით განთქმულმა სალადინომ და განიზრახა პირადად ენახა ამ ბრძოლისათვის მეფეთა სამზადისი, რათა უკეთესად შეძლებოდა წინდაწინვე დახვედრა. ეგვიპტეში თავისი საქმეები მიაწყ-მოაწყო, ვითომ სალოცავად მივდივარო, თან წაიყოლა ორი უმთავრესი და ყველაზე ჭკვიანი ჯარისკაცი და კიდევ სამი მსახური და, ვაჭრულად გამოწყობილი, გზას გაუდგა.

გაიარა მრავალი ადგილი ქრისტიანეთა და როცა ლომბარდია უნდა გაევლო, რომ იქიდან მთებზე გადასულიყო, ამ დროს, მილანსა და პავიას შუა გზაზე, საღამო ხანს, შემოხვდა ერთი ვინმე პავიელი აზნაური, მესერ ტორელო დ'ისტია, რომელსაც შევარდნები, მსახურები და მონადირე ძაღლები მოჰყავდა და თავის მშვენიერ მამულში მიდიოდა დროს გასატარებლად, მდ. ტესინოს ნაპირებზე. მესერ ტორელომ ესენი რომ დაინახა, მიხვდა, ღირსეული ხალხი უნდა იყოს და, ამასთან უცხოელებიო, მოინდომა მათთვის პატივი ეცა. ამიტომ, როცა სალადინომ ერთ-ერთ მის მსახურსა ჰკითხა — აქედან პავიამდე რამდენი მანძილი იქნება გასავლელი და დღიურ თუ შეგვიძლია ჩავაღწიოთო, ტორელომ მოსამსახურეს დაასწრო პასუხის მიცემა და უთხრა: ბატონებო, პავიაში ჩასვლა დაგიგვიანდებათ, ასე რომ, შიგ შესვლას ვერ მოასწრებთო. ამაზე სალადინომ უთხრა: ჩვენ უცხოელები გახლავართ და, თუ შეიძლებოდეს, გვიჩვენეთ, სად შეგვეძლება ღამე გავათიოთო. მესერ ტორელომ უპასუხა: „ბატონი ბრძანდებით. ერთი ჩემი მხლებელთაგანი პავიას მახლობლად უნდა გამეგზავნა ერთი რამ საქმისათვის, გაახლებთ და ისიც გიჩვენებთ ისეთ ადგილს, სადაც თქვენი ნებისად შეგეძლებათ მოისვენოთ". მერე დაუძახა ერთ ყველაზე მიხვედრილ მსახურს, დაარიგა, რაც უნდა ექნა, და იმათ გააყოლა. თვითონ, რაც შეიძლებოდა, საჩქაროდ გამოსწია თავისი მამულისაკენ, დაამზადებინა მშვენიერი ვახშამი და სუფრა თავის ბაღში გააშლევინა. ამის შემდეგ ჭიშკართან დადგა და სტუმრებს ლოდინი დაუწყო.

მსახურმა უცხოელებს იქითურ-აქეთურზე ჩამოუგდო ლაპარაკი, მიხვეულ-მოხვეული გზებით ატარა და ისე მოიყვანა თავისი ბატონის მამულში, რომ ამათ არაფერი გაუგიათ. მესერ ტორელომ რომ დაინახა, წინ გაეგება და სიცილით უთხრა: „მშვიდობა თქვენს მობრძანებას, ბატონებო!" სალადინო, როგორც განგებიანი კაცი, მიხვდა: რაინდს გზაზე შეხვედრის დროს რომ დავეპატიჟეთ, ალბათ შეეშინდა, ვაითუ გაგვეცუდებინა, და ამიტომ ეშმაკობით შეგვიტყუა სახლში, რომ არ შეგვძლებოდა მასთან ღამის გათევაზე უარის თქმაო. მისალმებაზე სალმითვე უპასუხა და მოახსენა: „მესერე, რომ შეიძლებოდეს სტუმართმოყვარე ადამიანს კაცმა საყვედური უთხრას, საყვედურს სწორედ თქვენ მოგახსენებდით, რომ გვაიძულეთ (იმას ხომ ნუღარ ვიტყვით, რომ გზა გაგვიგრძელეთ) ჩვენ, რომელთაც თქვენი პატივისცემა არაფრით არ დაგვიმსახურებია, თუ არ მარტოოდენ თავის დაკვრით, ისეთ დიდ

[11] ასე ეძახდნენ ეგვიპტეს შუა საუკუნეებში.

პატივისცემასზე, როგორიც თქვენია, უარი ვერ გვეთქვა“. ჭკვიანმა და ენაწყლიანმა რაინდმა ამაზე ასე უპასუხა: „ბატონებო, ის პატივი, რომელიც მე უნდა გცეთ, იმასთან შედარებით, რაც თქვენ, თანახმად თქვენი გარეგნობისა, გეკადრებათ, სახსენებელიც არ გახლავთ, მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ პავიის გარეშე თქვენ ღამის გასათევ ადგილს ისეთს ვერსად იპოვიდით, რომ რიგიანად შეგძლებოდათ მოსვენება; ამიტომ ნუ ინაღვლით, თუ პირდაპირ გზას ოდნავ გადაუხვიეთ, ცოტა თუნდაც იწროობა განგეცადათ“.

სანამ ტორელო ლაპარაკში იყო, მისი მოსამსახურეები სტუმრებს მიუახლოვდნენ, და როცა ცხენებიდან ჩამოხტნენ, ცხენები ჩამოართვეს და დააბეს, ხოლო მესერ ტორელომ სამი საპატიო სტუმარი წაიყვანა მათთვის დამზადებულ ოთახებში, სადაც მოსამსახურეებმა ფეხთ გახადეს და ჩაცივებული ღვინოები მოართვეს. და ტორელომაც, სანამ ვახშამს მოიტანდნენ, მხიარული ბაასით გაართო სტუმრები.

როგორც სალადინომ, ისე მისმა მხლებლებმა და მოსამსახურეებმა ყველამ იცოდა ლათინურად ლაპარაკი, ამიტომ მათ ყველაფერი მშვენივრად ესმოდათ და აქაურებსაც მათი ლაპარაკი გაეგებოდათ. და ყოველი მათგანი ტორელოზე ასე ამბობდა: ამ რაინდზე სასიამოვნო, თავაზიანი და ენაწყლიანი კაცი ჯერ არ შეგვხვედრიაო. მესერ ტორელოს თავის მხრივ ეგონა — ჩემი სტუმრები უფრო ღირსეულნი და საჩინონი არიან, ვიდრე პირველად მეგონაო, და გულიგულში სწუხდა, რომ იმ ღამეს უფრო დიდი ნადიმის გამართვა და მათი საფერი ხალხის მოწვევა ვერ მოახერხა; სამაგიეროდ ხვალ ვაქციფებ ღირსეულადაო. ერთ-ერთ თავის მოსამსახურეს უთხრა, რასაც აპირებდა და თავის ცოლთან, მეტად ჭკვიან და დიდსულოვან ადამიანთან, გაგზავნა პავიაში, რომელიც აქედან სულ ახლოს იყო და სადაც არც ერთი კარი ქალაქისა არ იკეტებოდა. ამის შემდეგ სტუმრები ბაღში გაატარა და მორიდებულად და ბოდიშით ვინაობა ჰკითხა. ამაზე სალადინომ უპასუხა: „ჩვენ კვიპროსელები გახლავართ, პარიზში ერთი საქმე გვაქვს და იქ გეახლებით“. მაშინ მესერ ტორელომ უთხრა: „ნეტავ ღმერთმა ინებოს და ჩვენს ქვეყანაში ისეთივე ხალხი იბადებოდეს ხოლმე, როგორიც კვიპროსზე, როგორც ეტყობა, ვაჭრები იბადებიანო“.

სანამ ესენი აქეთურ-იქითურზე ლაპარაკობდნენ, ვახშმობის დროც მოვიდა და ტორელომაც სტუმრები სუფრაზე მიიწვია, და თუმცა ვახშამი სახელდახელოდ გააკეთეს, მაინც სასმელ-საჭმელი სანაქებო გამოვიდა და მთელი ვახშამი მეტად წესიერად და რიგიანად ჩაატარეს. სუფრის ალაგების შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, — ტორელომ შეამჩნია, სტუმრები დაღლილები არიანო, მშვენიერ ლოგინებში მოასვენა და თვითონაც მალე დასაძინებლად წავიდა.

პავიაში გაგზავნილმა მსახურმა ქალბატონს ტორელოს დანაბარები მოახსენა. ტორელოს ცოლმა ქალური სისწრაფით, მაგრამ დედოფლურად მაშინვე ბრძანა დაეძახნათ

ტორელოს მეგობრებისა და მსახურთათვის, უბრძანა დიდი ნადიმისათვის რაც კი რამ საჭირო იყო, მოემზადებინათ, და ნადიმზე მაშხალების სინათლეზე მოეპატიჟათ მრავალი სახელოვანი მოქალაქე, მოეგროვებინათ სხვადასხვა ქსოვილი, მაუდები და ტყავეულობა და საერთოდ უკლებლივ მოეწყოთ ის, რაც ქმარმა შემოუთვალა.

რომ გათენდა და დიდებულნი აბრძანდნენ, მესერ ტორელო მათთან ერთად ცხენზე შეჯდა, მოაყვანინა თავისი შავარდნები, სტუმრები მიიყვანა იქვე მახლობლად მდინარის ერთ ფონთან და უჩვენა, როგორა ფრენდნენ შავარდნები. ხოლო როცა სალადინომ იკითხა, ნეტავ ვინ გამომყვება და პავიაში საუკეთესო სასტუმროში ვინ მიმიყვანსო, მესერ ტორელომ უპასუხა: მე თვითონ გამოგყვებით, რადგან პავიაში საქმეცა მაქვსო. სტუმრებმა დაუჯერეს და გაეხარდათ კიდეცა და მასთან ერთად გზას გაუდგნენ.

უკვე მესამე საათი იყო, როცა ქალაქში შევიდნენ. სალადინოსა და მის მხლებლებს ეგონათ, საუკეთესო სასტუმროში მივყავართო, ის კი არა, მესერ ტორელოსთან ერთად მის ახალ სახლს მიადგნენ. აქ ამათ დაუხვდათ ორმოცდაათამდე სულ რჩეული მოქალაქე, რომლებიც მაშინვე მოცვივდნენ სტუმრების ცხენების აღვირების დასაჭერად და უზანგების ჩამოსაწევად. სალადინო და მისი მხლებლები, ამის მაყურებლები, ძალიან კარგად მიხვდნენ, რა ამბავიც იყო, და თქვეს: „მესერ ტორელო, ეს სრულებით ის არ გახლავთ, რაც ჩვენა გთხოვეთ; ჯერ წუხელ იყო და უზომო პატივი გვეცით, ჩვენ რომ არ გვინდოდა, იმაზე მეტიცა. და ახლა ძალიან კარგს ინებებდით, ჩვენი მგზავრობის გაგრძელების ნება მოგეცათ“. ამაზე მესერ ტორელომ უპასუხა: „ბატონებო, რაც გუშინ საღამოს თქვენ დაგემართათ, ამისათვის მე უფრო ბედს ვუმადლი, ვიდრე თქვენ, რადგან ბედმა თქვენ ისეთ დროს მოგისწროთ გზაში, რომ ძალაუნებურად იძულებული გახდით ჩემს პატარა ქოხში შემობრძანებულიყავით; რაც შეეხება ამ დილის ამბავს, ამის მადლიერი უნდა გახლდეთ მე და ჩემთან ერთად ყველა ის კეთილშობილი მოქალაქენი, რომელნიც თავს დაგტრიალებენ; და თუ გგონიათ ზრდილობაში ჩამოგერთმევათ, რომ მათთან ერთად სადილად დაჯდომა არ იკადროთ, ბატონი ბრძანდებით, თუ გნებავთ, შეგიძლიათ უარი უბრძანოთ“.

სალადინომ და მისმა თანამგზავრმა ამ სიტყვებზე თავი მოიხარეს და ცხენებიდან ჩამოხტნენ. წარჩინებულნი მასპინძელნი მხიარულად მიეგებნენ და შეუძღვნენ მათთვის მდიდრულად მორთულ ოთახებში. საგზაო ტანისამოსი გაიხადეს, ცოტათი გაგრილდნენ და შევიდნენ დარბაზში, სადაც ყველაფერი საუცხოოდ მოწყობილი დაუხვდათ. ხელების დასაბანად წყალი მოართვეს და სუფრას მოუსხეს; უდიდესი წესითა და რიგით მოართვეს ნაირ-ნაირი საჭმელი, ასე რომ, იმპერატორიც რომ მობრძანებულიყო, უკეთესი პატივისცემა შეუძლებელი იქნებოდა. და თუმცა სალადინო და მისი მხლებელნი დიდი ბატონები იყვნენ და ხამები არ იყვნენ დიდი რამეების ნახვისა, მაინც ყოველივე დიადად ეჩვენებოდათ რაინდის მდგომარეობასთან შედარებით, რადგან ის უბრალო მოქალაქე ვინმე ეგონათ და არა

სენიორი.

სადილი რომ გაათავეს და სუფრას აუმატეს, იმ მთისა, ამ მთისა ილაპარაკეს, და რადგან ძალიან ცხელოდა, მესერ ტორელოს განკარგულების თანახმად, პავიელი პატივცემულნი მოქალაქენი ყველანი მოსასვენებლად წავიდნენ, ხოლო თვითონ ტორელო თავის სამ სტუმართან დარჩა, მერე შეიყვანა ერთ ოთახში, და რათა სახლში რაც რამ კარგი და ძვირფასი მოეძებოდა, მათთვის უჩვენებელი არ დარჩენოდა, ახმობინა თავისი ღირსეული მეუღლე. ქალი მშვენიერი და ტანად მაღალი იყო, ძვირფასი ტანისამოსი ემოსა, იქით— აქეთ თავისი ორი, ანგელოზების მსგავსი, პატარა ვაჟი ამოეყენებინა; მოვიდა სტუმრებთან და ალერსიანად მიესალმა. ამათ რომ დაინახეს, ზეზე წამოუდგნენ, პატივით მიეგებნენ და შუაში ჩაისვეს და თან მოუალერსეს მის ლამაზ ვაჟებს. ქალმა სტუმრებთან საამო ბაასი გააბა და, როცა მესერ ტორელო ცოტა ხნით გარეთ გავიდა, დიასახლისმა სტუმრებს თავაზიანად ჰკითხა სადაურობა და საითმიმავლობა. სტუმრებმა ქალსაც ისევე უპასუხეს, როგორც მესერ ტორელოს, მაშინ მანდილოსანმა მხიარული სახით უთხრა: „მაშ, მე ვხედავ, რომ ჩემი ქალური წინდახედულობა გამოსადეგი იქნება, და ამიტომ, როგორც განსაკუთრებულ მოწყალებას რასმე, გთხოვთ არ გამაცუდოთ და არც დაიწუნოთ ის მცირე ძღვენი, რომელსაც მე ახლა თქვენთვის მოვატანინებ; მაგრამ რადგან ქალებს ჭკუაც მოკლე აქვთ და ამის კვალობაზე მათი ნაჩუქარიც მცირეა ხოლმე, ამიტომ გთხოვთ მიიღოთ საჩუქარი და ყურადღება მიაქციოთ უფრო კეთილ განზრახვას და არა ძღვენის სიმცირეს“. დიასახლისმა ესა თქვა და მოატანინა თითოეული მათგანისათვის ორ-ორი ხელი ტანისამოსი, ერთს ქვეშ მაუდი ედო, ხოლო მეორე ხელს — ბეწვი, ისეთი კი არა, მოქალაქენი ან ვაჭრები რომ აგარებდნენ ხოლმე, არამედ — სენიორები; სამი ხელი ტანისამოსიც წმინდა მერდინისა და წმინდა საცვლები, და თანაც უთხრა: „ინებეთ ესენი, მე ჩემს მეუღლესაც იმავე საქონლის ტანისამოსი შევუკერე, როგორისაც თქვენ მოგართვით; რაც შეეხება სხვა საქონელს, უნდა გვახსოვდეს, რომ ჯერ ერთი, თქვენს მეუღლეებზე შორსა ბრძანდებით, მერე — რამდენი გზა გივლიათ და რამდენი კიდევა გრჩებათ გასავლელი; ბოლოს, უნდა ვიცოდეთ ისიცა, რომ ვაჭრები მიჩვეულნი არიან სისუფთავესა და სიფაქიზეს. ყოველივე ეს, მართალია, ბევრი არაფერი ღირს, მაგრამ, იმედი მაქვს მაინც გამოგადგებათ“. უცხო სტუმრები განცვიფრდნენ და ცხადად მიხვდნენ, რომ მესერ ტორელოს ისე უნდოდა ეცა პატივი მათთვის, რომ სულ უბრალო რამ არ გამორჩენოდა, და რომ დაინახეს, რომ ეს სამოსელი ვაჭრული სრულებითაც არ იყო, ეჭვი შეუვიდათ, ხომ არ გვიცნო მესერ ტორელომაო; მაგრამ ერთმა მათგანმა მაინც მოახსენა ტორელოს მეუღლეს: „ფასდაუდებელი გახლავთ, ქალბატონო, თქვენი საბოძვრები, და ოღონდაც რომ არც ისე ადვილად იქნებოდა ჩვენთვის მათი მიღება, მაგრამ თქვენი თხოვნა გვაიძულებს და უარს ვეღარ მოგახსენებთ“.

ქალი ამას რომ მორჩა, ისე მესერ ტორელო დაბრუნდა. მისმა მეუღლემ ღმერთს

შეავედრა სტუმრების თავი და გამოეთხოვა. აქედან წავიდა მათ მოსამსახურეებთან, რომ მათთვისაც შესაფერი საბოძვარი ებოძებინა.

მესერ ტორელომ იმდენი სთხოვა სტუმრებს, მთელი ეს დღე ჩვენთან დარჩითო, რომ ისინი ბოლოს დასთანხმდნენ. ამიტომ, გამოძინების შემდეგ ტანთ თავიანთი ახალი ტანისამოსი ჩაიცვეს და ცხენებით ტორელოსთან ერთად ცოტათი გაისეირნეს ქალაქში. ვახშმობა რომ შეიქნა, სხვა მრავალ საპატიო სტუმრებთან ერთად მშვენივრად ივახშმეს. დაძინების დრო რომ დადგა, დაიძინეს. მეორე დილას, გათენებისას, რომ წამოდგნენ, დაინახეს, რომ მათი დაღლილი ცხენების ადგილას იდგა სამი საუცხოო ბედაური, აგრეთვე მოსამსახურეთათვისაც სამი დასვენებული და ღონიერი ცხენი გამოეყვანათ. სალადინომ ეს რომ დაინახა, მიუბრუნდა თავის მხლებლებს და ასე უთხრა: „ზენაარსა ვფიცავ, ამაზე უნაკლო, ამაზე თავაზიანი და ამაზე მზრუნველი ადამიანის მნახველი არ ვიყო; და თუ ქრისტიანი მეფენი იმდენადვე სრულნი მეფენი არიან, როგორც ეს არის სრული და უყვედრებელი რაინდი, იმ შემთხვევაში ბაბილონიის სულთანი ვერ შეძლებს თუნდ ერთი მოიგერიოს, არამცთუ ყველა ისინი, ვინც, როგორც ვხედავთ, მის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ემზადებიან“. მაგრამ რაკი ხედავდნენ უარი ვერ გაუვიდოდათ, მეტად ზრდილობიანად მადლობა მოახსენეს და ცხენებზე შესხდნენ.

მესერ ტორელომ სხვა მხლებლებთან ერთად კარგა მანძილი გააცილა ქალაქს იქით. და თუმცა სალადინოს მეტად ემძიმებოდა მესერ ტორელოს მოშორება (იმდენად შეუყვარდა ეს ადამიანი), მაინც, რადგან ეჩქარებოდა, სთხოვა უკან დაბრუნებულიყო. ხოლო ტორელოს თუმცა გული სწყდებოდა მათს მოშორებაზე, მაინც უთხრა: „ბატონებო, იყოს ნება თქვენი, მხოლოდ ერთი რამ უნდა მოგახსენოთ: მე არ ვიცი, ვინა ბრძანდებით, და არც მინდა, თქვენ რომ გნებავთ, იმაზე მეტი ვიცოდე, მაგრამ ვინც უნდა ბრძანდებოდეთ, იმაში ვერ დამარწმუნებთ, ვითომ თქვენ ვაჭრები იყოთ. ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეთ!“ სალადინო ტორელოს მხლებელთ უკვე ყველას გამოეთხოვა და ახლა თვითონ ტორელოს უთხრა: „მესერე, ვინ იცის, იქნებ როდესმე გაჩვენოთ ჩვენი სავაჭრო და მაშინ დაგარწმუნოთ. ღმერთმა მშვიდობით გამყოფოთ“.

ამგვარად, სალადინო და მისი მხლებელნი წამოვიდნენ. სალადინო სულ იმას ნატრობდა, თუ ცოცხალი ვიქენი და მომავალ ომში არ დამაქციეს, ტორელოსათვის იმაზე მეტი პატივი მაცემინოს, რაც იმან მე მცაო. დიდხანს ელაპარაკებოდა მხლებლებს ტორელოზე, მის ცოლზე, ყველა მის მოქმედებასა და საქციელზე და ქებით ცათამდე აჰყავდა. დიდი გაჭირვებით მოიარა მთელი დასავლეთის სახელმწიფონი და შემდეგ ჩაჯდა ხომალდში, თავის მხლებლებიანად ალექსანდრიაში დაბრუნდა და რაკი მდგომარეობას დაწვრილებით გაეცნო, საომრად მზადებას შეუდგა.

მესერ ტორელო პავიაში დაბრუნდა და დიდხანს თავს იმტვრევდა იმის გამოსაცნობად, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს სამი კაცი. მაგრამ არამცთუ ვერ გაიგო სინამდვილე, დაახლოებითაც ვერ გამოარკვია. როცა დადგა ჯვაროსნულ ომში წასვლის დრო და ყველანი დიდის ამბით ემზადებოდნენ წასასვლელად, მესერ ტორელომაც, მიუხედავად თავისი ცოლის ხვეწნა-მუდარისა და ცრემლებისა, გადაწყვიტა წასულიყო. მოამზადა ყველაფერი, რაც საჭირო იყო, და სანამ ცხენს მოაჯდებოდა, უთხრა თავის ცოლს, რომელიც უზომოდ უყვარდა: „ჩემო სიცოცხლევ, როგორცა ხედავ, ამ ომში მივდივარ, ჯერ ერთი, სააქაო სახელისათვის და მეორე — სულის ცხონებისათვის; შენთვის ჩამიბარებია მთელი ჩვენი საქმეები და ჩვენი სირცხვილ-ნამუსი; და რადგან რამდენადაც დარწმუნებული ვარ, რომ მივდივარ, იმდენად არა ვარ დარწმუნებული, რომ უკან დავბრუნდები, ვინაიდან ათასნაირი ამბავი შეიძლება შემემთხვეს და ხელი შემიშალოს, ამიტომ გთხოვ ერთი რამ ამისრულო: რაც უნდა მომივიდეს, სანამ ნამდვილი ამბავი არ მოგივა ჩემი სიცოცხლისა, დამიცადე და მეორედ არ გათხოვდე ჩემი აქედან წასვლის დღიდან ერთი წლისა, ერთი თვისა და ერთი დღის განმავლობაში“. ცხარე ცრემლით ატირებულმა ცოლმა ასე უთხრა: „ბატონო ჩემო, არ ვიცი, როგორ გავუძლო იმ მწუხარებას, რომელშიც თქვენი აქედან წასვლით მე მაგდებთ; მაგრამ თუ ჩემმა სიცოცხლემ ამ მწუხარებასა სძლია და თქვენ რამე მოგივიდათ, შეგიძლიათ იცოცხლოთ ან მოკვდეთ და თან დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მარად ვიქნები მეუღლე მესერ ტორელოსი და მის მეუღლედვე მოვკვდები, მის ხსოვნას არ ვუღალატებ“. ამაზე მესერ ტორელომ უთხრა: „ჩემო ცოლო, დარწმუნებული ვარ, თუ შენზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ამბობ: მაგრამ შენ ახალგაზრდა ქალი ხარ, გენაცვა, ლამაზი, კარგი ოჯახისა, ბევრი კარგი ღირსებითა ხარ შემკული და შენი ქება შორსაა გავარდნილი; ამიტომ ეჭვიც კი არა მაქვს, რომ ბევრი დიდი გვარისა და სახელოვანი მთხოვნელი გამოგიჩნდება, თუ ჩემზე ცუდი რამ ხმები გავრცელდა; შენს ძმებსა და ნათესავებს შენს თავსა სთხოვენ ცოლად. ისინი რომ ჩაგაცივდებიან, ძალიანაც რომ გინდოდეს, ვეღარ ეურჩები და ბოლოს იძულებული იქნები მათ ნებაზე გაიარო. აი, ამიტომ გთხოვ ამ ვადის განმავლობაში მიცადო და არა მეტ ხანს“. ცოლმა უპასუხა: „რაც გითხარით, იმას, რამდენადაც შემეძლება, ვიზამ, და კიდევაც იძულებული რომ ვიქნე, სხვანაირად მოვიქცე, უეჭველად ავასრულებ იმას, რასაც მიბრძანებთ. ღმერთსა ვთხოვ, ამ ხნის განმავლობაში არც მე და არც თქვენ ასეთ დღეში არ ჩაგვყაროს“. ეს რომ უთხრა, ატირებულმა ცოლმა აკოცა მესერ ტორელოს, ხელიდან ბეჭედი წაიძრო, ტორელოს გადასცა და უთხრა: „თუ, ვინიცობაა, თქვენს ხელმეორედ ნახვამდე მოვკვდი, როცა ამ ბეჭედს დახედოთ, მე მომიგონეთ ხოლმე“. ტორელომ გამოართვა ბეჭედი, მოაჯდა ცხენს, ყველას სათითაოდ გამოემშვიდობა და გზას დაადგა.

თავის თანამგზავრებთან ერთად ჩავიდა გენუაში, აქ ჩაჯდა ხომალდში და მოკლე ხანში ჩამოვიდა აკრიაში, აქ შეუერთდა ქრისტიან მეომართა სხვა რაზმს, რომელსაც ნელ-ნელა დაერია საშინელი ავადმყოფობა და ხალხი იჟუჟებოდა. სანამ ეს სენი გრძელდებოდა,

თითქმის ყველა გადარჩენილი ქრისტიანი სალადინომ მოხერხებით თუ ბედით უომრად ტყვედ ჩაიგდო, სხვადასხვა ქალაქებში დაარიგა და სატუსაღოში მოათავსებინა. ტყვედ ჩავარდნილთა შორის ტორელოც ერია და ალექსანდრიის სატუსაღოში წაიყვანეს. აქ ტორელოს არავინ იცნობდა და თანაც ეშინოდა, ჩემი ნაცნობი არავინ გამოჩნდესო;

გარემოებისაგან იძულებული შეიქნა მონადირე ფრინველთა გაგეშვისათვის მიეყო ხელი, ის კი ამ ხელობის პირველი ოსტატი იყო. სალადინოს ყურამდე მივიდა ამბავი, რომ ესა და ეს ტყვე ფრინველებსა გეშავსო და იმანაც სატუსაღოდან გამოაყვანინა ტორელო და თავის ბაზიერთუხუცესად დანიშნა. მესერ ტორელოს სალადინო სხვა სახელს არ ეძახდა, თუ არა ქრისტიანს. ცნობით ვერც ტორელომ იცნო სულთანი და ვერც სულთანმა ტორელო. ტორელოს სული და გული პავიაში იყო და რამდენჯერმე გაქცევაც კი სცადა, მაგრამ ვეღარ მოახერხა. ამიტომ როცა სალადინოსთან ელჩებად ვიღაც გენუელები მოვიდნენ თავიანთ თანამოქალაქეთა გამოსასყიდად და ახლა უკან დაბრუნებას აპირებდნენ, ტორელოს აზრად მოუვიდა თავისი ცოლისათვის წერილი მიეწერა და შეეთვალა, ცოცხალი ვარ და ვეცდები, რაც შეიძლება მალე დავბრუნდე და მელოდეო. ასე მოიქცა კიდეც. დიდი თხოვნითა სთხოვა ერთ-ერთ ელჩს, რომელსაც იცნობდა კიდეცა, დამავალე და წერილი ჩემს ბიძას, აბატ სან პიეტროს, ჩააბარე ჩიელ დ'ოროშიო.

სანამ მესერ ტორელო ამ დღეში იყო, ერთ დღეს, როცა სალადინო თავის მონადირე ფრინველებზე ელაპარაკებოდა, ტორელოს გაეღიმა და ამ გაღიმების დროს ისეთნაირად შეტოკდა, რასაც სალადინომ ჯერ ისევ პავიაში ტორელოს სახლში ყოფნის დროს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. ამ შეტოკებამ სალადინოს მოაგონა მესერ ტორელო, თვალები დააშტერა და გულში თქვა: უთუოდ ტორელოაო. ამიტომ ფრინველებზე ლაპარაკს თავი დაანება და უთხრა: „ქრისტიანო, ერთი ეს მითხარ, შენს ლხენას, დასავლეთის რომელი მხრიდან ხარ?“ – „ჩემო ხელმწიფევ, — უპასუხა ტორელომ, — მე ლომბარდიიდან გახლავართ, თვით ჩემს ქალაქს პავიას ეძახიან, ერთი საწყალი და მდაბიო ჩამომავლობის ვინმე გახლავართ“. სალადინომ ეს რომ გაიგონა, თითქმის დარწმუნდა იმაში, რაც საეჭვოდ მიაჩნდა და გახარებულმა, თავის გულში თქვა: აჰა, ღმერთმა მომხედა და შემაძლებინა დავუმტკიცო ამ კაცს, თუ რაზომ ძვირფასი იყო ჩემთვის მისი სტუმართმოყვარეობა და პატივისცემაო, და მეტი არაფერი უთხრა, ისე გავიდა ერთ ოთახში, გააშლევინა ყველა თავისი ტანისამოსი, შიგ შეიყვანა ტორელო და უთხრა: „აბა ერთი დახედე, ქრისტიანო, რომელიმე ამ ტანისამოსთაგანი თუ სადმე გინახავს“. მესერ ტორელო დააცქერდა და იცნო ის ტანისამოსი, მისმა მეუღლემ სალადინოს რომ მიართვა. მაგრამ მაინც დარწმუნებით ვერ გაბედა იმის თქმა, რომ სწორედ ის ყოფილიყო, და მოახსენა: „ჩემო ხელმწიფევ, არც ერთი არ მინახავს სადმე, მართალია, ეს ორი ტანისამოსი იმ ტანისამოსსა ჰგავს, მე რომ ერთ დროს მეცვა სამ ვაჭართან ერთად, ჩემს სახლში სტუმრად რომ მყავდა“.

სალადინომ მეტად ვეღარ შეძლო თავი შეეკავებინა, ნაზად აკოცა და უთხრა: „თქვენა ბრძანდებოდით მესერ ტორელო დ'ისტრია, მე კი იმ სამ ვაჭართაგანი, რომელსაც თქვენმა მეუღლემ ეს ტანისამოსი უბოძა. ახლა კი დრო დადგა, ნათლად დაგანახვოთ, თუ როგორია ჩემი საქონელი, როგორც ეს წამოსვლის დროს მოგახსენეთ; ხომ გახსოვთ, რომ გითხარით: შეიძლება როდესმე გაჩვენო ჩვენი სავაჭრო-მეთქი". მესერ ტორელომ ეს რომ გაიგონა, მეტად განიხარა, მაგრამ თანაც შერცხვა: უხაროდა, რომ ასეთი ძვირფასი სტუმრის მასპინძლობას ეღირსა, ხოლო შერცხვა იმისა, რომ ეგონა, მისი საკადრისი პატივი ვერ ვეციო. ამაზე სალადინომ უთხრა: „მესერ ტორელო, რადგან თვით უფალმა მაღირსა თქვენი თავი აქ, იცოდეთ, რომ ახლა აქ უფალი მე კი არა, თქვენა ბრძანდებით!" ერთმანეთს სიყვარულით მიუალერსეს და მოიკითხეს. მერე სალადინოს ბრძანებით ტორელო სამეფო სამოსელით შემოსეს, აქედან სალადინომ თავის უდიდეს ბარონებს წარუდგინა, იმათთან აქო ტორელოს საქმენი საგმირონი და უბრძანა ყველას: ვისაც ჩემი წყალობა ძვირად გიღირთ, ამ სტუმარს ისე ეცით პატივი, როგორც მე მცემთო. ყველა მათგანმა ამ წუთიდან პატივით ააცსო ტორელო, მაგრამ იმის პატივისცემაში განსაკუთრებით იმ ორმა ბატონმა გამოიჩინა თავი, ვინც სალადინოს ახლდა ტორელოს სახლში.

მოულოდნელად ასეთი დიდი სახელის მოხვეჭამ ტორელოს, ცოტა არ იყოს, დააავიწყა ლომბარდიის საქმეები და განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ ძალზე იყო დარწმუნებული — ჩემი წერილები ბიძაჩემს უკვე მიუვიდოდაო. იმ დღეს, რა დღესაც სალადინომ ქრისტიანები ტყვედ წაიყვანა, ქრისტიანთა ბანაკში ან ლაშქარში გარდაიცვალა და დაასაფლავეს ერთი პროვანსელი რაინდი; ამ რაინდს სამაგისო დიდი არაფერი ღირსება ჰქონია, სახელად ერქვა მესერ ტორელო დი დინიესი. ამიტომ ყოველმა მონაწილემ იმ ლაშქრისამ, სადაც მესერ ტორელო დ'ისტრიას იცნობდნენ თავის ღირსეულობისათვის, რომ გაიგონა — მესერ ტორელო მოკვდაო, იფიქრა, მესერ ტორელო დ'ისტრია მომკვდარაო და არა ტორელო დი დინიესიო. ამას თან მოჰყვა ხალხის ტყვედ წაყვანა, და ვინც ნამდვილი ამბავი არ იცოდა, საშუალება არა ჰქონდა, ეს ამბავი სწორად გაეგო. ამიტომ ბევრმა დაბრუნებულმა ასეთი ამბავი ჩამოიტანა, და მათ შორის ისეთი ცრუპენტელებიც გამოჩნდნენ, რომლებიც იმდენად გაკადნიერდნენ, რომ იძახდნენ — ჩვენი თვალითა ვნახეთ, როცა მოკვდა და დასაფლავებასაც დავესწარითო. ამ ამბავმა ტორელოს ცოლისა და ნათესავების ყურამდეც მიაღწია და უზომოდ და ენით გამოუთქმელი ვაგლახით ავაგლახა არა მარტო ესენი, არამედ ყველა, ვინც კი ტორელოს იცნობდა.

დიდხანს დაგვჭირდებოდა თხრობა იმისა, თუ რაზომ ივიშვიშა და ცრემლი ღვარა ტორელოს მეუღლემ, რომელმაც რამდენიმე თვის გამუდმებული გლოვის შემდეგ მწუხარებას უკლო. ამ დროს ლომბარდიაში მრავალი სახელოვანი საქმროები აღმოჩნდა, რომელთაც მისი შერთვა განიზრახეს. ძმები და ნათესავებიც შეუჩნდნენ — ხელმეორედ გათხოვდიო. ქალი

ცრემლად იღვრებოდა და უარობდა გათხოვებას, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა დაჰყოლოდა მშობლების ნებას, მხოლოდ პირობად დაუდო — მანამდე დამაცადეთ, სანამ არ შესრულდება ის ვადა, მესერ ტორელოს რომ დავუდევიო.

სანამ პავიაში ტორელოს ცოლის საქმე ასეთ დღეში იყო და ერთი კვირაღა რჩებოდა იმ ვადამდე, როცა იგი ახალ ქმარს უნდა წაჰყოლოდა, მესერ ტორელო შემთხვევით შეხვდა ალექსანდრიაში ერთ კაცს, რომელიც ნანახი ჰყავდა გენუელ ელჩებთან ერთად, როცა ამ ელჩებთან ერთად გენუაში მიმავალ კატარღაში ჯდებოდა. ამიტომ ამ კაცისათვის დააძახებინა და გამოჰკითხა — როგორ იმგზავრეთ და გენუაში როდის ჩახვედითო? გენუელმა კაცმა ასე უპასუხა: „თქვენს მტერს და მაწყევარს, რაც დღე იმ კატარღას დასდგომია, როგორც ეს მე კრეტაზე დარჩენისას გავიგე! სიცილიას რომ მიახლოვებია, ამოვარდნილა საშინელი ჩრდილოეთის ქარი და კატარღა ბერბერიის სანაპიროების მეჩეჩებისაკენ გაუტაცნია; ვერავინ გადარჩენილა და, სხვათა შორის, დამეღუპა ორივე ჩემი ძმა“. მესერ ტორელომ დაუჯერა ამ კაცის ნათქვამს, რომელიც სრულებით მართალი იყო, თან მოიგონა, რომ ცოლისათვის დადებული ვადა უკვე რამდენიმე დღეში მიიწურებოდა; გაითვალისწინა ისიცა, რომ მისი ამბავი პავიაში არაფერი უნდა სცოდნოდათ და დარწმუნებული იყო, უეჭველია, ჩემი ცოლი ხელმეორედ გათხოვდაო. ამიტომ ისე აღუვსო დარდმა და ნაღველმა გული, რომ ჭამის მადა სრულებით დაეკარგა, ლოგინად ჩავარდა და გადაწყვიტა თავი არ ეცოცხლებინა.

ეს რომ გაიგო სალადინომ, რომელსაც უზომოდ უყვარდა ტორელო, მაშინვე ინახულა, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ შეიტყო ტორელოს დარდისა და ავადმყოფობის მიზეზი და უსაყვედურა — რატომ აქამდე არ მითხარით ესაო? მერე ანუგეშა და დაარწმუნა — თუ დამიჯერებ, ისე მოგიწყობ საქმეს, რომ დანიშნულ დროისათვის პავიაში გაჩნდეო, და თანაც უთხრა, თუ როგორ იზამდა ამას.

მესერ ტორელომ დაუჯერა სალადინოს ნათქვამს და რადგან გაეგონა, ასეთი რამ შესაძლებელია და ხშირადაც მომხდარაო, გამხნევდა და სთხოვა სალადინოს: თქვენი ჭირიმე, ისწრაფეთო. სალადინომ მოიხმო ერთი თავისი გრძნეულთაგანი, რომელიც უკვე ნაცადი ჰყავდა და უბრძანა — აბა მოახერხე და მესერ ტორელო საწოლიანად ერთ ღამეს პავიაში გადაიყვანეო. ამაზე გრძნეულმა მოახსენა: თქვენს ბრძანებას ავასრულებ, მხოლოდ მისთვისვე ჯობს წინდაწინვე დააძინოთო. ამ ბრძანების გაცემის შემდეგ სალადინო მესერ ტორელოსთან დაბრუნდა. ტორელოს გადაწყვეტილი ჰქონდა ყოველი ღონე ეღონა დანიშნულ ვადაზე პავიაში გაჩენილიყო და თუ ამას ვერ მოახერხებდა, თავი არ ეცოცხლებინა.

სალადინომ ასე უთხრა: „მესერ ტორელო, თუ მართლა გულითადი სიყვარულით გიყვართ თქვენი მეუღლე და გეშინიათ, სხვას არ გაჰყვეს, ღმერთი მოწამეა, ამის გულისათვის, ერთი ბეწოთიც არი, ვერ დაგძრახავთ, იმიტომ რომ, რაც ქალი ჩემს სიცოცხლეში მინახავს,

ერთი არა ყოფილა ასეთი ზნე-ჩვეულებისა, ასეთი ნატიფი ზრდილობისა, — ნურას ვიტყვით სილამაზეზე, რომელიც მხოლოდ ყვავილია ხრწნადი, — ამიტომ უზომო ქებისა და სიყვარულის ღირსია. ჩემთვის მეტად სასიხარულო იქნებოდა, რაკი ბედმა თქვენ აქ მოგიყვანათ, მთელი ხანი ის სიცოცხლისა, რაც თქვენ და მე დაგვრჩენია, ერთად გაგვეტარებინა, როგორც ერთმანეთის სწორ ხელისუფალთ და განგვეგო საქმენი იმ სამეფოსი, რომელიც მე მიპყრია. მაგრამ რაკი ღმერთმა არ მყო ამის ღირსი, რადგან გულში ჩაგიდვიათ — ან მოკვდეთ ან დანიშნულ დროზე პავიაში გაჩნდეთ — ოღონდაც რომ კარგი იქნებოდა, ეს დროით გამეგო, რომ თქვენს სახლში გამეგზავნეთ იმ პატივითა, იმ ზეიმითა და იმ ამალით, რაც თქვენს ქველობასა შვენის. მაგრამ რაკი ამის ღირსი არ ვიქმენ და თქვენ კი დაუყოვნებლივ გნებავთ წაბრძანდეთ, როგორც შევიძლებ, ისე გაგისტუმრებთ და იმ საშუალებით, რაც უკვე მოგახსენეთ“. ამაზე მესერ ტორელომ უთხრა:

„ჩემო ხელმწიფევ, აუამსიტყვებოდაც თქვენმა საქციელმა საკმაოდ დამიმტკიცა, რომ ჩემთვის არაფერი გშურთ, და ამ თქვენი მაღალი კეთილგანწყობილების ღირსი არ გახლავართ; მე სავსებით მწამს ყოველივე, რასაც ბრძანებთ; ამ რწმენით სულდგმული ვიქნები და ისე ჩავალ სამარეში; მაგრამ რადგან ასეთ გზას დავადექი, გთხოვთ, რასაცა მპირდებით, რაც შეიძლება ჩქარა გაკეთდეს, რადგან ხვალ უკანასკნელი დღეა და მხოლოდ დღეს უნდა მიცადონ“. სალადინომ უპასუხა — ყველაფერი მზად არისო.

მეორე დღეს, რაკი სალადინოს ღამით უნდა გაესტუმრებინა, ბრძანა ერთ დიდ დარბაზში გამოეწყოთ მშვენიერი, მდიდრული ლოგინი ლეიბებისა, რომლებიც, მათი ჩვეულებისამებრ, მთლად ხავერდისა და აბრეშუმისა იყო, ზევიდან გადააფარებინა საბანი, ამოკერილი ერთი სურათის მიხედვით ობოლი მარგალიტებითა და ძვირფასი თვლებით, რომლებსაც აქ მერე შეფასება მოუნდომეს და თქვეს — ფასის დადებაც კი არ შეიძლებაო, და დაადეს ორი ასეთი ლოგინის საფერი ბალიში. ესენი რომ დააშზადებინა, სალადინომ ბრძანა, მესერ ტორელოსათვის, რომელიც უკვე მოკეთებული იყო, ჩაეცმიათ სარაცინული ტანისამოსი და ისეთი მდიდრული და ისეთი მშვენიერი, რომ ადამიანის თვალს ჯერ იმის მსგავსი არც კი ჰქონოდა ნანახი, ხოლო თავზე მათებურად გრძელი ჩალმა შემოეხვიათ.

უკვე კარგად იყო გადასული ღამე, როცა სალადინო თავისი მრავალი ბარონების თანხლებით შევიდა იმ ოთახში, სადაც ტორელო იყო, მოუჯდა გვერდით და თითქმის გულაჩვილებული ხმით ასე დაუწყო ლაპარაკი: „მესერ ტორელო, მოახლოვდა ჟამი, რომელმაც თქვენს თავს უნდა მომაშოროს და რადგან თქვენ ისეთი საშუალებით მოგიხდებათ მგზავრობა, რომ მე არ შემეძლება არც გამოგყვეთ და აღარც გამოგაყოლოთ ვინმე გზაში, და ეს შეუძლებელიც იქნება, მე აქ, ოთახში უნდა გამოგეთხოვოთ და ახლა ამისათვის გეახელით კიდეცა. ამიტომ სანამ უფალს თქვენს თავს შევავედრებდე, გეაჯებით, ჩვენს შორის დამყარებული სიყვარულისა და მეგობრობის სახელით — არ დამივიწყოთ და

თუ შეიძლება, სანამ ცოცხლები ვართ, როცა თქვენი საქმეები მოაგვაროთ ლომბარდიაში, ერთხელ მაინც გამოემგზავრეთ ჩემს სანახავად, რომ მაშინ მაინც, როცა გავიხარებ თქვენი ნახვით, შეგივსოთ თქვენი საკადრისი პატივისცემა, რაც ახლა სიჩქარის გამო იძულებული ვარ დაგაკლოთ; და სანამ ეს მოხერხდებოდეს, არ დაიზაროთ წერილები მოიწეროთ ხოლმე და რაც გენებებათ, მთხოვეთ, და მე, უეჭველია, რასაც სხვა ხორციელისათვის არ ვიზამდი, თქვენთვის შევეცდები სიამოვნებით გავაკეთო“.

მესერ ტორელომ ცრემლები ვეღარ შეიკავა და რადგან ცრემლები უშლიდა, რამდენიმე სიტყვით უპასუხა: თქვენი სიკეთე და თქვენი ქველობა ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება და თუ ვიცოცხლე, რაც მიბრძანეთ, უეჭველად ავასრულებო. სალადინო გადაეხვია, ნაზად გადაკოცნა და აქვითინებულმა უთხრა: ღმერთმა გზა დაგილოცოსო, და ოთახიდან გამოვიდა, მერე სხვა ბარონებიც გამოეთხოვნენ და სალადინოსთან ერთად გამოვიდნენ იმ დარბაზში, სადაც სალადინომ ტორელოსათვის ლოგინი გამოაწყობინა.

მაგრამ რადგან გვიან იყო და გრძნეულს ეჩქარებოდა მონდობილი საქმის შესრულება და ამიტომ ყველას აჩქარებდა, მოვიდა ექიმი, რომელმაც ერთი სასმელი რამ მოიტანა და ტორელოს შესთავაზა — მიირთვით, ყუათზე მოგიყვანთო და დაალევინა; ცოტა ხანს უკან ტორელოს ჩაეძინა. ასე ჩაძინებული ტორელო სალადინოს ბრძანებით გადაიყვანეს მშვენიერ ლოგინზე, რომელზედაც სალადინომ დადო ერთი დიდი და მშვენიერი, მეტად ძვირფასი გვირგვინი და გვირგვინსაც ისეთი ნიშანი გაუკეთა, რომ მერე ცხადად ყველანი მიხვედრილიყვნენ, რომ სალადინოსაგან მესერ ტორელოს ცოლისათვის იყო გამოგზავნილი, შემდეგ თვით მესერ ტორელოს თითზე ისეთი ბეჭედი გაუკეთა, რომ მასში ჩამჯდარი წითელი ლალი ისე აშუქებდა, გეგონებოდათ ანთებული მაშხალააო, ისე კი, დაუფასებელი რამ იყო. მერე უბრძანა წელზე ხმალი შემოერტყათ, რომლის მოჭედილობის შეფასებაც ადვილი საქმე არ გახლდათ; გარდა ამისა, ბრძანა გულზე მიებნიათ ბალთა, რომელზედაც წამოცმული იყო ისეთი მარგალიტები, რომელთა მსგავსი ადამიანის თვალს არ ენახა, და იყო აგრეთვე სხვა ძვირფასი თვალი პატიოსანი. მერე იქით-აქეთ გვერდებზე ოქროს დიდი ჭურჭლები დაადგმევინა. ოქროსავე ფულით გავსებული, ხოლო გარშემო შემოურიგა მარგალიტის მძივები, ბეჭდები, ქამრები და სხვა ნივთები. რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ყოველივე ეს რომ მოაწყეს, სალადინომ ხელახლა აკოცა მესერ ტორელოს, ხოლო გრძნეულს უთხრა — აბა, ისწრაფეო. ამის თქმასზე სალადინოს თანდასწრებით საწოლი მესერ ტორელოიანად გაქანდა. სალადინო კი იქ დარჩა და კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა ტორელოს ამბავს თავის ბარონებთან.

მესერ ტორელო უკვე გაჩნდა წმ. პეტრეს ეკლესიაში ჩიელ დ’ოროში, ქ. პავიაში, როგორც ეს ნათხოვნი ჰქონდა. თან მოჰყვა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ძვირფასი თვალ— მარგალიტი და სამკაულები. ჯერ ისევ ეძინა, როცა დილის ცისკრის ზარი დარეკეს; ეკლესიაში

შემოვიდა მნათე, რომელსაც ხელში ანთებული სანთელი ეჭირა. შემოვიდა თუ არა, მაშინვე დაინახა მდიდრული საწოლი და არამცთუ გაუკვირდა, შეეშინდა კიდეც და უკან გამოიქცა; წინამძღვარმა და ბერებმა რომ დაინახეს, მირბისო, გაუკვირდათ და მიზეზი ჰკითხეს. ბერმაც უამბო ყველაფერი. „შენ კი რა გითხრა, — შესძახა წინამძღვარმა, — ბავშვი ხარ, თუ ხამი ხარ ეკლესიაში შესვლისა, რომ ასე გეშინია ხოლმე? აბა ერთი წავიდეთ და ვნახოთ, ასე რამ გაგიხეთქა გული, შე საცოდავო!“ აანთეს რამდენიმე სანთელი, აბატი და ყველა მისი ბერები შევიდნენ ეკლესიაში, დაინახეს ეს საკვირველი და მდიდრული საწოლი და ზედაც მძინარე რაინდი. ესენიც შეკრთნენ და ვერა ბედავდნენ საწოლს მიახლოებოდნენ, ისე უყურებდნენ თვალისმომჭრელ განძეულობას. ამასობაში დასაძინებელ წამალს ძალა წასვლოდა, მესერ ტორელოს გამოეღვიძა და გულიანად ამოიხვნეშა. ბერები „უფალო შეგვიწყალენ“-ის ძახილით გარეთ გამოცვივდნენ.

მესერ ტორელომ თვალები გაახილა და გარშემო მიმოიხედა. ნათლად დაინახა, რომ სწორედ იქ მოსულიყო, საცა სალადინოსა სთხოვა, და ამან გული სიხარულით აღუვსო. წამოჯდა, დაწვრილებით მიმოავლო თვალი, რაც მის გარშემო იყო. თუმცა წინათაც იცოდა სალადინოს სიუხვის ამბავი, მაგრამ ეს სიუხვე ახლა მეტწილად გამოჩნდა და ეს ტორელომ უფრო დაინახა. მაინც ადგილიდან არ დაძრულა და რომ შენიშნა ბერები გარბიანო და მიხვდა, თუ რა მიარბენინებდათ, წინამძღვარს სახელი დაუძახა და სთხოვა, ნუ გეშინია, ტორელო ვარ, შენი ძმისწულიო. წინამძღვარმა ეს რომ გაიგონა, უმეტესად შეშინდა, იმიტომ რომ ტორელო რამდენიმე თვის მკვდარი ეგონა; მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გული დაიმშვიდა და რაკი ისევ ესმოდა ძახილი, პირჯვარი გამოისახა და მობრუნდა ტორელოსაკენ. რომ მივიდა, მესერ ტორელომ უთხრა: „მამავ ჩემო, რისა გეშინიათ? ცოცხალი ვარ და ზღვის გაღმა მხრიდან დავბრუნდი“. ტორელოს თუმცა დიდი წვერი ჰქონდა მოშვებული და ტანზეც არაბული სამოსი ემოსა, ცოტა დაკვირვების შემდეგ მაინც იცნო და სულ რომ დარწმუნდა, ხელი მოჰკიდა და უთხრა: „მადლობა ღმერთს, შვილო, რომ ცოცხალსა გხედავ!“ მერე დასძინა: „კი არ გაგიკვირდეს, რომ შიში ვჭამეთ, იმიტომ რომ ამ მხარეში კაცი არ არის, სრულებით დაჯერებული არ იყოს, რომ შენ მკვდარი ხარ. იმდენად სჯერა ეს ყველას, რომ ქალბატონი ადალიეტა, შენი მეუღლე, იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა თავისი მშობლების თხოვნას და მუქარას, და თავისდაუნებურად ხელმეორედ თხოვდება; ამ დილას მისი მეორე ქმრის სახლში უნდა წაიყვანონ და ქორწილი და რაც ქორწილისათვის საჭიროა, უკვე მზადაა“.

მესერ ტორელო მდიდრული საწოლიდან წამოდგა, წინამძღვარსა და ბერებს გახარებული მიესალმა და ყველასა სთხოვა — ჩემი დაბრუნების ამბავი, გეთაყვათ, არავის უთხრათ, სანამ ერთ ჩემს საქმეს არ გავაკეთებო. ამის შემდეგ რაც რამ ძვირფასი ნივთები ჰქონდა, კარგად შეანახვინა, და წინამძღვარს მეტად გაეხარდა, რომ ბედს ასე მოუმართავს

ხელი მისთვის და მასთან ერთად მადლი შესწირა უფალს. მერე მესერ ტორელომ წინამძღვარსა ჰკითხა თავისი ცოლის ახალი ქმრის ვინაობა. წინამძღვარმა ყოველივე უამბო. ამაზე მესერ ტორელომ უთხრა: „სანამ ჩემი დაბრუნების ამბავს გაიგებდნენ, მინდა ვნახო, ამ ქორწილში ჩემს ცოლს თავი როგორ ეჭირება; ამიტომ, თუმცა ჩვეულებად არ არის ხოლმე ასეთ ნადიმებზე სასულიერონი დაესწრონ, მე მინდა ჩემი სიყვარულის გულისათვის გამომყვეთ და ერთად დავესწროთ“. წინამძღვარი დიდი სიამოვნებით დასთანხმდა.

კარგად რომ გათენდა, წინამძღვარმა საქმროს კაცი გაუგზავნა და შეუთვალა — მე და ერთ ჩემ მეგობარ კაცს გვინდა თქვენს ქორწილს დავესწროთო. საქმრომაც — მეტად მოხარული ვიქნებიო, შემოუთვალა.

პურობის დრო რომ დადგა, მესერ ტორელო იმავე ტანისამოსიანად, რომელშიაც იყო, წინამძღვართან ერთად ნეფის სახლში წავიდა. ვინც კი ნახა, ყველა გაოცებული უყურებდა, მაგრამ ცნობით ვერავინ იცნო. ხოლო წინამძღვარი ყველას ეუბნებოდა, — ერთი ვინმე სარაცინელია, სულთანმა ელჩად გამოუგზავნა საფრანგეთის მეფესაო. მესერ ტორელო სუფრას მოუსვეს სწორედ მისი ცოლის პირდაპირ. უზომო სიამოვნებით უყურებდა და სახეზე ატყობდა, თითქო ეს ქორწილი სწყინდაო. ქალიც მსგავსადვე ზოგჯერ გადახედავდა ტორელოს, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ვითომ ეცნაურებოდა, აბა რა სათქმელია! ჯერ ერთი, ტორელოს დიდი წვერი მოეშვა, ტანზედაც უცნაური სამოსი ემოსა და, გარდა ამისა, ქალი დარწმუნებული იყო, — რა ხანია, გარდაიცვალაო. ყოველივე ეს უშლიდა თავის ქმარი ეცნო. მერე მესერ ტორელომ იფიქრა, ახლა კი დროა ვცადო, თუ ვახსოვარო, თითიდან წაიძრო ბეჭედი, მისი გამგზავრების დროს ცოლმა რომ მისცა, დაუძახა ყმაწვილს, რომელიც პატარძალს ემსახურებოდა, და უთხრა: „ჩემს მაგივრად პატარძალს მოახსენე: ჩემს ქვეყანაში ჩვეულებად აქვთ, როცა ვინმე უცხოელი, როგორიც მე ვარ აქა, დაპატიჟებულია და ლხინობს პატარძალთან, პატარძალი, იმის ნიშნად, რომ უცხო სტუმრის მობრძანება უხარია, აიღებს თასს, რომლითაც თვითონა სვამს, გაავსებს ღვინითა და მიაწოდებს სტუმარს: სტუმარი მიირთმევს იმდენს, რაც იამება, მერე თასს დახურავს და პატარძალს უკანვე გამოუგზავნის და ისიც, რაც ჩატოვებულია, დალევს“. ყმაწვილმა დანაბარები პატარძალს მოახსენა: ქალმა, როგორც ზრდილმა და ჭკვიანმა ადამიანმა, იფიქრა, სტუმარი დიდი ვინმე სახელოვანი ადამიანი ბრძანდებაო და რადგან უნდოდა დაენახვებინა, თქვენი აქ მობრძანება ჩემთვის მეტად სასიხარულო გახლავთო, წინ რომ დიდი თასი ედგა ოქროსი, გაარეცხინა, ღვინით გაავსებინა და უბრძანა სტუმრისათვის მიერთმიათ. მსახურმა კიდეც აასრულა მისი ბრძანება.

მესერ ტორელოს თითიდან წაძრობილი ბეჭედი პირში ედო. თასი რომ მოიყუდა, სმის დროს ბეჭედი შიგ ჩააგდო ისე, რომ თვალი არავის მოუკრავს, თასში ცოტა ღვინო ჩატოვა, მერე თასს თავი დაახურა და ქალს გამოუგზავნა უკან; ქალმა აიღო ხელში თასი და რომ აესრულებინა სტუმრის ქვეყნის ჩვეულება, სახურავი ახადა თასს, მოიყუდა და ამ დროს

დაინახა ბეჭედი. ხმის ამოუღებლად ბეჭედს დააცქერდა. იცნო. სწორედ ის ბეჭედი იყო, მესერ ტორელოს რომ მისცა გამგზავრებისას. აიღო ბეჭედი და გულდასმით დააცქერდა იმას, ვინც უცხოელი ეგონა. რომ იცნო, გიჟივით სუფრა გადააბრუნა და დაიყვირა: „აი ჩემი ქმარი, აი, სწორედ ეს არის მესერ ტორელო!“ მერე მივარდა იმ სუფრასთან, რომელსაც მესერ ტორელო უჯდა, არ მოერიდა თავის კაბას და ყველაფერს, რაც სუფრაზე ელაგა, ზედ გადაევლო და, რაც შეეძლო, მაგრად გადაეხვია ქმარს, ვერც სიტყვით, ვერც ხელისმოკიდებით ვერავინ მოჰგლიჯა ტორელოს კისერს, სანამ თვითონ ტორელომ არ უთხრა: გონს მოდი, ქალო, ერთმანეთის საკოცნელად დრო, ღვთით, კიდევ საკმაო გვექნებაო.

ქალი ადგა. მექორწილენი ყველანი შეშფოთდნენ, თან უზომოდ გაახარა ყველა ასეთი რაინდის დაბრუნებამ. მესერ ტორელოს თხოვნით ყველანი დაჩუმდნენ და ისიც მოუყვა, რაც გადახდა წასვლის დღიდან დღევანდლამდე და თან დაუმატა, იმ პატივცემულ ადამიანს, რომელსაც მკვდარი ვეგონე და ჩემი ცოლი ითხოვა, ნუ ეწყინება, თუ მე, რაკი ცოცხალი ვარ, ჩემი ცოლი უკანვე წავიყვანოო.

ნეფეს, თუმცა, ცოტა არ იყოს შერცხვა, მაინც პირდაპირ და მეგობრულად უპასუხა: თქვენს ხელთაა, რომ თქვენს საკუთრებას, რაც გენებებათ, ის უყოთო. ქალმა ახალი საქმროს მოცემული ბეჭედი და გვირგვინი იქვე დატოვა, ხოლო თასიდან ამოღებული ბეჭედი თითზე გაიკეთა, აგრეთვე სულთნის გამოგზავნილი გვირგვინიც თავზე დაიდგა და აქედან გამოსულები დიდი საქორწილო ზეიმით მესერ ტორელოს სახლისაკენ გაემართნენ და აქ მხიარული და გაგრძელებული ლხინით ანუგეშეს სასოწარკვეთილი მეგობრები და ნათესავები, რომლებიც ტორელოს სასწაულებრივ გადარჩენილადა თვლიდნენ.

მესერ ტორელომ ერთი ნაწილი თავისი ძვირფასი განძეულობისა იმას მისცა, ვინც ეს საქორწილო ხარჯები გასწია, დაურიგა აგრეთვე წინამძღვარსა და ბევრ სხვას. ხოლო სალადინოს კაცი გაუგზავნა და შეატყობინა თავისი მშვიდობით დაბრუნება საშობლოში და შეუთვალა — სანამ სული მიდგას, შენი მოსამსახურე და მეგობარი ვიქნებიო. თავის ღირსეულ მეუღლესთან კიდევ დიდხანს ცხოვრობდა და ცდილობდა წინანდელზე უფრო მეტი დიდსულოვნების საქმენი გამოეჩინა.

აი, ასე დასრულდა მესერ ტორელოს და მისი სასურველო მეუღლის მწუხარებანი, და აი რა მიიღეს ჯილდოდ თავიანთი ალერსიანობისა და დაუზარელი სიუხვისათვის. ბევრნი ცდილობენ ხელიდან გამოუვიდეთ ხოლმე ეს სიუხვე და თუმცა ამის საშუალებაცა აქვთ, მაგრამ იმდენად შნო არა აქვთ ამ სიუხვისათვის, რომ სანამ ჩაიდენდნენ, უფრო მეტ სასყიდელს ახდევინებენ, ვიდრე ეს მათი სიუხვე ღირს; ამიტომ თუ ასეთებს ჯილდოდ არაფერი ერგოთ, ნურც ამათ გაუკვირდებათ ესა და ნულარც სხვებსა.

ამბავი მეათე. გრიზელდა

მარკიზ სალუცოელი იძულებული შეიქნება თავისიანების თხოვნით ცოლი შეირთოს. სურს, თავისი გემოს ქალი ითხოვოს და ისიც ერთ გლეხის ქალს ირთავს. იმისაგან ორი შვილი ეყოლება და ცოლს არწმუნებს — ორივე მოვკალიო. მერე თავს ისე მოაჩვენებს, ვითომ ცოლმა თავი მოაბეზრა და სხვა შეირთო ცოლადაო. მოიყვანს საკუთარ ქალს და იტყვის — ჩემი ცოლიაო, ხოლო ნამდვილ ცოლს პერანგის ამარა გააგდებს. რომ დაინახავს, ქალი ყველაფერს მოთმინებით უძლებს, ისევ შემოიყვანს თავის სახლში, უმეტესად შეიყვარებს, თავის უკვე გაზრდილ შვილებს უჩვენებს, მარკიზას საფერად პატივსა სცემს და სხვებსაც უბრძანებს — თქვენც ასე ეცით პატივიო.

მეფემ რომ გაათავა თავისი ამბავი, რომელიც, ეტყობოდა, ყველას მოეწონა, დიონეომ სიცილითა თქვა: „საბრალო კაცი, რომელსაც იმედი ჰქონდა მეორე ღამეს მოჩვენების თავაწეული კუდი მოედრიკა, ორ მანყულსაც არ გაიმეტებდა იმ ქება-დიდებისათვის, რომლითაც თქვენ მესერ ტორელოს აქებთ და ადიდებთ. არა, ჩემმა მზემ“. მერე რაკი იცოდა, სათქმელი მეღა დამრჩენიაო, ასე დაიწყო: — ჩემო გულჩვილო ქალებო! მე მგონია, დღევანდელი დღე მოუნდა მეფეებსა და სულთანებს და მათს მსგავს ადამიანთ; ამიტომ, რათა ძალიან არ დაგშორდეთ, მინდა გიამბოთ ამბავი ერთი მარკიზისა. მართალია, მისი საქციელი სულგრძელური სრულებით არ იყო, ის კი არა, მე თუ მკითხავთ, უფრო ბრიყვული იყო, მაგრამ ბოლო მაინც კეთილი ექნა. მე არავის ვურჩევდი ამ სიბრიყვისათვის მიებაძა, რადგან დიდი უსამართლობა იყო, რომ მარკიზისათვის ასე სიკეთით დამთავრდა ეს საქმე.

მას აქეთ დიდი ხანია გასული, სალუცოელი მარკიზების გვარში ოჯახის უფროსად ახალგაზრდა კაცი იყო. სახელად გვალტიერი ერქვა. ცოლ-შვილს არ მოჰკიდებია და მთელ დროს ფრინველებსა და გარეულ ცხოველებზე ნადირობას ანდომებდა. ცოლის შერთვას ან შვილების გაჩენას არც კი ფიქრობდა, და ამისათვის კაცმა მეტად ბრძენ ადამიანად უნდა დასახოს. მის მახლობელთ ეს დიაღ არ მოსწონდათ და განა ერთხელ სთხოვეს ცოლის შერთვა, რათა თვითონ უძეოდ არ გადაშენებულიყო და ისინიც უბატონოდ არ დარჩენილიყვნენ. პირდებოდნენ — ისეთსა და ისეთ დედ-მამის ქალს გიშოვნით, რომ შესაძლებელი იყოს მისი მინდობა და თქვენც მეტად მადლიერი ბრძანდებოდეთ მისიო. ამაზე გვალტიერიმ უპასუხა: „ჩემო კარგებო, თქვენ მაიძულებთ ის გავაკეთო, რაც გადაწყვეტილი მქონდა, ჩემს დღეში არ მექნა. ასე ვფიქრობდი, რომ ძნელია კაცმა იპოვოს ისეთი საცოლე, ვისი ზნე-ჩვეულება ჩვენსას უდგებოდეს-მეთქი. აუარებელია სულ წინააღმდეგი ხასიათისა და რა ძნელია სიცოცხლე იმისი, ვისაც თავისი უფერი ცოლი შეხვდა-მეთქი. თუ თქვენ გგონიათ, რომ რა ხასიათისაცაა დედ-მამა, ისეთივე იქნება შვილიცაო და ამიტომ თუ იმედი გაქვთ ჩემი გუნების ქალი ამირჩიოთ ცოლად, უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენის მხრით ეს სისულელედ

მიმაჩნია, იმიტომ, რომ არ მესმის, როგორღა უნდა გაიგოთ ამათი მამების ამბავი ან დედების საიდუმლოებანი; კიდევაც რომ იცნობდეთ დედ-მამას, ქალები ძალიან ხშირად არცა ჰგვანან თავიანთ დედ— მამას. მაგრამ რაკი მაინცდამაინც გინდათ, ამ ბორკილით შემბორკოთ, ბატონი ბრძანდებით, თანახმა ვარ. მხოლოდ შემდეგში, თუ ვინიცობაა, საქმე ცუდად წავიდა, მინდა ყველაფერი ჩემს თავს დავაბრალო და სხვანი არაფერ შუაში იყვნენ. ამიტომ მსურს მე თვითონ მოვიძებნო მეუღლე. ამასთანავე გიცხადებთ: მე ვინც უნდა ავიყვანო, თუ ისეთი პატივი არ გიციათ, როგორიც თქვენს ქალბატონს შეჰფერის, თქვენდა საზიანოდ დაინახავთ, თუ როგორ მემძიმება მე ჩემ უნებურად შევირთო ცოლი თქვენი თხოვნით". დარბაისელთ მოახსენეს: ოღონდ თქვენ ინებეთ მეუღლის მოყვანა და ჩვენ თანახმანი გახლავართ, ვისაც მოიყვანთო.

გვალტიერის დიდი ხანია თვალში მოსდიოდა ზნე-ხასიათი ერთი ღარიბი სოფლელი ქალისა, რომელიც მისი სახლის ახლოს ცხოვრობდა, და რადგან მეტად ლამაზადაც ეჩვენა, იფიქრა — იმისმა ცოლობამ სიცოცხლე უნდა დამიამოსო. ამიტომ ბევრს არ გამოეკიდა, გადაწყვიტა შეერთო. ქალის მამა ერთი უღარიბესი გლეხი იყო, იხმო გვალტიერიმ, მოელაპარაკა და შეუთანხმდა მისი ქალი ცოლად შეერთო. ამის შემდეგ დაუძახა გარშემო, საცა კი იყო, თავის მეგობრებს და უთხრა: „ჩემო მეგობრებო, თქვენ გინდოდათ და გინდათ კიდეცა ცოლ-შვილს მოვეკიდო და აჰა, მზადა ვარ აგრე მოვიქცე. მაგრამ ამას უფრო იმიტომ ვშვრები, რომ თქვენ გაამოთ. ცოლის შერთვა კი იმდენად არ მინდა, არა, ღმერთმანი! თქვენ ხომ გახსოვთ, დამპირდით: ვინც უნდა მოიყვანოთ, ჩვენ კმაყოფილნი ვიქნებით და პატივსა ვცემთ, როგორც ჩვენს ქალბატონსაო. და აჰა, დრო დადგა მე ჩემი დაპირება ავასრულო და მინდა თქვენც თქვენი აასრულოთ, როგორც დამპირდით. უკვე ვიპოვე ჩემი გულის ქალი, აქედან სულ ახლოსაა, მინდა ცოლად შევირთო და ამ დღეებში შინ მოვიყვანო კიდეც. ამიტომ, აბა, თქვენ იცით, თუ რა კარგ ქორწილს გამართავთ და რა პატივისცემით დაუხვდებით ჩემს საცოლეს, და ამრიგად, მეტი კმაყოფილი ვიქნები თქვენს მიერ პირობის შესრულებისათვის, ისევე, როგორც თქვენ იქნებით კმაყოფილნი ჩემგან დაპირების შესრულებისათვის".

მოკეთეებმა მეტად გაიხარეს და მოახსენეს, თქვენი ჭირი შეგვეყაროს, თქვენი მოყვანილი ქალი ვინც უნდა ბრძანდებოდეს, დავუხვდებით, როგორც ქალბატონს და ქალბატონის საკადრის პატივსაცა ვცემთო.

ამის შემდეგ ყველანი შეუდგნენ მზადებას დიდი, მშვენიერი და მხიარული ქორწილის გადასახდელად; ეგევე ჰქნა გვალტიერიმაც. მან ბრძანება გასცა, საუცხოო და მდიდრული ქორწილი გამოეწყოთ, დაპატიჟა აუარებელი მეგობრები, ნათესავები, სახელოვანი თუ სხვა ხალხი, ვინც კი მეზობლად ჰყავდა. გარდა ამისა, მრავალი საუცხოო და ძვირფასი კაბები გამოაჭრევინა ერთი ახალგაზრდა ქალის ტანზე, რომელიც, მისი აზრით, სწორედ მისი

საცოლის ტანისა უნდა ყოფილიყო; მოამზადებინა აგრეთვე ქამრები, ბეჭდები, ერთიც ძვირფასი და დიდად მშვენიერი გვირგვინი და, საერთოდ, ყველაფერი, რაც პატარძალს დასჭირდებოდა.

დადგა ქორწილისათვის დანიშნული დღე. სამის ნახევარზე გვალტიერი ცხენზე შეჯდა და მასთან ერთად სხვებიცა, ვინც მის პატივსაცემად იყვნენ მოსულნი, და როცა ყველა საჭირო განკარგულება გასცა, სტუმრებს უთხრა: ბატონებო, დროა წავიდეთ პატარძლის მოსაყვანადო. გვალტიერი მაყრებთან ერთად გზას დაადგა და ჩავიდა სოფელში. ქალის მამის სახლს რომ მიადგა, დაინახა, ქალს ჭიდან ამოღებული წყალი საჩქაროდ მიჰქონდა, რომ მერე სხვა ქალებთან ერთად წასულიყო გვალტიერის საცოლის მოყვანის საყურებლად: გვალტიერიმ რომ დაინახა, ქალს მისი სახელი — გრიზელდა დაუძახა და ჰკითხა, მამა სად არისო? ამაზე ქალმა დარცხვენილად უპასუხა: შინ გახლავთ, ბატონოო. მაშინ გვალტიერი ცხენიდან ჩამოხტა, მაყრებს უთხრა, დამიცადეთო და თვითონ კი ამ ღარიბულ ქოხში შევიდა, სადაც ქალის მამა, ჯანუკოლე, დახვდა და უთხრა: მე გრიზელდას შესართავად გეახელით, მაგრამ ჯერ თქვენი თანდასწრებით მისგან მინდა ზოგი რამ გავიგოო. და გვალტიერიმ ქალსა ჰკითხა: ცოლად რომ შეგირთოთ, ხომ ეცდებით, სულ მუდამ მაამოთ, რაც უნდა ვთქვა ან გავაკეთო, ხომ არ გეწყინებათ, ან ხომ იქნებით ჩემი მორჩილიო? და ბევრი რამ ჰკითხა კიდევ ამის მსგავსი. ქალმა ყველაფერზე თანხმობა უთხრა. მაშინ გვალტიერიმ მოჰკიდა ხელი, გაიყვანა კარში და მთელი მაყრებისა და სხვა აქ მყოფთა თანდასწრებით ქალი სრულიად გააშიშვლებინა, მისთვის საგანგებოდ შეკერილი ტანისამოსი თუ ფეხსაცმელი საჩქაროზე ჩააცმევინა, ხოლო მის აჩეჩილ თმებზე, როგორც იყო, ისე, დაადგა გვირგვინი, და როცა ამის ყურებაზე ყველანი განცვიფრდნენ, თქვა: „ბატონებო, ეს ის ქალი გახლავთ, ვინც მე მინდა მეუღლედ შევირთო, თუ ისიც მინდომებს ქმრად“. მერე მიუბრუნდა ქალს, რომელსაც თავისი თავისავე რცხვენოდა და შემკრთალი იდგა და უთხრა: „გრიზელდა, ქმრად გინდივარ?“ – „დიახ, ბატონო!“ — უპასუხა ქალმა. ამაზე გვალტიერიმ უთხრა: მე კიდევ ჩემს ცოლად მინდიხარო, და ყველას თანდასწრებით მასთან იქორწინა, მერე შესვა ცხენზე, ამოდენა ხალხი მოწიწებით გამოჰყვა და თავის სასახლეში მოიყვანა. აქ გაიმართა საქორწილო ლხინი, მშვენიერი და მდიდრული, და ისეთი ღრეობა, თითქო თვით საფრანგეთის მეფის ქალი მოეყვანოთო.

პატარძალს ტანისამოსი გამოცვლასთან ერთად თითქოს გულიცა და ზნე-ჩვეულებაც გამოეცვალა. ქალი, როგორცა ვთქვით კიდეც, ტანადი იყო და ლამაზი და რამდენადაც გარეგნულად ლამაზი იყო, იმდენად ალერსიანი, თავაზიანი და ზრდილი გახდა, ასე რომ, ვერავინ იტყოდა, თუ ის ჯანუკოლეს ქალი იყო, ცხვრების მწყემსი, და არა ვინმე ბატონის ასული. ვისაც კი წინათ ენახა, ახლა ყველას აკვირვებდა; ამასთან, ქმრის ისეთი მორჩილი და მაამებელი დადგა, რომ ქმარს მთელს ქვეყანაზე უუბედნიერეს და უუკმაყოფილეს კაცად

მიაჩნდა თავისი თავი. მსგავსადვე თავისი ქმრის ქვეშევრდომთაც ისე ალერსიანად და მოწყალე გულით ეკიდებოდა, რომ არავინ იყო ისეთი, რომ ქალბატონი თავის თავზე მეტად არ ჰყვარებოდა და სულითა და გულით მისთვის პატივი არ ეცა; ყველანი მის მზესა ფიცულობდნენ და ღმერთსა სთხოვდნენ მის ბედნიერებას, სიკეთეს და წარმატებას, და როგორც წინათ იძახდნენ — გვალტიერი, ცოტა არ იყოს, უჭკუოდ მოიქცა, ეს რომ შეირთო, ისე ახლა ამბობდნენ, ამაზე ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებაო, რადგან თუ არ ის, სხვა თავის დღეში ვერ გამოიცნობდა მის ამაღლებულ ზნე-ხასიათს, ღარიბულ ძონძებსა და გლეხურ ტანისამოსს ქვეშ დაფარულთ, და მოკლე ხანში ისე მოაგვარა საქმე, რომ არამცთუ მის სამარკიზოში, არამედ ყველგან, მის ღირსებაზე და კეთილ საქმეებზე აალაპარაკა ხალხი. და თუ მისი გულისათვის მის ქმარზე, როცა ის შეირთო, ცუდ რასმე ლაპარაკობდნენ, ახლა ყველას აზრი გამოეცვალა და სულ იმის ქებაში იყვნენ.

დიდი ხანი არ გასულა, რაც გვალტიერიმ ცოლად შეირთო, რომ გრიზელდა დაორსულდა და თავის დროზე ქალი ეყოლა, რამაც გვალტიერი მეტად გაახარა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გვალტიერის თავში უცნაური აზრი დაებადა: მოდი ერთი, ხანგრძლივად გამოვცდი, მწარე სატანჯველს მივაყენებ და ამით ვნახავ, რაზომ დიდია მისი სულგრძელობაო. ჯერ სიტყვიერი ყვედრება დაუწყო, მეტად გულმოსულად მოაჩვენა თავი: ჩემს ხალხს შენი მდაბიო ჩამომავლობა არ მოსწონსო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაინახეს, რომ შვილიერება დაიწყე: მეტად სწყინთ ქალის შეძენა და დრტვინვის მეტს არაფერს აკეთებენო. მარკიზის მეუღლემ ეს სიტყვები რომ გაიგონა, სახეზე არაფერი ცვლილება არ დამჩნევია, აღარც თავისი გულკეთილობა შესცვლია და ისე მოახსენა:

„ჩემო ხელმწიფევ, რაც გენებოს, ის მიყავ, ოღონდ შენს სახელს არ დაუშავდეს და ყოველგვარი წუხილი აგშორდეს თავიდან: მე ყველაფერზე ჯერსა ვარ, რადგან მე შენს სახელად და წუხილად არა ვღირვარ და არც ღირსი ვიყავ იმ პატივისა, რომელიც შენი მოწყალებით მე მომმადლე“. ეს პასუხი გვალტიერის ძალიან მოეწონა, რადგან დაინახა, პატივსა და დიდებას, რასაც მას თვით გვალტიერი და სხვები მიაგებდნენ, ოდნავადაც არ გაუამპარტავნებიაო.

ცოტა ხნის შემდეგ გვალტიერიმ უთხრა ცოლს: ჩემნი ქვეშევრდომნი მეტისმეტად სწუხან შენი ქალის დაბადებასაო. მერე თავისი ერთი მოსამსახურე მიუგზავნა და იმანაც დაძმარებული სახით ასე უთხრა: „ქალბატონო, თუ მინდა სიცოცხლე შემრჩეს, უნდა ავასრულო ის, რასაც ჩემი ბატონი მიბრძანებს. მიბრძანა თქვენი ქალი წავიყვანო და...“ სათქმელი აღარ დაამთავრა. გვალტიერის მეუღლეს ეს სიტყვები რომ ესმოდა, თან მსახურის სახეს უყურებდა და ამასთან გვალტიერის ნათქვამი სიტყვები რომ მოაგონდა, მიხვდა — ნაბრძანები აქვს ჩემი ქალის მოკვლაო, ამიტომ საჩქაროდ ამოიყვანა ბავშვი აკვნიდან, აკოცა, დალოცა და თუმცა უზომო დარდმა გული აღუვსო, სახეზე არაფერი დაიმჩნია, მოსამსახურეს

მკლავში ჩაუწვინა და უთხრა: აჰანდე, გამომართვი... და ზედმიწევნით აასრულე ის, რაც შენმა და ჩემმა ბატონმა გიბრძანაო; მხოლოდ არაფრის გულისთვის ისე არ დააგდო, რომ ნადირმა ან გარეულმა ფრინველებმა შეჭამონ, თუკი ეს ბატონს არ უბრძანებიაო. მსახურმა გამოართვა ბავშვი და გვალტიერის მოახსენა, რაც მისმა მეუღლემ უთხრა. გვალტიერის მეტად გაუკვირდა ქალის ხასიათის სიმტკიცე და ბავშვი მსახურს ბოლონიაში გააგანა ერთ თავის ნათესავ ქალთან და შეუთვალა, თავის დღეში არავისთვის ეთქვა, ვისი იყო ბავშვი, დიდი გულმოდგინებით აღეზარდა და ესწავლებინა ზრდილობის წესები.

ამის შემდეგ მარკიზის მეუღლე ხელახლა დაორსულდა და დაწესებულ ვადაზე ეყოლა ვაჟი. ვაჟის დაბადებაც გვალტიერის ძალიან გაეხარდა, მაგრამ ის არ დასჯერდა, რაც უყო ქალს, მოინდომა, უფრო მეტად დაესერა მისი გული და ერთ დღეს, ვითომ ძალზე ნაწყენმა და განრისხებულმა, უთხრა: „ქალო, რაც შენ ეს ვაჟი გეყოლა, პირდაპირ ჯოჯოხეთად გადამიქციეს ჩემმა ქვეშევრდომებმა სიცოცხლეო. სულ იმასა სტირიან — მემკვიდრედ ჯანუკოლეს შვილიშვილი თქვენს შემდეგ ბატონად როგორ უნდა გაგვიხდესო; ამიტომ, რათა გაძევებას მოვერიდო, ვაითუ, იძულებული ვიქნე ახლაც ჩავიდინო ის, რაც უკვე ერთხელ ჩავიდინე, და ბოლოს შენ სულაც გაგიშვა და სხვა ცოლი შევირთო“. ცოლმა აღუშფოთებლად მოუსმინა და ესღა ჰკადრა: „ჩემო ხელმწიფევ, ოღონდ შენ იყავ კმაყოფილი და აისრულე, ყოველი შენი სურვილი, ჩემი დარდი ნუ გაქვს, რადგან ბედნიერი მე მაშინღა ვარ, როცა შენ რამე გიხარის“.

ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ გვალტიერიმ, სწორედ ისე, როგორც ქალისთვის მიუგზავნა, ახლაც ვაჟის გამოსართმევად მიუგზავნა ცოლს მოსამსახურე და ვითომც ესეც მოსაკლავად წააყვანინა. ნამდვილად კი გასაზრდელად ბოლონიაში გაგზავნა ისევე, როგორც ქალიშვილი. ცოლმა ამჟამადაც სახეზე არაფერი დაიმჩნია, ისე როგორც ქალიშვილის ჩამორთმევის დროს. გვალტიერის ეს მეტისმეტად გაუკვირდა და გულში ამბობდა — ამის მეტ სხვა ქალს არ შეუძლია ასე მოიქცესო. და იმას რომ არ ენახა, თუ რა გაგიჟებით უყვარდა თავისი შვილები, როცა ქმარი მათი ალერსის ნებას აძლევდა, შეიძლებოდა ეფიქრა, ასე იმიტომ იქცევა, რომ გულგრილია, მისთვის სულ ერთიაო; ახლა კი დაინახა, რომ ქალი ისე იქცეოდა, როგორც მართლადა ბრძენი ქალი. ქვეშევრდომთ კი ეგონათ, გვალტიერიმ თავისი შვილები მოაკვლევინაო, ლანძღავდნენ და გულქვა ადამიანად მიაჩნდათ, ხოლო მისი მეუღლე საშინლად ებრალებოდათ. ქალებს, ვინც დახოცილი ბავშვების გამო სამძიმარს უცხადებდნენ, გრიზელდა იმასღა ეუბნებოდა: ჩემთვის სასიამოვნოა ის, რაც მაგათს მამას უხარისო.

უკვე რამდენიმე წელმა გაიარა ქალიშვილის დაბადების შემდეგ და გვალტიერიმ იფიქრა, მოდი, უკანასკნელად გამოვცდი ჩემს მეუღლეს, ვნახოთ, სანამ შესწვდება მოთმინებაო. ბევრ თავისიანს უთხრა — არაფრის გულისათვის არ შემიძლია გავუძლო

გრიზელდას, როგორც მეუღლესო; ვგრძნობ, მეტად ყმაწვილურად და ცუდად მოვიქეცი, როცა ის ცოლად შევირთეო, ამიტომ ყოველი ღონე უნდა ვიღონო და პაპსა ვთხოვო ლოცვა— კურთხევა მომცეს მეორე ცოლის შერთვისა და გრიზელდა გავუშვაო. ამისათვის ბევრი რიგიანი კაცი გვალტიერის მეტად ზრახავდა. ის კიდევ იმასღა ამბობდა: სხვა გზა არა მაქვს, ასე უნდა ვქნაო. გრიზელდას ეს რომ ესმოდა, გრძნობდა: მგონი, რომ არ ამცდეს მამის სახლში დაბრუნება და შეიძლება წინანდებურად ცხვრების მწყემსვაც მომიხდეს და მერე იმასაც ვუყურო, ის კაცი, ვინც იმ ზომამდე მიყვარდა, სხვა ქალს ჰყავდეს გულში ჩახუტებულიო, და ამიტომ უზომოდ დარდობდა, მაგრამ როგორც აქამდე მოითმინა ბედის სიავე, ისე ახლაც გადაწყვიტა, ამ განსაცდელსაც მხნედ შეჰგებებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ გვალტიერიმ მოატანინა ვითომ რომიდან მიღებული ყალბი წერილები და თავის ქვეშევრდომებს უჩვენა, თითქო პაპს ნება მიეცეს სხვა ქალის შერთვისა და გრიზელდას გაშვებისაო. ამიტომ დაიბარა ცოლი და შეკრებილი ხალხის წინაშე უთხრა:

„ჩემო ცოლო, პაპმა ნება დამრთო მეორე ცოლი შევირთო და შენ კი გაგიშვა და რადგან ჩემი წინაპრები სულ დიდი კაცები და ამ მხარეთა ბატონ-პატრონები იყვნენ, ხოლო შენი წინაპრები კი სულ მუდამ გლეხები ყოფილან, მე მნებავს ჩემს ცოლად აღარ იყო, არამედ მამაშენის ჯანუკოლეს სახლში დაბრუნდე, თან შენი მოტანილი მზითევიც წაიღო, მე კი მერე ისეთ ქალს მოვიყვან ცოლად, ჩემი საფერი იყოს“.

გრიზელდამ თავისი მეუღლის სიტყვები რომ მოისმინა, ქალის ბუნებისათვის უჩვეულო საშინელი ძალა დაატანა თავის თავს, რომ შეეკავებინა ცრემლები და მოახსენა: „ჩემო ხელმწიფევ, მე დიაღაც მქონდა შეგნებული, რომ გლეხის ჩამომავლობისა გახლდით და თქვენს კეთილშობილებას არავითარი გზით არ შევეფერებოდი; ის მდგომარეობა, რომელშიაც თქვენთან ვიმყოფებოდი, ჯერ თქვენს და მერე ღვთის წყალობად მიმაჩნდა, მაგრამ ეს მდგომარეობა სამუდამოდ ბოძებულად არ მიმიჩნევია, არამედ ვითომც ჩემთვის გეთხოვებინოთ; საკმარისია უკან დაბრუნება ინებოთ, მეც უნდა მესიამოვნოს და მესიამოვნება კიდეცა ამ მდგომარეობის დაბრუნება: აი, ბატონო, თქვენი ბეჭედი, რომლითაც მე დამნიშნეთ, მიირთვით, ასემც მტლად დაგედებით. თქვენ მიბრძანებთ — უკანვე წავიღო ჩემი მოტანილი მზითევი, ამისთვის თქვენ არ დაგჭირდებათ წასაღები ქირის გადახდა და აღარც მე დამჭირდება ხურჯინი თუ საბაგირო ცხენი, რადგან ჯერ არ დამვიწყნია, რომ დედიშობილა წამომიყვანეთ. და უკეთუ თქვენ სასირცხვილოდ არ მიიჩნევთ, რომ ის სხეული, რომლითაც მე თქვენს მიერ ჩასახული შვილები მიტარებია, ყველამ დაინახოს, ნება თქვენი გახლდეთ, შიშველი გეახლებით, მხოლოდ ჯილდოდ ჩემი უბიწოებისა, რომელიც აქ მომიტანია და უკან აღარ მიმაქვს, გთხოვთ ინებოთ, ჩემს მზითევს გარდა, ერთი პერანგი მაინც გამატანონ“.

გვალტიერი თავს ძლივს იკავებდა ტირილისაგან, მაგრამ მაინც მრისხანე სახით იდგა

და უთხრა: „კარგი, ერთი პერანგი წაიღე!“ ვინც კი ახლოს იდგა, ყველამ დაუწყო თხოვნა — კაბაც მიეცა, რათა ის ადამიანი, ვინც ცამეტ წელიწადზე მეტ ხანს მის ცოლად იყო, მისი სახლიდან ასე ღარიბულად და სასირცხვილოდ, პერანგის ამარა გამომავალი, არვის ენახა. მაგრამ ყოველივე ხვეწნა ამაო შეიქნა. ასე რომ, ქალმა ყველას თავი შეავედრა და პერანგა, ფეხშიშველა და თავდაუხურავი სახლიდან გამოვიდა და მამას დაუბრუნდა.

გრიზელდა ვინც კი ნახა, ყველა იმის საცოდაობით იწვოდა და ცხარე ცრემლით იმდუღრებოდა. ჯანუკოლემ (რომელსაც თავის დღეში არა სჯეროდა მისი ქალი გვალტიერის ცოლად გაეხადა და ყოველდღე მოელოდა ასეთ ამბავს) შეუნახა ის ტანისამოსი, რომელიც ქალმა გაიხადა გვალტიერიზე დანიშვნის დილას. ამიტომ, როცა მოუტანა მამამ, ქალმა ჩაიცვა და მიჰყო ხელი წვრილ საოჯახო საქმეებს მამის სახლში, როგორც წინათ უკეთებია და მხნედ შეუდგა ეტვირთა მტრად გადაკიდებული უბედო ბედის ჭაპანი.

როცა გვალტიერიმ ყოველივე ეს მოაწყო, თავისიანებს დაანახვა, ვითომც პანაგოს ერთ— ერთი კონტის ქალი მოჰყავდა ცოლად, საქორწილოდ დიდ მზადებას შეუდგა, მერე გრიზელდა დაიბარა. ქალი რომ მოვიდა, გვალტიერიმ უთხრა: „სახლში უნდა მოვიყვანო ახლად შერთული ქალი და ახალმოსულს მინდა პატივისცემით დავუხვდე. ხომ იცი, სახლში არავინა გვყავს, რომ ოთახები მიალაგოს და სხვა რამეებიც გააკეთოს, რაც ასეთი საქორწილო დღისათვის საჭიროა, და რადგან სახლში შენებრ არავინ იცის ესა, ყველაფერი, რაც საჭიროა, წესსა და რიგზე დაალაგე, ავრეთვე დაპატიჟე ქალები, ვისი დაპატიჟებაც საჭიროდ მიიჩნიო, და ისე დაუხვდი, ვითომც დიასახლისი იყო. მერე, ქორწილი რომ გათავდება, შეგიძლია, შენს სახლში დაბრუნდე“.

მართალია, ეს სიტყვები გრიზელდას ლახვარივით ჩაესო გულში, რადგან არც იმდენად აეღო ხელი მის სიყვარულზე, რამდენადაც თავის ბედნიერებაზე აიღო ხელი, მაგრამ მაინც უპასუხა: „ჩემო ხელმწიფევ, ბატონი ბრძანდებით და მზად გახლავართ, შევასრულო ყველაფერი თქვენი სურვილისამებრ“. ესა თქვა და ტლანქი რომანუოლის მაუდისაგან შეკერილი ტანისამოსით შევიდა იმ სახლში, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ პერანგის ამარა გამოვიდა, დაუწყო ოთახებს გამოგვა და მილაგება, დარბაზებში ხალიჩები ჩამოაკიდებინა და ძირსაც საფენები გააშლევინა, სამზარეულოში საჭმელების დამზადების თადარიგს შეუდგა, და თითქო სულ უკანასკნელი მოახლე ყოფილიყო, ყველაფერზე ხელი მიუწვდა. და მანამდე არ მოისვენა, სანამ ყველაფერი არ დაამზადა და საჭირო განკარგულება არ გასცა. ამის შემდეგ გვალტიერის სახელით დაპატიჟა მთელი იმ მხარის მანდილოსნები და დაუწყო ლოდინი ქორწილს. ხოლო ქორწილის დღე რომ დადგა, თუმცა ტანთ ფლასები ემოსა, სამაგიეროდ დიდკაცური სულით და ნატიფი ზრდილობით თავაზიანად მიეგება ქორწილზე მოსულ მანდილოსნებს.

გვალტიერი თავის შვილებს გულმოდგინებით აზრდევინებდა ბოლონიაში ერთ ნათესავ ქალს, რომელიც გათხოვილი იყო პანაგოელი კონტების ოჯახში. ქალიშვილი უკვე თორმეტი წლისა შესრულდა და კაცის თვალს რომ არ უნახავს, ისეთი ლამაზი იყო, ხოლო ვაჟი — ექვსისა. ბოლონიაში თავის ნათესავს კაცი გაუგზავნა და სთხოვა წამოეყვანა მისი ქალ-ვაჟი სალუცოში, თან გამოეყოლებინა საუკეთესო და საპატიო მხლებლები და ყველასათვის ეთქვა — ეს ქალი მიმყავს გვალტიერის საცოლედო, მისი ნამდვილი ვინაობა კი არამც და არამც არავისთვის გაემხილა.

კეთილშობილი ნათესავი გამოეწყო, როგორც მარკიზმა სთხოვა, დაადგა გზას და რამდენიმე დღის შემდეგ ქალ-ვაჟიანად და საპატიო ამალიანად სალუცოში სწორედ სადილობისას ჩავიდა. აქ დაუხვდნენ ყველა ადგილობრივი მცხოვრებნი და მახლობელი მეზობლები, რომლებიც გვალტიერის ახალ საცოლეს მოელოდნენ. პატარძლს მანდილოსნები მოეგებნენ, მერე შემოვიდა დარბაზში, საცა სუფრა იყო გაშლილი. აქ გრიზელდა, როგორც იყო ჩაცმული, ისე მხიარულად მიეგება და უთხრა: „ბედნიერი იყოს შენი მობრძანება, ჩემო ქალბატონო!“ მანდილოსნებმა (ამათ ბევრი სთხოვეს გვალტიერის, მაგრამ ამაოდ — გრიზელდას ნება მიეცით, სადმე ოთახში დარჩეს ანდა ერთ-ერთი მისეული კაბა მაინც ათხოვეთ, რომ ასე ჩაცმული აღარ გამოჩნდეს თქვენს უცხო სტუმრებთანო) სუფრაზე ადგილები დაიჭირეს და მოსამსახურეებმა საჭმელების მირთმევა დაუწყეს. ყველანი ათვალიერებდნენ ქალიშვილს და გაიძახოდნენ — გვალტიერის მართლა რომ კარგ ვინმეზე გაუცვლია თავისი ცოლიო, მაგრამ სხვათა შორის მეტად აქებდა ქალიშვილს და მის პატარა ძმას გრიზელდა.

გვალტიერი, ეტყობოდა, სავსებით დარწმუნდა, იმდენად, რამდენადაც ესა სწადდა, თუ რა ზომის მოთმინება შესძლებია მის მეუღლეს. ხედავდა, რომ რაც უნდა ახალი რამ ყოფილიყო, ნირს ვერ აცვლევინებდა და თან დარწმუნებული იყო, რომ გრიზელდას ეს სუსტი ჭკუისაგან კი არ მოსდიოდა, რადგან იცოდა მისი დიდი სიბრძნის ამბავი. ამიტომ გადაწყვიტა: ახლა კი დროა, ვაკმარო ქალს ამდენი მწუხარება, რომელსაც, როგორც თვითონ ფიქრობდა, ქალი თავის ურყევი და მტკიცე სახის ქვეშ ჰფარავდაო. ამიტომ მოიხმო და ყველას წინაშე ღიმილით უთხრა: „როგორ მოგწონს ჩვენი პატარძალი?“ – „ჩემო ხელმწიფევ, — უპასუხა გრიზელდამ, — მე ძალიან მომწონს, და თუ იმდენადვე ჭკვიანია, რამდენადაც ლამაზი, რაშიც დარწმუნებული გახლავართ, ეჭვიც აღარ მაქვს, რომ ცოლის მხრივ თქვენისთანა ბედნიერი ბატონი დედამიწაზე მეორე არ იქნება. მხოლოდ, რაც შეიძლება, გთხოვთ. აარიდოთ ამას ის სიმწარენი, რომელიც განაცდევინეთ მეორეს, ოდესღაც თქვენი მეუღლე რომ იყო; მე დარწმუნებული გახლავართ, ეს ქალი ვეღარ გაუძლებს ისეთ ტანჯვას, იმიტომ რომ ეს უფრო ახალგაზრდაა და კიდევ იმიტომ, უფრო სათუთად არის აღზრდილი; პირველი ცოლი კი პატარაობითვე განუწყვეტლივ ჯაფაში იყო“.

გვალტიერი რაკი ხედავდა, — გრიზელდას მართალია, სჯერა, რომ ახალგაზრდა ქალი ჩემი საცოლეა და მაინც კარგის მეტს არაფერს ლაპარაკობს იმის შესახებო, გვერდით მოისვა და უთხრა: „გრიზელდა, დროა მოიმკო შენი ამდენი ხნის მოთმინების ნაყოფი და იმათ, ვისაც მე სასტიკი, უსამართლო და მკაცრი ვეგონე, დაე, გაიგონ, რომ რასაც ვშვრებოდი, იმისათვის ვშვრებოდი, რომ წინასწარ აზრადა მქონდა მესწავლებინა: შენთვის — ცოლობა, იმათთვის — საცოლის არჩევა და მისი შენარჩუნება, ხოლო ჩემთვის — მომეპოვებინა სამუდამო მშვიდობა მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ შენთან ერთად ვიცხოვრებდი, რადგან, როცა ცოლს ვირთავდი, ძალიან მეშინოდა — ამ წადილს ვერ ვეწევი-მეთქი. და სწორედ შენს გამოსაცდელად იყო, რომ ვინ იცის, რადანაირად არ გაწამებდი და შეურაცხგყოფდი. და რადგან მე ერთხელაც კი არ მინახავს, რომ შენ ან სიტყვით ან საქმით მოგენდომებინოს ის, რაც მე არ მეამებოდა, ახლა რაკი მგონია, რომ შენგან ვეღირსები იმ ნუგეშსა და სიტკბოებას, რასაც ვესწრაფვოდი, განზრახვა მაქვს, ერთბაშად დაგიბრუნო ის, რასაც მრავალი წლის განმავლობაში გართმევდი, და უსაზღვრო ალერსიანობითა და სიამტკბილობით მოგირჩინო ის წყლულები, რომლებიც მე გაგიჩინე. ამიტომ მხიარული გულით მიირქვი ის, ვინც ჩემი საცოლე გგონია, და მისი ძმა, როგორც შენი და ჩემი შვილები: ესენი, ვითომც ულმობლად დამეხოცვინებინოს; მე კი შენი ქმარი ვარ, რომელსაც თავს ურჩევნიხარ, და ვფიქრობ, შემიძლია დავიტრაბახო, რომ არა მგონია იყოს ვინმე სხვა, რომ თავის ცოლს, ისე ემადლიერებოდეს, როგორც ვემადლიერები ჩემსას“.

ეს რომ უთხრა გვალტიერიმ, გადაეხვია და გადაკოცნა. ქალს სიხარულისაგან ცრემლები მოერია. მერე ერთად წამოდგნენ და მივიდნენ, საცა იმ ლაპარაკის გაგონებაზე მთლად გაოცებული ქალიშვილი იჯდა, ნაზად აკოცეს მას და აგრეთვე მის ძმას, და როგორც ქალიშვილს, ისე იქ მყოფთ დაანახვეს, როგორც იყო საქმე. მანდილოსნები გახარებულები სუფრიდან წამოდგნენ, გრიზელდასთან ერთად შევიდნენ ცალკე ოთახში და, მისთვის საუკეთესო ბედის მომლოდინეთ, გახადეს ფლასები და ჩააცვეს ერთი მისი საუკეთესო კაბათაგანი, და როგორც ქალბატონი, რადაც ის ფლასებშიაც კი ჩანდა, დარბაზში გამოიყვანეს. აქ გრიზელდამ უზომოდ გაიხარა თავისი ბავშვების ყურებითა, და რადგან ამაზე ყველანი გამხიარულდნენ, იმატა დროსტარებამ და დღესასწაულობამ და რამდენსამე დღეს გასტანა. ხოლო გვალტიერის ყველანი უუბრძნეს კაცადა სთვლიდნენ, თუმცა იმასაც დასძენდნენ, თავის ცოლს მეტად სასტიკად და უდიერად მოექცაო. ყველაზე მეტად ბრძნად გრიზელდა მიაჩნდათ.

კონტი პანაგო რამდენსამე დღეს უკან ბოლონიაში დაბრუნდა, ხოლო გვალტიერიმ ჯანუკოლეს თავისი სამუშაოსათვის თავი დაანებებინა და, როგორც სიმამრი, კარგ საქმეში ჩააყენა. ასე რომ, პატიოსნად და ტკბილად ცხოვრობდა და ასე განლია თავისი დღენი. შემდეგ გვალტიერიმ თავისი ქალი ერთ დიდი გვარის კაცს მიათხოვა, თვითონ კი ტკბილად

დიდხანს ატარებდა ცხოვრებას გრიზელდასთან, რომელსაც თავს ევლებოდა და მის სიამტკბილობაში სული ამოსდიოდა. რა შეგვიძლია ამის გამო ვთქვა, თუ არ ის, რომ ღარიბულ ქოხებშიაც შესაძლოა ჩამოვიდნენ ზეცით ღვთაებრივნი სულნი, ისე როგორც სამეფო სრა-სასახლეებშიაც ჩამოდიან ხოლმე ისეთნი, რომელთათვის ათასწილ უკეთესი იქნებოდა, კაცს ღორები მიებარებინა სამწყემსავად, ვიდრე ნება მიეცა ადამიანებზე ებატონათ ხოლმე?! ვის შეეძლო, თუ არ გრიზელდას, არათუ ცრემლით დაუნამავი, არამედ მხიარული სახით დაეთმინა ის ულმობელი და წარმოუდგენელი პატიჟნი, რაც გვალტიერიმ მიაყენა? გვალტიერიზე ოღონდაც რომ ახი იქნებოდა, გადაჰკიდებოდა ისეთ ქალს, რომელსაც, როცა სახლიდან პერანგის ამარა გააძევებდა, გადაეწყვიტა ეპოვნა სხვა ვინმე და ამისათვის ისე დაებერტყინებინა თავისი ქურქი, რომ იქიდან კარგი საკაბე გამოსვლოდა.

***

დიონეომ გაათავა თავისი ამბავი. ქალებმა გული იჯერეს ამაზე ლაპარაკით, ზოგმა რა თქვა და ზოგმა რა, ზოგი ერთ რამეს აქებდა, მეორე ჰგმობდა. ამ დროს წამოდგა მეფე, აიხედა ცისკენ და დაინახა, რომ მზე უკვე საღამო ხანისაკენ დახრილიყო. ადგილიდან არც კი ამდგარა, ისე დაიწყო ლაპარაკი: „ნატვრისთვალნო! მე ვფიქრობ, თქვენ მოგეხსენებათ, რომ ადამიანის ჭკუა მარტო იმით კი არ გამოიხატება, რომ ახსოვდეს ხოლმე უკვე წარსული ამბავი, ანდა შეიგნოს აწინდელი, არამედ ბრძენ ხალხს უდიდესი ჭკვიანობის ნიშნად მიაჩნია ამა თუ იმ გზით გაითვალისწინოს ხოლმე მომავლის ამბები. როგორც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ხვალ თხუთმეტი დღე იქნება მას აქეთ, რაც ჩვენ იმისთვის, რომ ჩვენი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ცოტათი გავრთობილიყავით, თავი აგვერიდებინა ურვათა, სულთქმათა და შეწუხებისათვის, რომლებიც გამოულეველი იყო ჩვენს ქალაქში მას შემდეგ, რაც შავი ჭირი გაჩნდა — ფლორენციიდან გამოვედით, ჩემის აზრით, აქ ყოფნის დროს მართებულობის წესები არ დაგვირღვევია, იმიტომ, რომ, რამდენადაც მე შემიმჩნევია, თუმცა აქ მხიარული და, შეიძლება, ტრფიალების აღმძვრელი ამბებიც ითქვა, და ჩვენც სულ მუდამ კარგადა ვჭამდით და ვსვამდით, ვუკრავდით და ვმღეროდით, რაიცა სულით სუსტ ადამიანთ, საზოგადოდ, აღატყენს ხოლმე ნაკლებ პატიოსანი საქმის ჩასადენად. მიუხედავად ამისა, მე არ შემიმჩნევია არც ერთი მოძრაობა, არც ერთი სიტყვა და, საერთოდ, არაფერი არც თქვენის მხრით და აღარც ჩვენის მხრით, რაც დაგმობის ღირსი ყოფილიყოს; ასე მგონია, მხოლოდ პატიოსნებას, განუწყვეტელ თანხმობას, განუწყვეტელ ძმურ სიყვარულს ვხედავდი და ვისმენდი-მეთქი. ეს კი, ცხადია, ჩემთვის მეტად სასიამოვნოა და ამასთან სასახელო და სასარგებლოცაა როგორც თქვენთვის, ისე ჩემთვის.... ამიტომ, რათა ხანგრძლივმა ჩვეულებამ ისეთი რამ არ წარმოშვას, რომელიც, შეიძლება მოწყენილობად იქცეს, და რათა ვისმე საბუთი არ მივცეთ გაჰკილოს ჩვენი აქ ხანგრძლივი ყოფნა, რადგან ყოველმა ჩვენგანმა თავის ხვედრ დღეში თავისი წილი პატივისა, რომელიც მე ჯერ კიდევ არ

გამშორებია, უკვე მიიღო, მე მგონია, თუ თქვენი თანხმობაც იქნება, რიგიანი იქნებოდა, დავბრუნდებოდეთ იქ, საიდანაც მოვსულვართ. იმისას ნუღარ იტყვით, რომ თუ კარგად დაუკვირდებით, ჩვენი წრე, რომლის ამბავი გარშემო ბევრს ვისმე გაუგია, შიძლება ისე გაიზარდოს, რომ ყოველი ჩვენი სიამოვნება გაქრეს. ამიტომ, თუ თქვენ ჭკუაში დაგიჯდებათ ჩემი რჩევა, მე არ მოვიშორებ ჩემდა მოცემულ გვირგვინს ჩვენს წასვლამდე, რაც განზრახვა მაქვს, ხვალ მოვახერხო; თუ თქვენ სხვაფრივ დაადგენთ, მე უკვე მზადა მყავს ის, ვისაც შემდეგი დღისათვის გვირგვინს დავადგამ“.

ამაზე ბევრი ილაპარაკეს მანდილოსნებმა და ყმაწვილებმა, მაგრამ ბოლოსა თქვეს — სასარგებლო და მართებული იქნება მეფის რჩევა დავიჯეროთო და დაადგინეს მოქცეულიყვნენ ისე, როგორც მან ურჩია. ამიტომ ამან დაუძახა სინისკალკოს, მოელაპარაკა, თუ რა უნდა გაეკეთებინა მეორე დილას, ხოლო ვახშმობამდე წრე დაითხოვა და ზეზე წამოდგა. წამოდგნენ ქალები და სხვები, და როგორც ჩვეულებადა ჰქონდათ, ზოგი რით გაერთო და ზოგი რით. ვახშმობა რომ დადგა, სუფრას დიდი სიამოვნებით მოუსხდნენ, ნავახშმევს კი დაიწყეს სიმღერა, დაკვრა და თამაში. როცა ლაურეტა თამაშობას ჩაუდგა ხელმძღვანელად, მეფემ ფიამეტას უბრძანა, ერთი კანცონა რამე იმღერეო და იმანაც ტკბილი ხმით ასე დააღიღინა: სიყვარულსა რომ ეჭვები ძლიერი

თან არ ახლდეს, ვიქნებოდი უთუოდ მე ამ ქვეყნად ყველაზე ბედნიერი. თავმომწონე ტავის ახალგაზრდობით

საყვარლებო, ჩვენ რომ გვევლინებიან.

ან გვხიბლავენ თავისი ტანადობით, ან სიფიცხის დაშრეტას გვპირდებიან, ჭკუით, ზნითა, ტკბილი მეტყველებითა, ან სხვა მადლით ჩვენს გულს ეუფლებიან.

მე ვარ, ვისაც სატრფო თვისი ვნებითა ბევრ წყალობას, ლხენას დაჰპირებია.

მაგრამ ჩემებრ ჭკუიანი, ცხადია, აღმოჩნდება ბევრი სხვა ქალთაგანი, და ვშიშობ, რომ მათაც ეგებ სწადიათ

მიიზიდონ ჩემი ტრფობის საგანი. მაშინ, რაც გულს მივსებს ბედნიერებით

ეგებ იგი გამომტაცონ ხელიდან, და, ტყვექმნილმა სხვა ქალის ცბიერებით, აღმავსოს მე სევდით და ნაღველითა.

თუკი სატრფო ერთგული და წყნარია, რას მიქვიან ეჭვის ცეცხლის მგზნებელი? მაგრამ ვხედავ, რა მაცდურნიც არიან, მათი ნდობა არის შეუძლებელი.

ამის გამო გულით ლახვარს ვევები, ტანჯვისაგან მე აზრები მერევა, შიში მიტანს, რომ ხელიდან ეგების

გამომტაცოს ბედმა ბედნიერება.

ღმერთსა ვფიცავ, ქვეყნად რაც ქალებია, თუ ფიქრობენ მომაყენონ ზიანი, თუ მათ მიერ მე მახე დამგებია, თუ სიტყვით, ან ქცევით ალერსიანით

სურთ, მოხიბლონ ჩემი შეყვარებული, თუნდაც ვიყო მე მახინჯი სრულებით, ისე დავსჯი მტერს გულგაცეცხლებული, რომ თვალთაგან ცრემლი ღვაროს ულევი.

ფიამეტამ თავისი კანცონა რომ გაათავა, დიონეომ, რომელიც გვერდით უდგა, სიცილით უთხრა: „ყველას ძალიან ასიამოვნებდით, რომ ეტყოდეთ თქვენი სატრფოს ვინაობას, რომ უცოდინარობით არ დაგეცილონ ქონებას, რადგან ვინც წართმევას მოგინდომებთ, ძალიან ურისხდებით ხოლმე“.

ამის შემდეგ სხვა კანცონებიც იმღერეს, და რადგან უკვე თითქმის შუაღამეს მიტანებული იყო, მეფესა ნებავდა, ყველანი მოსასვენებლად წასულიყვნენ.

ახალი დღე რომ გამოჩნდა, ყველანი ადგნენ, სინისკალკომ ყველაფერი ბარგი გაგზავნა, კეთილგონიერი მეფე წინ გაუძღვა და ყველანი გაემართნენ ფლორენციისაკენ. სამმა ახალგაზრდა კაცმა შვიდი ქალი სანტა მარია ნოველაში დატოვა, საიდანაც მათთან ერთად წამოვიდნენ, და თვითონ კი სხვა გასართობების ძებნას შეუდგნენ. ქალები კი, როცა ეს შესაძლებლად დაინახეს, თავ-თავიანთ სახლებში წავიდნენ.

ავსტორის დასკვნა

კეთილშობილნო ასულნო! თქვენს ლხენად და ნუგეშად ხელვყავ ასეთი გაჭიანურებული შრომა. ვფიქრობ, ღვთის მოწყალებით, რომელიც მე, უღირსს, თქვენი კეთილმსახურის ვედრებით გარდმომევლინა საშველად, სავსებით აღვასრულე ის, რის გაკეთებაც ამ შრომის დასაწყისში აღვითქვით. ამისთვის მადლობა უნდა შევწირო ჯერ უფალსა და მერე თქვენ და დასვენება მივანიჭო კალამს და ჩემს დამაშვრალ ხელსა.

მაგრამ კალამსა და ხელს სანამ მოსვენების ნებას დავრთავდე, განზრახული მაქვს მოკლედ ვუპასუხო ზოგ იმ შესიტყვებას, რაიცა შეიძლება ზოგ თქვენგანს ან სხვებს აღეძრას რაიმე გაუგებრობის გამო (თუმცა მე სავსებით დარწმუნებული გახლავართ, რომ ჩემი ნაწერი არ უნდა იწვევდეს მეტ გაუგებრობას, ვიდრე სხვათა თხზულებანი. მე, როგორც მახსოვს,

მეოთხე დღის დასაწყისში, დავამტკიცე კიდეც ეს).

იქნება ზოგმა თქვენგანმა თქვას, რომ ვითომც მე ამ ამბების წერის დროს ჩემი თავისთვის მეტისმეტი თავისუფლება მიმეცეს, მაგალითად, ზოგჯერ ქალებისათვის მეამბებინოს და უფრო ხშირად მომესმენინებინოს ისეთი ამბები, რომელთა არც მბობა და არცა მოსმენა პატიოსან მანდილოსანთ არ შეეფერებათ. ამას მე უარვყოფ, იმიტომ რომ, რაც უნდა უხამსი ამბავი იყოს, თუ შესაფერი სიტყვებით გამოვთქვამთ, ყველას მოესმენინება; და ეს კი, მე მგონია, როგორც ჯერ-იყო, ისე შევასრულე. მაგრამ წარმოვიდგინოთ, ვითომც ასე გახლდეთ საქმე (რადგან განზრახვა არა მაქვს თქვენ გამოგედავოთ, ვინაიდან თქვენ მაჯობებდით); ვამბობ, რომ იმის განსამარტებლად, თუ ეს ასე რადა ვქენი, მე საკმაო საბუთები მაქვს მზად.

პირველ ყოვლისა, თუ რომელსამე ამბავში ასეთი რამ არის, არის იმიტომ, რომ ამას მოითხოვდა თვით ხასიათი ამბებისა. თუ ამ ამბებს შეგნებული ადამიანის თვალებით შეხედავთ, ცხადი იქნება, რომ სხვაფრივ მათი მბობა შეუძლებელიც იქნებოდა (თუ არ მოვინდომებდით მათთვის შესაფერი ფორმა ჩამომეცილებინა). თუ იქნება მათში იყო მცირე რამ ისეთი, რაიმე სიტყვა, იმაზე უფრო უწმაწური, ვიდრე შეეფერება წმიდან ქალებს, რომლებიც უფრო სიტყვებს ჩაჰყვებიან ხოლმე რჯულამდე, ვიდრე საქმესა, და რომელნიც ცდილობენ უფრო მოაჩვენონ თავი წმიდანად, ვიდრე არიან, — უნდა მოგახსენოთ, რომ მე უფრო მეპატიება ამის დაწერა, ვიდრე კაცებსა და ქალებს ეპატიებათ საზოგადოდ ყოველდღე ლაპარაკი ნახვრეტზე და დასაცობზე, ფილზე და ფილთაქვაზე, სალსიჩიაზე და ძეხვზე და მათს მსგავს რამეებზე. იმისას აღარას ვამბობ, რომ ჩემს კალამს, საცა სამართალია, მხატვრის ყალამზე ნაკლები უფლება არ უნდა ჰქონდეს. როგორც მოგეხსენებათ, მხატვარი არ დაგიდევთ სხვის ყვედრებას, თუნდაც სამართლიანს, და არამცთუ მიქელ მთავარანგელოზს მახვილით ან შუბით განაგმირვინებს გველსა, წმ. გიორგის — გველეშაპსა, საცა მოხვდება იმ ადგილას, არამედ, იესო ქრისტეს მამაკაცადა ხატავს, ევას — ქალად, ხოლო თვით უფალს, რომელმაც ინება კაცობრიობის სახსნელად ჯვარზე განეტევებინა სული, ხატავს ისე, რომ ხან ერთი და ხანაც ორი სამსჭვალით მიუმსჭვალავს ჯვარზე ფეხებს. გარდა ამისა, ყველასათვის აშკარაა, რომ ყველა ეს ამბები ითქვა არა ეკლესიაში, რადგან ეკლესიის საქმეთა შესახებ უნდა ვილაპარაკოთ გულის სიწმიდითა და წმიდა სიტყვებით (თუმცა მის ისტორიაში აუარებელი ამბები გვხვდება ისეთი, რომ ჩემი დაწერილი ამბები მათთან შედარებით მონაგონია), არც ფილოსოფიის სკოლებში, სადაც მართებულობა არანაკლებ საჭიროა, ვიდრე სადმე სხვა ადგილას, აღარც სადმე სასულიეროთა ან ფილოსოფოსთა შორის, — არამედ ითქვა ბაღებში, გასართობ ადგილას, ახალგაზრდა ქალთა შორის, თუმცა ეს ქალები უკვე მოწიფულები იყვნენ და მათი გადმობირება ასეთი ამბებით არ შეიძლებოდა; მერე ისეთ ჟამს, ოდეს თვით მეტად პატივცემულ გვამთათვის უზრდელობად არ ითვლებოდა გაჭირვების

დროს თავის გადარჩენისათვის პერანგის ამხანაგი თავზე მოეხვიათ და ისე ევლოთ.

ეს ამბები, სულ ერთია, როგორებიც უნდა იყვნენ, შეიძლება მავნებელიც იყოს და სასარგებლოცა, როგორც სხვა ყველაფერი, ოღონდ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ მსმენელი ვინ არის. აბა ვინ არ იცის. რომ ღვინო ყველა სულიერისათვის საუკეთესო რამაა, როგორც ამას ამბობენ ჩინჩილიონე, სკოლაიო და ბევრი სხვანი, მხოლოდ ვისაც აციებს, იმისთვის მაწყინარია. აქაო და ციებისათვის მავნებელიაო. ვინ იტყვის — ღვინო ცუდიაო?! ვინ არ იცის, თქვენს ლხენას, რომ ცეცხლი მეტად მარგებელია, აუცილებელიცაა მოკვდავთათვის? და აქაო და ცეცხლისაგან იწვის სახლები, სოფლები და ქალაქებიო. განა ამას ვიტყვით — ცეცხლი მავნებელიაო?! მსგავსადვე, იარაღი იცავს კეთილსვიანობას იმათსას, ვისაც სწადს მშვიდობიანად ცხოვრება, მაგრამ იგივე იარაღი ხშირად ადამიანსაც კლავს, მაგრამ იმიტომ კი არა, ვითომ იარაღი მავნებელი იყოს, არამედ ბრალი იმისია, ვინც მას ბოროტად ხმარობს. ჯერ არ გაგონილა, რომ რომელიმე შერყვნილი ჭკუის კაცს საღად გაეგოს თუნდ ერთი სიტყვა, და როგორც ზრდილობიანი სიტყვა ასეთისათვის უხმარია, ისევე მაინდამაინც უზრდელ სიტყვებს არ ძალუძთ შერყვნან რიგიანი ჭკუა ადამიანისა, ან, უკეთ, იმდენად შეუძლიათ შერყვნან, რამდენადაც შეუძლია გასვაროს ტალახმა სხივები მზისა ან მიწიერმა სიბინძურემ ცის მშვენიერებანი. რომელი წიგნებია, რომელი სიტყვებია, რომელი ასოებია უმეტესად წმიდა, უმეტესად ღირსი და უმეტესად საპატიო საღმრთო წერილზე? მაგრამ ხომ იყვნენ ისეთნი, ვისაც შეცდომით ესმოდა ეს საღმრთო წერილი და თვითონაც დაიღუპეს თავი და სხვებიც დაღუპეს!.. ყოველი საგანი თავისთავად რისთვისმე გამოსადეგია, ხოლო თუ იგივე საგანი ცუდად მოიხმარე, შეიძლება ბევრს ავნოს.

ეგევე უნდა ვთქვათ ჩემი ამბების შესახებაც. თუ ვინმემ ინება და ამ ამბებისაგან ცუდი რჩევა ან ცუდი რამ მაგალითი გამოიტანა, თვით ამბები არავის დაუშლის იმას, ვინიცობაა, მათში ცუდი რამე სადმე აღმოჩნდა და ამას დაუწყეს გამოწურვა და გამოწევა იქიდან გამოსატანად; და ვინც ინდომებს, ამ ამბებისაგან სარგებლობასა და ნაყოფს გამორჩეს, ეს ამბები ამის უარსაც არ ეტყვიან და თავის დღეში არ მოხდება ისა, რომ ეს ამბები სასარგებლოდ და მართებულად არ მიიჩნიონ და არ ჩათვალონ, თუ ისინი წაუკითხეს ისეთ დროს და ისეთებს, ვისზედაც და ვისთვისაც ეს ამბები ნაამბობი იყო. ვისაცა ნებავს „მამაო ჩვენო“ იკითხოს ან თავის მოძღვარს ღვეზელი ან ქადა გამოუცხოს, იმან თავი დაანებოს ამ ამბებს, ამბები არავის გამოუდგება უკან და კალთას არ დააგლეჯს — გინდა თუ არა, წამიკითხეთო. თუმცა არიან ისეთნი პირმოთნედ სინმიდის მჩემებელნიცა, ვინც ზოგჯერ ისეთ რასმე მოუთხრობენ და აგრეთვე ისეთ რასმე სჩადიან, რომ დადეგ, თვალებო, და ნუ მოისმენ, ყურებო!..

ისეთებიც გამოჩნდებიან, ვინც იტყვიან, რომ აქ ზოგიერთი ამბავი ისეთია, სულ რომ არ ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდაო. ბატონი ბრძანდებით, მაგრამ მე შემეძლო და მოვალე

ვიყავი ჩამეწერა მხოლოდ ის ამბები, რომლებიც მიამბეს; ამიტომაც იმათ, ვინც ესენი მიამბეს, უნდა ეამბნათ მხოლოდ კარგები, მაშასადამე, მეც კარგებს ჩავწერდი. მაგრამ რომ მოვინდომოთ იმის წარმოდგენა, რომ მე ვიყავი ამ ამბების შემთხზველიცა და გადმომწერიცა (რაც არ არის სწორი), მოგახსენებთ, რომ მე სრულებითაც არ შემრცხვებოდა იმისა, რომ ყველა ამბავი არ გამოვიდა ლამაზი, იმიტომ რომ არ ყოფილა ისეთი ოსტატი, თვინიერ ღმრთისა, რომ ყოველი საქმე კარგად და სრულად გაეკეთებინოს; თვით კარლოს დიდმა, პალადინების პირველმა დამაარსებელმა, იმდენი ვერ გააჩინა ესენი, რომ მარტო ამათგან შეედგინა ჯარი. ჰხამს მრავალ საგანს სხვადასხვა თვისებაცა ჰქონდეს. ვერსად ნახავთ ყანას, რაგინდ კარგად იყოს გამარგლული, რომ შიგ არ შეხვდეთ ჭინჭარს, ნარეკალას და კუროსთავს, საუკეთესო ხორბლეულთან არეულს. თუნდ ნურას ვიტყვით იმისას, რომ როცა სალაპარაკოდ ვემზადებით ახალმოღერებულ უბირ ქალებთან, როგორებიცაა უმეტესობა თქვენგანი, სისულელე იქნება, გამოვუდგეთ და ვეცადოთ გამოვიგონოთ მეტად ნატიფი რამეები და მეტად ვიზრუნოთ ძალზე დახვეწილი სიტყვა-პასუხისათვის. ყოველ შემთხვევაში, ვინც ამ ამბების კითხვას შეუდგება, — რაც ზიზღს მოჰგვრის, აიღოს და განზე გადადოს და წაიკითხოს ის, რაც მოეწონება. რათა არავინ მოტყუვდეს, ყველა ამ ამბავს თავში აწერია ის, რაც მის წიაღში ფარულად დაცულია.

ვფიქრობ, ისეთი ქალიც გამოჩნდება, თქვას: ამ მოთხრობებში ზოგი მეტად გაჭიანურებული ურევიაო. ასეთებს ერთხელ კიდევ მოვახსენებ, რომ ვისაც სხვა საქმე აქვს, გიჟი იქნება ამ ამბების კითხვას შეუდგეს, თუნდაც მოკლე იყოს ეს ამბები. მართალია, დიდი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც ამის წერა დავიწყე, — დღევანდლამდე, როცა ჩემი შრომის ბოლოში უნდა ჩავატანო, მაინც არ დამვიწყნია, რომ ეს ჩემი ნაღვაწი ვუძღვენი მოცლილებს და არა სხვებს ვისმე; ხოლო ვინც დროის გასატარებლად კითხულობს, იმისთვის არ შეიძლება რამე გაჭიანურებული იყოს, თუ რასაც კითხულობს, მოთხოვნილებას უკმაყოფილებს. მოკლე ამბები უფრო საფერია მოსწავლეთათვის, რომელნიც იღვწიან არა დროს გასატარებლად, არამედ იმისათვის, რომ დრო ნაყოფიერად მოიხმარონ ხოლმე, ვიდრე თქვენისთანა ქალებისათვის, რომელთაც დრო იმდენი გრჩებათ, რამდენიც ალერსისა და არშიყობისათვის არ მოგიხმარებიათ და რადგან თქვენგანი არავინ მიდის სასწავლებლად არც ათენში, არც ბოლონიაში და აღარც პარიზში, ჰხამს თქვენ უფრო დაწვრილებით გელაპარაკოთ კაცი, ვიდრე იმათ, ვისაც თავისი ჭკუა მეცნიერებით აქვს განმახული.

მე სრულებით არ ვეჭვობ, რომ ისეთებიც გამოჩნდებიან, ვინც იტყვიან, რომ ამბები მეტად გავსებულია სიტყვის მასალებით და კვიმატი სიტყვებით და სრულებით არ შეეფერება ჭკუადამჯდარ და დარბაისელ კაცს ასეთების წერაო. ასეთებს, ვალდებული ვარ შევწირო და ვწირავ კიდეცა დიდ მადლობას, რომ კეთილსურვილით შეგულიანებულნი, ზრუნავენ ჩემი სახელისა და დიდებისათვის. მაგრამ მათს შესიტყვებას ასე მინდა პასუხი გავცე: ვაღიარებ,

რომ ანაწონი ვარ და ეს ჩემს სიცოცხლეში ბევრჯერ მომხდარა, და ამიტომ მივმართავ იმ ქალებს, ვისაც არ ავუწონივარ და ვამტკიცებ, რომ მძიმე არა ვარ; ის კი არა, — იმდენად მსუბუქი ვარ, წყალში არ ვიძირები ხოლმე; და თუ ანგარიშში ჩავაგდებთ იმას, რომ ჩვენს დროში მღვდლების ქადაგებანი, ადამიანთა მიმართ მიმართულნი მათ შეცოდებათათვის, სავსენი არიან კვიმატი სიტყვებით, სიტყვის მასალებითა და სასაცილო ხუმრობებითა, მე განვსაჯე, რომ ყოველივე ეს უადგილო არ იქნება ჩემს ამბებშიც, რომელნიც იმ აზრით არიან დაწერილნი, რომ გაამხიარულონ ცუდ გუნებაზე მყოფი ქალები-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა სიცილი მეტი მოუვიდათ ამ ამბების კითხვაზე, მათ ადვილად განკურნავს გოდება იერემიასი, ვნებანი მაცხოვრისანი და სინანული მაგდალინასი.

ან ვის შეუვა ეჭვი, რომ კიდევ არ გამოჩნდებიან ისეთები, ვინც იტყვიან, რომ მე ბოროტი ლაპარაკი მემარჯვება და ენაზე ნაღველას ვისხამ და ისე ვიცი ლაპარაკი, იმიტომ რომ ზოგან სიმართლესა ვწერ ხოლმე ბერებზე. ამნაირად მოლაპარაკეებს კაცმა უნდა აპატიოს ხოლმე, იმიტომ რომ არ შეიძლება დავიჯეროთ, რომ მათ სხვა მიზეზი რამ ამოქმედებდეს, თვინიერ სიმართლისა, რადგან ბერები გულკეთილები არიან, გაჭირვებას გაურბიან ღვთის სიყვარულის გულისათვის, ფქვავენ ზედმეტი ჭირნახულისაგან და ეს არც წამოსცდებათ ხოლმე; და ამათ ყველას თხის სუნი რომ არ ასდიოდეთ, მათთან ურთიერთობა ძალიანაც სასიამოვნო იქნებოდა. მე მაინც ვაღიარებ, რომ ამქვეყნიური არაფერია მუდმივი, არამედ მარადჟამ ირყევა, რაც, შეიძლება, ჩემს ენასაც დაემართა: ერთმა ჩემმა მეზობელმა ქალმა (მე სხვის მსჯელობას არ ვუჯერებ და ვცდილობ განვერიდო მას ყველაფერში, რაც ჩემს თავს შეეხება) სულ ახლახან მითხრა — ქვეყანაზე შენისთანა საუცხოო და ტკბილი ენა სხვას არავისა აქვსო; და მერწმუნეთ, როცა მან ეს მითხრა, სულ რამდენიმე ამბავიღა დამრჩენოდა დასაწერი. და ამიტომ მე მინდა, რომ ეს იყოს პასუხი იმათთვის, ვინც ჩემდამი ასე მტრულად განწყობილნი აზრისანი არიან.

ახლა კი, ვისაც რა ენებოს, ისა ბრძანოს და ის იფიქროს, და ისე კი დროა საზღვარი დავუდოთ სიტყვებს და ლმობიერად აღვავლინოთ მადლობა იმისადმი ვინც ამდენი შრომის შემდეგ შეწევნითა თვისითა მოგვიყვანა სანატრელ დასასრულამდე.

ხოლო თქვენ, სასურველნო ბანოვანნო, მოწყალებითა ღვთისათა, მშვიდობით იმყოფებოდეთ და მომიგონებდეთ ხოლმე, თუ ვინიცობაა, ვისმე თქვენთაგანს რამეში გამოადგა ამისი კითხვა.

აქ თავდება მეათე და უკანასკნელი დღე წიგნისა, რომელსაცა ჰქვია დეკამერონი ანუ თავადი გალეოტო.

თარგმანი იტალიურიდან თეედო სახოკიასი

სარჩევი

პირველი დღე 1
ამბავი პირველი. ყალბი აღსარება 16
ამბავი მეორე. მონათლული ებრაელი 28
ამბავი მესამე. სამგვარი სარწმუნოება 31
ამბავი მეოთხე. აცდენილი სასჯელი 34
ამბავი მეხუთე. მარკიზას ვარიები 37
ამბავი მეექვსე. „ასწილად მიიღოს“ 39
ამბავი მეშვიდე. პრიმასოს სამი პური 42
ამბავი მერვე. გვილელმო ბორსიერე 45
ამბავი მეცხრე. კვიპროსის მეფე 48
ამბავი მეათე. პრასის თავი 49
მეორე დღე 54
ამბავი პირველი. ნეტარი არიგო და ხუმარა 55
ამბავი მეორე. ლოცვა წმ. ჯულიანოსი 59
ამბავი მესამე. ინგლისის მეფის ასული 64
ამბავი მეოთხე. მეკობრე ვაჭარი 72
ამბავი მეხუთე. მთავარეპისკოპოსის ბეჭედი 76
ამბავი მეექვსე. მადონა ბერიტოლას თავგადასავალი 86
ამბავი მეშვიდე. გარბოს მეფის საცოლე 98
ამბავი მერვე. უდანაშაულოს გამართლება 116
ამბავი მეცხრე. დასჯილი მატყუარა ანუ გამარჯვებული ცოლი 129
ამბავი მეათე. მოხუცებულების კალენდარი 139
მესამე დღე 149
ამბავი პირველი. მონასტრის მებაღე 151
ამბავი მეორე. მეფის მეჯინიბე 158
ამბავი მესამე. შეყვარებული ქალი და აღსარება 162
ამბავი მეოთხე. მომნანიებელი ქმარი ანუ სამოთხის გზა 169
ამბავი მეხუთე. პენწენიკი 174
ამბავი მეექვსე. საყვარლის ეშმაკობა 179
ამბავი მეშვიდე. მწირი 186
ამბავი მერვე. მკვდრეთით აღდგომილი 201
ამბავი მეცხრე. ჯილეტა ნერბონელი 209
ამბავი მეათე. ეშმაკი ჯოჯოხეთში 217
მეოთხე დღე 224
ამბავი პირველი. სალერნოელი საყვარლები 230
ამბავი მეორე. გაბრიელ მთავარანგელოზი 239
ამბავი მესამე. ეჭვიანობის შედეგი 247
ამბავი მეოთხე. ჯერბინო 253

ამბავი მეხუთე. ერთგული საყვარელი და გულქვა ძმები 257
ამბავი მეექვსე. ორი სიზმარი 261
ამბავი მეშვიდე. სიმონა 267
ამბავი მერვე. სიყვარულის სამჭედლო 271
ამბავი მეცხრე. საზარელი ვახშამი 275
ამბავი მეათე. დასაძინებელი წამალი 278
მეხუთე დღე 290
ამბავი პირველი. ჩიმონე 291
ამბავი მეორე. დაჯილდოებული ერთგულება 300
ამბავი მესამე. პიეტრო ბოკამაცა 306
ამბავი მეოთხე. ბულბული 312
ამბავი მეხუთე. ორი მოქიშპე 316
ამბავი მეექვსე. ბედნიერი შეხვედრა 321
ამბავი მეშვიდე. ვიოლანტე 326
ამბავი მეცხრე. შავარდენი 332
ამბავი მეათე. მოტყუებული და ნუგეშცემული ქმარი 338
მეექვსე დღე 349
ამბავი პირველი. უგერგილო ამბავი 351
ამბავი მეორე. მეპურე ჩისტი 352
ამბავი მესამე. მონნა ნონა 355
ამბავი მეოთხე. კიკიბიოს წეროები 357
ამბავი მეხუთე. მესერ ჯოტო 359
ამბავი მეექვსე. ბარონჩების კეთილშობილება 361
ამბავი მეშვიდე. მადონა ფილიპა 362
ამბავი მერვე. ფრესკო და ჩელატიკო 365
ამბავი მეცხრე. გვიდო კავალკანტი 366
ამბავი მეათე. წმიდანების ნაწილები 368
მეშვიდე დღე 380
ამბავი პირველი. მოჩვენება 381
ამბავი მეორე. პერონელა ანუ მიხვედრილი ქალი 385
ამბავი მესამე. მუცლის ჭიის შელოცვა 388
ამბავი მეოთხე. ჭა 393
ამბავი მეხუთე. მეაღსარებე ქმარი 397
ამბავი მეექვსე. ორმაგი დამარცხება 404
ამბავი მეშვიდე. მოტყუებული, ნაცემი და მაინც კმაყოფილი ქმარი 407
ამბავი მერვე. გამართლებული ცოლი 412
ამბავი მეცხრე. მოჯადოებული მსხლის ხე 418
მერვე დღე 434
ამბავი პირველი. მოტყუებული ვერცხლმოყვარე ქალი 434

ამბავი მეორე. გაიძვერა მღვდელი....436
ამბავი მესამე. უჩინმაჩინის ქვა....441
ამბავი მეოთხე. დასჯილი ცუდმედიდა....448
ამბავი მეხუთე. მოსამართლის ძიქვა....452
ამბავი მეექვსე. კალანდრინოს ღორი....455
ამბავი მეშვიდე. ნასწავლი კაცის შურისძიება....460
ამბავი მერვე. მომტყუებლის მოტყუება....478
ამბავი მეცხრე. მაესტრო სიმონე....482
ამბავი მეათე. გაქურდული ქურდი ქალი....494
მეცხრე დღე....505
ამბავი პირველი. გაწბილებული საყვარლები....506
ამბავი მეორე. იღუმენიას ლეჩაქი....511
ამბავი მესამე. დაორსულებული მამაკაცი....513
ამბავი მეოთხე. ჩეკო ფორტარიგო....517
ამბავი მეხუთე. კალანდრინოს ბედნიერება....520
ამბავი მეექვსე. აკვანი....527
ამბავი მეშვიდე. მგელი....530
ამბავი მერვე. ჩაკო ღორმუცელა....532
ამბავი მეცხრე. სოლომონ ბრძენის განჩინება....535
ამბავი მეათე. ნათლიმამა პიეტროს ჭაკი....540
მეათე დღე....545
ამბავი პირველი. მეფის ჯორი....545
ამბავი მეორე. კლუნის აბატი....548
ამბავი მესამე. ნატანის სიუხვე....552
ამბავი მეოთხე. მესერ ჯენტილე....557
ამბავი მეხუთე. დიდსულოვნება....563
ამბავი მეექვსე. კარლოს ძლევამოსილი....567
ამბავი მეშვიდე. მინუჩოს სიმღერა....572
ამბავი მერვე. სოფრონია....578
ამბავი მეცხრე. მესერ ტორელო....593
ამბავი მეათე. გრიზელდა....608
ავტორის დასკვნა....619